Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com



Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

იბეჭდება
საბჭოთა კავშირის
კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСИЗМА-ЛЕНИНИЗМА при ЦК КПСС

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ИЗДАТЕЛЬСТВО ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
МОСКВА . 1966

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის
ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი . 1972

ვ. ი. ლენინი

ტომი

42

1917 წლის ოქტომბერი — 1923 წლის მარტი

3 К 23 + 3 КП 1 + 33 + 9 (С) 21/3 + 331 + 1 МИ
3 ᲯᲚ 23 + 3 ᲯᲚ 1 + 33 + 9 (с) 21/3 + 331 + 1 ᲛᲘ
ᲬᲜ 433

1—1—2

8—72 ᲐᲓᲒ.

წინასიტყვაობა

ორმოცდამეორე ტომი შეიცავს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაწერილ ნაწარმოებებს, რომლებიც პირველად დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრულ კრებულში ანდა გამოქვეყნებული იყო ლენინის კრებულებსა და ჟურნალ-გაზეთებში. ეს დოკუმენტები არსებითად შეავსებენ ამ გამოცემის სათანადო ტომებში შესულ ნაწარმოებებს.

ნაშრომთა პირველი ჯგუფი განეკუთვნება დროის მონაკვეთს 1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის ივლისამდე — სოციალისტური რევოლუციის შემდგომი განვითარების და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების პერიოდს. უწინარეს ყოვლისა აქ უნდა დავასახელოთ «თეზისები პარტიის ამოცანების შესახებ + მიმდინარე მომენტი», სტატია «პლეხანოვი ტერორის შესახებ», «პროექტი რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციისა პარტიიდან ს. ა. ლოზოვსკის გარიცხვის შესახებ», «ეკონომიურ ღონისძიებათა პროგრამის მონახაზი», ნაშრომის «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები» პირვანდელი ვარიანტის რამდენიმე თავი. ამ ნაწარმოებებში დახასიათებულია ის ამოცანები, რომლებიც მუშათა კლასის წინაშე წამოიჭრა ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ. მათში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება, დამხობილ ექსპლოატატორულ კლასთა წინააღმდეგობის დათრგუნვა, მკვეთრად არის დაგმობილი პარტიის მემარჯვენე ოპორტუნისტული ელემენტები.

რამდენიმე დოკუმენტი დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის ბრძოლასთან ომიდან გამოსვლისათვის, ბრესტის საზავო ხელშეკრულების დადებისათვის («სიტყვა, წარმოთქმული სრულიად რუსეთის ცაკ-ის ბოლშევიკთა და მემარცხენე ესერთა ფრაქციების გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წლის 19 თებერვალს», «სიტყვა, წარმოთქმული ლატვიელ მსროლელთა წინაშე 1918 წლის 20 თებერვალს» და სხვ.). სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა მრავალი პროექტი, ლენინის დაწერილი, ასახავს კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის პირველ ნაბიჯებს სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში.

ბევრი მასალა განეკუთვნება უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის და სამოქალაქო ომის პერიოდს. ასეთებია: ჩანაწერი «თავდაცვის საბჭოს ამოცანებისა და მუშაობის ორგანიზაციის შესახებ», «შენიშვნები ვაზნების კომისიის სხდომაზე», «პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა სასურსათო-სატრანსპორტო სამუშაოზე მუშათა ჯგუფების გაგზავნის შესახებ», «პროექტი თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა საბჭოთა მოსამსახურეების მობილიზაციის შესახებ», «პროექტები ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებებისა მამონტოვის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ», «წინადადებანი სამხედრო საკითხებზე», «რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებანი დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ბრძანების შესახებ», აგრეთვე ლენინის გამოსვლები: «სიტყვა, წარმოთქმული ფრონტზე მიმავალ ივანოვოვოზნესენსკელ კომუნისტ მუშათა წინაშე 1919 წლის 24 ოქტომბერს», «სიტყვა, წარმოთქმული მოსკოვის პირველი მეტყვიამფრქვევეთა კურსების წითელ მეთაურთა XI გამოშვებაზე 1920 წლის 12 მაისს», «მოხსენება რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ, წაკითხული რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის თათბირზე 1920 წლის 9 ოქტომბერს». ეს და სხვა მრავალი დოკუმენტი ნათლად ახასიათებს, თუ რაოდენ გიგანტურ საქმიანობას ეწეოდნენ ლენინის მეთაუ-

რობით ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა განადგურების ორგანიზაციისათვის.

ტომის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ნაშრომები და დოკუმენტები, დაწერილი ომის დამთავრების შემდეგ, როცა საბჭოთა ხალხს პირველ რიგში უნდა გადაეწყვიტა სახალხო მეურნეობის აღდგენის, სოციალისტური მშენებლობის ამოცანები. მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება და ტექნიკა, სახალხო განათლება, სახელმწიფო აპარატის სრულყოფა, ეროვნული საკითხი, საგარეო პოლიტიკა, — ყველა ამ პრობლემაზე ყოველდღიურად მუშაობდა ვ. ი. ლენინი, რომელიც წარმართავდა პარტიისა და მთავრობის საქმიანობას.

ტომში შესული ნაწარმოებები შეიცავს მნიშვნელოვან დამატებით მასალას ვ. ი. ლენინის მიერ სოციალისტური მშენებლობის გეგმის დამუშავების შესახებ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაშრომის «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები» პირვანდელი ვარიანტის თავებს (IV თავის დასასრული, V — IX თავები და X თავის დასაწყისი), რომლებიც პირველად 1962 წელს გამოქვეყნდა. ამ თავებში ლენინი საბოლოო ტექსტზე უფრო დაწვრილებით აშუქებს ახალი საზოგადოების მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებულ ბევრ საკითხს, გადმოგვიშლის, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიურ ამოცანათა გადაჭრას, იმას, რომ საჭიროა სწორად ვუხელმძღვანელოთ სახალხო მეურნეობას კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში. ამერიკულ გაზეთ «The World»-ის კორესპონდენტ ლინკოლნ ეირთან, იაპონურ გაზეთ «ოსაკა ასახის» კორესპონდენტთან საუბრებში, «შენიშვნებში ელექტრიფიკაციის შესახებ» ლენინი ახასიათებს, თუ რა როლს ასრულებს ელექტრიფიკაცია სოციალიზმის ეკონომიური საფუძვლის შექმნაში, მწარმოებლურ ძალთა განვითარებაში. ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხებს მიეძღვნა «საბოლოო სიტყვა კონცესიების შესახებ მოხსენების გამო» საკავშირო პროფსაბჭოს კო-

მუნისტური ფრაქციის სხდომაზე 1921 წლის 11 აპრილს, გამოსვლები რკპ(ბ) სრულიად რუსეთის X კონფერენციაზე ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხთა გამო მისაღები რეზოლუციის განხილვის დროს, წერილი «რუსულ კოლონიას ჩრდილოეთ ამერიკაში».

მეურნეობის სოციალისტურად გაძღოლის უმნიშვნელოვანეს პრინციპებად და მეთოდებად ლენინს მიაჩნდა დემოკრატიული ცენტრალიზმის თანამიმდევრული განხორციელება ეკონომიკის მართვაში, მეცნიერული დაგეგმვა, მეურნეობის რაციონალური და ეფექტური გაძღოლა, შრომის სწორი ორგანიზაცია, სამეურნეო ანგარიშის დანერგვა, საწარმოთა რენტაბელური, მომგებიანი მუშაობის უზრუნველყოფა, მატერიალური და მორალური სტიმულების გამოყენება წარმოების განვითარებაში. აქ შეიძლება დავასახელოთ ისეთი დოკუმენტები, როგორიც არის «გამოსვლა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე 1918 წლის 1 აპრილს», ««ნაციონალიზებულ საწარმოთა მართვის დებულების» პროექტის შენიშვნები», «სპეციალისტთა ხელფასის შესახებ», «შაბათობათა დებულების პროექტის დამატებანი», «პროექტი საერთო-საგეგმო კომისიის შესახებ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების ძირითადი პუნქტისა», «გეგმა სტატიისა «საქმის კომერციულად დაყენება»», «წინადადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში საწარმოთათვის პრემიების მიცემის შესახებ», და სხვა.

სამეურნეო მშენებლობის ამოცანებს რომ განსაზღვრავდა, ვ. ი. ლენინი «პროფკავშირთა ყრილობაზე წარმოსათქმელი სიტყვის გეგმაში» წერდა: «შრომის დისციპლინა, შრომისნაყოფიერების გადიდება, შრომის ორგანიზაცია, პროდუქტთა რაოდენობის ზრდა, დოყლაპიობასა და ბიუროკრატიზმთან დაუნდობელი ბრძოლა. ამით სძლევდე» (გვ. 339).

გამოქვეყნებულ მასალებში — ««სასოფლო-სამეურნეო მანქანების განაწილების შესახებ» სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების პროექტის დამატება», «პროექტი შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა «ფაულერის»

გუთნების შესახებ», «საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ» სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი და სხვ. — ასახულია ვ. ი. ლენინის ზრუნვა სოფლის მეურნეობის აღმავლობაზე, გლეხობის მომარაგებაზე მანქანებით, საბჭოთა მეურნეობების განვითარებაზე, იმაზე, რომ სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს კოოპერაციას, რომ უნდა მომზადდეს პირობები სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის.

არაერთი მასალა ეძღვნება კულტურული მშენებლობის საკითხებს: «საბიბლიოთეკო საქმის დაყენების შესახებ» სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი, «მუშათა და გლეხთა საკითხავი წიგნის შედგენის ინსტრუქცია», «პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა მთავარპოლიტგანის შესახებ», «მონახაზი რეზოლუციისა პროლეტარული კულტურის შესახებ», «დამატება სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტისა უმაღლეს სასწავლებლებში სავალდებული სამეცნიერო მინიმუმის შესახებ», «პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა განსახკომის რეორგანიზაციის შესახებ», «დირექტივები კინოსაქმის გამო». ეს და სხვა დოკუმენტები შეიცავენ მნიშვნელოვან დებულებებს კულტურული რევოლუციის არსისა და გზების, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, მასების პოლიტიკური განათლების შესახებ.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება წერილს «სსრ კავშირის შექმნის შესახებ», რომელშიც ვ. ი. ლენინმა წამოაყენა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის როგორც თანასწორუფლებიანი და სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკების ნებაყოფლობით კავშირზე დაფუძნებული ერთიანი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის იდეა. კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის საკითხებს აშუქებს აგრეთვე «შენიშვნები აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების სრულიად რუსეთის II ყრილობის დელეგატთა თათბირზე»,

«პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა რკპ(ბ) ამოცანების შესახებ თურქესტანში», «პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა რკპ(ბ) ამოცანების შესახებ აღმოსავლეთის ხალხებით დასახლებულ ადგილებში» და სხვ. მათში ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა საბჭოთა ქვეყნის ყველა ეროვნების შეკავშირება და ძმური თანამშრომლობა, შოვინიზმისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა.

საბჭოების VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის სხდომაზე კონცესიების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო წარმოთქმული საბოლოო სიტყვა შეიცავს ლენინის მნიშვნელოვან დებულებას საბჭოთა პატრიოტიზმის შესახებ: «იმ კაცის პატრიოტიზმი, რომელიც ამჯობინებს სამ წელიწადს იშიმშილოს, მაგრამ რუსეთი უცხოელებს არ მისცეს, ნამდვილი პატრიოტიზმია, ურომლისოდაც სამ წელიწადს ვერ გავძლებდით. თუ არა ეს პატრიოტიზმი, ვერ დავიცავდით საბჭოთა რესპუბლიკას, ვერ მოვსპობდით კერძო საკუთრებას... ეს საუკეთესო რევოლუციური პატრიოტიზმია» (გვ. 259).

შენიშვნაში «საბჭოთა ხელისუფლების დემოკრატიზმისა და სოციალისტური ხასიათის შესახებ» და «სიტყვა, წარმოთქმული მიტინგზე პრესნიას რაიონში 1918 წლის 26 ივლისს», ვ. ი. ლენინი ახასიათებს საბჭოებს, გადმოგვიშლის საბჭოთა კონსტიტუციის ჭეშმარიტ დემოკრატიზმს.

ბევრი დოკუმენტი ასახავს ლენინის ბრძოლას სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის, სახელმწიფო, პარტიული და საზოგადოებრივი კონტროლის განმტკიცებისათვის: «წინადადებანი სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა შორის მუშაობის განაწილების შესახებ», «წინადადებანი სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილეების მუშაობის წესის შესახებ», «წერილი ლ. ბ. კამენევს, ა. ი. რიკოვს, ა. დ. ციურუპას სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს.

შორის სამუშაოს განაწილების შესახებ», «რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დირექტივები მუშათა ინსპექციის საკითხზე», «მასალები სტატიისათვის «როგორ მოვახდინოთ მუშურ-გლეხური ინსპექციის რეორგანიზაცია»» და სხვ. არაერთი დოკუმენტი ეძღვნება სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას: «მონახაზი დადგენილების თეზისებისა კანონის ზუსტად დაცვის შესახებ», «წინადადებანი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის მუშაობის შესახებ», «სიტყვა: წარმოთქმული გუბერნიათა საგანგებო კომისიების IV კონფერენციაზე 1920 წლის 6 თებერვალს» და სხვ.

კომუნისტური პარტია ლენინს საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად მიაჩნდა. იგი დაუცხრომლად იბრძოდა პარტიის იდეური და ორგანიზაციული ერთიანობის განმტკიცებისათვის, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭიროა შინაპარტიული დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარება, კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპის განუხრელად განხორციელება, მასებთან პარტიის კავშირის განმტკიცება. ამ საკითხებს ასახავს ტომში შესული მრავალი დოკუმენტი: რკპ(ბ) სრულიად რუსეთის IX კონფერენციაზე წარმოთქმული «სიტყვა პარტიული მშენებლობის მორიგ ამოცანებზე», პროექტი რეზოლუციისა და წინადადებანი რეზოლუციისათვის ამ საკითხის გამო, სიტყვა საბჭოების VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციაში საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკის და სახკომსაბჭოს მოხსენების განხილვასთან დაკავშირებით, «სიტყვა ქ. მოსკოვის პარტიული აქტივის კრებაზე 1921 წლის 24 თებერვალს», «პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილისა უპარტიო მუშებისადმი დამოკიდებულების შესახებ», ««ათის პლატფორმის» მომხრეთა თათბირზე გამოსვლის კონსპექტი», მომხრეთა, რომლებიც რკპ(ბ) X ყრილობის დელეგატები იყვნენ, «შენიშვნები რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამუშაო გეგმის გამო».

ვ. ი. ლენინ ის დაწერილი პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა ჟურნალ «კომუ-

ნისტიჩესკი ინტერნაციონალში» გამოქვეყნებული ა. მ. გორკის სტატიების შესახებ ნათლად ახასიათებს ლენინის პრინციპულობას, იმას, რომ იგი სრულიად ვერ ურიგდებოდა პიროვნების კულტს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის საკითხებზე დაწერილ დოკუმენტებს: უცხოელ კორესპონდენტებთან ინტერვიუს, «**პროექტს დირექტივისა** გენუის დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილის და ყველა წევრისათვის», «პროექტს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივისა საბჭოთა დელეგაციისათვის გენუის კონფერენციაზე», «პროექტს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა გენუაში საბჭოთა დელეგაციის ამოცანების შესახებ», «შესწორებანი და შენიშვნები გენუის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის განცხადების პროექტისათვის», და სხვ. მათში ჩამოყალიბებულია საბჭოების რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის არსის, საბჭოთა დიპლომატიის ამოცანებისა და მეთოდების პრინციპული დებულებანი.

ეს დოკუმენტები ცხადყოფენ, როგორ თანამიმდევრულად ახორციელებდა საბჭოთა მთავრობა ლენინის მეთაურობით მშვიდობისა და კაპიტალისტურ ქვეყნებთან საქმიანი კავშირურთიერთობის დამყარების პოლიტიკას. ამერიკელ კორესპონდენტთან საუბრის დროს ლენინმა თქვა: «ვერ ვხედავ ვერავითარ მიზეზს, თუ რატომ არ შეუძლია ისეთ სოციალისტურ სახელმწიფოს, როგორიც ჩვენია, განუსაზღვრელი ს ქმიანი ურთიერთობა ჰქონდეს კაპიტალისტურ ქვეყნებთან» (გ . 176). იმავე დროს საბჭოთა მთავრობა საკადრის პასუხს . ლევდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ცდებს ჩარეულიყვნენ საბჭოების რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, თავს მოეხვიათ მისთვის ეკონომიურ შეთანხმებათა კაბალური პირობები. «ჩვენ, — ამბობდა ლენინი, — არაერთხელ განვაცხადეთ, რომ მშვიდობას ვესწრაფვით... მაგრამ იმის ნებას ვერავის მივცემთ, რომ მშვიდობის გულისთვის მოგვახრჩონ» (იქვე).

დიდი მნიშვნელობა ენიჭება დოკუმენტებს, რომლებიც გადმოგვიშლიან საბჭოთა სახელმწიფოს მეგობრულ, ძმურ დამოკიდებულებას იმ ქვეყნებთან, სადაც ხელისუფლებას ხალხი ჩაუდგა სათავე'ში. ტომში გამოქვეყნებულია პროექტები სახკომსაბჭოს დადგენილებებისა ფინეთის სოციალისტურ მუშათა რესპუბლიკასთან დასადები ხელშეკრულების შესახებ. ეს იყო ისტორიაში პირველი ხელშეკრულება ორ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის, თანასწორუფლებიან, სუვერენულ სახელმწიფოთა ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობის ნიმუში. «მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციასთან საუბრის» ტექსტი შეიცავს ლენინის დიდმნიშვნელოვან მითითებებს იმის შესახებ, თუ რა გზით განვითარდებიან და მიაღწევენ სოციალიზმს წინაკაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილების მქონე ქვეყნები, რა თავისებურებანი გააჩნია რევოლუციური პარტიების ტაქტიკას ამ ქვეყნების პირობებში.

ტომში შესული ნაწარმოებები ვ. ი. ლენინის იმ ცნობილი შრომების ძვირფას დამატებას წარმოადგენს, რომლებიც საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის საკითხებს ეხებიან. ამათგან უწინარეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ ლენინის წერილი გ. ვ. ჩიჩერინისადმი (1918 წლის დეკემბრის დამლევი). ამ წერილში ლენინი სახავს კომუნისტური ინტერნაციონალის იდეური პლატფორმის და ორგანიზაციული ბაზის საფუძვლებს. უაღრესად საინტერესოა მასალები, რომლებიც კომინტერნის II კონგრესს ეხებიან, — «გეგმა რეზოლუციისა «პროლეტარიატის დიქტატურის» ცნების შინაარსის და ამ ლოზუნგის «მოდური» დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ», «შენიშვნები აღმოსავლეთში სოციალური რევოლუციის პერსპექტივების შესახებ ა. სულთან-ზადეს მოხსენების გამო» და სხვ. არაერთი დოკუმენტია დაკავშირებული კომინტერნის III კონგრესთან: ისინი ასახავენ ლენინის მიერ გაწეულ უდიდეს მუშაობას კონგრესის ძირითად გადაწყვეტილებათა მოსამზადებლად და მისი მუშაობის წასამართავად. ასეთი დოკუმენტებია: «წერილი ო. ვ. კუუსინენს და შენიშვნები «კომუნისტური პარტიების ორგანიზაციული მშენებლო-

ბის, მათი მუშაობის მეთოდებისა და შინაარსის შესახებ თეზისების» პროექტის მიმართ», «შენიშვნები კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესისათვის ტაქტიკის შესახებ თეზისების პროექტზე», «სიტყვები გერმანიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და იტალიის დელეგაციების წევრთა თათბირზე».

ეს დოკუმენტები ასახავენ ლენინის შეურიგებელ ბრძოლას მემარჯვენე ოპორტუნიზმის, რეფორმიზმის და რევიზიონიზმის წინააღმდეგ და ამასთანავე «მემარცხენეობის» წინააღმდეგ, ავანტიურიზმის, დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში. ამ დოკუმენტებში ლენინი გვაძლევს უაღრესად მნიშვნელოვან მითითებებს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებზე. კომპარტიათა ყურადღების ცენტრში უნდა იყოსო, ხაზგასმით აღნიშნავდა ლენინი, მუშათა კლასის უმრავლესობის, მშრომელი მასების უმრავლესობის მიმხრობის ამოცანა, მათი მომზადება სოციალისტური რევოლუციისათვის. არაერთ დოკუმენტში, როგორიცაა «პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა ერთიანი ფრონტის ტაქტიკის შესახებ», «წერილი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს შენიშვნებით სამი ინტერნაციონალის კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ კომინტერნის აღმასკომის პირველი გაფართოებული პლენუმის რეზოლუციის პროექტის გამო», «წინადადება კომინტერნში წარგზავნილი რკპ(ბ) დელეგაციის ანგარიშის გამო პარტიის XI ყრილობის რეზოლუციის პროექტისათვის» და სხვ., ვ. ი. ლენინი იცავს ერთიანი ფრონტის ტაქტიკას, მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობის დამყარების ტაქტიკას.

ტომის «დანართში» იბეჭდება პირადი ანკეტები, რომლებიც ვ. ი. ლენინს შეუვსია როგორც კომუნისტური პარტიის ყრილობების და კონფერენციების დელეგატს, რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის წევრთა ხელახალი რეგისტრაციის დროს, რკპ(ბ) წევრთა სრულიად რუსეთის აღწერისას.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ «დანართში» გამოქვეყნებულ «ვ. ი. ლენინის მორიგე მდივნების დღიურს», რომელიც შეიცავს ჩანაწერებს ვ. ი. ლენინის დავალებების, მომსვლელთა მიღებისა და სხვა ფაქტების შესახებ. ეს დოკუმენტი ცხადყოფს, რა ვაჟკაცურად სძლევდა ვ. ი. ლენინი მძიმე ავადმყოფობას და მთელ ძალ-ღონეს ახმარდა პარტიის საქმეს, მუშათა კლასის საქმეს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი

1917 წლის ოქტომბერი—1918 წლის ივლისი

გამოსვლა სახკომსაბჭოს სხდომაზე 1917 წლის 3 (16) ნოემბერს

ამხანაგი ლენინი წინააღმდეგია რაიმე შეთანხმებისა რკინიგზელთა პროფკავშირის სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტთან [1], რომელსაც ხვალ დაამხობენ რევოლუციური გზით, ქვემოდან. საჭიროა მოსკოვი პეტროგრადიდან გავამაგროთ შემოქმედებითი, მაორგანიზებელი რევოლუციური ძალებით, სახელდობრ მატროსული ელემენტით. სასურსათო საკითხი: ჩრდილოეთიდან უზრუნველყოფილი ვართ. მოსკოვის აღებისა და რკინიგზელთა პროფკავშირის სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის ქვემოდან დამხობის შემდეგ სურსათით უზრუნველყოფილი ვიქნებით ვოლგიდან.

პირველად დაიბეჭდა 1927 წლის 6—7 ნოემბერს გაზეთ «პრავდაში» № 255 გამოქვეყნებულ ნ. გორბუნოვის სტატიაში «როგორ იქმნებოდა ოქტომბრის დღეებში სახალხო კომისართა საბჭოს მუშა აპარატი»

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის ხელნაწერი ეგზემპლარის მიხედვით

ფრონტზე მყოფ ჯარისკაცთათვის თბილი ნივთების რეკვიზიციის შესახებ დეკრეტის პროექტის დამატებანი

დაემატოს:

სათაური: + ... და მდიდართა ბინების რეკვიზიციის შესახებ ღარიბთა გაჭირვების შესამსუბუქებლად...

§ 1. ... პლუს ერთი თბილი რაიმე გარდა საბნისა (პალტო, ქურქი, კურტაკი, თექის ჩექმები და სხვა მისთანანი).

§ 2. ...მდიდრულ ბინად ითვლება აგრეთვე ყოველგვარი ბინა, თუ ოთახების რაოდენობა ამ ბინის მუდმივ მცხოვრებთა რაოდენობას უდრის ან აღემატება.

მდიდრული ბინის მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, თუ არ უნდა მთელი ქონების კონფისკაცია უყონ, წარადგინოს განცხადება 2 ცალად, ერთი სახლის კომიტეტში, მეორე — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების რაიონულ საბჭოში, იმის შესახებ, თუ რა თბილი ნივთები აქვს მას და რას იძლევა ფრონტისთვის.

მდიდრული ბინის მფლობელი, თუ არ უნდა იგივე უყონ, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს იმავე დაწესებულებებს, ასევე 2 ცალად, განცხადება ორიდან ერთი მდიდრული ბინის გათავისუფლების შესახებ დედაქალაქის ღარიბი მოსახლეობის საჭიროებისათვის (ესე იგი ორი მდიდრული ბინის მქონე ორი მდიდარი ოჯახი ვალდებულებას კისრულობს ამ ზამთრის განმავლობაში დასახლდეს ერთ ბინაში და ომით გამოწვეული დიდი გაჭირვების გამო მეორე ბინა დაუთმოს ღარიბ მოსახლეობას).

სახლის კომიტეტი დაუყოვნებლივ შეადგენს სარეკვიზიციო მდიდრული ბინების სიას, ხოლო მუშათა დეპუტატების რაიონული საბჭო დაამტკიცებს ამ სიებს, აგრეთვე განსაზღვრავს ღარიბი მოსახლეობის ოჯახთა მიერ ამ ბინების დაკავების პირობებს და წესს [2].

დაწერილია 1917 წლის
ნოემბერში, 8 (21) რიცხვამდე

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ინტერვიუ «ASSOCIATED PRESS»-ის სააგენტოს კორესპონდენტს ბ. იაროსს

1917 წლის 15 (28) ნოემბერი

პეტროგრადის არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, არჩევნებისა, რომელზეც ბოლშევიკებმა ექვსი ადგილი [3] მიიღეს, «Associated Press»-ის კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა სახალხო კომისართა საბჭოს თავ-

მჯდომარეს, რომელიც აღტაცებული იყო თავისი პარტიის დიდი გამარჯვებით.

— რას ფიქრობთ დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგებზე? — ჰკითხა კორესპონდენტმა.

— ვფიქრობ, რომ ამ არჩევნებმა დაამტკიცეს ბოლშევიკური პარტიის დიდი გამარჯვება. ხმების რაოდენობა, რომელსაც ბოლშევიკთა პარტიას აძლევდნენ მაისის, აგვისტოს და სექტემბრის არჩევნებში, განუწყვეტლივ იზრდებოდა[4]. თორმეტიდან ექვსი ადგილის მიღება იმ ქალაქში, სადაც ბურჟუაზია (კადეტები) მეტად ძლიერია, ნიშნავს, რომ რუსეთში გავიმარჯვეთ.

— როგორ ფიქრობთ, დამფუძნებელი კრების ასეთი შემადგენლობა, როგორსაც პეტროგრადის არჩევნების შედეგები გვიქადის, დაადასტურებს სახალხო კომისართა მთავრობის ყველა ღონისძიებას?

— დიახ, დაადასტურებს, იმიტომ რომ მაშინ, თქვენი ვარაუდის თანახმად, ჩვენ წინააღმდეგ არავითარი უმრავლესობა არ იქნება, უმრავლესობა პეტროგრადში მემარცხენე ესერებთან ერთად ჩვენ გვეყოლება (შვიდი თორმეტიდან).

— რომელი პარტიები შევლენ სახალხო კომისართა საბჭოს ახალ შემადგენლობაში?

— გარკვევით არ ვიცი, მაგრამ მგონია, რომ ბოლშევიკებს გარდა მარტოოდენ მემარცხენე ესერები.

პირველად ნაწილობრივ დაიბეჭდა 1962 წელს
ჟურნალში «სსრ კავშირის ისტორია»
№ 2
პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე ვადაწერილი
პირის მიხედვით
თარგმანი ინგლისურიდან

უმაღლეს მოსამსახურეთა და მოხელეთა სარგოს შესახებ

სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი [5]

სახალხო კომისართა საბჭო საჭიროდ ცნობს მიიღოს უაღრესად ენერგიული ზომები იმ მიზნით, რომ ჯამაგირი შეუმციროს უმაღლეს მოსამსახურეებს და მოხელეებს უკლებლივ ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებსა და საწარმოებში, და ადგენს:

1) დაენიშნოთ სახალხო კომისრებს ზღვრული ჯამაგირი თვეში 500 მანეთი უშვილოებს და 100 მანეთი წანამატი თითოეული ბავშვისათვის; ბინა დასაშვებია სულ ბევრი 1 ოთახი ოჯახის თითოეული წევრისათვის; 2) თხოვნით მივმართოთ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ყველა ადგილობრივ საბჭოს მოამზადონ და განახორციელონ რევოლუციური ზომები უმაღლეს მოსამსახურეთა განსაკუთრებული დაბეგვრისათვის; 3) დაევალოს ფინანსთა სამინისტროს მოამზადოს ასეთი შემცირების საერთო კანონპროექტი; 4) დაევალოს ფინანსთა სამინისტროს და ყველა ცალკეულ კომისარს დაუყოვნებლივ შეისწავლონ სამინისტროთა ხარჯთაღრიცხვები და შეამცირონ უზომოდ მაღალი ჯამაგირები და პენსიები.

დაწერილია 1917 წლის 18 ნოემბერს
(1 დეკემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა სამხედრო სამინისტროს საკითხზე [6]

იმის გამო, რომ გენერალმა მანიკოვსკიმ მოსკოვის სამხედრო ოლქს მისცა კონტრრევოლუციური განკარგულება არ შეეცვალათ დანიშნული მეთაურები არჩეული მეთაურებით, —

იმის გამო, რომ გენერალი მარუშევსკი საბჭოს წინააღმდეგ მიმართულ მოლაპარაკებას აწარმოებდა დუხონინთან და დანაშაულებრივად შეეცადა გაეწია საბოტაჟი, როცა დაზავებაზე მოლაპარაკებისათვის დელეგაციას ადგენდნენ *, —

1) დაუყოვნებლივ დაპატიმრებულ იქნენ მანიკოვსკი და მარუშევსკი და არ გამოუშვან სახალხო კომისართა საბჭოს ნებადაურთველად [7];

2) დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნეს სამხედრო სამინისტროს უაღრესად ენერგიული წმენდა და დათხოვნილ იქნენ უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის არასაიმედო ელემენტები;

3) დაუყოვნებლივ გამოძახებულ იქნენ საიმედო ელემენტები ლატვიელ მსროლელთა პოლკების მეთაურთა შემადგენლობიდან პეტროგრადში;

4) დაუყოვნებლივ გამოძახებულ იქნეს პეტროგრადის ერთი ლატვიელ მსროლელთა პოლკი [8];

5) ყოველდღიურად მოხსენდეს სახკომსაბჭოს, თუ როგორ სრულდება სინამდვილეში აღნიშნული ზომები.

ეს დადგენილება არ გამოქვეყნდეს.

დაწერილია 1917 წლის 19 ნოემბერს
(2 დეკემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

თეზისები კანონისა გასაქირავებელბინებიანი სახლების კონფისკაციის შესახებ [9]

1) მ თ ე ლ ი მიწა (ქალაქად) ხალხის კუთვნილება (საკუთრება) ხდება.

2) სახლი, რომელსაც ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ა დ აქირავებენ, მფლობელს ჩამოერთმევა და ხალხის საკუთრება ხდება.

* პირველი ორი აბზაცი დაწერილია ლ. დ. ტროცკის ხელით. რ ე დ.

3) ის მფლობელი, რომელიც სახლს არ აქირავებს, დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებამდე მფლობელად რჩება მფლობელობის უფლების სრულიად შეუცვლელად.

4) რამდენიმე (2 — 3) თვის გასამრჯელო ჩამორთმეული სახლის მფლობელს, თუ ეს მფლობელი დაამტკიცებს თავის...*

5) ბინის ქირას გადაახდევინებს (ვინ?) საბჭო (საბჭოს მიმდინარე ანგარიშზე).

6) სამშენებლო კომისია (პროფესიული კავშირი + სამშენებლო მეურნეობათა გაერთიანება) განაგებს მეურნეობასაც (სათბობი და სხვ.).

7) ქირის გადახდევინება იწყება დაუყოვნებლივ.

8) სამშენებლო-სამეურნეო კომისიები მოქმედებას იწყებენ გარკვეული თანდათანობით, იმის კვალობაზე, თუ როგორ შექმნიან მათ პროფესიული კავშირები და საბჭოები.

9) სახლის გათბობა და ნორმალური მოვლა-პატრონობა სახლის კომიტეტის და სხვა დაწესებულებების (პროფესიული კავშირების, საბჭოების, ქალაქის სათათბიროსთან არსებული სათბობის განყოფილებებისა და ა. შ.) მოვალეობაა.

დაწერილია 1917 წლის 20 ნოემბერს (3 დეკემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა ეკონომიკის სფეროში სოციალისტური პოლიტიკის განხორციელების საკითხზე [10]

1) გავგზავნოთ 2 — 3 ინჟინერი თავდაცვის საგანგებო თათბირში კონტროლის გასაწევად და მრეწველობის დემობილიზაციის საერთო გეგმის შესადგენად (დაევალოს კოზმინს შეადგინოს ეს ჯგუფი) [11];

* ფრაზა დაუმთავრებელი დარჩა. რ ე დ.

2) შევადგინოთ კომისია სახკომსაბჭოს 3 — 5 წევრისაგან (და იმათგანაც, ვინც სახკომსაბჭოს წევრი არ არის) მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის ძირითად საკითხთა განსახილველად (დაევალოთ პიატაკოვს და ბუხარინს ამ კომისიის შედგენა);

3) მოვაწყოთ მესურსათეთა თათბირი მაროდიორობის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკულ ღონისძიებათა განსახილველად და განსაკუთრებით გაჭირვებული ფენების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად (დაევალოს შლიაპნიკოვს + მანუილსკის ამ თათბირის მოწყობა).

დაწერილია 1917 წლის 27 ნოემბერს
(10 დეკემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ეკონომიურ ღონისძიებათა პროგრამის მონახაზი

ბანკების ნაციონალიზაცია
ხაზინაში ფულის დაბრუნება
ახალი ფული მსხვილი კუპიურებისთვის
რევოლუციური ზომები სასარგებლო წარმოებაზე ფაბრიკების გადასაყვანად
მოხმარების ცენტრალიზაცია სამომხმარებლო საზოგადოებებად იძულებითი გაერთიანების გზით
საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია
მრეწველობის ნაციონალიზაცია
სახელმწიფო სესხები.

დაწერილია 1917 წლის 27 ნოემბერს
(10 დეკემბრის) მერე

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

დემონსტრაციის ლოზუნგებისათვის [12]

ვირჩევთ, რომ დემონსტრაციის ლოზუნგებს, გამოქვეყნებულს 28. XI., დაუმატოთ:

სირცხვილი იმ «მემარჯვენე» ესერებსა და «ჩერნოველებს». რომლებიც გამოეთიშნენ გლეხთა ყრილობას!

გაუმარჯოს სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების II ყრილობას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას უჭერს მხარს!

მშრომელი ხალხი მოითხოვს, რომ დამფუძნებელმა კრებამ ცნოს საბჭოთა ხელისუფლება და საბჭოთა მთავრობა!

გაუმარჯოს ბანკების ნაციონალიზაციას!

ძირს მესაბოტაჟენი და გაფიცული მოხელენი! ბოიკოტი, რევოლუციური ტერორი მათ!

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წლის 28 ნოემბერს
(11 დეკემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1957 წელს
ჟურნალში «ვოპროსი ისტორიი კპსს»
№ 3

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

უსაფუძვლო ბრალდების გამო პასუხისმგებლობის შესახებ

პროექტი რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა [13]

ცენტრალური კომიტეტი აწესებს პრინციპს:

ყველა საკინკლაო საკითხის და პირადი ბრალდების გამო ის, ვინც ასეთ ბრალდებას წამოაყენებს და ზუსტ ბრალდებას არ წარუდგენს სასამართლოს, ცილისმწამებლად ითვლება:

— ვისაც მსგავსი ბრალდებით შეურაცხყოფილად მიაჩნია თავი, შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

დაწერილია 1917 წლის 29 ნოემბერს
(12 დეკემბერს)
პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

მეურნეობრივად სასარგებლო მუშაობაზე სამხედრო ქარხნების გადაყვანის შესახებ

დადგენილება სახალხო კომისართა საბჭოსი

დაევალოს ამხ. რასკოლნიკოვს საჩქაროდ წავიდეს ვაჭრობისა და მრეწველობის კომისარიატში, აგრეთვე სურსათის კომისარიატში (მანქანათმომარაგების განყოფილება), რათა დაუყოვნებლივ მოაგვაროს დაკვეთები, რომლებიც შეიძლებოდა გადასცემოდა სამხედრო-საზღვაო მშენებლობით და სარემონტო სამუშაოებით დასაქმებულ ქარხნებს. განსაკუთრებით საჩქაროა სასოფლო-სამეურნეო იარაღის, მანქანების წარმოება, ორთქლმავლების წარმოება და რემონტი. პირველ რიგში ყურადღება მიექცეს პეტერბურგის ლითონის ქარხანას, რომელსაც სათბობისა და ლითონის კარგა ხნის მარაგი აქვს.

დაევალოს მთავარ საზღვაო სამეურნეო სამმართველოს დაუყოვნებლივ გადასინჯოს საზღვაო სამინისტროს 1917 წლის ხარჯთაღრიცხვები იმ მიზნით, რომ შეაჩეროს სამხედრო გემების მშენებლობის პროგრამის მთელი ხარჯი და საერთოდ მთელი არამწარმოებლური ხარჯი და სათანადო ასიგნებანი გადაიტანოს სასარგებლო სახალხო-სამეურნეო სამუშაოებზე. ამ სამუშაოში მონაწილეობის მისაღებად იგზავნება ამხ. ი. ე. გუკოვსკი როგორც ყველა უწყების ხარჯთაღრიცხვის გადასინჯვის საგანგებო კომისარი.

სახალხო კომისართა საბჭოსთვის ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ა დ მოხსენების გაკეთება ამ ბრძანების შესრულების შესახებ ევალება ამხ. რასკოლნიკოვს და მთავარი საზღვაო სამეურნეო სამმართველოს რწმუნებულ პირს (ანდა ამხ. გუკოვსკის), აგრეთვე ვაჭრობისა და მრეწველობის კომისარიატის რწმუნებულს.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1917 წლის 29 ნოემბერს (12 დეკემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

თეზისები პარტიის ამოცანების შესახებ + მიმდინარე მომენტი

(α) 25 ოქტომბრის რევოლუციის აღიარება სოციალისტურ რევოლუციად.

(β) ამ დებულების ყველა იმ შეზღუდვის უარყოფა, რომლებიც გამსჭვალულია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისაკენ დაბრუნების სულისკვეთებით (გადასვლის თანდათანობითობა; წვრილ ბურჟუაზიასთან ბლოკის «სტადია» etc.).

(γ) პროლეტარიატის დიქტატურა, მისი თავისებურებანი «საერთო», ფორმალური (ბურჟუაზიული) დემოკრატიზმისაგან განსხვავებით, მისი ტაქტიკა.

(δ) საბჭოთა ხელისუფლება და ბოლშევიკების ხელისუფლება.

(ε) წვრილ ბურჟუაზიასთან შეთანხმება არა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისათვის ბლოკის აზრით, არა სოციალისტური რევოლუციის ამოცანათა შეზღუდვის აზრით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ წვრილი ბურჟუაზიის ც ა ლ კ ე უ ლ ი ფენების სოციალიზმზე გადასვლის ფ ო რ მ ა თ ა აზრით.

(*i*) ბურჟუაზიული თავისუფლებანი *versus** ექსპლოატატორთა დათრგუნვა.

(κ) მესაბოტაჟენი და კაპიტალისტები; კაპიტალისტები და ბურჟუაზიის «საზოგადოებრივი აზრი».

(λ) დამფუძნებელი კრება, როგორ დავუქვემდებაროთ იგი საბჭოთა ხელისუფლებას, სამოქალაქო ომის ინტერესებს და პირობებს.

(η) სათავეში მდგომი ორგანიზაციები (რკინიგზელთა პროფკავშირის სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტი, გლეხთა ცაკი etc.) და ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

---

* — წინააღმდეგ. რ ე დ.

(ტ) ბრძოლა თანამედროვე რეფორმიზმის წინააღმდეგ:
(1) პროლეტარიატისათვის ხელ-ფეხის შეკვრა წვრილი ბურჟუაზიიდან გამოსული თანამგზავრების მიერ
(2) «ქვედა ფენების» რევოლუციური ბრძოლის გაქანების შეზღუდვა
(3) ტერორის უარყოფა.

დაწერილია 1917 წლის ნოემბერში

პირველად დაიბეჭდა 1957 წელს ჟურნალში «ვოპროსი ისტორიი კპსს» № 1

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პასუხები ალექსანდრო-გრუშევსკის რაიონის მუშათა დელეგაციის კითხვებზე [14]

1) ალექსანდრო-გრუშევსკის რაიონში მაღაროების და ქარხნების სეკვესტრის შესახებ.

მაღაროების და ქარხნების კონფისკაცია შეიძლება, ოღონდ კალედინის ჯარებისა და ზეგავლენისაგან რაიონის განთავისუფლების შემდეგ.

2) ხომ არ დავტოვოთ ახლა მაღაროები და გავემგზავროთ ცენტრალურ რუსეთში.

არ გაემგზავროთ და განაგრძეთ მუშაობა, სანამ გაძლება შეგიძლიათ. ამ საკითხზე სახალხო კომისართა საბჭოს რეზოლუციაა: წინადადება მიეცეთ ალექსანდრო-გრუშევსკის რაიონის მუშებს დაუკავშირდნენ ხარკოვს წითელი გვარდიის შესაიარაღებლად. ვთხოვოთ ამხანაგებს გაუძლონ, სანამ ძალა ეყოფათ, სულ უკიდურესობამდე, და არ მიატოვონ მუშაობა.

3) მაღაროებისათვის დაცვის გაგზავნის შესახებ.

ჩვენი ჯარი კალედინის ჯარისკენ საკმაო რაოდენობით მიემართება.

4) სამუშაოთა საწარმოებლად 3 000 000 მანეთის სუბსიდირების შესახებ.

ხარკოვიდან ამხ. არტემი რომ ჩამოვა, გავარკვევთ დონეცკის სათბობით ვაჭრობის მონოპოლიის საქმეთა საბჭოს[15] საკითხს.

5) მივიღოთ თუ არა კალედინის მთავრობის ფულის ნიშნები.

ფულის ნიშნები არ მიიღოთ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1917 წლის 11
(24) დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაწერილი
პირის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა ხელფასის საკითხის გამო[16]

სახალხო კომისართა საბჭო სახელმძღვანელო ნორმად აღიარებს ხელფასის იმ განაკვეთებს, რომლებიც მთავრობის დაწესებულებების მოსამსახურეთა შტატების კომისიამ ცნო და მთავრობის დაწესებულებების დაბალ მოსამსახურეთა სრულიად რუსეთის ყრილობამ მიიღო.

დაწერილია 1917 წლის 13
(26 დეკემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პრაქტიკოსთა კომისიის შექმნის შესახებ

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა[17]

სახალხო კომისართა საბჭო წინადადებას აძლევს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაუყოვნებლივ შექმნას პრაქტიკოსთა კომისია, რომელსაც უნდა დაევალოს შეკრიბოს ყვე-

ლა უწყების, დაწესებულებისა და ორგანიზაციისაგან სასარგებლო პროდუქტების დაკვეთები, გადასცეს ეს დაკვეთები უქმად მდგომ იმ ქარხნებს, რომლებიც უნდა დაიხურონ, შეამოწმოს, თუ რამდენად ხორციელდება ამ დაკვეთების გადაცემა და შესრულება. კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საერთო სამეურნეო გეგმით და სახალხო კომისართა საბჭოს წარუდგინოს რევოლუციური ზომები თავის ამოცანათა დაუყოვნებლივ შესასრულებლად, ხოლო კვირაში ორჯერ — თავისი საქმიანობის ანგარიში.

დაწერილია 1917 წლის 15
(28) დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

სახკომსაბჭოს სხდომათა დღის წესრიგში საკითხების შეტანის წესის ინსტრუქცია

ყოველ კომისარს, რომელსაც რაიმე საკითხი შეაქვს სახალხო კომისართა საბჭოს დღის წესრიგში, მოეთხოვება წინასწარ შემოიტანოს **წერილობითი** განცხადება და აღნიშნოს

ა) რა საკითხია (მოკლედ) [ეს აღნიშვნა არ უნდა შემოიფარგლოს მარტოოდენ დამოწმებით («ესა და ეს საკითხი»), იგი უნდა გადმოსცემდეს საკითხის **შინაარსს**].

ბ) სახელდობრ რა წინადადებას აძლევს სახალხო კომისართა საბჭოს? (გაიღოს ფული; მიიღოს **ასეთი და ასეთი** რეზოლუცია და სხვა ზუსტი აღნიშვნა, თუ რა სურს საკითხის შემტანს)

გ) ეხება თუ არა ეს საკითხი სხვა კომისრის უწყებას? სახელდობრ რომელს? აქვს თუ არა მათგან წერილობითი დასკვნები? [18]

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წლის 16
(29) დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახალხოსაბჭოს დადგენილებისა იუსტიციის სახალხო კომისრის ი. ზ. შტეინბერგის და იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ვ. ა. კარელინის არასწორი მოქმედების შესახებ [19]

სახალხო კომისართა საბჭოს მიაჩნია, რომ ძერჟინსკის კომისიის, ისევე როგორც საბჭოების დანიშნული სხვა კომისიების [20] დადგენილებათა რაიმე შეცვლა დასაშვებია ამ დადგენილებების მარტოოდენ სახალხო კომისართა საბჭოში გასაჩივრების გზით და არავითარ შემთხვევაში არ არის დასაშვები იუსტიციის კომისრის ერთპიროვნული განკარგულებით.

შემდეგ. სახალხო კომისართა საბჭოს მიაჩნია, რომ ამხანაგ შტეინბერგის და ამხანაგ კარელინის მიერ 18—19. XII ღამით დაპატიმრებულთა გათავისუფლება ფორმალურადაც და არსებითადაც არამართლზომიერი იყო, რადგან ეწინააღმდეგებოდა არა მარტო ძერჟინსკის კომისიის უფლებებს, არამედ კიბაიბის გამოსარკვევად დაპატიმრებულთა დაკავების შესახებ სახალხო კომისართა საბჭოს პირდაპირ გადაწყვეტილებასაც. მიღებულს 18. XII საღამოს.

ლ ე ნ ი ნ ი *

დაწერილია 1917 წლის 19 დეკემბერს
(1918 წლის 1 იანვარს)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პლეხანოვი ტროცკის შესახებ

იყო დრო, როცა პლეხანოვი სოციალისტი იყო — ერთ-ერთი უაღრესად გამოჩენილი წარმომადგენელი რევოლუციური სოციალიზმისა.

---

* დოკუმენტს ხელს აწერს აგრეთვე ი. ბ. სტალინი. რ ე დ.

იმ დროს — ვაი, რომ ის დრო სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა — პლეხანოვმა თავისი აზრი გამოთქვა ერთ საკითხზე, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ახლანდელ ჩვენს ეპოქაში.

ეს მოხდა 1903 წელს, როცა რუსეთის სოციალ-დემოკრატია მეორე პარტიულ ყრილობაზე თავის პროგრამას იმუშავებდა.

ამ ყრილობის ოქმებში შემორჩენილია ასეთი, თითქოსდა საგანგებოდ დღეისათვის დაწერილი, მეტად ყურადსაღები გვერდი:

«პ ო ს ა დ ო ვ ს კ ი. შესწორებათა სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ აქ გაკეთებული განცხადებანი მე მიმაჩნია არა წვრილმანების გამო დავად, არამედ სერიოზულ უთანხმოებად; უეჭველია, ჩვენ ვერ შევთანხმებულვართ შემდეგი ძირითადი საკითხის გამო: უ ნ დ ა დ ა ვ უ ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ო თ კ ი ჩ ვ ე ნ ი მ ო მ ა ვ ა ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ ა ა მ ა თ უ ი მ ძ ი რ ი თ ა დ დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ პ რ ი ნ ც ი პ ს, რ ა კ ი მ ი გ ი ჩ ნ ე ვ თ, რ ო მ ი ს ი ნ ი ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ე ნ, თ უ ყ ვ ე ლ ა დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პ რ ი ნ ც ი პ ი უ ნ დ ა დ ა ვ უ ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ო თ მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ ჩ ვ ე ნ ი პ ა რ ტ ი ი ს ს ა რ გ ებ ლ ი ა ნ ო ბ ა ს? მე გადაჭრით მხარს ვუჭერ ამ უკანასკნელს. დემოკრატიულ პრინციპებში ისეთს ვერაფერს ნახავთ, რაც ჩვენ არ უნდა დავუქვემდებაროთ ჩ ვ ე ნ ი პ ა რ ტ ი ი ს ს ა რ გ ებ ლ ი ა ნ ო ბ ა ს. (შ ე ძ ა ხ ი ლ ი: «პიროვნების ხელშეუხებლობაც?») დიახ! პიროვნების ხელშეუხებლობაც! როგორც რევოლუციური პარტია, რომელიც თავის საბოლოო მიზანს — სოციალურ რევოლუციას — ესწრაფვის, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ იმ თვალსაზრისით უნდა მოვეპყრათ დემოკრატიულ პრინციპებს, რომ რაც შეიძლება მალე განვახორციელოთ ეს მიზანი, რომ ისინი ხელსაყრელი იყოს ჩვენი პარტიისათვის. ესა თუ ის მოთხოვნა ჩვენთვის თუ ხელსაყრელი არ იქნა, მას არ მივიღებთ.

ამიტომ მე წინააღმდეგი ვარ შემოტანილი შესწორებებისა, როგორც ისეთი შესწორებებისა, რომლებსაც მომავალში შეუძლიათ შეზღუდონ ჩვენი მოქმედების თავისუფლება.

პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი. ს ა ვ ს ებ ი თ ვ უ ე რ თ დ ე ბ ი ა მ ხ. პ ო ს ა დ ო ვ ს კ ი ს ს ი ტ ყ ვ ებ ს. ყ ო ვ ე ლ ი ე ს ა თ უ ი ს დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პ რ ი ნ ც ი პ ი უ ნ დ ა გ ა ნ ვ ი ხ ი ლ ო თ ა რ ა თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ, გ ა ნ ყ ო ნ ებ უ ლ ი ც ა დ, ა რ ა მ ე დ ი ს ე, თ უ რ ა დ ა მ ო კ ი დ ებ უ ლ ებ ა ა ქ ვ ს მ ა ს ი მ პ რ ი ნ ც ი პ თ ა ნ, რ ო მ ე ლ ს ა ც შ ე ი ძ ლ ებ ა ვ უ წ ო დ ო თ დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ძ ი რ ი თ ა დ ი

პრინციპი, სახელდობრ, იმ პრინციპთან, რომელიც ამბობს, რომ salus populi suprema lex*. რევოლუციონერის ენაზე გადმოტანილი, ეს ნიშნავს, რომ რევოლუციის წარმატება უმაღლეს კანონია, და თუ რევოლუციის წარმატების გულისთვის საჭირო იქნება დროებით შევზღუდოთ ამა თუ იმ დემოკრატიული პრინციპის მოქმედება, ასეთი შეზღუდვისაკენ თავის შეკავება დახაშაული იქნება. როგორც ჩემს პირად აზრს, გეტყვით, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპსაც კი ჩემ მიერ აღნიშნული დემოკრატიის ძირითადი პრინციპის თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ. ჰიპოთეზურად წარმოსადგენია შემთხვევა, როცა ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, საყოველთაო საარჩევნო უფლების წინააღმდეგ გამოვიდოდით. იტალიის რესპუბლიკების ბურჟუაზიამ ოდესღაც პოლიტიკური უფლებები ჩამოართვა იმ პირთ, რომლებიც თავადაზნაურობას ეკუთვნოდნენ. შესაძლოა, რევოლუციურმა პროლეტარიატმა შეზღუდოს უმაღლეს კლასთა პოლიტიკური უფლებები, სწორედ ისევე, როგორც უმაღლესმა კლასებმა შეზღუდეს ოდესღაც მისი პოლიტიკური უფლებები. ასეთი დონისძიების ვარგისობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ იმ წესის თვალსაზრისით, რომ salus revolutionîs suprema lex**. ამავე თვალსაზრისზე უნდა დავდგეთ პარლამენტთა ხანგრძლივობის საკითხშიც. თუ რევოლუციური ენთუზიაზმით გატაცებული ხალხი ძალიან კარგ პარლამენტს — ერთგვარ chambre introuvable-ს (უბადლო პალატას) აირჩევს, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ იგი ხანგრძლივი პარლამენტი იყოს; მაგრამ თუ არჩევნები ხელს არ მოგვცემს, **უნდა ვეცადოთ ეს პარლამენტი ორი წლის შემდეგ კი არა, თუ შესაძლებელ იქნა, ორი კვირის შემდეგ გავრეკოთ»** (პარტიის მეორე ყრილობის ოქმები, გვ. 168 — 169).

---

* — ხალხის სიკეთე უმაღლესი კანონია. რედ.

** — რევოლუციის სიკეთე უმაღლესი კანონია. რედ.

სოციალიზმის მტრებს დროებით შეიძლება ჩამოვართვათ არა მარტო პიროვნების ხელშეუხებლობა, არა მარტო პრესის თავისუფლება, არამედ საყოველთაო საარჩევნო უფლებაც. უნდა ვეცადოთ ცუდი პარლამენტი ორ კვირაში «გავრეკოთ». რევოლუციის სარგებლიანობა, მუშათა კლასის სარგებლიანობა — აი უმაღლესი კანონი. ასე მსჯელობდა პლეხანოვი, როცა სოციალისტი იყო. მაშინ პლეხანოვთან ერთად ასე მსჯელობდა ახლანდელ მენშევიკთა დიდი უმრავლესობა, რომელიც ახლა «ბოლშევიკურ ტერორზე» გაჰყვირის.

«რევოლუციის სარგებლიანობისათვის» ახლა საჭიროა მკაცრი ბრძოლა მესაბოტაჟეთა წინააღმდეგ, იუნკერთა აჯანყებების ორგანიზატორების, ბანკირთა ხარჯზე მყოფი გაზეთების წინააღმდეგ. როცა საბჭოთა ხელისუფლება ამ ბრძოლის გზას ადგება, მენშევიკთა და ესერთა ბანაკიდან გამოსული ბატონი «სოციალისტები» ყველა სახურავიდან გაჰყვირიან, სამოქალაქო ომი და ტერორი დაუშვებელიაო.

როცა თქვენმა კერენსკიმ ფრონტზე სიკვდილით დასჯა აღადგინა, ეს რა იყო, ბატონებო, ტერორი არ იყო?

როცა თქვენი კოალიციური სამინისტრო კორნილოვების ხელით მთელ პოლკებს ხვრეტდა იმის გამო, რომ აღფრთოვანება აკლდათ ომში, ეს რა იყო, ბატონებო, სამოქალაქო ომი არ იყო?

როცა თქვენმა კერენსკებმა და ავქსენტიევებმა მარტოოდენ მინსკის ციხეში 3000 ჯარისკაცს ამოაყოფინეს თავი «მავნე აგიტაციისათვის», ეს რა იყო, ბატონებო, ტერორი არ იყო?

როცა თქვენ მ უ შ ა თ ა გაზეთებს ახშობდით, ეს ტერორი არ იყო, ბატონებო?

განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ კერენსკები, ავქსენტიევები და ლიბერდანები კორნილოვებსა და სავინკოვებთან ერთად იყენებდნენ ტერორს მ უ შ ა თ ა, ჯ ა რ ი ს კ ა ც თ ა და გ ლ ე ხ თ ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ერთ მუჭა მემამულეთა და ბანკირთა ინტერესებისათვის, საბჭოთა ხელისუფლება კი გადამჭრელ ზომებს იღებს მემამულეთა, მაროდიორთა და მათ

ლაქიათა წინააღმდეგ — მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ინტერესებისათვის.

«პრავდა» № 221, 1918 წლის 4 იანვარი (1917 წლის 22 დეკემბერი) და «იზვესტია ციკ» № 259, 1917 წლის 23 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შეჯერებულია გაზეთ «იზვესტია ციკის» ტექსტთან

პროექტი რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციისა პარტიიდან ს. ა. ლოზოვსკის გარიცხვის შესახებ

რსდმპ (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია

რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა, რომ:

1) ამხ. ლოზოვსკი ოქტომბრის რევოლუციის დასაწყისიდანვე გამოთქვამს შეხედულებებს, რომლებიც ძირფესვიანად ეწინააღმდეგება პარტიულ შეხედულებებს და საერთოდ რევოლუციური პროლეტარიატის თვალსაზრისს, სამაგიეროდ კი ყოველივე ძირითადში ემთხვევა პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც სოციალიზმზე გადასვლისათვის საჭირო ხანის, წვრილბურჟუაზიულ უარყოფას;

2) ბურჟუაზიის მხარეზე გადასულ გაზეთ «ნოვაია ჟიზნ-ში»[21] თავისი. . . * ნოემბრის გამოსვლით ამხ. ლოზოვსკიმ არა მარტო ყველა პარტიული ადამიანის, არამედ საერთოდ შეგნებული მუშების[22] საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, ამასთან პარტიიდან ამხ. ლოზოვსკის გარიცხვის შესახებ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, ამ გამოსვლის შემდეგ დაუყოვნებლივ მიღებული, არ გამოქვეყნებულა და არ აღსრულებულა მხოლოდ იმის გამო, რომ ზოგიერთმა ამხანაგმა იმედი გამოთქვა, ამხანაგ ლოზოვსკის მერყეობა

* ხელნაწერში ვ. ი. ლენინმა ადგილი დატოვა თარიღისათვის. რ ე დ.

დროებითი მოვლენაა, გამოწვეული მარტოოდენ მისი უუნარობით ერთბაშად გაიგოს უჩვეულო სისწრაფით მომხდარი ისტორიული გადატრიალების მნიშვნელობაო;

3) იმედი გაუმტყუნდათ ამხანაგებს, რომლებსაც სურდათ ამხ. ლოზოვსკისათვის დრო მიეცათ სავსებით შეეგნო მომხდარი რევოლუციის მნიშვნელობა, და საერთოდ ამხანაგ ლოზოვსკის მთელი პოლიტიკური საქციელი, მეტადრე კი «პროფესიონალნი ვესტნიკის»[23] მე-7 და მე-8 ნომრებში გამოქვეყნებული მისი სტატიები მოწმობენ, რომ ეს ამხანაგი სავსებით ეწინააღმდეგება სოციალიზმის ძირეულ პრინციპებს სოციალისტურ რევოლუციაში პროლეტარიატის როლის შესახებ;

4) პარტიაში იმ კაცის ყოფნა, რომელსაც პროფესიულ მოძრაობაში თვალსაჩინო პოსტი უკავია და გაუგონარი ბურჟუაზიული გარყვნა შეაქვს ამ მოძრაობაში, არა მარტო სახელს უტეხს პარტიას და ყოველგვარი ორგანიზაციული მუშაობის დემორალიზაციას ახდენს პროლეტარულ წრეში, არამედ უზარმაზარ პრაქტიკულ ზიანსაც აყენებს სოციალისტური წარმოების ორგანიზაციის გადაუდებელ ამოცანას, რაც პროფესიულმა კავშირებმა უნდა მოახდინონ;

5) შეუძლებელია ერთი პარტიის რიგებში იმ კაცთან ერთად მუშაობა, რომელსაც ვერ შეუგნია, რომ პროლეტარიატის დიქტატურა საჭიროა, რასაც აღიარებს ჩვენი პარტიული პროგრამა, ვერ შეუგნია, რომ თუ არა ასეთი დიქტატურა, ე. ი. თუ არა სისტემატური, ულმობელი დათრგუნვა ექსპლოატატორთა წინააღმდეგობისა, რასაც ვერ შეაჩერებს ვერავითარი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფორმულა, წარმოუდგენელია არა მარტო სოციალისტური, არამედ თანამიმდევრულად დემოკრატიული გადატრიალებაც, წარმოუდგენელია რაიმე სერიოზული ზომები ომით წარმოშობილი კრიზისისა და ნგრევის წინააღმდეგ საბრძოლველად;

6) შეუძლებელია ერთი პარტიის რიგებში იმ კაცთან ერთად მუშაობა, რომელიც უარყოფს პოლიტიკურ ძალაუფლებას დაუფლებული პროლეტარიატის სოციალისტურ ამოცანებს, იმ კაცთან ერთად მუშაობა, რომელიც უარყოფს პრო-

ფესიული კავშირების მოვალეობას იკისროს სახელმწიფო ფუნქციები და უდიდესი ენერგიით, თავდადებული გაბედულებით განახორციელოს წარმოების ხელახალი სოციალისტური ორგანიზაცია და პროდუქტების განაწილება საერთოსახელმწიფოებრივი მასშტაბით; —

— რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა ეს და დაადგინა: გაირიცხოს ამხანაგი ლოზოვსკი რსდმ პარტიის (ბოლშევიკების) რიგებიდან და დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს ეს დადგენილება.

დაწერილია 1917 წლის 30 დეკემბერს
(1918 წ. 12 იანვარს)

დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სახკომსაბჭოს დადგენილება კალედინის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

1

სახკომსაბჭოს დადგენილება

სახალხო კომისართა საბჭო მიესალმება ამხ. ანტონოვის გაბედულ ღონისძიებებს კალედინელთა და მათ ხელშემწყობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ამასთანავე ადგენს, რომ ჯარების სარდალს უფლება ენიჭება გამოიყენოს იმ მესაბოტაჟე კაპიტალისტთა მიმართ, რომლებიც უმუშევრობის და შიმშილობის გამოწვევას გვიქადიან, რეპრესიები, მაღაროებში დამნაშავეთა იძულებით სამუშაოზე გაგზავნაც კი.

2

დამატება სახკომსაბჭოს დადგენილებისა

როგორც კი შესაძლებელი იქნება რევოლუციური ტრიბუნალების შექმნა, ისინი დაუყოვნებლივ განიხილავენ იძულებითს სამუშაოზე გამწესების თითოეულ შემთხვევას და ან გან-

საზღვრავენ დაპატიმრებულთა სამუშაოზე ყოფნის ვადას, ანდა გაათავისუფლებენ მათ.

დაწერილია: დადგენილება — 1917 წლის 30 დეკემბერს (1918 წლის 12 იანვარს); დამატება დადგენილებისა — 1918 წლის 1 (14) იანვარს

პირველად დაიბეჭდა:
დადგენილება — 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში;
დამატება დადგენილებისა — 1959 წელს ლენინის XXXVI **კრებულში**

იბეჭდება
ხელნაწერთა მიხედვით

უმაღლესი თანამდებობის პირთა საზღაურის ნორმის შესახებ

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა [24]

უმაღლესი თანამდებობების პირთა საზღაურის ნორმის შესახებ ამხ. შლიაპნიკოვის შეკითხვის გამო სახკომსაბჭო ადგენს:

1) ვადასტურებთ, რომ დეკრეტი სახალხო კომისართა საბჭოს წევრების თვიურ ჯამაგირად 500 მანეთის დაწესების შესახებ ნიშნავს უმაღლესი ჯამაგირის დაახლოებითს ნორმას, ხოლო სპეციალისტებისათვის მეტის გადახდის აკრძალვას არ შეიცავს;

2) მოგაგონებთ, რომ სახკომსაბჭოს დეკრეტი შეიცავს მოთხოვნას მიიღოთ რევოლუციური ზომები უაღრესად მაღალი ჯამაგირების შესამცირებლად [25];

3) წინადადებას ვაძლევთ ყველა სახალხო კომისარს დაუყოვნებლივ წარმოადგინონ მოხსენებანი იმაზე, თუ სახელდობრ რა არის გაკეთებული ამ დეკრეტის შესასრულებლად;

4) წინადადებას ვაძლევთ ფინანსთა კომისარს წარმოადგინოს მოხსენება იმაზე, თუ რა გადამჭრელი ზომებია მიღებული საშემოსავლო გადასახადის გადასახდევინებლად **და ამ გადასახადის** გადახდისათვის თავის **არიდების** აღმოსაფხვრელად;

5) წინადადებას ვაძლევთ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს უფრო ენერგიული ზომები მიიღონ უაღრესად მაღალი შემოსავლებიდან სასწრაფო გადასახადების გადასახდევინებლად.

დაწერილია 1918 წლის 2
(15) იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

სასურსათო მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა [26]

სახალხო კომისართა საბჭო, რომელმაც გადადო სასურსათო საბჭოს შესახებ დეკრეტების ბეჭდვა სასურსათო ყრილობის თათბირებამდე და რომელმაც სასურსათო საქმის ყველა მუშაკს დაბეჯითებით მისცა წინადადება არ დატოვოს თავისი თანამდებობა და თავი აარიდოს ნაწილობრივ კონფლიქტებს,

წინადადებას აძლევს სრულიად რუსეთის სასურსათო საბჭოს და სურსათის კომისარიატს ეაძლიერონ არა მარტო კომისრების, არამედ მრავალრიცხოვანი შეიარაღებული რაზმების გაგზავნა იმისათვის, რომ მიიღონ ყველაზე რევოლუციური ზომები ტვირთის ადგილიდან დასაძრავად, პურის ასაღებად და პუნქტებში ჩასაბარებლად და ა. შ., აგრეთვე იმისათვის, რომ ულმობლად ებრძოლონ სპეკულანტებს და წინადადებაც კი მისცენ ადგილობრივ საბჭოებს ადგილზევე დახვრიტონ სპეკულანტობასა და მესაბოტაჟეობაში მხილებულნი.

სახალხო კომისართა საბჭო წინადადებას აყენებს ულუფა არ გაადიდონ, სამარაზრუტო მატარებლები კი მალიმალ გაგზავნონ, ამასთან გულმოდგინედ ადევნონ თვალი მათ მოძრაობას.

პეტერბურგის კვანძის გასაწმენდად სასწრაფო ზომები მიიღონ, ამ სამუშაოს გამო პასუხისმგებლობა დაეკისროს სრულიად რუსეთის სასურსათო საბჭოს.

დაევალოს სრულიად რუსეთის სასურსათო საბჭოს ყოველდღიურად აცნობოს სახკომსაბჭოს სურსათის საქმის მიმდინარეობა და წარუდგინოს სასურსათო ოპერაციების გეგმა.

დაწერილია 1918 წლის 14
(27) იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

სახკომსაბჭოს შეკითხვა
მემარცხენე ესერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს [27]

სახალხო კომისართა საბჭოს 14. I ღამის დადგენილების საფუძველზე — ჟურნალის ამონაწერს თან ვურთავთ — ვთხოვთ მემარცხენე ესერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გვაცნობოს:

1) როდის მიიღო მემარცხენე ესერთა პეტროგრადის კომიტეტმა დადგენილება, რომ არ სურს მისცეს მუშაკები საგამომძიებლო კომისიას, ვიდრე კოზლოვსკია იქ?

2) როგორია ამ დადგენილების ტექსტი?

3) იცოდა თუ არა მემარცხენე ესერთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ რეზოლუციის არსებობა და იმსჯელეს თუ არა მასზე მემარცხენე ესერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში?

4) როდის და ვინ (მემარცხენე ესერთაგან) აცნობა პეტროგრადის საბჭოს ან მის აღმასრულებელ კომიტეტს, ვიდრე კოზლოვსკი საგამომძიებლო კომისიაშია, მემარცხენე ესერები ამ კომისიაში არ შეევლენო?

5) შეასრულეს თუ არა მემარცხენე ესერებმა პეტროგრადის საბჭოს გადაწყვეტილება, საბჭოსი, რომელმაც მემარცხე-

ნე ესერებს წინადადება მისცა გარკვეულ ვადაში წარმოედგინათ კოზლოვსკის საწინააღმდეგო მონაცემები?

დაწერილია 1918 წლის 15
(28) იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა ბალტიისა და შავი ზღვის ფლოტების დაქვემდებარების წესის საკითხის გამო [28]

სახკომსაბჭოს არაზუსტად ან გაუგებრობის შედეგად მიაჩნია § 51-ის შენიშვნის ფორმულირება, რადგან ტექსტის პირდაპირი აზრით გამოდის საერთო სახელმწიფოებრივი საბჭოთა ხელისუფლების უზენაესობის უარყოფა [29], და სთხოვს ფლოტის საკანონმდებლო ორგანოს გადასინჯოს ამ შენიშვნის რედაქცია.

სახკომსაბჭო ცნობად იღებს ფლოტის წარმომადგენლების განცხადებას, რომ ეს შენიშვნა არავითარ შემთხვევაში არ შეიცავს საბჭოთა მთავრობის ცენტრალური ხელისუფლების უარყოფას, და ავალებს ამხ. პროშიანს და ამხ. ლუნაჩარსკის შეადგინონ სახალხო კომისართა საბჭოს დასაბუთებული მიმართვა ფლოტის საკანონმდებლო ორგანოსადმი, ამასთან განმარტონ სახალხო კომისართა საბჭოს თვალსაზრისი.

დაწერილია 1918 წლის 15
(28) იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ხელფასის შესახებ

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა [30]

სახალხო კომისართა საბჭო ამტკიცებს ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის ხარჯთაღრიცხვას დროებით, ორი თვით,

იმ ვარაუდით, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს ჯამაგირისა და ხელფასის ოდენობის საერთო გადასინჯვა და გათანაბრება ყველა პროფესიისთვის ყველგან ჩვენს ქვეყანაში.

ეს გადასინჯვა ეკისრება შრომის კომისარიატს, რომელმაც იგი უნდა შეუთანხმოს ყველა დანარჩენ კომისარიატს და მუშათა ორგანიზაციებს.

დაწერილია 1918 წლის 16
(29) იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტები სახკომსაბჭოს დადგენილებებისა სურსათის საქმის ორგანიზაციის საკითხის გამო [31]

სახალხო კომისართა საბჭო სთხოვს სასურსათო ყრილობას დაუყოვნებლივ, ხვალ დილითვე, გამოყოს რამდენიმე, თუნდაც სამი, ყველაზე გამოცდილი სასურსათო მუშაკი, რათა მათ შეეძლოთ ახლავე მიიღონ მონაწილეობა არსებული უმაღლესი სასურსათო დაწესებულებების მუშაობასა და შიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლის უაღრესად გაბედული და რევოლუციური ზომების განხილვაში.

სახალხო კომისართა საბჭო სთხოვს სასურსათო ყრილობას აირჩიოს კომისია, რათა მოისმინოს ყველა იმ ჯგუფის, დაწესებულებისა და სასურსათო საქმის მუშაკის მოხსენებები, რომლებსაც დღეს კონფლიქტი აქვთ ერთმანეთთან, და ამ კომისიის დასკვნა გადასცეს სახკომსაბჭოს.

დაწერილია 1918 წლის 16
(29) იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა პეტროგრადის საბჭოსთან არსებული საგამომძიებლო კომისიის საქმიანობის საკითხის გამო

21. I. 1918 სხდომაზე

სახკომსაბჭომ მოისმინა საგამომძიებლო კომისიისათვის დანიშნული საგამომძიებლო კომისიის მოხსენება და დაადგინა:

შეიკვროს კომისია ორი წევრით, სახელდობრ ამხ. ალგასოვით და ერთი ბოლშევიკით, რომელსაც სვერდლოვი წამოაყენებს.

მიენიჭოს კომისიას გაჩხრეკის, ჩამორთმევისა და დაპატიმრების უფლება ისე, რომ ამის გამო წინასწარ რაიმე ურთიერთობა არ იქონიოს რომელიმე დაწესებულებასთან.

მიეცეს კომისიას ტექნიკური საშუალებანი და გაეხსნას კრედიტი იუსტიციის კომისარიატის სახსრებიდან.

ეთხოვოს კომისიას იმუშაოს უფრო სწრაფად და უფრო ენერგიულად, რათა საშუალება გვქონდეს უფრო მალე გამოვყოთ ისინი, ვისი უდანაშაულობაც, აშკარად არაკეთილსინდისიერ დამსმენთა გამო, უკვე ცხადია [32].

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მეურნეობრივად სასარგებლო სამუშაოებზე სამხედრო ქარხნების გადაყვანის შესახებ

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა

სახკომსაბჭო უაღრესად დიდ სინანულს გამოთქვამს, რომ სათანადო კომისარიატებმა მეტისმეტად შეანელეს ლითონების ქარხნების სასარგებლო სამუშაოებზე გადაყვანის პრაქტიკულად დაწყება და სთხოვს პეტროგრადის მელითონეთა კავშირს შრომის კომისარიატის, პეტროგრადის საბჭოს და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დახმარებით დაუყოვნებლივ დაიწყოს ლითონების ქარხნების გადაყვანა რკინიგზის

მასალათა რემონტის და გაძლიერების სამუშაოებზე, აგრეთვე ისეთი პროდუქტების წარმოებაზე, რომლებიც პურზე და სხვ. გასაცვლელად გამოდგება.

ყველა სამხედრო შეკვეთა შეწყვიტონ.

დაწერილია 1918 წლის 23 იანვარს
(5 თებერვალს)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

დამატება «მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონის» პროექტისა [33]

როცა მიწა განკუთვნილია არა მიწათმოქმედებისათვის (მშენებლობა, კულტურულ-საგანმანათლებლო, საგანგებო სარეწები და სხვ.), გამოსაყოფი ნაკვეთის ოდენობას განსაზღვრავს ადგილობრივი საბჭო ნებართვის მთხოვნელი პირის ან დაწესებულების მოთხოვნის შესაბამისად იმ მიზნის საზოგადოებრივი აუცილებლობის კვალობაზე, რომლისთვისაც ითხოვენ მიწას.

დაწერილია 1918 წლის იანვარში,
27 რიცხვამდე (9 თებერვლამდე)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

სრულიად რუსეთის გზათა დაცვის საუწყებათაშორისო საგანგებო კომისიის შექმნის დეკრეტის პროექტის დამატება [34]

დაცვას მოვალეობად ეკისრება განსაკუთრებით ულმობელი ბრძოლა სპეკულაციისა და სასურსათო ტვირთის ნებადაურთველი გადაზიდვის წინააღმდეგ.

დაწერილია 1918 წლის 30 იანვარს
(12 თებერვალს)

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

წინადადებანი
პეტროგრადის სასურსათო მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სახალხო კომისართა საბჭო ავალებს გზათა კომისარიატს დაუყოვნებლივ შეიმუშაოს და სახკომსაბჭოს წარუდგინოს პროექტი დეკრეტისა, რომელიც აკრძალავს რკინიგზაზე ყოველგვარ უფასო მგზავრობას გარდა ერთისა: სამშობლოში თითოეული იმ ჯარისკაცის გამგზავრებას, რომელიც დემობილიზაციის შემდეგ ბრუნდება სამსახურის ადგილიდან.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

სახკომსაბჭო ავალებს სახელმწიფო ბანკის მმართველს პირველ რიგში და რადაც უნდა დაჯდეს გაუგზავნოს 200 მილიონი მანეთი სამხრეთში იაკუბოვის ექსპედიციას, რათა სურსათის კომისარიატის მითითებით მიაწოდოს პური გაჭირვებულ ადგილებს.

სურსათის კომისარიატი სასწრაფოდ შეუთანხმდეს სამხედრო კომისარიატს იმის თაობაზე, რომ დაუყოვნებლივ ჩაბან ფრონტზე არსებული საგზაო სამუშაოთა რაზმები სასურსათო მუშაობაში. ეს რაზმები რაც შეიძლება მეტი რაოდენობით უნდა გაიგზავნონ პურით მდიდარ ადგილებში, რათა სასწრაფო ზომები მიიღონ რკინიგზების გასაყვანად და პურის მიტანის, მიზიდვის და პუნქტებისათვის ჩაბარების სხვა საშუალებათა გასაუმჯობესებლად და დასაჩქარებლად.

დაწერილია 1918 წლის 30 იანვარს
(12 თებერვალს)

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

სახკომსაბჭოს დადგენილება სამსახურში მესაბოტაჟეთა მიღების წესის შესახებ [35]

სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: მესაბოტაჟეებთან არავითარი მოლაპარაკება არ იყოს.

ცალკეულ სახალხო კომისრებს შეუძლიათ მიიღონ სამუშაოდ, როგორც ცალკეული პირები, ის მესაბოტაჟენი, რომლებიც სავსებით დაეძორჩილნენ საბჭოთა ხელისუფლებას და ძხარს უჭერენ მას და რომლებიც საჭირონი არიან შესაბამის უწყებებში მუშაობისთვის.

დაწერილია 1918 წლის 31 იანვარს
(13 თებერვალს)

დაიბეჭდა 1918 წლის 14 (1) თებერვალს გაზეთ «პრავდაში» № 25

იბეჭდება ხელნაწერის ძიხედვით

სიტყვა, წარმოთქმული სრულიად რუსეთის ცაკ-ის გიულშევიკთა და მემარცხენე ესერთა ფრაქციების გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წლის 19 თებერვალს

მოკლე საგაზეთო ანგარიში

ვრცელი სიტყვით გამოვიდა ლენინი. მან ორი საათი ილაპარაკა. სიტყვაში ლენინმა განავითარა ის დებულებანი, რომ რუსეთს გაძოსავალი არა აქვს, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ დავდოთ სეპარატული ზავი, რადგან გერმანელები მთელი ფრონტით ერთ მასად მოიწევენ და მილიონიანი მოწოლისათვის წინააღმდეგობის გაწევა არ ძალგვიძს. ზავს რომ დავდებთ, ჩვენ ხელს მოვკიდებთ ძინამოწყობას და სოციალისტური რევოლუციის გაღრმავებას და შევძლებთ კეთილსასურველად დავაგვირგვინოთ ის ძირეული რეფორმები, რომლებმაც უნდა მოგვიახლოონ რუსეთში სოციალისტური წყობილების შემოღება.

«სოციალ-დემოკრატი» № 28,
1918 წლის 20 (7) თებერვალი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

სიტყვა, წარმოთქმული ლატვიელ მსროლელთა წინაშე 1918 წლის 20 თებერვალს

მოკლე საგაზეთო ანგარიში

ლენინმა წარმოთქვა ვრცელი სიტყვა, რომლითაც ლატვიელებს მოუწოდებდა მხარი დაეჭირათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ზავის საკითხში. რადაც უნდა დაგვიჯდეს, ზავი უნდა მივცეთ გატანჯულ რუს ხალხს. ამით ჩვენ განვამტკიცებთ რევოლუციას და დავიწყებთ ახალი ახალგაზრდა რუსეთის მშენებლობას. სულ ერთია, დათმობილ ოლქებს ვერ დაეპატრონებიან, რადგან რუსეთის რევოლუცია უახლოეს ხანში გადაედება არა მარტო გერმანიას, არამედ ყველა სხვა მეომარ სახელმწიფოს. მსოფლიო სოციალური რევოლუციის გავლენით გერმანიის იმპერიალიზმი იძულებული გახდება ხელი აიღოს ყველა დაპყრობილ ადგილზე.

«ნოვაია ჟიზნ» № 30,
1918 წლის 21 (8) თებერვალი

იბეჭდება
გაზეთ «ნოვაია ჟიზნის»
ტექსტის მიხედვით

ტელეფონოგრამა ბოლშევიკთა პარტიის პეტროგრადის კომიტეტის აღმასრულებელ კომისიას და ყველა რაიონულ კომიტეტს [36]

21 (8). II. 1918. დღის 12 საათ. 20 წუთი.

გირჩევთ არ დაკარგოთ არც ერთი საათი და ფეხზე დააყენოთ ყველა მუშა, რათა თანახმად პეტროგრადის საბჭოს გადაწყვეტილებებისა, რომლებიც მან დღეს საღამოს უნდა მიიღოს, დარაზმოთ ათიათასობით მუშა და ამ მუშების კონტროლით გამოიყვანოთ უკლებლივ მთელი ბურჟუაზია პიტერთან სანგრების სათხრელად. მხოლოდ ამაშია რევოლუციის ხსნა რევოლუცია საფრთხეშია. სანგრების ხაზს სამხედროები მოგ-

ცემენ. მოამზადეთ ზარბაზნები და, რაც მთავარია, დაირაზმენით ყველანი.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1962 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 35

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

დადგენილება სახალხო კომისართა საბჭოსი გერმანელთა ზავის პირობების მიღების შესახებ [37]

თანახმად გადაწყვეტილებისა, რომელიც მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო 24 თებერვალს ღამის $4^1/_2$ საათზე, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მიიღოს გერმანიის მთავრობის მიერ წამოყენებული ზავის პირობები და გაგზავნოს დელეგაცია ბრესტ-ლიტოვსკში.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1918 წლის 24 თებერვალს

დაიბეჭდა 1918 წლის 25 (12) თებერვალს
№ 35 გაზეთ «პრავდის» საღამოს
გამოშვებაში და № 33 გაზეთ «იზვესტია
ვციკ»-ის საგანგებო საღამოს
გამოშვებაში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ფინეთის სოციალისტურ მუშათა რესპუბლიკასთან დასადები ხელშეკრულების შესახებ [38]

1

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა

სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ცნობილ იქნეს პრინციპში ფინელ ამხანაგთა იმ სურვილის საძართლიანობა, რომ ფინეთის სოციალისტურ მუშათა რესპუბლიკას გადაეცეს ტერიტორიის ნაწილი, რომელიც აღნიშნულია ხელშეკრულების პროექტის § 6-ის ფინეთის მხარის დამატებაში.

შემთანხმებელ კომისიას ევალება შეიმუშაოს ამ გადაცემის პრაქტიკულად განხორციელების წესი[39].

დაწერილია 1918 წლის 25 თებერვალს

2

სახკომსაბჭოს დირექტივა რუსეთ-ფინეთის შემთანხმებელ კომისიას

სახალხო კომისართა საბჭო კომისიას შემდეგ დირექტივას აძლევს:

მართებულია და საჭირო მივაღწიოთ იმას, რომ ორივე რესპუბლიკის იმ მოქალაქეთ, რომლებიც მეორე რესპუბლიკაში ცხოვრობენ, სრული პოლიტიკური უფლებები ჰქონდეთ.

დაწერილია 1918 წლის 25 თებერვალს

3

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა

სახკომსაბჭო ითვალისწინებს, ჯერ ერთი, რომ ფინეთის ახლოს მდებარეობს უზარმაზარი ქალაქი ბურჟუაზიული მოსახლეობის უჩვეულოდ დიდი პროცენტით;

მეორე, რომ ფინეთი ჩვეულებრივად პიტერში გზავნის დაახლოებით 30 ათას ფინელ მუშას;

მესამე, რომ პიტერის ბურჟუაზია ჩვეულებრივად ფინეთში გზავნის დაახლოებით 200 ათას ბურჟუას;

მეოთხე, რომ ამიტომ ფინეთის და რუსეთის მოქალაქეთა ფორმალური თანასწორუფლებიანობა (საზღვარგარეთ პოლიტიკური უფლებების გამოყენების საკითხში) სინამდვილეში აშკარა პრივილეგია იქნებოდა რუსეთის ბურჟუაზიისათვის, — და რუსეთ-ფინეთის შემთანხმებელ კომისიას ურჩევს შემდეგნაირად გაასწოროს პროექტის § 13:

ან § 13-ში მოვიხსენიოთ არა მოქალაქენი, არამედ მხოლოდ მუშები და ის გლეხები, რომლებიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან;

ანდა § 13-ის ადრინდელ რედაქციას დავუმატოთ შენიშვნა, რომ ფინეთს ჩასული რუსეთის მოქალაქე, რომელიც ვერ შეძლებს დაამტკიცოს, რომ მშრომელთა ორ ზემოხსენებულ თანრიგს ეკუთვნის, ფინეთში პოლიტიკური უფლებებით არ სარგებლობს [40].

დაწერილია 1918 წლის 27
თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

დამატება სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტისა პეტროგრადის საბჭოსთან არსებული საგამომძიებლო კომისიის საქმიანობის შესახებ

იმის გამო, რომ ამხ. შრაიდერმა განაცხადა, კომისიის აზრის მიუხედავად მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ამხ. მიცგენდლერს ბრალი მიუძღვის მექრთამეობაშიო, სახკომსაბჭოს ამხ. შრაიდერის მოვალეობად მიაჩნია, ჯერ ერთი, წერილობით გაიმეოროს თავისი განცხადება, მეორე, პირადად თავისი სახელით დაუყოვნებლივ წარადგინოს სასამართლოში ბრალდება მიცგენდლერის წინააღმდეგ [41].

დაწერილია 1918 წლის 26 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

გამოსვლები სახკომსაბჭოს სხდომაზე 1918 წლის 4 მარტს [42]

1

მე სავსებით ვეთანხმები ამხანაგ ტროტოცკის, რომ აქ მოსმენილი მისწრაფებანი და ცდები ერთობ შორდებიან მუშათა და გლეხთა მთავრობის ამოცანებს, მათ საერთო არაფერი

აქვთ სოციალიზმთან [43]. სოციალიზმის ამოცანა ის არის, რომ წარმოების ყველა საშუალება საკუთრებად გადასცეს მთელ ხალხს და სრულიადაც არა ის, რომ გემები გადაეცეთ გემის მუშებს, ბანკები ბანკის მოსამსახურეთ. თუ ხალხი ასეთ უბრალო რამეს სერიოზულად იღებს, მაშინ ნაციონალიზაცია უნდა გავაუქმოთ [44], იმიტომ რომ საერთოდ ეს უაზრობაა. ჩვენ სოციალიზმის ამოცანად. მიზნად ის მიგვაჩნია, რომ მიწა, საწარმოები გადააქციოს საბჭოთა რესპუბლიკის საკუთრებად. გლეხი მიწას იმ პირობით იღებს, რომ კარგად დაამუშავებს მას. თუ მემდინარეები მიიღებენ გემებს, მიიღებენ მხოლოდ იმ პირობით, რომ ყაირათიანად მოეპყრობიან მათ: უნდა წარმოადგინონ ხარჯთაღრიცხვა, რათა შემოსავალ-გასავალი მაინც დავამტკიცოთ, კარგად უნდა მოუარონ გემებს. თუ ამას ვერ შეძლებენ, გავირიდებთ. მაგრამ თუ ისინი სამი კვირაა კამათობენ, წინადადებას ვაყენებ მმართველობას ჩამოვაშოროთ ყველა, რადგან ეს სრული უუნარობაა ორგანიზაციისა, სრული გაუგებლობაა საბჭოთა რესპუბლიკის სასიცოცხლო ამოცანებისა. ეს ქაოსია, დეზორგანიზაციაა, უარესიც — ეს თითქმის საბოტაჟია. მოაწყვეს რაღაც ორგანიზებული ლაშქრობა კავშირში და საჩივრებით გამოგვეცხადნენ. ვოლგაზე კი გემები შეუკეთებელი დგანან. რა არის ეს? საგიჟეთია? იმათ შეგნებული აქვთ, მე ეს სავსებით მჯერა, რომ თუ ასეთ ქაოსში ვიქნებით, კიდევ მეტი უბედურება დაგვატყდება. ჩვენი ძირითადი პირობაა დისციპლინა და ის, რომ მთელი საკუთრება ორგანიზებულად გადაეცეს ხალხს, სიმდიდრის ყველა წყარო — საბჭოთა რესპუბლიკას, რათა თავდაჭერილად, დისციპლინიანად მოვიხმაროთ ისინი. ასე რომ თუ გვეუბნებიან, მემდინარეები კერძო მმართველები იქნებიანო, ცხადია, ამას არ დავეთანხმებით. მმართველი საბჭოთა ხელისუფლება უნდა იყოს. თქვენ კი რაღაც კამათს მართავთ ყველა ორგანიზაციის ერთობის გზაზე...* თუ უკმაყოფილონი არიან, შეეძლოთ ეთხოვათ განკარგულების გაუქმება. მაგრამ ისინი

---

* ჩანაწერის ნაწილი სტენოგრამაში გაურკვეველია. რ ე დ.

ყველავ გვთავაზობენ, ჯერ განვიხილოთ ვის ეკუთვნის გემები, რათა გემის მუშებმა მოითხოვონ, 140% მოგვიმატეთო.

2

ბევრ რაიმეს სავსებით ვეთანხმები, მაგრამ კოლეგიის შემადგენლობის შესახებ, მე მგონია, ამხანაგ მემდინარეთა წინადადება სრულიად მიუღებელია. უწინარეს ყოვლისა, ჩვენ ამ საკითხს როდი განვიხილავთ. ძირითადი საკითხია, **რომ** ხალხი ფულს არ იღებს. ეს მართლაც ყოვლად უმსგავსობაა. რისთვის ვიძლევით ფულს? იმისთვის, რომ ეს ქაღალდზე დარჩეს? ათასი საჩივარი მოვისმინეთ, ფული თუ არ გამოგვიგზავნეთ, ჩვენი ტრანსპორტი დაიღუპებაო. თუ ფული 21 თებერვალს გავიღეთ, 22-ს კი არ მიიღეს, 23 თებერვალს უნდა მოსულიყვნენ საჩივრით. ჩვენ ფული არ გვყოფნის, ნიშნები გვაკლია, ექსპედიციას არ ძალუძს ბეჭდოს რამდენიც გვჭირდება. თუ ფული გავიღეთ, თქვენ კი ამას აუქმებთ, სინამდვილეში არაფერი არ იგზავნება. თქვენ აქ 3 მარტს კი არა, 23 თებერვალს უნდა მოსულიყავით. ჩვენ მოვითხოვეთ, მოეცათ თქვენთვის ეს ათობით მილიონი. არ ვიცი, ვის დავდო მეტი ბრალი. ვფიქრობ, სახალხო მეურნეობის საბჭოს წარმომადგენლებს. ყველას ვერ დავაკმაყოფილებთ. ვკვებავთ პეტერბურგს — მოსკოვს არ ყოფნის ფულის ნიშნები...* თუ მარტოოდენ მისწერეს ასიგნების შესახებ და არავითარი ზომა არ მიუღიათ, ისინი უნდა მოსულიყვნენ აქ, გამოვეძახებინეთ ტელეფონით მე ან სხვა ვინმე და განეცხადებინათ ეს. იშვიათია კვირა, რომ მე განცხადება არ მივიღო, ფულს არ გვაძლევენო, თქვენგან კი ერთი განცხადებაც არ მიმიღია. პასუხი უნდა ვაგებინოთ, მითითება მაინც უნდა მივცეთ მათ. 21 თებერვლის დადგენილება მემდინარეთა ყრილობას ავალებს ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენას. რაც შეეხება კოლეგიის შემადგენლობას, მგონია, უნდა შევასწოროთ ჩვენი დეკრეტი

* ჩანაწერის ნაწილი სტენოგრამაში ვაურკვეველია. რ ე დ.

უფრო ისე, როგორც ამხანაგი შლიაპნიკოვი გვთავაზობდა. მე-3 პარაგრაფი კოლეგიას შვიდი კაცისაგან ადგენს. რატომ არ შევიდა ეს — გაუგებარია. აქ შეიძლება შევიყვანოთ პროფესიულ კავშირთა რამდენიმე წარმომადგენელი. წინადადებას ვაყენებ გადამწყვეტი ზომები მივიღოთ სამარშრუტო მატარებლებით ამ ფულის დაუყოვნებლივ გასაგზავნად. შემდეგ საერთო წესით დაუყოვნებლივ გამოვაცხადოთ, რომ ფული უკვე გაგზავნილია. რაც შეეხება მეორე პუნქტს, მგონია, რომ ერთადერთი კოლეგია, რომელიც ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს და რომელიც ყველაზე მეტად მისაღებია ყველასათვის, სახალხო კომისართა საბჭოსათვის, მგონია, რომ ერთადერთი შესაძლებელი კოლეგია სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გუშინ მიღებული კოლეგიაა. მის შესაცვლელად არავითარი საფუძველი არა გვაქვს. მგონია, რომ ჩვენ ეს უნდა გავიყვანოთ. და თუ მართლა ფაქტია, 200 მანეთი ჯამაგირი მოგვეცითო, რაც განსაზღვრულად მიიჩნიეს და აღნიშნული იყო, მხოლოდ ამ პირობით მოხდება ტრანსპორტის ნაციონალიზაციაო, თუ ეს ასეა, თუ სხვა ორგანიზაციებთან გათანაბრების თხოვნები ჩნდება, მაშინ მე პირადად წინადადება შემომაქვს დავაყენოთ საკითხი ნაციონალიზაციის გაუქმების შესახებ. ცოტა ხნის მერე შეიძლება ისე მოხდეს, რომ სულ არ გვექნეს ფული. გვქონდა ერთადერთი გარანტია, რომლის საფუძველზე გვინდოდა ნაციონალიზაციის მოხდენა. ამ გარანტიას გვართმევენ. თუ ეს ასეა, უნდა გავაუქმოთ ეს ღონისძიება. თუ ასე არ მოხდა, წამოვიწყებთ კიდევ ერთ უაღრესად დიდი ზარალის მომტან საქმეს.

3

მე მიმაჩნია, რომ კომისრის დანიშვნა ბევრი მხრივ უხერხულია. უდავო კანდიდატურა ამ თანამდებობისთვის არ გვყავს. ასე რომ ყველა მოთხოვნას ვერ დავაკმაყოფილებთ, რამდენადაც ორივე მხარე უკმაყოფილო დარჩება. კავშირის ჩამოცილება იმ ფორმით, რომ დავნიშნოთ კომისარი, დემოკრატი-

ული ღონისძიება არ არის. ჩვენ მივიღოთ დადგენილება, რომ დილისთვის მოგვცენ წინადადება. თუ კოლეგია ძალიან დიდი იქნა, მას შეუძლია აირჩიოს აღმასრულებელი კომიტეტი. და ჩვენ შეგვიძლია ეს ორგანიზაციულად გავატაროთ ხვალ ან ზეგ, რათა ორგანიზაციულად გატარდეს დაუყოვნებლივ გარკვეულ ვადაში. აღმასრულებელი კომიტეტის დანიშვნის შემთხვევაში, შესაძლოა, ცალკეული პირები დავნიშნოთ მასში. ეს სწორი იქნება, რადგან მემდინარეებს არ გავირიდებთ. პროფესიული კავშირების თანამშრომლობის წინააღმდეგ ისინი არ გამოვლენ. თუ ეს არ გავა, მაშინ კომისრის დანიშვნის საკითხი წამოვაყენოთ. ამხანაგმა სახალხო კომისრებმა იციან, რომ კანდიდატის საკითხი, რა თქმა უნდა, ძნელი საკითხია და ახლა რომ გადავწყვიტოთ კომისრის დანიშვნა — ეს იმას ნიშნავს, რომ არაფერი არ გადავწყვიტოთ, რამდენადაც მთელი კვირა დავკარგეთ ამის გამო. უმჯობესია გამოვიყენოთ ასეთი წესი. რჩება ერთი წინადადება — გავაუქმოთ მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტები. მიღებულია. მე-3 პარაგრაფის მიხედვით კოლეგიის ექვსი წევრი შეიცვალოს პროფესიულ კავშირთა დროებითი წარმომადგენლობით.

პირველად დაიბეჭდა 1962 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 35

იბეჭდება
სტენოგრამის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა წყლის ტრანსპორტის მმართველი კოლეგიის შექმნის შესახებ [45]

დაევალოთ ამხანაგ მილუტინს, ამხანაგ შლიაპნიკოვს და ამხანაგ აპრელევს ხვალვე შექმნან კოლეგია, მე-3 პარაგრაფის [46] საფუძველზე, იმ ვარაუდით, რომ თითოეული ცალკეული ფუნქციისათვის დანიშნული იყოს საგანგებო რწმუნებული, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მთელი კოლეგიის წინაშე და სახკომსაბჭოს წინაშე.

მე-3 პარაგრაფის მიხედვით სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და საოლქო საბჭოების წარმომადგენლების ამრჩევი 6 წევრი დროებით შეცვლილ იქნენ სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა წარმომადგენლებით.

ორი ამხანაგი, ერთი წყლის ტრანსპორტის კავშირიდან, ხოლო მეორე სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსაგან, დაუყოვნებლივ უნდა დაინიშნონ და ხვალვე გამოცხადდნენ სპუნდესთან იმ ვარაუდით, რომ დაუგვიანებლივ გააგზავნინონ ფულის ნიშნები [47].

დაწერილია 1918 წლის 4 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ინტერვიუ გაზეთ «DAILY NEWS»-ის კორესპონდენტს ა. რანსომს [48]

ბალფურის სიტყვაში ერთ-ერთი ყველაზე სუსტი ადგილია ის განცხადება, რომ იაპონელები ეხმარებიან რუსებს [49]. ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ რ ო მ ე ლ რ უ ს ე ბ ს?

დღევანდელ რუსეთში არის ერთი ძალა, რომელიც თავისი ბუნებით განკუთვნილია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის საერთაშორისო იმპერიალიზმის მხრივ თავდასხმათა წინააღმდეგ— ეს გახლავთ საბჭოთა ხელისუფლება. იმ რუსების პირველივე ნაბიჯი, რომელთაც «დახმარებას» ჰპირდებიან იაპონელები, როგორც კი გაჩნდა ხმები ამ უკანასკნელთა მოახლოების შესახებ, ის იყო, რომ მოითხოვეს საბჭოთა ხელისუფლების გაუქმება. იმ შემთხვევაში, თუ იაპონელები წინ წაიწევენ ციმბირის შუაგულისაკენ, იგივე «რუსები», რომელთა «დახმარებასაც» ეპირებიან იაპონელები, მოითხოვენ საბჭოების გაუქმებას მთელ ციმბირში. რით შეიძლება შეიცვალოს საბჭოთა ხელისუფლება?

ერთადერთი, რასაც შეუძლია შეცვალოს იგი, ბურჟუაზიული მთავრობაა. მაგრამ ბურჟუაზიამ რუსეთში უკვე საკმაოდ ნათლად გვიჩვენა, რომ შეუძლია ხელისუფლების სათავეში დარჩეს მხოლოდ გარედან დახმარების წყალობით. თუ ბურჟუაზიული მთავრობა, რომელიც გარედან დახმარებას დაეყრდნობა, დარჩება ხელისუფლების სათავეში ციმბირში და აღმოსავლეთ რუსეთს დაკარგავს საბჭოთა ხელისუფლება, ეს უკანასკნელი დასავლეთ რუსეთშიც იმდენად დასუსტებული იქნება, რომ საეჭვოა დიდხანს დარჩეს, და მისი მემკვიდრე იქნება ბურჟუაზიული მთავრობა, რომელსაც აქაც გარედან დახმარება დასჭირდება. ამ დახმარების აღმომჩენი სახელმწიფო, რა თქმა უნდა, ინგლისი არ იქნება. ადვილი გასაგებია, რა პერსპექტივებს გვიქადის ასეთი შესაძლებლობა.

ვადასტურებ, რომ ეს მე მართლაც ვთქვი რანსომთან საუბარში და ნებას ვრთავ დაბეჭდოს იგი.

მოსკოვი. 23. III. 1918 წ.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს რუსულ (ილუსტრაცია) და ინგლისურ ენებზე წიგნში: R. H. Bruce Lockhart. «Memoirs of a british agent», London

იბეჭდება მანქანაზე დაწერილი ტექსტის მიხედვით, რომელსაც ვ. ი. ლენინის საკუთარი ხელით გაკეთებული აქვს მინაწერი

ᲣᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲓᲐᲖᲚᲕᲔᲕᲐᲖᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ [50]

შეიცვალოს სადაზღვევო საბჭოს შემადგენლობა იმ მიმართულებით, რომ გადიდდეს მასში მშრომელი კლასების წარმომადგენელთა რაოდენობა წევრთა საერთო რაოდენობის დაახლოებით $^2/_3$-მდე.

დაწესდეს დაზღვევის საქმეთა მთავარი კომისარიატის კავშირი სახკომსაბჭოსთან იმგვარად, რომ მთავარი კომისარი სათათბირო ხმით მონაწილეობდეს სახკომსაბჭოში.

დაემატოს *

დაწერილია 1918 წლის 23 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს **ლენინის XXI კრებულში**

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პირვანდელი ვარიანტი სტატიისა «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები»[51]

თავი IV

. . . **

ახლა ეს ამოცანა, — რომელიც, რასაკვირველია, ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის დამთავრებული და არასოდეს არ შეიძლება ბოლომდე იყოს ამოწურული, — უკვე აღარ დგას პირველ ადგილზე საბჭოთა ხელისუფლების ამოცანათა შორის. საბჭოების უკანასკნელმა ყრილობებმა და მეტადრე სრულიად რუსეთის მოსკოვის ყრილობამ ცხადყვეს, რომ მშრომელი კლასების დიდი უმრავლესობა შეგნებულად და მტკიცედ გადმოვიდა საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების და კერძოდ ბოლშევიკთა პარტიის მხარეზე. თავისთავად ცხადია, რომ ხალხის მასების დარწმუნების ამოცანა რამდენადმე დემოკრატიული მთავრობისათვის არასოდეს არ გადავა მთლიანად უკანა რიგში, პირიქით, იგი ყოველთვის იქნება მართვის დიდმნიშვნელოვან ამოცანათა შორის. მაგრამ ასეთი ამოცანა პირველ ადგილზე დგება მარტოოდენ ოპოზიციის პარტიის ან იმ პარტიისათვის, რომელიც მომავლის იდეალების განსახორციელებლად იბრძვის. მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა, ერთი მხრივ, ჯერ კიდევ ცარიზმის დროს და, მეორე მხრივ, კერენს-

---

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

** სტენოგრამის დასაწყისი დაკარგულია. რ ე დ.

კის მთავრობის დროს შეძლეს თავიანთ მხარეზე მიეზიდათ მშრომელი მასების აქტიური და შეგნებული ელემენტების უმრავლესობა, ჩვენი პარტიის წინაშე დაისახა ძალაუფლების მოპოვების და ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვის ამოცანა. დარწმუნების ნაცვლად პირველ ადგილზე დადგა რუსეთის მოპოვების ამოცანა. 1917 წლის ოქტომბრის მიწურულიდან დაახლოებით 1918 წლის თებერვლამდე ეს საბრძოლო თუ სამხედრო ამოცანა წინა პლანზე იდგა, როგორც ბუნებრივად უნდა მდგარიყო წინა პლანზე ასეთი ამოცანა ყოველი პოლიტიკური პარტიისათვის, რომელიც გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს მწვავე და უაღრესად სასტიკი ბრძოლის ვითარებაში. თავისთავად გასაგებია, ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვის ამოცანა პროლეტარიატის პარტიისათვის განსაკუთრებით მწვავედ დგება იმიტომ, რომ იმ მშრომელი მასების წინააღმდეგ, რომლებიც პროლეტარიატის მხარეზე გადმოდიან, აქ ილაშქრებენ მქონებელი კლასების გაერთიანებული წარმომადგენლები, შეიარაღებულნი კაპიტალის ძალითაც, ცოდნის ძალითაც და ამასთან საუკუნეობრივი თუ არა, მრავალი წლის მართვის ჩვევით მაინც. განსაკუთრებული პირობების მეოხებით, რომლებიც რუსეთში ისტორიულად შეიქმნა 1905 წლის რევოლუციის ჯერ კიდევ არდავიწყებული გაკვეთილების გავლენით და ახლანდელი ომის გაცილებით უფრო მძიმე და მწვავე გაკვეთილების გავლენით, — ამ პირობების მეოხებით ბოლშევიკებმა შეძლეს შედარებით ძალიან ადვილად გადაეწყვიტათ ძალაუფლების დაპყრობის ამოცანა როგორც რუსეთის დედაქალაქში, ისე მთავარ სამრეწველო ცენტრებში. მაგრამ პროვინციაში, ცენტრიდან დაშორებულ ადგილებში, მეტადრე რუსეთის იმ რაიონებში, სადაც ყველაზე მეტად თავმოყრილი იყო შედარებით ჩამორჩენილი და მონარქიისა და შუასაუკუნეობრიობის ტრადიციის უაღრესად მტკიცედ მიმდევარი მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა,—მაგალითად, კაზაკთა ოლქებში,—საბჭოთა ხელისუფლებას მოუხდა ისეთი წინააღმდეგობის დაძლევა, რომელიც ომის ფორმებს იღებდა, და მხოლოდღა ახლა, ოქტომ-

ბრის რევოლუციიდან ოთხ თვეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ, სავსებით მთავრდება. ამჟამად ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დაძლევისა და დათრგუნვის ამოცანა რუსეთში უმთავრესად დასრულებულია. რუსეთი ბოლშევიკებმა ბრძოლით მოიპოვეს უმთავრესად იმიტომ, — როგორც ეს ამას წინათ აღიარა დონის კონტრრევოლუციური კაზაკობის უაღრესად თვალსაჩინო მოღვაწემ ბოგაევსკიმაც, — რომ ხალხის დიდი უმრავლესობა თვით კაზაკობაშიც კი შეგნებულად, მტკიცედ და გადაჭრით მიემხრო ბოლშევიკებს. მაგრამ განსაკუთრებული პირობები, რომლებშიც მქონებელი კლასებია ჩაყენებული თავიანთი ეკონომიური მდგომარეობით, მათ ბუნებრივ შესაძლებლობას აძლევს მოაწყონ არა მარტო პასიური წინააღმდეგობა (საბოტაჟი), არამედ გაიმეორონ კიდეც საბჭოთა ხელისუფლებისადმი სამხედრო წინააღმდეგობის გაწევის ცდა. ამიტომ ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვის ამოცანაც არ შეიძლება ბოლომდე დამთავრებულად ჩაითვალოს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ახლა აშკარაა, რომ იგი უმთავრესად გადაჭრილია და უკანა პლანზე გადადის. საბჭოთა ხელისუფლება ერთი წუთითაც თავს ნებას არ მისცემს დაივიწყოს ეს ამოცანა და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს, რომ მისი ყურადღება ჩამოაშორონ ამ ამოცანის შესრულებას როგორიც გნებავთ პოლიტიკური ან ვითომდა სოციალისტური ყიჟინით და დეკლამაციით. ეს უნდა დავძინოთ იმიტომ, რომ ჩვენში მენშევიკებიც და მემარჯვენე ესერებიც ისე იქცევიან, როგორც კონტრრევოლუციის ყველაზე მოძრავი, ზოგჯერ კი ყველაზე თავხედი მოღვაწენი და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბევრად უფრო მძაფრ ბრძოლას ეწევიან, ვიდრე რეაქციულ და მემამულურ მთავრობათა წინააღმდეგ ეწეოდნენ, ამასთან მათ იმედი აქვთ, რომ მათ დაიცავს მათი პარტიის იარლიყი ან სახელწოდება. გასაგებია, საბჭოთა ხელისუფლება არასოდეს არ მოერიდება იმას, რომ შეასრულოს ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვის თავისი ამოცანა, რა პარტიული დროშით ან რა პოპულარული და კეთილსახიერი მოწოდებითაც უნდა ინიღბებოდეს ასეთი წინა-

აღმდეგობა. მაგრამ წინააღმდეგობის დათრგუნვის ამოცანა ამჟამად უმთავრესად უკვე დასრულებულია და დღის წესრიგში დგება სახელმწიფოს მართვის ამოცანა.

აი ეს გადასვლა მოსახლეობის მასების დარწმუნების ამოცანიდან, რომელიც პირველ ადგილზე იდგა, და ძალაუფლების მოპოვებისა და წინააღმდეგობის გამწევ ექსპლოატატორთა სამხედრო დაორგუნვის ამოცანიდან სახელმწიფოს მართვის ამოცანაზე, რომელიც პირველ ადგილზე დგება, — აი ეს გადასვლაა მთავარი თავისებურება ჩვენი ახლანდელი მომენტისა. საბჭოთა ხელისუფლების სიძნელე მნიშვნელოვანწილად ის არის, რომ ნათლად შეათვისებინოს ამ გადასვლის თავისებურებანი როგორც ხალხის პოლიტიკურ ხელმძღვანელებს, ისე საერთოდ მშრომელი მასების ყველა შეგნებულ ელემენტს. რადგან თავისთავად გასაგებია, რომ კლასების განუსხვავებლად მთელი მოსახლეობის მართვის მშვიდობიან ამოცანებზე გადასვლა, — გასაგებია, რომ ასეთი გადასვლა ზოგან ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სამოქალაქო ომის ვითარებაში, იმ უდიდესი სამხედრო საფრთხის ვითარებაში, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკას დასავლეთიდანაც ემუქრება და აღმოსავლეთიდანაც, დასასრულ, ომით გამოწვეული გაუგონარი ნგრევის ვითარებაში, — გასაგებია, რომ ასეთი გადასვლა უაღრესად დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

თავი V

სახელმწიფოს მართვის ამოცანა, რომელიც ახლა წინა პლანზე დაესახა საბჭოთა ხელისუფლებას, კიდევ იმ თავისებურებას წარმოადგენს, რომ ახლა საქმე ეხება — და, შეიძლება ითქვას, პირველად ცივილიზებული ხალხების უახლეს ისტორიაში — ისეთ მართვას, როცა უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება არა პოლიტიკას, არაძედ ეკონომიკას. ჩვეულებრივად სიტყვა «მართვას» უკავშირებენ სწორედ და უწინარეს ყოვლისა უპირატესად პოლიტიკურ საქმიანობას ანდა თვით წმინდა პოლიტიკურ საქმიანობას. საბჭოთა ხელისუფლების

თვით საფუძვლები, თვით არსი კი, ისევე როგორც კაპიტალისტური საზოგადოებიდან სოციალისტურზე გადასვლის თვით არსიც, ის არის, რომ პოლიტიკურ ამოცანებს ეკონომიური ამოცანების მიმართ დაქვემდებარებული ადგილი უკავიათ. და ახლა, მეტადრე მას შემდეგ, რაც გვაქვს რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების ოთხ თვეზე მეტხანს არსებობის პრაქტიკული გამოცდილება, ჩვენთვის სავსებით ნათელი უნდა იყოს, რომ სახელმწიფოს მართვის ამოცანა ამჟამად უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად ის წმინდა ეკონომიური ამოცანაა, რომ განვკურნოთ ჩვენი ქვეყანა ომით მიყენებული ჭრილობებისაგან, აღვადგინოთ მწარმოებლური ძალები, მოვაგვაროთ პროდუქტების წარმოებისა და განაწილების აღრიცხვა და კონტროლი, ავამაღლოთ შრომისნაყოფიერება, — ერთი სიტყვით, ეკონომიური რეორგანიზაციის ამოცანაა.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ამოცანა ორ მთავარ რუბრიკად იყოფა: 1) პროდუქტების წარმოებისა და განაწილების აღრიცხვა და კონტროლი ამ აღრიცხვისა და კონტროლის ყველაზე ფართო, საყოველგანო და უნივერსალური ფორმებით და 2) შრომისნაყოფიერების გადიდება. ამ ამოცანებს გადაჭრის რომელიც გნებავთ კოლექტიურობა ან სოციალიზმზე გარდამავალი რომელიც გნებავთ სახელმწიფო, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამის ძირითადი ეკონომიური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური წანამძღვრები საკმაოდ შექმნა კაპიტალიზმმა. თუ არ იქნა მსხვილი მანქანური წარმოება, თუ არ იქნა ცოტად თუ ბევრად განვითარებული ქსელი რკინიგზებისა, ფოსტა-ტელეგრაფისა, თუ არ იქნა ცოტად თუ ბევრად განვითარებული ქსელი სახალხო განათლების დაწესებულებებისა, — ვერც ერთ და ვერც მეორე ამოცანას სისტემატური სახით და საყოველთაო-სახალხო მოცულობით, უეჭველია, ვერ ვადავჭრით. რუსეთი ისეთ მდგომარეობაშია, როცა ასეთი გადასვლის რამდენიმე პირველდაწყებითი წანამძღვარი უკვე გვაქვს. მეორე მხრივ, ბევრი მსგავსი წანამძღვარი ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია, მაგრამ შეუძლია შედარებით ადვილად გამოიღოს მეზობელი, ბევრად უფრო მოწინავე ქვეყნების პრაქ-

ტიკული გამოცდილებიდან, ქვეყნებისა, რომლებიც ისტორიამ და საერთაშორისო ურთიერთობამ დიდი ხანია მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთს.

თავი VI

სოციალისტურ წყობილებაზე გარდამავალი ყოველგვარი საზოგადოების ძირეული ამოცანა ის არის, რომ გაბატონებულმა კლასმა—ანუ, უფრო სწორად, პროლეტარიატმა, რომელიც გაბატონებული კლასი ხდება, სძლიოს ბურჟუაზია ზემონათქვამის შესაბამისად. და ეს ამოცანა ახლა ჩვენ წინაშე დგება მნიშვნელოვანწილად ახლებურად, სრულიადაც ისე არა, როგორც ის დგებოდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის ბრძოლის მსოფლიო გამოცდილების მრავალი და მრავალი ათწლეულის მანძილზე. ბურჟუაზიაზე გამარჯვებად ახლა, ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა შემდეგ, სამოქალაქო ომში მოპოვებულ წარმატებათა შემდეგ შეგვიძლია და კიდევაც უნდა ვიგულისხმოთ რაღაც ბევრად უფრო მაღალი, თუმცაღა ფორმით უფრო მშვიდობიანი რამ: სახელდობრ — ბურჟუაზიაზე უნდა გავიმარჯვოთ ახლა, მას შემდეგ, რაც ეს გამარჯვება პოლიტიკურად მოვიპოვეთ და სამხედრო ძალით განვამტკიცეთ, — ახლა ამ გამარჯვებას უნდა მივაღწიოთ სახალხო მეურნეობის ორგანიზაციის დარგში, წარმოების ორგანიზაციის დარგში, საყოველთაო-სახალხო აღრიცხვისა და კონტროლის დარგში. წარმოების აღრიცხვისა და კონტროლის ამოცანებს ბურჟუაზია მით უფრო მეტი წარმატებით წყვეტდა, რაც უფრო მსხვილი ხდებოდა წარმოება, რაც უფრო ხშირი ხდებოდა იმ საერთო-სახელმწიფოებრივ ეკონომიურ დაწესებულებათა ქსელი, რომლებიც თანამედროვე დიდი სახელმწიფოს ათეულ და ასეულ მილიონობით მოსახლეობას მოიცავს. ეს ამოცანა ჩვენ ახლა ახლებურად უნდა გადავწყვიტოთ, უნდა დავეყრდნოთ პროლეტარიატის გაბატონებულ მდგომარეობას, იმას, რომ პროლეტარიატს მხარს უჭერს მშრომელი და ექსპლოატირებული მასების უმრავლესობა,

უნდა გამოვიყენოთ ის ელემენტები ორგანიზატორული ნიჭისა, ტექნიკური ცოდნისა, რომლებიც წინა საზოგადოებას დაუგროვებია და რომელთა ცხრა მეათედი, შესაძლოა, ოთხმოცდაცხრამეტი მეასედი ეკუთვნის სოციალისტური რევოლუციისადმი მტრულად დაპირისპირებულ კლასს.

თავი VII

გერმანიის იმპერიალიზმმა, რომელიც ამჟამად არა მარტო სამხედრო ძლიერებისა და სამხედრო ტექნიკის, არამედ მსხვილი სამრეწველო ორგანიზაციების ყველაზე დიდ პროგრესს წარმოადგენს კაპიტალიზმის ფარგლებში, სხვათა შორის, თავისი ეკონომიური პროგრესულობა იმით აღნიშნა, რომ სხვა სახელმწიფოებზე ადრე განახორციელა შრომის ბეგარაზე გადასვლა. გასაგებია, რომ საერთოდ კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში და მეტადრე იმ მონარქიულ სახელმწიფოთა პირობებში, რომლებიც იმპერიალისტურ ომს ეწევიან, შრომის ბეგარა მუშებისათვის სხვა არაფერია, თუ არა სამხედრო-საკატორღო საპყრობილე, იგი მშრომელი და ექსპლოატირებული მასების დაკაბალების ახალი საშუალებაა, ამ მასების მხრივ ყოველგვარი პროტესტის გამოვლინების ჩახშობის ზომათა ახალი სისტემაა. და მაინც უეჭველია, რომ ასეთი ოეფორმა მარტოოდენ მსხვილი კაპიტალიზმის შექმნილი ეკონომიური წანამძღვრების მეოხებით შეიძლებოდა დასახულიყო და განხორციელებულიყო. და ახლა, წარმოუდგენელი ომისშემდგომი ნგრევისაგან შექმნილ პირობებში, უეჭველია, იძულებული ვართ ერთ-ერთ პირველ ადგილზე დავაყენოთ ასეთივე რეფორმა. მაგრამ გასაგებია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც საზოგადოების კაპიტალისტური ორგანიზაციიდან სოციალისტურზე გადადის, შრომის ბეგრის განხორციელება იქიდან როდი უნდა დაიწყოს, საიდანაც გერმანიის იმპერიალიზმმა დაიწყო. გერმანიის კაპიტალისტებისა და იმპერიალისტებისათვის შრომის ბეგარა მუშათა დაკაბალებას

მოასწავებდა. რუსეთის მუშებისა და უღარიბესი გლეხობისათვის შრომის ბეგარა უწიხარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად უნდა მოასწავებდეს იმას, რომ მდიდარ და მქონებელ კლასებს თავიანთი საზოგადოებრივი სამსახური მოახდევინონ. შრომის ბეგრის განხორციელება ჩვენ მდიდრებიდან უნდა დავიწყოთ.

ამის აუცილებლობა, საერთოდ თუ ვიტყვით, მარტო იქიდან როდი გამომდინარეობს, რომ საბჭოთა რესპუბლიკა სოციალისტური რესპუბლიკაა. ამის აუცილებლობა გამომდინარეობს იქიდანაც, რომ სწორედ მდიდარმა და მქონებელმა კლასებმა თავიანთი როგორც სამხედრო, ისე პასიური წინააღმდეგობით (საბოტაჟით) ყველაზე მეტად გააძნელეს ომით მიყენებული ჭრილობებისაგან რუსეთის განკურნების საქმე — ჩვენი ქვეყნის ეკონომიური გამოჯანსაღებისა და აღმავლობის საქმე. და ამიტომ აღრიცხვა და კონტროლი, ახლა რომ მთელი სახელმწიფო მმართველობის ქვაკუთხედად უნდა იქცეს, უწინარეს ყოვლისა მდიდარი და მქონებელი კლასების წარმომადგენელთ უნდა მოვთხოვოთ. სწორედ ამ კლასების წარმომადგენლებმა ისარგებლეს იმ ხარკით, რომელიც მათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით აკრიფეს მშრომელთაგან ომის მანძილზე, სწორედ მათ ისარგებლეს ამ ხარკით, რათა თავი აერიდებინათ იმისათვის, რომ შეესრულებინათ ქვეყნის განკურნებასა და განახლებაში მონაწილეობის ამოცანები, რომლებიც სავალდებულოა ყოველი მოქალაქისათვის, სწორედ მათ ისარგებლეს თავიანთი ნაძარცვი ხარკით იმისათვის, რომ ჩამჯდარიყვნენ და გამაგრებულიყვნენ მიუვალ ბესტში და ყოველნაირი წინააღმდეგობა გაეწიათ საზოგადოების კაპიტალისტური მოწყობის პრინციპზე სოციალისტური პრინციპის გამარჯვებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და სოციალიზმის წინააღმდეგ ასეთი ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი საშუალება მდიდარი და მქონებელი კლასებისათვის იყო ის, რომ ისინი ფულის ნიშნების მნიშვნელოვან მარაგს ფლობდნენ. მქონებელი კლასების სიმდიდრე კაპიტალისტურ საზოგადოებაში უწინარეს ყოვლისა ის იყო, რომ ისინი ფლობდნენ მიწას და წარმოების სხვა საშუა-

ლებებს: ფაბრიკებს, ქარხნებს და ა. შ. მუშათა და გლეხთა უდიდესი უმრავლეობის მხრივ მხარდაჭერის მეოხებით საბ. ჭოთა ხელისუფლებას არ გასჭირვებია გაეუქმებინა მემამულეებისა და ბურჟუაზიის უფლება ჩვენი ქვეყნის ამ ძირითადი სახის სიმდიდრეზე. ძნელი არ იყო იმ დეკრეტის გამოცემა, რომ მიწის კერძო საკუთრება გაუქმებულია. ძნელი არ იყო მეტი წილი ფაბრიკა-ქარხნების ნაციონალიზაცია. უეჭველია, რომ დანარჩენი მსხვილი სამრეწველო საწარმოების და სატრანსპორტო საშუალებების ნაციონალიზაციაც ისეთ ამოცანას წარმოადგენს, რომელიც ადვილად განხორციელდება სულ ახლო მომავალში.

მაგრამ კაპიტალისტურმა საზოგადოებამ შექმნა სიმდიდრის სხვა ფორმა, რომელთან ანგარიშის გასწორებაც საბჭოთა ხელისუფლებისათვის სრულიადაც არ არის ასე იოლი. სიმდიდრის ეს ფორმა ფულია, ან უფრო სწორად — ფულის ნიშნები. ომის დროს ფულის ნიშნების გამოშვებამ განსაკუთრებით დიდ ოდენობას მიაღწია. საომარი ოპერაციების კედელმა რუსეთი გამოაცალკევა ბევრი ქვეყნის სავაჭრო ბრუნვიდან, ქვეყნებისა, რომლებიც მანამდე ყველაზე მეტად მონაწილეობდნენ საქონლის რუსეთს შემოტანასა და რუსეთიდან გაზიდვაში. ხოლო ფულის ნიშნების დაგროვება მდიდარ და მქონებელ კლასთა ხელში, კლასებისა, რომლებიც თითქმის უკლებლივ მონაწილეობდნენ, პირდაპირაც და არაპირდაპირაც, სამხედრო მიწოდებათა და იჯარის მაღალი ფასებით სპეკულაციაში, — დიდი რაოდენობით ფულის ნიშნების დაგროვება წარმოადგენს იმის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას, რომ მქონებელმა კლასებმა დააგროვონ სიმდიდრე და მოიპოვონ ძალაუფლება მშრომელებზე. ამჟამად რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა,—ისევე როგორც ეკონომიური მდგომარეობა, ალბათ, ყველა კაპიტალისტური ქვეყნისა, რომელმაც სამი წლის ომი გადაიტანა,—რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა ხასიათდება იმით, რომ ბურჟუაზიის და მქონებელი კლასების შედარებით მცირე ნაწილის ხელში თავმოყრილი და მიმალულია ფულის ნიშნების უზარმაზარი მარაგი. ეს ნიშნები ძალიან გაუფასუ-

რებულია დიდი რაოდენობით გამოშვებული ქაღალდის ფულით, მაგრამ მაინც დღემდე წარმოადგენენ იმ უფლების მოწმობას, რომ ხარკი აკრიფონ მშრომელი მოსახლეობისაგან.

კაპიტალისტური საზოგადოებიდან სოციალისტურზე გადასვლის დროს უფულისნიშნებოდ იოლად გასვლა ან მოკლე ხანში მათი ახალი ნიშნებით შეცვლა სრულიად შეუძლებელი რამაა. ახლა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დგას ძნელი ამოცანა, რომელიც მიუხედავად ამისა რადაც უნდა დაგვიჯდეს უნდა გადავჭრათ. ეს ამოცანაა ბრძოლა მდიდართა წინააღმდეგობასთან, რომელიც მშრომელთაგან ხარკის აკრეფის მოწმობის შენახვისა და დამალვის ფორმას იღებს. ასეთი მოწმობებია ფულის ნიშნები. ცხადია, რამდენადაც ეს ფულის ნიშნები წინათ წარმოების საშუალებების, მაგალითად, მიწის, ფაბრიკა-ქარხნების და სხვათა შეძენის, ყიდვის უფლებას იძლეოდნენ, იმდენად ამ ფულის ნიშნების მნიშვნელობა ეცემა და მთლად ნულადაც კი იქცევა, ვინაიდან მიწის ყიდვა რუსეთში უკვე შეუძლებელი გახდა მიწის სოციალიზაციის კანონის გამოცემის შემდეგ, ხოლო ფაბრიკა-ქარხნების, აგრეთვე წარმოების ასეთი დიდი საშუალებების და ტრანსპორტის ყიდვა თითქმის შეუძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ სწრაფად მიმდინარეობს მსგავსი მსხვილი საწარმოების ნაციონალიზაციისა და კონფისკაციის პროცესი. მაშასადამე, ფულის თანხის შეძენა წარმოების საშუალებათა საყიდლად ბურჟუაზიისა და მქონებელი კლასების (მათ შორის გლეხური ბურჟუაზიის) წარმომადგენლებისათვის სულ უფრო ძნელი და თითქმის შეუძლებელი ხდება. მაგრამ ბურჟუაზია, რომელიც თავის ძველ პრივილეგიებს იცავს და ცდილობს რაც შეიძლება მეტად დააყოვნოს და გააძნელოს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის საქმე, ინახავს და მალავს საზოგადოებრივი სიმდიდრის წილის თავის მოწმობებს, მშრომელთაგან ხარკის აკრეფის უფლების თავის მოწმობებს, ინახავს და მალავს ფულის ნიშნებს, რათა უზრუნველყოს თავისთვის თუნდაც მცირედი შანსები საკუთარი მდგომარეობის შენარჩუნებისა და ძველი პრივილეგიების დაბრუნებისა იმ შემთხ-

ვევაში, თუ წარმოიქმნება სამხედრო და სავაჭრო ხასიათის სიძნელეები და კრიზისები, რაც ჯერ კიდევ შესაძლოა თავს დაატყდეს რუსეთს.

რაც შეეხება მოხმარების საგნებს, ბურჟუაზიამ და მქონებელმა კლასებმა თითქმის მთლიანად შეინარჩუნეს ის შესაძლებლობა, რომ ომისდროინდელი სპეკულაციით დაგროვილი ფულის ნიშნებით შეიძინონ ეს საგნები, რადგან მოხმარების საგნების სწორი დანორმვის, სწორი განაწილების ამოცანა ისეთ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, სადაც უზარმაზარი რაოდენობითაა მოსახლეობის წვრილი გლეხური და წვრილი ხელოსნური ან შინამრეწველური ფენები, — ეს ამოცანა უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს, ხოლო ომით შექმნილი ნგრევის პირობებში ეს ამოცანა დღემდე თითქმის გადაუჭრელი რჩება. და, ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლება იძულებულია პროდუქტების წარმოებისა და განაწილების აღრიცხვა და კონტროლი დაიწყოს ორგანიზებული ბრძოლით მდიდარი და მქონებელი კლასების წინააღმდეგ, რომლებიც ყოველგვარ სახელმწიფო კონტროლს უმალავენ ფულის ნიშნების უზარმაზარ თანხებს.

შეიძლება მივიჩნიოთ, რომ რუსეთში ამჟამად გამოშვებულია დაახლოებით 30 მილიარდი მანეთი ფულის ნიშანი. ამ თანხიდან, ალბათ, სულ ცოტა 20 მილიარდი მანეთი, შესაძლოა, ბევრად მეტიც, წარმოადგენს მარაგს, რომელიც სრულიად არ სჭირდება სავაჭრო ბრუნვას და რომელსაც ინახავენ, მალავენ ბურჟუაზიის და მქონებელი კლასების წარმომადგენლები ანგარებითი—ან ანგარებითი კლასობრივი — მიზნით.

საბჭოთა ხელისუფლებამ შრომის ბეგრის შემოღება უწიხარეს ყოვლისა უნდა შეაერთოს ბურჟუაზიის და მქონებელი კლასების წარმომადგენელთა რეგისტრაციასთან, უნდა მოითხოვოს სინამდვილის შესაბამისი განცხადება (დეკლარაცია) იმის შესახებ, თუ რა ოდენობით აქვთ ფულის ნიშნები, უნდა მიიღოს მთელი რიგი ზომები იმისათვის, რომ ეს მოთხოვნა ქაღალდზე არ დარჩეს, უნდა მოიფიქროს გარდამავალი ღონისძიებანი იმისათვის, რომ ფულის ნიშნების მთელმა მარაგ-

მა თავი მოიყაროს სახელმწიფო ბანკში ან მის განყოფილებებში. თუ არ იქნა ასეთი ღონისძიებები, პროდუქტების წარმოებისა და განაწილების აღრიცხვას და კონტროლს ბოლომდე ვერ მივიყვანთ.

თავი VIII

მაგრამ შრომის ბეგრის შემოღება არ შეიძლება შემოიფარგლოს მქონებელ კლასთა ხელში თავმოყრილი ფულის ნიშნების თანხების აღრიცხვითა და კონტროლით. საბჭოთა ხელისუფლებას მოუხდება შრომის ბეგრის პრინციპები განახორციელოს ბურჟუაზიის და მქონებელი კლასების უშუალო საქმიანობის მიმართაც საწარმოთა მართვის სფეროში და იმ სფეროში, რომ მოემსახუროს ამ საწარმოებს ყოველნაირი დამხმარე შრომით: საბუღალტრო, საკანტორო, საანგარიშსწორებო, ტექნიკური, ადმინისტრაციული და სხვა მისთანათა შრომით. ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა საბოტაჟის წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლის სფეროდან ახლა გადაინაცვლებს ახალ პირობებში საქმის ორგანიზებული დაყენების სფეროში, რადგან იმ გამარჯვებათა შემდეგ, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ მოიპოვა სამოქალაქო ომში, დაწყებული ოქტომბრით და გათავებული თებერვლით, წინააღმდეგობის პასიური ფორმები, სახელდობრ: ბურჟუაზიის და ბურჟუაზიული ინტელიგენციის მხრივ საბოტაჟი, არსებითად, გავტეხეთ. შემთხვევითი როდია, რომ ამჟამად ვხედავთ განწყობილების და პოლიტიკური ყოფაქცევის უაღრესად ფართო, შეიძლება ითქვას, მასობრივ შემობრუნებას ყოფილ მესაბოტაჟეთა, ე. ი. კაპიტალისტებისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის ბანაკში. ჩვენ ახლა მოწმენი ვართ, რომ სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში უამრავი ბურჟუაზიული ინტელიგენტი და კაპიტალისტური მეურნეობის მოღვაწე სამსახურს გვთავაზობს, — სამსახურს გვთავაზობს საბჭოთა ხელისუფლებას. და საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა ახლა ის არის, რომ შეძლოს გამოიყენოს ეს სამსახური, რომელიც სოციალიზმზე გადასვლისათვის უთუ-

ოდ საჭიროა, მეტადრე ისეთ გლეხურ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია. ეს სამსახური უნდა მივიღოთ ისე, რომ სავსებით დავიცვათ საბჭოთა ხელისუფლების უზენაესობა, ხელმძღვანელობა და კონტროლი მის ახალ თანაშემწეთა და დამხმარეთა მიმართ, რომლებიც ყველგან და ყოველთვის მოქმედებდნენ სურვილის წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლების გაპროტესტების ფარული იმედით.

იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად საჭიროა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ სწორედ სოციალიზმზე გადასვლისათვის გამოიყენოს ბურჟუაზიული ინტელიგენციის სამსახური, თავს ნებას მივცემთ და ვიხმართ ეამოთქმას, რომელიც ერთი შეხედვით პარადოქსად მოგეჩვენებათ: სოციალიზმი მნიშვნელოვანწილად უნდა ვისწავლოთ ტრესტების ხელმძღვანელთაგან, სოციალიზმი უნდა ვისწავლოთ კაპიტალიზმის უდიდესი ორგანიზატორებისაგან. ეს რომ პარადოქსი არ არის, ამაში ყველა ადვილად დარწმუნდება, ვინც ჩაუფიქრდება იმას, რომ სწორედ დიდი ფაბრიკები, სწორედ მსხვილი სამანქანო ინდუსტრია, რომელმაც გაუგონარ ოდენობამდე განავითარა მშრომელთა ექსპლოატაცია, სწორედ დიდი ფაბრიკები არიან იმ კლასის თავმოყრის ცენტრები, რომელსაც ერთადერთს ძალუძდა მოესპო კაპიტალის ბატონობა და დაეწყო სოციალიზმზე გადასვლა. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ სოციალიზმის პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად, როცა ჯერი მიდგა მის ორგანიზაციულ მხარეზე, საბჭოთა ხელისუფლების დამხმარედ უეჭველად დიდი რაოდენობით უნდა მოვიზიდოთ ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლები, მეტადრე ისინი, ვინც პრაქტიკულად მუშაობდა უდიდესი წარმოების ორგანიზაციაზე კაპიტალისტურ ფარგლებში, და, მაშასადამე, პირველ რიგში ისინი, ვინც აწყობდა სინდიკატებს, კარტელებს და ტრესტებს. ამ ამოცანის გადასაჭრელად საბჭოთა ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, მოუხდება მშრომელთა ფართო მასის ენერგიის დაძაბვა, თაოსნობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რადგან ეგრეთ წოდებულ მრეწველობის ბელადებს ძველ მდგომარეობას, — უფროსთა და

ექსპლოატატორთა ძველ მდგომარეობას, — საბჭოთა ხელისუფლება არასოდეს არ მისცემს. წინანდელმა მრეწველობის ბელადებმა, წინანდელმა უფროსებმა და ექსპლოატატორებმა ახლა ტექნიკური ექსპერტების, ხელმძღვანელების, კონსულტანტების, მრჩევლების ადგილები უნდა დაიკავონ. უნდა გადავჭრათ ძნელი და ახალი, მაგრამ უაღრესად მადლიანი ამოცანა ექსპლოატატორთა კლასების ამ წარმომადგენლების მიერ დაგროვილი მთელი გამოცდილების და ცოდნის შეერთებისა მშრომელი მასების ფართო ფენების თვითმოქმედებასთან, ენერგიასთან, მუშაობასთან, რადგან მხოლოდ ამ შეერთებას ძალუძს გადოს ხიდი, რომელიც ძველი, კაპიტალისტური საზოგადოებიდან ახალ, სოციალისტურ საზოგადოებაზე გადაგვიყვანს.

სოციალისტურ რევოლუციას მთელ მსოფლიოში ან, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე მოწინავე ქვეყანაში რომ ერთდროულად გაემარჯვა, ძველი კაპიტალიზმის ხელმძღვანელთაგან საუკეთესო ტექნიკოს სპეციალისტთა მოზიდვა წარმოების ახალი ორგანიზაციის პროცესში მეტად გაადვილდებოდა. მაშინ ჩამორჩენილ რუსეთს დამოუკიდებლად არ მოუხდებოდა ამ ამოცანის გადაჭრაზე ფიქრი, რადგან დასავლეთ ევროპის მოწინავე მუშები დაგვეხმარებოდნენ და აგვაშორებდნენ სოციალიზმზე გადასვლის იმ უაღრესად რთული ამოცანის მეტწილ სიძნელეებს, რომელსაც ორგანიზაციული ამოცანა ეწოდება. ახლა, ისეთ ფაქტობრივ მდგომარეობაში, როცა სოციალისტური რევოლუციის შეტევა დასავლეთში დაყოვნდა და დაგვიანდა, ხოლო რუსეთს აჩქარებით უხდება ოთავისი რეორგანიზაციის ზომების მიღება, — უბრალოდ თუნდაც შიმშილობისაგან ჰოსახლეობის დახსნის გულისათვის, და შემდეგ შესაძლო სამხედრო შემოსევისაგან მთელი ჩვენი ქვეყნის გადარჩენის გულისათვის, — ახლა ჩვენ იძულებული ვართ ვესესხოთ მოწინავე ქვეყნებს არა სოციალისტური ორგანიზაციის დახმარება და მუშათა მხარდაჭერა, არამედ იქაური ბურჟუაზიის და კაპიტალისტური ინტელიგენციის დახმარება.

და ვითარება ისეთი იქმნება, რომ ჩვენ შეგვიძლია ეს დახმარება მივიღოთ, თუ მოვაწყობთ იმას, რომ ბურჟუაზიული ინტელიგენცია ხელს უმართავდეს საბჭოთა ხელისუფლებას ახალ ორგანიზაციულ პრობლემათა საქმეში. ბურჟუაზიული ინტელიგენცია ხელს გაგვიმართავს, თუ შრომის მაღალ საზღაურს დავუნიშნავთ ცოდნის თითოეული დარგის საუკეთესო სპეციალისტებს, როგორც ჩვენი სახელმწიფოს მკვიდრთ, ისე საზღვარგარეთიდან მოყვანილებსაც. რა თქმა უნდა, უკვე განვითარებული სოციალისტური საზოგადოების თვალსაზრისით თუ ვიტყვით, სრულიად უსამართლოდ და უმართებულოდ გვესახება, რომ ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელი შრომის ანაზღაურებას ბევრად უფრო მეტს იღებდეს, ვიდრე მუშათა კლასის საუკეთესო ფენები. მაგრამ პრაქტიკული სინამდვილის პირობებში...* გადაუდებელი ამოცანა ჩვენ უეჭველად უნდა გადავჭრათ იმ გზით, რომ ბევრად უფრო მაღალი ნორმებით ავუნაზღაუროთ (უსამართლოდ) ბურჟუაზიულ სპეციალისტებს შრომა. თუ ჩვენ, მაგალითად, დავუშვებდით, რომ რუსეთი ახალ საწყისებზე წარმოების მოსაწყობად, შრომისნაყოფიერების ასამაღლებლად, ჩვენი ხალხისათვის უკეთეს პირობებში მუშაობის ხელოვნების შესასწავლად, — თუ ჩვენ დავუშვებდით, რომ იძულებული გავხდებოდით ამ მიზნით დაგვექირავებინა, ვთქვათ, ორი ათასი დიდი სპეციალისტი ცოდნის სხვადასხვა დარგისა, — სპეციალისტი რუსი და კიდევ მეტად საზღვარგარეთელი, ვთქვათ, ამერიკელი, — თუ ჩვენ იძულებული გავხდებოდით გადაგვეხადა მათთვის წელიწადში ორმოცდაათი ან ასი მილიონი მანეთი, სახალხო მეურნეობის ინტერესების თვალსაზრისით, საერთოდ წარმოების მოძველებული ხერხებიდან სულ ახალ, ყველაზე სრულყოფილ ხერხებზე გადასვლის თვალსაზრისით ასეთი ხარჯი სავსებით გამართლებული იქნებოდა. წარმოების საუკეთესო ხერხებისა და წესების სწავლებისათვის ასეთი თანხა უნდა გავიღოთ, ღირს გავიღოთ, და ასეთი თანხის გაღება მოგვიხდება იმიტომ, რომ ასეთი ხელმძღვანე-

* ვამოტოვებულია გაურკვევლად ჩაწერილი ფრაზის ნაწილი. რ ე დ.

ლობის მიღების სხვა შესაძლებლობას შექმნის მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება სხვა ქვეყნებში.

რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელთა შრომის და სახელმძღვანელო მითითებების გამოყენება იმ საჭირო კონტროლთან შეხამებით, რომელსაც განახორციელებენ მშრომელთა დემოკრატიული ორგანიზაციები და საბჭოები, ბევრ ახალ პრობლემას შექმნის, მაგრამ ამ პრობლემათა გადაჭრა სავსებით შესაძლებელია. და ჩვენ ვერ შევჩერდებით რაიმე სიძნელის წინაშე ამ პრობლემათა გადასაჭრელად, რადგან საქმის ასეთი ვითარების პირობებში წარმოების უმაღლესი ორგანიზაციის სხვა გზა არ გაგვაჩნია.

მეტსაც ვიტყვი. უმსხვილესმა კაპიტალიზმმა შექმნა შრომის ორგანიზაციის ისეთი სისტემები, რომლებიც მოსახლეობის მასების ექსპლოატაციის პირობებში უსასტიკესი ფორმა იყო იმისა, რომ მქონებელ კლასთა უმცირესობას დაემონებინა მშრომელები და გამოეწოვა მათგან დამატებითი რაოდენობის შრომა, ძალები, სისხლი და ნერვები, მაგრამ რომლებიც ამავე დროს წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს, რომლებიც უნდა გადმოიღოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ, რომლებიც მან უნდა გადაამუშაოს, ერთი მხრივ, ჩვენი წარმოების აღრიცხვისა და კონტროლის განხორციელების გულისთვის, მეორე მხრივ, შრომისნაყოფიერების გადიდების გულისთვის. მაგალითად, ცნობილი ტეილორის სისტემა, რომელმაც დიდი გავრცელება პოვა ამერიკაში, სწორედ იმით არის განთქმული, რომ უაღრესად აღვირახსნილი კაპიტალისტური ექსპლოატაციის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს. ამიტომ გასაგებია, რომ მუშათა მასები ამ სისტემას ესოდენ დიდი სიძულვილით და აღშფოთებით ხვდებოდნენ. მაგრამ ამავე დროს ერთი წუთითაც არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ტეილორის სისტემა შეიცავს მეცნიერების უდიდეს პროგრესს, მეცნიერებისა, რომელიც სისტემატურად ანალიზს უკეთებს წარმოების პროცესს და გზას უხსნის ადამიანის

შრომისნაყოფიერების უდიდეს ამაღლებას. ტეილორის სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით ამერიკაში დაწყებულმა მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ, მეტადრე მოძრაობათა შესწავლამ, როგორც ამერიკელები ამბობენ, უამრავი მასალა მისცა მათ. ეს მასალა შესაძლებლობას იძლევა შეასწავლონ მშრომელ მოსახლეობას განუზომლად უფრო მაღალი ხერხები შრომისა საერთოდ და შრომის ორგანიზაციისა კერძოდ.

ტეილორის სისტემაში უარყოფითი იყო ის, რომ იგი კაპიტალისტური მონობის ვითარებაში ხორციელდებოდა და წარმოადგენდა საშუალებას მუშებისაგან ორმაგი და სამმაგი შრომის გამოსაწოვად, შრომის ანაზღაურება კი უცვლელი რჩებოდა, ამასთან სრულებით ანგარიშს არ უწევდნენ დაქირავებული მუშის უნარს ადამიანის ორგანიზმის დაუზიანებლად მოეცა შრომის ეს ორმაგი ან სამმაგი რაოდენობა წინანდელი ოდენობის სამუშაო საათებში. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას წინ უძევს ამოცანა, რომელიც მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ჩვენ მთელ რუსეთში უნდა შემოვიღოთ ტეილორის სისტემა და შრომისნაყოფიერების მეცნიერული ამერიკული ამაღლება, ამასთან ეს სისტემა უნდა შევუერთოთ სამუშაო დროის შემცირებას, წარმოების და შრომის ორგანიზაციის ახალი ხერხების გამოყენებას მშრომელი მოსახლეობის სამუშაო ძალის სრულიად დაუზიანებლად. პირიქით, თვით მშრომელთაგან სწორად ნახელმძღვანელევი ტეილორის სისტემის გამოყენება, თუ მშრომელნი საკმაოდ შეგნებული იქნებიან, სავსებით უტყუარი საშუალება იქნება სავალდებულო სამუშაო დღის შემდგომი და უდიდესი შემცირებისა მთელი მშრომელი მოსახლეობისათვის, სავსებით უტყუარი საშუალება იქნება იმისათვის, რომ საკმაოდ მოკლე დროის მანძილზე განვახორციელოთ ამოცანა, რომელიც დაახლოებით ასე შეიძლება გამოვხატოთ: თითოეული სრულასაკოვანი მოქალაქე ექვს საათს ფიზიკურად უნდა მუშაობდეს და ოთხ საათს სახელმწიფოს სამართავად.

ამგვარ სისტემაზე გადასასვლელად საჭირო იქნება ძალიან ბევრი ახალი ჩვევა და ახალი საორგანიზაციო დაწესებულე-

ბები. უეჭველია, რომ ეს გადასვლა ბევრ სიძნელეს შეგვიქმნის და რომ ასეთი ამოცანის დასახვა თვით მშრომელთა ზოგიერთი ფენის გაოცებას და, შესაძლოა, წინააღმდეგობას გამოიწვევს. მაგრამ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ მუშათა კლასის მოწინავე ელემენტები გაიგებენ ასეთი გადასვლის საჭიროებას, რომ სახალხო მეურნეობის საშინელი მოშლის იმ პირობებში, რომლებმაც ქალაქებისა და სოფლებისათვის თავი იჩინეს მხოლოდ ახლა, როცა ფრონტიდან დაბრუნდა მეურნეობას მოწყვეტილი მილიონობით ადამიანი, რომლებმაც პირველად დაინახეს, თუ რაოდენ მოშალა ომმა მეურნეობა, უეჭველია, ამ პირობებში მშრომელთა საზოგადოებრივი აზრის მოსამზადებლად ნიადაგი შექმნილია და ჩვენ მიერ ზემოთ დაახლოებით და ვარაუდით მონიშნულ გადასვლას პრაქტიკულ ამოცანად დასახავს მშრომელი კლასების ყველა შეგნებული ელემენტი, ვინც ახლა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე დგას.

თავი IX

აღნიშნული ხასიათის ეკონომიური გადასვლა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებისგანაც მოითხოვს, რომ ხელმძღვანელთა ფუნქციებში შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს. სავსებით ბუნებრივია, რომ ისეთ ვითარებაში, როცა პირველ ადგილზე წამოწეული იყო ხალხის უმრავლესობის დარწმუნების ან ხელისუფლების დაპყრობის და ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვის ამოცანა, — სავსებით ბუნებრივია, რომ ხელმძღვანელთა შორისაც პირველ ადგილზე უპირატესად ვაყენებდით მასების აგიტატორებს, მასებისა, რომლებთანაც საბჭოთა ხელისუფლება დაკავშირებულია უფრო მჭიდროდ, ვიდრე რომელიმე წინანდელი დემოკრატიული ფორმა. სავსებით ბუნებრივია, რომ მოსახლეობის უმრავლესობის დასარწმუნებლად ან ექსპლოატატორთა წინააღმდეგ მძიმე და ძნელ სამხედრო ბრძოლაში გასაყოლიებ-

ლად განსაკუთრებით საჭირო იყო აგიტატორობის უნარი. პირიქით, ზემოთ მოკლედ მოხაზული ის ამოცანები, რომლებიც ახლა პროდუქტების წარმოებისა და განაწილების აღრიცხვისა და კონტროლის წინაშე დაისახა, პირველ ადგილზე აყენებენ უკვე პრაქტიკულ ხელმძღვანელებს და ორგანიზატორებს. ამის შესაბამისად უნდა მოხდეს ხელმძღვანელთა გარკვეული ხელახალი შეფასება, მათი გარკვეული გადანაცვლება, რადგან შეუძლებელია, რომ ისინი შეეგუონ ახალ პირობებს და ახალ ამოცანებს. ბუნებრივია, რომ წინა ეპოქის ხელმძღვანელთა შტაბს, შეგუებულს უპირატესად აგიტატორთა ამოცანებთან, ძალიან გაუჭირდება ასეთი გადასვლა. ბუნებრივია, რომ ამის გამო გარდუვალია უამრავი შეცდომა. ახლა საჭიროა რადაც უნდა დაგვიჯდეს მივაღწიოთ იმას, რომ როგორც ხელმძღვანელებმა, ისე საბჭოთა ამომრჩევლების მასებმა, ე. ი. საკუთრივ მშრომელმა და ექსპლოატირებულმა მასებმა შეიგნონ აქ აღნიშნული ცვლილების საჭიროება.

მშრომელ და ექსპლოატირებულ მასებში გაცილებით მეტია ორგანიზატორული ნიჭის და უნარის მქონე ხალხი, ვიდრე აგიტატორის ნიჭის და უნარის მქონენი, იმიტომ რომ ამ კლასების შრომითი ცხოვრების მთელი ვითარება მათგან ბევრად უფრო მეტად მოითხოვდა უნარს მოეგვარებინათ ერთობლივი მუშაობა, პროდუქტების წარმოებისა და განაწილების აღრიცხვა და კონტროლი. პირიქით, ცხოვრების უწინდელი პირობები თვით მასებიდან გაცილებით ნაკლებად წამოსწევდნენ აგიტატორის ან პროპაგანდისტის ნიჭის მქონე მოღვაწეებს. იქნებ ამიტომ ვხედავთ ახლა ასე ხშირად, რომ პროფესიით ან მოწოდებით აგიტატორი და პროპაგანდისტი იძულებულია იკისროს ორგანიზატორის ამოცანები, იძულებულია ყოველ ნაბიჯზე დარწმუნდეს, რომ იგი ნაკლებად არის შეგუებული ამ ამოცანების გადაჭრასთან, განიცადოს როგორ უცრუებს იმედს მუშებსა და გლეხებს და უკმაყოფილებას იწვევს მათში. ხშირად შევხვდებით ხოლმე, თუ როგორ ნიშნს გვიგებენ ამ შეცდომებისა და საბჭოთა ხელისუფლების წარუმატებლობის გამო ჩვენი ქვეყნის ის კლასები, რომლებიც,

ძტრულად არიან განწყობილი საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისადმი, წარმოადგენენ ბურჟუაზიულ პარტიებს, ახ ისინი, ვინც ჩვენში სოციალისტებს უწოდებენ თავის თავს, ნამდვილად კი ერთგულად ემსახურებიან ბურჟუაზიას — მენშევიკები და მემარჯვენე ესერები. მართლაც, რამდენადაც ისტორიულად გარდუვალი იყო ეს შეცდომები, იმდენად ნათელია, რომ ამ სფეროს ხარვეზები მარტოოდენ სერია ახალი სოციალისტური საზოგადოების ზრდისა. ხელახლა სწავლა ისე, რომ შესაფერის პირველ ადგილზე დავაყენოთ პრაქტიკოსი-აგიტატორი, — ასე ხელახლა სწავლა შესაძლებელია და, უეჭველია, ამას დიდი შრომის გაუწევლად შეძლებენ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები რუსეთის ყველა კუთხეში. მაგრამ ამას დრო სჭირდება და მხოლოდღა ჩადენილი შეცდომებით შეძენილ პრაქტიკულ გამოცდილებას ძალუძს წარმოშვას იმის ნათელი შეგნება, რომ საჭიროა ცვლილება, — ძალუძს წამოაყენოს ბევრი ან იქნებ მთელი ფენაც ადამიანებისა, რომელნიც ივარგებენ ახალ ამოცანათა გადასაწყვეტად. მუშათა და გლეხთა შორის ორგანიზაციული ნიჭის მქონენი, ეტყობა, მეტია, ვიდრე ჰგონია და წარმოუდგენია ბურჟუაზიას, მაგრამ საქმე ის არის, რომ კაპიტალისტური მეურნეობის ვითარებაში ასეთი ნიჭის მქონეთ დაწინაურების, ფეხის მტკიცედ მოკიდების, მდგომარეობის მოპოვების არავითარი შესაძლებლობა არ გააჩნიათ.

პირიქით, თუ ახლა ნათლად შევიგნებთ, რომ საჭიროა სახელმწიფოს მართვის საქმეში ფართოდ ჩავაბათ ორგანიზატორული ნიჭის მქონე ახალი ადამიანები, თუ — სწორედ საბჭოთა ხელისუფლების პრინციპების საფუძველზე — სისტემატურად დავაწინაურებთ პრაქტიკით ნაწრთობ ამ სფეროს მოღვაწეებს, მაშინ სულ მალე შევძლებთ იმის მიღწევას, რომ წარმოების პრაქტიკულ ორგანიზატორთა ახალი ფენა დაწინაურდება, მდგომარეობას მოიპოვებს, თავის შესაფერ ხელმძღვანელ ადგილს დაიკავებს და ეს მოხდება იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლება ავითარებს,

მასებში გადაისვრის და შემდეგ მასები განახორციელებენ მასების წარმომადგენელ საბჭოთა დაწესებულებების წევრთა კონტროლით.

თავი X

მდიდართა შრომითი დაბეგვრიდან საბჭოთა ხელისუფლება უნდა გადავიდეს იმ ამოცანაზე, ან უფრო სწორად, საბჭოთა ხელისუფლებამ იმავე დროს რიგში უნდა დააყენოს ის ამოცანა, რომ შესაბამისი პრინციპები გამოიყენოს მშრომელთა, მუშათა და გლეხთა უმრავლესობის მიმართ. შრომითი ბეგრის შემოღების ამოცანა აქ სხვა მხარეს წარმოგვიდგენს. ამ ამოცანას სხვაგვარად რომ მივუდგეთ და წინა პლანზე წამოვწიოთ არა ის, რაც უნდა განხორციელდეს მდიდარი კლასების მიმართ. ჩვენ უცილობელ საჭიროებად არ წარმოგვიდგება ის, რომ რეგისტრაციაში გავატაროთ მშრომელი ხალხის ყველა წარმომადგენელი, რათა თვალი ვადევნოთ მათს ფულის ნიშნების მარაგს ან მოხმარებას, რადგან ცხოვრების მთელი პირობები მოსახლეობის ამ ჯგუფების უმრავლესობისთვის საჭიროს ხდის შრომას და შესაძლებლობას არ აძლევს მათ დააგროვონ რაიმე გარდა სულ მცირე დანაზოგისა. ამიტომ ამ სფეროში შრომითი ბეგრის დაწესების ამოცანა შრომის დისციპლინის და თვითდისციპლინის დაწესების ამოცანად იქცევა.

ძველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში კაპიტალი მშრომელებს დისციპლინას განახორციელებინებდა შიმშილის გამუდმებული საფრთხით. და რადგან შიმშილის ამ საფრთხეს თან ერთვოდა აუტანელი მძიმე შრომა და მშრომელთა შეგნება, რომ ისინი საკუთარი კი არა, სხვისი კეთილდღეობისთვის მუშაობენ, შრომის ვითარება იქცეოდა მშრომელთა უდიდესი უმრავლესობის გამუდმებულ ბრძოლად წარმოების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. ამ ნიადაგზე გარდუვალი იყო ისეთი ფსიქოლოგიის შექმნა, რომ მშრომელთა საზოგადოებრივი აზრი არათუ არ გმობდა ცუდად მუშაობას ან მუშაობისაგან

თავის დაძვრენას, არამედ, პირიქით, ეს მიაჩნდა გარდუვალ და კანონიერ პროტესტად ან წინააღმდეგობის საშუალებად ექსპლოატატორის უზომო მოთხოვნებისადმი. თუ ახლა ბურჟუაზიული პრესა და მისი ფეხის ხმის ამყოლნი ამდენს გაჰყვირიან, მუშათა შორის ანარქია მეფობს, მათ თავს გასდით ან უზომო მოთხოვნებს აყენებენო, — ამ კრიტიკის ღვარძლიანი ხასიათი იმდენად თვალსაჩინოა, რომ მასზე დიდხანს შეჩერება არც ღირს. გასაგებია, რომ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ისე გაუგონრად შიმშილობდა და გაიტანჯა, როგორც რუსეთის მოსახლეობა ამ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, — გასაგებია, რომ ასეთ ქვეყანაში განწყობილების სრული დაქვეითების და ყოველგვარი ორგანიზებულობის სრული დაქვეითების ბევრი შემთხვევა სავსებით გარდუვალი იყო. ამ მხრივ მოითხოვო სწრაფი გადასვლა ან იმედი გქონდეს, რომ ცვლილებას ამ მხრივ შეიძლება რამდენიმე დეკრეტით მიაღწიო, ისეთივე უაზრობა იქნებოდა, როგორიც ის, რომ მოწოდებებით ცდილობდე სულის მხნეობა და შრომის უნარი შემატო სასიკვდილოდ ნაცემ კაცს. მხოლოდ თვით მშრომელთა მიერ შექმნილ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც ანგარიშს უწევს მშრომელთა მასებს შორის გამოჯანსაღების ზრდას, ძალუძს ამ მხრივ ძირეულ ცვლილებათა განხორციელება.

საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის და მის მომხრეთა შორის — მაგალითად, პროფესიულ კავშირთა მოწინავე ხელმძღვანელებს შორის — უკვე სავსებით მომწიფდა მშრომელთა თვითდისციპლინის ამაღლების სისტემატურ ღონისძიებათა გამომუშავების საჭიროება. უეჭველია, საერთოდ კაპიტალისტური საზოგადოების ვითარებაში და კიდევ მეტად იმ გაშმაგებული და აღვირახსნილი სპეკულაციის ვითარებაში, რომელიც ომმა შექმნა, მუშათა კლასში შეიჭრა ისეთი დემორალიზაცია, რომლის წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლა არ აგვცდება, მით უმეტეს, რომ ომის მეოხებით მუშათა კლასის მოწინავე რაზმების შემადგენლობაც საკმაოდ გაუარესდა. ამიტომ მშრომელთა შორის დისციპლინის შექმ-

ნა, შრომის ოდენობის, შრომის ინტენსივობის კონტროლის მოწყობა, შრომის ოდენობის დასადგენად, ამ ოდენობის ყოველი ურჩი დაძრღვევის პასუხისგებაში მისაცემად, ამ ოდენობის გადიდების მიზნით უმრავლესობაზე სისტემატური ზემოქმედების მოსახდენად სპეციალური სამრეწველო სასამართლოს შემოღება, — ყველაფერი ეს ახლა დღის წესრიგში დგება როგორც საბჭოთა ხელისუფლების უაღრესად საჭირბოროტო ამოცანა.

ოღონდ შეძლებისამებრ მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი აღზრდის ერთ-ერთი მთავარი იარაღი, სახელდობრ, პრესა, სრულიად არ ასრულებდა თავის ამოცანას განსახილველ სფეროში. და დღემდე ჩვენი საბჭოთა პრესა მნიშვნელოვანწილად ბურჟუაზიული საზოგადოების ძველი ჩვევებისა და ძველი ტრადიციების შთაბეჭდილებას განიცდის. ეს თავს იჩენს სხვათა შორის იმით, რომ ძველი ბურჟუაზიული პრესის მსგავსად ჩვენი პრესა კვლავ უზომოდ დიდ ადგილს და ყურადღებას უთმობს პოლიტიკის იმ წვრილმანებს, პოლიტიკური ხელმძღვანელობის იმ პირად საკითხებს, რომლებითაც ყველა ქვეყნის კაპიტალისტები ცდილობდნენ ხალხის მასების ყურადღება ჩამოეშორებინათ მათი ცხოვრების ნამდვილად სერიოზული, ღრმა და ბირეული საკითხებისაგან.

ნაკარნახევია 1918 წლის 23 და 28 მარტს შორის

პირველად დაიბეჭდა 1962 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტ. 36

იბეჭდება სტენოგრამის მიხედვით

წყლის ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა 52

სახკომსაბჭო, რომელმაც მოისმინა ცნობა წყლის ტრანსპორტის კატასტროფულ მდგომარეობაზე და რომელიც გაეცნო დეკრეტის პროექტს, შემუშავებულს სახალხო მეურნეო-

ბის უმაღლესი საბჭოს მიერ წყლის ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან და «ცენტროვოლგის» წარმომადგენლებთან შეთანხმებით,

ამტკიცებს ამ პროექტს როგორც დროებით ზომას;

— დაბეჯითებით ურჩევს ნიჟნინოვგოროდის სანაოსნო ყრილობას დაუყოვნებლივ და ყოველგვარი გადახვევის გარეშე განახორციელოს ეს პროექტი;

— იმ შემთხვევაში, თუ ყრილობა მომავლისათვის საჭიროდ მიიჩნევს დეკრეტში გარკვეული შესწორებების შეტანას, სახკომსაბჭო წინადადებას აძლევს ყრილობას გამოგზავნოს რწმუნებით აღჭურვილი თავისი დელეგაცია სახკომსაბჭოში ამ შესწორებათა საკითხის განსახილველად და საბოლოოდ გადასაჭრელად.

სახკომსაბჭო ყრილობას მიუთითებს, რომ წყლის ტრანსპორტის კატასტროფული მდგომარეობა განაპირობებს იმას, რომ სრულიად შეუძლებელია კასპიის, ვოლგის და მარიის სისტემის სამმართველოს[53] განკარგულებათა გაჭიანურება და ზუსტად და კეთილსინდისიერად უნდა შესრულდეს ისინი. სახკომსაბჭოს მხოლოდ ამ პირობით შეუძლია გაამართლოს მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე უდიდესი თანხების ასიგნება ფლოტის ნაციონალიზაციისათვის.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1918 წლის 26 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში თანხების ხარჯვის გაკონტროლების შესახებ[54]

სახკომსაბჭო ავალებს წარმომადგენლებს 1 — კონტროლიდან, 1 — ფინანსთა კომისარიატიდან შეადგინონ კომისია

იმ ვარაუდით, რომ ხვალვე რევიზია გაუკეთონ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სათბობის განყოფილებასთან არსებულ საანგარიშო-საკონტროლო განყოფილებას, აგრეთვე სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სხვა საანგარიშო-საკონტროლო განყოფილებებს.

კომისიის მოწვევა ევალება ამხანაგ ბოგოლეპოვს.

იმავე კომისიას ევალება, ჯერ ერთი, საგანგებოდ განიხილოს ანგარიშგების ფორმათა საკითხი; მეორე, მოითხოვოს ზუსტი წერილობითი აქტები, რომლებსაც ექნება ყველა დაინტერესებული პირის ხელმოწერა, რაც დაადასტურებს ამ პირთა მონაწილეობას ფულის ასიგნებაში და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სხვადასხვა განყოფილებათა სამეურნეო ოპერაციების წარმოებაში.

გარდა ამისა მოსთხოვოს ამ ხელმძღვანელ პირთ, რომ უახლოეს დროში წარმოადგინონ სათანადო საბუთები ყველა დაქვემდებარებული დაწესებულებიდან და პირიდან, რომელთა მეშვეობითაც ხდება სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თანხების ხარჯვა.

სახკომსაბჭო მიუთითებს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მეტადრე სათბობის განყოფილებას, რომ საქმეს უაღრესად არასწორად უძღვებიან.

დაწერილია 1918 წლის 26 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

გამოსვლა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე 1918 წლის 1 აპრილს

განსახილველად გამოაქვთ პროექტი შრომის დისციპლინის შესახებ, შემუშავებული პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის საბჭოს მიერ. ამხ. ლენინს შემოაქვს პროექტის

ცალკეული პუნქტების რამდენიმე შესწორება და რამდენიმე უფრო გარკვეული ფორმულირება, იგი აყენებს წინადადებას, რომ უფრო დააკონკრეტონ პროექტი. ყველა წარმოებაში უთუოდ უნდა შემოვიღოთ სანარდო ანაზღაურება, იმ სპეციალობებში კი, სადაც ეს შეუძლებელია, უნდა დავაწესოთ პრემიების სისტემა. ნაყოფიერების აღსარიცხავად და დისციპლინის დასაცავად საჭიროა მოეწყოს სამრეწველო სასამართლოები, მოეწყოს კონტროლიორთა ჯგუფები არა საწარმოში, არამედ სხვადასხვა პროფესიის მოწვეული ხალხისაგან, ამასთან უნდა მოვიზიდოთ ინჟინრები და ბუღალტრები, გლეხები. საჭიროა დეკრეტში გარკვეულად აღვნიშნოთ ტეილორის სისტემის შემოღება, სხვანაირად რომ ვთქვათ, გამოვიყენოთ მუშაობის ყველა მეცნიერული წესი, რომელსაც ეს სისტემა აყენებს. თუ ეს სისტემა არ გვექნა, ნაყოფიერებას ვერ გავზრდით, ნაყოფიერების გაუზრდელად კი სოციალიზმს ვერ შემოვიღებთ. ამ სისტემის განხორციელების დროს უნდა მოვიზიდოთ ამერიკელი ინჟინრები. რა თქმა უნდა, ამ სისტემის შემოღების დროს საჭიროა გავითვალისწინოთ ცუდი კვება, ამიტომ გამომუშავების ნორმა უმცირესი უნდა ავიღოთ. შემდეგ გამომუშავების მოწყობას...* სოციალიზმზე გადასვლის დროს შეუძლია მოგვცეს სამუშაო დღის შემცირების შესაძლებლობა. დეკრეტში უნდა მოვიხსენიოთ ანგარიშგება და იმ ანგარიშების დაბეჭდვა, რომლებიც ცალკეულ საწარმოთა ნაყოფიერებას ეხება. რაც შეეხება შრომის დისციპლინის დარღვევის გამო დასადები სასჯელის ზომებს, ეს ზომები უფრო მკაცრი უნდა იყოს. საჭიროა სასჯელად გამოვიყენოთ თვით დაპატიმრებაც კი. ქარხნიდან დათხოვნაც შეიძლება გამოვიყენოთ, მაგრამ დათხოვნის ხასიათი სრულებით იცვლება. კაპიტალისტური წყობილების პირობებში დათხოვნა სამოქალაქო გარიგების დარღვევა იყო. ახლა კი, შრომის დისციპლინის დარღვევის პირობებში, მეტადრე შრომითი ბეგრის შემოღე-

* საოქმო ჩანაწერი ნაკლულია. რ ე დ.

ბის პირობებში, ხდება უკვე სისხლის სამართლის დანაშაული, რაც გარკვეული სასჯელით უნდა დაისაჯოს.

პირველად დაიბეჭდა (არასრულად) 1940 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 1

იბეჭდება მანქანაზე გადაწერილი საოქმო ჩანაწერის მიხედვით

დამატება დეკრეტის პროექტისა პროვინციაში კომისართა მივლინების წესის შესახებ [55]

3) საბჭოები ყოველნაირად მხარს უჭერენ ჯეროვანი რწმუნებებით აღჭურვილ კომისრებს ამ რწმუნებათა მოქმედების ფარგლებში.

4) საბჭოები უცილობლად მხარს უჭერენ ყველა საგანგებო და სხვა კომისარს, თუ ისინი დანიშნა სახალხო კომისართა საბჭომ. ასეთი კომისრების განკარგულებათა შესრულება სავალდებულოა ყველა ადგილობრივი და საოლქო საბჭოსთვის.

დაწერილია 1918 წლის 5 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

საბანკო პოლიტიკის თეზისები [56]

1. შედგეს კერძო ბანკებიდან მიღებულის ანგარიში, რომელშიც ჩაირთოს თითოეული კერძო ბანკის ყველა საქმის ლიკვიდაცია.

(ერთხმად)

იმ საკითხზე, თუ როგორ შედგეს ანგარიში, შემდეგი მოსაზრებებია:

(ა) თითოეული კერძო ბანკის მოსამსახურეთა ადრინდელ პერსონალს (სახელმწიფო ბანკის კომისარიატის იმ უფლებით, რომ ზოგიერთი მათგანი ჩამოშორებულ იქნეს) ეძლევა ულ-

ტიმატური დავალება რაც შეიძლება მალე მოაწესრიგოს ბანკის ყველა საქმე და საბოლოო ფორმით შეადგინოს ბალანსი. ჯერ ერთი, 1917 წლის 14 დეკემბრისათვის [57], მეორე, ოპერაციების უკანასკნელი დღისათვის.

(ბ) კერძო ბანკები ასრულებენ ბანკების ანგარიშების შედგენის და ყველა საქმის ლიკვიდაციის ფუნქციას და მოქმედებენ მარტოოდენ ლიკვიდაციის მიზნით, ამასთან მხოლოდ და მხოლოდ როგორც რუსეთის რესპუბლიკის ერთიანი სახალხო ბანკის განყოფილებანი, და არ აწარმოებენ არავითარ ახალ ოპერაციებს.

(განეცკი და გუკოვსკი
და ლენინი)

სპუნდეს განსაკუთრებული აზრი:

ბალანსს 1917 წლის 14 დეკემბრისათვის შეადგენს ჩვენი დანიშნული განსაკუთრებული კომისია.

სხვა ბალანსის შედგენა საჭირო არ არის.

1917 წლის 14 დეკემბრიდან მოყოლებული ოპერაციები მოხდეს სახალხო ბანკის სახელით.

ყველა კერძო ბანკი, ისევე როგორც სახელმწიფო ბანკი, ცხადდება რუსეთის რესპუბლიკის ერთიან სახალხო ბანკად.

2. ანგარიშების შედგენის მთელ საქმიანობას ხელმძღვანელობს სახელმწიფო ბანკის კომისარიატი.

ვიწვევთ რაც შეიძლება მეტ გამოცდილ თანამშრომლებს, მათ შორის სახელმწიფო და კერძო ბანკების ყოფილ მოსამსახურეებსაც.

(ერთხმად)

3. საბანკო პოლიტიკა ბანკების ნაციონალიზაციით არ შემოიფარგლება და თანდათანობით, მაგრამ განუხრელად მიმართული იქნება იქითკენ, რომ ბანკები გადაიქცეს ანგარიშწარმოების ერთიან აპარატად, რომელიც მოახდენს უკლებლივ მთელი ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად მოწყობილი სამეურნეო ცხოვრების რეგულირებას.

სპუნდე და ლენინი მომხრე არიან
გუკოვსკი წინააღმდეგია
განეცკი თავს იკავებს,
რადგან პრაქტიკულად შესრულება შეუძლებლად მიაჩნია.

4. სასწრაფო ზომები იმისათვის, რომ მთელ ჩვენს ქვეყანაში გავხსნათ სახალხო ბანკის რაც შეიძლება მეტი განყოფილებები.

ამ განყოფილებების ყველაზე მიზანშეწონილი განლაგება ქალაქებსა და სოფლებში, ხალხისათვის უფრო მოსახერხებელი რომ იყოს.

გამოვიყენოთ სახალხო ბანკის განყოფილებებად ყოფილი კერძო ბანკების არსებული განყოფილებები.

(ერთხმად)

5. ანაბრების ხელუხლებლობის გამოცხადება (რაც, თავისთავად ცხადია, სრულიადაც არ ამცირებს სახელმწიფოს უფლებას, რომ აკრიფოს გადასახადები).

6. ჩეკების თავისუფალი ბრუნვა.

7. ბანკიდან ფულის გატანაზე მუშათა კონტროლის მთლიანად შენარჩუნება.

8. მოხმარების მიზნით ფულის გატანის დანორმვა რჩება.

ხალხისთვის შემოვიღებთ რამდენიმე შემსუბუქებას იმ მიზნით, რომ დაჩქარდეს ბანკში ფულის შეტანა და ბანკიდან ფულის გატანა, აგრეთვე გამარტივდეს ფორმალობა.

9. ზომების მიღება იმისათვის, რომ მოსახლეობამ ის ფული, რომელიც მას უთუო მოხმარების მიზნით არ სჭირდება, შეინახოს ბანკში. კანონისა და პრაქტიკული ნაბიჯების მომზადება ამ პრინციპის იძულებითი განხორციელებისათვის.

(არ არის გამოსაქვეყნებელი)

10. რუსეთის ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში სახალხო ბანკის ყველა განყოფილება თავისი საქმიანობის დროს ზუსტად ხელმძღვანელობს ცენტრალური სამმართველოს ინსტრუქციებით და დირექტივებით და უფ-

ლება არა აქვს შემოიღოს რაიმე ადგილობრივი წესები და შეზღუდვები. გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ ცენტრალური სამმართველოს თანხმობით.

დაწერილია 1918 წლის აპრილში,
არა უადრეს 8 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ჟურნალში
«პროლეტარსკაია რევოლუცია» № 6

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

გამოსვლა სრულიად რუსეთის პროფსაბჭოს, მელითონელთა კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წლის 11 აპრილს [58]

საგაზეთო ანგარიშიდან

ამხ. ლენინი დაბეჯითებით მოითხოვდა ყველა ტრესტირებული საწარმოს სრულ ნაციონალიზაციას იმ ვარაუდით, რომ პროექტის წამომყენებელი კაპიტალისტთა ჯგუფი სახელმწიფო სამსახურში აღმოჩენილიყო.

«იზვესტია ვციკ» № 72,
1918 წლის 12 აპრილი

იბეჭდება
გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ის
ტექსტის მიხედვით

დონის რესპუბლიკის საბჭოების პირველი ყრილობის პრეზიდიუმს [59]

დონის როსტოვი

სულითა და გულით მივესალმები დონის რესპუბლიკის საბჭოების პირველ ყრილობას.

განსაკუთრებით მხურვალედ ვუერთდები რეზოლუციის იმ სიტყვებს, რომ საჭიროა ძლევამოსილად დავამთავროთ დონის რესპუბლიკაში გაჩაღებული ბრძოლა კაზაკობის კულაკურ ელემენტთა წინააღმდეგ. ამ სიტყვებშია რევოლუციის

ამოცანათა ყველაზე სწორი განსაზღვრა. ახლა მთელ რუსეთშიც სწორედ ასეთი ბრძოლა დგას რიგში.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 13 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დამატება დეკრეტის პროექტისა აქციების, ობლიგაციების და სხვა პროცენტიანი ქაღალდების რეგისტრაციის შესახებ [60]

აქციათა გასხვისების აკრძალვა, გადმოცემული 1917 წლის 29 დეკემბრის კანონში, ძალაში რჩება აქციების გასხვისების ნებართვითი სისტემის შემოღების კანონის გამოცემამდე. მხოლოდ აქციათა იმ მფლობელებს, რომლებმაც სწორად და დროულად გაატარეს რეგისტრაციაში თავიანთი აქციები, მიენიჭებათ უფლება მიიღონ საზღაური საწარმოთა ნაციონალიზაციის შემთხვევაში იმ ოდენობით და პირობებით, რომლებიც უნდა განსაზღვროს ნაციონალიზაციის კანონმა.

სწორედ ასევე მხოლოდ აქციათა ასეთ მფლობელებს მიენიჭებათ უფლება დივიდენდების მიღებისა მას შემდეგ, რაც ნებადართული იქნება ამ დივიდენდების გადახდა, შეჩერებული 1917 წლის 29 დეკემბრის კანონით.

დაწერილია 1918 წლის 16 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სახკომსაბჭოს დადგენილება შაქრის ჭარხლის ნათესების დაკრედიტების შესახებ [61]

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ეძლევა ასიგნება 20 მილიონი მანეთის ოდენობით, — იმისათვის, რომ გლეხებს მისცეს ბე შაქრის ჭარხლის დასათესად, ამასთან სახალხო მე-

ურნეობის უმაღლესმა საბჭომ ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღოს ამ თანხის სწორად ხარჯვის და დაუგვიანებლად დაბრუნების უზრუნველსაყოფად.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1918 წლის 17 აპრილს
პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი დეკრეტისა სრულიად რუსეთის საევაკუაციო კომისიის შექმნის შესახებ [62]

იქმნება სრულიად რუსეთის საევაკუაციო კომისია, რათა უსწრაფესად და გეგმაზომიერად მოახდინოს სამხედრო და სხვა ტვირთის ევაკუაცია დანიშნულების ახალ ადგილებში (ამასთან ევაკუაციის საერთო მიზანია სრულიადაც არა მარტო სამხედრო საჭიროებათა დაკმაყოფილება, არამედ მრეწველობის დემობილიზაცია და სახალხო მეურნეობის მოთხოვნათა დაკმაყოფილება, სახალხო მეურნეობისა, რომლის რეორგანიზაციაც ახლა ხდება).

კომისია მოქმედებს გეგმის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს, ცვლის და შეავსებს სახალხო კომისართა საბჭო. ამ გეგმით განისაზღვრება, თუ სად იგზავნება ტვირთის მთავარი ჯგუფები და რა რიგით მოხდება ამა თუ იმ ჯგუფის ევაკუაცია.

კომისიის მეთაურად ინიშნება დიქტატორული რწმუნებებით აღჭურვილი საგანგებო რწმუნებული. კომისიის წევრებს აქვთ სათათბირო ხმა და უფლება შეიტანონ საკითხები (თუ კენჭისყრის დროს ამას ხმას მისცემს წევრთა მთელი რაოდენობის $^1/_3$ მაინც) სახკომსაბჭოში.

კომისიის წევრები არიან საგანგებო რწმუნებულის მოადგილე, რომელიც თანამდებობის მიხედვით კომისიის თავმჯდომარე იქნება, და სამხედრო, საზღვაო, **გზათა, სურსათის,**

შრომის კომისარიატების და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები.

დაწერილია 1918 წლის აპრილში,
19 რიცხვამდე
პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
წიგნში «საბჭოთა ხელისუფლების
დეკრეტები», ტ. II

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

დამატება სახკომსაბჭოს დეკრეტის პროექტისა საწარმოო იარაღით და ლითონით სოფლის მეურნეობის მომარაგების შესახებ [63]

სასოფლო-სამეურნეო მანქანების და სხვ. განაწილების ძირითადი პრინციპი უნდა იყოს, ერთი მხრივ და უმთავრესად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტერესების, მთელი მიწის დამუშავების და სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების ამაღლების უზრუნველყოფა და, მეორე მხრივ, ის, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანებით და სხვ. უწინარეს ყოვლისა მოვამარაგოთ სოფლის მოსახლეობის მშრომელი და უღარიბესი ნაწილი: ამასთან საერთო მიზანი უნდა იყოს იმის უზრუნველყოფა, რომ სახელმწიფოს მთელმა მოსახლეობამ სწორად და საკმარისად მიიღოს პური.

დაწერილია 1918 წლის 23 აპრილს
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

დამატება სახკომსაბჭოს დეკრეტის პროექტისა სათესი ფართობის ორგანიზაციის განყოფილების შესახებ [64]

მიწათმოქმედების და სურსათის კომისარიატებს ევალებათ სასწრაფო ზომები მიიღონ იმისათვის, რომ რამდენადაც შესაძლებელია შემცირდეს საგაზაფხულო ხორბლეულის ნაკლ-

ნათესი, განვითარდეს მებოსტნეობა და მომზადდეს საშემოდგომო თესვა როგორც გლეხთა მიწებზე, ისე სახელმწიფო ნათესების ორგანიზაციის გზითაც.

დაწერილია 1918 წლის 2 მაისს

დაიბეჭდა (არასრულად) 1918 წლის
10 მაისს გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ში
№ 91

ნაწილიანად პირველად დაიბეჭდა
1959 წელს წიგნში
«საბჭოთა ხელისუფლების
დეკრეტები», ტ. I

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი მიწათმოქმედების კომისარიატისადმი ხელმძღვანელობის საკითხზე მოწვეული წინასწარი თათბირის დადგენილებისა [65]

მიწათმოქმედების კოლეგიის წევრების, ამხ. სერედას და ამხ. მეშჩერიაკოვის, და ლენინის წინასწარი თათბირი (მოწვეული ამხ. სპირიდონოვას და ამხ. კარელინის მიერ წამოყენებულ საკითხებზე) იმ დასკვნამდე მივიდა, რომ წამოყენებული საკითხები უნდა განიხილონ როგორც სერიოზული პოლიტიკური საკითხები და ამიტომ უთუოდ უნდა გადაეცეს რკპ ცენტრალურ კომიტეტს.

თათბირს საჭიროდ მიაჩნია ეს საკითხები საჩქაროდ და დაუყოვნებლივ გადაეცეს ცენტრალურ კომიტეტს.

დაწერილია 1918 წლის 3 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

დამატება დეკრეტისა სასურსათო დიქტატურის შესახებ

პურის ყველა მფლობელი, რომელსაც აქვს ნამეტი და არ მიაქვს იგი ჩასაბარებელ პუნქტებში, აგრეთვე ყველა, ვინც პურის მარაგს არაყის გამოსახდელად ფლანგავს, გამოცხადე-

ბულ იქნეს ხალხის მტრებად, გადაეცეს რევოლუციურ სასამართლოს და ამიერიდან მიესაჯოს პატიმრობა 10 წლით მაინც, მთელი ქონების კონფისკაცია და თავისი თემიდან სამუდამოდ განდევნა, არაყის გამომხდელთ კი ამის გარდა იძულებითი საზოგადოებრივი სამუშაოები.

დაწერილია 1918 წლის 9 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲝᲒᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲒᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲒ

ᲡᲐᲮᲙᲝᲛᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ [66]

შრომის კომისარიატს ეძლევა დავალება უაღრესად სასწრაფო ზომები მიიღოს იმისათვის რომ, პროფესიულ კავშირებთან შეთანხმებით და სურსათის კომისარიატის უეჭველი ხელმძღვანელობით, მობილიზაცია უყოს რაც შეიძლება მეტ მოწინავე, ორგანიზებულ და შეგნებულ მუშას, რათა დაეხმარონ სოფლის ღარიბებს მდიდრების — კულაკების წინააღმდეგ და ულმობლად ჩაახშონ პურით სპეკულაცია და აღკვეთონ პურის მონოპოლიის ჩაშლა.

დაწერილია 1918 წლის 9 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲡᲐᲮᲙᲝᲛᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲡᲐᲗᲑᲝᲒᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲒ [67]

სახკომსაბჭო მომხსენებლებს ავალებს დაუყოვნებლივ შეიმუშაონ დაწვრილებითი პროექტი კონკრეტული პრაქტიკული წესებისა, რომელთა მიზანი იქნება:

1) სათბობის მოპოვების გაძლიერება,

2) მისი მომჭირნედ ხარჯვა,

3) ტექნიკურ ძალთა რაციონალური განაწილება სათბობის წარმოების რაიონებსა თუ ოლქებში,

4) პოპულარული აგიტაცია და პროპაგანდა, რომ სათბობის გაფრთხილება დიდად მნიშვნელოვანია.

დაწერილია 1918 წლის 24 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა ავტოტრანსპორტის შესახებ [68]

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და ავტოცენტრის პროექტები კიდევ ერთხელ განიხილოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, სამხედრო უწყების, გზათა, სახელმწიფო კონტროლის, ავტოცენტრის, შრომისა და სურსათის კომისიამ.

მიეცეს კომისიას ხუთი დღის ვადა.

ამავე დროისთვის მოვთხოვოთ ყველა უწყებას ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი სატვირთო ავტომობილი გადასცეს უკვე სურსათის კომისარიატს და რამდენს გადასცემენ უახლოეს მომავალში (სატვირთო ავტომობილების მთელი რაოდენობიდან).

დეტალურად გაირკვეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ავტოსექციის შემადგენლობა.

დაწერილია 1918 წლის 25 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა სურსათის დამოუკიდებელი დამზადების შესახებ [69]

ყველა ცალკეულ აპარატს, რომელიც «პროდპუტის» ანდა «პროდვოდის» და სხვა მსგავსი ცალკეული პროფესიების სასურსათო ორგანიზაციებს ემსახურება, ვიწვევთ შემოუერთონ

თავიანთი მეცადინეობა, თავიანთი ძალები, თავიანთი აგენტები, თავიანთი რაზმები სურსათის კომისარიატის საერთო ძალებს. ძალთა ასეთ შემოერთებაზე უარის თქმა მოასწავებს ან იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ უარს ამბობენ მხარი დაუჭირონ საბჭოთა ხელისუფლებას, უარს ამბობენ მხარი დაუჭირონ საერთო-მუშათა და საერთო-გლეხთა ბრძოლას შიმშილობის წინააღმდეგ. მხოლოდ ძალთა შეერთებაშია შიმშილობისაგან ხსნა.

დაწერილია 1918 წლის 29 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ

1. პურის ნამეტის და სხვა სასურსათო პროდუქტების გადამალვა მაშინ, როცა ხალხი პიტერში, მოსკოვში და ათობით არასამიწათმოქმედო მაზრებში არათუ პურის ნაკლებობას განიცდის, არამედ საშინლად შიმშილობს, უდიდესი დანაშაულია, რომელიც უაღრესად ულმობელ სასჯელს იმსახურებს.

2. შიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანაა არა მარტო ის, რომ ამოქაჩოს პური მოსავლიანი ადგილებიდან, არამედ ისიც, რომ ჩაგვაბაროს და სახელმწიფო მარაგად შეკრიბოს პურის, აგრეთვე საერთოდ მთელი სასურსათო პროდუქტების ნამეტი უკლებლივ. თუ ამას არ მივაღწიეთ, სრულიად ვერ უზრუნველყოფთ ვერავითარ სოციალისტურ გარდაქმნებს, ვერ უზრუნველყოფთ იმასაც, რომ წარმატებით დავაგვირგვინოთ თავდაცვითი ომი.

3. . . . *

დაწერილია 1918 წლის მაისის მეორე ნახევარში ან ივნისის დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

მონახაზი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და ვაჭრობისა და მრეწველობის კომისარიატთან შეთანხმებისა ქალაქსა და სოფელს შორის საქონელ-გაცვლის პირობების შესახებ

შეთანხმება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და ვაჭრობისა და მრეწველობის კომისარიატთან

საქონელი მიეცემა არა ცალკეულ პირებს, არამედ გლეხთა სათემო, სასოფლო ან სხვა კავშირებს იმ სავალდებულო პირობით, რომ ასეთ კავშირებში სრული უმრავლესობა ექნება ღარიბობას.

საქონელს ჩააბარებენ პურის სანაცვლოდ იმ პირობით, რომ თანხის 25% შეიტანენ საქონლად და პურის ადგილობრივი მოხმარების ნამეტს მიიღებენ მთლიანად.

გაიწეროს:
1 მილიონი კომლი
1000-1000 მანეთი

დაირაზმოს ღარიბი გლეხობა იმისათვის, რომ სისტემატურად და განუხრელად გადაახდევიხონ გლეხურ ბურჟუაზიას ფულის მარაგის ერთდროული მაღალი გადასახადები.

გაიგზავნოს სოფლად სამხედრო რაზმები აღნიშნული გადასახადების ასაკრეფად და სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგობის სავსებით გასატეხად.

ავიღოთ ინტენდანტთა საწყობებიდან: **იყო**

გამოვაქვეყნოთ სურსათის სამინისტროს თუნდაც წინასწარი შედეგები 1917 წლის 25 ოქტომბრამდე.

აპარატი: სურსათის აგენტთა ყრილობა? მოსკოვის საოლქო აპარატი...

(25 კაცი ჩვენ გვყავს, 2000 იმათ).

დაწერილია 1918 წლის მაისსა ან ივნისში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

«ნაციონალიზებულ საწარმოთა მართვის დებულების» პროექტის შენიშვნები [70]

კომუნიზმი მოითხოვს და გულისხმობს მთელი ჩვენი ქვეყნის მსხვილი წარმოების უაღრეს ცენტრალიზაციას. ამიტომ საერთო-რუსეთის ცენტრს უთუოდ უნდა მივცეთ უფლება უშუალოდ დაიქვემდებაროს ამა თუ იმ დარგის ყველა საწარმო. საოლქო ცენტრები თავიანთ ფუნქციებს განსაზღვრავენ ადგილობრივი, ყოფაცხოვრებითი და სხვა პირობების მიხედვით ცენტრის საერთო-საწარმოო მითითებათა და გადაწყვეტილებათა თანახმად.

სრულიად რუსეთის ცენტრისათვის იმ უფლების წართმევა, რომ ამა თუ იმ დარგის ყველა საწარმო, განლაგებული ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, უშუალოდ თვითონ დაიქვემდებაროს, როგორც ეს კომისიის პროექტიდან გამომდინარეობს, საოლქო ანარქიზმ-სინდიკალიზმი იქნებოდა და არა კომუნიზმი.

დაწერილია 1918 წლის 2 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

საბიბლიოთეკო საქმის დაყენების შესახებ

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა [71]

სახალხო კომისართა საბჭო სახალხო განათლების კომისარიატს მიუთითებს, რომ იგი საკმარისად არ ზრუნავს რუსეთში საბიბლიოთეკო საქმის სწორად დაყენებისათვის, და ავალებს კომისარიატს დაუყოვნებლივ მიიღოს უაღრესად ენერგიული ზომები, ჯერ ერთი, საბიბლიოთეკო საქმის ცენტრალიზაციის მოსახდენად რუსეთში და, მეორე, შვეიცარიულ-ამერიკული სისტემის შემოსაღებად.

სახალხო განათლების კომისარიატს წინადადება ეძლევა თვეში 2-ჯერ ანგარიში ჩააბაროს სახკომსაბჭოს ამის შესახებ, თუ პრაქტიკულად რა გააკეთა მან ამ დარგში.

დაწერილია 1918 წლის 7 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სოფლის ღარიბობის დარაზმვისა და მომარაგების შესახებ დეკრეტის პროექტისათვის [72]

ღარიბთა კომიტეტების შექმნის, შემადგენლობისა და ხაქმიანობისადმი საერთო ხელმძღვანელობისათვის არსდება მუდმივი თათბირი სურსათის კომისარიატის ორი წარმომადგენლისა და მიწათმოქმედების კომისარიატის ერთი წარმომადგენლისაგან.

ყველა ადგილობრივი დეპუტატთა საბჭო, სასურსათო ორგანო და ღარიბთა კომიტეტი, აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების ყველა სხვა ორგანო ემორჩილება ამ თათბირის მითითებებს სათანადო საკითხებში.

... სრულიად შეუზღუდავად შეუძლია ყველას, როგორც ადგილობრივს, ისე ჩამოსულ სოფლის მცხოვრებს, რომელსაც არა აქვს ჭარბი პური და სხვა სასურსათო პროდუქტი, არა აქვს სავაჭრო, სამრეწველო და სხვა დაწესებულება, არ იყენებს არც მოჯამაგირის, არც მედღეურის შრომას [73].

დაწერილებითი წესები ღარიბთა კომიტეტებისა და ადგილობრივი დეპუტატთა საბჭოების თანაფარდობის შესახებ, ერთისა და მეორის გამგებლობის საგანთა განაწილების შესახებ ცალკე გამოვა.

დაწერილია 1918 წლის 8 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტის შემადგენლობის შესახებ სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტისათვის [74]

სახკომსაბჭო ავალებს ამხ. რიკოვს, ან სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, გამოაქვეყნოს პრინციპული საფუძვლები ჩვენი პოლიტიკისა იმ საქმეში, რომ ინჟინრები მოვიზიდოთ როგორც სპეციალისტთა კომისიებში, ისე ადმინისტრაციულ პოსტებზე სამუშაოდ, საჯაროობის, მუშათა ორგანიზაციების მხრივ კრიტიკის და სხვა პირობებით.

დაწერილია 1918 წლის 10 ივნისს
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

რკინიგზის ტრანსპორტის გაჯანსაღების შესახებ

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა[75]

რკინიგზის ტრანსპორტის გაჯანსაღების საკითხზე აზრთა ურთიერთგაზიარების შემდეგ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: დაევალოს ამხ. ნევსკის იმ კოლეგებთან მოთათბირების შემდეგ, რომლებიც ზუსტად ახორციელებენ საბჭოთა, ნამდვილად სოციალისტურ და არა სინდიკალისტურ პოლიტიკას, უახლოეს დროში წარმოუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს პრაქტიკული წინადადებანი, თუ როგორ ვებრძოლოთ სინდიკალიზმს და თავაშვებულობას, როგორ გამოვავლინოთ და ვდევნოთ საბჭოთა პოლიტიკის დამრღვევნი, რა ზომებით დავაწესოთ თითოეული თანამდებობის პირის ზუსტი პასუხისმგებლობა თავისი მოვალეობის პრაქტიკული წარმატებით შესრულებისათვის, რა ზომებით ჩავაბათ მართვა-გამგეობის სამუშაოთა გაძღოლის უნარის მქონე ამხანაგები მართვა-გამგეობის საქმეში.

გზათა კომისარიატში კოლეგიის დანიშვნა გადაიდოს იმის გამო, რომ დეკრეტი ფაუბეჭდავია [76].

დაწერილია 1918 წლის 14 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა ცენტროტექსტილისათვის კრედიტის გახსნის შესახებ [77]

1) ცენტროტექსტილის სელის განყოფილებას გაეხსნას კრედიტი 50 მილიონი მანეთის ოდენობით.

2) დაევალოთ სურსათის და სამხედრო კომისარიატებს სამი დღის ვადაში წარმოადგინონ ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი მართებთ მათ ცენტროტექსტილისა.

3) დაევალოს სელის განყოფილებას იმავე ვადაში წარუდგინოს ანგარიში თავის მოვალე ყველა კომისარიატს. ფულის ნიშნები ნედლეულის შესასყიდად გაიცეს ცენტროტექსტილის მოთხოვნების შემოსვლის კვალობაზე.

4) დაინიშნოს კომისია ცენტროტექსტილის სელის განყოფილების ხარჯთაღრიცხვის, მონაცემების და საქმისწარმოების სასწრაფოდ განსახილველად და მოხსენება წარედგინოს სახკომსაბჭოს.

კომისიაში დაინიშნოს თითო წარმომადგენელი ფინანსთა, სახელმწიფო კონტროლის და სურსათის კომისარიატებისაგან. მოწვევა ევალება ამხ. ლანდერს. დამთავრების ვადაა 3 დღე ორშაბათიდან, 17. VI.

დაწერილია 1918 წლის 15 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა მეტყავეობის საქმეთა მთავარი კომიტეტის დაფინანსების შესახებ [78]

დაუყოვნებლივ ასიგნებულ იქნეს ავანსად 10 მილიონი მანეთი მეტყავეობის საქმეთა მთავარი კომიტეტისათვის, ვიდრე სახკომსაბჭო საბოლოოდ დაამტკიცებდეს მთელ ფინანსურ გეგმას ან 37 მილიონი მანეთის ხარჯთაღრიცხვას.

ამ გეგმის და ამ ხარჯთაღრიცხვის დაუყოვნებლივ შესწავლისათვის დაინიშნოს კომისია

მეტყავეობის მთავარი კომიტეტის
სურსათის კომისარიატის
ფინანსთა კომისარიატის
კონტროლის კომისარიატის წარმომადგენლების შემადგენლობით.

კომისიის მოწვევა დაევალოს ამხ. თურქესტანოვს, მეტყავეობის მთავარი კომიტეტის გამგეობის თავმჯდომარეს. მოვითხოვოთ, რომ კომისიამ მუშაობა დაამთავროს 5 დღის ვადაში.

დაწერილია 1918 წლის 15 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

საბჭოთა ხელისუფლების დემოკრატიზმისა და სოციალისტური ხასიათის შესახებ

საბჭოთა ხელისუფლების დემოკრატიზმი და მისი სოციალისტური ხასიათი იმით გამოიხატება,

რომ უმაღლეს საბჭოთა ხელისუფლებას წარმოადგენს საბჭოები, რომლებიც შედგებიან მშრომელი ხალხის (მუშების, ჯარისკაცების და გლეხების) წარმომადგენლებისაგან. ამ წარმომადგენლებს თავისუფლად ირჩევენ და, როცა კი მოესურვებათ, ცვლიან კაპიტალის მიერ დღემდე ჩაგრული მასები;

რომ ადგილობრივი საბჭოები დემოკრატიული ცენტრალიზმის საწყისებზე თავისუფლად ერთიანდებიან რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ერთიან, ფედერალური კავშირით განმტკიცებულ საერთო-სახელმწიფოებრივ საბჭოთა ხელისუფლებად;

რომ საბჭოები მთლიანად ხელთ იღებენ არა მარტო საკანონმდებლო ხელისუფლებას და კანონთა შესრულებისადმი კონტროლს, არამედ კანონთა უშუალო განხორციელებასაც საბჭოების ყველა წევრის მეშვეობით, რათა თანდათანობით გადავიდეთ სახელმწიფო კანონმდებლობისა და მართვის ფუნქციების შესრულებაზე უკლებლივ მთელი მშრომელი მოსახლეობის მიერ.

შემდეგ ვითვალისწინებთ,

რომ საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი საწყისების უდიდესი დამახინჯება და სოციალიზმის სრული უარყოფაა ყოველგვარი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი, დაკანონება ცალკე ფაბრიკის ან ცალკე პროფესიის მუშათა საკუთრებისა მათს საგანგებო წარმოებაზე, ან მათი უფლებისა შეასუსტონ ან დაამუხრუჭონ საერთო-სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განკარგულებანი... *

დაწერილია 1918 წლის პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1957 წლის 22 აპრილს
გაზეთ «პრავდაში» № 112

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ინტერვიუ გაზეთ «FOLKETS DAGBLAD POLITIKEN»-ის კორესპონდენტს 1918 წლის 1 ივლისს [79]

დღეს თქვენი კორესპონდენტი ესაუბრა ლენინს რუსეთის მდგომარეობაზე და ევროპის საერთო მდგომარეობაზე. ლენინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რევოლუცია ყოველთვის

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

დიდი ტანჯვით იბადება. ქვეყანა, რომელიც რევოლუციას პარტიდ ახდენს, ყოველთვის სერიოზულ მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე. მაგრამ მდგომარეობა მარტო რუსეთში კი არა, ყველგან მძიმეა. ამბობენ, რუსეთში ანარქია სუფევსო, მაგრამ იგი ოთხი წლის ომის ნაყოფია და არა ბოლშევიკთა რეჟიმისა. ახალ მოსავლამდე დარჩენილი კვირეები ყველაზე ძნელი დრო იქნება. მოსავალს კარგი პირი უჩანს. კონტრრევოლუცია ცდილობს ყველანაირად გამოიყენოს შექმნილი ვითარება. კონტრრევოლუცია მდიდარი გლეხებისა და ოფიცრებისაგან შედგება, მაგრამ, თუ უცხოელთა მხარდაჭერა არ ექნა, იგი უძლურია. იმ ქალაქებში, სადაც კონტრრევოლუციონერები იმარჯვებდნენ, ისინი ხელისუფლების სათავეში სულ რამდენიმე დღეს, ზოგჯერ კი რამდენიმე საათს რჩებოდნენ. ვოლოდარსკის მკვლელობა, მემარჯვენე ესერების მიერ მოწყობილი, არსებითად, კონტრრევოლუციონერთა სისუსტეს ამჟღავნებს. რუსეთის რევოლუციის ისტორია ნათელყოფს, რომ პარტია ყოველთვის ინდივიდუალურ ტერორს მიმართავს, როცა მას მასების მხარდაჭერა არა აქვს.

ბოლშევიკთა პარტიაში შექმნილი ოპოზიცია ბრესტის ზავის წინააღმდეგ, განაცხადა ლენინმა, დამშვიდდა. ბუხარინი, რადეკი და სხვანი კვლავ ჩაებნენ მუშაობაში. ზავი საჭირო იყო, რომ გერმანელებისთვის საშუალება არ მიგვეცა მთლიანად ხელთ ეგდოთ რუსეთი და დაეხრჩოთ რევოლუცია. რაც შეეხება ანარქისტთა წინააღმდეგ მიღებულ ზომებს, ეს ზომები გამოიწვია იმან, რომ ანარქისტები შეიარაღდნენ და მათი ნაწილი გაერთიანდა აშკარად ბანდიტურ ელემენტებთან. იდეური ანარქისტები უკვე გავათავისუფლეთ, ხოლო მათი დიდი ყოველდღიური გაზეთი «ანარქია» წინანდებურად გამოდის [80].

მთელ ამ სიძნელეთა ვითარებაში მიმდინარეობს მრეწველობის ორგანიზაცია. საწარმოთა მესაკუთრენი ჯერ კიდევ

ფართო საბოტაჟს უწევენ ამ მუშაობას, მაგრამ მუშები ხელთ იღებენ საწარმოთა მართვას.

ჩეხოსლოვაკთა ამბოხებას რომ შეეხო, ლენინმა რწმენა გამოთქვა, მას ჩაახშობენ საბჭოთა ჯარები, თუმცა ეს ჭიანურდებაო.

* *
*

გერმანელთა მდგომარეობა უკრაინაში ძალიან მძიმეა. გლეხები მათ სრულებით არ აძლევენ პურს. გლეხები იარაღს ისხამენ და დიდ ჯგუფებად თავს ესხმიან გერმანელ ჯარისკაცებს, სადაც არ უნდა შეხვდნენ მათ. ეს მოძრაობა ფართოვდება. გერმანელთა ოკუპაციის წყალობით უკრაინაში ბოლშევიზმი ერთგვარ ეროვნულ მოძრაობად იქცა. იგი ირგვლივ იკრებს ადამიანებს, რომელთაც წინათ ბოლშევიზმის გაგონებაც კი არ სურდათ. გერმანელთ რომ რუსეთის ოკუპაცია მოეხდინათ, შედეგი იგივე გვექნებოდა. გერმანელებს ზავი სჭირდებათ. დამახასიათებელია, რომ უკრაინაში უკრაინელებზე მეტად გერმანელებს უნდათ ზავი. ასეთივე მდგომარეობაა თურქეთის შესახებაც. გერმანელებმა უკრაინის რადასთან ხელსაყრელი შეთანხმება დადეს მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში ყოველთვის ლანძღვით იხსენიებდნენ ბრესტის ზავს. ახლა გერმანელები კავკასიას ეხმარებიან ბოლშევიკთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

* *
*

ჩვენ რუსეთში ახლა უნდა დაველოდოთ რევოლუციური მოძრაობის განვითარებას ევროპაში. გერმანიის სამხედრო პარტია ამჟამად იმდენად ძლიერია, რომ იგი ზიზღით ლაპარაკობს ბერლინის მთავრობაზე. მაგრამ იმპერიალიზმის მიმართ წინააღმდეგობა თვით ბურჟუაზიულ წრეებშიც კი იზრდება. ადრე თუ გვიან საქმე ყველგან უნდა მივიდეს პოლიტიკურ თუ სოციალურ კრახამდე. ახლანდელი მდგომარეობა მყარი

არ არის, მაგრამ უკეთესი წესრიგის შექმნა მხოლოდ ომისა და სისხლისღვრის დახმარებით არ შეიძლება.

დაიბეჭდა შვედურ ენაზე 1918 წლის
4 ივლისს გაზეთ «Folkets Dagblad
Politiken»-ში № 152

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1962 წელს
ჟურნალ «ვოპროსი ისტორიი კპსს»-ში
№ 2

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის
მიხედვით
თარგმანი შვედურიდან

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით გლეხთა უზრუნველყოფის შესახებ [81]

შეიქმნას კომისია მიწათმოქმედების კომისარიატის, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების განყოფილების და სურსათის კომისარიატის წარმომადგენლებისაგან (სათათბირო ხმით მოწვეულ იქნეს ამხ. კოზმინი) გლეხობისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის საკითხზე იმ მხრივ, რომ უზრუნველვყოთ ისინი სასოფლო-სამეურნეო მანქანებით. დაევალოს კომისიას შეიკრიბოს ხვალ (3 ივლისს) დილიდანვე იმ ვარაუდით, რომ ხვალვე დაუკავშირდეს V ყრილობაზე ჩამოსულ დელეგატებს [82]. კომისიის მოწვევა და სახალხო კომისართა საბჭოში მოწსენებით გამოსვლა დაევალოს ამხ. ხარლოვს. აღსრულება დაევალოს ამხ. სერედას.

დაწერილია 1918 წლის 2 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
საოქმო ჩანაწერის
მანქანაზე
გადაწერილი ეგზემპლარის
მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა იმის შესახებ, რომ არ სრულდება «დეკრეტი რესპუბლიკის ძეგლებზე» [83]

სახალხო კომისართა საბჭო მიუთითებს სახალხო განათლებისა და სახელმწიფო ქონების კომისარიატებს, აგრეთვე მოსკოვის დეპუტატთა საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმს, რომ ისინი სრულიად დაუშვებელ უმოქმედობას იჩენენ 1918 წლის 14 აპრილის დეკრეტის (№ 416 *, კანონთა კრებული, № 31) განსახორციელებლად, და უბრძანებს მათ ხვალ, 1918 წლის 9 ივლისს, შეთანხმებით აირჩიონ ერთი პასუხისმგებელი პირი, რათა ენერგიული ზედამხედველობა გაუწიოს დეკრეტის დაუყოვნებლივ შესრულებას და განხორციელებას, ამასთან დააკისრონ კვირაში ორჯერ მოახსენოს ეს სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს.

დაწერილია 1918 წლის 8 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რსფსრ კონსტიტუციის მეორე განყოფილების მე-20 პუნქტის მონახაზი [84]

რსფსრ აღიარებს, რომ უცხოელ მშრომელებს, რომლებიც მწარმოებლურ შრომას ეწევიან რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საესებით რუსეთის მოქალაქეთა თანაბარი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები ენიჭებათ.

დაწერილია 1918 წლის ივლისში, 10 რიცხვამდე

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* მხედველობაშია მუხლი 416. რ ე დ.

სიტყვა, წარმოთქმული მიტინგზე პრესნიას რაიონში 1918 წლის 26 ივლისს [85]

(ამხ. ლენინის გამოჩენა ხანგრძლივ ოვაციას იწვევს. ასრულებენ «ინტერნაციონალს». ყველანი ფეხზე დგებიან.) სიტყვა მიეცა ამხ. ლენინს, რომელიც ძალიან ნათელი და მისაწვდომი ფორმით აცნობს მსმენელთ საბჭოთა კონსტიტუციის არსს, განმარტავს ამ კონსტიტუციის ძირითად დებულებებს. საბჭოები ხალხის მმართველობის უმაღლესი ფორმაა. საბჭოები გამონაგონი როდია, საბჭოები რეალური სინამდვილის პროდუქტია. კაცობრიობის ისტორიაში საბჭოები პირველად ჩვენს ჩამორჩენილ ქვეყანაში გაჩნდნენ და გაიზარდნენ, მაგრამ ობიექტურად ისინი უნდა იქცნენ მშრომელთა ხელისუფლების ფორმად მთელ მსოფლიოში.

დღემდე არსებული ყველა კონსტიტუცია გაბატონებული კლასების ინტერესთა საგუშაგოზე იდგა. და მხოლოდ საბჭოთა კონსტიტუცია ემსახურება და მუდამ მოემსახურება მშრომელებს და მძლავრ იარაღს წარმოადგენს სოციალიზმის განხორციელებისათვის ბრძოლაში. ამხ. ლენინმა მეტად მოსწრებულად აღნიშნა განსხვავება «ბეჭდვითი სიტყვის და კრებების თავისუფლების» მოთხოვნებს შორის ბურჟუაზიულ კონსტიტუციებსა და საბჭოთა კონსტიტუციაში. იქ ბეჭდვითი სიტყვის და კრებების თავისუფლება მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიის მონოპოლიაა. იქ ბურჟუაზია იკრიბება თავის სალონებში, უშვებს თავის დიდ გაზეთებს, რომლებიც ბანკების სახსრებით გამოდის, რათა სიცრუე და ცილისწამება თესოს და ხალხის მასების შეგნება მოწამლოს, იქ მუშათა პრესას ახშობენ, არ აძლევენ საშუალებას თავისი სიტყვა თქვას, აზრი გამოხატოს მძარცველურ ომზე, ომის მოწინააღმდეგეებს დევნიან, შეკრებას უკრძალავენ. აქ კი, საბჭოთა რუსეთში, მუშათა პრესა არსებობს და მშრომელებს ემსახურება. რუსეთში ბურჟუაზიას ვართმევთ საუცხოო შენობებს, სასახლეებს და მუშებს ვაძლევთ, რათა თავიანთ კლუბებად აქციონ

ისინი. ეს გახლავთ კრებების ნამდვილი თავისუფლება. რელიგია კერძო საქმეა. ვისაც რა უნდა, ის იწამოს ან სულაც ნურაფერს იწამებს. საბჭოთა რესპუბლიკა აერთიანებს ყველა ერის მშრომელებს და ეროვნებათა განურჩევლად იცავს მშრომელთა ინტერესებს. საბჭოთა რესპუბლიკამ არ იცის არავითარი რელიგიური განსხვავება. იგი ყოველგვარი რელიგიის გარეთ დგას და ცდილობს რელიგია საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოაშოროს. შემდეგ ამხ. ლენინმა დაგვიხატა მძიმე მდგომარეობა, რომელშიც საბჭოთა ხელისუფლება იმყოფება, ყოველი მხრიდან გარშემორტყმული იმპერიალისტ მტაცებელთა რკალით. ამხ. ლენინმა რწმენა გამოთქვა, რომ წითელარმიელები მთელი ძალ-ღონით დაიცავენ ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკას საერთაშორისო იმპერიალიზმის ხელყოფისაგან და შეინარჩუნებენ მას, ვიდრე დაგვეხმარებოდეს ჩვენი მოკავშირე — საერთაშორისო პროლეტარიატი. (მ ქ უ ხ ა რ ე დ ა ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი თ კ რ ე ბ ა ე რ თ ს უ ლ ო ვ ნ ა დ ხ ვ დ ე ბ ა ა მ ხ. ლ ე ნ ი ნ ი ს ს ი ტ ყ ვ ა ს. ა ს რ უ ლ ე ბ ე ნ «ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ს».)

პირველად დაიბეჭდა 1957 წელს
ჟურნალ «კომუნისტში» № 5

იბეჭდება
საოქმო ჩანაწერის
მანქანაზე
გადაწერილი ეგზემპლარის
მიხედვით

1918 წლის აგვისტო — 1920 წლის ოქტომბერი

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა კარტოფილის ფასების შესახებ [86]

1) კარტოფილის მტკიცე ფასების შემოღება გადაიდოს 1 ოქტომბრამდე.

2) დაევალოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს:

დაუყოვნებლივ მობილიზაცია უყოს სტატისტიკური აპარატის მთელ ძალებს,

რათა (α) აღრიცხოს კარტოფილის მოსავალი;

(β) აღრიცხოს და რეგისტრაციაში გაატაროს კარტოფილის საშუალო და მსხვილი მთესველი

უწინარეს ყოვლისა, მოსკოვსახლო მდებარე, ყველაზე უხვკარტოფილიან გუბერნიებში;

შემდეგ დანარჩენ კარტოფილის მთესველ გუბერნიებში.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამგემ მიღებული ზომების ანგარიში წარმოადგინოს ხვალ, პარასკევს, და შემდეგ კვირაში ორჯერ.

3) დაევალოს სურსათის კომისარიატს (შინაგან საქმეთა კომისარიატის და მოსკოვის დეპუტ ტთა საბჭოს მონაწილეობით) სასწრაფოდ განიხილოს, თუ როგორ შემოიღოს სახელობითი ხელწერილის (კარტოფილის გამყიდველი მფლობელისაგან) მოთხოვნა როგორც ურმით, რკინიგზით და წყლის გზით კარტოფილის თავისუფალი გადაზიდვის პირობა.

4) დაევალოს სურსათის კომისარიატს დაუყოვნებლივ დარაზმოს მაქსიმუმი ძალები, რათა 25 აგვისტოსათვის მოაწყოს

სულ ცოტა 40 მლნ. ფუთი კარტოფილის სასწრაფო და მასობრივი შესყიდვა თავისუფალ ფასებში და დედაქალაქების სახელმწიფო საწყობებში და სამხედრო ბაზებში მიზიდვა.

5) საამისოდ მოვიზიდოთ მასობრივი მუშათა ძალები პროფესიული კავშირების და სამრეწველო გუბერნიების დეპუტატთა საბჭოების მეშვეობით.

6) დაევალოს სურსათის კომისარიატს ამ ოპერაციის მიმდინარეობის და მისი მომზადების ღონისძიებების ანგარიში (აგრეთვე მის შესახებ მონაცემების ჩანაწერები) მოგვცეს ხვალ, პარასკევს, და შემდეგ კვირაში ორჯერ.

7) მიეცეს სურსათის კომისარიატს კარტოფილის შესყიდვის ოპერაციისათვის 500 მლნ. მანეთი.

8) ხვალვე გამოქვეყნდეს ამ დადგენილების § 1 [87].

დაწერილია 1918 წლის 22 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ღარიბკომების მიერ კულაკებისათვის თესლის ჩამორთმევის შესახებ

ხომ არ დავუმატოთ?

ღარიბთა კომიტეტებმა სათესლედ ჩამოართვან მდიდრებს — კულაკებს პური და ყოველ შემთხვევაში, თუ ჩამორთმევა შეუძლებელია ახლა, საჭიროა შემდეგში მდიდრებს გადავახდევინოთ ის თესლი, რომელსაც ღარიბებისათვის დროებით ავიღებთ მემამულეთა ეკონომიების პურიდან [88].

დაწერილია 1918 წლის აგვისტოში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დეკრეტისათვის სოფლის მეურნეთა ნატურალური გადასახადით დაბეგვრის შესახებ [89]

1

დეკრეტის ძირითადი დებულებანი

პროექტი 4 დღეში გადავამუშაოთ შემდეგნაირად:

1) უაღრესად პოპულარული შესავალი
   (α) ნამეტი და გამთანაბრებლობა
   (მე-17, მე-12 და სხვა მუხლები მიწის სოციალიზაციის კანონისა [90])
   (β) ბურჟუაზიის სრული ექსპროპრიაცია
   (γ) მდიდარი გლეხის ექსპროპრიაციას **ნუ** მოვახდენთ, **დ ა ვ ბ ე გ რ ო თ** კი სამართლიანად, მაგრად
   (δ) საშუალო გლეხობა ლმობიერად დავბეგროთ
   (ε) ღარიბობას სულ ნუ დავბეგრავთ.

NB

2) თვით კანონში შემოვიღოთ დაყოფა ღარიბობად (არავითარი დაბეგვრა), საშუალო გლეხობად (ძალიან ლმობიერი დაბეგვრა) და მდიდრებად.
3) ღარიბობის % გამოვიყვანოთ არა $< 40\%$, საშუალო გლეხობისა — არა $< 20\%$.
4) საშუალო გლეხობის დაბეგვრა **უაღრესად** შევამციროთ.
5) საოლქო საბჭოთა ორგანიზაციებს უფლება ენიჭებათ დააყენონ მდიდართა დაბეგვრის ნორმების შეცვლის საკითხი.
6) ღარიბობას მივცეთ უფლება აკრეფილი გადასახადის ნაწილის მიღებისა (სურსათად და სათესლედ).

2

დეკრეტის პროექტის შენიშვნები

NB

(1) ყველა 2 მილიონი კულაკი როდია.
(2) მდიდარი გლეხი შესაძლოა ძალიან შეძლებული იყოს, მაგრამ არა დამკაბალებელი და სხვა.

(3) ჩვენ კაპიტალისტების ექსპროპრიაციას ვახდენთ, ქონებას ვართმევთ მათ, — მდიდარ გლეხს **არა.**

(4) კულაკების აჯანყებისა და ურჩობისათვის — კონფისკაცია.

დაწერილია 1918 წლის 21 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა:
ძირითადი დებულებანი — 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში;
შენიშვნები — 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერთა მიხედვით

ღარიბთა კომიტეტების შესანახი სახსრების გაღების შესახებ სახკომსაბჭოს დადგენილებისათვის

$$2 \times 6^1/_2 = 13$$

ერთი კვირის ვადაში.

დროებით და პირობითად დეპუტატთა საბჭოებთან შერწყმამდე ან გამგებლობის გამიჯვნამდე.

ინსტრუქცია იმისა, თუ ვის და **რა** პირობით მიეცეს.

დაწესდეს მიმღების პასუხისმგებლობა და შემდეგი მისაცემი არასგზით არ მიეცეს, ვიდრე წინას ანგარიშს არ წარმოადგენს.

გადაიხადონ სურსათის კომისარიატის მეშვეობით [91].

დაწერილია 1918 წლის 15 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ხე-ტყის დამზადების შესახებ სახკომსაბჭოს დადგენილებისათვის

შემოწმდეს 1917 და 1918 წლის შემოზიდვის ციფრები და შედეგები.

ხე-ტყის დამამზადებელ დაწესებულებათა **რა** ნაწილია გაერთიანებული?

ხე-ტყის დამამზადებელი განყოფილების აგებულების ზუსტი მონაცემები სხვა დაწესებულებათა **მიმართ.**

სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკული ზომები.

გზად მომავალი და მოსკოვში არსებული შეშის მთელი მარაგის რეკვიზიცია.

სადგურში პურის * სავალდებულო მიზიდვის ზომები [92].

დაწერილია 1918 წლის 15 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მონახაზი დადგენილების თეზისებისა კანონის ზუსტად დაცვის შესახებ

I. კანონიერება უნდა ავამაღლოთ (ანუ უაღრესად მკაცრად დავიცვათ), რადგან რსფსრ კანონთა საფუძვლები დადგენილია.

II. კონტრრევოლუციის წინააღმდეგ **ომის** საგანგებო ზომები **არ** უნდა შემოიფარგლოს კანონებით იმ **პირობით, თუ**

(α) არის სათანადო საბჭოთა დაწესებულების ან თანამდებობის პირის ზუსტი და ფორმალური განცხადება, რომ სამოქალაქო ომის და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის გაუთვალისწინებელი პირობები მოითხოვენ კანონის ფარგლებიდან გამოსვლას;

(β) ასეთ განცხადებას დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობებენ სახკომსაბჭოს, ამასთან ასლი ეგზავნება ადგილობრივ და დაინტერესებულ ხელისუფალთ.

III. **საბჭოთა** ხელისუფლების თანამდებობის პირებსა ან დაწესებულებებს შორის წარმოქმნილი ყველა კონფლიქტისა თუ შეხლა-შემოხლის დროს, ანდა თუ წარმოიქმნება გაუგებრობა ან დავა უწყებათა ზღვარის ან სხვა მსგავსი რამის გამო — ყველა ეს პირი და დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ შეადგინოს ძალიან

* ეტყობა, შეცდომაა. მიღებულ სახკომსაბჭოს დადგენილებაში ლაპარაკია შეშის შემოზიდვაზე. რ ე დ.

მოკლე ოქმი, რომელშიც სავალდებულოა აღნიშნული იყოს თარიღი, ადგილი, თანამდებობის პირთა გვარი და სახელი ან დაწესებულების სახელწოდება და საქმის არსის უაღრესად მოკლე აღნიშვნა (და არა მოყოლა). ოქმის ასლი უეჭველად უნდა გადაეცეს მეორე მხარეს.

IV. საბჭოთა ხელისუფლების ყოველი თანამდებობის პირი ან დაწესებულება ვალდებულია შეადგინოს ასეთი მოკლე ოქმები, თუ რესპუბლიკის რომელიმე მოქალაქე გაასაჩივრებს ამ თანამდებობის პირის ან დაწესებულების რომელიმე ღონისძიებას (ან საქმის გაჭიანურებას და ა. შ.). ასლი უეჭველად ეგზავნება მომჩივან მოქალაქეს, ხოლო მეორე — ზემდგომ დაწესებულებას.

V. თუ ოქმის მოთხოვნა აშკარად უსაფუძვლოა და უხეშ ბოროტმოქმედებას წარმოადგენს, მოსალოდნელია სასამართლო დევნა.

VI. უარი ისეთი ოქმის გაცემაზე, რომელზეც გარკვევით იქნებოდა დაწერილი თანამდებობის პირის გვარი და სახელი, მძიმე თანამდებობრივი დანაშაულია.

წინადადებას ვაყენებ: ცენტრალური კომიტეტი პრინციპულად იწონებს ამას და ავალებს იუსტიციის სახალხო კომისარიატს რედაქცია გაუკეთოს მას როგორც დეკრეტს [93].

2/XI. 1918.

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა საბავშვო სახლების შესახებ [94]

1) სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის დეკრეტის პროექტი უარყოფილ იქნეს.

2) დაევალოთ სოციალური უზრუნველყოფის და სახალხო განათლების კომისარიატებს 1918 წლის 5 ივნისის დეკრეტის (№ 39 კანონთა კრებულის მუხლი 507) § 3-ის შესაბამისად დაეთანხმონ გადაცემის წესსა და ვადას [95].

3) დაეკალოს ორივე კომისარიატს 2 თვის ვადაში შეკრიბონ და სახკომსაბჭოს წარუდგინონ თავშესაფართა და მსგავს დაწესებულებათა ფაქტობრივი მდგომარეობის, რაოდენობის და სხვ. ცნობები.

დაწერილია 1918 წლის 19 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დამატება დეკრეტის პროექტისა მოსახლეობის მომარაგების ორგანიზაციის შესახებ

ე) კოოპერაციული საწყობების და დუქნების მუნიციპალიზაცია * არ უნდა მოხდეს.

იმ ადგილებში, სადაც ამ დეკრეტის გამოსვლამდე საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა მოახდინეს კოოპერატივების ნაციონალიზაცია ან მუნიციპალიზაცია და კოოპერაციული დუქნების საქონლის მარაგის რეკვიზიცია ან კონფისკაცია, — ყველა ეს კოოპერატივი უნდა აღადგინონ, საქონელი მათ უკან დაუბრუნონ, დანაკლისზე ანგარიში ჩააბარონ და ამიერიდან კოოპერატივთა კანონიერი საქმიანობა არ უნდა შეაფერხონ.

შენიშვნა:

კოოპერატივების აღდგენისას სავალდებულოა ზომების მიღება იმისათვის, რომ არ დაეუშვათ მათი საქმიანობის კონტრრევოლუციური ან კულაკური დამახინჯება და რომ

* მიღებული დეკრეტის ტექსტშია: «ნაციონალიზაცია». რ ე დ.

ღარიბთა კომიტეტებმა და ადგილობრივმა საბჭოებმა უცილობლად განახორციელონ მათი მკაცრი კონტროლი [96].

დაწერილია 1918 წლის 21 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

თავდაცვის საბჭოს ამოცანებისა და მუშაობის ორგანიზაციის შესახებ [97]

მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭოს 1-ლი სხდომა

1

1. XII. 1918.		თემები საერთო მიმოხილვისა:
1. ამოცანების საერთო მიმოხილვა.	I	1. სასურსათო საქმე
2. პროფესიული კავშირებისაგან დაემატოს.		2. საგზაო საქმე
3. მუშაობის წესი.		3. სამხედრო მომარაგება
		4. ინტელიგენციის მობილიზაცია.
		5. ტექნიკურ ძალთა »
		6. სათბობი.
		7. **სახელმწიფო კონტროლი** და უმაღლესი სამხედრო ინსპექცია.

2

I. დავალება სურსათის კომისარიატს — ოთხ დღეში მოგვცეს დამზადებათა ტემპის გაძლიერებისა და ოდენობის გეგმა, გაეგზავნოს თავდაცვის საბჭოს	მილიტარიზაცია

2) დაევალოთ სოციალური უზრუნველყოფის და სახალხო განათლების კომისარიატებს 1918 წლის 5 ივნისის დეკრეტის (№ 39 კანონთა კრებულის მუხლი 507) § 3-ის შესაბამისად დაეთანხმონ გადაცემის წესსა და ვადას [95].

3) დაეკალოს ორივე კომისარიატს 2 თვის ვადაში შეკრიბონ და სახკომსაბჭოს წარუდგინონ თავშესაფართა და მსგავს დაწესებულებათა ფაქტობრივი მდგომარეობის, რაოდენობის და სხვ. ცნობები.

დაწერილია 1918 წლის 19 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დამატება დეკრეტის პროექტისა მოსახლეობის მომარაგების ორგანიზაციის შესახებ

ე) კოოპერაციული საწყობების და დუქნების მუნიციპალიზაცია * არ უნდა მოხდეს.

იმ ადგილებში, სადაც ამ დეკრეტის გამოსვლამდე საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა მოახდინეს კოოპერატივების ნაციონალიზაცია ან მუნიციპალიზაცია და კოოპერაციული დუქნების საქონლის მარაგის რეკვიზიცია ან კონფისკაცია, — ყველა ეს კოოპერატივი უნდა აღადგინონ, საქონელი მათ უკან დაუბრუნონ, დანაკლისზე ანგარიში ჩააბარონ და ამიერიდან კოოპერატივთა კანონიერი საქმიანობა არ უნდა შეაფერხონ.

შენიშვნა:

კოოპერატივების აღდგენისას სავალდებულოა ზომების მიღება იმისათვის, რომ არ დაეუშვათ მათი საქმიანობის კონტრრევოლუციური ან კულაკური დამახინჯება და რომ

---

* მიღებული დეკრეტის ტექსტშია: «ნაციონალიზაცია». რ ე დ.

ღარიბთა კომიტეტებმა და ადგილობრივმა საბჭოებმა უცილობლად განახორციელონ მათი მკაცრი კონტროლი [96].

დაწერილია 1918 წლის 21 ნოემბერს
პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

თავდაცვის საბჭოს ამოცანებისა და მუშაობის ორგანიზაციის შესახებ [97]

მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭოს 1-ლი სხდომა

1

1. XII. 1918.		თემები საერთო მიმოხილვისა:
1. ამოცანების საერთო მიმოხილვა.	I	1. სასურსათო საქმე
2. პროფესიული კავშირებისაგან დაემატოს.		2. საგზაო საქმე
3. მუშაობის წესი.		3. სამხედრო მომარაგება
		4. ინტელიგენციის მობილიზაცია.
		5. ტექნიკურ ძალთა »
		6. სათბობი.
		7. **სახელმწიფო კონტროლი** და უმაღლესი სამხედრო ინსპექცია.

2

1. დავალება სურსათის კომისარიატს — ოთხ დღეში მოგვცეს დამზადებათა ტემპის გაძლიერებისა და ოდენობის გეგმა, გაეგზავნოს თავდაცვის საბჭოს	მილიტარიზაცია

სურსათის კომისარიატში შევქმნათ პროდუქტების **გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს** გაუმჯობესების, **გ ა ნ მ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ე ლ ი ა პ ა რ ა ტ ი ს** გაუმჯობესების განყოფილება.

შეერწყას მთავარი სამეურნეო სამმართველო სურსათის კომისარიატს [+ პროდპუტ]. დაევალოს სურსათის კომისარიატს დაამუშაოს საკითხი (ა) ტულის ვაზნების ქარხნის მე-3 ცვლისთვის [+ სიმბირსკის ვაზნების ქარხნისათვის] სურსათის მიწოდების შესახებ.

ბ) წითელარმიული ულუფის შემოღების შესახებ მოსკოვის მიდამოებში ტორფსა და ნახშირზე — **და შეშის საქმეზე** მომუშავეთათვის.

II. კომისია პრემიების შესახებ. II საკითხზე შექმნილია ურთიერთთავდებობის კომისია. **3 კ ო მ ი ს ი ა**

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო კ ო ნ ტ რ ო ლ ი. ს ა ხ ე ლ დ ა ხ ე ლ ო კ ო ნ ტ რ ო ლ ი.

III.

IV და V. კრასინს

კრასინი + ნევსკი + გორბუნოვი [98]

VI. სათბობის კომისია: ლენინი,
რიკოვი,
ვოლკოვსკი,
ნევსკი,
რადჩენკო [99].

რწმუნებულთა საკითხი vs * იჯარადარნი.

VII. **უ მ ა ღ ლ ე ს ი ს ა მ ხ ე დ რ ო ი ნ ს პ ე ქ ც ი ა.**

---

* — versus — შედარებით; მიმართ. **რ ე დ.**

3

1) დაევალოს სურსათის კომისარიატს უმოკლეს ვადაში წარმოადგინოს როგორც პურის, ისე ფურაჟის მეტისმეტად გაძლიერებული დამზადების გეგმა.

2) სამეულთა რაოდენობის გადიდებისას დაინიშნონ ამ სამეულებში სასურსათო ორგანოების ადგილობრივი მოღვაწენი.

3) დაევალოს ამხ. კრასინს ჩაატაროს პიტერში ფეხსაცმლის მარაგის გამოყენების საკითხის სასწრაფო გამოძიება.

(სურსათის ობერ კომისარიატის ხოდინკას საწყობი *)

4) ვალდებულება, რომ თავმჯდომარეს დაუყოვნებლივ აცნობონ მოკლე მოთხოვნები ან მოკლედ ჩამოყალიბებული უწესრიგობათა აღნიშვნები.

დაწერილია 1918 წლის 1 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი თავდაცვის საბჭოს სათბობის კომისიის დადგენილებისა [100]

1) რადჩენკო, როგორც სათბობის ხუთეულის **თავმჯდომარე**, დღეში ორ საათზე მეტს არ უთმობს ტორფის კომიტეტს.

2) წინადადება მიეცეს ხე-ტყის კოლეგიას დღესვე **შემოიტანოს** ფორმალური საჩივარი ფულის საქმის **გაჭიანურებაზე** [101].

1) დაევალოს ხე-ტყის კოლეგიას 2 დღის ვადაში შეუთანხმდეს სამხედრო უწყებას

ა) ტყის მჩეხველთა და ტყის მზიდავთა სამხედრო ბეგრის გადავადების კანონის თაობაზე.

---

* ობერ (გერმანული ober — უმაღლესი). იგულისხმება უშუალოდ რსფსრ სურსათის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მყოფი საწყობი. რ ე დ.

ბ) ტყის სამუშაოებზე მოსახლეობის მობილიზაციის კანონის თაობაზე.

2) მიწათმოქმედების კომისარიატს ებრძანოს დაუყოვნებლივ შეასრულოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ბრძანება და ხე-ტყის კოლეგიის კონტროლით ხვალ, 3. XII, გამოსცეს დადგენილება ტყესაკაფის გამოყოფისა და ტყის გასაჩეხი ბილეთების გაცემის შესახებ.

3) გაფრთხილებულ იქნეს მიწათმოქმედების კომისარიატის ხე-ტყის ცენტრალური განყოფილება, რომ, თუ კიდევ გაგრძელდა საქმის გაჭიანურება და კიდევ შემოვიდა თუნდაც ერთი საჩივარი ხე-ტყის კოლეგიის მხრივ, ხე-ტყის ცენტრალური განყოფილების შემადგენლობას დააპატიმრებენ და სასამართლოს გადასცემენ.

4) ხე-ტყის კოლეგიას მიენიჭოს უფლება შეამოწმოს ყველა უწყების საწყობი იმ მხრივ, აქვთ თუ არა მათ ხერხი და ცული (ე. ი. გადასინჯოს წიგნები და დაათვალიეროს საწყობი).

2/XII. ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1918 წლის 2 დეკემბერს
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

წინადადებანი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის მუშაობის შესახებ [102]

სათავეში უნდა ედგნენ პარტიის წევრები, რომლებიც სულ ცოტა ორი წელიწადი მაინც არიან პარტიაში [103].

გადავამუშაოთ რკინიგზის საგანგებო კომისიის დებულება [104].

დავადასტუროთ, რომ **პროფესიულ** და პარტიულ ორგანიზაციებს უფლება ენიჭებათ თ ა ვ დ ე ბ ა დ დ ა დ გ ო მ ი ს ა.

უფრო მკაცრად ვდევნოთ და დახვრეტით დავსაჯოთ ტყუილუბრალოდ დამბეზღებლები.

თავდებად დადგომის უფლება მივანიჭოთ სახალხო კომისრებს, თუ იქნება კოლეგიის ორი წევრის ხელმოწერა.

გამოძიებაში მონაწილეობის უფლება ენიჭება[105] და ა. შ.

ტექნიკური ძალების, აგრეთვე საერთოდ ინტელიგენციის აღრიცხვის შემოღებისას გავაფრთხილოთ, რომ ის, ვინც რეგისტრაციას არ გაივლის, კარგავს თავდებობის მოწმობის მიღების უფლებას.

დაუყოვნებლივ გავაფართოოთ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიაში საჩივრების და საქმის დაჩქარების შესახებ თხოვნის განყოფილება.

დაწერილია 1918 წლის 3 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მონახაზი წინადადებებისა სურსათის დამზადების ტემპისა და ოდენობის გაძლიერების შესახებ[106]

1) სასურსათო არმიელები — შეიცვალოს.
2) ჩამორჩენილ რაიონებში და სხვ. საგანგებო კომისრები, სპეციალური ამოცანების და პრემიების მქონე ორგანიზატორები...
3) სასურსათო კომისარიატის აპარატი, რეფორმა და «შენჯღრევა» აპარატისა.
4) **მუშათა ინსპექცია...**

ცალკეული ადგილობრივი სახალხო მეურნეობის საბჭოებისათვის კონკრეტული დაწვრილებითი დავალებების შედგენა, შეჯიბრების გამოწვევა...

დაევალოთ ადგილობრივ სამხედრო ხელისუფლებს მისცენ სასურსათო ორგანოებს **ესა და ეს** (განვსაზღვროთ, რო-

მელი) სამხედრო ნაწილები «სასურსათო არმიის» სამუშაოებისათვის.

დაწერილია 1918 წლის 4 დეკემბერს
პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

«მუშათა სასურსათო ინსპექციის მოწყობის დებულების» პროექტისათვის [107]

1

სახკომსაბჭოს დადგენილების მონახაზი

სისტემატურად

1) შევამოწმოთ სურსათის კომისარიატის და სასურსათო ორგანოების გარკვეულ დავალებათა, ზუსტად გარკვეულ დავალებათა სასწრაფოდ შესრულების კონკრეტული შემთხვევები;
2) დავამყაროთ კავშირი მუშათა და მშრომელთა მასებთან და სისტემატურად ჩავაბათ ისინი სურსათის მიწოდებისა და განაწილების საქმეში ჯერ როგორც მოწმენი, შემდეგ როგორც ინსპექციის წევრები;
3) მუშათა ინსპექციის **ყველა** ორგანოს მოვალეობაა ყოველკვირეულად თავისი საქმიანობის ანგარიში ჩააბაროს პროფესიულ კავშირთა ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებს;
4) სათათბირო ხმით... *

2

«დებულების» პროექტის შენიშვნები

გადავამუშაოთ ეს პროექტი იმ მხრივ, რომ (1) მუშათა სასურსათო ინსპექციის ამოცანად გარკვეულად დაისახოს არა მარტო საქმის წარმოების გაცნობა, არამედ უმთავრესად ფაქ-

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

ტობრივი შემოწმება პროდუქტების დამზადების, მიწოდებისა და განაწილების ხაზით სასურსათო ორგანოების საქმიანობის კონკრეტული შემთხვევებისა;

— შემდეგ (2) მუშათა სასურსათო ინსპექციის მოვალეობის შესახებ დავაწესოთ სასურსათო პოლიტიკის კავშირი მუშათა და მშრომელთა მასებთან და უკლებლივ ჩავაბათ ისინი (როგორც პირველი ნაბიჯი, მოწმეთა მონაწილეობის მეშვეობით) სასურსათო მართვის საქმეში.

(3) — რომ მუშათა სასურსათო ინსპექციის მოვალეობა იყოს ყოველკვირეულად ანგარიში ჩააბაროს მუშათა კლასის და მშრომელი მოსახლეობის ფართო მასებს უწინარეს ყოვლისა პროფესიულ კავშირთა მეშვეობით.

დაწერილია 1918 წლის 5 დეკემბერს
პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები ვაზნების კომისიის სხდომაზე [108]

ვაზნების კომისიის 1-ლი სხდომა
1918 წლის 5 დეკემბერი

ტულის ვაზნების ქარხანა.

მწარმოებლურობის გადიდების ღონისძიებანი:

ახალი გამგეობა.

პრემიები.

მე-3 ცვლა (+ 2000 კაცი).

შრომის ბირჟისაგან (ტულის შრომის ბირჟისაგან) **ემანსიპაცია.**

მოწყობილობის **მომატება** (პიტერში არსებული ნარჩენებისაგან).

წარმოების აღრიცხვა და სტატისტიკა: ყოველკვირეულად.

უცხოური ნიმუშები.

როგორ შევკრიბოთ რუსეთში მაღალკვალიფიციური მუშები?

საზღვარგარეთიდან სპეციალისტთა გამოწვერა.

დავალება სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებას.

წარმოების სწორი ყოველკვირეული აღრიცხვის დაყენება.

ვაზნები დღეში ერთ მუშაზე:

1916 : 240

1918 : 225

ქარხნის მწარმოებლობა

maximum 1916 : 35 მილიონი

1918: თვე XII — 16 — 18 — 20

(შესაძლოა, 25 — 27) მლნ.

1919: I — 16 — 20

II — 18 — 25

III — 20 — 27

IV — 22 — 29

V — 25 — 31

VI — 28 — 33

VII — 35

ერთი თვის ან ორი თვის შემდეგ შემოვიღოთ 3 ცვლა.

დაწერილია 1918 წლის 5 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბანკების მოსამსახურეთა სრულიად რუსეთის ყრილობის მოწვევის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროექტისათვის

ბანკის მოსამსახურეთა (ორივე კავშირის ბანკის მოსამსახურეთა) ყრილობა დაუყოვნებლივ, 10 დღეში, ყრილობის მომწვევი პარიტეტული კომისიებით[109].

ასეთივე პარიტეტული კომისიები საბოტაჟის შემოწმებისა, გამოვლინებისა და მხილებისათვის.

საკრედიტო საქმის მუშაკთა სრულიად რუსეთის პროფკავშირის ხელმძღვანელ ჯგუფებს გარკვეული, დეტალურად გარკვეული ზუსტი პრაქტიკული დავალებები მივცეთ ბანკების ნაციონალიზაციის ხაზით მუშაობის სფეროში, ამასთან დავალების შესასრულებლად მცირე ვადა დავუნიშნოთ.

დაწერილია 1918 წლის დეკემბერში,
6 რიცხვამდე

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

წინადადებანი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საფეიქრო მრეწველობის ცენტრალური კომიტეტის დაფინანსების საკითხის გამო [110]

ყოველკვირეული ანგარიში ერთიან ს ა ლ ა რ ო თ ა (განყოფილებების ან საწარმოების სალაროთა) რაოდენობის შესახებ.

ყოველკვირეული ანგარიში იმ პროდუქტთა რაოდენობის შესახებ, რომლებიც თითოეული მთავარი კომიტეტიდან და თითოეული მსხვილი ფაბრიკიდან ჩაიტანეს ადგილებზე, აგრეთვე დაურიგეს მოსახლეობას.

1) სახალხო ბანკის კონტროლი ფულის შეტანასა და გაცემაზე — სალაროს ერთიანობა.
2) «საქონელგაცვლის» კონტროლი პროდუქტების გაზიდვასა და მომხმარებლისათვის მიწოდებაზე.
3) პირადი პასუხისმგებლობა ყოფილი კაპიტალისტებისა ან საწარმოთა ყოფილი მფლობელებისა ყველა მთავარ კომიტეტსა და ცენტრში (ციხეში ჩასმა, ყოფილ კაპიტალისტთა დახვრეტა, მათი ოჯახების დაპატიმრება) [111].
4) დაევალოს სურსათის კომისარიატს, რომ პროდუქტის განაწილების სფეროში, როგორც

ყველაზე სუსტ სფეროში, გარკვეული პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი დავალება მისცეს სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა კ ა ვ შ ი რ ს, როგორც კ ა ვ-შ ი რ ს, კავშირის მთელი შემადგენლობის კოლექტიური პასუხისმგებლობით.

დაწერილია 1918 წლის 14 დეკემბერს
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ბ. ბ. ჩიჩერინს [112]

ამხ. ჩიჩერინ! **საჩქაროდ** («სპარტაკელის» [113] წასვლამდე დავამტკიცოთ ცენტრალურ კომიტეტში) უნდა მოვამზადოთ საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია III ინტერნაციონალის დასაარსებლად.

(ბერლინში (აშკარად) ან ჰოლანდიაში **(ფ ა რ უ ლ ა დ), ვთქვათ 1919 წლის 1 თებერვლისათვის)**

[საერთოდ ძ ა ლ ი ა ნ მალე]

ამისათვის საჭიროა

(ა) ჩამოვაყალიბოთ პლატფორმის ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი (მე მგონია, შეიძლება

(α) ავიღოთ ბ ო ლ შ ე ვ ი ზ მ ი ს თეორია და პრაქტიკა — დავავალოთ **ბუხარინს** რამდენადაც შეიძლება მოკლედ ჩამოაყალიბოს თეზისებად. მოელაპარაკეთ ბუხარინს — იქნებ ნ ა წ ი ლ ი ა ვ ი ღ ო თ პროგრამის ჩემი პროექტიდან *

* ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს პარტიის ახალი პროგრამის პროექტის მასალა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 24, გვ. 549—582; ტ. 27, გვ. 166—173). რ ე დ.

(β)შემდეგ ავიღოთ «*Was will der Spartacusbund?*»).
α+β საკმაოდ ნათლად იძლევა პლატფორმის საფუძვლებს;

(ბ) **III ინტერნაციონალის ბაზის** (ორგანიზაციული ბაზის) განსაზღვრა (სოციალ-პატრიოტებთან საერთო არაფერი);

(გ) შევადგინოთ პარტიების სია, დაახლოებით, სამი რუბრიკის მიხედვით

αα) პარტიები და ჯგუფები, რომელთა შესახებაც ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი უკვე დგანან III ინტერნაციონალის ბაზაზე და საკმაოდ სოლიდარული არიან III ინტერნაციონალის ფორმალური დაარსებისათვის;

ββ) თითქმის ასეთი პარტიები, რომელთაგანაც **მოველით** დაახლოებას და გაერთიანებას;

γγ) სოციალ-პატრიოტული პარტიების **შიგნით** არსებული ჯგუფები და მიმდინარეობანი, რომლებიც ცოტად თუ ბევრად ახლოს დგანან **ბოლშევიზმთან.**

სანიმუშო სიას გთავაზობთ (გვ. 4) *, იგი **გულმოდგინედ** უნდა შეივსოს.

ვის ვიწვევთ ჩვენს კონფერენციაზე? მხოლოდ αα+ββ+γγ და მხოლოდ იმათ, ვინც (1) გადაჭრით მოითხოვს სოციალ-პატრიოტებისაგან გათიშვას (ე. ი. იმათგან გათიშვას, ვინც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მხარს უჭერდა ბურჟუაზიულ მთავრობას 1914—1918 წლების იმპერიალისტური ომის დროს); 2) მხარს უჭერს სოციალისტურ რევოლუციას ახლა და **მხარს უჭერს** პროლეტარიატის დიქტატურას; 3) პრინციპში მხარს უჭერს «საბჭოთა ხელისუფლებას» და წინააღმდეგია ჩვენი მუშაობის შემოფარგვლისა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმით, წინააღმდეგია დავემორჩილოთ ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმს, **მხარს უჭერს** იმას, რომ საბ-

* სია იხ. ამ წერილის ბოლოს. რედ.

ჭოთა ხელისუფლების **ტიპი უფრო მაღალია** და **ახლოს დგას სოციალიზმთან.**

იქნებ დავძინოთ: ჩვენ არ ვთავაზობთ დაუყოვნებლივ «კომუნისტური» ღაირქვას მ თ ე ლ მ ა III ინტერნაციონალმა, მაგრამ **დღის წესრიგში (განსახილველად) ვ ა ყ ე ნ ე ბ თ საკითხს,** რომ გადაჭრით ხელი აიღონ «სოციალ-დემოკრატიული» და «სოციალისტური» პარტიების სახელწოდებაზე და დაირქვან კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი.

მოსაზრებანი	თ ე ო რ ი უ ლ ი	მარქსი და ენგელსი
	ი ს ტ ო რ ი უ ლ ი	II ინტერნაციონალის კრახი
		სოციალ - პატრიოტიზმის სირცხვილი
	პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი	უკვე მიიღეს
		რუსეთმა
		ფინეთმა
		გერმანულმა ავსტრიამ
		ჰოლანდიამ
		უნგრეთმა

გთხოვთ ს ა ჩ ქ ა რ ო დ ხელი მოჰკიდოთ ამ საქმეს და, ბუხარინთან ერთად, შეადგინოთ **პროექტი** ყველა ამ პუნქტის მიხედვით. **მყისვე მიპასუხეთ, თუნდაც მოკლედ.**

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

საზომად არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება «ციმერვალდელების» აღება.

	(αα)	სპარტაკუსბუნდი	(გერმანია)
		კომუნისტური	პარტია ფინეთისა
		»	» გერმანული ავსტრიისა
		»	» უნგრეთისა
		»	» ჰოლანდიისა
		»	» რუსეთისა
		»	» უკრაინისა
		»	» ესტლანდიისა
		»	» ლატვიისა

αα სოციალ-დემოკრატია პოლონეთისა და ლიტვისა

ββ ბულგარეთის ტესნიაკები
რუმინეთის პარტია?

γγ ((მემარცხენენი და ახალგაზრდები
შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

ββ სოციალისტური პარტია შოტლანდიისა
αα მემარცხენენი შვეციის სოციალ-დემოკრატიისა
ββ სოციალ-დემოკრატიული პარტია ნორვეგიისა
ββ სოციალ-დემოკრატთა დანიის ჯგუფი (მარი ნილსენი) და სინდიკალისტები, რომლებიც ახლოს დგანან ბოლშევიზმთან
γγ ლორიოს ჯგუფი საფრანგეთში
ββ «ლიგა» შეერთებულ შტატებში (ან დებსის თანამოაზრენი?)

ვიმედოვნებთ დაახლოებას და გაერთიანებას { ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიასთან... ββ
იტალიის სოციალისტურ პარტიასთან...[114] ββ

დაწერილია 1918 წლის 27 ან 28 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მუშათა და გლეხთა საკითხავი წიგნის შედგენის ინსტრუქცია

დავალება: 2 კვირის ვადაში შედგენილ იქნეს გლეხთა და მუშათა საკითხავი წიგნი.

წიგნი უნდა შედგებოდეს ცალკეული, დამოუკიდებელი ფურცლებისაგან, რომელთაგან თითოეული რაღაც მთელს წარმოადგენს და აქვს ორი — ოთხი პატარა ნაბეჭდი გვერდი.

თხრობა უაღრესად პოპულარული უნდა იყოს, ყველაზე უბირი გლეხისათვის გასაგები. ფურცლების რაოდენობა — 50-დან 200-მდე; წიგნის პირველი ნაკვეთისათვის — 50.

თემები: საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობა, მისი საგარეო და საშინაო პოლიტიკა. მაგალითად: რა არის საბჭოთა ხელისუფლება. როგორ ვმართოთ ქვეყანა. მიწის კანონი. სახალხო მეურნეობის საბჭოები. ფაბრიკების ნაციონალიზაცია. შრომის დისციპლინა. იმპერიალიზმი. იმპერიალისტური ომი. საიდუმლო ხელშეკრულებანი. როგორ ვთავაზობდით ზავს. რისთვის ვომობთ ახლა. რა არის კომუნიზმი. სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა. და ასე შემდეგ.

შეიძლება და უნდა ავიღოთ კიდეც ძველი კარგი ფურცლები, გადავაკეთოთ ძველი სტატიები.

საკითხავმა წიგნმა უნდა მოგვცეს მასალა საჯარო კითხვისათვის და შინ კითხვისათვის, ცალკეული ფურცლების გადასაბეჭდადაც და სხვა ენებზე სათარგმნელადაც (მცირედი დამატებებით).

დაწერილია 1918 წლის დეკემბერში

პირველად დაიბეჭდა 1936 წლის 1 ივნისს გაზეთ «პრავდაში» № 149

იბეჭდება მანქანაზე გადაწერილი პირის მიხედვით

შენიშვნები იმაზე, თუ როგორ დავეხმაროთ ხარკოვს [115]

1) გავგზავნოთ ხარკოვში რაც შეიძლება ბევრი ფული.

2) სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ რაც შეიძლება სწრაფად მიაწოდოს მანუფაქტურა და სხვ. ...

3) შევქმნათ ხარკოვში ცენტრი...

გავგზავნოთ ხალხი

თუნდაც რამდენიმე ორგანიზატორი, რომლებიც იცნობენ სასურსათო საქმეს [116].

დაწერილია 1919 წლის 3 და 17 იანვარს შორის

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა კოოპერაციის შესახებ [117]

I. შევკრიბოთ ცნობები იმის შესახებ, თუ რეალურად როგორ ახორციელებენ კოოპერატივები საბჭოთა პოლიტიკის ძირითად ხაზს, სახელდობრ:

(1) არა მარტო მთელი მოსახლეობის კოოპერირების ძირითად ხაზს, არამედ იმ ხაზსაც, რომ კოოპერაციული საქმის გაძღოლაში პროლეტარულ და ნახევრად პროლეტარულ მოსახლეობას უპირატესი როლი ეკუთვნოდეს.

(2) მომარაგებისა და განაწილების ისე დაყენებას, რომ ნამდვილი ღარიბობა (= პროლეტარები + ნახევრად პროლეტარები) ნახულობდეს სარგებლობას (საქონელი და სხვა) სახელმწიფოსათვის პურის მ თ ე ლ ი ნამეტის ჩაბარებისაგან.

§-ქ 1 * დაევალოთ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს კოოპერაციულ განყოფილებას და სურსათის კომისარიატს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად შეკრიბონ ეს ცნობები. 2 კვირის შემდეგ — მოხსენება.

II. დაევალოს სურსათის კომისარიატს შეიმუშაოს ინსტრუქცია კოოპერატივებში საბჭოთა წარმომადგენლების შესახებ და გააჩაღოს პროპაგანდისტულ-ორგანიზაციული მუშაობა ამის განსახორციელებლად.

III. დაევალოს მუშათა კოოპერაციას «ცენტროსოიუზის» გამგეობაში უმრავლესობა გაიყვანოს მუშათა კოოპერაციისაგან და უზრუნველყოს იმის შესაძლებლობა, რომ შეიყვანოს მასში გამოცდილი კ ო მ უ ნ ი ს ტ ი პრაქტიკოსები.

---

* — 1 პუნქტისათვის. რ ე დ.

IV. კრესტინსკიმ შეადგინოს პროექტი დეკრეტისა სამომხმარებლო კომუნათა შესახებ.

დაწერილია 1919 წლის 28 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობის შესახებ

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა [118]

დაევალოს **განათლების სახალხო კომისარიატის** საბიბლიოთეკო განყოფილებას გამოაქვეყნოს ყოველთვიურად და სახკომსაბჭოში მოიტანოს მოკლე ფაქტობრივი ცნობები, თუ როგორ ხორციელდება სინამდვილეში სახკომსაბჭოს 1918 წლის 7 ივნისის და 1919 წლის 14 იანვრის დადგენილებანი ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების რაოდენობის ნამდვილი გადიდების შესახებ და მოსახლეობაში წიგნების გავრცელების ზრდის შესახებ.

დაწერილია 1919 წლის 30 იანვარს

დაბეჭდილია 1919 წლის 1 თებერვალს გაზეთში «იზვესტია ვციკ» № 23

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ჩრდილოეთის დიდი რკინიგზის კონცესიის გაცემის შესახებ [119]

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა

1) გზის მიმართულება და მისი საერთო გეგმა სახკომსაბჭოს მისაღებად მიაჩნია;

2) უცხოური კაპიტალის წარმომადგენლებისათვის კონცესიის მიცემა საერთოდ, პრინციპული თვალსაზრისით, დასაშვებად მიაჩნია მწარმოებლურ ძალთა განსავითარებლად;

3) ეს კონცესია სასურველად მიაჩნია და მისი განხორციელება — პრაქტიკულად საჭიროდ;

4) პრაქტიკული და საბოლოო გადაწყვეტილების დასაჩქარებლად წინადადება მიეცეთ ინიციატორებს წარმოადგინონ თავიანთი იმ მითითების საბუთები, რომ კავშირი აქვთ სოლიდურ კაპიტალისტურ ფირმებთან, რომლებსაც ძალუძთ ამ საქმის შესრულება და მასალის მოზიდვა;

5) დაევალოს განსაკუთრებულ კომისიას 2 კვირის ვადაში წარმოადგინოს ხელშეკრულების საბოლოო პროექტი;

6) 2 კვირის ვადაში დაევალოს სამხედრო კომისარიატს მოგვცეს დასკვნა სტრატეგიული და სამხედრო თვალსაზრისით.

დაწერილია 1919 წლის 4 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა სამრეწველო საწარმოებისათვის სოფლის მეურნეობათა მიცემის საკითხზე

საკითხის საბოლოო გადაწყვეტა გადაიდოს სამშაბათამდე.

შაბათისათვის მოვთხოვოთ მიწათმოქმედების კომისარიატს ცნობები შემდეგ საკითხებზე:

1) საბჭოთა მეურნეობების რაოდენობა,

2) მათი ორგანიზაცია და ის, თუ რა არის გაკეთებული ამ მხრივ,

3) აგრონომთა რაოდენობა,

4) დათესვის ფაქტობრივი მომზადება,

5) იმ თესლის რაოდენობა, რომელიც ფაქტობრივად გვაქვს დასათესად,

6) სასოფლო-სამეურნეო მანქანების რაოდენობა.

დაევალოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმოადგინოს მონაცემები 1) რამდენია მუშების განცხადება

მიწის მოთხოვნით, 2) რა გამოცდილება აქვთ მუშებს მიწათმოქმედების მოწყობისა *.

დაწერილია 1919 წლის 13 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაწერილი ტექსტის მიხედვით, რომელიც ვ. ი. ლენინს შეუვსია

უკრაინაში სასურსათო გაწერის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროექტისათვის [120]

ასეთ დირექტივას რომ იძლევა, რკპ ცენტრალური კომიტეტი წინადადებას გაძლევთ იხელმძღვანელოთ დადგენილი პრინციპით: ღარიბი გლეხისაგან არაფერი, საშუალოსაგან ზომიერად, მდიდარი გლეხისაგან ბევრი.

გირჩევთ ნამეტი განსაზღვროთ მაქსიმალური, მ ა გ ა ლ ი თ ა დ, 500 მლნ. ფუთი მთელ უკრაინაში, გასაწერად კი აიღეთ ერთი მეხუთედი ან მეათედი ნაწილი.

დაწერილია 1919 წლის 19 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

გერმანელ დამოუკიდებელთა მოწოდების გამო [121]

რუსეთში იშვიათად ვახერხებთ ახლა უცხოური გაზეთების მიღებას: ბლოკადა, რომელიც გარს შემოგვარტყეს ანტანტის «დემოკრატიულმა კაპიტალისტებმა», ეტყობა, გულმოდგი-

* მე-5 და მე-6 პუნქტები წყაროში, რომლის მიხედვითაც ეს დოკუმენტი ქვეყნდება, ვ. ი. ლენინის ხელითაა დაწერილი. 1-ლი, მე-3 და მე-4 პუნქტები, აგრეთვე უკანასკნელი აბზაცის 1-ლი და მე-2 პუნქტები ლენინს დაუწერია სახკომსაბჭოს სხდომის დღის წესრიგზე 1919 წლის 13 თებერვალს; ისინი უცვლელად შეიდნენ დადგენილების ტექსტში. რ ე დ.

ნედ მოქმედებს. ეშინიათ, რომ ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის განათლებულ მუშებს გააცნონ უვიცი და ველური ბოლშევიზმი, ეშინიათ, ვაითუ ამ ველური ბოლშევიზმის ქვეყანაში შეიტყონ, როგორი წარმატება აქვს მას დასავლეთშიო.

მაგრამ როგორი გულმოდგინებითაც უნდა მუშაობდეს ახალი «საღვთო კავშირის» ჟანდარმერია, სიმართლეს მაინც ვერ დამალავს!

ამ დღეებში მოვახერხე და ვნახე ბერლინურ გაზეთ «თავისუფლების», ეგრეთ წოდებული «დამოუკიდებელი» გერმანული სოციალ-დემოკრატიის ორგანოს რამდენიმე ნომერი. № 74-ის (1919 წლის 11 თებერვლის) პირველ გვერდზე დაბეჭდილია ვრცელი მოწოდება «გერმანიის რევოლუციურ პროლეტარიატს», რომელსაც ხელს აწერენ პარტიის ცენტრალური კომიტეტი და პარტიის ფრაქცია გერმანიის დამფუძნებელ კრებაში. ამ მოწოდების იდეები, ან უფრო სწორად უიდეობა, იმდენად დამახასიათებელია არა მარტო გერმანიის, არამედ მსოფლიო მუშათა მოძრაობისათვის, რომ ღირს მასზე ყურადღების შეჩერება.

მაგრამ ჯერ თავს ნებას მივცემ ცოტა გადავუხვიო. ეს გადახვევა ჩემს პირად მოგონებებთანაა დაკავშირებული. დამოუკიდებელთა ფრაქციის წევრების ხელმოწერებში, სხვათა შორის, შემხვდა ზეგერის და ლაუკანტის სახელები და მომაგონდა სამი წლის წინანდელი ამბავი. ლაუკანტს მე შევხვდი ციმერვალდისტთა თათბირზე ბერნში [122]. ეს, ეტყობა, გავლენიანი, ბერლინელი მუშა ორჭოფულ შთაბეჭდილებას ტოვებდა: ერთი მხრივ, სერიოზული რევოლუციური მუშაობა მასებში, მეორე მხრივ, გასაოცარია, მაგრამ არ ჰქონდა თეორიული * და საშინელი ბეცი იყო. ლაუკანტს არ მოსწონდა, მე რომ მძაფრად თავს ვესხმოდი კაუცკის (დამოუკიდებელთა იდეურ «ბელადს», ანუ მათი უიდეობის ბელადს), მაგრამ უარი როდი მითხრა დახმარებაზე, როცა, ჩემი ცუდი გერმანუ-

---

* ეტყობა, ხელნაწერში გამოტოვებულია სიტყვა «ინტერესები» ან «ცოდნა». რ ე დ.

ლის გამო დაეჭვებულმა, ვუჩვენე ჩემი დაწერილი პატარა გერმანული სიტყვა *, რომელშიც ვიმოწმებდი «ამერიკელი ბებელის», ევგენი დებსის, განცხადებას, დაე, დამხვრიტონ, მაგრამ იმპერიალისტური ომისათვის კრედიტებს ხმას ვერ მივცემ, თანახმა ვარ ვიომო მხოლოდ კაპიტალისტების წინააღმდეგ მუშათა ომშიო. მეორე მხრივ, როცა საშინლად აღშფოთებულმა ლაუკანტს ვუჩვენე კაუცკის სტატიაში ადგილი, სადაც ეს ვაუბატონი ქუჩებში მუშათა გამოსვლას ჰგმობდა როგორც ავანტიურას [123] (და ეს ვილჰელმ მეორის დროს), ლაუკანტმა მხრები აიჩეჩა და მშვიდად მითხრა, ისე მშვიდად, რომ მოთმინება დამეკარგა: «ასე ყურადღებით როდი კითხულობენ ჩვენში ამას მუშები! და განა ვალდებული ვარ კაუცკის ყოველ სტრიქონს დავეთანხმო?».

დაწერილია 1919 წლის თებერვლის
მეორე ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის, რკინიგზის საგანგებო კომისიის და გზათა სახალხო კომისარიატის ურთიერთდამოკიდებულების მოწესრიგების შესახებ და წერილი თავდაცვის საბჭოს წევრებს

თავდაცვის საბჭოს დადგენილება

1919 წ. 28. II.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის, რკინიგზის საგანგებო კომისიის და გზათა კომისარიატის ურთიერთდამოკიდებულების მოსაწესრიგებლად წესდება შემდეგი დებულებანი:

ამხ. ბელიაკოვი გზათა კომისარიატიდან გაიგზავნება სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სატრანსპორტო განყო-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 149 — 150. რედ.

ფილებაში მუდმივი კავშირის დასამყარებლად და სამუშაოდ.

გზათა კომისარიატი განკარგულებას აძლევს მთელ ხაზს, რომ ყველა საჩივარი საგანგებო კომისიაზე გაუგზავნონ მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ გზათა კომისარიატის კოლეგიის წევრს ბელიაკოვს.

დაევალოს საგანგებო კომისიას თვალი ადევნოს, რომ გადმომტვირთავმა ორგანოებმა და ორგანიზაციებმა დაუგვიანებლად გადმოტვირთონ ტვირთი და პასუხისგებაში მისცენ ისინი, თუ საგანგებო კომისიის მიერ დანიშნულ ვადაზე არ შეასრულებენ გადმოტვირთვის სამუშაოებს.

რკინიგზის საგანგებო კომისიის განყოფილებებს უფლება ენიჭებათ გამოიყენონ რკინიგზის ტელეგრაფი ქირით, ამასთან ტელეგრაფით ტყუილუბრალოდ სარგებლობისათვის სასტიკი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ტელეგრაფით სარგებლობის და ქირის გადახდის წესის ვრცელ ინსტრუქციას გამოსცემენ გზათა სახალხო კომისარი და სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე.

რკინიგზის საგანგებო კომისიას უნდა გადაეცეს რკინიგზის პოლიციის ყოფილი სადგომები, რის შესახებაც გზათა სახალხო კომისარიატი გამოსცემს საგანგებო განკარგულებას. ამხ. ძერჟინსკის და ამხ. სკლიანსკის ევალებათ ერთობლივ გამოუშვან ინსტრუქცია ამ სადგომებიდან სამხედრო დაცვის გამოსახლების შესახებ.

რკინიგზის საგანგებო კომისიას სურსათს წაერთო საფუძველზე აძლევს რკინიგზის სასურსათო ორგანოები.

ვიდრე რკინიგზებზე გრძელდება თავდაცვის საბჭოს მიერ შემოღებული სამხედრო მდგომარეობა, საგანგებო კომისიის საოლქო სატრანსპორტო განყოფილებებს უფლება ენიჭებათ სასჯელის უმაღლესი ზომა შეუფარდონ პირებს, რომლებიც მხილებული იქნებიან როგორც მექრთამეები, ტვირთის და რკინიგზის მასალების დამტაცებლები, და თანამდებობის პირთ, რომლებიც სისტემატურად თავაშვებულ ცხოვრებას ეწევიან.

თავდაცვის საბჭოს წევრებს

1919 წ. 28. II.

ეს პუნქტები გავატარე 28. II ამხ. ნევსკისა და ამხ. ძერჟინსკისთან თათბირზე.

გთხოვთ თავდაცვის საბჭოს ყველა წევრმა მოაწეროს ხელი ამ პუნქტებს, რათა დაუყოვნებლივ შემოვიღოთ სამოქმედოდ ეს უაღრესად მნიშვნელოვანი შეთანხმება.

იმ შემთხვევაში, თუ წამოიჭრება სერიოზული უთანხმოება, გთხოვთ მყისვე გამომიგზავნოთ ტელეფონოგრამა **შესწორებათა ტექსტითურთ.**

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სიტყვა, წარმოთქმული სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დედათა და ჩვილთა დაცვის განყოფილების აგიტატორთა კურსებზე

1919 წლის 8 მარტს

ამხ. ლენინმა თავისი სიტყვა დაიწყო მსმენელ ქალთა წერილის უკანასკნელი ფრაზით, თქვა, რომ მათ სიტყვა არ უნდა გატეხონ და შექმნან ზურგის მტკიცე არმია[124]. მხოლოდ ქალის დახმარებით, მისი დაკვირვებულობისა და შეგნებულობის წყალობით შეიძლება განვამტკიცოთ ახალი საზოგადოების მშენებლობა; ამასთან მან აღნიშნა, რომ წინა რევოლუციებს ამუხრუჭებდა ქალთა შეუგნებელი მასა.

დაიბეჭდა 1919 წელს ბროშურაში «სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი. დედათა და ჩვილთა დაცვის განყოფილების ანგარიში 1918 წლის 1 მაისიდან 1919 წლის 1 მაისამდე»

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

მონახაზი სახკომსაბჭოს დადგენილებისა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პოლიგრაფიული განყოფილების შესახებ

1) გაერთიანებისა და ცენტრალიზაციის კომისია და, თუ საჭირო იქნა, დეკრეტის პროექტის შესადგენად.

2) სტატისტიკური ცნობები, რომლებიც შეადარებენ სტამბებს

(1) ნაციონალიზებულთ პოლიგრაფიული განყოფილების გამგებლობაში

(2) ნაციონალიზებულთ ცალკეულ უწყებათა ჯამგებლობაში

(3) კერძო საწარმოებს

3) დავალება: ერთისამად გაადიდონ ვადაზე?

4) მოხსენება ერთი თვის მერე?

5) მუშათა დისციპლინა

6) სანარდო სამუშაო

7) ქარხკომების დამოკიდებულება გამგეობებთან [12ბ].

დაწერილია 1919 წლის 15 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები კოოპერაციაზე

ხომ არ ამოვიღოთ § 1?

§ 2-სა და § 3-ზე შენიშვნა ამოვიღოთ.

თითოეული კოოპერატივის წევრთა საერთო რაოდენობაში სულ ცოტა $^2/_3$ მაინც უნდა იყვნენ პროლეტარები და ნახევრად პროლეტარები (ე. ი. ისინი, ვინც მხოლოდ და მხოლოდ ან სანახევროდ მაინც საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვით ცხოვრობს).

მუშათა კოოპერაციის ორგანოები კომისრებს გზავნიან ისეთ კოოპერატივებში, სადაც წევრთა 10%-ზე მეტი მქონებელთა კლასს ეკუთვნის. კომისრებს ზედამხედველობისა

და კონტროლის, აგრეთვე «veto»-ს უფლება ენიჭებათ, ამასთან გაპროტესტებულ დადგენილებას საბოლოოდ გადასაწყვეტად სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ორგანოებს გადასცემენ.

რით შეიძლება გამოიხატოს სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა კავშირების პრაქტიკული თანამშრომლობა?

ხომ არ შეიძლება შემოვიღოთ რამდენიმე სერიოზული-პრემია და უპირატესობა იმ კოოპერატივებისთვის, რომლებმაც მთელი მოსახლეობა მოიცვა?

მუნიციპალიტეტები, რომლებიც მთელ მოსახლეობას აერთიანებენ მუნიციპ. დუქნების ირგვლივ.

დაწერილია 1919 წლის მარტში,
არა უგვიანეს 16 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა სასურსათო-სატრანსპორტო სამუშაოზე მუშათა ჯგუფების გაგზავნის შესახებ

იმის გამო, რომ რესპუბლიკას უკიდურესი საფრთხე მოელის სასურსათო და სატრანსპორტო კრიზისების გამწვავების მიზეზით, რკპ ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

დაევალოთ ამხ. კამენევს
ამხ. ზინოვიევს
და ამხ. სტალინს

შექმნან გავლენიან მუშათა ჯგუფები, მატარებლები სურსათის და გზათა სახალხო კომისარიატების, აგრეთვე ცაკის მონაწილეობით და გაემგზავრონ სასურსათო-სატრანსპორტო სამუშაოზე [126].

ლენინი

დაწერილია 1919 წლის მარტის მეორე
ნახევარში, არა უგვიანეს 28 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა რკინიგზელთა პურით მომარაგების შესახებ

გზათა კომისარი მუშებს უცხადებს, რომ ჩატარებული ხუსტი გაანგარიშებით 25 გირვანქის მიღება აბსოლუტურად გარანტირებულია, თუ თვეში 6 მლნ. ფუთს მოვზიდავთ. მაგრამ შესაძლებელია, რომ ბევრად მეტი მოვზიდოთ. მთელი ძალებით უნდა მივეძალოთ იმ ორთქლმავლების რაოდენობის გადიდებას, რომლებსაც ვარემონტებთ. გარდა ამისა შრომის მწარმოებლურობის გადიდებისათვის მიიღებენ პ რ ე მ ი ე ბ ს სრულიად რუსეთის პროფესიული საბჭოს ნორმების მიხედვით.

დაწერილია 1919 წლის 31 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

საშუალო გლეხობასთან დამოკიდებულების საკითხისათვის

საშუალო გლეხის მოსამხრობ საჩქარო ღონისძიებათა **გეგმისათვის:**

1) საგანგებო გადასახადი ს ა შ უ ა ლ ო გ ლ ე ხ ე ბ ს **მ ყ ი ს ვ ე** შეუმცირდეთ.
2) პარტიისაგან გაიგზავნოს (3-3 საგუბერნიო კომიტეტებისაგან) სპეციალურად ს ა შ უ ა ლ ო გ ლ ე ხ ი ს მ ი ს ა მ ხ რ ო ბ სამუშაოზე.
3) ცენტრის კომისიები (რამდენიმე) შევადგინოთ საშუალო გლეხის დ ა ც ვ ი ს ა თ ვ ი ს ადგილებზე გასაგზავნად.
4) კალინინის მგზავრობის გეგმა შევიმუშაოთ და დავამტკიცოთ. გამოვაქვეყნოთ დრო, ადგილი, მთხოვნელთა მიღება და სხვ.
5) მგზავრობაში მონაწილეობა (მე-4 და მე-5 პუნქტების მიხედვით) ი უ ს ტ ი ც ი ი ს, შ ი ნ ა გ ა ნ ს ა ქ მ ე თ ა, მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს სახალხო კომისარიატების წარმომადგენლებისა და სხვ.

6) კამპანია პრესაში.
7) «მანიფესტი» საშუალო გლეხის დაცვის შესახებ.
8) კომუნაში შესვლის იძულებითი ზომების შემოწმება (და გაუქმება).
9) სასურსათო ღონისძიებათა შემოწმება იმ მიმართულებით, რომ **საშუალო გლეხს** შეუმცირდეს რეკვიზიცია, გადასახდელი და სხვა.
10) ამნისტია.
11) «კულაკის გამოტყდომა».
12) პურისა და ფურაჟის გაწერა.
13) შინამრეწველები და ხელოსნები გულისნადებს გვიმჟღავნებენ.

დაწერილია 1919 წლის მარტის
დამლევს — აპრილის დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რეზოლუციისა მოსკოვის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის საგანგებო სხდომაზე საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ 1919 წლის 3 აპრილს წაკითხული მოხსენების გამო [127]

რსფსრ მუშათა კლასისა და გლეხობის წარმომადგენელთა კრება აცხადებს, რომ საბჭოთა რესპუბლიკას განსაკუთრებით მძიმე თვე დაუდგა. ანტანტა უკანასკნელად თავზე ხელაღებით ცდილობს სამხედრო ძალებით ჩვენს გასრესას. სასურსათო მდგომარეობა გაზაფხულზე უაღრესად მძიმეა, ტრანსპორტი საშინლად დანგრეულია.

ამიტომ მარტოოდენ ძალთა უკიდურესად დაძაბვას ძალუძს ჩვენი ხსნა. გამარჯვება შესაძლებელია. უნგრეთში მომხდარმა რევოლუციამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ დასავლეთ ევროპაში იზრდება საბჭოთა მოძრაობა და შორს არ არის მისი გამარჯვება. მსოფლიოში ჩვენ ბევრი მოკავშირე გვყავს,

იმაზე მეტი, რაც ვიცით, მაგრამ უნდა გავუძლოთ ამ მძიმე ხუთ-ექვს თვეს, რომ მტერი დავამარცხოთ.

კრება ულმობლად გმობს მემარცხენე ესერებს *, მენშევიკებს და მემარჯვენე ესერებს, რომლებიც სიტყვით საბჭოთა ხელისუფლებას ემხრობიან, ანუ ანტანტის სამხედრო ჩარევის წინააღმდეგი არიან, საქმით კი **თეთრგვარდიელებს ეხმარებიან**, როცა აგიტაციას ეწევიან გაფიცვების სასარგებლოდ ან სამოქალაქო ომის შესაწყვეტად (თუმცა ჩვენ ყველას ზავი შევთავაზეთ [128]!) ანდა თავისუფალი ვაჭრობის მიმართ დათმობაზე წასასვლელად და ა. შ.

კრება უცხადებს ყველა მენშევიკსა და ესერს, რომლებიც მზად არიან დაგვეხმარონ ჩვენს მძიმე ბრძოლაში, რომ დავიცავთ მათი როგორც საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეების თავისუფლების სრულ უზრუნველყოფას.

მაგრამ კრება სასტიკ ომს უცხადებს იმ მენშევიკებსა და ესერებს, რომლებიც «ვსეგდა ვპერიოდ»-ის [129] და «დელო ნაროდა»-ს [130] ლიტერატურული და პოლიტიკური ჯგუფების მსგავსად სინამდვილეში აფერხებენ ჩვენს ბრძოლას, სინამდვილეში ეხმარებიან თეთრგვარდიელებს.

კრება მოუწოდებს ყველა მუშას, ყველა მუშათა ორგანიზაციას, ყველა მშრომელ გლეხს მთელი ძალები დაძაბონ საბჭოთა ხელისუფლების მტრებისათვის საკადრისი პასუხის გასაცემად, საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად, სურსათისა და ტრანსპორტის საქმიანობის გასაძლიერებლად.

1. გადაღლილ მოწინავეთა ადგილზე მოვიზიდოთ საშუალონი, ე. ი. მოწინავე მუშებსა და გლეხებზე ნაკლებად გამოცდილნი.

2. კიდევ და კიდევ გავაძლიეროთ გაგზავნა მოწინავეებისაც და მასობრივი მუშაკებისაც სურსათზე, ტრანსპორტზე და მეომართა შორის სამუშაოდ.

---

* ხელნაწერის პირველი ფურცელი დაკარგულია. ტექსტი სიტყვებამდე «მემარცხენე ესერებს» იბეჭდება შანქანაზე გადაწერილი პირის მიხედვით. რ ე დ

3. გავაძლიეროთ შეგნებულ მუშათა და გლეხთა მოზიდვა გზათა სახალხო კომისარიატში და სახელმწიფო კონტროლში სამუშაოდ იმ მიზნით, რომ გავაუმჯობესოთ მუშაობა და აღმოვფხვრათ ბიუროკრატიზმი, საქმის გაჭიანურება, კანცელარიული ფორმალიზმი.

4. რაც შეიძლება მეტი ძალები დავძრათ დამშეული ქალაქებიდან მიწათმოქმედებისაკენ, ბოსტნებისა და სოფლებისაკენ, უკრაინისა და დონისაკენ და სხვ., რათა გავაძლიეროთ პურის წარმოება.

მთელი ძალები დავძაბოთ, რათა დავეხმაროთ საშუალო გლეხს იმ ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც მას ხშირად ვნებს, რათა ამხანაგურად დავეხმაროთ მას, ადგილებიდან გადავაყენოთ ის საბჭოთა მუშაკები, ვისაც არ სურს განახორციელოს ეს ერთადერთი სწორი პოლიტიკა ან არ ესმის იგი.

5. ვებრძოლოთ დაღლილობის, სულმოკლეობის, მერყეობის ყოველგვარ გამოვლინებას, ყოველნაირად გავამხნეოთ ისინი, ვინც ამ თვისებებს ამჟღავნებს, ძალა მივცეთ მათს სულის სიმტკიცეს, შეგნებულობას და ამხანაგურ დისციპლინას. წარმოუდგენლად დიდი სიმძიმე გადაიტანა რუსეთის მუშათა კლასმა და გლეხობამ. წარმოუდგენლად მძიმეა უკანასკნელი თვეები. მაგრამ კრება აცხადებს, რომ მუშათა სულის სიმტკიცე არ დაცემულა, რომ მუშათა კლასი პოსტზე დგას, რომ იგი ყველა სიძნელეს გადალახავს და რადაც უნდა დაჯდეს დაიცავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამარჯვებას რუსეთშიც და მთელ მსოფლიოშიც.

დაწერილია 1919 წლის აპრილში,
არა უგვიანეს 3 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1963 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 38

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით,
რომელიც შეჯერებულია
მანქანაზე გადაწერილ
პირთან

წინადადება, რომ დამტკიცდეს პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა დირექტივებით უკრაინის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის

წინადადება შემომაქვს შევაგროვოთ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა ხელმოწერები და დავამტკიცოთ უკრაინის კომუნისტური პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის ეს დირექტივები უკრაინისათვის. **რაც შეიძლება სწრაფად** [131].

8. IV. ლ ე ნ ი ნ ი

ცენტრალური კომიტეტის **ორგბიუროს.** საჩქაროდ გაუგზავნეთ უკრაინის **ცენტრალურ კომიტეტს***.

დაწერილია 1919 წლის 8 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სამხედრო თავდაცვის დარგში მუშაობის გაძლიერების შესახებ თავდაცვის საბჭოს დადგენილებისათვის [132]

3 თვით შეჩერდეს ან ძალიან მნიშვნელოვნად შემცირდეს ცენტრალური და ადგილობრივი კომისარიატების ის განყოფილებანი, რომლებიც აბსოლუტურად საჭირონი როდი არიან და რომლებსაც შეუძლიათ მოგვცენ სასარგებლო მუშაკები არმიასა და ზურგში ომისა, მომარაგებისა, აგიტაციისა და სხვა მისთანათათვის.

დაწერილია 1919 წლის აპრილში, არა უგვიანეს 21 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* მიწერილია პროექტის არეზე, ეტყობა, დამტკიცების შემდეგ. რ ე დ.

უნგრელი ინტერნაციონალისტებისადმი მიმართვის მინაწერი [133]

სავსებით ვიზიარებ მოწოდების ტექსტს და მწამს, რომ ფრონტზე მყოფი უნგრელი პროლეტარები მხედველობიდან არ გაუშვებენ, რომ კიდევ რამდენიმე თვის ბრძოლა საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებისათვის, და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება — ეს იქნება გადამწყვეტი და უტყუარი გამარჯვება.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 23 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს წიგნში: ა. კლადტი, ვ. კონდრატიევი. «იარაღით დაძმობილებულნი». მოსკოვი

იბეჭდება მოწოდების ტექსტის მიხედვით თარგმანი უნგრულიდან

პროექტი სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური კომისიის დადგენილებისა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ [134]

1) გაძლიერდეს ნატურით დახმარება მუშათა ბავშვებისათვის.

2) დავსახოთ გარკვეული საწყობები იმისათვის, რომ ს წ რ ა ფ ა დ აღვწეროთ და ი ა ფ ა დ დავურიგოთ ყველაზე გაჭირვებულ მუშებს, რომლებიც ფულად მინიმუმსაც ვ ე რ ი ღ ე ბ ე ნ.

3) ბინის ქირის შესახებ იგივე.

დაწერილია 1919 წლის 2 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სპეციალისტთა ხელფასის შესახებ

დადგენილების პროექტი

1919 წლის 23 მაისი

სახკომსაბჭოს კომისიის მიერ 1919 წ. 23. V სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებანი:

1. 3000 მანეთზე მეტ განაკვეთს ნიშნავს თითოეული კომისარიატის კოლეგია, ამასთან აცნობებს ამას შრომის და სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრებს და დასამტკიცებლად წარუდგენს სახალხო კომისართა საბჭოს.

2. თითოეული სახალხო კომისარიატი ვალდებულებას კისრულობს ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს ყველა იმ მოსამსახურის სია, რომლებიც თვეში 3000 მანეთზე მეტს იღებენ.

3. თითოეული სახალხო კომისარიატი ვალდებულებას კისრულობს ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს იმ უდიდესი სპეციალისტების და გამოჩენილი ორგანიზატორების სია, რომლებსაც საჭიროა გადავუხადოთ 3000 მანეთზე მეტი.

თითოეული კომისარიატის კოლეგიამ თითოეულ პირზე უნდა განაცხადოს 1) თავდებობა, რომ ის ამა და ამ დარგის უდიდესი სპეციალისტია; 2) სახელდობრ რა თვალსაჩინო ორგანიზატორულ მუშაობას ეწევა ან გაწევს.

4. 15 ივნისს ნორმით 3000 მანეთს და მეტს მიიღებენ მხოლოდ ისინი, ვის სარგოსაც დაამტკიცებს სახალხო კომისართა საბჭო.

5. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სარგოს დამტკიცების ვადად განსაზღვრულია სულ დიდი ერთი კვირა სარგოს დასამტკიცებლად წარდგენის დროიდან.

6. შეძლესებლებად ლენინი და კრასინია.

7. ავანესოვი ვალდებულებას კისრულობს ხვალ, 24 მაისს, სახკომსაბჭოს სხდომას წარმოუდგინოს 3000 მანეთზე მეტის ანაზღაურების ოეზისები ან პრინციპები, მაგრამ არა უდიდესი სპეციალისტებისათვის.

გთხოვთ გადაბეჭდოთ მანქანაზე 6 — 7 ცალად.

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა საბჭოთა მოსამსახურეების მობილიზაციის შესახებ [135]

§ 1. საბჭოთა დაწესებულებების მამრობითი სქესის ყველა მოსამსახურე 18 წლიდან 45-მდე [illegible]ჯობებს მეტი, რადგან ნაწილს გავათავისუფლებთ [illegible] წლამდე მობილიზებულ იქნენ 4 თვით (15. VI-დან 15. X-მდე), ისინი შეცვალონ ქალებით ან სამუშაოს გარკვეული ნაწილი დროებით შეამცირონ.

§ 1-ის შენიშვნა. გათავისუფლდებიან მხოლოდ ავადმყოფები და ისინი, ვინც აბსოლუტურად შეუცვლელია, სულ ბევრი 10%, საგანგებო კომისიის ნებართვით.

§ 2. მობილიზებულნი გაიგზავნონ სამხედრო უწყების განკარგულებაში. გამოცხადება ... რიცხვს.

§ 3. მობილიზებულნი პასუხისმგებელნი არიან ერთიმეორისთვის ურთიერთთავდებობით, ხოლო მათი ოჯახები მძევლებად ითვლებიან იმ შემთხვევაში, თუ მობილიზებული გადავა მტრის მხარეზე, ან დეზერტირი გახდება, ან არ შეასრულებს მიცემულ დავალებას და ა. შ.

§ 4. მობილიზებულნი შეადგენენ მცირე ჯგუფებს შესაძლებლობისაებრ სხვადასხვა სპეციალობის მქონე პირთაგან იმ ვარაუდით, რომ ყოველ ჯგუფს შეეძლოს იკისროს, ზურგშიც და ფრონტზეც, ჯარების შედგენის, გადაყვანის, რჩენის და სხვა მისთანაა ესა თუ ის დავალება.

§ 5. თითოეული მობილიზებული ვალდებულია შეადგინოს პატარა ბიბლიოთეკა ყველაზე საჭირო პროპაგანდისტული და საგიტაციო ბროშურებიდან და ფურცლებიდან, რომლებსაც ის მიიღებს ცაკის წიგნის საწყობებში და სხვ. მობილიზებული პასუხისმგებელია იმაზე, რომ ეს ბროშურები და ფურცლები გააცნოს ჯარისკაცებსა და მოსახლეობას, იგი ვალდებულია

ყოველკვირეულად ანგარიშს აბარებდეს იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს ამ მოვალეობას.

§ 6. თითოეული მობილიზებული მობილიზაციის თანავე, სულ ბევრი .... დღეში, ვალდებულია საგანგებოდ შედგენილი პროგრამის მიხედვით მოგვცეს დაწვრილებითი ცნობები თავის განათლებაზე, იმაზე, თუ სად მსახურობდა და რას აკეთებდა წინათ, სად ცხოვრობდა, რომელი უცხო ენა იცის და სხვ.

დაწერილია 1919 წლის არა უგვიანეს 31 მაისისა

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დეკრეტი მუშურ-გლეხური თავდაცვის საბჭოსი ვაჭრობის, მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ

დამატებითი მობილიზაციის წესით ვაცხადებთ ვაჭრობის, მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა გაწვევას სამხედრო სამსახურში. გაწვევის წესი და ვადა, აგრეთვე გასაწვევთა რაოდენობა წესდება რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს შეთანხმებით *.

დაწერილია 1919 წლის 31 მაისს

დაიბეჭდა 1919 წლის 15 ივნისს გაზეთში «იზვესტია ვციკ» № 128

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* მანქანაზე გადაბეჭდილი დეკრეტის ტექსტის ზემო ნაწილზე ვ. ი. ლენინს დეკრეტის ხელმოწერის შემდეგ წაუწერია: «არ გამოქვეყნდეს». რ ე დ.

განკარგულება სახკომსაბჭოს სამდივნოს

19. VII. 1919.

არმიიდან სასურსათო ამანათების გაგზავნის ინსტრუქციის[136] დამტკიცების დაგვიანება წარმოადგენს საქმის გაჭიანურების უაღრესად აღმაშფოთებელ და შეუწყნარებელ გამოვლინებას.

საჭიროა დავადგინოთ დამნაშავენი და საერთოდ ზუსტად გამოვიკვლიოთ ეს შემთხვევა, ჯერ ერთი, პასუხისმგებლობის დაწესებისათვის, მეორე — და ეს მთავარია — პრაქტიკული ზომების შესამუშავებლად, რათა მსგავსი რამ აღარ გამეორდეს.

ამიტომ წინადადებას ვაძლევ ქვემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებებს, რომლებსაც უნდა ეზრუნათ, რომ სასურსათო ამანათების კანონი უაღრესად სწრაფად შესრულებულიყო, ე. ი. განხორციელებულიყო,

შეკრიბონ ყველა საბუთი, დაჰკითხონ ყველა, ვისაც ეს საქმე ეხებოდა, და მთელი სიმკაცრითა და სიზუსტით დაუყოვნებლივ გამოიძიონ საქმის გაჭიანურების მიზეზები

და თავიანთი მოხსენება საქმის გაჭიანურების აღმოფხვრის პრაქტიკული ზომების წინადადებითურთ წარმოუდგინონ სახკომსაბჭოს სამშაბათს.

დაწესებულებები შემდეგია:

სახკომსაბჭოს სამდივნო და თავდაცვის საბჭო
სასურსათო არმიის ცენტრალური სარდლობა
სურსათის კომისარიატი
სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატი
ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

დირექტივები მიწსახკომს ინსტრუქციის შეცვლის შესახებ

შეიცვალოს მიწსახკომის * ინსტრუქცია და საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოს მეშვეობით მიღწეულ იქნეს კონტროლის რეალური განხორციელება შემდეგ დებულებათა სულისკვეთებით:

1) უცილობლად აეკრძალოთ მემამულეებს ან მოურავებს დაიკავონ ადგილები იმავე ან მეზობელი მაზრის საბჭოთა მეურნეობებში, სადაც ეს პირები მემამულეთა ძალაუფლებას იზიარებდნენ.

2) საბჭოთა მეურნეობებში მმართველებისა და მოსამსახურეების შემადგენლობაზე დაწესდეს ისეთივე მკაცრი ზედამხედველობა, როგორიც სამხედრო სპეციალისტებზე, მათი კონტრრევოლუციურობის თვალსაზრისით.

3) გადიდდეს სამაზრო და საგუბერნიო მიწგანების წარმომადგენელთა რაოდენობა საბჭოთა მეურნეობებში და სამაზრო და საგუბერნიო მიწგანების კონტროლი მათდამი.

4) მოვთხოვოთ პროფესიულ კავშირთა საბჭოს მეტი ყურადღება და მეტი ძალები დაუთმოს მუშკომებს და მათს მუშაობას.

5) აიკრძალოს სანახევროდ მუშაობა და სხვა მისთანანი საბჭოთა მეურნეობებში.

6) საბჭოთა მეურნეობების მთელი შემადგენლობა დაუყოვნებლივ გადაეცეს სასამართლოს იმ შემთხვევებში, როცა ისინი ფაქტობრივად ვერ დაამტკიცებენ, რომ ასრულებენ სოციალისტური მიწათმოწყობის დებულების 59-ე მუხლს, ე. ი. ე ხ მ ა რ ე ბ ი ა ნ ადგილობრივ გლეხობას.

---

* ხელნაწერში სიტყვა «მიწსახკომის» შემდეგ ჩამატებულია ტექსტი: «საბჭოთა მეურნეობების საგუბერნიო და რაიონული სამმართველოების ორგანიზაციისა და საქმიანობის», დაწერილი სახკომსაბჭოს მდივნის ლ. ა. ფოტიევას მიერ. რ ე დ.

7) შეიმუშაოთ ადგილობრივი გლეხური მოსახლეობის წინაშე საბჭოთა მეურნეობებისა და მუშკომების ანგარიშგების და მისი ინფორმირების ფორმები.

8) მოვითხოვოთ, რომ მიწსახკომი და მუშკომი პლუს უმნიშვნელოვანესი გუბერნიების 1 ან 2 საგუბერნიო მიწგანი ყოველთვიურად ფაქტობრივ მოხსენებას უკეთებდეს სახკომსაბჭოს ამ წესების შესრულების შესახებ.

9) დაევალოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს საბჭოთა მეურნეობების მისთვის დაკისრებული მონოგრაფიული აღწერა გააფართოოს იმ საკითხებით, რომლებიც აღნიშნული პუნქტების რეალიზაციის შემოწმებას სჭირდება.

10) გადაისინჯოს საბჭოთა მეურნეობებს შორის მიწების განაწილება განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, ხომ არა აქვთ მათ მეტისმეტად ბევრი მიწა ან ხომ არ ჩაიგდეს იგი ხელთ არაპროლეტარულმა ორგანიზაციებმა.

11) საგუბერნიო და სამაზრო მიწგანების საბჭოთა მეურნეობების კანდიდატთა წამოყენება საერთო წესად იქცეს.

12) ინსტრუქცია და ღონისძიებები წარმოუდგინონ სახკომსაბჭოს, მანამდე კი განიხილონ კომისიაში* სერედა, საპრონოვი, ვლადიმირსკი, ციურუპა, მილუტინი და გოლუბევი **.

დაწერილია 1919 წლის აგვისტოში,
არა უგვიანეს 5 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* შემდეგ ხელნაწერში მოდის სიტყვები: «რომლის შემადგენლობაში იქნებიან», დაწერილი ლ. ა. ფოტიევას მიერ. რ ე დ.

** შემდეგ ხელნაწერში მოდის ტექსტი: «კომისიას მიეცეს ერთი კვირის ვადა. მოწვევა და მოხსენება დაევალოს სერედას», დაწერილი ლ. ა. ფოტიევას მიერ. რ ე დ.

პროექტები ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებებისა მამონტოვის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ

1

პროექტი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს რეზოლუციისა

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო უაღრესად სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს მამონტოვის ოპერაციებს [137]. გადაუდებელ საქმედ მიაჩნია მისი რაზმის რაც შეიძლება მალე განადგურება და ადგენს:

1) ფოსტა-ტელეგრაფის და გზათა სახალხო კომისრების ყურადღება კიდევ ერთხელ მიექცეს იმას, რომ საჭიროა მთელი ძალების დაძაბვა საფოსტო და სატელეგრაფო კავშირის **გასაუმჯობესებლად** მამონტოვის ოპერაციების რაიონში და ჯარების გადაყვანის **დაჩქარება** იმავე რაიონში.

2) დაევალოს ამხ. ტროცკის

(ა) შეადგინოს პროექტი ამ რაიონის პარტიული ორგანიზაციებისადმი დეპეშით მიმართვისა, რომელშიც იქნება **განმეორებითი მოწოდება,** რომ გამოიჩინონ მეტი ენერგია;

(ბ) ამხ. ლაშევიჩთან ერთად მონაწილეობა მიიღოს (ამასთან სარდალი ერთპიროვნულად უნდა იყოს ლაშევიჩი) მამონტოვის სალიკვიდაციო ყველა ოპერაციაში, თვით მის საბოლოო ლიკვიდაციაშიც კი, რათა ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ავტორიტეტი ყველა ამ ოპერაციას უფრო სწრაფად და გადაჭრით დაეტყოს [138];

(გ) მამონტოვის წინააღმდეგ მოხალისენი გამოიწვიოს ტვერის, კოსტრომის, იაროსლავლის, ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიებიდან.

2

ახლავე უნდა შევადგინოთ **პროექტი** ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დირექტივისა.

პოლიტიკურად საჭიროდ ჩაითვალოს

1) ყოველნაირად დავაჩქაროთ ბელებეის ბაშკირთა დივიზიის პეტროგრადში გადაყვანა და რაც შეიძლება ენერგიულად ჩავატაროთ ეს გადაყვანა;

2) 21-ე დივიზიის გარკვეული და დიდი ნაწილი გადავიყვანოთ სამხრეთის ფრონტზე და გავაერთიანოთ ორი მიზანი — მამონტოვის დაჭერა სამხრეთიდან და ბრძოლებში მონაწილეობა სამხრეთის ფრონტზე, ამასთან საკმაოდ უნდა უზრუნველვყოთ ტულა და საერთოდ დავიცვათ ჩრდილოეთი მამონტოვისაგან.

3

წინადადებას ვაყენებ შევავსოთ კიდევ პოლიტბიუროს გადაწყვეტილება (ზომები მამონტოვის წინააღმდეგ):

1) გარემოცვისას დაინიშნოს თითოეული უბნის (10 — 30 ვერსი და ა. შ.) **უფროსები**, მათგან 1 — 2 კომუნისტი;

2) დაიხვრიტონ მყისვე ვაგონიდან გამოუსვლელობისათვის;

3) შემოღებულ იქნეს კიდევ რამდენიმე დრაკონული ზომა დისციპლინის განსამტკიცებლად.

ლაშევიჩს + **ტროცკის** უფლება მიენიჭოთ თავიანთი გადაწყვეტილებით **შემოიღონ** ეს ზომები.

((გადაუხვიონ ჯერ კიდევ მოსკოვამდე.))

+ 3) **დაჩქარდეს** 21-ე დივიზიის **თითოეული** ეშელონის დაუყოვნებლივ გაგზავნა მამონტოვის წინააღმდეგ სამოქმედოდ კომუნისტთა დამატებით (თუ საჭიროა).

დაწერილია 1919 წლის აგვისტოს
მიწურულს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ცენტროტექსტილში კოლეგიური მართვა-გამგეობის ნაცვლად ერთპიროვნულის შემოღების შესახებ

პროექტი სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა [139]

1) დაევალოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თანდათანობით შეამციროს კოლეგიების წევრთა რაოდენობა, კერძოდ გამოარკვიოს ან კომუნისტების, ანდა კომუნისტი კომისრებითურთ სპეცების ერთპიროვნული მართვა-გამგეობის გამოცდილება.

2) კოლეგიურ განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად განუხრელად განახორციელოს ერთპიროვნული პასუხისმგებლობა როგორც გარკვეული სახის სამუშაოთა, ისე ცალკეულ ოპერაციათა შესრულებისათვის.

3) ორი თვის შემდეგ დაინიშნოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და იმ კომისარიატების მოხსენება ამ დავალებათა ფ ა ქ ტ ო ბ რ ი ვ ი შესრულების შესახებ, რომლებსაც საწარმოები აქვთ (კერძოდ, იმის შესახებ, თუ რამდენი მუშა სწავლობს პრაქტიკულად მართვა-გამგეობას **და როგორია** მათი სტაჟი ამ მხრივ).

დაწერილია 1919 წლის 4 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბარათი გ. ვ. ჩიჩერინს და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილება ანტანტის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხზე

ამხ. ჩიჩერინ!

გიგზავნით პოლიტბიუროს გადაწყვეტილებას [140].

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

(1) **რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა.**

(2) მთავრობის სახელით **არ** მიმართოთ.

(3) დააჩქარეთ ლიტვინოვის გამგზავრება.

(4) შემოიფარგლეთ გორკის წერილით, ოღონდ **ნუ** მისცემთ ნებას გამოიყენოს ბრძოლის განადგურებად გარდაქმნის მოსაზრება.

პოლიტბიუროს წევრები: ლ ე ნ ი ნ *

დაწერილია 1919 წლის სექტემბერში,
არა უადრეს 26 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და სახელმწიფო კონტროლის კომისარიატს შორის კონფლიქტის შესახებ [141]

სახკომსაბჭო იმ აზრისაა:

1) რომ სახელმწიფო კონტროლს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსთვის უნდა მიეცა იურიდიული განყოფილებების დახურვის წინადადება და არ უნდა გამოეყენებინა აკრძალვის გრიფი;

2) რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს უაღრესად ენერგიული ზომები მეტწილად პარაზიტული იურიდიული განყოფილებების დასახურავად და იმის ასაკრძალავად, რომ ამ განყოფილებათა მუშაკები სხვა განყოფილებებში მიმალონ. შესრულების შესახებ მოხსენება წარმოადგინოს მცირე საბჭოში სულ ბევრი ერთი კვირის შემდეგ;

3) დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს გადასცეს სასამართლოს სურსათის კომისარიატის — სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს იურიდიულ განყოფილებათა წევრები

---

* გადაწყვეტილებას ხელს აწერენ აგრეთვე ლ. ბ. კამენევი, ლ. ღ ტროცკი და ნ. ნ. კრესტინსკი, რომელსაც მიუწერია შენიშვნა: «თანახმა ვარ პირობითად». რ ე დ.

საქმის გაჭიანურების გამო. მოხსენება — ერთი კვირის შემდეგ მცირე საბჭოში.

დაწერილია 1919 წლის
30 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

სურვილები კოოპერაციის საკითხის გამო [142]

სურვილები

1) რომ კოოპერაციაში სოლცმა მთლიანად მისცეს თავი არასავაჭრო საქმიანობას (ლიტერატურულს, საინსტრუქტოროს და სხვ.),

2) რომ, თუ ცალკე ვერ გამოსცემენ, გამოსცენ, ე. ი. ბეჭდონ **«იზვესტიას»**, **«პრავდასა»** და **«ბ ე დ ნ ო ტ ა შ ი»** [143],

3) რომ **ს წ რ ა ფ ა დ** ი ყ ო ს შეკრებილი, თუნდაც პატარ-პატარა რაიონებში, **ფაქტობრივი** მონაცემები იმის შესახებ, თუ **რ ო გ ო რ** ხორციელდება დეკრეტი [144] როგორც საერთოდ (ყველა მისი ნაწილი), ისე განსაკუთრებით დამზადებისა და განაწილების წესები (ორგანოები, ფორმები, პირობები, წესიდან გამონაკლისები და სხვ.), ბურჟუაზიული კოოპერაციის კომუნისტურ კოოპერაციად გარდაქმნა ან იმ გარდაქმნის დაწყება და სხვ.

დაწერილია 1919 წლის 9 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

საუბარი ავღანეთის საგანგებო ელჩთან მუჰამედ ვალი-ხანთან 1919 წლის 14 ოქტომბერს [145]

საგაზეთო ანგარიში

ამხ. ლენინი ელჩს თავის სამუშაო კაბინეტში შემდეგი სიტყვებით შეხვდა: «ფრიად მოხარული ვარ, რომ მუშურ-გლეხური მთავრობის წითელ დედაქალაქში ვხედავ ჩვენდამი მე-

გობრულად განწყობილი ავღანელი ხალხის წარმომადგენელს, ხალხისა, რომელიც იტანჯება და იბრძვის იმპერიალისტური უღლის წინააღმდეგ». ამაზე ელჩმა უპასუხა: «მეგობრულ ხელს გიწვდით და ვიმედოვნებ, რომ ევროპის იმპერიალიზმის მხრივ ჩაგვრისაგან გათავისუფლებაში დაეხმარებით მთელ აღმოსავლეთს». შემდეგ გაიმართა საუბარი, რომლის დროსაც ამხ. ლენინმა თქვა, საბჭოთა ხელისუფლება, მშრომელთა და ჩაგრულთა ხელისუფლება, სწორედ იმას ესწრაფვის, რასაც ავღანეთის საგანგებო ელჩი ამბობდა, მაგრამ საჭიროა, რომ მუსლიმანურმა აღმოსავლეთმა ეს შეიგნოს და მხარი დაუჭიროს საბჭოთა რუსეთს დიდ გამათავისუფლებელ ომშიო. ელჩმა ამაზე უპასუხა: შემიძლია დაბეჯითებით გითხრათ, რომ მუსლიმანურმა აღმოსავლეთმა ეს შეიგნო და ახლოა ჟამი, როცა მთელი მსოფლიო დაინახავს, რომ აღმოსავლეთში ევროპის იმპერიალიზმს ადგილი არა აქვსო.

შემდეგ ელჩი წამოდგა და სიტყვებით: «პატივი მაქვს თავისუფალი რუსეთის პროლეტარული მთავრობის მეთაურს გადავცე ჩემი მბრძანებლის წერილი და ვიმედოვნებ, ის, რაზეც ავღანეთის მთავრობა ლაპარაკობს, საბჭოთა ხელისუფლების ყურადღებას მიიპყრობსო», — ამხ. ლენინს ემირის წერილი გადასცა. ამხ. ლენინმა უპასუხა, უდიდესი სიამოვნებით ვღებულობ ამ წერილს და პირობას გაძლევთ, სულ მალე მოგცემთ პასუხს ავღანეთისათვის საინტერესო ყველა საკითხზეო [146].

«პრავდა» № 232 და «იზვესტია ვციკ»
№ 232,
1919 წლის 17 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

სიტყვა, წარმოთქმული ფრონტზე მიმავალ იკანოვო-ვოზნესენსკელ კომუნისტ მუშათა წინაშე 1919 წლის 24 ოქტომბერს [147]

მექრონიკის ჩანაწერი

სიტყვაში ამხ. ლენინმა დაგვიხატა ჩვენი ფრონტების საერთო მდგომარეობა და აღნიშნა, თითოეული შეგნებული მუ-

შის ამოცანა უნდა იყოს ის, რომ ყოველნაირად დაეხმაროს ჩვენი ფრონტების სწორ მომარაგებას საბრძოლო მასალით, სურსათით, ტანსაცმლით და სხვა მისთანათიო.

მან რწმენა გამოთქვა, რომ ივანოვო-ვოზნესენსკელი კომუნისტი მუშები შეძლებენ კეთილი გავლენის მოხდენას ფრონტისპირა ზოლის გლეხებზე და დიდ სარგებლობას მოუტანენ კაზაკობას შორის პოლიტიკური მუშაობის საქმეს.

«პრავდა» № 239, 1919 წლის 25 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სიტყვა, წარმოთქმული ფრონტზე მიმავალ სკოლის-გარეშე განათლების კურსების მსმენელთა წინაშე 1919 წლის 28 ოქტომბერს

კონფერენცია ვ. ი. ლენინის სიტყვით გაიხსნა. ვ. ი ლენინი მიესალმა კურსების მსმენელთ, რომლებმაც მიიღეს დადგენილება გაემგზავრონ ფრონტზე წითელი არმიის დასახმარებლად, და მკაფიო შტრიხებით **დახატა** ყველა ფრონტის და მტრის ზურგის თანამედროვე მდგომარეობა.

როგორც რუსეთის, ისე დასავლეთის ბურჟუაზია ძალიან ადრე ზეიმობს გამარჯვებას. წითელი ჯარები ერეკებიან კოლჩაკს. დენიკინელები ორიოლიდან უკან იხევენ. თეთრების ჯარი იხრწნება. დენიკინის ზურგში განუწყვეტელი აჯანყებებია. ახლა მის წინააღმდეგ შეძლებული კაზაკებიც კი გამოდიან.

იუდენიჩს მცირე ძალები ჰყავს, უმთავრესად ინგლისელთაგან შემდგარი. ინგლისმა მას დიდი ფლოტი მისცა. თავისი შეტევით იუდენიჩს დენიკინის შველა უნდოდა, მისგან მტრის ძალების ჩამოშორება, მაგრამ ვერ მოახერხა: პეტროგრადელმა მუშებმა გმირობის მაგალითი გვაჩვენეს. ევროპა დაძაბული ადევნებს თვალს, თუ რით დამთავრდება ბრძოლა. **საფრანგეთისა** და ინგლისის მუშებმა უკვე პროტესტი განაცხადეს რუსეთზე შეტევის გამო. ამ ქვეყნებში დიდად ძლიერდება ბოლ-

შევიზმი. საფრანგეთში მომხდარი არჩევნები ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა [148]... ჩვენი მთავარი ყურადღება ახლა მიპყრობილი აქვს სამხრეთის ფრონტს, სადაც არნახული და გაუგონარი სისხლისმღვრელი ბრძოლებია გაჩაღებული, სადაც წყდება არა მარტო რუსეთის, არამედ დასავლეთის რევოლუციის ბედიც...

დენიკინის ოფიცერთა კორპუსები შესანიშნავად არიან შეიარაღებული. ისინი ითვალისწინებენ ზურგში მომხდარ აჯანყებებს და თავგანწირვით იბრძვიან. მაგრამ მუშათა და გლეხთა მასების შეგნება უფრო ნათლდება, ძლიერი აღმავლობა შეიმჩნევა. ჩვენი სისუსტე ის არის, რომ ცოტა გვყავს მცოდნე მუშაკები გლეხებსა და მუშებს შორის. ამიტომაა ჩვენს დაწესებულებებში ამდენი ძველი მოხელე, მესაბოტაჟე და ა. შ. საჭიროა, რომ ხალხიდან ამოვკრიბოთ საუკეთესო ძალები, მივცეთ მათ ცოდნა...

დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ გლეხებთან ლაპარაკის შემძლე შეგნებულმა ადამიანებმა აამაღლონ არმიის სულისკვეთება, ამიტომ ყოველმა ფრონტზე მიმავალმა მამაცობისა და თავდადების ნიმუში უნდა გვაჩვენოს. მაშინ გამარჯვება ჩვენს მხარეზე იქნება. გავწმენდთ ტრანსპორტს და ჩამოვიტანთ პურს...

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ჟურნალ «კომუნისტში», № 6

იბეჭდება საოქმო
ჩანაწერის ხელნაწერი
ეგზემპლარის მიხედვით

წინადადებანი ერთიანი სატყეო ორგანოს საკითხზე [149]

(1) დაწესებულებათა ურთიერთკონტროლი *
(2) ტყესაკაფის მონიშვნისა და გამოყოფის დაჩქარება
(3) მეტყევე სპეციალისტთა სამუშაო ძალის გამოყენება

---

* იგულისხმება დაწესებულებები, რომლებიც ვანაგებენ მეტყევეობას. რ ე დ.

(4) სათბობით მომარაგების დაჩქარებისა და გადიდების სხვა ღონისძიებანი
(5) ხომ არ არის საჭირო შერწყმა? *

დაწერილია 1919 წლის 11 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა კარტოფილის დამზადების შესახებ [150]

საფუძვლად მიკიღოთ სურსათის კომისარიატის პროექტი და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პროექტის § 4 [151].

შევქმნათ კომისია მთელი პროექტის დეტალურად შემუშავებისათვის იმ ვარაუდით, რომ უაღრესად ზუსტად დავადგინოთ როგორც ცალკეული რაიონები (სურსათის სახალხო კომისარიატის §§-ში), ისე გარკვეულ პუნქტებში სასურსათო არმიების გაძლიერების, მუშების მოზიდვის კონკრეტული ღონისძიებანი, სპირტისა და სახამებლის მიწოდების საჭირო და შესაძლებელი ოდენობა და ასე შემდეგ.

კომისია ზუსტად ჩამოაყალიბებს სურსათის კომისარიატის პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ შეასრულოს ყველა სასწრაფო ზომა და რევოლუციური გზით განახორციელოს ისინი, რათა გავითვალისწინოთ ეს პასუხისმგებლობა სახკომსაბჭოს შემდგომ პოლიტიკაში.

კომისიის შემადგენლობაში არიან შეინმანი (+ 2 სურ. კომ. **).
რიკოვი
შმიდტი
კამენევი

---

* ლაპარაკია ერთიანი სატყეო ორგანოს მექმნაზე. რ ე დ.

** იგულისხმება სურსათის სახალხო კომისარიატის ორი წარმომადგენელი. რ ე დ.

ავანესოვი (ან სრულიად
რუსეთის საგანგებო კო-
მისიისაგან)
მარკოვი

მივცეთ კომისიას 2 დღე და სახკომსაბჭო მოვიწვიოთ პარასკევს [152].

დაწერილია 1919 წლის 18 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების სრულიად რუსეთის II ყრილობის დელეგატთა თათბირზე [153]

თათბირი 21/XI. 1919

შევაერთოთ ტერიტორიული და ექსტერიტორიული პრინციპი
+ ექსტერიტორიულობა?

ა) ძირითადი ამოცანები: აღმოსავლეთის კომუნისტური ორგანიზაციების და პარტიების პრინციპული მნიშვნელობა.

ბ) ორგანიზაციულ-პარტიული საკითხები.

ბ) ადმინისტრაციულ-სახელმწიფო საკითხები.

ე) **თითოეული ერის კონკრეტული** საკითხები იმის შესაბამისად, თუ განვითარების რა საფეხურზეა იგი, რა თავისებურებანი აქვს და ა. შ.

ვ) წესები და ღონისძიებანი **თითოეული** ერის ღარიბობასთან, მშრომელებ-

+ უაღრესად მჭიდრო კავშირი რუს **მშრომელ** მასებთან.

თან, ექსპლოატირებულებთან კავშირისა მისი ბიუროკრატიის, ფეოდალების, ბურჟუაზიის წინააღმღეგ.

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა

ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება (29. XI. 1919)

ძალიან სასწრაფოდ.

დაევალოს **ჩიჩერინს** შეადგინოს დაწვრილებითი თეზისები ზავის შესახებ მოკლე მოხსენებისა საბჭოების ყრილობისათვის და საბჭოების ყრილობის განცხადების ტექსტი[154]. ამ ტექსტში უნდა იყოს პირდაპირი წინადადება ზავისა და საზავო მოლაპარაკების შესახებ, პირობების მოუხსენიებლად (წარმოადგინოს ისეთი ვარიანტი, რომ დადასტურებული იყოს ყველა ადრინდელი წინადადება ზავის შესახებ, მაგრამ არ შეგვბოჭოს).

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სრულიად რუსეთის ცაკის შემადგენლობის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების პროექტისათვის[155]

1) ყველა სახალხო კომისარი (მათ შორის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე) და სახალხო კომისრის მოადგილე არ უნდა გავიყვანოთ.
2) დანარჩენთაგან შევამციროთ «ინტელიგენტების» და ცენტრის საბჭოთა მოსამსახურეების რაოდენობა.

3) დიდი რაოდენობით გავზარდოთ იმ მუშათა და მშრომელ გლეხთა რაოდენობა, რომლებიც უთუოდ მჭიდროდ არიან დაკავშირებული უპარტიო მუშათა და გლეხთა მასასთან.
6) ზუსტად შევათანხმოთ პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებასთან [156].

დაწერილია 1919 წლის 29 ნოემბერს
პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

რკინიგზის ტრანსპორტის მართვის გაუმჯობესების შესახებ

პროექტი სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა [157]

სახკომსაბჭო ავალებს გზათა სახალხო კომისარიატს ერთი კვირის ვადაში შეიმუშაოს დაწვრილებითი დეკრეტი (ან ინსტრუქცია) რკინიგზების მართვაში მუშების და მუშათა ორგანიზაციების, მეტადრე პროფესიული კავშირების, მონაწილეობის შესახებ, მუშებისათვის მართვა-გამგეობის სწავლებისა და სხვა მისთანათა შესახებ.

დაწერილია 1919 წლის 2 დეკემბერს
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან არსებული რკპ(ბ) ფრაქციის ბიუროს დებულების პროექტის შენიშვნები [158]

1) ამხ. ტომსკიც და სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს ფრაქციის მთელი ბიუროც (ამ ბიუროს აუცილებლად ამტკიცებს რკპ ცენტრალური კომიტეტი) უთუოდ უნდა მიიწვიონ რკპ ცენტრალური კო-

მიტეტის ორგბიუროს სხდომებზე, როცა განიხილავენ პროფესიული მოძრაობის რაიმე საკითხს.

2) სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს ფრაქციის ბიურო შეიმუშავებს ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროსთან თავისი ურთიერთობის დაწვრილებით წესდებას. ამ წესდებას ამტკიცებს ორგბიურო.

3) «სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან არსებული რკპ ფრაქციის დებულება» იცვლება შემდეგნაირად

§ 1-ში ამოვარდეს სიტყვა «ხელმძღვანელ» [159]

§§ 3 [160] და? ჩაემატოს სიტყვები «ცენტრალური კომიტეტი» (გაერთიანებათა).

გადაისინჯოს ყველაფერი ცალკეულ §§-თა რედაქტირების მხრივ *

გადაისინჯოს ზემოაღნიშნული წესით, პროექტი მივიღოთ საფუძვლად და გავასწოროთ მარტოოდენ რედაქციის მხრივ.

დაწერილია 1919 წლის დეკემბერში,
არა უადრეს 4 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1963 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 39

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

სასურსათო ორგანოთა აპარატის მუშაობის შესახებ

რეზოლუციის პროექტი

ავირჩიოთ კომისია საკითხის განსახილველად.

მთავარ და გადაუდებელ ამოცანად დაისახოს, ჯერ ერთი, სასურსათო ორგანოთა აპარატის განახლება და ხელახალი მოწყობა, მეორე, თვით ამ ორგანოთა მუშაობაში ინიციატივის სულისკვეთების შეტანა.

---

* ხელნაწერში სიტყვიდან «იცვლება» ვ. ი. ლენინს ტექსტი გადაუხაზავს. რ ე დ.

დაისახოს როგორც ამ ამოცანათა გახორციელების პრაქტიკული საშუალებანი:

მუშათა კოოპერაციის მოზიდვა უაღრესად ფართო მონაწილეობის მისაღებად;

იგივე, ოღონდ ნაკლებად ფართო ოდენობით, — ბურჟუაზიული კოოპერაციისათვის;

მუშათა სასურსათო ინსპექციის უფრო სწრაფი განვითარება სასურსათო მუშაობის ყველა სფეროში მუშათა მოზიდვის ორგანიზაციად;

შემოვიღოთ პრემიული სისტემა მოსამსახურეთა, მუშათა ცალკეული ჯგუფებისა და მოსახლეობის ყველა ჯგუფიდან საგანგებოდ დასახელებული პირებისათვის, ამასთან ნება დავრთოთ, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ მუშაობაში, და წავახალისოთ ისინი.

ნუ შევზღუდავთ კომისიას ამ ამოცანებით, გავიგოთ ეს ამოცანები ისე, როგორც მისი მუშაობის საერთო მიმართულების დაახლოებითი განსაზღვრა.

კომისიაში ნუ ავირჩევთ სასურსათო ორგანოთა მუშაკებს.

კომისიაში ვასახელებ

კამენევს

ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს

შმიდტს

უეჭველად მოვიზიდოთ კომისიაში შეუყვანლად	ორლოვი, ავტორი წიგნისა «საბჭოთა ხელისუფლების სასურსათო მუშაობა».

იაკოვლევას

სოსნოვსკის.

დაწერილია 1919 წლის 6 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მონახაზი სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტისა მოსკოვის სასურსათო მომარაგების შესახებ [161]

(«კონსტატირება»)

1) ხელშეკრულებას ფორმალურად ხელი მოაწერონ [162]

2) ყოველდღიური ცნობები კვლავ შემოვიღოთ [163]

შრომითი ულუფა?

ზუსტად ვაცნობოთ ჩაბარების ადგილი და ტრანსპორტის მდგომარეობა

3) მოვახდინოთ მუშათა მობილიზაცია ტრანსპორტისათვის

{ დავავალოთ მოსკოვის პროფესიულ საბჭოს + გზათა სახალხო კომისარიატს

4) განსაკუთრებით სასწრაფოდ განიხილოს კარტოფილის მოზიდვის ზომები და თვალი ადევნოს მოზიდვას

5) საგანგებო გაცემა (ხორცისა?) დავამტკიცოთ.

დაწერილია 1919 წლის 6 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა პურით დატვირთული სამარშრუტო მატარებლების მოსკოვს გამოგზავნის შესახებ [164]

1) დამნაშავედ ვცნოთ სურსათის კომისარიატი უაღრესად მნიშვნელოვანი დავალების შესრულების დროს გამოჩენილ არაჩვეულებრივ დაუდევრობაში.

2) დაევალოთ ფორმალურად უჩივლონ ფოსტა-ტელეგრა-

ფის სახალხო კომისარიატს სახკომსაბჭოს თავმჯდომარესთან, როცა **ერთი საათი** გავა მას შემდეგ, რაც საბოლოოდ ვერ მიიღებენ პირდაპირ მავთულს და პასუხს ამ მავთულით [165].

3) დაენიშნოთ ძიება გუბერნიების სასურსათო კომისრებს სურსათის სახალხო კომისარიატის ბრძანების შეუსრულებლობისა ან უთაურობისათვის [166].

4) დაინიშნოს სურსათის კომისარიატში ერთ-ერთი მოხელე, რათა ზუსტად განაგოს ხაზები.

5) მოვიწვიოთ სახკომსაბჭო შაბათისათვის * განწესებათა შესახებ მიღებული დადგენილების შესრულების შესამოწმებლად და განსახილველად.

6) მოვთხოვოთ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს მოგვცეს წერილობითი ახსნა-განმარტება იმის გამო, რომ დროზე არ იქნა ჩაბარებული სურსათის სახალხო კომისარიატის დეპეშები, და აღნიშნოს ის ღონისძიებანი ან კანონთა ცვლილებანი, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ უთუოდ სასწრაფოდ გადასცენ სურსათის სახალხო კომისარიატის ბრძანებები.

დაწერილია 1919 წლის 23 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წერილი პ. ი. პოპოვს

(რსფსრ მოსახლეობის მოხმარების შესახებ ოქტომბრის რევოლუციამდე და ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ) [167]

1

ამხ. პოპოვ! თუ შეიძლებოდეს — და თუ ეს არ გაგიჭირდებათ — დამიბრუნეთ ცხრილი, რომელსაც ამ წერილთან ერთად გიგზავნით, და დაურთეთ მას თქვენი შეფასება:

სტატისტიკური მეცნიერებისა და იმ მონაცემების თვალსაზრისით, რომლებიც მას აქვს რუსეთის შესახებ

(აა) შესაძლებელია ასეთი ცხრილის შედგენა თუ არა (თუნდაც იმის გამო, რომ გვაკლია მონაცემები)?

* იგულისხმება 1919 წლის 27 დეკემბერი. რ ე დ.

(ბბ) თუ შეიძლება, რა მთავარი შესწორებები გექნებოდათ?

(გგ) ხომ არ მოჰკიდებდა ხელს რომელიმე თქვენი სპეციალისტი ასეთი ცხრილის შედგენას (თუნდაც უფრო ფართო რხევის ფარგლებში «აქედან — აქამდე»)?

თქვენი ლენინი

2

დავუშვათ (სათვალავის დასამრგვალებლად, გასამარტივებლად და ძალიან ადვილად დასამახსოვრებლად), რომ რსფსრ მოსახლეობა = 50 მილიონს

როგორ საზრდობენ? (ახლა)	მოსახლეობის %	როგორ საზრდობდნენ ომამდე (1914 — 1917 წლებამდე)? საშუალოდ, ვთქვათ, 10, 15 წლის მანძილზე ომამდე
ა) 10 მლნ. მუშა = ნორმის 50 — 60%	20%	ნორმის 70 — 80%
ბ) 20 მლნ. ღარიბი გლეხი = =ნორმის 70—80%	40%	ნორმის 50 — 60%
გ) 15 მლნ. საშუალო გლეხი = ნორმის 90 — 100%	30%	ნორმის 60 — 70% [თუ 90%?]
დ) 4 მლნ. მდიდარი გლეხი= =ნორმის 120—150%	8%	ნორმის 100% [თუ 110 — 120%?]
ე) 1 მლნ. ყოფილი მემამულე, კაპიტალისტი, უმაღლესი თანამდებობის მოსამსახურე და ა. შ. = = ნორმის 60 — 70%	2%	ნორმის 150 — 200%
	100%	

ნორმად მივიჩნიოთ, რამდენი სჭირდება ადამიანს, მეცნიერების მიხედვით, პური, ხორცი, რძე, კვერცხი და სხვა მისთანანი.

ე. ი. ნორმა არის არა კალორიათა რაოდენობა, არამედ საზრდოს რაოდენობა და ხარისხი.

მუშებად იგულისხმებიან სამრეწველო მუშები, ქალაქის არამუშა მოსახლეობა კი შევიტანოთ შესაბამის **გ** და **დ** ჯგუფებში.

სოციალური ტიპებია:

ა) ქალაქის პროლეტარული და ნახევრად პროლეტარული მოსახლეობა

ბ) იგივე — სოფლად

გ) საშუალო გლეხობა და საერთოდ მასთან ყველაზე ახლო მდგომი წვრილბურჟუაზიული მოსახლეობა

დ) მდიდარი გლეხობა და ქალაქის საშუალო ბურჟუაზია

ე) უმაღლესი კლასები.

დაწერილია 1919 წლის დეკემბრის
მეორე ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით მუშათა მომარაგების საკითხზე [168]

დაევალოს მცირე საბჭოს დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში შაბათისათვის *, გადასინჯოს თავისი დადგენილება, ამასთან დატოვოს მისი ყველა პრინციპული და ზოგადი ნაწილი და შეცვალოს მუშებისათვის მისაცემის ციფრები არმიის

* იგულისხმება 1920 წლის 3 იანვარი. რ ე დ.

გადიდების ახალი სამხედრო დავალებების თანახმად. დაევალოს ამხანაგ რიკოვს ზუსტი მანდატი მისცეს თავის რწმუნებულს და მხოლოდ ის გაუშვას [169].

დაწერილია 1919 წლის 30 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა ნედლეულის დამზადების ინსტრუქციის შესახებ [170]

დაევალოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შაბათისათვის * გადაამუშაოს ინსტრუქცია ისე, რომ მთლიანად იყოს გატარებული საბჭოების VII ყრილობის გადაწყვეტილება, კერძოდ

1) აცილების მიცემის უფლების საკითხზე [171];

2) უფრო მკაცრად და სრულად გაატაროს გაწერის პრინციპი;

3) განსაზღვროს ადგილობრივი ინიციატივის გამოჩენის და მისი წარმატების წახალისების დეტალური უფლებები და პირობები;

4) შეიმუშაოს საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლის წესები.

ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს მთელი პროექტი ინსტრუქციისა, რომელიც მოხსენიებულია საბჭოების VII ყრილობის გადაწყვეტილებაში [172].

დაწერილია 1919 წლის 30 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* ივულისხმება 1920 წლის 3. იანვარი. რ. ედ.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სატრანსპორტო განყოფილების შესახებ

პროექტი თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა [173]

16. I. 1920.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია ვალდებულია 3 კვირის ვადაში გამოცეს დაწვრილებითი ინსტრუქცია, რომელიც განსაზღვრავს არა მარტო სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სატრანსპორტო განყოფილების მოქმედების წესს, არამედ დააწესებს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სატრანსპორტო განყოფილების აგენტთა მკაცრ პასუხისმგებლობას საბოტაჟისა ან სპეკულაციის შემთხვევების უყურადღებოდ დატოვებისა და შეუტყობინებლობის გამო.

კერძოდ, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სატრანსპორტო განყოფილების აგენტებს კონტაქტი უნდა ჰქონდეთ რკინიგზელ მუშათა იმ ნამდვილად პროლეტარული ნაწილის კომუნისტურ და პროფესიულ უჯრედებთან, რომელიც თავის სამსახურებრივ მდგომარეობას არ იყენებს სისტემატური სპეკულაციისთვის.

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა

დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს აზერბაიჯანის მთავრობის მიმართ განახორციელოს უდიდესი თავშეკავებულობის და უნდობლობის პოლიტიკა იმის გამო, რომ მან არ მიიღო დენიკინის წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო მოქმედების ჩვენი წინადადება და სამსახურს უწევს ინგლისის სამხედრო ძალებს, რომლებიც ჩვენ წინააღმდეგ მოქმედებენ კასპიის ზღვაზე. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა სრულიად გარკვეულად ხაზი უნდა გაუსვას იმას, რომ

ჩვენ განუხრელად ვაღიარებთ თითოეული ერის მშრომელი მასების თვითგამორკვევის უფლებას, და ამასთან გაბედული პროტესტი უნდა განაცხადოს აზერბაიჯანის მთავრობის ასეთი მოქმედების წინააღმდეგ [174].

დაწერილია 1920 წლის იანვარში,
არა უადრეს 17 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

დადგენილება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსი ანტანტის იმ ცდის საკითხზე, რომ დაიწყოს სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან რუსეთის კოოპერაციის მეშვეობით

იმის გამო, რომ ანტანტას განზრახვა აქვს საქონელგაცვლა მოახდინოს კოოპერატივების მეშვეობით, ამასთან აშკარად ვარაუდობს გამოიყენოს კოოპერატივები როგორც აპარატი კაპიტალიზმის აღსადგენად, ცენტრალური კომიტეტი ავალებს ცენტროსოიუზის თავმჯდომარეს, სურსათის სახალხო კომისარიატს, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს და ვაჭრობის სახალხო კომისარიატს უაღრესად დიდი ყურადღებით განიხილონ აღნიშნული თვალსაზრისით კოოპერატივების საკითხი და დაუყოვნებლივ შეიმუშაონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ სავსებით დაეუფლოთ კოოპერაციულ აპარატს უწინარეს ყოვლისა ყველა იმ პუნქტში, საიდანაც შეიძლება დაწესდეს საქონელგაცვლა (უკრაინა, შორეული აღმოსავლეთი).

დაწერილია 1920 წლის
17 ან 18 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1963 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 40

იბეჭდება საოქმო
ჩანაწერის მანქანაზე
გადაწერილი ეგზემპლარის
მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა იმასთან დაკავშირებით, რომ მთავარსარდალმა პროტესტი განაცხადა თურქესტანის ფრონტის სარდლისათვის მიცემული ბრძანების გამო [175]

1) ბრძანება, გადაცემული დეპეშით ლენინის და ტროცკის მიერ, ცნობილ იქნეს სწორ ბრძანებად.

2) ამ ბრძანების ფორმის გაპროტესტება მიჩნეულ იქნეს სამხედრო ბიუროკრატიზმის არასასურველი გამოვლინების შემთხვევად.

3) ვაცნობოთ მთავარსარდალს, რომ მისი სიტყვიერი, ამხ. სმილგას მეშვეობით გადმოცემული, პროტესტი განვიხილეთ და არასწორად ვცანით. როცა დასკვნას გთხოვენ, დასკვნა უნდა მისცე.

დაწერილია 1920 წლის 17 ან 18 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დირექტივა მუშათა ინსპექციის საკითხზე [176]

დაევალოთ სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმს და სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს სახელმძღვანელოდ მიიღონ რკპ ცენტრალური კომიტეტის დირექტივა:

1. არათუ არ შექმნან ახალი დაწესებულებანი სახელმწიფო მართვა-გამგეობის არც ერთ სფეროში, არამედ გააუმჯობესონ არსებული სახალხო კომისარიატები.

2. მუშათა და გლეხთა ინსპექცია ყოველნაირად განავითარონ, გააძლიერონ, გააფართოონ, მთელი მუშაობა წარმართონ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის სრული «გამუშურებისკენ» (და «გაგლეხურებისკენ»).

3. მუშათა ინსპექციაში არ მიიღონ კვალიფიციური მუშები, მიიღონ მხოლოდ არაკვალიფიციურნი და უმთავრესად ქალები.

4. ავანესოვის მონაწილეობით დაუყოვნებლივ შეადგინონ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატთან არსებული მუშათა და გლეხთა ინსპექციის ახალი პროექტი და შემოიტანონ პოლიტბიუროში 1920 წლის 28 იანვრამდე.

დაწერილია 1920 წლის 23 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მითითებანი სააგიტაციო-საინსტრუქტორო მატარებლებისა და გემების მუშაობის შესახებ [177]

1. კერძო ხასიათისა:

1) გავაძლიეროთ მატარებლების და გემების მუშაობის ეკონომიური და პრაქტიკული ნაწილი იმით, რომ მათს პოლიტგანყოფილებებში შევიყვანოთ აგრონომები, ტექნიკოსები, შევურჩიოთ ტექნიკური ლიტერატურა, სათანადო შინაარსის კინოლენტები და სხვ.

2) კინოკომიტეტის მეშვეობით დავამზადოთ საწარმოო (წარმოების სხვადასხვა დარგის მაჩვენებელი), სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, ანტირელიგიური და მეცნიერული კინოლენტები, რისთვისაც ამხ. ლიტვინოვის მეშვეობით დაუყოვნებლივ დავუკვეთოთ ეს ლენტები საზღვარგარეთ. დეპეშით გასაგზავნ შეკვეთას ხელი მოაწეროს ამხ. ლენინმა.

3) შევიმუშაოთ თემის დიდმასშტაბიანი საჩვენებელი რუკა, რომელიც ასახავს მთელ გაწეულ მუშაობას და რაიონებს, სადაც ეს მუშაობაა გაწეული. ეს რუკა გამოვფინოთ ხალხის თავშეყრის ადგილას, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი საშვისაგან.

4) დავამუშაოთ მოგზაურობის დროს მიღებული მასალა, გამოვცეთ სქემები, დიაგრამები და სხვ.

5) ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ საჭიროა კინოლენტების გულმოდგინედ შერჩევა და იმის გათვალისწინება, თუ როგორ მოქმედებს დემონსტრირების დროს მოსახლეობაზე თითოეული კინოლენტი.

6) გავაფართოოთ მატარებლების და გემების მუშაობა ლიანდაგისა და ნაპირისაგან დაშორებით, რისთვისაც მატარებლებში და გემებზე გავაძლიეროთ დამხმარე სატრანსპორტო საშუალებანი (მოტოციკლები, ავტომობილები, ველოსიპედები), აგრეთვე გამოვიყენოთ ადგილობრივი სატრანსპორტო საშუალებანი.

7) მოვაწყოთ საზღვარგარეთ წარმომადგენლობა კინოლენტების, ფირის და ყოველგვარი კინემატოგრაფიული მასალის შესაძენად და გადმოსატანად.

8) ყურადღება მივაქციოთ მატარებლების და გემების თანამშრომელთა შერჩევას.

9) ამხ. ბუროვს უფლება ენიჭება სრულიად რუსეთის ცაკის საინსტრუქტორო მატარებლებისა და გემების საქმიანობის საკითხზე უშუალოდ მიმართოს ამხ. ლენინს სასწრაფო შემთხვევის დროს, ხოლო თუ შემთხვევა სასწრაფო არ არის, მიმართოს ამხ. ლენინს მდივნის მეშვეობით.

2. ზოგადი ხასიათისა:

1. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეშვეობით დაუყოვნებლივ დავნიშნოთ სრულიად რუსეთის ცაკის, ცენტრალური კომიტეტის, სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთა და მატარებლებში და გემებზე ნამყოფ პოლიტმუშაკთა კრება. აღნიშნული კრება უნდა გაეცნოს მატარებლების და გემების მუშაობის შედეგებს და შეიმუშაოს სრულიად რუსეთის ცაკის, ცენტრალური კომიტეტის და სახკომსაბჭოს სახელით მგზავრობის დებულება.

2) შემუშავებულ დებულებას ამხ. ლენინი გაიყვანს ცენტრალურ კომიტეტში, სახკომსაბჭოში.

3) ვვარაუდობთ სახკომსაბჭოსთან შევქმნათ მგზავრობის ხელმძღვანელი მუდმივი საგანგებო კომისია, თანახმად შემუშავებული დებულებისა.

დაწერილია 1920 წლის 25 იანვარს
არასრულად დაიბეჭდა 1920 წელს
კრებულში
«სრულიად რუსეთის ცაკის საგიტაციო
გემები და მატარებლები. მათი ისტორია,
აპარატი, მეთოდები და ფორმები»,
მოსკოვი

მთლიანად პირველად დაიბეჭდა
1932 წელს წიგნში: ნ. კ. კრუპსკაია.
თხზულებათა კრებული, ტ. II.
«პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა»

იბეჭდება
წიგნის ტექსტის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა კარტოფილის გადმოტვირთვის და თოვლისაგან მოსკოვის ქუჩებისა და რკინიგზების გაწმენდის შესახებ [173]

1. დაევალოს სურსათის კომისარიატს 3 დღის ვადაში შეიმუშაოს კარტოფილის კამპანიის გამეორების დადგენილება და წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს [179].

2. დაევალოს ბურდუკოვს + კამენევი, ძერჟინსკი, კურსკი წარმოადგინონ მონაცემები მოზრდილი და ჯანსაღი მამაკაცების, მათი არასამუშაო დროის და იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ მათ ქალაქში გადაუდებელი სამუშაოებისათვის, წარმოადგინონ პროექტი დადგენილებისა მათი გამოყენების შესახებ.

3. დაევალოს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას დანიშნოს პასუხისმგებელი, პარტიული, გამოცდილი გამომძიებელი, რათა შეისწავლოს მონაცემები როგორც მუშების, ისე მოსამსახურეების შრომითი ბეგრის სრულიად არადამაკმაყოფილებელი დაყენების შესახებ მოსკოვში.

მოახსენოს სახკომსაბჭოს ძერჟინსკიმ ან მისმა მოადგილემ 4 დღის ვადაში.

4. დაევალოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს უფრო ენერგიული ზომები მიიღოს თოვლის ბეგრის განსახორციელებლად და სახკომსაბჭოში მოხსენება ამის შესახებ დაინიშნოს 3 დღის ვადაში [180].

დაწერილია 1920 წლის 27 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები მუშა-მოსამსახურეთა კრემირების დებულების პროექტის გამო

1. II. 1920.

პრემირების საკითხები ფრიად დიდ ეჭვს იწვევს.

§ 4 ნორმის სავსებით თვითნებური განსაზღვრაა («საუკეთესოს», ე. ი. საუკეთესო მანქანების პირობებში და სხვ., 50% — ზუსტად 50%. ეს სავსებით თვითნებურია. ხომ არ შეიძლება უფრო ზუსტად? კონტროლისათვის გამოვაქვეყნოთ ნორმები? თუ შევუკრიბოთ ეს ნორმები სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებას და სხვა მისთანათ და ბიულეტენში გამოვაქვეყნოთ?).

შემაჯამებელი ანგარიში: პრემიების სიდიდე. ამის ანგარიში დადგენილი არ არის. ხომ არ იქნება მაშინ ფაქტობრივად დაკანონებული ერთიანი ბოროტმოქმედებანი?

მ ო მ ხ მ ა რ ე ბ ე ლ ი უნდა ჩავაბათ ნორმების გაკონტროლებაში. ხომ არა გვაქვს ამის ნიმუშები? კოოპერატივებში? და ა. შ.

პროექტი სცოდავს ხელგაშლილობით, აბსტრაქტულობით, უგერგილობით, სულ აღგვითქვამს, არაფერს ამოწმებს [181].

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სიტყვა, წარმოთქმული საგუბერნიო და სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირზე 1920 წლის 1 თებერვალს

სესიის[182] გახსნის წინ აღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირზე ამხანაგი ლენინი შეეხო მიმდინარე მომენტს და თქვა:

რამდენადაც საერთაშორისო მდგომარეობა ისეთივე რჩება, როგორიც ახლაა, ხოლო მთელი ვითარება, მოვლენათა მთელი მსვლელობა მის მდგრადობას მოწმობს, იმდენად სამეურნეო საქმიანობის ამოცანები წინა პლანზე უნდა დავაყენოთ. ტრანსპორტის მიმართ კი იძულებული ვართ არა მარტო პირველ პლანზე დავაყენოთ იგი, არამედ პირდაპირ ყურით ვეწევით ამ ტრანსპორტს, რომ ვიხსნათ მოახლოებული კატასტროფისაგან. ჩვენში ჩერდება პურით დატვირთული მატარებლები, პური იმაზე მეტი გვაქვს, რისი მოზიდვაც შეგვიძლია. სამხედრო ოპერაციები ხშირად ძნელდება ტრანსპორტის ნაკლებობის გამო. თებერვალი ტრანსპორტისათვის ყველაზე მძიმე თვეა და ჩვენ პირდაპირ კატასტროფის წინაშე ვდგავართ.

ჩვენ საფრთხე მოგველის ტრანსპორტის მოშლის მხრივ, იმაზე საშინელი მოშლის მხრივ, ვიდრე ოქტომბერში იყო, როცა იუდენიჩს და დენიკინს ყველაზე მეტი წარმატება ჰქონდათ. ტრანსპორტის გადასარჩენად მეტი ენერგიაა საჭირო. კიდევ და კიდევ ერთხელ უნდა მოვახდინოთ მობილიზაცია. მუშაკებისაგან ბევრი დაწესებულების გაძარცვა და კიდევ ერთხელ გაძარცვა მოგვიხდება ტრანსპორტის მოშლის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მართვისა და პოლიტიკის მთელი ხელოვნება ის არის, რომ დროულად გაითვალისწინო და იცოდე, რას მიაპყრო მთავარი ძალები და ყურადღება. ახლა ჩვენ ორ თვეში უნდა გამოვასწოროთ ტრანსპორტი. თუ ტრანსპორტს ორი თვის მანძილზე ისეთივე სასწაული არ გავუკეთეთ, როგორიც კოლჩაკს, კატასტროფა მოგველის.

საჭიროა რამდენიმე ენერგიული და რევოლუციური ღონისძიება. ეს სამხედრო და საბრძოლო ამოცანაა და მხედრულ საბრძოლო მოქმედებას მოითხოვს.

«კრასნაია გაზეტა» (პეტროგრადი)
№ 24, 1920 წლის 3 თებერვალი

იბეჭდება «კრასნაია გაზეტას» ტექსტის მიხედვით

პროექტი თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ

სხდომა 2/II. 1920 [183].

(1) 50 → 100% მარშრუტები.
(2) ყაზანის გზა.
(3) სამარა — ზლატოუსტი — ჩელიაბინსკი
?
¦ გავაძლიეროთ სურსათის მიწოდება.
(4) გავაძლიეროთ სასურსათო დატვირთვა ჩელიაბინსკის რაიონში.
(5) მივავლინოთ დიდად პასუხისმგებელი მუშაკები სარემონტო სახელოსნოებში (პეტროგრადსა და მოსკოვში).
(6) პრემიად ფორმის ტანსაცმელი.
(7) შემკეთებელი მატარებლები დასავლეთის ფრონტზე.
(8) არჟანოვის გაგზავნა.
+ (9) გზის უფროსების სამხედრო თანაშემწეები.
+ (10) 1 რკინიგზა მივცეთ არმიას.
— (11) გადავიყვანოთ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის მუშაკები ტრანსპორტზე.
(12) შემკეთებელი ქარხნები გავუთანაბროთ სატრანსპორტოს.
(13) არმიის მომარაგების ხაზით თავდაცვის საბჭოს საგანგებო რწმუნებულის მარაგი, გადაცემული სურსათის კომისარიატისათვის, მივცეთ ტრანსპორტის მუშებს.

(14) სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტში და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და სხვა უწყებების სხვა განყოფილებებში მომუშავე რკინიგზელი სპეცები გადავიყვანოთ ტრანსპორტზე.	მობილიზაცია

(15) გავადიდოთ სამხედრო ძალთა რაოდენობა (40 000) ნამქერის წინააღმდეგ საბრძოლველად.
(16) ad 5 * + სრულიად რუსეთის ცაკის წევრები.
(17) გავაძლიეროთ გარემონტების შაბათობები.
(18) 30 — 50 ვერსი სამხედრო მდგომარეობა.
(19) რკინიგზის ხაზისპირა თემები გავაძლიეროთ მუშაკებით.
(20) განსაკუთრებით გავაძლიეროთ სათბობის ხაზით მუშაობა.
(21) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს ვთხოვოთ პარტიისთვის ცირკულარი და აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გაძლიერება.
(22) გადავსინჯოთ გადაზიდვის გეგმა სურსათისა და სათბობის გადაზიდვის გაძლიერების მიზნით.
(23) დავხუროთ ზოგიერთი ქარხანა და გადავიყვანოთ რემონტზე.
(24) ნიჩბების და ხელჯაგების დამზადება.
(25) თოვლსაწმენდები და მათი განაწილება.
(26) საგზაო სამსახურის აგენტთა ინსტრუქტირება.

ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ თავდაცვის საბჭოს დადგენილებებზე მინაწერი

ყველა ხელმძღვანელი საბჭოთა მუშაკის გაძლიერებულ ყურადღებას მივაქცევ ამ გადაწყვეტილებებს. ტრანსპორტის

* — მე-5 პუნქტისათვის. რ ე დ.

მდგომარეობა საშინელია. სახსნელად საჭიროა ჭეშმარიტად გმირული და რევოლუციური ღონისძიებანი.

2/II. 1920. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ორთქლმავალშემაქეთებელ მუშათა შელავათების შესახებ

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა [184]

1) გამოვაქვეყნოთ, რომ რემონტისათვის ჯილდოდ მარშრუტებია.

2) დავავალოთ გზათა სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს მარშრუტებით დაჯილდოების ისეთი გეგმა, რომ წარმოებდეს ყველაზე საჭირო სარემონტო სამუშაო და არა მარშრუტის სპეციალური რემონტი.

3) მარშრუტების რემონტის ყველა მონაცემი შევაჯამოთ და შევავსოთ, დასამუშავებლად გადავცეთ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

4) დაევალოს სრულიად რუსეთის ცენტრალურ პროფსაბჭოს, მოსკოვის, პეტროგრადის, ივანოვოს და ტვერის პროფესიულ კავშირთა საბჭოებს შეიმუშაონ საკითხი, რომ საუკეთესო სახელოსნოები რემონტისათვის გამოვიყენოთ დღე-ღამის მთელი 24 საათის განმავლობაში [185].

დაწერილია 1920 წლის 5 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სიტყვა, წარმოთქმული გუბერნიათა საგანგებო კომისიების IV კონფერენციაზე 1920 წლის 6 თებერვალს [186]

ამხანაგებო, თქვენ ახლა მუშაობა ისეთ პირობებში მოგიხდებათ, როცა საბჭოთა რუსეთი საქმიანობის ახალ ხანას

იწყებს. რასაკვირველია, ყველამ იცით, რომ გარდამავალი დროის ეს პირობები ერთნაირად გამოიწვია საერთაშორისო პირობებმაც და საშინაომაც, ე. ი., უფრო სწორად, როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო ფრონტის მდგომარეობის შეცვლამ, რაც ამ უკანასკნელ ხანს მოხდა.

ძირეული ცვლილება ის არის, რომ თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის მთავარი ძალები გატეხილია იუდენიჩისა და კოლჩაკის დამარცხებისა და დენიკინზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ. თუმცა ამ მხრივ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან ამ უკანასკნელ დროს, როსტოვის მახლობლად, ნოვოჩერკასკში შეფერხება მოხდა, რაც იმის საფრთხეს ქმნის, რომ დენიკინს შეუძლია წელში გაიმართოს. მაგრამ მიუხედავად ამისა ძირითადი გამარჯვებანი ახალ მდგომარეობას ქმნიან. ცხადია, რომ ბურჟუაზიას უკვე აღარ შეუძლია სერიოზული იმედი ჰქონდეს მისი სასარგებლო შემობრუნებისა, და ეს მით უფრო ნათელია, რომ საერთაშორისო ვითარებაც ძალიან შეიცვალა, ისე შეიცვალა, რომ ანტანტა იძულებული გახდა მოეხსნა ბლოკადა. ჩვენ შევძელით ესტონეთთან ზავის დადება. ამ მხრივ ჩვენ ძირითად წარმატებას მივაღწიეთ, რამაც ძლიერ განამტკიცა ჩვენი მდგომარეობა და, ალბათ, მივაღწევთ ზავს ყველა დანარჩენ განაპირა სახელმწიფოსთან, და მაშინ ანტანტის არავითარი შემოსევა პრაქტიკულად შესაძლებელი აღარ იქნება.

ამრიგად, როგორც ფარული, ისე აშკარა კონტრრევოლუციის, თეთრგვარდიული შეიარაღებული ძალის წინააღმდეგ ბრძოლის პირველი მწვავე მომენტი, ეტყობა, განვლეთ. მაგრამ სულ ადვილი მოსალოდნელია, რომ ამა თუ იმ კონტრრევოლუციური მოძრაობისა და აჯანყების ცდა განმეორდეს და, გარდა ამისა, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გამოცდილება ნათელყოფს, რომ წმინდა ტერორისტული ხასიათის ცდებს ხშირად თან ახლავს მასობრივი შეიარაღებული ბრძოლა და ამიტომ, ბუნებრივია, ველოდეთ, რომ ოფიცერთა შეიარაღებული კონტრრევოლუციური ძალა, ისეთი ელემენტი, რომელიც თითქმის ყველაზე მეტად არის შეჩვეული იარაღს

და მის ხმარებას, უნდა ველოდეთ, რომ ეს ძალა უარს არ იტყვის თავის სასარგებლოდ იარაღის გამოყენებაზე.

ასე რომ, თუმცა როსტოვის აღების შემდეგ ამხ. ძერჟინსკის ინიციატივით სიკვდილით დასჯა გავაუქმეთ, მაგრამ იმთავითვე შენიშვნა დავთქვით, რომ ჩვენ თვალს ვერ დავხუჭავთ დახვრეტების აღდგენის შესაძლებლობაზე. ჩვენთვის ამ საკითხს განსაზღვრავს მიზანშეწონილობა. თავისთავად ცხადია, რომ საბჭოთა ხელისუფლება სიკვდილით დასჯას აუცილებლობით გამოწვეულზე მეტხანს არ შეინარჩუნებს და ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლებამ, სიკვდილით დასჯა რომ გააუქმა, ისეთი ნაბიჯი გადადგა წინ, როგორიც არც ერთი ბურჟუაზიული რესპუბლიკის არც ერთ დემოკრატიულ ხელისუფლებას არ გადაუდგამს.

თქვენ იცით, რომ ყველა განაპირა ადგილის იმ მუშათა და გლეხთა დიდი უმრავლესობა, რომლებიც თეთრგვარდიელთა უღელქვეშ მოექცნენ, რაც უფრო დიდხანს იყვნენ მათ უღელქვეშ, მით უფრო მტკიცედ გადმოვიდნენ ჩვენს მხარეზე. და ამიტომ ვიცით, რომ ბურჟუაზიის ყველა ცდა იმთავითვე განწირულია წარუმატებლობისთვის. მაგრამ ასეთი ცდა რომ მოსალოდნელია, საბჭოთა ხელისუფლების ორი წლის პრაქტიკით ვნახეთ. ვნახეთ, თუ როგორ მიდიოდა ათიათასობით ოფიცრობა, მემამულური ელემენტი როგორიც გნებავთ ბორტმოქმედებაზე, ხიდების აფეთქების ხელშეკრულებებს დებდნენ იმპერიალისტურ უცხო სახელმწიფოთა აგენტებთან. და ვამბობთ, რომ ასეთი ცდები არ შეწყდება. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ახალი საერთო-სახელმწიფოებრივი მდგომარეობა და მაინც უთუოდ უნდა დავრჩეთ საგუშაგოზე, ამასთან გვახსოვდეს, რომ დიდი ისტორიული მასშტაბის შეიარაღებული ბრძოლის პერიოდი თუმცა მთავრდება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს იმას, რომ მზად უნდა ვიყოთ.

კონტრრევოლუციის დათრგუნვის ორგანოთა წინაშე, საგანგებო კომისიის ორგანოთა წინაშე იდგა და დღესაც დგას საკმაოდ რთული და ძნელი საკითხი. ერთი მხრივ, უნდა გავი-

გოთ, გავითვალისწინოთ ომიდან მშვიდობაზე გადასვლა, მეორე მხრივ, ყოველთვის საგუშაგოზე უნდა ვიდგეთ, რამდენადაც არ ვიცით, როდის მოვიპოვებთ მტკიცე ზავს; უნდა გავითვალისწინოთ, რა გავლენას მოახდენს ბურჟუაზიულ ფენებზე ამ ახალი წესის გამოყენება, მხედველობაში უნდა გვქონდეს, სინამდვილეში უნდა გამოვცადოთ, რას მოგვცემს ეს ცვლილებები და მხოლოდ ამისთვის ანგარიშის გაწევით, ამ პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე შევიტანოთ ესა თუ ის ცვლილება.

ერთი სიტყვით, ჩვენ წინანდებურად უნდა შევინარჩუნოთ სრული ბრძოლისუნარიანობა მტრის მოსაგერიებლად. შესაძლოა, რომ იყოს შემოსევის ცდები, შესაძლოა, რომ დენიკინი განმტკიცდეს, რათა განაგრძოს სამოქალაქო ომი, შესაძლოა, რომ კონტრრევოლუციონერთა ჯგუფების მხრივ იყოს ტერორის ცდები, და საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნება ჩვენი მოვალეობაა. უნდა შევინარჩუნოთ ეს საბრძოლო მზადყოფნა, არ უნდა შევასუსტოთ ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვის აპარატი და ამასთან უნდა გავითვალისწინოთ ომიდან მშვიდობაზე ახალი გადასვლა, თანდათანობით შევცვალოთ ტაქტიკა, შევცვალოთ რეპრესიების ხასიათი.

მგონია, რომ ამ საკითხს მცირე როლი არ შეუსრულებია თქვენს მსჯელობაში და, რა თქმა უნდა, თქვენ გაცილებით ჩემზე მეტი მონაცემები გაქვთ კონკრეტულ პრაქტიკულ გადაწყვეტილებათა მისაღებად. ეჭვი არ მეპარება, რომ შეეცდებით კონკრეტულად და პრაქტიკულად შეისწავლოთ ეს მასალა. უნდა მოიფიქროთ, რა მხრივ იცვლება კონტრრევოლუციის დამთრგუნავ ორგანოთა საქმიანობა რუსეთის ამას წინათ განთავისუფლებულ ნაწილებში, ციმბირში, უკრაინაში, როგორ შევუცვალოთ ამის შესაბამისად სახე ჩვენს საქმიანობას. მე არ შევუდგები წვრილმანებით ამის აღრიცხვას, დიდხანს არ შევჩერდები ამაზე, იმიტომ რომ არ შემეძლო გავცნობოდი ფაქტობრივ მასალას, მაგრამ ვიმეორებ, რომ ყველაზე მთავარია იმ კონკრეტული მონაცემების გათვალისწინება, რომლებმაც სინამდვილეში თავი იჩინეს ყოველ საგანგებო კომისიაში.

გარდა ამისა, ასეთ ყრილობათა ამოცანა ის არის, რომ ამგვარი ფაქტობრივი მონაცემები რაც შეიძლება დეტალურად განვიხილოთ, რათა თითოეულმა ადგილობრივმა მუშაკმა თავი დააღწიოს თავის ვიწრო კუთხეს და აზრთა ურთიერთგაზიარების წყალობით შეძლოს შეიმუშაოს უფრო მტკიცე, დიდი ხნით დამყარებული ტაქტიკა.

განსაკუთრებით მინდა მივაქციო ყურადღება კონტრრევოლუციის დამთრგუნავი ორგანოების, ჯაშუშობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოების წინაშე წამოჭრილ საკითხს, შრომის უსისხლო ფრონტს, რომელიც ახლა საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობის თვალსაზრისით, მუშურ-გლეხური ხელისუფლების განმტკიცების და დანგრეული მეურნეობის აღდგენის თვალსაზრისით წინა პლანზე დგება.

თქვენ იცით, რომ ამოცანა ბრძოლისა კოლჩაკის, იუდენიჩის და დენიკინის წინააღმდეგ, რომლებსაც ანტანტა უჭერდა მხარს, ამოცანა ბრძოლისა კონტრრევოლუციურ მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ, რომლებიც აქამდე დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი გამარჯვების საქმე უზრუნველყოფილი იყო, რადგან მთელი მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნები მათ მხარეზე იდგნენ, თქვენ იცით, რომ ეს ამოცანა ჩვენგან მოითხოვდა ჩვენი ქვეყნის მთელი ძალების დაძაბვას, ვინაიდან ჩვენ წინაშე იდგა თვით საბჭოთა რესპუბლიკის არსებობის დაცვის საკითხი.

შეიძლება ვთქვათ, რომ საბჭოთა ხელისუფლების ამ ორი წლის მანძილზე გავაკეთეთ ის, რასაც სასწაული უნდა ვუწოდოთ, რადგან საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში ისეთი გაუგონარი, წარმოუდგენელი გამარჯვება მოვიპოვეთ, როგორიც მსოფლიოს არ უნახავს. ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ მთელი ძალები შევაკავშირეთ, ნამდვილად განვახორციელეთ პროლეტარიატის დიქტატურა იმ აზრით, რომ მუშათა კლასის მოწინავე ავანგარდმა, საუკეთესო, პატიოსანმა ავანგარდმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ამ ორი წლის მანძილზე წარმოუდგენელი გმირობა და გამბედაობა გამოი-

ჩინა, ხოლო მუშათა კლასის ნაკლებად განვითარებული ნაწილის და გლეხობის ყველა მერყევი ელემენტი, რომლებიც გაუგონარ მერყეობას განიცდიდნენ, რაც უფრო მეტად მერყეობდნენ, მით უფრო იხრებოდნენ ჩვენს მხარეზე. რაც უფრო მეტი განსაცდელი ჰქონდათ, მით უფრო ადვილად გადმოდიოდნენ ჩვენს მხარეზე.

ძალთა ასეთი თავმოყრის მისაღწევად ჩვენ იძულების ზომებსაც მივმართავდით მიუხედავად ყოველგვარი ვაებისა, წუწუნისა და ჩივილისა. ჩვენ ოქტომბრის რევოლუციამდეც და ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც იმ თვალსაზრისს ვიზიარებდით, რომ ახალი წყობილების შობა შეუძლებელია ისე, თუ არ იქნა რევოლუციური ძალადობა, რომ ყოველგვარი ჩივილი და წუწუნი, რაც უპარტიო, წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციისაგან გვესმის, მხოლოდ რეაქციას წარმოადგენს. ისტორიამ, რომელსაც სასტიკი კლასობრივი ბრძოლა ამოძრავებს, ნათელყო, რომ, როცა მემამულეებმა და კაპიტალისტებმა იგრძნეს, საქმე უკანასკნელ, გადამწყვეტ შეტაკებას ეხებაო, არაფერს არ ერიდებოდნენ.

ისტორიამ ნათელყო, რომ თუ არა რევოლუციური ძალადობა, გამარჯვებას ვერ მოიპოვებ, თუ არა რევოლუციური ძალადობა, მიმართული მუშათა და გლეხთა პირდაპირი მტრების წინააღმდეგ, ვერ გასტეხ ამ ექსპლოატატორთა წინააღმდეგობას. მეორე მხრივ კი, რევოლუციურ ძალადობას არ შეუძლია თავი არ იჩინოს თვით მშრომელი მასების მერყევი, არამტკიცე ელემენტების მიმართაც.

თუ ჩვენ მოწმენი ვიყავით წითელი არმიის უდიდესი გამარჯვებისა, თუ გადავხედავთ საბჭოთა ხელისუფლების ორ განვლილ წელს, ჩავუკვირდებით, როგორ მოვედით ამ გამარჯვებებამდე, მოგვაგონდება, რომ ოქტომბრის რევოლუცია დაიწყო არმიის სრული რღვევის, სამხედრო ორგანიზაციის სრული უქონლობის პირობებში. არ გვყავდა არმია, ხანგრძლივი, ძნელი გზით უნდა შეგვეკოწიწებინა, შეგვეკავშირებინა, შეგვეგროვებინა, ხელახლა შეგვექმნა ეს არმია. ამ ახალი, დისციპლინიანი წითელი არმიის შექმნაშიც გვიხდებოდა რევო-

ლუციური ძალადობის გამოყენება. და ამ რევოლუციურ ძალადობას სავსებით სწორად ვიყენებდით მოთავისე ელემენტთა მიმართ. მაშინ, როცა მოწინავე ნაწილი მთელ თავის ძალღონეს ახმარდა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლას, მაშინ, როცა იგი მსხვერპლად სწირავდა თავის თავს და ათასობით წვებოდა ბრძოლის ველზე, მაშინ გლეხობის ჩამორჩენილი ნაწილი, რომელმაც მიწა მიიღო, და მუშების ჩამორჩენილი ნაწილი მარტო თავისთვის მუშაობდა. ამ დროს მოწინავე ნაწილი ქმნიდა, ამტკიცებდა ახალ დისციპლინას, რომელიც რევოლუციურ ძალადობას ეყრდნობოდა და რომელსაც ძალუძდა გაეძლო მხოლოდ იმიტომ, რომ მუშებისა და გლეხების, მთელი მშრომელი მასების შეგნებული ნაწილი უკლებლივ თანაუგრძნობდა ამ ძალადობას. მათ შეგნებული ჰქონდათ, რომ თუ არა ეს რკინისებური დისციპლინა, ჩვენ ვერ შევქმნიდით წითელ არმიას, ვერ გადავიტანდით ორი წლის ბრძოლას და საერთოდ ვერ გავუძლებდით ორგანიზებულ, გაერთიანებულ კაპიტალს. და ამ მხრივ ამოცანები დისციპლინის დანერგვისა, დისციპლინის დაცვისა, ჩვენი ძალების შეკავშირებისა იმისათვის, რომ გავუძლოთ შემდგომ ბრძოლას, ეს ამოცანები ახლა თანდათანობით სახეს იცვლიან. თავდაპირველად ჩვენ მთელ ძალებს, გაჩანაგებული ქვეყნის მთელ ძალებს ომს ვახმარდით. ამით მთელ ჩვენს ქვეყანას კიდევ უფრო მეტ გაჩანაგებას განვუმზადებდით.

ორი წლის წინათ არავის სჯეროდა, რომ რუსეთი — 4 წლის იმპერიალისტური ომით გაჩანაგებული ქვეყანა, გაუძლებდა კიდევ ორი წლის სამოქალაქო ომს. ალბათ, თვით ჩვენთვისაც რომ ეკითხათ 1917 წლის ოქტომბრის მიწურულს, გაუძლებთ კიდევ ორი წლის სამოქალაქო ომს მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგო, არ ვიცი, ბევრი ჩვენგანი უპასუხებდა ამ კითხვას დადებითად თუ არა. მაგრამ მოვლენებმა ცხადყვეს, რომ მუშურ-გლეხური მასების განვითარებული ენერგია უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ოქტომბრის რევოლუციის განმახორციელებელთ ეგონათ. შედეგად კი ის მივიღეთ, და შინაფრონტებმაც გვაჩვენეს, რომ ახალი ძალის წყარო ბევრად მეტი

ყოფილა, ვიდრე გვეგონა. ამავე დროს ამ წყარომ ცხადყო, რომ წითელი არმია, რომელმაც იცის როგორ გაიმარჯვოს სამხედრო ფრონტებზე, ახალ დაბრკოლებას ხვდება შინაფრონტებზე — ეს განსაკუთრებით თავს იჩენს ახლა ტრანსპორტზე. რა თქმა უნდა, ჩვენ ახლა გასაჭირი გვადგას სურსათის მხრივაც, შიმშილი და სიცივე ახლა ჩვენში მეტია, ვიდრე ოდესმე ყოფილა, მაგრამ იმის გამო, რომ გათავისუფლებულია ყველაზე მეტი პურის მომყვანი გუბერნიები, სურსათის მდგომარეობა უმჯობესდება და მთავარ კრიზისად ახლა ტრანსპორტის კრიზისი გვრჩება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს კრიზისი ასევე დგას ყველა უმდიდრეს ქვეყანაშიც, რომლებსაც არ უნახავთ ასეთი განუწყვეტელი ომი. ამ ქვეყნებსაც აკლიათ ვაგონები. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა ხდება ჩვენში, რუსეთში, თუ იგი ექვსი წელია ომობს და ომის დროს კი შეგნებულად ანგრევენ ხიდებს და ორთქლმავლებს.

ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობა, რასაკვირველია, ძალიან მძიმეა, და საგანგებო კომისიის სატრანსპორტო განყოფილებების, მთელი მათი ორგანიზმის, შეგნებული რევოლუციური ძალის მთელი მასის ამოცანა იმას ესწრაფვის, რომ დაგვეხმაროს გამოვიდეთ ამ კრიტიკული მდგომარეობიდან, რომელსაც გადაუჭარბებლად შეიძლება კატასტროფის სიახლოვე ვუწოდოთ. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ტრანსპორტის მდგომარეობა თებერვლის თვეში ზამთრის შემდეგ, ნამქერის გამო, ჩვეულებრივ დროსაც ყოველთვის უარესია, ვიდრე წელიწადის რომელიმე სხვა დროს. ამჟამად ჩვენი ტრანსპორტის კრიზისი იქამდე მივიდა, რომ მოსალოდნელია რკინიგზის სრული გაჩერება. უკანასკნელ დროს მოსკოვში სამი დღის პურის მარაგი გვქონდა, ათობით მატარებელი კი გაჩერებული იდგა იმიტომ, რომ სათბობი არ ჰყოფნიდათ და სათბობი ვერ მოვზიდეთ.

ჩვენ კარგად ვიცით ამ კატასტროფული მდგომარეობის წინააღმდეგ ბრძოლის ხერხები, რომელთაც ორი წლის ომის მანძილზე ვიყენებდით. ბრძოლის ეს ხერხებია მასების შეგნების ამაღლება და მათდამი აშკარა მიმართვა. ყოველი ასეთი

გამოუვალი მდგომარეობის დროს ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნდა მიგვემართა მუშათა და გლეხთა მასებისათვის და აგვეწერა მათთვის შექმნილი მძიმე ვითარება. მივმართავდით მათ და მივუთითებდით, თუ ვისზეა დამოკიდებული საბჭოთა რუსეთის ხსნა და ენერგიის რა დაძაბვაა საჭირო, რომ მთელი ძალები მოვახმაროთ ერთ გარკვეულ ამოცანას. ეს ამოცანები არაერთგზის შეცვლილა მაშინ, როცა საბჭოთა ხელისუფლება თავის მტრებს ებრძოდა, და მთელი გაგება სახელმწიფო მდგომარეობისა ის არის, რომ სწორად გაითვალისწინო ის ამოცანები, რომლებსაც უნდა ჩაეჭიდო ნგრევის დასაძლევად და ნორმალურ მშენებლობაზე გადასასვლელად. და ახლაც თქვენ იცით, ყველაზე მეტი ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ მუშებისა და გლეხებისათვის აგვეხსნა ტრანსპორტის კრიტიკული მდგომარეობა. აქ არის საჭირო პროლეტარიატისა და გლეხობის მთელი ძალების დაძაბვა. ისეთი რამ, როგორიც სათბობის მოზიდვაა, ძნელი ამოცანაა, მას სრულიად ვერ განახორციელებ, თუ მუშურ-გლეხურ მოსახლეობაში აღმავლობა არ იქნა, თუ არ იქნა მასობრივი კოლექტიური შრომა, რომელსაც წითელი არმიის გამარჯვებების საუკეთესო დღეებში ვახორციელებდით. ახლა, მაგალითად, სათბობის მოზიდვა, რკინიგზების გაწმენდა გაართულა იმან, რომ გლეხებს პროდუქტების ასანაზღაურებლად ბევრ რამეს დავპირდით. ბუნებრივია, მოსაზიდად ცხენებია საჭირო და გლეხებს არ ძალუძთ ეს გააკეთონ, ისინი უხალისოდ და არამეგობრულად ეკიდებიან ამ საქმეს, რადგან არ ღებულობენ საზღაურს გარკვეული რაოდენობის საქონლის სახით; ჩვენ კი იმის გამო, რომ ტრანსპორტი მთლიანად გაჩერებულია, ძალა არ შეგვწევს მივცეთ თუნდაც მცირე რაოდენობის საქონელი. და ჩვენ ვამბობთ, რომ გლეხობამ ეს სესხად უნდა გაუკეთოს თავის მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს, რათა იხსნას დამშეული მუშები და აღვადგინოთ მრეწველობა. გლეხობამ უნდა გაგვიკეთოს ეს სესხად, იმიტომ რომ, მაგალითად, ზოგან გლეხობა საშინელ დღეშია უმარილობის გამო, ჩვენ კი ამ მარილის უზარმაზარი მარაგი გვაქვს, მაგრამ ვერ გამოგვიზიდავს, რადგან

ტრანსპორტი თავს ვერ ართმევს აბსოლუტურად აუცილებელი რაოდენობის პურის გადაზიდვის ამოცანებს.

აი კიდევ როგორ მდგომარეობაში გვჭირდება დისციპლინა, გვჭირდება პროპაგანდა და აგიტაცია, რომელსაც განათლება ძეაქვს მუშებსა და გლეხებში და აერთიანებს მათ. ჩვენი გამოყენებული რევოლუციური ძალადობა კი დისციპლინას რეალობად, სინამდვილედ აქცევს და ეს სინამდვილე ცხადყოფს, რომ შეგნებულმა მუშათა კლასმა დაისახა მტკიცე პრაქტიკული ამოცანა, რომელსაც ბოლომდე მივიყვანთ. ისევე როგორც იუდენიჩის, კოლჩაკის და დენიკინის წინააღმდეგ ყველაზე მძიმე ბრძოლის ეპოქაში წინა რიგებში ვაყენებდით კომუნისტებს, პასუხისმგებელ მუშაკებს, უდიდეს მსხვერპლს გავიღებდით ხოლმე, როცა ამ საუკეთესო მებრძოლთა სიცოცხლეს ვწირავდით, და ამავე დროს ვქმნიდით დისციპლინას, ვსჯიდით თავკერძა ხალხს — ჩვენ ვაღწევდით იმას, რომ ხალხი უკიდურესად ძაბავდა ენერგიას და ვიმარჯვებდით. და იმავე მიზანს, იმავე ნაცადი ხერხებით ახლაც უნდა მივაღწიოთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, რათა ვიხსნათ ტრანსპორტი.

ჩვენ გვაქვს პური, მარილი, გვაქვს საკმაო რაოდენობის ნედლეული, სათბობი, ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ მრეწველობა, მაგრამ ამას მრავალი თვის დაძაბული ბრძოლა სჭირდება და ამ ბრძოლაში საგანგებო კომისიის ორგანოები უნდა იქცნენ პროლეტარიატის ცენტრალიზებული ნების გატარების იარაღად, ისეთი დისციპლინის ცოდნის იარაღად, როგორის შექმნაც შევძელით წითელ არმიაში.

და დარწმუნებული ვარ, ამ თათბირის შემდეგ თქვენი ორგანოები თავიანთ მუშაობაში პრაქტიკულად და თქვენ აქ მოითათბირებთ, თუ რა როლს ასრულებენ საუბნო სატრანსპორტო საგანგებო კომისიები, როგორ უნდა დაირაზმონ, როგორ წამოაყენონ თავიანთი წრიდან ახალი მუშაკები, რომ ებრძოლონ სპეკულანტებს და მესაბოტაჟეებს, რომლებიც რკინიგზელთა სამყაროში მეტია, ვიდრე სხვაგან. ეს თქვენი პრაქტიკული გამოცდილების ამოცანაა, ეს ის ამოცანაა, რომელიც აზრთა გაცვლა-გამოცვლის გზით უნდა შეასრულოთ. რკინიგზელ-

თა წრე იმით განსხვავდება, რომ მასში უმრავლესობა მუშების დონეზე მდგომი მუშები გვყავს, ხოლო უმცირესობა სპეკულაციაში მონაწილეობს, და აქ ტრანსპორტის საგანგებო კომისიის ამოცანაა მიაღწიოს შრომის სწორ განაწილებას, მიაღწიოს პასუხისმგებლობას სამუშაო ძალის ეკონომიის პირობებში, მიაღწიოს ყოველივე ამას რკინიგზელთა კომუნისტური ელემენტების მეცადინეობით. და მხოლოდ ამ საუკეთესო მასებზე დაყრდნობით შევძლებთ შევქმნათ ისეთი ძალა, რომელიც დაამარცხებს სპეკულაციის ამ სტიქიას, დაამარცხებს ცარიზმის ავბედობის დროს შეგროვებულ ამ ელემენტებს. ამ ძალის დასამარცხებლად, ძალისა, რომელიც კაპიტალიზმისაგან მემკვიდრეობად დაგვრჩა, ჩვენ ერთი საშუალება მოგვეპოვება: მაქსიმუმამდე განვავითაროთ დისციპლინა და რევოლუციური ენერგია. საგანგებო კომისიები უნდა ეყრდნობოდნენ კომუნისტურ უჯრედებს, პროფკავშირებს, უნდა აერთიანებდნენ თავიანთ მუშაობას პროპაგანდასა და აგიტაციასთან, იწვევდნენ რკინიგზელთა მასაში ბრძოლისადმი შეგნებულ დამოკიდებულებას.

და დარწმუნებული ვარ, რომ ორგანიზაციის დახმარებით, ჩვენი წარსული გამოცდილების გათვალისწინებით ჩვენს ახალ მუშაობაში ისეთსავე გამარჯვებებს მოვიპოვებთ, როგორიც შეიარაღებული ბრძოლის სფეროში მოვიპოვეთ. (მ ქ უ ხ ა რ ე, ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი.)

პირველად დაიბეჭდა 1957 წელს ჟურნალ «კომუნისტში» № 5	იბეჭდება სტენოგრამის მიხედვით

პროექტი რეზოლუციისა უკრაინის ბოროტბისტთა პარტიის შესახებ [187]

ბოროტბისტთა პარტიას ვცნობთ ისეთ პარტიად, რომელიც კომუნიზმის ძირითად პრინციპებს არღვევს იმით, რომ პროპაგანდას უწევს სამხედრო ძალთა დანაწილებას და მხარს უჭერს ბანდიტიზმს, რაც პირდაპირ ხელს აძლევს თეთრებს და საერთაშორისო იმპერიალიზმს.

პროლეტარიატის ინტერესებს ასევე ეწინააღმდეგება რსფს რესპუბლიკასთან მჭიდრო და უმჭიდროესი კავშირის ლოზუნგის წინააღმდეგ მათი ბრძოლა.

მთელი პოლიტიკა სისტემატურად და განუხრელად უნდა გავატაროთ ისე, რომ უახლოეს მომავალში მოხდეს ბოროტბისტთა ლიკვიდაცია. ამ მიზნით ბოროტბისტთა არც ერთი შეცდომა არ უნდა გავუშვათ ისე, რომ დაუყოვნებლივ და მკაცრად არ დაისაჯონ. განსაკუთრებით შევკრიბოთ მონაცემები მათი პარტიის წევრთა უმრავლესობის არაპროლეტარული და ყველაზე არასაიმედო ხასიათის შესახებ.

ლიკვიდაციის მომენტი განვსაზღვროთ მცირე ხნის შემდეგ, მომენტს დაადგენს პოლიტბიურო და აცნობებს უკრაინის რევოლუციურ კომიტეტს [188].

დაწერილია 1920 წლის თებერვალში

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

საუბარი ამერიკის გაზეთ «THE WORLD»-ის კორესპონდენტ ლინკოლნ ეირთან [189]

მოკავშირეები «ჭადრაკის სვლებს» აკეთებენ

იმ ცნობის შესახებ, რომ მოკავშირეებმა გადაწყვიტეს მოხსნან ბლოკადა, ლენინმა თქვა:

ძნელია ირწმუნო ისეთი გაურკვეველი წინადადების გულწრფელობა, რომელიც, ალბათ, შეხამებულია პოლონეთის ტერიტორიიდან ჩვენზე თავდასხმის მზადებასთან. ერთი შეხედვით უმაღლესი საბჭოს გეგმა საკმაოდ წააგავს სიმართლეს — სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა რუსეთის კოოპერატივების მეშვეობით. მაგრამ კოოპერატივები უკვე აღარ არსებობენ — ისინი გავაერთიანეთ ჩვენს საბჭოთა განმანაწილებელ ორგანოებთან. ამიტომ რას უნდა ნიშნავდეს მოკავშირეთა ლაპარაკი, კოოპერატივებთან გვინდა საქმის დაჭერაო? რა თქმა უნდა, ეს გაურკვეველია.

სწორედ ამიტომ ვამბობ, უფრო გულდასმით შესწავლა გვარწმუნებს, რომ პარიზის ეს გადაწყვეტილება უბრალოდ სვლას წარმოადგენს მოკავშირეთა ჭადრაკის თამაშში და ამ სვლის მოტივები აქამდე გაურკვეველია-მეთქი.

ლენინი გაჩუმდა შემდეგ ფაცრთოდ გაიღიმა და დასძინა:

უფრო გაურკვეველია, ვიდრე, მაგალითად, მარშალ ფოშის განზრახვა ეწვიოს ვარშავას.

შეეკითხე, ფიქრობთ თუ არა, რომ სერიოზულად შესაძლებელია პოლონელთა შეტევა? (უნდა მოგაგონოთ, რუსეთში ლაპარაკობდნენ, პოლონელები დაესხმიან თავს ბოლშევიკებსო და არა პირიქით).

უეჭველად, — მიპასუხა ლენინმა. — კლემანსო და ფოში მეტისმეტად სერიოზული ბატონები არიან, და მაინც ერთ-ერთმა მათგანმა შეიმუშავა ეს აგრესიული გეგმა, მეორეს კი მისი განხორციელება განუზრახავს. ეს, რა თქმა უნდა, სერიოზული საფრთხეა, თუმცა უფრო სერიოზულ საფრთხესთანაც გვქონია საქმე. მაგრამ ეს იმდენად ჩვენს შიშს არ იწვევს, რამდენადაც გულგატეხილობას იმის გამო, რომ მოკავშირეები მაინც ცდილობენ მიეღწეველის მიღწევას, ვინაიდან პოლონეთის შემოტევას ისევე არ ძალუძს გადაჭრას მათთვის სასურველი სულისკვეთებით რუსეთის პრობლემა, როგორც არ ძალუძდა ეს თავის დროზე კოლჩაკისა და დენიკინის შემოტევას. მოიგონეთ, რომ პოლონეთს საკუთარი საზრუნავიც ბევრი აქვს. სინამდვილეში კი ნათელია, რომ იგი დახმარებას ვერც ერთი მეზობლისაგან, მათ შორის ვერც რუმინეთისაგან, ვერ მიიღებს.

მაგრამ მგონია, ზავი ახლა წინანდელზე უფრო ახლოა, — გამოვთქვი ვარაუდი.

დიახ, ეს სწორია. თუ ზავი ჩვენთან ვაჭრობის ბუნებრივი შედეგია, მოკავშირეები ვეღარ შეძლებენ ისევ თავი აარიდონ მას. მე გამიგია, თითქოს მილიერანს, კლემანსოს მემკვიდრეს, გამოეთქვას სურვილი განიხილოს რუს ხალხთან სავაჭრო ურთიერთობის საკითხი. შესაძლოა, ეს მოწმობდეს ფრანგ კა-

პიტალისტთა განწყობილების მკვეთრ შეცვლას. მაგრამ ინგლისში ჯერ კიდევ ძლიერია ჩერჩილის პოზიციები, ხოლო ლოიდ ჯორჯი, რომელსაც, ცხადია, სურს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდეს ჩვენთან, ვერ ბედავს კავშირის აშკარად გაწყვეტას ჩერჩილის პოლიტიკის მომხრე პოლიტიკურ და ფინანსურ წრეებთან.

შეერთებული შტატები დევნის სოციალისტებს

რა მდგომარეობაა ამერიკაში?

ძნელია იმის გარკვევა, თუ რა ხდება იქ. თქვენს ბანკირებს, მგონი, ასე არასდროს შინებიათ ჩვენი. ყოველ შემთხვევაში, თქვენი მთავრობა რომელიც გნებავთ სხვა მთავრობასთან შედარებით, თვით რეაქციული საფრანგეთის მთავრობასთან შედარებით მეტისმეტად მკაცრ რეპრესიებს იყენებს არა მარტო სოციალისტთა წინააღმდეგ, არამედ მთელი მუშათა კლასის წინააღმდეგაც. იგი აშკარად დევნის უცხოელთ. მაგრამ რას იზამდა ამერიკა, თავისი იმიგრანტი მუშები რომ არ ჰყავდეს? ისინი აბსოლუტურად აუცილებელი არიან თქვენი ეკონომიური განვითარებისათვის.

მაგრამ ზოგიერთი ამერიკელი მეწარმე თითქოს იწყებს იმის შეგნებას, რომ უფრო გონივრულია რუსეთში ხელსაყრელი საქმე გაიჩინო, ვიდრე ის, რომ ეომო რუსეთს, ეს კი კარგი ნიშანია. ჩვენ რომელიმე სხვა სახელმწიფოს საქონელზე მეტად დაგვჭირდება ამერიკული სამრეწველო ნაწარმი — ლოკომოტივები, ავტომობილები და ა. შ.

როგორია თქვენი საზავო პირობები?

არ ღირს ამაზე ლაპარაკით დროს დაკარგვა. მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ჩვენ მზადა ვართ დავდოთ ზავი ისეთი პირობებით, რომელთა სამართლიანობას სადავოდ ვერ გახდიან თვით ყველაზე იმპერიალისტურად განწყობილი კაპიტალისტებიც კი. ჩვენ არაერთხელ განგვიცხადებია, რომ ვესწრაფვით ზავს, რომ გვჭირდება ზავი, განგვიცხადებია ისიც, რომ

მზადა ვართ უცხოურ კაპიტალს მივცეთ ყველაზე გულუხვი კონცესიები და გარანტიები. მაგრამ იმას როდი ვაპირებთ, რომ ხება მივცეთ დაგვახრჩონ ზავის გულისთვის.

ვერ ვხედავ ვერავითარ მიზეზს, თუ რატომ არ შეუძლია ისეთ სოციალისტურ სახელმწიფოს, როგორიც ჩვენია, განუსაზღვრელი საქმიანი ურთიერთობა ჰქონდეს კაპიტალისტურ ქვეყნებთან. ჩვენ იმის წინააღმდეგი როდი ვართ, რომ ვიხმაროთ კაპიტალისტური ლოკომოტივები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები. მაშ რატომ უნდა იყვნენ ისინი იმის წინააღმდეგი, რომ მოიხმარონ ჩვენი სოციალისტური ხორბალი, სელი და პლატინა? სოციალისტურ მარცვლეულს ხომ ისეთივე გემო აქვს, როგორიც რომელიმე სხვას, ასე არ არის? ცხადია, მათ მოუხდებათ საქმის დაჭერა საშინელ ბოლშევიკებთან, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლებასთან. მაგრამ ამერიკელ მეწარმეთათვის, რომლებიც, მაგალითად, ფოლადს ამზადებენ, საბჭოებთან საქმიანი ურთიერთობა იმაზე ძნელი როდი იქნება, ვიდრე ანტანტის მთავრობებთან იყო, როცა ომის დროს სამხედრო აღჭურვილობის საკითხის გამო უხდებოდათ კავშირის გაბმა.

ევროპა რუსეთზეა დამოკიდებული

აი რატომ გვეჩვენება, რომ ლაპარაკი კოოპერატივების მეშვეობით რუსეთთან ვაჭრობის აღდგენაზე გულწრფელი არ არის ან, ყოველ შემთხვევაში, გაურკვეველია, — ეს უფრო სვლაა ჭადრაკის თამაშში, ვიდრე გულახდილი, პირდაპირი წინადადება, რომელსაც უმალ ავიტაცებდით და განვახორციელებდით. გარდა ამისა, თუ უმაღლეს საბჭოს მართლა განუზრახავს ბლოკადის მოხსნა, რატომ არაფერს გვატყობინებს თავის განზრახვაზე? პარიზიდან ჩვენ არავითარი ოფიციალური ცნობა არ მიგვიღია. ის მცირე რამ, რაც ვიცით, ჩვენი რადიოს მიერ ხელში ჩაგდებულ საგაზეთო ცნობებს ემყარება.

ეტყობა, ევროპისა და შეერთებული შტატების სახელმწიფო მოღვაწეებს არ ესმით, რომ რუსეთის ახლანდელი ეკონო-

მიური ნგრევა მხოლოდ მსოფლიო ეკონომიური ნგრევის ნაწილია. ვიდრე ეკონომიურ პრობლემას განიხილავენ არა საერთაშორისო თვალსაზრისით, არამედ ცალკეული ერების ან ერთა ჯგუფების თვალსაზრისით, მისი გადაჭრა შეუძლებელი იქნება. ურუსეთოდ ევროპა ფეხზე ვერ დადგება. და როცა ევროპა დაუძლურებულია, ამერიკის მდგომარეობაც კრიტიკული ხდება. რა ხეირს ნახავს ამერიკა თავისი სიმდიდრისაგან, თუ ამ სიმდიდრით ვერ შეიძენს, იმას, რაც მას სჭირდება? ამერიკა ხომ ვერც შეჭამს და ვერც ჩაიცვამს იმ თავის დაგროვილ ოქროს, ასე არ არის? ის ვერ შეძლებს სარგებლიანად ივაჭროს ევროპასთან, ე. ი. ივაჭროს იმ საფუძველზე, რომელიც მისთვის რეალურ ფასეულობას წარმოადგენს, მანამდე, სანამ ევროპა ვერ შეძლებს მიაწოდოს მას საქონელი, რომელიც ამერიკას სურს მიიღოს გასასაღებლის სანაცვლოდ. ევროპა კი ვერ მიაწოდებს მას ამ საქონელს, სანამ ფეხზე არ დადგება ეკონომიურად.

მსოფლიოს რუსეთის საქონელი სჭირდება

რუსეთში ჩვენ გვაქვს ხორბალი, სელი, პლატინა, პოტაში და მრავალი სასარგებლო წიაღისეული, რომელთა მწვავე საჭიროებას მთელი მსოფლიო განიცდის. ბოლოს და ბოლოს მსოფლიო მოგვაკითხავს ჩვენ ამ საქონლისთვის მიუხედავად იმისა, ბოლშევიზმია ჩვენში თუ სხვა რამ. არის იმის ნიშნები, რომ თანდათანობით მიდიან ამ ჭეშმარიტების გაგებამდე. მაგრამ ამასობაში არათუ რუსეთი, მთელი ევროპაც სადაცაა მთლად დაინგრევა, უმაღლესი საბჭო კი ჯერ ისევ თავს იმის ნებას აძლევს, რომ მიკიბ-მოკიბვის პოლიტიკა განახორციელოს. რუსეთი, ისევე როგორც ევროპაც, შეიძლება ვიხსნათ სრული განადგურებისაგან, მაგრამ ამისათვის უმალ და სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ. უმაღლესი საბჭო კი ძალიან ნელა მოქმედებს, საშინლად ნელა. სინამდვილეში იგი, მგონი, უკვე დაიშალა, ვიდრე რაიმეს გადაწყვეტდა, და თავისი ფუნქციები ელჩთა საბჭოს გადასცა, მისი ადგილი კი უნდა დაიკავოს ერთა

ლიგამ, მკვდრადშობილმა ერთა ლიგამ. მაგრამ განა ერთა ლიგას შეუძლია დაიწყოს მოქმედება შეერთებული შტატების გარეშე, რომელიც მისი მთავარი დასაყრდენი უნდა გახდეს?

შეეკითხე, რამდენად კმაყოფილია საბჭოთა მთავრობა სამხედრო მდგომარეობით-მეთქი.

ძალიან კმაყოფილია. ერთადერთი ნიშანი შემდგომი აგრესიისა ჩვენ წინააღმდეგ მხოლოდ პოლონეთის მხრივ არის, რაზედაც უკვე მოგახსენეთ. თუ პოლონეთი ასეთ ავანტიურას მიჰყოფს ხელს. ეს გამოიწვევს ახალ უბედურებებს ორივე მხარისათვის და ადამიანთა უსარგებლო დაღუპვას. მაგრამ ფოშიც კი ვერ უზრუნველყოფს პოლონელთა გამარჯვებას. ისინი ვერ დაამარცხებენ ჩვენს წითელ არმიას, თვით ჩერჩილმაც კი რომ მათთან ერთად იომოს.

აქ ლენინმა თავი უკან გადაიგდო და ნაღვლიანად გაიღიმა. შემდეგ უფრო სერიოზული ტონით განაგრძო:

რა თქმა უნდა, ჩვენი დამარცხება ძალუძს რომელიც გნებავთ დიდ მოკავშირე სახელმწიფოს, თუ იგი შეძლებს ჩვენ წინააღმდეგ საკუთარი არმიების გამოგზავნას. მაგრამ ამის გაკეთებას მოკავშირეები ვერ გაბედავენ. არაჩვეულებრივი პარადოქსია, რომ მოკავშირეთა განუსაზღვრელ რესურსებთან შედარებით რაგინდ სუსტი იყოს რუსეთი, მან არათუ შეძლო გაენადგურებინა მოკავშირეთა მიერ მის წინააღმდეგ გამოგზავნილი რომელიც გნებავთ შეიარაღებული ძალა ბრიტანეთის, ამერიკის და საფრანგეთის ჯარების ჩათვლით, არამედ დიპლომატიური და მორალური გამარჯვებებიც მოიპოვა სანიტარული კორდონის ქვეყნებში. ფინეთმა უარი განაცხადა ჩვენ წინააღმდეგ ომზე. ზავი დავუდეთ ესტონეთს, მალე კი ხელს მოვაწერთ სერბიასა * და ლიტვასთან [190] ზავს. მიუხედავად იმისა, რომ ანტანტა ამ მცირე სახელმწიფოებს დიდ მისატყუარს უგდებდა და ავის მომასწავებლად ემუქრებოდა,

---

* გაზეთში შეცდომაა. სერბია საბჭოთა რუსეთთან ომის მდგომარეობაში არ ყოფილა. ეტყობა, ლაპარაკი იყო ლატვიაზე. რ ე დ.

მათ ჩვენთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება ამჯობინეს.

საშინაო მდგომარეობას კარგი პერსპექტივები აქვს

ეს, უეჭველია, ჩვენს უდიდეს მორალურ ძალას მოწმობს. ბალტიის სახელმწიფოებს, ჩვენს უახლოეს მეზობლებს, ესმით, რომ ერთადერთი მარტოოდენ ჩვენ ვართ, ვისაც არა აქვს არავითარი განზრახვა, იმათ დამოუკიდებლობას და კეთილდღეობას რომ ემუქრებოდეს.

რუსეთის საშინაო მდგომარეობაზე რას იტყვით?

იგი კრიტიკულია, მაგრამ კარგი პერსპექტივები აქვს. გაზაფხულისთვის სურსათის ნაკლებობას დავძლევთ, ყოველ შემთხვევაში იმდენად, რომ ქალაქის მოსახლეობას ავაცდინოთ შიმშილობა. მაშინ სათბობიც საკმაოდ გვექნება. წითელი არმიის გასაოცარ გმირობათა წყალობით სახალხო მეურნეობის აღდგენა უკვე დაიწყო. ამჟამად ამ არმიის ნაწილი შრომით არმიებად გადავაქციეთ; ეს არაჩვეულებრივი მოვლენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ისეთ ქვეყანაში, რომელიც მაღალი იდეალისთვის იბრძვის. რასაკვირველია, ეს შეუძლებელი იქნებოდა კაპიტალისტურ ქვეყნებში. წარსულში ჩვენ ყველაფერი მსხვერპლად შევწირეთ, ოღონდ დაგვემარცხებინა ჩვენი შეიარაღებული მოწინააღმდეგე, ახლა კი მთელ ჩვენს მეცადინეობას მივმართავთ იქით, რომ აღვადგინოთ ეკონომიკა. ამას წლები მოუნდება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გავიმარჯვებთ.

თქვენი აზრით, როდის დამთავრდება კომუნიზმის მშენებლობა რუსეთში? მეგონა, ძნელი კითხვაა-მეთქი, მაგრამ ლენინმა მყისვე მიპასუხა

ჩვენ განვიზრახეთ მთელი ჩვენი სამრეწველო სისტემის ელექტრიფიკაცია ურალსა და სხვა ადგილებში ელექტროსადგურთა შექმნის გზით. ჩვენი ინჟინრები გვეუბნებიან, ამას ათი წელი მოუნდებაო. ელექტრიფიკაციის დამთავრება პირველი მნიშვნელოვანი საფეხური იქნება საზოგადოების ეკო-

ნომიური ცხოვრების კომუნისტურად მოწყობის ბაზაზე. მთელი ჩვენი მრეწველობა ენერგიას მიიღებს საერთო წყაროდან, რომელსაც უნარი ექნება ერთნაირად მოამარაგოს მისი ყველა დარგი. ეს აღმოფხვრის არამწარმოებლურ მეტოქეობას სათბობის ძიებაში და მტკიცე ეკონომიურ საფუძველს შეუქმნის დამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებს. უამისოდ ჩვენ იმედს ვერ ვიქონიებთ, რომ მივაღწევთ პირველი საჭიროების პროდუქტების გაცვლის ისეთ დონეს, რომელიც კომუნიზმის პრინციპების შესაბამისი იქნებოდა.

სხვათა შორის, ვვარაუდობთ, რომ სამი წლის მერე რუსეთში აინთება 50 000 000 ვარვარების ნათურა. როგორც ვფიქრობ. შეერთებულ შტატებში 70 000 000 ასეთი ნათურაა, მაგრამ ისეთი ქვეყნისათვის, სადაც ელექტრობა ჯერ კიდევ უმწეო მდგომარეობაშია, ამ რაოდენობის ორ მესამედზე მეტი უდიდეს მიღწევას წარმოადგენს. ჩემი აზრით, ჩვენ წინაშე დასახული ყველა დიადი ამოცანიდან ელექტრიფიკაცია ყველაზე მნიშვნელოვანია.

სოციალისტურ ლიდერთა მკვეთრი კრიტიკა

ჩვენი საუბრის დასასრულს ლენინმა, მართალია, გამოსაქვეყნებლად არა, მაგრამ მაინც გამოთქვა რამდენიმე მკვეთრი კრიტიკული შენიშვნა ევროპისა და ამერიკის ზოგიერთი სოციალისტური ლიდერის მისამართით, საიდანაც ცხადი ხდება, რომ მას არა სწამს ამ ბატონების უნარი ან თუნდაც სურვილი წარმატებით წასწიონ წინ მსოფლიო რევოლუციის საქმე. ეტყობა, იგი იმ აზრისაა, რომ ბოლშევიზმი გზას გაიკაფავს უფრო სოციალიზმის ამ «ოფიციალურ» ბელადთა წინააღმდეგ, ვიდრე მათი დახმარებით.

დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე 1920 წლის
21 თებერვალს გაზეთში «The World»,
№ 21368

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1957 წელს ჟურნალ «კომუნისტში»
№ 15

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის
მიხედვით
თარგმანი ინგლისურიდან

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის რეზოლუციის შენიშვნები ბოროტბისტთა საკითხის გამო

1) დაჟინებით მოვითხოვ, რომ ბოროტბისტებს ბრალად დავდოთ არა ნაციონალიზმი, არამედ კონტრრევოლუციურობა და წვრილბურჟუაზიულობა.

2) არ შეიძლება ბრალდებას არ დავძინოთ, რომ ისინი თავიანთ მასწავლებლებს უკრაინელ სპილკელებს ისე არ უგულებელყოფენ (ულმობლად არ ებრძვიან მათ), როგორც ჩვენ ჩვენს წვრილბურჟუაზიულ «სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირს» [191].

ლენინი

22. II.

დაწერილია 1920 წლის 22 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს წიგნში: ნ. ნ. პოპოვი. «უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის ნარკვევი». კიევი

იბეჭდება მანქანაზე გადაწერილი ლენინის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა სასაქონლო ფონდის საკითხზე [192]

დაევალოს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს შეუთანხმდეს სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს და სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას საქონლისა და მარაგის გადამმალველთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. სხვათა შორის, ეს საქონელი და მარაგი შესაძლოა გამოდგეს საზღვარგარეთ გატანის ფონდად.

დაწერილია 1920 წლის 2 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ტროცკის თეზისების «სამეურნეო მშენებლობის მორიგი ამოცანები» პროექტის შენიშვნები

პროექტის შენიშვნები

§ 1-თვის

ა) § 1 ასე დავასათაუროთ: «შ რ ო მ ი თ ი ა ღ მ ა ვ ლ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ»[193]. მეორე სტრიქონში სიტყვები: «შრომის ნებისყოფის აღმავლობის» შეიცვალოს სიტყვებით «შ რ ო მ ი თ ი ა ღ მ ა ვ ლ ო ბ ი ს».

ბ) დავუმატოთ

ყველას მიერ აღიარებული და სახალხო მეურნეობის საბჭოების ყრილობათა და სხვა მისთანათა მიერ დადასტურებული პრინციპი, რომ დაწესდეს თითოეული მუშაკის (კოლეგიის წევრის, განმკარგულებლის, მმართველის და ა. შ.) ზუსტი პასუხისმგებლობა გარკვეული ოპერაციის ან სამუშაოს ან დავალების შესრულებისათვის, რადაც უნდა დაგვიჯდეს შეუპოვრად და დაჟინებით უნდა განვახორციელოთ. დღემდე ამ პრინციპს სრულიად, სრულიად არასაკმაოდ ვახორციელებდით.

გ) მომხმარებელი — სამომხმარებლო საზოგადოებების და სხვა მისთანათა მეშვეობით — სისტემატურად უნდა ჩავაბაოთ წარმოებისადმი კონტროლში.

დ) მუშურ-გლეხური ინსპექცია ისე უნდა აღვზარდოთ, რომ სულ უფრო მეტად მონაწილეობდეს წარმოებისა და განაწილებისადმი კონტროლში.

ე) ბრძოლა სპეკულაციისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ, აგრეთვე ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ წინა პლანზე უნდა დავაყენოთ.

ვ) მთელი ძალ-ღონე უნდა მოვახმაროთ შეჯიბრების ორგანიზაციას. დისციპლინისა და შრომის მწარმოებლურობის ამაღლების ღონისძიებებში უნდა შევიტანოთ გამოუსწორებელთათვის ულუფის შემცირება და ა. შ.

ზ) ტროცკის § 4-ის ბოლო (უკანასკნელი 9 სტრიქონი) მოვხსნათ ან შევარბილოთ, ანდა ჩამოვაყალიბოთ უფრო ზოგადად.

(ასეთია ჩემი წინასწარი შენიშვნების შავი.)

ლ ე ნ ი ნ ი
3/III.

დაწერილია 1920 წლის 3 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს
წიგნში «რკპ(ბ) მეცხრე ყრილობა.
1920 წლის მარტი — აპრილი»

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

არასრულწლოვანთა გასამართლების შესახებ [194]

დეკრეტის პროექტის შენიშვნები და შესწორებანი

1) გამიჯვნის თეორია უ ვ ა რ გ ი ს ი ა.
2) სასამართლოები და ციხეები ა ფ უ ჭ ე ბ ე ნ.
3) ბავშვის ფსიქოლოგია ვ ი ნ იცის? სასამართლომ, თუ ექსპერტიზამ?
4) საგანგებო დაწესებულებანი?
5) სპეკულანტები და სხვები? **რეციდივი?**

---

1) დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატთან, განათლების სახალხო კომისარიატთან და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს ანგარიშგების ფორმა თითოეული იმ შემთხვევისათვის, როცა სასამართლოს გადასცემენ არასრულწლოვანს და განიხილავენ მის საქმეს.

2) დაევალოთ განათლების სახალხო კომისარიატს და ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს გააძლიერონ საქმიანობა სამკურნალო-აღმზრდელობითი დაწესებულებების მოსაწყობად დეფექტურ არასრულწლოვანთათვის.

დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს უფრო მკაცრად გაუწიოს ზედამხედველობა არასრულწლოვანთა კომისიის წევრების პირად შემადგენლობას და იმას, თუ როგორ ასრულებენ ისინი თავიანთ მოვალეობას.

დაწერილია 1920 წლის 4 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ [195]

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა

საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციისა და მეურნეობის გაუმჯობესების მთელი მუშაობის ცენტრში უნდა დავაყენოთ გადამწყვეტი ბრძოლა, ჯერ ერთი, აშკარად მემამულური ხასიათის ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ, რომლებიც გამოვლინდა იჯარის ფულად და სანახევროდ გამოყენებაში და ა. შ.; მეორე, იმის წინააღმდეგ, რომ შრომის დისციპლინა სრულიად არასაკმარისი და შრომის მწარმოებლურობა უაღრესად დაბალია.

მოვთხოვოთ საგუბერნიო მიწგანებს და საბჭოთა მეურნეობებს ზუსტი მონაცემები იმისა, თუ ბრძოლის რა ზომები მიიღეს მათ და რა პრაქტიკულ შედეგებს მიაღწიეს სინამდვილეში. დავნიშნოთ პასუხისმგებელი პირები და სასამართლოს გადავცეთ ისინი, თუ არ შეასრულებენ ამ დადგენილებას და არ აღმოფხვრიან ბოროტმოქმედებას. ნუ მოვერიდებით ყველაზე ცუდ მეურნეობათა ადმინისტრაციის მთელი შემადგენლობის სავსებით შეცვლას. გამოვყოთ სასწავლო-საჩვენებელი, სპეციალური, საწარმოო და წმინდა სამომხმარებლო ტიპის საბჭოთა მეურნეობები და ცალკე აღვნუსხოთ ფაქტები ამ მეურნეობათა მდგომარეობის შესახებ.

დაწერილია 1920 წლის 9 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებანი სრულიად რუსეთის პროფსაბჭოს ფრაქციის წევრების მიერ პარტიული დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებით [196]

პოლიტბიურომ, ბუხარინის, კრესტინსკის და ლენინის შემადგენლობით, 17. III. 1920 განიხილა სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს ფრაქციის განცხადება, ხელმოწერილი ამხ. ტომსკის და ამხ. ლუტოვინოვის მიერ, დაადგინა მათი თანდასწრებით, რომ 1) ამხ. კრესტინსკის კერძო საუბრებში ამხ. იშჩენკოსთვის, ამხ. გლებოვისთვის, ამხ. ტომსკისა და ამხ. ლუტოვინოვისთვის არ გაუნდვია თავისი შიში, ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილების გამო უხერხული ურთიერთობა შეიქმნაო (სახელდობრ: პარტიის წევრთა მიერ უპარტიო ყრილობებზე, — და არა მათს კომუნისტურ ფრაქციებზე, — ისეთი რეზოლუციების გატარება, რომლებიც არ ეთანხმება პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციას).

2) რომ ამხ. კრესტინსკიმ წინადადება შემოიტანა არ დაეყენებინათ ეს საკითხი ფრაქციის განსახილველად პოლიტბიუროში განხილვამდე, რაც ერთი დღის შემდეგ უნდა მომხდარიყო ფრაქციის ბიუროს წარმომადგენელთა მონაწილეობით;

3) რომ ამ ლაპარაკის დროს ამხ. კრესტინსკი ერთგვარად ცხარობდა;

მეორე მხრივ,

რომ ასეთ პირობებში ფრაქციის სხდომაზე ამ საკითხის განხილვა უაღრესად უადგილო იყო და ყოველგვარი საჭიროების გარეშე გარდაუვალად გაამწვავებდა კონფლიქტს ან, უფრო სწორად, ნამდვილ კონფლიქტად გადააქცევდა უთანხმოებას ცენტრალურ კომიტეტსა და ფრაქციას შორის;

რომ ზემოხსენებული განცხადება ყოველი პარტიული კაცის თვალში წარმოადგენს არა მარტო სიფიცხეს, არამედ კარგად აქოთებულ კინკლაობას.

ამიტომ პოლიტბიურომ დაადგინა ურჩიოს სრულიად რუსეთის პროფსაბჭოს ფრაქციის ბიუროში შემავალ ამხანაგებს

გაიყვანონ ფრაქციაში მისი გადაწყვეტილების გაუქმება და მთელი ინციდენტი ამოწურულად ჩათვალონ.

პოლიტბიურომ, ამხ. ბუხარინის, ამხ. ლენინის და ამხ. კრესტინსკის შემადგენლობით, 17. III. 1920 განიხილა იმ არანორმალურობის საკითხი, რომ პარტიის წევრებს უპარტიო ყრილობებზე გაჰყავთ ისეთი რეზოლუციები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციებს.

პოლიტბიურომ გადაწყვიტა, რომ პარტიული დისციპლინის თვალსაზრისით ეს მოვლენა უთუოდ არასწორი და დაუშვებელია.

მაგრამ ამ შემთხვევის სრულიად განსაკუთრებული ვითარება (სახელდობრ: ის, რომ პარტიული ყრილობა მეტისმეტად ახლოა, რომ ამხ. ტომსკიმ თეზისები გამოაქვეყნა და რომ შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანია პარტიაში ჯერ კიდევ სადავოდ დარჩენილი კოლეგიალობის საკითხი ცალკეულ შემთხვევებში ერთპიროვნულობის დაშვებით და პირიქით) გვაიძულებს პოლიტიკურად ნაკლებ ბოროტებად მივიჩნიოთ სრულიად რუსეთის პროფსაბჭოს ფრაქციის წევრებისათვის იმის ნებართვის მიცემა, რომ ცალკეულ პროფკავშირთა მიმდინარე ყრილობებზე გამოვიდნენ (პარტყრილობის გადაწყვეტილებამდე) სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს ფრაქციის რეზოლუციით.

დაწერილია 1920 წლის 17 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1963 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 40

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ბროშურის «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი» ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობა [197]

ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობა

ამხანაგებმა, რომლებიც ინგლისურ ენაზე სცემენ გერმანულადაც გამოსულ კაუცკის საწინააღმდეგო ჩემს ბროშურას [198], შემომთავაზეს დამეწერა ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობა.

მერჩია მოკლე წინასიტყვაობის მოცემის ნაცვლად ვრცლად განმეხილა რომელიმე ნაწარმოები. ჯ. რამსეი მაკდონალდისა (J. Ramsay Macdonald). იგი, რამდენადაც ვიცი, ისეთ უაღრესად გავლენიან ინგლისელ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, რომელსაც აურაცხელი მკითხველი ჰყავს და რომელიც, არსებითად, იმავე «კაუცკელთა» მიმართულების მწერალია. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე მიმეღო ჯ. რამსეი მაკდონალდის წიგნი «Parliament and Revolution» («პარლამენტი და რევოლუცია»)[199], რომელშიც არის პატარა თავები «საბჭოთა დემოკრატიაზე» და «საბჭოთა საარჩევნო უფლებაზე», მაგრამ იმავე ავტორის სტატია «Socialist Review Outlook» («მიმოხილვა და პერსპექტივები»), დაბეჭდილი მაკდონალდის რედაქტორობით გამომავალ ჟურნალ «სოციალისტურ მიმოხილვაში» («The Socialist Review», october — december 1919), სავსებით ნათელყოფს ავტორის «კაუცკურ» თვალსაზრისს. მაკდონალდი მარქსისტი არ არის და მარქსისტულად შეფერილი ოპორტუნიზმი, რაც კაუცკის თავისებურებას შეადგენს, ტიპობრივი როდია ინგლისისათვის.

ამჟამად დრო არა მაქვს ვრცლად განვიხილო მაკდონალდის თვალსაზრისი და შემოვიფარგლები იმ ცდით, რომ მოკლედ დავახასიათო მისი შეხედულებანი, ისინი, რომლებიც ცნობილია მაკდონალდის მთელი პოლიტიკური მოღვაწეობიდან, მისი პარტიის («დამოუკიდებელი» — სიტყვით დამოუკიდებელი, საქმით სავსებით დამოკიდებული ბურჟუაზიული ცრურწმენებისაგან — «მუშათა პარტიის», I. L. P.) გაზეთებიდან, მისი ჟურნალიდან და, მეტადრე, ეს-ეს არის დასახელებული სტატიიდან.

ჯერ მოვიყვან რამდენიმე ყველაზე დამახასიათებელ ციტატას ამ სტატიიდან:

ჯერ საერთო პოლიტიკურ მდგომარეობას რომ ახასიათებს, მაკდონალდი წერს: «... საკუთარ მოვალეობათა პატიოსნად აღსრულება, პატიოსანი შრომა არასოდეს არ ყოფილა ასე ნაკლებპატივცემული» (Never was honest service and labour held in lower esteem, page 306). «... ჩვენი სამხედრო სასამართლოები კვლავ შიმშილით სულს ხდიან ქალებს და ბავშვებს. ჩვენ ვმონაწილეობთ ყველა საზიზღარ და წყეულ შეთქმულებაში იმ მიზნით, რომ დავამხოთ დემოკრატია ევროპაში. თუმცა ჩვენი სახელმწიფო ვაკოტრების წინაშე დგას, რომელიმე მინისტრს პირადი თავმომწონეობის დასაკმაყოფილებლად და ფინანსისტთა მცირე კლასს პირადი მოგების გულისთვის შეუძლია კიდევ დაახლოებით 100 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუმატოს ბრიტანელ გადამხდელთა ტვირთს რუსეთის ავანტიურისთვის...» (We are in every mean and wicked conspiracy to subvert democracy in Europe. Though the State is tottering on the verge of bankruptcy, a Minister to gratify his personal vanity, and a small class of financiers to secure personal profit in the future, can add what will probably amount to £ 100 000 000 further burden upon the British taxpayer, for a Russian venture... p. 307)... პარლამენტის მუშათა პარტია «ცხადყოფს პარტიის იმავე მზადყოფნას, რომ შეაშინებინოს თავი სულ უმნიშვნელო მუქარით» («shows this same proneness in the party to be stampeded by trivial fears»), რაც ცხადყო ერთი ვაიუშველებელის ატეხამ იმის გამო, რომ ნილ მაკლინი (Neil Maclean) არ ადგა, როცა პარტიის დანარჩენი წევრები პარლამენტში ფეხზე ადგომით პატივს სცემდნენ პარიზიდან ზავის ჩამომტან პრემიერს. მუშათა პარტიას შეეშინდა, რომ არჩევნების დროს მოწინააღმდეგენი მის შესახებ დაწერდნენ ფურცლებში: «მუშათა პარტია აქეზებს (condones) იმათ, ვინც შეურაცხყოფს ჩვენს ყოვლადმოწყალე მონარქსო» (our Gracious Sovereign). «საქმის ასეთი ვითარება, — გაბედულად აცხადებს გულადი ბატონი მაკდონალდი, — არ არისო ჯანსაღი; იგი არ აღგვითქვამს არავითარ დიდ რეფორმებს» (Such a state of things is not healthy; it contains no promise of great reform)...*

დაწერილია არა უგვიანეს 1920 წლის აპრილისა

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს ჟურნალში «ვოპროსი ისტორიი კპსს» № 4

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

შაბათობათა დებულების პროექტის დამატებანი [200]

I. შაბათობათა მიზანი და დანიშნულება

1) შაბათობა წარმოადგენს შრომითი ბეგრის იდეის და მუშათა კლასის თვითდარაზმვის პროპაგანდის ერთ-ერთ ფორმას.

2) შაბათობა კომუნისტური შრომის ფორმათა ლაბორატორია უნდა გახდეს.

3) შაბათობა უნდა დავიწყოთ უწინარეს ყოვლისა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საასწრაფო სამუშაოებისათვის.

4) შაბათობის დროს გამომუშავება დაწესებულ ნორმაზე ნაკლები არ უნდა იყოს, მაგრამ შაბათობის მონაწილენი უნდა ცდილობდნენ გადააჭარბონ ამ ნორმას.

+ ა) შრომისნაყოფიერების ამაღლება

ბ) შრომის დისციპლინის ამაღლება

გ) პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელება

დ) გლეხობისადმი ხელმძღვანელობა

ე) შიმშილობისა და ნგრევისაგან ხსნა.

დაწერილია 1920 წელს, არა უადრეს მარტის დამლევისა

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს:

პოლიტბიუროს წევრებს:

გოხოვთ წაიკითხოთ. ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო ა.
მხარს ვუჭერ მათთან კომპრომისის **გამოძებნას** [201].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 19 აპრილს
და 6 მაისს შორის

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები შრომითი სასურსათო ულუფის დეკრეტის გამო [202]

1

1) სათაური შევცვალოთ.

2) საერთო-სამოქალაქო ნორმა გავაუქმოთ.

3) საფუძვლად დავუდოთ შ რ ო მ ი თ ი ულუფა, ე. ი. ნ ა მ უ შ ე ვ ა რ ი დ ღ ე ე ბ ი ს ა თ ვ ი ს.

4) შრომითი ულუფა, დავყოთ კატეგორიებად შრომის სიადვილისა თუ სიმძიმის კვალობაზე.

5) 1-ლი კატეგორია: გონებრივი და კანტორის შრომა

6) მე-2 » ფიზიკური

7) მე-3 » განსაკუთრებით მძიმე და ა. შ.

8) «დამკვრელი ჯგუფები» (ე. ი. წარმოებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროფესიები და საწარმოები) სახკომსაბჭოს (ზოგჯერ, განსაკუთრებული წესებით) და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით გადაგვყავს მე-2, მე-3 და ა. შ. კატეგორიაში.

9) იმათ, ვინც არ მუშაობს, უმუშევრებს, შემდეგ ვაჭრებს და ა. შ. ვუწესებთ განსაკუთრებით დაბალ ნორმას. გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს ი.

10) განსაკუთრებული გამონაკლისი ბავშვებისა და ავადმყოფებისათვის.

2

ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი:

«დეკრეტი სასურსათო ულუფათა მეტი ერთფეროვნების და შრომითი ულუფის, როგორც მთელი სასურსათო სისტემის საფუძვლის შესახებ».

რასაც წინათ ვუწოდებდით «საერთო-სამოქალაქო ნორმას», ა ხ ლ ა დ ა ვ ა რ ქ ვ ა თ

«უმუშევართა და წვრილ მესაკუთრეთა ნორმა» ანდა: მოქალაქეებისა, რომლებსაც თავისი სამუშაო აქვთ, არ მუშაობენ და ა. შ. (ან: «წვრილი მეპატრონეებისა»), «იმათი, ვინც საბჭოთა საწარმოებსა და დაწესებულებებში არ მუშაობს».

მოვიგებთ იმას, რომ: (1) დედაქალაქებსა და ყველა არასამიწათმოქმედო, საფაბრიკო ქალაქში საქმე დიდად გამარტივდება (რადგან იქ მ ა ს ა მუშაობს საბჭოთა საწარმოებში და საბჭოთა დაწესებულებებში).

(2) ა რ ა ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო ქალაქებში **ნათლად** გამოვყოფთ იმ მოსახლეობას, რომელიც არ მუშაობს საბჭოთა საწარმოებსა და საბჭოთა დაწესებულებებში, ა მ მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ს კ ი **თანდათანობით** უ ნ დ ა **მოვუხსნათ ულუფა** (ან შ ე ნ ი ბოსტანი გაიჩინე, ანდა სამუშაოდ საბჭოთა დაწესებულებაში წადი).

> ვინც საბჭოთა საწარმოში ან საბჭოთა დაწესებულებაში არ მუშაობს, იმას საჭმელს **არ** ვაჭმევთ.

გამოვიანგარიშოთ, რომელი სისტემის დროს გვექნება **ნაკლები ბარათები** და უფრო მარტივი მთელი სისტემა.

27/IV. 1920. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

სიტყვა, წარმოთქმული კ. მარქსის ძეგლის საძირკვლის ჩაყრისას 1920 წლის 1 მაისს

საგაზეთო ანგარიში

ვ. ი. ლენინმა დამსწრეთ მიმართა მოკლე, მაგრამ ძლიერი სიტყვით კარლ მარქსის როგორც სოციალისტური ბელადის მნიშვნელობაზე.

— მიუხედავად პოლიტიკური თავისუფლებებისა მშრომელები მონობაში იყვნენ. ახლა ისინი მიდიან მუშათა რევოლუციისაკენ, რომელიც შექმნის უმემამულეებო და უკაპიტალისტებო სოციალისტურ საზოგადოებას. რუსეთს წილად ხვდა დიდი პატივი და ბედნიერება ხელი შეეწყო ამ სოციალისტური საზოგადოების და მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკის დაარსებისათვის. შრომის საერთაშორისო დღესასწაულის დღეს, როცა გვინდა ყველას დავუმტკიცოთ, რომ შევძლებთ გადავჭრათ მშრომელთა სოციალისტური საზოგადოების მოწყობის ამოცანა, ზეიმით პატივს ვცემთ კარლ მარქსის ხსოვნას. დარწმუნებული ვარ, დიდი მასწავლებლისათვის დადგმული ძეგლი მთელ თქვენს ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ დაგვჭირდება ხანგრძლივი შრომა, რათა შევქმნათ საზოგადოება, რომელშიც არ იქნება ექსპლოატაცია.

«იზვესტია ვციკ» № 94,
1920 წლის 4 მაისი

იბეჭდება
გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ის
ტექსტის მიხედვით

სიტყვა, წარმოთქმული ზაგორსკის სახელოგნის მუშათა სასახლის გახსნის დროს 1920 წლის 1 მაისს

საგაზეთო ანგარიში

თავისი მოკლე სიტყვა ამხ. ლენინმა უძღვნა მოგონებას ამხ. ზაგორსკიზე, იმაზე, თუ როგორ შეხვდა განსვენებულ ამხანაგს ჯერ კიდევ საზღვარგარეთ, ემიგრაციაში, 1907 წელს,

როცა ამხ. ლენინი საზღვარგარეთელი ამხანაგების მუშათა წრეებში, აგრეთვე რუს ემიგრანტთა წრეებში დადიოდა რეფერატების და მოხსენებების წასაკითხად. უკვე მაშინ ამხ. ზაგორსკი, რომელიც იმ დროს ბოლშევიკთა ჟენევის ჯგუფის მდივანი იყო, ენერგიული, ჭკვიანი, კარგი ორგანიზატორის და მთელი სულითა და გულით პარტიის საქმის ერთგული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. როცა 1918 წელს მოსკოვში დაბრუნდა, ზაგორსკი მთლიანად მიეცა პარტიის მუშაობას და მალე მოსკოვის ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს. ამ სახელოვან პოსტზე იყო იგი, როცა ლეონტიევის შესახვევში მომხდარი აფეთქების დროს დაიღუპა [203].

«იზვესტია ვციკ» № 94,
1920 წლის 4 მაისი
და «პრავდა» № 95,
1920 წლის 5 მაისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

სიტყვა, წარმოთქმული მოსკოვის პირველი მეტყვიამფრქვევეთა კურსების წითელ მეთაურთა XI გამოშვებაზე 1920 წლის 12 მაისს

მექანიკის ჩანაწერი

წითელ მეთაურებს, რომლებმაც ეს-ეს არის მიიღეს წოდებანი, ლენინმა სიტყვით მიმართა. მან აღნიშნა, რით უნდა წავიდეს წითელი მეთაური დასავლეთის ფრონტზე. წითელ მეთაურს უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენ ვეომებით არა პოლონელ მუშებს და გლეხებს, არამედ პოლონელ ბურჟუაზიას და მემამულეებს, აგრეთვე ანტანტის კაპიტალისტებს, რომლებიც მათ ზურგს უკან დგანან და ამოქმედებენ პოლონელ პანებს. თქვენ იცით, თქვა ამხ. ლენინმა, რომ ეს ომი ჩვენი სურვილის წინააღმდეგ თავს მოგვახვიეს, მაგრამ ჩვენ არ დავახრჩობინებთ თავს: დამარცხებას სიკვდილი სჯობს.

«კ ნოვოი არმიი» № 6,
1920 წლის 1 ივნისი

იბეჭდება ჟურნალ
«კ ნოვოი არმიის»
ტექსტის მიხედვით

პროექტი სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა ნედლეულის დამზადების შესახებ [204]

შევქმნათ კომისია, რომელსაც დავავალოთ ორი კვირის ვადაში:

1) შეიმუშაოს ის ღონისძიებანი, რომ პურის და ნედლეულის მთელი დამზადება გავაერთიანოთ ერთ უწყებად ანდა საკმაოდ მტკიცედ და მიზანშეწონილად გავაერთიანოთ ამისთვის სათანადო უწყებები. სავალდებულოა კოოპერაციული აპარატის გამოყენება.

2) კომისიამ განსაკუთრებით უნდა განიხილოს ის საკითხი, რომ სასურსათო არმია და შინაგანი დაცვის ჯარები გამოვიყენოთ ყოველგვარი ნედლეულის დამზადების საქმეში, შემდეგ ის საკითხი, თუ რა პირობებით და კონკრეტული ოდენობით გამოვიყენოთ პრემიები და საქონელგაცვლა (როგორც საერთო წესი, კოლექტიური), კერძოდ გლეხების მიერ ჩაბარებული ნედლეულის ნაწილის გლეხებისთვისვე დაბრუნება დამუშავებული პროდუქტის სახით.

3) ნედლეულის დასამზადებლად საყოველგანო გაწერის, აგრეთვე მტკიცე ფასების გამოყენება სავალდებულოა.

დაწერილია 1920 წლის 25 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მუშრომელ მოსახლეობას შორის ბინების სწორი განაწილების ღონისძიებათა დეკრეტის პროექტის შენიშვნები [205]

. მე მგონია, § 9 არ ვარგა. სახალხო სასამართლოები სუსტია.

უნდა დავავალოთ ადგილობრივ სანიტარულ განყოფილებებს (+ კომუნისტური შრომის რაზმებს)

(ა) გამოსცენ ხოლმე სავალდებულო წესები

(ბ) დასაჯონ, უსასამართლოდ, 1 თვემდე პატიმრობით და 2 თვემდე იძულებითი სამუშაოებით უსუფთაობის გამო და სხვ.

(გ) მოვაწყოთ სისუფთავის მასობრივი გაკონტროლება (დეპუტატთა საბჭოებთან არსებული საგანგებო რაზმების მეშვეობით).

ლენინი

დაწერილია 1920 წლის 25 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მონახაზი სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა პურის რესურსების შესახებ [206]

26. V. 1920.

1) გამოვხატოთ კმაყოფილება დამზადებათა გადიდების გამო
2) ყოველთვიური მონაცემები მოვითხოვოთ
3) გამოვყოთ დამზადებულისგან სადგურებში მოზიდული
4) დავეხმაროთ დამამზადებლებს (§ 4)
5) გავაძლიეროთ მოზიდვა (§ 5)
6) **საბოსტნე?**

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

საუბარი იაპონელ კორესპონდენტ რ. ნაკახირასთან, გაზეთ «ოსაკა ასახის» წარმომადგენელთან [207]

ლენინი არ დაელოდა ჩვენს შეკითხვებს და თვითონ დაიწყო საუბარი. იგი შეეხო იაპონია-რუსეთის ურთიერთობას და დიდი სინანული გამოთქვა იაპონიის პოზიციის გამო, იაპონიისა, რომელიც არ იჩენს მზადყოფნას თანაუგრძნოს რუსეთის მუშურ-გლეხური მთავრობის მშვიდობისმოყვარულ ნაბიჯებს. «მუშურ-გლეხური მთავრობა, — აღნიშნა მან, —

სწორედ იმიტომ, რომ იგი მშვიდობიან პრინციპებს იცავს, დათანხმდა ეცნო ბუფერული სახელმწიფო შორეულ აღმოსავლეთში» [20ᴇ].

სხვა თემებზე რომ გადავიდა, ლენინმა ერთიმეორის მიყოლებით მოგვცა რამდენიმე შეკითხვა: «1. გაბატონებული კლასია თუ არა იაპონიაში მემამულეები? 2. შეუძლია თუ არა იაპონელ გლეხს თავისუფლად ფლობდეს მიწას? 3. ცხოვრობს თუ არა იაპონელი ხალხი უმთავრესად ქვეყნის შინა რესურსების ხარჯზე, თუ იაპონიას დიდი რაოდენობით შეაქვს საქონელი საზღვარგარეთიდან?».

ამრიგად, ლენინმა ნათლად გაგვაგებინა, რომ მას დიდად აინტერესებს, როგორ ცხოვრობს იაპონელი ხალხი.

შემდეგ ლენინმა ასეთი საინტერესო რამ გვკითხა: «ერთ წიგნში წავიკითხე, რომ იაპონიაში მშრომელები არ სცემენ შვილებს. მართლა ასეა?». ვუპასუხეთ: «რა თქმა უნდა, არის გამონაკლისი, მაგრამ, როგორც წესი, ჩვენში არ სცემენ შვილებს». მან დიდი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მუშურ-გლეხური მთავრობის ერთ-ერთი პრინციპიც ის არის, რომ გააუქმოს ბავშვთა ფიზიკური დასჯა.

ჩვენ რამდენიმე შეკითხვა მივეცით რუსეთში მომხდარ რევოლუციაზე და მისი განვითარების პერსპექტივებზე.

ლენინმა მოკლედ გვიამბო რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორია და გვითხრა: «რევოლუციამდე რუსეთის მუშათა კლასი და გლეხობა ისტორიაში არნახულ ჩაგვრას განიცდიდა. ამ ჩაგვრის შედეგად მასების პროტესტის სულისკვეთებამ სულ უფრო მეტი ძალა მოიპოვა და რევოლუციური აფეთქება გამოიწვია. სწორედ აქ არის დაფარული იმის მიზეზი, რომ, თუმცა რუსეთის მოსახლეობის დაბალი ფენები შედარებით სუსტად იყვნენ ორგანიზებული და სხვა ქვეყნებთან შედარებით განათლების დონეც დაბალი ჰქონდათ, რევოლუციური მოძრაობა მაინც ვერ ჩაახშვეს. ახლა რუსეთის მუშათა კლასს და გლეხობას რევოლუციის ორი წლისა და მეტის გამოცდილება აქვთ და მათ პოლიტიკური და სოციალური სწავლების შესანიშნავი სკოლა განვლეს. ამ ორწელიწად-ნა-

ხევრის მანძილზე დაგროვილი გამოცდილება სავსებით შეიძლება შევადაროთ მრავალსაუკუნოვან განვითარებას».

შემდეგ ჩვენ ვკითხეთ: «მუშურ-გლეხურმა რესპუბლიკამ პრინციპული უარი განაცხადა მეფის მთავრობის მიერ აღებული სესხის გადახდაზე, მაგრამ მან ესტონეთს აღუთქვა, რომ ზავის დადების შემდეგ ოქროს დიდ თანხას გადაუხდიდა მას? რით: ავხსნათ: ეს?».

ლენინმა ფართოდ გაგვიღიმა და გვითხრა: «ესტონეთი კეთილადაა განწყობილი მუშურ-გლეხური სახელმწიფოსადმი და მუშურ-გლეხურმა მთავრობამ ამ კეთილმოსურნეობის პასუხად აღუთქვა მას ოქროს გადახდა». შემდეგ მან თქვა: «ძალიან ძნელია მქონებელ კლასებთან საქმის დაჭერა. მქონებელ კლასთა წარმომადგენლები თვით თავიანთი ბუნების გამო მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ დაიკმაყოფილონ სიხარბე ფულის მიმართ. ავიღოთ, მაგალითად, ამერიკა. ამერიკამ ჩვენს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ზავის დადება შემოსთავაზა. მაგრამ თუ ამ წინადადებას ყურადღებით შევისწავლით, აღმოჩნდება, რომ იგი თავიდან ბოლომდე მძარცველური ხასიათისაა. ჩვენთვის ეს მიუღებელია. ამიტომ პრინციპული უარი განვაცხადეთ ასეთი საზავო ხელშეკრულების ხელმოწერაზე. რა თქმა უნდა, არა გვსურს, რომ საზღვარგარეთ სუსტ სახელმწიფოდ მიგვიჩნიონ. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ რაც უფრო მეტხანს იტყვიან ანტანტის ქვეყნები უარს მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ცნობაზე და შეეცდებიან სამხედრო ინტერვენციის განხორციელებას რუსეთში, საბოლოო ანგარიშით მით უფრო ხელსაყრელი იქნება ეს ჩვენთვის.

დიდი პერსპექტივები გადაეშალა რუსეთის მრეწველობას. ავიღოთ, მაგალითად, თუნდაც ენერგეტიკა. თუ მას მაღალ დონეზე განვავითარებთ, შევძლებთ მეურნეობის ყველა დარგის ელექტრიფიცირებას. კომუნიზმის შემოქმედებითი შესაძლებლობანი მალე დიდ ეფექტს მოგვცემენ ყველა ამ პრობლემის გადაჭრაში და ისეთ გიგანტურ ნაბიჯს გადავდგამთ წინ,

რომ შეედრება მრავალი ათწლეულის მანძილზე განხორციელებულ პროგრესს.

გადაცემულია ტელეგრაფით 1920 წლის 6 ივნისს

დაიბეჭდა იაპონურ ენაზე 1920 წლის 13 ივნისს გაზეთ «ოსაკა ასახიში» № 13814, 1920 წლის 15 ივნისს გაზეთ «ტოკიო ასახიში» № 12211, და ინგლისურ ენაზე 1920 წლის 7 აგვისტოს ჟურნალში «Soviet Russia» № 6

რუსულ ენაზე (თარგმანი ინგლისურიდან) პირველად დაიბეჭდა 1963 წლის 16 აპრილს გაზეთ «იზვესტიაში» № 91

იბეჭდება
გაზეთ «ოსაკა ასახის»
ტექსტის მიხედვით
თარგმანი იაპონურიდან

საუბარი იაპონელ კორესპონდენტ კ. ფუსეესთან, გაზეთ «ოსაკა მაინიჩის» და გაზეთ «ტოკიო ნიჩინიჩის» წარმომადგენელთან

ამხ. ლენინი ფუსეს შეხვდა სიტყვებით, რომ ფრიად მოხარულია მისი ნახვისა და რომ მიუხედავად ყველაფრისა, რაც ამ უკანასკნელი წლების მანძილზე მოხდა რუსეთსა და იაპონიას შორის, და იმისა, რომ იაპონიის ზოგიერთი წრე საბჭოთა რუსეთის მიმართ ჯერ კიდევ შეურიგებელ პოზიციაზე დგას, იგი მაინც ორივე ქვეყნის მომავალ ურთიერთობას ოპტიმისტურად უყურებს. საბჭოთა მთავრობამ ცნო ბუფერული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ეს, იმედი მაქვს, — თქვა ლენინმა, — უახლოეს დროში დაგვეხმარება, რომ აღვადგინოთ მშვიდობა შორეულ აღმოსავლეთშიო.

ფუსემ ინტერვიუ დაიწყო იმით, რომ ლენინს შეეკითხა: «შარშან შემოდგომაზე თქვენ ბრძანეთ, სიძნელეები უკან მოვიტოვეთო, განა თქვენ არ ჰვრეტთ წინ კიდევ სიძნელეებს?»

ამას იმ აზრით ვამბობდი, რომ ყველაზე დიდი სიძნელეები უკან მოვიტოვეთ; მაგრამ, რა თქმა უნდა, წინ კიდევ ბევრი სიძნელე გვიდევს!

ფ უ ს ე ს შ ე კ ი თ ხ ვ ა: «თქვენ ამბობდით, კაპიტალიზმს ფეოდალიზმიდან გადასასვლელად მრავალი წელი დასჭირდა და ამიტომ სოციალიზმსაც დიდი დრო დასჭირდება კაპიტალიზმიდან გადასასვლელადო. გვითხარით, დაახლოებით რა დრო მოუნდება ამას?»

ძნელია საერთოდ ვადის განსაზღვრა; ძველი წყობილების დამხობას დიდი დრო არ უნდა, მაგრამ ახალი წყობილების შექმნა მოკლე დროში შეუძლებელია. ჩვენ შევუდექით მრეწველობის და მიწათმოქმედების ელექტრიფიკაციის გეგმის განხორციელებას, უელექტრიფიკაციოდ კომუნისტური წყობილება განუხორციელებელია, ელექტრიფიკაციის ჩვენი გეგმა კი შედგენილია ათი წლის ვადით, თუ ყველაზე ხელსაყრელი პირობები გვექნა. აი ეს არის ჩვენი მინიმალური ვადა ჩვენი ახალი წყობილების შესაქმნელად.

შემდეგ ლენინმა ფუსეს რამდენიმე შეკითხვა მისცა იაპონიაში არსებული სამიწათმოქმედო და კლასობრივი ურთიერთობის შესახებ.

რას წარმოადგენენ მემამულეები იაპონიაში? როგორია იაპონიაში უმიწო გლეხის მდგომარეობა? არის თუ არა გლეხთა ორგანიზაციები? და ა. შ. შემდეგ ლენინი დაინტერესა იაპონიის ელექტრიფიკაციის, სახალხო განათლების მდგომარეობამ და აგრეთვე იმან, თუ როგორ ეპყრობიან იაპონიაში ბავშვებს. როცა ფუსემ უთხრა, ბავშვებს იაპონიაში უფრო უფრთხილდებიან, ვიდრე დასავლეთშიო, ლენინმა შენიშნა: ეს ფრიად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ევროპის ეგრეთ წოდებულ ყველაზე ცივილიზებულ ქვეყნებში, თვით შვეიცარიაშიც კი, ჯერ კიდევ არ მოუსპიათ, მაგალითად, სკოლაში ბავშვის ცემის ადათი.

ამის შემდეგ ფუსემ ისევ მისცა ამხ. ლენინს რამდენიმე პოლიტიკური შეკითხვა.

ფ უ ს ე: «როგორ წარმოვიდგენია კეთილმეზობლური ურთიერთობა სოციალისტურ და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის?»

კაპიტალისტურ ქვეყნებთან თანაცხოვრების ჩვენი პირობები დაწვრილებით არის გადმოცემული ხელშეკრულების პროექტში, რომელიც ამას წინათ ამერიკის წარმომადგენელმა ბულიტმა გამოაქვეყნა ვაშინგტონში. ეს პირობები ჩვენთ-

ვის ძალიან არახელსაყრელია, ანტანტის სახელმწიფოებმა კი აქედან დაასკვნეს, დათმობაზე იმიტომ მიდიან, რომ სუსტები არიანო. და ინტერვენცია წამოიწყეს, რის შედეგადაც მათ ყველამ სრული დამარცხება განიცადეს. ჩვენ სავსებით გავანადგურეთ კოლჩაკი, იუდენიჩი და დენიკინი.

ფუსე: «სად შეიძლება, რომ კომუნიზმს უფრო მეტი წარმატების იმედი ჰქონდეს. დასავლეთში თუ აღმოსავლეთში?»

ნამდვილ კომუნიზმს წარმატება ჯერჯერობით შეიძლება მხოლოდ დასავლეთში ექნეს, მაგრამ დასავლეთი ხომ აღმოსავლეთის ხარჯზე ცხოვრობს; ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოები უმთავრესად აღმოსავლეთის კოლონიებში მდიდრდებიან. მაგრამ ისინი ამავე დროს თავიანთ კოლონიებს აიარაღებენ და ასწავლიან, როგორ იბრძოლონ, და ამით დასავლეთი თვითონ ითხრის ორმოს აღმოსავლეთში.

ფუსე: «როგორია საბჭოთა მთავრობის უახლოესი ამოცანები?»

ჯერ ერთი, დავამარცხოთ პოლონელი მემამულეები, მეორე, მოვიპოვოთ მტკიცე მშვიდობა, შემდეგ, მესამე, განვავითაროთ ჩვენი სამეურნეო ცხოვრება.

გადაცემულია ტელეგრაფით 1920 წლის 4 ივნისს

დაიბეჭდა იაპონურ ენაზე 1920 წლის 10 ივნისს გაზეთ «ტოკიო ნიტი-ნიტიში» № 15686

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1924 წელს სტატიების კრებულში «ლენინი და აღმოსავლეთი», მოსკოვი

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით, რომელიც შეჯერებულია კ. ფუსეს სატელეგრაფო გადაცემის მანქანაზე გადაწერილ პირთან

დადგენილება
სანატორიუმ «გორკის» გამგე ე. ი. ვეევერისათვის სასჯელის დადების შესახებ

ამხ. ბელენკის, ამხ. ივანიჩევის და ამხ. გაბალინის ოქმით დადასტურდა, რომ სანატორიუმის გამგის ამხ. ვეევერის განკ-

კარგულებით 1920 წლის 14 ივნისს სანატორიუმის პარკში სავსებით ჯანსაღი ნაძვი მოჭრეს.

საბჭოთა ქონების ასეთი გაფუჭების დაშვების გამო ვბრძანებ ამხ. ვევერი, საბჭოთა მამულ გორკიში არსებული სანატორიუმის გამგე,

დაპატიმრებულ იქნეს 1 თვით.

განაჩენი აღასრულოს პოდოლსკის სამაზრო აღმასკომმა, ამასთან

(1) თუ აღმოჩნდება, რომ ამხ. ვევერს წინათ სასჯელი არ ჰქონია, დაპატიმრებიდან ერთი კვირის გასვლის შემდეგ პირობით გაათავისუფლონ და გააფრთხილონ, რომ უკეთუ კვლავ დაუშვებს პარკის, ხეივნების, ტყის არასწორ ჩეხვას ან საბჭოთა ქონების სხვაგვარ გაფუჭებას, ახალი სასჯელის გარდა არა მარტო დააპატიმრებენ 3 კვირით, არამედ დაკავებული თანამდებობიდანაც მოხსნიან.

(2) განაჩენის აღსრულების ვადა განსაზღვროს მაზრის აღმასკომმა მაზრის მიწგანთან ან საბჭოთა მეურნეობების გამგეობასთან შეთანხმებით ისე, რომ სოფლის სამუშაოებმა და მეურნეობამ მცირედი ზარალიც არ ნახონ.

ვავალებ ამხ. ბელენკის გამოუცხადოს ეს დადგენილება ამხ. ვევერს და მის თანაშემწეებს და ჩამოართვას მათ ხელწერილი, რომ ეს გამოგვიცხადეს და გვაცნობეს და რომ შემდეგი ასეთი დარღვევა გამოიწვევს ყველა მოსამსახურისა და მუშის და არა მარტო გამგის დასჯასო.

მაზრის აღმასკომს ვავალებ მაცნობოს მის მიერ დანიშნული ვადა პატიმრობის მოხდისა და თვით მოხდა.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

14. VI. 1920.

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

სიტყვა, წარმოთქმული კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე 1920 წლის 19 ივნისს

საგაზეთო ანგარიში

ამხ. ლენინმა კითხვა ასე დააყენა: რას ნიშნავს სინამდვილეში პროლეტარიატის დიქტატურის აღიარება? ეს ნიშნავს, რომ ყოველდღე პროპაგანდაში, აგიტაციასა და გამოსვლებში ამზადო პროლეტარიატი ხელისუფლების ხელთ ჩასაგდებად, ექსპლოატატორთა დასათრგუნავად, პროლეტარიატის ყველა და ყოველგვარი მოწინააღმდეგის დასათრგუნავად. ამხ. ლენინი არაერთი საბუთისა და გაზეთის საფუძველზე ცხადყოფს, რომ III ინტერნაციონალსა და საფრანგეთის პარტიის [209] მთელ პოლიტიკას შორის მთელი უფსკრულია. იგი ააშკარავებს აგრეთვე სრულ სიდამპლეს იტალიის პარტიის ტურატელთა ფრთისას, რომელიც ხელს უშლის პარტიას უკლებლივ დაადგეს სავსებით სწორ ხაზს.

«პრავდა» № 133, 1920 წლის 20 ივნისი

«იზვესტია ვციკ» № 134, 1920 წლის 22 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდას» ტექსტის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა რკპ(ბ) ამოცანების შესახებ თურქესტანში [210]

თეზისებიც და პროექტიც საერთოდ და ძირითადად დავამტკიცოთ და თეზისებიც და პროექტიც გავასწოროთ იმ სულისკვეთებით, რომ

(1) რუსთა და ჩამოსულთა მიწათმფლობელობა გავუთანაბროთ ადგილობრივთ;

(2) დავამარცხოთ, გავასახლოთ და დავიმორჩილოთ რუსი კულაკები უაღრესად ენერგიულად;

(3) თურქესტანის კომისიას[211] არ მივცეთ უფლება შეცვალოს დეკრეტები ისე, თუ არ შეეკითხა თურქესტანის ცაკსა და თურქესტანის სახკომსაბჭოს და ცენტრს;

(4) სისტემატურად მოვიფიქროთ, მოვამზადოთ, განვახორციელოთ ხელისუფლების გადაცემა — თანდათანობით, მაგრამ განუხრელად — ადგილობრივი მშრომელთა საბჭოებისთვის, საიმედო კომუნისტთა კონტროლით;

(5) რესპუბლიკის 3 ნაწილად გაყოფას წინასწარ ნუ გადავწყვეტთ;

(6) საერთო ამოცანად დავისახოთ ფეოდალიზმის დამხობა და არა კომუნიზმი.

დაწერილია 1920 წლის 22 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მასალები კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესისათვის[212]

1

გეგმა რეზოლუციისა «პროლეტარიატის დიქტატურის» ცნების შინაარსის შესახებ და ამ ლოზუნგის «მოდური» დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ[213]

1. გამოვყოთ პროლეტარიატის სწორედ რევოლუციური და მარტოოდენ რევოლუციური ნაწილი პარტიად და პარტიის ასეთივე ნაწილი მის ხელმძღვანელ ცენტრებში.

2. სისტემატურად ვამხილოთ მასების წინაშე რეფორმიზმი და ოპორტუნიზმი პარტიასა და მუშათა მოძრაობაში.

3. შევცვალოთ ოპორტუნისტული ბელადები პროლეტარიატის პარტიის სექციებშიც, პროფკავშირებშიც, კოოპერატივებშიც, კლუბებშიც, კულტურულ-საგანმანათლებლო და, ერთი სიტყვით, ყველა ორგანიზაციაში რევოლუციური ბელადებით.

4. შევქმნათ ყველა და ყოველგვარი სახის მუშურ და

წვრილგლეხურ ორგანიზაციებში კომუჯრედები, რათა პარტიამ სისტემატურად უხელმძღვანელოს მთელ მუშათა (და ნაწილ წვრილგლეხურ) მოძრაობას.

|=3?| 5. აუცილებლად დავნიშნოთ სავსებით რევოლუციური და მშვიდობიანი მუშაობის. პარლამენტარიზმისა და ლეგალიზმის ტრადიციებისა, ჩვევებისა და ცრურწმენებისაგან სავსებით თავისუფალი მუშები, თუნდაც სრულიად გამოუცდელნი, მაგრამ (1) რეფორმიზმისა და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის უნარის მქონენი (2) და მჭიდროდ დაკავშირებულნი პროლეტარიატის ყველაზე ფართო მასასთან და პროლეტარიატის ყველაზე რევოლუციურ ნაწილთან, —

— დავნიშნოთ უაღრესად პასუხსაგებ პოსტებზე პარტიაში საკმაო რაოდენობით, მეტადრე პარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც, **საპარლამენტო ჯგუფშიც** და ყველა უმნიშვნელოვანეს (პარტიის მიერ დასაუფლებლად) დაწესებულებაშიც.

6. განსაკუთრებით დეტალურად დავუქვემდებაროთ პარლამენტის ფრაქცია პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელმაც განსაკუთრებით მკაცრი ზედამხედველობა გაუწიოს პარლამენტის ფრაქციას.

7. კოლაბორაციონისტებად, ბურჟუაზიასა და მესაკუთრეებთან პროლეტარიატის ბლოკის მომხრეებად (და გამტარებლებად) უნდა მივიჩნიოთ არა მარტო ისინი, ვინც ამ იდეებს პირდაპირ ახორციელებს, მთავრობაში ბლოკის მომხრეა და სხვ., არამედ ისინიც, ვინც მათ არაპირდაპირ ახორციელებს, მაგალითად, იცავს მუშათა კლასისა და წვრილ მესაკუთრეთა კლასის თანასწორობას, მათ თვალსაზრისთა თანასწორუფლებიანობას და ა. შ.

8. რეფორმისტთა (ან რეფორმიზმთან შემრიგებელი)...* ორგანოები «L'Humanité» [21a], უნდა დავხუროთ. პარტიას 1 **ცენტრალური** ორგანო უნდა ჰქონდეს, სავსებით რევოლუციური და არა ისეთი მიმართულებისა, როგორიცაა «Populai-

* ხელნაწერში სიტყვა. ამოუკითხავია. რ ე დ.

re»[215] და «Fraiheit»[216]. პარტიის მთელი პრესა განუყოფელი აზრია, ერთი მიმართულებაა, დიქტატურისათვის ბრძოლა.

9. უფრო ღრმად მასებში. არა მუშათა არისტოკრატიისათვის,—არამედ განუსწავლელი მასებისათვის. არა მარტო ქალაქისათვის,—არამედ სოფლისათვისაც. აგიტაცია მასებში, არა მარტო პროპაგანდა (contra British Socialist Party)[217].

უფასოდ დავურიგოთ ფურცლები ჩამორჩენილ მუშებს მოწინავეთა შენატანების ხარჯზე.

პროლეტარები უნდა წავიდნენ მასაში, გაფიცულთა, მოჯამაგირეთა დასახმარებლად.

10. აშკარად გავაანალიზოთ მასების წინაშე ოპორტუნისტულ ბელადთა შეცდომები და ღალატი (გაფიცვა 1919 წ. 20—21/VII და სხვა მისთ.).

გავაანალიზოთ პრესაში პარლამენტართა გამოსვლების etc. ყველა ოპორტუნისტული შეცდომა და სისუსტე.

11. სისტემატურობა, ყველა საბაბით, ყოველმხრივ, ცხოვრების ყველა სფეროს მიმართ;

ავარკვიოთ პროლეტარიატის დიქტატურის კონკრეტული ამოცანები, viz.*:

(ა) ექსპლოატატორთა (მათ შორის კულაკთა და ინტელიგენტ მესაბოტაჟეთა) წინააღმდეგობის დათრგუნვა;

(ბ) კონფისკაციები, ვინაიდან გამოსყიდვა ახლა, 1914—1918 შემდეგ, შეუძლებელია;

(გ) განსაკუთრებული ზედამხედველობა ექსპლოატატორებზე და ბურჟუაზიულ ინტელიგენციაზე;

(დ) ცხოვრების დაუყოვნებლივი რევოლუციური გაუმჯობესება

მუშებისთვისაც
მთელი ექსპლოატირებული მასისთვისაც
წვრილი გლეხობისთვისაც

* — videlicet — სახელდობრ. რედ.

ექსპლოატატორთა ხარჯზე;

(ე) წვრილი მესაკუთრეების ნეიტრალიზაცია

საშუალო გლეხებისა ხელოსნებისა წვრილი მრეწველებისა ბურჟუაზიული ინტელიგენციის ნაწილისა	

ე. ი. იმის დაუშვებლობა, რომ ისინი თეთრებს მიემხრონ;

(ვ) გამბედაობა, უნარი, ცოდნა, განსაკუთრებული ორგანიზაცია წინააღმდეგობის დასათრგუნად.

|1.| ΣΣ = (α) გავანადგუროთ
(β) გავიყოლიოთ
(γ) გავანეიტრალოთ.

12. Epuration...*

13. «პრესის»? — «კრებების»? — «პიროვნების» თავისუფლება»?

პარტია = ავანგარდი.

(αα) (1) რევოლუციური ნაწილი

(ββ) (2) მასასთან დაკავშირებული.

დაუყოვნებლივი მომზადება (2. 3. 4. 5. 6 (+13). 7. αα
8. 9. 10. ββ

მთავარი საფრთხეა: მემარჯვენე, ე. ი. შეუცვლელი ბელადები.

3 პარტია (+ ამერიკის სოციალისტური პარტია[218]) (+ შვეიცარიის სოციალისტური პარტია[219]). დაუყოვნებლივი შემოერთება **შეუძლებელია.**

მემარცხენენი. მათი შეცდომები. დაუყოვნებლივი შემოერთება **შესაძლებელია.**

რეფორმიზმი იტალიის პარტიაში (შესაძლოა, + B. S. P.?)

---

* — განწმენდა... რედ.

NB

კომისია საფრანგეთის პარტიისა და პრესის შესახებ

ლოზოვსკი	Serrati
+ბუხარინი	Deslinières
+გილბო	+
	Sadoul

დაწერილია 1920 წლის ივლისში,
არა უგვიანეს 4 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1935 წლის
1 აგვისტოს ჟურნალში
«კომუნისტიჩესკი ინტერნაციონალ»
№ 22

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

2

კომინტერნის II კონგრესზე დ. ტანერის მიერ წარმოთქმული სიტყვის გამო [220]

ტანერის სიტყვამ (Shop Stewards) თვალნათლივ დაადასტურა,

1) რომ საჭიროა III ინტერნაციონალის შ ი გ ნ ი თ შევქმნათ ადგილი **თანამგრძნობთათვის**

2) რომ ინგლისისა და ამერიკისათვის ც ა ლ კ ე უნდა შევნიშნოთ, რომ, მიუხედავად უთანხმოებისა პარლამენტარიზმის შესახებ, ვთავაზობთ:

(ა) I. W. W. და Shop Stewards-ის ფორმის მასობრივი მოძრაობა დარჩეს III ინტერნაციონალთან შ ე ე რ თ ე ბ უ ლ ი

(ბ) კიდევ ერთხელ ხანგრძლივად განვიხილოთ საკითხი და სინამდვილეში გ ა მ ო ვ ც ა დ ო თ იმ სოციალისტური პარტიების **გაუმჯობესება,** რომლებიც ა რ ა-

საკმაო აგიტაციას ეწევიან მასაში და რომლებმაც არ იცოდნენ როგორ დაკავშირებოდნენ მას.

ლენინი

დაწერილია 1920 წლის 23 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

3

შენიშვნები აღმოსავლეთში სოციალური რევოლუციის პერსპექტივების შესახებ ა. სულთან-ზადეს მოხსენების გამო [221]

1) მჭონებელი ექსპლოატატორული კლასების რღვევა

2) მოსახლეობის დიდი ნაწილი გლეხებია, რომლებსაც შუასაუკუნეობრივ **ექსპლოატაციას** უწევენ

3) წვრილი ხელოსნები — მრეწველობაში

4) დასკვნა: **შევუგუოთ** როგორც საბჭოთა დაწესებულებანი, ისე კომუნისტური პარტია (მისი შემადგენლობა, მისი საგანგებო ამოცანები) კოლონიური აღმოსავლეთის გლეხური ქვეყნების დონეს.

ეს არის დედაარსი. ეს უნდა მოვიფიქროთ და **გამოვძებნოთ კონკრეტული** პასუხები.

დაწერილია 1920 წლის 24 და 29 ივლისს შორის

პირველად დაიბეჭდა 1963 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 41

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

4

შენიშვნები ეროვნული და კოლონიური საკითხების კომისიისთვის

შუასაუკუნეობრივი პარტიკულარიზმის გამოყენება? ფრიად სახიფათოა; როდია მარქსისტული.

უნდა განვასხვავოთ თანამედროვე ეროვნული მოძრაობანი და შუასაუკუნეობრივი ხასიათის «მოძრაობანი» (ეგრეთ წოდებული მოძრაობანი).

დაწერილია ფრანგულად 1920 წლის ივლისში, არა უგვიანეს 28 რიცხვისა

ხელნაწერის ფაქსიმილე პირველად დაიბეჭდა 1923 წელს წიგნში: H. Guilbeaux. «Wladimir Iljitsch Lenin. Ein treues Bild seines Wesens». Berlin

ბეჭდება ფაქსიმილეს მიხედვით

თარგმანი ფრანგულიდან

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1963 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 41

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა

პეტროგრადის კომუნასა და პეტროგრადის საბჭოს შორის

მომხდარი კონფლიქტის შესახებ [222]

1) ბადაევი გადავიყვანოთ მოსკოვის მომხმარებელთა საზოგადოებაში.
2) მოვახდინოთ ბადაევის რეაბილიტაცია **(ორგბიუროს მეშვეობით).**
3) პიტერის რამდენიმე სასურსათო მუშაკი გადავიყვანოთ მოსკოვში.
4) პიტერს დავუნიშნოთ განსაკუთრებით მკაცრი ზედამხედველობა *.
5) განვახორციელოთ პეტროგრადისა და მოსკოვის და ყველა დანარჩენი სასურსათო პუნქტის ფაქტობრივი თანასწორობა პურის განაწილებასა და ნორმის გაცემაში [223].

დაწერილია 1920 წლის 16 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

ბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* ხელნაწერში მე-2 და მე-4 პუნქტები გადახაზულია. მიღებულ დადგენილებაში მე-4 პუნქტი არ შესულა. რ ე დ.

პასუხი შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. მ. კრასნოშჩეკოვის შეკითხვებზე [224]

1) ყრილობა სად მოვიწვიოთ?	სადაც გნებავთ.
2) არჩევნების პრინციპები (დასაშვებია თუ არა ოთხკუდა [225])?	დასაშვებია.
3) კონსტიტუციის და ეკონომპოლიტიკის საფუძვლები?	დასაშვებია დემოკრატია კომუნისტთა მცირე პრივილეგიებითურთ [226].
4) საბჭოთა რუსეთისა და შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის ოფიციალური ურთიერთობის განსაზღვრა?	მეგობრობა.
5) იმის გამო, რომ ზოგიერთი ოლქი არ დაემორჩილა ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს და რამდენიმე დღის შემდეგ მოწვეულია წინასწარი კონფერენცია, საჭიროა შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის საფუძვლების ახალი ზუსტი ფორმულირება და რწმუნებათა განსაზღვრა.	გაუგონეთ ცენტრალურ კომიტეტს, თორემ გაგაგდებთ.

დაწერილია 1920 წლის ივლისში,
არა უადრეს 17 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

სიტყვა, წარმოთქმული პეტროგრადში კ. ლიბკნეხტისა და რ. ლუქსემბურგის ძეგლის საძირკვლის ჩაყრისადმი მიძღვნილ მიტინგზე 1920 წლის 19 ივლისს [227]

საგაზეთო ანგარიში

ამხანაგებო, კომუნისტურმა ხელმძღვანელებმა ყველა ქვეყანაში გაუგონარი მსხვერპლი გაიღეს, ისინი ათასობით იღუპებიან ფინეთსა და უნგრეთში და სხვა ქვეყნებში. მაგრამ ვერანაირი დევნა ვერ შეწყვეტს კომუნიზმის ზრდას, და ისეთ მებრძოლთა გმირობა, როგორიც კარლ ლიბკნეხტი და როზა ლუქსემბურგი იყვნენ, მხნეობას და კომუნიზმის სრული გამარჯვების რწმენას გვმატებს. (ამხ. ლენინის სიტყვა მქუხარე «ვაშამ» დაფარა. მღერიან «ინტერნაციონალს».)

«პეტროგრადსკაია პრავდა» № 159, 1920 წლის 21 ივლისი

იბეჭდება გაზეთ «პეტროგრადსკაია პრავდის» ტექსტის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა ჟურნალ «კომუნისტიჩესკი ინტერნაციონალში» გამოქვეყნებულ ა. მ. გორკის სტატიათა შესახებ [228]

ხელმოწერათა შეგროვებით ვთავაზობ პოლიტბიუროს:

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სრულიად უადგილოდ მიაჩნია «კომუნისტიჩესკი ინტერნაციონალის» მე-12 ნომერში გორკის **სტატიების**, მეტადრე მოწინავეს მოთავსება, რადგან ამ სტატიებში არათუ არაფერია კომუნისტური, არამედ ბევრი რამ ანტიკომუნისტურიცაა. ამიერიდან «კო-

მუნისტიჩესკი ინტერნაციონალმა» მსგავსი სტატიები არავითარ შემთხვევაში არ მოათავსოს.

ლენინი*

დაწერილია 1920 წლის 31 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წინადადებანი სამხედრო საკითხებზე [229]

რადგან დავრწმუნდი, რომ რჩება (ბუდიონის) არა<10 000,

1) ხმას ვაძლევ იმას, რომ ცხენოსანთა მე-6 დივიზია ბუდიონისაგან გადავიყვანოთ ვრანგელის ფრონტზე;
2) გავაძლიეროთ ბუდიონის ცხენოსანთა არმია იმ 3 — 4 ათასი კაცით, რომელსაც მთავარსარდალი ჰპირდება სამხრეთს (საჩქაროდ);
4) გაძლიერებით ჩამოვართვათ ბელორუს გლეხებს ცხენები ბუდიონის კავალერიის შესავსებად;
5) **მეხუთე** შევცვალოთ გიტისი ამხანაგ ფრუნზეთი (იხილე მთავარსარდლის და ტუხაჩევსკის აზრი).

ლენინი

დაწერილია 1920 წლის აგვისტოში, არა უადრეს 20 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებანი დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ბრძანების შესახებ [230]

პოლიტბიურო ადგენს: უსასტიკესად ვკიცხავთ ამხ. ტუხაჩევსკის და ამხ. სმილგას საქციელს, რომლებმაც გამოსცეს,

* პროექტს ხელს აწერენ აგრეთვე ლ. დ. ტროცკი, ნ. ნ. კრესტინსკი და მ. ი. კალინინი. რედ.

თუმცა ამის უფლება სრულიად არ ჰქონდათ, თავიანთი უტაქტოზე უარესი ბრძანება, ძირს რომ უთხრის პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას *.

პოლიტბიურო ავალებს რუსეთის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს დაუყოვნებლივ გააუქმოს დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ბრძანება და დასავლეთის ფრონტის ამ რევოლუციურ სამხედრო საბჭოს მიუთითოს, რომ მისი მოქმედება უმართებულო იყო ** [231].

დაწერილია 1920 წლის 20 და 24 აგვისტოს შორის

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რკპ(ბ) IX სრულიად რუსეთის კონფერენცია

1920 წლის 22—25 სექტემბერი [232]

1

სიტყვა პარტიული მშენებლობის მორიგ ამოცანებზე 24 სექტემბერს

ამხანაგებო, მგონია, მოკამათეთა სიტყვებში გაკეთებული ზოგიერთი განცხადება და თვით ზოგიერთი სიტყვაც აღნიშვნის ღირსია მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი აშკარად გამოხატავდნენ არა მარტო გადაღლას, არამედ ისეთ გადაღლას, რომელიც ისტერიულობამდე მისულა და ამიტომ სრულიად ზედმეტს იძლევა. ვერ ვიტყვი რომ აქ დემაგოგია იყოს. ფიზიკური გადაღლა ისტერიულობამდე მივიდა. მნიშვნელოვან-

* მდივანს რომ დაავალა, პოლიტბიუროს ეს დადგენილება ტელეგრაფით გადაეცით დასავლეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოსო, ვ. ი. ლენინმა საბუთს წააწერა: «ბრიჩკინას ამ დეპეშის გასაგზავნად», ხოლო დადგენილების ტექსტს მიაწერა: «ასლი ამხ. ჩიჩერინს და ამხ. დანიშევსკის». რ ე დ.

** ამ ტექსტს ვ. ი. ლენინმა ფანქრით ხაზი გაუსვა და მიაწერა: «სკლიანსკის უკვე ვუთხარით». რ ე დ.

წილად ასეთი იყო ლუტოვინოვის და ბუბნოვის გამოსვლები, რომლებშიც დემაგოგია გადაღლაზე ნაკლები იყო. მგონია, რომ გადაღლამ ნაწილობრივ თავი იჩინა მედვედევის განცხადებაშიც. მან თქვა: «ახლა ყველანი ლაპარაკობთ, რომ არის ავადმყოფური მოვლენები, წინათ კი ამას უარყოფდით, ცრუობდითო». ვფიქრობ, ეს განმარტება მთლად სწორი არ უნდა იყოს, ის კი არა, სულაც არ არის სწორი. რომ მართლაც არსებობს ის არაჯანსაღი მოვლენები, რომლებზეც ვლაპარაკობთ, საეჭვოა საიდუმლოება იყოს. უეჭველია აგრეთვე, საერთო მდგომარეობა ისეთი მძიმეა, რომ წინათ არ შეგვეძლო საგანგებოდ ამ საკითხის განსახილველად პარტიისათვის გამოგვეძებნინებინა დრო, პარტიისათვის გამოგვეძებნინებინა შესაძლებლობა. ამ საკითხს ახლაც გაჭირვებით ვაყენებთ იმიტომ, რომ ის შანსი, რომელსაც აქ, ჩვენს პოლიტიკურ საუბარში, განვიხილავდით, ის შანსი — თავიდან აგვეცილებინა ზამთრის კამპანია — უაღრესად მცირეა. როგორც აღვნიშნე, რესპუბლიკის საერთო მდგომარეობა იმდენად გაუმჯობესდა, რომ ახლა საშუალება გვაქვს სრულიად აუღელვებლად ვიმსჯელოთ: ახლა როდი ვაყენებთ კონფერენციის უდროოდ შეწყვეტის საკითხს, როგორც კოლჩაკისა და დენიკინის შემოტევის ხანაში დავაყენეთ რამდენჯერმე. ყოფილა პარტიული ყრილობები, რომლებშიც ბევრ პასუხისმგებელ მუშაკს დაუტოვებია და პირდაპირ ფრონტზე წასულა ისე, რომ არ დაუცდია ყრილობის დამთავრებისათვის. თითქოსდა იშვიათად ვიწვევთ ყრილობებს, იშვიათად გვაქვს შესაძლებლობა შევეხოთ ყრილობებზე უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებს, წინათ კი იმის ნებასაც ვერ ვაძლევდით თავს, რომ დაგვემთავრებინა ყრილობა, რომელსაც იშვიათად ვიწვევდით. ყოველ შემთხვევაში, ახლა ჩვენ ისეთი მდგომარეობა გვაქვს, რომ შეგვიძლია და ვალდებულიც ვართ არ შემოვიფარგლოთ და ახლანდელი მსჯელობანი მოვათაოთ. ორიოდე სიტყვით მინდა კიდევ გითხრათ, რომ საქმის მარქსისტულად ახსნის ერთგვარი ცდა, რომელსაც კალინინის მსჯელობა შეიცავდა, ასე მგონია, პირიქით, სავსებით შორდებოდა მარქსიზმს. ვფიქ-

რობ, საკითხის სწორ, მარქსისტულ დაყენებას იძლეოდა მოსკოვის კომიტეტის რეზოლუცია — რომელიც, რა თქმა უნდა, ყველას წაკითხული გექნებათ და რომელიც პატარა ბროშურად გამოიცა და დაბეჭდა გაზეთმა «პრავდამ» — და ცენტრალური კომიტეტის წერილი.

მინდა წაგიკითხოთ რამდენიმე სტრიქონი, რომლებსაც კომისიას შევთავაზებდი (თუ გადაწყვეტთ აირჩიოთ კომისია) არა მოსკოვის რეზოლუციის და ცენტრალური კომიტეტის წერილის ნაცვლად, არამედ როგორც მათ დამატებით მასალას *. მოსკოვის კომიტეტის რეზოლუცია, მე მგონია, გვაძლევს — ამაზე თითქმის ყველა მეთანხმება — საკითხის სწორ გაშუქებას. თავს ნებას მივცემ და წაგიკითხავთ ამ რამდენიმე სიტყვას, ცოტა რაიმეს მოგახსენებთ მათ შესახებ. აი ეს დამატება: «საბჭოთა რესპუბლიკის გაუგონრად მძიმე მდგომარეობამ მისი არსებობის პირველ წლებში, უკიდურესმა გაჩანაგებამ და უდიდესმა სამხედრო საფრთხემ გარდაუვალი გახადეს «დამკვრელი» (და ამიტომ ფაქტობრივად პრივილეგირებული) უწყებებისა და მუშაკთა ჯგუფების გამოყოფა. ეს გარდაუვალი იყო, რადგან გაჩანაგებულ ქვეყანას ვერაფერს ვუშველიდით ისე, თუ ძალებსა და სახსრებს თავს არ მოვუყრიდით ასეთ უწყებებსა და მუშაკთა ასეთ ჯგუფებში, რომელთა განუმტკიცებლად მთელი მსოფლიოს იმპერიალისტები, ცხადია, გაგვსრესდნენ და არ დაუშვებდნენ იმას, რომ ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკა შესდგომოდა მაინც საჭურნეო მშენებლობას...».

სპეცების შესახებ აქ გესმოდათ, როგორ ცხარედ გვიცხავდნენ. ამხ. კუტუზოვის სიტყვაში გამოსჭვიოდა სიმართლე, რომ საბჭოთა რუსეთს პროლეტარიატის მდგომარეობა არ გაუუმჯობესებია, პირიქით, ხშირად გაუუარესებია კიდეც. ეს სწორია. მაგრამ უნდა გავერკვეთ იმაში, რომ, მაგალითად, ვენაში, სადაც საბჭოთა მთავრობა არ არსებობს, ასეთივე გაუარესებული მდგომარეობა აქვთ და ამასთანავე ზნეობრივი დამცირება ერთიასად მეტი. მაგრამ ამის გარკვევა მასას არ ძალუძს. გასაგებია, რომ ჩვენ გვეკითხებიან: რა გაგვიკეთეთ,

* იხ. ეს ტომი, გვ. 220—221. რედ.

ამ ორი წლის მანძილზეო? ისიც გასაგებია, რომ სპეციებით გამოწვეული უკმაყოფილება ასე ფართოდ ვრცელდება. გასაგებია, რომ ბრძოლა იმ საკითხზე, გვჭირდება თუ არ გვჭირდება სპეციები, პირველ ადგილზე იდგა. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ უამათოდ არ გვეყოლებოდა ჩვენი არმია. უამისოდ ჩვენ ისეთსავე მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით, როგორშიც უნგრეთი და ფინელი მუშები აღმოჩნდნენ. აი როგორ დგას საკითხი. ეს სპეციები რომ არა, ვერ გადავდგამდით იმ ელემენტარულ ნაბიჯებს, რომლებმაც საშუალება მოგვცეს ავსულიყავით გარკვეულ სიმაღლეზე, — ეს უკვე გითხარით ჩემს პოლიტიკურ მოხსენებაში. ჩვენ რომ ვერ მოგვეხერხებინა სპეციების საქმის მოგვარება, ეს არ გვექნებოდა, ვერ გადავიდოდით შემდგომზე. მაგრამ ახლა, როცა ისინი ხელში ავიყვანეთ, უღელში შევაბით, როცა ვიცით, რომ ისინი კი არ გაიქცევიან ჩვენგან, არამედ, პირიქით, ყველანი ჩვენკენ მორბიან, ახლა მივაღწევთ იმას, რომ დემოკრატიზაცია პარტიასა და არმიაში აიწევს. განვაგრძობ კითხვას (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს რ ე ზ ო ლ უ ც ი ა ს)...

პირველი პუნქტი (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს) *. აქ დამატებაა. ამხ. ტომსკი იმოწმებდა იმას, რაც ჩვენც ბევრჯერ გვითქვამს, და ამბობდა — უნდა წამოვწიოთ საშუალო მუშაკი, ზედა ფენები მოიქანცნენ, მოგვეცით საშუალო მუშაკიო. ამის ერთბაშად გაკეთება ვერ მოვახერხეთ, მაგრამ მოვახერხებთ ახალი, შესაძლოა, მეოცე ცდის შემდეგ. უამისოდ საბჭოთა რუსეთის საქმე უიმედო იქნებოდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იგი არ არის უიმედო, რაკი გვყავს ახალი მოზარდი ელემენტები. პირველი ცდები თუ არ გამოგვივიდა, გავიმეორებთ შემდგომ ცდებს.

მეორე პუნქტი (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს) *. აქ საკმაოდ გესლიანი შეკითხვა მოგვცეს: კრიტიკის თავისუფლება იქნება თუ არა ატმის ჭამის თავისუფლების შესაბამისი[233]. შესაძლო გარანტიებიდან მე ერთი ზომა მაქვს, კომისიის წამოყენებულ წინადადებათა საფუძველზე. ისეთ დროს, როცა ქვეყანა

* იხ. ეს ტომი, გვ. 221. რ ე დ.

საფრთხეშია, როცა კოლჩაკი ვოლგამდე მოდის, ხოლო დენიკინი ორიოლამდე, შეუძლებელია რაიმე თავისუფლება. ამას როდი უნდა ვნანობდეთ. მაგრამ სამხედრო მდგომარეობა ახლაც ცუდი გვაქვს, ყველა ვხედავთ, როგორი არამყარია საბ. ხედრო ბედნიერება. ეს საკითხი ჩვენ დღის წესრიგში უნდა დავაყენოთ. მაგრამ ვერ დაგპირდებით, რომ სამხედრო საფრთხის დროს სხვაგვარად არ მოვიქცევით. მაშინ ისევ დაგვჭირდება უდიდესი დაძაბვა და ხმის გაკმენდა: მხოლოდ გამაგრდი, მთელი ძალ-ღონე დაძაბე. ამაზე ჩვენ სრულიადაც ხელს არ ვიღებთ, და ვიდრე იტალიური გამარჯვება არ მოგვიპოვებია, არც უნდა ავიღოთ ხელი. აი ჩემი პასუხი ატმებზე.

მესამე პუნქტი (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს) *. აქ ამხ. პრეობრაჟენსკიმ დააყენა კითხვა, რომელსაც ზინოვიევიც აყენებდა: უადგილო ხომ არ იქნება რეგლამენტაცია და რა ვიგულისხმოთ რეგლამენტაციად? მე ამ საკითხს ღიად დავტოვებ, იმიტომ რომ კომისიაში ამ საკითხს დეტალურად განიხილავენ. იქ გამოჩნდება: რეგლამენტაციად დეტალური პუნქტები ვიგულისხმოთ, თუ საგანგებო დაწესებულებათა შექმნა.

მეოთხე პუნქტი (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს) **. აქ ამხანაგმა მომხსენებელმა აღნიშნა, ეს საკითხი კომისიამ წამოაყენა, მაგრამ უმრავლესობამ უარყოო. მე მგონია — მე მხოლოდ ჩემი სახელით ვაყენებ მას — მე მგონია, რომ არ უნდა უარვყოთ, და თუ ერთბაშად არ მივიღებთ, ყოველ შემთხვევაში ჯერ მოვიფიქროო. აქ აღნიშნეს, ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ ბიუროში 500 საჩივარი ძევსო. ორგბიურომ ათიათასობით ადამიანი უნდა გაანაწილოს. გარდა ამისა, ვერ ნახავთ ორგბიუროს ვერც ერთ წევრს, რომ რამდენიმე საბჭოთა თანამდებობით არ იყოს დატვირთული. ასეთ პირობებში უცნობი სიდიდეებით გიხდება მუშაობა, და ასეთ პირობებში საკითხს მარტოოდენ ზეშთაგონებით თუ გადაწყვეტ, რაც სწორად მხოლოდ გამოცდილ ადამიანებს გადააწყვეტინებს და

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 217. რ ე დ

** იხ. ეს ტომი, გვ. 221. რ ე დ.

იმათაც ხშირად ეშლებათ ხოლმე. ჩვენ გავითვალისწინეთ ასეთი პირობები და გვინდა მოვძებნოთ ხალხი, რომლებსაც სულ ცოტა 15 წლის სტაჟი ექნებათ, პარტია ენდობა, მიუკერძოებლობით გამოირჩევიან და დაგვეხმარებიან ამ საქმეში, ამავე დროს დამოუკიდებლობის მხრივ ორგბიუროზე მაღლა იდგომებიან, რაკი მათ ყრილობაზე აირჩევენ. მგონია, შეიძლება ამ ნაბიჯის გადადგმა. ცენტრალური კომიტეტის მუშაობის დამუხრუჭება, გადაწყვეტილებათა შეჩერება შეუძლებელია. ამისათვის საგანგებო უზრუნველყოფილობა არ არის და მისი შეთავაზებაც არ შეიძლება. გერმანიის მუშათა პარტიაში წინათაც იყო საკონტროლო კომისია. რამდენად შესაძლებელი იქნება იგი ჩვენს სამხედრო ვითარებაში, ამის თავდებად დადგომა არ შეიძლება. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამ ნაბიჯის გადადგმა შეგვიძლია და ცენტრალური კომიტეტი ამ გზას დაადგა.

ცენტრალური კომიტეტის წერილში ნათქვამია: «... თითოეულ საგუბერნიო კომიტეტთან ყველაზე მიუკერძოებელი ამხანაგებისაგან, რომლებსაც მთელი ორგანიზაცია ენდობა, უნდა შეიქმნას სპეციალური პარტიული კომისიები. ამ კომისიებმა უნდა მიიღონ შესაბამისი საჩივრები». აქ ლაპარაკია მიუკერძოებელ ამხანაგებზე. საბრძოლო საქმიანობისათვის — იქნება ეს სამხედრო, სამეურნეო თუ ორგანიზაციული საქმიანობა — ძალიან ხშირად აბსოლუტურად საჭირო არიან მგზნებარე ადამიანები, იმიტომ რომ, დიდი გზნება თუ არ ექნათ, დიდ დაძაბვას ვერ გამოიჩენენ და გატანჯულ ქვეყანაში სასწრაფო მორიგ ამოცანებს ვერ გადაჭრიან. აქ, პირიქით, ისეთი ხალხი გვჭირდება, რომლებსაც შეიძლება არ გააჩნდეთ დიდი ადმინისტრაციული თვისებები, მაგრამ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ შეძენილი. ვიპოვით კი ასეთ ადამიანებს, რომ მთელ რუსეთს ეყოს გუბერნიების მიხედვით, მეეჭვება. და თუ გამოცდილება საგუბერნიო კომიტეტების კომისიებისა, რომელთა შექმნასაც ახლა ვვარაუდობთ და რომლებსაც თქვენ შექმნით, — თუ ეს გამოცდილება ფუჭი გამოდგება, ნუ დაასკვნით, რომ მთელი წამოწყება ჩაგვეშალა. შესაძლოა

გუბერნიებში ვერ ვიპოვოთ სათანადო რაოდენობის ამხანაგები, რომლებიც ყრილობიდან ყრილობამდე გაძლებენ. მაგრამ გუბერნიებში თუ ვერ ვიპოვეთ, ცენტრში ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე მტკიცე ამხანაგების პოვნას მოვახერხებთ. მე მგონია, ამ დაწესებულებაზე უარი არ უნდა ვთქვათ.

იქნება გვითხრან, სად არის იმის გარანტია, რომ ამ დაწესებულებას შეუძლია არსებობაო. ჩვენ სასტიკი სამოქალაქო ომის პირობებში ვცხოვრობთ, როცა, საერთოდ რომ ვთქვათ, შეუძლებელია ფართო კრიტიკის თავისუფლებაც და სხვა რაიმეც. ჩვენ მაგის თავი არა გვაქვს, მთელი ძალ-ღონე უნდა დავძაბოთ, რომ ბოლო მოვუღოთ ომს. საომარი პირობები რომ სხვაგვარი შექმნილიყო, მაშინ სხვა იყო. ამ პირობებში ბევრ რამეს ვერ უზრუნველვყოფთ; და პირდაპირ ვამბობთ, იმისათვის, რომ პრაქტიკულად მოვაწესრიგოთ ეს საკითხი, არ შეიძლება ცენტრალური კომიტეტის იმედით დავრჩეთ, რადგან მას უამრავი, აურაცხელი საშუშაო აქვს. არ ვიცი, არის კი თუნდაც ერთი წევრი ცენტრალური კომიტეტისა — მე ჩემს თავზე შემიძლია მოგახსენოთ, — რომელსაც ვალად არ ედოს ბევრი შეუსრულებელი ან ნაჩქარევად შესრულებული საქმე. ვერ წარმომიდგენია ამ კომისიის, ამხანაგების ჯგუფის, შექმნაზე უფრო რეალური გარანტია ამ საქმის შესასრულებლად. ეს კომისია მოლიანად ამ საქმეს მოახმარს თავის ძალ-ღონეს და შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ იგი სავსებით დამოუკიდებელი იქნება, როცა ხელს მოჰკიდებს ისეთ საქმეს, რომელსაც ვერც ცენტრალური კომიტეტის ვერც ერთი წევრი, ვერც ორგბიურო, ვერც პოლიტბიურო ვერ ჩასწვდება. შესაძლოა, პრაქტიკულად ჩავწვდეთ იმით, რომ წინ მივდივართ, პურის დამზადება 60 მლნ. ფუთიდან 260 მლნ. ფუთამდე ავიყვანეთ,—მაგრამ ეს მაინც ცოტა აღმოჩნდა იმისათვის, რომ წითელი არმია გადაუღლელი იყოს; იმისათვის, რომ არ გვყავდეს მუშები, რომლებიც ამბობენ: «რა მოგვცა წითელმა არმიამ, ვშიმშილობთო»; და იმისათვის, რომ არ გვყავდეს სრულიად მოთენთილი ზედა ფენები, რომლებსაც საშუალო მუშაკი არ ეხმარება. მაგრამ ეს ნაბიჯი ჩვენ მაინც გადავდგით—

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ საშინელი დაღლილობის მასშტაბითაც კი დაღლილობის ეს მასობრივი მასშტაბი შემცირებას იწყებს და დგება ის პერიოდი, როცა ლუკმაპურის საკითხის განხილვიდან შევძლებთ გადავიდეთ უფრო მაღალ ამოცანებზე, რომლებიც ჩვენ წინაშე დგას და რომელთა გადაჭრასაც ჩვენ ყველანი უთუოდ ხელს მოვკიდებთ.

პირველად დაიბეჭდა 1963 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 41

იბეჭდება სტენოგრამის მიხედვით

2

პროექტი რეზოლუციისა პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ

არა ცენტრალური კომიტეტის წერილის და მოსკოვის კომიტეტის რეზოლუციის ნაცვლად, არამედ **როგორც მასალა:**

საბჭოთა რესპუბლიკის გაუგონრად მძიმე მდგომარეობამ მისი არსებობის პირველ წლებში, უკიდურესმა გაჩანაგებამ და უდიდესმა სამხედრო საფრთხემ გარდაუვალი გახადეს «დამკვრელი» (და ამიტომ ფაქტობრივად პრივილეგირებული) უწყებებისა და მუშაკთა ჯგუფების გამოყოფა. ეს გარდაუვალი იყო, რადგან გაჩანაგებულ ქვეყანას ვერაფერს ვუშველიდით ისე, თუ ძალებსა და სახსრებს თავს არ მოვუყრიდით ასეთ უწყებებსა და მუშაკთა ასეთ ჯგუფებში, რომელთა განუმტკიცებლად მთელი მსოფლიოს იმპერიალისტები, ცხადია, გაგვსრესდნენ და არ დაუშვებდნენ იმას, რომ ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკა შესდგომოდა მაინც სამეურნეო მშენებლობას.

ეს გარემოება, კაპიტალისტური და კერძომესაკუთრული ჩვევებისა და განწყობილების ძნელად აღმოსაფხვრელ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, აგვიხსნის, თუ რატომ არის საჭირო კიდევ და კიდევ ერთხელ მივაპყროთ მთელი პარტიის ყურადღება ბრძოლას იმისათვის, რომ განვახორციელოთ... *

* ხელნაწერის ერთი გვერდი დაკარგულია. რ ე დ.

...იმის პრაქტიკული, საქმიანი გარანტიების საჭიროებას, რომ ზემოაღნიშნულ პრინციპულ საკითხებში ერთსულოვანი პარტიის გადაწყვეტილებანი მარტოოდენ ქაღალდზე არ დარჩეს. ამიტომ კონფერენცია წინადადებას აძლევს ცენტრალურ კომიტეტს დაუყოვნებლივ დაადგინოს, განახორციელოს და გარდა ამისა პარტიის უახლოეს ყრილობას დასამტკიცებლად შესთავაზოს შემდეგი:

(1) უთუოდ სავალდებულო გახადოს პარტიის წევრთა უფრო ხშირი და უფრო ფართო კრებები პარტიის წევრთა თვითმოქმედების განვითარების სხვა ღონისძიებებთან ერთად;

(2) შექმნას ლიტერატურული ორგანოები, რომლებსაც უნარი ექნებათ უფრო სისტემატურად და ფართოდ განახორციელონ პარტიის შეცდომათა კრიტიკა და საერთოდ პარტიის შიგნით კრიტიკა (სადისკუსიო ფურცლები და სხვ.);

(3) შეიმუშაოს სავსებით ზუსტი პრაქტიკული წესები იმ ღონისძიებათა შესახებ, რომ მოვსპოთ ასეთი უთანასწორობა (ცხოვრების პირობებისა, ხელფასის ოდენობისა და სხვ.), ერთი მხრივ, «სპეცებსა» და პასუხისმგებელ მუშაკებსა და, მეორე მხრივ, მასას შორის, — უთანასწორობა, რომელიც არღვევს დემოკრატიზმს და პარტიის გახრწნის და კომუნისტთა ავტორიტეტის დაცემის წყაროს წარმოადგენს;

(4) საჭიროდ მიიჩნიოს, რომ ცენტრალური კომიტეტის თანაბრად შექმნას საკონტროლო კომისია. იგი უნდა შედგებოდეს ისეთი ამხანაგებისაგან, რომლებსაც ყველაზე მეტი პარტიული მომზადება გააჩნიათ, ყველაზე გამოცდილი და მიუკერძოებელი არიან და უნარი შესწევთ განახორციელონ მკაცრი პარტიული კონტროლი. პარტიის ყრილობის არჩეულ საკონტროლო კომისიას უფლება უნდა ჰქონდეს მიიღოს და ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით გაარჩიოს ყოველგვარი საჩივარი, თუ საჭირო იქნა, გამართოს ცენტრალურ კომი-

ტეტთან გაერთიანებული სხდომა ან გადაიტანოს საკითხი პარტიულ ყრილობაზე.

24. IX. 1920. **ლ ე ნ ი ნ ი**

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

3

წინადადებანი პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ რეზოლუციისათვის [234]

საკონტროლო კომისიის შემადგენლობის თაობაზე.

მივიღოთ ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია:

რომ ცენტრალური კომიტეტის წევრებს საკონტროლო კომისიაში ასარჩევად წამოვაყენებთ მ ხ ო ლ ო დ პარტიული კონფერენციის სურვილით, რადგან ეს საერთოდ არასწორად მიგვაჩნია, რომ ცენტრალური კომიტეტის ამ წევრებს ა რ შ ე ბ ო ჭ ა ვ ს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი საკონტროლო კომისიის შიგნით მუშაობისას;

რომ საკონტროლო კომისიაში შემავალი ცენტრალური კომიტეტის წევრები საკონტროლო კომისიაში ხმას არ აძლევენ, თუ საკითხი ეხება სპეციალურად მ ა თ ს უწყებას ან მუშაობის სფეროს.

გ ა დ ა ა დ გ ი ლ ე ბ ა თ ა თაობაზე დავუმატოთ: ისე, რომ ზიანი არ მივაყენოთ საქმესთან იმის გაცნობას, ვისი გადაადგილების საკითხიც წამოიჭრა, და ისე, რომ ზიანი არ მივაყენოთ საქმეს, ე. ი. მხოლოდ ისე, რომ საქმის გამგებლობა **ყოველთვის** რჩებოდეს სავსებით კომპეტენტური მუშაკების ხელთ, რომლებიც უზრუნველყოფენ საქმის წარმატებას.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 29 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მოხსენება
რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ, წაკითხული რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის თათბირზე 1920 წლის 9 ოქტომბერს

ამ კრებაზე ჩვენი საშინაო მდგომარეობის შესახებ არ დაგვჭირდება ლაპარაკი, რადგან მას საკმაოდ იცნობს ყველა ამხანაგი ჩვენი გაზეთებიდან და ადგილებზე მუშაობის პრაქტიკიდან. სურსათი შარშანდელზე ბევრად მეტი დავამზადეთ, სათბობიც, ეს კი ჩვენი მუშაობის საძირკველია. მაგრამ მომარაგების მხრივ საქმე უარესადაა. დიდი ფაბრიკების გარკვეული ნაწილის ამუშავება უკვე შეიძლება და ამ ფაბრიკებში მუშათა განწყობილება, რა თქმა უნდა, უკვე აღარ შეიძლება ისეთი უიმედო იყოს, როგორიც მაშინ, როცა ფაბრიკები უმოქმედოდ იდგა. თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განწყობილებაში გარდატეხა მოხდება.

საჭიროა შევჩერდე ჩვენს საგარეო მდგომარეობაზე, საგარეო პოლიტიკის სიახლეებზე. პოლონეთში გრანდიოზული კრიზისია: ეკონომიურად პოლონეთი ჩვენზე ბევრად უფრო დანგრეულია; პოლიტიკური მხრივ კი საქმე იქამდე მივიდა, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტიაც[235] კი, ოპორტუნისტული პარტია, რომელიც ყოველთვის ღვარძლიანად დევნიდა ბოლშევიკებს, პროტესტს უცხადებს მთავრობას მუშებთან ანგარიშის გასწორების გამო. იმ ადგილებში, რომლებსაც ჩვენ საზავო ხელშეკრულებით ვაძლევთ, პოლონეთი მხოლოდ ძალადობას დაეყრდნობა. პოლონეთის მუშათა და გლეხთა მასებს უდიდესი სურვილი აქვთ ზავისა. თუ პოლონეთს ზავს შევთავაზებთ და დიდ დათმობებს დავთანხმდებით, მივაღწევთ იმას, რომ პოლიტიკური პარტიები გაიგებენ ჩვენს სიმართლეს, გაიგებენ, რომ არ გვსურდა ომი პოლონეთთან. თუ პოლონეთი ჩვენგან კონტრიბუციას მიიღებს, მოგებული მაინც ვერ დარჩება, რადგან ფულს საფრანგეთი წაიღებს. პოლონეთში ამას დღემდე მალავდნენ, მაგრამ ახლა ამ მდგომარეობას თან-

დათანობით ფარდა ეხდება მუშების წინაშე და ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ეს თვალნათლივ დაინახონ მუშებმა. ამიტომ ჩვენ ახლა გვჭირდება, რომ ზავს ხელი მოვაწეროთ. გარდა ამისა ჩვენ დროს მოვიგებთ და გამოვიყენებთ ჩვენი არმიის გასაძლიერებლად.

ვრანგელის ფრონტზე ძალთა უპირატესობა ჩვენ გვეკუთვნის, მაგრამ მიუხედავად ამისა ერთ დროს სერიოზული საფრთხე მოელოდა დონეცის აუზს. საერთო შეტევის ჩვენს გეგმას ვრანგელი ფუშავს სხვადასხვა მიმართულების ცალკეული დარტყმებით.

პოლიტიკური მხრივ დამახასიათებელია ერთი შეხედვით უმნიშვნელო შემთხვევა. გერმანიამ ჩასვლის ნება დართო ამხ. ზინოვიევს და ამხ. ბუხარინს დამოუკიდებელი პარტიის მომავალ ყრილობაზე დასასწრებად. შესაძლოა ეს უხეში პროვოკაცია იყოს, მაგრამ, მეორე მხრივ, უეჭველია, ამხ. ზინოვიევის იქ ჩასვლა დააჩქარებს და გააღრმავებს «დამოუკიდებელთა» გათიშვას, რაც უკვე დაისახა. გამოთიშულ «დამოუკიდებელთა» ნაწილი და გერმანიის კომუნისტური პარტიის მილიონამდე წევრი გრანდიოზულ რევოლუციურ ძალას შეადგენენ. გარდა ამისა აქ იქნება უდიდესი სააგიტაციო მასალა მთელი ევროპისათვის.

ყველაფრის ღერძი ის-არის, რომ გამოვლინდა საფრანგეთის იმპერიალისტური პოლიტიკა, საფრანგეთისა, რომელიც მუდამ გვიფუშავდა მშვიდობიან მოლაპარაკებას და ახლაც დაბრკოლებებს გვიქმნის. დაზავების ყოველი საათი ჩვენ იმისათვის უნდა გამოვიყენოთ, რომ განვმტკიცდეთ. თუ გავაძლიერებთ სამომარაგებო საქმიანობას, სწრაფად მოვიპოვებთ წარმატებებს ვრანგელის ფრონტზე, მაშინ გვექნება იმის იმედი, რომ დავშლით ჩვენი საწინააღმდეგო დიპლომატიური ინტრიგების ქსელს.

შორეული აღმოსავლეთის მდგომარეობა ისეთია, რომ იაპონია უნდა წავიდეს, რადგან ზამთრის კამპანიას ის ვერ აიტანს. ეს ჩვენ გაგვაძლიერებს. ამჟამად მოსკოვში იმყოფება ერთი ამერიკელი მილიარდერი, რომელიც მოლაპარაკებას

აწარმოებს კამჩატკაზე კონცესიის მისაღებად. ამ კონცესიის გაცემით ჩვენ გავამწვავებთ იაპონია-ამერიკის ურთიერთობას.

თურქესტანსა და კავკასიაში მდგომარეობა უფრო რთულია. ამას წინათ თურქებმა სომხეთში შეტევა წამოიწყეს იმ მიზნით, რომ ხელთ ეგდოთ ბათუმი, ხოლო შემდეგ შესაძლოა ბაქოც. გასაგებია, რომ ამ საკითხში ჩვენ მაქსიმალური სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ. მონაცემები სამხედრო გართულებების შესახებ ჯერ არა გვაქვს.

რაც არ უნდა დიდი იყოს უთანხმოება საფრანგეთსა და ინგლისს შორის, ჩვენ არ ძალგვიძს გამოვიყენოთ იგი, ვიდრე ვმარცხდებით და გამარჯვება არ მოგვიპოვებია. ეტყობა, უთანხმოება მაინც არის. ინგლისს უნდა ჩვენთან სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდეს და ჩვენც ვცდილობთ განვახორციელოთ იგი.

როგორია ჩვენი არმიის შეიარაღება, დაწვრილებით ვერ გეტყვით. ამ უკანასკნელ ხანს ვაზნების ნაკლებობა იგრძნობოდა, მაგრამ ახლა სიძნელეები შემცირდა. მუშაობა მკვიდრ საძირკველზე დგას, ოღონდ ეს არის, კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ იგი. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უშველონ ამას უჯრედებში მუშაობით და პროფკავშირების მეშვეობით.

როგორია გამარჯვების შანსი, ვერ გეტყვით ახლა, რადგან ჯერჯერობით ძნელია განწყობილების განსაზღვრა. გულგატეხილობა ფრიად დიდია; უკვე ექვსი კვირა გავიდა იმ მომენტიდან, რაც უკან დახევა დავიწყეთ და დღემდე არ შევჩერებულვართ. მთავარი ის არის, რომ დავაგვიანეთ საზამთრო მომარაგება; ეს დაემთხვა დამარცხებას. უეჭველია, უნდა გამოვიყენოთ დაზავების ყოველი წუთი, რომ გავძლიერდეთ.

ჩვენ აგიტაციის ტონს ვერ მოგცემთ, ვიდრე რაიმე გარკვეულს არ გავიგებთ. ეს კრება უკვე აძლევს მას ტონს.

ამხ. ტროცკის სიტყვებით მახნოს საკითხი ფრიად სერიოზულად განიხილეს სამხედრო წრეებში და გამოირკვა, რომ მოგების მეტს აქ არაფერს უნდა ველოდეთ. ეს იმით აიხსნება, რომ მახნოს ირგვლივ დაჯგუფებულმა ელემენტებმა უკვე იწ-

ვნიეს ვრანგელის რეჟიმი და იმან, რისი მიცემაც ვრანგელს შეუძლია, ისინი ვერ დააკმაყოფილა. ჩვენ მიერ მახნოსთან დადებული ხელშეკრულება სავსეა გარანტიებით, რომ ის ჩვენ წინააღმდეგ არ წამოვა. აქ ისეთივე სურათი შეიქმნა, როგორიც დენიკინთან და კოლჩაკთან: როგორც კი ისინი კულაკების და საერთოდ გლეხობის ინტერესებს შეეხნენ, ეს უკანასკნელნი ჩვენს მხარეზე გადმოდიოდნენ.

უეჭველია, დაზავებას პოლონელებიც გამოიყენებენ გასაძლიერებლად, შესაძლოა, ამ დროის მანძილზე აღჭურვილობაც მოზიდონ, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ჩვენ იგივე არ უნდა ვაკეთოთ.

კიდრე ომია, ფარული დიპლომატიაც უნდა არსებობდეს როგორც ომის ერთ-ერთი საშუალება. ფარულ დიპლომატიაზე უარის თქმა ჩვენ არ შეგვიძლია. ამ დიპლომატიის შეფასება დამოკიდებულია ომის საერთო შეფასებაზე.

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება სტენოგრამის მიხედვით

მონახაზი რეზოლუციისა პროლეტარული კულტურის შესახებ [236]

1. არა განსაკუთრებული იდეები, არამედ მარქსიზმი.

2. არა გამოგონება ახალი პროლეტკულტურისა, არამედ **არსებული** კულტურის საუკეთესო ნიმუშების, ტრადიციების, შედეგების **განვითარება** მარქსიზმის მსოფლმხედველობის თვალსაზრისით და პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში პროლეტარიატის ცხოვრებისა და ბრძოლის პირობების თვალსაზრისით.

3. არა ცალკე განათლების სახალხო კომისარიატისაგან, არამედ როგორც მისი ნაწილი, ვინაიდან რუსეთის კომპარტია + განათლების სახალხო კომისარიატი = Σ პროლეტკულტისას

4. პროლეტკულტის მჭიდრო კავშირი და თანადაქვემდებარება განსახკომისადმი.

5. არავითარ...*

დაწერილია 1920 წლის 9 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა რკპ(ბ) ამოცანების შესახებ აღმოსავლეთის ხალხებით დასახლებულ ადგილებში [237]

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა მოხსენებები და ინფორმაციები, წაკითხული 13. X. 1920 ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს თათბირზე აღმოსავლეთის ხალხთა ბაქოს ყრილობის [238] 27 დელეგატთან, და დაადგინა:

1. გავაძლიეროთ ეროვნებათა სახალხო კომისარიატთან არსებული ეროვნებათა საბჭოს მუშაობა და დავნიშნოთ მოხსენება ამ მუშაობის შესახებ სახკომსაბჭოს უახლოეს სხდომაზე.

2. დავნიშნოთ იმ ბოროტმოქმედებათა და ძალადობათა უმკაცრესი გამოძიება, რაც ადგილობრივმა რუსმა მოსახლეობამ ჩაიდინა აღმოსავლეთის ეროვნებათა მიმართ (მეტადრე ყალმუხების, ბურიატ-მონღოლების და სხვ. მიმართ) და დამნაშავენი დავსაჯოთ.

3. უმაღლესი საბჭოთა ხელისუფლების სახელით გამოვცეთ მანიფესტი, რომელიც დაადასტურებდა რსფსრ ეროვნული პოლიტიკის საფუძვლებს და დააწესებდა უფრო ქმედით კონტროლს მის მთლიანად განხორციელებაზე.

---

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

4. საჭიროდ მიგვაჩნია, რომ აღმოსავლეთის იმ ეროვნებებისთვის, რომლებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ ავტონომიური დაწესებულებანი, პირველ რიგში ყალმუხებისა და ბურიატ-მონღოლებისათვის, განვახორციელოთ ავტონომია კონკრეტული პირობების შესაფერისი ფორმით და დავავალოთ ეს ეროვნებათა სახალხო კომისარიატს.

5. აგრარული საკითხის გამო საჭიროდ მიგვაჩნია ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებს დავუბრუნოთ ველიკოროსების მიერ წართმეული მიწები კაზაკი მოსახლეობის კულაკური ნაწილის ხარჯზე და დავავალოთ სახკომსაბჭოს დაუყოვნებლივ მოამზადოს სათანადო დადგენილებანი.

6. შევიმუშაოთ ინსტრუქცია ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლების ყველა იმ რწმუნებულისათვის, რომლებსაც მოსკოვიდან ვგზავნით აღმოსავლეთის ხალხებით დასახლებულ ოლქებში. ამ ინსტრუქციაში სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ რწმუნებულთა იმ მოვალეობის განმარტებაზე, რომ უნდა იმოქმედონ მხოლოდ ადგილობრივ ორგანოთა მეშვეობით, რომლებიც შედგებიან ადგილობრივი მშრომელი მოსახლეობის წარმომადგენლებისაგან, და თავიანთ მთავარ ამოცანად მიიჩნიონ ბრძოლა ადგილობრივი მოსახლეობის ბურჟუაზიული და ცრუკომუნისტური ჯგუფების წინააღმდეგ ნამდვილად კომუნისტური ჯგუფებისა და ელემენტების მხარდაჭერასთან ერთად.

დაწერილია 1920 წლის 13 ან
14 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს
ჟურნალში «ვოპროსი ისტორიი კპსს»
№ 2

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები პარტიის მორიგ ამოცანებზე

ვრანგელის წინააღმდეგ ომის დამთავრების შემდეგ (და 1921 პარტყრილობისათვის) მთავარი საკითხებია:

1) ბრძოლა საბჭოთა დაწესებულებებში ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ; ბრძოლის რეალური წარმატებების შემოწმება;

2) სოციალისტური საძირკვლის განმტკიცება: პროფკავშირთა 7 მილიონი წევრი. თანასწორობა დამკვრელობის ადგილზე.

პროფკავშირთა 7 მილიონი წევრის თვითმოქმედების განვითარება;

3) პროფკავშირის (სრულიად რუსეთის პროფსაბჭოს) კავშირი მშრომელ, არაექსპლოატატორულ გლეხობასთან, რომელიც სპეკულაციას არ ეწევა. ფორმები და ხერხები.

განმტკიცება საბჭოთა ხელისუფლების კავშირისა გლეხობასთან.

ტრაქტორები და კოლმეურნეობანი.

19. X. 1920.

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა ბალტიის ფლოტის აღდგენის საკითხზე [239]

დაევალოთ პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს და სპეციალურად პეტროგრადის თავდაცვის კომიტეტს თავმჯდომარის ამხ. ზინოვიევის სახით განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბალტიის ფლოტის აღდგენის სამუშაოთა დაჩქარებას და ყველა იმ დაწესებულების შეთანხმებას, რომელთაც შეუძლიათ უშველონ საქმეს, ამასთან აღმოფხვრან საქმის ყოველგვარი გაჭიანურება და დააწესონ რეალური ზედამხედველობა, რომ მუშაობა სწრაფად და წარმატებით მიმდინარეობდეს.

პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს პრეზიდიუმის და ამხ. რასკოლნიკოვის მოხსენება მათ მიერ მიღებული ზომებისა და

მათ მიერ დადგენილი მუშაობის წესის შესახებ დაინიშნოს ორი კვირის შემდეგ. მოხსენება ევალებათ რასკოლნიკოვს და სუდაკოვს (შეიძლება წერილობით).

დაწერილია 1920 წლის 23 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა არასრულად
1938 წლის 23 თებერვალს გაზეთ
«პრავდაში» № 53

მთლიანად დაიბეჭდა 1963 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 41

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა საბჭოთა მოსამსახურეების შრომითი და სასურსათო ულუფის საკითხზე [240]

დაევალოს კომისიას, რომელშიც შედიან ამხანაგები

ავანესოვი +
ნოგინი ჰოლცმანი
ხალატოვი
გინდინი
ფინი

ა) შეკრიბოს ცნობები, თუ როგორია სხვადასხვა უწყების საბჭოთა მოსამსახურეების ფაქტობრივი მომარაგება სურსათითა და ნივთებით (უკანონო მომარაგებაც) მუშებთან შედარებით;

ბ) განიხილოს ღონისძიებანი მეტი თანაბარზომიერების და წესრიგის დასამყარებლად ამ სფეროში;

გ) წარმოადგინოს კომისიის პირადი შემადგენლობის და დებულების პროექტი, რათა განვსაზღვროთ სხვადასხვა დაწესებულების შტატები და შევისწავლოთ საბჭოთა მოსამსახურეების შრომის ნორმები, მათი რაოდენობა, შრომის შედეგები და ა. შ.

დაწერილია 1920 წლის
23 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა [241]

1. ორ დღეში მაინც გამოვუშვათ ბეჭდური განცხადება საკონტროლო კომისიის [242] შესახებ, ძალიან საფუძვლიანი და საზეიმო. დაევალოთ ბუხარინს და ძერჟინსკის.

2. ვთხოვოთ ძერჟინსკის და პრეობრაჟენსკის სულ ცოტა დღეში 3 საათი იმუშაონ საკონტროლო კომისიაში, რათა მართლა ვაქციოთ იგი პარტიული და პროლეტარული სინდისის ნამდვილ ორგანოდ.

3. დაუყოვნებლივ შევუდგეთ «დისკუსიონი ლისტოკს», გაორმაგებული ყურადღება მივაქციოთ მას, სპეციალურად დავავალოთ ბუხარინს და პრეობრაჟენსკის.

4. განსაკუთრებულ დავალებად საკონტროლო კომისიას ვურჩევთ ყურადღებით და გაინდივიდუალებულად მოეპყრას, ხშირად პირდაპირ თავისებურად უმკურნალოს კიდეც ეგრეთ წოდებული ოპოზიციის წარმომადგენლებს, რომლებმაც ფსიქოლოგიური კრიზისი განიცადეს მათი საბჭოთა ან პარტიული კარიერის წარუმატებლობასთან დაკავშირებით. უნდა ვეცადოთ დავამშვიდოთ ისინი, ავუხსნათ საქმე ამხანაგურად, გამოვუძებნოთ (ისე, რომ არ ვუბრძანოთ) მათი ფსიქოლოგიური თავისებურების შესაფერი სამუშაო, ამ პუნქტში მივცეთ ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს რჩევა და მითითებანი და ა. შ.

დაწერილია 1920 წლის
26 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

1920 წლის ნოემბერი — 1923 წლის მარტი

სამეურნეო სახალხო კომისარიატებს შორის კავშირის ორგანიზაციის შესახებ

1

პროექტი სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა [243]

შევქმნათ წინასწარი თათბირი ყველა სამეურნეო სახალხო კომისარიატს შორის ორგანიზაციული კავშირის საკითხზე.

დაევალოს ყველა სამეურნეო სახალხო კომისარიატს, მეტადრე სურსათის სახალხო კომისარიატს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, გზათა სახალხო კომისარიატს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, წარმოუდგინოს ამ თათბირს ორშაბათისთვის, 1 ნოემბრისთვის, ცნობები ყველა არსებულ საუწყებათაშორისო ეკონომიურ კომისიაზე და მოკლედ მათი მუშაობის შედეგებზე.

დაწერილია 1920 წლის 26 ოქტომბერს

2

წინადადებათა მონახაზი

1) დავავალოთ იმავე სამეულს (ავანესოვი + ლარინი + + პოპოვი) [244] უფრო ზუსტად შეისწავლოს შემადგენლობის, სამუშაოს ხასიათის და სხვ. მიხედვით ყველა კომისია, მოახდინოს მათი კლასიფიკაცია, გააკეთოს დასკვნები საჭირო გაერთიანებისა და გამარტივების შესახებ და მოგვახსენოს შაბათს, 6 ნოემბერს.

2) დავავალოთ (1) ცენტრალურ საწარმოთა კომისიას
(2) გოელროს
(3) გამოყენების კომისიას
(4) და მიწსახკომს

მოამზადონ მოხსენება ჩვენი კომისიისათვის მათი მუშაობის ხასიათისა და შედეგების შესახებ მთელი რსფსრ **საერთო სამეურნეო გეგმის თვალსაზრისით** და **მომავალ სხდომაზე** (6 ნოემბერს) მოგვცენ ცნობები იმაზე, თუ

(ა) როდის შეიძლება მზად იყოს მოხსენება

(ბ) როგორია მათი მოხსენების ძირითადი თემები (ან როგორია ძირითადი შინაარსი) რსფსრ საერთო სამეურნეო გეგმის თვალსაზრისით (შესაძლებლობისამებრ, მოგვცენ მოხსენების წერილობითი თეზისები).

დაწერილია 1920 წლის 1 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა მთავარპოლიტგანის შესახებ [245]

ცაკის დადგენილების ზუსტი ფორმულირება ლაპარაკობს რსფსრ **«მთელი პოლიტიკურ-**საგანმანათლებლო მუშაობის გაერთიანებაზე» [246].

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო უდავოდ ცნობს ასეთი გაერთიანების საჭიროებას და უწინარეს ყოვლისა აწესებს, რომ ეს გაერთიანება შეიძლება გავიგოთ მხოლოდ იმ აზრით, რომ უნდა შევინარჩუნოთ, განვამტკიცოთ და გავაფართოოთ არა მარტო პარტორგანიზაციის დამოუკიდებლობა, არამედ მისი ხელმძღვანელი, წარმმართველი და მეთაური მდგომარეობა განსახკომის მუშაობის უკლებლივ ყველა სფეროს მიმართ.

ცაკის დადგენილების განხორციელება უნდა გავყოთ ორ ნაწილად: დაუყოვნებლივ წარვუდგინოთ სახკომსაბჭოს იმ დაწესებულებათა გაერთიანება, რომლებიც ზუსტადაა ჩამოთვლილი ცაკის დადგენილებაში.

შევიმუშაოთ ეს პროექტი ხვალვე, 29. X., ცენტრალური კომიტეტის 2 წევრის, ბუხარინის და პრეობრაჟენსკის, მონაწილეობით.

ამოცანის მეორე ნაწილს მივაკუთვნოთ ყველა სახალხო კომისარიატის საგანმანათლებლო ხასიათის პარალელური დაწესებულებების შემდგომი უკლებლივ გაერთიანება და განსაკუთრებით რკპ სააგიტაციო და პროპაგანდისტულ დაწესებულებათა და განსახკომის იმ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ორგანიზაციული ურთიერთდამოკიდებულების დეტალური შემუშავება, რომლებიც ექვემდებარება რკპ სააგიტაციო და პროპაგანდისტულ დაწესებულებათა ხელმძღვანელობას.

ამ მეორე ნაწილის შესახებ მოხსენების და ყველა სახალხო კომისარიატის პარალელური დაწესებულებების უკლებლივ ზუსტი სიის წარმოდგენა დაევალოთ ამხ. პრეობრაჟენსკის და ამხ. ბუხარინს.

დაწერილია 1920 წლის 28 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წერილი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებს

6. XI. 1920 წ.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებს

წინადადებას ვაყენებ მოვიფიქროთ და 8. XI. პლენუმზე გავატაროთ დადგენილება, რომ საბჭოების ყრილობაზე 20/XII. — 20 წ. დღის წესრიგის მე-2 პუნქტზე: «სახალხო მეურნეობის აღდგენის ძირითადი ამოცანები» მოხსენება დავავალოთ ბოელროს (რუსეთის ელექტრიფიკაციის სახელმწიფო კომისიის) თავმჯდომარეს გ. მ. კრჟიჟანოვსკის [247].

მივიღებთ სახალხო მეურნეობის აღდგენის ნამდვილ განხორციელებას საერთო გეგმის მიხედვით, ეს გეგმა კი უელექტრიფიკაციოდ სრულიად არაფერს არ წარმოადგენს, ხოლო «ძირითად ამოცანებზე» საუბარი ამ გეგმის გარეშე არასერიოზული იქნებოდა.

წინასწარ გასაცნობად თან ვურთავ:

1) ასლს კრჟიჟანოვსკის ბარათისას «ГОЭЛРО-ს სამუშაოთა მდგომარეობა».
2) ბროშურას: «ჩრდილოეთ რაიონის ელექტრიფიკაციის პროექტის საფუძვლები» 3 ეგზ. ტროცკის, რიკოვს, ბუხარინს — ხვალ შემიძლია ვუშოვო ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრებსაც, დაურეკონ კომუტატორს მე-3 სართული, თუ სურთ მიიღონ.
3) ელექტრიფიკაციის ზოგიერთ რუკას.
4) სტატიის «ვოლგის რაიონის ელექტრიფიკაციის გეგმა» კორექტურას. 1 ეგზემპლარი ამხ. ტროცკის ამხ. რიკოვისათვის და შემდეგ ცენტრალური კომიტეტის დანარჩენი წევრებისათვის გადასაცემად.
5) სტიუნკელის თეზისებს.
6) კრუგის თეზისებს.
7) ГОЭЛРО-ს მასალის (200-ზე მეტი ნაშრომის) საერთო აღწერილობას.

ამ საბუთების ჯამიდან ნათლად ჩანს, რომ სავსებით შეგვიძლია (თუ დროზე გავასწორებთ კრჟიჟანოვსკის მოხსენების თეზისებს და გეგმას და გავგზავნით მას ცენტრალური კომიტეტის სახელით) საბჭოების ყრილობაზე მივიღოთ სწორედ ის, რაც პარტიას და ქვეყანას სჭირდება: საქმიანი მოხსენება «სახალხო მეურნეობის აღდგენის ძირითადი ამოცანების შესახებ», რომელიც ამავე დროს ფართოდ და წარმტაცად დასახავს მუშაობის გეგმას.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაწერილი
პირის მიხედვით

სიტყვა, წარმოთქმული სოკოლნიკის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს კლენუმის და ქ. მოსკოვის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების და საწარმოთა გამგეობების წარმომადგენლების გაერთიანებულ სხდომაზე 1920 წლის 7 ნოემბერს

ამხ. ლენინმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ჩვენი გამარჯვება უმთავრესი გამარჯვებაა. საერთაშორისო ბურჟუაზია არ გვაცლიდა ხელი მოგვეკიდებინა მწარმოებლური შრომისათვის და 3 წლის მანძილზე მთელი ჩვენი ძალები მის წინააღმდეგ ბრძოლას მოვანდომეთ. ახლა შინაფრონტზე უნდა გავიმარჯვოთ. ბურჟუაზიას ჩვენი ყურადღება გადაჰქონდა ამ საამუშაოდან. ამხ. ლენინმა აღნიშნა საბჭოების მომავალი ყრილობის დღის წესრიგში მდგომი საკითხები, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის და სხვა საკითხები. ის ამბობდა, რომ უნდა შევძლოთ მთელი ენთუზიაზმი და დისციპლინა გადავიტანოთ მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის სამუშაოზე და ამ საქმეში მივაღწიოთ რიგითი მასის მონაწილეობას.

გარდა ამისა საჭიროა შევებრძოლოთ ბიუროკრატიზმს და ჩინოვნიკობას, საჭიროა აქაც გავიმარჯვოთ, რისთვისაც ერთი საშუალება გვაქვს — თვით მუშათა მასის შეგნებისა და თვითმოქმედების განვითარება. ამხ. ლენინმა სიტყვის დასასრულს სრული რწმენა გამოთქვა, რომ დავამარცხებთ სიცივეს და შიმშილობას.

მოკლე საგაზეთო ანგარიში

დაიბეჭდა 1920 წლის 9 ნოემბერს
«პრავდაში» № 251

მთლიანად პირველად დაიბეჭდა
1957 წელს ჟურნალში «ვოპროსი
ისტორიი კპსს» № 1

იბეჭდება
საოქმო ჩანაწერის
მანქანაზე გადაწერილი
ეგზემპლარის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა პროლეტკულტის შესახებ [248]

ცენტრალური კომიტეტი ადასტურებს პოლიტბიუროს რეზოლუციას, ძირითადად იწონებს ინსტრუქციის პროექტს, შემუშავებულს მის განსავითარებლად მთავარპოლიტგანის [249] მიერ, და პოლიტბიუროს ავალებს საბოლოო რედაქცია გაუკეთოს მას, რათა უფრო ზუსტად იყოს გამოხატული ის მთავარი აზრი, რომ მეცნიერული და პოლიტიკური განათლების სფეროში პროლეტკულტის მუშაობა ერწყმის განსახკომის და გუბერნიათა სახალხო განათლების განყოფილებების მუშაობას, მხატვრული (მუსიკალური, თეატრალური, სახვითი ხელოვნების, ლიტერატურული) განათლების სფეროში კი ავტონომიური რჩება და განსახკომის ორგანოთა ხელმძღვანელი როლი, უაღრესად გაცხრილული რკპ მიერ, დარჩება აშკარად ბურჟუაზიულ გადახრათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

დაწერილია 1920 წლის 10 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს
ჟურნალში «ვოპროსი ისტორიი კპსს»
№ 1

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა [250]

დაევალოს ზინოვიევს შეადგინოს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დაწვრილებითი დირექტივა კოპისა და სხვა ამხანაგებისათვის და გერმანიაში მომუშავე ამხანაგებისათვის.

დაწეროს, რომ მასობრივ მუშათა, მათ შორის ყველაზე რეაქციულ პროფკავშირებში შემავალ მუშათა, დახმარებას რუსეთისათვის შეკვეთების შესრულების საქმეში ვღებულობთ და დიდად ვაფასებთ.

ამასთან ამხილოს ლეგინები და კომპანია, რომელთაც სურთ ფული თვითონ ან თავიანთი პარტიისათვის მიისაკუთრონ, და ფული სულ არ მისცეს.

წარმოადგინოს ტექსტი პოლიტბიუროში.

დაწერილია 1920 წლის 10 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა კონცესიების საკითხზე [251]

დაევალოს კომისიას ამხ. ლენინის, ამხ. მილუტინის, ამხ. კურსკის, ამხ. ლეჟავას და ამხ. სერედას შემადგენლობით ერთი კვირის ვადაში * გადაამუშაოს და რედაქცია გაუკეთოს კონცესიებზე დაწერილი პროექტის იმ ნაწილს, რომელიც საზღვარგარეთ გამოსაქვეყნებლად გამოდგება, სახელდობრ, ჯერ ერთი, ზოგადი, ე. ი. პრინციპული გადაწყვეტილება კონცესიათა გაცემის შესახებ; მეორე, კონცესიათა საერთო ეკონომიური და იურიდიული პირობების სულ მოკლე გადმოცემა; მესამე, კონცესიების ობიექტთა ნუსხა, რომელსაც უნდა ახლდეს ყოველი ობიექტის სამეურნეო მნიშვნელობის საკმაოდ ნათელი გადმოცემა [252].

დაწერილია 1920 წლის 16 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა [253]

როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიური ამოცანა დავავალოთ სურსათის კომისარიატს აუ-

* ტექსტი: «ამხ. ლენინის... ერთი კვირის» დაწერილია ლ. ა. ფოტიევას ხელით. რ ე დ.

ცილებლად და აკურატულად მოამარაგოს ბაქო სურსათის ნორმის 100%-ით.

სასურსათო პოლიტიკა აზერბაიჯანში შეამსუბუქოს, სახელდობრ: გლეხებს აზერბაიჯანში, მუღანის ფარგლებს გარეთ, სულ არ გამოართვას პური, მუღანში კი გამოართვას არქიფრთხილად.

დაუყოვნებლივ დავავალოთ ფრუმკინს თვეში ორჯერ ზუსტად მოახსენოს ცენტრალურ კომიტეტს და თავდაცვის საბჭოს [254], თუ როგორ განუხრელად და მკაცრად სრულდება ეს დირექტივა სინამდვილეში.

საქართველოს, სომხეთის, თურქეთისა და სპარსეთის მიმართ მივიღოთ მაქსიმალურად შემრიგებლური პოლიტიკა, ე. ი. პოლიტიკა, ყველაზე მეტად მიმართული იქითკენ, რომ თავიდან ავიცილოთ ომი.

ამოცანად არ დავისახოთ არც საქართველოში ლაშქრობა, არც სომხეთში და არც სპარსეთში.

მთავარ ამოცანად მივიჩნიოთ აზერბაიჯანის დაცვა და მთელი კასპიის ზღვის მტკიცედ დაუფლება.

ამისათვის ყოველნაირად გავაძლიეროთ და დავაჩქაროთ სულ ცოტა 7 დივიზიის გადასროლა აზერბაიჯანში.

აზერბაიჯანში ყოველნაირად გავაძლიეროთ პროპაგანდა, აგიტაცია, ღარიბკომთა განვითარება [255] და საერთოდ საბჭოთა მშენებლობა, რისთვისაც დავავალოთ ამხ. სტალინს, რომ ორგბიუროს მეშვეობით, სადაც უნდა, გამოძებნოს მაქსიმალური რაოდენობის კომუნისტი მუსლიმანები აზერბაიჯანში სამუშაოდ.

დავავალოთ გზათა სახალხო კომისარიატს და გადაზიდვა-გადმოზიდვის [256] უმაღლეს საბჭოს გამოძებნონ საშუალება, რომ ყოველდღიურად ბაქოში გადაიყვანონ სულ ცოტა 8 ეშელონი ჯარი, ამასთან არ შეასუსტონ რუსეთის მომარაგება სურსათით.

დაწერილია 1920 წლის 27 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

საბჭოთა ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებასა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობისათვის წარსადგენი მოხსენების თეზისების შესახებ [257]

გადავაკეთოთ თეზისები, ყველა მისი პუნქტი საკმაოდ რადიკალურად იმ მხრივ, რომ ძალიან შემცირდეს უაღრესად გაურკვეველი, ბუნდოვანი და გაბერილი დაპირებანი

და მთელი სიმძიმის ცენტრი გადავიდეს კონკრეტულ, პრაქტიკულ, სულ მალე შესრულებისთვის ზუსტად ნავარაუდევ წინადადებებზე.

როგორც თეზისების დამატება, ერთი კვირის ვადაში შევიმუშაოთ საბჭოების VIII ყრილობის რეზოლუციის პროექტი.

დაწერილია 1920 წლის 27 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი პოლიტბიუროს დადგენილებისა

(იმის გამო, რომ ჩიჩერინმა წინადადება წამოაყენა კრასინის დროებით გამოწვევის შესახებ, ხოლო კრასინი საწინააღმდეგო აზრისაა)

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის იმ წინადადების გამო, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით დროებით გამოვიწვიოთ ინგლისიდან კრასინის მისია [258], პოლიტბიურო ერთბაშად არ წყვეტს საქმეს და სთხოვს კრასინს საჩქაროდ მოგვაწოდოს თავისი აზრი. საქმე იმას როდი ეხება, რომ ურთიერთობა გავწყვიტოთ ინგლისთან, საქმე ეხება მხოლოდ იმას, რომ ზეგავლენა მოვახდინოთ ინგლისზე, ვინაიდან ცხადია, რომ ჩერჩილი, კერზონი და კომპანია საქმეს აჭიანურებენ და გვატყუებენ, ასე რომ დროებით წა-

მოსვლა შესაძლოა ძალიან სასარგებლო გამოდგეს, თუ მოქმედების კომიტეტთა[259] აგიტაციას გავაძლიერებთ.

დაწერილია 1920 წლის 29 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა პირდაპირი გადასახადების შესახებ[260]

§ 1. 1) დაევალოს კომისიას ერთ კვირაში დამატებით განიხილოს საკითხი:

ჯერ ერთი, იმის შესახებ, შეგვიძლია თუ არა ადგილობრივი ფულადი გადასახადების გაუქმება, და შეკრიბოს ზუსტი მონაცემები როგორც პეტროგრადისა და მოსკოვის გუბერნიებში, ისე, შესაძლებლობისამებრ, სხვა გუბერნიებშიც;

მეორე, იმის შესახებ, რომ საჭიროა ერთდროულად მოვამზადოთ და გავატაროთ როგორც ფულადი გადასახადების გაუქმება, ისე სასურსათო გაწერის გარდაქმნა ნატურალურ გადასახადად.

§ 2. 2) დაევალოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მიმართოს თხოვნით სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმს, რომ ყველა ადგილობრივი აღმასკომისგან საბჭოების ყრილობისათვის შეკრიბოს ცნობები და მასალები § 1-ში აღნიშნულ ყველა საკითხზე.

§ 3. 3) დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს წარმოუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა § 1-ში აღნიშნულ საკითხებზე, კომისიის გადაწყვეტილებისდა მიხედვით.

დაწერილია 1920 წლის 30 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს ეკონომიური კომისიის დადგენილებისა [261]

რსფსრ საგარეო და საშინაო მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სახკომსაბჭოს საჭიროდ მიაჩნია შრომისა და თავდაცვის საბჭოს მუშაობის სიმძიმის ცენტრი დღევანდელზე მეტად გადაიტანოს სამეურნეო მშენებლობის ამოცანებზე და

შუამდგომლობს სრულიად რუსეთის ცაკის წინაშე დაიკანონოს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) 1. შეავსოს შრომისა და თავდაცვის საბჭო მიწათმოქმედების სახალხო კომისრით.

2. დაევალოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს განიხილოს თავისი სხდომების დაყოფა ჩვეულებრივ და სპეციალურ სამეურნეო სხდომებად *.

შეცვლილია

გ) 3. შრომისა და თავდაცვის საბჭოს გამგებლობა გააფართოოს, რისთვისაც გამგებლობაში შეიტანოს:

1) (ა) ეკონომიური სახალხო კომისარიატების მთელი მუშაობის გაერთიანება;

2) (ბ) რსფსრ ერთიანი სამეურნეო გეგმის დამტკიცება და განხორციელება;

3) (გ) ეკონომიური სახალხო კომისარიატების მუშაობის წარმართვა ამ გეგმის თანახმად, აგრეთვე საჭირო შემთხვევაში ამ გეგმის გამონაკლისთა დაწესება.

დაევალოს ქვეკომისიას უფრო დაწვრილებით დაამუშაოს თავისი პროექტის § 6 (მისი საბოლოო სახით) და შეადგინოს ზუსტი ცხრილი იმისა, თუ რა თანაფარდობა და კავშირი აქვს § 6-ით გათვალისწინებულ ყველა «სპეციალურ კომისიასთან» იმ არსებულ კომისიებს, რომლებიც აერთიანებენ ეკონომიური სახალხო კომისარიატების მუშაობას.

დაწერილია 1920 წლის 1 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* ხელნაწერში მე-2 პუნქტი ვ. ი. ლენინს გადაუხაზავს. რ ე დ.

გლეხთა მეურნეობების განმტკიცებისა და განვითარების ღონისძიებათა პროექტის შემუშავებისათვის

მითითებანი კომისიის წევრებს

1) გავზარდოთ გლეხთა დახმარების კომიტეტების წარმომადგენელთა რაოდენობა...

2) გლეხთა დახმარების კომიტეტების მონაწილეობის განსაზღვრისას საფუძვლად ავიღოთ **მიწსახკომის** § 6-ის ფორმულირება.

3) შევზღუდოთ თესვის კომიტეტების ის უფლებები, რომ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი და ასეთი დადგენილების გამოცემა განვაპირობოთ იმით, რომ წამოყენებული ღონისძიებანი წინასწარ განიხილონ გლეხთა დახმარების კომიტეტების თათბირებმა როგორც მაზრისა და გუბერნიის, ისე ოლქის მასშტაბით.

4) პუნქტი თესლის ჩამორთმევის შესახებ ამოვიღოთ და ადგილობრივ ორგანოებს ამოცანად დავუსახოთ შეიმუშაონ სათესლე ფონდის დაცვის ფორმა.

5) ამოვიღოთ VII განყოფილება — სასჯელებზე...

6) პროექტის მეტი ნაწილი გადავიტანოთ ინსტრუქციაში.

დაწერილია 1920 წლის 4 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა ინგლისთან სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ [262]

პოლიტბიურო იწონებს ამხ. ჩიჩერინის წინადადებას ინგლისთან სავაჭრო ხელშეკრულების საკითხზე და განსაკუთრებით აღნიშნავს:

რომ კრასინი, ცენტრალური კომიტეტის საგანგებო, მკაფიოდ გამოთქმული თანხმობის გარეშე, არავითარ შემთხვევაში არ ასცდეს ინგლისის 29. VI ნოტის ტექსტს და ზუსტ აზრს პროპაგანდისა და ვალების შესახებ [263];

ყველა წვრილმანი გადაიტანოს საზავო ხელშეკრულების საგანგებო მოლაპარაკებაზე.

დასაბუთების დროს დაიმოწმოს, რომ ვრანგელს ეხმარებოდნენ [264].

დაწერილია 1920 წლის 4 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

საგოლოო სიტყვა კონცესიების შესახებ მოხსენების გამო, წარმოთქმული რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1920 წლის 6 დეკემბერს

ამხანაგებო! ბარათი იმდენი მივიღე, რომ ყველას ვერ ვუპასუხებ. მეორე მხრივ, კამათში ბევრი მოსაზრება უკვე უარყვეს, ასე რომ მე ჯერ შევეხები ბროშურას «კონცესიების შესახებ» [265], დაწვრილებით მოგახსენებთ. ამხ. ლომოვის გვერდნახევრიანი წინასიტყვაობა საქმეს მეტად მოკლედ გადმოგვცემს. შემდეგ მოდის თვით 23 ნოემბრის დეკრეტი, რომელშიც გადმოცემულია აზრი მსოფლიო მეურნეობის ინტერესებზე. «რუსეთის მწარმოებლურ ძალთა და მასთან ერთად მთელი მსოფლიო მეურნეობის აღდგენის პროცესი შეიძლება ბევრად დავაჩქაროთ, თუ მოვიზიდავთ უცხოურ სახელმწიფო და კომუნალურ დაწესებულებებს, კერძო საწარმოებს, სააქციო საზოგადოებებს, სხვა სახელმწიფოთა კოოპერატივებს და მუშათა ორგანიზაციებს რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა მოპოვებისა და გადამუშავების საქმეში». რა თქმა უნდა, ამას მარტოოდენ პროპაგანდისტული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეკონომიურად უდავოა. მსოფლიო მეურნეობა უნდა აღვადგინოთ. კაპიტალიზმი ასე მოქმედებს, ჩვენც ამასვე ვთავაზობთ, მაგრამ ვიდრე მსოფლიო მეურნეობა კაპიტალისტურია,

გვინდოდა შემოგვეტყუებინა უცხოელები. ამიტომ დეკ-
რეტის ბოლოს ჩამოთვლილია პირობები:

პირველი პუნქტი: «კონცესიონერს გასამრჯელოდ მივცემთ ხელშეკრულებაში გაპირობებული პროდუქტის ნაწილს და უფლებას, რომ საზღვარგარეთ გაიტანოს იგი». უამისოდ ისინი არ დაგვთანხმდებიან. რა ნაწილს მივცემთ, არ გვითქვამს. ამ ნაწილის გამო ომი გაჩაღდება, ვივაჭრებთ, ვიომებთ და ყოველი ჩვენგანი ხეირის დათვლას დაიწყებს. აქ ამხანაგები ამბობდნენ, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთო, ეს სავსებით სწორია.

მეორე პუნქტი: «იმ შემთხვევაში, როცა დიდი ოდენობის განსაკუთრებულ ტექნიკურ სრულყოფას გამოიყენებს, კონცესიონერს მივცემთ სავაჭრო უპირატესობებს (მაგალითად, მანქანების დამზადებაში, მსხვილი შეკვეთების სპეციალური ხელშეკრულებები და ა. შ.)». რას ნიშნავს სავაჭრო უპირატესობა? ამა და ამ ფირმას მივცემთ პირველობის ხელშეკრულებას, სხვებს კი არა. და თუ ფირმა კონცესიას აიღებს, ჩვენ შეგვიძლია გამოვისყიდოთ ეს მისგან, შესაძლოა, მეტი ფასიც მივცეთ. მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ მოგვცენ მანქანები. მგონია, რომ ეს მოსაზრება საკმაოდ ნათელია და მაინც მხარს დავუჭერთ პროპაგანდის ელემენტებს.

მესამე პუნქტი: «კონცესიის ხასიათისა და პირობების მიხედვით გავცემთ ხანგრძლივი ვადის კონცესიებს, რათა უზრუნველვყოთ კონცესიონერის რისკის და კონცესიაში დაბანდებული ტექნიკური საშუალებების სრული ანაზღაურება». აქ ლაპარაკია კონცესიათა ვადის ხანგრძლივობაზე. ეს სრულიად გაურკვეველი ვადაა და სხვა პირობით კამჩატკას ვერც გავცემდით. სწორი არიან ამხანაგები ფედოტოვი და სკვორცოვი, რომ ეს განსაკუთრებული კონცესიაა, ჩვენ მას დიდი პოლიტიკური მოსაზრებით ვიძლევით. ამ კონცესიას ასეთი პირობით ვიძლევით — სიამოვნებით ვუთმობთ სხვას იმას, რაც თვითონ არ გვჭირდება და ეს დანაკარგი საზარალო არ იქნება ჩვენთვის არც ეკონომიურად, არც პოლიტიკურად.

მეოთხე პუნქტი: «რსფსრ მთავრობა გარანტიას იძლევა, რომ საწარმოში დაბანდებული ქონება კონცესიონერისა არ იქნება არც ნაციონალიზებული, არც კონფისკებული, არც რეკვიზიციაქმნილი». ხომ არ დაგავიწყდათ, რომ დაგვრჩა სასამართლო? ეს მოფიქრებული ფრაზაა, რომლითაც ძალიან დაინტერესებული ვიყავით. ჯერ გვინდოდა გვეთქვა ეს, მერმე ვიფიქრეთ, ავწონ-დავწონეთ და გადავწყვიტეთ, რომ აჯობებს, თუ გავჩუმდებით. დუმილი ოქროდ ღირსო, ნათქვამია. არ იქნება არც კონფისკაცია, არც რეკვიზიცია, სასამართლო კი იქნება, და სასამართლო ჩვენია, რამდენადაც ვიცი, ჩვენი სასამართლო შედგება საბჭოების მიერ არჩეული პირებისაგან. რაც შემეხება პირადად მე, საერთოდ არც ისე ცუდად ვარ განწყობილი იმის მიმართ, რომ ჩვენი სასამართლო უვარგისია. ასე რომ სწორედ მას გამოვიყენებთ.

მეხუთე პუნქტი: «კონცესიონერს უფლება მიენიჭება დაიქირაოს მუშა-მოსამსახურენი რსფსრ თავისი საწარმოებისათვის. ამასთან უნდა დაიცვას შრომის კანონთა კოდექსი ან სპეციალური ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება უზრუნველყოფს. რომ მუშა-მოსამსახურეთა მიმართ დაცული იქნება შრომის გარკვეული პირობები, რომლებიც მათს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას დაიფარავენ». აქ საფრთხილო არაფერია. და თუ მუშები მოაწყობენ გაფიცვას და ეს გაფიცვა გონივრული იქნება, ჩვენ შეგვეძლება ფარულად მხარი დავუჭიროთ გაფიცულთ. განა რით გვაშინებენ კაპიტალისტები? «ქუჩაში გაგყრით და იშიმშილებთო?» იქნებ საიდანმე გაფიცულთ ულუფაც მივაწოდოთ, ეს ხომ ჩვენ ხელთაა. ჩვენ შეგვიძლია მივცეთ და მივცემთ კიდეც მათ ულუფას. მაგრამ თუ გაფიცვა უგუნური იქნა, უმართებულო? მოვიწვევთ საბჭოზე და ისე განვწმენდთ, როგორც აბანოში. აქ წერია, რომ არის სპეციალური ხელშეკრულება, ეს ძალიან ფრთხილად არის გამოხატული. მაგრამ გამონაკლისის სახით მოგვიხდება ამის გამოყენება კამჩატკის მიმართ, რადგან არ ძალგვიძს შევქმნათ იქ რაიმე საბჭოთა ორგანო. ასე რომ აქ ვანდერლიპს უნდა ეთქვა, მომეცით სპეციალური ხელშეკრულებაო. მაგრამ ჩვენ

ჯერ თვითონაც არ გვიცდია ჩვენი კანონების გამოყენება კამჩატკაში.

მეექვსე პუნქტი: «რსფსრ მთავრობა გარანტიას აძლევს კონცესიონერს, რომ არ დაუშვებს საკონცესიო ხელშეკრულების პირობების ცალმხრივ შეცვლას მთავრობის რაიმე განკარგულებით ან დეკრეტით». ჩვენ არ ვკისრულობთ ცალმხრივად შევცვალოთ ხელშეკრულების პირობები, რადგან მაშინ არავინ არ მოვა. მაშასადამე, ვინმე შუამავალი გვჭირდება. მაგრამ ვინ? ნეიტრალური სახელმწიფოები ყველა კაპიტალისტურია. მუშათა ორგანიზაციები? შესაძლოა მოგვიხდეს მენშევიკური მუშათა ორგანიზაციების მოწვევა. დასავლეთ ევროპაში ასეთი ორგანიზაციები ჭარბობს. იქნებ მენშევიკებმა რიგრიგობით გადაწყვიტონ — წყვილი რიცხვია, ბოლშევიკებს მივემხრობით, კენტია — კაპიტალისტებსო. და თუ ვერ შევთანხმდებით, შეიძლება დავარღვიოთ ხელშეკრულება. აი ეს საფრთხე რჩება, მაგრამ თუ ხელშეკრულება ქონებრივია, ამას არავინ გვისაყვედურებს. საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების თვალსაზრისით ეს კერძო ხელშეკრულებაა და შეგიძლია დაარღვიო იგი, მაგრამ აანაზღაურე. თუ დაარღვიე, აანაზღაურე. საერთაშორისო სამართლის პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როცა ომის დროს შეცდომით სხვისი გემი ჩაუძირავთ. ეგონათ მტრის გემიაო და ნეიტრალური სახელმწიფოსი კი ყოფილა. როგორ მოვიქცეთ? აანაზღაურე. უკიდურეს შემთხვევაში აქაც იგივე მოგველის — სასყიდლით უნდა დავიხსნათ თავი. ომიდან გამოსვლა მაინც რჩება. ომი, რა თქმა უნდა, საბოლოო ანგარიშით მთავარი ძირეული არგუმენტია. ცხადია, ვიდრე ამქვეყნად კაპიტალისტები არსებობენ, მზად უნდა იყო ომისათვის, თუ სოციალისტური სახელმწიფო გაქვს. შემდეგ, აი ჩვენ უკვე ვღელავთ, კონცესია კი ჯერ არავის აუღია. როცა ზოგიერთი ამხანაგი ამბობს: «მორჩა, გათავდა, ახლა ყველა ჩვენ მოგვაწყდებაო», მე ვიმეორებ, იქნებ საერთოდ არც არავინ მოინდომოს კონცესიის აღება-მეთქი.

პირველი განყოფილება: «ხე-ტყის კონცესიები დასავლეთ ციმბირში». ჩრდილოეთის საზღვაო გზა ღიაა, გაზიდვა შეგვიძლია, მაგრამ ფლოტი არა გვაქვს. ამხანაგი გვაუწყებს, რომ ჩამოსულან წარმომადგენლები, რომელთაც სურთ მიიღონ 6000 დესეტინა, ჭადრაკულად განლაგებული. ჩრდილოეთის ბროშურა ამბობს, თუ ავიღებთ ზედმეტად დარჩენილ პეტროგრადის ელექტროსადგურებს, ჩვენ შეგვიძლია მივცეთ ისინი ჩრდილოეთის რაიონებიდან ხე-ტყის გასაზიდად და შეიძლება ისეთი წარმოება განვავითაროთ, რომ წელიწადში მივიღებთ ვალუტას 500 ათასს ოქროთი. ხოლო მთელი ელექტრიფიკაცია სახელმწიფო კომისიის ვარაუდით მილიარდი და ერთი მეათედი დაგვიჯდება. შევძლებთ თუ არა ამის გაკეთებას, ეს საკითხავია. მაგრამ ამ ამოცანას კონცესიები გვიადვილებენ. თუ კარგად ცხოვრობ, კონცესიებს არავის შესთავაზებ, მაგრამ როცა შიმშილობ, როცა ყოველნაირად ცდილობ საქმე მოაგვარო, რომ ხალხმა დაისვენოს, სხვანაირად იმსჯელებ.

მესამე განყოფილება: «სამთამადნო კონცესიები ციმბირში». ციმბირში სპილენძის თვალუწვდენი სიმდიდრეებია. სპილენძს ძალიან დიდი ფასი აქვს მსოფლიო მეურნეობაში და ერთ-ერთი მთავარი ლითონია ელექტრიფიკაციისას. ჩვენ ვთავაზობთ კონცესიას და არ ვიცით, ვინ აიღებს — ამერიკა თუ გერმანელები. ამერიკა იფიქრებს, ჩვენ თუ არ ავიღეთ, გერმანელები აიღებენო.

როცა ელექტრიფიკაციას დავამთავრებთ, ეკონომიურად ერთიასად უფრო ძლიერი ვიქნებით. მაშინ სხვა ენაზე ვისაუბრებთ. მაშინ გამოსყიდვაზე ვილაპარაკებთ. მათ იციან, რომ სოციალისტური საზოგადოება მარტო წითელ არმიას როდი ქმნის სწრაფად, სოციალისტურ საზოგადოებას ზოგ სხვა რამეშიც შეუძლია უფრო სწრაფად სვლა.

შემდეგ, ცალკეული კონცესიები. სამი მილიონი დესეტინა რუსეთის მარტო ევროპულ ნაწილში. ამათგან დონის ჯარის ყოფილ ოლქში 800 000 დესეტინაზე მეტია. საბჭოთა მეურნეობები და პირუტყვი ჯერ არ არის. მდინარე ურალზე მთე-

ლი სტანიცებია გაჩანაგებული, უკაცრიელია შესანიშნავი ყა-
მირი მიწები. მოწეული ხორბლის სამი მეოთხედიც რომ გავ-
ცეთ, ერთი მეოთხედი ხომ დაგვრჩება? უნდა გავაძლიეროთ
ჩვენი ტრანსპორტი და შევძლებთ დავიყოლიოთ, რომ ტრაქ-
ტორები უფრო იაფად მოგვაწოდონ.

თუ ვერ შევძელით 3 მილიონი დესეტინა დიდებული მი-
წის გატეხა, მიწისა, რომელსაც 100-100 ფუთი ხორბლის მო-
ცემა შეუძლია, რაღა მეურნეობა გვექნება? რა პოლიტიკა
იქნება ეს?

იტალიელები ამით დაინტერესებული არიან, იტალიაში კი
დღეს არა, ხვალ რევოლუცია მოხდება. იტალიაში რევოლუ-
ციის საწინააღმდეგო მთავარი საბუთია «თავს ვერ ვირჩენთ,
კაპიტალისტური სახელმწიფოები პურს არ მოგვცემენო». სო-
ციალისტური სახელმწიფო კი ამბობს: «3 მილიონი დესეტინა
მიწა მაქვს, მაქვს ნავთობი და ბენზინი». უნდა გესმოდეს —
შეიძლება სხვადასხვა თვალსაზრისით გასწიო აგიტაცია, რომ
კაპიტალიზმი მძორია, რომ იგი უნდა მოახრჩო. ჩვენ ბევრი
რამ გვინახავს. ევროპელიც ხომ ისეთსავე პირობებშია, რო-
გორშიც რუსი, როცა ის რევოლუციაში გადაეშვა აუტანელი
ომის გამო. მათ ომი დაამთავრეს, ისინი სხვა ხალხების ძარ-
ცვით ცხოვრობენ. მით უფრო მეტი წონა აქვს ამ მოსაზრე-
ბას. მათ არ ძალუძთ მეურნეობის აღდგენა, ჩვენ კი ვთავა-
ზობთ ახლავე შევუდგეთ აღდგენას. აქ შეერთებულია პოლი-
ტიკური მოსაზრებაც და სოციალისტური აგიტაციაც, ოღონდ
სხვა ფორმით. უნდა შეგვეძლოს აგიტაციის გაწევა, თორემ
ოხრად დაგვრჩება სახალხო მეურნეობის გეგმები. ჩვენ კი
მარტო აგიტატორები კი არა, ჩვენ სოციალისტური რეს-
პუბლიკა ვართ, მსოფლიოს ყველა კაპიტალისტური სახელ-
მწიფოს წინააღმდეგ აღმდგარი. თქვენ არ იცით მეურნე-
ობის გაძღოლა, ჩვენ ვიცით. აქ არის შედარების შესაძ-
ლებლობა.

პირველად დაიბეჭდა 1963 წელს
ჟურნალში
«ვოპროსი ისტორიი კპსს» № 4

იბეჭდება
სტენოგრამის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა განსახკომის რეორგანიზაციის შესახებ [266]

1. შეიქმნას განსახკომში სახალხო კომისრის თანაშემწის თანამდებობა. მთელი ადმინისტრირება უკლებლივ მიენდო სახალხო კომისრის თანაშემწეს.

3. საჭიროდ ჩაითვალოს განსახკომის საერთო რეორგანიზაცია, ოღონდ ეს რეორგანიზაცია მოვამზადოთ უფრო საფუძვლიანად, კერძოდ, განვიხილოთ იგი რამდენიმე თათბირზე საბჭოების ყრილობასთან დაკავშირებით. ამ თათბირებზევე განვიხილოთ და ზუსტად დავადგინოთ ფუნქციების განაწილება განსახკომის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის.

4. ძირითადად საჭიროდ ჩაითვალოს მე-2 საფეხურის სკოლების (ან ამ სკოლების უფროსი კლასების) შერწყმა პროფესიულ-ტექნიკურ განათლებასთან 2 აუცილებელი პირობით: 1) პროფესიულ-ტექნიკურ სკოლებში საერთო განათლების და კომუნიზმის საგნების სავალდებულო გაფართოება; 2) პოლიტექნიკურ განათლებაზე გადასვლის დაუყოვნებლივ და ნამდვილად უზრუნველყოფა, რისთვისაც გამოვიყენოთ ყოველგვარი ელექტროსადგური და ყოველგვარი შესაფერისი ქარხანა.

ამ გარდაქმნის განხორციელება გადავდოთ საერთო რეორგანიზაციამდე.

5. სახალხო კომისრის თანაშემწედ დაინიშნოს ამხ. ლიტკენსი და დაევალოს მას სულ ცოტა $1/2$ სამუშაო დრო დაუთმოს მთავარპოლიტგანს, ვიდრე მთავარპოლიტგანს სავსებით საკმარისად მოვამარაგებდეთ მუშაკებით.

6. ორგბიუროს დაევალოს: დააჩქაროს მთავარპოლიტგანის მომარაგება მუშაკებით და აუცილებლად სავსებით უზრუნველყოს იგი ამ მხრივ [267].

დაწერილია 1920 წლის 8 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

საწარმოო პროპაგანდის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების პროექტისათვის

1) შეიქმნას საწარმოო პროპაგანდის სრულიად რუსეთის ბიურო სრულიად რუსეთის პროფსაბჭოსთან, ამასთან

გავაძლიეროთ განსახკომის წარმომადგენლობა და კი არ გადავიტანოთ განსახკომის აპარატი, არამედ თანადავუქვემდებაროთ მთელი განსახკომის აპარატი საწარმოო პროპაგანდის სრულიად რუსეთის ბიუროს [268].

დაწერილია 1920 წლის 8 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დამატება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების პროექტისა სპეციალური საწარმოო ორგანოს შექმნის შესახებ [269]

1) მივცეთ დირექტივა «იზვესტიას» და «პრავდას» გარდაიქმნან უფრო საწარმოო, ვიდრე პოლიტიკურ ორგანოებად და იგივე გააკეთებინონ რსფსრ ყველა გაზეთს;

2) გარდავქმნათ «ბედნოტა» საწარმოო გაზეთად, რომელიც გამოაქვეყნებს სავალდებულო კონკრეტულ მასალას, და ამოცანად დავუსახოთ მუშებთან გლეხების და მრეწველობასთან მიწათმოქმედების დაახლოება.

დაწერილია 1920 წლის 20 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობა

1920 წლის 22—29 დეკემბერი[270]

1

საგოლოო სიტყვა კონცესიების შესახებ მოხსენების გამო, წარმოთქმული საბჭოების VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციაზე 21 დეკემბერს

ამხანაგებო! ბევრი ბარათი მაქვს და მოკლედ ვუპასუხებ იმ ბარათებს, რომლებისთვისაც არ უპასუხიათ. მაგრამ ჯერ წაგიკითხავთ კიდევ ერთ საინფორმაციო ხასიათის ბარათს, რომელიც მეც დამახასიათებლად მეჩვენება:

ნიჟნინოვგოროდის გუბერნიის არზამასის მაზრის ყრილობაზე ერთმა უპარტიო გლეხმა კონცესიების შესახებ შემდეგი განაცხადა, რასაც გაუწყებთ როგორც დამახასიათებელ ნიშანს. «ამხანაგებო! გგზავნით სრულიად რუსეთის ყრილობაზე და გიცხადებთ, რომ ჩვენ, გლეხები, მზადა ვართ კიდევ სამ წელიწადს ვიშიმშილოთ, სიცივეს გავუძლოთ, ბეგარა გადავიხადოთ, ოღონდ დედარუსეთს კონცესიებად ნუ გაჰყიდითო».

ვფიქრობ, ძალიან სასარგებლო იქნება, თუ ამ ბარათს ყრილობაზე გასაკეთებელ ოფიციალურ მოხსენებაში * მოვიყვანთ და უნდა მოვიყვანოთ კიდეც, ვინაიდან იგი საკითხის იმ მხარეს გვაჩვენებს, რომელსაც კაპიტალისტები არც კი გულისხმობენ და რომლის შესახებ სრულიად არაფერი გვაქვს დასამალი, რომ აქ არის საფრთხე, რომ ამ საფრთხის მიმართ ძალიან ფხიზლად უნდა ვიყოთ. ასეთი შეხსენებები რომ მუშათა და გლეხთა ყურადღებას აძლიერებს, ამაზე მე უკვე ვილაპარაკე, და თუ გაუნათლებელ გლეხთა წრიდან მოდის ასეთი შეხსენებები, ეს მეტისმეტად საგულისხმოა, ვინაიდან ხაზგასმით აღნიშნავს ამოცანას, რომელსაც ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ყრილობაზე თქვენ უნდა

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 31, გვ. 462 — 463. რ ე დ.

განიხილოთ სახალხო კომისართა საბჭოში შემოტანილი კანონპროექტები გლეხთა მეურნეობისადმი დახმარების შესახებ. უნდა შეგვეძლოს უპარტიო გლეხების დარწმუნება, ჩვენს მხარეზე გადმობირება და მათი თვითმოქმედების მიღწევა. ასეთი ბარათი ცხადყოფს, რომ აქ არის უდიდესი წარმატების მოპოვების სრული შესაძლებლობა და ამ წარმატებას მოვიპოვებთ კიდევაც.

ახლა ასეთი ბარათი:

ხომ არ აამხედრებენ კონცესიონერი კაპიტალისტები პროლეტარულ მუშათა მასებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იმით, რომ ჩვენ, რაკი ეკონომიურ კრიზისს და ნგრევას განვიცდით, ძალა არ შეგვწევს ისე დავაკმაყოფილოთ მუშა, როგორც დააკმაყოფილებენ კაპიტალისტები?

მე უკვე მოგახსენეთ, რომ მოწინავე ქვეყნებში და მეტწილ მოწინავე ქვეყნებში მუშებს ჩვენზე უკეთ ამარაგებენ, და მაინც ყველა მოწინავე ქვეყანაში მყოფი რუსი მუშა მთელი ძალებით იბრაფვის საბჭოთა რუსეთისკენ, თუმცა ძალიან კარგად ხედავს იმ გაჭირვებას, რომელიც თავს ატყდებათ მუშებს.

ხომ არ გამოჩნდებიან ინგლისელ და ამერიკელ კაპიტალისტებთან ერთად რუსი რიაბუშინსკები და დანარჩენი ხროვა?

ეს იმ ბარათს უნდა დავუკავშიროთ, რომლითაც გვეკითხებიან, კონცესიონერები ექსტერიტორიული ხომ არ იქნებიანო. არა, რა თქმა უნდა, არაფრის გულისთვის მათ ექსტერიტორიულობას არ მივანიჭებთ. ექსტერიტორიულობა მარტოოდენ ელჩებს ენიჭებათ და ისიც გარკვეული პირობით. თუ რიაბუშინსკის ჰგონია, სათანადო ორგანოებს დავემალებიო, ვფიქრობ, რომ ცდება.

შემდეგ, ამხანაგებო, გაცნობებთ, რომ ამხანაგი ლეჟავა გვწერს: «ვანდერლიპმა ათი მსხვილი სინდიკატის მანდატი წარმოადგინა. ეს შეამოწმეს ჩვენმა სპეციალურმა ორგანოებმა. ეს ლონდონიდან უკვე დაადასტურა კრასინმა, რომელმაც იქ შეამოწმა აგრეთვე ვანდერლიპის რწმუნებებით აღმჭურველი ჯგუფების სერიოზულობაო».

ამხანაგებს, რომლებიც გვეკითხებიან, ხელშეკრულება რატომ არ გამოაქვეყნეთო, ვუმეორებ, რომ ხელშეკრულების გამოქვეყნება ხელს არ გვაძლევს, რადგან ერთმანეთში მოჩხუბარ კაპიტალისტებს ჰგონიათ, რომ იქ, ხელშეკრულებაში, ბევრი რამ უარესია. ამას ცხადყოფს პრესაში ატეხილი ხმაური. ეგონოთ, სრულებით არა გვაქვს იმედი, რომ გულს გავუტეხთ მათ. ამ ხელშეკრულების გაცნობის მოსურნეებს კი სრული შესაძლებლობა აქვთ ამისა. ამას გარდა, მე აღვნიშნე, რომ ხელშეკრულება ძალაში შევა მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტი თანამდებობის აღსრულებას შეუდგება. ჩვენ კი პარტიის ყრილობა თებერვალში გვექნება[271]. მაშასადამე, პარტიას სრული შესაძლებლობა აქვს ყოველივე, რაც საჭიროა, გააკონტროლოს და გადაწყვიტოს.

გთხოვთ განგვიმარტოთ, თუ შეიძლება, რა ფასად გავეცით კამჩატკა (ან რა ფასად ვვარაუდობთ მის გადაცემას) და ექნება თუ არა რსფს რესპუბლიკას პოლიტიკურის გარდა ეკონომიური სარგებლობა და რა სახის?

კამჩატკა არ გაგვიცია და მარტამდე ვერც გავცემთ. ეკონომიური სარგებლობა ის იქნება, რომ ხელშეკრულების პროექტის მიხედვით სამთამადნო სიმდიდრიდან მათ მიერ მოპოვებული პროდუქტების ნაწილი ვალდებული არიან ჩვენ გადმოგვცენ.

ხომ არ ვაღიარებთ კონცესიების გაცემით, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები დიდხანს იარსებებენ, და ხომ არ მიგვაჩნია მცდარად ჩვენი დებულება, რომ მსოფლიო რევოლუცია მალე უნდა მოხდეს?

ამაზე ბუხარინმა გიპასუხათ. საქმე ის კი არ არის, თითქოს ვაღიარებდეთ, **რომ** ისინი დიდხანს იარსებებენ. საქმე ის არის, რომ გიგანტური ძალები უფსკრულისაკენ უბიძგებენ მათ. ჩვენი არსებობა და კრიტიკული მდგომარეობიდან და შიმშილობიდან გამოსვლა უფრო მძლავრი გიგანტური ძალა და რევოლუციის ფაქტორია, ვიდრე ის — მსოფლიო მეურნეობის თვალსაზრისით — გროშები, რომლებსაც ჩვენგან მიიღებენ. კიდევ ას და ათას მანქანას და ორთქლმავალს ჩვენთვის უზარ**მაზარი** მნიშვნელობა ენიჭება, **რ**ადგან შეიძლება, რომ ტრანს-

პორტის რემონტი, რომელსაც ტროცკის გამოთვლით ოთხ-ნახევარი წელი უნდა და რომელიც მან სამ-ნახევარი წლით შეამცირა, კიდევ ერთი წლით შევამციროთ. ხოლო ნგრევა და შიმშილობა რომ ერთი წლით შევამციროთ — ამას ჩვენთვის გიგანტური მნიშვნელობა ენიჭება.

რა ვქნათ, თუ იაპონია, იმისათვის რომ საშუალება არ მოგვცეს გადავცეთ კამჩატკა ამერიკას, აიღებს და თავისი ჯარებით დაიკავებს, თავისად გამოაცხადებს მას?

იაპონია ფაქტობრივად ახლაც ფლობს კამჩატკას და ამის გაკეთება რომ შეეძლოს, გააკეთებდა კიდეც, მაგრამ არ შეუძლია, რადგან ამერიკის ეშინია.

გვითხარით, სად გამოძებნის კაპიტალისტი სამუშაო ძალას? თან ჩამოიყვანს? საეჭვოა. თუ რუს მუშებს მიიზიდავს, გარდა იმისა, რომ რუსი მუშები კაპიტალისტის ხელთ აღმოჩნდებიან, ეს გამოიწვევს ჩვენი შრომის ბაზრის მოშლას, რაც, თავის მხრივ, დაარღვევს ერთიან სამეურნეო გეგმას.

არ მესმის, რა დაარღვევს ჩვენს სამეურნეო გეგმას, თუ ჩვენი მუშები სამუშაოდ იქ წავლენ. ჩვენი პროფკავშირების, ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების, ჩვენი პარტიის გარეშე ისინი ვერსად ვერ წავლენ. მოწინავე კაპიტალისტურ საწარმოთა მუშები ჩვენს მუშებს ჩვენთვის ასწავლიან წარმოების საუკეთესო ხერხებს. შრომის კაპიტალისტურ პირობებს რომ დაექვემდებარებიან, ჩვენი მუშები დაუქვემდებარებენ მას ჩვენს შრომის კანონთა კოდექსს ან სპეციალურ ხელშეკრულებებს, რომლებიც მათ ზღუდავენ, ამასთან სულაც არ შეეშინდებათ წავიდნენ იქიდან, თუ ცუდი პირობები ექნებათ. თუ პირობები არახელსაყრელი იქნა, მუშები წავლენ. ზოგი ამხანაგი შიშობს, პირობები კარგი იქნებაო, ზოგი შიშობს — ცუდი იქნებაო. ჩვენც ჩვენი მუშებივით და გლეხებივით შევხედავთ და საჭირო ზომებს დავაწესებთ.

როდესაც კონცესიებს გავცემთ და კონცესიონერები მუშაობას დაიწყებენ, შეიძლება თუ არა, რომ რკპ მუშაობა საკონცესიო ხელშეკრულების ტერიტორიაზე მომუშავეთა შორის კომუნისტური უჯრედების მოსაწყობად აშკარა იყოს, თუ მარტო არალეგალური იქნება?

აქ არასწორი წარმოდგენა აქვთ კონცესიებზე და კონცესიონერებზე. კონცესიონერი ხელისუფლება როდია. არავითარ ტერიტორიას ის არ მიიღებს იმას გარდა, რაც განკუთვნილი იქნება სამეურნეო ექსპლოატაციისათვის. ხელისუფლების ყველა ორგანო, ყველა სასამართლო მარტოოდენ რსფს რესპუბლიკის ხელთ იქნება.

თუ ამერიკაში უმუშევრობა რევოლუციას აჩქარებს, კონცესიებით ჩვენ ხომ საშუალებას ვაძლევთ ამერიკას გადაიტანოს კრიზისი, ე. ი. შეაფერხოს რევოლუცია.

ეს ის მოსაზრებაა, რომელიც ამხ. ბუხარინმა დაარღვია.

თუ საერთაშორისო ბურჟუაზია შეიტყობს საბჭოთა ხელისუფლების ტაქტიკას კონცესიების საკითხში, როგორი იქნება საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა? საზიანო ხომ არ იქნება ეს ჩვენთვის?

პირიქით, კონცესიებზე ევროპაში ყველაფერი იცოდნენ და იქ ატეხილი ხმაური ცხადყოფს, რომ ბურჟუაზია შეშფოთებულია. შეინიშნება, რომ იგი შიშობს, არ დავაგვიანოო. ყველა კაპიტალისტმა, რომლებსაც არ სურთ რისკი გასწიონ რუსეთთან ურთიერთობით, უკვე იგრძნეს, რომ ჩამორჩნენ, უფრო ფხიანებს კი წარმატება აქვთ. ჩვენც ვსარგებლობთ კაპიტალისტთა წინააღმდეგობებით.

ხომ არა გვაქვს მოსკოვის და საერთოდ ცენტრის მსხვილი ინდუსტრიული საწარმოების კონცესიით გაცემის გეგმები ან პროექტები? მაგალითად, ხმებია მოსკოვის, იაროსლავლის და ლიუბერცის სამ ასეთ კონცესიაზე.

ამ კონცესიებზე არაფერი ვიცი. ლიუბერცში არის ამერიკული ქარხანა, რომლის ნაციონალიზაცია არ მომხდარა და მუდამ არანაციონალიზებული რჩებოდა, და არავითარი კონცესია იქ არ არის. ერთადერთი ცენტრის კონცესია, რომელზეც სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში მომუშავე ამხანაგები ლაპარაკობდნენ როგორც შესაძლებელზე, — ეს გახლავთ კონცესია გერმანელი ქიმიკოსებისათვის სამღებრო საწარმოთა განსავითარებლად და მათთვის ერთ-ერთი ფაბრიკის გადაცემა.

სახკომსაბჭოში ყველამ თქვა, ეს შესაძლებელიაო, მაგრამ ლაპარაკს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ მიუღია.

გერმანია იმდენად წინ უსწრებს ჩვენს ქვეყანას, რომ იმპერიალისტური ომის დროს მოწინავე ქვეყნებიც კი გასაჭირში ჩავარდნენ, როცა გერმანიის ქიმიურმა მრეწველობამ პროდუქტების მიწოდება შეუწყვიტა. ჩვენ კი, ქიმიური მრეწველობა რომ განვავითაროთ, მზად უნდა ვიყოთ გერმანელ ქიმიკოსებს მეტი გადავუხადოთ. სწავლის საუკეთესო საშუალებაა ერთ-ერთი ფაბრიკა კონცესიით მივცეთ გერმანელებს. ვერავითარი სკოლა, ლექცია ისე ვერ გვიშველის, როგორც პრაქტიკული მუშაობა ფაბრიკაში, სადაც შეიძლება მუშას ნახევარ წელიწადში ასწავლო და შემდეგ გვერდზე მეორე ასეთივე ფაბრიკა ააშენებინო. იმის შიში, რომ ერთი ფაბრიკის გერმანელები, მათს საერთაშორისო მდგომარეობაში მყოფნი, რამეს გვიზამენ, სასაცილოა. სახკომსაბჭოში უთანხმოება არა გვქონია, პრინციპულად ეს შესაძლებელია. სამწუხაროდ, ეს საკითხი პრაქტიკულად არ გადაგვიწყვეტია. უნდა აღვნიშნო, რომ კონცესიებზე ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ ჯერჯერობით ვერც ერთი კონცესიის გაცემა ვერ მოვახერხეთ. ჩვენ დიდ მიღწევად ჩავთვლიდით, თუნდაც ერთი რომ გაგვეცა, თქვენ რომ დაგენახათ კონცესიის კონკრეტული პირობები.

შემდეგ.

რომელ ქვეყნებს შეიძლება მივცეთ კონცესიები? პოლონეთს მივცეთ?

ვფიქრობთ, რომ შეიძლება ყველას მივცეთ, მათ შორის პოლონეთსაც.

ხომ არ შეიძლება, რომ კაპიტალისტებმა კონცესიები გამოიყენონ კრიზისების თავიდან ასაცილებლად და ამრიგად გადასწიონ სოციალური რევოლუცია?

კაპიტალისტებს რომ შეეძლოთ თავიდან აიცილონ კრიზისები, მაშინ კაპიტალიზმი მარადიული იქნებოდა. ისინი უთუოდ ბრმა პაიკები არიან საერთო მექანიზმისა — ეს ცხადყო იმპერიალისტურმა ომმა. ყოველი თვე ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმის კრიზისი ძლიერდება, რღვევა მთელ მსოფლიოში სულ

უფრო შორს მიდის და მხოლოდ რუსეთში დაიწყო მტკიცე და სერიოზული გაუმჯობესების აღმავლობა.

მუშათა შორის მტრობის ჩამოგდების მიზნით კონცესიონერებს შეუძლიათ უკეთესი პირობები შეუქმნან თავიანთ მუშებს.

ამით ჩვენებს შორის მტრობას ვერ გააძლიერებ, ბევრად უფრო ძლიერი გავხდით.

მოეწყობა თუ არა პროფესიული უჯრედები კონცესიონერთა ტერიტორიაზე?

კონცესიონერები მიიღებენ სამეურნეო ექსპლოატაციას, ხელისუფლება და კანონები მხოლოდ საბჭოური იქნება.

თუ შეიძლება აღნიშნოთ ის პირობები, რომლებიც უზრუნველგვყოფენ სახელმწიფოებრიობის საბჭოთა სისტემის დამახინჯების და კაპიტალისტური წყობილების დანერგვისაგან.

ეს პირობები რსფსრ კანონებია. თუ კონტრაგენტი მათ დაარღვევს, ჩვენ უფლება გვაქვს დავარღვიოთ ხელშეკრულება.

რაში მდგომარეობს კამჩატკის კონცესიების შესახებ ამერიკელ იმპერიალისტებთან დასადები ხელშეკრულების წინასწარი პროექტი?

მე გითხარით, რომ კონცესიის ვადის ხანგრძლივობა 50—60 წელია. ჩვენ ვიღებთ პროდუქტების ნაწილს, ისინი იღებენ უფლებას მოაწყონ სამხედრო და საზღვაო ბაზა იმ უბეში, რომლის ახლოსაც არის ნავთობის წყარო.

თქვენ ამბობთ, რომ კონცესიების გაცემას ისეთი დაჩაგრული ქვეყნების კაპიტალისტებისათვის, როგორიც გერმანიაა, სხვა ქვეყნებთან შედარებით მეტი მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ რა აზრისა ხართ იმის შესახებ, რომ დაჩაგრული ქვეყნების კაპიტალისტები კონცესიების მიღებით აამაღლებენ თავიანთი ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას, რაც გადასწევს რევოლუციას ამ ქვეყანაში?

საერთაშორისო მდგომარეობა, რევოლუციური აზრით, ტრიალებს იმ ბრძოლის ირგვლივ, რომელსაც საბჭოთა რუსეთი დანარჩენი, კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ეწევა.

განვამტკიცოთ საბჭოთა რუსეთი და უძლეველი გავხადოთ. იგი — ეს არის მთავარი, ეს დაკავშირებულია დაჩაგრული და კოლონიური ქვეყნების ბრძოლასთან.

რა როლს ასრულებს თურქესტანის ბამბა კონცესიებში?

ჯერჯერობით თურქესტანის ბამბის გაცემაზე ლაპარაკი არ ყოფილა, ეს საკითხი არ განგვიხილავს.

გავცემთ თუ არა სამრეწველო საწარმოთა აღდგენის კონცესიებს და გადავცემთ თუ არა კონცესიის წესით რკინიგზებს?

ეს გამორიცხულია. რკინიგზა ერთიანი მთლიანი საწარმოა.

ხომ არ წამოჭრილა სასაკლაოთა კონცესიის საკითხი?

არ გამიგია.

კონცესიათა საწინააღმდეგო პროტესტებში ადგილებზე სავსებით აშკარად იჩენს თავს არა ჯანსაღი განწყობილება, არამედ სოფლის წელმაგარი წვრილბურჟუაზიული ფენის და ქალაქის მეშჩანების პატრიოტული გრძნობები.

იმ კაცის პატრიოტიზმი, რომელიც ამჯობინებს სამ წელიწადს იშიმშილოს, მაგრამ რუსეთი უცხოელებს არ მისცეს, ნამდვილი პატრიოტიზმია, ურომლისოდაც სამ წელიწადს ვერ გავძლებდით. თუ არა ეს პატრიოტიზმი, ვერ დავიცავდით საბჭოთა რესპუბლიკას, ვერ მოვსპობდით კერძო საკუთრებას და ვერ მივაღწევდით იმას, რომ ახლა სასურსათო გაწერით 300 მილიონ ფუთს მივიღებთ. ეს საუკეთესო რევოლუციური პატრიოტიზმია. მაგრამ თითქოს კულაკი იმ აზრისა იყოს, რომ სამ წელიწადს იშიმშილებს და არ შემოუშვებს უცხოელ კაპიტალისტებს, რომელთაგანაც კულაკი რაღაცას შეიძენს, — ეს სწორი არაა. საქმე კულაკს კი არ ეხება, საშუალო უპარტიო გლეხს.

ხომ არ უნდა გვეშინოდეს, რომ ამერიკისა და იაპონიის მოსალოდნელ ომთან დაკავშირებით შესაძლოა იაპონია სერიოზულად თავს დაესხას ჩვენს საბჭოთა რუსეთს? რა ვქნათ მაშინ? იაპონიისაგან თავის დასაცავად იმპერიალისტურ ამერიკას დავუკავშირდეთ და ვისარგებლოთ მისი დახმარებით როგორც რეალური ძალით?

რა თქმა უნდა. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ სოციალისტური რესპუბლიკის განსამტკიცებლად ერთ იმპერიალიზმთან კავშირი მეორის წინააღმდეგ პრინციპულად დაუშვებელ რაიმეს არ წარმოადგენს. იაპონიის თავდასხმა საბჭოთა რუსეთზე ახლა ბევრად უფრო გაძნელებულია, ვიდრე ერთი წლის წინათ იყო.

აგვიხსენით ანტანტის პოლიტიკა თურქეთის მიმართ და ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება.

რა თქმა უნდა, ოფიციალურ მოხსენებაში ამ საკითხზე აშკარად ლაპარაკი უხერხულია, იმიტომ რომ აქ ურთიერთობა მეტისმეტად დახლართულია. აქ ყველაფერი დამოკიდებულია ურთიერთობათა რთულ თამაშზე ბურჟუაზიულ საქართველოში, რომელიც კატასტროფის წინაშე დგას. დარწმუნებული ვარ, ამით დაინტერესებული ამხანაგები ინტერესით მოისმენენ ამხ. მეშჩერიაკოვის, «პრავდის» რედაქტორის, მოხსენებას, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს მათ. ამხ. მეშჩერიაკოვი დაბრუნდა საქართველოდან, სადაც მან რამდენიმე კვირა მაინც დაყო, თუ რამდენიმე თვე არა, და უაღრესად საინტერესო მასალა შეკრიბა მენშევიკთა სამეფოზე. საქართველო კატასტროფის წინაშე დგას. თურქეთის შეტევა ჩვენ წინააღმდეგ იყო ნავარაუდევი. ანტანტა ჩვენ გვითხრიდა ორმოს, თვითონ კი ჩავარდა შიგ, რადგან ჩვენ საბჭოთა სომხეთი მივიღეთ.

თურქეთში ზემოთ დგანან კადეტები, ოქტიაბრისტები, ნაციონალისტები, რომლებიც მზად არიან ანტანტას მიგვყიდონ. მაგრამ ეს მეტად ძნელი გასაკეთებელია, იმიტომ რომ თურქეთის ხალხი აღშფოთებულია ანტანტის მხრივ გააფთრებული ჩაგვრით, და საბჭოთა რუსეთის მიმართ სიმპათიები მით უფრო იზრდება, რაც უფრო მეტად ვეხმარებით დამოუკიდებელი აზერბაიჯანის რესპუბლიკას გააატაროს სწორი განთავისუფლება მუსლიმანი გლეხებისა, რომლებმაც მემამულეები განდევნეს, მაგრამ მიწის აღება ეშინიათ, და რომლებსაც

რამდენიმე ხანში გაუვლით ეს შიში; ისინი მიწას რომ აიღებენ, თურქი მემამულე მერმე დიდხანს ვერ იბოგინებს.

პირადად ჩვენ კავკასიის მიმართ უაღრესად მშვიდობისმოყვარული ვიყავით და ვართ და, კავკასიელ ამხანაგთა საყურადღებოდ ვამბობ, არ დავუშვებთ ოდნავ გაუფრთხილებლობასაც კი, რომელსაც შეეძლება ჩვენი ომში ჩათრევა. ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა აქამდე ისეთი კარგი იყო, რომ ანტანტა ნერვიულობს, გადამჭრელ ზომებს იღებს ჩვენ წინააღმდეგ, მაგრამ თავის წინააღმდეგ კი გამოსდის.

რა მოელის საქართველოს?

ეს მუსლიმანთა ალაჰმაც კი არ იცის, მაგრამ თუ მტკიცედ ვიქნებით, სრულიად უხიფათოდ რაიმეს შევიძენთ.

გვეკითხებიან, კამჩატკის გარდა კონცესიების სხვა ობიექტები ხომ არ ყოფილაო. არავითარი სხვა კონცესია ვანდერლიპს არ მიუღია.

რაც შეეხება მასალის დარიგებას. არ შეიძლება მისი დარიგება, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სტამბებია დაკავებული, მეორეც, იმიტომ, რომ საშუალება არ მივცეთ მიიღონ ეს მასალა საზღვარგარეთ, სადაც სურთ ჩაგვიშალონ წამოწყება. ჩვენ კი ჯერ არც ერთი კონცესია არ მიგვიღია, არც ერთი ხელშეკრულება არ დაგვიდვია. ჯერ ხელშეკრულება უნდა მივიღოთ და შემდეგ ვილაპარაკოთ საფრთხეზე. ჩვენ კი ჯერ არაფერი გვაქვს და ნახევრად ლეგალურად ვმოქმედებთ.

როგორ იქნება კონცესიების საქმე, აგრეთვე კონცესიონერთა მიერ გაწეული სამუშაოების და ნაგებობების საქმე იმ შემთხვევაში, თუ: ა) ისინი დაარღვევენ რსფს რესპუბლიკის კანონებს, ბ) წარმოიშობა ომი იმ სახელმწიფოსთან, რომლის წარმომადგენელიც არის კონცესიონერი, და გ) სხვა სახელმწიფოებთან?

ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში კონცესიონერებს გადავცემთ სასამართლოს რსფს რესპუბლიკის კანონების მიხედვით. ომის შემთხვევაში საკონცესიო ხელშეკრულება დაირღვევა, ხოლო ქონება სამხედრო წესით გადაეცემა რსფს რესპუბლიკას.

საზღვარგარეთ გაქცეული რუსეთის ბურჟუაზია თავისი კაპიტალით შეძლებს მონაწილეობას კონცესიათა ექსპლოატაციაში. ხომ არ მოხდება ისე, რომ უცხოური კაპიტალის ფირმით მოვლენ ძველი მეპატრონეები?

თუ უცხოური კაპიტალის ფირმით ძველი მეპატრონე ევროპული რუსეთის ჩრდილოეთის ტყეებში გაივლის, ეს საშიში არ არის. ძველი მეპატრონეები არ გვაკლია მოსკოვის ცენტრში. ასე რომ იმ პირობების შიში, როცა ყველა ჩამოსული უცხოელის სია გვექნება, ათასჯერ უფრო ნაკლებ გვმართებს, ვიდრე იმ მეპატრონეებისა, რომლებიც ჩვენს საწარმოებში მოქმედებენ და რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერაც არ აღგვრიცხავს.

თქვენ აღნიშნეთ და ხაზგასმითაც კონცესიების პოლიტიკური მნიშვნელობა. ეს გასაგებია. მაგრამ პროვინციას ყველაზე მეტად შემდეგი აწუხებს: გვექნება კონცესიები, გვექნება სავაჭრო ურთიერთობა. რა ხიფათს, რა საფრთხეს უქადის ეს რესპუბლიკას საბჭოთა წყობილების შიგნიდან გახრწნის და აფეთქების თვალსაზრისით (იქნებ სპეკულაციის გაძლიერებას და ა. შ.) და როგორ ავიცილოთ საფრთხე?

ეს უკვე მოგახსენეთ. ჩვენ უდიდეს საფრთხეს გვიქადდა სპეკულაცია «სუხარევკის» სახით, რომლის წინააღმდეგაც ჩვენში მუდამ ბრძოლა იყო გაჩაღებული. რა თქმა უნდა, გვესმის, რომ სუხარევკის ლიკვიდაციის შემდეგ სპეკულაცია მაინც დაგვრჩა და დაგვრჩა ყველგან, სადაც წვრილი მეპატრონეა, ასეთი წვრილი მეპატრონე კი ათეულ მილიონობით გვყავს. აი ეს არის ნამდვილი საფრთხე და არა მსხვილი კაპიტალი, რომელსაც ჩვენში ყოველი მხრიდან სპეციალური ზედამხედველობა ექნება. ამასთანავე ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ გვექნება ხელშეკრულება, რომლის დარღვევა ჩვენ ყოველთვის შეგვეძლება, თანაც ყველაზე დიდი საფრთხე პირობის ჯარიმით გამოიხატება.

გვითხარით, როგორ არის მეფის ვალების საქმე, დაგვთანხმდება კი ანტანტა რაიმე გარიგებას ვალების გადაუხდელად?

ინგლისი ახლა უკვე გვთანხმდება არ მოგვთხოვოს ვალი, რადგან სავაჭრო შეთანხმების პროექტი შევთავაზეთ. ამ პრო-

ექტის მიხედვით იწყება ახლა სავაჭრო გარიგებანი და ამ პროექტის მიხედვით ვალდებული არა ვართ ვალი გავისტუმროთ. ვამბობ, ინგლისი გვთანხმდება-მეთქი, მაგრამ საფრანგეთს არ სურს დაგვთანხმდეს. და აი ვეუბნებით საფრანგეთს, რომ პრინციპულად არ ვამბობთ უარს. გადასახდელთა ზუსტი ოდენობის შესახებ ვილაპარაკებთ კონფერენციაზე, სადაც ვაპირებთ ვუთხრათ, რომ ისინიც პასუხისმგებელი არიან მთელი იმ ზარალისათვის, რაც თავიანთი ჩარევით მოგვაყენეს. ამ საკითხზე სპეციალური კომისია მუშაობს, თავდაპირველი ანგარიში თანხას განსაზღვრავს 10 მილიარდი ოქროს მანეთის ოდენობით.

პირველად დაიბეჭდა 1963 წელს ჟურნალ «კომუნისტში» № 6

იბეჭდება სტენოგრამის **მიხედვით**

2

სიტყვა, წარმოთქმული 22 დეკემბერს საბჭოების VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციაზე საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენების განხილვასთან დაკავშირებით

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ დავიწყო ორატორთაგან გაკეთებული რამდენიმე შენიშვნით და ბარათებით, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე არსებითი ბარათებით. ამხ. კორზინოვის კრიტიკიდან გამოვყავი აზრი ინჟინრებსა და აგრონომებზე. საჭიროა, რომ გავაძლიეროთ მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსული ინჟინრებისა და აგრონომების მომზადება. ეს უეჭველია და საბჭოთა ხელისუფლება საამისო ზომებს იღებს, მაგრამ ძალიან სწრაფი წარმატების იმედი არ უნდა გვქონდეს, და თუ აქ ვადა ისე გრძელი არ იქნება, როგორც ელექტრიფიკაციისათვის, ყოველ შემთხვევაში ამას რამდენიმე წელი მოუნდება; და არასწორია კორზინოვის წინადადება, სადაც ნათქვამია, რომ ყოველგვარი საქმე უნდა გადავდოთ საკუთარი

აგრონომების ყოლამდეო. ჩვენ ახლა უნდა გამოვძებნოთ, ავიყვანოთ საუკეთესო აგრონომები, მოვიწვიოთ ჩვენს კრებებზე, მოვთხოვოთ ანგარიში და ამრიგად გამოვყოთ აღმსრულებელნი და განათლებულნი სხვებისაგან.

ამხ. კორზინოვი ოპოზიციაში ოპოზიციის გულისთვის მოხვდა, როცა ამბობდა, კონცესიების დეკრეტი უფრო ადრე უნდა გამოგვექვეყნებინაო. რა ვქნათ, თუ სახკომსაბჭოში და შრომისა და თავდაცვის საბჭოში ისეთი სამუშაო გვაქვს, რომ მყისვე უნდა ვუპასუხოთ, და მდგომარეობა ისეთი გვაქვს, რომ თუ ცენტრალურ კომიტეტსა და სახკომსაბჭოში უთანხმოება არ არის, გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ ვიღებთ. თუ კონცესიების დეკრეტი არასწორია[272], მისი გაუქმება უნდა შემოეთავაზებინა, იმიტომ რომ ყველაზე მთავარი — ვანდერლიპთან დადებული კონცესია ფორმალურ ხელშეკრულებად მომავალი წლის მარტამდე ვერ გადაიქცევა.

როცა ამ დეკრეტს ვაქვეყნებდით, ჩვენი მთავარი ამოცანა იყო და ახლაც არის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის დაჩქარება და კონცესიებზე კაპიტალისტთა მიტყუება. ამ პოლიტიკურ მხარეს უშუალოდ შევეხე ფრაქციაზე გაკეთებულ მოხსენებაში. შემოპასუხება არ ყოფილა და ამიტომ გამიკვირდა, როცა ამხ. იგნატოვმა მხოლოდ იმიტომ, რომ უეჭველად მოეცა რაიმე ოპოზიციური, თქვა, ვანდერლიპთან კარგად ვერ გამოგვივიდა, არ შეგვიმოწმებია, ვინ არის იგიო. მე წავიკითხე საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილის განცხადება, ყველა ცნობა იმ ჯგუფზე, რომლის წარმომადგენელიც ვანდერლიპია, შევკრიბეთ, საზღვარგარეთ დაგვიდასტურეს და უცილობელი აღმოჩნდაო. თვითონ ვანდერლიპმა აღნიშნა, ვიდრე რესპუბლიკელთა პარტიის კანდიდატი მართვა-გამგეობას არ შეუდგება, ვიდრე ახალი პრეზიდენტი არ იქნება, ხელშეკრულების დადება არ შეიძლება, რადგან ეს ხელშეკრულება ამერიკის მთავრობას ვერ ასცდებაო.

ეს გახლავთ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ამერიკის მთავრობა მიიღებს სამხედრო ბაზას. მაშასადამე, ეს

ვაშინგტონ ვანდერლიპი, ვის შესახებაც რიაზანოვმა ისეთ წვრილმანებს მიმართა, რომლებიც საქმეს სრულიად არ ეხება, თუმცა ეს მას ხშირად ემართება ხოლმე, ეს ვანდერლიპი არავისაც რომ არ წარმოადგენდეს და უბრალოდ თაღლითი იყოს, ე. ი. ხელშეკრულების პროექტი მიმართული იყოს იმისათვის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მიიღოს იაპონიის საწინააღმდეგო სამხედრო ბაზა, აქ მოტყუებული არავითარ შემთხვევაში არ ვიქნებით, რადგან ამერიკაში შეერთებული შტატების პრეზიდენტი იქნება ნამდვილად რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი. ვანდერლიპის შემდეგ შესაძლებლობა გვექნება საბოლოოდ ვიმსჯელოთ ამ სავაჭრო ხელშეკრულებაზე. იგნატოვის მთელი კრიტიკა ნაცარტუტად იქცევა, იგი უბრალოდ უყურადღებოდ ეპყრობა ჩვენს თათბირზე ნათქვამს.

ამხ. კორზინოვმა თქვა, პოლონეთის შესახებ ადრე უნდა გაგეფრთხილებინეთო. აქ უაღრესად მძიმე მდგომარეობაა და იყო მომენტი, როცა ჩვენი ჯარები წინ მიიწევდნენ და როცა ცენტრალურ კომიტეტს საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ, მიუხედავად გართულებული მდგომარეობისა, შეტევაზე გადასვლით შეგვიძლია ბევრ რაიმეს მივაღწიოთო.

ისეთ დროს, როცა კერზონის 11 ივლისის ნოტის [273] შემდეგ რამდენიმე დღეში პასუხი უნდა მიგვეცა, სად იყო საფუძველი პარტიული კრებების მოსაწვევად და ამ საკითხის დასაყენებლად? გარდა ამისა ყოველმა ამხანაგმა იცის, რომ, თუ შეგვეძლებოდა ხელსაყრელ მომენტში შეტევითს ომზე გადასვლა, უარს არასოდეს არ ვიტყოდით. და არსად, არასოდეს არავითარი ოპოზიცია ამ მხრივ არ გვექნებოდა. გვინახავს სწორედ საწინააღმდეგო ოპოზიცია, როცა ბრალად გვდებდნენ არასაკმაოდ აქტიურ საგარეო პოლიტიკას. აქ რომ შეცდომები გვქონდა, ეს უეჭველია, მაგრამ ასევე უეჭველია, რომ ახლა ამ შეცდომებზე ლაპარაკი არაფერს არ მოგვცემს. სად ვცალია იმისათვის, რომ წარსული საქმიანობა გავარჩიოთ. როცა დრო გავა, როცა საბუთებს და მასალებს შევკრებთ, მაშინ იმასაც შევძლებთ, რომ მთლიანად ავწონ-დავწონოთ ჩვენი

შეცდომა. ამიტომ ამხანაგ კორზინოვის გამოსვლაში ოპოზიციის გაშოძებნის სურვილის მეტს გადაჭრით ვერაფერს ვხე დავ. სხვა დროს, როცა ხელსაყრელ პირობებში ვიქნებით, სწორედ ასევე გამოვიყენებთ ჩვენს წარმატებებს. და ვიდრე პარტია არ აგვიკრძალავს, ყოველთვის შეტევაზე გადავალთ. ვფიქრობ, რომ პარტია, პარტიის არც ერთი წევრი არც ერთ კრებაზე საწინააღმდეგო პოლიტიკას არ შემოგვთავაზებს.

ამხანაგ გუსევის შენიშვნის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს შეცდომად მიმაჩნია პოლემიკის შეტანა ოფიციალურ მოხსენებაში და ამიტომ უკვე წამოვაყენე წინადადება მოხსენების ოფიციალური ტექსტიდან ამოიღონ ეს ნაწილი, ისევე როგორც შეიტანონ საბჭოთა სომხეთისადმი მისალმება, რაც მიუტევებელი დაუდევრობის გამო დამავიწყდა ჩამერთო მოხსენებაში.

აქ ტყუილად ამბობს ამხ. გუსევი, თითქოს თავს ვიწონებდი ჩემი თავმდაბლობით, — საქმე ეს კი არ იყო, საქმე ის იყო, რომ ეკონომიური სახალხო კომისარიატების უფრო სერიოზულ პრაქტიკულ დაახლოებასა და ერთიანი სამეურნეო გეგმის განხორციელებაზე გადასვლის პირობებში უნდა გვეშინოდეს პროჟექტიორობისა.

ამხ. გუსევი ამბობს, რომ მთლიანად არ გამიკრიტიკებია მისი ბროშურა[274]. მაგრამ ეს ცენტრალური პუნქტია: ამხ. ტროცკიმ და ამხ. რიკოვმა უწყებებს თავი დაანებონ და შევიდნენ თავდაცვის საბჭოში, რომელიც საუწყებო არ არის, და თავის ახალ აპარატს შექმნისო. არ მესმის, როგორ შეიძლება საბჭოთა ხელისუფლების სამი წლის არსებობის შემდეგ დააყენო ასეთი საკითხი და მხარი დაუჭირო მას აქ. სიტყვები ვერ მომიძებნია გაოცების გამოსახატავად. ეს სრული არასერიოზულობაა, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსპო უწყება ერთ ადგილას და შექმნა იგი სხვაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ არ გქონდეს წარმოდგენილი, როგორია ჩვენი აპარატი. არ ვიცი, შეძლო თუ არა ამხ. პოპოვმა დაებეჭდა ჩემთვის მოცემული ფურცელი. იქ არის ამონაწერი 1920 წლის აღწერის შედეგებიდან. თქვენ იცით, რომ ეს აღწერა დამაკმაყოფილებლად

ჩატარდა და უამრავ უაღრესად ძვირფას მასალას მოგვცემს მოსკოვში მყოფი საბჭოთა მოსამსახურეების შესახებ. ერთი ასეთი აღწერა 1919 წელს ჩვენ უკვე ჩავატარეთ, ახლა უფრო სრული აღწერა გვაქვს. იქ სულ ცოტა 230 ათასი საბჭოთა მოსამსახურეა: უმნიშვნელოვანეს კომისარიატებში — 30 ათასი, უფრო მეტიც; მოსკოვის საბჭოში — 70 ათასი[275]. წარმოიდგინეთ ეს ციფრები, ჩაუფიქრდით და უთხარით თქვენს თავს: რა გამოვა, რომ აიღოთ და გავლენიანი, ყველაზე ავტორიტეტული ამხანაგი, რომელსაც თავის უწყებაში მუშაობის გარკვეული სკოლა შეუქმნია, ამ უწყებას გამოაკლოთ და რამდენიმე უწყების გასაერთიანებლად დააყენოთ, — ქაოსის გარდა გამოვა რაიმე? განა ასე უნდა გავიგოთ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა. ეს საქმისადმი სრულიად არასერიოზული დამოკიდებულებაა, ეს რეალობის სრული წარმოუდგენლობაა. მესმის ბიუროკრატიზმის სერიოზულობა, მაგრამ პარტიის პროგრამაში მისი განადგურება არ დაგვისახავს ეს ყრილობის საკითხი არ არის, ეს არის მთელი ეპოქის საკითხი, და თქვენ გაქვთ ამ საკითხისადმი მიძღვნილი სპეციალური მოხსენება.

და განა შეიძლება ივარაუდო, რომ კალმის ერთი მოსმით ამა თუ იმ უმნიშვნელოვანესი უწყებიდან შრომისა და თავდაცვის საბჭოში გადაიყვან საქმის საუკეთესოდ დამყენებელ ამხანაგებს და მიიღებ ახალ უწყებას, რომელსაც გაურკვეველი უფლებამოსილება ექნება, უწყებას, რომელიც ეკონომიურად არ გააერთიანებს. როცა შრომისა და თავდაცვის საბჭოში პრაქტიკულად დაისვა კითხვა, რა არის ეკონომიური და რა არაეკონომიური, არა მარტო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ამბობდა, ეკონომიური სახალხო კომისარიატი ვარო, არამედ ფინანსთა სახალხო კომისარიატიც. და განა ეკონომიურ მუშაობას გაუძღვები ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის გარეშე? რა თქმა უნდა, როცა სამეურნეო გარდაქმნის საქმეში დიდი წარმატებების მიღწევას შევძლებთ, მაშინ ეკონომიური სახალხო კომისარიატების დამოკიდებულება არაეკონომიურისადმი, შესაძლოა, სხვაგვარი

გახდეს მას შემდეგ, რაც უდიდეს წარმატებებს მოვიპოვებთ ეკონომიკის საფუძვლების შეცვლის საქმეში. ახლა ასეთი არაფერი გვაქვს. ამიტომ ასე მჩატედ მოეკიდო უწყებრიობას, როგორც ამას გუსევი შვრება, რომელმაც ბროშურის სხვა ნაწილებში, სხვათა შორის, წინა ბროშურაში[276] გამოთქმული შესანიშნავი აზრები გაიმეორა, — ასე მჩატედ მოეკიდო, სრულიად არასწორია.

აღარაფერს ვიტყვი რიაზანოვის გამოსვლაზე, რადგან იგი საკმაოდ უარყო კამენევმა. მარტოოდენ იმას შეგახსენებთ, რომ რიაზანოვმაც და მისი ცუდი მაგალითით გატაცებულმა გუსევმაც იწყეს ლაპარაკი, სადღაც ყური მოვკარითო, შესაძლოა, ჩემთანაც, თითქოს მე სახკომსაბჭოში მდომოდა — ერთმა თქვა, წყალში გადავარდნა, ხოლო მეორემ — ტყვიის მიხლა. თუ ამხანაგები გაჯავრებით ნათქვამ ყოველ ჩემს სიტყვას გამოედევნებიან, რომელიც დაღლილ-დაქანცულს დამცდება ხოლმე, და მაიძულებენ ათასი კაცის წინაშე ამაზე ლაპარაკს, ვფიქრობ, საკუთარი გამოსვლის სერიოზულობას ერთხელ და სამუდამოდ ყოველგვარ ნდობას დაუკარგავენ. (ტაში).

ადვილი შესაძლებელია, რომ სახკომსაბჭოში უამრავი წვრილმანი საქმე გვქონდეს, ეს მართალია. თუ მაქსიმოვსკიმ ეს გაბერა თავისი ოპოზიციურობის გამოსავლინებლად და საგანგებოდ ხაზგასმით აღნიშნა, მე გეტყვით, რომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს სახელმწიფო დაწესებულება, სადაც წვრილმანი საქმეები არ იყოს. თქვენ არ დაუმატეთ ის, რომ ცენტრალური კომიტეტი პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს წყვეტდა. ვიდრე სახელმწიფოს განაგებს მმართველი პარტია, ვიდრე ამ პარტიამ უნდა გადაჭრას სხვადასხვა დანიშვნის ყველა საკითხი, თქვენ არ დაუშვებთ, რომ უაღრესად მნიშვნელოვანი სახელმწიფო დანიშვნების საკითხები გადაჭრას არახელმძღვანელმა პარტიამ. ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს, რომელ პოლიტიკას ვინ გაატარებს. განა ცენტრალურ კომიტეტში არ არის წვრილმანი საქმეები? რამდენიც გნებავთ. განა არ ყოფილა ისეთი დღის წესრიგი, რომლის დამთავრების შემდეგაც, რამდენიმე ათეულ

საკითხს რომ მოუღებ ბოლოს, წყალში გადავვარდებიო კი არა, რაიმე უარესსაც იტყვი. ვიმეორებ, ასეთ ხათქვამზე ჩემი დაჭერა სულ იოლია, მაგრამ აქ გამოხვიდე, ამის გულისთვის ოპოზიცია ძექმხა და წვრილმახი საქმეების წინააღმდეგ ილაპარაკო — ეს არასერიოზულობაა.

ჩვენ რომ გვეცადა იმ ორგანოში, რომელიც საერთოდ მარტოოდენ პრიხციპებს აწესებს, გამოგვეყო ორგანო, რომელიც მცირე პრაქტიკულ, წვრილმან საქმეებს გადაჭრიდა, საქმეს გავაფუჭებდით. იმიტომ რომ განზოგადებას ფაქტებისაგან მოვწყვეტდით, ხოლო ფაქტებისაგან განზოგადების მოწყვეტა მეოცხებეობა და არასერიოზული საქმე იქნებოდა. არ შეიძლება ცენტრალურ კომიტეტში დავყოთ საკითხები პრინციპულ და წვრილმან საკითხებად, იმიტომ რომ ყოველ წვრილმანში შესაძლოა პრინციპული მხარე გამოვლინდეს.

საქმე ივანე სიდორის ძე ან სიდორ კარპეს ძე როდია. საქმე ის როდია, რომ ივანეს ადგილას კარპე დასვა ან პირიქით. თუ მათ ეს არ მოისურვეს? თუ ეს ივანე და კარპე ორივენი სახალხო კომისრებია? მაშინ რა ვქნათ? ცენტრალურ კომიტეტში არის სამდივნო, არის ორგბიურო, არის პოლიტბიურო, დასასრულ, ცენტრალური კომიტეტის პლენუმი შეიკრიბება და ძალიან ხშირად ცენტრალური კომიტეტის პლენუმამდეც აღწევს წვრილმანზე წვრილმანი და მოსაწყენზე მოსაწყენი საკითხი, ისეთი, რომ რამდენიმე საათი იწვალებ ამ საკითხზე და წყალში გადავარდნა მოგინდება. მაგრამ საკითხების დაყოფა წვრილმან და პრინციპულ საკითხებად იმას ნიშნავს, რომ დემოკრატიულ ცენტრალიზმს ყოველგვარი საფუძველი გამოუთხარო. ამავე დროს არ შეიძლება იმის თქმა, რომ ცენტრალური კომიტეტი სხვა დაწესებულებებს წვრილმანი საქმეებით ტვირთავდეს. ჯერჯერობით კიდევ ვერ შევძელით. კონსტიტუციის შეცვლა და ავტონომიურად ვმუშაობდით. და თუ ზოგიერთ საკითხზე შეთანხმებას ვაღწევდით, ხოლო ზოგიერთზე კამათი აგვიტყდებოდა ხოლმე, ეს სავსებით გარდაუვალია ისეთ აპარატში, როგორიც ჩვენა გვყავს. თუ

ცენტრალური კომიტეტი გახდება კიდეც კონტროლის ორგანო და თუ სამუშაოს საერთო განაწილებისას ამხ. კალინინს აგრეთვე წილად ხვდება აგიტაციის მეთვალყურეობა, შემოწმება და საერთოდ საჭირო იქნება თუნდაც მისი პირადი შთაბეჭდილება მგზავრობისა ან მუშაობისაგან, ამის გამო, ეჭვგარეშეა, არ უნდა ვკიჟინებდეთ, ყველა საკითხი სახკომსაბჭოდან ცენტრალურ კომიტეტში ან პირიქით გადაგვაქვსო. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი ჩოჩქოლი და არევ-დარევა შევქმნათ, საქმის არსი კი ამისაგან არ შეიცვლება. უმაღლესი ორგანოები კონტროლისა და იმისათვისაა საჭირო, რომ ზოგიერთი საკითხი უარვყოთ.

აქ გამოდიოდნენ და ჩიოდნენ, სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმი გადატვირთულია საქმეებით, და მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩვენი უმაღლესი დაწესებულებაა, გადატვირთულია სწორედ წვრილმანი საქმეებითო. მაგრამ მინდა ვკითხო ყველა აქ დამსწრეს, ვის წაგიკითხავთ ამ ჩვენი მუშაობის ათობით ოქმი? ვის წაგიკითხავთ ეს ოქმები თავიდან ბოლომდე? ცხადია, არავის, იმიტომ რომ მოსაწყენია, ვერ ჩაათავებ. უნდა გითხრათ, რომ ჩვენი პარტიის ყოველ წევრს და რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სულ უბრალო საკითხი, სულ უბრალო ვითარება აცნობოს სრულიად რუსეთის ცაკს. ეს საკითხი აივლის მთელ კიბეს, ბიუროს და ა. შ. სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმამდე, სადაც მას განიხილავენ. და ასე იქნება, ვიდრე სავსებით კომუნისტურად არ აღვზრდით მშრომელებს, რაც ჩვენში მოხდება ელექტრიფიკაციის საბოლოოდ დამთავრებიდან რამდენიმე ათწლეულის შემდეგ. ამ მხრივ ცვლილებისა ჩვენ არ გვეშინია.

ახლა გადავალ ზოგიერთ ბარათზე. ამხ. მინკინი მწერს:

> განუცხადებია თუ არა ამხ. შლიაპნიკოვს სახკომსაბჭოში ის უმსგავსოებანი, რაც საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში ხდებოდა, თუ ამას ყრილობაზე გამოსვლისათვის ინახავდა? თუ განუცხადებია, რა იღონეთ ამ უმსგავსოებათა აღმოსაფხვრელად?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მივმართე ამხანაგ სერებრიაკოვს, რომელმაც ჩემზე უკეთ იცის ეს საქმე. ცენტრა-

ლურმა კომიტეტმა იგი დანიშნა კომისიაში, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ამხანაგები სერებრიაკოვი, ძერჟინსკი, კრესტინსკი, ლეჟავა. კომისიას ზომები უნდა მიეღო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და შიხაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დამოკიდებულების გასაუმჯობესებლად, ვინაიდან ჩვენს წარმომადგენლებს საზღვარგარეთ ცნობები ჰქონდათ, რომ ეს დამოკიდებულება სრულიადაც არ იყო დამაკმაყოფილებელი. ჩემს თხოვნაზე სერებრიაკოვი ასე უპასუხებს დელეგატ მინკინის ბარათს: «ამხ. მინკინი აცხადებს...» (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს).

კომისიის შემდეგ კიდევ ქვეკომისია შეიქმნა. ოპოზიციობანას თამაში ძალიან ადვილია, რადგან უმსგავსოებანი ყოველ კომისარიატში გვაქვს და უხეირო მოხსენიება გარანტიებისა და 30 000 მოსამსახურისა კომისარიატის ტექნიკურ გამოცემლობაში ძალიან დამახასიათებელია იმ თვალსაზრისით, რომ აქ ყოველთვის იპოვით აღმაშფოთებელ უმსგავსოებათ. ამასვე ხახავთ წითელი არმიის ყოველ დივიზიაში. მიუხედავად ამისა ჩვენი წითელი არმია სულ მუდამ იმარჯვებდა.

მთელი საქმე ის არის, რომ თავის დროზე უნდა მიმართო იმ დაწესებულებას, რომელმაც უნდა გამოასწოროს და არა გვიამბოს ეს აქ, სადაც არ ძალგვიძს შევკრიბოთ ზუსტი ცნობები იმაზე, რომ ამხანაგ რიაზანოვს რაღაც გაუგონია რომელიღაც ამხანაგზე და არაფერი შეუმოწმებია, ზუსტად არა გაუგია რა. ესაა დემოკრატიული ცენტრალიზმი? არა, ეს სრულებითაც არ გახლავთ დემოკრატიული და სრულებითაც არ გახლავთ ცენტრალიზმი. ეს უწესრიგობა და ქაოსის შემოტანაა. საჩივარი პარტიულ დაწესებულებებში უნდა შევიტანოთ. თუ პარტიული დაწესებულება თავის მოვალეობას არ შეასრულებს, მკაცრად მაინც აგებს პასუხს.

მოცემულ ბარათებში აღსანიშნავია არმიის შემცირების საკითხი. ამაზე ამხანაგი ტროცკი სპეციალურ ინფორმაციას გაგიკეთებთ და თქვენ გადაწყვიტეთ, მოისურვებთ ამ საკითხის დღეს მოსმენას, თუ ფრაქციის რომელიმე მომდევნო სა-

განგებო სხდომაზე. მე შემიძლია ის გითხრათ, რომ მას შემდეგ, რაც შეიქმნა დემობილიზაციის სპეციალური კომისია, რომელსაც ტროცკი და ძერჟინსკი მეთაურობენ, ცენტრალურ კომიტეტში გადაწყვიტეს დაეწყოთ დემობილიზაცია, რომელიც ტარდება კიდევაც. დემობილიზაციის დამუშავებას ხელი მოჰკიდა სამხედრო უწყებამ, და თქვენ მიიღებთ ზუსტ ცნობას.

როგორ გვაქვს წარმოდგენილი შრომისა და თავდაცვის საბჭოს ორგანო, როგორც გარდამავალი დროის ორგანო, რომელმაც უნდა გააერთიანოს ეკონომიური სახალხო კომისარიატები და შემდეგ გაუქმდეს, თუ იგი შომავალი ერთიანი სამეურნეო გეგმის საფუძველია, აგრეთვე რომელ აპარატს ეყრდნობა შრომისა და თავდაცვის საბჭო ადგილებზე?

ეს საკითხი გადაუჭრელია და ვფიქრობთ, რომ ახლა ამ საკითხის დაყენება დროის უქმად ხარჯვაა. ჩვენ ვაპირებთ კომისარიატის ორგანიზაციის შემოწმებას. სახკომსაბჭომ შექმნა საორგანიზაციო თათბირი, რომელმაც უნდა გადასინჯოს სახალხო კომისარიატთა აპარატები მათთვის დაკისრებული ამოცანების თვალსაზრისით, და ამასთან დაკავშირებით განიხილოს შტატების საკითხი. ამჟამად სხვა აპარატის შექმნა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს გაუქმება შეუძლებელია ელექტრიფიკაციის საკითხის გადაუჭრელად. ახლა თქვენ დაგირიგებენ ელექტრიფიკაციის სხვადასხვა მასალას, და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მოუხდება ანგარიში გაუწიოს იმას, თუ რას იტყვის ამ მასალის შემოწმება და მოხსენებები. ახლა გვყავს ორგანო, რომელიც გვჭირდება და რომლითაც, ავად იყო თუ კარგად, მაინც ვმუშაობდით და თავს ვართმევდით ჩვენ წინაშე წამოჭრილ ამოცანებს. და გარდაქმნების დაწყებას მანამდე, სანამ პრაქტიკულად გამოვცდიდეთ, თუ როგორ შესრულდება ერთიანი სამეურნეო გეგმა, არ ვაპირებთ. აქ შვიდჯერ უნდა გავზომოთ და ერთხელ გადავჭრათ.

ვინ დადებს კონცესიებს შორეულ აღმოსავლეთში, ჩვენ თუ ბუფერი, და ორივე შემთხვევაში — რატომ?

ეს, ამხანაგებო, საჩოთირო საკითხია. ბუფერი[277] მეტად სამძიმო განსაზღვრებაა, როცა გვეკითხებიან: თქვენ თუ ბუ-

ფერიო. არსებობს, ერთი მხრივ, ბუფერი და, მეორე მხრივ, არსებობს რკპ-ის სათანადო პარტბიურო. ბუფერი იმიტომ არის ბუფერი, რომ დრო მოვიგოთ და შემდეგ იაპონელები დავამარცხოთ. არ ვიცი, კამჩატკა ვის ეკუთვნის, ფაქტობრივად იაპონელებს ეკუთვნით, რომლებიც უკმაყოფილონი არიან იმით, რომ მას ამერიკელებს ვაძლევთ. ჩვენ გვეკითხებიან, ჩვენს დირექტივებს ანგარიშს უწევენ, და ვანდერლიპთან ჩვენი მოლაპარაკების წინააღმდეგ არავის პროტესტი არ გამოუთქვამს, პარტიული ამხანაგების არც ერთ ჯგუფს არ მიუჩნევია იგი ისეთ მნიშვნელოვან საკითხად, რომ განეცხადებინათ, ვითხოვთ სრულიად რუსეთის ცაკის პლენუმზე მის დაყენებას და საკონტროლო კომისიაში განხილვასო. ეს პარტიის ყოველი წევრის უფლებაა და ეს უფლება არავინ გამოიყენა. ვინც შეიტყობს იმ ფაქტებს, რომლებიც ხელშეკრულების დადებას მარტამდე გადადებენ, ის არც შეეცდება გამოიყენოს თავისი უფლება.

როგორ უყურებთ პროფკავშირებს ამ მომენტში კონცესიებთან დაკავშირებით? მართალია თუ არა, რომ თქვენ გლეხთა პროფკავშირის მოწყობის მომხრე ხართ?

უნდა გითხრათ, რომ პარტიის პროგრამაში არის დებულება, საჭიროა ვეძიოთ პროფკავშირთა ახალი ფორმები, რომლებიც გააერთიანებდნენ გლეხობის უღარიბეს ნაწილსო[278]. ამოცანა დასახულია პარტიის პროგრამაში, და არაერთხელ აღმინიშნავს, რომ თუმცა ძალა არ შეგვწევს ახლა ამ ამოცანის გადასაწყვეტად, მაგრამ მასზე ხელს მაინც ვერ ავიღებთ-მეთქი. არ შეიძლება შემოვიფარგლოთ მარტოოდენ ესოდენ სუსტი «ვსერაბოტზემის»[279] მუშაობით, «ვსერაბოტზემისა», რომელსაც არ ძალუძს დიდი მუშაკების მოცემა. ისეთი ვითარების დროს, როცა გლეხობაში მიმდინარეობს ნიველირების, გათანაბრების, მშრომელი გლეხობის, გლეხობის არაკულაკური ნაწილის გაერთიანების პროცესი, ეს ამოცანა სოციალისტური მშენებლობის დღის წესრიგიდან ვერ მოიხსნება. განამტკიცო პროფკავშირთა მუშაობა — ეს ნიშნავს გაავრცელო

იგი არა მარტო სოფლის პროლეტარიატზე, არამედ მთელ მშრომელ გლეხობაზე. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით როგორ გავაკეთოთ ეს. პარტიის პროგრამაში ამოცანა დავსახეთ, ამ ამოცანას ბევრჯერ დავუბრუნდებით და ვეცდებით მივაღწიოთ, რომ ეს ამოცანა პრაქტიკულად სხვადასხვა მხრიდან გადავწყვიტოთ. ამ საკითხზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

როცა კონცესიებს დავდებთ, ბუნებრივია, პროფკავშირს შემოწმების, კონტროლის და იმ ჩვენს მუშებთან კავშირის განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ამოცანები შეხვდება, რომლებიც ამ კონცესიებზე იმუშავებენ. ამჟამად არ ვიცი, პრაქტიკულად როგორ გაიშლება ეს ამოცანა. ახლა ამ საკითხის დღის წესრიგში დაყენება რაციონალური არ არის, რადგან პროფკავშირებს ახლა უფრო მნიშვნელოვანი ამოცანები აქვთ.

ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ჩვენს ბრძოლას, უეჭველია, პროფკავშირთა მხრივ დახმარება სჭირდება, მათ უნდა დავეყრდნოთ. ეს უკვე ძირითადად ნათქვამია პარტიის პროგრამაში [280]. აქედან ჩანს, თუ რა ხანგრძლივი ბრძოლაა საჭირო და როგორი სისტემატური მუშაობა მოგველის. როცა მოგვცემენ მასალას, ამა და ამ ქარხნის ახალშენში ზედამხედველობის საქმე ასე და ასეა დაყენებული და გარკვეულ შედეგებს მიაღწიეს, ხოლო ამა და ამ კვარტალში, მაზრაში და ა. შ. სხვანაირადო, აი, როცა ამას ავწონ-დავწონით, მაშინ ჩვენი საქმე დაიძვრება და გამოვლინდება არა მარტო «აგიტკარტოფილზე» ლაპარაკით, არამედ იმითაც, რომ შევამოწმებთ პრაქტიკულად გადადგმულ ნაბიჯებს და მათ საფუძველზე მივიღებთ ისეთ პრაქტიკულ ზომებს, რომლებმაც უკვე მოგვცეს შედეგები.

პირველად დაიბეჭდა 1963 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 42

იბეჭდება
სტენოგრამის მიხედვით

3

სიტყვა, წარმოთქმული 27 დეკემბერს საბჭოების VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის წინაშე «გლეხური სოფლის მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ» სახკომსაბჭოს კანონ-პროექტის დამატებათა თაობაზე

ამხანაგებო, დღეს ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი ფრაქციაში მიღებული იმ გადაწყვეტილებისა, რომ სოფლის მეურნეობის შესახებ რეზოლუციის იმ პუნქტში, სადაც ლაპარაკია გაუმჯობესებასა და ანაზღაურებაზე, ამოიღოთ სიტყვები «ცალკეულ მეპატრონეთა». ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება და დამავალა დავიცვა იგი[281]. (კითხულობს.) აი, ამხანაგებო, ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების ტექსტი. ახლა ნება მიბოძეთ დაგისაბუთოთ, რატომ არ შეგვეძლო რამენაირად დავთანხმებოდით ფრაქციის გადაწყვეტილებას. ჩვენ ეჭვი არ გვეპარებოდა, და ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე განსაკუთრებული ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ძირითადი მოსაზრებანი, რომლებითაც ფრაქცია ხელმძღვანელობდა, როცა გადაწყვიტა უარი ეთქვა ცალკეულ მეპატრონეთა პრემირებაზე, იყო შიში, რომ პრემიას მივცემდით კულაკს, და სურვილი წინა პლანზე დავაყენოთ უწინარეს ყოვლისა სოფლის საზოგადოების, თემის, კოლექტიურობის — საერთო შრომის პრემირება და არა ერთპიროვნულისა. ამას სავსებით ვეთანხმებით. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ მოსაზრებათა გამო, რომლებიც სავსებით სწორი, პრინციპულად უდავოა ყოველი მარქსისტისათვის და უეჭველია გლეხობის თვალსაზრისით, არ შეიძლება იქამდე მისვლა, რომ სრულებით ხელი ავიღოთ ცალკეულ მეპატრონეთა პრემირებაზე.

ნება მიბოძეთ შეგახსენოთ მცირედი ცნობა ამ კანონის წარმოშობის ისტორიიდან. მე საკმაოდ ყურადღებით ვადევნებდი თვალს იმას, თუ როგორ გადიოდა ეს კანონი ჩვენთან, სახკომსაბჭოში, და უნდა მოგახსენოთ, რომ პირველ პროექტს,

რომელიც სურსათის კომისარიატიდან მომდინარეობდა, მეცადინე მეპატრონის იმედი ჰქონდა. ამხ. სერედას წამოყენებულ წინადადებებში კი მთავარი ის იყო, რომ უმართებულოა მეცადინე მეპატრონის იმედით დარჩენა, სასოფლო საზოგადოების, კოლექტიურობის იმედი უნდა გვქონდესო. ამ საკითხს სახკომსაბჭოში, ყოველ შემთხვევაში, მე მაინც, ასე მოვეკიდეთ: უნდა გამოვკითხოთ ხალხს ადგილებზე და ავწონ-დავწონოთ მომხრენი და მოწინააღმდეგენიო. მართლაც, ცალკეული მეპატრონის პრემირებაზე უარის თქმა, მე მეგონა, არასწორი იყო, მაგრამ პირველ ადგილზე სასოფლო საზოგადოების დაყენება, შესაძლოა, კარგიც იყოს, თუ პრაქტიკის მქონე ადამიანები ადგილებზე დაგვიდასტურებენ, რომ ეს შეიძლება გავაკეთოთ და კიდევაც უნდა გავაკეთოთ. სწორედ ორი თვალსაზრისის ამ ბრძოლიდან მივიღეთ ის ფორმულირება, რომელიც სახკომსაბჭოს კანონპროექტშია: დავტოვოთ ერთიც და მეორეც და ორივე სახის პრემირებათა შორის გარკვეული თანაფარდობა დავაწესოთ. ამასთან შემდგომმა დამუშავებამ, ბუნებრივია, წამოაყენა მოსაზრება, უკვე სახკომსაბჭოში გარკვეული, რომ ეს ინსტრუქციის საქმეა. და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ინსტრუქცია გარკვეულ, ზუსტად აღნიშნულ ვადაში უნდა შეიმუშაოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, შეთანხმებულ იქნეს სურსათის სახალხო კომისარიატთან და დამტკიცებული სახკომსაბჭოს მიერ. იმ საერთო წესისაგან განსხვავებით, როცა ინსტრუქციის დამტკიცება ხდება ერთი სათანადო სახალხო კომისრის მარტოოდენ განკარგულებით, აქ დავადგინეთ არა მარტო შემოწმება — ორი სახალხო კომისრის მონაწილეობა, — არამედ სპეციალურად დავძინეთ, რომ სახკომსაბჭო თვით ითხოვს ინსტრუქციას დასამტკიცებლად. ნათელია, რომ ინსტრუქციაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული.

ამხანაგების ერთგვარი განმარტების შემდეგ თქვენი გადაწყვეტილება, რომ ერთპიროვნულ მეურნეობებს პრემია არ მიეცეთ, ჩვენთვის ნათელი შეიქნა, ცენტრალური კომიტეტი მიხვდა, რა იყო აქ მთავარი. მთავარი ის იყო, ვაითუ უმართე-

ბულო პრემირება, კულაკის პრემირება, გამოგვივიდესო. გასაგებია, რომ მეურნეობა ყველაზე კარგად აქვს აწყობილი შეძლებულ გლეხს და კულაკს, რომლებიც, რა თქმა უნდა, სოფლად, რამდენიც გნებავთ, იმდენი დარჩა, ამაში ჩვენ იოტის ოდენა ეჭვიც არა გვაქვს. საგულდაგულო მეურნეობის გამო ჯილდოს რომ ვიძლევით, თუ არ ვიზრუნებთ იმაზე, თუ რა გზით არის მოპოვებული ეს საგულდაგულო მეურნეობა, ბუნებრივია, სამეურნეო წარმატებების მხრივ ყველაზე საგულდაგულო მეურნეობა კულაკისა გამოვა. და თუ უგულებელვყოფთ იმ საკითხს, თუ რა ფასად აღწევენ სამეურნეო გაუმჯობესებას, კულაკის უმართებულო პრივილეგია გამოგვივა. თუ მას წარმოების საშუალებებით დავაჯილდოებთ, ე. ი. იმით, რაც მეურნეობის გაფართოებას სჭირდება, ჩვენ არაპირდაპირ, და იქნებ არც მთლად არაპირდაპირ, კულაკობის განვითარების მონაწილე აღმოვჩნდებით, ვინაიდან თუ მეცადინე მეპატრონეს იმის გაუთვალისწინებლად დავაჯილდოებთ, ხომ არ მიიღო კარგი შედეგი კულაკობის წესის გამოყენებით, ამასთან დავაჯილდოებთ ისეთი რამით, როგორიც წარმოების საშუალებებია, ე. ი. იმით, რითაც კიდევ უფრო შეუძლია განამტკიცოს თავისი გავლენა, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვეწინააღმდეგებით არა მარტო სამიწათმოქმედო, არამედ მთელი საბჭოთა პოლიტიკის ძირითად დებულებებს და ვარღვევთ იმ ძირითად პრინციპს, რომ მხარი დავუჭიროთ მშრომელთა ინტერესებს კულაკობის ინტერესთა წინააღმდეგ. ამით მართლაც ძირს ვუთხრით, საერთოდ რომ ვთქვათ, მთელი საბჭოთა პოლიტიკის, და არა მარტო მთელი სამიწათმოქმედო პოლიტიკის, საწყისს და საფუძვლებს.

მაგრამ თუ აქედან იმას დავასკვნით, რომ ცალკეულ მეპატრონეთა დაჯილდოება არ გვჭირდება, მაშინ აიღეთ ასეთი მაგალითი: პრემიას ვაძლევთ ცალკეულ მუშებს ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც შრომის კოლექტიურობამ, მისმა განსაზოგადოებამ განუზომლად უფრო მაღალ საფეხურს მიაღწია, ვიდრე მიწათმოქმედებაში. რა ვუყოთ გლეხურ მეურნეობას? უაღრესად გლეხურ ქვეყანაში, სადაც გლეხის ინდივიდუალური,

ერთპიროვნული შრომა $^{9}/_{10}$-ით, უფრო კი სავარაუდოა 99 პროცენტით გაბატონებულა, სადაც 20 მილიონი გლეხური მეურნეობა გვაქვს, გვინდა ფეხზე დავაყენოთ ისინი, და ჩვენ რადაც უნდა დაგვიჯდეს უნდა გავაკეთოთ ეს. ჩვენ ვიცით, რომ მათი შრომის ფეხზე დაყენება მხოლოდ რამდენიმე წლის, ხანგრძლივი დროის ძირეული ტექნიკური რეფორმის შემდეგ შეიძლება. სამი წლის მანძილზე რაღაც ვისწავლეთ ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში. ჩვენ ვიცით, როგორ უზრუნველვყოთ კომუნიზმის საფუძვლები მიწათმოქმედებაში, — ეს შეიძლება უზარმაზარი ტექნიკური ევოლუციის ფასად გაკეთდეს. ჩვენ ნათლად გვაქვს წარმოდგენილი ეს დამუშავებული გეგმა, რომელზეც აღნიშნულია ელექტროსადგურების ადგილები, ჩვენ ვიცით პროგრამა-მინიმუმი, ათი უახლოესი წლის პროგრამა, მაგრამ ელექტრიფიკაციის ამ წიგნში ჩვენ პროგრამა-მაქსიმუმიც ვვაქვს, სადაც დაგეგმილია მრავალი წლის გიგანტური სამუშაო. ახლა კი ჩვენ გვაქვს 20 მილიონი ცალკე მეურნეობა, რომლებიც მეურნეობას განცალკევებით უძღვებიან და რომლებსაც სხვაგვარად მეურნეობის გაძღოლა არ შეუძლიათ; და, აი, თუ მათ არ დავაჯილდოებთ მათი მწარმოებლურობის ასამაღლებლად, — ეს სრულიად არასწორი იქნება, ეს აშკარა გადამლაშება და ის სურვილია, რომ არ დაინახო სინამდვილე, რომელიც თვალში გეცემა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიო და რომელსაც უნდა დაეყრდნო. რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, რომ მეურნეობანი ფეხზე დამდგარიყვნენ კოლექტივიზმის მეშვეობით, მთელი თემები, საზოგადოებები და ა. შ. მაგრამ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, თუ რამდენად შესაძლებელია ეს ახლა. თუ თქვენ, ადგილებზე რომ იმუშავებთ, ხელს შეუწყობთ ამ გზით ფეხზე დადგომას, განახორციელებთ მთელი საზოგადოების ან მთელი თემის ფეხზე დადგომას, — ეს შესანიშნავი იქნება; მაშინ ყოველივე საუკეთესო, რაც დასაჯილდოებლად გექნებათ, მათ მიეცით. მაგრამ დარწმუნებული კი ხართ, რომ შეძლებთ ამას? ხომ არ არის ეს ფანტაზია, რომელიც პრაქტიკულ მუშაობაში უდიდეს შეცდომებს დაგვაშვებინებს?

და ამიტომ გთავაზობთ ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციის უკანასკნელ ნაწილს, ამა თუ იმ გადამუშავებით ან ცვლილებით, რომელიც პრაქტიკოსთა მოსაზრებით შესაძლოა დავუმატოთ საბჭოების ყრილობის რეზოლუციას, რათა ეს საკითხი თქვენვე გადაწყვიტოთ, თქვენვე თქვათ აქ: ცალკეულ მეპატრონეთა დაჯილდოება დასაშვებია, მაგრამ სამი გარკვეული პირობით. ერთი — სასოფლო საზოგადოებათა დაჯილდოება პირველ რიგში, შემდეგ — მეპატრონეებისა იმით, რაც დაგვრჩება დაჯილდოებისაგან, ამას დავეთანხმებით. მეორე პუნქტი ამბობს — არ დავაჯილდოოთ ის ცალკე მეპატრონეები, რომლებმაც სამეურნეო წარმატებას კულაკური ხერხებით მიაღწიეს, ნუ დავაყენებთ საქმეს ასე: სამეურნეო წარმატება გაქვს და გაჯილდოებთ. არა, თუ ვინმემ სამეურნეო წარმატება მოიპოვა, მაგრამ მოიპოვა კულაკური ხერხებით, სულ ერთია, სესხის სახით იყო ეს, შრომამიგების, თუ სპეკულაციის სახით — კულაკურ ხერხებს ზოგჯერ კანონის ავლითაც მიმართავენ ხოლმე, — თუ ვინმემ სულ უმნიშვნელო კულაკური ხერხი გამოიყენა და წარმატება მოიპოვა, მას არავითარი პრემია არ მიეცემა. აი მეორე შეზღუდვა, რომელიც კიდევ მეტად აკმაყოფილებს კულაკის წინააღმდეგ ბრძოლისა და მშრომელი საშუალო და ღარიბი გლეხის მხარდაჭერის თქვენს პრინციპულ თვალსაზრისს. მესამე შეზღუდვაა — რა გავცეთ ჯილდოდ. შეიძლება გავცეთ წარმოების საშუალებანი, ის, რაც მეურნეობის გაფართოებას და გაუმჯობესებას სჭირდება: იარაღები, მანქანები; შეიძლება გავცეთ მოხმარების საგნები, ის, რაც ჩვეულებრივად სახლის სამკაულია, რაც ოჯახში ცხოვრებას ალამაზებს და აუმჯობესებს. ჩვენ ვამბობთ: «ცალკე მეპატრონეებს მიეცით მხოლოდ მოხმარების საგნები და საოჯახო ნივთები და, ცხადია, წარჩინების ნიშნები». აქ თქვენ უკვე მიიღეთ შრომის წითელი დროშის ორდენი[282]. წარმოების საშუალებანი კი ცალკე მეპატრონეებს შეიძლება მივცეთ მხოლოდ ისეთი და მხოლოდ ისეთ საფუძვლებზე, რომ ვერ შეძლონ მათი კულაკურად გამოყენება. მანქანებს ნუ მივცემთ, კიდევაც რომ ყველაზე მეცადინე მეპატრონე იყოს, კიდევაც

რომ მოიპოვოს წარმატება კულაკობის სრულიად გამოუყენებლად. მანქანის მიცემა არ შეიძლება იმიტომ, რომ თვით მისი გამოყენება მოითხოვს კოლექტიურ შრომას, და მეპატრონე, რომელიც მანქანას მიიღებს, მარტო ვერ გამოიყენებს მას.

აი ის მოსაზრებანი, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ცენტრალური კომიტეტი და რომელთა საფუძველზეც მოგმართეთ თხოვნით ერთხელ კიდევ გადაგეხინჯათ თქვენი გადაწყვეტილება, გამოგეთქვათ აზრი და იქნებ შესაძლებლად გეცნოთ მისი შეცვლა იმ ვარაუდით, რომ დაგვეშვა ცალკე მეპატრონეთა დაჯილდოება აღნიშნული სამი პირობის დაცვით. თუ ამას არ მივიღებთ, შესაძლოა ვერ მივაღწიოთ საჭირო შედეგებს, რადგან დაქანცულ და გაჩანაგებულ ქვეყანაში ძალ-ღონის დაუძაბავად მეურნეობის გაუმჯობესება შეუძლებელია, განსაკუთრებით მეცადინენი კი უნდა დავაჯილდოოთ. ყოველნაირი დაძაბული მუშაობა, თუ მასში კულაკობის ხერხი არ არის, უნდა დავაჯილდოოთ. აი რატომ გვგონია, რომ ამ მოსაზრებათა მოსმენის შემდეგ დაგვეთანხმებით დავუშვათ დაჯილდოება აღნიშნული სამი შემზღუდველი პირობით, რომლებიც, ეტყობა, მართლა საჭირონი არიან ჩვენი სამეურნეო მშენებლობის ინტერესებისათვის.

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება სტენოგრამის მიხედვით

4

საბჭოების VIII ყრილობის რეპ(ბ) ფრაქციაზე 27 დეკემბერს მიღებული შეკითხვების პასუხები

ვიდრე ბარათებს ვუპასუხებდე, გარკვევით უნდა ვთქვა, არის თუ არა ფორმალური შეუთანხმებლობა ფრაქციასა და ცენტრალურ კომიტეტს შორის. გამოსული პირველი ორატორების შესახებ: მივიღეთ გარკვეული გადაწყვეტილება, რომლითაც ვფიქრობდით კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ თქვენ მაშინ ჯერ კიდევ არ გქონდათ ბრძოლის ის ხერხე-

ბი, რომლებიც სამ დამატებაში აღვნიშნეთ. რა გვითხრეს ამ-ხანაგებმა, რომლებიც აქ ამ დამატებათა წინააღმდეგ გამოდი-ოდნენ? არსებითად არაფერი არ უთქვამთ. აქ გამოსული ამ-ხანაგი გლეხი წითელარმიელი [283] ამბობდა, კულაკები არსებო-ბენ, კულაკობა იზრდებაო, მაგრამ ჩვენ გარკვევით ვამბობთ: თუ ისინი კულაკები არიან, ჯილდოს ვერ მიიღებენ. თქვენ გთა-ვაზობთ გაატაროთ ეს კანონში. ეს კიდევ არაფერი. თუ სა-შუალო გლეხი ერთპიროვნულად მიიღებს გაუმჯობესებას, მაგრამ ეს გაუმჯობესება შეუძლია კულაკად გახდომისათვის გამოიყენოს, აკრძალულია მისთვის პრემიის მიცემა. მაშასა-დამე, რა საბუთი წამოაყენეს აქ ჩვენი მოსაზრების წინააღმ-დეგ? არავითარი. დაუჩემებიათ, კულაკი არ უნდა დავაჯილ-დოოთო. თანახმა ვართ, არ უნდა დავაჯილდოოთ.

ახლა გადავალ შემოტანილ ბარათებზე. პირველი:

1) რა იქნება «მეცადინე კულაკის» და «მეცადინე საშუალო გლეხის» კრიტერიუმი?

2) ვთქვათ, გამოვძებნეთ აქ ეს კრიტერიუმი, გამოვიმუშავეთ გეგმა, მაგრამ როგორ მოვახერხებთ მის განხორციელებას ადგილებზე, მით უფ-რო იქ, სადაც დღემდე ხელმძღვანელ როლს ჯერ კიდევ კულაკები ასრუ-ლებენ?

3) სად იქნება გამიჯვნა, მთელი კოლექტივი დავაჯილდოოთ, თუ ცალ-კე მეპატრონე, თუ ერთიც და მეორეც?

ჯერ ერთი. გლეხებმა ეს უკეთ იციან. თუ კანონში ნათქვა-მია, აიკრძალოს კულაკური ხერხების გამომყენებლის დაჯილ-დოებაო, ეს უფრო ფართოა, ვიდრე კულაკის ცნება. კულაკი ის გახლავთ, ვინც საერთოდ კულაკურ ხერხს იყენებს, ხოლო კულაკურ ხერხს ცალკე თითქმის ყოველი საშუალო გლეხი იყენებს. მაშასადამე, ჩვენ ვკრძალავთ პრემიის მიცემას არა მარტო კულაკისათვის, არამედ ყოველი საშუალო გლეხისთ-ვისაც, თუ იგი კულაკურ ხერხს იყენებს, ეს ხერხები კი უსას-რულოდ მრავალფეროვანია, მარტო ისეთი ტლანქი კი არა, 5 ფუთად რომ ზედმეტი ცხენი იყიდეს [284]. და ასეთ კულაკს განა პრემიას მისცემენ? რატომ გგონიათ, რომ სოფელში თვალს აარიდებენ ამას? და თუ თქვენ კითხულობთ, სად არის მეცადი-

ნე კულაკის და მეცადინე საშუალო გლეხის კრიტერიუმიო, ადგილებზე ეს მშვენივრად იციან. ამის შესახებ კანონის წერას ჩვენ არ ვაპირებთ იმიტომ, რომ ეს ნიშნავს მთელი ტომი დაწერო იმაზე, თუ როგორ კულაკობენ, მაშინ როცა ადგილებზე ყველაფერი მშვენივრად იციან.

მეორე. განა თქვენ პარტიის სამაზრო კომიტეტები არა გყავთ? განა ეს სასოფლო საზოგადოებას, სათემო მიწგანს. პარტიის უჯრედს არ გაივლის? როგორ ვილაპარაკოთ ადგილებზე კულაკის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, თუ ადგილებზე უჯრედები არა გვყავს საბრძოლველად. ეს მოსაზრება ჩემთვის ვაუგებარია.

მესამე. კანონში ნათქვამია, რომ წინა პლანზე წამოწეულია კოლექტივის, ხოლო მეორეზე — ცალკე მეპატრონის დაჯილდოება. უფრო დაწვრილებით გამიჯვნას განსაზღვრავს პარტიის თითოეული სამაზრო კომიტეტი და ყველა სხვა დაწესებულება, რომელიც კი ადგილზე არსებობს.

მეორე ბარათი:

შესწორების შეტანის დროს ცენტრალურ კომიტეტს ეს შესწორება წარმოუდგენია როგორც პოლიტიკური აქტი, რომ სოფლის მეურნეობის და საერთოდ მრეწველობის აღმავლობით დაინტერესოს «მეცადინე გლეხები», რათა გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ უფრო ადვილად შეჰოიღოს საზოგადოებრივი დამუშავება? თუ შეიძლება, გვიპასუხეთ.

ჯერ ერთი, აი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ამ საკითხში არაფერია სპეციალურად პოლიტიკური, რაც უნდა დავუმალოთ უპარტიო გლეხებს. ამიტომ უდავოდ სწორად მიმაჩნია და მგონია, წესად უნდა შემოვიღოთ ასეთ საკითხებზე უპარტიოთა მოწვევა ფრაქციაში. ფრაქციაში ისინი არაფერს გადაწყვეტენ, მაგრამ რატომ არ მოვეთათბიროთ. ჩვენმა სამეურნეო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ერთპიროვნული შრომიდან კოლექტიურისაკენ უნდა მივდიოდეთ, მაგრამ მას შემდეგ, რაც გამოვცადეთ რას ნიშნავს სვლა, ხელების ქნევას თავი უნდა დავანებოთ და უნდა შევიგნოთ, რომ სვლა საჭიროა და რაც უფრო ნელა ვივლით, მით უკეთესი იქნება.

მესამე ბარათი:

ვგონია, რომ საჭიროა მივუთითოთ საზოგადოებრივი პრემირების მომხრეთ, საკმარისად აქვთ თუ არა საზოგადოების დასაჯილდოებლად გუთნები და სხვა იარაღი? თუ არა აქვთ, რაღას ვლაპარაკობთ?

ეს მოსაზრება სწორი არ არის. დასაჯილდოებლად ჩვენ საერთოდ ცოტა გვაქვს ნივთები, გუთნები კი იმდენად ცოტა გვაქვს, რომ როგორც წარმოების საშუალებას მას ვერ მივცემთ ცალკეულ პირთ, მივცემთ მხოლოდ მთელ საზოგადოებებს. მაგრამ თუ შესაძლებლობა იქნა, რატომ არ მივცეთ გუთანი გლეხს, რომელმაც უამრავი ძალა და ენერგია შეალია მწარმოებლურობის ამაღლებას? ვინ წყვეტს საკითხს, კულაკური ელემენტია ის, თუ არა? უნდა ყური დავუგდოთ იმას, რასაც ქვემოთ ამბობენ.

შემდეგი ბარათი:

გთხოვთ, თუ შეიძლება, ახლავე მომწერეთ ამ ბარათის მეორე გვერდზე შემდეგი კითხვის პასუხი. სტავროპოლის გუბერნიის სვიატოკრესტოვსკის მაზრას, სადაც მე ვმუშაობ, შეწერილი აქვს 10 000 000 ფუთი პური 1920 წლის 1 დეკემბრამდე. შევასრულეთ 3 200 000 ფუთი. მცირე შესრულებასთან დაკავშირებით კულაკური ელემენტების ქონების კონფისკაციას გაძლიერებით ვიყენებთ და ამიტომ ერთხელ კიდევ გთხოვთ მიპასუხოთ, როგორ მოვიქცეთ ამიერიდან? განვახორციელოთ კონფისკაცია თუ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, რათა მეურნეობა არ დავანგრიოთ?

ეს არ ეხება იმ კანონს, რომელზეც ვლაპარაკობთ. ისე მოიქეცით, როგორც წინათ იქცეოდით. ზუსტად საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტის და თქვენი კომუნისტური სინდისის შესაბამისად ამიერიდანაც თავისუფლად მოიქეცით ისევე, როგორც აქამდე იქცეოდით.

შემდეგი ბარათი:

როგორ გამოვყოთ «მეცადინე გლეხის» ცნებიდან «მეცადინე კულაკი»?

ამის შესახებ კანონში ყველაფერი გვაქვს და თუ თქვენ აქ კითხულობთ, ეს შეკითხვის ბოროტად გამოყენებაა.

შემდეგ გვეკითხებიან:

ვის და როგორ შეუძლია განსაზღვროს მეცადინე გლეხი, მაგალითად, რომელიმე სოფელში? თუ ამას სოფელში არჩეულები ან რწმუნებულები

გააკეთებენ, მივიღებთ არჩეულთა და რწმუნებულთა მხრივ ბოროტად გამოყენებას.

მე უკვე აღვნიშნე, რომ ამ საქმეში უნდა ჩავაბათ ჩვენი პარტია, ჩვენ გვყავს ღარიბკომები, ხოლო უკრაინაში ხელმოკლეთა კომიტეტები.

1) გთხოვთ გაითვალისწინოთ. დავაჯილდოვეთ მეპატრონე გლეხები ქერელის მიწოდებისათვის 1920 წელს. გამოვიდა, რომ მათ მიიღეს 100 არშინამდე მანუფაქტურა. ხოლო სოფლის ღარიბობას 1920 წლისა ჯერ ერთი არშინიც კი არ მიუღია.

2) ითვალისწინებთ თუ არა, რომ ცალკეულ მეპატრონეთა პრემირების ზომა კოლექტიური გაერთიანების მუხრუჭია და ნაწილობრივ განამტკიცებს მიწათმოქმედების შერყეულ კაპიტალისტურ ბურჯებს?

ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ ჩვენში ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა, ასე ვთქვათ, კაპიტალიზმის ბურჯია; ეს უდავოა და აღვნიშნე კიდეც მოხსენებაში, სადაც პირდაპირ ვამბობდი, სახიფათო ის «სუხარევკა» როდია, რომელიც სუხარევის მოედანზე ან ფარულად სადმე სხვა მოედანზე იყო გამართული, სახიფათო ის «სუხარევკაა», რომელიც თითოეულ ერთპიროვნულ გლეხს სულში უზის *. შევძლებთ კი, რომ ერთი ან ორი წლის მანძილზე თავი დავაღწიოთ ამას? ვერ შევძლებთ. მეურნეობა კი ახლა უნდა გავაუმჯობესოთ. თქვენ ხელმძღვანელობთ შესანიშნავი კომუნისტური მისწრაფებით, მაგრამ ამ სართულიდან აი იმ მწვერვალზე ახტომა გსურთ, ჩვენ კი გეუბნებით — არ გამოგივათ, იმოქმედეთ უფრო ფრთხილად და თანდათანობით.

შემდეგ:

რატომ არ გვაძლევს სურსათის კომისარიატი და სხვა დაწესებულებები პროდუქტებს მე-3 ჯგუფის დამკვრელ მუშათა დასაჯილდოებლად?

არ ვიცი, მაგრამ მგონი იმიტომ, რომ დასაჯილდოებლად საშინლად ცოტა სურსათი გვაქვს.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 262. რ ე დ.

უარს ნუ გვეტყვით (და გვიპასუხეთ, როგორ უყურებს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი უფრო შეძლებული გლეხების, ე. ი. ისეთი გლეხების დაჯილდოებას, რომლებსაც მიწის უფრო დიდი ნაკვეთები აქვთ და თვითონ ამუშავებენ მათ? და ამასთან ერთად, როგორი იქნება მდგომარეობა მცირემიწიანი გლეხებისა, რომლებსაც შესაძლებლობა არ გააჩნიათ თავი გამოიჩინონ იმის გამო, რომ საკუთარ განკარგულებაში მცირე მიწა აქვთ?

რატომ აქვს მიწის დიდი ნაკვეთი? თუ ეს უსამართლობაა, საზოგადოება და მიწგანი რატომ არ ჩამოართმევენ მას? იმიტომ რომ სხვებს არ შეუძლიათ მისი დამუშავება. მაშ რატომ დავსაჯოთ, იმიტომ რომ ამუშავებს ამ ნაკვეთს? თუ კულაკურად დაამუშავებს, არ დაანებოთ, თუ უსამართლოდ ფლობს. ჩამოართვით და სხვებს მიეცით, იმათ, ვინც მეურნეობას გაუძღვება, ამას კი თავს ნუ ესხმით მარტო იმისთვის, რომ დიდი მიწა აქვს. რუსეთში კერძო საკუთრება არ არსებობს, მიწას თვითონ თქვენ და საზოგადოება ანაწილებთ რუსეთში არიან ადამიანები, რომლებსაც დიდი მიწა აქვთ. თუ პარტიული კომიტეტი და საბჭოთა ორგანოები ამას ხედავენ და არავითარ ზომას არ იღებენ, მაშინ ისინი უნდა გავრეკოთ და არა უარი ვუთხრათ ხალხს პრემიებზე.

უკანასკნელი ორი ბარათი. პირველი:

კანონპროექტის ამ პუნქტს უკრაინაში არ გამოვიყენებთ?

ვფიქრობ, გამოვიყენებთ, და ძალიან ვწუხვარ, რომ აქ აზრი არ გამოუთქვამს უკრაინის ღარიბთა კომიტეტებში მომუშავე არც ერთ ამხანაგს და ამიტომ დიდ შეცდომად მიმაჩნია კამათის უდროოდ შეწყვეტა.

მეორე:

თუ ფრაქცია უარყოფს ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, ჩვენ რკპ ღირსეული წევრები ვრჩებით, თუ ჯიუტობას ვიჩენთ?

ამ ბარათს ვუპასუხებ დოკუმენტით, რომელსაც «რუსეთის კომუნისტური პარტიის წესდება» ეწოდება. ამ დოკუმენტის § 62-ში ვკითხულობთ: «შინაგანი ცხოვრების და მიმდინარე მუშაობის საკითხებში ფრაქცია ავტონომიურია»[285]. მაშასადამე, ფრაქციის ყველა წევრს უფლება აქვს და მოვალეობა

აკისრია ხმა მისცეს სინდისის და არა ცენტრალური კომიტეტის მითითებების მიხედვით. თუ თქვენ ხმას მისცემთ სინდისის მიხედვით და ცენტრალური კომიტეტის წინადადების წინააღმდეგ გამოიტანთ მეორე გადაწყვეტილებას, მაშინ ზუსტად § 62-ის საფუძველზე მოვალენი ვართ შევკრიბოთ და მყისვე შევკრებთ კიდეც ცენტრალურ კომიტეტს, რომლის სხდომაზეც თქვენ გაგზავნით თქვენს წარმომადგენლებს. აჯობებს, რომ ასეთი სერიოზული საკითხი ორ-სამჯერ განვიხილოთ, რათა შევეცადოთ აღმოვფხვრათ არსებითი უთანხმოებანი ჩვენ შორის. აი ასეა საქმე, აი ასე უნდა მოვიქცეთ. ახლა ხმა უნდა მისცეთ არა იმიტომ, რომ პარტიის უმაღლესმა დაწესებულებამ დირექტივები შემოიტანა, არამედ იმიტომ — დაგარწმუნეს აქ თუ არა.

აქ არასწორად ამბობდნენ, საქმე ცუდადაა, რაკი მის დასაცავად ამხანაგი ლენინი გამოგზავნესო. ეს არ არის სწორი, იმიტომ რომ პარტიის წესდებამ თქვენი უფლებები ზუსტად განსაზღვრა. ეს ერთი. მეორეც, ეს არ არის სწორი იმიტომ, რომ ცენტრალურ კომიტეტში ამ საკითხზე არავითარი უთანხმოება არ გვქონია, მაშინვე თქვეს: გაგვიტაცა კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლამ, ოდენობა კი დაგვავიწყდა, მოდი ოდენობა მოვიგონოთო.

ცენტრალურმა კომიტეტმა ორი ამხანაგი დანიშნა იმიტომ, რომ ცენტრალური კომიტეტის ამ ორ წევრს პროექტის განხილვაში სხვებზე მეტი მონაწილეობის მიღება მოუხდა და თვითონ მონაწილეობდნენ კამათში. მე ყველა პროექტის გარჩევა მომიხდა, ასევე პრეობრაჟენსკისაც. ამიტომ იძულებული გახდნენ ჩვენ ორი დავენიშნეთ.

პირველად დაიბეჭდა 1963 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 42

იბეჭდება სტენოგრამის მიხედვით

5

დამატება რეზოლუციისა მიწის საკითხის შესახებ

ცალკეულ მეპატრონეთა პრემირება,

ჯერ ერთი, უნდა დავაყენოთ მეორე პლანზე მთელი საზოგადოებების და საერთოდ კოლექტივების პრემირებასთან შედარებით;

მეორე, ცალკე მეპატრონეს პრემია უნდა მივცეთ და საერთოდ დავაჯილდოოთ მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობის უმკაცრესი დაცვით, რომ ცალკე მეპატრონემ სამეურნეო წარმატება მოიპოვა კულაკური ხერხების სრულიად გამოუყენებლად;

მესამე, ცალკე მეპატრონეები უნდა დავაჯილდოოთ წარჩინების ნიშნებით, პირადი მოხმარების საგნებით, საოჯახო ნივთებით და სხვა მისთანათი; ცალკე მეპატრონეთა დაჯილდოება წარმოების საშუალებებით შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ აუცილებლად დაცული იქნება პირობა, რომ პრემიად გაიცეს მხოლოდ წარმოების ისეთი საშუალება და მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ წარმოების ეს საშუალება ვერ იქნება გამოყენებული მეპატრონის კულაკად გახდომის იარაღად[286].

დაწერილია 1920 წლის 27 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ნ. ნ. კრესტინსკის რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსთვის

ამხ. კრესტინსკის

გთავაზობთ:

1) კამენევს და მის კომისიას (+ სტალინს)[287] მისცეთ ფორმალური დავალება პოლიტბიუროსაგან, ამასთან ოქმში ჩაიწეროს.

2) ჩერვიაკოვს სასწრაფოდ დაავალოთ შეიმუშაოს პროექტი რკპ ცენტრალური კომიტეტის დაწვრილები-

თი წერილისა ბელორუსიის შესახებ და სახკომსაბჭოს დეკრეტისა იმავე საკითხზე (საიდუმლო) [288].

დაწერილია 1920 წლის 30 ან 31 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შესახებ [289]

დაევალოს ამხ. ოსინსკის მიწსახკომის მთელ კოლეგიასთან ერთად შეიმუშაოს და სახკომსაბჭოს და სრულიად რუსეთის ცაკის უახლოეს სესიას წარუდგინოს როგორც მთელი სახალხო კომისარიატის დებულება, ისე საგანგებოდ მუშაობაში სპეცი აგრონომების უფრო ფართო და სისტემატური ჩაბმის შესახებ [290].

დაწერილია 1921 წლის 4 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა საქართველოს შესახებ [291]

მე-3 პუნქტისათვის

1) დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს გააჭიანუროს ურთიერთობის გაწყვეტა საქართველოსთან, ამასთან სისტემატურად შეკრიბოს ზუსტი მასალა მის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შესახებ და უფრო დაჟინებით მოითხოვოს სომხეთში სურსათ-სანოვაგის გატარება.

2) შეეკითხოთ კავკასიის ფრონტს, რამდენად მომზადებული არიან ჩვენი არსებული სამხედრო ძალები საქართველოსთან დაუყოვნებლივი ან მოახლოებული ომისათვის. ამ

საკითხის ჩამოყალიბება, ამასთან იმის აღნიშვნა, რომ საქართველო საშინლად გათავხედდა, დაევალოს კომისიას, რომლის შემადგენლობაში იქნებიან ამხ. ტროცკი, ამხ. ჩიჩერინი და ამხ. სტალინი.

3) მივცეთ დირექტივა რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს და კავკასიის ფრონტს, თუ საჭირო იქნა, მოემზადონ საქართველოსთან ომისათვის. დაევალოს სარკინიგზო გადაზიდვის უმაღლეს საბჭოს უახლოეს ვადაში მოახსენოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს, რა შესაძლებლობა გააჩნია იმისათვის, რომ გაადიდოს ჯარების გადაყვანა კავკასიაში და კავკასიის ფარგლებში[292].

დაწერილია 1921 წლის 26 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა სარკინიგზო და საწყლოსნო ტრანსპორტის მუშაკთა გაერთიანებული პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაკთა განცხადების გამო[293]

იმის გამო, რომ საკითხი სავსებით ნათელია, წინადადებას ვაყენებ დავჯერდეთ ცენტრალური კომიტეტის წევრთა შეკითხვას. გთავაზობთ რეზოლუციას:

«ყრილობის წინ (როგორც სარკინიგზო და საწყლოსნო ტრანსპორტის მუშაკთა გაერთიანებული პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის, ისე რკპ ყრილობის წინ) ასე მოკლე დროში სამუშაოდან განთავისუფლება სრულიად შეუძლებელი და დაუშვებელია. ცენტრალური კომიტეტი მკაცრად დასჯის სულ მცირედ გამოვლინებას «დევნისას», ე. ი. ისეთი პოლემიკისას, რომელსაც ზიანი მოაქვს ტრანსპორტის საქმისთვის, გ ა დ ა დ ი ს შევიწროებაში და

ა რ ღ ვ ე ვ ს დ ი ს ც ი პ ლ ი ნ ა ს, და გთხოვთ ასეთი შემთხვევები აცნობოთ მას.

31. I. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 31 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მონახაზი სახკომსაბჭოს დადგენილებისა ნავთობის კონცესიების შესახებ

1) ძირითადად მოწონებულ იქნეს (გროზნი შ ი ც და ბაქო შ ი ც) და დავიწყოთ მოლაპარაკება...

2) გავგზავნოთ ბაქოში და გროზნიში დიდად კომპეტენტური კომისია და მისი მოხსენება მოვითხოვოთ სულ მალე.

1) გუბკინი

2) ტიხვინსკი [294].

დაწერილია 1921 წლის 1 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებისა სახალხო კომისარიატების მიერ შრომისა და თავდაცვის საბჭოს და სახკომსაბჭოს დადგენილებათა და დავალებათა შესრულების შემოწმების შესახებ

დაევალოს მცირე საბჭოს მეტი ყურადღება მიაქციოს იმის შემოწმებას, თუ სინამდვილეში როგორ ასრულებენ სახალხო კომისარიატები შრომისა და თავდაცვის საბჭოს და სახკომსაბჭოს დადგენილებებს და დავალებებს იმ ვარაუდით, რომ საკითხები, მეტადრე პრაქტიკული ან პრინციპულად მნიშვნელოვანნი, გავიტანოთ დიდ საბჭოებზე [295].

დაწერილია 1921 წლის 1 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შესწორებანი და დამატებანი შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა სათბობის კრიზისთან ბრძოლის საკითხზე [296]

(1) **დროებითი** კომისია
(2) მუშაობის გაძლიერება და შეთანხმება
(3) ამ კომისიის ყველა წევრი გავათავისუფლოთ ყოველგვარი სამუშაოსაგან, რომელიც სათბობს არ ეხება.
(4) მოკლე ანგარიშგების ფორმა 2 დღეში დავაწესოთ, ორშაბათს * დასამტკიცებლად წარვუდგინოთ იგი შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს იმ ვარაუდით, რომ ცნობები უპასუხებდეს შემდეგ კითხვებს:

α) დამზადება
β) გაზიდვა
γ) დაცურება
δ) დატვირთვა
ε) შემოსავალი

დაწერილია 1921 წლის 11 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა საიმპორტო გეგმის შესახებ [297]

1) სახკომსაბჭო არ ამტკიცებს შეთავაზებულ შემოზიდვის გეგმას იმის გაძო, რომ ერთიანუთად მაინც არის გაზვიადებული **.

2) სახკომსაბჭო ავალებს შრომისა და თავდაცვის საბჭოს დაუყოვნებლივ შექმნას საერთო-საგეგმო კომისია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ექსპერტები, იმასთან დაავალოს მას

---

* იგულისხმება 1921 წლის 14 თებერვალი. რ ე დ.

** 1-ლი პუნქტი ხელნაწერში ვ. ი. ლენინს გადაუხაზავს და ზემოთ წაუწერია: «კრასინისეულია». რ ე დ.

(ან მის ქვეკომისიას) ამ გეგმის შემცირება და გადასინჯვა იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენს დღევანდელ სამეურნეო პირობებში პრაქტიკულად გამოსაყენებელი იყოს ის, რასაც ვყიდულობთ. საბოლოოდ დაამტკიცოს შრომისა და თავდაცვის საბჭომ.

3) მომავალში ამ გეგმის გადასინჯვამდე საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს უფლება არა აქვს გასცდეს ამ გეგმის $^1/_5$ ფარგლებს 71 ძირითადი განაცხადიდან თითოეულის მიხედვით; სამხედრო უწყებისთვის $^1/_{10}$; ამასთან იმ საგალღებულო პირობით, რომ პირველ ადგილზე იყოს დაყენებული სითბობის მომპოვებელი და მეტალურგიული მრეწველობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. გამონაკლისის ნებას დართავს შრომისა და თავდაცვის საბჭო.

დაწერილია 1921 წლის 15 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი
საერთო-საგეგმო კომისიის შესახებ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების ძირითადი პუნქტისა [298]

შრომისა და თავდაცვის საბჭოს წევრებს პირადად ამხ. ლენინისაგან

ხვალ (18/II.) შრომისა და თავდაცვის საბჭოში შემაქვს პროექტი დადგენილებისა საერთო-საგეგმო კომისიის შესახებ, გთავაზობთ — ცნობად — დადგენილების ძირითადი პუნქტის პროექტს და წევრთა წინასწარ სიას (რომელიც ამხ. რიკოვთან და ამხ. კრჟიჟანოვსკისთან თათბირის შემდეგ შევადგინე) * გთხოვთ შრომისა და თავდაცვის საბჭოს 18/II სხდომისთვის მოამზადოთ შესწორებანი ან კონტრპროექტი.

---

* იხ. ლენინის XX კრებული, გვ. 24. *რედ.*

შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან იქმნება საერთო-საგეგმო კომისია, რათა შეიმუშაოს ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი სამეურნეო გეგმა საბჭოების მე-8 სრულიად რუსეთის ყრილობის მიერ მოწონებული ელექტრიფიკაციის გეგმის საფუძველზე და საერთო მეთვალყურეობა გაუწიოს ამ გეგმის შესრულებას.

პირველი რიგის სამეურნეო ამოცანები, მეტადრე ისინი, რომლებიც უახლოეს ხანში, კერძოდ, 1921 წლის მანძილზე უნდა განვახორციელოთ, უფრო დაწვრილებით უნდა შეიმუშაოს საერთო-საგეგმო კომისიამ ან მისმა ქვეკომისიამ, ამასთან სავსებით უნდა გაითვალისწინონ კონკრეტული ეკონომიური სინამდვილის არსებული პირობები.

დაწერილია 1921 წლის 17 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაწერილი
ეგზემპლარის მიხედვით

სიტყვა ქ. მოსკოვის პარტიული აქტივის კრებაზე 1921 წლის 24 თებერვალს [299]

დღევანდელი საუბრის ხასიათი რამდენადმე მაოცებს. მგონია, რომ ახლა პოლიტიკური მომენტი ისეთი არ არის. უნდა ვებრძოლოთ შექმნილ მდგომარეობას, რომელიც შინაგანი მხრივაც და საერთაშორისო მხრივაც გაუარესდა. პოლონეთთან ზავი ჯერაც არ დაგვიდვია, ქვეყნის შიგნით ბანდიტიზმის ზრდა და კულაკური აჯანყებებია. სურსათისა და სათბობის საქმე საშინლად გაუარესდა. შარშან წლის პირველ ნახევარში 15-15 მილიონ ფუთ პურს ვხარჯავდით, მეორე ნახევარში — 8-8 მილიონს, წელს პირველ ნახევარში დავხარჯეთ 25 მილიონი ფუთი, ახლა კი ულუფა უნდა შევამციროთ და დარწმუნებულიც არა ვართ, რომ რეგულარულად გავცემთ მას. აშკარა შეცდომაა ის, რომ პური არასწორად გავანაწილეთ წლის პირველ ნახევარში; არ უნდა აგვეყვანა პურის ხარჯი 25

მილიონამდე. ახლა ციმბირიდან ვერაფერს ვეზიდებით, რადგან აჯანყებულმა კულაკებმა რკინიგზის ხაზი გადაჭრეს. ჩვენი ციმბირელი ამხანაგები გვეუბნებოდნენ, შესაძლოა კულაკები აჯანყდნენო, მაგრამ აჯანყების ოდენობის განსაზღვრა ძალზე ძნელია. ეს ომი როდია, რომელშიც შეიძლება გაითვალისწინო ძალები. ციმბირელი გლეხობა ჯერ არ არის შეჩვეული გაჭირვებას, თუმცა იმდენად გაჭირვებული არ არის, რამდენადაც ევროპული რუსეთის გლეხობა, და გამოვიდა ციმბირთან მიმოსვლის შეწყვეტა, შემოზიდვის შეწყვეტა. დაახლოებით 1-დან 10 მარტამდე სურსათ-სანოვაგის საქმე არ გაუმჯობესდება. მარაგი არ დაგვიტოვებია. ახლა ყველაფერი უნდა მოვახმაროთ იმას, რომ გავუძლოთ, მაქსიმალური სიმტკიცით გადავიტანოთ ეს მდგომარეობა. კავკასიიდან მოზიდვა ერთგვარად გაუმჯობესდა, მაგრამ გაუარესების შანსიც არის. ეტყობა, სომხეთში აჯანყება დამშვიდდება [300], მაგრამ კავკასიიდან შემოზიდვა ვერავითარ შემთხვევაში ვერ აგვინაზღაურებს იმას, რომ ციმბირიდან ვერაფერს ვეზიდებით, თუმცა სამხრეთ-აღმოსავლეთის გზას აიძულებენ შეავსოს ზარალი. ცნობები სამწუხაროა, მაგრამ რას იზამ.

ბანდიტიზმში ესერთა გავლენა იგრძნობა. მათი მთავარი ძალები საზღვარგარეთაა; ისინი ყოველ გაზაფხულს ოცნებობენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობაზე. ამას წინათ ერთ საზღვარგარეთულ რუსულ გაზეთში ჩერნოვი წერდა ამის შესახებ. ესერები დაკავშირებული არიან ადგილობრივ წამქეზებლებთან. ეს კავშირი იქიდანაც ჩანს, რომ აჯანყებები სწორედ იმ რაიონებში ხდება, საიდანაც ჩვენ პურს ვიღებთ. გაწერის ჩატარება წარმოუდგენლად ძნელი იყო. ციმბირშიც არის გაწერა, მაგრამ იქ ჯერ კიდევ შემორჩენილი აქვთ გასული წლების მარაგი.

გაუარესება სათბობზეც გავრცელდა. აქ ზუსტი ციფრები არა გვაქვს, გარკვეულ დასკვნას ვერ გააკეთებ და ვერც განსაზღვრავ სათბობის კრიზისის მიზეზებს.

ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ საერთო ხასიათის უკმაყოფილება არსებობს. ეს უკმაყოფილება ქვემოდან უნდა

დაიჭირო, თუ სწრაფად არ შეიძლება საბჭოთა აპარატების, პირდაპირ პარტიის აპარატების მეშვეობით.

ბიუროკრატიზმის აღნიშვნის გარდა გეგმაშიც გვაქვს შეცდომები. გეგმა უნდა შეამოწმო, როცა მას ადგენ, პრესაში და კრებებზე უნდა განიხილო იგი. ჩვენ იძულებული ვართ შევაჩეროთ საწარმოები და ამით ვაფერხებთ იმ ქარხნების მუშაობას, რომლებსაც სათბობიც კი აქვთ. რა მოხდა? ნათელია, რომ შეცდომებს გარდა გეგმაში არის მასალა სასამართლო პროცესისათვის. უნდა დავძრათ დაწესებულებებში პროლეტარული ელემენტი.

უეჭველია, რომ დაცურების დამთავრებამდე სათბობის კრიზისს თავს ვერ დავაღწევთ. უნდა გამოვიყენოთ, რამდენადაც შესაძლებელია, სამარხილო გზა და კარგად გამოვიყენოთ დაცურება. სათბობის კრიზისმა თავი იჩინა საფეიქრო საწარმოებშიც და ისინი მინიმალურ პროგრამასაც კი ვერ ასრულებენ.

აი სიძნელეები, რაც გამოიწვია ბანდიტიზმმა და ციმბირთან მიმოსვლის შეწყვეტამ. სმირნოვის[301] ცნობა იმაზე მეტყველებს, რომ ბანდიტიზმს იქ ბოლოს მოუღებენ, მაგრამ პურის მოზიდვას გავაუმჯობესებთო. ამის პირობას ვერ იძლევიან. ამიტომ საერთო მდგომარეობაზე ლაპარაკს თავი დავანებოთ და მთელი მეცადინეობა იმას მოვახმაროთ, რომ ამ მდგომარეობიდან გამოვიდეთ.

რამდენიმე სიტყვა მოსკოვის ორგანიზაციაში შექმნილ მდგომარეობაზე. ზოგი ამხანაგი კინკლაობაში ადანაშაულებს მოსკოვის კომიტეტის უმრავლესობას. თუ უმცირესობა უკმაყოფილოა, შეუძლია კონფერენციის დადგენილება გაასაჩივროს ცენტრალურ კომიტეტში. არ ვიცი, ცენტრალური კომიტეტი როგორ გადაწყვეტს ამ საკითხს, მაგრამ პირადად ჩემი აზრია, რომ ბრალი უმცირესობას მიუძღვის. სრულიად რუსეთის კონფერენციის რეზოლუცია ამბობს, ანგარიში უნდა გავუწიოთ უმცირესობის აზრს, საჭიროა პარტიის შიგნით განხილვა და დისკუსიაო[302]. ნოემბერში საგუბერნიო კონფერენციაზე მოხდა მოსკოვის კომიტეტის არჩევნები ამ პლატფორ-

მით[593]. გამოიყენეს ორი ოთახის სისტემა, რაც უკვე არის ბზარი; მაგრამ ასეთი რამის კიდევ მოთმენა შეუძლებელია. ჩვენ კრიტიკის ნება კრიტიკისთვის კი არ დავრთეთ, არამედ იმისთვის, რომ სწორი დასკვნები გავკეთებინა. მოსკოვმა რეკორდი დაამყარა დისკუსიებში. ნოემბერში ლაპარაკობდნენ მოსკოვის კომიტეტის არასწორ ხაზზე და ამას ხმა მისცა 120 კაცმა. დისკუსიის დროს, როცა თითოეულმა თავისი პლატფორმა წამოაყენა, მოსკოვის კომიტეტის წინააღმდეგ უკვე ნაკლები იყო. ეს რა დემოკრატიაა, თუ კონფერენციას მოსკოვის კომიტეტის არჩევა არ შეუძლია? სამი თვის დისკუსიის შემდეგ კინკლაობაში ბრალი ედება იმას, ვინც უკმაყოფილოა. რა თქმა უნდა, არის ფორმალური უფლება გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, მაგრამ რევოლუციონერთა ვალია დაირაზმონ გაჭირვების ჟამს და არა ბოროტად გამოიყენონ გასაჩივრების ფორმალური უფლება.

67 საზღვარგარეთულ რუსულ გაზეთში ვკითხულობთ, თუ როგორ იმედოვნებენ ესერები და სხვანი, რომ გაზაფხულზე ჩვენს შეჯახებას მოაწყობენ უპარტიო კონფერენციებზე. და ასეთ დროს ამბობენ: კონფერენციის დადგენილებას გავასაჩივრებთო. უნდა გესმოდეს, რისთვის, როდის და რა უნდა გაასაჩივრო. ჩვენ ყველას მივეცით შესაძლებლობა გამოეთქვა თავისი აზრი, მოვაწყვეთ დისკუსია, — და ყრილობა გადაწყვეტს, ახლა კი საბრძოლო პოსტზე ვდგავართ. უნდა შევმჭიდროვდეთ და შევიგნოთ, რომ კიდევ ერთი ნაბიჯი დისკუსიისკენ და ჩვენ უკვე პარტია აღარ ვიქნებით. მე ოდნავადაც არ უარვყოფ გასაჩივრების უფლებას და ვამბობ, რომ უდისკუსიოდაც შეგვისრულებია ჩვენი ვალი და ახლაც უნდა ვიცოდეთ იგი. უნდა დავგზავნოთ კომუნისტები ყველა უპარტიო ორგანიზაციაში, რათა განმარტონ ეს მძიმე მდგომარეობა.

პირველად დაიბეჭდა 1963 წელს

ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 42

იბეჭდება
საოქმო ჩანაწერის
მანქანაზე გადაწერილი
ეგზემპლარის მიხედვით

შენიშვნები ნედლეულის რესურსების მობილიზაციის საკითხზე [304]

1921. 26. II-ის სხდომა

ნედლეული

	იყო	1920	მოსავალი	შეადგენდა
ბოჭკო				
ბამბა	725 ათ. დეს.	100 ათ. დეს.	12 მლნ. ფ.	22-მდე
სელი	1,1 »	0,3 »	25,6 »	
ქერელი	485 »	238 »	20 »	
მატყლი			6 »	(5)

	1920	აკრეფილია 1920
ბოჭკო		
ბამბა	1,5 მლნ. ფ.	0,9 მლნ. ფ.
სელი	2,9 »	2,0 »
ქერელი	4,5 »	1,3 »
მატყლი	2,5 »	1,5 »

ტყავი
იყო 8,8 (30%) შეკრებილია 1921. 1. II-მდე
არ იციან... 28,5 მლნ. ფ 1920—1921 გაწერა
ბეწვეული 40 მლნ. ტყავი — 17,5 გაწერა
(70% ციმბირშია აკრეფილი (დავალება)
30% მათ შორის მომთაბარე) — 0,6 აკრეფილია
(= 4%)

1920. IX-ში სურსათის სახალხო კომისარიატს გადაეცა და იგი ჩაფუშავს საქმეს, რადგან ვერ იყენებს საქონელგაცვლას მომთაბარეებთან.

	საჭიროა:
ბამბა	20—24 მლნ. ფ.
მატყლი	5 » »
სელი	12 » »
ქერელი	15 » »

Σ = 56 მლნ. ფ. მთელი საფეიქრო ნედლეულისა
Σ = 56 მლნ. ფ.

ჩვენში მოთხოვნილების 21%-ის დაფარვა შეუძლია მოსავალს

მარაგი 14,8 მლნ. ფ. საწყობებშია (ახლა 1921. II)

ზომები (*remedies*):

1) თავისუფლება სელსა და სხვა მისთანებზე პურის ადგილობრივი გაცვლისა;

2) გაწერის პრინციპი, რომელიც ავითარებს მიწათმოქმედის ენერგიას მოსავლის გასადიდებლად;

3) აიკრძალოს საფეიქრო თესლის გადამუშავება ზეთად (ახლა აკრძალულია);

4) გამოვართვათ მოსახლეობას თესლი ნათესების გასადიდებლად

} უზრუნველვყოთ მისთვის მოსავლის გარკვეული ნაწილი;

5) გაუმჯობესებული გადამუშავების პრემირება;

6) ((ორგანიზაციული ზომა))

მოსახლეობის უაღრესად ფართო მოზიდვა ნედლეულის გასაუმჯობესებლად (არტელები, ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა ნ ი და სხვა მისთანანი);

7) ნედლეულის გადაქმუშავებელი პატარა წვრილი ქარხნების წახალისება.

მატყლი:

8) დავაჯილდოოთ ყირგიზები თუნდაც 1 არშინი მანუფაქტურით 1 ფუთი მატყლისათვის

{ 1920. 1. X. გადაეცა სურსათის სახალხო კომისარიატს, მან მოშალა }*

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* ხელნაწერის არეზე ლენინის შენიშვნაა, ჯანყოით მინაწერი: «ნედლეულის შესახებ მაჩვენეთ სახკომსაბჭოში, როცა ეს საკითხი წამოიჭრება». რ ე დ.

დადგენილება შრომისა და თავდაცვის საბჭოსი მუშათა მომარაგების გაუმჯობესების შესახებ [305]

1921 წ. 28. II.

შრომისა და თავდაცვის საბჭო აღგენს მიღებულ იქნეს დაუყოვნებლივი და საგანგებო ზომები იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს გაჭირვებულ მუშათა მომარაგება სურსათით და პირველი საჭიროების საგნებით, ამ მიზნით ასიგნებულ იქნეს ფონდი ათ მილიონამდე ოქროს მანეთის ოდენობისა და გაიგზავნოს საზღვარგარეთ დელეგაცია სათანადო საგნების სასწრაფოდ შესაძენად, — დელეგაციაში მონაწილეობა უნდა მიიღონ საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენლებმა.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

გეგმა წერილისა ბაქოელი ამხანაგებისადმი [306]

საიდუმლოდ

წერილი ბაქოელ ამხანაგებს
(კონცესიების საკითხისათვის)

წინასწარი გეგმა:

1. იწყება უთანხმოებანი უაღრესად მნიშვნელოვან საკითხზე. **(სახკომსაბჭოს გადაწყვეტილება.** 1921, მისი ტექსტი).
2. კონცესიები ბაქოში? ნიმუში და მთავარი რამ მთელ უთანხმოებაში, მისი «ფოკუსი».

—8. კონტრმოსაზრებანი (A 1 — a 6).
+8 bis.

9. მათი გარჩევა და უარყოფა.
10. საკითხის ეკონომიური არსი.
11. გიგანტური პოლიტიკური შეცდომაა.

12. საკითხის პრინციპული არსი.
13. სანიმუშო ხელშეკრულება.
14. დასკვნა.

N B

a I მოწინააღმდეგის მთავარ «მოსაზრებათა»
II (და მთავარ შეცდომათა)
III მთავარი სტადიები
IV მოწინააღმდეგის «უკან დახევა»
V «სანგრების ხაზი», რომელთა მიღმა
VI ცრურწმენა ცდილობს მიმალვას

3. (a I) «არ მოისურვებენ კაპიტალისტებისთვის მუშაობას, როცა გვერდზე თავიანთვის მუშაობენ.».
4. (a II) «კრასინს ზურგს უმაგრებს ბოგდატიანი»

კრასინი: რაში მდგომარეობს საერთო პრინციპული შინაარსი კამათისა კრასინის პიროვნების შესახებ? უბრალოდ «ბურჟუაზიული სპეცია»!

სპეცების მოტყუება

(სპეცების მნიშვნელობის და მათდამი დამოკიდებულების საკითხი.)

4 *a*. «ბურჟუაზიული სპეცია»? გაეთრიოს!
უნდა შეგვეძლოს გამოვიყენოთ «ბურჟუაზიული სპეცი», გამოვკითხოთ მას, გავიგოთ, რა შეადგენს მის «ძალას».

4 ბ. «კეთილგანმზრახი კომუნისტური მუსიკოსები», რომლებმაც ყურთასმენა წაიღეს, მაგიერად ღვინოს არ სვამენ და ზნეობაც კარგი აქვთო».

5 (a III) «კერძო კაპიტალიზმი მტაცებელია, მარტოოდენ სახელმწიფო ხელისუფლებას (ნაციონალიზაციას) ძ ა ლ უ ძ ს რაციონალურად გაუძღვეს საქმეს».

6. (ა IV) «როდია დამტკიცებული, რომ ჩვენ თვითონ ვერ ვიშოვით მოწყობილობას».
(= თვითონ მოვაგვაროთ).
7. (ა V) უცხოელთა გაკონტროლებას ვერ ავუვალთ.
8. (ა VI) ჩ ვ ე ხ ი სპეცები ამბობენ «პრობლემატურია» (სახელდობრ რაა პრობლემატური და რა უნდა შ ე გ ვ ე ძ ლ ო ს გამოვკითხოთ სპეცს).

8 bis (ა VII) { **ბაქო:** კატასტროფა. **გროზნო.** ვარიანტი. }

$^1/_4$ სარეწებისა, მოწყობილობა და სხვ. — იოწინავე კაპიტალიზმის **«ზ ურ გ ი ა».**

10. ეკონომიური საკითხი: განა ახლა ჩვენზე მაღლა დგას მოწინავე კაპიტალიზმი ტექნიკისა და ორგანიზაციის მხრივ?

10. ა. შეიძლება კი, რომ ამჟამად ამოცანად ვისახავდეთ: თვითონ მოვაგვაროთ, თუ ეს მეძარცხენე ბავშვობაა, ანუ უგუნური დოქტრინიორობა?

10 ბ. ხომ არ არის სავალდებულო, რომ ამოცანა ახლა ასე დავსახოთ: რადგან ეკონომიური ნგრევისა და ჩამორჩენილობის გამო საბჭოთა ხელისუფლებას ჩავარდნის გიგანტური საფრთხე მოელის, მოელის ის საფრთხე, რომ ჩ ა მ ო რ ჩ ე ს, ვ ე რ დ ა ე წ ი ო ს, ამოცანა მხოლოდ ასე დაისახოს: უცხოურ კაპიტალთან კავშირის მ ე ო ხ ე ბ ი თ დ ა ვ ე ე წ ი ო თ?

«თუ $^1/_4$ მივცეთ, $^2/_4$ არ ჩამოვრჩეთ», აი, **იდეალი,** რომელსაც ერთი წლის მანძილზე ვერ გადავწყვეტთ, და თუ 5 წლის მანძილზე გადავწყვიტეთ, დიდი გამარჯვება იქნება.

აი საკითხის საქმიანი, არაბავშვური დაყენება.

11. რატომ იძლევა Σ გიგანტურ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ შეცდომას? არასწორი შეფასება პერსპექტივებისა, კ ლ ა ს თ ა (პროლეტარიატი, გლეხობა, ბურჟუაზია) დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა რუსეთშიც და **მ თ ე ლ მ ს ო ფ ლ ი ო შ ი ც.**

12. ეკონომიური მნიშვნელობა = (α) ბლოკი მ ო წ ი ნ ა ვ ე ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო კაპიტალიზმთან წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი და **ჩამორჩენილი** სტიქიის წინააღმ-

დეგ = (β) ბლოკი ერთ იმპერიალისტურ ტრესტთან მეორის წინააღმდეგ.

«თვალი არ მივადევნოთ»? ვინ? მეფის და ბურჟუაზიის მოხელეებმა? ჩვენ.

$^1/_4$ მივცეთ? სწავლისათვის იდეალია. $^1/_4$ მივცეთ, $^2/_4$ დავეწიოთ ($^3/_4$ მიუღწეველი იდეალია). მაშინ 30 წლის შემდეგ (კონცესიის საშუალო ვადა) მშკიდობიანი გამარჯვება უზრუნველყოფილია, და ალბათ 15 წელიწადში გამოვისყიდით.

Etwa*:

13. § 1. ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის სამეცნიერო-ტექნიკური წესების დაცვა.

§ 2. პურის, ტანსაცმლის და მოხმარების სხვა საგნების მოზიდვა («მათი» საწარმოების მუშებისთვის).

§ 3. მოწყობილობის მოზიდვა.

§ 4, ყოველი მოზიდვა საზღვარგარეთიდან (§ 2 და § 3) გვაძლევს ასეთსავე პროდუქტს $^1/_4$ — $^1/_3$. (წილის ყრით 3 «ყუთიდან» ერთი ჩვენ.)

§ 5. ჩვენ ვაძლევთ მინიმუმს (ხე-ტყეს, მაგალითად) და განსაკუთრებული ფასით.

§ 6. ჩვენი კანონები სავალდებულოა.

§ 7. ვაძლევთ «მას» 50 — 75% ნავთობს.

§ 8. რიგრიგობით ვაჭმევთ ჩვენს მუშებსა და სპეცებს.

§ 9. ვსწავლობთ სერიოზულად, როდი ვუკიჟინებთ «სიმრავლით გაჯობებთო».

14. უნდა **ვეცადოთ** კი, რომ ვიპოვოთ ასეთი კონცესიონერები ასეთი პირობებით?

აი საკითხის ერთადერთი სწორი დაყენება.

დაწერილია 1921 წლის თებერვლის
მეორე ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* — **დაახლოებით.** რედ.

შენიშვნები ელექტრიფიკაციის შესახებ

1

ელექტრიფიკაციის მნიშვნელობა

1. თანამედროვე ტექნიკა.

2. მწარმოებლურ ძალთა აღდგენა. მათი ამაღლება.

3. ცენტრალიზაცია — maximum.

4. კომუნიზმი = საბჭოთა ხელისუფლება + ელექტრიფიკაცია.

5. საერთო და ერთიანი გეგმა: ხალხის ყურადღებისა და ძალ-ღონის ცენტრალიზაცია.

6. კულტურის აღძავლობა (მშრომელებისა).

7. არა უბრალო წერა-კითხვის ცოდნა.

2

ელექტრიფიკაციისათვის

1) გეგმის დამტკიცების დეკრეტი...

2) ტექნიკურ ძალთა მობილიზაცია.

{ როგორც ელექტროტექნიკური ძალების, ისე მუშა ძალების შეკრება.
სადგურების გამოყენება.
აგიტაცია და პროპაგანდა.
თეორიული და პრაქტიკული სწავლება ელექტრობის შესახებ. }

3) დეკრეტი გოელროს შესახებ.

4) დეკრეტი სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების შესახებ...

5) დეკრეტი სრულიად რუსეთის ელექტროტექნიკური ყრილობის შესახებ.

6) პეტროგრადი. ქვანახშირი საზღვარგარეთიდან მურმანსკის გზით.

დაწერილია 1921 წლის თებერვალში

პირველად დაიბეჭდა: 1-ლი — 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში; მე-2 — 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დამატება სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტისა უმაღლეს სასწავლებლებში სავალდებულო სამეცნიერო მინიმუმის შესახებ [307]

საბჭოების სრულიად რუსეთის მე-8 ყრილობის რეზოლუციის საფუძველზე უნდა დავუმატოთ

ელექტრიფიკაციის გეგმა,
მისი ეკონომიური საფუძვლები,
რუსეთის ეკონომიური გეოგრაფია,
გეგმის განხორციელების მნიშვნელობა და პირობები.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 5 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რკპ(ბ) X ყრილობა

1921 წლის 8—16 მარტი [308]

1

«ათის პლატფორმის» მომხრეთა თათბირზე გამოსვლის კონსპექტი [309]

1) ზედა ფენები (ბიუროკრატიული) მუშათა ოპოზიციაში...
2) ქვედა ფენები, ჭეშმარიტად მასასთან, პროლეტარულ მასასთან ჭეშმარიტად დაკავშირებულნი...

3) უაღრესად გადამწყვეტი იდეური ბრძოლა მუშათა ოპოზიციის (ზედა ფენის) სინდიკალისტური და მახაევისებური გადახრის წინააღმდეგ
4) ყრილობის გადაწყვეტილება, რომელიც პრინციპულად გმობს მუშათა ოპოზიციის სინდიკალისტურ, ანარქისტულ, მახაევისებურ გადახრას
5) ყრილობის გადაწყვეტილება (სახელდებითი კენჭისყრით) ფრაქციების ან ფრაქციულობის კვალის დატოვების წინააღმდეგ
6) დავემუქროთ — — პარტიიდან გარიცხვით და ცენტრალური კომიტეტიდან კანდიდატებად გადაყვანით ((თანახმად ცენტრალური კომიტეტის + საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებისა + ყველა კანდიდატი + $^{2}/_{3}$??)) [310]
7) ავიყვანოთ ცენტრალურ კომიტეტში ჭეშმარიტად პროლეტარული ელემენტები
8) **შ ე ვ ა ლ წ ი ო თ**, შევისწავლოთ, გამოვიკვლიოთ, დავზვეროთ...
9) რამდენიმე ორატორი (ყრილობაზე) ამ ხაზის გასატარებლად **ახლავე** ავირჩიოთ
10) «10 პლატფორმის» ბიურო... **ავირჩიოთ**
11) რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო (α) მეტი ერთიანობისა და საერთოდ დისციპლინის შესახებ, ცენტრალურ კომიტეტშიც; (β) ორგბიუროს ნაკლები ბიუროკრატიზმის შესახებ
12) შემდეგი თათბირი პიტერელთა (და ზინოვიევის) ჩამოსვლის დღეს (ან მეორე დღეს)
+ 13) ყრილობის გადაწყვეტილება პარტყრილობის **ა ნ გ ა რ ი შ ი ს** შესახებ პრესაში: შევარბილოთ ფრაქციული დავა, ვაჩვენოთ ერთიანობა.

დაწერილია 1921 წლის მარტში,
არა უგვიანეს 9 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

2

შენიშვნა პარტიის ერთიანობის შესახებ რეზოლუციის რაფაილისეული (რ. ბ. ფარბმანისეული) შესწორების გამო 16 მარტს [311]

მგონია, რომ ეს შესწორება არ უნდა მივიღოთ. როცა ჩვენი დისკუსია დაიწყო, «პრავდაში» ვერ დავიცავით დაყოფა, — პოლიტიკური სტატიები სადისკუსიოში აირია. აქ ულტიმატურად კი არ ვამბობთ, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ პრესაში გატანა საჭირო არ არის.

პირველად დაიბეჭდა 1921 წელს წიგნში: «რუსეთის კომუნისტური პარტიის მეათე ყრილობა. სტენოგრამული ანგარიში (1921 წ. 8 — 16 მარტი)». მოსკოვი

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით, რომელიც შეჯერებულია სტენოგრამასთან

3

შენიშვნა კისელიოვის გამოსვლის შესახებ პარტიის ერთიანობის თაობაზე რეზოლუციის გამო 16 მარტს [312]

ამხანაგებო, დიდად ვწუხვარ, რომ ვიხმარე სიტყვა «ტყვიამფრქვევი», და საქვეყნოდ გპირდებით ამიერიდან ხატოვანადაც ასეთი სიტყვები არ ვიხმარო, რადგან ისინი ხალხს ამაოდ აშინებენ და შემდეგ ვეღარ გაიგებ, რა სურთ მათ. (ტ ა შ ი.) არავინ აპირებს ვინმეს ტყვიამფრქვევი დაუშინოს, და აბსოლუტურად დარწმუნებული ვართ, რომ არც ამხ. კისელიოვს, არც ვინმე სხვას სროლა არ მოუხდებათ.

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს წიგნში: «რკპ(ბ) მეათე ყრილობა. 1921 წლის მარტი». მოსკოვი

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით, რომელიც შეჯერებულია სტენოგრამასთან

4

შენიშვნა ანარქისტული და სინდიკალისტური გადახრის შესახებ რეზოლუციის მარჩენკოსეული შესწორების გამო 16 მარტს [313]

ეს რომ ყრილობის სახელით ვთქვათ, მეტისმეტად ამკრძალავია. წინადადებას ვაყენებ არ მივიღოთ ეს შესწორება, ამასთან, რა თქმა უნდა, ცენტრალურ კომიტეტს არ წავართვათ უფლება შესთავაზოს და, თუ საჭირო იქნა, ყველაფერს თავი მოუყაროს ცენტრალური კომიტეტის კრებულებში; მაგრამ ყრილობის სახელით რომ განსაკუთრებულად ავკრძალოთ ადგილებზე კრებულების გამოცემა, მე მეტისმეტი მგონია.

პირველად დაიბეჭდა 1921 წელს წიგნში: «რუსეთის კომუნისტური პარტიის მეათე ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში (1921 წლის 8 — 16 მარტი)». მოსკოვი

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით, რომელიც შეჯერებულია სტენოგრამასთან

წინადადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ფულადი გადასახადების გაუქმების შესახებ სრულიად რუსეთის ცაკის დადგენილების პროექტის გამო

წინადადებას ვაყენებ მოვხსნათ (ნატურგადასახადის შემოღების და ვერცხლის ვალუტის მომზადების გამო) [314].

16/III. ლენინი

დაწერილია 1921 წლის 16 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა ტამბოვის გუბერნიაში დამზადებათა შესახებ

19/III.

პოლიტბიუროს წევრთა შესაკითხავად

ტამბოვის გუბერნიაში დამზადებათა მთლიანად შეწყვეტის შესახებ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გასაუქმებლად დადგინდეს:

ნებადართულ იქნეს, რომ ტამბოვის გუბერნიაში დაამზადონ მხოლოდ დიდი მოცულობის ფურაჟი და მხოლოდ იმ სამხედრო ძალთა საჭიროებისათვის, რომლებიც იქ ადგილობრივი ბანდიტების წინააღმდეგ მოქმედებენ[315].

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 19 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომა

1921 წლის 11 აპრილი[316]

1

რეპლიკა კამათის დროს

ჩვენ ახლა ძოვისმინეთ უაღრესად დიპლომატიური სიტყვები ამხ. შლიაპნიკოვისა და ამხ. რიაზანოვისაგან, რომლებიც თუმცა ამჟამად უაღრესად ხმამაღლა გამოთქვამენ პროტესტს, მაგრამ მაინც იმდენად დიპლომატიურად აცხადებენ პროტესტს, რომ კონცესიონერებთან და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან მოსალაპარაკებლად ისინი უაღრესად კარგნი იქნებოდნენ. ჩვენ მოვედით კრებაზე, რომელსაც მე მოვახსენებ ცენტრალურ კომიტეტსა და სახკომსაბჭოში მომხდარ უთანხმოებაზე. ისინი

თავს იჩენენ აქაც დისკუსიაში... უთანხმოებათა შედეგად გაჩნდა X ყრილობის დადგენილება, რომელიც ამბობს: «მოწონებულ იქნეს სახკომსაბჭოს დიკრეტი და გაიცეს კონცესია ბაქოსა და გროზნოში». ჩვენ გვსურს, რომ ამ საკითხზე აქ დისკუსია გავმართოთ, ამიტომ მე გთხოვდით უარგეყოთ შლიაპნიკოვისა და რიაზანოვის წინადადება და საშუალება მიგეცათ მათი ცოდნისმოყვარეობისათვის, რომ არ ვთქვათ ცნობისმოყვარეობისათვის, დაკმაყოფილებულიყვნენ მოსალოდნელი დისკუსიის შედეგით.

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება სტენოგრამის მიხედვით

2

საგოლოო სიტყვა კონცესიების შესახებ მოხსენების გამო

ამხანაგებო! აქ თავიდანვე წამოიჭრა საკითხი, დიდი უთანხმოებაა თუ არა ჩვენ შორის კონცესიების თაობაზე, და გამოითქვა, სხვათა შორის ამხ. შლიაპნიკოვის მიერ, სურვილი, რომ უფრო სისტემატურად გასცნობოდნენ თითოეულ ხელშეკრულებას. ვშიშობ, რომ ეს შეუსრულებელი რამ არის, უბრალოდ ტექნიკური პირობების გამო. მაგალითად, რაც შეეხება ცალკეულ სახელმწიფოებთან საზავო ხელშეკრულებებს, იმ საერთო დირექტივების შემდეგ, რომლებიც თავდაპირველად უაღრესად დეტალურად მუშავდებოდა, შემდგომ ჩვენი საქმე ისე წარიმართა, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებთან საზავო ხელშეკრულების ცნობილი ტიპი უსიტყვოდ იქნა მიღებული, ხოლო მრავალი დეტალი დაეკისრათ იმ წარმომადგენლებს, რომელთაც ხელშეკრულების ხელმოწერა ევალებოდათ. და ამ დეტალების დიდი უმრავლესობა, ალბათ, უცნობია სახკომსაბჭოსა და ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობისათვის. ასეა აქაც: ჩვენ გვაინტერესებდა პრინციპული საკითხი და გვეგონა, რომ არსებობს უთანხმოების გაჩენის საშიშროება ამიტომ პარტიულ ყრილობას ჩარევა დასჭირდა, ამიტომ ეს

კრებაც, რომელიც მხოლოდ პარტიის წევრებს მოიცავს, ურთიერთისათვის გაცნობის მიზნით იყო მოწვეული. ჩვენ წაგიკითხეთ ის, რაც სახკომსაბჭომ მიიღო[317].

სახკომსაბჭოს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ორი მეტად გამოჩენილი პროფესიონალისტის წინადადების მიუხედავად. გაცნობის რა სხვაგვარი წესი აქვს კომუნისტური ფრაქციის წევრთა უმრავლესობას, გარდა ასეთი კრებისა? გამოდის, რომ უთანხმოება უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ჩვენ ვფიქრობდით. ეს ჩვენთვის ყველაზე სასურველია. ამ კრების ოქმი არ დგება, პრესაში მის განხილვას არ ვვარაუდობთ. მიზანი მიღწეულია.

სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებას რომ გაუწყებთ, ამით ჩვენ გაგებინებთ, თუ როგორ მივიღეთ პარტიული ყრილობის გადაწყვეტილება. დარჩენილი უთანხმოებანი არ აღემატებიან იმათ, რომლებიც ჩნდებიან სხვადასხვა საკითხზე მიმდინარე მუშაობაში და გადაიჭრებიან უბრალო კენჭისყრით, რითაც არ იქმნება საბაბი, რომ მუშაობისათვის დაბრკოლებად იქცნენ. უმრავლესობისადმი დამორჩილება მაშინ არა მარტო ფორმალურია, არამედ ისეთი, რომელიც შემდგომ მუშაობას არ აფერხებს. მე მგონია, აქ ჩვენ ისეთ შედეგს მივაღწიეთ, რომ არ გამომჟღავნებულა არავითარი სერიოზული უთანხმოება, ხოლო ყირიმი უთანხმოებანი თვით მუშაობის მსვლელობით აღმოიფხვრება.

ამხ. რიაზანოვი, უკვე იმის გამო, რომ იგი თავისებურია, ეჭვილობდა უთანხმოებანი მუშათა ოპოზიციისათვის მიეტმასნა. მან სპეციალურად შეარჩია ისეთი ფორმულირება, რომელსაც ვინმე უნდა გაეღიზიანებინა, მაგრამ მან ამას ვერ მიაღწია და არც ერთი ორატორი ამას არ აჰყვა.

ერთმა ამხანაგმა ბარათში დაწერა, ჩვენ აქ მეორე ბრესტის ხელშეკრულებას ვდებთო. პირველი კარგი აღმოჩნდაო, მეორეზე კი ეჭვობს. ნაწილობრივ ეს სწორია, მაგრამ ეს ხელშეკრულება ეკონომიკის დარგში რაღაც საშუალოა ბრესტის ხელშეკრულებასა და ყოველ ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან დადებულ ხელშეკრულებას შორის. ჩვენ უკვე რამდენიმე

ასეთ ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი, მათ შორის, ერთ სავაჭრო ხელშეკრულებასაც ინგლისთან. კონცესიების შესახებ დადებული ხელშეკრულება საშუალო იქნება ბრესტის ხელშეკრულებასა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან დადებულ ასეთ ხელშეკრულებებს შორის.

შემდეგ ამხ. რიაზანოვმა გააკეთა ერთი სავსებით სწორი შენიშვნა, რასაც მე მსურს თავიდანვე ხაზი გავუსვა. მან თქვა: თუ ჩვენ გვსურს კონცესიები დავდოთ, ეს არა იმისათვის, რომ მუშათა მდგომარეობა გავაუმჯობესოთ, არამედ საწარმოო ძალთა აღმავლობისათვისო. სავსებით სწორია! მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ჩვენ არავითარ შემთხვევაში უარს არ ვამბობთ. მე მაქვს შვეციის ქარხნების საზოგადოება «ბურთულასაკისართან»[318] დასადები ხელშეკრულების პროექტი, დაწერილი სახალხო მეურნეობის საბჭოს მოღვაწეთა მიერ (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს).

ამ ხელშეკრულებაში არ არის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების ვალდებულება. მართალია, იგი ისეა აგებული, რომ რუსეთის მთავრობა თვითონ კისრულობს მუშათა მომარაგებას ყველაფრით, რაც საჭიროა, და თუ იგი ამას არ შეასრულებს, მაშინ კაპიტალისტები მიიღებენ უფლებას, რომ მუშები საზღვარგარეთიდან შემოიყვანონ. რაც შეეხება იმას, რომ რუსეთის მთავრობას ძალუძს შეასრულოს ყველაფერი, რაც გეგმით განკუთვნილია მუშებისათვის, ვფიქრობ, არც ჩვენ, არც სახალხო მეურნეობის საბჭოს, არც შვედებს ილუზიები არ შეიძლება გვქონდეს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში აქ ამხ. რიაზანოვი სავსებით მართალია, რადგანაც კონცესიებში ძირითადია არა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ საწარმოო ძალთა აღმავლობა და ისეთი გარიგება, რომლის დროსაც ჩვენ თანახმა ვართ დიდი მსხვერპლი გავიღოთ პროდუქტთა რაოდენობის გადიდებისათვის. მაგრამ რით გამოიხატება ეს მსხვერპლი? მითხრეს, თითქოს შემელამაზებინოს ანდა შემემცირებინოს ეს მსხვერპლი. ამ მხრივ განსაკუთრებით ცდილობდა ენამახვილობას ამხ. რიაზანოვი. მე არ ვამცირებდი ამ მსხვერპლს, მაგრამ ვამბობდი, რომ შეიძლება ზოგების

არა მარტო ასობით, არამედ ათასობით პროცენტი მიგვეცა კაპიტალისტებისათვის. სწორედ ამაშია მთელი არსი!

თუ ჩვენ, მე ვფიქრობდი, სპეციალისტთა გაანგარიშების საფუძველზე, ჩვენთვის ვიღებთ ნავთობის 30 — 40 პროცენტს, თუ კაპიტალისტი მის მიერ ნაწარმოები 100 მილიონი ფუთი ნავთობიდან 50 — 60 მილიონ ფუთს წაიღებს, და რადგან ტრანსპორტი აქვს, მას 1000 პროცენტის და იქნებ მეტი მოგებით გაჰყიდის, მაშინ მდგომარეობა ნათელია. და როდესაც ვცდილობდი გამერკვია, თუ რა პირობებით დაუდო კრასინმა საქმოსნებთან წინასწარი საუბრების საფუძველზე ხელშეკრულება ურჩხულებს, ვკითხე: «თუ შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი ტიპის ხელშეკრულება, რომ ჩვენ მოგების გარკვეული პროცენტი, ასე 80-მდე პროცენტი, მივცეთ კაპიტალისტს». მან მითხრა: «საქმე მოგების ოდენობას როდი ეხება, რადგან ეს ყაჩაღები ახლა 80-ს კი არა, 1000 პროცენტს იგებენ».

ჩემი შეხედულებით, მსხვერპლი უაღრესად დიდი იქნება. ალბათ, დიდი მსხვერპლის გაღება მოგვიწევს, თუ საკონცესიოდ გადავცემთ მადანს ან ტყეს, მივცემთ ისეთ ნედლეულს, რაც საზღვარგარეთ უკიდურესად ესაჭიროებათ, მაგალითად, მანგანუმის მადანს. ახლა საქართველო საბჭოთა გახდა. საქმე ეხება კავკასიის რესპუბლიკების—საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების გაერთიანებას ერთ სამეურნეო ცენტრად. ნავთობს აწარმოებს აზერბაიჯანი, იგი უნდა გავიტანოთ ბათუმიდან, საქართველოს ტერიტორიით, ასე რომ იქნება ერთიანი სამეურნეო ცენტრი.

ერთი ცნობით საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ადრე დადო კონცესია, რომელიც საერთოდ ჩვენთვის მისაღებია. წინასწარ მე მხოლოდ ის შევძელი, რომ დავუკავშირდი ქართველ ამხანაგებს და ვესაუბრე ამხ. ენუქიძეს, სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანს, თვითონაც ქართველს, რომელიც იქ იყო და საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან დადო ერთი, მართალია, არა საკონცესიო ხელშეკრულება იმის თაობაზე, რომ ისინი ჩვენ წინააღმდეგობის

გაუწევლად გვაძლევენ საქართველოს 1/6 ნაწილს და ინარჩუნებენ ხელშეუხებლობის გარანტიას [319].

ამხ. ენუქიძის მონაწილეობით ხელმოწერილი ამ ხელშეკრულების შემდეგ მათ მაინც ამჯობინეს, მიუხედავად ხელშეუხებლობის გარანტიისა, თვითონ ბათუმიდან კონსტანტინოპოლს გამგზავრებულიყვნენ, ასე რომ დადებითიც მოვიგეთ და უარყოფითიც — ისიც, რომ შევიძინეთ ტერიტორია — არა რუსეთისათვის, არამედ საბჭოთა საქართველოსათვის — ბათუმი და მისი მიდამოები, და ისიც, რომ დავკარგეთ კონსტანტინოპოლს გამგზავრებული მენშევიკები, არცთუ მცირე რაოდენობისა.

ირკვევა, რომ საქართველოს რევკომი მთლიანად მზად არის დაადასტუროს და უაღრესად დიდმნიშვნელოვნად მიიჩნიოს ქვანახშირის საბადოების კონცესია, საბადოებისა, რომელთაც ადრე სრულიად არ ამუშავებდნენ. უცხოეთის სახელმწიფოების—იტალიისა და გერმანიის—ორი წარმომადგენელი საქართველოში იყო და არ წავიდა საბჭოთა გადატრიალების მომენტში. მდგომარეობა უაღრესად დიდმნიშვნელოვანია, რადგანაც ამ სახელმწიფოებთან სასურველია განვავითაროთ ურთიერთობა, სხვათა შორის, კონცესიების მეშვეობით. იტალიას საქართველოსთან საკონცესიო ხელშეკრულებაც კი აქვს, ხოლო გერმანია ისეთ მდგომარეობაშია, რომ ზოგიერთ გერმანელ კაპიტალისტს ეკუთვნის ჭიათურის მანგანუმის საბადოების უდიდესი პროცენტი. და საქმე იმას ეხება, რომ საკუთრების ეს უფლება გადავიტანოთ იჯარაზე ან კონცესიაზე, ე. ი. იმავე გერმანელ კაპიტალისტებს იჯარის უფლებით გადავცეთ ის საბადოები, რომელთაც ისინი საკუთრების უფლებით ფლობდნენ. პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლის წყალობით კავკასიაში შეიძლება შეიქმნას საკონცესიო ურთიერთობა. ჩვენთვის კი დიდად საჭიროა ერთიმეორის მიყოლებით გავჭრათ ფანჯრები. ინგლისთან ხელშეკრულება [320] იყო სოციალისტური რესპუბლიკის ხელშეკრულება ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან, ხელშეკრულება, რომელმაც ჩვენ გარკვეული ტვირთი აგვკიდა.

ჩვენ პირველ სახელმწიფოს, რომელთანაც ხელშეკრულება დავდეთ, ოქროს ფონდის გაცილებით დიდი ნაწილი მივეცით, ვიდრე სხვებს. მაგრამ შედეგებმა ცხადყვეს, რომ ამ ხელშეკრულების მეოხებით ჩვენ რამდენადმე გავჭერით ფანჯარა. და ამ თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ ყოველგვარი კონცესია.

გერმანია და იტალია თავიანთი ეკონომიური მდგომარეობით იძულებული არიან რუსეთთან კავშირი ეძებონ. გერმანიასთან კავშირი რუსეთს გიგანტურ ეკონომიურ პერსპექტივებს უსახავს, მიუხედავად იმისა, მალე გაიმარჯვებს თუ არა იქ გერმანიის რევოლუცია. ჩვენ შეგვიძლია შევუთანხმდეთ გერმანიის ბურჟუაზიულ მთავრობასაც, რადგან ვერსალის ხელშეკრულებამ გერმანია აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა, ხოლო რუსეთთან კავშირი მას სულ სხვა შესაძლებლობებს უსახავს. რადგანაც იტალიაში არა აქვთ სათბობის საკუთარი წყაროები, ამიტომ მათ ხელი მოჰკიდეს კავკასიაში ქვანახშირის დამუშავებას, რომელიც მანამდე არავის დაუმუშავებია. გასაკვირელი არ იქნება, თუ გერმანელები დახარბდებიან ნავთობის კონცესიებს, რადგანაც გერმანიაში სრულიად არა აქვთ სათბობი.

რომელიღაც ამხანაგმა აქ თქვა, კონცესიებით კამჩატკაზე მუშათა მდგომარეობა არ გაუმჯობესდებაო. ეს სრულებითაც სწორი არ არის. და სრულებით უმართებულოდ ენამახვილობდა ამხ. რიაზანოვი, როდესაც ამბობდა, ვანდერლიპი ხათაბალას გადაგვკიდებსო. მართალია, ჩვენ ერთი შეცდომა დავუშვათ, ეს ჰარდინგისათვის დეპეშის გაგზავნაა. მაგრამ რადგანაც აქამდე ჩვენ ამერიკასთან არავითარი ხელშეკრულება და ურთიერთობა არა გვქონია, ამიტომ აქ შეცდომა არ მოგვსვლია და ჩვენ მხოლოდ ვნახეთ, რომ ვანდერლიპი იკვეხნიდა, ამერიკის მთავრობაში გავლენა მაქვსო. ახლა სავსებით შესაძლებელია, რომ კანადაში ჩვენი წარმომადგენლების გაგზავნით, სადაც ორთქლმავლები უნდა შევიძინოთ, ამ გვერდითი კარით ამერიკის ბაზარზეც რამდენადმე შევაღწიოთ.

კამჩატკის კონცესიების თაობაზე მოლაპარაკება ახლა იწყებს გამოღვიძებას და სრულებითაც მართალი არ არის,

რომ ამ კონცესიებით არ გაუმჯობესდება მუშათა მდგომარეობა. თუ ეს კონცესიები განხორციელდება, მაშინ მუშათა მდგომარეობა უეჭველად გაუმჯობესდება, რადგანაც ჩვენ მივიღებთ გარკვეულ წილობრივ ანარიცხებს, მგონი 2 პროცენტს, მაგრამ როდესაც არაფერი არა გვაქვს, მაშინ 2 პროცენტიც რაღაც არის. თუ ჩვენ მილიონიდან 20 000 მივიღებთ და მას გლეხებთან გადასაცვლელად გამოვიყენებთ, ეს მოგვცემს მუშებისათვის საჭირო პროდუქტების ნაწილს.

შემდგომ მსურდა აღმენიშნა, რომ ზოგიერთი შენიშვნა, რომელიც თქვენ მოგვეცით, მაინც ცხადყოფს, რომ პროფესიონალისტთა წრეში არსებობს ისეთი უთანხმოებანი ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გაუგებრობა, რომლებიც წარმოადგენენ ერთადერთ საშიშროებას და რომლებიც ჩვენს წრეში, იქნებ პარტიის წევრთა შორის შემდგომი განხილვის გზით, უნდა აღმოვფხვრათ. მაგალითად, ამხ. მარშევმა თქვა, გადახდა ნაღდი ფულით უნდა და არა ბონებითო. რაც შეეხება ამსტერდამელებს [321], ისინი თავს დაგვესხმიან თუ არა, ამ საკითხზე ჩვენ უნდა შევთანხმდეთ.

ამას წინათ გადავიკითხე ჩემი ბროშურა, რომელიც 1913 წლის მაისში დავწერე *. მე მასში მენშევიკურ გაზეთ «ვპერიოდიდან» [322] მომყავდა ციტატა, რომელშიც მენშევიკი ისუვი ბრალს სდებდა საბჭოთა ხელისუფლებას, იგი კონცესიების თანახმაა, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან შეთანხმებაზე მიდისო. ეს მენშევიკების გაცვეთილი ხერხია — გვისაყვედურონ კონცესიების თაობაზე. დასავლეთ ევროპაშიც ამის გამო უკვე მრავალი ჯგუფი ჩამოყალიბდა. კომუნისტებს ესმით, რომ კონცესიები ბრესტის ხელშეკრულებაა, რომელსაც ჩვენ იძულებული ვართ მივმართოთ ისეთი ქვეყნის დანგრევის გამო, სადაც გლეხთა მოსახლეობა ჭარბობს. ყველამ იცის, რომ ქვეყნის აღორძინება შეუძლებელია მსხვილი მრეწველობის უქონლად.

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 27, გვ. 385 — 425. რ ე დ.

გერმანიის კომუნისტებს ესმით, თუ რად უნდა წავიდეთ დათმობაზე, ხოლო შეიდემანოველები და II½ ინტერნაციონალი ამბობენ, რომ ეს კოხცესიები ჩვენი კრახის დამადასტურებელია, და მე მახსოვს, რომ შარშან ერთ-ერთ კრებაზე დავიმოწმე ამერიკელი შოვინისტი სპარგო *, რომელიც ბოლშევიკების შესახებ დაწერილი წიგნების მთელ გროვაში სპეციალისტდებოდა ჩვენი ალექსინსკის მაგვარად, ამასთან კონცესიების თაობაზე იგი როკავს და ზეიმობს. მე ჯერ კიდევ მაშინ ვამბობდი, ეს სრული დამახინჯებაა-მეთქი. გუშინ საერთაშორისო კაპიტალს ჩვენი დახრჩობა სურდა, დღეს კი ამ საერთაშორისო კაპიტალთან ჩვენ მთელი რიგი შეთანხმებები გვაქვს დადებული.

ჩვენ მსხვერპლს ვიღებთ, როდესაც უცხოეთის კაპიტალს ვაძლევთ მილიონობით უძვირფასეს მასალას, რომელზეც მათ შეუძლიათ ასობით პროცენტი მოგება მიიღონ. აი მსხვერპლი, რაზეც ჩვენ სავსებით შეგნებულად მივდივართ. მაგრამ ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია მათ როგორიც გნებავთ, ისეთი მოგება მიიღონ, ოღონდ ამავე დროს ჩვენ უნდა მივიღოთ ჩვენთვის საჭირო სარგებელი, ე. ი. პროდუქტთა რაოდენობის ზრდა და შეძლებისდაგვარად, როგორც საკონცესიო საწარმოებში დასაქმებული, ისე დაუსაქმებელი ჩვენი მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება.

აქ ამხ. შლიაპნიკოვმა თქვა, კარგი იქნება, თუ კონცესიებს რუსეთის მუშებს ჩავაბარებთო. მაგრამ ამის თქმა სასაცილოა. მაშინ უნდა მივცეთ სათბობისა და ა. შ. გარანტია, ჩვენ კი ამის გარანტიას ვერ მივცემთ ჩვენს ყველაზე უფრო დამკვრელ საწარმოებს. სათბობის საქმე ცუდად გვაქვს. კონცესიების თაობაზე რუს მუშებთან ყოველგვარი ხელშეკრულების დადება საერთოდ პრინციპულად სავსებით დასაშვებია, მაგრამ ჩვენი მსხვილი მრეწველობისათვის საკითხის ამდაგვარად გადაჭრა სერიოზული არ არის, რადგანაც ჩვენ მათთვის არაფრის გარანტიის მიცემა არ შეგვიძლია, მაშინ როდესაც უცხო-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 506 — 507, 527, რ ე დ.

ელ კონცესიონერებს საზღვარგარეთიდან შეუძლიათ ჩამოიტანონ. აი რით განსხვავდება უცხოელ კაპიტალისტებთან დადებული ხელშეკრულება. მათ მსოფლიო ბაზარი აქვთ, ჩვენ არა გვაქვს უზრუნველყოფილი ეკონომიური ზურგი და სულ ცოტა 10 წელი უნდა გამოვიყენოთ მისი შექმნისათვის. აი რა უნდა გავითვალისწინოთ გონივრულად. ყველა ჩვენმა მუშაკმა ამ საკითხში დაადასტურა ასეთი მდგომარეობა.

ჩვენ ვიცით, რომ ელექტრიფიკაციის გეგმა ყველაზე ეკონომიურია. ჩვენ არ შეგვიძლია რუს მუშებს იჯარით მივცეთ ჩვენი მსხვილი ქარხნები. აქ წვრილი მრეწველობის იმედი უნდა გვქონდეს, იგი უნდა განვავითაროთ და არ ვლანძღოთ უწინარეს ყოვლისა სასურსათო გადასახადის ჩვენი ზომები, როგორც მათ ლანძღავენ ამხ. რიაზანოვი ან ავტორი იმ ბროშურისა, რომელშიც წერია, რომ ჩვენ ანარქისტ-სინდიკალისტურ კანონებს ვახორციელებთ.

წვრილი მრეწველობის განვითარების მხრივ ჩვენ რამდენიმე ნაბიჯი უნდა გადავდგათ, რადგანაც აქ სახელმწიფო გარანტიის მიუცემლად შეიძლება ზოგი რამ ახლავე მივიღოთ და რადგან ჩვენ გარანტიას ვერ მივცემთ ჩვენს ყველაზე დამკვრელურ საწარმოებსაც კი, ამიტომ მთელი ძალებით უნდა განვავითაროთ წვრილი მრეწველობა, იგი ჩვენ მოგვცემს ზოგიერთ ისეთ პროდუქტს, რაც გლეხისათვის არის საჭირო.

ნაღდი ფულის ან ბონების საკითხზე გეტყვით: ეს საშიში იყო, როდესაც ხელისუფლება კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ, ჩვენთვის კი ეს არ შეიძლება საშიში იყოს, რადგანაც ჩვენ ხელთა გვაქვს ყველა ქარხანა და საწარმო და ახლა ჩვენ კაპიტალისტებს იჯარით მეათედი ნაწილიც კი არ მივეცით. ვიმეორებ, ჩვენ ბონებისა არ გვეშინია, რადგანაც კაპიტალისტები ვალდებული არიან ჰქონდეთ ის საქონელი, რასაც ჩვენ მივუთითებთ, არა მარტო დამარილებული თევზი, როგორც ეს აქ იყო აღნიშნული, არამედ ესა და ეს. რადგან ჩვენ საზღვარგარეთელი მუშის ნორმას ვიღებთ, ამიტომ ვიცით, რომ ნორმით იგი უფრო მეტს და უკეთეს პროდუქტსაც კი იღებს, ვიდრე რუსი მუშა.

აქ ამბ. შლიაპნიკოვმა თქვა «კონცესიებიც გვინახავსო». ამბ. შლიაპნიკოვსაც და ძალიან ბევრ პრაქტიკოსსაც ეს შეცდომა მოსდის. მე შემთხვევა მქონდა მომესმინა: «თქვენ კონცესიებზე სქემატურად მსჯელობთ. კაპიტალისტი ყოველთვის აცურებდა ყველაზე გამოცდილ რუს იურისტებსო». რა თქმა უნდა, აცურებდა, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება კაპიტალისტს ჰქონდა და მთელი ძალაუფლება კაპიტალისტისა იყო. რას წარმოადგენდა სახელმწიფო ხელისუფლება? შეძლებული კლასის სარდლის საქმეთა კომიტეტი — ეს იყო სახელმწიფო ხელისუფლება. მემამულეებისა და კაპიტალისტების საქმეთა კომიტეტი — აი რას წარმოადგენდა კაპიტალისტური მთავრობა. მაგრამ ჩვენ, რომელთაც ხელთა გვაქვს ფაბრიკების, ქარხნებისა და რკინიგზების უმრავლესობა და სათავეში მდგომი პარტია — კომუჯრედები ქვემოდან და კომუნისტები ზემოთ, თუ ჩვენ მაინც ჩვენსას ვერ დავიცავთ, მაშინ სიცოცხლე თვითმკვლელობით უნდა დავამთავროთ. პანიკაც ამას ჰქვია!

მაგრამ მე ვფიქრობ, რაგინდ სუსტნიც არ უნდა ვიყოთ, ჩვენ მაინც ისეთები არა ვართ, რომ თავი გავაცურებინოთ, და თუ ჩვენ აქამდე დავდეთ რამდენიმე ხელშეკრულება, რომლის დროსაც მთავრობის ძალაუფლება საფრანგეთსა და ინგლისში სარგებლობდა საუკეთესო ბურჟუაზიული დიპლომატების სამსახურით და, თუ ასეთ პირობებში ჩვენ ჯერ ვერც ერთხელ ვერ გაგვაცურეს, მაშინ რად უნდა მივეცეთ პანიკას. თითქოსდა ჩვენ ბონების საკითხში გაგვაცურებენ? გავიხსენოთ ბრესტის ხელშეკრულება. რით იყო ძნელი ბრესტის ხელშეკრულება? რით გამოიხატებოდა დაცვის სიძნელე? როდესაც მეკითხებოდნენ, თუ გაქვთ იმედი, რომ გერმანელებს მოვატყუებთო, მე ჩემი თანამდებობით ვალდებული ვიყავი მეთქვა, იმედი არა ვაქვს-მეთქი. მაგრამ ბრესტის ხელშეკრულება ისტორიას ჩაბარდა.

არ ვიცი, გამოვიდა თუ არა ის ბროშურა, რომელსაც ამბ. **კამენევი** ამზადებდა (მასში ლაპარაკია ლუდენდორფზე), **მაგრამ** მე ვიცი, რომ სწორედ ლუდენდორფმა დაწერა თავისი

მოგონებების ბრწყინვალე ტომი, სადაც 10 გვერდი უძღვნა ბრესტის მოლაპარაკებას. როდესაც მე და კამენევმა ეს თავი წავიკითხეთ, ვთქვით: აი საუკეთესო გამართლება ბრესტის ხელშეკრულებისა. იგი იქ მოგვითხრობს, თუ რა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენეს ისინი ბრესტის მოლაპარაკების დროს ტროცკიმ და სხვებმა, როგორ მოატყუეს და ა. შ. მაშინვე ჩვენ საჭიროდ ვცანით, რომ ეს გვერდები გადათარგმნილი და დაბეჭდილი ყოფილიყო ამხ. კამენევის მცირე შესავლით, და თუ ეს აქამდე არ გაკეთებულა, მაშინ ეს საბჭოთა ხელისუფლების უმწეობის ნიმუშია. შემდეგ, ასეთი ფაქტი დავასახელოთ. ცნობილია, რომ ამხ. იოფე, ჩვენი ელჩი გერმანიის მთავრობასთან, გერმანიიდან გაძევებულ იქნა გერმანიის რევოლუციის წინა დღეებში. ამის შემდეგ ნუ შეეცდებით იწინასწარმეტყველოთ, თუ ვინ ვის გააცურებს. არ დავიწყებთ იმის მტკიცებას, თუ პირველი საკონცესიო ხელშეკრულების დადება რამდენი დღით იქნება დაშორებული ევროპის პირველი დიდი რევოლუციისაგან. და ამიტომ ხელშეკრულებების თაობაზე მე ვამტკიცებ, რომ ამხანაგები სრულებით არ არიან მართალნი. ჩვენ ამის სულაც არ გვეშინია.

ხელშეკრულებაში ნათქვამი იქნება, თუ მათ რა საქონელი უნდა ჰქონდეთ და რა ფასად. ყოველგვარ ბონებსა და სასურსათო წიგნაკებს შეგვიძლია დავეთანხმოთ. თუ ისინი ხელშეკრულებას დაარღვევენ, მაშინ ჩვენ უფლება გვექნება დაუყოვნებლივ გავაუქმოთ იგი. ხელშეკრულება სამოქალაქო გარიგებაა. მე აქამდე ვერ ვერკვეოდი იმ საკითხში, თუ როგორი უნდა იყოს არბიტრაჟი და ვინ უნდა გადაწყვიტოს დავა. მაგრამ ახლავე გადავხედავ შვედების საზოგადოებასთან ხელშეკრულების პირვანდელ პროექტს. აქ ასეა ნათქვამი: უთანხმოება გადაიჭრება...

აქ გამოიყენეს აკადემიკოსები, რომლებიც შეეცდებიან იურისტები გამოიყენონ. მახსოვს ბებელის სიტყვები, იურისტები ყველაზე რეაქციული და ამასთან ერთად ბურჟუაზიული სულისკვეთების ადამიანები არიანო. რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია ეს როგორმე გამოვასწოროთ, მაგრამ აქ საშიში

არაფერია. ასეთი პირობა რომ კონცესიონერებმა წამოგვიყენონ, ჩვენ შეგვიძლია მათი მიღება. რადგანაც ხელშეკრულება ზუსტად არის დადებული, რომ ასეთი და ასეთი საქონელი უნდა იყოს და სასურსათო წიგნაკი ამდაგვარად ანაზღაურდებაო. ჩვენ შეიძლება ამას დავეთანხმოთ და სოციალისტური რესპუბლიკისათვის არც ბონები და არც სასურსათო წიგნაკები საშიში არ არის. შემდეგ ამბობდნენ, მე-9 პუნქტი იმიტომ არის ცუდი, რომ ჩვენ საერთაშორისო პროფსაბჭოს[323] ვცილდებითო. ლოზოვსკი გვაშინებდა, ამსტერდამელები გაგვწკეპლავენო, მაგრამ ისინი სულ ერთია ყველა სხვა საკითხშიც გაგვწკეპლავენ. საბოლოოდ კი, როგორც ეს ყოველთვის ხდებოდა, ისინი თავად იქნებიან გაწკეპლილები.

ხომ გახსოვთ, როგორ უნდოდათ მენშევიკებს ჩვენი გაწკეპვლა იმისათვის, რომ ჩვენ უმცირეს დათმობაზე მივდიოდით კაპიტალისტების წინაშე. როდესაც ჩვენ კაპიტალიზმის დამხობა გვსურდა, მაშინ ისინი ამბობდნენ, რომ ჩვენ მას დავამხობთ მხოლოდ რამდენიმე დღით, ხოლო როდესაც ჩვენ რამდენიმე წლით დავამხვეთ, ისინი კვლავაც მახეს გვიგებენ. ისინი ცდილობენ მოწინააღმდეგე ისეთ ადგილას შეიტყუონ, სადაც იგი უეჭველად გაიწკეპლება.

თავდაპირველად ისინი ჩვენ უტოპისტებს გვიწოდებდნენ, შემდეგ კი მეხუთე სართულიდან თავდაყირა გადმოხტომას გვთავაზობენ. ჩვენ ვიცით, რომ ბევრი წვრილი მეურნეობა გვაქვს. წვრილი მესაკუთრეები — ეს ჩვენი მოწინააღმდეგენი არიან. წვრილმესაკუთრული სტიქია ჩვენი ყველაზე საშიში მტერია. კომისიონერები და მოიჯარენი — ეს უფრო ნაკლები მტერია. ბიუროკრატიაც ჩვენი მტერია და ბიუროკრატიული დამახინჯებანიც.

იმ პუნქტის თაობაზე, რის შესახებაც ამხ. ლოზოვსკი ლაპარაკობდა, მე შემდეგს გეტყვით: ყურადღებით მოუსმინეთ მას. აქ ასეა ნათქვამი: «პროფესიულ კავშირებს უფლება არა აქვთ მოითხოვონ, რომ ასეთი მუშების მიმართ გამოიყენონ რუსეთის სატარიფო განაკვეთები, ისევე როგორც დაქირავების თაობაზე რუსეთის წესები». აქ ლაპარაკია რუსეთის კავ-

შირზე, მე კი საერთაშორისოზე მელაპარაკებიან. რა თქმა უნდა, თუ კაპიტალისტები რუსეთის პირობებს ხედავენ, მაშინ ისინი ამბობენ, ეს კომუნისტური პირობებია, უაზროა და რომ რუსეთის პროფესიულ კავშირებს უფლება არა აქვთ მოითხოვონ დაქირავების რუსული პირობები, რომლებშიც რაიმე ზებუნებრივია «დატუმბული», მაგრამ მათ სრული უფლება აქვთ გამოიყენონ საერთაშორისო პროფესიული ხელშეკრულებები. ესეც საკმარისია. აქ არსად გაფიცვებზე ნათქვამი არ არის, რომ ისინი აკრძალულია. აქ უნდა მოვახერხოთ თავის დრომდე ყველაფერი არ ვთქვათ.

რაც შეეხება რუსი მუშის მდგომარეობის გაუმჯობესებას. აქ თავს დაგვესხნენ ამხ. მარშევი და ტარტაკოვსკი და თქვეს, მუშებს ვერ დაიყოლიებთ და ვერ აიძულებთ იმუშაონ, რადგან თუ $^1/_5$-ს უზრუნველყოფთ, მაშინ $^4/_5$ უარეს პირობებში მუშაობას არ მოისურვებსო. ნუთუ ჩვენ საქმე გვაქვს ასეთ თავგზააბნეულ, უაზრო, უკულტურო და უდისციპლინო მუშებთან? თუ ასეა, მაშინ, რა თქმა უნდა, პანიკას უნდა მივეცეთ და სიცოცხლე თვითმკვლელობით დავამთავროთ. თუ ასი მუშა კვების ნაკლებობას განიცდის და ჩვენ მათ ვეუბნებით, რომ შეგვიძლია 20 მუშა გამოვკვებოთ, მეტი კი არ შეგვიძლია, ნუთუ ისინი ამაზე უარს იტყვიან? მაგრამ აქამდე ჩვენ ასეთ რამეს არ შევხვედრივართ. ჩვენ ძლივს ვკვებავდით მრეწველობის გარკვეული დარგების მუშებს, მაგრამ ყველას როდი ვკვებავდით და მაინც ამ საწარმოებიდან ყველა მუშა როდი გაიქცა, სხვა საწარმოებიდან კი ყველა მუშა გაიქცა. ნუთუ რუსი მუშა იმდენად გააფუჭა საბჭოთა ხელისუფლების შეცდომებმა, რომ ვერ შეძლებს გაიანგარიშოს, რომ უმჯობესია გამოიკვებოს თუნდაც 20, ვიდრე ასივე ვაიძულოთ იშიმშილოს? აქ ბევრი რამ არის ისეთი, რაზეც წინასწარ არ უნდა ვილაპარაკოთ. რატომ არ შეიძლება საქმე ისე მოეწყოს, რომ კაპიტალისტებთან რიგრიგობით იმუშაონ? მუშები იმუშავებდნენ 6 თვეს, მიიღებდნენ სამუშაო ტანსაცმელს, შემდეგ კი ადგილს დაუთმობდნენ სხვებს, რათა სხვები მოკეთდნენ. ცხადია, აქ უნდა ვებრძოლოთ ცრურწმენებს.

როდესაც ჩვენთან კონცესიონერები ჩამოდიან, ჩვენ უნდა შევზღუდოთ ჩვენი პროფკავშირები, რათა მათ ზომაზე მეტი არ მოითხოვონ. თქვენ იცით, რომ ხელშეკრულების ჩვეულებრივი ვადები ხანმოკლეა. ევროპაში არ არსებობს გრძელვადიანი ხელშეკრულების პირობები. ჩვეულებრივი ვადაა 6 თვე. ამრიგად, მუშებს შეუძლიათ მოიკეთონ, მიიღონ ფეხსაცმელი და ტანსაცმელი, შემდეგ კი წავიდნენ და სხვებს მისცენ ადგილი.

ნუთუ აბსოლუტურად შეუძლებელია საქმე ასე მოვაწყოთ: იმუშავეთ ნახევარი წელი, მოიკეთეთ, მიიღეთ ამერიკული ფეხსაცმელი და ტანსაცმელი, ახლა ადგილი სხვებს დაუთმეთ? რა თქმა უნდა, ეს ძნელი იქნება. ეს უფრო მეტ ორგანიზატორობასა და დისციპლინას მოითხოვს, ვიდრე ჩვენ გვაქვს, მაგრამ ეს შეუძლებელი როდია. თუ ჩვენ მძიმე შიმშილობის სამი წლის მანძილზე მოვახერხეთ მუშები შეგვენარჩუნებინა უცხოური კაპიტალის თავდასხმის წინააღმდეგ, ნუთუ ჩვენ ამას ვერ მოვახერხებთ აქ? მე შესანიშნავად მაქვს შეგნებული, თუ რა სიძნელეები შეგვხვდება ამ გზაზე. ამიტომაც ვამბობ, რომ კონცესია კლასებს შორის მშვიდობის დამყარებას არ ნიშნავს. კონცესია კლასებს შორის ომის განგრძობაა.

თუ ადრე ომი იმით გამოიხატებოდა, რომ მე შენ შიმშილით დაგამარცხებ და შენ არაფერს მიიღებ, ახლა მე ვიტყვი, მსურს მოგცე წყვილი ფეხსაცმელი, ოღონდ მუშებმა ნახევარი წელი იმუშაონ. ჩვენ კი იმისათვის ვიბრძოლებთ, რომ ყველა მუშამ ფეხსაცმელი მიიღოს. გაფიცვაზე უარს არ ვამბობთ, ყოველივე ეს ჩვენ ხელთ რჩება, ოღონდ თუკი ჩვენ გონიერებას გამოვიჩენთ და შევეცდებით ახლა ხაზი გავუსვათ იმას, თუ როგორ შეიძლება კაპიტალისტები ჩვენში შემოვიტყუოთ.

აქ ამბობენ, ძალიან საშიშია, იგი მოვა და ჩვენ გაგვაცურებსო, მე კი ვამტკიცებ, რომ ეს საშიში არ არის, რომ ნაყოფიერების ამაღლებისათვის სასურველია იგი მოვიდეს, რადგანაც მას შესანიშნავად ორგანიზებული ზურგი, შესანიშნავად მოწყობილი ქარხნები აქვს, რომლებშიც ჩვენ შეგვიძლია და-

ვუკვეთოთ საჭირო ნაწილები და არ ვიყიდოთ თავისუფალ ბაზარზე, რადგანაც თავისუფალ ბაზარზე მხოლოდ ხარახურაა. საუკეთესო ქარხნებში წინასწარ რამდენიმე წლით განაწილებულია შეკვეთები. ჩვენ რომ ჩვენი ოქროთიც კი გადაგვეხადა. სულ ერთია მაინც ვერაფერს ვერ მივიღებდით, ხოლო სინდიკატის წევრი ყველაფერს მიიღებს. და ჩვენ არ გვენანება, რომ მას ზედმეტი გადავუხადოთ, ოღონდ კი მუშებისა და გლეხების მცირე ნაწილის მდგომარეობა გავაუმჯობესოთ, რადგანაც ყოველი დამატებითი პროდუქტი გამოყენებული იქნება გლეხებთან პურზე გადასაცვლელად, მაშასადამე, შექმნის მუშათა კლასისა და გლეხობის მყარ ურთიერთობას.

ამრიგად, მე ვამთავრებ თხოვნით, რომ პროფესიონალისტებმა პრინციპულ საკითხებზე, კამათზე უარი თქვან. ყოველივე ეს უმიზნო კამათია, ყოველივე ეს სქოლასტიკაა. ამას თავი უნდა დავანებოთ. მთელი ყურადღება უნდა მივაქციოთ საკონცესიო ხელშეკრულებების იმ პრაქტიკულ პირობებს, რომელთაგანაც ჩვენ, თუ სულელები არ ვიქნებით, სარგებლობას ვნახავთ. პროფესიონალისტებმა და პარტიულმა ხელმძღვანელებმა აქ უნდა გამოიჩინონ თავიანთი საზრიანობა და პირობების თავიანთი პრაქტიკული ცოდნა, რაზეც ჩვენ არ შეგვიძლია და არც ვიტყვით პრესაში, რადგანაც რუსეთის პრესას თვალყურს ადევნებენ კაპიტალისტები, როგორც ჩვენ არ ვლაპარაკობდით ბრესტის ხელშეკრულების დროს იმის შესახებ, თუ რა დავალებები ეძლეოდა ამხ. იოფეს. სინამდვილეში ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ იმ პრაქტიკულ ხერხებს, რომელთაგან ჩვენ შეიძლება სარგებლობა ვნახოთ მუშათა და გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ყოველგვარ ასეთ გაუმჯობესებას ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აი რას უნდა მიაქციონ ყურადღება პროფესიონალისტებმა. საჭიროა, რომ არ დარჩეს არც უთანხმოება, არც ცრურწმენა. ეს ძნელი საქმეა. ამჟამად ჯერ არავის უნდა ჩვენთან კონცესიების დადება. ყველა მოელის, რომ შეუსრულებელ მოთხოვნებს წავუყენებთ.

ამიტომ ჩვენი მხრივ უეჭველად მთელი მეცადინეობა იქით უნდა წარვმართოთ, რომ ვავდოთ რამდენიმე ასეთი ხელშეკრულება. რა თქმა უნდა ჩვენ არაერთ შეცდომას დავუშვებთ. ახალი საქმეა. აქამდე არც ერთ სოციალისტურ რესპუბლიკას კაპიტალისტებთან არავითარი კონცესია არ დაუდვია. მაგრამ ჩვენ გვჭირდება, რომ პროფესიონალისტები დაგვეხმარონ. აქ უდიდესი გასაქანია ახსნა-განმარტებისა და ზეგავლენისათვის გაფიცვებამდეც კი, რაც ჩვენ ხელთ რჩება.

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
სტენოგრამის მიხედვით

საგარეო ვაჭრობისათვის განაცხადების შესახებ

სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი [324]

დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გადასინჯოს როგორც 38.9 მილიონი მანეთის ოქროთი განაცხადები, ისე საგარეო ვაჭრობის სხვა განაცხადები ისეთი შესყიდვების თვალსაზრისით, რაც აუცილებელია 1921 — 1922 წელს სურსათისა და სათბობის მინიმალურად საჭირო რაოდენობის დამზადებისათვის, თუ დავუშვებთ ყველაზე ცუდ მოსავალს და, სათბობით მომარაგების ყველაზე ცუდ პირობებს.

დაწერილია 1921 წლის 12 აპრილს,

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა «ალგემგას» შესახებ [325]

დაინიშნოს კომისია შემდეგი შემადგენლობით

2 საგეგმო კომისია 2 მენავთობე ან სათბობის დარგის მუშაკი

2 მთავნავთობი 2 გზათა ინჟინერი

2 კვირეული, რომელთაც დაევალებათ გამოარკვიონ

1) ალგემბის რკინიგზის სამუშაოთა რა ნაწილია შესრულებული;
2) იგივე ნავთობსადენის თაობაზე;
3) კერძოდ დაუყოვნებლივ უზრუნველყოფა რელსებითა და მილებით — და მთლიანად უზრუნველყოფის ვარაუდი;
4) ემბის სარეწების მტკნარი წყლით მომარაგების შესაძლებლობა და ემბაზე სამუშაოთა უზრუნველყოფის სხვა პირობები;
5) რაკუში — ასტრახანის გავლით წყლით და სარატოვის გავლით რკინიგზითა და ნავთობსადენით ცენტრში ნავთობის მიწოდების შედარებითი ღირებულების შემოწმება;
6) რკინიგზისა (ალგემბის) და ნავთობსადენის დამთავრების შესაძლო და მოსალოდნელი ვადა;
7) რაკუში — ასტრახანის გავლით ემბიდან ნავთობის მიწოდებისათვის დამატებითი სამდინარო და საზღვაო ფლოტის შეძენისა და ჩამოყვანის შესაძლებლობა, მოსალოდნელობა და ღირებულება;
8) გარკვეულ იქნეს აგრეთვე საკითხის დანარჩენი მხარეები.

დაწერილია 1921 წლის 15 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

«სასოფლო-სამეურნეო მანქანების განაწილების შესახებ» სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების პროექტის დამატება [326]

სასოფლო-სამეურნეო მანქანებითა და იარაღებით ყოველგვარი მომარაგება დაუშვებელია, თუ არ დაწესდა სურსათის სახალხო კომისარიატის რეალური კონტროლი სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტთა მიღებაზე ამ მანქანებისა და იარაღების გაცვლით.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სურსათის სახალხო კომისარიატის შეთანხმებით კონტროლის წესები უნდა დაწესდეს განსაკუთრებული ინსტრუქციით.

დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და სურსათის სახალხო კომისარიატს განიხილონ და შემოიტანონ მომხმარებლისათვის მანქანების მიწოდების უფრო მარტივი და ეკონომიური წესის პროექტი *.

დაწერილია 1921 წლის 26 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილისა უპარტიო მუშებისადმი დამოკიდებულების შესახებ [327]

შედგენილ იქნეს ცირკულარული დეპეშა საგუბერნიო კომიტეტებისათვის და ივი შიფრით გაიგზავნოს.

შინაარსი:

უპარტიო კონფერენციების გამოცდილებამ სავსებით დაამტკიცა, რომ ისინი გადაიქცნენ ასპარეზად მენშევიკებისა და ესერების აგიტაციისათვის **;

ამიტომ უპარტიო კონფერენციების მოწყობაში უდიდესი სიფრთხილეა საჭირო, სრულიად არ უნდა დავუშვათ მათი მოწყობა ისე, თუ წინასწარ უაღრესად ზედმიწევნით არ იქნება მომზადებული ყოველი ცალკეული ფაბრიკის მიხედვით. პარტიის საგუბერნიო კომიტეტები პარტიის წინაშე პასუხს უნდა აგებდნენ იმისათვის, რომ ისინი თავდებობენ თითოეული უპარტიო კონფერენციის წარმატებისათვის.

პარტიის თითოეული საგუბერნიო კომიტეტი ვალდებულია ცენტრალურ კომიტეტს მოახსენოს თითოეული უპარტიო კონფერენციის არა მარტო წარმატება, არამედ თითოეულ უპარტიო კონფერენციამდეც გადმოსცეს მისი პირობები და ის, თუ რამდენად მომზადებულია ეს კონფერენცია.

ამასთან ერთად უეჭველად უნდა გაძლიერდეს მუშაობა

---

* ბოლო აბზაცი დაწერილია ლ. ა. ფოტიევას ხელით, ალბათ, ვ. ი. ლენინის კარნახით. რ ე დ.

** ხელნაწერში სიტყვას «აგიტაციისათვის» ზემოთ აწერია «ორგანიზაციისათვის». რ ე დ.

უპარტიო მასებთან კომუნისტთა კავშირის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის. ამისათვის აუცილებელია:

რეგულარულად მოწვეულ იქნენ არა მარტო საერთო კრებები მუშებისა და გლეხების მასისათვის, არამედ ყველა პასუხისმგებელი თანამდებობის პირიც საქმიანი ანგარიშით გამოვიდეს მუშათა და გლეხთა მასების წინაშე. ასეთი ანგარიშგება აუცილებლად უნდა მოეწყოს თვეში ერთხელ მაინც, რათა უპარტიო მუშათა და გლეხთა მასას საბჭოთა დაწესებულებებისა და მათი მუშაობის კრიტიკის საშუალება მიეცეს. ანგარიშს უნდა აბარებდნენ არა მარტო კომუნისტები, არამედ ყველა საპასუხისმგებლო პოსტზე მყოფი თანამდებობის პირები, პირველ რიგში სასურსათო და სახალხო მეურნეობის საბჭოს დაწესებულებების თანამდებობის პირები.

თითოეული საგუბერნიო კომიტეტი ვალდებულია ყოველთვიურად მიაწოდოს ცენტრალურ კომიტეტს ზუსტი ცნობები ყველა ასეთი ანგარიშგების რაოდენობისა და მიმდინარეობის შესახებ, აგრეთვე უპარტიოთა იმ მოთხოვნების შესახებაც, რომლებიც ასეთ კრებებზე იყო წამოყენებული.

ცენტრალური კომიტეტი შეიმუშავებს უფრო დაწვრილებით ინსტრუქციას ასეთი ანგარიშგებების მოწყობის, მასასთან კავშირის შემოწმების ღონისძიებების შესახებ, ამ შემოწმების მდგომარეობის გაუმჯობესების სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ, უპარტიოებად შენიღბულ მენშევიკებსა და ესერებთან ბრძოლის შესახებ და სხვ. [328]

დაწერილია 1921 წლის აპრილში,
არა უგვიანეს 27 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

გამოსვლა კრემლის უბნის კომუნისტთა და რკპ(ბ) კანდიდატთა 1921 წლის 9 მაისის კრებაზე

(სტენოგრამა)

თავის მოხსენებაში ამხ. ლენინმა აღნიშნა: თქვენ, როგორც პარტიის წევრები, უნდა გაეცნოთ ჩემს ბროშურას სა-

სურსათო გადასახადის შესახებ *, რომელიც ახლა უკვე გამოვიდა და ნაწილდება. კიდევ ისიც აღნიშნა, რომ ჩვენი პარტიის თითოეული წევრი არ უნდა მოსწყდეს უპარტიო მასას, როგორც ეს ჩვენში ხშირად ხდება. ამიტომ თითოეული უფრო მეტად უნდა იმყოფებოდეს უპარტიო მასაში და მეტი პროპაგანდა გასწიოს. თავის დასკვნაში თქვა: ყოველმა თქვენგანმა, როგორც უფრო მეტად განვითარებულმა ადამიანებმა, რომლებიც ხშირად კითხულობთ გაზეთებს და ესწრებით კრებებსა და ლექციებს, მეტი უნდა იმუშაოთ გლეხებთან, გასწიოთ მათთან აგიტაცია სასურსათო გადასახადის მნიშვნელობის შესახებ. მაშინ შეიძლება კარგ შედეგებს მივაღწიოთ.

პირველად დაიბეჭდა 1963 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 43

იბეჭდება
საოქმო ჩანაწერის
ფანქანაზე გადაწერილი
ეგზემპლარის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა [329]

რკპ ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც განიხილა სტალინისადმი სვანიძის მიერ 8/V-ს გამოგზავნილი № 2031 დეპეშა, აღიარებს, რომ ქართველ ამხანაგებს მოსდით უსერიოზულესი პოლიტიკური შეცდომა, რომ მტკიცე ხელით არ აღკვეთენ უცხოელთა ქონების რეკვიზიციას, კონფისკაციას, დატაცებასა და ბინებიდან მათ გამოგდებას.

ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1) დაევალოს საქართველოს რევკომს დაუყოვნებლივ გამოსცეს დადგენილება დაპატიმრებისა და გასამართლების შიშით ყოველგვარი მსგავსი საქციელის უმკაცრესად აკრძალ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 413 — 463.

ვის შესახებ. დადგენილების პირი გამოიგზავნოს ცენტრალურ კომიტეტში.

2) საქართველოს რევკომმა დაუყოვნებლივ უნდა დანიშნოს გამოძიება, ჯერ ერთი, გერმანია-კავკასიის ბანკის საწყობის გატეხისა და ქაღალდების გაზიდვის თაობაზე. დააპატიმროს დამნაშავენი. დააბრუნოს ქაღალდები. მეორე. იგივე იტალია-კავკასიის ბანკის საქონლის თაობაზე. მესამე. იგივე იმ ერთი ვაგონი მანუფაქტურის თაობაზე, რომელიც ქუთაისში წაიღეს.

3) საქართველოს რევკომი კავკასიის ფრონტის სარდლობასთან შეთანხმებით დაუყოვნებლივ ნიშნავს ყველაზე ენერგიულ, მებრძოლ და მტკიცე კომუნისტთა წყვილეულს, ერთს კავკასიის ფრონტიდან, ერთს საქართველოს რევკომიდან, და ამ წყვილეულს ევალება მეთვალყურეობა უცხოელთა ქონების რეკვიზიციის, დატაცების, კონფისკაციისა და მათი გასახლების შეწყვეტისათვის. დანიშნულთა სახელები გვაცნობონ ტელეგრაფით. ცენტრალური კომიტეტი ამ ზომების განხორციელებისათვის პირად პასუხისმგებლობას აკისრებს მახარაძესა და გიტისს. წყვილეულის უფლებამოსილება საგანგებო უნდა იყოს უმცირესი დარღვევისათვის დაპატიმრების უფლებით. წყვილეული ყოველკვირეულად გვიდეპეშებს მოკლე ცნობებს.

ცენტრალური კომიტეტი ქართველი ამხანაგების ყურადღებას მიაპყრობს განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას, რაც მთელი რსფსრ-სათვის ენიჭება საქართველოს და მის ვაჭრობას იტალიასა და გერმანიასთან, მეტადრე იმის გამო, რომ ამერიკა და საფრანგეთი ცდილობენ ჩაშალონ ყველა ჩვენი სავაჭრო ურთიერთობა საზღვარგარეთთან. მთელი ამ დირექტივის შესრულებაში დაუდევრობას ცენტრალური კომიტეტი მიიჩნევს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად.

დაწერილია 1921 წლის 9 ან 10 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა წარმოების კონცენტრაციის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ [330]

1) დაევალოს მელითონეთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტსა და სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს გაორკეცებული ყურადღება მიაქციოს იმ გეგმის რაც შეიძლება სწრაფად განხორციელებას, რომ დაიხუროს რაც შეიძლება მეტი რაოდენობა ისეთი დაწესებულებებისა, რომელთაც მუშაობის უნარი არ შესწევთ, რათა მოხდეს წარმოების კონცენტრაცია მცირე რაოდენობის ყველაზე უკეთ გამართულ საწარმოებში.

მოხსენება ზუსტი გეგმის შესახებ, დახურვის კალენდარული პროგრამის შესახებ და ნამდვილად შესრულების შესახებ დაევალოთ შლიაპნიკოვსა და მედვედევს ან მათ მოადგილეებს

კუბიაკოს

და ჰოლცმანს

ანდრეევს

წარმოადგინონ შრომისა და თავდაცვის საბჭოში

ერთი თვის შემდეგ

2) დაევალოს შლიაპნიკოვს. შლიაპნიკოვის მონახაზიდან უფრო კონკრეტულად შეიმუშაოს უმნიშვნელოვანესი წინადადებანი, ისეთები, რომელთა სწრაფად განხორციელება შესაძლებელია.

დაწერილია 1921 წლის 11 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

კონსპექტი სიტყვისა პროფკავშირთა სრულიად რუსეთის IV ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე [331]

18/V-ის სიტყვის კონსპექტი

1. რკპ წესდება: პარტია და ფრაქციები.
2. ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია და მისი **დაცვა.**
3. რიაზანოვი და მისი როლი. (რიაზანოვის ანტიპარტიული რეზოლუცია.)...
4. ტომსკი და მისი **შეცდომა თუ დანაშაული?...**
   ((4-ეულის შემადგენლობა.))
5. მუშების უკიდურესი ნერვულობა, აღელვება, უკმაყოფილება:

{{ სიმძიმე მუშებზე.
1920 გაწერა — გლეხებზე.
შემსუბუქება გლეხთათვის: კვლავაც მოსავალზეა
  დამოკიდებული.
მუშებისათვის: მათი უღრმესი აღშფოთება, ro-
  დესაც ხედავენ ისეთ მოვლენებს, როგორიც არის
  «სანთებელა», მიტაცება და სხვ. }}

დაწერილია 1921 წლის 18 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წინადადებანი პარტიის პროგრამის მე-13 პუნქტის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების პროექტისათვის [332]

დაევალოს იაროსლავსკისა და ბუხარინს გადააკეთონ იმ მიმართულებით, რომ წინ არ წამოსწიონ რელიგიასთან ბრძოლის საკითხი (მაგალითად, ამოაგდონ § 7 [333]) და შესაძლებლად იქნეს მიჩნეული, მთელ რიგ განსაკუთრებით შემზღუდავ პირო-

ბებთან ერთად, პარტიაში მორწმუნეთა, მაგრამ უეჭველად პატიოსან და ერთგულ კომუნისტთა დატოვება.

რელიგიასთან ბრძოლა უფრო მეცნიერულად დააყენონ. (§ 10 ამოღებულ იქნეს [334])

დამტკიცდეს პოლიტბიუროში.

კამპანია დაწყებულ იქნეს სერიოზული მომზადების შემდეგ.

დაწერილია 1921 წლის 18 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა ადგილობრივი ეკონომიური თათბირების, ანგარიშგების და შრომისა და თავდაცვის საბჭოს განკარგულებით ხელმძღვანელობის შესახებ

1. ყველგან უნდა შეიქმნას საგუბერნიო და სამაზრო ეკონომიური თათბირები, რომლებსაც საგუბერნიო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან ისეთივე დამოკიდებულება ექნებათ, როგორიც შრომისა და თავდაცვის საბჭოს აქვს სახკომსაბჭოსთან. საქმეთა მმართველობანი ან სამდივნოები საერთო უნდა იყოს. მთელი მუშაობა უნდა წარმოებდეს შესაბამისი უწყებების აპარატების მეშვეობით, განსაკუთრებული აპარატის შეუქმნელად.

2. შრომისა და თავდაცვის საბჭოს ძირეული ორგანოები ადგილზე უნდა იყვნენ სასოფლო კომიტეტები და სასოფლო საბჭოები, ხოლო ფაბრიკებისა და ქალაქების ახალშენებში რაიონული საბჭოები, რაიონული ეკონომიური საბჭოები და საფაბრიკო კომიტეტები. სათემო აღმასკომები ან მთლიანად ასრულებენ სათემო ეკონომიური საბჭოების მოვალეობას, ან თავის რამდენიმე წევრს გამოყოფენ სათემო ეკონომიური თათბირების შესადგენად.

3. წესდება შრომისა და თავდაცვის საბჭოს წინაშე ყველა ეკონომიური თათბირის სავალდებულო ანგარიშგება მათი საქმიანობის შესახებ. ამასთან უხდა იხელმძღვანელონ შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესით, რომელიც ამ დადგენილებასთან ერთად იცემა.

საოლქო ეკონომიური საბჭოების, საგუბერნიო და სამაზრო ეკონომიური საბჭოების ანგარიშები აუცილებლად უნდა დაიბეჭდოს სულ ცოტა 100 ეგზემპლარად (3 ეგზემპლარი უნდა გაიგზავნოს შრომისა და თავდაცვის საბჭოში, თითო ეგზემპლარი უმსხვილეს საერთო სახელმწიფო ბიბლიოთეკებში, რუმიანცევის ბიბლიოთეკაში მოსკოვში და საჯაროში პეტროგრადში, თითო-თითო ეგზემპლარი ყოველი საგუბერნიო ეკონომიური საბჭოს ბიბლიოთეკაში). ანგარიშების წარდგენის ვადებია ყოველი ორი თვე (სამი ან ოთხი თვე?).

ძირეული ორგანოების ანგარიშები წერილობითი უნდა იყოს, ერთი ეგზემპლარი საგუბერნიო ეკონომიური საბჭოსათვის, ერთი შრომისა და თავდაცვის საბჭოში; წარმოდგენის ვადებია 2-ჯერ მაინც წელიწადში.

შრომისა და თავდაცვის საბჭოსათვის გამოგზავნილ ანგარიშს თან უნდა დაერთოს ადგილობრივი გაზეთების სისტემატურად შერჩეული ის ნომრები ან მათი ამონაჭრები, რომლებიც მიეძღვნა ადგილობრივი სამეურნეო ცხოვრების საკითხებს, აგრეთვე ამ საკითხებისადმი ძიძღვნილი ყველა ნაბეჭდი გამოცემა.

ანგარიშების შედგენაში ჩაბმული უნდა იქნენ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივი მუშაკები.

თითოეული ადგილობრივი დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ დანიშნოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოში აცნობოს იმ პირთა გვარები, რომლებიც პასუხს აგებენ ანგარიშის დროულად შედგენაზე როგორც ანგარიშის თითოეული ქვეგანყოფილების, ისე მისი საერთო რედაქციის მიხედვით, აგრეთვე მათი მოადგილეების გვარები.

4. გაზეთი «ეკონომიჩესკაია ჟიზნი»[335] გარდაიქმნება შრომისა და თავდაცვის საბჭოს ორგანოდ.

მან უნდა იხელმძღვანელოს იმავე განაწესით და თავის ახლანდელ მასალასთან ერთად ბეჭდოს ადგილობრივი ეკონომიური მუშაობის მონაცემთა ცნობები. რსფს რესპუბლიკის მთელი სამეურნეო მუშაობის პრაქტიკული გამოცდილების აღრიცხვა და შესწავლა, ამ გამოცდილების საფუძველზე სახელმძღვანელო მითითებების გამომუშავება უნდა გახდეს «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» მთავარი ამოცანა.

ადგილებზე მუშაობის გასაცნობად რედაქციამ უნდა შეარჩიოს და გააფართოოს როგორც პარტიული, ისე უპარტიო ადგილობრივი კორესპონდენტების წრე.

«ცენტროპეჩატს» ეკისრება ვალდებულება სწორად მიიტანოს «ეკონომიჩესკაია ჟიზნი» 2 ეგზემპლარად თითოეულ საგუბერნიო, სამაზრო და სათემო ბიბლიოთეკაში, ხოლო ამ ბიბლიოთეკებს — ჩააკრან და შეინახონ ორივე ეგზემპლარი, რათა საშუალება მისცენ მთელ მოსახლეობას ისარგებლონ ამ ეგზემპლარებით.

დაწერილია 1921 წლის 19 — 20 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა[336]

ცენტრალური კომიტეტის (პოლიტბიუროს) 1921 წლის 22/V-ის გადაწყვეტილება პროფკავშირთა ყრილობის რუსეთის კომუნისტური პარტიის ფრაქციის გადაწყვეტილებების საკითხზე

ცენტრალური კომიტეტი იწონებს ამხ. ჩუბარის თეზისებს (რომლებიც ფრაქციის ბიურომ მიიღო) და უარყოფს ამხ. ჰოლცმანის თეზისებს იმის გამო, რომ პირველი თეზისები გაცილებით უფრო სწორად ითვალისწინებენ ჩვენი რესურსების, ჩვენი

ძალებისა და სახსრების ნამდვილ მდგომარეობას, რაც იმას გვაკისრებს, რომ საჭიროა უახლოესი ჩვენი მიზნების უფრო ნელი განხორციელება ვივარაუდოთ.

ხოლო მეორე თეზისები, ე. ი. ამხ. ჰოლცმანის თეზისები, ხშირ შემთხვევაში ცხოვრებას მოწყვეტილ ფანტასტიკაში ვარდებიან, რაც მეტწილად ახასიათებს ამხ. ლარინსაც, რომელიც გულმოდგინედ იცავდა ამ თეზისებს.

პრაქტიკულად ორივე თეზისის უმნიშვნელოვანესი შემაღგენელი ნაწილია მხოლოდ ის აზრი, რომელიც გამოთქმულია ჩუბარის თეზისების მე-3 პარაგრაფის შენიშვნაში* და ჰოლცმანის თეზისების მე-6 პარაგრაფში **. ამასთან, ორივე ამხანაგი ადასტურებს, სადავოდ კი არ ხდის, აქ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა 1921 წ. 10. V-ს მიიღო, ამხ. ლარინისა და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პროექტის მიხედვით ***.

---

* აი ამ შენიშვნის ტექსტი:

«განაწილების მთელი ზემოაღნიშნული სისტემა უნდა განხორციელდეს ცდის სახით ზოგიერთ საწარმოში და მათში საბარათო ინდივიდუალური გაცემის ნაცვლად შემოღებულ იქნეს საწარმოს მუშაკთა კოლექტიური მომარაგება მათი შრომისნაყოფიერების ამაღლების პირობით».

** აი ამ მე-6 პარაგრაფის ტექსტი:

«ამიერიდან ხელფასის სასურსათო ფონდის შექმნამდე საჭიროა განხორციელდეს განაწილების აღნიშნული სისტემა ცდის სახით ზოგიერთ საწარმოში და მათში საბარათო ინდივიდუალური გაცემის ნაცვლად შემოღებულ იქნეს საწარმოთა მუშების კოლექტიური მომარაგება, მათი შრომისნაყოფიერების ამაღლების პირობით».

*** აი ამ გადაწყვეტილების ტექსტი[337]:

«ამხ. ლარინისა და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პროექტის ის ნაწილი, რომელიც სატარიფო პოლიტიკას ეხება, უარყოფილ იქნეს და დაეკალოს პროექტის ავტორებს განმეორებით უფრო საფუძვლიანად გადასინჯონ საკითხი განსაკუთრებით იმ შესაძლებლობის თვალსაზრისით, რომ მუშათა მინიმუმი უზრუნველყოფილ იქნეს სურსათის მინიმუმის რეალური მომარაგებით. გადამუშავების შემდეგ პროექტი შეტანილ იქნეს სახკომსაბჭოში, რათა ზოგიერთ საწარმოში ცდის სახით საბარათო ინდივიდუალური გაცემის ნაცვლად შემოღებულ იქნეს კოლექტიური მომარაგება შრომისნაყოფიერების ამაღლების პირობით».

პროფკავშირთა ყრილობის რუსეთის კომუნისტური პარტიის ფრაქციამ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციის მიუხედავად, 567 ხმით მოიწონა ჰოლცმანის თეზისები და უარყო ჩუბარის თეზისები, რომლებმაც 317 ხმა შეაგროვეს.

ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც არ სურს უარყოს ფრაქციის გადაწყვეტილება იმ საკითხზე, რომელზეც დამოკიდებული არ არის მთავრობის პოლიტიკის დაუყოვნებლივ შეცვლა, — რადგან ეს პოლიტიკა წინასწარ განსაზღვრულია ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 10. V-ის იმ გადაწყვეტილებით, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოიწონეს, სადავოდ კი არ გაუხდიათ, ამხ. ჰოლცმანმაც და ამხ. ჩუბარმაც, — უარს ამბობს ამ შემთხვევაში თავის უფლებაზე ჩაერიოს ყრილობის მუშაობის მსვლელობასა და გადაწყვეტილებებში.

ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილდება იმით, რომ ბრძანებას გასცემს ეს დადგენილება საჯაროდ წაიკითხონ ფრაქციაზე, ამასთან დელეგატთა გაძლიერებული ყურადღება მიაპყრონ ჰოლცმანის რეზოლუციის მიღებით საკუთარ თავზე აღებულ ვალდებულებას, რომ არა მარტო უაღრესად დიდი გმირობა, არამედ რევოლუციური დროისთვისაც კი საჭირო ნორმებზე უფრო მეტი სიმტკიცე, შეუპოვრობა გამოიჩინონ მუშათა ფართო მასების ძველ ჩვევებთან, ადათებთან, ცხოვრების პირობებთან ბრძოლაში. პროფკავშირებს იმ გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელსაც ისინი იღებენ, ევალებათ მიაღწიონ იმას, რომ უჩვეულოდ სწრაფად შეამცირონ საწარმოთა და მუშათა რაოდენობა ამ უკანასკნელთა საუკეთესო და უმსხვილეს საწარმოთა მინიმუმში თავმოყრით.

დაწერილია 1921 წლის 17 და
22 მაისს შორის

ნაწილობრივ დაიბეჭდა 1921 წლის
აგვისტოში «იზვესტია ცკ რკპ(ბ)»-ში
№ 32

პირველად სრულად დაიბეჭდა
1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამუშაო გეგმის გამო [338]

სრულიად რუსეთის მაისის თათბირის [339] მთავარ ამოცანად დაისახოს მასალების მომზადება და შეგროვება შემდეგ საკითხებზე:

1) უპარტიო მასებთან პარტიის ორგანიზაციების უფრო მჭიდრო კავშირის შესახებ.
2) მუშაობაში უპარტიო მუშაკთა უფრო ფართოდ და სისტემატურად მოზიდვის შესახებ.
3) ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის, მუშათა და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების და საბჭოთა მუშაობაში უპარტიოთა მოზიდვის მიმართულებით მუშგლეხინის რეორგანიზაციის შესახებ.

ყველა ამ საკითხზე თათბირმა არა მარტო უნდა შეაგროვოს და შეისწავლოს პრაქტიკული გამოცდილების მთელი მასალა, არამედ გამოიმუშაოს კიდეც პრაქტიკული წინადადებები ცენტრალური კომიტეტისათვის.

მოხსენებები პლენუმში:

(α) 2—3 მოხსენება ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის ახლანდელი (ფაქტიური) **მუშაობის** შესახებ.

(β) იგივე ახალი ამოცანების მიხედვით მისი გარდაქმნის გეგმის შესახებ.

დაწერილია 1921 წლის 24 მაისს
პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროფკავშირთა ყრილობაზე სიტყვის გეგმა [340]

1. გადასაყვანი გამოცდა მე-3-დან მე-4 კურსზე.
2. «ნაროდნაია ვოლიადან» [341] სოციალ-დემოკრატიამდე რუსეთში, II ინტერნაციონალიდან III ინტერნაციონალამდე მსოფლიოში.
3. 1-ლი კურსი: 1886 — 1903. ((17))

4. მე-2 კურსი: 1903 — 1917. ((14))
5. მე-3 კურსი: 1917 — 1921. ((4))
6. მე-4 კურსი: 1921 — ? (1931)
7. «არ» არის უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა, მაგრამ... ახლოს არის (წლები).
8. მსოფლიო მასშტაბით გამარჯვება ძნელია (bis. ter), მაგრამ უეჭველია.
9. კაპიტალიზმს, კაპიტალისტებს ქიში და შამათი.
10. Alias *: კომუნიზმის საქმე რუსეთში მტკიცე იქნება.
11. კერძო საკუთრების შუღლი. შრომის გაერთიანება საკუთრების წინააღმდეგ.
12. ინდოეთი «არ ითვლება»? Doch!**
13. «ვერსალის ხელშეკრულება»? [342]
13. *bis*. საერთაშორისო ვაჭრობა.
14. ძნელია სამეურნეო ფრონტი.
15. პროლეტარიატის დეკლასირება ხდება? დიახ! დასკვნები? წვრილმესაკუთრული იდეოლოგია.
16. მსხვილი წარმოება და მანქანები პროლეტარიატის მატერიალური და ფსიქოლოგიური ბაზაა. Inde *** დეკლასირება.
17. პოლიტიკა პლუსი, ეკონომიკა მინუსი.
18. სიმტკიცე, პარტიულობა.
19. სამეურნეო ფრონტი.
    გადასაყვანი გამოცდები: პური, სათბობი. 1917
    (სასურსათო გადასახადი) 1918
    1919
    1920
    versus 1921
20. სამეურნეო გამოცდილება უკვე გვაქვს, — კვლავაც ვაშენოთ სისტემატურად, განუხრელად და მტკიცედ.

---

* — სხვაგვარად. რედ.
** — მაინც! რედ.
*** — აქედან. რედ.

21. შრომის დისციპლინა, შრომისნაყოფიერების გადიდება, შრომის ორგანიზაცია, პროდუქტთა რაოდენობის ზრდა, დოყლაპიობასა და ბიუროკრატიზმთან დაუნდობელი ბრძოლა.
22. ამით სძლევდე.

დაწერილია 1921 წლის მაისში,
არა უგვიანეს 25 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პეტროვსკის ჯგუფის ამხანაგ მაღაროელებს [343]

ამხ. მეჟლაუკმა გადმომცა 1921 წლის აპრილის თვეში თქვენი მუშაობის დიდი წარმატების ამბავი: თითოეულ მნგრეველზე 294 ფუთი 1914 წლის 291 ფუთის ნაცვლად. ამხანაგ მაღაროელებს ვულოცავ იშვიათ დიდ წარმატებას და ვუთვლი საუკეთესო სალამს. ასეთი მუშაობით ჩვენ ყველა სიძნელეს დავძლევთ და მოვახდენთ დონბასის და კრივოი როგის რაიონის ელექტრიფიკაციას. ეს კი ყველაფერია.

კომუნისტური სალამით ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 25 მაისს

დაიბეჭდა 1921 წლის იელისში ჟურნალში
«ვესტნიკ რაბოჩეგო პრავლენია»
№ 9 — 10

იბეჭდება
ჟურნალის ტექსტის
მიხედვით

რკპ(ბ) სრულიად რუსეთის X კონფერენცია [344]

1921 წლის 26—28 მაისი

1

გამოსვლა კონფერენციის დღის წესრიგის საკითხზე

26 მაისს

ამხანაგებო, ჩვენ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ვვარაუდობდით და თვით კონფერენციის ხასიათის მიხედვით ვითვალისწინებდით, რომ დღის წესრიგის ერთადერთი პუნქტი იქნებო-

და ეკონომიური პოლიტიკის საკითხი. დანარჩენი მოხსენებები ინთორმაციული ხასიათისა უნდა ყოფილიყო, ამიტომ მე არ მომიმზადებია მოხსენება პოლიტიკური ანგარიშის შესახებ, მაგრამ ვფიქრობ, რომ საჭირო გახდება ეს მოხსენება იმავე ეკონომიურ თემას დავუახლოვო. ამიტომ, იქნებ ყველა რომ დავაკმაყოფილო, მოხსენების შემდეგ მომცემენ დამატებით შეკითხვებს, რასაც პასუხს გავცემ საბოლოო სიტყვაში. ვიმეორებ, რომ ამ საკითხზე სრულებით არ ვემზადებოდი და ახლა ვერ წარმომიდგენია სასურსათო გადასახადის საკითხის გარდა სხვა რა უნდა ვილაპარაკო.

პირველად დაიბეჭდა 1963 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 43

იბეჭდება
სტენოგრამის მიხედვით

2

გამოსვლა ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხებზე რეზოლუციის პროექტის განხილვის დროს 28 მაისს

1

ვფიქრობ, არ უნდა მივიღოთ ასეთი შესწორება[345], რადგანაც მაშინ შესწორებას განმარტება დასჭირდება. რა თქმა უნდა, თუ რევოლუცია დაიწყება ევროპაში, ჩვენ, ცხადია, პოლიტიკას შევცვლით, სამოქალაქო ომს, რომელიც ყოველთვის დაკავშირებულია ასეთ რევოლუციასთან, როგორც მოგეხსენებათ, შეუძლია პრაქტიკულად გარკვეული დროით ჩვენი მდგომარეობა გააუარესოს კიდეც. რა თქმა უნდა, ეს მცირე დრო იქნება, რა თქმა უნდა, ძნელია განვსაზღვროთ სხვა რესპუბლიკებში სამოქალაქო ომის ხანგრძლივობა, მაგრამ როდესაც იგი გამარჯვებით დამთავრდება, ჩვენ პოლიტიკას იმ თვალსაზრისით შევცვლით, რომ იქნებ ვთქვათ: ნურაფერს ავიღებთ გადასახადით, არამედ ყველაფერი საქონელგაცვლით

ავიღოთ. ეს გლეხებს უნდა განვუმარტოთ, რადგანაც სხვაგვარად ისინი იფიქრებენ: ეს რა, ისევ გაწერას დავუბრუნდეთო. მე ამიტომ მგონია, რომ უკეთესია ასეთი არაფერი არ დავუმატოთ. ევროპაში რევოლუციისა და სამოქალაქო ომის მთელი რიგი ხანგრძლივი წლები იმას გამოიწვევს, რომ ყოველგვარი გადასახადის გარეშე საქონელგაცვლით აიღებენ. ეს ნათქვამია ყრილობის რეზოლუციაში, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ თანდათანობით გადასახადი შემცირდება. აი რომელ პუნქტს მიეკუთვნება მომავალი ძლევამოსილი რევოლუცია, რომელსაც წლების ხანგრძლივი რიგი ხანმოკლედ აქცევს.

2 345

ამხანაგებო, ჩვენ სწორედ ამ პუნქტზე გვქონდა მსჯელობა კომისიაში, იყო უთანხმოება. ჯერ მილიუტინი არ დაეთანხმა სიტყვებს «ბრძოლა ანარქიულ საქონელგაცვლასთან» და თქვა, ამას შარის მოდებად გაიგებენ და ვაჭრობის თავისუფლება პრაქტიკულად გაუქმდებაო. მაგრამ ჩვენ შევთანხმდით ამ პუნქტზე მაშინ, როდესაც პუნქტი ახლანდელი რედაქციით შედგა და ნათქვამი იყო: «ბრძოლა ანარქიულ საქონელგაცვლასთან», აგრეთვე «რამდენადაც ხელიდან უსხლტება საკონტროლო ზედამხედველობას» — აქ მხედველობაში გვაქვს მეტომრეობა, თქვენ კი იცით უკანონო ვაჭრობა იდევნება ყველა ქვეყანაში, რომელიც ვაჭრობის თავისუფლების ნებას რთავს, კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი. როგორი ბრძოლა? ბრძოლა უპირატესად კოოპერაციის ხელში თავმოყრის გზით და დამატებულია: «მაგრამ სწორი თავისუფალი ვაჭრობის შეუზღუდავად». როდესაც ასეთი რედაქცია მიღწეულ იქნა, კომისია ერთხმად დაეთანხმა იმას, რომ ვაჭრობის თავისუფლების შეზღუდვის საშიშროებასაც მივიღებთ. საკითხი, რა თქმა უნდა, საფრთხილოა. ჩვენ გვსურს, რათა დირექტივა იმ მიმართულებისა იყოს, რომ არ შეზღუდოს ვაჭრობის თავისუფლება, მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ უკანონო ვაჭრობასთან, კერძო მეტომრეობასა და ტრანსპორტის ნგრევასთან ბრძოლას. კომისიაში ჩვენ ვფიქრობდით, ხომ არ უნდა შეგვეცვალა

სიტყვა «ბრძოლა» უფრო სუსტი სიტყვით, მაგრამ შემდეგ შევთანხმდით გამოთქმაზე, რომ ბრძოლის საგანი მხოლოდ ანარქიული საქონელგაცვლაა, რომელიც ხელიდან უსხლტება სახელმწიფოს ყოველგვარ კონტროლს, მით უმეტეს, რომ მიღებულ იქნა დამატება «მაგრამ სწორი თავისუფალი ვაჭრობის შეუზღუდავად». ამ დამატებით სიტყვა «ბრძოლა» არ არის მეტისმეტად ძლიერი სიტყვა, კერძოდ, ის შესწორება, რომელსაც ამხანაგი გვთავაზობდა, იმით არის სარისკო, რომ საწინააღმდეგო მიზანს მივაღწევთ. იგი აგდებს სიტყვებს «მაგრამ სწორი ვაჭრობის შეუზღუდავად»...

3 §47

ვფიქრობ, რომ საბჭოთა მეურნეობები ჯერ კიდევ საკმაოდ არ განვითარებულან, ისინი მეტისმეტად სუსტნი არიან. ერთ წელიწადს ცოტა მომჯობინდნენ და შემდეგ წელს ვნახოთ, შევძლებთ თუ არა, რომ გავაფართოოთ მათი თვითმოქმედება.

4

ბოლო შესწორება უხეიროა[348], რადგანაც მატერიალურ რესურსებზე სხვა პუნქტშია ნათქვამი, მე-5 პუნქტი: «მსხვილი მრეწველობის საწარმოო პროგრამების გადასინჯვა (გარკვეულ ნაწილში) იმ მიმართულებით, რომ გაძლიერდეს ფართო მოხმარების საგნებისა და გლეხის სახმარი ნივთების წარმოება.

თითოეული მსხვილი საწარმოს დამოუკიდებლობისა და ინიციატივის გაფართოება საფინანსო სახსრებისა და მატერიალური რესურსების გამგებლობის საქმეში. სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად შესაბამისი ზუსტი დადგენილების შეტანა». ამგვარად, აქ ამას არ გავიმეორებთ. სავსებით გარკვეულად არის ნათქვამი მატერიალური განაწილების, მაგალითად სურსათის განაწილების შესახებ, რა თქმა უნდა, ცენტრის დაუზარალებლად, რადგანაც ცენტრში თავმოუყრელად, უამისოდ ლაპარაკიც ზედმეტია მრეწველობაზე. რაც შეეხება იმ ამხანაგის პირველ

შენიშვნას, რომელიც ამბობდა, ამჟამად შეუფერებელია გადაწყვეტილად ჩავთვალოთ საკითხი ადგილობრივი ეკონომიური თათბირებისა, რომელთაც რაღაცის ჩაშლა შეუძლიათო, — მე ეს არსად გამიგონია. პირიქით, იყო მოთხოვნები, რომ ყველგან შემოგვეღო ეკონომიური თათბირები, რომლებიც მუშაობენ, როგორც სახკომსაბჭოს კომისია. სახკომსაბჭოს ყოველ წევრს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს ყოველ წარმომადგენელს უფლება აქვს გაასაჩივროს სახკომსაბჭოში. იმიტომ, რომ ჩვენ შრომისა და თავდაცვის საბჭოს შემადგენლობაში სახკომსაბჭოს იმავე წევრებს ვარჩევთ, ადგილებზეც არავითარი სპეციალური კანცელარიები, არავითარი სპეციალური ორგანოები არა გვაქვს, მხოლოდ იგივე დაწესებულებები და განყოფილებებია. საგუბერნიო ეკონომიური თათბირი სავსებით შესაფერისი ფორმაა, რომელიც კი არ ზღუდავს, ააღვილებს თათბირს. როგორც განაწესშია ნათქვამი: «ძირითადი ტიპის ყოველგვარი სახეცვლილების შემთხვევაში, ე. ი. აღმასკომებს მთლიანად საკუთარ თავზე შეუძლიათ აიღონ ეკონომიური თათბირების ამოცანები და მოვალეობანი...» (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს), ასე რომ არ არის იმის წინასწარი გადაწყვეტილება, რომ მივუთითოთ მოქმედების აბსოლუტურად მტკიცე და ერთფეროვანი ერთი წესი. გარდა ამისა, კომისიის მიერ შემოთავაზებული რეზოლუცია ამბობს: «მიღებულ იქნეს ძირითადად». კომისია[349] იკრიბება და მუშაობს, მისმა თავმჯდომარემ ოსინსკიმ გვიამბო, რომ გადასინჯულია მრავალი პუნქტი და უკვე წარდგენილია წერილობითი ფორმით. რთული ხასიათის სამუშაოა, ასე რომ კიდევ სპეციალური კომისია იქნება საჭირო. იმის შიში, რომ ხელებს ვიბოჭავთ, როდესაც ვამბობთ, მიღებულია ძირითადადო, ამის შიში არა გვაქვს.

5 350

წინააღმდეგი არა ვართ; მაგრამ, თუ თემის მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი აქ კი არა, მე-6 პუნქტთან უნდა იყოს[351]. წინადადება შემომაქვს ეს ძირითადად მივიღოთ და მე-6 პუნქტს დავუმატოთ.

6 352

ეს უკვე დეტალებია, ეს საკითხი უნდა დაისვას სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიაზე. განიხილონ იგი დაინტერესებულმა პირებმა. პრინციპულად უარყოფა აქ არ შეიძლება, მაგრამ ეს საერთოდ კერძო ზომაა.

7 353

აქ ეს შიში გადაჭარბებულია.

ჩვენ მე-7 პუნქტში ვამბობთ: აპარატის შენარჩუნება და გაძლიერება სასურსათო გადასახადის სწრაფად და სრულად აკრეფისათვის. რა თქმა უნდა, სასურსათო გადასახადი დარწმუნების გზით არ იქნება აკრეფილი, მისი აღება მხოლოდ იძულებით შეიძლება, სწორედ ამას ჰქვია აპარატი. დღეს ხელმოწერილ იქნა რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი დადგენილება, ინსტრუქცია. ყველა მათგანის შინაარსი ის არის, რომ ჩვენ აპარატს ვინარჩუნებთ, ვაძლიერებთ და სწრაფად მოვითხოვთ სასურსათო გადასახადის აკრეფას. ამბობენ, რომ აქ ნათქვამია: «პირველ ადგილზე წამოწეულია საქონელგაცვლაო», და შიშობენ, რომ გლეხები ჯერ საქონელგაცვლაზე იმსჯელებენო, მაშინ დავწერთ: «განსაკუთრებით მნიშვნელოვან ადგილზე».

პირველად დაიბეჭდა 1963 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 43

იბეჭდება სტენოგრამის მიხედვით

ყველა სახალხო კომისარს და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამგეს

ასლები სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესა და მდივანს

28/V. 1921 წ.

ყველა სახალხო კომისარს უნდა ჰქონდეს ნაბეჭდი სახით დარიგებული და დაგზავნილი

შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესის პროექტი,

ლენინის და შრომისა და თავდაცვის საბჭოს კომისიის თავმჯდომარის ამხ. ობოლენსკის (ოსინსკის) ხელმოწერით.

ეს პროექტი წარდგენილი იქნება სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიაზე, რომელიც იხსნება 30. V. 1921, დღის 1 საათზე.

ყველა სახალხო კომისარი ვალდებულია

1) ორშაბათისათვის, 30. V. 1921, დღის 2 საათისათვის მოამზადოს განაწესის წერილობითი შესწორებანი და დამატებანი ყველა იმ პუნქტის, საკითხის, ქვესაკითხის მიხედვით, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება შესაბამის სახალხო კომისარიატს;

2) იმავე ვადისათვის მოამზადოს თავდაპირველი პროექტი საკითხებისა (ანგარიშისათვის) და ქვესაკითხებისა (ე. ი. კერძო საკითხთა უფრო დეტალური სია ანგარიშისათვის) გამოუკლებლივ ყველა სახალხო კომისარიატის მიხედვით, თითოეულმა სახალხო კომისარმა თავისი სახალხო კომისარიატის მიხედვით.

ეს სავალდებულოა, რადგანაც სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტი დაამტკიცებს საერთო განაწესს, რომელიც შედგება 2 ნაწილისაგან: ა) შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესი ეკონომიური სახალხო კომისარიატების ანგარიშგებით; ბ) სახკომსაბჭოს განაწესი უკლებლივ ყველა, არა მარტო ეკონომიური, არამედ არაეკონომიური სახალხო კომისარიატის ანგარიშგების დაწესებით.

ეს ბოლო ანგარიშები შეადგენენ უკანასკნელ, დამატებით «საკითხთა მეხუთე ჯგუფს». თითოეული სახალხო კომისარიატის მიხედვით უნდა შედგეს უმნიშვნელოვანესი საკითხები ანგარიშისათვის იმ № 1 — № 27 საკითხთა ნიმუშით, რაც მოცემულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესის პროექტში.

ანგარიშებს დაახლოებით 1000 ეგზემპლარის რაოდენობით დაბეჭდავს თითოეული საგუბერნიო აღმასკომი და თი-

თოეული სამაზრო აღმასკომი (ბეჭდვის ტექნიკური შესაძლებლობა, თითოეული მაზრის მიერ თვეში არანაკლებ 1 ნაბეჭდი თაბახისა, მე გავარკვიე ქაღალდის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოების მთავარ სამმართველოსთან დაკავშირების შემდეგ). ანგარიშების დაბეჭდვისა და წარმოდგენის ვადა ნავარაუდევია წელიწადში 6-ჯერ ან 4-ჯერ, საბოლოოდ ამ ვადას დააწესებს, ერთდროულად მთელი განაწესის დამტკიცებასთან ერთად, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესია.

თითოეული სახალხო კომისარი ვალდებულებას კისრულობს ზემოთ აღნიშნული ვადისათვის (30. V. 1921, დღის 2 საათი) წერილობით წარმოადგინოს, 3 — 5 ეგზემპლარად, იმ უმნიშვნელოვანეს საკითხთა მოკლე სია, რომლებიც უნდა შევიდნენ შესაბამისი სახალხო კომისარიატის მიხედვით შედგენილ განსაკუთრებულ ანგარიშში.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

ეცნობოს დაუყოვნებლივ, წერილობითაც და ტელეფონითაც, თითოეული სახალხო კომისრისათვის, ხოლო თუ ის არ არის, მოადგილის, მომხსენებლის ან კოლეგიის წევრისათვის ხელწერილის ჩამორთმევით.

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ანგარიშებიდან ყოველთვიური მოკლე ამონაწერების გაკეთების შესახებ

1. მიმდინარე ანგარიშებს, რომლებიც უნდა იყოს ყველა უწყებაში, დაწესებულებაში, მთავარ სამმართველოში, საწარმოში (მათ შორის არასახელმწიფოებრივში) წარმოადგენენ თვეში ერთხელ მაინც.

2. **«ეკონომიჩესკაია ჟიზნში», სახელმწიფო საგეგმო კომისიასა** და **ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში** ეს ანგარიშები გასაცნობად უნდა მიიტანონ რეგულარულად და დროულად (მიუხედავად უმაღლესი საბჭოთა დაწესებულებების მოთხოვნებისა, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს ყოველ შემთხვევაში).
3. ანგარიშების მოკლე ამონაწერები (წარმოების სიდიდე, მუშათა რაოდენობა, საწარმოთა რაოდენობა და სხვა მხოლოდ აბსოლუტურად საჭირო ციფრები) იგზავნება 3 ეგზემპლარად, თითო-თითო ეგზემპლარი «ეკონომიჩესკაია ჟიზნში», სტატისტიკურ სამმართველოსა და სახელმწიფო საგეგმო კომისიაში.
4. «ეკონომიჩესკაია ჟიზნი» მას დაუყოვნებლივ ბეჭდავს.
5. ამ ანგარიშების ანალიზს სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების მიხედვით აწარმოებს «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» რედაქციის, სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს თითო-თითო წევრი (თანახმად მე-6 პარაგრაფისა ამქამად).
6. პერიოდულ ცნობა-მიმოხილვებს «ეკონომიჩესკაია ჟიზნი» ბეჭდავს პერიოდულად, რედაქციის მიერ დაწესებულ ვადებში, მაგრამ 2-ჯერ მაინც წელიწადში.
7. უმარტივეს ცხრილებს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ყოველთვიურად ადგენს. მათი ფორმა მან ერთი კვირის ვადაში უნდა შეიმუშაოს. დამტკიცებული ფორმებით ისინი შედგენილ იქნენ ერთი კვირის ვადაში ფორმების დამტკიცების შემდეგ.

დაწერილია 1921 წლის მაისის დამლევს
ან ივნისის დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში.

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

წინადადებები რკპ(ბ) პირადი შემადგენლობის შემოწმებისა და წმენდის საკითხზე [354]

რეგისტრაციის მწარმოებელი ძირითადი უჯრედი უნდა იყოს რუსეთის კომუნისტური პარტიის ძველ წევრთა (არა < < 5 — 7 წლისა პარტიაში) და აუცილებლად მუშათა ჯგუფი.

პარტიიდან უნდა გავაძევოთ ყველა რამდენადმე საეჭვო, არასანდო რკპ(ბ) წევრი, რომელთაც ვერ დაამტკიცეს თავიანთი სიმტკიცე, დამატებითი შემოწმებისა და გამოცდის შემდეგ უკან დაბრუნების უფლებით.

1) სხვა პარტიებიდან შემოსულნი 1917 წ. X-ის შემდეგ; 2) ძველი მთავრობების სამსახურში ნამყოფი მოხელეებისა და თანამდებობის პირების წრიდან შემოსულნი; 3) ისინი, რომელთაც ეკავათ რაიმე პრივილეგიებთან დაკავშირებული თანამდებობები; 4) ვინც საბჭოთა მოსამსახურეებს მიეკუთვნებიან, — ეს კატეგორიები უკლებლივ განსაკუთრებით უნდა შემოწმდნენ, ამასთან სავალდებულოა იმ პარტიული და უპარტიო მშრომელების გამოკითხვა, რომლებიც რუსეთის კომუნისტური პარტიის ასეთ წევრს ხვდებოდნენ მის სამუშაოზე.

რეკომენდაციის მიმცემს მოეთხოვოს ზუსტი წერილობითი ატესტაცია, ამასთან რეკომენდაციის მიმცემთა შორის აუცილებლად უნდა იყოს პარტიაში ყოფნის 5 — 7 წლის სტაჟის მქონე რამდენიმე მუშა.

ფორმალობა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ნამდვილი მუშების მიმართ, რომლებიც ნამდვილად მუშაობენ თავიანთ ფაბრიკაში, აგრეთვე იმ გლეხთა მიმართ, რომლებიც მიწის საკუთარ ნაკვეთზე არიან დასაქმებული, რათა ასეთ პირებს ხელახალი რეგისტრაცია არ გაუძნელონ.

დაწერილია 1921 წლის ივნისში,
არა უგვიანეს 21 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესი

1921 წლის 22 ივნისი — 12 ივლისი[355]

1

წერილი ო. ვ. კუუსინენს და შენიშვნები «კომუნისტური პარტიების ორგანიზაციული მშენებლობის, მათი მუშაობის მეთოდებისა და შინაარსის შესახებ თეზისების» პროექტის მიმართ

ამხ. **კუუსინენს**

სასწრაფოდ.

მისამართი: ფინელ კომუნისტებთან ან
კომინტერნში.

10/VI.

ამხანაგო კუუსინენ!

დიდი კმაყოფილებით წავიკითხე თქვენი სტატია (3 თავი) და თეზისები.

თან ვურთავ ჩემს შენიშვნებს თეზისების გამო.

გირჩევთ: დაუყოვნებლივ მონახოთ **გერმანელი** ამხანაგი (ნამდვილი გერმანელი), რომელმაც უნდა შეასწოროს გერძანული ტექსტი (სტატიისა და თეზისებისა). იქნებ ეს ამხანაგი წაიკითხავდა აგრეთვე თქვენი დავალებით თქვენს სტატიას როგორც მოხსენებას III კონგრესზე (გერმანელი დელეგატებისათვის ბევრად მოხერხებული იქნება გერმანელს მოუსმინონ)[356].

ჩემი რჩევაა: ბოლო (თეზისებისა) ამოშალოთ.

გაცილებით უფრო დაწვრილებით პროპაგანდასა და აგიტაციაზე —

განსაკუთრებით პრესაზე, მაგრამ ზეპირ პროპაგანდაზეც.

ჩემი აზრით, თქვენ უსათუოდ უნდა იკისროთ მოხსენება ამ კონგრესზე. მე ამას დღეს მივწერ ზინოვიევს.

დიდი მოკითხვა! თქვენი ლენინი

თეზისები

(თეზისი 6 ან) § 6, 2 აბზაცი, უკანასკნელი ფრაზა

უნდა გვაუწყებდეს:

«...გარდაუვალად მემკვიდრეობით იღებს ამ ტენდენციას რამდენადმე... წრიდან...»

შემდეგი ფრაზაც უნდა გვაუწყებდეს:

«...კომუნისტურმა პარტიამ უნდა დასძლიოს ეს ტენდენცია სისტემატური, შეუპოვარი ორგანიზაციული მუშაობით და მრავალგზისი გაუმჯობესებითა და გამოსწორებით»...

(თეზისი 7 ან) § 7:

უფრო დაწვრილებით უნდა გადმოიცეს, რომ დასავლეთის შეტწილ ლეგალურ პარტიებში სწორედ ეს არის. არ არის პარტიის **თითოეული** წევრის ყოველდღიური მუშაობა (რევოლუციური მუშაობა).

აი ძირითადი ბოროტება.

შეიცვალოს ეს — აი სად არის ყველაზე დიდი სიძნელე.

ეს კი ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია.

§ 10.

ბევრად უფრო დაწვრილებით.

უფრო დეტალურად.

მაგალითები.

გაზეთის როლი.

«ჩვენი» გაზეთი ჩვეულებრივ კაპიტალისტურ გაზეთთან შედარებით.

მუშაობა «ჩვენი» გაზეთისათვის.

მაგალითი: 1912 — 1913 წლების რუსეთის გაზეთები.

ბრძოლა ბურჟუაზიულ გაზეთებთან. მათი გამყიდველობის, მათი სიცრუის მხილება და ა შ.

ფურცლების გავრცელება.

აგიტაცია სახლში.

საკვირაო გასეირნება **და სხვ.**

ბევრად, ბევრად უფრო დაწვრილებით.

§ 11 — ასევე ბევრად, ბევრად უფრო დაწვრილებით.

§ 13. ანგარიშების წარდგენა და ანგარიშების **განხილვა** «უჯრედებში».

მოხსენებები მტრული და განსაკუთრებით წვრილბურჟუაზიული ორგანიზაციების შესახებ (Labour Party *, სოციალისტური პარტიები და სხვ.).

უფრო დაწვრილებით არაორგანიზებული და ყვითელ კავშირებში (მათ შორის II და II$^1/_2$ ინტერნაციონალებში) ორგანიზებული პროლეტარიატის მასას და მშრომელთა არაპროლეტარულ ფენებს შორის მოვალეობის შესახებ.

§§ 26 და 27.

ეს ამას არ ეკუთვნის.

ეს «ორგანიზაციული საკითხი» არ არის.

ეს თემა უმჯობესია გადამუშავდეს განსაკუთრებულ სტატიად «კომუნისტიჩესკი ინტერნაციონალისათვის», მაგალითად: «ორგანიზაციული საკითხები რევოლუციურ პერიოდებში» ან ამის მსგავსად.

ან: «მოსალოდნელი რევოლუციისა და ჩვენი შესაბამისი ამოცანების საკითხისათვის» (რუსეთისა და ფინეთის გამოცდილების საფუძველზე).

დაწერილია 1921 წლის 10 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს ჟურნალში «პრობლემი მირა ი სოციალიზმა» № 3

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით თარგმანი გერმანულიდან

2

წერილი ო. ვ. კუუსინენსა და ვ. კენენს [357]

ამხანაგებს კუუსინენსა და კენენს

9/VII. 1921.

ძვირფასო ამხანაგებო!

დიდი კმაყოფილებით წავიკითხე თქვენი პროექტი თეზისებისა ორგანიზაციულ საკითხზე. ჩემი აზრით, ნამუშევარი

---

* — ლეიბორისტული პარტია. რედ.

ძალიან კარგია. შემოგთავაზებდით მხოლოდ ორ დამატებას:

1) რჩევა — ყველა პარტიაში საუკეთესო, ნაცადი, გამოცდილი მუშებისაგან შეიქმნას საკონტროლო კომისიები;

2) ჯაშუშების შესახებ — განსაკუთრებული პარაგრაფი არალეგალური მუშაობის საკითხთან დაკავშირებით. შინაარსი დაახლოებით ასეთია: ბურჟუაზია აუცილებლად გაგზავნის ჯაშუშებსა და პროვოკატორებს არალეგალურ ორგანიზაციებში. ამის წინააღმდეგ უნდა ვაწარმოოთ უაღრესად გულმოდგინე და შეუპოვარი ბრძოლა, განსაკუთრებით კი, როგორც საშუალება ამ ბრძოლაში, უნდა ვურჩიოთ ლ ე გ ა ლ უ რ ი და არალეგალური მუშაობის უნარიანი შეხამება, კომბინირება, ხანგრძლივი ლ ე გ ა ლ უ რ ი მუშაობით შემოწმება (ვარგა თუ არა არალეგალურ სამუშაოზე) [358].

კომუნისტური სალამით

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს ჟურნალში «პრობლემი მირა ი სოციალიზმა» № 3

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით თარგმანი გერმანულიდან

3

შენიშვნები კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესისათვის ტაქტიკის შესახებ თეზისების პროექტებზე

წერილი გ. ე. ზინოვიევს [359]

საქმის არსი ის არის, რომ ლევი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ ძალიან ბევრ რამეშია მ ა რ თ ა ლ ი. სამწუხაროდ, მან ჩაიდინა არაერთი ისეთი საქციელი, რომლებიც დისციპლინას არღვევს, რისთვისაც პარტიამ იგი გარიცხა.

ტალჰაიმერისა და ბელა კუნის თეზისები საფუძველშივე პოლიტიკურად მცდარია. ფრაზაა და მემარცხენეობის თამაშია.

რადეკი მერყეობს და თავისი პირვანდელი პროექტი გააფუჭა «მემარცხენეთა» უგუნურობისათვის არაერთი დათმობით. პირველივე მისი «დათმობა» ყველაზე მეტად დამახასიათებელია: თავისი თეზისების პირველ პარაგრაფში «Umgrenzung der Fragen»* მას ადრე ეწერა: «მუშათა კლასის უმრავლესობის მოპოვება (კომუნიზმის პრინციპებისათვის)» (შენიშნეთ). შესწორებულია (verballhornt) **: «მუშათა კლასის სოციალურად გადამწყვეტი ნაწილების მოპოვება».

მარგალიტია! აქ, ასეთ კონტექსტში, «კომუნიზმის პრინციპებისათვის» მუშათა კლასის სწორედ უმრავლესობის მოპოვების აუცილებლობის შესუსტება უკიდურესი უაზრობაა.

ძალაუფლება რომ მოიპოვო, გარკვეულ პირობებში (მათ შორის მაშინ, როდესაც კომუნიზმის პრინციპებისათვის უკვე მოპოვებულია მუშათა კლასის უმრავლესობა) საჭიროა მუშათა კლასის სოციალურად გადამწყვეტი ნაწილების უმრავლესობის დარტყმა გადამწყვეტ ადგილას.

ამ ჭეშმარიტების გადაკეთება, verballhornen ისე, რომ კომუნიზმის პრინციპებისათვის მუშათა კლასის მოპოვების თაობაზე კომუნისტური ინტერნაციონალის საერთო ამოცანების პირველ პარაგრაფში შესუსტდეს დებულება მუშათა კლასის **უმრავლესობის** მოპოვების აუცილებლობის შესახებ, — ეს ბელა კუნისა და ტალჰაიმერის უგუნურების (შესახედაობა, ეშმაკმა დალახვროს, სოლიდური აქვს, სინამდვილეში კი გასაროზგია) და რადეკის... უმალ დამყოლი ხასიათის კლასიკური ნიმუშია.

რადეკს ჰქონდა უზომოდ გრძელი, უძვლო თეზისები, რომლებსაც არ გააჩნდა პოლიტიკური ცენტრალური პუნქტი. და რადეკმა ისინი უფრო გააწყალწყალა, სულ გააფუჭა.

რა ვქნათ? არ ვიცი. ძლიერ ბევრი დავკარგეთ — დრო და მუშაობა.

---

* — «საკითხთა წრის განსაზღვრა». რედ.

** — გაბალჰორნებულია — გაუარესებულია შესწორების ნიშნით. რედ.

თუ კონგრესზე აშკარა ბრძოლა არ გსურთ, მაშინ გთავაზობთ:

1) დღესვე (რადგან ბუხარინი გვარწმუნებს, რომ თქვენ ძირითადი საკითხი დღეს უნდა გადაწყვიტოთ, არა უგვიანეს: გადატანა აჯობებდა) ძირშივე უარყოთ ზუსტი კენჭისყრით ტალჰაიმერისა და ბ. კუნის თეზისები, როგორც საფუძველშივე მცდარი. ეს ჩაწერეთ. ყველაფერს გააფუჭებთ, თუ ამას არ გააკეთებთ და შეღავათს მისცემთ.

2) საფუძვლად აიღეთ რადეკის პირველი პროექტი, რომელიც ისეთივე შესწორებებით არ არის «გაუმჯობესებული», რომელთაგან ერთი ნიმუში მე მოვიყვანე.

3) 1 — 3 პირს დაავალეთ შეამცირონ ეს ტექსტი და ისე შეასწორონ, რომ იგი აღარ იყოს (თუკი ეს შესაძლებელია!) უძვლო, არამედ მან ნათლად, ზუსტად, არაორაზროვნად, როგორც ცენტრალური იდეები და თავიდათავი, ნამდვილად დასახოს შემდეგი:

კომუნისტურ პარტიებს არსად ჯერ უმრავლესობა (მუშათა კლასისა) არ მოუპოვებიათ: არა მარტო ორგანიზაციული ხელმძღვანელობისათვის, არამედ კომუნიზმის პრინციპებისთვისაც. ეს ყველაფრის საფუძველია. ერთადერთი გონივრული ტაქტიკის ამ საფუძვლის «შესუსტება» **დანაშაულებრივი თავქარიანობაა.**

აქედან დასკვნა: ბიუხედავად ამისა რევოლუციური აფეთქებები ძალიან მალეა შესაძლებელი, ევროპაში საწვავი მასალის სიუხვის გამო; შესაძლებელია — გამონაკლის შემთხვევაში — მუშათა კლასის იოლი გამარჯვებაც, მაგრამ უაზრობა იქნებოდა, რომ ახლა ამ შესაძლებლობაზე აგვეგო კომუნისტური ინტერნაციონალის ტაქტიკა; უაზრო და მავნეა იმის წერა და ფიქრი, რომ თითქოს დამთავრდა პროპაგანდის პერიოდი, დაიწყო მოქმედების პერიოდი.

კომუნისტურმა ინტერნაციონალმა ტაქტიკა ამაზე უნდა ააგოს: განუხრელად და სისტემატურად მოიპოვე მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა, პირველ რიგში **ძ ვ ე ლ ი პროფკავშირების შიგნით.** მაშინ უეჭველად გავიმარჯვებთ მოვ-

ლენათა ყოველგვარი შემობრუნების დროს. ხოლო მოკლე ვადით «გამარჯვებას» მოვლენათა განსაკუთრებით ბედნიერი შემობრუნების დროს სულელიც შეძლებს.

აქედან დასკვნა: «ღია წერილის» ტაქტიკა ყველგან აუცილებელია. ეს უნდა ითქვას პირდაპირ, ზუსტად, ნათლად, რადგან «ღია წერილის» საკითხში მერყეობა არქიმავნე და არქისამარცხვინო და **არქიგავრცელებულია.** ცოდვა გამხელილი ჯობიაო. ყველა, ვინც ვერ გაიგო «ღია წერილის» ტაქტიკის ეს აუცილებლობა, არა უგვიანეს ერთი თვისა კომუნისტური ინტერნაციონალის III კოგრესის შემდეგ გაირიცხოს კომუნისტური ინტერნაციონალიდან. მე ნათლად ვხედავ ჩემს შეცდომას, რომ ხმა მივეცი KAPD-ის[360] დაშვების სასარგებლოდ, ეს რაც შეიძლება სწრაფად და სრულად უნდა გამოვასწოროთ.

ბუნდოვანი აზრების გადმოცემას, როგორც ამას რადეკი აკეთებს, სჯობია ითარგმნოს «ღია წერილის» მთელი ტექსტი (ხოლო გერმანულად: მოყვანილ იქნეს მთელი ტექსტი) და დეტალურად განვმარტოთ მისი მნიშვნელობა და თვით იგი როგორც ნიმუში.

მე ამით შემოვფარგლავდი ტაქტიკის შესახებ საერთო რეზოლუციას.

მხოლოდ მაშინ იქნება ტონი მიცემული. ცენტრალური აზრი ნათელი იქნება. არ იქნება გაურკვევლობა. ყველას არ ექნება იმის საშუალება, რომ ამოიკითხოს, რაც მას სურს (როგორც ეს რადეკმა ამოიკითხა).

მაშინ რადეკის პირვანდელი პროექტი სულ ცოტა 4-ჯერ შემცირდებოდა.

დროა შევწყვიტოთ თეზისების ნაცვლად ბროშურების წერა და კენჭისყრა. მაშინაც კი, თუ ჩვენ შორის დავა არ იქნება, კერძო შეცდომები გარდაუვალია ასეთი სისტემის დროს. მაგრამ თუ თეზისები უძვლო იქნა და ჩვენ შორის დავა ატყდა, წავაწყდებით **დიდ** შეცდომებს და მთელ საქმეს გავაფუჭებთ.

შემდეგ კი, თუ საღერღელი დიდად აგეშალათ, შეიძლება ჩაურთოთ დამატება: ასეთი ტაქტიკის საფუძველზე, კერძოდ, მაგალითის სახით, არა როგორც პრინციპი, არამედ სწორედ როგორც მაგალითი, დავუმატებთ კიდევ ამას და ამას.

შემდეგ.

სერატისა და ლევის ერთ «ოპორტუნიზმად» განზოგადება სისულელეა. სერატი დამნაშავეა; რაში? უნდა ვთქვათ ზუსტად, ნათლად, **იტალიის** საკითხში და არა საერთო ტაქტიკის საკითხში. იმაში, რომ გაეთიშა კომუნისტებს, არ გარიცხა რეფორმისტები, ტურატი და კომპანია. ვიდრე ამას არ შეასრულებთ, ამხანაგო იტალიელებო, თქვენ კომუნისტური ინტერნაციონალის გ ა რ ე თ ხართ. თქვენ გრიცხავთ[361].

იტალიელ კომუნისტებს კი უაღრესად სერიოზულად ვურჩიოთ და მ ო ვ თ ხ ო ვ ო თ: ვიდრე თქვენ ვერ შეძლებთ დაჟინებით, მოთმინებით, უნარიანად **დ ა ა რ წ მ უ ნ ო თ** და მოიზიდოთ სერატის მუშები, ნუ ფახიფუხობთ, ნუ თამაშობთ მემარცხენეობას. «Fall Levi» * არა საერთო ტაქტიკაში, არამედ Märzaktion-ის ** შეფასებით, გერმანიის საკითხზე. ბრანდლერი ამბობს: იყო დეფენზივა. მთავრობამ პროვოკაცია მოაწყოო.

ვთქვათ, რომ ეს მართალია, რომ ასეთია ფაქტი.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან?

1) რომ მცდარი და უგუნური იყო ყველა შეძახილი ოფენზივის შესახებ, ეს შეძახილები კი ძალზე ბევრი იყო.

2) რომ შ ე ც დ ო მ ა იყო ს ა ე რ თ ო გაფიცვისაკენ მოწოდების ტაქტიკა, რადგანაც იყო პროვოკაცია მთავრობისა, რომელსაც ს უ რ დ ა ბრძოლაში ჩაეგება კომუნიზმის პ ა ტ ა რ ა ც ი ხ ე ს ი მ ა გ რ ე (ცენტრის ის რაიონი, სადაც უმრავლესობა უკვე ჰქონდათ კომუნისტებს).

3) ასით შეცდომებს შემდგომ უნდა ვირიდოთ, რადგან **გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი** განსაკუთრებული მდგომარეობა შეიქმნა

* — «ლევის შემთხვევა». რ ე დ.

** — მარტის გამოსვლის. რ ე დ.

მას შემდეგ, რაც მემარჯვენეთა მოხერხებული მანევრებით სამოქალაქო ომში დაიხოცა 20 000 მუშა.

4) ასობით ათასი მუშის დეფენზივას (ბრანდლერი ამბობს: მ ი ლ ი ო ნ ი ო, ხომ არ ტყუის? ხომ არ **გაერთო**? რატომ არა აქვს ოლქების, ქალაქების მონაცემები???), რომ «პუტჩი» და მით უმეტეს «ბაკუნისტური პუტჩი» ვუწოდოთ, — ეს შეცდომაზე უფრო ცუდია, ეს რევოლუციური დისციპლინის დარღვევაა. როგორც ამას ლევიმ დასძინა: კიდევ რაღაც დარღვევებიაო (ზუტად, არქივფრთხილად ჩამოთვალეთ ისინი), მაშინ სასჯელი დაიმსახურა და ახია, რომ გარიცხვით დაისაჯა.

უნდა დავაწესოთ გარიცხვის ვ ა დ ა, თუნდაც ნახევარი წელი. შემდეგ მას ნ ე ბ ა ე ძ ლ ე ვ ა კვლავ ითხოვოს პარტიაში შესვლა, და კომუნისტური ინტერნაციონალი რჩევას იძლევა, რომ იგი მიღებულ იქნეს, **თუ** ამ ვადაში ლოიალურად მოიქცევა.

ბრანდლერის ბროშურის მეტი სხვა ჯერ არაფერი წამიკითხავს და ამას მხოლოდ ლევისა და ბრანდლერის ბროშურების საფუძველზე ვწერ. ბრანდლერმა დაამტკიცა — თუ დაამტკიცა — ერთი რამ: Märzaktion არ ყოფილა «ბაკუნისტური პუტჩი» [ასეთი ლ ა ნ ძ ღ ვ ი ს ა თ ვ ი ს ლევი უნდა გარიცხულიყო], არამედ ასობით ათასი რევოლუციური მუშის გმირული დაცვა იყო: მაგრამ რაგინდ გმირულიც იყოს, **არ შეიძლება შემდგომში** ასეთი ბრძოლის მიღება იმ მთავრობის პროვოკაციით, რომელმაც პროვოკაციებით უკვე მოკლა 1919. I-დან 20 000 მუშა. მანამდე, ვიდრე კომუნისტების მხარეზე არ იქნება უმრავლესობა მთელ ქვეყანაში და არა მხოლოდ პატარა რაიონში.

((1917 წ. ივლისის დღეები არ ყოფილა ბაკუნისტური პუტჩი. ასეთი შეფასებისათვის ჩვენ პარტიიდან გავრიცხავდით. ივლისის დღეები გმირული შ ე ტ ე ვ ა იყო. დასკვნა კი ასეთი გამოვიტანეთ: შემდგომ გმირულ შეტევას ჩვენ ნ ა ა დ რ ე ვ ა დ არ განვახორციელებთ. საერთო ბრძოლის ნაადრევად მიღება — აი რა არის Märzaktion-ის არსი. პუტჩი კი არა,

შეცდომაა, რომელიც შემსუბუქებულია ასობით ათასი ბუშის დეფენზივის გმირობით)).

შმერალის შესახებ. ხომ არ შეიძლება თუნდაც 2—3 დოკუმენტი?

შეცდომა არ იქნება, თუ კომინტერნისათვის დაიბეჭდება თუნდაც **2-2** დოკუმენტი (თითო 2—4 გვერდი) თითოეულ ქვეყანაზე.

რა ფაქტებია შმერალის შესახებ? შტრასერის შესახებ?

არ დავივიწყოთ ერთ-ერთი მთავარი: უეჭველად ამოვაგდოთ რადეკის პირველი თეზისებიდან ყველაფერი, რაც ეხება «ლოდინის პარტიას», ამის გაკიცხვას. ყველაფერი ამოვაგდოთ [362].

ბულგარეთის, სერბიის (იუგოსლავიის?) და ჩეხოსლოვაკიის შესახებ საკითხი დაისვას კონკრეტულად, განსაკუთრებით, ნათლად და ზუსტად **ამ** ქვეყნების შესახებ.

თუ ჩვენ ამაში ვერ ვთანხმდებით, წინადადება შემომაქვს მოვიწვიოთ პოლიტბიურო.

10/VI 1921 წ. ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

4

წინადადებები «ტაქტიკის საკითხზე თეზისების» პრაქტიკისათვის

1) ამოიშალოს შმერალის დასახელება და აბზაცის მთელი ბოლო ნაწილი;

2) დაევალოს კომისიას (ან Executive *) შეადგინოს ჩეხების პარტიისადმი ერცელი წერილი, რომელშიც მოცემული იქნება საქმიანი, ზუსტი, ციტატებიანი კრიტიკა

* — აღმასრულებელ კომიტეტს. რედ.

იმისა, რაც მ ც დ ა რ ი ა შმერალის პოზიციაში და რაშიაც უფრო ფრთხილი უნდა იყვნენ Reichenberger «*Vorwärts*»-ის რედაქტორები [363].

დაწერილია 1921 წლის ივლისში,
არა უგვიანეს 9 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს
ჟურნალში «პრობლემი მირა ი
სოციალიზმა» № 2

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

5

სიტყვები გერმანიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და იტალიის დელეგაციების წევრთა 11 ივლისის თათბირზე

1

გუშინ «პრავდაში» წავიკითხე ზოგიერთი ცნობა, რამაც ცამარწმუნა, რომ შეტევის მომენტი, შესაძლოა, უფრო ახლოს არის, ვიდრე ჩვენ ამას კონგრესზე ვვარაუდობდით, და რისთვისაც ასე დაგვესხნენ თავს ახალგაზრდა ამხანაგები. მაგრამ ამ ცნობების შესახებ უფრო გვიან მოგახსენებთ, ახლა კი უნდა გითხრათ, რომ რაც უფრო ახლოა გენერალური შეტევა, მით უფრო «ოპორტუნისტულად» უნდა ვიმოქმედოთ. ახლა თქვენ ყველანი შინ დაბრუნდებით და მუშებს ეტყვით, რომ ჩვენ უფრო კეთილგონიერნი გავხდით, ვიდრე III კონგრესამდე ვიყავით. ნუ შეცბებით, თქვით, შეცდომა დავუშვით და ახლა გვსურს უფრო ფრთხილად ვიმოქმედოთ-თქო; ამით ჩვენს მხარეზე გადავიბირებთ მასებს სოციალ-დემოკრატიული და ანამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიებიდან, მასებს, რომელთაც ობიექტურად მოვლენათა განვითარების მიხედვით სურთ ჩვენთან იყვნენ, მაგრამ ჩვენი ეშინიათ. ჩვენი მაგალითით მსურს ცხადვყო, რომ საჭიროა უფრო ფრთხილად ვიმოქმედოთ.

ომის დასაწყისში ჩვენ, ბოლშევიკები, მივსდევდით მხოლოდ ერთ ლოზუნგს — სამოქალაქო ომი და ამასთან დაუნდო-

ბელი. ჩვენ როგორც მოღალატეს, ისე ვგმობდით თითოეულს, ვინც მხარს არ უჭერდა სამოქალაქო ომს. მაგრამ როდესაც 1917 წ. მარტში რუსეთში დავბრუნდით, ჩვენ სავსებით შევცვალეთ ჩვენი პოზიცია. როდესაც რუსეთში დავბრუნდით და გლეხებსა და მუშებს ველაპარაკეთ, დავინახეთ, რომ ისინი ყველანი თავს დებენ მამულის დასაცავად, მაგრამ, რა თქმა უნდა, სულ სხვა აზრით, ვიდრე მენშევიკები, და ჩვენ არ შეგვეძლო ამ უბრალო მუშებისა და გლეხებისათვის არამზადები და მოღალატეები გვეწოდებინა. ჩვენ ეს დავახასიათეთ როგორც «კეთილსინდისიერი ობორონცობა». ამ საკითხზე მსურს საერთოდ დიდი სტატია დავწერო და გამოვაქვეყნო ყველა მასალა. 7 აპრილს დავბეჭდე თეზისები, სადაც ვამბობდი — სიფრთხილე და მოთმინება*. ჩვენი თავდაპირველი პოზიცია ომის დასაწყისში სწორი იყო, მაშინ საჭირო იყო შეგვექმნა გარკვეული, მტკიცე ბირთვი. ჩვენი მომდევნო პოზიციაც სწორი იყო. მას საფუძვლად ის ედო, რომ უნდა მოგვეპოვებინა მასები. ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ ვილაშქრებდით იმ აზრის წინააღმდეგ, რომ დაუყოვნებლივ დაგვემხო დროებითი მთავრობა. მე ვწერდი: «ჩვენ უნდა დავამხოთ მთავრობა, რადგან იგი ოლიგარქიულია და არა სახალხო მთავრობა, რადგან იგი ვერ მოგვცემს ვერც პურს, ვერც ზავს, მაგრამ მისი დამხობა არ შეიძლება დაუყოვნებლივ, რადგან იგი ემყარება მუშათა საბჭოებს და ჯერ კიდევ მუშების ნდობა აქვს. ჩვენ ბლანკისტები არა ვართ, ჩვენ არ გვსურს მუშათა კლასის უმცირესობით ვმართოთ უმრავლესობის წინააღმდეგ»**. კადეტები დიდი პოლიტიკოსები არიან და მათ მყისვე შენიშნეს წინააღმდეგობა ჩვენს ძველ და ახალ პოზიციას შორის და ფარისევლები გვიწოდეს. მაგრამ, რადგან ისინი ამავე დროს ჯაშუშებს, გამყიდველებს, არამზადებსა და გერმანიის აგენტებსაც გვიწოდებდნენ, ამიტომ პირველმა სახელწოდებამ ვერა-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 1 — 9. რ ე დ.
** იქვე, გვ. 25. რ ე დ.

ვითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. 20 აპრილს მოხდა პირველი კრიზისი. მილიუკოვის ნოტამ დარდანელის შესახებ მთავრობა ამხილა როგორც იმპერიალისტური. ამის შემდეგ ჯარისკაცთა შეიარაღებული მასები მთავრობის შენობისაკენ დაიძრნენ და მილიუკოვი დაამხვეს. მათ სათავეში ედგათ ვიხმე ლინდე, უპარტიო. ეს მოძრაობა პარტიას არ მოუწყვია. მაშინ ეს მოძრაობა ჩვენ ასე დავახასიათეთ: ეს რამდენადმე უფრო მეტია, ვიდრე შეიარაღებული დემონსტრაცია, და რამდენადმე ნაკლებია, ვიდრე შეიარაღებული აჯანყება. ჩვენს 22 აპრილის კონფერენციაზე მემარცხენე მიმართულებამ მთავრობის დაუყოვნებლივი დამხობა მოითხოვა. ცენტრალურმა კომიტეტმა, პირიქით, სამოქალაქო ომის ლოზუნგის წინააღმდეგ გაილაშქრა, და პროვინციაში ყველა აგიტატორს მითითება მივეცით, რომ უარეყოთ უსინდისო სიცრუე, თითქოს ბოლშევიკებს სამოქალაქო ომი სურდეთ. 22 აპრილს მე ვწერდი, რომ ლოზუნგი «ძირს დროებითი მთავრობა» მცდარია, რადგან, თუ ჩვენ ხალხის უმრავლესობა მხარს არ დაგვიჭერს, ეს ლოზუნგი ან ფრაზა, ან ავანტიურა იქნებოდა *.

ჩვენი მტრების წინაშე არ გვრცხვენოდა, რომ ჩვენი მემარცხენეებისათვის «ავანტიურისტები» გვეწოდებინა. მენშევიკები ამის გამო ზეიმობდნენ და ჩვენი გაკოტრების შესახებ ლაპარაკობდნენ. მაგრამ ჩვენ ვამბობდით, რომ თითოეული ცდა, იყო ცენტრალურ კომიტეტზე ცოტათი, თუნდაც ოდნავ, უფრო მარცხნივ, სისულელეა და ვინც ცენტრალურ კომიტეტზე უფრო მარცხნივ დგას, მან უკვე დაკარგა უბრალო საღი აზრი. ჩვენ ნებას არ მივცემთ დაგვაშინონ იმით, რომ მოწინააღმდეგეს ჩვენი შეცდომები უხარია.

ამჟამად ჩვენი ერთადერთი სტრატეგიაა გავხდეთ უფრო ძლიერნი, ამიტომ უფრო ჭკვიანნი, უფრო კეთილგონიერნი, უფრო «ოპორტუნისტულები», და ეს მასებს უნდა ვუთხრათ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენი კეთილგონიერებით მასებს მო-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 247 — 249. რ ე დ.

ვიპოვებთ, ჩვენ მაშინ გამოვიყენებთ შეტევის ტაქტიკას და სწორედ ამ სიტყვის უაღრესად მკაცრი მნიშვნელობით.

ახლა რაც შეეხება სამ ცნობას:

1) ბერლინის მუნიციპალური მუშების გაფიცვა. მუნიციპალური მუშების უმრავლესობა კონსერვატიული ადამიანები არიან, რომლებიც უმრავლესობის სოციალ-დემოკრატებსა და დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნიან, კარგად არიან უზრუნველყოფილი, მაგრამ იძულებული არიან გაიფიცონ [364].

2) საფეიქრო მუშების გაფიცვა ლილში [365].

3) მესამე ფაქტი უფრო მნიშვნელოვანია. ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისათვის რომში მიმდინარეობდა მიტინგი, რომელშიც მონაწილეობდა 50 000 მუშა, ყველა პარტიის — კომუნისტთა, სოციალისტთა, აგრეთვე რესპუბლიკელთა პარტიების წარმომადგენელნი. მასზე სამხედრო ფორმით მოვიდა ომის 5000 მონაწილე და ვერც ერთმა ფაშისტმა ვერ გაბედა ქუჩაში გამოჩენილიყო [366]. ეს იმას ადასტურებს, რომ ევროპაში საწვავი მასალა უფრო მეტია, ვიდრე ჩვენ ვფიქრობდით. ლაცარიმ შეაქო ჩვენი რეზოლუცია ტაქტიკის შესახებ. ეს ჩვენი კონგრესის დიდი მიღწევაა. თუ ლაცარი მას ცნობს, მაშინ ლაცარის მომხრე ათასობით მუშა უეჭველად ჩვენთან მოვა, და მათი ბელადები ვეღარ დაგვიფრთხობენ მათ «Il faut reculer, pour mieux sauter» (უნდა უკან დაიხიო, რომ უკეთ გადახტე). ეს ნახტომი კი გარდაუვალია, რადგან მდგომარეობა ობიექტურად აუტანელი ხდება.

ბაშ ასე, ვიწყებთ ჩვენი ახალი ტაქტიკის გამოყენებას. ნუ ვინერვიულებთ, ჩვენ კერ დავიგვიანებთ, არამედ, ჩანს, მეტისმეტად ადრე დავიწყებთ, და თუ თქვენ გვეკითხებით, შეძლებს კი რუსეთი ამდენ ხანს გაუძლოსო, გიპასუხებთ, რომ ჩვენ ახლა წვრილ ბურჟუაზიასთან, გლეხობასთან ვაწარმოებთ ომს, ომს ეკონომიურს, რაც ჩვენთვის ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე წინა ომი იყო. მაგრამ, როგორც კლაუზევიცმა თქვა, ომის სტიქია საშიშროებაა, ჩვენ კი არც ერთი წამი არ ვყოფილვართ საშიშროების გარეშე. დარწმუნებული ვარ, თუ

ჩვენ უფრო ფრთხილად ვიმოქმედებთ, თუ დროზე წავალთ დათმობებზე, მაშინ ჩვენ ამ ომშიც გავიმარჯვებთ, თუნდაც იგი 3 წელიწადზე მეტხანს გაგრძელდეს.

ვაჯამებ:

1) ჩვენ მთელ ევროპაში ერთსულოვნად ვიტყვით, რომ ახალ ტაქტიკას ვიყენებთ, და ამ გზით მასებს მოვიპოვებთ.

2) შეტევის კოორდინაცია უმნიშვნელოვანეს ქვეყნებში: გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, იტალიაში. აქ საჭიროა მომზადება, მუდმივი ურთიერთმოქმედება. ევროპა ფეხმძიმეა რევოლუციით, მაგრამ შეუძლებელია რევოლუციის კალენდრის წინასწარ შედგენა. ჩვენ რუსეთში გავუძლებთ არა მარტო ხუთ წელიწადს, არამედ მეტსაც. ერთადერთი სწორი სტრატეგია ის არის, რომელიც ჩვენ მივიღეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ რევოლუციისათვის ისეთ პოზიციებს მოვიპოვებთ, რომელსაც ანტანტა ვერაფერს დაუპირისპირებს, და ეს იქნება მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების დასაწყისი.

2

შმერალი თითქოს დააკმაყოფილა ჩემმა სიტყვამ, მაგრამ იგი მას ცალმხრივად განმარტავს. კომისიაში მე ვთქვი, რომ სწორი ხაზის გამოსანახავად შმერალმა სამი ნაბიჯი მარცხნივ უნდა გადადგას, კრაიბიხმა კი — ნაბიჯი მარჯვნივ-მეთქი. შმერალმა, საბწუხაროდ, არაფერი თქვა იმის შესახებ, რომ იგი ამ ნაბიჯებს გადადგამს. მან აგრეთვე არაფერი თქვა იმაზე, თუ როგორ ესმის საქმის ვითარება. სიძნელეთა შესახებ შმერალმა მხოლოდ ძველი ამბავი გაიმეორა და ახალი არა უთქვამს რა. შმერალმა თქვა, რომ მე შიში გავუქარვე. გაზაფხულზე მას ეშინოდა, კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ უდროო დროს გამოსვლა არ მომთხოვოსო, მაგრამ მოვლენებმა გააქარწყლეს მისი შიში. თუმცა ამჟამად სხვა რამ გვაშინებს, სახელდობრ: ჩეხოსლოვაკიაში საქმე აგრეთვე მართლაც შეტევის მომზადებამდე მივა, თუ საქმე მხოლოდ სიძნელეთა შესახებ ლაპარაკით შემოიფარგლება. მემარცხენე შეცდომა—ეს უბრა-

ლოდ შეცდომაა, იგი დიდი შეცდომა არ არის და ადვილად გამოსწორდება. ხოლო თუ შეცდომა ეხება მზადყოფნას გამოსვლის გადაწყვეტილების მისაღებად და განსახორციელებლად, ამიტ ეს პატარა შეცდომა როდია, არამედ გამცემლობაა. ეს შეცდომების ერთმანეთთან შედარება არ შეიძლება. თეორია, რომ რევოლუციას ჩვენ მოვახდენთ, ოღონდ მას შემდეგ, როცა სხვები გამოვლენო, ძირეულად მცდარია.

3

უკან დახევა, რომელიც ამ კონგრესზე გაკეთდა, ჩემი აზრით, უნდა შევუდაროთ 1917 წ. რუსეთში ჩვენს მოქმედებას და მით ცხადვყოთ, რომ ეს უკან დახევა შეტევის მომზადება უნდა გახდეს. მოწინააღმდეგენი გვეტყვიან, დღეს იმას აღარ ამბობთ, რაც ადრე თქვითო. ისინი ამით მცირე სარგებელს ნახავენ, ხოლო ძუშათა ფასები გაგვიგებენ, როდესაც ვეტყვით, თუ მარტის გამოსვლა რა თვალსაზრისით შეიძლება წარმატებად მივიჩნიოთ და რად ვაკრიტიკებთ მის შეცდომებს და ვამბობთ, რომ შემდგომ უკეთ უნდა ვემზადოთ. მე ვეთანხმები ტერაჩინის, როდესაც იგი ამბობს, შმერალისა და ბურიანის განმარტებანი მცდარიაო. თუ კოორდინაციას ისე გავიგებთ, რომ ჩვენ უნდა ველოდოთ, ვიდრე სხვა უფრო მდიდარი და უფრო მეტი მოსახლეობის მქონე ქვეყანა გამოვიდოდეს, მაშინ ეს კომუნისტური განმარტება კი არა, არამედ აშკარა მოტყუებაა. კოორდინაცია იმით უნდა გამოიხატებოდეს, რომ სხვა ქვეყნების ამხანაგებმა იცოდნენ, თუ რა მომენტია მნიშვნელოვანი. კოორდინაციის უმნიშვნელოვანესი განმარტება ასეთია: კარგი მაგალითის უკეთესი და უფრო სწრაფი მიბაძვა. კარგია რ ო მ ი ს მუშათა მაგალითი.

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს: პირველი ნაწილი — მთლიანად, მეორე და მესამე—შემოკლებული სტენოგრამით, ჟურნალში «ვოპროსი ისტორიი კპსს» № 5

იბეჭდება სტენოგრაფიული ჩანაწერის მიხედვით თარგმანი გერმანულიდან

საბჭოთა დაწესებულებებში მოსამსახურეთა შრომის კოლექტიური ანაზღაურების თაობაზე სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტის დამატებანი [367]

პუნქტი «ა»

დაევალოს ხუთთა კომისიას შეაგროვოს უფრო სრული მასალები, რათა გათვალისწინებულ იქნეს როგორც ის ფაქტობრივი ნატურალური გაცემა, რასაც ამჟამად მოსკოვის ცენტრალურ დაწესებულებებში იყენებენ, ისე ფაქტობრივი ფულადი ანაზღაურების ოდენობაც, ამ ანაზღაურების უკლებლივ ყველა და ყოველგვარი სახეობის, მათ შორის მეეტლის ხარჯების, ჩათვლით და სხვ.

პუნქტი «დ»

როგორც მუშათა, ისე მოსამსახურეთა კოლექტიური მომარაგება შემოღებული იქნება მხოლოდ შემდეგი წესების დაცვით:

1) თითოეული საწარმო, სადაც შემოღებული იქნება კოლექტიური მომარაგება, განსაკუთრებულ ხელშეკრულებას დებს მთავრობასთან;

2) ამ ხელშეკრულებით საწარმო (გამგეობისა და განსაკუთრებულად არჩეულ პირთა სახით) ვალდებულებას კისრულობს განუხრელად შეამციროს მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა და აამაღლოს მათი შრომისნაყოფიერება, აგრეთვე შრომის დისციპლინა ნორმალურ სიდიდემდე. მრეწველობაში საწარმოს შეესაბამება განყოფილება ან ქვეგანყოფილება და სხვა მისთანანი საბჭოთა მოსამსახურეებისათვის;

3) ხელშეკრულების შეუსრულებლობა გამოიწვევს სასჯელს ყოველგვარი მომარაგების შეწყვეტამდეც კი.

დაწერილია 1921 წლის 28 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წინადადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში საწარმოთათვის პრემიების მიცემის შესახებ [368]

პოლიტბიუროს ვთავაზობ

პრემიებს ოქროთი 10 000 მანეთამდე საწარმოთა, განყოფილებათა, დაწესებულებათა ჯგუფის კომერციულად ფეხზე სანიმუშოდ დაყენებისათვის.

8. VII. 1921 წ.

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები შიმშილთან ბრძოლის ღონისძიებებისა და სამეურნეო მუშაობის გაძლიერების შესახებ [369]

თუ მოუსავლიანობით მოცულ და დამშეულ რაიონს ისეთი ტერიტორია უჭირავს, რომელზეც 25-მილიონიანი მოსახლეობა ცხოვრობს, ხომ არ შეიძლებოდა, რომ რამდენიმე უაღრესად რევოლუციური ღონისძიებით სწორედ ამ რაიონიდან არმიაში წაგვეყვანა ახალგაზრდობა დაახლოებით 500 ათასი ხიშტის რაოდენობით? (იქნებ 1 მილიონამდეც კი?).

მიზანი: მოსახლეობას რამდენადმე დავეხმარებით, რადგან გამოვკვებავთ მშიერთა ნაწილს, და იქნებ შინ პურის გაგზავნით რამდენადმე დავეხმარებით მშიერთ. ეს პირველია. მეორე კი: მოვათავსოთ ეს $1/2$ მილიონი უკრაინაში, რათა დაეხმარონ სასურსათო სამუშაოების გაძლიერებას, რაკი ისინი უაღრესად დაინტერესებული არიან ამით და განსაკუთრებით ნათლად შეიგნებენ და იგრძნობენ, თუ რამდენად უსამართლოა მდიდარი გლეხების გაუმაძღრობა უკრაინაში.

მოსავალს უკრაინაში დაახლოებით განსაზღვრავენ (რაკოვსკი) 550 — 650 მილიონ ფუთს. თუ გამოვაკლებთ 150 მილიონ ფუთს სათესლედ და 300 მილიონ ფუთს ($15 \times 20 = 300$)

ოჯახისა და პირუტყვის გამოსაკვებად, დაგვრჩება (550—450= =**100**; 650—450=**200**) საშუალოდ დაახლოებით **150 მილიონი ფუთი.** თუ უმოსავლო გუბერნიებიდან უკრაინაში განვაწესებთ არმიას, ამ დარჩენილის აკრეფა შეიძლება (გადასახადით+ + საქონელგაცვლა + ღარიბთა დასახმარებლად მდიდართაგან განსაკუთრებული რეკვიზიციებით) **მთლიანად.**

უმოსავლო გუბერნიებში ახლავე უნდა გაძლიერდეს ნედლეულის (ტყავის, ჩლიქის, რქის, ჯაგრისა და ა. შ. და მისთ.) შეგროვების ღონისძიებები და, სხვათა შორის, წესად იქნეს შემოღებული, რომ არც ერთი ფუთი დახმარება არ გაიცეს არც სათესლედ, არც სურსათისათვის ამა თუ იმ სახის ნედლეულით ან სათბობით ან მსგავსი რამით აუნაზღაურებლად *.

პიტერის, მოსკოვის, ივანოვო-ვოზნესენსკისა და ორივე დედაქალაქის სიახლოვეს მდებარე რამდენიმე უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ცენტრის საგუბერნიო, სამაზრო და რაიონული ეკონომიური საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებისათვის ხომ არ შეიძლება ამ ეკონომიურ საბჭოებში შეყვანილ იქნეს ცენტრალური უწყებების 2 — 4 პასუხისმგებელი მუშაკი? ეს ჯგუფები, ვთქვათ, 4-4 კაცი შეეწყობოდნენ ერთმანეთს, შერჩეულნი ან ერთი და იმავე ცენტრალური დაწესებულების თანამშრომლებისაგან, ან ერთმანეთის კარგად მცნობი ადამიანებისაგან, და შეძლებდნენ სისტემატურად ემუშავათ ამ ეკონომიურ საბჭოებში, ვთქვათ, თითოეულს თითო საათი დღეში, 3 — 4 საათი ყველას ერთად დღეში?

არასამეურნეო სახალხო კომისარიატების მუშაკთა სამეურნეო სამუშაოზე სრული ან ნაწილობრივი გადაყვანა შეიძლება მოხდეს ასეთი წესით: გადასაყვანი პირები თავიანთი სახალხო კომისარიატის სამუშაოს $^3/_4$ — $^9/_{10}$ ნაწილს დააკისრებენ მესამეხარისხოვან თანაშემწეებს და დასჯერდებიან თვალყური ადევნონ მათ.

---

* ხელნაწერში ეს აბზაცი ვ. ი. ლენინს გადაუხაზავს. რ ე დ.

მოსკოვში (შემდეგ კი სხვა ადგილებშიც) მოხდეს ყველა პასუხისმგებელი პარტიული მუშაკის მობილიზაცია სამეურნეო სამუშაოზე ასეთი ფორმით:

არასამეურნეო სახალხო კომისარიატის თითოეული პასუხისმგებელი პარტიული მუშაკი კისრულობს ადგილობრივ, ძირეულ, **სამეურნეო** სამუშაოს და ამისათვის შედის რომელიმე საფაბრიკო კომიტეტში (ან საბინაო, ან კვარტალის კომიტეტში),—ორგანიზაციაში, რომელიც ასეთზე უფრო **მაღალი არ არის** (რათა იმუშაოს ქვედა ფენებიდან), და ვალდებულებას იღებს ამ მუშაობას ყოველდღიურად ორი საათი მაინც მოანდომოს. პირველ რიგში წამოსწიონ სურსათის განაწილების, მეურნეობის ამ დარგისა და თბომომარაგების გაუმჯობესების სამუშაო.

დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული მუშაკისათვის დავალების ზუსტ განსაზღვრას.

ხომ არ მოვახდინოთ მოსკოვში (იქნებ პიტერშიც?) პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკთა აღწერასთან ერთად 1. VII. 1921 რუსეთის კომუნისტური პარტიის ყველა წევრის აღწერა? ამისათვის გამოვიყენოთ გუბსტატბიურო. მივიღოთ ზუსტი მონაცემები პარტიის შესახებ *.

დაწერილია 1921 წლის ივლისში,
არა უგვიანეს 9 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ცენტროსოიუზის მიერ საქონელგაცვლის მოწყობის შესახებ სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტისათვის [370]

1) შემდეგი მოხსენება დაინიშნოს 1 თვის შემდეგ.

2) ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რწმუნებულის მეშვეობით შემოწმდეს ანგარიშ-

* ხელნაწერში ეს აბზაცი ვ. ი. ლენინს გადაუხაზავს. რედ.

გების ფორმა და სისწორე როგორც ადგილებზე მისი დაგზავნისა, ისე ადგილების მიერ ანგარიშგების შედგენის თავიანთი მოვალეობის შესრულებისა.

ვადაა 1 კვირა.

3) დაევალოს ცენტროსოიუზს სახკომსაბჭოში წარმოადგინოს რამდენიმე დადგენილება ანარქიულ საქონელგაცვლასთან უფრო ენერგიული ბრძოლის შესახებ.

ვადაა 1 კვირა.

4) ეკვივალენტთა შესახებ ცენტროსოიუზსა და მის ადგილობრივ ორგანოებს სასოფლო საქონელგაცვლის პუნქტების ჩათვლით ნება დაერთოთ საქმე წარმართონ დიდი თავისუფლებით და წესად შემოიღონ მაღალი პრემიების გაცემა ბრუნვის სისწრაფისა და მისი ოდენობისათვის.

ვადაა 1 კვირა მცირე სახკომსაბჭოში წარსადგენად.

დაწერილია 1921 წლის 15 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წინადადება
რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში [371]

წინადადება შემომაქვს:

1) დროებით საკითხი გადაწყდეს (დღესვე, 28/VII-ს) ციმბირის ბიუროს სასარგებლოდ;

2) დადგენილებით საყვედური გამოეცხადოს ციმბირის ბიუროს პარტიული მოვალეობის აშკარა დარღვევისათვის, რაც იმით გამოიხატა, რომ ციმბირის ბიურომ ერთდროულად არ გამოგზავნა ორივე სხვა მიმართულების წინადადებათა ტექსტი. ციმბირის ბიურო ვალდებული იყო ორივე სხვა მი-

მართულებისათვის ფორმალურად და თავის დროზე მოეთხოვა მათი წინადადებების ტექსტი ცენტრალური კომიტეტისათვის;

3) ომსკიდან ტელეგრაფით დაუყოვნებლივ მოითხოვეთ ორივე მიმართულების წარმომადგენლების წინადადებათა მოკლე ფორმულირება;

4) პარტკონფერენცია გადაიდოს 15/8-მდე;

5) შეეცადეთ გამონახოთ ცენტრალური კომიტეტის წევრი 15/8-ის კონფერენციაზე გასაგზავნად.

28/7.

დაწერილია 1921 წლის 28 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წინადადებები ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ ფ. ე. ძერჟინსკის დასკვნებისათვის [372]

§ 1. მეტი ყურადღება მიექცეს ღონისძიებების გამონახვას და სრ.

2 — 4 ორგბიურომ ამხ. რუძუტაკის მონაწილეობით უაღრესად სწრაფად განიხილოს საკითხები.

5 — დამუშავდეს და განხორციელდეს საბჭოების წესით.

6 — ტრანსპორტის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ და პარტიული აპარატის და რკინიგზის აპარატის კავშირის გაძლიერების შესახებ.

დაწერილია 1921 წლის 8 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წერილი გ. ე. ზინოვიევს
და დავალება მდივანს

გადაღებულ იქნეს 6 პირი	1) რადეკს
	2) მე
	3) ტროცკის
	4) კამენევს
	5) სტალინს
	6) სათადარიგოდ

ამხ. ზ ი ნ ო ვ ი ე ვ ს

13/VIII — 1921

როგორც ჩანს, რუსეთში არ შეიძლება სწორად მოეწყოს ბიურო საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შესახებ სწორი ცნობისა და მონაცემების ამოკრებისათვის. ჩვენ ამისათვის არ გაგვაჩნია არც ადამიანები, არც ბიბლიოთეკები და სხვ.

წინადადება შემომაქვს ასეთი ბიურო მოეწყოს გერმანიაში. დაიქირავეთ ერთი ხელმძღვანელი (მუშაობის უნარის არმქონე კომუნისტთაგან, უფრო აჯობებს **არა**კომუნისტთაგან) პლუს 2 თანაშემწე (+ 2—3 მემანქანე).

ამისათვის თვეში გამოყავით გარკვეული თანხა. შეეცადეთ მიაწოდოთ **ლეგალურად**, ვთქვათ, რაიმე Zeitungskorrespondenz-ისათვის — ფირმისათვის, რომელიც გაზეთების რედაქციებს სტატიებსა და მასალებს აწოდებს.

3 გერმანელის მოძებნა (რომელთაც ინგლისური, ფრანგული, იტალიური და ჩეხური ენები იციან — დასაწყისისათვის საკმარისია), რა თქმა უნდა, შეიძლება. რადეკს, მგონი, ვიღაც-ვიღაცები კიდევაც ჰყავდა მხედველობაში.

ეს ბიურო, თუ ჩვენ შევძლებდით გამოგვენახა საქმიანი მუშაკები და ისინი უზრუნველგვეყო კონტრაქტით (ინტელიგენტი მუშაკები გერმანიაში გაჭირვებულად ცხოვრობენ, და ჩვენ შევძლებდით კარგი ძალების მოზიდვას), ჩვენთვის აწარმოებდა სისტემატურ სამეცნიერო მუშაობას, რომ **შეეგროვებინა** ლიტერატურული და სპეციალური საგაზეთო

მასალა და **დაემუშავებინა** იგი 2 ძირითადი და მთავარი საკითხის მიხედვით:

A) საერთაშორისო იმპერიალიზმი;

B) საერთაშორისო მუშათა მოძრაობა.

ამ ბიუროს თანამშრომლებად (და ლიტერატორ-კონსულტანტებად) გამოვნახავდით (რადეკთან ერთად და რადეკის დახმარებით) ალბათ 2 — 3 ათეულ კომუნისტს, რომლებიც ჟურნალისტურ მუშაობას ეწევიან მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

ასეთი ბიურო პირველ რიგში გერმანულ ენაზე იმუშავებდა (ამჟამად ევროპის კონტინენტისათვის, უეჭველად, ყველაზე საერთაშორისო ენაა); ხოლო პირველი შესაძლებლობისთანავე მის გამომცემლობას შევავსებდით ფრანგული და ინგლისური თარგმანებით. რუსულ ენაზე თავიდანვე ადვილი იქნებოდა თარგმნის მოგვარება: ჩვენ ამას მხოლოდ სახელმწიფოებრივი წესით დავავალებდით 2 — 3 ბურჟუაზიულ პროფესორს, რათა კომუნისტური ძალები წმინდა საშემსრულებლო სამუშაოსთვის არ მოგვეცდინა.

ორივე აღნიშნულ საკითხზე (A და B) ბიურომ სისტემატურად თვალყური უნდა ადევნოს მთელ საერთაშორისო ლიტერატურას, განსაკუთრებით საგაზეთოს, და საკითხთა მიხედვით შეადგინოს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი წ ი გ ნ ე ბ ი ს ა და ს ა გ ა ზ ე თ ო ს ტ ა ტ ი ე ბ ი ს ს ი ე ბ ი.

ყველაზე მნიშვნელოვანი აქ იქნებოდა ამ საკითხთა სწორი დეტალიზაცია და დაჯგუფება: — შედგენილი ყოფილიყო ამ საკითხთა რ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი **სია**, რომელიც მომენტის მოთხოვნის შესაბამისად დროულად იქნებოდა შევსებული, და მომხდარიყო მათი დაჯგუფება.

შემდეგ — წიგნებისა და მეტად იშვიათი, მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი (100-ზე 1 ან იქნებ 500-ზე 1) საგაზეთო სტატიების შესახებ — დაიწეროს არა უმეტეს 3 — 10-სტრიქონიანი შეფასება, რათა მაშინვე ცხადი გახდეს, თუ რა ვეძებოთ ან რა არის მოცემული სათანადო წიგნსა თუ სტატიაში.

ლიტერატორ-კონსულტანტები ადვილად შეადგენდნენ ასეთ შეფასებას (უფრო სწორად: არა შეფასებას, არამედ შინაარსის გადმოცემას), თუ გერმანული ცენტრი მოახდენდა ამის ორგანიზაციას და გადაუხდიდა ლიტერატორებს.

შემდეგ, ბიურომ უნდა მოახდინოს

გაზეთებიდან მთავარი ცნობების შეკრება და **გაზეთებიდან ამონაჭრების შერჩევა** (დასაწყისისათვის თუნდაც 3—4 ეგზემპლარად: ერთი—ადგილზე, ერთი—მოსკოვში, ერთი — სათადარიგოდ).

ჩვენ შევადგენდით (კონსულტანტებისა და რადეკის დახმარებით, რომელიც მათი მეთაური იქნება) თემების სიას, მაგალითად:

— — ნიუანსები და საკამათო საკითხები კომუნიზმის შიგნით;
— — » » » კომუნიზმის სიახლოვესაც (II$^1/_2$* და ანარქისტები);
— — » » » იგივე პროფმოძრაობის შიგნით;
— — არჩევნები და მათი სტატისტიკა (ან მათი შედეგები) მუშათა მოძრაობის მიმართულებათა ძალის შესადარებლად;
— — თვალსაჩინო გაფიცვებისა და «შემთხვევების» (დემონსტრაციების, «აქციების», გამოსვლებისა და სხვ.) ისტორია და ა. შ.

ვფიქრობ, რომ საქმის სწორად დაყენების შემთხვევაში ეს ბიურო გარკვეულ შემოსავალს მოგვცემდა, რადგან მის ბიულეტენებს როგორც დიდმნიშვნელოვან საინფორმაციო მასალას შეიძენდნენ ცნობილი გაზეთები და ბიბლიოთეკები.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს შემოსავალი უკეთეს შემთხვევაში ხარჯების მხოლოდ მცირე ნაწილს დაფარავდა. ჩვენ შეგვიძლია და საკუთარ თავზე უნდა ავიღოთ კიდეც ხარჯები. ჩვენთვის მთელი მასალა სამსახურს გაუწევს უშუალოდ სა-

* ლაპარაკია ცენტრისტულ II$^1/_2$ ინტერნაციონალზე. რ ე დ.

ხალხო განათლების საქმეს და აგიტაციისა და პროპაგანდის დაყენებას.

ასეთი ბიურო შეიძლება მოეწყოს და იგი უნდა მოეწყოს კიდეც. მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. უიმისოდ არა გვაქვს არც თვალი, არც ყური, არც ხელები საერთაშორისო მოძრაობაში მონაწილეობისათვის — და ამას ჩვენ შემთხვევით ვაკეთებთ, რადგან (ინფორმაციის დარგში) **დამოკიდებული ვართ** იმაზე, თუ ვინ არის უფრო ახლოს, ვინ არის ეეერდით, ვინ წაიკითხა შემთხვევით, ვინ გვესტუმრა შემთხვევით, შემთხვევით გვიამბო და სხვ.

პოლიტბიუროს წინადადებას ვაძლევ განიხილოს ეს გეგმა და მისი წ ი ნ ა ს წ ა რ ი დამუშავებისათვის დანიშნოს მცირერიცხოვანი კომისია, ვთქვათ:

რადეკი
ტროცკი
+?

ალბათ, თავდაპირველად მხოლოდ ორი აჯობებს. ისინი სამუშაოდ **მოიზიდავენ** სტეკლოვსაც, ბელა კუნსაც (ბევრ სხვასაც), მოსკოვში **გამოიძახებენ** ბიუროს გამგის თანამდებობის კანდიდატს და მაშინ განსაზღვრავენ **ხარჯთაღრიცხვას** და მთელ გეგმას **დამუშავებული** სახით პოლიტბიუროში შეიტანენ [373].

16/VIII.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გამოკვლევის შესახებ [374]

პოლიტბიუროს წინადადებას ვაძლევ დაადგინოს:

1) მოხსენება გაკეთდეს.

2) მომხსენებლად დაინიშნოს უნშლიხტი.

3) მოხსენება ისე გაკეთდეს, რომ მისგან დ ა ს კ ვ ნ ა დ გამოტანილ იქნეს პოლიტბიუროს გადაწყვეტილებები მოხსენების შედეგების მიხედვით.

4) საიდუმლო ნაწილი გამოიყოს საიდუმლო სხდომაზე მოხსენების გასაკეთებლად.

23/VIII. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 23 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წინადადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სასამართლოზე უნგერნის გადაცემის შესახებ [375]

გირჩევთ ამ საქმეს უფრო მეტი ყურადღება მიაქციოთ, მიაღწიოთ ბრალდების საფუძვლიანობის შემოწმებას და იმ შემთხვევაში, თუ მთლიანად დადასტურდება, რაც, ალბათ, ეჭვს არ იწვევს, მაშინ მოაწყოთ საჯარო გასამართლება, იგი მაქსიმალური სისწრაფით განახორციელოთ და დახვრიტოთ.

ნაკარნახევია ტელეფონით 1921 წლის 26 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაწერილი ეგზემპლარის მიხედვით

ბარათი ე. ს. ვარგას და თეზისები საერთაშორისო მუშათა მოძრაობის საკითხებზე ინფორმაციის ინსტიტუტის მოწყობის შესახებ

ძვირფასო ამხანაგო ვარგა! ამას თან ერთვის ჩემი შენიშვნები. თუ თქვენ საჭიროდ მიგაჩნიათ, ჩვენ კიდევ შეგვიძლია ტელეფონით მოვილაპარაკოთ.

ს ა ლ ა მ ი თ! ლ ე ნ ი ნ ი

31/8

სავარაუდო შესწორებები, ანუ თეზისები

ინფორმაციის ინსტიტუტის მოწყობის შესახებ
ამხ. ე. ვარგას პროექტისათვის

1. ინსტიტუტის უფუფო და სრული ლეგალობა ბერლინის ან ვენის პირობებისათვის და მთელი დასავლეთ ევროპისათვის. ინგლისისა და ამერიკისათვის.

2. ინსტიტუტის ადგილსამყოფელი — ბერლინი ან ვენა, ან კოპენჰაგენი, ან ქრისტიანია.

3. ეკონომიურ და სოციალურ საკითხებს არ უნდა დაეთმოს ინსტიტუტის სამუშაო დროისა და გამოცემის 20%-ზე მეტი (20% ორივეს ერთად). 80% — პოლიტიკურ საკითხებს.

4. რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს, ინსტიტუტის ამოცანა მხოლოდ ის არის, რომ შეაგროვოს ობიექტური მონაცემები იმ საკითხებზე, რომლებიც ლეგალურია და რომელთა განხილვაც აშკარად შეიძლება.

5. ინსტიტუტი სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს ცალკეული კომპარტიებისაგან.

6. ინსტიტუტის ოფიციალური სახელწოდება დაახლოებით ასეთი უნდა იყოს: სოციალური მოძრაობის ფორმების საკვლევი ინსტიტუტი.

7. პრინციპული ინსტრუქციები ეძლევა ინსტიტუტის ხელმძღვანელს (ან სამ ხელმძღვანელს, ამაზე მეტს არა).

8. ზეპირი პრინციპული ინსტრუქციების საფუძველზე ხელმძღვანელმა უნდა შეიმუშაოს დაწვრილებითი, სავსებით ლეგალური ინსტრუქცია და ეს ინსტრუქცია აქ, მოსკოვში, წარმოადგინოს კ ო მ ი ნ ტ ე რ ნ ი ს ა ღ მ ა ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს მიერ საბოლოო დამტკიცებისათვის.

9. მოხსენებების წარმოდგენა — ყოველკვირეულად ან კვირაში ორჯერ. სამეურნეო-სოციალური დანართები — ყოველთვიურად ან სამ თვეში ერთხელ.

10. ინსტიტუტმა უნდა იარსებოს რუსეთის საელჩოსთან რაიმე კავშირის აბსოლუტურად უქონლად.

11. ინსტიტუტმა მუშაობა მცირედით უნდა დაიწყოს. გერმანულ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნებისათვის, სკანდინავიისა და სლავური ქვეყნებისათვის — მხოლოდ გერმანული ენა.

ანგლოსაქსურ და რომანულ ქვეყნებზე საქმიანობის გავრცელება მხოლოდ ამ ქვეყნების თითოეული ჯგუფის წარმომადგენელთან განსაკუთრებული შეთანხმების საფუძველზე. შეთანხმება მხოლოდ აქ, მოსკოვში.

12. ინსტიტუტის ანგარიშები, ან, უკეთ რომ ვთქვათ, გამოცემები ან კორესპონდენციები უნდა აუნაზღაურონ აბონენტებმა (გაზეთებმა, ბიბლიოთეკებმა და სხვ.).

ძირითადი პრინციპი ასეთი უნდა იყოს: ისე მოვაწყოთ ინსტიტუტი და ისე წარვმართოთ მისი მუშაობა, რომ ყ ვ ე ლ ა მიმართულების **ყველა** მუშათა გაზეთი **იძულებული** გახდეს ხელი მოაწეროს ინსტიტუტის გამოცემებზე და მათთვის ფული გადაიხადოს. თუ ასე არ მოხდება, მაშინ ეს იმის დადასტურება იქნება, რომ ინსტიტუტი არაფრად ღირს.

13. ინსტრუქციის თავდაპირველი პროექტი ამხ. ვარგას პროექტი უნდა გახდეს [376]. კერძოდ, ამ პროექტში შეტანილი უნდა იქნეს ორი ძირითადი შესწორება: 1) § 3 — მ ა ღ ლ ა; 2) ბევრად უფრო დაწვრილებით უნდა დამუშავდეს პოლიტიკური ნაწილი.

რამდენიმე შენიშვნა ამ მე-2 პუნქტის მიმართ:

(დანართი B) § 3 და 4: კორესპონდენციები ფაბრიკებიდან?

+ ფულის შეგროვება თვით მუშების მიერ?

+ სპეციალურად და განსაკუთრებით ვრცლად უნდა დამუშავდეს პ რ ო ფ კ ა ვ შ ი რ უ ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს საკითხები პოლიტიკური თვალსაზრისით. პროფკავშირების მოპოვება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხია.

+ მუშათა კოოპერატივები: ი გ ი ვ ე (II, b ნაწილისათვის)

+ ყველა **გარდამავალი** პოლიტიკური **ფორმაცია** (როგორც მუშათა და ფერმერთა პარტიაა შეერთებულ შტატებში) **განსაკუთრებით** მნიშვნელოვანია.

+ ფურცლები? განაწილება? გავრცელება?

+ 1914 — 1918 წლების ომისადმი **დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა? უკიდურესად მნიშვნელოვანია.**

II ნაწილი, § **a** «რევოლუციური» (??) მუშათა პარტიები, როგორიც გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია.

სახელწოდება არ არის სწორი. ისინი რევოლუციური **ა რ ა რ ი ა ნ.** უნდა თქმულიყო: ნახევრად ანარქისტული, მოანარქისტო, ან ანარქიზმთან ახლოს მდგომნი.

უნდა დაემატოს: მთელ მსოფლიოში ანარქიზმის გათიშვა პატრიოტულ და ინტერნაციონალისტურ საკითხებში; საბჭოთა სისტემის **მ ო მ ხ რ ე,** საბჭოთა სისტემის **წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.**

(§ b). მე-2 და $2^1/_2$ ინტერნაციონალის პარტიები — **ბ ე ვ რ ა დ დაწვრილებით.**

+ დამოკიდებულება **ს ა კ უ თ ა რ ი** კოლონიებისადმი — და **ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს ა დ მ ი პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ** პოლიტიკაში — **ბევრად, ბევრად უფრო** **დ ა წ ვ რ ი ლ ე ბ ი თ.**

+ ყველა პაციფისტური და წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული ჯგუფი და მიმდინარეობა — **ბევრად უფრო დაწვრილებით.**

და ა. შ.

31/8. 1921. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

ე. ს. ვარგას

ძვირფასო ამხანაგო ვარგა!

საკითხის დასმა (ინფორმირებულ იქნეს **კ ო მ ი ნ ტ ე რ ნ ი ს ა ღ მ ა ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ან** მუშათა პრესა, **ან** ორივე?) სწორად არ მიმაჩნია.

ჩვენ **სრული** და **მართალი** ინფორმაცია გვესაჭიროება. სიმართლე კი დამოკიდებული არ უნდა იყოს იმაზე, თუ ვის უნდა ემსახუროს იგი.

მისაღებია მხოლოდ ასეთი დაყოფა: **არალეგალური** (მხოლოდ კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტისათვის) და **ლეგალური** (ყველასათვის) ინფორმაცია.

პირველი უკვე არსებობს; უნდა იარსებოს **ცალკე;** უნდა გაუმჯობესდეს.

მეორეს იმისათვის, რომ კარგი გახდეს, ესაჭიროება **ფაქტების შერჩევის** კარგი ორგანიზაცია იმის განუცხადებლად, რომ «ჩვენ» კომუნისტები ვართ.

თუ ფაქტები სრულად, ზუსტად და კარგად შეირჩევა, მაშინ ყვითელი მუშათა პრესაც (განსაკუთრებით ადგილობრივი და პროფკავშირული გაზეთები) უეჭველად **იყიდის** და აანაზღაურებს ჩვენს მასალას. თუ ასე არ მოხდა, მაშინ ეს იმის დადასტურება იქნება, რომ ჩვენ ცუდად ვეწევით ლეგალურ მუშაობას.

კომუნისტური სალამით ლენინი

1/IX. 1921 წ.

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

დადგენილება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსი ევროპაში მუშათა შენაწირის აღრიცხვის მოწყობის შესახებ [377]

1921 წ. 2 სექტემბერი

ა) დაევალოს აღმასკომის რუს წევრებს კომინტერნში დასვან საკითხი, რომ მოეწყოს რუსეთის დამშეულთათვის ევროპის მუშების შეწირულებათა ზუსტი მიმდინარე სტატისტიკა და ამ შეწირულებათა შესახებ ცნობები განუწყვეტლივ ქვეყნდებოდეს.

ბ) ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ ევროპის მუშებთან გაძლიერდეს აგიტაცია ერთი დღის ხელფასის გადარიცხვის როგორც დამ-

შეულთათვის დახმარების გაწევის ერთ-ერთი ყველაზე მიზანშეწონილი ფორმის სასარგებლოდ.

გ) წინადადება მიეცეთ კომინტერნის რუს წევრებს ორი კვირის შემდეგ პოლიტბიუროში წარმოადგინონ მოხსენება ამ პროპაგანდის მიმდინარეობის შესახებ.

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 44

იბეჭდება
საოქმო ჩანაწერის
მანქანაზე
გადაწერილი ეგზემპლარის
მიხედვით

გარათი ვ. მ. მოლოტოვს და პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა ნულანსისათვის გასაგზავნი ნოტის შესახებ

ამხ. მოლოტოვ!

ნულანსი უმსგავსოდ თავხედია. მეორე გვერდზე გთავაზობთ დადგენილების პროექტს. თუ ჩვენ ვერ შევთანხმდებით, მოვითხოვ, რომ ხვალ მოწვეულ იქნეს მთელი პოლიტბიურო; მე მაშინ მოვალ. აქ დათმობა შეუძლებელია.

4/IX. ლენინი

გთავაზობთ
პოლიტბიუროს გადაწყვეტილების ტექსტს:

«დაევალოს ჩიჩერინს ნულანსის პასუხად შეადგინოს უარის ნოტა, რომელშიც უნდა იხმაროს ბურჟუაზიისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული პროკლამაციის ტიპის უაღრესად მკაცრი გამოთქმები, განსაკუთრებით ხაზი გაუსვას თვით ნულანსის კონტრრევოლუციურ როლს, განსაკუთრებით აღნიშნოს დამცინავი და თავხედური ხასიათი წინადადებისა, რომ ყოველგვარი ხელშეკრულების დადებამდე გამოაგზავნონ ჯაშუშთა კომისია ექსპერტთა კომისიის სახელწოდებით, განსაკუთრებით სასაცილოდ აიგდოს ის აზრი, რომ 4. IX. გაიგზავნოს ანკეტები საშემოდგომო ნათესების შესახებ, რაც

ჩვენ თვითონ უკვე ვადაზე გავაკეთეთ, განსაკუთრებით სასაცილოდ აიგდოს 7 პუნქტი და განაცხადოს, რომ ჩვენ ან საქმე გვექნება მთავრობებთან à la გერმანია, ანდა წინასწარი ზუსტი ხელშეკრულებების საფუძველზე, რა თქმა უნდა, არა ნულანსის ტიპის ადამიანებთან. განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ერთი წამითაც ვერ დავიჯერებთ ბატონ ნულანსებს დახმარების სურვილი ჰქონდეთ **საქმისადმი მათი ასეთი მიდგომის გამო** [378].

დაწერილია 1921 წლის 4 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დამატება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტისა სურსათის სახალხო კომისარიატისადმი დირექტივების შესახებ [379]

დაემატოს:

(1) გამოსაკვებ (რომლებიც პურს სახელმწიფოსაგან იღებენ) საწარმოოა რიცხვის შემცირება;

(2) არ გაადიდონ პურის გაცემა, თუ არ ექნებათ ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული ნებართვა.

დაწერილია 1921 წლის 5 ან 6 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა ოქროს ფონდის ხარჯვის შესახებ [380]

წინადადება შემომაქვს პოლიტბიურომ დაადგინოს:

დაევალოს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს:

1) გააუქმოს სახკომსაბჭოს დადგენილება არმსტრონგის ფირმის დაკვეთებისათვის $5^1/_4$ მილიონის ასიგნების შესახებ.

2) შეაჩეროს ცისტერნებზე 10,9 მილიონი დაკვეთის შესრულება და დაავალოს კურსკის ერთი კვირის ვადაში შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა ეს ხარჯი პოლიტბიუროს ყველა იმ წინა დადგენილებას, რაც ოქროს ფონდს ეხება.

3) დაევალოს კურსკის მოახდინოს ოქროს ფონდით ყველა ასიგნების ასეთივე შემოწმება, 1921 წლის აგვისტოდან დაწყებული.

4) წინადადება მიეცეს ალსკის შეიმუშაოს ოქროს ფონდის ხარჯვის განსაკუთრებული ანგარიშგებისა და ხარჯვის თითოეული მუხლის განსაკუთრებული შემოწმების სწორი ფორმა პოლიტბიუროს გადაწყვეტილების თვალსაზრისით (მოლოტოვთან ერთად).

5) დაევალოს კურსკის პირადად დოკუმენტებით გამოარკვიოს, დაიწყო თუ არა ასიგნების შესრულება არმსტრონგის შეკვეთებისათვის, და თუ დაიწყო, მაშინ როგორი იურიდიული მდგომარეობა შეიქმნება სახკომსაბჭოს დადგენილების გაუქმებითა და შესრულების შეჩერებით.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 7 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 44

იბეჭდება
მანქანაზე გადაწერილი
ეგზემპლარის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა მოსკოვის საწყობებში შენახული წიგნების თავისუფალი გაყიდვის შესახებ [381]

1) დაევალოთ მოსკოვის დეპუტატთა საბჭოს და მთავარპოლიტგანს ერთობლივად აწარმოონ მოსკოვის საწყობებში წიგნების აღრიცხვა;

2) მთავარპოლიტგანს ნება დაერთოს მოსკოვის საწყობებიდან წაიღოს ის წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკებს ესაჭიროებათ, ამასთან ამ წიგნების განაწილების დროს სავსებით იქნეს დაცული მოსკოვის ინტერესები; ამ ინტერესთა დაცვისათვის მთავარპოლიტგანი ვალდებულია მოსკოვის გუბპოლიტგანს შესაძლებლობა მისცეს გაეცნოს მის გადაწყვეტილებას და 3 დღის ვადაში გაასაჩივროს იგი.

3) იმ წიგნებიდან, რომლებიც თავისუფლად გაიყიდება მოსკოვში, ამოღებულ იქნეს პორნოგრაფია და სასულიერო შინაარსის წიგნები და ისინი ქაღალდის დასამზადებლად გადაეცეს ქ ა ღ ა ლ დ ი ს მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს მ თ ა ვ ა რ ს ა მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ს.

4) ნებადართულ იქნეს უცხოური წიგნების თავისუფლად გაყიდვა.

დაწერილია 1921 წლის 13 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა [382]

დაევალოს ამხ. ბოგდანოვს რიდერის, ეკიბასტუზის ქარხნებისა და მაღაროებისაგან, აგრეთვე ყველა იმათგან, რომლებსაც მათთან სამეურნეო კავშირი აქვთ, რაც შეიძლება მეტი ფინანსური და ეკონომიური დამოუკიდებლობის საწყისებზე დაუყოვნებლივ შექმნას სახელმწიფო ტრესტი, რომელიც დამოუკიდებელი იქნება ადგილობრივი, ციმბირის, ყირგიზეთისა და სხვა ხელისუფლებისაგან და უშუალოდ დაემორჩილება სრულიად რუსეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს.

დაწერილია 1921 წლის 14 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ბარათი ვ. მ. მოლოტოვს რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში შესატანი წინადადებით

ამხ. მოლოტოვ!

ყოველი მხრიდან მესმის, რომ რეკომენდაციებს (პარტიის წმენდის საქმეზე [383]) თავაზიანობის გამო ყველას აძლევენ.

წინადადება შემომაქვს გამოაქვეყნოთ ცენტრალური კომიტეტის შემდეგი ცირკულარი (ცენტრალურ საკონტროლო კომისიასა და შემოწმების კომისიასთან შეთანხმებით და მათი ხელმოწერით):

«რეკომენდაციების მიცემის ნება ეძლევა მხოლოდ იმას, ვინც ერთ წელიწადს მაინც პირადად თვალყურს ადევნებდა სარეკომენდაციო პიროვნების მუშაობას და მასთან ერთად მუშაობდა ამა თუ იმ პარტორგანიზაციაში» [384].

15/IX.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 15 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1939 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 1

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წერილი ვ. ვ. კუიბიშევს და პროექტი იმ მუშათა ვალდებულებისა, რომლებიც ამერიკიდან რუსეთში მოდიან [385]

ამხ. კუიბიშევ!

გიგზავნით იმ ხელწერილის პროექტს, რომელიც უნდა მოგვცენ (ხელშეკრულების დადების **შემთხვევაში)** რუტგერსმა და **ყველა** მისმა ჩამოყვანილმა, თითოეული მუშის ჩათვლით.

თუ თანახმა ხართ, შესთავაზეთ.

მოძებნეთ (მთელი მოლაპარაკებისათვის) საიმედო **თარჯიმანი,** რომელმაც **სავსებით** იცის **ორივე** ენა.

ხელშეკრულება საჭიროა და არქიზუსტი უნდა იყოს.

საჭიროა ჩ ვ ე ნ ი ი უ რ ი ს ტ ი (კომუნისტი) მისი შედგენისათვის.

ჩემი აზრით, ვუწოდოთ ხელშეკრულება რიგი ქარხნებისა და სხვ. **სამმართველოდ გადაცემის** შესახებ.

ტექნიკურ ექსპერტიზას ხელი უნდა მოაწერონ **სტიუნკელმა** და კიდევ რამდენიმე ს ა ი მ ე დ ო ექსპერტმა.

კომუნისტური სალამით

ლ ე ნ ი ნ ი

თანახმა თუ არიან საწარმოს ხელმძღვანელები და ორგანიზატორები, რომ თვითონ მოაწერონ ხელი და მიაღწიონ იმას, რომ ყველამ, ვინც ამერიკიდან რუსეთში მოდის, ხელი მოაწეროს შემდეგ ვალდებულებას:

1. ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ განვახორციელოთ ეს და **კოლექტიურად** პასუხს ვაგებთ იმისათვის, რომ რუსეთში გ ა მ ო ე მ გ ზ ა ვ რ ო ნ მხოლოდ ისეთი ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ და მზად არიან შეგნებულად აიტანონ არაერთი გაჭირვება, რაც გარდაუვალად დაკავშირებულია მრეწველობის აღდგენასთან ისეთ ქვეყანაში, რომელიც ძალიან ჩამორჩენილი და გაუგონრად გაჩანაგებულია.

2. რუსეთში წამომსვლელნი ვალდებულებას კისრულობენ იმუშაონ მაქსიმალური დაძაბვით და შრომის რაც შეიძლება მეტი ნაყოფიერებითა და ისეთი დისციპლინით, რომლებიც კაპიტალისტურ ნორმას აღემატება, რადგან სხვაგვარად რუსეთს არ ძალუძს გაუსწროს კაპიტალიზმს და თუნდაც დაეწიოს მას.

3. ვალდებულებას ვკისრულობთ, რომ კონფლიქტის უკლებლივ ყველა შემთხვევა, რა სახისაც უნდა იყოს ეს კონფლიქტები, საბოლოო გადაწყვეტისათვის გადავცეთ რუსეთის უმაღლეს საბჭოთა ხელისუფლებას და კეთილსინდისიერად შევასრულოთ მისი ყველა გადაწყვეტილება.

4. ვალდებულებას ვკისრულობთ არ დავივიწყოთ დამშეული და გატანჯული რუსი მუშებისა და გლეხების უკიდურესი ნერვულობა ჩვენი საქმის გამო და ყოველნაირად დავეხმაროთ

მათ, რათა შეექმნათ მეგობრული ურთიერთობა, რათა დაძლიოთ უნდობლობა და შური.

დაწერილია 1921 წლის 22 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1929 წლის 20 იანვარს «ტორგოვო-პრომიშლენაია გაზეტაში» № 17

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის საკითხზე

წინადადება შემომაქვს დავეთანხმოთ ჩიჩერინს და დავავალოთ მას შეადგინოს რეზოლუციის პროექტის სახით ზუსტი, მოკლე დირექტივა შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის შესახებ[386].

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 7 ან 8 ოქტომბერს

პირველად გამოქვეყნდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების პროექტისათვის

დამუშავებულ იქნეს პასუხისმგებელ კომუნისტ მუშაკთა შემადგენლობის შესწავლის საკითხი იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ვარგისნი არიან ისინი სხვადასხვა მასშტაბისა და სხვადასხვა სახის სამუშაოზე, თავდაპირველად თუნდაც ქალაქ მოსკოვში და ერთ-ერთ გუბერნიაში[387].

დაწერილია 1921 წლის 8 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დირექტივებისა უკრაინაში შაქრის ჭარხლის სათესი მიწების გამოყოფის შესახებ [388]

დირექტივები

უკრაინაში ქარხნების მიერ შაქრის ჭარხლის სათესი მიწების გამოყოფისა და შაქრის ქარხნების გარშემო მცხოვრებ გლეხთა იძულებითი თესლბრუნვისა და კულტურის განსაზღვრული ნორმებისადმი დაქვემდებარების საკითხზე.

1. მთელი ეს რეფორმა განხორციელდეს უდიდესი სიფრთხილით, არც ერთი ნაბიჯი არ გადაიდგას იმის პრაქტიკულად შეუმოწმებლად, რომ ჭარხლის თესვის საქმე ეწყობა რაციონალური მეურნეობის სრული უზრუნველყოფით და გლეხის უშუალო დაინტერესებით.

2. ქარხნებისათვის გამოიყოს 400 000 დესეტინა და შემოწმდეს, მართლა საჭიროა თუ არა ეს ციფრი ფაქტობრივად სწორად მოწყობილი მსხვილი საქარხნო მეურნეობის უზრუნველსაყოფად.

ქარხნებს დაეკისროთ პასუხისმგებლობა, რომ მათთვის გადაცემული მთელი მიწა რაციონალურად დამუშავებული და გამოყენებული იქნება ქარხნებისათვის.

3. გლეხების მიწებზე იძულებითი თესლბრუნვა შემოღებულ იქნეს და ისინი კულტურის სავალდებულო ნორმებს დაუქვემდებარონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მიწებზე ძველთაგანვე მისდევდნენ ჭარხლის თესვას.

4. მკაცრად ადევნონ თვალყური იმას, რომ შაქრის ქარხნებისა და ჭარხლის მთესველი გლეხების ურთიერთობა აგებული იყოს ნამდვილად ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე, ჭარხლის ნათესის ასეთი და ასეთი ოდენობის აუცილებლობის ფარგლებში.

დაწერილია 1921 წლის 10 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა სოციალური დაზღვევის შესახებ [389]

დაევალოს სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატებთან ერთად შეიმუშაოს მუშათა დაზღვევის საკითხი ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით.

დაწერილია 1921 წლის 10 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები «იუგოსტალის» შესახებ [390]

მუშათა რაოდენობა ამ 3 ქარხანაში (სამთოშიც და მეტალურგიულშიც) minimum (ზაფხულობით) 21 000 (დაახლოებით).

1. X. დაახლოებით *30 000* |||
კომუნისტი დაახლოებით *500* |||
ხელფასი ახლა თვეში: 216 000
+200 000 ქვანახშირი
+200 000 საზეგანაკვეთო

თვეში (12 საათ.) = 616 000 მან.

მნგრეველი = 900 000-დან 1 მლნ-მდე.
სპეკი (maximum) = $2^1/_2$ — 3 მლნ.
+იპარავენ ან გასაკითხი ფული 10 მლნ-მდე.

1 მან. ოქროთი = 40 000
75 მან. ოქროთი = 3 მლნ. საბჭოთა მან.

1. I. 1922-თვის სპეკის ხელფასი გავხადოთ:
maximum *40* მლნ.
= 1 000 მან. ოქროთი თვეში.

«კომერციული დირექტორი» =
3 ქარხნის მთავარ სამმართველოში
(«იუგოსტალი»)
= მმართველის თანაშემწე...
(მსხვილი კომერსანტი)
((დიდი, ყველაზე დიდი
სპეციის მდგომარეობაში))
ბაზარზე გასალება = მისი მთავარი ამოცანა.

დაწერილია 1921 წლის ოქტომბერში,
11 რიცხვის შემდეგ
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ბარათი ვ. მ. მოლოტოვს რუტგერსის ჯგუფთან შეთანხმების საკითხზე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტით [391]

12. X. 1921 წ.

ამხ. მოლოტოვ!

თან ვურთავ რუტგერსის საქმის მასალებს.

უნდა გადაწყვიტოს შრომისა და თავდაცვის საბჭომ.

წინადადება შემომაქვს ჯერ ცენტრალურ კომიტეტში გადაწყდეს: საკითხი პოლიტიკურია. ვალდებულიცაა ჩაერიოს პოლიტბიურო, რადგან **ოქროს** ხარჯვაა.

გთხოვთ დაავალოთ მდივანს ტელეფონით დაელაპარაკოს პოლიტბიუროს ყველა წევრს, რათა თითოეულმა დანიშნოს ერთი საათი, რომლის დროსაც იგი პარასკევამდე შეძლებს ამ მასალების გადახედვას. უნდა გადახედოს თითოეულმა, რომ პარასკევს გადავწყვიტოთ.

მდივანმა ჩაიწეროს საათები და წასაკითხავად გადაუგზავნოს პოლიტბიუროს ყოველ წევრს.

ძნელი საკითხია:

მ ო მ ხ რ ე ვ ა რ: თუ ამერიკელები დაპირებას შეასრუ-

ლებენ, გიგანტურ სარგებლობას მივიღებთ. მაშინ დასანანი არ იქნება 600 000 მანეთი ოქროთი.

წინააღმდეგი ვარ: შეასრულებენ? ჰეივუდი ნახევრად ანარქისტია. უფრო მეტად სანტიმენტალურია, ვიდრე საქმიანი. რუტგერსი ვშიშობ მემარცხენეობაში არ გადავარდეს. კალვერტი არქიმოლაყბეა. არავითარი საქმიანი გარანტია არა გვაქვს. გატაცებული ადამიანები, უმუშევრობის პირობებში, შეყრიან «თავგადასავლის მაძიებელთა» ჯგუფს, რომლებიც კინკლაობით დაამთავრებენ. მაშინ კი ვკარგავთ ჩვენ მიერ ოქროთი მიცემული 600 000 მანეთის ნაწილს (რადგან, რა თქმა უნდა, წაახდენენ და დაფანტაკენ ნაწილს) და იმის საშიშროება მოგველის, რომ **კიდევ** დავკარგავთ *1* მილიონამდე მანეთს **ოქროთი**, რადგან მე-8 პარაგრაფით (მისი ბოლო) ვალდებულებას ვკისრულობთ.

«დავუბრუნოთ იმ მანქანებისა და შრომის იარაღებისათვის გაწეული ხარჯების ეკვივალენტი, რომლებიც გაიტანა ამ ემიგრანტმა».

რისკი დიდია.

მომხრე არიან: ი. ნ. სმირნოვი და მაქსიმოვი (ურალელი) — ადგილობრივი ადამიანები არიან, და ისინი ემხრობიან.

წინააღმდეგ: მარტენსი კარგად უნდა იცნობდეს ამერიკელებს, და იგი წინააღმდეგია.

ლენინი

გთხოვთ განკარგულება გასცეთ, რომ პარასკევს დღის 12—4 საათზე სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ყველა წევრს ტელეფონით კავშირი ჰქონდეს ცენტრალური კომიტეტის მდივანთან, იქნებ ცენტრალურ კომიტეტში გამოიძახონ.

P. S. გთხოვთ ეს წერილიც დაუგზავნოთ პოლიტბიუროს ყველა წევრს.

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წერილი პოლიტბიუროს წევრებს ს. რუტგერსის წინადადებათა საკითხზე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებათა პროექტით

ჩემი აზრით, არ შეიძლება ახლა ასეთი სახით მივიღოთ რუტგერსის წინადადებები. მაგრამ მსურს ამგვარი რამ ვცადოთ: ვაიძულოთ, რომ სახე შეუცვალოს ჯგუფს (რუტგერსი + ჰეივუდი + კალვერტი). აგრეთვე შეცვალოს საფინანსო პირობები. იქნებ ასე გადავწყვიტოთ:

ცენტრალური კომიტეტი (შემდეგ კი შრომისა და თავდაცვის საბჭო საბჭოების ხაზით) უარყოფს რუტგერსის ამ სახით წარმოდგენილ წინადადებებს, ე. ი. ბოგდანოვისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ წევრთა წინადადებებს, რომელთაც მასთან ერთად მისცეს ხმა,

და დაბეჯითებით გამოთქვამს სურვილს, რომ ამხ. რუტგერსის ჯგუფმა ეს უარი არ მიიჩნიოს საბოლოოდ, არამედ გადაამუშაოს თავისი წინადადებები შემდეგ საწყისებზე: α) შეიცვალოს ჯგუფის, ინიციატორთა ძირითადი ჯგუფის შემადგენლობა იმ თვალსაზრისით, რომ იგი შეივსოს ამერიკის პროფესიული მოძრაობის ან სხვა მუშათა ორგანიზაციების 5 — 8 თვალსაჩინო წარმომადგენლით; β) შეამციროს ჩვენი მთავრობის ხარჯები 300 000 დოლარამდე maximum; γ) შეამციროს და დააზუსტოს ჩვენი ხარჯები ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში[392].

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 12 და 15 ოქტომბერს შორის

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა სასურსათო სამუშაოზე ა. გ. შლიაპნიკოვის გაგზავნის შესახებ [393]

დადასტურდეს საორგანიზაციო ბიუროს გადაწყვეტილება; განმეორებით აღინიშნოს ამხ. შლიაპნიკოვის საქციელის სრული მცდარობა, შლიაპნიკოვისა, რომელმაც საორგანიზაციო ბიუროში განაცხადა, არ დაგემორჩილებითო; გაეგზავნოს შეკითხვა ცენტრალურ შემმოწმებელ კომისიასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიას, თუ რა ვადით მიაჩნიათ მათ შესაძლებლად გაუშვან ამხ. შლიაპნიკოვი სასურსათო სამუშაოზე ცენტრალური შემმოწმებელი კომისიისათვის ზიანის მიუყენებლად.

დაწერილია 1921 წლის 14 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 44

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა [394]

1) დაუყოვნებლივ გამოძახებულ იქნენ ჰუსეინოვი და ახუნდოვი.

2) მოეთხოვოთ მკაცრად, რომ მთლიანად შეწყვიტონ ფრაქციული ბრძოლა ბაქოსა და აზერბაიჯანში.

3) დაუდასტურდეთ, რომ ფრაქციული ბრძოლისათვის პარტიიდან იქნებიან გარიცხული.

4) რსფსრ-დან აზერბაიჯანში გასაგზავნ ამხანაგებს დაევალოთ შესრულების შემოწმება.

5) დაევალოს სტალინს ორშაბათისათვის შეადგინოს პროექტი დირექტივისა აზერბაიჯანში კომუნისტური პარტიის ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების შესახებ.

6) სპარსეთის შესახებ დაუყოვნებლივ უმკაცრესად დაუდასტურეთ.

დაწერილია 1921 წლის 15 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს ჟურნალში «ვოპროსი ისტორიი კპსს» № 2

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა კონცესიების საკითხზე ერთიანი კომისიის შექმნის შესახებ

იმის გამო, რომ ნეიტრალური ქვეყნების კაპიტალისტებმა წინადადება წამოაყენეს რსფსრ ქარხნებისა და მრეწველობის დარგების ნაწილი საკონცესიოდ გადმოგვეცითო, დაევალოს კომისიას — ამხანაგებს ტროცკის, ბოგდანოვსა და ციპეროვიჩს (პეტროგრადის საგუბერნიო კომიტეტის იმ უფლებით, რომ იგი სხვა ამხანაგით შეცვალოს) მოამზადონ პოლიტბიუროს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გაუქმდეს ყველა წინა კომისია ამ საკითხზე და შეიქმნას ერთიანი ხელმძღვანელი კომისია მთელ ამ საქმეზე მთელი მისი მოცულობით [395].

დაწერილია 1921 წლის 17 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბარათი ვ. მ. მიხაილოვს რუტგერსის ჯგუფთან შეთანხმების საკითხზე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროექტით [396]

19. X.

ამხ. მიხაილოვ!

თან ვურთავ რუტგერსის ჯგუფის პასუხს შრომისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებაზე (ე. ი. ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაზე).

ჩემი აზრით, ეს ჩვენი პირობების მიღებას უდრის.

ამიტომ თან ვურთავ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების პროექტს და გთხოვთ იგი **რაც შეიძლება მალე** ჩამოუტარეთ პოლიტბიუროს წევრებს. **ძალიან სასწრაფოა.**

კომ. სალამით ლენინი

იმის გამო, რომ საინიციატივო ჯგუფმა (ამხანაგები რუტგერსი, ჰეივუდი და კალვერტი) მიიღო შრომისა და თავდაცვის საბჭოს 17. X-ის გადაწყვეტილებით შეთავაზებული პირობები, ცენტრალური კომიტეტი ადგენს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს ავალებს, რომ დაადგინოს:

შრომისა და თავდაცვის საბჭო ადგენს:

1) ჯგუფთან შეთანხმება დადებულად იქნეს მიჩნეული;

2) წინადადება მიეცეს ამხ. ბოგდანოვს დაუყოვნებლივ მოამზადოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს ხელის მოსაწერად გადასცეს დეპეშები უსწრაფესი განკარგულებებით, რომ დაიწყონ შეშის, ხე-ტყისა და სხვ. დამზადება;

3) დაევალოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 2 დღის ვადაში შეიმუშაოს შეცვლილი ხელშეკრულების საბოლოო ტექსტი, რათა იგი დამტკიცდეს შრომისა და თავდაცვის საბჭოში პარასკევს, 21. X. 1921;

4) მიეცეს ამხ. რუტგერსს შაბათს, 22. X-ს, 5000 დოლარი ხელშეკრულების თანახმად, დაუყოვნებლივ 21. X-ს შრომისა და თავდაცვის საბჭოში მისი დამტკიცების შემდეგ.

შემდეგ, ეს არ უნდა ჩაიწეროს როგორც შრომისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილება, ცენტრალური კომიტეტი ავალებს ამხ. ბოგდანოვსაც, კუიბიშევის კომისიასაც, შრომისა და თავდაცვის საბჭოსაც, ცვლილებები იმგვარად შეიტანონ ხელშეკრულებაში, რომ (1) შრომისა და თავდაცვის საბჭოს «საორგანიზაციო კომიტეტში» დამატებითი

კანდიდატების არჩევის დროს ჰქონდეს მონაწილეობის უფლება ამ სიის საბოლოო დამტკიცებამდე და დამტკიცებისათვის; (2) რომ საბჭოთა ხელისუფლების **ყველა** და **ყოველგვარი** ხარჯის **მთელი** თანხა არ აღემატებოდეს 300 000 დოლარს; (3) რომ ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლებას არ დაეკისროს არავითარი საფინანსო ვალდებულება (ან დაეკისროს მხოლოდ ისეთი ვალდებულება, რომელსაც რსფსრ სასამართლო ან რსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მართლზომიერად ცნობენ).

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 19 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წინადადებანი რუსეთში სურსათის ამანათების გაგზავნის მოწყობის თაობაზე არასთან შეთანხმების პროექტის ტექსტის გამო [397]

თანახმა ვარ. 19/X ლენინი

(მიზანი თუნდაც ვაჭრობა იყოს, ჩვენ მაინც უნდა მოვაწყოთ ეს ცდა, რადგან დამშეულთათვის წმინდა მოგებას და კონტროლის უფლებას გვაძლევენ; და უარის თქმის უფლებას 3 თვით ადრე. ამიტომ გადატანისა და საწყობისათვის ქირა არ უნდა ავიღოთ). პოლიტბიუროს დასტურით არაში დაინიშნოს ამ ოპერაციის ჩვენი ისეთი კონტროლიორი, რომელშიც შერწყმული იქნებოდა საიმედოობა და **ყველაფრის** გაკონტროლების უნარი.

დაწერილია 1921 წ. 19 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წერილი პოლონელ კომუნისტებს

19. X. 1921 წ.

ძვირფასო ამხანაგებო!

თუ ვიმსჯელებთ იმ არასრული ცნობების მიხედვით, რაც ჩვენს გაზეთებში გამოჩნდება ხოლმე პოლონეთში კომუნისტური მოძრაობის გაძლიერების შესახებ, და ზოგიერთი უალრესად თვალსაჩინო პოლონელი ამხანაგის ცნობის მიხედვით (უფრო მეტად), პოლონეთში რევოლუცია მწიფდება.

მწიფდება მუშათა რევოლუცია: PPS *-ის (რუსულად ესერებისა და მენშევიკების; ევროპულად II და II$^1/_2$ ინტერნაციონალების) სრული კრახი. პროფკავშირების ერთიმეორის მიყოლებით კომუნისტებთან გადასვლა. დემონსტრაციების ზრდა და სხვ. მომავალი და გარდაუვალი საფინანსო კრახი. პოლონეთში ბურჟუაზიული დემოკრატიის (და წვრილი ბურჟუაზიის) გიგანტური მარცხი აგრარულ რეფორმაში, მარცხი, რომელიც მომწიფდა, გარდაუვალია და რომელიც სოფლის მეურნეობის უმრავლესობას — გლეხთა მთელ უღარიბეს ნაწილს — აუცილებლად უბიძგებს კომუნისტებისაკენ.

საფინანსო კრახთან და იმასთან დაკავშირებით, რომ ანტანტის (საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების) კაპიტალი პოლონეთს უსირცხვილოდ ძარცვავს, იწყება დიდმპყრობელური და ნაციონალური ილუზიების პრაქტიკული მხილება, რომელიც მ ა ს ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, რიგითი მუშისათვის, რიგითი გლეხისათვის თვალსაჩინო და ხელშესახებია.

თუ ყველაფერი ეს ასეა, მაშინ რევოლუციამ (საბჭოთა რევოლუციამ) პოლონეთში მალე უნდა გაიმარჯვოს. რადგანაც ასეა, ამიტომ საშუალება არ უნდა მივცეთ მთავრობასა და ბურჟუაზიას, რომ რევოლუცია დაახრჩონ ნ ა ა დ რ ე ვ ი აჯანყების სისხლიანი ჩახშობით. არ უნდა ავყვეთ პროვოკაციას. და-

---

* — PPS — პოლონეთის სოციალისტური პარტია. რ ე დ.

ველოდოთ სრული ტალღის გაძლიერებას: იგი ყველაფერს აღგვის და კომუნისტებს გამარჯვებას მოუპოვებს.

თუ 100—300 კაცს დახოცავს ბურჟუაზია, ეს საქმეს არ გააფუჭებს. მაგრამ თუ იგი ხოცვა-ჟლეტის პროვოცირებით 10—30 ათას მუშას მოკლავს, ამას შ ე უ ძ ლ ი ა რევოლუცია რ ა მ დ ე ნ ი მ ე წ ლ ი თ ა ც კი შეაჩეროს.

თუ მთავრობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სეიმის არჩევნების მოწყობას, მეცადინეობა იქით უნდა წარვმართოთ, რომ ს ე ი მ ი დ ა ი პ ყ რ ო ს მუშათა რევოლუციისა და გლეხთა უკმაყოფილების ტალღამ.

არ წახვიდეთ პროვოკაციაზე.

რადაც უნდა დაჯდეს, რევოლუცია ნაყოფის **სრულ** მომწიფებამდე **გაზარდეთ.** პოლონეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება შ ი გ ნ ი დ ა ნ გიგანტური **საერთაშორისო** გამარჯვებაა. თუ ამჟამად, ჩემი შეხედულებით, საბჭოთა ხელისუფლებამ საერთაშორისო გამარჯვება მოიპოვა 20—30%-ით, პოლონეთში საბჭოთა ხელისუფლების შ ი გ ნ ი დ ა ნ გამარჯვებით კომუნისტური რევოლუციის ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო გამარჯვება 40—50% და შესაძლოა 51%-ც კი იქნება, რადგანაც პოლონეთი გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის გვერდით მდებარეობს, და საბჭოთა პოლონეთი ძირს გამოუთხრის ვერსალის ზავზე აგებულ მთელ რეჟიმს.

აი რატომ ეკისრებათ პოლონელ კომუნისტებს მსოფლიო მნიშვნელობის პასუხისმგებლობა: მტკიცედ ეჭიროთ თავიანთი ხომალდის საჭე; არ აჰყვნენ პროვოკაციას.

განა ღირს უპასუხოთ დაშინსკისა და K°-ის მიერ დომბალის ცემას? თუ უპასუხებთ, მხოლოდ დაშინსკის ცემით უსროლელად, დაუჭრელად, მხოლოდ ასე. ეს იქნება ღირდეს, რადგანაც ამით მუშები წარმატებით ასწავლიან ჭკუას თავხედს, ეს გაამხნევებს მათ და გამოიწვევს 5—10 მუშის მსხვერპლს (საპატიმროთი ან დახვრეტით). მაგრამ იქნებ ესეც არ ღირდეს: გ ლ ე ხ ე ბ შ ი აგიტაციის გასაწევად იქნებ უ ფ რ ო ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო იყოს, რომ ჩ ვ ე ნ ს დომბალს მხეცურად სცემეს? იქნებ **ჩამორჩენილ** გლეხთა სიმპათიას ჩვენკენ ეს უ კ ე თ

შემოაბრუნებს, ვიდრე დაშინსკის ცემა? უფრო გულდასმით უნდა აწონ-დაწონოთ.

კომუნისტური სალამით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1962 წლის 22 აპრილს გაზეთ «პრავდაში» № 112

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა [398]

მე-4 პარაგრაფისათვის:

დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და საფინანსო კომისიას, ასევე საშინაო ვაჭრობასთან საქმის მქონე ყველა ამხანაგს, რომ უმოკლეს ვადაში ფულის მიმოქცევის საკითხებზე კონსულტაციისათვის შეარჩიონ იმ პირთა ჯგუფი, რომელთაც კაპიტალისტურ ვაჭრობაში საკმაო პრაქტიკული სტაჟი და გამოცდილება აქვთ. ორი დღის ვადაში ამ ამხანაგებს წინადადება მიეცეთ, რომ წერილობით გვაცნობონ, თუ შეუძლიათ შეასრულონ დავალება და რა ვადაში.

დაწერილია 1921 წლის 20 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა «ფაულერის» გუთნების შესახებ [399]

1. ფაულერის გუთნების შესახებ შ რ ო მ ი ს ა დ ა თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო ს დადგენილებათა შესრულებისათვის პასუხისმგებლობა პერსონალურად დაეკისროს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ლითონთა განყოფილების გამგეს ამხანაგ მარტენსს.

2. წინადადება მიეცეს ამხ. მარტენსს ერთი კვირის ვადაში შ რ ო მ ი ს ა დ ა თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო ში წერილობით

წარმოადგინოს წინადადება სამუშაოთა მოწყობის გეგმისა და ამ სამუშაოთა წარმატებისათვის საჭირო კონკრეტულ ღონისძიებათა შესახებ.

3. გაუქმდეს საგანგებო სამეული და მას დაევალოს, რომ ერთ კვირაში საქმეები ამხ. მარტენსს გადააბაროს და წარმოადგინოს წერილობითი ანგარიში თავისი მუშაობის შესახებ.

4. დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს ერთი კვირის ვადაში გამოიძიოს საქმის გაჭიანურება, უყაირათობა და ამ საქმისადმი არასწორი დამოკიდებულება, რაც გამოიჩინეს ლითონთა განყოფილებამ, შემდეგ მეტადრე საგანგებო სამეულმა, ასევე სხვა დაწესებულებებმაც.

მოხსენება წარდგენილ იქნეს შ რ ო მ ი ს ა და თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო შ ი.

დაწერილია 1921 წლის 21 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება შრომისა და თავდაცვის საბჭოსათვის ანგარიშგებისა და დიაგრამების წარდგენის შესახებ [400]

1921 წლის 21 ოქტომბერი

დაევალოს კომისიას ამხანაგების გორბუნოვის, სმოლიანინოვის, ავანესოვისა (შეცვლის უფლებით) და კრუმინის შემადგენლობით ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და შესაბამისი უწყებების მოზიდვით

ერთი კვირის ვადაში შრომისა და თავდაცვის საბჭოში წარმოადგინოს პროექტი დადგენილებისა იმის შესახებ, რომ ყველა უწყებამ შრომისა და თავდაცვის საბჭოსათვის ყოველთვიურად წარმოადგინოს სტატისტიკური ცნობები და დიაგრამები, განსაკუთრებით სამეურნეო ცხოვრების დახასიათების, ანგა-

რიშების შესწავლის, მათი დამუშავებისა და პრაქტიკული დასკვნების ჩამოყალიბების დარგში.

შრომისა და თავდაცვის საბჭოში მოწვევა და მოხსენება დაევალოს ამხ. გორბუნოვს ან სმოლიანინოვს [401].

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
საოქმო ჩანაწერის
მანქანაზე
გადაწერილი ეგზემპლარის
მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა ბამბეულის მრეწველობის მართვის შესახებ [402]

დაევალოს ამხ. ბოგდანოვს ამხ. კამენევთან ერთად გადააკეთოს ორივე პროექტი იმ მიმართულებით, რომ სავსებით აღმოიფხვრას საქმის გაჭიანურება, რაც ორივე პროექტში არის, და დაწესდეს კომერციული პირობებისათვის ნამდვილად შესაბამისი მთელი საქმის წარმართვის სისწრაფე.

ერთმანეთს გვერდ-გვერდ დაუპირისპირდეს წინადადებათა ორივე ტექსტი და დაეგზავნოს პოლიტბიუროს წევრებს.

დაწერილია 1921 წლის
27 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 44

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

გეგმა სტატიისა «საქმის კომერციულად დაყენება» [403]

გეგმა მოკლე სტატიისა «საქმის კომერციულად დაყენება»

ეს თუ ვარგა ლოზუნგად?

«კომერცია»? = კაპიტალიზმი.

(α) «სახელმწიფო კაპიტალიზმი». მისი პლუსები.

(β) ომის მდგომარეობა «კომერციას» გამორიცხავდა.
(γ) «კომუნიზმზე» გადასვლა ძალიან ხშირად (სამხედრო მოსაზრებითაც; და თითქმის აბსოლუტური სიღატაკითაც; შეცდომითაც, რიგი შეცდომებითაც) მოხდა სოციალიზმის შუალედი საფეხურების გაუვლელად (კომუნიზმი vs * სოციალიზმი).
(δ) «აღრიცხვა და კონტროლი»?
(ε) უ ნ დ ა ა ნ ა ზ ღ ა უ რ დ ე ს.

c+v+m
m — აკუმულაცია **
— სახელმწიფოს შენახვა
Allgemein Theoretisches***

«ომი» = პროლეტარიატის დიქტატურა

სხვადასხვაგვარი ფორმები
(α) პოლიტიკა 25. X. 1917 — 5. I. 1918
(β) Weltpolitik. Brester Frieden ****.
(γ) სამოქალაქო ომი
(δ) ომი «ეკონომიურ კრიზისთან», ესე იგი წვრილბურჟუაზიულ სტიქიასთან? ომის შემდგომ თავაშვებულობასთან? დაშლასთან? უუნარობასთან?

ომში გამარჯვების პირობა: უდიდესი დაძაბულობა.
კომერციულად დაყენება =
= უდიდესი დაძაბულობა
= საწარმოთა შემცირება მინიმუმამდე, მათი კონცენტრაცია
= შედეგების შემოწმება
= «მეურნეობის გაძღოლა».

---

* — versus — შედარებით, მიმართ. რ ე დ.
** — დაგროვება. რ ე დ.
*** — ზოგადთეორიული მოსაზრებანი. რ ე დ.
**** — მსოფლიო პოლიტიკა. ბრესტის ზავი. რ ე დ.

ან — ან:

aut * 100 000 + 500 000

16 ч. 1/4 ф. გლეხს? **

aut უდიდესი დაძაბულობა, შემცირება, «დაწოლა» (?)

მოგვბეზრდა სიზარმაცე. დოყლაპიობა, წვრილმანი სპეკულაცია, ქურდობა, აღვირახსნილობა.

{ რატომ «მეურნეობის გაძღოლა» არა? — ვაჭრობის თავისუფლება
— სახელმწიფო
კაპიტალიზმი
— ფულის სისტემა. }

დაწერილია 1921 წლის ოქტომბერში
ან ნოემბერში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტები სახკომსაბჭოს დადგენილებებისა 1922 წლის საფინანსო გეგმისა და ემისიის გეგმის შესახებ

1

1) დაევალოს საფინანსო კომისიას სამშაბათისათვის, 15. XI., წარმოადგინოს გაანგარიშება ოქროს მანეთობით, ამასთან გააერთიანოს მთელი და ყოველგვარი სახის შემოსავალი, მათ შორის სასურსათო გადასახადი, სათბობი და ა. შ. და სხვ.

— წარმოადგინოს გაანგარიშება ოქროს მანეთობით, თუ როგორ ნაწილდება გასავლის ბიუჯეტი სახალხო კომისარიატების მიხედვით (აბსოლუტური ციფრები) — ომამდელ აბსოლუტურ ციფრებთან (საშუალოდ 5 ან 10 წლის პერიოდი) და 1919 და 1920 წლების მიახლოებით ციფრებთან შედარებით.

2) წარმოადგინოს 2 ვარიანტი: ემისიის ოდენობა 240 და 300 მილიონი მანეთი ოქროთი.

---

* — ან. რ ე დ.

** — ამ ციფრების გაშიფვრა ვერ მოხერხდა. რ ე დ.

3) საერთო ბიუჯეტის ნაწილების (მატერიალურისაც და ფულადისაც) განაწილება შეუდაროს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სასურსათო გეგმით ულუფების განაწილებას.

4) ბიუჯეტის შემუშავება ამ გეგმის საფუძველზე (ვარიანტით 240 მილიონი მანეთი ოქროთი ემისიით) დაიწყოს დაუყოვნებლივ.

5) დავალება სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს? ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს? თუ გაფართოებულ კომისიას?

6) ვადა — 20. XII.

7) ხომ არ შეიძლება გამოქვეყნდეს საფინანსო კომისიის რიგი ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი?

განსაკუთრებით ომამდელი მანეთის გაანგარიშება (საქონლით), და სხვ. [404]

დაწერილია 1921 წლის 5 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

2

1) დაევალოს საფინანსო კომისიასა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაამთავრონ შემოსავლისა და გასავლის გაანგარიშება იმ საერთო საფუძველზე, რომელიც ამჟამად მიიღო საფინანსო კომისიამ, ასევე დაამთავროს შედარება, რომელიც სახკომსაბჭომ დაავალა 5 ნოემბრის დადგენილებით.

2) ეს გაანგარიშებანი წარმოადგინონ ნაკრები ჩანაწერების სახით და ისინი განიხილონ როგორც წინასწარი მონაცემები 1922 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დასაბუთებისათვის [405].

დაწერილია 1921 წლის 18 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ან — ან:

aut * 100 000 + 500 000

16 ч. 1/4 ф. გლეხს? **

aut უდიდესი დაძაბულობა, შემცირება, «დაწოლა» (?)

მოგვბეზრდა სიზარმაცე, დოყლაპიობა, წვრილმანი სპეკულაცია, ქურდობა, აღვირახსნილობა.

{ რატომ «მეურნეობის გაძღოლა» არა? — ვაჭრობის თავისუფლება
— სახელმწიფო
კაპიტალიზმი
— ფულის სისტემა. }

დაწერილია 1921 წლის ოქტომბერში
ან ნოემბერში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტები სახკომსაბჭოს დადგენილებებისა 1922 წლის საფინანსო გეგმისა და ემისიის გეგმის შესახებ

1

1) დაევალოს საფინანსო კომისიას სამშაბათისათვის, 15. XI., წარმოადგინოს გაანგარიშება ოქროს მანეთობით, ამასთან გააერთიანოს მთელი და ყოველგვარი სახის შემოსავალი, მათ შორის სასურსათო გადასახადი, სათბობი და ა. შ. და სხვ.

— წარმოადგინოს გაანგარიშება ოქროს მანეთობით, თუ როგორ ნაწილდება გასავლის ბიუჯეტი სახალხო კომისარიატების მიხედვით (აბსოლუტური ციფრები) — ომამდელ აბსოლუტურ ციფრებთან (საშუალოდ 5 ან 10 წლის პერიოდი) და 1919 და 1920 წლების მიახლოებით ციფრებთან შედარებით.

2) წარმოადგინოს 2 ვარიანტი: ემისიის ოდენობა 240 და 300 მილიონი მანეთი ოქროთი.

---

* — ან. რ ე დ.

** — ამ ციფრების გაშიფვრა ვერ მოხერხდა. რ ე დ.

3) საერთო ბიუჯეტის ნაწილების (მატერიალურისაც და ფულადისაც) განაწილება შეუდაროს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სასურსათო გეგმით ულუფების განაწილებას.

4) ბიუჯეტის შემუშავება ამ გეგმის საფუძველზე (ვარიანტით 240 მილიონი მანეთი ოქროთი ემისიით) დაიწყოს დაუყოვნებლივ.

5) დავალება სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს? ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს? თუ გაფართოებულ კომისიას?

6) ვადა — 20. XII.

7) ხომ არ შეიძლება გამოქვეყნდეს საფინანსო კომისიის რიგი ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი?

განსაკუთრებით ომამდელი მანეთის გაანგარიშება (საქონლით), და სხვ. [404]

დაწერილია 1921 წლის 5 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

2

1) დაევალოს საფინანსო კომისიასა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაამთავრონ შემოსავლისა და გასავლის გაანგარიშება იმ საერთო საფუძველზე, რომელიც ამჟამად მიიღო საფინანსო კომისიამ, ასევე დაამთავროს შედარება, რომელიც სახკომსაბჭომ დაავალა 5 ნოემბრის დადგენილებით.

2) ეს გაანგარიშებანი წარმოადგინონ ნაკრები ჩანაწერების სახით და ისინი განიხილონ როგორც წინასწარი მონაცემები 1922 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დასაბუთებისათვის [405].

დაწერილია 1921 წლის 18 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

საუბარი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციასთან [406]

1921 წლის 5 ნოემბერს

მონღოლეთის დელეგაციის 1-ლი კითხვა: «როგორ უყურებთ თქვენ, ამხ. ლენინ, ჩვენს ქვეყანაში სახალხო-რევოლუციური პარტიის შექმნას და რა არის მთავარი ჩვენთვის?»

ამხ. ლენინმა ჩვენს დელეგაციას განუმარტა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა და აღნიშნა, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის გეოგრაფიული მდებარეობის გამო იმპერიალისტური სახელმწიფოები ომის შემთხვევაში შეეცდებიან დაიპყრონ ჩვენი ქვეყანა და იგი სხვა ქვეყნის წინააღმდეგ საომარი მოქმედების პლაცდარმად გადააქციონ. ამიტომ, თქვა ამხ. ლენინმა, თქვენი ქვეყნის ყველა მშრომელისათვის ერთადერთი სწორი გზაა სახელმწიფო და სამეურნეო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა საბჭოთა რუსეთის მუშებსა და გლეხებთან კავშირში. ეს ბრძოლა არ შეიძლება იზოლირებულად აწარმოოთ, ამიტომ მონღოლ არატთა პარტიის შექმნა მათი ბრძოლის წარმატების პირობაა.

მონღოლეთის დელეგაციის მეორე კითხვა: «ძლევამოსილი თუ იქნება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა?»

ამხ. ლენინის პასუხი:

«მე თავად 30 წელია ვმონაწილეობ რევოლუციურ მოძრაობაში და პირადი გამოცდილებით ვიცი, თუ როგორ უჭირს ყოველ ხალხს, რომ თავისი გარეშე და შინაური დამმონებლებისაგან განთავისუფლდეს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მონღოლეთი მესაქონლეობის ქვეყანაა, ხოლო მისი მოსახლეობის ძირითადი მასა მომთაბარე მწყემსებია, მან თავის რევოლუციაში დიდი წარმატებები მოიპოვა, რაც მთავარია — ეს წარმატებები განამტკიცა იმით, რომ შექმნა საკუთარი სახალხო-რევოლუციური პარტია, რომლის ამოცანაა გახდეს მასობრივი და არ დანაგვიანდეს უცხო ელემენტებით».

მონღოლეთის დელეგაციის მესამე კითხვა: «სახალხო-რევოლუციური პარტია ხომ არ უნდა გარდაიქმნას კომუნისტურ პარტიად?».

ამხ. ლენინის პასუხი:

«ამას არ გირჩევთ, რადგან ერთი პარტიის «გარდაქმნა» მეორე პარტიად არ შეიძლება». ამხ. ლენინმა განმარტა კომუნისტური პარტიის როგორც პროლეტარიატის პარტიის არსი და თქვა: «რევოლუციონერებმა ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაონ თავიანთ სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაზე, ვიდრე მწყემსური ელემენტებისაგან შეიქმნება ისეთი პროლეტარული მასა, რომელიც შემდგომ დაეხმარება სახალხო-რევოლუციური პარტიის «გარდაქმნას» კომუნისტურ პარტიად. აბრის უბრალოდ შეცვლა მავნე და საშიშია».

ამხ. ლენინმა ჩვენს დელეგაციას ფართოდ გადაუშალა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის არაკაპიტალისტური განვითარების შესაძლებლობისა და აუცილებლობის იდეა, ის, რომ არაკაპიტალისტური განვითარების გზაზე გადასვლის უზრუნველყოფის მთავარი პირობაა სახალხო-რევოლუციური პარტიისა და მთავრობის მუშაობის გაძლიერება, რათა ამ მუშაობის და პარტიისა და ხელისუფლების გავლენის გაძლიერების შედეგად იზრდებოდეს კოოპერატივების რაოდენობა, ინერგებოდეს მეურნეობის გაძღოლისა და ეროვნული კულტურის ახალი ფორმები, რათა პარტიისა და მთავრობის გარშემო ირაზმებოდნენ არატები ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის. მხოლოდ პარტიისა და მთავრობის გავლენით შექმნილი ახალი სამეურნეო წყობის პატარა კუნძულებიდან ჩამოყალიბდება არატული მონღოლეთის ახალი არაკაპიტალისტური ეკონომიური სისტემა.

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს წიგნში «მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის მეცხრე ყრილობა (1934 წლის 28 სექტემბერი — 5 ოქტომბერი)». ულან-ბატორი, გამომცემლობა «თანამედროვე მონღოლეთი»

იბეჭდება
წიგნის ტექსტის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა

აღინიშნოს, რომ პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საკითხზე მოწვეული სრულიად რუსეთის I კონფერენციის რეზოლუცია არ შეესაბამება რკპ X პარტყრილობის რეზოლუციას მთავარპოლიტგანის შესახებ სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან მთავარპოლიტგანის დამოკიდებულების საკითხში (§ 2) [407].

ძირითადად დამტკიცებულ იქნეს საგუბერნიო პოლიტგანების ყრილობის რეზოლუცია [408], დაევალოს მთავარპოლიტგანს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს დეტალური პრაქტიკული ინსტრუქცია, რომელშიც უაღრესად კონკრეტულად იქნება განსაზღვრული ორივე დაწესებულების მუშაობის «გაერთიანების» ფორმები და პროფკავშირებისა და მათი ორგანოების მიერ მთავარპოლიტგანის «აპარატისა და ძალების» «გამოყენების» ფორმები [409].

დაწერილია 1921 წლის 8 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 44

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ბარათი ვ. მ. მიხაილოვს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტითურთ [410]

ამხ. **მიხაილოვ!** ჩემი წინადადებაა ჩამოურიგოთ პოლიტბიუროს წევრებს.

ჩემი პირადი აზრია: ვ. მილუტინის მთელი გეგმა, როგორც სრულიად უვარგისი, სრულიად უსაფუძვლო, **უარვყოთ.**

წინადადება შემომაქვს: უ ა რ ვ ყ ო თ.

9/XI. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 9 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის **მიხედვით**

ბარათი ვ. მ. მიხაილოვს უკრაინაში სასურსათო მუშაობის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტითურთ [411]

9/XI.

ამხ. მიხაილოვ!

გთხოვთ ჩამოურიგოთ პოლიტბიუროს წევრებს და დამიბრუნოთ.

გთავაზობთ პოლიტბიუროს დადგენილებას.

პოლიტბიურო უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიუთითებს, რომ უკრაინაში სურსათის მთლიანად, ე. ი. 100%-ით შეკრებას რსფს რესპუბლიკისათვის აბსოლუტურად ძირეული მნიშვნელობა ენიჭება. აგრეთვე ჩვენთვის 57 მილიონი ფუთის მოწოდებას. ავალებს: დაუყოვნებლივ შეიმუშაოს არაერთი უაღრესად ენერგიული ზომა ამ მიზნის მისაღწევად და ყველა გადაწყვეტილება გვაცნობოს.

სურსათის შეკრების მიმდინარეობასა და რსფს რესპუბლიკაში გამოზიდვაზე მოკლე შეჯამებული ცნობები მოგვაწოდოს ტელეფონით თვეში ორჯერ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 9 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

«ყალბი დასმენისათვის დასჯის შესახებ» დეკრეტის პროექტისათვის [412]

წინადადება შემომაქვს დავუმატოთ სასჯელის გაძლიერების ზომა

α) არანაკლები ამდენი წლისა

β) აშკარად ყალბი წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ჩვენებისა ან პასუხისათვის (ან გარკვეულ პირობებში შეკითხვისაგან

თავის არიდებისათვის), ისე როგორც Meineid-ია * გერმანიაში, მაგრამ Eid-ის ** გარეშე.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 14 და 24 ნოემბერს შორის

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები «გაზეთების ფასიანობის შემოღების შესახებ» დეკრეტის პროექტზე

უნდა დაემატოს ან რამდენიმე § უსასყიდლობის კონტროლის **(განსაკუთრებულის)** შესახებ,

ან დაევალოს განსაკუთრებული ინსტრუქციით (ერთი § მის შესახებ) [413].

15/XI

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 15 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

გარათი ვ. მ. მოლოტოვს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში შესატანი წინადადებებით

ხმის მისაცემად (ჩამორიგებით)

26. XI. 1921.

ამხ. მოლოტოვ! იქნებ სცადოთ, რომ ტელეფონით პოლიტბიუროში გადაჭრათ 2 საკითხი:

1) დაინიშნოს სოკოლნიკოვი ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად საფინანსო კომისიის წევრებთან

* — ფიცის გატეხა. რ ე დ.

** — ფიცი. რ ე დ.

ი მ პ ი რ ო ბ ი თ, რომ იგი რჩება თ უ რ ქ ე ს ტ ა ნ ბ ი უ-
რ ო ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე დ და, თუ საჭირო იქნა, ვალდე-
ბულია თურქესტანში გ ა ე მ გ ზ ა ვ რ ო ს ხოლმე, ვიდრე იქ
სრული წესრიგი დამყარდებოდეს. (თუ ამას უმრავლესობა არ
მიემხრობა, მაშინ მე იძულებული გავხდები გადავიტანო მთე-
ლი პოლიტბიუროს განსახილველად.)

2) დღეს ჩვენ ნაჩქარევად უარვყავით ჩემი წინადადება [414], მეც დავთანხმდი, რომ უარი მეთქვა. მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ავჩქარდი, და მას განვაახლებ:

დაევალოთ: 1) პიატაკოვს; 2) რუხიმოვიჩს; 3) ბოგდანოვს (ან მის მოადგილეს სმილგას) — 2 კვირაში პოლიტბიუროში წარმოადგინონ საგუბერნიო ეკონომიური თათბირისა და იმ მსხვილ საწარმოთა ურთიერთდამოკიდებულების გეგმა (ან წესდება, ან თეზისები), რომლებიც ამ გუბერნიაში იმყოფებიან და უშუალოდ ემორჩილებიან ცენტრს მოსკოვში [415].

[ამას ჩვენ თვითონ ვერ შევადგენთ. საკითხი ს ა ყ ო ვ ე ლ-
თ ა ო ა. საჭირო იქნება ყ ვ ე ლ ა სახალხო კომისარიატს შე-
ვეკითხოთ. სწრაფად უნდა დამუშავდეს. დავიწყოთ დონეცკის
საგუბერნიო ეკონომიური თათბირით.]

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წერილი ა. დ. ციურუპას სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების პროექტით და ბარათი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს

28/XI.

ამხ. ციურუპა! ასეთი გეგმა მოვისაზრე:

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის რიკოვის თანამდებობის (სახკომსაბჭოში გადამწყვეტი ხმის უფლებით) დამატებით ასეთივე უფლებებით წესდება შრო-

ბისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მეორე მოადგილის თანამდებობა. ინიშნება, სურსათის სახალხო კომისარიატიდან განთავისუფლებით, ციურუპა.

ამ მოადგილეების უფლებებია: გადამწყვეტი ხმა სახკომსაბჭოსა და **შრომისა და თავდაცვის საბჭოში**; თავმჯდომარეობა, თავმჯდომარის არყოფნის დროს. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ყველა უფლება, რომ მონაწილეობდეს ყველა კოლეგიასა და დაწესებულებაში და (ამ უფლებათა შორის) იმის უფლება, რომ სახალხო კომისრებსა და კოლეგიის წევრებს და სხვ. მისცეს პრაქტიკული მუშაობისათვის ისეთი მითითებები ეკონომიური სახალხო კომისარიატების გაერთიანებისა და მუშაობის წარმართვის საკითხებზე, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს.

ვფიქრობ, ასეთი უნდა იყოს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ოფიციალური გადაწყვეტილება[416].

ამოცანაა ნამდვილად გავაერთიანოთ, განვამტკიცოთ და გავაუმჯობესოთ ეკონომიური მუშაობა **მთლიანად**, განსაკუთრებით **სახბანკთან** (ვაჭრობა) და **სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან დაკავშირებით და მათი მეშვეობით.**

პირადად გაეცანით ყველა ეკონომიური სახალხო კომისრისა და მათი კოლეგიების **ყველა წევრის** და ამ დარგის ადგილობრივი და საოლქო რიგი (10 — 100) ყველაზე თვალსაჩინო მუშაკების თავისებურებებსა და მუშაობას.

პირადად მიიღეთ მონაწილეობა შესაბამისი სახალხო კომისარიატების, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სახბანკის, ცენტროსოიუზისა და სხვა მისთანათა კოლეგიების **დიდმნიშვნელოვან** სხდომებში და **პირადად** შეამოწმეთ, შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევით, **უმნიშვნელოვანესი** და განსაკუთრებით საჭირბოროტო ფუნქციები.

რამდენ ხანს იქნება ეს თანამდებობები, «ვნახოთ»: იქნებ 3 — 4 წელი, იქნებ 30 წელი.

ერთ-ერთი მიზანია: გამომუშავდეს ინსპექტორ-ინსტრუქ-

ტორთა მაღალკვალიფიციური ტიპი მთელი ეკონომიური მუშაობის შემოწმებისა და **დაუენებისათვის** როგორც ცენტრის, ისე ადგილობრივ ეკონომიურ დაწესებულებებში.

მოადგილეები თავიანთ მუშაობას წარმართავენ არსებული სახალხო კომისარიატების აპარატის მეშვეობით, და როგორც თავისი ორგანო ჰყავთ მხოლოდ **შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველობა** (შრომისა და თავდაცვის საბჭოს 4 — 5 საქმეთა მმართველი 1 — 2 თანაშემწით, 1 — 2 მდივნით თითოეული თანაშემწე).

შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველი, მისი თანაშემწეები და მდივნები ქმნიან მთლიანად მთელი შრომისა და თავდაცვის საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის ორივე მოადგილის ერთიან და ერთადერთ აპარატს.

მიპასუხეთ **ოთხშაბათამდე, ეს დამიბრუნეთ.**

კომუნისტური სალამით ლენინი

პოლიტბიუროს წევრებს: ამ წინასწარ გეგმაზე მივიღე ა. დ. ციურუპას თანხმობა და პოლიტბიუროს ყველა წევრს ვთხოვ წაიკითხონ. მსურს ხვალ, 1. XII-ს, წარვადგინო პოლიტბიუროში.

30. XI. ლენინი

დაწერილია 1921 წლის 28 და 30 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა არასრულად 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

მთლიანად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 44

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სიტყვა მოსკოვის გუბერნიის I სასოფლო-სამეურნეო ყრილობაზე 1921 წლის 29 ნოემბერს [417]

ამხანაგებო, უწინარეს ყოვლისა ნება მიბოძეთ, რომ თქვენს ყრილობას მივესალმო სახალხო კომისართა საბჭოს სახელით. დიდად ვწუხვარ, რომ საშუალება არა მაქვს თქვენს ყრილო-

ბაზე გამოვიდე ვრცელი მოხსენებით, რაც უნდა გამეკეთებინა, და დავესწრო ყრილობას იმისათვის, რომ აქ მოვისმინო მოხსენებები და, განსაკუთრებით, მოვისმინო ის სიტყვები, რასაც აქ წარმოთქვამენ ადგილებიდან ჩამოსული წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ უძღვებიან მეურნეობას, უშუალოდ დაინტერესებული არიან სოფლის მეურნეობის აღმავლობით და რომელთაც შეუძლიათ არსებითი პრაქტიკული მითითებები მოგვცენ. ამიტომ საერთო მისალმებასთან ერთად უნდა დავკმაყოფილდე მხოლოდ იმის მოკლედ აღნიშვნით, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს თქვენი ყრილობის მუშაობას.

თქვენ ყველამ იცით, ამხანაგებო, რომ ძირითად საკითხს, რომელიც ყველა გარემოებამ ჩვენი რესპუბლიკის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის პირველხარისხოვან საკითხად დასახა, წარმოადგენს საერთოდ მეურნეობის აღმავლობის და პირველ რიგში სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხი. ყველა ნიშანი იმას ცხადყოფს, რომ გლეხთა მასაში ახლა, იმპერიალისტური ომის განვლილი მძიმე წლებისა და ძლევამოსილი სამოქალაქო ომის შემდეგ, უდიდესი გარდატეხა ხდება. იმის შეგნებამ, რომ ძველებურად მეურნეობას ვეღარ წარმართავ, გლეხთა უფართოეს მასებში შეაღწია. ჩვენ წინაშე ახლა დასახულია ძირითადი ამოცანა, რომ ის, რაც აქამდე გლეხთა მცირე რაოდენობამ გააკეთა, რომ ის ცოდნა, რაც ჩვენი სუსტი აგრონომიის მეშვეობით გლეხთა მასებში არასაკმარისად გავრცელდა, რომ ყოველივე ეს ნამდვილად გახდეს ათობით მილიონის კუთვნილება. მთელი რიგი ნიშნები ცხადყოფს, რომ მეურნეობის გარდაქმნისაკენ, სასოფლო-სამეურნეო კულტურის ამაღლებისაკენ სწრაფვას ისე ღრმად, ისე ფართოდ, ისე მწვავედ გრძნობს ახლა გლეხობა, როგორც არასდროს, და ჩვენი მთავარი ამოცანაა მივაღწიოთ იმას, რომ ასეთი ყრილობები ეწყობოდეს უფრო ხშირად და რომ ამ ყრილობების შედეგებმა პრაქტიკულად იჩინოს თავი უახლოეს მომავალში.

ყველაზე დიდი უბედურება, რაც ამ წელიწადს თავს დაგვატყდა, — ეს არის შიმშილი მთელ რიგ გუბერნიებში, ეს გვალ-

ვაა, რომელიც, ეტყობა, დაგვემუქრება თუ უახლოეს წელიწადს არა, უახლოეს წლებში მაინც. ამასთან დაკავშირებით არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მთელი სახალხო მეურნეობის ძირითადი ამოცანაა რადაც უნდა დაგვიჯდეს მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის მეტად სერიოზულ და პრაქტიკულად დაუყოვნებლივ განსახორციელებელ გაუმჯობესებასა და აღმავლობას. ამის გაკეთება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მეურნე გლეხების ფართო მასაში, გლეხებისა, რომლებიც სოფლის მეურნეობას მისდევენ, შეიჭრება იმის შეგნება, რომ აუცილებელია მეურნეობის გაუმჯობესება. თუ ის გაუმჯობესება, რაც უაღრესად ფართო მასშტაბით დაიწყო, თუ ეს გაუმჯობესება უკლებლივ ყველა გუბერნიას მოიცავს, მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ დავძლიოთ, დავამარცხოთ შიმშილი და მივაღწიოთ გლეხური მეურნეობის გაუმჯობესებას. იმ მცირერიცხოვან აგრონომთა მუშაობა, რომელთა რაოდენობა უმნიშვნელოა გლეხთა მთელ მასასთან შედარებით, არ შეიძლება პროდუქტიული იყოს სოფლის მეურნეობის პრაქტიკულ ამოცანებთან დაუახლოებლად. ისეთი ყრილობები, როგორიც თქვენია, უნდა მოეწყოს ყველა გუბერნიაში და მათ გავლენა უნდა მოახდინონ გლეხთა მასებზე. ამაშია ახლა ყველაზე ძირითადი, მე ვიტყოდი, პოლიტიკური აუცილებლობა, რადგანაც ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესების გამო ყველა პოლიტიკური საკითხი ერთ მხარეს არის მიმართული — რადაც უნდა დაგვიჯდეს ავამაღლოთ სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობა. მისი მწარმოებლურობის ამაღლებამ უეჭველად უნდა გააუმჯობესოს მრეწველობაც და გააუმჯობესოს გლეხური მეურნეობის მომარაგებაც როგორც პირადი მოხმარების ყველა აუცილებელი საგნით, ისე წარმოების იარაღებით, მანქანებით, ურომლისოდაც მუშათა და გლეხთა მასების უზრუნველყოფილი არსებობა შეუძლებელია.

ამხანაგებო, თქვენ აქ მოისმინეთ ამხ. ოსინსკის მოხსენება საერთო ეკონომიური პოლიტიკის შესახებ და, როგორც გადმომცეს, ამხ. მესიაცევის მოხსენება მიწათმოწყობის საკითხებზე. ვიმეორებ, რომ ჩვენთვის უაღრესად ძვირფასია ის პრაქ-

ტიკული წინადადებები, რომლებსაც წამოაყენებენ ისინი, ვინც უშუალოდ განაგებს მეურნეობას, რომლებსაც წამოაყენებენ გლეხური მეურნეობის წარმომადგენელნი. ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანი და ძვირფასია ის გამოცდილება, რომელიც თქვენ თან მოიტანეთ და რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველაზე ფართო მასისათვის. მოსკოვის გუბერნიას მაინც თითქმის განსაკუთრებული მდგომარეობა უჭირავს, რადგანაც აქ მოსკოველი გლეხობისათვის შესაძლებელია და გაადვილებულია გამოცდილების გაზიარება ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან და აგრონომებთან, და იმას, რასაც ყრილობა შეიმუშავებს, აგრეთვე იმას, რასაც იგი მოგვცემს, ექნება ისეთი მნიშვნელობა, რომელიც შორს გასცდება მოსკოვის გუბერნიის ფარგლებს. ყველაზე დიდი საშიშროება იმ შემთხვევაში მოგვევლინება, თუ ნაკლებად დავუკავშირდებით აგრონომთა დახმარებას, და ამიტომაც საჭიროა, რომ მოსკოველმა მიწათმოქმედებმა, რომ მოსკოვის გლეხობამ საკუთარი გამოცდილებაც და ისიც, რასაც ისინი მიაღწევენ სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების დარგში, განიხილონ როგორც ამ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯები და იგი მთელ გლეხობას გააცნონ. სწორედ ამაზე მსურდა მიმეპყრო თქვენი ყურადღება, რათა ის გამოცდილება და ის დასკვნები, რასაც თქვენ აქ გამოიტანთ, არა მარტო უნდა დაგვეხმარონ თქვენს მეურნეობაში შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად, არამედ თქვენი საკუთარი გამოცდილება და საკუთარი მითითებები უნდა გაუზიაროთ ყველაზე შორეული გუბერნიების გლეხობას.

აქ წამოჭრილ ყველა საკითხს: ნაკვეთების საკითხს, ერთი სიტყვით, მიწათმოწყობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს მნიშვნელობა აქვს ბევრად უფრო ფართო დარგებისათვის, და ამ საკითხზე თქვენი საკუთარი აზრის ცოდნას, კერძოდ ჩვენთვის, ცენტრის წარმომადგენლებისათვის, უაღრესად არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამ საკითხებისადმი მიდგომას ჩვენ პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე ვფიქრობთ. ყველაზე მთავარი და ყველაზე ძირითადია, რომ ჩვენს გლეხთა მასაში გაიღვიძოს გლეხური მეურნეობის გაუმჯობესების აუცილებლობის

შეგნებამ და რომ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები თქვენ თვითონ ყოველმხრივ განიხილოთ. ყოველივეს, რასაც თქვენ აქ გამოთქვამთ, ჩვენ ყურად ვიღებთ, და პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელების დროს გავითვალისწინებთ თქვენს საკუთარ გამოცდილებას. ამასთან ვიმეორებ, რომ ეს თქვენი გამოცდილება გაიცნონ ცენტრიდან ყველაზე დაშორებულ გუბერნიებში. აი რა არის ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თქვენს მუშაობაში.

ვამთავრებ და ერთხელ კიდევ გადმოგცემთ მისალმებას სახალხო კომისართა საბჭოსაგან, ამასთან გისურვებთ ყოველგვარ წარმატებას თქვენს მუშაობაში. (ტ ა შ ი.)

მოკლე საგაზეთო ანგარიში
დაიბეჭდა 1921 წლის
30 ნოემბერს
«პრავდაში» № 270

მთლიანად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 44

იბეჭდება
გაზეთის ტექსტთან
შეჯერებული
სტენოგრამის მიხედვით

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტის მონახაზი

1-ლი: კომპეტენცია შეიკვეცოს
მე-2: დაპატიმრება უფლებაზე უფრო შეკვეცილად
მე-3: ვადა < 1 თვეზე
მე-4: სასამართლოები გავაძლიეროთ, თუ მხოლოდ სასამართლოებში
მე-5: სახელწოდება
მე-6: **სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში** გატარდეს > სერიოზული შერბილება[418].

დაწერილია 1921 წლის
1 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა ერთიანი ფრონტის ტაქტიკის შესახებ

a) მოწონებულ იქნეს ხაზი II ინტერნაციონალის მუშებთან ერთობლივი მოქმედების თაობაზე კომუნისტური ინტერნაციონალის კომპარტიების რიგი წინადადებების მიხედვით, რაც ზინოვიევმა, რადეკმა და ბუხარინმა შემოიტანეს. დაევალოთ მათ 2 დღის ვადაში ზუსტად გადმოსცენ ეს ხაზი რეზოლუციის პროექტში, რომელიც დაეგზავნოს პოლიტბიუროს წევრებს.

b) დაევალოს ამხ. ბუხარინს დაწეროს და პოლიტბიუროს უჩვენოს სტატია ბოლშევიკებისა და მენშევიკების ბრძოლისა და მათ შორის ბლოკების საკითხზე რუსეთის კომუნისტური პარტიის გამოცდილების შედეგების შესახებ [419].

დაწერილია 1921 წლის 1 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 44

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა
მატერიალური რესურსების გამოყენების კომისიის შესახებ [420]

a) საფუძვლად მიღებულ იქნეს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პროექტი და დაევალოს მას, რომ ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს გადამუშავებული პროექტი მე-2 და მე-3 პარაგრაფების შესწორებით, აგრეთვე წარმოადგინოს იმ მუშაობის შედეგები, რასაც მე-5 პარაგრაფი ითვალისწინებს.

დაწერილია 1921 წლის
2 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტისათვის [421]

სურსათის კომისარიატს ევალება წისქვილების სამმართველოში შეინარჩუნოს სპეციალისტთა ძირითადი ჯგუფი (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მითითებით) და შეასრულოს, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს კონტროლით, დიდი წისქვილების რემონტის პროგრამა.

დაწერილია 1921 წლის
5 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები თეზისებისათვის ერთიანი ფრონტის შესახებ

ამხ. ზინოვიევ!

წავიკითხე თეზისების მონახაზი და წინააღმდეგი არა ვარ. შეავსეთ და ნაწილობრივ სახე შეუცვალეთ ბოლშევიზმის ისტორიის აბზაცს. მცდარია, რომ განხეთქილება მხოლოდ 1910 წელს მოხდა. უნდა ითქვას, რომ მენშევიკებთან ფორმალური განხეთქილება, რასაც ადგილი ჰქონდა 1905 წლის გაზაფხულზე და 1912 წლის იანვარში, იცვლებოდა 1906 და 1907, შემდეგ 1910 წლების ნახევრად გაერთიანებითა და გაერთიანებით არა მარტო ბრძოლის პერიპეტიების გამო, არამედ ქვედა ფენების დაწოლითაც, რომლებიც საკუთარი გამოცდილებით შესამოწმებელ გამოცდას მოითხოვდნენ.

ვფიქრობ აუცილებელია, რომ ეს უფრო ზუსტად და კონკრეტულად ითქვას ერთ გვერდზე [422].

6/XII.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის
6 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება მანქანაზე
გადაწერილი პირის
მიხედვით

წერილი აღმოსავლეთის ხალხთა პროპაგანდისა და მოქმედების საბჭოში [423]

ძვირფასო ამხანაგებო!

სულითა და გულით მივესალმები თქვენს მომავალ გამოცემას. ძლიერ ვწუხვარ, რომ ავადმყოფობის გამო ჩემს სტატიას ვერ მოგცემთ. ვიმედოვნებ, რომ აღმოსავლეთის მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლების მოზიდვის საქმე უფრო სწრაფად და ფართოდ დაიძვრება ადგილიდან თქვენი გაზეთის წყალობით. პოლიტიკურ ცხოვრებაში აღმოსავლეთის მშრომელი მასების ჩაბმაზე ამჟამად ძალიან დიდად არის დამოკიდებული მთელი დასავლეთის ცივილიზაციის ბედი.

საუკეთესო სურვილებითა და სალამით

რსფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

წაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის დეკემბერში, არა უადრეს
17 რიცხვისა
პირველად დაიბეჭდა 1957 წლის
22 აპრილს
გაზეთ «პრავდაში» № 112

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით

შენიშვნები პარტიის წმენდის შესახებ რკპ(ბ) XI კონფერენციის რეზოლუციის პროექტის გამო

პარტიის წმენდის შესახებ ზალუცკის რეზოლუციის პროექტის გამო მსურს ორი შენიშვნა გავაკეთო.

1) a პარაგრაფის მე-3 განყოფილებაში ზალუცკი გვთავაზობს დროებით, 6 თვით, შევწყვიტოთ პარტიაში მიღება. ვფიქრობ, ეს სწორი არ არის. ჩემი მხრით შემოგთავაზებდით — კი არ შეგვეწყვიტა მიღება, არამედ წაგვეყენებინა უფრო მკაცრი პირობები, სახელდობრ: კანდიდატობის ხანგრძლივი ვადა. თუ წლინახევრის ვადა ნამდვილი მუშებისათვის მეტისმეტად გრძლად მიაჩნიათ, მაშინ შეიძლება იგი შევამ

ციროთ და საერთოდ ეს ვადა 3/4 წლამდე ან ნახევარ წლამდეც კი შევამციროთ, როგორც ამას ტროცკი გვთავაზობს. მაგრამ, ჩემი აზრით, ასეთი მოკლე ვადების დროს საჭიროა მოვითხოვოთ კვალიფიციური უმრავლესობა კოლეგიებში, რომელთაც გამოაქვთ გადაწყვეტილება მიღების თაობაზე, მაგალითად, საჭირო იყოს სულ ცოტა 4/5-ის უმრავლესობა იმისათვის, რომ მიღების ვადა შემცირდეს, ამასთან ეს 4/5 უმრავლესობა მოეთხოვოს არა მხოლოდ ერთ პარტიულ კოლეგიას (ძირეულ უჯრედს, რომელიც მიღებას აწარმოებს), არამედ რამდენიმე კოლეგიას ურთიერთშემოწმებისათვის (მაგალითად, ძირეული უჯრედის გარდა პარტიის საგუბერნიო კომიტეტსაც და სხვ.). მე წინააღმდეგი სრულებით არ ვიქნებოდი, რომ ნამდვილი მუშებისათვის გაგვეადვილებინა პარტიაში მიღება, მაგრამ თუ არ დავაწესებთ უაღრესად მკაცრ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ ვინ შეიძლება მსხვილი მრეწველობის მუშად ჩაითვალოს, მაშინ ამ ხვრელში კვლავაც დაუყოვნებლივ გაძვრება ვიგინდარების მასა. წითელარმიელთა მიმართ, ჩემი აზრით, უფრო მკაცრი პირობებია საჭირო, რადგანაც ესენი, ჯერ ერთი, მეტწილად მუშები კი არა, გლეხები არიან, მეორეც, ეს მეტისმეტად ახალგაზრდა ადამიანები არიან, რომლებიც ჯერ კიდევ გამოცდით უნდა შევამოწმოთ.

2) a პარაგრაფის მე-4 განყოფილებაში ზალუცკი გვთავაზობს გადავსინჯოთ კომკავშირელებში მუშაობის დასახული გეგმები. ვფიქრობ, ამ პუნქტის მიხედვით უნდა წამოვაყენოთ უფრო მკაცრი პირობები და უნდა შემოწმდეს, რომ პარტიაში შეყვანილი კომკავშირის წევრები, ჯერ ერთი, მართლაც სერიოზულად სწავლობდნენ და რაღაც ისწავლეს და, მეორე, რომ მათ გაიარეს სერიოზული პრაქტიკული მუშაობის (სამეურნეო, კულტურული და სხვ.) ხანგრძლივი სტაჟი [124].

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 22 დეკემბერს
პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით
(მანქანაზე გადაწერილი
ეგზემპლარი)

გამოსვლები საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობის უპარტიო დელეგატთა თათბირზე 1921 წლის 26 დეკემბერს [425]

1

ამხანაგებო! გადავწყვიტე განვაგრძო ჩვენი საუბარი, — ვფიქრობ, ამ მხრივ ჩვენ არავითარი ეჭვი არა გვაქვს, — მსურს მხოლოდ გითხრათ, რომ ახლა უკვე თითქმის ცხრის ნახევარია, ჩვენ შეგვიძლია ათის ნახევრამდე და უფრო გვიანობამდეც აქ ვიმეცადინოთ. უნდა ავირჩიოთ ისეთი საკითხი, რომელიც ყველაზე მეტად ვვაინტერესებს. თუ აქ ამხანაგმა აღნიშნა, ეს მიწის საკითხიაო, მაშინ მე ვიტყვი: მოდით დრო იმ საკითხებისათვის გავანაწილოთ, რომელთაც ჩვენთვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვთ. როგორც მე მესმის, აქ ჩემი საქმე უფრო მეტად ის არის, რომ მოვისმინო და ჩავიწერო. რის თქმაც მინდოდა, ყრილობაზე გითხარით. ვცდილობ ჩავიწერო, თუ რომელი გუბერნიიდან, რომელი მაზრიდან, რას უფრო უჩივიან. ვფიქრობ დრო ისე უნდა გავანაწილოთ, რომ შრომითი საჭაპანო ბეგრის საკითხის დამთავრების შემდეგ გავიანგარიშოთ, თუ რა საკითხები გვეჩვენება უფრო არსებითად, რათა სხვადასხვა გუბერნიიდან მოასწრონ მათ შესახებაც აზრი გამოთქვან. აქ ჩემი საქმეა რაც შეიძლება ვრცლად ჩავიწერო, რომ ვიცოდე, თუ რა თქვეს აქ უპარტიოებმა. აქ მოცემულ ცალკეულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა სულ ერთია მაინც ძალიან გამიჭირდება, რადგანაც აქ ცნობების უქონლად, ახლავე, დაუყოვნებლივ პასუხს ვერ გაგცემთ. აი, რატომ გთავაზობთ, რომ ავირჩიოთ ისეთი საკითხები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია, და მათზე ადგილებიდან გამოითქვას აზრი, როგორც ამას შრომით საჭაპანო ბეგარაზე ლაპარაკობდნენ, მე კი ჩავიწერ ადგილებიდან გაკეთებულ თითოეულ განცხადებას.

2

ამხანაგებო, ძალიან მიჭირს ამ საკითხზე ორიოდე სიტყვის თქმა, რადგანაც აქ მოცემულ ყველა შეკითხვას მე ვიწერ, და

ვიწერ, თუ რომელი გუბერნიიდან რა მითითებას იძლეოდნენ, მაგრამ შესაბამისი დაწესებულებების ზუსტი ცნობების უქონლად ამჟამად პასუხს ვერ გავცემ აქ მოცემულ შეკითხვებს. იმ ამხანაგისათვის, რომელიც ახლა შრომის სახალხო კომისარიატის სახელით ლაპარაკობდა, ადვილი იყო პასუხის გაცემა, რადგანაც მას თვალწინ აქვს გამოცემული კანონი და იმის განმარტება, თუ ამ კანონის შემოღებით როგორ იქნება მიღწეული მდგომარეობის შემსუბუქება. აქ მოცემულ ცალკეულ შეკითხვებზე შესაბამისი სახალხო კომისარიატის ცნობის უქონლად რაიმე გარკვეულ პასუხს ვერ მოგცემთ.

აქ მივიღეთ კიდევ რამდენიმე შეკითხვა. ერთი ბარათი უკრაინელ, კიეველ, ამხანაგს ეკუთვნის. იგი მეკითხება, უკრაინაში რატომ არასოდეს ყოფილხართო. უკრაინა შორს არის, ძნელია ასეთი მგზავრობის წამოწყება.

ერთი ამხანაგი მეკითხება, «ტრუდგუჟიდან» ვინ გადაიხდის დახოცილი ცხენების საფასურსო, მე ეს შეკითხვა ჩავიწერე. ამხანაგმა მას უკვე ზოგადი პასუხი გასცა.

შემდეგ ორი ბარათი შემოვიდა სასურსათო გადასახადის შესახებ და იმ საკითხზე, რომ ღარიბ გლეხს არ შეუძლია მანუფაქტურა იყიდოს. გასაგებია, რომ ახლა გლეხობა ყველა გუბერნიაში ძალიან ბევრ ასეთ სიძნელეს განიცდის. შესაბამისი დაწესებულების ცნობის უქონლად ასეთ შეკითხვას ახლა ვერ ვუპასუხებ.

შევძლებთ კი დავეხმაროთ და რამდენად დავეხმარებით? ვიმეორებ, რომ ახლა პასუხს ვერ გაგცემთ. მგონი, ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აზრი, რაც აქ გამოითქვა შრომით საჭაპანო ბეგარაზე, — ეს არის, რამდენადაც მე სწრაფად ჩავათვალიერე ბარათები (მე კი მოკლედ ვიწერდი თითოეული აქ გამოსული ამხანაგის ნათქვამს), ჩემი აზრით, გამოდის, რომ ყველაზე მთავარი — ეს არის რკინიგზის ხე-ტყის დამამზადებელი კომიტეტის [426] ბოროტმოქმედება და შეცდომები. ყველაზე მეტად იმას აღნიშნავდნენ, რომ რკინიგზის ხე-ტყის დამამზადებელი კომიტეტების მიერ მიცემული სამუშაოები მძიმეა, რომ ადამიანებს აწვალებენ, რომ უაღრესად ბევრი შეცდომაა სამუ-

შაოთა განაწილებასა და დანიშვნაში, განსაკუთრებით ისეთ დროს, როდესაც ამ სამუშაოებს გლეხური მეურნეობებისათვის პირდაპირ ზიანი მოაქვთ. ყველა ეს მითითება ჩავიწერე, და ჩავიწერე, რომ როდესაც უკანასკნელი სამკვირეული იყო, მაშინ ყველა ამხანაგს ცენტრიდან ადგილებზე გზავნიდნენ. ვთხოვე, რომ შეეგროვებინათ ზუსტი მასალები სათბობის სამუშაოებთან დაკავშირებული ყველა შეცდომისა და ბოროტმოქმედების შესახებ, აგრეთვე შეეგროვებინათ მთელი რიგი მოხსენებები. წერილებს ამის შესახებ მე უკვე ვიღებ, მაგრამ ამ ბოლო დროს, ავადმყოფობის გამო, რომელმაც მაიძულა ყრილობაზეც მხოლოდ ზოგადი მოხსენებით დავკმაყოფილებულიყავი, უნდა გითხრათ, რომ თავად ამ პასუხების გარჩევა არ შემიძლია. ეს დაევალება სხვა ამხანაგს, რომელიც დროებით მცვლის, მაგრამ უკანასკნელ სამკვირეულში შეგროვებულ ყველა ამ მონაცემს ჩვენ უეჭველად თავს მოვუყრით. რკინიგზის ხე-ტყის დამამზადებელი კომიტეტების შეცდომებსა და ბოროტმოქმედებაზე მითითება, საერთოდ უეჭველად, სწორად მიმაჩნია. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რისთვისაც გადავწყვიტეთ იმ შრომითი საჭაპანო ბეგრის შემოღება, რაც მოგვახსენა ამხანაგმა შრომის სახალხო კომისარიატიდან, სწორედ ის არის, რომ შრომის მოცულობის სწორად განუსაზღვრელად (არის ამის ცდა: კანონში განისაზღვრება ექვსდღიანი სამუშაოთი), კანონში ასეთი სწორი განსაზღვრის უქონლად საგუბერნიო ხე-ტყის დამზადების კომიტეტებისა და რკინიგზის ხე-ტყის დამზადების კომიტეტების ბოროტმოქმედება გარდაუვალია, ხოლო მათ წინააღმდეგ ბრძოლა მეტად ძნელია. მაგრამ როდესაც კანონში ზუსტად იქნება გამოცხადებული, როგორც ახლაა გამოცხადებული, თუ შრომის რამდენი დღეა საჭირო, ცნობილი იქნება საგანაკვეთო დებულება, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა და რა სამუშაო და როგორი ოდენობით უნდა განხორციელდეს დღეების ამ რიცხვში, მაშინ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლა ბევრად უფრო ადვილი იქნება. რა თქმა უნდა, გუბერნიებსა და მაზრებში საგუბერნიო ხე-ტყის დამამზადებელ კანტორებთან და რკინიგზის ხე-ტყის დამამზადებელ

კომიტეტებთან ბრძოლა ძნელი საქმეა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ დაწესებულებებში, როგორც ამას ერთ-ერთი ამხანაგი აღნიშნავდა, შეძვრა ბევრი ძველი მოსამსახურე, ძველი მემამულე, ძველი ტყის მოიჯარე. საჭიროა ადგილებზე ამას უფრო მკაცრად ადევნონ თვალყური, ჩვენ კი გვჭირდება, რომ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში უფრო მეტი ამხანაგი იყოს უპარტიო გლეხთაგან, რომლებსაც, თუ საჩივარი დანიშნულებისამებრ ვერ მიდის, შეიძლება მიმართონ, და ისინი თვითონ აქ, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, აღძრავენ ამ საკითხს და მოითხოვენ შეცდომების გამოძიებას. ეს ზომები ყოველ შემთხვევაში გატარდება ამ ყრილობაზე. როგორც ყრილობის მონაწილე ყველა ამხანაგმა მაცნობა, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრ უპარტიო გლეხთა რაოდენობა, უეჭველია, გაზრდილი იქნება. ამის მეშვეობით თვალყური უნდა ვადევნოთ იმას, რომ რკინიგზის ხე-ტყის დამამზადებელი კომიტეტების ბოროტმოქმედების წინააღმდეგ უფრო წარმატებით შეიძლებოდეს ბრძოლა, ეს მით უფრო გაადვილდება, რაც უფრო მეტი უპარტიო გლეხი იქნება ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. ვიმეორებ, რომ კიწერ აქ გაკეთებულ ყველა მითითებას და თითოეულ მათგანზე შესაბამის სახალხო კომისარიატს ან სახალხო მეურნეობის საბჭოს მივწერ იმისათვის, რომ შეიძლებოდეს ზომების მიღება. შესაბამისი სახალხო კომისარიატიდან ცნობის მიუღებლად კი თითოეულ კერძო შეკითხვაზე ახლა, რა თქმა უნდა, პასუხს ვერ გავცემ.

3

ვთხოვ ამხ. კალინინს ორი წუთი მომცეს, რომ მცდარად არ გაიგონ მისი სიტყვები[427]. დარწმუნებული ვარ, რომ მას არ სურდა ჩემთვის მიეწერა ის აზრი, თითქოს ოდესღაც მეთქვას, ლოცვანი დაწვითო. რა თქმა უნდა, ასეთი წინადადება არასოდეს მიმიცია და არც შემეძლო მიმეცა. თქვენ იცით, რომ ჩვენი კონსტიტუციით, ჩვენი რესპუბლიკის ძირითადი

კანონით, თითოეულისათვის უეჭველად უზრუნველყოფილია სულიერი თავისუფლება რელიგიის მიმართ.

კიდევ ორიოდე სიტყვა მსურს ვუთხრა იმ ამხანაგს, რომელიც აღნიშნავდა, ვიატკის გუბერნიის ზოგიერთ მაზრაში უაღრესად მძიმე მდგომარეობაა. ეს მაზრები უმოსავლო რაიონში შედიან. ახლა ჩვენი მთავარი იმედი იქნება ის ხელშეკრულება, რომელიც ამერიკის მთავრობამ შემოგვთავაზა. მას ამ დღეებში დავდებთ. ამ ხელშეკრულებით ამერიკის მთავრობა გვთავაზობს 20 მილიონ დოლარს. ჩვენ 10 მილიონს მივცემთ, სულ 30 მილიონი დოლარი იქნება — ეს 60 მილიონ ოქროს მანეთს ნიშნავს. ეს საკმაოდ დიდი თანხაა. შესაძლებელი გახდება, რომ დავთესოთ გაზაფხულის სათესი მინდვრების დიდი ნაწილი, თუ მთლიანად დათესვას ვერ შევძლებთ. გარდა ამისა ჩვენ კანადაში ვგზავნით. ვფიქრობთ, რომ ოქროს ფონდიდან შევძლებთ კიდევ დამატებითი ნაწილი იმისათვის დავხარჯოთ, რომ რამდენადმე მეტი თესლი შევიძინოთ. ახლა მთავარი საკითხი, რა თქმა უნდა, შიმშილი და უსაკვებობაა. საჭიროა რაც შეიძლება უფრო სრულად შევასრულოთ საგაზაფხულო თესვა. სწორედ ამას მოხმარდება მთელი ძალ-ღონე. (ტ ა შ ი.)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება სტენოგრამის მიხედვით

პროექტი თეზისებისა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში პროფკავშირთა როლისა და ამოცანების შესახებ [428]

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 28. XII. 1921 განიხილა ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით პროფკავშირთა როლისა და ამოცანების საკითხი. მოსმენილ იქნა ამხანაგების რუძუტაკის, ანდრეევის, შლიაპნიკოვის მოხსენებები (გათვალისწინებული იყო ამხ. ლუტოვინოვის მოხსენებაც, რომელიც არ მოგვისმენია მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ შევძელით დროულად გამოგვეძახა მომხსენებელი). აზრთა

ურთიერთგაზიარების შემდეგ დადგენილ იქნა, რომ ამხანაგების რუძუტაკისა და ანდრეევის თეზისების პირვანდელი მონახაზი გადაეცეს კომისიას, რომელშიც შევლენ ეს ორი ამხანაგი და დაემატება ამხ. ლენინი, და ამ კომისიას დაევალა შეიმუშაოს თეზისების პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად შეტანილი უნდა იქნეს პოლიტბიუროში.

(ამას დაემატება რამდენიმე სტრიქონი მას შ ე მ დ ე გ, რაც პროექტს დაამტკიცებენ კომისია და მერმე პოლიტბიურო.)

პ რ ო ე ქ ტ ი

1. ახალი ეკონომიური პოლიტიკა და პროფკავშირები

ახალ ეკონომიურ პოლიტიკას არაერთი არსებითი ცვლილება შეაქვს პროლეტარიატის მდგომარეობაში და, მაშასადამე, პროფკავშირთა მდგომარეობაშიც. ამ ცვლილებებს იწვევს ის გარემოება, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის მთელ პოლიტიკაში კომპარტია და საბჭოთა ხელისუფლება ახლა ახორციელებენ ამ გადასვლისათვის საჭირო განსაკუთრებულ ხერხებს, მთელ რიგ შემთხვევებში მოქმედებენ ადრინდელთან შედარებით განსხვავებულად, ასე ვთქვათ, «ახალი შემოვლით» იპყრობენ არაერთ პოზიციას, უკან იხევენ, რათა უფრო მომზადებულად კვლავ შეტევაზე გადავიდნენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ. კერძოდ, ახლა ნებადართულია და ვითარდება თავისუფალი ვაჭრობა და კაპიტალიზმი, რასაც სახელმწიფომ უნდა გაუწიოს რეგულირება, ხოლო, მეორე მხრით, სახელმწიფო საწარმოები გადაგვყავს ეგრეთ წოდებულ სამეურნეო ანგარიშზე, ე. ი. არსებითად მნიშვნელოვანწილად კომერციულ და კაპიტალისტურ საწყისებზე.

2. სახელმწიფო კაპიტალიზმი პროლეტარულ სახელმწიფოში და პროფკავშირები

პროლეტარულ სახელმწიფოს თავისი არსის შეუცვლელად შეუძლია დაუშვას ვაჭრობის თავისუფლება და კაპიტალიზმის

განვითარება მხოლოდ გარკვეულ ზომამდე და მხოლოდ იმ პირობით, თუ სახელმწიფო მოახდენს კერძო ვაჭრობისა და კერძო სამეურნეო კაპიტალიზმის რეგულირებას (გაუწევს ზედამხედველობას, კონტროლს, განსაზღვრავს ფორმებს, წესს და სხვ.). ასეთი რეგულირების წარმატება დამოკიდებულია არა მარტო სახელმწიფო ხელისუფლებაზე, არამედ უფრო მეტად პროლეტარიატისა და საერთოდ მშრომელი მასების მომწიფებულობაზე, შემდგომ კულტურის დონეზე და სხვ. მაგრამ ასეთი რეგულირების სრული წარმატების დროსაც კი უეჭველად რჩება შრომისა და კაპიტალის კლასობრივი ინტერესების დაპირისპირება. ამიტომ პროფკავშირთა ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ამოცანა ამიერიდან ის არის, რომ ყოველმხრივ და ყველა ღონისძიებით დაიცვას პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები კაპიტალის წინააღმდეგ მის ბრძოლაში. ეს ამოცანა აშკარად ერთი პირველთაგანი უნდა იყოს, შესაბამისად უნდა გარდაიქმნას, სახე შეეცვალოს ან შეივსოს პროფკავშირთა აპარატი, უნდა შეიქმნას ან, უფრო სწორად, უნდა შეგვეძლოს შევქმნათ საგაფიცვო ფონდები და ასე შემდეგ.

3. სახელმწიფო საწარმოები, რომლებიც ეგრეთ წოდებულ სამეურნეო ანგარიშზე უნდა გადავიდნენ, და პროფკავშირები

სახელმწიფო საწარმოების გადაყვანა ეგრეთ წოდებულ სამეურნეო ანგარიშზე გარდაუვალად და განუყოფელად დაკავშირებულია ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან, და უახლოეს მომავალში ეს ტიპი აუცილებლად ყველაზე უფრო გავრცელებული შეიქნება, თუ ერთადერთი არა. ფაქტობრივად ეს ნიშნავს, ნებადართული და განვითარებადი ვაჭრობის თავისუფლების ვითარებაში, სახელმწიფო საწარმოთა გადაყვანას მნიშვნელოვანწილად კომერციულ, კაპიტალისტურ საფუძველზე. ეს გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ მწვავედ საჭიროა ავამაღლოთ შრომისნაყოფიერება, მივაღწიოთ თითოეული სახელმწიფო საწარმოს უდანაკარგოდ და მოგებით მუშაობას,

იმასთან დაკავშირებით, რომ გარდაუვალია საუწყებო ინტერესები და საუწყებო გულმოდგინების გაზვიადება, ეს გარემოება აუცილებლად იწვევს ინტერესთა გარკვეულ დაპირისპირებას მუშათა მასასა და დირექტორებს შორის, სახელმწიფო საწარმოთა ან იმ უწყებათა მმართველებს შორის, რომელთაც ისინი ეკუთვნიან. ამიტომ სახელმწიფო საწარმოთა მიმართაც პროფკავშირებს უეჭველად ვალდებულება ეკისრებათ, რომ დაიცვან პროლეტარიატისა და მშრომელი მასების ინტერესები მათი დამქირავებლების წინააღმდეგ.

4. არსებითი განსხვავება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა იმ სახელმწიფოში, რომელიც ცნობს მიწის, ფაბრიკებისა და სხვ. კერძო საკუთრებას, სადაც პოლიტიკური ძალაუფლება ხელთ უპყრია კაპიტალისტთა კლასს, და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა იმ სახელმწიფოში, რომელიც არ ცნობს მიწისა და მეტი წილი მსხვილი საწარმოების კერძო საკუთრებას, სახელმწიფოში, სადაც პოლიტიკური ძალაუფლება ხელთ უპყრია პროლეტარიატს

ვიდრე არსებობენ კლასები, გარდაუვალია კლასობრივი ბრძოლა. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ დროს გარდაუვალია კლასების არსებობა, და რუსეთის კომუნისტური პარტიის პროგრამა სრული სიცხადით ამბობს, რომ ჩვენ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის საქმეში. ამიტომ კომპარტიამაც და საბჭოთა ხელისუფლებამაც, ისევე როგორც პროფკავშირებმა, აშკარად უნდა აღიარონ, რომ არსებობს და გარდაუვალია კლასობრივი ბრძოლა მანამდე, ვიდრე, თუნდაც ძირითადად, არ დამთავრებულა მრეწველობისა და მიწათმოქმედების ელექტრიფიკაცია,

ვიდრე ამით არ ამოძირკულა წვრილი მეურნეობისა და ბაზრის ბატონობის ყველა ფესვი. აქედან ის გამომდინარეობს, რომ ამჯერად ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში უარს ვერ ვიტყვით საგაფიცვო ბრძოლაზე, პრინციპულად ვერ დავუშვებთ კანონს, რომ გაფიცვები სავალდებულო სახელმწიფო შუამავლობით შეიცვალოს.

მეორე მხრით, ცხადია, რომ კაპიტალიზმის დროს საგაფიცვო ბრძოლის საბოლოო მიზანია სახელმწიფო აპარატის ნგრევა, მოცემული კლასობრივი სახელმწიფო ხელისუფლების დამხობა. ხოლო ისეთი გარდამავალი ტიპის პროლეტარული სახელმწიფოს დროს, როგორიც ჩვენი სახელმწიფოა, საგაფიცვო ბოძოლის საბოლოო მიზანი შეიძლება მხოლოდ პროლეტარული სახელმწიფოსა და პროლეტარული კლასობრივი სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცება იყოს ამ სახელმწიფოს ბიუროკრატიულ დამახინჯებასთან, მის შეცდომებსა და სუსტ მხარეებთან, მის კონტროლს თავდაღწეულ კაპიტალისტთა კლასობრივ მადასთან და სხვ. ბრძოლის გზით. ამიტომ ვერც კომპარტია, ვერც საბჭოთა ხელისუფლება, ვერც პროფკავშირები ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაივიწყებენ და მუშებსა და მშრომელ მასებს არც უნდა დაუმალონ ის, რომ სახელმწიფოში, სადაც ძალაუფლება პროლეტარიატის ხელშია, საგაფიცვო ბრძოლის გამოყენება შეიძლება აიხსნას და გამართლებულ იქნეს მხოლოდ პროლეტარული სახელმწიფოს ბიუროკრატიული დამახინჯებით და მის დაწესებულებებში კაპიტალისტური სიძველის ყოველგვარი ნარჩენებით, ერთი მხრით, და მშრომელი მასების პოლიტიკური განუვითარებლობითა და კულტურული ჩამორჩენილობით, მეორე მხრით, თუკი სასამართლოები და ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო კლასობრივ საფუძველზე იქმნება თვით მშრომელების მიერ, ამომრჩეველთა რიცხვიდან ბურჟუაზიის გამოკლებით, მაშინ შრომასა და კაპიტალს შორის, დაქირავებულებსა და დამქირავებლებს შორის კონფლიქტთა გადაჭრის ნორმალური წესი სულ უფრო ხშირად უნდა გახდეს მშრომელთა უშუალო მიმართვა სახელმწიფო ორგანოებისადმი.

5. პროფკავშირებში ნებაყოფლობითი წევრობისათვის დაბრუნება

უკლებლივ ყველა მუშის პროფკავშირთა წევრად იძულებითი ჩაწერა არ შეესაბამება არც მრეწველობის სოციალიზაციის ფაქტობრივად მიღწეულ საფეხურს, არც მასების განვითარების დონეს. იძულებითმა წევრობამ გარდა ამისა გარკვეული ბიუროკრატიული დამახინჯება შეიტანა პროფკავშირებშიც. საჭიროა საკმაოდ ხანგრძლივი დროით გადაჭრით დავუბრუნდეთ პროფკავშირების ნებაყოფლობით წევრობას. პროფკავშირთა წევრებს არასგზით არ უნდა მოვთხოვოთ, რომ მათ გარკვეული პოლიტიკური შეხედულებები ჰქონდეთ; ამ თვალსაზრისით, ისევე როგორც რელიგიისადმი დამოკიდებულების საკითხში, პროფკავშირები უპარტიო უნდა იყვნენ. პროფკავშირთა წევრებს პროლეტარულ სახელმწიფოში უნდა მოვთხოვოთ მხოლოდ იმის გაგება, თუ რა არის ამხანაგური დისციპლინა, იმის გაგება, რომ საჭიროა მუშათა ძალების ერთიანობა მშრომელთა ინტერესების დასაცავად და ლოიალობა მშრომელთა ხელისუფლების, ანუ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. პროლეტარულმა სახელმწიფომ უნდა წაახალისოს მუშათა პროფგაერთიანება როგორც სამართლის, ისე მატერიალური თვალსაზრისით. მაგრამ პროფკავშირებს არავითარი უფლებები არ უნდა ჰქონდეთ უმოვალეობოდ.

6. პროფკავშირები და საწარმოთა მართვა

პროლეტარიატის უმთავრეს და ყველაზე ძირეულ ინტერესს მის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ წარმოადგენს პროდუქტთა რაოდენობის გადიდება, საზოგადოების საწარმოო ძალთა უდიდესი ამაღლება. რუსეთის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ნათლად დასახული ეს ამოცანა ახლა განსაკუთრებით გამწვავებულია ჩვენში ომისშემდგომი გაჩანაგებით, შიმშილითა და ნგრევით. ამიტომ მსხვილი მრეწველობის აღდგენის საქმეში რაც შეიძლება სწრაფი და რაც შეიძლება მტკიცე წარმატებების მოპოვება ისეთი პირობაა,

ურომლისოდაც წარმოუდგენელია კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლების მთელი საქმის წარმატება, წარმოუდგენელია სოციალიზმის გამარჯვება. ასეთი წარმატება კი თავის მხრივ უეჭველად მოითხოვს, თანამედროვე რუსეთის პირობებში, რომ მთელი ძალაუფლება ქარხნის სამმართველოების ხელში იყოს თავმოყრილი. ამ სამმართველოებმა, რომლებიც საერთო წესის მიხედვით ერთპიროვნულ საწყისებზე არიან შედგენილნი, დამოუკიდებლად უნდა დააწესონ ხელფასის ოდენობა და გაანაწილონ ფულის ნიშნები, ულუფა, საწარმოო ტანსაცმელი და ყოველგვარი სხვა მომარაგება, ამასთან უნდა ჰქონდეთ მანევრირების მაქსიმალური თავისუფლება. მკაცრად უნდა შეამოწმონ წარმოების გაძლიერებისა და უდანაკარგობის, მისი მომგებიანობის დარგში მოპოვებული ფაქტობრივი წარმატებები, უაღრესად სერიოზულად უნდა შეარჩიონ ყველაზე გამოჩენილი და უნარიანი ადმინისტრატორები და ა. შ.

პროფკავშირების ყოველგვარი უშუალო ჩარევა საწარმოთა მართვაში, ასეთ პირობებში, უეჭველად მავნედ და დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

მაგრამ სრულიადაც სწორი არ იქნებოდა, რომ ეს უცილობელი ჭეშმარიტება გაგვეგო როგორც მრეწველობის სოციალისტურად მოწყობასა და სახელმწიფო მრეწველობის მართვაში პროფკავშირთა მონაწილეობის უარყოფა. ეს მონაწილეობა აუცილებელია ზუსტად განსაზღვრული, სახელდობრ შემდეგი ფორმებით.

7. პროფკავშირების როლი და მონაწილეობა პროლეტარული სახელმწიფოს სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოებში

პროლეტარიატი იმ სახელმწიფოს კლასობრივი საფუძველია, რომელიც კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადადის. ისეთ ქვეყანაში, სადაც უდიდესი უმრავლესობა წვრილი გლეხობაა, პროლეტარიატს ამ ამოცანის წარმატებით შესრულება

შეუძლია მხოლოდ იმ პირობით, თუ უაღრესად უნარიანად, ფრთხილად და თანდათანობით განახორციელებს გლეხთა უდიდეს უმრავლესობასთან კავშირს. პროფკავშირები სახელმწიფო ხელისუფლების უახლოესი და აუცილებელი თანამშრომელი უნდა იყოს, ხელისუფლებისა, რომელსაც მთელ მის პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობაში ხელმძღვანელობს მუშათა კლასის შეგნებული ავანგარდი, კომპარტია. კომუნიზმის სკოლას რომ წარმოადგენენ საერთოდ, პროფკავშირები უნდა გახდნენ, კერძოდ, სოციალისტური მრეწველობის მართვის სკოლად (შემდეგ კი თანდათანობით მიწათმოქმედებისაც) მუშათა მთელი მასისათვის, შემდეგ კი ყველა მშრომელისთვისაც.

ამ პრინციპული დებულებებიდან გამომდინარე, უნდა დავაწესოთ პროლეტარული სახელმწიფოს სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოებში პროფკავშირთა მონაწილეობის შემდეგი ძირითადი ფორმები:

(1) პროფკავშირები მონაწილეობენ ეკონომიკასთან დაკავშირებული ყველა სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოს შედგენაში, წამოაყენებენ კანდიდატებს და აძლევენ თავიანთ სათათბირო ხმას; პროფკავშირები მონაწილეობენ ამ ორგანოებშიც, მაგრამ უშუალოდ კი არა, არამედ მათ მიერ წამოყენებულ და კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ დამტკიცებულ უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულებების წევრთა, სამეურნეო კოლეგიის წევრთა, ქარხნის სამმართველოების წევრთა (იქ, სადაც დაშვებულია ასეთი კოლეგიალობა), ადმინისტრატორების, მათი მოადგილეებისა და სხვათა მეშვეობით.

(2) პროფკავშირთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მუშებისა და საერთოდ მშრომელი მასებისაგან ადმინისტრატორთა წამოყენება და მომზადება. თუ ამჟამად გვყავს მრეწველობის ათობით ასეთი სავსებით დამაკმაყოფილებელი და ასობით მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი ადმინისტრატორი, უახლოეს ხანში პირველ-

ნი ასობით და მეორენი ათასობით დაგვჭირდება. ასეთი სამუშაოსათვის ვარგისი ყველა მუშისა და გლეხის სისტემატური აღრიცხვა, მათ მიერ მართვის შესწავლის დარგში მოპოვებული წარმატებების დაწვრილებითი, ყოველმხრივი, საქმიანი შემოწმება პროფკავშირებმა ახლანდელზე ბევრად უფრო გულმოდგინედ და მტკიცედ უნდა განახორციელონ.

(3) ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს პროფკავშირების მონაწილეობას პროლეტარული სახელმწიფოს ყველა საგეგმო ორგანოში. მთელ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობასა და საწარმოო პროპაგანდაში პროფკავშირების მონაწილეობასთან ერთად პროფკავშირების ასეთმა საქმიანობამ სულ უფრო ფართოდ და ღრმად უნდა ჩააბას მუშათა კლასი და მშრომელი მასები სახელმწიფო მეურნეობის მთელ მშენებლობაში, ამასთან მათ უნდა გააცნოს სამეურნეო ცხოვრების ყველა მხარე, სამრეწველო სამუშაოს ყველა მხარე, ნედლეულის დამზადებიდან პროდუქციის რეალიზაციამდე, და შეუქმნას სულ უფრო კონკრეტული წარმოდგენა როგორც სოციალისტური მეურნეობის ერთიანი სახელმწიფო გეგმის, ისე ამ გეგმის განხორციელებით მუშისა და გლეხის პრაქტიკული დაინტერესების შესახებ.

(4) ტარიფებისა და მომარაგების ნორმების შემუშავება და სხვ. სოციალიზმის მშენებლობის საქმეში პროფკავშირების მუშაობისა და მრეწველობის მართვაში მათი მონაწილეობის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. კერძოდ, სადისციპლინო სასამართლოები განუხრელად უნდა ამაღლებდნენ შრომის დისციპლინას, მისთვის და მწარმოებლურობის ამაღლებისათვის ბრძოლის კულტურულ ფორმებს, ამასთან არ უნდა ჩაერიონ სახალხო სასამართლოების ფუნქციებში საერთოდ და მმართველობის ფუნქციებში.

სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის საქმეში პროფკავშირების უმთავრესი ფუნქციების ეს ნუსხა, რა თქმა უნდა,

დეტალურად უნდა დაამუშაონ პროფკავშირებისა და საბჭოთა ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა. ყველაზე არსებითი ის არის, რომ პროფკავშირები მართვის საქმეში უშუალო, მოუმზადებელი, არაკომპეტენტური, უპასუხისმგებლო ჩარევიდან, რამაც ცოტა ზიანი როდი მოგვიტანა, შეგნებულად და გადაჭრით გადავიდნენ ბეჯით, საქმიან, მრავალი წლისათვის ნავარაუდევ საიმისო მუშაობაზე, რომ მუშებსა და ყველა მშრომელს პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ შ ე ა ს წ ა ვ ლ ო ნ მთელი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მ ა რ თ ვ ა.

8. მასებთან კავშირი როგორც პროფკავშირების ყოველგვარი მუშაობის ძირითადი პირობა

მუშათა მასებთან, ანუ უდიდეს უმრავლესობასთან (შემდეგ კი ყველა მშრომელთან) კავშირი პროფკავშირების ყოველგვარი საქმიანობის წარმატების ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე ძირითადი პირობაა. პროფკავშირებისა და მათი აპარატის ორგანიზაციისათვის თავიდან ბოლომდე უნდა შეიქმნას და ხანგრძლივი წლების გამოცდილებით პრაქტიკულად შემოწმდეს პასუხისმგებელი მუშაკების მთელი სისტემა, აუცილებლად არა მარტო კომუნისტებისაგან შემდგარი მუშაკებისა, რომლებიც მუშათა ცხოვრების შუაგულში უნდა ცხოვრობდნენ და მთელი სიგრძე-სიგანით იცნობდნენ მას, შეეძლოთ ყოველგვარ საკითხზე, ყოველგვარ მომენტში უშეცდომოდ განსაზღვრონ მასების განწყობილება, მისი ნამდვილი მოთხოვნილებები, მისწრაფებები, აზრები, ყალბი იდეალიზაციის ნატამალის გარეშე შეეძლოთ განსაზღვრონ მისი შიგნების დონე და ამა თუ იმ კრეტრწმენისა და ძველი დროის გადმონაშთების ზეგავლენის ძალა, შეეძლოთ მოიპოვონ მასის უსაზღვრო ნდობა მის მიმართ ამხანაგური დამოკიდებულებით, მისი საჭიროების მზრუნველი დაკმაყოფილებით. მკირეერიკოვანი კომპარტიისათვის, რომელიც, როგორც მუშათა კლასის ავანგარდი, ხელმძღვანელობს უდიდეს ქვეყანას, ახდენს (უფრო მოწინავე ქვეყნებისაგან პირდაპირი მბარდაჭერის ჯერ კიდევ მიუღებ-

ლად) სოციალიზმზე გადასვლის, ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი საშიშროებაა მასებისაგან მოწყვეტა, იმის საშიშროება, რომ ავანგარდი ძალიან შორს, წინ გაიქცევა «ფრონტის გაუსწორებლად», შრომის მთელ არმიასთან, ანუ მუშათა და გლეხთა მასების უდიდეს უმრავლესობასთან მტკიცე კავშირის შეუნარჩუნებლად. ისევე როგორც შესანიშნავი ძრავისა და პირველხარისხოვანი მანქანების მქონე საუკეთესო ფაბრიკა უმოქმედო აღმოჩნდება, თუ გაფუჭებულია ძრავიდან მანქანებისაკენ გადასაცემი მექანიზმი. ჩვენი სოციალისტური მშენებლობის კატასტროფაც გარდაუვალია, თუ სწორად არ არის აგებული ან სწორად არ მუშაობს კომპარტიიდან მასებამდე გადასაცემი მექანიზმი — პროფკავშირები. საკმარისი როდია, რომ ეს ჭეშმარიტება განვმარტოთ, შევახსენოთ, დავადასტუროთ; იგი ორგანიზაციულად უნდა განმტკიცდეს პროფკავშირების მთელი აგებულებითა და მათი ყოველდღიური მუშაობით.

9. წინააღმდეგობანი თვით პროფკავშირების მდგომარეობაში პროლეტარიატის დიქტატურის დროს

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს პროფკავშირების სხვადასხვა ამოცანებს შორის არაერთი წინააღმდეგობა. ერთი მხრით, მათი მოქმედების ძირითადი მეთოდია დარწმუნება, აღზრდა; მეორე მხრით, ისინი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების მონაწილენი, უარს ვერ იტყვიან ძალდატანებაში მონაწილეობაზე. ერთი მხრით, მათი მთავარი ამოცანაა მშრომელი მასების ინტერესების დაცვა ამ სიტყვის უაღრესად პირდაპირი და უახლოესი აზრით; მეორე მხრით, ისინი როგორც სახელმწიფო ხელისუფლების მონაწილენი და მთლიანად მთელი სახალხო მეურნეობის მშენებელნი, უარს ვერ იტყვიან ძალდატანებაზე. ერთი მხრით, მათ სამხედროებივით უნდა იმუშაონ, რადგან პროლეტარიატის დიქტატურა კლასების ყველაზე სასტიკი, ყველაზე შეუპოვარი, ყველაზე თავგანწირული ომია; მეორე მხრით, სწორედ პროფკავშირების მიმართ ყველაზე ნაკლებად უნდა იქნეს გამოყენებული მუშაობის სპეცი-

ფიკური სამხედრო მეთოდები. ერთი მხრით, მათ უნდა შეეძლოთ მასებს, მის ამა თუ იმ დონეს შეეწყონ; მეორე მხრით, მათ არასგზით არ უნდა წააქეზონ მასების ცრურწმენები და ჩამორჩენილობა, არამედ მასები განუხრელად უნდა აჰყავდეთ სულ უფრო და უფრო მაღალ დონეზე. და ასე შემდეგ და მისთანანი.

ეს წინააღმდეგობანი შემთხვევითი როდია და მათი დაძლევა რამდენიმე ათეული წლის მანძილზე შეუძლებელია, რადგანაც, ჯერ ერთი, ასეთი წინააღმდეგობები დამახასიათებელია ყოველგვარი სკოლისათვის, პროფკავშირები კი—ეს კომუნიზმის სკოლაა. იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ რამდენიმე ათეულ წელზე უფრო ადრე მშრომელთა უმრავლესობამ მიაღწიოს ისეთ უაღრესად დიდ განვითარებას, რომელიც უკუაგდებს მოზრდილთა «სკოლის» ყველა კვალსა და მოგონებებს. მეორეც, ვიდრე არსებობს კაპიტალიზმისა და წვრილი წარმოების ნარჩენები, ამ ნარჩენებსა და სოციალიზმის ყლორტებს შორის გარდაუვალია წინააღმდეგობა მთელ საზოგადოებრივ წყობილებაში.

აქედან ორგვარი პრაქტიკული დასკვნა გამომდინარეობს პირველი: პროფკავშირებმა წარმატებით რომ იმუშაონ, ამისათვის საკმარისი როდია მათი ამოცანების სწორად გაგება; საკმარისი როდია მათი სწორად აგება; საჭიროა კიდევ განსაკუთრებული ტაქტი, იმის უნარი, რომ მასებს ყოველ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში მიუდგე განსაკუთრებულად, რათა მინიმალური შეხლა-შემოხლით ეს მასა კულტურული, სამეურნეო და პოლიტიკური თვალსაზრისით ერთი საფეხურით მაღლა აიყვანო.

მეორე დასკვნა: აღნიშნული წინააღმდეგობანი აუცილებლად გამოიწვევენ კონფლიქტს, შეუთანხმებლობას, შეხლა-შემოხლასა და სხვ. საჭიროა საკმაოდ ავტორიტეტული უმაღლესი ინსტანცია, რათა ისინი დაუყოვნებლივ გადაჭრას. ასეთი ინსტანციაა კომპარტია და ყველა ქვეყნის კომპარტიების საერთაშორისო გაერთიანება, კომინტერნი.

10. პროფკავშირები და სპეციალისტები

ამ საკითხზე ძირითადი დებულებები გადმოცემულია რუსეთის კომუნისტური პარტიის პროგრამაში. მაგრამ ეს დებულებები ქაღალდზე დარჩებიან, რომ განმეორებით ყურადღება არ მივაქციოთ იმ ფაქტებს, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რამდენად განხორციელდნენ ისინი. ამ ბოლო დროს ასეთ ფაქტებს წარმოადგენს, ჯერ ერთი, მუშების მიერ ინჟინრების დახოცვის შემთხვევები არა მარტო ურალის, არამედ დონბასის სპეციალიზებულ მაღაროებშიც; მეორე, მოსკოვის წყალსადენის მთავარი ინჟინრის ვ. ვ. ოლდენბორგერის თვითმკვლელობა *.

ასეთი მოვლენებისათვის გაცილებით უფრო დიდი ბრალი მიუძღვის კომპარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას მთლიანად, ვიდრე პროფკავშირებს. მაგრამ ახლა საქმე ეხება არა პოლიტიკური დანაშაულის ზომის დადგენას, არამედ გარკვეულ პოლიტიკურ დასკვნებს. თუ ყველა ჩვენი ხელმძღვანელი დაწესებულება, ე. ი. კომპარტიაც, საბჭოთა ხელისუფლებაც და პროფკავშირებიც, არ მიაღწევს იმას, რომ ჩვენ თვალსაჩინივით ვუფრთხილდებოდეთ ყოველ სპეციალისტს, რომელიც კეთილსინდისიერად, თავისი საქმის ცოდნითა და მისდამი სიყვარულით მუშაობს, თუნდაც იგი იდეურად კომუნიზმისათვის სავსებით უცხო იყოს, უამისოდ სოციალისტური მშენებლობის საქმეში რაიმე სერიოზული წარმატების მოპოვებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენ ჯერ კიდევ მალე ვერ განვახორციელებთ, მაგრამ რადაც უნდა დაგვიჯდეს უნდა განვახორციელოთ ის, რომ სპეციალისტები, როგორც განსაკუთრებული სოციალური ფენა, რომელიც კვლავ განსაკუთრებულ ფენად დარჩება კომუნისტური საზოგადოების განვითარების ყველაზე მაღალი საფეხურის მიღწევამდე, სოციალიზმის დროს უფრო უკეთ ცხოვრობდნენ, ვიდრე კაპიტალიზმის დროს, როგორც მატერიალური, ისე უფლებრივი თვალსაზ-

* აი რას გვაუწყებს ამის შესახებ 3. I. 1922-ის «პრავდა»: ((მოვიყვანოთ ამ ცნობის სრული ტექსტი მე-4 გვერდზე მოთავსებული «ქრონიკიდან»)) [429].

რისით, მუშებთან და გლეხებთან ამხანაგური თანამშრომლობის საქმეშიც, იდეური თვალსაზრისითაც, ანუ თავისი მუშაობით კმაყოფილების თვალსაზრისით და იმის შეგნებით, თუ მას რა საზოგადოებრივი სარგებლობა მოაქვს კაპიტალისტთა კლასის ანგარებითი ინტერესებისაგან დამოუკიდებლად. არავინ არ დაგეთანხმებათ, რომ რამდენადმე რიგიანად მოწყობილად მიიჩნიოს ისეთი უწყება, სადაც არ წარმოებს გეგმაზომიერად წარმართული და პრაქტიკული შედეგების გამომღები მუშაობა სპეციალისტთა ყოველმხრივი უზრუნველყოფის, მათგან საუკეთესოთა წახალისების, მათი ინტერესების დაცვისა და გაფრთხილების დარგში და სხვ. პროფკავშირებმა ყველა ამ სახის მუშაობა უნდა აწარმოონ (ან სისტემატურად მონაწილეობდნენ ყველა უწყების შესაბამის მუშაობაში) არა ამ უწყების ინტერესთა თვალსაზრისით, არამედ შრომისა და მთლიანად სახალხო მეურნეობის ინტერესთა თვალსაზრისით. პროფკავშირებს სპეციალისტების მიმართ ეკისრებათ უაღრესად მძიმე და ძნელი მუშაობა — ყოველდღიურად ზემოქმედება მოახდინონ მშრომელთა უაღრესად ფართო მასებზე, რათა შეიქმნას მათი სწორი ურთიერთდამოკიდებულება სპეციალისტებთან; მხოლოდ ასეთ მუშაობას შეუძლია მოგვცეს ნამდვილად სერიოზული პრაქტიკული შედეგები.

11. პროფკავშირები და წვრილბურჟუაზიული გავლენა მუშათა კლასზე

პროფკავშირები მხოლოდ მაშინ არიან რეალური, როდესაც ისინი აერთიანებენ უპარტიო მუშების მეტად ფართო ფენებს. აქედან უეჭველად გამომდინარეობს, განსაკუთრებით იმ ქვეყანაში, სადაც უდიდესი უმრავლესობა გლეხობაა, რომ შედარებით მყარია სწორედ პროფკავშირებს შორის ის პოლიტიკური გავლენა, რომელიც წარმოადგენს კაპიტალიზმის ნარჩენებისა და წვრილი წარმოების ზედნაშენს. ეს არის წვრილ-

ბურჟუაზიული გავლენა, ე. ი., ერთი მხრით, ესერულ-მენშევიკური (II და II 1/2 ინტერნაციონალების რუსული სახესხვაობა), მეორე მხრით, ანარქისტული. მხოლოდ ამ მიმდინარეობებს შორის შემორჩა რამდენადმე შესამჩნევი რაოდენობით ისეთი პირობები, რომლებიც კაპიტალიზმს ანგარებით-კლასობრივი მოტივებით კი არ იცავენ, არამედ იდეურად, და კვლავაც სჯერათ, რომ კლასობრივი მნიშვნელობა არა აქვს საერთოდ «დემოკრატიას», «თანასწორობას», «თავისუფლებას», რომელსაც ისინი ქადაგებენ.

სწორედ აღნიშნული სოციალ-ეკონომიური მიზეზით და არა ცალკეული ჯგუფების, მით უფრო ცალკეულ პიროვნებათა ბოლით უნდა აიხსნას მსგავსი წვრილბურჟუაზიული იდეების ის გადმონაშთები (იშვიათად ამ იდეების აღორძინებაც), რომლებიც ჩვენთან პროფკავშირებში შეინიშნება. ამიტომ კომპარტიამაც და საბჭოთა დაწესებულებებმაც, რომლებიც კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევიან, და პროფკავშირებში მომუშავე ყველა კომუნისტმაც ბევრად უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ პროფკავშირებში წვრილბურჟუაზიულ გავლენასთან, მიმდინარეობებსა და გადახრასთან ბრძოლას, — მით უმეტეს, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას არ შეუძლია არ გამოიწვიოს კაპიტალიზმის გარკვეული გაძლიერება. აუცილებლად საჭიროა ამას დავუპირისპიროთ მუშათა კლასზე წვრილბურჟუაზიული გავლენის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

დასასრული

განვიხილოთ თეზისებთან ერთად.

ეს ამხ. მოლოტოვს გადაეცით **გადაუწერლად.**

ამით მთავრდება გამოსაქვეყნებელი თეზისები, ე. ი. მათი პროექტი, რომელიც კომისიაში და შემდგომ პოლიტბიუროშია შესატანი.

წინადადება შემომაქვს პოლიტბიუროს განსაკუთრებული დადგენილებით ამხ. რუძუტაკის პროექტიდან მიიღოთ დადგენილება ასეთი რედაქციით:

პოლიტბიურო საორგანიზაციო ბიუროს ავალებს ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროსთან შექმნას სპეციალური კომისია პროფმოძრაობის ხელმძღვანელი ზემდგომი ორგანოების (შეძლებისდაგვარად ყველა კომ. მუშაკისაც) შემოწმებისა და გადახალისებისათვის იმ თვალსაზრისით, რომ გაძლიერდეს ბრძოლა წვრილბურჟუაზიულ, ესერულ-მენშევიკურ და ანარქისტულ, გავლენასა და გადახრასთან. ამ კომისიამ რკპ მორიგი, XI, ყრილობისათვის უნდა დაამთავროს (თუნდაც მეტწილად) თავისი მუშაობა და მის შესახებ მოხსენება წარუდგინოს პარტყრილობას [430].

არ უნდა გამოქვეყნდეს

4. I. 1922. ლენინი

დაწერილია 1921 წლის 30 დეკემბერს — 1922 წლის 4 იანვარს

დაიბეჭდა ზოგიერთი ცვლილებით 1922 წლის 17 იანვარს გაზეთ «პრავდაში» № 12

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბარათი
ვ. მ. მოლოტოვს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის დადგენილებების პროექტებით

ამხ. მოლოტოვს პოლიტბიუროსათვის

იმის გამო, რომ 3. I. 1922-ის «პრავდაში» გამოქვეყნებულ ცნობაში არასაკმარისად იყო აღნიშნული (ან ბოლომდე არ იყო ნათქვამი?) ოლდენბორგერის თვითმკვლელობისა და ამ საქმის გამოძიების ამბავი,

წინადადება შემომაქვს პოლიტბიურომ დაადგინოს:

1) დაევალოს მოსკოვის საბჭოს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე იშუამდგომლოს, რომ სასამართლოს გადაეცეს კომისიის დასკვნაში აღნიშნული ყველა პირი;

2) დაევალოს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს ეს შუამდგომლობა და

3) — ამის შესახებ გამოაქვეყნოს მ თ ე ლ საბჭოთა პრესაში;

4) დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს განსაკუთრებული მზრუნველობით და უნარიანად და დამაჯერებლად წარმართოს ეს საქმე (ამხ. კურსკის და დასანიშნი საზოგადოებრივი ბრალმდებლის პირადი პასუხისმგებლობით);

5) დაევალოს საორგანიზაციო ბიუროს შექმნას განსაკუთრებული პარტსასამართლო. ამ სასამართლოს გადაეცეს წყალსადენის მთელი კ ო მ უ ჯ რ ე დ ი. (ნაწილი სამუდამოდ ან ვადით გაირიცხოს პარტიიდან, ნაწილს მკაცრი საყვედური გამოეცხადოს, დანაშაულისდა მიხედვით.) სასამართლო მოეწყოს დამაჯერებლად, საჯაროდ.

+ 6) დირექტივა «იზვესტიას» და «პრავდას»: ეს აღმაშფოთებელი საქმე გააშუქონ არაერთ ენერგიულ სტატიაში.

4. I. 1922. ლ ე ნ ი ნ ი

კ ი დ ე ვ დადგენილების პროექტი:

საბჭოთა საწარმოებში ინჟინრების და (სპეციალისტების) მკვლელობის ყველა შემთხვევა მოხსენდეს პოლიტბიუროს გამოძიების შედეგებითურთ ((სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო და სხვ., შ რ ო მ ი ს ა და თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო ს მეშვეობით)) [431].

P S. აღმაშფოთებელი საქმეა: ყველა ფეხზე უნდა დავაყენოთ.

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

წინადადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ნიჟნი ნოვგოროდის რადიოლაბორატორიისათვის სახსრების ასიგნების შესახებ

(ნიჟნი ნოვგოროდის რადიოლაბორატორიისათვის 50 000 მანეთის ოქროთი ასიგნობის შესახებ დოვგალევსკის შუამდგომლობის გამო.)

მხარს ვუჭერ ამხანაგ მოლოტოვს და ვთხოვ, რომ კენჭისსაყრელად პოლიტბიუროში შეიტანოს. პოლიტბიუროს წევრებს ვთხოვ გაითვალისწინონ ნიჟნი ნოვგოროდის რადიოლაბორატორიის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ის უდიდესი სამსახური, რომელიც მან უკვე გაგვიწია, და უდიდესი სარგებლობა, რომლის მოტანაც მას ჩვენთვის შეუძლია უახლოეს მომავალში როგორც სამხედრო საქმეში, ისე პროპაგანდის საქმეშიც [432].

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 12 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით
(მანქანაზე გადაწერილი
ეგზემპლარი)

დირექტივები კინოსაქმის გამო

განათლების სახალხო კომისარიატმა უნდა მოაწყოს ყველა წარმოდგენის თვალყურის დევნება და სისტემაში მოიყვანოს ეს საქმე. ყველა ლენტი, რომლის დემონსტრაციაც რსფსრ-ში ხდება, რეგისტრირებული და დანომრილი უნდა იყოს განათლების სახალხო კომისარიატში. კინოწარმოდგენის თითოეული პროგრამისათვის უნდა დაწესდეს გარკვეული პროპორცია:

ა) სამხიარულო სურათები, სპეციალურად რეკლამისა და შემოსავლისათვის (რა თქმა უნდა, უბილწსიტყვაობოდ და უკონტრრევოლუციოდ) და

ბ) ფირმით «ყველა ქვეყნის ხალხთა ცხოვრებიდან» — სპეციალურად პროპაგანდისტული შინაარსის სურათები, როგორიც არის ინგლისის კოლონიური პოლიტიკა ინდოეთში,

ერთა ლიგის მუშაობა, ბერლინის დამშეული ადამიანები და სხვ. და სხვ. არა მარტო კინო უნდა ვუჩვენოთ, არამედ პროპაგანდისთვის საინტერესო ფოტოსურათებიც, რომელთაც შესაბამისი წარწერები ექნებათ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კერძო მესაკუთრეთა ხელში მყოფმა კინოთეატრებმა სახელმწიფოს საკმაო შემოსავალი მისცენ იჯარის სახით, მეწარმეებს უფლება მიენიჭოთ გაზარდონ ნომრების რაოდენობა და შემოიღონ ახალი ნომრები, მაგრამ განათლების სახალხო კომისარიატის აუცილებელი ცენზურით და იმ პირობით, რომ შეინარჩუნებენ პროპორციებს სამხიარულო სურათებსა და პროპაგანდისტული ხასიათის ისეთ სურათებს შორის, რომელთაც ეწოდებათ «ყველა ქვეყნის ხალხთა ცხოვრებიდან», რათა მრეწველები დაინტერესებული იყვნენ ახალი სურათების შექმნითა და წარმოებით. მათ ამ ჩარჩოებში უნდა მიეცეთ ფართო ინიციატივის უფლება. პროპაგანდისტული და აღმზრდელობითი ხასიათის სურათები გასასინჯად უნდა მიეცეს ძველ მარქსისტებსა და ლიტერატორებს, რათა ჩვენში აღარ განმეორდეს არაერთხელ მომხდარი სამწუხარო კაზუსი, როდესაც პროპაგანდა საწინააღმდეგო მიზნებს აღწევს. სპეციალურად მიექცეს ყურადღება კინოთეატრების მოწყობას სოფლად და აღმოსავლეთში, სადაც კინო სიახლეს წარმოადგენს და სადაც ამიტომ ჩვენს პროპაგანდას განსაკუთრებული წარმატება ექნება [433].

ნაკარნახევია 1922 წლის
17 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ჟურნალ «კინონედელიაში» № 4

იბეჭდება ნ. პ. გორბუნოვის
ჩანაწერის მიხედვით
(მანქანაზე გადაწერილი
ეგზემპლარი)

წინადადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში უკრაინაში მ. ი. კალინინის ვამგზავრების შესახებ [434]

მოლოტოვს პოლიტბიუროს ყველა წევრისათვის

გთხოვთ პოლიტბიუროს კენჭისსაყრელად წამოაყენოთ შემდეგი წინადადება: ამხ. კალინინი დაუყოვნებლივ გაიგზავ-

ნოს უკრაინის ყველაზე უხვმოსავლიანი გუბერნიების შემოსავლელად, დამშეულთათვის დახმარების შესაგროვებლად. მისი ექსპედიცია უაღრესად საგულდაგულოდ აღიჭურვოს იმისათვის, რომ წარმატებით აწარმოოს შეგროვების სასარგებლო აგიტაცია ფოტოსურათებით, ფილმებით, დამშეულ ადგილებში დაზარალებულთა ჩვენებით და სხვ. პასუხისმგებლობა მთელი ექსპედიციის პრაქტიკულად საქმიანად მოწყობისათვის დაეკისროთ პირადად

1. კალინინს პოლიტიკური მხრივ

2. პოლიტბიუროს მიერ საგანგებოდ დანიშნულ და დამტკიცებულ პრაქტიკოს ამხანაგს, რომელიც ნამდვილად შეძლებდა ამ საქმის ისე განხორციელებას და მოწყობას, როგორც საჭიროა.

დაევალოს კალინინს მთელი ექსპედიციით გაემგზავროს სამ დღეში მაინც.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 27 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მდივნის ჩანაწერის
მიხედვით

წინადადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

ამხანაგ მოლოტოვს
პოლიტბიუროს ყველა წევრისათვის

ვფიქრობ, რომ «ბესპარტიინი» «პრავდის» დღევანდელ ნომერში სავსებით სწორ და დროულ გეგმას ავითარებს [435].

წინადადება შემომაქვს მისი დაუყოვნებლივ შემუშავებისა და უსწრაფესად განხორციელებისათვის შეიქმნას კომისია, დაახლოებით, შემდეგი შემადგენლობით: მოლოტოვი (ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ან საორგანიზაციო ბიუროს და-

ნიშვნით რომელიმე სხვა ამხანაგით მისი შეცვლის უფლებით), შემდეგ იაკოვენკო, ტეოდოროვიჩი და თვითონ ეს «ბესპარტიინი».

ლენინი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 27 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით

პროექტი დირექტივისა გენუის დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილისა და ყველა წევრისადმი [436]

1. II. 1922 წ.

ამხ. მოლოტოვს პოლიტბიუროს წევრებისათვის

წინადადება შემომაქვს დავამტკიცოთ შემდეგი დირექტივა გენუის დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილისა და ყველა წევრისადმი.

1. დელეგაციის ყველა წევრი უნდა მოემზადოს საერთოდ ყველა პოლიტიკური და საფინანსო საკითხისათვის, რაც წამოჭრილია და შეიძლება წამოიჭრას კონფერენციაზე. გარდა ამისა, დელეგაციის თითოეული წევრი უნდა მოემზადოს სპეციალურად, განსაკუთრებით დეტალურად, ძირფესვიანად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დიპლომატიური და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფინანსო საკითხისათვის.

ჩიჩერინსა და ლიტვინოვს ევალებათ შეადგინონ ამ საკითხების განაწილება დელეგაციის ყველა წევრს შორის (რუძუტაკისთანა და სხვა მსგავსი ავადმყოფების გარდა).

2. დელეგაციის თითოეულმა წევრმა 22. II-ის თათბირისათვის (ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში) უნდა მოამზადოს ყველა უმნიშვნელოვანეს დიპლომატიურ და საფინანსო საკითხზე შეხედულებათა და პოლიტიკის საკუთარი პროგრამის უაღრესად მოკლე (2 — 3 გვერდი maximum; ტელეგრაფის სტილით) კონსპექტი.

3. ჩიჩერინისა და ლიტვინოვის პასუხისმგებლობით დროულად უნდა შეგროვდეს და დელეგაციის წევრებს დაურიგდეს მთელი შესაბამისი ლიტერატურა სხვადასხვა ენაზე, ასევე დოკუმენტების სისტემატური კრებული რუსულ ენაზე.

4. საფინანსო საკითხთა განსაკუთრებული მნიშვნელობისა და განსაკუთრებული სიძნელის გამო ჩიჩერინმა და ლიტვინოვმა ფინანსთა სახალხო კომისარიატთან, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და ა. დ. ციურუპასთან შეთანხმებით უნდა შეადგინონ საფინანსო ექსპერტთა სია და მათ შორის სამუშაოს განაწილების გეგმა; ვადა — ერთი კვირა.

5. დელეგაციის ყველა წევრმა შ ე ს ა ნ ი შ ნ ა ვ ა დ უნდა ი ც ო დ ე ს კეინსის წიგნი («ზავის ეკონომიური შედეგები») და მსგავსი ბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-პაციფისტური წიგნები და წ ი გ ნ ე ბ ი ს ნ ა წ ი ლ ე ბ ი (ლანსინგი ომისა და 1918 წლის ზავის «იმპერიალისტური» ხასიათის შესახებ და სხვ.). ასე უნდა მოემზადონ: სიტყვებსა და განცხადებებში მოკლედ გამოთქვან კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი თვალსაზრისი, თანაც ეს გამონათქვამი ამნაირად მორთონ და მოკაზმონ: მე თუმცა კომუნისტი ვარ, თუმცა ასეთი და ასეთი კომუნისტური შეხედულებები მაქვს, მაგრამ ამ აუდიტორიისათვის მსურს ციტატები კომუნისტებისაგან არ მოვიყვანო და ყველა ვალის გაუქმების აუცილებლობისა და სხვა საკითხი დავსვა ბურჟუაზიული თვალსაზრისით (იხ. 6 და 7).

6. მთლიანად ჩვენი დელეგატების ყველა სიტყვა და განცხადება კონფერენციაზე წინასწარ ისე უნდა იყოს გაანგარიშებული, რომ კონფერენციის ყოველგვარი მიმდინარეობისა და დამთავრების შემთხვევაში (უმოკლეს ვადაში მისი კრახის შემთხვევაშიც კი, რასაც, რა თქმა უნდა, შეეცდებით ხელი შევუშალოთ) საბოლოოდ მივიღოთ ერთიანი კომუნისტური შეხედულებების მოკლე, მაგრამ ნათელი გადმოცემა (საერთაშორისო ურთიერთობისა და ეკონომიკის საკითხებზე) და ბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-პაციფისტური შეხედულებების დაწვრილებითი გადმოცემა იმპერიალისტური სამყაროს

(სამყაროსიც და ზავისაც)* შეურიგებელ წინააღმდეგობაზე.

7. სავსებით შესაძლებელია, უეჭველიც კი, რომ კონფერენციის ყველა ბურჟუაზიული დელეგატი მაშინვე შეკრავს უსიტყვო, მაგრამ მტკიცე ბლოკს, რათა თავს დაგვესხას საქართველოსათვის და წვრილბურჟუაზიული და მსხვილბურჟუაზიული დიპლომატიისა და დემოკრატიის ყველა ჩვეულებრივი ბრალდებისათვის. ჩვენ წინასწარ უნდა მოვემზადოთ საამისოდ და უეჭველად პირველნი გადავიდეთ შეტევაზე (გარდა ჩვენი ძირითადი ამოცანისა, რომ ერთმანეთს დავუპირისპიროთ, წავკიდოთ სხვადასხვა ქვეყანა). პირველები რომ გადავალთ შეტევაზე, ეს მეტწილად უნდა გაკეთდეს ფარულად, მაგალითად, იმპერიალისტური ურთიერთობის ყველაზე მტკივნეულ და სამარცხვინო პუნქტებზე (კორეა; ამრიტსარი; ინდოეთში რევოლუციონერთა საჯარო გაროზგვა; ლოიდ ჯორჯის სიტყვა კანში ბრიანის წინააღმდეგ «მკვლელების» შესახებ და სხვ. და სხვ.) «სიტყვის გადაკვრის» ფორმით (ან შესაბამისი თხზულებებიდან ბურჟუაზიული ციტატებით).

8. იმის გამო, რომ მრავალჯერ დადასტურდა საერთოდ ჩვენი სპეციალისტებისა და განსაკუთრებით მომენშევიკო სპეციალისტების სწრაფვა გაგვაცურონ (და ხშირად წარმატებითაც გვაცურებენ), სპეციალისტებისა, რომლებიც საზღვარგარეთ მოგზაურობას გადააქცევენ წოლმე დასვენებად და თეთრგვარდიული ნაცნობობის განმტკიცების იარაღად, ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა დავკმაყოფილდეთ ყველაზე მეტად საიმედო ექსპერტთა უაბსოლუტურესი მინიმუმით, ამასთან თითოეულს უნდა ჰქონდეს წერილობითი თავდებობა როგორც შესაბამისი სახალხო კომისრისაგან, ისე რამდენიმე კომუნისტისაგან. 45 რიცხვს არავითარ შემთხვევაში არ გადავაჭარბოთ. ექსპერტთა და მთელი შემადგენლობის სია ცენტრალურ კომიტეტში დასამტკიცებლად შეტანილ იქნეს $1^1/_2$ კვირაში. ამ პარაგრაფისათვის პირადად პასუხს აგებენ

* დედანში წერია: Империалистского мира (и міра и мира). — ქართ. გამოც. რ ე დ.

ამხანაგები ლიტვინოვი, იოფე და ჩიჩერინი. ისევ ისინი — ისეთი საქმეთა მმართველის არჩევისათვის, რომელიც არ დაუშვებს ღამის მუშაობასა და სხვა მისთანა უმსგავსობას.

გენუის დელეგაციისადმი დირექტივის თეზისების პროექტისათვის გთავაზობთ შემდეგ დამატებას:

9. კანის პირობების პირველი პარაგრაფი ჩვენმა დელეგატებმა განსაკუთრებით ხშირად უნდა მოიყვანონ სიტყვებსა და გამოსვლებში, ამასთან, ჯერ ერთი, მისი ციტირება მოახდინონ მხოლოდ «Petit Parisien»-ის რედაქციით, ე. ი. სიტყვებით: «საკუთრების სისტემა» და არა მხოლოდ: «სისტემა»; მეორე, ეს სიტყვები და ეს პარაგრაფი განმარტონ უაღრესად ვრცლად, სახელდობრ ისე, თითქოს მასში მოცემულია საკუთრების კაპიტალისტური სისტემის საკუთრების კომუნისტური სისტემით შეცვლის გარდაუვალობის აღიარება და თითქოს «ჩვენ შორის» ერთადერთ საკამათო საკითხად ახლა რჩებოდეს ამ შეცვლის ვადისა და შეცვლის წესის საკითხი, ე. ი. 1917 — 1920 წლების რუსული მეთოდით, თუ ლოიდ ჯორჯის «შეკვეცილი რევოლუციის» მეთოდით, რევოლუციისა, რომელიც ირლანდიის 1921 წლისა და ეგვიპტის 1922 წლის რევოლუციების ტიპისაა[437].

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 44

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

წერილი ნ. ი. ბუხარინსა და გ. ე. ზინოვიევს

ამხანაგებს ბუხარინსა და ზინოვიევს

წინასწარ უნდა მოვიფიქროთ, ყველაზე ენამწარე ადამიანებიდან თუ ვინ იქნება კომინტერნის წარმომადგენელი II და II½ ინტერნაციონალებთან კონფერენციაზე[438]. აგრეთვე წინასწარ უნდა მოვიფიქროთ ამ თათბირზე ტაქტიკისა და სტრატეგიის ძირითადი საკითხები.

თათბირზე განსახილველ საკითხთა სია წინასწარ უნდა მოვიფიქროთ და შევადგინოთ ისე, რომ შეთანხმებული იყოს თათბირის მონაწილე თითოეულ მხარესთან. ჩვენი მხრივ ამ

სიაში უნდა შევიტანოთ მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც უშუალოდ ეხება მუშათა მასების პრაქტიკულ ერთობლივ მოქმედებას იმ დარგში, რომელსაც თავის ოფიციალურ განცხადებებში უდავოდ ცნობს სამივე მოქმედი მხარის პრესა. ჩვენ საფუძვლიანად უნდა დავასაბუთოთ, ერთიანი ფრონტის ინტერესებისათვის თუ რატომ ვკერდებით მხოლოდ ასეთ საკითხებს. იმ შემთხვევაში, თუ ბატონი ყვითლები წამოაყენებენ პოლიტიკის სადავო საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად, დამოკიდებულება მენშევიკებისადმი, საქართველოს საკითხი და სხვ., ჩვენ უნდა დავადგეთ ასეთ ტაქტიკას: 1) განვაცხადოთ, რომ საკითხთა სია შეიძლება შევადგინოთ მხოლოდ სამივე მონაწილე მხარის ერთხმივი გადაწყვეტილებით; 2) განვაცხადოთ, რომ საკითხთა ჩვენი სიის შედგენისას ვხელმძღვანელობდით მხოლოდ და მხოლოდ მუშათა მასების მოქმედების ერთიანობით, რომლის მიღწევა დაუყოვნებლივ შეიძლება ძირეულ პოლიტიკურ უთანხმოებათა არსებობის პირობებშიც კი; 3) განვაცხადოთ, რომ სავსებით ვეთანხმებით მენშევიკებისადმი დამოკიდებულების, საქართველოსა და ყველა სხვა საკითხის შეტანას, რასაც კი II და II$^1/_2$ ინტერნაციონალების სახელით წამოაყენებენ, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ ისინი დაეთანხმონ შემდეგი საკითხების შეტანას: 1) II და II$^1/_2$ ინტერნაციონალების რენეგატული დამოკიდებულება ბაზელის მანიფესტისადმი, 2) იმავე პარტიების მონაწილეობა ლუქსემბურგის, ლიბკნეხტისა და გერმანიის სხვა კომუნისტთა მკვლელობაში იმ ბურჟუაზიულ მთავრობათა მეშვეობით, რომლებსაც ეს პარტიები უჭერენ მხარს, 3) ამ პარტიების ამგვარივე დამოკიდებულება კოლონიებში რევოლუციონერთა მკვლელობისადმი, რასაც სჩადიან ბურჟუაზიული პარტიები, რომლებსაც მხარს უჭერენ II და II$^1/_2$ ინტერნაციონალები და ა. შ. და სხვ. ასეთი და მსგავსი საკითხების სია წინასწარ უნდა მოვამზადოთ, აგრეთვე წინასწარ მოვამზადოთ თეზისები და მომხსენებლები რამდენიმე ასეთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე.

უნდა გამოვნახოთ საბაბი, რათა ოფიციალურად განვაცხადოთ, რომ II და II$^1/_2$ ინტერნაციონალები მიგვაჩნია მსოფლიო კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ბლოკის მხოლოდ და მხოლოდ არათანამიმდევრულ და მერყევ მონაწილეებად და საერთო ფრონტის შესახებ თათბირში ვმონაწილეობთ, რათა მივაღწიოთ შესაძლო პრაქტიკულ ერთობას მასების უშუალო მოქმედებაში და ვამხილოთ, რომ პოლიტიკურად სწორი არ არის II და II$^1/_2$ ინტერნაციონალების მთელი პოზიცია, ისევე როგორც ეს უკანასკნელნი (II და II$^1/_2$) ჩვენთან თათბირს აწყობენ როგორც მასების უშუალო მოქმედების ერთიანობის ინტერესებისათვის, ისე იმ მიზნით, რომ პოლიტიკურად ამხილონ ჩვენი პოზიციის უსწორობა.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 1 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით
(მანქანაზე გადაწერილი
ეგზემპლარი)

პროექტი

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა გენუის კონფერენციის შესახებ

ამხ. მოლოტოვს (პოლიტბიუროს წევრებისათვის)

თქვენს ყურადღებას მივაქცევ ი. კლიუჩნიკოვის სტატიას «გენუის კონფერენცია» «სმენა ვეხის»[439] № 13-ში; გთავაზობთ:

1. დელეგაციის ჩვენს წევრებთან ერთად განვიხილოთ საკითხი კლიუჩნიკოვის ექსპერტად მოწვევის შესახებ.

2. დავავალოთ მთელ დელეგაციას იზრუნოს, რათა ჩვენს პრესაში გამოქვეყნდეს რამდენიმე სტატია იმავე თემაზე, რომელზეც დაწერილია კლიუჩნიკოვის სტატია, ოღონდ უფრო ვრცელი და უფრო დასაბუთებული, რომლებშიც საკითხი სრულად და ყოველმხრივ იქნება გაშუქებული.

3. დაევალოს ყველას, ვისაც სურს წავიდეს ექსპერტად რუსეთიდან ან ამ თანამდებობისათვის არიან გათვალისწინებული, 10 დღის ვადაში მოამზადოს სტატია, რომელშიც მის

მიერ არჩეული სპეციალობით დაწვრილებით იქნება გაშუქებული რუსეთის ურთიერთობა საზღვარგარეთთან. ის სტატიები (ან სტატიების ნაწილები), რომლებშიც კონსპირაციული არაფერი იქნება, დაუყოვნებლივ უნდა გამოქვეყნდეს ჩვენს პრესაში.

4. ჩიჩერინსა და ლიტვინოვს დაეკისროთ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ სტატიების თემების განაწილება და ავტორების გვარები 1-ლი და მე-2 პუნქტების მიხედვით ერთ კვირაში შეატყობინონ პოლიტბიუროს.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 4 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით
(მანქანაზე გადაწერილი
ეგზემპლარი)

პარვუსის გროშურის[440] შინაარსის შემცველი დეპეშის გამოქვეყნების გამო

1

ამხ. მოლოტოვს
(პოლიტბიუროს წევრებისათვის)

წინადადება შემომაქვს დავნიშნოთ გამოძიება, თუ ვინ გამოაქვეყნა ამას წინათ გაზეთებში დეპეშა, რომელიც შეიცავდა პარვუსის ნაწერის შინაარსს.

წინადადება შემომაქვს დამნაშავის დადგენის შემდეგ რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ამ განყოფილების გამგეს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური, ხოლო უშუალოდ დამნაშავე ჟურნალისტი გაადგონ სამსახურიდან, რადგან მხოლოდ რეგვენს ან თეთრგვარდიელს შეეძლო გადაექცია ჩვენი გაზეთები პარვუსისთანა არამზადის რეკლამის იარაღად.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 4 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით
(მანქანაზე გადაწერილი
ეგზემპლარი)

2

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1922 წლის 11 მარტის დადგენილება

ასეთი დეპეშის დაბეჭდვა ჩაითვალოს უადგილოდ, რადგან იგი აღიქმება როგორც პარვუსისათვის გაწეული რეკლამა, და დაევალოს პარტიული და საბჭოთა გაზეთების რედაქციებს ამიერიდან თავი შეიკავონ ასეთი დეპეშების დაბეჭდვისაგან.

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 44

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მანქანაზე გადაწერილი ეგზემპლარის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივისა საბჭოთა დელეგაციისათვის გენუის კონფერენციაზე [441]

გთავაზობთ ცენტრალური კომიტეტის
დირექტივის პროექტს:

ცენტრალური კომიტეტი ჯერ არ ამტკიცებს ექსპერტთა სიას და წინადადებას აძლევს სიაში შეტანილ კანდიდატებს ერთ კვირაში წარმოადგინონ გენუის **მთელი** კონფერენციის **პროგრამისა** და **ტაქტიკის** კონსპექტი (ამ ექსპერტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე). ყველა სახალხო კომისარი ვალდებულია 2 დღეში წარმოადგინოს ექსპერტობის თავისი კანდიდატის **წერილობითი** დახასიათება და თავდებობა. თუ ექსპერტებმა თავი შეირცხვინეს ევროპაში, პასუხს ისინიც აგებენ და სახალხო კომისრებიც.

გენუის კონფერენციის თაობაზე დირექტივების განსავითარებლად და დასამატებლად **გთავაზობთ შემდეგს:**

1. ცენტრალური კომიტეტი წინასწარ არ წყვეტს ჩვენი დელეგაციის შესაბამისი გამოსვლის ფორმისა და დროის **სა-**

კითხებს, მაგრამ მის უთუო მოვალეობად მიაჩნია სრული, დამოუკიდებელი, მთლიანი პროგრამის განვითარება ყველა ძირითად საკითხში.

2. ეს უნდა იყოს ბურჟუაზიულ-პაციფისტური პროგრამა, ამასთან ჩვენმა დელეგაციამ დროულად და ნათლად უნდა გააკეთოს შენიშვნა, რომ ჩვენ აქ არ ვაყენებთ კომუნისტურ პროგრამას (მოკლედ: ასეთსა და ასეთს), რომელიც ერთადერთი შეესაბამება ჩვენს შეხედულებებს, რადგან გვსურს პრინციპულად სხვა პოზიციაზე მდგომ დანარჩენ დელეგაციებს შევთავაზოთ რიგი პალიატივები და რეფორმისტული ტიპის ღონისძიებანი უკვე ნაწილ-ნაწილ რომ წამოაყენეს ინგლისსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში ადამიანებმა, რომლებიც ბურჟუაზიულ შეხედულებებს იზიარებენ. გარკვეულ პირობებში პალიატივების ამ პროგრამას მაინც შეეძლო შეემსუბუქებინა თანამედროვე მძიმე მდგომარეობა (საიდანაც უზრუნველყოფილი გამოსვლა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საბოლოოდ გავწყვეტთ კავშირს კაპიტალისტური საკუთრების ყველა საფუძველთან).

3. ამ პროგრამის ძირითადი პუნქტები დაახლოებით ასეთია:

(1) ყველა ვალის გაუქმება;

(2) ყველა კოლონიის და დამოკიდებული ქვეყნისა და ერის მიმართ «ირლანდიური» გადაწყვეტის გამოყენება;

(3) ვერსალის ხელშეკრულების რადიკალური გადასინჯვა;

(4) შეღავათიანი პირობებით სესხის მიცემა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ყველაზე უფრო გააჩანაგა ომმა და ამასთან ყველაზე სუსტნი არიან საიმისოდ, რომ დამოუკიდებლად შეძლონ ფეხზე დადგომა, და ყველაზე საჭირონი არიან მსოფლიო მეურნეობისათვის როგორც დიდძალი სურსათისა და ნედლეულის ევენტუალური მიმწოდებლები;

(5) რამდენიმე ქვეყნის ფულის სისტემებისათვის ოქროს ერთიანი საერთაშორისო ერთეულის და ამ ერთეულის შემოღების ღონისძიებათა დაწესება;

(6) რამდენიმე ქვეყნის შეთანხმება ინფლაციისა და ფულის გაუფასურების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ (აღინიშნოს ზოგიერთი ასეთი ღონისძიება);

(7) რამდენიმე ქვეყნის შეთანხმება სათბობის კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ და ერთიანი გეგმაზომიერი ელექტრიფიკაციის საფუძველზე ენერგიის წყაროების ყველაზე რაციონალურად და მომჭირნეობით გამოყენების ღონისძიებათა შესახებ;

(8) იგივე საერთაშორისო ტრანსპორტის რეორგანიზაციისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ყველაზე საჭირბოროტოა ნედლეულისა და სურსათის გადაზიდვის შესაძლებლობის თვალსაზრისით.

და. ა. შ.

4. ამგვარი პროგრამა უნდა განავითარონ წარმოთქმულ სიტყვებში, ხოლო თუ ეს შეუძლებელ იქნა, დაიბეჭდოს 3 — 4 ევროპულ ენაზე და დაურიგდეს დელეგატებსა და პრესას (თუნდაც კონსპექტის ფორმით). (ყოველ შემთხვევაში უნდა დაიბეჭდოს.)

5. ექსპერტებად უნდა გავუშვათ მხოლოდ ისეთი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ განავითარონ, დაასაბუთონ, დაიცვან (ამა თუ იმ ნაწილში) ასეთი პროგრამა და რომლებმაც დ ა ა მ ტ კ ი ც ე ს, რომ მათ ა მ ი ს უ ნ ა რ ი შ ე ს წ ე ვ თ. ექსპერტებმა თ ა ვ-თ ა ვ ი ს ი ხ ე ლ მ ო წ ე რ ი თ უნდა დაბეჭდონ თავიანთი პროგრამები და გეგმები ევროპისა თ ვ ი ს. ((ასეთი პროგრამის ექო იქნება სტატიები III ინტერნაციონალის პრესაში: «დარწმუნების» ასეთი ცდა საზიანო არ არის, მაგრამ თითქმის უსარგებლოა, რადგან ს ა ჭ ი რ ო ა

რევოლუციაო, — და II და II$^1/_2$ ინტერნაციონალების პრესაში: ვნახოთ ისინი რას იტყვიან.))

დაწერილია 1922 წლის 6 თებერვალს

პირველად არასრულად დაიბეჭდა 1962 წლის 24 აპრილს გაზეთ «პრავდაში» № 114

მთლიანად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 44

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

გარათი ვ. მ. მოლოტოვს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში შესატანი წინადადებებით

ამხ. მოლოტოვ!

გთხოვთ ტელეფონით უყაროთ კენჭი პოლიტბიუროში შესატან ორ წინადადებას:

1) არ გამოქვეყნდეს პოლიტბიუროს გადაწყვეტილება პურის ერთიანი გადასახადის ციფრის შესახებ, სანამ არ იქნება მიღებული ახალი გადაწყვეტილება მას შემდეგ, რაც სახელმწიფო საგეგმო კომისია წარმოადგენს თავის დამთავრებულ ანგარიშებს.

(გუშინ კრჟიჟანოვსკიმ მწარედ შემომჩივლა, დიდი მუშაობა გვაქვს ამ ანგარიშის გამო და ეს მუშაობა ისე გამაწყვეტინეს, რომ არც კი მომისმინესო. გთხოვთ მისცეთ 3 — 4 დღის ვადა და მანამდე არ დაბეჭდოთ.)

2) გაზეთი «ოპერატივნოე დელო» დაიხუროს. მასალების გამოყენების შესახებ შეუთანხმდნენ «ეკონომიჩესკაია ჟიზნს»[442].

ლენინი

დაწერილია 1922 წლის 11 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ჩანანიშნები ნ. ლ. მეშჩერიაკოვის წერილზე და პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა

... ახლა გაზეთ «კოოპერატივნოე დელოს» შესახებ.

?? 1) ცენტროსოიუზის გამგეობა, რომელშიც მხოლოდ კომუნისტები შედიან, ამბობს, რომ გაზეთი აუცილებლად საჭიროა, რათა კოოპერაციამ შეძლოს შეასრულოს ძველი და ახალი ორგანიზაციული სამუშაო და შეასრულოს მისთვის მიცემული სავაჭრო დავალებები.

2) გაზეთის რედაქციაში შედიან მხოლოდ კომუნისტები: მე, სარაბიანოვი, შვეცოვი, კუტუზოვ-ილიმსკი და სხვ.

3) რუსეთში ჩამოვიდა დასავლეთელ კოოპერატორთა დე-
?? ლეგაცია. გაზეთის დახურვას გამოიყენებენ ძველი კოოპერა-
ტორები და გააძნელებს კოოპერაციულ მუშაობას.

4) გაზეთის დახურვას გამოიყენებენ გენუის კონფერენ-
ხა-ხა!! ციაზე.

5) დღემდე გაზეთში არაფერი ყოფილა საბჭოთა ხელისუფლებისა თუ კომუნიზმის საწინააღმდეგო...

ნ. მ ე შ ჩ ე რ ი ა კ ო ვ ი

1922 წლის 11 თებერვალი.

ამხ. მოლოტოვს პოლიტბიუროსათვის:

ამხ. მეშჩერიაკოვის მოსაზრებათა აშკარა უსაფუძვლობის გამო წინადადებას გაძლევთ:

1) დაავალოთ ცენტროსოიუზის გამგეობას ყოველდღიური გაზეთი «კოოპერატივნოე დელო» შეცვალოს **ყოველკვირეულით;**

2) ამის შედეგად განთავისუფლებული ძალები და სახსრები მთლიანად მოახმაროს ადგილებზე კოოპერატივების სწორი ვაჭრობის განვითარების შესამოწმებლად და დასახმარებლად ცენტრის საქმიანობის გაუმჯობესებას;

3) ანგარიში მეორე პარაგრაფის შესრულების შესახებ პოლიტბიუროს წარმოუდგინოს ყოველთვიურად:

4) გააძლიეროს თანამშრომლობა «ეკონომიჩესკაია ჟიზნთან».

14/II. ლენინი

დაწერილია 1922 წლის 14 თებერვალს
პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

წერილი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს შენიშვნებით სამი ინტერნაციონალის კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ კომინტერნის ალმასკომის პირველი გაფართოებული პლენუმის რეზოლუციის პროექტის გამო [443]

ამხ. მოლოტოვს
(პოლიტბიუროს წევრებისათვის)

წინადადებას ვაყენებ შემდეგი ცვლილებანი შევიტანოთ მსოფლიოს ყველა მუშათა პარტიის მოსალოდნელ კონფერენციაში კომინტერნის მონაწილეობის საკითხზე რეზოლუციის პროექტში, რომელიც ზინოვიევმა გამოგზავნა. ამ სიტყვების — «მუშათა მასების მოქმედების ერთიანობა, რომელსაც შეიძლება მივაღწიოთ დაუყოვნებლივ, ძირეულ პოლიტიკურ უთანხმოებათა მიუხედავად» — შემდეგ ამოიშალოს მომდევნო წინადადებანი სიტყვებამდე: «რომ მუშათა მასები მოითხოვენ

მოქმედების ერთიანობას». წინადადება, რომელიც ამ უკანასკნელი სიტყვებით იწყება, გადაკეთდეს ასე: «შეგნებულ მუშებს, შესანიშნავად ესმით რა ეს პოლიტიკური უთანხმოებანი, მიუხედავად ამისა, მუშების უდიდეს უმრავლესობასთან ერთად სურთ და მოითხოვენ ერთიან მოქმედებას ყველაზე გადაუდებელ და მუშათა ინტერესებისათვის ახლობელ პრაქტიკულ საკითხებში. ამაში ახლა არც ერთ კეთილსინდისიერ კაცს არ უნდა ეპარებოდეს ეჭვი» და ა. შ.

მეორე ცვლილება, რომლის შეტანასაც გთავაზობთ, ის არის, რომ წინადადება, რომელიც იწყება სიტყვებით: «დღის წესრიგიდან მოხსნიან რა ყველა სადავო საკითხს და ხაზს გაუსვამენ უდავოს»—შეიცვალოს და დაემატოს შემდეგი: «და გარკვეული დროით გადადებენ რა ყველაზე სადავო საკითხებს და გამოყოფენ ნაკლებად საღავოს, ორივე მხარეს, ან, უფრო სწორად, კონფერენციაში მონაწილე სამივე საერთაშორისო გაერთიანებას, რა თქმა უნდა, იმედი ექნება, რომ საბოლოოდ მათი შეხედულებანი გაიმარჯვებს».

ყველაზე მთავარი ცვლილება, რომლის შეტანასაც გთავაზობთ, ის არის, რომ ამოიშალოს აბზაცი, სადაც II და II$^1/_2$ ინტერნაციონალების ბელადებს მსოფლიო ბურჟუაზიის ხელის შემწყობებს ვუწოდებთ. ეს იგივეა, რომ ვიხმაროთ სიტყვები «ბატი ხარ». სრული უგუნურებაა უდიდესი მნიშვნელობის პრაქტიკული საქმის ჩაშლის რისკი გავწიოთ მხოლოდ იმისათვის, რომ გული მოვიფხანოთ და კიდევ ერთხელ გავლანძღოთ არამზადები, რომლებსაც ვლანძღავთ და კიდევ ათასჯერ გავლანძღავთ სხვაგან. თუ გაფართოებული აღმასკომის კრებაზე ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც ვერ მიმხვდარან, რომ ერთიანი ფრონტის ტაქტიკა დაგვეხმარება ჩამოვაგდოთ II და II$^1/_2$ ინტერნაციონალების ბელადები, ამ ადამიანებს უნდა მოვუწყოთ რამდენიმე დამატებითი პოპულარული ლექცია და საუბარი. იქნებ მათთვის საჭირო გახდეს განსაკუთრებით პოპულარული ბროშურის დაწერა და მისი გამოცემა, მაგალითად, ფრანგულ ენაზე, თუ ფრანგებმა ჯერაც ვერ შეითვისეს მარქსისტული ტაქტიკა. დასასრულ, აჯობებს ეს რეზოლუ-

ცია ერთხმად კი არა, არამედ ხმის უმრავლესობით მივიღოთ (იმათ, ვინც წინააღმდეგ მისცემს ხმას, შემდეგ სპეციალურად, საფუძვლიანად და პოპულარულად ვასწავლით ჭკუას), ვიდრე გავწიოთ რისკი და გავაფუჭოთ დიდმნიშვნელოვანი პრაქტიკული საქმე რამდენიმე პოლიტიკური ყმაწვილის გულისთვის, რომლებიც ხვალ განიკურნებიან თავიანთი საყმაწვილო სენისაგან.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 23 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 44

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით
(მანქანაზე გადაწერილი
ეგზემპლარი)

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა გენუაში საბჭოთა დელეგაციის ამოცანების შესახებ

მხოლოდ ჩამოტარებით პოლიტბიუროს წევრებს
ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროექტი

1. ცეკას სწორად მიაჩნია მდგომარეობისა და ამოცანების (ჩვენი დელეგაციისა გენუაში) შეფასება, რომელიც მოცემულია ამხ. ლიტვინოვის თეზისებში.

2. ცეკა ადასტურებს, რომ თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ჩიჩერინს ეძლევა დელეგაციის თავმჯდომარის ყველა უფლება.

3. ამხ. ჩიჩერინის ავადმყოფობისა და გენუიდან წამოსვლის შემთხვევაში მისი უფლებები გადაეცემა რიგრიგობით ერთ-ერთს ორი სამეულიდან: ა) ლიტვინოვი, კრასინი, რაკოვსკი; ბ) ლიტვინოვი, იოფე, ვოროვსკი.

4. ჩვენმა დელეგაციამ როგორმე თავი უნდა აარიდოს კანის პირობების ცნობის საკითხს. თუ ეს არ მოხერხდა და თუ წამოგვიყენეს პირდაპირი ულტიმატუმი, უნდა შევეცადოთ გამოვიყენოთ კრასინის ფორმულა: «ყველა ქვეყანა ცნობს

თავის სახელმწიფო ვალს და კისრულობს ვალდებულებას აანაზღაუროს ზიანი და ზარალი, რომელიც მიყენებულია მისი მთავრობის მოქმედების შედეგად».

თუ არც ეს მოხერხდა, უნდა შევწყვიტოთ მოლაპარაკება, ამასთან გარკვევით განვაცხადოთ, რომ მზად ვართ ვცნოთ კერძო ვალები, მაგრამ არ გვსურს კუკუმალულობანას თამაში და იმ აზრისა ვართ, რომ ჩვენი კონტრპრეტენზიები ფარავს ამ ვალებს, ისევე როგორც საერთოდ ჩვენი ვალდებულებების მთელ თანხას. სუპერარბიტრი ჩვენსა და ყველა ბურჟუაზიულ ქვეყანას შორის არ გვჭირდება, რადგან დავაა საკუთრების ორ სისტემას შორის.

თუ იძულებული გავხდით შევწყვიტოთ მოლაპარაკება, ყველაზე მკვეთრად უნდა წამოვაყენოთ განხეთქილების ძირითადი და ერთადერთი მიზეზი: სიხარბე ერთი მუჭა კაპიტალისტებისა, ურკარტისა და ა. შ., რომლებსაც მთავრობები ემსახურებიან.

კიდევ როგორც უკიდურესი დათმობა ამ კაპიტალისტებისათვის შევთავაზოთ: კონცესიების უპირატესი უფლება (ე. ი. თუ მათს ყოფილ სამფლობელოებს ნაწილობრივ თუ მთლიანად საკონცესიოდ ვაძლევთ იქსს ამა და ამ პირობით, ვალდებულებას ვკისრულობთ მივცეთ ამავე პირობით ყოფილ მესაკუთრეს).

5. ვინაიდან შესაძლებელია, რომ ბურჟუები შეეცდებიან საშუალება არ მოგვცენ განვავითაროთ ჩვენი პროგრამა, ყოველი ღონისძიებით უნდა ვეცადოთ პირველივე სიტყვა შეიცავდეს მის განვითარებას თუ არა, შინაარსს, ან, თუნდაც მინიშნებული ან მოხაზული მაინც იყოს პროგრამა (და მაშინვე გამოქვეყნდეს უფრო დაწვრილებით).

6. ჩვენი პროგრამაა არ ვფარავდეთ ჩვენს კომუნისტურ შეხედულებებს, ოღონდ დავჯერდეთ იმას, რომ ძალზე ზოგადად და მოკლედ ვახსენოთ ეს შეხედულებანი (თუნდაც დამოკიდებული წინადადებით), ამასთან პირდაპირ განვაცხადოთ, რომ უადგილოდ მიგვაჩნია აქ ჩვენი შეხედულებების ქადაგება, რადგან მოსული ვართ სავაჭრო შეთანხმებისათვის

და ვცდილობთ შევუთანხმდეთ სხვა (ბურჟუაზიული) ბანაკის პაციფისტურ ნაწილს.

იმ ბანაკის პაციფისტურ ნაწილად (ან შეიძლება ვიხმაროთ სხვა, სპეციალურად შერჩეული თავაზიანი გამოთქმა) უნდა მივიჩნიოთ და ასე ვუწოდოთ წვრილბურჟუაზიულ, პაციფისტურ და ნახევრად პაციფისტურ, II და II$^1/_2$ ინტერნაციონალების ტიპის, შემდეგ კეინსის ტიპისა და სხვ. დემოკრატიას.

გენუაში ჩვენი ერთ-ერთი მთავარი, თუ უმთავრესი არა, პოლიტიკური ამოცანა ის არის, რომ გამოვყოთ ბურჟუაზიული ბანაკის ეს ფრთა მთელი მათი ბანაკიდან, შევეცადოთ გული მოვუგოთ ამ ფრთას, გამოვაცხადოთ, რომ ჩვენი თვალსაზრისით დასაშვები და სასურველია მასთან არა მარტო სავაჭრო, არამედ პოლიტიკური შეთანხმებაც (როგორც ახალი წყობილებისაკენ კაპიტალიზმის მშვიდობიანი ევოლუციის ცოტაოდენ შანსთაგან ერთ-ერთი შანსი, რაც ჩვენ როგორც კომუნისტებს მაინცდამაინც არა გვჯერა, მაგრამ თანახმა ვართ დავეხმაროთ, თუ სურთ სინჯონ, და როგორც ერთი სახელმწიფოს წარმომადგენლებს ჩვენ მოვალეობადაც მიგვაჩნია სხვა მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა უმრავლესობის წინაშე).

უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რაც შესაძლებელია, და ზოგი შეუძლებელიც იმისთვის, რომ გავაძლიეროთ ბურჟუაზიის პაციფისტური ფრთა და ცოტათი მაინც გავზარდოთ არჩევნებში მისი გამარჯვების შანსი; ეს ერთი; და მეორეც, — რათა გავთიშოთ ბურჟუაზიული ქვეყნები, რომლებიც გენუაში ჩვენ წინააღმდეგ იქნებიან გაერთიანებული, — ასეთია ჩვენი ორმხრივი პოლიტიკური ამოცანა გენუაში. და არავითარ შემთხვევაში კომუნისტურ შეხედულებათა განვითარება.

7. ყოველი ღონისძიებით უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება დაწვრილებით განვავითაროთ და ფართოდ გამოვიტანოთ საჯაროდ (თუ სიტყვებში არ მოხერხდა, მაშინ პრესაში) რუსეთისა და ევროპის სახალხო მეურნეობის აღდგენის გეგმა, — სახელმწიფო საგეგმო კომისიის ნაშრომთა ყაიდაზე და ამ ნაშრომთა საფუძველზე.

8. თუ გენუაში ბურჟუაზიულმა ბანაკმა წამოგვიყენა ულტიმატუმი: არ შეეხოთ პაციფიზმის საკითხებს, არამედ ილაპარაკეთ მხოლოდ ვაჭრობის ვიწრო თემებზეო, სინანული უნდა გამოვთქვათ ამის გამო, მაგრამ დავემორჩილოთ ამ ულტიმატუმს და ვთქვათ, რომ ამ კონფერენციაზე ორი მიზანი გვქონდა: პაციფისტური მიზანი და სავაჭრო მიზანი. ერთი გვრჩება-თქო.

9. იმის დეტალურ დამუშავებას, თუ როგორ უნდა განვითარდეს პაციფისტური პროგრამა, ცენტრალური კომიტეტი ავალებს დელეგაციას და სჯერდება ზოგად დირექტივას: უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება ფართოდ განვავითაროთ ეს პროგრამა, რათა უფრო ღრმა განხეთქილება შევიტანოთ საერთაშორისო ბურჟუაზიის პაციფისტურ ბანაკსა და უხეშ-ბურჟუაზიულ, აგრესიულ-ბურჟუაზიულ, რეაქციულ-ბურჟაზიულ ბანაკს შორის.

10. სავაჭრო და საკონცესიო საკითხში (მათ შორის სესხის საკითხში) მთავარ გარანტიად უნდა დავასახელოთ ჩრდილოეთის ტყეები და სხვ. ჩვენი სახელმწიფოს უფლებათა შელახვას არ დავთანხმდებით. ხელშეკრულებები არ უნდა დაიდოს მანამ, სანამ საგანგებოდ შეთანხმებული არ იქნება ცეკასთან ტელეგრაფით [444].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 24 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 44

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ბარათი ვ. მ. მოლოტოვს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის იტალიისადმი ნოტის შესახებ დადგენილების პროექტით

ამხ. მოლოტოვს პოლიტბიუროს წევრებისათვის

იემი აზრით, გენუის საკითხი ნათელია ჩიჩერინის, იოფეს, კრასინისა და ლიტვინოვის ბარათების შემდეგ.

გთავაზობთ გადაწყვეტილების პროექტს.

გეგმა: პოლიტბიუროს ყველა წევრი ცდილობს **წერილობით** შეუთანხმდეს ერთმანეთს. თუ ეს ვერ მოხერხდა, ყველა თავს იყრის და 1 საათს მ ა რ ტ ო (უმდივნოდ) თათბირობენ.

შემდეგ 1 ან 2 საათს დელეგაციასთან და მორჩა.

24. II. ლ ე ნ ი ნ ი

წინადადება შემომაქვს დავადგინოთ: პოლიტბიურო ავალებს ამხ. ჩიჩერინს გაუგზავნოს იტალიას ნოტა, რაც შეიძლება გრძელი, არქითავაზიანი, მაგრამ **ს ა კ მ ა ო დ** გესლიანი. ჩვენ კი არ ვარღვევთ ერთ-ერთ პირველ «პირობას» მოწვევას 8. III-თქო, რომ გთავაზობთ 1) დაადასტუროთ 8. III; ხოლო თუ (2) უმრავლესობა წინააღმდეგია, პროტესტს ვაცხადებთ და გთავაზობთ 15. III-თქო [445].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 24 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 44

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შესწორებანი და შენიშვნები მცირე სახალხო კომისართა საბჭოს დებულების პროექტისათვის [446]

. . . . . .

10. მცირე სახალხო კომისართა საბჭოს ყველა გადამწყვეტი დადგენილება, ე. ი. რომლებიც არსებითად წყვეტენ საკითხს, მე-5 მუხლში აღნიშნულთა გარდა, იგზავნება სახალხო კომისართა საბჭოში. ყველა კერძო დადგენილება კი ინციდენტური ხასიათისა, როგორიცაა: სხვადასხვა გამოძიება, საჭირო მასალების შეგროვება, დაქვემდებარების მიხედვით საქმეთა გაგზავნა, ყოველნაირი პასუხი უწყებათა შეკითხვებზე

არ შეიძლება რუსულად ასე ითქვას

არ შეიძლება ასე ითქვას, ს ა ქ მ ი ს მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი

ანუ **რომლებიც საქმეთა წარმოებას ეხება** — ასე **აჯობებს.**

მცირე საბჭოსადმი, აგრეთვე სახალხო კომისარ-
თა საბჭოს მართვისა და სამეურნეო საქმეებს
თავისი სახელით საბოლოოდ წყვეტს მცირე
საბჭო და არ გადასცემს დიდ საბჭოს.

+ გირჩევთ ჩაუმატოთ: სავალდებულოა მოსკოვის დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენლის გამოძახება ყველა საკითხზე, რომელიც მას ეხება.

+ სავალდებულოა **ყველა** დაინტერესებული სახალხო კომისარიატის გამოძახება.

დაწერილია 1922 წლის თებერვალში

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა შვეიცარიისაგან სესხის აღების შესახებ [447]

ჩემი წინადადებაა: პრინციპულად მოვიწონოთ და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დავავალოთ განაგრძოს მოლაპარაკება, მაგრამ ისე, რომ (1) საბოლოოდ არ გადაწყვიტოს უპოლიტბიუროდ (რომელმაც უნდა დაიტოვოს **უარის თქმის** უფლება); (2) წეეცადოს ასეთივე სესხი აიღოს უკეთესი პირობებით სხვა (იტალიელი) შემომთავაზებლისაგან.

13/III ლენინი*

დაწერილია 1922 წლის 13 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* პროექტს ხელს აწერენ აგრეთვე ლ. ბ. კამენევი და ი. ბ. სტალინი; ლ. დ. ტროცკიმ თავი შეიკავა. რედ.

წერილი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს წინადადებებით სამი ინტერნაციონალის კონფერენციაზე კომინტერნის დელეგაციისათვის კომინტერნის აღმასკომის დირექტივების პროექტის გამო [448]

ზინოვიევს
სტალინს
კამენევსა და პოლიტბიუროს სხვა წევრებს:

ჩემი წინადადებაა

მუხლი 11 (2 ნაწილი) (მენშევიკებისადმი დამოკიდებულების შეცვლის შესახებ) ამოვაგდოთ.

ამის თქმა ახლა პირობითადაც არ შეიძლება.

ჩემი აზრით, დირექტივა ასე უნდა შეიცვალოს:

აა) თუ გსურთ წამოაყენოთ ყველაზე სადავო საკითხები, ე. ი. ისეთები, რომლებიც იწვევენ III ინტერნაციონალის ყველაზე მტრულ განწყობილებას II და II$^1/_2$ ინტერნაციონალებისადმი, ჩვენ თანახმა ვართ იმ პირობით, რომ

(ა) შეგვითანხმებენ საკითხების სიას

(ბ) ... და III ინტერნაციონალის უფლების განხილვის უაღრესად დეტალურ წესს; მისი უფლებების არქიდეტალურ დაცვას და ა. შ. და ა. შ.

ბბ) ჩვენ კი შემოგვაქვს წინადადება წამოვაყენოთ **მხოლოდ** ყველაზე ნაკლებად სადავო საკითხები, რადგან მიზნად მიგვაჩნია მუშათა მასების ნაწილობრივი, მაგრამ ერთობლივი **მოქმედების** ცდა.

თუ მიიღეს აა, ჩვენ ჩავუმატებთ: II და II$^1/_2$ ინტერნაციონალების ჩვენი **საერთო** შეფასება, მათდამი წაყენებული ჩვენი ბრალდებების საერთო **ჯამი** და სხვ. და სხვ.

შემდეგ: 25/III, ე. ი. წინასწარ თათბირზე ჩვენი დელეგატები არქითავშეკავებული უნდა იყვნენ, **სანამ** დაკარგული არ არის იმედი, რომ მიზანს მივაღწევთ, ე. ი. შემოვიტყუებთ სამივე ინტერნაციონალს ((II-საც და II$^1/_2$-საც)) საერთო კონფერენციაზე.

მისი **შემადგენლობის** გამო მაშინვე ნუ შეწყვეტთ მოლაპარაკებას, საერთოდ ნუ შეწყვეტთ მოსკოვის დაუკითხავად, თუ არ იქნა **აბსოლუტურად** შეუწყნარებელი **მეტისმეტი** უნამუსობა.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის
14 ან 15 მარტს

პირველად დაიბეჭდა არასრულად
1958 წელს წიგნში «ვ. ი. ლენინის
მოღვაწეობის შესახებ 1917 — 1922
წლებში», მოსკოვი

მთლიანად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

წერილი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საზღვარგარეთ მიმავალი ამხანაგებისათვის დირექტივის პროექტით

ამხ. მოლოტოვს
პოლიტბიუროს წევრებისათვის

იმის გამო, რომ საზღვარგარეთ მიდის ამხ. რადეკი, ა მ ბ ო ბ ე ნ, ა მ ხ. ს ო ს ნ ო ვ ს კ ი ც ო,

— იმის გამო, რომ ამ უძვირფასესი და უდიდესი მუშაკების ძ ლ ი ე რ მ ხ ა რ ე დ ვ ე რ მ ი ვ ი ჩ ნ ე ვ თ დ ი პ ლ ო მ ა ტ ი ი ს ნ ი ჭ ს, ჩემი წინადადებაა, რომ პოლიტბიურომ გამოიტანოს დირექტივა:

«საზღვარგარეთ მიმავალ ყველა ამხანაგს პოლიტბიურო მიუთითებს, რომ ახლანდელი მომენტი მოითხოვს უდიდეს თავდაჭერას განცხადებებსა და საუბრებში მენშევიკებისა და ესერების შესახებ, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, უაღრესად დაუნდობელ ბრძოლას მათ წინააღმდეგ და მაქსიმალურ უნდობლობას მათდამი (როგორც თეთრგვარდიელობის ყველაზე ფ ა ქ ტ ო ბ რ ი ვ ხელშემწყობთადმი)».

ლ ე ნ ი ნ ი

17/III.

P. S. გთხოვთ კენჭი უყაროთ ტელეფონით[449].

ლენინი

დაწერილია 1922 წლის 17 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 45

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

წერილი რაკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კოლიტბიუროს[450]

ამხ. მოლოტოვს პოლიტბიუროს წევრებისათვის

მოსკოვის კომიტეტი (და მათ შორის ამხ. ზელენსკიც) ფაქტობრივად პირველად როდი იჩენს შემწყნარებლობას დამნაშავე კომუნისტებისადმი, რომლებიც ჩამოსახრჩობი არიან.

ეს ხდება «შეცდომით». მაგრამ ამ «შეცდომის» საფრთხე გიგანტურია. **ჩემი წინადადებაა:**

1. ამხ. დიციილკოვსკის წინადადება **მივიღოთ.**

2. სასტიკი საყვედური გამოვუცხადოთ მოსკოვის კომიტეტს კომუნისტებისადმი **შემწყნარებლობისათვის** (შემწყნარებლობის სახეობაა განსაკუთრებული კომისია).

3. დავუდასტუროთ ყველა საგუბერნიო კომიტეტს, რომ სულ პატარა ცდისათვის «გავლენა მოახდინონ სასამართლოებზე, რათა «შეარბილონ» კომუნისტების პასუხისმგებლობა, ცენტრალური კომიტეტი გარიცხავს პარტიიდან.

4. ცირკულარით ვაცნობოთ იუსტიციის სახალხო კომისარიატს (პირი პარტიის საგუბერნიო კომიტეტებს), რომ სასამართლოები ვალდებული არიან კომუნისტები დასაჯონ უფრო **მკაცრად,** ვიდრე არაკომუნისტები.

ამის შეუსრულებლობისათვის სახალხო მოსამართლეები და იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრები უნდა **გავაძევოთ სამსახურიდან.**

5. დავავალოთ სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, რომ მოსკოვის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმს **ხეთქოს** საყვედური პრესაში.

18. III. ლენინი

P. S. ამაზე მეტად სამარცხვინო და უმსგავსო რა უნდა იყოს: ხელისუფლების სათავეში მყოფი პარტია იცავს «თავის» არამზადებს!!

დაწერილია 1922 წლის 18 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1962 წლის 20 ნოემბერს გაზეთ «პრავდაში» № 324

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბარათი ნ. პ. გორბუნოვს და წინადადებანი კოოპერაციის საკითხზე [451]

ამხ. გორბუნოვ!

წაიკითხეთ, მოკლედ ჩაინიშნეთ თქვენთვის და **დაუყოვნებლივ** გაუგზავნეთ ამხ. მოლოტოვს **პოლიტბიუროს** წევრებისათვის, შემდეგ კი **ციურუპასა** და **რიკოვისათვის.**

ჩემი აზრით, კოოპერაცია პროფკავშირები არ არის.

კოოპერაცია სავალდებულო უნდა დარჩეს წევრობის თვალსაზრისით.

სახსრების მოდენა ნებაყოფლობითია. თუ ჩვენში კოოპერაცია ივაჭრებს (და არა ითამაშებს ყოველდღიური გაზეთების გამომცემლობანას, სადაც უსაქმურმა ყბედებმა თავი მოაბეზრეს ყველას პოლიტიკური ლაყბობით), ვაჭრობამ შემოსავალი უნდა მოგვცეს. ვისაც შესატანი შეაქვს, შემოსავალს იღებს.

კოოპერაციის წევრია ყველა. ეს მომავლისათვის გვჭირდება. ეს რას უშლის ხელს, არ ჩანს.

საპაიო შესატანი ნებაყოფლობითია. ვინც შესატანს შეიტანს, შემოსავლის წილს მიიღებს.

დასკვნა: ჩემი აზრით, საკითხი უნდა გადაიდოს; არ უნდა დაისვას ამ სესიაზე.

18/III. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 18 მარტს
პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები
გენუის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის განცხადების პროექტისათვის [452]

ამხანაგ მოლოტოვს

ამხ. ჩიჩერინის მოხსენებაში, რომლის სათაურია «კონფერენციაზე პირველი სიტყვის ელემენტები», ჩემი წინადადებაა შევიტანოთ შემდეგი ცვლილებები:

1) პირველ გვერდზე, ზემოდან სტრიქონები 7 და 8 — უნდა ვილაპარაკოთ «საკუთრების სისტემებზე», და არა საერთოდ პოლიტიკურ-ეკონომიურ სისტემებზე [453].

2) იმავე გვერდზე, ქვემოდან 8 და 9 სტრიქონები — უთუოდ ამოვაგდოთ ყოველნაირი ხსენებაც კი, რომ «გარდაუვალია ძალადური გადატრიალება და სისხლისმღვრელი ბრძოლა», ამის მაგივრად ვთქვათ მხოლოდ ის, რომ ჩვენ, კომუნისტები, არ ვიზიარებთ პაციფისტების შეხედულებებს, რაც საკმაოდ ცნობილია კომუნისტური ლიტერატურიდან, მაგრამ, რადგან აქ მოვედით როგორც ვაჭრები, ჩვენ მოვალეობად უდავოდ მიგვაჩნია ყოველი ღონისძიებით დავუჭიროთ მხარი სადავო საკითხთა მშვიდობიანი გადაწყვეტის ყველა ცდას.

3) იმავე გვერდზე, ქვემოდან 2 და 3 სტრიქონები — უთუოდ ამოვშალოთ სიტყვები, რომ ჩვენი «ისტორიული კონცეფცია შეიცავს ძალადურ ღონისძიებათა გამოყენებას».

4) გვერდი მე-2, ზემოდან 2 და 3 სტრიქონები — უთუოდ ამოვშალოთ სიტყვები, რომ ჩვენი ისტორიული კონცეფცია

უთუოდ გულისხმობს ახალი მსოფლიო ომების გარდაუვალობას.

არავითარ შემთხვევაში ასეთი საშინელი სიტყვები არ უნდა ვიხმაროთ, რადგან ეს ნიშნავს ხელს უწყობდე მოწინააღმდეგეს. უნდა დავჯერდეთ მხოლოდ იმის აღნიშვნებს, რომ კომუნისტების შეხედულებანი არ ემთხვევა ისეთ პაციფისტთა შეხედულებებს, როგორიც არიან ის სახელმწიფოები, რომლებთანაც მოლაპარაკებას ვიწყებთ, ჰენდერსონის, კეინსის მაგვარი სახელმწიფო მუშაკები და სხვ., მაგრამ ჩვენთვის სასურველი ეკონომიური შეთანხმების მისაღწევად ჩვენ მოვალეობად მიგვაჩნია ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა რაც შეიძლება ფართოდ შევასრულოთ ამ პაციფისტური პროგრამის თუნდაც გარკვეული ნაწილი-თქო.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 23 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 45

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით
(მანქანაზე გადაწერილი
ეგზემპლარი)

რ კ პ (ბ) X I ყ რ ი ლ ო ბ ა

1 9 2 2 წ ლ ი ს 2 7 მ ა რ ტ ი — 2 ა პ რ ი ლ ი [454]

1

წინადადება კომინტერნში რკპ(ბ) დელეგაციის ანგარიშის გამო რეზოლუციის პროექტისათვის

ერთიანი ფრონტის ტაქტიკის მიზანი და აზრი ის არის, რომ კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩავაბათ მუშების სულ უფრო ფართო მასა, ამასთან არ ვერიდებოდეთ იმას, რომ ასეთი ერთობლივი ბრძოლისათვის განმეორებით მივმართავდეთ წინადადებით II და II$^1/_2$ ინტერნაციონალების ბელადებსაც კი. როცა მუშების უმრავლესობამ უკვე დაამყარა თავისი კლასობრივი, ე. ი. საბჭოთა და არა «საერთო ეროვნული»,

ე. ი. ბურჟუაზიასთან საერთო წარმომადგენლობა და უკვე დაამხო ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობა, მაშინ ერთიანი ფრონტის ტაქტიკა, რა თქმა უნდა, აღარ მოითხოვს მივმართოთ ისეთ პარტიებს, როგორიც არიან მენშევიკები («რსდმპ») და ს.-რ. («სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია»), რადგან ისინი საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგენი აღმოჩნდნენ. მუშათა მასებზე ჩვენი გავლენის გაფართოება, საბჭოთა ხელისუფლების დროს, გვიხდება **მენშევიკებისა** და **ს.-რ.**-ებისადმი მიმართვის გზით კი არა, არამედ ზემოაღნიშნული გზით [455].

დაწერილია 1922 წლის
29 მარტსა და 2 აპრილს შორის

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ჟურნალში «ვოპროსი ისტორიი კპსს»
№ 2

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

2

2 აპრილის სიტყვა «პრავდაში» განცხადებების გეჭდვის საკითხზე [456]

ამხანაგებო! აქ მოხდა თითქმის ფატალური გაუგებრობა. მე სიტყვა ავიღე წესრიგისათვის (რასაც ამხ. თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა) და არა საბოლოო სიტყვისათვის. სიტყვა წესრიგისათვის მოვითხოვე იმიტომ, რომ ყრილობისათვის მეთხოვა გადაუხვიოს წესსა და ნორმას. არსებობს წესი, რომ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ამ საკითხში რაიმე ჩარევა სწორი არ არის. ვთხოვ ყრილობას მომცეს 4 — 5 წუთი, რათა გამოვთქვა აზრი იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც შეცდომით მივიღეთ.

როცა გავიგონე, რომ ყრილობამ მიიღო ეს გადაწყვეტილება, და როცა გავიგონე, რომ მას ამხ. რიაზანოვი იცავდა... (**რიაზანოვი:** «ეს სწორი არ არის».) ძალიანაც კარგი, რომ ერთი უაზრო გადაწყვეტილება მაინც გავიდა ურიაზანოვოდ.

მართლაც, ჩვენ წინ რომ ყოფილიყო გულუბრყვილო, ნორჩი, ასე თორმეტი წლის ქალიშვილი, რომელმაც მხოლოდ გუშინ გაიგონა, რომ ამქვეყნად არსებობს კომუნიზმი, ჩაეცვა წითელბაფთებიანი თეთრი კაბა და ეთქვა, კომუნისტები პატიოსანი ვაჭრები არიანო, — ეს სასაცილო იქნებოდა, ამაზე შეგვეძლო გულიანად გაგვეცინა, სერიოზულად კი რას ვშვრებით? სად იშოვის ფულს «პრავდა», რომელსაც თქვენ განცხადებები წაართვით? გეკითხებით, რამდენი ფული სჭირდება «პრავდას», რომ «იზვესტიას» არ ჩამორჩეს? არ იცით? ჰოდა, არც მე ვიცი!

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-2 — 3 გამოცემებში, ტომი XXVII

იბეჭდება
სტენოგრამის მიხედვით

3

შენიშვნები ყრილობის 2 აპრილის სხდომაზე

ს ე დ ო ი:

α) . . . წინააღმდეგობანი. არანორმალურობა, არათანამიმდევრობა...

β) **«უდიდესი ნდობა»** და!!?

---

1) დაუსაბუთებელია ბრალდება, თითქოს ცეკა დევნიდეს ყოფილ მ უ შ ა თ ა ო პ ო ზ ი ც ი ა ს

2) უარი დადებითს მუშაობაზე

3) მთავარი ყურადღება ეთმობა ოპოზიციობანას თამაშს

4) მოქცევა მელითონეთა ყრილობაზე

5) იგივე — ყრილობის შემდეგ

6) შეიმჩნევა თუ არა ყოფილი მ უ შ ა თ ა ო პ ო ზ ი ც ი ი ს შიგნით ისეთი გაყოფა, რაც პარტიას აიძულებს გამოარჩიოს უმრავლესობა, რომელიც, შეხედულებათა სხვაობის მიუხედა-

ვად, ლოიალურად მუშაობს პარტიაში, და უმცირესობა (იქნებ უმნიშვნელოც კი), რომელიც უთუოდ არალოიალურად იქცევა.

დაწერილია 1922 წლის 2 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა სამდივნოს მუშაობის ორგანიზაციის შესახებ

ცენტრალური კომიტეტი ავალებს სამდივნოს ზუსტად განსაზღვროს და დაიცვას ოფიციალური მიღების საათების განაწილება და გამოაქვეყნოს იგი; ამასთან წესად შემოიღოს, რომ მდივნებმა ნამდვილად პრინციპული ხელმძღვანელობის გარდა პირადად არ უნდა იკისრონ რაიმე სხვა სამუშაო, არამედ გადასცენ ასეთი სამუშაო თავიანთ თანაშემწეებსა და ტექნიკურ მდივნებს.

ამხანაგ სტალინს ევალება დაუყოვნებლივ გამონახოს თავისთვის მოადგილეები და თანაშემწეები, რომლებიც გაათავისუფლებენ მას საბჭოთა დაწესებულებებში მუშაობისაგან (პრინციპული ხელმძღვანელობის გარდა).

ცენტრალური კომიტეტი ავალებს საორგანიზაციო ბიუროსა და პოლიტბიუროს 2 კვირაში წარმოადგინონ კოლეგიის წევრობისა და მუშურ-გლეხური ინსპექციის თავმჯდომარის მოადგილეობის კანდიდატთა სია[457].

დაწერილია 1922 წლის 3 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბარათები რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებათა პროექტებით

1

ამხ. მოლოტოვ, გთხოვთ ეს სტატია და შემდეგი ჩემი წინადადებანი ჩამოტარების წესით გაუგზავნოთ პოლიტბიუროს წევრებს და ამ გზით მოაწყოთ კენჭისყრა.

1. არ წავიდნენ იმის წინააღმდეგ, რომ ამხ. ლენინის ეს სტატია სამშაბათს დაიბეჭდოს «იზვესტიასა» და «პრავდაში».

2. მიეცეს დირექტივა საბჭოთა და პარტიულ პრესას ზემოაღნიშნული თვალსაზრისით შეაფასოს ბერლინის შეთანხმება, ამასთან განსაკუთრებით დაწვრილებით ამხილოს ზუსტი ფაქტი, რომ არსებობს ფაქტობრივი კავშირი ს.-რ.-ებსა და მენშევიკებს, ორივე ამ პარტიის მემარჯვენე ფრთასა, და საერთაშორისო ბურჟუაზიას შორის.

3. დაჩქარდეს, აღნიშნული მიზნით, ის, რომ ყველა ევროპულ ენაზე გამოიცეს სავინკოვის ბროშურა «ბრძოლა ბოლშევიკებთან» და სტ. ივანოვიჩის ბროშურა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მწუხრი», ამასთან ვრცლად იყოს განმარტებული, თუ როგორ დაამტკიცა ორივე ამ ბროშურამ მენშევიკებისა და ს.-რ.-ების მემარჯვენე ფრთის რეალური კავშირი საერთაშორისო რეაქციასთან.

4. დაევალოს ამხ. ტროცკის თვალყური ადევნოს იმას, რომ ასეთი და ამის მსგავსი მასალები გამოიცეს ყველა ენაზე სათანადო განმარტებით რაც შეიძლება მალე.

5. წინადადება მიეცეს ტელეგრაფით ამხ. რადეკს რაც შეიძლება მალე წამოვიდეს მოსკოვში ბერლინის თათბირის სრული ოქმებით.

6. ამხ. ბუხარინს აეკრძალოს რუსეთში წამოსვლა და დაევალოს მკურნალობის გასაგრძელებლად **წასვლა.**

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 9 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 45

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით
(მანქანაზე გადაწერილი
პირი)

2

ამხანაგ სტალინს
პოლიტბიუროსათვის

ამხ. ზინოვიევის წინადადების გამო ახლა ხმას ვაძლევ იმას, რომ რადეკი არ გამოვიძახოთ, არამედ ვიკმაროთ ბერლინის

თათბირის ყველა დაწვრილებითი ოქმის გამოთხოვა იმ პირობით, რომ გამოგზავნონ დიპლომატიური ფოსტით.

ბუხარინის აქ ჩამოსვლის გადაჭრით წინააღმდეგი ვარ, რადგან ეს საჭირო არ არის და ხელს კი შეუშლის მის მკურნალობას [458].

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 10 აპრილს

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 45

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით
(მანქანაზე გადაწერილი
ეგზემპლარი)

შენიშვნები და წინადადებანი სამი ინტერნაციონალის კონფერენციის დამთავრებასთან დაკავშირებით კომინტერნის აღმასკომის გადაწყვეტილების პროექტის გამო [459]

წერილები გ. ე. ზინოვიევს

1

1-ლი პუნქტისთვის გთავაზობთ დამატებას: განსაკუთრებით დაწვრილებით უნდა განვმარტოთ 1) ჩვენი მენშევიკებისა და ესერების ფაქტობრივი კავშირი მემამულეებისა და ბურჟუაზიის საერთო ფრონტთან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სავინკოვის ბროშურას «ბრძოლა ბოლშევიკებთან» (ვარშავა, 1920), აგრეთვე სტ. ივანოვიჩის ბროშურას «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მწუხრი», რადგან ამ წიგნებში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება ის, რაც, რა თქმა უნდა, ცნობილია მთელი რიგი სხვა დოკუმენტებიდან, — სახელდობრ, რომ მენშევიკებისა და ესერების მემარჯვენე ფრთა ფორმალურად ინიღბება საერთო პარტიის წოდებით, სინამდვილეში კი მოქმედებს სავსებით დამოუკიდებლად. 2) განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ იმის ახსნა-განმარტებას, რომ ჩვენი მენშევიკები და ესერები და II და II$^1/_2$ ინტერნაციონალების ბელადები ერთნი არიან, რომ უაღრესად საზიანოა

ოტო ბაუერის უკანასკნელი ბროშურა, რომელშიც ავტორი ფაქტობრივად გვთავაზობს და ქადაგებს პანიკურად დავიხიოთ უკან კაპიტალიზმის წინაშე. ჩვენ არ შეგვიძლია ასეთი ქადაგება ისევე არ ავიგდოთ აბუჩად, როგორც აბუჩად ვიგდებდით ფრონტიდან პანიკურად გაქცევის ქადაგებას ომის დროს.

მე-2 პუნქტს ვეთანხმები.

მე-3 პუნქტისათვის:

აქ კი ეჭვი მეპარება, რადგან ვფიქრობ, რომ ერთხმივობის ზუსტი მოთხოვნის დადგენას თითქოს უნდა გადავერჩინეთ შეცდომებისაგან, ხოლო საერთო მოწოდებანი იმ თემებზე, რომლებიც განმარტავენ ბერლინის თათბირის მიერ დამტკიცებულ პუნქტებს (საბჭოთა რუსეთის დაცვა და სხვ.), ჩვენთვის უაღრესად სასარგებლო იქნება, რადგან მათ მრავალგზის გამოვიყენებთ მომავალშიც იმის სამხილებლად, თუ როგორ აერიათ თავგზა ჩვენს მოწინააღმდეგეებს.

მე-4 პუნქტისათვის: უთუოდ ვუჭერ მხარს.

მე-5 პუნქტისათვის: წინააღმდეგი არა ვარ.

მე-6 პუნქტისათვის:

ჩემთვის გაუგებარია ამ პუნქტის აზრი, რადგან ვფიქრობ, რომ ბერლინის შეთანხმების რატიფიკაცია საჭიროა დაუყოვნებლივ, როგორც კი მოგვივა მიღებულ გადაწყვეტილებათა ოფიციალური ტექსტი, ან იქნებ უმჯობესიც იყოს დაუყოვნებლივი რატიფიკაცია შენიშვნით, რომ ხდება სახელდობრ იმ ტექსტის რატიფიკაცია, რომელიც გამოქვეყნდა 9/IV «პრავდაში».

განსაკუთრებით გთხოვთ მიაღწიოთ იმას, რომ რაც შეიძლება მალე გამოგზავნონ სპეციალური კურიერით ბერლინის თათბირის ოქმის სრული ტექსტი და შეამოწმოთ, მოაწერეს თუ არა ხელი ამ ოქმს სამივე ინტერნაციონალის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 11 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით
(მანქანაზე გადაწერილი
პირი)

2

ამხ. ზინოვიევ!

კომინტერნის აღმასკომის გადაწყვეტილების იმ პუნქტებს, რომელთა გამო ამ დილით ერთმანეთს ბარათები მივწერეთ, საჭიროა კიდევ დაემატოს შემდეგი:

II და II$^1/_2$ ინტერნაციონალების პოლიტიკის კრიტიკას ახლა უნდა მივანიჭოთ რამდენადმე სხვა ხასიათი, — სახელდობრ: ამ კრიტიკას უნდა მიეცეს (განსაკუთრებით იმ კრებებზე, სადაც მონაწილეობას მიიღებენ II და II$^1/_2$ ინტერნაციონალების მომხრე მუშები, და მათთვის განკუთვნილ განსაკუთრებულ ფურცლებსა და სტატიებში) უფრო განმარტებითი ხასიათი, განსაკუთრებული მოთმინებითა და საფუძვლიანობით, ისე, რომ არ დავაფრთხოთ ეს მუშები მკვახე სიტყვებით, უნდა განვუმარტავდეთ მათ, თუ რა შეურიგებელი წინააღმდეგობებია იმ ლოზუნგებს შორის, რომლებიც მათმა წარმომადგენლებმა მიიღეს ბერლინში (მაგალითად, ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ, 8-საათიანი სამუშაო დღე, საბჭოთა რუსეთის დაცვა, დამშეულთა დახმარება), და მთელ რეფორმისტულ პოლიტიკას შორის.

იქნებ, სანამ ამას დავბეჭდავდეთ, საჭიროა შევამოწმოთ — დაამტკიცეს თუ არა ბერლინის გადაწყვეტილებანი II და II$^1/_2$ ინტერნაციონალებმა.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 11 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით
(მანქანაზე გადაწერილი
ეგზემპლარი)

ინტერვიუ გაზეთ «ნიუ-იორკ ჰერალდის» კორესპონდენტს [460]

ამხ. ლენინმა ამერიკის გაზეთ «ნიუ-იორკ ჰერალდის» თანამშრომელთან საუბარში გენუის კონფერენციის გამო განაცხადა:

ამ კონფერენციამ უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ ერთი ეკონომიური პრინციპით. რუსეთმა კარგად იცის, თუ რას უნდა მოელოდეს ბურჟუაზიული სახელმწიფოებისაგან. არ შეიძლება, რომ საქმეთა ახლანდელი ვითარება მომავალშიც ასე გაგრძელდეს. ეს დამღუპველია როგორც რუსეთისთვის, ისე მთელი მსოფლიოსთვისაც.

რუსეთს სჭირდება ვაჭრობა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან. მეორე მხრივ, ბურჟუაზიულმა მთავრობებმაც კარგად იციან, რომ ევროპის ეკონომიური ცხოვრება ვერ მოწესრიგდება ურუსეთოდ.

მაგრამ დიდად ცდებიან ისინი, ვინც აპირებს დამამცირებელი პირობები წამოუყენოს რუსეთის დელეგაციას გენუაში. რუსეთი არავის მისცემს უფლებას მოექცნენ როგორც დამარცხებულ ქვეყანას. თუ ბურჟუაზიული ქვეყნები შეეცდებიან ასეთი ტონით ელაპარაკონ რუსეთს, ისინი უდიდეს სისულელეს ჩაიდენენ.

«კრასნაია გაზეტა» (პეტროგრადი)
№ 84, 1922 წლის 14 აპრილი

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის
მიხედვით

დადგენილება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსი გ. ვ. პლეხანოვის თხზულებათა გამოცემის შესახებ

1922 წლის 27 აპრილი [461]

დაევალოს ამხ. კამენევს მოელაპარაკოს ამხ. ტერს და განახორციელოს პლეხანოვის რევოლუციურ ნაწარმოებთა გამოცემა ერთ კრებულად.

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 45

იბეჭდება
ოქმის ჩანაწერის
მანქანაზე გადაწერილი
ეგზემპლარის მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა ნატურალური გადასახადის შესახებ მონაცემების კრებსითი ცნობის ცენტრალურ კომიტეტში წარდგენის გამო

დაევალოს

1) სურსათის სახალხო კომისარიატს
2) მიწსახკომს
3) ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს
4) სახელმწიფო საგეგმო კომისიას
   სასოფლო-სამეურნეო სექციას

წარმოადგინონ ცენტრალურ კომიტეტში 4 დღის შემდეგ ნატურალური გადასახადის მონაცემების კრებსითი ცნობა არა უმეტეს **1 გვერდი** მოცულობისა, სადაც ნათლად და მკაფიოდ იქნება მოცემული 1921 — 1922 წლებში აკრეფილი ნატურალური გადასახადის ოდენობა და პრესაში ნავარაუდევი ოდენობა 1922 — 1923 წლებისათვის [462].

დაწერილია 1922 წლის 11 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 45

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ბარათი ი. ბ. სტალინს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხზე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტით [463]

ამხ. სტალინ! ჩემი წინადადებაა, ამის გამო, პოლიტბიუროს წევრთა შ ე კ ი თ ხ ვ ი თ გაიყვანოთ დირექტივა: «ცენტრალური კომიტეტი ადასტურებს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას და ადგენს, რომ ყველგან შეწყდეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გაერთიანების საკითხის დამუშავება და მომზადება. საიდუმლოდ მოაწეროს ხელი ყველა სახალხო კომი-

სარმა» და დაუბრუნოს ორიგინალი სტალინს, პირები არ გადაიღონ.

15/V. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 15 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დამატება რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის შემომღები კანონის პროექტისა და წერილი დ. ი. კურსკის [464]

პროექტი

რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის შემომღები კანონი

. . . 5. სანამ შეიქმნებოდეს პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა ხელისუფლებას კონტრრევოლუციის ხელყოფისაგან, რევოლუციურ ტრიბუნალებს უფლება ეძლევათ გამოიყენონ როგორც სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა იმ დანაშაულისთვის, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 58, 59, 60, 61, 62, 63+**64**... მუხლებით).

XX) დაემატოს აგრეთვე მუხლები *64*-იც, *65*-იც, *66*-იც, *67*-იც, *68*-ც და *69*-ც.

XX) დაემატოს საზღვარგარეთ გასახლებით დახვრეტის შეცვლის უფლება სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით (ვადით ან უვადოდ).

XXX) დაემატოს: დახვრეტა საზღვარგარეთიდან უნებართოდ დაბრუნებისათვის.

ამხ. კურსკი!

ჩემი აზრით, უნდა გავაფართოოთ დახვრეტის გამოყენება (საზღვარგარეთ გასახლების შეცვლით). იხ. მუხლი 1 **ქვემოთ** მენშევიკების, **ს.-რ.-ებისა და სხვა მისთანათა** ყოველნაირი საქმიანობის მიმართ;

გამოინახოს ფორმულირება, რომელიც ამ საქმიანობას **დაუკავშირებს საერთაშორისო ბურჟუაზიასა** და მის ბრძოლას ჩვენ წინააღმდეგ (პრესისა და აგენტების მოსყიდვა, ომის მომზადება და ა. შ.).

გთხოვთ სასწრაფოდ დამიბრუნოთ თქვენ მიერ გამოთქმული აზრითურთ.

15/V. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 15 მაისს

პირველად დაიბეჭდა არასრულად 1937 წელს ჟურნალ «ბოლშევიკში» № 2

მთლიანად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 45

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წერილი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წითელი არმიის შემცირების საკითხზე [465]

ვფიქრობ, რომ ეს საკითხი უნდა დაისვას, ამასთან გამოცხადდეს შემცირება ერთი მეოთხედით და ეს დასაბუთდეს იმით, რომ თუმცა პატარა და არც ისე საიმედო, მაგრამ მაინც რაღაც რეალური ნაბიჯია მიღწეული გენუაში დროებითი ზავის დადების გზაზე.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით 1922 წლის 20 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მდივნის ჩანაწერის მიხედვით (მანქანაზე გადაწერილი პირი)

წერილი ი. ბ. სტალინს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის და პროექტი დადგენილებისა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობის შესახებ

ამხ. სტალინს **პოლიტბიუროსათვის**

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიამ ცხადყო, რომ სრულიად რუსეთის ცენტრალუ-

რი აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობის ორგანიზაცია სწორი არ არის. მისი წევრების უდიდესი უმრავლესობა თანამდებობის პირნი არიან.

ჩემი წინადადებაა გამოვიტანოთ პოლიტბიუროს ასეთი დადგენილება:

საჭიროა, რომ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა სულ მცირე 60% იყვნენ მუშები და გლეხები, რომლებსაც არ უკავიათ რაიმე თანამდებობა საბჭოთა სამსახურში; რომ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა სულ მცირე 67% იყვნენ კომუნისტები; ამ საკითხის შემუშავება ცენტრალური კომიტეტის უახლოესი პლენუმისათვის დაევალოს სამეულს: ამხანაგებს კალინინს, ენუქიძეს, კამენევს. ჯერ შემოიტანონ პოლიტბიუროში, მისი მეშვეობით — ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რათა შემდეგ დაამტკიცოს სრულიად რუსეთის საბჭოების უახლოესმა ყრილობამ [466].

23/V. 1922.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ამიერკავკასიის მშრომელ ქალთა პირველ ყრილობას [467]

მივესალმები ამიერკავკასიის მშრომელ ქალთა I ყრილობას. მადლობელი ვარ არჩევისათვის. ავადმყოფობის გამო ვერ ჩამოვდივარ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის მაისში, არა უგვიანეს 26 რიცხვისა

დაბეჭდილია 1922 წლის 29 მაისს გაზეთ «ბაკინსკი რაბოჩი» № 117

იბეჭდება გაზეთ «ბაკინსკი რაბოჩის» ტექსტის მიხედვით

სსრ კავშირის შექმნის შესახებ

წერილი ლ. ბ. კამენევს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის [465]

26/IX.

ამხ. კამენევ! თქვენ, ალბათ, უკვე მიიღეთ სტალინისაგან მისი კომისიის რეზოლუცია რუსეთის სფს რესპუბლიკაში დამოუკიდებელი რესპუბლიკების შესვლის შესახებ.

თუ არ მიგიღიათ, გამოართვით მდივანს და დაუყოვნებლივ წაიკითხეთ, გეთაყვა. ამის შესახებ გუშინ ვესაუბრე სოკოლნიკოვს, დღეს სტალინს. ხვალ ვნახავ მდივანს (ქართველი კომუნისტია, «დამოუკიდებლოსნობაში» ეჭვმიტანილი).

ჩემი აზრით, ეს არქიმნიშვნელოვანი საკითხია. სტალინს, ეტყობა, ცოტა ეჩქარება. საჭიროა კარგად მოიფიქროთ (თქვენ ოდესღაც აპირებდით ამ საქმისთვის ხელის მოკიდებას და ცოტა რაღაც გააკეთეთ კიდეც); ზინოვიევმაც მოიფიქროს.

ერთ დათმობაზე სტალინი უკვე დაგვთანხმდა. § 1-ში რუსეთის სფს რესპუბლიკაში «შესვლის» ნაცვლად ითქვას —

«რუსეთის სფს რესპუბლიკასთან ერთად ფორმალური გაერთიანება ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში».

ამ დათმობის სულისკვეთება, იმედია, გასაგებია: ჩვენ თავს ვცნობთ უკრაინის სს რესპუბლიკასთან და სხვ. თანასწორუფლებიანად და მათთან ერთად და მათთან თანასწორად შევდივართ ახალ კავშირში, ახალ ფედერაციაში, «ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში».

მაშინ § 2-იც უნდა შეიცვალოს. რუსეთის სფს რესპუბლიკის სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებთან ერთად შეიქმნას რაღაც ამგვარი —

«ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საერთო-ფედერალური ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი».

თუ კვირაში ერთხელ სხდომას გამართავს ერთი და ერთხელ მეორე (ან თუნდაც 2 კვირაში ერთხელ მეორე), ამის მოგვარება ადვილია.

მთავარია სათქმელი არ მივცეთ «დამოუკიდებლოსნებს», არ ვსპობდეთ მათს დამოუკიდებლობას, არამედ ვქმნიდეთ კიდევ ერთ ახალ სართულს, თანასწორუფლებიანი რესპუბლიკების ფედერაციას.

§ 2-ის მეორე ნაწილი შეიძლებოდა დარჩენილიყო: უკმაყოფილონი საჩივარს შეიტანენ (შრომისა და თავდაცვის საბჭოსა და სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებათა გამო) საერთო-ფედერალურ სრულიად საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, ოღონდ ამით არ შეაფერხებენ შესრულებას (ისევე როგორც რუსეთის სფს რესპუბლიკაში).

§ 3 შეიძლებოდა დარჩენილიყო შეცვლილი რედაქციით: «ერთიანდებიან საერთო-ფედერალურ სახალხო კომისარიატებში, რომლებიც მოსკოვში იქნება, იმ პირობით, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკის შესაბამის სახალხო კომისარიატებს ჰყავდეთ ევროპისა და აზიის რესპუბლიკების კავშირში შესულ ყველა რესპუბლიკაში თავიანთი რწმუნებულები მცირერიცხოვანი აპარატით».

§ 3-ის მეორე ნაწილი რჩება; იქნებ მეტი თანასწორუფლებიანობისათვის შეიძლება ვთქვათ: «ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების შეთანხმებით».

მესამე ნაწილი მოსაფიქრებელია: ხომ არ შევცვალოთ «მიზანშეწონილი» «სავალდებულოთი»? ან ხომ არ ჩავუმატოთ პირობითი ვალდებულება თუნდაც შეკითხვის სახით და იმის დაშვებით, რომ გადაწყვეტა შეუკითხავად შეუძლიათ მხოლოდ «განსაკუთრებით სასწრაფო საჭიროების» შემთხვევაში?

§ 4, იქნებ, აქაც «შეერთდნენ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების შეთანხმებით»?

§ 5-ს, იქნებ, დავუმატოთ: «წ მ ი ნ დ ა ს ა თ ა თ ბ ი რ ო ხასიათის (ან მ ხ ო ლ ო დ სათათბირო ხასიათის) ერთობლივი კონფერენციებისა და ყრილობების დაწესებით»?

შესაბამისი ცვლილებები 1-ლ და მე-2 შენიშვნებში.

სტალინი დაგვეთანხმა გადადოს რეზოლუციის შეტანა ცეკას პოლიტბიუროში ჩემს ჩამოსვლამდე. მე ჩამოვდივარ ორშაბათს, 2/X. მინდა დილას ასე 2 საათით შეგხვდეთ თქვენ და რიკოვს, ვთქვათ, 12 — 2-ზე, და, თუ საჭირო იქნა, საღამოს, ვთქვათ, 5 — 7 ან 6 — 8 საათზე.

ეს ჩემი წინასწარი პროექტია. მდივანთან და სხვ. ამხანაგებთან საუბრების საფუძველზე დავუმატებ და შევცვლი. ძალიან გთხოვთ, თქვენც ასე მოიქცეთ და მიპასუხოთ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. პირები გაეგზავნოს პოლიტბიუროს **ყველა** წევრს.

დაწერილია 1922 წლის
26 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ფეიქარი მუშებისა და მუშა ქალების ყრილობას [469]

10. X. 1922 წელი

ძვირფასო ამხანაგებო!

ბოდიშს ვიხდი, რომ თქვენი მოტყუება მომიხდა! კბილის ტკივილი დამჩემდა და ამან ჩემი მუშაობის დასაწყისშივე არათუ მომწყვიტა საქმეს, არამედ ახლაც — მთელი ერთი კვირით — მომიშალა ნერვები. იძულებული ვარ ყველა პაემანი (ყრილობებზე) კვლავ ერთი კვირით გადავდო.

ძალიან ვწუხვარ, რომ ყრილობას ვერ შევხვდები. დიდი იმედი მაქვს, რომ ამხ. კუტუზოვი ყველაფერს დაწვრილებით

გიამბობთ და გადმოგცემთ ჩემს საუკეთესო სალამსა და სურვილებს.

თქვენი ლენინი

დაბეჭდილია 1922 წელს წიგნში «ფეიქართა პროფესიული კავშირის სრულიად რუსეთის მე-5 ყრილობის მუშაობის ანგარიში. 1922 წლის 6 — 11 ოქტომბერი». მოსკოვი

იბეჭდება გაზეთ «გოლოს ტექსტილეის» 1924 წლის 25 იანვრის საგანგებო გამოშვების ფაქსიმილეს მიხედვით

დამატება ლ. ურკარტთან ხელშეკრულების პიროობებისათვის [470]

1) კიდევ: უნდა შევამციროთ კონცესიის ტერიტორია, ამასთან აუცილებლად უზრუნველვყოთ, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკას დარჩეს ურალისათვის საკმარისი ეკიბასტუზის ნაწილი (არანაკლებ $^1/_4$ ან $^1/_6$-ისა);

2) მთავარია: ისე შევამციროთ თანხები, რომლებსაც ურკარტი იღებს, რომ ჩვენი შემოსავალი არ გადაიწიოს 1934 (?) წლამდე.

ლენინი

3) რა საჭიროა ეს შესწორება? ჩვენს რწმუნებულებს რომ **დაახლოებითი** დირექტივა მივცეთ?

მომხრე ვარ.

ლენინი

დაწერილია 1922 წლის ოქტომბერში, არა უადრეს 25 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

თეზისები კოოპერაციული ბანკის შესახებ [471]

1) პრემიები გარიგებათა ოდენობისა და მაზრებში გავრცელებისათვის;

2) იგივე — ანაბრებისათვის;

3) ყველაზე თვალსაჩინო სასოფლო-სამეურნეო კომუნისტ კოოპერატორთა მონაწილეობა ბანკში კონტროლისა და დაჩქარებისათვის;

4) კოოპერაციული ბანკის წახალისება სახბანკის მიერ %-ის შემცირების სახით;

5) რაღაც თანხის ასიგნება სახბანკის მიერ.

დაწერილია 1922 წლის
2 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 45

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პეტროგრადელ ფეიქრებს [472]

3. XI. 1922.

ძვირფასო ამხანაგებო! გულითადი მადლობა გამოგზავნილი პლედისათვის, ჩემი აზრით, მშვენიერია. ძალიან ვწუხვარ, რომ შოროვი ვერ მივიღე.

დიდი მოკითხვა! თქვენი ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

წინადადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს არმიის შემცირების შესახებ

ამხ. სტალინს

გთხოვთ ახლავე გამოკითხოთ პოლიტბიუროს წევრებს აზრი ჩემი შემდეგი წინადადების გამო:

დამტკიცდეს ამხ. ტროცკის განზრახულობა, რომ მთავრობაში შეიტანოს საკითხი იანვრის განმავლობაში არმიის 200 ათასი კაცით შემცირების შესახებ;

შევეკითხოთ ამხ. ტროცკის, რამდენ ხანში მიაჩნია შესაძლებლად ასეთი წინადადება გაფორმებული სახით შეიტანოს სახალხო კომისართა საბჭოში[473].

13/XI. 1922 წელი

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 45

იბეჭდება
მანქანაზე გადაწერილი
ეგზემპლარის მიხედვით

რუსულ კოლონიას ჩრდილოეთ ამერიკაში[474]

საბჭოთა რუსეთისადმი ტექნიკური დახმარების ამერიკის საზოგადოების წარმომადგენელმა — ამხ. რაიხელმა — შემატყობინა, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში რუსული კოლონიის ნაწილს აქვს მცდარი შეხედულება ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე.

ეს მცდარი შეხედულება, ვფიქრობ, შეიძლება იყოს იმის შედეგი, რომ კაპიტალისტური პრესა განზრახ დამახინჯებულად განმარტავს ამ პოლიტიკას, ხოლო საბჭოთა რუსეთიდან გაძევებული გაბოროტებული თეთრგვარდიელები, აგრეთვე მენშევიკები და ესერები, ავრცელებენ სულელურ ზღაპრებს.

ევროპაში ეს ზღაპრები ჩვენზე და, განსაკუთრებით, ჩვენს ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე სულ უფრო და უფრო გამოდის ხმარებიდან. ახალ ეკონომიურ პოლიტიკას რადიკალურად არაფერი შეუცვლია საბჭოთა რუსეთის საზოგადოებრივ წყობილებაში და ვერც შეცვლის ვერაფერს, სანამ ძალაუფლება მუშების ხელშია, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეში, მგონი, ამჟამად აღარავის უნდა ეპარებოდეს ეჭვი. კაპიტალისტური პრესის ავყიაობა და რუს თეთრგვარდიელთა მოზღვავება ამერიკაში — მხოლოდ ადასტურებს ჩვენს ძალას.

სახელმწიფო კაპიტალიზმი, რომელიც ახალი ეკონომიური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მომენტია, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში არის ისეთი კაპიტალიზმი, რომელსაც შეგ-

ნებულად უშვებს და ზღუდავს მუშათა კლასი. იმ ქვეყნების სახელმწიფო კაპიტალიზმისაგან, რომლებსაც ბურჟუაზიული მთავრობები ჰყავთ, ჩვენი სახელმწიფო კაპიტალიზმი მეტად არსებითად გამოირჩევა სწორედ იმით, რომ ჩვენში სახელმწიფოს ბურჟუაზია კი არ წარმოადგენს, არამედ პროლეტარიატი, რომელმაც შეძლო მოეპოვებინა გლეხობის სრული ნდობა.

სამწუხაროდ, სახელმწიფო კაპიტალიზმის შემოღება ჩვენში ისე სწრაფად ვერ მიდის, როგორც ჩვენ გვინდა. დღემდე, მაგალითად, ფაქტობრივად არა გვაქვს არც ერთი სერიოზული კონცესია, ხოლო ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებაში უცხოეთის კაპიტალის მონაწილეობის გარეშე მისი სწრაფი აღდგენა წარმოუდგენელია.

იმათ, ვისთვისაც ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის, ერთადერთი სწორი პოლიტიკის, საკითხი საკმაოდ ნათელი არ არის, — ვურჩევ წაიკითხოს ამხ. ტროცკისა და ჩემი სიტყვები კომუნისტური ინტერნაციონალის IV კონგრესზე * ამ საკითხის შესახებ.

ამხ. რაიხელმა მაცნობა, რომ ტექნიკური დახმარების საზოგადოება ეწევა მოსამზადებელ მუშაობას იმ ამერიკელთა სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოო კომუნების შექმნისათვის, რომლებსაც სურთ ჩამოვიდნენ და იმუშაონ რუსეთში, ამასთან ვარაუდობენ, რომ თან ჩამოიტანენ წარმოების ახალ იარაღებს, ტრაქტორებს, გაუმჯობესებულ კულტურულ მცენარეთა თესლს და ა. შ.

წერილებში, რომლებიც გავუგზავნე ტექნიკური დახმარების საზოგადოებასა და საბჭოთა რუსეთის მეგობრების საზოგადოებას იმის გამო, რომ 1922 წლის ზაფხულში რუსეთში მათ სასოფლო-სამეურნეო კომუნებმა და რაზმებმა ფრიად წარმატებით იმუშავეს, უკვე გადავუხადე მადლობა ამერიკელ ამხანაგებს **.

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 493 — 511. რ ე დ.

** იქვე, გვ. 447 — 448, 449 — 450. რ ე დ.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა საბჭოთა მთავრობის სახელით კიდევ ერთხელ გადავუხადო მათ მადლობა და ხაზი გავუსვა, რომ ყველა სახის დახმარებას შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე ძვირფასია დახმარება ჩვენი სოფლის მეურნეობისა და ამ მეურნეობის ტექნიკის გაუმჯობესებისათვის.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1922 წლის
14 ნოემბერს

დაიბეჭდა 1923 წლის 10 იანვარს
გაზეთ «რუსკი გოლოსში» № 2046.
ნიუ-იორკი

იბეჭდება მანქანაზე
გადაწერილი
პირის მიხედვით,
რომელიც შეჯერებულია
გაზეთის ტექსტთან

პროექტი კომინტერნის IV კონგრესის რეზოლუციისა კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამის საკითხზე [475]

ცენტრალური კომიტეტის ხუთეულის თათბირზე (ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, რადეკი, ბუხარინი)
მიღებული წინადადებანი
1922 წლის 20 ნოემბერს

1. ყველა პროგრამა ბარდება კომინტერნის აღმასკომს ან მის მიერ დანიშნულ კომისიას დეტალურად დამუშავებისა და შესწავლისათვის.

კომინტერნის აღმასკომი ვალდებულია უახლოეს ვადაში გამოაქვეყნოს პროგრამების ყველა პროექტი, რომლებსაც იღებს.

2. კონგრესი ადასტურებს, რომ ეროვნული პარტიები, რომლებსაც ჯერ არა აქვთ თავიანთი ეროვნული პროგრამები, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ მათ შედგენას, რათა სულ ცოტა სამი თვით ადრე შემდეგ კონგრესამდე შეიტანონ ისინი აღმასკომში მომავალ კონგრესზე საბოლოო დამტკიცებისათვის.

3. ეროვნულ პროგრამებში მთელი სიზუსტითა და კატეგორიულობით უნდა იყოს დასახული, რომ საჭიროა ბრძოლა გარდამავალი მოთხოვნებისათვის, ამასთან სათანადო შენიშვნებით, რომ ეს მოთხოვნები დამოკიდებულია დროისა და ადგილის კონკრეტულ პირობებზე.

4. ყველა ამგვარი გარდამავალი თუ ნაწილობრივი მოთხოვნის თეორიული ბაზა გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული საერთო პროგრამაში, ამასთან IV კონგრესი აცხადებს, რომ კომინტერნი ერთნაირად გადაჭრით გმობს როგორც ცდებს ოპორტუნიზმად წარმოადგინონ პროგრამაში ცალკეული მოთხოვნების შეტანა, ისე რაიმე ცდებს მიჩქმალონ ძირითადი რევოლუციური ამოცანა და მის მაგივრად წამოაყენონ ნაწილობრივი მოთხოვნები.

5. საერთო პროგრამაში ნათლად უნდა იყოს აღნიშნული ეროვნული პარტიების ძირითადი ისტორიული ტიპის გარდამავალი მოთხოვნები ეკონომიურ სტრუქტურათა ძირეული სხვაობის მიხედვით, როგორც, მაგალითად, ინგლისი და ინდოეთი, და სხვა ამგვარი [476].

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაწერილი
პირის მიხედვით

წინადადებანი სახალხო კომისართა საბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა შორის სამუშაოს განაწილების შესახებ [477]

სამუშაოს განაწილება მოადგილეებს შორის:

1. ერთი მოადგილე იღებს შ რ ო მ ი ს ა დ ა თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო ს, ორი სხვა — ს ა ხ ა ლ ხ ო კ ო მ ი ს ა რ თ ა ს ა ბ ჭ ო ს თვედათვე.
2. სახალხო კომისარიატებს ინაწილებენ სიით 1922 წლის გაზაფხულის სიის მიხედვით (ან მაგვარად).

3. უკვე დაწყებულ სამუშაოს (მაგალითად, ტრესტები — კომისია ტრესტების შესახებ; მძიმე ინდუსტრიისათვის გაღებული ხარჯების აღრიცხვა) განაგრძობს ამხ. კამენევი.
4. თითოეული მოადგილე კისრულობს აპარატის შემოწმებას; — გარკვეული ნაწილისას ყოველ კვირაში ან ყოველ ორ კვირაში (უნდა გაიანგარიშონ და გაანაწილონ ისე, რომ თითოეული შემოწმება რიგრიგობით მიეძღვნას ხან ერთ, ხან მეორე სახალხო კომისარიატს; — ხან მის ხელმძღვანელობას, ხან თანამშრომლებს; — თითოეული უნდა განმტკიცდეს დაწვრილებითი წერილობითი დადგენილებით; შეუმოწმებელი სახალხო კომისარიატების ის ნაწილები, რომლებიც არ განახორციელებენ სხვა სახალხო კომისარიატებისათვის ჩაწერილ, მაგრამ სავსებით ანალოგიურ შემცირებებსა და გაუმჯობესებებს, უნდა დაისაჯონ, თვით დაპატიმრებითა და დათხოვნით).

4/XII. 1922 წელი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტისათვის სახელმწიფო მომარაგების კომისიის მოხსენების გამო

მოყვანილი გაანგარიშების გარდა მთლიანად უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყველა სკოლის, როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეთა, მოთხოვნილება პურზე, და დაევალოთ ამხ. კამენევს, ამხ. ციურუპას და ამხ. იაკოვლევას იანგარიშონ, სახელდობრ რამდენი პური უნდა გადაიდოს ამისთვის, და ამას დაუმატონ მინიმალური, განსაკუთრებულად შეძოწმებული რაოდენობა მოსამსახურეთათვის.

სკოლებისთვის გაღებულ თანხას დაემატოს კიდევ 1 მილიონი მანეთი ოქროთი [478].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 6 ან 7 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაწერილი ეგზემპლარის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

წინადადება პლენუმს პოლიტბიუროს რეგლამენტის შესახებ

1. პოლიტბიუროს სხდომები იმართება ხუთშაბათობით 11 საათიდან და არა უგვიანეს 2-ისა.

2. თუ რჩება განუხილავი საკითხები, ისინი გადააქვთ ან პარასკევისათვის, ან ორშაბათისათვის იმავე საათებში.

3. პოლიტბიუროს დღის წესრიგი დარიგებული უნდა იყოს არა უგვიანეს ოთხშაბათის დღის 12 საათისა. ამ დროისათვის უნდა იყოს გამოგზავნილი დღის წესრიგის მასალებიც (წერილობით).

4. დამატებითი საკითხების შეტანა სხდომის დღეს შეიძლება მხოლოდ შემდეგი პირობით:

ა) თუ აბსოლუტურად გადაუდებელია (განსაკუთრებით დიპლომატიური საკითხები),

ბ) მხოლოდ წერილობით,

გ) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროტესტს არ განაცხადებს პოლიტბიუროს არც ერთი წევრი.

უკანასკნელი პირობა დღის წესრიგის დამატებით საკითხთა შეტანის წინააღმდეგ პროტესტის განუცხადებლობის შესახებ შეიძლება უგულებელყოფილ იქნეს დიპლომატიური საკითხების მიმართ, რომელთა გადადება არ შეიძლება.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით 1922 წლის 8 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება მდივნის ჩანაწერის მიხედვით (მანქანაზე გადაწერილი ეგზემპლარი)

წინადადებანი სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილეების მუშაობის წესის შესახებ

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილეების მუშაობის წესი

1. მუშაობის დრო: 11 — 2, 6—9; სახკომსაბჭოს თავმჯდომარესთან ერთად დღეებში: **ორშაბათსა და სამშაბათს, ხუთშაბათსა და პარასკევს.**

2. შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარისა და ყველა მოადგილის საგანგებო სხდომები ამ დღეებსა და საათებში (მინუს პოლიტბიუროო, სახკომსაბჭო და შრომისა და თავდაცვის საბჭო) ყოველთვის, როცა საჭირო იქნება, **საერთოდ კი სულ ცოტა** ორჯერ კვირაში თითო საათი. ეს საათი უნდა განისაზღვროს წინა დღეს საღამოს ცხრა საათამდე.

3. მოადგილეების მთელი მუშაობა ნაწილდება ასე:

(ა) უახლოესი თვალყური ადევნონ მცირე სახკომსაბჭოს მუშაობას;

(ბ) იგივე — შ რ ო მ ი ს ა დ ა თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო ს საგანმგებლო სხდომების მუშაობას

(საჭიროა აღვადგინოთ შ რ ო მ ი ს ა დ ა თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო ს საგანმგებლო სხდომები, რათა გავათავისუფლოთ მოადგილეები სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მუშაობისათვის. საგანმგებლო სხდომებს მოადგილეები ა რ თავმჯდომარეობენ, მაგრამ ამ სხდომების გადაწყვეტილებანი საბოლოოა მ ხ ო ლ ო დ მ ა თ ი ხელმოწერის შემდეგ);

(გ) უთავმჯდომარეონ ს ა ხ კ ო მ ს ა ბ ჭ ო ს და შ რ ო მ ი ს ა დ ა თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო ს სხდომების იმ ნაწილს, რომლებსაც არ თავმჯდომარეობს ს ა ხ კ ო მ ს ა ბ ჭ ო ს თავმჯდომარე;

(დ) მონაწილეობდნენ ფინანსთა კომიტეტში (პლუს სოკოლნიკოვი და მისი მოადგილე და მცირე სახკომსაბ-

ჭოს თავმჯდომარე; ეს უკანასკნელი — ფინანსთა კომიტეტის ყველა კრებაზე არა).

(იქნებ კვირაში ერთხელ დაწესდეს ფინანსთა **კომიტეტის** ერთსაათიანი სხდომა **სახკომსაბჭოს** თავმჯდომარის თავმჯდომარეობით? ეს უნდა მოვიფიქროთ.);

(ე) ოთხივემ ერთად, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით, განსაზღვრონ ყველა დაწესებულების, მათ შორის მცირე სახკომსაბჭოს, დღის წესრიგი და საკითხების რიგითობა, ამასთან გამოყონ უმნიშვნელოვანესი საკითხები;

(ვ) უახლოესი თვალყური ადევნონ ცალკეულ სახალხო კომისარიატებსა და მათს აპარატს როგორც პირადად სახალხო კომისრებისა და მათი მოადგილეებისათვის მითითებების მიცემის გზით, ისე მათი აპარატის თავიდან ბოლომდე შესწავლის გზით;

(ზ) ამისათვის (პუნქტი ვ) სახალხო კომისარიატებს ინაწილებენ მოადგილეები, რასაც ამტკიცებს ს ა ხ კ ო მ ს ა ბ ჭ ო ს თავმჯდომარე.

4. მთელი ზემოაღნიშნული მუშაობა მოადგილეებს შორის ისე ნაწილდება, რომ სამივე (ჩოლო თუ საჭირო იქნა, მათი თანაშემწეებიც საქმეთა მმართველების რიცხვიდან) გარკვეულ სამუშაოზე «ისხდნენ» ო რ-ო რ თ ვ ე ს, შემდეგ კი ი ც ვ ლ ი დ ნ ე ნ ს ა მ უ შ ა ო ს.

(ეს საჭიროა იმისთვის, რომ ყველა მოადგილე გაეცნოს მთლიანად მთელი აპარატის მუშაობას და მივაღწიოთ მართვის ნამდვილ ერთიანობას.)

5. სამ მოადგილეს შორის ასეთი განაწილების პროექტს ისინი დაუყოვნებლივ ადგენენ და ოთხივე ერთად ამტკიცებს.

6. ვინაიდან მუშაობა მთელი აპარატის გაუმჯობესებისა და გამოსწორებისათვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავმჯდომარეობა და მასლაათი სახკომების მოადგილეებთან და სახკომებთან, რითაც მოადგილეები დღემდე მთლი-

ანად იყვნენ დაკავებული, საჭიროა დაწესდეს და მკაცრად ხორციელდებოდეს ის, რომ თითოეული მოადგილე კვირაში სულ ცოტა ორი საათით «ეშვებოდეს ფსკერზე» და პირადად სწავლობდეს აპარატის სულ სხვადასხვა ნაწილს, ზედასაც და ქვედასაც, ამასთან ყველაზე მოულოდნელსაც. ასეთი შესწავლის ოქმი, რომელიც ფიქსირებულია, დამტკიცებულია და ეგზავნება (გარკვეულ შემთხვევებში) ყველა უწყებას, უნდა **ამცირებდეს** აპარატს და ხელს უჭერდეს ყველასა და ყველაფერს ჩვენს სახელმწიფო აპარატში.

ლენინი

დაწერილია 1922 წლის
9 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

წერილი ლ. ბ. კამენევს, ა. ი. რიკოვს, ა. დ. ციურუპას სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის სამუშაოს განაწილების შესახებ

ამხანაგებს კამენევს, რიკოვს, ციურუპას

იმის გამო, რომ ავადმყოფობამ შემიბრუნა, ახლა თავი უნდა დავანებო ყოველნაირ პოლიტიკურ მუშაობას და ხელახლა ავიღო შვებულება[479]. ამიტომ უთანხმოებას ჩემსა და თქვენს შორის აღარა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა. მხოლოდ ის უნდა ვთქვა, რომ რიკოვის პრაქტიკულ დამატებას სრულიად არ ვეთანხმები და მის საწინააღმდეგოდ ვაყენებ წინადადებას, რომ მიღება იყოს სავსებით თავისუფალი, შეუზღუდავი და უფრო ფართოც კი[480]. დაწვრილებით ამის შესახებ ვილაპარაკოთ, როცა პირადად შევხვდებით ერთმანეთს.

სახალხო კომისარიატების განაწილებასაც მნიშვნელოვანწილად არ ვეთანხმები. ვფიქრობ, რომ ეს განაწილება უფრო მჭიდროდ უნდა შევუხამოთ ცალკეულ მოადგილეთა წმინდა ადმინისტრაციული მუშაობის ნიჭს; ჩემი აზრით, იმ განაწილების მთავარი ნაკლი, რომელიც თქვენ გუშინ მოგვეცით, ის არის, რომ მასში არ არის ასეთი შეხამება [481]. თავმჯდომარეობისა და საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე ფინანსთა კომიტეტის დადგენილებათა და სხვ. იურიდიული ფორმულირების სისწორისადმი კონტროლის ფუნქციები უფრო მკვეთრად უნდა გამოიყოს ადმინისტრაციული აპარატის შემოწმებისა და გაუმჯობესების ფუნქციებისაგან. პირველი ფუნქციებისათვის (ე. ი. თავმჯდომარეობა, ფორმულირებათა სისწორისადმი კონტროლი და სხვ.) უფრო შესაფერია ამხ. კამენევი, მაშინ როცა წმინდა ადმინისტრაციული ფუნქციები ახასიათებს ციურუპასა და რიკოვს.

ზემოაღნიშნული საერთო მიზეზის გამო ეს საკითხი უნდა გადავდო, სანამ შვებულებიდან დავბრუნდებოდე. მხოლოდ გთხოვთ მხედველობაში იქონიოთ, რომ თქვენს წინადადებას ვეთანხმები არა სამი თვით (თქვენი წინადადებისაგან განსხვავებით), არამედ სანამ დავუბრუნდებოდე მუშაობას, თუ ეს სამ თვეზე ადრე მოხდა.

რაღაც ისე მახსოვს, რომ განაწილებაში სულ დაგავიწყდათ შეგეტანათ ისეთი დიდმნიშვნელოვანი ორგანო, როგორიცაა «ეკონომიჩესკაია ჟიზნი», რომელსაც ვინმემ აუცილებლად უნდა ადევნოს სპეციალურად თვალყური. პირადად მე ვფიქრობ, რომ ყველაზე სწორი იქნებოდა რიკოვს ედევნებინა მისთვის თვალყური.

13. XII. 1922 წელი

ლენინი

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მდივნის ჩანაწერის მიხედვით (მანქანაზე გადაწერილი ეგზემპლარი)

მასალები სტატიისთვის «როგორ მოვახდინოთ მუშურ-გლეხური ინსპექციის რეორგანიზაცია»*

1

გეგმა სტატიისა «რა ვუყოთ მუშურ-გლეხურ ინსპექციას?»

1. — ჩვენი სახელმწიფო აპარატი, მთლიანად აღებული, ყველაზე უფრო შებოჭილია, ყველაზე უფრო გამსჭვალულია ძველი სულისკვეთებით.

ამ გზით ჩვენ რაც შეიძლება განვაახლებთ მას.

2. — ასეთი ტიპის აპარატი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ცენტრალურ კომიტეტთან, რაც შეიძლება მოძრავი უნდა იყოს.

3. — იგი რაც შეიძლება ავტორიტეტიანი უნდა იყოს.

4. — მაშინ ცენტრალური კომიტეტის ძალიან ბევრი წევრი ხომ არ გვეყოლება?

5. — ხასიათი ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა როგორც კონფერენციებისა ჩამოყალიბდა უკვე ჩვენი წინა პარტმშენებლობის შედეგად.

6. — შეიძლება გამოვიტანოთ დადგენილება, რომ შეიზღუდოს ცენტრალური კომიტეტის წევრების დასწრება მთავრობის უმაღლეს დაწესებულებათა (სახკომსაბჭოს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სხვ.) სხდომებზე.

7. — შეიძლება ისინი რიგრიგობით დაესწრონ ამ სხდომებს.

8. — შეიძლება ისინი რიგრიგობით დაესწრონ მუშურ-გლეხური ინსპექციის კოლეგიის სხდომებს.

9. — შესაძლოა ამ გეგმის წინააღმდეგ თქვან: ძალიან ბევრი რევიზორია, ძალიან ბევრი ზედამხედველობაა, ძალიან ბევრი უფროსია, რომლებსაც უფლება აქვთ მოითხოვონ, რომ

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 568 — 574. რ ე დ.

დაუყოვნებლივ მიიღონ პასუხი, და მოსამსახურეებს ამით მოაცდენენ მათი პირდაპირი მოვალეობის შესრულებასო, და ა. შ.

10. — პასუხი: ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მუშურ-გლეხურ ინსპექციაში არ იქნება მოსამსახურეთა ჩვეულებრივი ტიპის შემადგენლობა.

11. — რით აიხსნება, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში მოსამსახურეთა უკეთესი შემადგენლობაა? და რა პირობები გვაქვს იმისთვის, რომ მუშურ-გლეხური ინსპექციიდან მივიღოთ ასეთივე განახლებული აპარატი?

12. — მუშურ-გლეხური ინსპექცია ახლავე უნდა შეუდგეს მუშაობის ახლებურად ორგანიზაციას ხუთი წლის გამოცდილების საფუძველზე.

13. — მუშაობის ახლებურად ორგანიზაცია ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს მხრივ (ცენტრალური კომიტეტის ახალი წევრებისთვის მართვის ყველა დეტალის სწავლების ორგანიზაცია).

14. — პოლიტბიუროს სხდომების უფრო მეტად მოწესრიგება უკვე გამომდინარეობს მუშაობის მსვლელობიდან.

15. — ცენტრალური კომიტეტის წევრთა რაოდენობის გაზრდის დიდმნიშვნელოვანი პლუსი ის არის, რომ შემცირდება პირადული, შემთხვევითი ელემენტი მის გადაწყვეტილებებში და სხვ.

ნაკარნახევია 1923 წლის
იანვარში, არა უგვიანეს 9 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით
(მანქანაზე გადაწერილი
ეგზემპლარი)

2

რა ვუყოთ მუშურ-გლეხურ ინსპექციას?

უეჭველია, რომ მუშურ-გლეხური ინსპექცია ჩვენთვის უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს. მისგან ჯერ არაფერი გამოსულა და მისი ორგანიზაციისა და საერთოდ მისი მიზანშეწონილობის საკითხიც კი საკითხად რჩება.

ვფიქრობ, სწორი არ არიან ისინი, ვისაც ეჭვი ეპარება, რომ იგი საჭიროა. მაგრამ ამასთანავე არ ვუარყოფ, რომ საკითხი ჩვენი სახელმწიფო აპარატისა და მისი გაუმჯობესების შესახებ ძალიან ძნელ და სრულიადაც გადაუჭრელ საკითხად მეჩვენება.

ჩვენი სახელმწიფო აპარატი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის გარდა, მეტწილად ძველის გადმონაშთია, რომელმაც ყველაზე ნაკლებად განიცადა ძირფესვიანი გარდატეხა. იგი მხოლოდ ზევიდან არის ოდნავ გადალესილი. და სხვა მხრივ იმისათვის, რომ იგი ამოქმედდეს როგორც საჭიროა, მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს, ამასთან სახელმწიფოს, რომელიც სულ ახალ საწყისებზეა აგებული, ამისათვის ყოველთვის სჭირდებოდა და ახლაც სჭირდება მასში, ყველაზე იერარქიულ ფარგლებში, მოუყაროს თავი პარტიის წევრებს.

საკმარისია გავიხსენოთ, როგორ ვმოქმედებდით სამოქალაქო ომის საშიშ მომენტებში, როგორ ვუყრიდით თავს ჩვენს საუკეთესო პარტიულ ძალებს წითელ არმიაში, როგორ მივმართავდით მოწინავე პარტიული მუშაკების მობილიზაციას, — რათა დავადასტუროთ ჩვენი ნათქვამი.

და აი, ვფიქრობ, რომ მუშურ-გლეხური ინსპექციის რეორგანიზაციის ყველა ჩვენი ცდის შედეგად შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ეს ჯერ არც ერთხელ არ გვიცდია. სახელდობრ, არ გვიცდია ეს საქმე გადაგვეცა ჩვენი მუშებისა და გლეხებისათვის, დაგვეყენებინა ისინი, როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრები, ჩვენი პარტიის სათავეში.

მუშურ-გლეხური ინსპექციის ეს გარდაქმნა ასე წარმომიდგენია: პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრების დამატებით ცენტრალურ კომიტეტში ვირჩევთ რამდენიმე ათეულ (50 — 75) მუშასა და გლეხს, რომელთა კეთილსინდისიერება და ერთგულება სავსებით გამოცდილია. ამასთან მუშურ-გლეხურ ინსპექციას ბოლოს და ბოლოს (ბოლოს და ბოლოს!) ვამცირებთ რამდენიმე ასეულ კაცამდე, რომლებიც, ერთი მხრივ, ყველაზე გამოცდილი არიან მუშურ-გლეხური ინსპექციის საქმეებში საერთოდ, ე. ი. ყველაზე კარგად იციან ჩვენი

მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა აპარატის საერთო ზედამხედველობის საქმე, იცნობენ ჩვენს აპარატს, თეორიულად მომზადებული არიან დაწესებულებებში შრომის ორგანიზაციის საკითხებისათვის, იციან შემოწმებისა და ძიების ხერხები, — მეორე მხრივ, რომლებიც გამოდგებიან მხოლოდ მდივნებად, დამხმარე აპარატში.

ცენტრალური კომიტეტის ახალ წევრებს, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრებთან სავსებით თანასწორუფლებიანი არიან, ეძლევათ დავალება: ხანგრძლივი და ბეჯითი მუშაობის შედეგად შეისწავლონ და გააუმჯობესონ ჩვენი სახელმწიფო აპარატი. მუშურ-გლეხური ინსპექციის ყველა დანარჩენ მოსამსახურეს ეძლევა დავალება დაეხმარონ მათ ამ საქმეში: ზოგნი, როგორც ამ აპარატის ყველაზე კარგად მცოდნენი და მუშურ-გლეხური ინსპექციის მუშაობის მცოდნენი, სხვები — როგორც მდივნის ტიპის მოსამსახურენი.

ამასთან მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატი შეიძლებოდა ისეთივე სახალხო კომისარიატად დარჩენილიყო, როგორიც დღემდე იყო. ცენტრალური კომიტეტის ახალი წევრები შეიძლებოდა ჩაგვეთვალა იქ დროებით მივლინებულად. მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარს, ისევე როგორც მისი კოლეგიის წევრებს, დარჩებოდა წოდება, მდგომარეობა და უფლებები.

რას მოვიგებდით ასეთი ორგანიზაციის შედეგად? უწინარეს ყოვლისა, ერთხელ და სამუდამოდ ვიტყოდით უარს ახალ რეორგანიზაციებზე, რომლებიც ეწყობა იმიტომ, რომ ჩვენი აპარატი სათანადოდ არ არის შესწავლილი. მეორე, ჩვენ მაშინვე გავზრდიდით ამ სახალხო კომისარიატის ავტორიტეტს როგორც იმით, რომ მის მუშაობაში ჩავაბამდით ცენტრალური კომიტეტის წევრებს, ისე იმათაც, რომ მის მოსამსახურეთა რიცხვს რამდენიმე ასეულ კაცამდე შევამცირებდით. რადგან ახლანდელი მდგომარეობიდან, როცა მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის წევრები საერთო წესით ცხოვრობენ ინსპექტირებულ დაწესებულებათა ნაბოძარით, უცებ გადავიდოდით ისეთ მდგომარეობაში, როცა მუშურ-გლეხური ინსპექციის

მოსამსახურეთა მაქსიმალური დამოუკიდებლობა გარანტირებული იქნებოდა ან ძალიან დიდი ჯამაგირით (ამას შეიძლება მივაღწიოთ იმით, რომ შევამციროთ მოსამსახურეთა რიცხვი და დავტოვოთ რამდენიმე ასეული უაღრესად მაღალკვალიფიციური და შემოწმებული უმაღლესი თანამდებობის მოსამსახურე), ან წმინდა მდივნის ტიპის იმ თანაშემწეებით, რომლებსაც მუდმივ კონტროლსა და ზედამხედველობას გაუწევდნენ როგორც ზემოაღნიშნული ცენტრალური კომიტეტის წევრები, ისევე რამდენიმე სპეციალისტი, რომლებსაც დავტოვებდით სახალხო კომისარიატის მოსამსახურეთა საგულდაგულოდ შემოწმების შემდეგ.

ცენტრალური კომიტეტის ახალ წევრებს დაევალებოდათ მეტი ყურადღებით და სიფრთხილით შეესწავლათ ჩვენი სახელმწიფო აპარატი და მისი ყველა განშტოება, სხვათა შორის სახელმწიფო ტრესტებშიც.

ეს საქმე მალე ვერ გაკეთდება. ამიტომ დავალების შესასრულებლად მათ რაიმე გარკვეულ ვადას არ დაუთქვამდნენ. მეორე მხრივ, მათ ეცოდინებათ, რომ ამ ადგილზე იმუშავებენ რამდენიმე წელს ცენტრალური კომიტეტის წევრთა ერთი ჯგუფის სხვა წევრთა ჯგუფით შეცვლის გზით, ე. ი. პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებით გარანტიას მივცემდით ცენტრალური კომიტეტის წევრებს, რომ შეუძლიათ რამდენიმე წელი იმუშაონ ამ ადგილზე და შემდეგ დაუბრუნდნენ თავიანთ ძველ სამუშაოს.

ლ ე ნ ი ნ ი

9 იანვარი 1923 წელი

ჩაიწერა მ. ვ.-მ

რა ვუყოთ მუშურ-გლეხურ ინსპექციას?

(გაგრძელება)

წინასწარ ვიცი, რომ სახელდობრ ასეთი გეგმა გამოიწვევს უამრავ საწინააღმდეგო მოსაზრებას, რომელთაგან უმრავლესობა ნაკარნახევი იქნება ჩვენი სახელმწიფო აპარატის იმ უა-

რესზე უარესი ძველი ელემენტების ღვარძლიანი ყმუილით, რომლებიც დღემდე მართლაც ძველი, ე. ი. რევოლუციამდელი დარჩნენ. იტყვიან, ეს სრულ ქაოსს შეიტანს მუშაობაში, ცენტრალური კომიტეტის წევრებს არ ეცოდინებათ რა უნდა აკეთონ და დაიწყებენ ხეტიალს სახალხო კომისარიატებში, დაწესებულებებში, ყველგან ხელს შეუშლიან მუშაობას, მოითხოვენ ახსნა-განმარტებასო და ა. შ. და სხვ.

მგონია, ასეთი საწინააღმდეგო მოსაზრებების ხასიათი საკმაოდ ამხილებს მათს წყაროს და არც კი ღირს მათზე პასუხის გაცემა. თავისთავად იგულისხმება, რომ თუ ვივარაუდეთ მოსამსახურეთა ჩვეულებრივი შემადგენლობა, ალბათ, ამ მოსაზრებათა ნაწილის გამართლებაც შეიძლება. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამ სახალხო კომისარიატში არ ვვარაუდობთ ჩვეულებრივი ტიპის მოსამსახურეთა შემადგენლობას, არამედ ვღებულობთ მხოლოდ იმ საუკეთესო მუშების შემადგენლობას, რომლებიც პარტიის ყრილობის შემოწმების შემდეგ ცენტრალურ კომიტეტში არჩევის ღირსი იქნებიან. ამით, ვფიქრობ, ვუზრუნველვყოფთ იმას, რომ მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის შემადგენლობა მომავალში ხარისხით არ ჩამოუვარდება ჩვენი საუკეთესო სახალხო კომისარიატის, სახელდობრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის, შემადგენლობას. რით აიხსნება, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში მოსამსახურეთა საუკეთესო შემადგენლობაა? იმით, რომ იქ, ჯერ ერთი, რამდენადმე მნიშვნელოვანწილად ვერ დარჩებოდნენ ძველი მარკის დიპლომატები, მეორეც, იმით, რომ იქ ჩვენ ხელახლა შევარჩიეთ ამხანაგები, შევარჩიეთ მხოლოდ და მხოლოდ ახალი საზომით, ახალი ამოცანების შესაბამისად, მესამე, იმით, რომ იქ, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში, არ არის იმ აქა-იქ შეგროვებულ მოსამსახურეთა სიჭარბე, რომლებიც არსებითად მთლიანად იმეორებენ მოხელეთა ძველ თვისებებს, როგორც ეს სხვა სახალხო კომისარიატებშია, და, მეოთხეც, იმით, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი მუშაობს ჩვენი ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით. ეს, კაცმა

რომ თქვას, ჩვენი ერთადერთი სახალხო კომისარიატია, რომელიც მთლიანად განვაახლეთ, რომელიც მუშაობს ნამდვილად მუშურ-გლეხური ხელისუფლებისათვის და მისი სულისკვეთებით და არა მარტო ითვლება ასე მომუშავედ, სინამდვილეში კი მუშაობს მის წინააღმდეგ ან სხვა სულისკვეთებით.

ახლა, რა პირობები გვესახება იმისათვის, რომ მუშურ-გლეხური ინსპექცია გახდეს ასეთივე ნამდვილად განახლებული აპარატი? პირველი პირობა — კეთილსინდისიერებას სავსებით უზრუნველყოფს შერჩევა; მეორე პირობა — მუშაკთა მაღალი თვისებები საქმისადმი მათი ერთგულებისა და უნარიანობის თვალსაზრისით; მესამე პირობა — მათი სიახლოვე უმაღლეს პარტიულ დაწესებულებასთან და თანასწორუფლებიანობა იმათთან, ვინც ხელმძღვანელობს ჩვენს პარტიას და მისი საშუალებით მთელ ჩვენს სახელმწიფო აპარატს.

შეიძლება გვითხრან, რომ ვერავითარი კეთილსინდისიერება, ვერავითარი პარტიული ავტორიტეტულობა ვერ შეცვლის იმას, რაც ამ შემთხვევაში მთავარია, სახელდობრ: საქმის ცოდნას, ჩვენი სახელმწიფო აპარატის ცოდნას და იმის ცოდნას, თუ როგორ უნდა გარდაიქმნას იგი.

ამაზე ვუპასუხებ, რომ ჩემი წინადადების ერთ-ერთი ყველაზე არსებითი პირობა ის არის, რომ მალე არ მოველით ახალი სახალხო კომისარიატის მუშაობის შედეგებს და წინასწარ ვითვალისწინებთ, რომ ეს მუშაობა მრავალ წელს გაგრძელდება. მაშინ საკითხი უკვე ამოიწურება ახალი სახალხო კომისარიატის მუშაობის ორგანიზაციით.

და ვფიქრობ აქ უფლება მაქვს ვივარაუდო, რომ როგორც ჩვენს პარტიულ მუშაკებს, ისე ჩვენი ახლანდელი მუშურ-გლეხური ინსპექციის მუშაკებს დაუგროვდათ საკმაო გამოცდილება, საკმაო ცოდნა, საკმაო უნარი და სხვა თვისებები, რათა სწორად მოაწყონ ცენტრალური კომიტეტის ახალ წევრთა სწავლება, ამასთან საქმით სწავლება, ე. ი. ჩვენი სახელმწიფო აპარატის ყველა დეტალის გაცნობასთან ერთად გააცნონ აგრეთვე ყველაფერი, რაც ბურჟუაზიული სახელმწი-

ფოს თანამედროვე მეცნიერებას გაუკეთებია ყოველნაირ მოსამსახურეთა საუკეთესო მუშაობის მოწყობის საქმეში.

ლ ე ნ ი ნ ი

13 იანვარი 23 წელი
ჩაიწერა ლ. ფ.-მ

რა ვუყოთ მუშურ-გლეხურ ინსპექციას?

(გაგრძელება მე-2)

კფიქრობ, თავისთავად იგულისხმება, რომ მუშურ-გლეხური ინსპექცია ახლავე, ხუთი წლის გამოცდილების საფუძველზე. შეუდგება მუშაობის ახლებურად ორგანიზაციას; ახალ მუშაკებს დაყოფს მთელ რიგ ჯგუფებად, სამუშაოს სისტემატურად გაანაწილებს ამ ჯგუფებს შორის; გაყოფს ამ ჯგუფებს: ზოგი პერიოდულად იმუშავებს საზღვარგარეთული გამოცდილების პრაქტიკულად გაცნობისათვის; ზოგი იმუშავებს თეორიულად, რათა გაეცნოს თანამედროვე მეცნიერების შედეგებს საერთოდ შრომის ორგანიზაციისა და სპეციალურად მართვის მუშაობის დარგში. იგი გაანაწილებს მუშურ-გლეხური ინსპექციის ყველა მუშაკს ისე, რომ მათთვის დავალებულ სამუშაოს ასრულებდნენ სისტემატურად თავიდან ბოლომდე, სხვადასხვა ფუნქციით და მართვის სხვადასხვა დარგში, სხვადასხვა ადგილას, მუშაობის სხვადასხვა პირობებში ეროვნებათა მხრივ და სხვ.

ერთი სიტყვით, ვვარაუდობ, რომ მუშურ-გლეხურ ინსპექციაში მომუშავე ამხანაგებმა რაიმე ისწავლეს ამ ხუთ წელიწადში და სახალხო კომისარიატის ახალი ორგანიზაციისათვის გამოიყენებენ დაგროვილ ცოდნას. გარდა ამისა, არ უნდა ვივიწყებდეთ, რომ ჩვენ გვაქვს, მგონი, სამი სამეცნიერო ტიპის დაწესებულება, რომლებიც მუშაობენ შრომის ორგანიზაციის შესწავლისათვის (შრომის ცენტრალური ინსტიტუტი, მუშურ-გლეხურ ინსპექციაში ამ მიზნით გამოყოფილი ჯგუფი და ჯგუფი სამხედრო სახალხო კომისარიატში). ამას წინათ გაი-

მართა სამივე ამ ჯგუფის ყრილობა[482], და შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ახლა მათი მუშაობა წარიმართება უფრო სწორად, უფრო ერთსულოვნად და უფრო მიზანშეწონილად, ვიდრე დღემდე.

მუშაობის როგორ ახალ ორგანიზაციას ვვარაუდობ ჩვენი ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს მხრივ? რა თქმა უნდა, ცენტრალური კომიტეტის რამდენიმე ათეული წევრი მოითხოვს მუშაობის ახალ ორგანიზაციას. მაგრამ უნდა შევნიშნო, რომ ფაქტობრივად ჩვენ უკვე გადავედით ჩვენი ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ორგანიზაციაზე უმაღლეს კონფერენციათა ტიპის მიხედვით. ახლა საქმე ის არის, რომ ცენტრალური კომიტეტის ამ ახალ წევრებს შევასწავლოთ მთელი ცეკისტური მუშაობა და მუშაობა უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებათა გაცნობისათვის. თუ ეს საქმე დავაგვიანეთ, მაშინ ვერ შევასრულებთ ჩვენს ერთ-ერთ ძირითად მოვალეობას, სახელდობრ, მოვალეობას ვისარგებლოთ ხელისუფლების სათავეში ყოფნით, რათა მშრომელთა მასების საუკეთესო ელემენტებს შევასწავლოთ მართვის ყველა დეტალი. ისეთი ღონისძიებანი, როგორიცაა ჩვენი პოლიტბიუროს სხდომების მეტად მოწესრიგება, სხდომების დანიშვნა ორჯერ კვირაში, ამასთან სხდომების საათების შემცირება, მათთვის ყველა დოკუმენტის უკეთ მომზადება და ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრისათვის ამ დოკუმენტების უფრო დროულად გადაცემა. ასეთი ღონისძიებანი ახლა უკვე გამომდინარეობს მუშაობის მთელი მსვლელობიდან და აუცილებლად საჭიროა, ასე რომ არა მგონია მათ წინააღმდეგ შეიძლებოდეს რაიმე მოსაზრების წამოყენება. რა თქმა უნდა, ეს მოითხოვს მდივნის ტიპის მოსამსახურეთათვის ხარჯების გადიდებას, მაგრამ ამ ხარჯებისთვის ფულის დაშურება ყველაზე უგუნური საქმე იქნებოდა.

გარდა ამისა, ამხანაგებს არ დავუმალავ, რომ ცენტრალური კომიტეტის წევრთა რიცხვის გაზრდის დიდმნიშვნელოვან პლუსად მიმაჩნია ის, რომ მის გადაწყვეტილებებში ნაკლები იქნება პირადული, შემთხვევითი ელემენტი, ეს გადაწყვეტი-

ლებები უფრო მეტად იქნება მომზადებული, უფრო საფუძვლიანად შემოწმდება ასეთ სხდომებზე გამოთქმული ყველა მტკიცება და ამასთან დაკავშირებით ჩვენი ცენტრალური კომიტეტი უფრო მტკიცე იქნება როგორც მისი მუშაობის მონაცვლეობის თვალსაზრისით, ისე იმ მხრივაც, რომ მეტი უნარი ექნება წინააღუდგეს განხეთქილებებს, რომლებიც შეიძლება გამოეწვია ამ დაწესებულებების არასაკმარის კავშირს მასებთან.

ლ ე ნ ი ნ ი

13 იანვარი 23 წელი
ჩაიწერა ლ. ფ.-მ

ნაკარნახევია 1923 წლის 9 და 13 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მდივნის ჩანაწერის მიხედვით (მანქანაზე გადაწერილი ეგზემპლარი)

დ ა მ ა ტ ე ბ ა ნ ი

რკპ (ბოლშევიკების) IX ყრილობის დელეგატთა პირადი ანკეტა

1. სახელი, მამის სახელი და გვარი: ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი (ლენინი)

2. დელეგატის ბილეთის № $\frac{\text{გადამწყვეტი}}{\text{სათათბირო}}$ *: 381

3. რომელ ორგანიზაციაში ირიცხებით (მაზრა, გუბერნია):
მოსკოვის

4. თქვენი ორგანიზაციის წევრთა რიცხვი: 35 000

5. როგორ აგირჩიეს (საგუბერნიო კონფერენციაზე, სამაზრო კონფერენციაზე, საერთო კრებაზე და ა. შ.) და როდის:
მოსკოვის საქალაქო კონფერენციაზე

6. რამდენი პარტიის წევრი იყო წარმოდგენილი საგუბერნიო კონფერენციაზე, სამაზრო კონფერენციაზე, საერთო კრებაზე, რომელზეც თქვენ აგირჩიეს ყრილობის დელეგატად: 35 000

7. ასაკი: 50

8. განათლება: უმაღლესი

9. ყოფილი პროფესია (აღნიშნეთ სრულიად გარკვევით), ან რა სპეციალობანი იცით:
ყოფილი: ნაფიცი ვექილის თანაშემწე
პუბლიცისტი

10. ეროვნება: ველიკორუსი

11. ოჯახური მდგომარეობა: ცოლიანი

პ ა რ ტ ი უ ლ ი მ უ შ ა ო ბ ა.

12. როდიდან ხართ რკპ წევრი (წელი, თვე):
1893 წლიდან

13. სრულიად რუსეთის რომელ პარტიულ ყრილობებში მონაწილეობდით:
მგონი, თითქმის ყველაში

* სიტყვა «სათათბირო» ვ. ი. ლენინს წაუშლია. რ ე დ.

14. რა პარტიულ მუშაობას ასრულებდით, როდის და სად:
ცენტრალური კომიტეტის წევრად და
ცენტრალური ორგანოს რედაქტორად

15. რამდენ ხანს ეწეოდით არალეგალურ მუშაობას:
1893—1917

16. რა პარტიულ მუშაობას ასრულებთ ახლა:
ცენტრალური კომიტეტის წევრი
სახკომსაბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

17. იყავით თუ არა რომელიმე პარტიის წევრი რკპ-ში შესვლამდე, როდის, რამდენ ხანს: არა

საბჭოთა მუშაობა.

18. რა საბჭოთა მუშაობას ასრულებდით, როდის, სად:
სახკომსაბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

19. რა საბჭოთა მუშაობას ასრულებთ ახლა: იმავეს

20. რომელი პროფესიული კავშირების წევრი ყოფილხართ და როდის და რომელში ხართ ამჟამად: არ ვყოფილვარ

21. ყოფილხართ თუ არა რეპრესირებული პარტიული მუშაობისათვის, როდის, რა საქმის გამო:
დაპატიმრებული ვიყავი 1887, 1894 და 1900

22. სად მოგისწროთ თებერვლის რევოლუციამ (გადასახლებაში, კატორღაში, საპყრობილეში, საზღვარგარეთ, სამხედრო სამსახურში, ფაბრიკაში და ა. შ.): ემიგრაციაში (ციურიხში)

23. რამდენი ხანი დაჰყავით საპყრობილეში: 14 თვე პლუს
რამდენიმე დღე
» » » გადასახლებაში: 3 წელი
» » » კატორღაში: არ ვყოფილვარ
» » » ემიგრაციაში: 1900—1905 და
1908—1917

ხელმოწერა ვ. ულიანოვი (ლენინი)
1920 წლის 29 მარტი

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს
წიგნში «რკპ(ბ) მეცხრე ყრილობა»,
მოსკოვი (ფაქსიმილე)

იბეჭდება
ვ. ი. ლენინის მიერ შევსებული
ბლანკის მიხედვით

ანკეტა რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის წევრთა ხელახალი რეგისტრაციისათვის

1) გვარი, სახელი და მამის სახელი:
ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი

2) ასაკი: 50 წ.

3) რომელი გუბერნიიდან, ქალაქიდან, მაზრიდან, თემიდან, სოფლიდან ხართ: ქ. სიმბირსკიდან

4) მშობლების პროფესია და მათი მისამართი: გარდაიცვალნენ

5) ოჯახის შემადგენლობა (ასაკის მიხედვით) და კმაყოფაზე მყოფთა რიცხვი:

ცოლი	51
ძმა	45
და	44

6) გაქვთ თუ არა უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი, სახლი) ან წარმოების საშუალებანი და სად: არა მაქვს

7) ეროვნება: | რუსი

8) დედაენა: | რუსული

9) რუსულის გარდა რომელ ენებზე ლაპარაკობთ, კითხულობთ, წერთ (გაუსვით ხაზი): ფრანგული, გერმანული, ინგლისური; სამივეზე ცუდად

10) რა არის თქვენი ძირითადი პროფესია: ლიტერატორი

11) რა განათლება მიიღეთ და სად

ა) ზოგადი — გიმნაზია

ბ) სპეციალური — ექსტერნად ჩავაბარე უნივერსიტეტის გამოცდა 1891 წელს იურიდიულ ფაკულტეტზე

12) ყოფილხართ თუ არა საზღვარგარეთ, როდის და სად:
1895; 1900—1905; 1907—1917 ემიგრაციაში (შვეიცარია, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, გალიცია)

13) რუსეთის რომელ ადგილებს იცნობთ კარგად:
მიცხოვრია მხოლოდ ვოლგისპირეთსა და დედაქალაქებში

14) გიმსახურიათ თუ არა ძველ არმიაში (ჩინი, ნაწილი და რამდენ ხანს):
არა

15) მონაწილეობდით თუ არა ბრძოლებში და იყავით თუ არა დაჭრილი (სად და როდის): არა

16) რომელ საწარმოში ან დაწესებულებაში მუშაობთ ამჟამად (მისამართი და ტელეფონის №), რა თანამდებობაზე:

სახკომსაბჭო

17) რამდენს იღებთ ხელფასს და გაქვთ თუ არა დამატებითი შემოსავალი:
$13^1/_2$ ათასი (13 500)[483]

დამატებითი—ლიტერატურული

18) როდიდან ხართ რკპ წევრი:

დაარსებიდან და ადრეც (1893)

19) შეხვედით თუ არა პარტიულ კვირეულში: —არა—

20) რომელმა ორგანიზაციამ მიგიღოთ თავდაპირველად რკპ წევრად:
იხ. § 18

21) მოგისმენიათ თუ არა ლექციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე, სად, როდის, ვისთან და გაგივლიათ თუ არა პოლიტანბანის სკოლის კურსი და რომელი საფეხურისა: Z

22) რომელი უჯრედის წევრი ხართ:
კრემლის ქვერაიონი

23) გაუსამართლებიხართ თუ არა პარტიულ სასამართლოს, როდის და რისთვის:

გავუსამართლებივარ მენშევიკებს რსდმ პარტიაში გათიშვის დროს

24) ყოფილხართ თუ არა სხვა პარტიაში, რომელში, როდის და რა დავალებას ასრულებდით: არა

25) რა დოკუმენტები და მოწმობები გაქვთ იმის დასადასტურებლად, რომ ჩვენს არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციაში იყავით:

დოკუმენტია პარტიის ისტორია

26) ადრინდელი მუშაობის მთავარი ადგილები:

1. თებერვლის რევოლუციამდე: ა) სამოქალაქო: ბ) პარტიული:
2. ოქტომბრის რევოლუციამდე: ა) სამოქალაქო: ბ) პარტიული:

} საზღვარგარეთ და პეტროგრადი

27) რით გამოიხატება თქვენი მონაწილეობა თებერვლის რევოლუციაში:
გარდა საერთო-პარტიული მუშაობისა, არაფრით (ემიგრაციაში)

28) იგივე, ოქტომბრის რევოლუციაში:
ცენტრალური კომიტეტის წევრი

29) ყოფილხართ თუ არა რეპრესირებული პოლიტიკური დანაშაულის გამო, სად და როდის; რა სასჯელი მოიხადეთ:
პატიმრობა 1887 (რამდენიმე დღე)
» 1895—1897 (14 თვე და გადასახლება 3 წლით აღმოსავლეთ ციმბირში)
» 1900 (რამდენიმე დღე)

30) რომელი პროფესიული კავშირის წევრი ყოფილხართ, სად და როდის:
არა

31) რომელ პროფესიულ კავშირში ხართ ამჟამად (აღნიშნეთ საწევრო წიგნაკის №):
არა

32) ყოფილხართ თუ არა არჩევითს თანამდებობებზე თებერვლის რევოლუციის შემდეგ და სად:
ა) საბჭოთა: სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ბ) პროფესიული: არა
გ) პარტიული: ცენტრალური კომიტეტის წევრი
დ) საფაბრიკო-საქარხნო:
ე) ჯარის ნაწილებში:
ვ) სხვა:
} არა

33) გაგივლიათ თუ არა სამხედრო სწავლება (სამხედრო წოდება) და რეგისტრირებული ხართ თუ არა საგანგებო დანიშნულების რაზმში, რომელ ასეულში და რა ნომრით: არა

34) ყოფილხართ თუ არა მობილიზებული წითელ არმიაში, როდის, რომელი ორგანიზაციის მიერ და რა წესით (საერთო მობილიზაცია თუ პარტიული), რამდენ ხანს და სად დაჰყავით ფრონტზე (მიუთითეთ ზუსტად), რა მოვალეობებს ასრულებდით, მონაწილეობდით თუ არა ბრძოლებში, იყავით თუ არა დაჭრილი, როდის და სად: არა

35) ყოფილხართ თუ არა მობილიზებული ტრანსპორტზე, როდის და რომელი ორგანიზაციის მიერ: არა

36) რა პარტიული და საბჭოთა მუშაობის შესრულება შეგიძლიათ (ორგანიზატორი, ადმინისტრატორი, ლექტორი, აგიტატორი, კულტურის მუშაკი და ა. შ.):

Z

37) გამოსულხართ თუ არა დიდ კრებებზე და ყოფილხართ თუ არა თავმჯდომარე: დიახ

38) რა პარტიულ მუშაობას ასრულებთ ამჟამად:

ცენტრალური კომიტეტის წევრი

39) რა დამატებითი ცნობები გსურთ მოგვაწოდოთ:

Z

40) თქვენი სახლის მისამართი და ტელეფონის №:

კრემლი. ზედა კომუტატორი

41) რა წაგიკითხავთ მარქსის, ენგელსის, ლენინის, კაუცკისა და პლეხანოვის თხზულებებიდან:

თითქმის ყველა (ხაზგასმული ავტორებისა)

42) რა თემებზე გამოსულხართ მუშებისა და გლეხების წინაშე ან წაგიკითხავთ ლექციები:

მეტწილად პოლიტიკურ თემებზე

43) წერთ თუ არა სტატიებს გაზეთებში, სად და რა თემებზე:

იშვიათად, პოლიტიკურ თემებზე

44) შეგიძლიათ თუ არა წეროთ ფურცლები, მოწოდებანი და რა დაგიწერიათ ამ დარგში:

დიახ. ჩამოთვლა შეუძლებელია, ბლომად იყო

45) ცოდნის რომელ დარგში გრძნობთ თავს განსაკუთრებით ძლიერად და რომელ საკითხებზე შეგიძლიათ წაიკითხოთ ლექციები და ჩაატაროთ მეცადინეობა: უმეტესად პოლიტიკურ საკითხებზე

(ხელმოწერა) ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

17/IX. 1920.

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
წიგნში: «რკპ(ბ) წევრის ვ. ი. ულიანოვის
(ლენინის) «პირადი საქმე»».
გამომც. «მოსკოვსკი რაბოჩი», მ.—ლ.

იბეჭდება
ვ. ი. ლენინის მიერ
შევსებული
ბლანკის მიხედვით

რკპ (ბოლშევიკების) სრულიად რუსეთის IX კონფერენციის დელეგატთა პირადი ანკეტა

1. სახელი, მამის სახელი და გვარი: ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი

2. დელეგატის ბილეთის № $\frac{\text{სათათბირო}}{\text{გადამწყვეტი}}$ ჯერ არა მაქვს ბილეთი

3. რომელმა ორგანიზაციამ გამოგგზავნათ დელეგატად:
ცენტრალურმა კომიტეტმა

4. ასაკი: 50 წლის

5. განათლება: უმაღლესი

6. ყოფილი პროფესია (აღნიშნეთ სრულიად გარკვევით) ან რა სპეციალობანი იცით: ლიტერატორი

7. ეროვნება: რუსი

8. როდიდან ხართ რკპ წევრი (წელი, თვე):
1893, ფორმალურად 1898

9. რა პარტიულ მუშაობას ასრულებთ ახლა:
ცენტრალური კომიტეტის წევრი

10. რა საბჭოთა მუშაობას ასრულებთ ახლა:
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და
თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

11. რომელი პროფესიული კავშირების წევრი ხართ ახლა: არც ერთის

12. იყავით თუ არა რომელიმე პარტიის წევრი რკპ-ში შესვლამდე, როდის, რამდენ ხანს: არა

ხელმოწერა ვ. ულიანოვი (ლენინი)

20. IX. 1920 წელი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ვ. ი. ლენინის მიერ
შევსებული
ბლანკის მიხედვით

ანკეტა რკპ სრულიად რუსეთის X ყრილობის დელეგატებისათვის

1. გვარი:	ულიანოვი (ლენინი)
2. სახელი და მამის სახელი:	ვლადიმერ ილიას ძე
3. რომელ პარტიულ ორგანიზაციას ეკუთვნით (გუბ., ქალაქი, მაზრა, არმია, დივიზია):	რკპ ცენტრალური კომიტეტი მოსკოვი ქალაქი
4. დელეგატის ბილეთის № გადამწყვეტი სათათბირო	№ 21 სათათბირო[484]
5. როგორ აგირჩიეს (საგუბერნიო კონფერენციაზე, სამაზრო კონ-ფერენციაზე, საარმიო კონფე-რენციაზე, სადივიზიო კონფე-რენციაზე, საერთო კრებაზე და ა. შ.) და როდის:	ცენტრალური კომიტეტისაგან სათათბირო
6. რამდენი პარტიის წევრი იყო წარმოდგენილი საგუბერნიო კონ-ფერენციაზე, სამაზრო კონფე-რენციაზე, საარმიო კონფერენ-ციაზე, სადივიზიო კონფერენ-ციაზე, რომელზეც თქვენ აგირ-ჩიეს ყრილობის დელეგატად:	ცენტრალურ კომიტეტში 19 კაცი
7. სრულიად რუსეთის რომელ პარ-ტიულ ყრილობებში მონაწილე-ობდით:	ყველა ყრილობაში, გარდა 1917-ის ივლისისა (თუ აგვისტოსი?)
8. დაბადების წელი და ასაკი	1870

9. ჯანმრთელობის მდგომარეობა და ინვალიდობა:	ჯანმრთელი ვარ
10. ოჯახური მდგომარეობა (კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრთა რიცხვი):	ცოლი და და ცხოვრობენ ჩემთან ერთად
11. ეროვნება:	რუსი
12. დედაენა:	რუსული
13. რომელი სხვა ენები იცით და რამდენად კარგად:	ინგლისური, გერმანული, ფრანგული ცუდად; იტალიური ძალიან ცუდად
14. რუსეთის რომელ ადგილებს იცნობთ კარგად და რამდენი წელი გიცხოვრიათ იქ:	სხვებზე უკეთ ვოლგისპირეთს, სადაც დავიბადე და ვცხოვრობდი 17 წლამდე
15. ყოფილხართ თუ არა საზღვარგარეთ (როდის, სად, რამდენ ხანს):	დასავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში 1895; 1900—1905; 1908—1917
16. სამხედრო მომზადება:	არავითარი
17. განათლება (რომელ სასწავლებელში სწავლობდით, დაამთავრეთ თუ არა, თუ არ დაამთავრეთ, რამდენი კლასი ან კურსი გაიარეთ):	1891 წელს დავამთავრე (ჩავაბარე გამოცდა ექსტერნად) პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

18. ძირითადი საქმიანობა 1917 წლამდე:	ლიტერატორი
19. რა სპეციალობანი იცით:	არავითარი
20. რა საქმიანობას ეწეოდით 1917 წლის შემდეგ, გარდა პარტიული, საბჭოთა, პროფესიული და სხვა მსგავსი მუშაობისა:	გარდა აღნიშნულისა მხოლოდ ლიტერატურულ მუშაობას
21. რომელ პროფესიულ კავშირში ხართ ამჟამად:	ჟურნალისტთა კავშირში

22. რა მუშაობას ეწეოდით 1917 წლიდან — საბჭოთა, სამხედრო, პროფესიული, სამეურნეო (გარდა პარტიულისა):

როდის (რა დროიდან რა დრომდე, აღნიშნეთ თვე და წელი)	სად (გუბ., მაზრა, ქალაქი, არმ., დივიზ.)	რომელ დაწესებულებაში	რა თანამდებობაზე
1917-ის X-დან 1921-ის III-მდე	მოსკოვი	სახალხო კომისართა საბჭო და შრომისა და თავდაცვის საბჭო	თავმჯდომარე

23. რა მუშაობას — საბჭოთა, სამხედრო, სამეურნეო, პროფესიულს ასრულებთ ანკეტის შევსების დროს (გარდა პარტიულისა):

როდის (რა დროიდან, აღნიშნეთ თვე და წელი)	სად (გუბ., მაზრა, ქალაქი, არმ., დივიზ.)	რომელ დაწესებულებაში	რა თანამდებობაზე
1917-ის X-დან	მოსკოვი	სახალხო კომისართა საბჭო და შრომისა და თავდაცვის საბჭო	თავმჯდომარე

24. რა დროიდან ხართ რკპ (ბოლშევიკების) წევრი:	1894-დან
25. იყავით თუ არა სხვა პარტიების წევრი, თუ იყავით, რომელი პარტიებისა, როდის და რამდენ ხანს:	არა

26. მონაწილეობდით თუ არა რევოლუციურ მოძრაობაში 1917 წლამდე:

როდის (რა დროიდან რა დრომდე)	სად (გუბ., მაზრა, ქალაქი)	რომელ ორგანიზაციაში	რა საქმეშაოს ასრულებდით
1892—1893	სამარა		
1894—1895	პეტერბურგი		
1895—1897	საპყრობილე	სოციალ-დემოკრატიული არალეგალური წრეები, რსდმ პარტიის დაარსების შემდეგ კი მისი წევრი	
1898—1900	ციმბირი (ენისეის გუბერნია)		
1900—1905	საზღვარგარეთ		
1905—1907	პეტერბურგი		
1908—1917	საზღვარგარეთ		

27. იყავით თუ არა რეპრესირებული რევოლუციური საქმიანობისათვის (როდის, რა საქმის გამო):	1887 პატიმრობა; 1895—1897 პატიმრობა; 1898—1900 ციმბირი; 1900 პატიმრობა
28. რამდენ ხანს დაპყავით:	
საპყრობილეში	რამდენიმე დღე
	+ 14 თვე
კატორღაში	არ ვყოფილვარ
გადასახლებაში	სამ წელს
ემიგრაციაში	9—10 წელს

29. რა პარტიულ მუშაობას ეწევით 1917 წლიდან:

როდის (რა დროიდან რა დრომდე, აღნიშნეთ თვე და წელი)	სად (გუბ., მაზრა, ქალაქი, არმ., დივიზ. და ა. შ.)	რომელ დაწესებულებაში	რა თანამდებობაზე
1917-ის X-დან 1921-ის III-მდე	მოსკოვი	ცენტრალური კომიტეტი	ცენტრალური კომიტეტის წევრი

30. რა პარტიულ სამუშაოს ასრულებთ ანკეტის შევსების დროს:

როდის (რა დროიდან)	სად (ქალაქი, გუბ., მაზრა, არმ., დივიზ.)	რომელ დაწესებულებაში	რა თანამდებობაზე
1917-ის X-დან 1921-ის III-მდე	მოსკოვი	ცენტრალური კომიტეტი	ცენტრალური კომიტეტის წევრი

31. გაუსამართლებიხართ თუ არა რუსეთის სფსრ სასამართლო დაწესებულებებსა და პარტიულ სასამართლოებს (როდის, სად, რა საქმის გამო):	არა
7 მარტი 1921 წელი.	დელეგატის ხელმოწერა: ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად არასრულად დაიბეჭდა 1926 წლის 21 იანვარს გაზეთში «ნა სმენუ» (სვერდლოვსკი) № 5

შთლიანად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის მიერ შევსებული ბლანკის მიხედვით

რკპ (ბოლშევიკების) სრულიად რუსეთის XI კონფერენციის დელეგატთა პირადი ანკეტა

1. გვარი, სახელი, მამის სახელი: ულიანოვი (ლენინი) ვლადიმერ ილიას ძე

2. რა ხმით (გადამწყვეტი თუ სათათბირო) მონაწილეობს:

3. დელეგატის ბილეთი: № 1

4. რომელმა ორგანიზაციამ გამოგგზავნათ დელეგატად:
რკპ ცენტრალურმა კომიტეტმა

7. რომელ სრულიად რუსეთის პარტიულ კონფერენციებსა და ყრილობებში მონაწილეობდით გადამწყვეტი ხმით:

ყველა ყრილობაში, გარდა 1898-ისა და 1917-ის ზაფხულისა ალბათ, თითქმის ყველა

კონფერენციაში

6. დაბადების წელი: 1870 წელი

7. ეროვნება: ველიკორუსი

8. განათლება (დაბალი, საშუალო, უმაღლესი)

9. ა) ძირითადი პროფესია და სპეციალობა 1917 წლამდე:
ლიტერატორი

ბ) რამდენ წელს მუშაობდით ამ პროფესიით:
1894-დან 1917-მდე, ე. ი. 23 წელს

10. ა) არსებობის სახსრების ძირითადი წყარო 1914 წლამდე:

ლიტერატურული შემოსავალი და პარტიის მოცემული ხელფასი

ბ) 1914—1917 წლებში: იგივე

გ) 1917—1921 წლებში: იგივე 1917-ის 25 X-მდე. 25/X-ის შემდეგ ხელფასი საბჭოთა მთავრობისაგან

11. რა საბჭოთა მუშაობას ეწევით ახლა:

სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

12. რა მონაწილეობას იღებთ ამჟამად:

ა) კოოპერაციაში
ბ) პროფმუშაობაში } ფაქტობრივად არ ვმონაწილეობ

13. რა პარტიულ მუშაობას ეწევით ამჟამად:

რკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი

14. როდის შეხვედით რკპ-ში: 1895 წელს

15. ყოფილხართ თუ არა წინათ პარტიებში, როდის, რომელში: არა

16. ყოფილხართ თუ არა რეპრესირებული რევოლუციური საქმიანობისათვის (როდის):

პატიმრობა და გადასახლება 1887 წელს; პატიმრობა და გადასახლება აღმოსავლეთ ციმბირში 1895 (XII)—1900 წლებში

რამდენ ხანს დაჰყავით:

1) საპყრობილეში: რამდენიმე დღეს 1887 წელს და 1900 წელს; 14 თვეს 1895—1897 წლებში

2) კატორღაში: არ ვყოფილვარ

3) გადასახლებაში: სამ წელს (მინუსინსკის მაზრა, ენისეის გუბერნია)

4) ემიგრაციაში: 1900—1905 და 1908—1917

ხელმოწერა ვ. ულიანოვი (ლენინი)

14 დეკემბერი 1921 წელი

პირველად დაბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის მიერ შევსებული ბლანკის მიხედვით

ანკეტა რკპ (ბ) წევრთა სრულიად რუსეთის აღწერისათვის

13 თებერვალი 1922 წელი

რკპ ცკ სტატისტიკური განყოფილება ბლანკი «ა» № 38	რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) წევრთა 1922 წლის **სრულიად რუსეთის აღწერა**	პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

1. უჯრედის ადგილმდებარეობა: ქალაქი/სოფელი მოსკოვი
   მაზრა/თემი ზამოსკვორეცკის რაიონი ვუბ./ოლქი კრემლის უბანი № 1
2. დაასახელეთ საწარმო (დაწესებულება, ჯარის ნაწილი), სადაც შექმნილია უჯრედი: სახალხო კომისართა საბჭო, პარტბილეთი 224.332
3. დაასახელეთ პარტორგანიზაცია, რომელმაც გასცა ბილეთი: ზამოსკვორეცკის რაიკომი
4. გვარი: ულიანოვი (ლენინი)
5. სახელი და მამის სახელი: ვლადიმერ ილიას ძე
6. სქესი: მამრობითი 7. ასაკი: დავიბადე 1870 წელს;
   შესრულებული წლების რიცხვი: 52 წელი
8. სალაპარაკო ენა: რუსული 9. ამას გარდა, რომელ ენებზე ლაპარაკობთ თავისუფლად: თავისუფლად არც ერთ ენაზე
10. ა) გაქვთ თუ არა რაიმე რელიგიური რწმენა (მრწამსი)? (დიახ, არა) სახელდობრ რომელი: არა
    ბ) თუ არა ხართ მორწმუნე, რა ასაკიდან: 16 წლიდან
11. გამოსაკითხი პირის ოჯახის წევრთა რიცხვი (მის ჩაუთვლელად):
    კმაყოფაზე მყოფი: ორი
    მომუშავე: ორი
12. განათლება: ა) წიგნიერი ხართ (დიახ, არა): დიახ ბ) თუ სწავლობ-დით ან სწავლობთ, აღნიშნეთ: ——

ტაბულა I. განათლების ცენზი

სასწავლებელთა ტიპი (2-კლასიანი საერობო; 4-კლასიანი საქალაქო; პროფ.-ტექნ. სკოლა; ავტოსაქმის სალამოს კურსები; საავიაციო კურსები; გიმნაზია; უნივერსიტეტი; პარტსკოლა). სკოლისგარეშე განათლება აღინიშნოს სიტყვებით «თვითნასწავლი», «შინაური განათლება»	რამდენ წელს სწავლობდით	დაამთავრეთ თუ არა სკოლა (დიახ, არა, გამოვედი ამა და ამ კლასიდან, ესწავლობ)
13	14	15
ა. დავამთავრე კლასიკური გიმნაზია 1887 წელს ბ. და ჩავბარე უნივერსიტეტის გამოსაშვები გამოცდა გ. იურიდიულ ფაკულტეტზე ექსტერნად 1891 წელს	8 წელს (გიმნაზიაში)	გიმნაზია დავამთავრე. უნივერსიტეტის გამოსაშვები გამოცდა ჩავბარე ექსტერნად

16. თუ გაქვთ სწავლის სურვილი, სახელდობრ რის (წერა-კითხვის, მეცნიერების, ხელოვნების, ხელობის — სახელდობრ რომლის): ——

ტაბულა II. სოციალური და ეროვნული წარმოშობა

დამოკიდებულება გამოსაკითხი პირისადმი	ძირითადი პროფესია ან საქმიანობა, თანამდებობა, ჩინი	მდგომარეობა სარეწებში (მეპატრონე დაქირავებული მუშებით; მარტოხელა მეპატრონე; დაქირავებული მუშა; «თავისუფალი» პროფესიის პირი; სახლის მფლობელი; დიასახლისი)	ეროვნება
17	18	19	20
1. პაპა (მამის მხრივ) 2. მამა ..... 3. დედა	არ ვიცი სახალხო სასწავლებელთა დირექტორი —		

21. რა ასაკიდან ცხოვრობთ საკუთარი შრომით: 27 წლიდან (დაახლოებით); დაქირავებით თუ საკუთარ მეურნეობაში (ხაზი გაუსვით): ლიტერატორი

22. ა) ძირითადი პროფესია და სპეციალობა 1917 წლამდე: ლიტერატორი

ბ) რამდენ წელს მუშაობდით ამ პროფესიით:

თითქმის 20 წელს (1897—1917)

23. არსებობის სახსრების ძირითადი წყარო 1914 წლამდე:

ლიტერატურული მუშაობა და პარტიის მოცემული ხელფასი

1914 — 1917 წ.: იგივე

ტაბულა III. მუშაობისა და სამსახურის სტაჟი 1917 წლიდან ამ გამოკითხვამდე

მუშაობის პერიოდი	მუშაობის ადგილი		მოსაქმეობა	დაქირავებით, არჩევით, დანიშვნით	მუშაობის ხანგრძლივობა			
					რა დროიდან რა დრომდე		მუშაობის საერთო სტაჟი	
	დაასახელეთ საწარმო (დაწესებულება, ჯარის ნაწილი), სადაც მუშაობდით 3 თვეს მაინც და სადაც მუშაობთ ამჟამად	ქალაქი ან გუბერნია			თვე წელი	თვე, წელი	წელი	თვე
24	25	26	27	28	29	30	31	32
ა. 1917 წლიდან ამ თანამდებობის დაკავებამდე	ა	.....	.....	.....	.....	.....	.....	.....
	ბ	.....	.....	.....	.....	.....	.....	.....
	გ	.....	.....	.....	.....	.....	.....	.....
	დ	.....	.....	.....	.....	.....	.....	.....
	ე	.....	.....	.....	.....	.....	.....	.....
ბ. გამოკითხვის მომენტში:	ა. 1917 წლის X-დან სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე	მოსკოვი		დანიშვნით	1917-ის 25 X-დან		4	3
	ბ.	.....	.....	.....	.....	.....	.....	.....

33. უკანასკნელი თვიური ხელფასი: (ფულადი): სატარიფო თანრიგი. 17, ძირითადი განაკვეთი .....მან., მთელი ხელფასი 4 700 000 მანეთი

ტაბულა IV. პარტიული სტაჟი

პარტიისა და ფრაქციის სახელწოდება	მდგომარეობა ორგანიზაციაში («პროფესიონალი», პარტკომის წევრი, პარტკომის მდივანი, ორგანიზატორი, აგიტატორი, პროპაგანდისტი, მებრძოლი, ტექნიკოსი, რიგითი წევრი)	მუშაობის ადგილი (ქალაქი, გუბერნია)	პარტიაში ყოფნის დრო		
			შეევედი (წელი, თვე)	გავედი (წელი, თვე)	პარტიაში ყოფნის საერთო ხანგრძლივობა (წელი და თვე)
34	35	36	37	38	39
რკპ (ბ)	პროფესიონალი, ცენტრალური კომიტეტის წევრი	მოსკოვი	1895 (ფაქტობრივად)	—	დაახლოებით 27 წელი

ტაბულა V. რევოლუციური სტაჟი

მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა	შემთხვევათა რიცხვი
40	41
1. ეკონომიურ გაფიცვებში	—
2. პოლიტიკურ »	—
ს უ ლ	
3. ჭუჩის პოლიტიკურ დემონსტრაციებში	—
4. სტუდენტთა მოძრაობაში	(1887)
5. იატაკქვეშა წრეები	ბევრი
6. არალეგალურ შეკრებებსა და მიტინგებში	ბევრი
7. მაისობებში	
8. შეიარაღებულ აჯანყებებსა და პარტიზანულ გამოსვლებში	—
9. პარტიულ კონფერენციებში	თითქმის ყველაში
10. პარტიულ ყრილობებში	

42. პატიმრობის სტაჟი: ა) საპყრობილეში დაეყარა: 1 წელსა და 2 თვეს; ადმინისტრაციულ გადასახლებაში: 3 წელს — თვეს; გადასახლებაში — წელსა და — თვეს; პოლიტემიგრაციაში: თითქმის 10 წელსა და ..... თვეს

რამდენჯერ გაქცეულხართ პატიმრობიდან: ——

43. ა) რა გაზეთებსა და ჟურნალებს კითხულობდით 1921 წელს (დაასახელეთ): სხვადასხვას

ბ) რეგულარულად, შემთხვევით, არასდროს: არარეგულარულად

გ) თუ არასდროს კითხულობთ, რატომ (არ არის გაზეთები, არა მაქვს დრო, არ მაინტერესებს) ——

დ) თუ კითხულობთ, სად (შინ, სამსახურში, ბიბლიოთეკაში, სამკითხველოში, კედლებზე): შინ

44. ა) რა დროიდან ხართ პროფკავშირის წევრი: 19..... წლიდან

ბ) მონაწილეობთ თუ არა ამჟამად პროფმუშაობაში (დიახ, არა): არა

გ) თუ მონაწილეობთ, სახელდობრ როგორ:

ტაბულა VI. სამხედრო სტაჟი სამხედრო მოსამსახურისა და პოლიტიკური კომისრის თანამდებობაზე

რომელ არმიაში	იარაღის სახეობა და სპეციალობა (ქვეითი, კავალერია, არტილერია, საინჟინრო, სასანგრე, საქმე)	უმაღლესი სამხედრო წოდება და ჩინი (რიგითი, ასმეთაური)	სამსახურის ხანგრძლივობა: რა ღროიდან რა დრომდე: თვე	წელი	მუშაობის საერთო სტაჟი: წელი	თვე	შემთხვევათა რიცხვი: მონაწილეობა: სრულიად და სხვ.	ხელმძღვანელ ბრძოლებში	დაჭრილი იყავით: ცეცხლსასროლი იარაღი	ცივი იარაღი	მიღებული ბაქვი სამხედრო ჯილდოები
45	46	47	48	49	50	51	52	53	54	55	56
1. მეფის არმიაში											
2. თეთრების არმიაში	1	3									
3. მწვანე არმიაში											
4. წითელ არმიაში											

57. თუ არ ყოფილხართ სამხედრო სამსახურში, გადიოდით თუ არა საყოველთაო-სამხედრო სწავლებას (დიახ, არა): არა

58. როდის იყავით დემობილიზებული —— თვე 19 —— წელი ——

59. ა) თუ ხართ ქალაქელი ან მუშა, გაქვთ თუ არა რაიმე კავშირი სოფელთან (დიახ, არა) —— ——

ბ) სახელდობრ როგორი (მაქვს საკუთარი ან სხვა პირებთან ერთად ყანა, ბოსტანი, საფუტკრე და სხვ.) ——

გ) რით გამოიხატება თქვენი მონაწილეობა ამ მეურნეობაში (პირადი შრომით, ფულადი დახმარებით) —— . ——

შენიშვნები:

ქალაქი მ ო ს კ ო ვ ი..... 13 თებერვალი 1922 წელი

ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად არასრულად დაიბეჭდა
(პირველი გვერდის ფაქსიმილე)
1924 წელს ჟურნალ «ოგონიოკში» № 7

პირველად მთლიანად (ფაქსიმილე)
დაიბეჭდა 1926 წელს წიგნში:
ი. გ. ლაზიანი. «რკპ(ბ) წევრის
ვ. ი. ულიანოვის (ლენინის)
«პირადი საქმე»»,
მ.—ლ., გამომც.
«მოსკოვსკი რაბოჩი»

იბეჭდება
ვ. ი. ლენინის მიერ
შევსებული
ბლანკის მიხედვით

რკპ (ბოლშევიკების) XI ყრილობის დელეგატთა პირადი ანკეტა

1. გვარი, სახელი, მამის სახელი:..... ულიანოვი ვლადიმერ ილიას ძე *
2. რა ხმით $\frac{\text{სათათბიროთი}}{\text{გადამწყვეტით}}$ მონაწილეობთ
3. დელეგატის ბილეთი №:
4. რომელმა ორგანიზაციამ გამოგგზავნათ დელევატად:..... მოსკოვისამ
5. ასაკი:.....52 წელი
6. ეროვნება:..... რუსი
7. განათლება:..... უმაღლესი
8. რომელ სოციალურ ჯგუფს აკუთვნებთ თავს (მუშა, გლეხი, მოსამსახურე)
9. რამდენ წელს მუშაობდით თქვენი პროფესიით:
   28 წელს როგორც ლიტერატორი
10. რა პარტიულ მუშაობას ეწევით ახლა:
    რკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი
11. რა საბჭოთა მუშაობას ეწევით ახლა:
    სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და
    თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
12. რა მონაწილეობას იღებთ ამჟამად:
    ა) კოოპერაციაში
    ბ) პროფმოძრაობაში } არავითარს
13. როდის შეხვედით რკპ-ში:..... დაარსების დღიდან (1895)
14. ყოფილხართ თუ არა წინათ სხვა პარტიებში, როდის, რომელში: არა

ხელმოწერა ვ. ულიანოვი (ლენინი)

27 მარტი 1922 წელი.

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება
ვ. ი. ლენინის მიერ
ნაწილობრივ
შევსებული ბლანკის
მიხედვით

---

* პეტიტით აწყობილი პასუხები დაწერილია მ. ი. ულიანოვას ხელით. რედ.

ვ. ი. ლენინის მოკრიბე მდივნების დღიური[485]

1922 წლის 21 ნოემბერი
1923 წლის 6 მარტი

21 ნოემბერი, დილა (ნ. ს. ალილუევას ჩანაწერი).

დილით ვლადიმერ ილიას ძესთან იყო გორბუნოვი[486]. 11½-დან კამენევი; 6 საათზე სხდომაა[487]. არავითარი დავალება არ მოუცია. ლიდია ალექსანდრეს ასულს [ფოტიევას] კენჭისსაყრელად * აქვს ერთი ქაღალდი[488], რომლის შესახებაც ვლადიმერ ილიას ძემ გვთხოვა შეგვეხსენებინა მისთვის 5-დან 6-მდე, რათა სტალინს მოელაპარაკოს. მაგრამ ლიდია ალექსანდრეს ასულმა ეს ქაღალდი წაიღო და თქვა, იმ განმარტებებს, რომელთა მიღებაც მას სტალინისაგან სურს, მე თვითონ მივცემო, ასე რომ შეხსენება საჭირო არ არის, მაგრამ ლიდია ალექსანდრეს ასული შეახსენებს. კამენევი 10¼ — 10¾.

21 ნოემბერი, საღამო.

ხასკელი — 11½
სტალინი — 12½ } დანიშნულია 22 ნოემბრისათვის **.

ხასკელისა და ლერსის (თარჯიმნის) შესახებ კომენდატურაში განკარგულება მიცემულია.

22 ნოემბერი, დილა (ნ. ს. ალილუევას ჩანაწერი).

I. დილით არავითარი დავალება არ არის. დანიშნულნი მიღებაზე იყვნენ.

შენიშვნები გრაფაში «შესრულება»:

* კენჭი უყარეს. გადაეცა პოლიტბიუროს. ეცნობათ ჩიჩერინსაც და სტალინსაც. ვოლოდიჩევა.

** ხასკელი 489 — კამენევის მეშვეობით. ლერსი — თარჯიმანი. სტალინი — შესრულებულია. იყვნენ ორივენი.

საღამო[სათვის]—კივდილო და ბროდოვსკი 6 საათისათვის (ფაიფურის ფაბრიკის მუშები) *, მიღება შემდეგი წესით იქნება: 6 საათისათვის ისინი მოვლენ გორბუნოვის კაბინეტში, იგი მათ მოელაპარაკება და შეგვატყობინებს, მაშინ ვლადიმერ ილიას ძე ერთი წუთით შევა იქ.

საშვების თაობაზე საჭიროა განკარგულება (სამების კარიდან).

II. ვლადიმერ ილიას ძემ პოლიტბიუროს ყველა წევრისა და ჩიჩერინისათვის გასაგზავნად მომცა უაღრესად საიდუმლო წერილი ხასკელის წინადადების შესახებ, გაეგზავნა ნაზარეტიანს[491] 8 ეგზემპლარი კენჭისყრისათვის დასარიგებლად **. შემოწმდეს ბურაკოვასთან[492], — მიღებულია.

III. ვლადიმერ ილიას ძეს გადაეცეს ხელმოსაწერად გორბუნოვის ქალალდები საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის სრულიად რუსეთის მე-5 ყრილობის პრეზიდიუმისადმი[493] (ხელმოწერილი დაუბრუნდეს გორბუნოვს).

23 ნოემბერი, დილა (ნ. ს. ალილუევას ჩანაწერი).

დილით 11-დან ვლადიმერ ილიას ძეს აქვს პოლიტბიუროს სხდომა $2^1/_2$-მდე[494]. ჯერჯერობით არავითარი დავალება არ მოუცია.

თუ ვლადიმერ ილიას ძემ იკითხა ჰუვერისადმი წერილი, უნდა ვუთხრათ, რომ ყოველივე ამას თვითონ ჩიჩერინმა მოჰკიდა ხელი. ხასკელი მიემგზავრება დღეს 7 ს. 20 წ. წერილი გადაეცემა ლანდერის მეშვეობით (როგორც ეს ვლადიმერ ილიას ძემ გვთხოვა). ჯერჯერობით საღამოსთვის არავითარი მიღება არ არის.

23 ნოემბერი, საღამო (შ. მ. მანუჩარიანცის ჩანაწერი).

შენიშვნები გრაფაში «შესრულება»:

* კივდილოსა და ბროდოვსკის ეცნობათ ზაკსის[490] მეშვეობით, მათ შესახებ ყველაფრის გაგება შეიძლება ზაკსთან.

** გაიგზავნა 15/20 წუთ. № 8565.

5 ს. 40 წ. ვლადიმერ ილიას ძე კაბინეტში იყო. იკითხა სკლიანსკის[495] პაკეტი და ის, თუ როდის იქნება მზად პოლიტბიუროს ოქმი და როგორ კეთდება ეს ტექნიკურად. მე ვკითხე სკლიანსკის, რომელიც დამპირდა, პაკეტს 24 ნოემბერს დილას გამოვგზავნიო.

6 ს. 45 წ. პაკეტი სოკოლნიკოვს[496].

8 ს. 5 წ. ვლადიმერ ილიას ძეს სურდა საუბარი სტალინთან, რომელსაც არ ეცალა ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს სხდომის გამო. ვლადიმერ ილიას ძემ თქვა: «ან საღამოს, ან დილას, ახლა კი შეწუხება არ ღირს». 8 ს. 30 წ. წავიდა.

ვლადიმერ ილიას ძემ გადახედა ყველა ახალ წიგნს. გადავეცი ვლადიმერ ილიას ძეს ზინოვიევის[497] პაკეტი და ზაკსის მასალები. ვლადიმერ ილიას ძემ მოითხოვა დიდი სახალხო კომისართა საბჭოს სხდომის დღის წესრიგი, რუსულიდან ინგლისურად სათარგმნად მომცა წერილი. 10 ს. 5 წ. ვლადიმერ ილიას ძე წავიდა.

24 ნ ო ე მ ბ ე რ ი, დ ი ლ ა (ნ. ს. ალილუევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძეს სურდა მიეღო მეისნერი (მთავართევზიდან), შეიძლება დღეს მიიღოს, ჯერ არაფერი ვიცი.

შესაძლოა დღეს საღამოს ან ხვალ დილით ვლადიმერ ილიას ძემ მიიღოს სკლიანსკი და პანცენჯანსკი გემთმშენებლობის პროგრამის საკითხზე * [498].

ვლადიმერ ილიას ძემ გვთხოვა დღეს საღამოს ტელეფონით დაკავშირების საშუალება ვიქონიოთ ირსმანთან და გარდენთან[499] — ავსტრალიის პარტიის წარმომადგენლებთან, საღამოს 5-დან 9-მდე, დაგველოდებიან 294 «ლუქსში», დაკავშირება შეიძლება კომენდატურიდან.

დარეკა ბურაკოვამ, გვთხოვა ვლადიმერ ილიას ძეს მივცეთ კენჭისსაყრელად ჩიჩერინის წინადადება სრუტეების შესახებ ვოროვსკის დეპეშის გამო ** [500].

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი გ რ ა ფ ა შ ი «შ ე ს რ უ ლ ე ბ ა»:

* სკლიანსკი მიიღო.

** საღამოს გავგზავნე პოლიტბიუროში.

24 ნოემბერი, საღამო (შ. მ. მანუჩარიანცის ჩანაწერი).

სხდომის წინ ვლადიმერ ილიას ძესთან იყო კამენევი. 6-დან $7^1/_2$-მდე ვლადიმერ ილიას ძე იყო შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე [501]. ვლადიმერ ილიას ძეს კენჭისსაყრელად გადაეცა პოლიტბიუროდან კომისიის შემადგენლობის საკითხი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის განცხადების გამო [502]. ვლადიმერ ილიას ძემ კენჭი არ უყარა.

სრუტეების შესახებ კენჭისყრა გადმომცა პოლიტბიუროში გასაგზავნად. $7^1/_2$ — $8^1/_2$ — სკლიანსკი, ხოლო შემდეგ კრჟიჟანოვსკი — ბინაში.

25 ნოემბერი, დილა (ნ. ს. ალილუევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძე შეუძლოდ არის [503], კაბინეტში მხოლოდ ხუთ წუთს დაჰყო, ტელეფონით უკარნახა სამი წერილი [504], რომლებზეც მოგვიანებით პასუხი სურდა მოეთხოვა.

მარიამ ილიას ასულმა [ულიანოვამ] გვითხრა, რომ არაფერით არ შევაწუხოთ — თუ თვითონ იკითხა პასუხები — ვკითხოთ, ვისაც ჯერ არს. მიღება არავითარი, დავალება ჯერჯერობით არავითარი. არის ორი პაკეტი სტალინისა და ზინოვიევისაგან [505] — მათზე სიტყვაც არ უნდა დავძრათ, სანამ არ იქნება საგანგებო განკარგულება და ნებართვა.

25 ნოემბერი, საღამო.

მოვიდა 6 საათზე. რამდენიმე წუთს ისაუბრა ტელეფონით. $6^1/_2$-დან $7^1/_2$-მდე იყო ა. დ. ციურუპა. ამის შემდეგ გვთხოვა კამენევის ყველა საქმე, რომლებიც მის მაგიდაზე იყო ორ საქაღალდეში, გაგვეგზავნა ციურუპასთვის [506], ხოლო სტატიები ურკარტის კონცესიების შესახებ — ჩიჩერინისათვის [507], და მაშინვე წავიდა. ეს გაკეთებულია. (მაგრამ მასალების ნაწილი ნიკოლოზ პეტრეს ძეს [გორბუნოვს] აქვს ან არქივშია).

ჩიჩერინმა გვთხოვა გადაგვეცა, რომ მას სურს მიიღოს პირადი ინსტრუქციები ურკარტის კონცესიების თაობაზე. იგი

(ჩიჩერინი) ხვალ საღამოს მიდის. უნდა გადავცეთ კვირას დილით. (ჯერ არ გადაგვიცია).

$8^1/_2$-დან $8^3/_4$-მდე — ტელეფონით საუბარი. გორბუნოვმა გვთხოვა გადაგვეცა მისთვის მთელი მასალა ტრესტების შესახებ, დაფინანსების საკითხები და ინფორმაცია კამენევის სამდივნოდან, რადგან ვლადიმერ ილიას ძემ სთხოვა გაეცნოთ ყოველივე ეს ციურუპასთვის. აზრი ტრესტების შესახებ და კამენევის ინფორმაცია უკვე გავუგზავნე ციურუპას — ციურუპამ მიიღო და გვთხოვა ჯერჯერობით დაგვეტოვებინა მისთვის რამდენიმე ხნით გასაცნობად. როგორც ჩანს, ნიკოლოზ პეტრეს ძემ კიდევ რაიმე მასალები მისცა.

პაკეტები არ მიჩვენებია. მაგრამ ყველა, როგორც ჩანს, დიდი მნიშვნელობისაა. კარგი იქნება ამის თაობაზე მოველაპარაკოთ ლიდია ალექსანდრეს ასულს.

26 ნოემბერი, კვირა, დილა (შ. მ. მანუჩარიანცის ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძე მოვიდა 12 ს., ისაუბრა ტელეფონით, გადაარჩია წიგნები, ზოგიერთი თან წაიღო. $1^1/_2$ წავიდა, თან წაიღო ვ. მილიუტინის [508] მოხსენება და სხვა ქაღალდები.

26 ნოემბერი, კვირა, საღამო (შ. მ. მანუჩარიანცის ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძე მოვიდა 6 ს. 50 წ., ისაუბრა ტელეფონით, 7 ს. 30 წ. მოვიდა ციურუპა. 8 ს. 30 წ. წავიდა ციურუპა, აგრეთვე ვლადიმერ ილიას ძეც.

27 ნოემბერი, დილა (ნ. ს. ალილუევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძე დღის 12 საათისათვის კაბინეტში იყო, არავინ უკითხავს და მალე წავიდა. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის მეშვეობით მოითხოვა მთელი მასალები საგარეო ვაჭრობის შესახებ, ყველაფერი გავუგზავნეთ შინ. ჯერჯერობით არავითარი დავალება არ არის, მიღება არ არის. პაკეტებიც არ არის.

27 ნოემბერი, საღამო (ვ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

გორბუნოვმა გვთხოვა, თუ შეიძლება, ვლადიმერ ილიას ძეს ხელმოსაწერად მივცეთ ზინოვიევის ქაღალდი მიუნცენბერგთან [509] დაკავშირებით (თუ მიღებულია) და გავუგზავნოთ მას (გორბუნოვს) მასალები საგარეო ვაჭრობის შესახებ, რადგან ვლადიმერ ილიას ძეს უთხოვია მისთვის გააცნოს ეს მასალები ციურუპას. მაგრამ დღეს ვლადიმერ ილიას ძეს ეს მასალები არ მოუცია. შინ აქვს. ვლადიმერ ილიას ძისაგან არავითარი განკარგულება არ არის. 7 საათის დამდეგს კომენდატურას მივეცი განკარგულება ბინაში კრამერის შეშვების შესახებ [510].

პაკეტები ბლომადაა. მათ შორის — ბერლინიდან მიღებული ფოსტა.

28 ნოემბერი, დილა (ნ. ს. ალილუევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძე კაბინეტში არ მოსულა, ორჯერ ესაუბრა ტელეფონით ლიდია ალექსანდრეს ასულს *. ითხოვა 26 ნოემბრის [512] «ეკონომიჩესკაია ჟიზნში» გამოქვეყნებული სოროკინის სტატია 159 დირექტივის შესახებ ** — შემდეგ დავალება მისცა ლიდია ალექსანდრეს ასულს — საღამოსათვის ჯერჯერობით არავითარი დავალება არ არის, პაკეტებსაც არ ვტოვებ.

28 ნოემბერი, საღამო (ზ. მ. მანუჩარიანცის ჩანაწერი).

7 ს. 45 წ. ვლადიმერ ილიას ძემ მთხოვა მომეძებნა ავანესოვი [513] და მეკითხა, ხომ არ შეუძლია დაურეკოს მას. დარეკა მეორედ და მითხრა თავისი ტელეფონი. მე გადავეცი ვლადიმერ ილიას ძეს, რომ ავანესოვი მუშურ-გლეხური ინსპექციის კოლეგიის სხდომაზეა. «მაშინ საჭირო არ არის, დილით დაგირეკავთ». იყო სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში გასაგზავნი ქაღალდი გორბუნოვისაგან ვლადიმერ ილიას ძის ხელმოსაწერად, პირი ბოგდანოვს [514], ფომინს [515] სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმას-

შენიშვნები გრაფაში «შესრულება»:

* იხ. დამატებითი ბარათი 511.

** სტატია ამოვჭერი, დავაწებე და შინ გავუგზავნე.

რულებელ კომიტეტში იმ საკითხის გადასინჯვის შესახებ, რომ შპალსაჟღენთი ქარხნები სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოდან გადაეცეს გზათა სახალხო კომისარიატს [516]. ვლადიმერ ილიას ძემ ხელი მოაწერა (შინ და გადასცა სამდივნოს).

29 ნოემბერი, დილა (ნ. ს. ალილუევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძე 12 ს. 20 წ. კაბინეტში იყო, გამოიძახა სტალინი, რომელიც 13. ს. 40 წ.-მდე იჯდა. საღამოსათვის არავითარი დავალება არ არის. ჯერჯერობით არც პაკეტებია.

29 ნოემბერი, საღამო (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

პოლიტბიუროდან გვაცნობეს (8812), რომ მოკავშირე რესპუბლიკების საკითხი ხვალ დგას პოლიტბიუროში (გამოგზავნილია არა ცნობისათვის, არამედ განსახილველად) [517].

ვლადიმერ ილიას ძე რეკავდა $5^1/_2$-დან 6-მდე. კითხულობდა, მიღებულია თუ არა სტალინისაგან ქაღალდი გემთშეკეთების პროგრამის შესახებ. რამდენიმე წუთს ესაუბრა ტელეფონით კამენევს. ტელეფონით მიკარნახა თავისი მოსაზრებანი გემთშეკეთების პროგრამის შესახებ და მთხოვა გამეგზავნა ისინი სტალინისა და კამენევისათვის (რაც შესრულდა) [518].

იკითხა, გაგზავნილია თუ არა დეპეშა ხასკელისათვის ლონდონში. მორიგე მდივანმა ჩიჩერინის კაბინეტიდან დადებითი პასუხი მომცა *. ხვალ დილით გამოგზავნის წერილობითს ცნობას. ვლადიმერ ილიას ძეს ვაცნობე.

7 ს. 50 წ.-დან 8 ს. 55 წ.-მდე იყო ავანესოვი. საუბრობდნენ კაბინეტში. წავიდა 9 ს. ავანესოვთან საუბრის დროს დაინტერესდა, როდის არის დანიშნული ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. ხვალ ეს საკითხი პოლიტბიუროს განსახილველადაა (დღის წესრიგთან ერთად), ხოლო ცენტრალური კომიტეტის

შენიშვნა გრაფაში «შესრულება»:

* დეპეშის პირი გაეგზავნა ხასკელს ლიტვინოვის ხელმოწერით. მიღებულია 30 ნოემბერს.

უკანასკნელ პლენუმზე მიიღეს დადგენილება დაუკავშირდეს პლენუმის მოწვევა საბჭოების ყრილობას. ეს ეცნობა ვლადიმერ ილიას ძეს[519].

30 ნოემბერი, დილა (ნ. ს. ალილუევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძე 1 ს. 10 წ.-ზე მოვიდა კაბინეტში, დარეკა და ითხოვა მიგვეცა მისთვის 13 ოქტომბრის № 763 «პოსლედნი ნოვოსტი». იქ მას პეშეხონოვის[520] სტატია აინტერესებს. ვიპოვე და მივუტანე შინ. კაბინეტში ვლადიმერ ილიას ძე ზუსტად 5 წუთს იყო და მაშინვე შინ წავიდა. არავითარი დავალება არ არის. ჯერჯერობით არც არავითარი პაკეტებია. ლიდია ალექსანდრეს ასულმა მთხოვა აღმენიშნა, მხოლოდ ცნობისათვის, რომ ხასკელისა და ჩიჩერინის პაკეტები ვლადიმერ ილიას ძის სახელზე კამენევს გადაეცა.

30 ნოემბერი, საღამო (შ. მ. მანუჩარიანცის ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძე კაბინეტში მოვიდა 6 ს. 45 წ., იკითხა, რა არის ახალი და როდის დამთავრდა პოლიტბიუროს სხდომა. ვლადიმერ ილიას ძეს შევატყობინე, რომ არის ახალი წიგნები; მთხოვა მიმეტანა. დამიბრუნა 13 ოქტომბრის გაზეთი «პოსლედნიე ნოვოსტი».

7 ს. 55 წ. ვლადიმერ ილიას ძესთან მოვიდა ადორატსკი[521], იჯდა 8 ს. 40 წ.-მდე. ვლადიმერ ილიას ძე საუბრობდა ტელეფონით. ითხოვა პოლიტბიუროს ოქმი, გადმოეცი. ვლადიმერ ილიას ძემ მთხოვა შემენახა პოლიტბიუროს ოქმი. მთხოვა განსაკუთრებით შემენახა ენგელსის წიგნი «პოლიტიკური ანდერძი»[522]. გადმომცა გადათვალიერებული ახალი წიგნები. ვლადიმერ ილიას ძე წავიდა 9 ს.

1 დეკემბერი, დილა (ნ. ს. ალილუევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძემ 11 ს. 20 წ.-ზე დაურეკა ლიდია ალექსანდრეს ასულს, სთხოვა 12 საათისათვის დაენიშნა მოლოტოვის მიღება *.

შენიშვნა გრაფაში «შესრულება»:

* მოლოტოვი მიიღო დანიშნულ დროს, 12 საათზე.

12-დან $1^1/_2$-მდე ერთად იყვნენ მოლოტოვი და სირცოვი[523]. საღამოსთვის ჯერჯერობით არავითარი დავალება არ არის. პაკეტებიც არ არის.

1 დეკემბერი, საღამო (შ. მ. მანუჩარიანცის ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძე მოვიდა 5 ს. 30 წ.-ზე, 5 ს. 45 წ.-ზე მოვიდა ციურუპა.

7 ს. მოვიდნენ ირსმანი, გარდენი და თარჯიმანი ვოიტინსკი, წავიდნენ 8 ს. 40 წ.-ზე. 8 ს. 45 წ.-ზე წავიდა ვლადიმერ ილიას ძე.

2 დეკემბერი, დილა (ნ. ს. ალილუევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძე მოვიდა 12 ს. 30 წ.-ზე, იყო სულ 10 წუთს, გამოიძახა ლიდია ალექსანდრეს ასული. სთხოვა 6 ს.-სათვის შეერჩია მასალები მთავართევზის შესახებ კნიპოვიჩთან შეხვედრის დროისათვის და მოეწყო ეს შეხვედრა საღამოს 7 ს.-სათვის. მასალები გორბუნოვს აქვს, ყურადღება მივაქციოთ, რომ 6 საათისათვის ყველაფერი ჩვენთან იყოს. კნიპოვიჩის[524] თაობაზე ყველა საგუშაგოს უნდა მივცეთ განკარგულება მისი შემოშვების შესახებ, რადგან საშვები არა აქვს.

დილით ვლადიმერ ილიას ძესთან იყო ექიმი და ვლადიმერ ილიას ძეს უთხრა შემდეგი: ორ თვეში ერთხელ და ორჯერაც კი ვლადიმერ ილიას ძისათვის აუცილებელია რამდენიმე დღით გაემგზავროს დასასვენებლად. სამშაბათს უფლება არ მისცა თავმჯდომარეობისა — ხუთშაბათს ნებას მისცემს, მაგრამ დიდი ხნით არა — და ხუთშაბათის შემდეგ რამდენიმე დღით უნდა წავიდეს აუცილებლად.

დარეკა გორბუნოვმა და გვთხოვა ვლადიმერ ილიას ძისათვის პირველი შესაძლებლობისთანავე გადაგვეცა, რომ 1 დეკემბერს რიკოვი ჩქარი მატარებლით წამოვიდა თბილისიდან, უნდა გადავცეთ, რადგან ვლადიმერ ილიას ძეს ეს ძალიან აინტერესებს.

ვლადიმერ ილიას ძემ გვთხოვა 8 საათისათვის დაგვენიშნა კამენევის მიღება (დარეკა ტელეფონით 14 ს. 5 წ.-ზე).

უნდა შევახსენო ლიდია ალექსანდრეს ასულს, რომ შეიტყოს ვლადიმერ ილიას ძისაგან კინის[525] რომელ სტატიაზე ლაპარაკობდა ციურუპასთან, რადგან ციურუპას ვერაფრით ვერ უპოვია ეს სტატია.

2 დეკემბერი, საღამო.

6½ საათიდან კაბინეტშია, 7-დან 8-მდე — კნიპოვიჩი; 8-დან 9¼-მდე კამენევი.

მომცა ინგლისური წერილი და მთხოვა შემეტყო, როდის მიემგზავრება ირსმანი. შევეკითხე «ლუქსის» კომენდანტს კაიზერს, რომელმაც მითხრა, რომ ირსმანი დღეს, ალბათ, არ მიდის და ხვალ მეტყვის ზუსტად მისი გამგზავრების დღეს *. მაშინ ვუთხრათ ეს ვლადიმერ ილიას ძეს, როცა ამ წერილს ვადავცემთ.

მიუნცენბერგისადმი წერილს ** ხელი მოაწერა[526], მაგრამ შენიშნა, რომ თანახმა არ არის, რომ წერილის დასაწყისი დაწერილია სწორი გერმანულით. მთხოვა დამეტოვებინა პირი მასთან (№ 8579) სამდივნოში.

მას ხელმოსაწერად აქვს სვიდერსკისადმი წერილი, ჩვენთანაა პირი. თუ გადმოგვცა ხელმოწერილი — გაიგზავნოს დანიშნულებისამებრ[527].

გორბუნოვმა გადმომცა გაზეთების ამონაჭრები ***: ერთი საქაღალდე ახალი, ხოლო მეორე შედარებით ძველი მასალებით. ეს ის მასალაა, რომლის შეგროვება ვლადიმერ ილიას ძემ ითხოვა თავისი სიტყვისათვის საბჭოების ყრილობაზე. ვფიქრობ — ვკითხო ლიდია ალექსანდრეს ასულს, შეიძლება თუ არა გადავცეთ ვლადიმერ ილიას ძეს კვირას.

შენიშვნები გრაფაში «შესრულება»:

* კაიზერის ცნობა: ირსმანმა თვითონ არ იცის ზუსტად როდის გაემგზავრება, მაგრამ აქ დარჩება დიდხანს, შეიძლება რამდენიმე თვესაც კი.

** წერილი გორბუნოვის მეშვეობით გადაეცა მიუნცენბერგს. მ. ვოლოდიჩევა.

*** დავდეთ ვლადიმერ ილიას ძის მაგიდაზე.

ვლადიმერ ილიას ძემ გვთხოვა გვეკითხა ბელენკისათვის [528], როდის ჩამოვლენ (ზუსტად) რიკოვი და ძერჟინსკი *. ეს ძალიან აინტერესებს. ბელენკისათვის არ ‘ბიკითხავს.

ვლადიმერ ილიას ძეს ეცნობა, რომ ფრუმკინი ამზადებს მასალებს და გამოგზავნის ან ორშაბათს დილით, ან კვირა საღამოს [529].

ვლადიმერ ილიას ძემ გორბუნოვთან რამდენჯერმე მოიკითხა მიხაილოვსკის ბარათი ფინანსების საკითხზე. ეს ნადიასთან [ალილუევასთან] უნდა იყოს. როცა საჭირო აღარ იქნება, გვთხოვს დავუბრუნოთ ორივე — მიხაილოვსკის ბარათი და კრასნოშჩეკოვის ბარათი [530]. წავიდა 9½ ს.

3 დეკემბერი, დილა (ს. ა. ფლაკსერმანის ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძე კაბინეტში მოვიდა 2 ს. გვთხოვა გამოგვეძახა სტენოგრაფისტი. ვოლოდიჩევა შინ არ აღმოჩნდა, და ვლადიმერ ილიას ძემ გვთხოვა არ გვეძებნა, რადგან საწერი ცოტა მაქვს და ხელით დავწერო. შევატყობინე ვლადიმერ ილიას ძეს: ბელენკის ცნობა რიკოვისა და ძერჟინსკის ჩამოსვლის შესახებ, აგრეთვე კაიზერის ცნობა ირსმანის გამგზავრების შესახებ. ვლადიმერ ილიას ძემ მთხოვა გამეგო კომინტერნიდან ვოიტინსკის მეშვეობით, რომელმაც ინგლისური იცის, როდის სჭირდება ირსმანს ბარათი.

ვლადიმერ ილიას ძემ კაბინეტში 20 წუთს დაჰყო და წავიდა.

3 დეკემბერი, კვირა, საღამო (ს. ა. ფლაკსერმანის ჩანაწერი).

შენიშვნა გრაფაში «შესრულება»:

* ბელენკიმ გვაცნობა, რომ ძერჟინსკი თბილისიდან წამოვა დაახლოებით 8 დეკემბერს, გზად რეიზიისათვის ‘ეაჩერდება ხოლმე და მოსკოვში იქნება დაახლოებით 13 დეკემბერს. რიკოვი თბილისიდან წამოვიდა 2 დეკემბერს, აქ იქნება 4 დეკემბერს დილით. (რიკოვის შესახებ კიდევ შეამოწმებს და დარეკავს.) ბელენკიმ ერთხელ კიდევ დარეკა და თქვა, რომ რიკოვი დღეს საღამოს 6 ს.-ზე იქნება, უნდოდა ერთხელ კიდევ შეემოწმებინა და დაერეკა. ‘იკითხა ‘ბაზზე.

ვლადიმერ ილიას ძე კაბინეტში მოვიდა საღამოს 6 ს.-ზე.

ბელენკიმ შეგვატყობინა, რომ გზათა სახალხო კომისარიატის ცნობით რიკოვი ბაქოდან გამოვიდა 3 დეკემბერს, როსტოვში მოელიან 5 დეკემბერს. ძერჟინსკის გაეგზავნა დეპეშა შესამოწმებლად. ვლადიმერ ილიას ძისათვის არ გადამიცია.

6 ს. 45 წ. ვლადიმერ ილიას ძემ გვთხოვა გადაგვეცა ავანესოვისათვის, რომ მისი წერილი მიიღო, წაიკითხა და სურს მოელაპარაკოს უწინარეს ყოვლისა ტელეფონით[531]. ვაცნობოთ ხვალ დილით.

7 ს.-ზე ვლადიმერ ილიას ძე კაბინეტიდან წავიდა.

4 დ ე კ ე მ ბ ე რ ი, დ ი ლ ̇ ა (ნ. ს. ალილუევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძე კაბინეტში მოვიდა 11 ს. 5 წ.-ზე. გვთხოვა ზუსტად გაგვეგო, როდის ჩამოდის რიკოვი *. 10-ს, 40 წ.-ზე ვლადიმერ ილიას ძემ დარეკა, გვთხოვა ავანესოვის მიღება დაგვენიშნა დილის 11 ს.-ზე. ავანესოვი მოვიდა 11 ს. 15 წ.-ზე — წავიდა 12 ს. 10 წ.-ზე, ლაპარაკობდნენ საგარეო ვაჭრობის საკითხზე. 12 ს. 30 წ.-ზე ვლადიმერ ილიას ძე წავიდა გორბუნოვის კაბინეტში[532], შემდეგ დაბრუნდა და ვოლოდიჩევას უკარნახებდა ტელეფონით, 2 ს.-ზე შინ წავიდა. საღამოს 6 ს.-ზე ვლადიმერ ილიას ძესთან იქნება კოლეგაევი[533] (ტელეფონი 174 — 14 ან ტროცკის კომუტატორით).

როცა რიკოვი ჩამოვა (თუ ვლადიმერ ილიას ძე უკვე აგარაკზე იქნება, იგი ხუთშაბათს მიდის), ტელეფონით უნდა დავაკავშიროთ ვლადიმერ ილიას ძესთან **. 5 ს. 50 წ.-ზე ვლადიმერ ილიას ძესთან — ჟუკოვი[534] 10 წუთით. 7 ს.-დან

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი გ რ ა ფ ა შ ი «შ ე ს რ უ ლ ე ბ ა»:

* დავურეკე ბელენკის, ვთხოვე ერთხელ კიდევ გაეგო ზუსტად ყოველივე. პასუხს დღეს საღამოს დამპირდა.

** თვალყური ვადევნოთ.

8 ს.-მდე — ფრუმკინი, 8 ს. 15 წ.-დან 9 ს.-მდე — ციურუპა (პირობითად, თუ ეს დრო მოსახერხებელი არ არის ვლადიმერ ილიას ძისათვის, მაშინ ხვალ დილის 11-ზე ან 12½-ზე).

4 დეკემბერი, საღამო (შ. მ. მანუჩარიანცის ჩანაწერი).

5 ს. 30 წ.-ზე ვლადიმერ ილიას ძე ვოლოდიჩევას უკარნახებდა წერილს ლიტვინოვისადმი და მისალმებას ახალგაზრდობის კომინტერნის III კონგრესისადმი[535]. დარეკა ავტომატით და იკითხა, რა ამბავია დღეს ჩემთან, შევატყობინე საათები და ვინ იქნება მიღებაზე. 5 ს. 50 წ.-ზე შევიდა კოლეგაევი თეატრების დახურვის შესახებ, 6 ს. 10 წ.-მდე. მაშინვე შევიდა ჟუკოვი ჰოლცმანთან[536] და ლავრენტიევთან ერთად, 6 ს. 50 წ.-მდე, ლაპარაკობდნენ ელექტრომრეწველობაზე. მათ შემდეგ შევიდა ფრუმკინი, 6 ს. 50 წ.-დან დაყო 7 ს. 25 წ.-მდე და ესაუბრა საგარეო ვაჭრობის საკითხზე. 7 ს. 30 წ.-ზე ვლადიმერ ილიას ძე წავიდა კაბინეტიდან, 8 ს.-ზე ვლადიმერ ილიას ძე მოვიდა კაბინეტში. ვლადიმერ ილიას ძემ იკითხა ლიტვინოვის პასუხი. მოითხოვა ხასკელის დეპეშა. გადმომცა ესპანელი Cesar Reyes-ის წიგნი, მთხოვა გვეთარგმნა წარწერა და წიგნის შინაარსი[537]. კომისიას ზინოვიევის, ტროცკის და ბუხარინის შემადგენლობით 4 დეკემბერს (დღეს) საღამოს ჰქონდა სხდომა. ამ კომისიას გაეგზავნა ვლადიმერ ილიას ძის შენიშვნის (ბუხარინის სახელზე) ეგზემპლარი ჰააგაში ჩვენი დელეგაციის ამოცანების საკითხზე[538].

9 ს.-ზე ვლადიმერ ილიას ძე კაბინეტიდან წავიდა.

5 დეკემბერი, დილა (ნ. ს. ალილუევას ჩანაწერი).

ლიტვინოვმა შეგვატყობინა, რომ ჩვენი მისია ადასტურებს ხასკელის მიერ დეპეშის მიღებას, ვაცნობოთ ვლადიმერ ილიას ძეს.

ვლადიმერ ილიას ძე კაბინეტში მოვიდა 10 ს. 45 წ.-ზე, იკითხა, ჰქონდა თუ არა სხდომა კომისიას ბუხარინის, ზინოვიევისა და ტროცკის შემადგენლობით — ვუპასუხე, რომ ჰქონდა ღამით; წავიდა 1 ს. 40 წ.-ზე.

6 ს.-ზე ვლადიმერ ილიას ძესთან იქნებიან ჩეხოსლოვაკიელი მუშები (სია იხ.) [539]. საჭიროა ყველა საგუშაგოს მიეცეს განკარგულება შემოუშვან, კრემლის საშვები აქვთ (15 წუთით). ეცნობათ.

7 საათზე $^1/_2$ საათით იქნება პოპოვი [540] (ეცნობა). ლიტვინოვმა უნდა გამოგზავნოს წერილობითი ცნობა ხასკელისათვის დეპეშის ჩაბარების შესახებ.

5 დეკემბერი, საღამო (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

6-დან $6^3/_4$-მდე — ჩეხოსლოვაკიელები: იოზეფ ჰანსი, ხამოსტა, ფრანეკი, რიხტერი, ხაპერა ანცელოვიჩთან ერთად [541].

7-დან 8-მდე პოპოვი (აღწერის შესახებ). შესვენება რამდენიმე წუთით (წავიდა შინ). 8 ს. 20 წ.-ზე კაბინეტში — ა. დ. ციურუპა. წავიდა 9 ს. 25 წ.-ზე.

6 დეკემბერი, დილა (ნ. ს. ალილუევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძე კაბინეტში მოვიდა, თორმეტი რომ დაიწყო. ვლადიმერ ილიას ძემ სთხოვა ლიდია ალექსანდრეს ასულს მისი დავალებით დაეწერა რამდენიმე წერილი (იაკოვლევასადმი, კამენევისა და ციურუპასადმი) [542]. სთხოვა დაეკავშირებინა იგი ტელეფონით სტალინთან — მოელაპარაკა მას შეხვედრაზე. 12 ს. 40 წ.-ზე მასთან მოვიდა სტალინი, იჯდა 2 ს. და 20 წ.-მდე. გვთხოვა დაგვენიშნა ეიდუკის მიღება $7^1/_2$, 6 ს. დოვგალევსკი [543], 7 ს.-ზე ბოგდანოვი. სტალინის შემდეგ სურდა ლაპარაკი მეშჩერიაკოვთან * [544].

2 ს. 25 წ.-ზე ვლადიმერ ილიას ძე შინ წავიდა. დარეკა კამენევმა, თქვა, რომ გამოგზავნის პაკეტს ამხ. ლენინის სახელზე, უნდა გადაეცეს პირდაპირ მას **.

6 დეკემბერი, საღამო (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

შენიშვნები გრაფაში «შესრულება»:

* არ ულაპარაკია, რადგან დიდხანს დარჩა.

** მივიდე, როცა ხუთს თხუთმეტი წუთი აკლდა, და კაბინეტში მაგიდაზე დავდე. ვოლოდიჩევა.

კამენევის წერილი ვლადიმერ ილიას ძემ წაიკითხა 6 ს.-ზე.

6 ს. 5 წ.-დან 6 ს. 30 წ.-მდე — ბოგდანოვი; 6 ს. 55 წ.-დან 7 ს. 20 წ.-მდე — ეიდუკი; 7 ს. 25 წ.-დან — დოვგალევსკი.

15 — 20 წუთს უკარნახებდა თავის მოგონებებს ნ. ე. ფედოსეევის შესახებ[545]. წავიდა, 10 რომ დაწყებული იყო. მოგონებანი მისი თხოვნით გავუგზავნეთ ანა ილიას ასულს [ელიზაროვას] (იხ. დანართის პირი).

7 დეკემბერი, დილა (ნ. ს. ალილუევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძე კაბინეტში მოვიდა 10 ს. 55 წ.-ზე; 11 ს.-ზე დაიწყო პოლიტბიუროს სხდომა კამენევის თავმჯდომარეობით. ვლადიმერ ილიას ძე ესწრება[546]. სხდომიდან ვლადიმერ ილიას ძე შინ წავიდა 2 ს. 20 წ.-ზე.

7 დეკემბერი, საღამო (შ. მ. მანუჩარიანცის ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძე კაბინეტში მოვიდა 5 ს. 30 წ.-ზე, ტელეფონით ესაუბრა სტალინს და სხვ., მოგვცა მთელი რიგი დავალებანი პოლიტბიუროში[547] და იაკოვლევასთან[548]. 6 ს. 15 წ.-ზე გორკაში წავიდა და თან წაიღო მიმდინარე ქაღალდები[549].

8 დეკემბერი, დილა (ნ. ს. ალილუევას ჩანაწერი).

12 ს. 10 წ.-ზე ვლადიმერ ილიას ძემ ტელეფონით დაურეკა ლიდია ალექსანდრეს ასულს, ესაუბრა პოლიტბიუროს გუშინდელ გადაწყვეტილებებზე.

12 ს. 15 წ.-ზე ბელენკის ვლადიმერ ილიას ძესთან გავატანეთ: 1) პოლიტბიუროს ოქმი № 39[550] და 2) სრულიად რუსეთისა და საოკრუგო მასშტაბის პასუხისმგებელ მუშაკთა სია (სირცოვისაგან). ვლადიმერ ილიას ძეს უნდოდა მოგვიანებით დაერეკა და ცოტა რაღაც ეკარნახა.

8 დეკემბერი, საღამო (შ. მ. მანუჩარიანცის ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძემ ტელეფონით დარეკა 5 ს. 35 წ.-ზე, უკარნახებდა ვოლოდიჩევას[551], 5 ს. 50 წ.-ზე ვლადიმერ ილიას

ძეს ესაუბრა ლიდია ალექსანდრეს ასული, ხმა მისცა სამ საკითხს პოლიტბიუროში: ვოროვსკის, მდივნის, ჩიჩერინის 1922 წლის 7 დეკემბრის დეპეშას[552], საბჭოების X ყრილობისათვის რეზოლუციის გადამსინჯველი კომისიის შემადგენლობის შესახებ და სრულიად უკრაინის ყრილობისადმი მისალმების შესახებ[553]. უკარნახა პოლიტბიუროს რეგლამენტი[554]. პლენუმის გადადებაზე თანახმაა[555]. საუბარი დაამთავრა 6 ს. 20 წ.-ზე. გავუგზავნე ბერლინიდან მიღებული წამალი.

9 დეკემბერი, დილა (ნ. ს. ალილუევას ჩანაწერი).

საღამოს შემდეგ არაფერი დაუვალებია. დარეკა მარიამ ილიას ასულმა, გადმოგვცა, რომ ვლადიმერ ილიას ძეს 5 ს. 3/4 სურს რაღაცის კარნახი, ხოლო 6 საათზე რიკოვთან ლაპარაკი, ჩამოვიდა და სახლშია. დავალება არ არის. პაკეტები არის.

9 დეკემბერი, საღამო (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძემ დარეკა 6 ს. 5 წ.-ზე, მომცა დავალება. გაეგზავნა ვლადიმერ ილიას ძის წერილები მოადგილეების მუშაობის შესახებ[556]: რიკოვს, სტალინს, ციურუპასა და კამენევს.

კამენევისაგან ბელენკი მოიტანს პაკეტს ვლადიმერ ილიას ძისათვის.

ვლადიმერ ილიას ძის წერილს ფრანგულ ენაზე სუვარინი დღეს საღამოს დააბრუნებს[557].

ეგზავნება ვლადიმერ ილიას ძეს: 1) თავისი წერილი მოადგილეთა მუშაობის შესახებ (ორიგინალი, პირი და ძველი დადგენილების პირი[558]), ცეტკინას წერილი და წამალი.

10 დეკემბერი, დილა.

ვლადიმერ ილიას ძისაგან არაფერი ყოფილა.

10 დეკემბერი, საღამო.

7 საათი დაწყებული იყო, რომ დარეკა. მთხოვა შემეერთებინა სტალინთან. ხმა მისცა კიროვის, ვასილიევისა და პოლუიანის დეპეშას ესერებზე[559].

პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე უნდა გაეგზავნოს ვლადიმერ ილიას ძეს თავისი წერილი ლაცარისადმი ფრანგულ ენაზე, რომელიც სუვარინმა გაასწორა, წერილი ჩავაბარეთ ჯიხურში; 8³/₄-ზე ვლადიმერ ილიას ძემ გვთხოვა გაგვეგზავნა ფრუმკინისათვის წერილი, რომელშიაც სთხოვს ავანესოვის თეზისების შეფასებას. გაგზავნილია. ხვალ დილას ფრუმკინისაგან უნდა შევიტყოთ, როდის გამოგზავნის თავის შეფასებას[560].

გორბუნოვსაც ვკითხოთ დილიდანვე (იხ. პირები №№ 8605 და 8606)[561].

წერილი ლაცარის სპეციალურად არ უნდა გაეგზავნოს. გაიგზავნოს მხოლოდ მაშინ, თუ ხელსაყრელი შემთხვევა იქნება. ეს ვლადიმერ ილიას ძემ თქვა.

11 დეკემბერი, დილა (ნ. ს. ალილუევას ჩანაწერი).

არავითარი დავალება არ ყოფილა. ვლადიმერ ილიას ძეს არც ერთხელ არ დაურეკავს. შევამოწმოთ, რომ საღამოს კაბინეტში 14 გრადუსზე ნაკლებ სითბო არ იყოს.

11 დეკემბერი, საღამო (ზ. მ. მანუჩარიანცის ჩანაწერი).

არავითარი დავალება არ ყოფილა. ვლადიმერ ილიას ძეს არც ერთხელ არ დაურეკავს.

12 დეკემბერი, დილა (ნ. ს. ალილუევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძე მოსკოვში ჩამოვიდა 11 ს.-ზე, კაბინეტში მოვიდა 11 ს. 15 წ.-ზე, ცოტა ხანს იყო კაბინეტში და შინ წავიდა 12-მდე. 12 ს.-ზე მასთან უნდა იყვნენ რიკოვი, კამენევი და ციურუპა*.

ვლადიმერ ილიას ძე კაბინეტიდან წავიდა 2 ს.-ზე, 2 ს.-მდე მასთან ისხდნენ რიკოვი, კამენევი, ციურუპა.

საღამოსათვის ჯერჯერობით არაფერია.

შენიშვნა გრაფაში «შესრულება»:

* იყვნენ.

12 დეკემბერი, საღამო (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძე კაბინეტშია 5 ს. 30 წ.-დან. ტელეფონით ისაუბრა რამდენიმე წუთს. მომცა წერილი იტალიელი ლაცარისათვის გასაგზავნად და მთხოვა განსაკუთრებით მედევნებინა თვალყური ვინ წაიღებს (რომ საიმედო ამხანაგმა წაიღოს). ძერჟინსკი — 6-დან 6 ს. 45 წ.-მდე [562].

სტომონიაკოვი [563] — (საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხი) — 7 ს. 45 წ.

წავიდა $8^1/_4$-ზე.

ვლადიმერ ილიას ძის წერილი ლაცარისადმი გავუგზავნე სუვარინს («ლუქსი», 23). იგი საიმედო ამხანაგებს მოელაპარაკება და ხვალ დილით გვაცნობებს ამის შესახებ ან ჯობს მას დაურეკოს*.

13 დეკემბერი, დილა (ლ. ა. ფოტიევას ჩანაწერი).

11 ს.-ზე იყვნენ ექიმები. ურჩიეს სრული დასვენება, გამგზავრება [564].

დაახლოებით 12-ზე შინ გამოიძახა ფოტიევა საქმეების ლიკვიდაციისათვის. უკარნახა წერილები: ცენტრალური კომიტეტისადმი როჟკოვის შესახებ [565], ფრუმკინისადმი, სტომონიაკოვისა და ტროცკისადმი საგარეო ვაჭრობის შესახებ [566], მოადგილეებისადმი მუშაობის განაწილების შესახებ [567]. 12 ს. 30 წ.-ზე მოვიდა სტალინი, წავიდა 2 ს. 35 წ.-ზე.

13 დეკემბერი, საღამო (ლ. ა. ფოტიევას ჩანაწერი).

5 ს. 55 წ.-ზე გამოიძახა ფოტიევა. შევატყობინე ფრუმკინისა და ტროცკის პასუხები. კრჟიჟანოვსკისთან შეხვედრა დანიშნა 14 დეკემბრისათვის 12 ს.-ზე. 7 ს. 30 წ.-დან 8 ს. 25 წ.-მდე უკარნახებდა წერილს ცენტრალური კომიტეტის პლენუმისად-

---

შენიშვნა გრაფაში «შესრულება»:

* განსაკუთრებით ვადევნოთ თვალყური ვლადიმერ ილიას ძის თხოვნით. სუვარინის პირადი ხელწერილი მიღებულია.

მი საგარეო ვაჭრობის საკითხზე [568]. უნდოდა ფრუმკინთან შეხვედრა, მაგრამ შემდეგ უარი თქვა. კარგ გუნებაზეა, ხუმრობდა. წუხდა მხოლოდ საქმეების ლიკვიდაციაზე.

14 დეკემბერი, დილა (ლ. ა. ფოტიევას ჩანაწერი).

დარეკა 11 ს.-ზე, ესაუბრა ფოტიევას საგარეო ვაჭრობის შესახებ გუშინდელი წერილის თაობაზე, სთხოვა არავის გადასცეს, რადგან დასამატებელი აქვს. იკითხა, მოვა თუ არა კრჟიჟანოვსკიო. კიდევ ერთხელ დარეკა 11 ს. 10 წ.-ზე.

1 ს. 10 წ.-ზე მთხოვა შემეერთებინა იაროსლავსკისთან [569]. რაკი იაროსლავსკი ვერ ვიპოვეთ, მასთან საუბარი თუ შეხვედრა გადადო საღამოსათვის. 2 ს. 25 წ.-ზე გამოიძახა ფოტიევა, გადასცა ბარათი ავანესოვისადმი საგარეო ვაჭრობის შესახებ წერილთან ერთად გასაგზავნად [570]. განკარგულება გასცა, რომ წერილის დაბრუნებისთანავე გავუგზავნოთ იგი ფრუმკინს, რომელსაც, ალბათ, საღამოს მიიღებს. ძალიან კმაყოფილი დარჩა, როცა შეიტყო პოლიტბიუროს გადაწყვეტილება როჟკოვის შესახებ, გაეცინა და თქვა, ეს ძალიან კარგი ახალი ამბავიაო [571]. გარეგნულად კარგ გუნებაზეა, ხუმრობს და იცინის.

14 დეკემბერი, საღამო (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

ექვსს თხუთმეტი აკლდა, როცა ვლადიმერ ილიას ძემ დარეკა. იკითხა პოლიტბიუროს ოქმი. თქვა, რომ აპირებს კარნახს. მთხოვა დამეკავშირებინა იაროსლავსკისთან. (იაროსლავსკი მასთან იყო.) მე-7 საათზე — ექიმი. ფრუმკინი იყო, მაგრამ ვლადიმერ ილიას ძე არ უნახავს. მეცხრე საათზე ვლადიმერ ილიას ძემ იკითხა, აქ არის თუ არა იგიო. სთხოვა ლიდია ალექსანდრეს ასულს შეეხსენებინა მისთვის ფრუმკინზე ხვალ 12 ს.-ზე, როცა ფრუმკინი ციურუპასთან იქნება. გვთხოვა შეგვეტყო, მთელი მასალები გაეგზავნა თუ არა ტროცკის საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ, და გადმოგვცა ის მასალები, რომლებიც მასთან იყო. მასალები უნდა ვაჩვენოთ ლიდია

ალექსანდრეს ასულს. ვლადიმერ ილიას ძის წერილი ბუხარინის წერილის შესახებ ვლადიმერ ილიას ძის თხოვნით გავუგზავნეთ სტალინსა და ტროცკის * [572]. დამატებას, როგორც თქვა, ცალკე დაწერს.

8-მდე ლიდია ალექსანდრეს ასულს უთხრა, რომ უკარნახებს: 1) წერილს ზინოვიევისადმი ფსკოველი როქკოვის თაობაზე; 2) კამენევისადმი—სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შესახებ; 3) საგარეო ვაჭრობის შესახებ წერილის დამატებას.

დაახლოებით 9-სათვის გაგვიმეორა, რომ უფლებას იტოვებს დარეკოს 10 საათამდე. დაახლოებით 10-სათვის დარეკა მარიამ ილიას ასულმა და თქვა, რომ ვლადიმერ ილიას ძე დღეს არ უკარნახებს.

15 დეკემბერი, დილა (ლ. ა. ფოტიევას ჩანაწერი).

დარეკა 11 ს. 50 წ.-ზე, იკითხა გუშინდელი წერილების პირები. გამოიძახა ფოტიევა შინ და გადასცა თავისი წერილი ტროცკისადმი და დაავალა ფოტიევას პირადად გადაეწერა მანქანაზე და გაეგზავნა, პირი კი შეენახა დაბეჭდილი კონვერტით საიდუმლო არქივში [573]. ძალიან უჭირს წერა, მიბრძანა ორიგინალი მომესპო, მაგრამ საიდუმლო არქივში შევინახე პირთან ერთად.

განკარგულება გასცა წიგნების თაობაზე: გადავარჩიოთ ტექნიკური, სამედიცინო და სხვა ამგვარი წიგნები, რომლებიც დავაბრუნო უკან, სასოფლო-სამეურნეო გადავცე მარიამ ილიას ასულს, საწარმოო პროპაგანდაზე, შრომის ორგანიზაციასა და პედაგოგიკაზე — ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს, ბელეტრისტიკა შევინახო მოთხოვნამდე და პუბლიცისტიკა, პოლიტიკური წიგნები, მემუარები, მოგონებანი და სხვა ამგვარნი — მისთვის.

გარდა ამისა განკარგულება გასცა, რომ მას გადაეცეს ფინანსთა კომიტეტის ყველა ოქმი მდივნის არც მაინცდამაინც

შენიშვნა გრაფაში «შესრულება»:
* საჭიროა თუ არა ფრუმკინისათვის გაგზავნა?

გრძელი, მაგრამ არც მეტისმეტად მოკლე ბარათითურთ, საიდანაც იგი შეძლებს მკაფიო წარმოდგენა იქონიოს ფინანსთა კომიტეტის მუშაობაზე. გუნებაზე ვერ არის, თქვა, რომ უარესად გრძნობს თავს, ღამით არ უძინია.

15 დეკემბერი, საღამო (ლ. ა. ფოტიევას ჩანაწერი).

დარეკა 8 ს. 30 წ.-ზე. უკარნახა (ჯერ ტელეფონით, მერე შინ გამოიძახა) წერილები სტალინისა და ტროცკისადმი. სტალინს საბჭოების ყრილობაზე შესაძლო გამოსვლის შესახებ[574], ტროცკის პლენუმიდან საგარეო ვაჭრობის საკითხის მოხსნის წინააღმდეგ კატეგორიული პროტესტის შესახებ, თუ ასეთი მოხსნა განზრახულია[575]. დაამთავრა დაახლოებით 9-ზე.

16 დეკემბერი, დილა (ლ. ა. ფოტიევას ჩანაწერი).

11 — 11 ს. 45 წ.-ზე იყვნენ ექიმები (კრამერი და კოჟევნიკოვი[576]). ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა გამოგზავნა წერილი მოადგილეებისადმი, რომლებიც მას კარნახით ჩაუწერია, როგორც ჩანს, გუშინ საღამოს ან დღეს ექიმების მოსვლამდე[577]. პაკალნი[578] ამბობს, რომ ვლადიმერ ილიას ძეს არ სურს გორკაში წასვლა, ამას იმით ხსნის, რომ აეროციგით მგზავრობა მოქანცველია, ავტომობილით კი არ შეიძლება. პაკალნი ამბობს, რომ ყოველდღე 9½-ზე მასთან მოჰყავთ ძაღლი (აიდა), რომელსაც ეთამაშება და რომელიც ძალიან უყვარს. მოვიდა ფერსტერის[579] დეპეშა, რომელიც ადასტურებს, რომ ყრილობაზე გამოსვლამდე საჭიროა სულ ცოტა 7 დღის სრული დასვენება. ვლადიმერ ილიას ძეს არც ერთხელ არ დაურეკავს და არავითარი განკარგულება არ მოუცია.

16 დეკემბერი, საღამო (ლ. ა. ფოტიევას ჩანაწერი).

დარეკა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა, გვთხოვა ვლადიმერ ილიას ძის სახელით გვეცნობებინა სტალინისათვის, რომ საბჭოების ყრილობაზე არ გამოვა. კითხვაზე, თუ როგორ გრძნობს თავს ვლადიმერ ილიას ძე, თქვა, რომ საშუალოდ, გარეგნულად არა უშავს რა, ისე კი ძნელი სათქმელია. გვთხოვა აგრეთვე მისი დავალებით კონსპირაციულად დავურეკოთ

იაროსლავსკის, რათა ჩაიწეროს პლენუმზე ბუხარინისა და პიატაკოვის სიტყვები, ხოლო შესაძლებლობისამებრ სხვებისაც საგარეო ვაჭრობის საკითხის გამო.

18 დეკემბერი, დილა (ნ. ს. ალილუევას ჩანაწერი).

მიმდინარეობს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომა. ვლადიმერ ილიას ძე არ ესწრება, ავადაა — არავითარი დავალებანი და განკარგულებანი.

18 დეკემბერი, საღამო.

მიმდინარეობს პლენუმის სხდომა. ვლადიმერ ილიას ძე არ უსწრება, საღამოს სხდომით პლენუმი დამთავრდა [580].

23 დეკემბერი (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

9 რომ დაიწყო, ვლადიმერ ილიას ძემ ბინაში გამომიძახა. მიკარნახა 4 წუთს. თავს ცუდად გრძნობდა. იყვნენ ექიმები [581]. კარნახის დაწყების წინ მითხრა: «მინდა გიკარნახოთ წერილი ყრილობისადმი. ჩაიწერეთ!» [582]. მიკარნახა სწრაფად, მაგრამ იგრძნობოდა მისი ავადმყოფობა. დამთავრების შემდეგ მკითხა, რომელი რიცხვიაო. რატომ ხართ ასეთი ფერმკრთალი, რატომ არ ესწრებით ყრილობასო [583], ინანა, რომ წამართვა დრო, რომელიც იქ შემეძლო გამეტარებინა. მეტი არავითარი განკარგულება არ მოუცია.

24 დეკემბერი (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

მეორე დღეს (24 დეკემბერს) 6-დან 8-მდე ვლადიმერ ილიას ძემ ისევ გამომიძახა. გამაფრთხილა, რომ გუშინდელი (23 დეკემბერი) და დღევანდელი (24 დეკემბერი) ნაკარნახევი აბსოლუტურად საიდუმლოა. ამას არაერთხელ გაუსვა ხაზი. მოითხოვა, რომ ყველაფერი, რასაც გვიკარნახებს, საგანგებო ადგილას შევინახოთ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით და მივიჩნიოთ კატეგორიულად საიდუმლოდ. მაშინვე დაუმატა კიდევ ერთი განკარგულება [584].

ვლადიმერ ილიას ძეს წავუღეთ სუხანოვის «წერილები რევოლუციაზე», III და IV ტომები.

29 დეკემბერი.

ვლადიმერ ილიას ძემ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის მეშვეობით გვთხოვა შეგვედგინა ახალი წიგნების ნუსხა. ექიმებმა კითხვის ნება მისცეს. ვლადიმერ ილიას ძე კითხულობს სუხანოვის «წერილებს რევოლუციაზე» (III და IV ტომები). ბელეტრისტიკა ვლადიმერ ილიას ძეს არ აინტერესებს. ვლადიმერ ილიას ძემ გვთხოვა ნუსხა დარგების მიხედვით შეგვედგინა.

1923 წ. 5 იანვარი.

ვლადიმერ ილიას ძემ მოითხოვა ახალი წიგნების ნუსხა 3 იანვრიდან და ტიტლინოვის წიგნი «ახალი ეკლესია» [585].

17 იანვარი (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძემ გამომიძახა 6-დან 7-მდე ნახევარი საათით. კითხულობდა და შესწორებანი შეჰქონდა შენიშვნებში სუხანოვის წიგნზე რევოლუციის შესახებ. 10 — 15 წუთის განმავლობაში მიკარნახებდა გაგრძელებას იმავე საკითხზე [586].

კმაყოფილი დარჩა ახალი ქვესადგამით, რომელიც უადვილებს წიგნებისა და თავისი ხელნაწერების კითხვას.

იმ დროს, როცა მიკარნახებდა ფრაზას: «ჩვენს სუხანოვებს...» — სიტყვაზე «. . . არც დასიზმრებიათ. . .» შეჩერდა და, სანამ გაგრძელებას მოიფიქრებდა, ხუმრობით თქვა: «აი რა მეხსიერება მაქვს! სრულიად დამავიწყდა, რის თქმა მინდოდა! ეშმაკმა წაიღოს! საოცრად შემისუსტდა მეხსიერება!» მთხოვა მაშინვე გადამეწერა შენიშვნები და მისთვის მიმეცა.

როცა ვაკვირდებოდი რამდენიმე დღის მანძილზე ზედიზედ კარნახის დროს, შევნიშნე, რომ არ ესიამოვნება, თუ შუა ფრაზაში გააწყვეტინებენ, რადგან აზრის ძაფი უწყდება.

18 იანვარი (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძეს არ გამოვუძახებივარ.

19 იანვარი (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძემ დღეს გამომიძახა დაახლოებით 7-ზე და 9 რომ დაიწყო, მაშინ. მიკარნახა თავისი მე-2 ვარიანტი მუშურ-გლეხური ინსპექციის შესახებ («როგორ მოვახდინოთ

მუშგლეხინის რეორგანიზაცია?») [587] დაახლოებით 30 წუთს. თქვა, მინდა მალე დავწეროო.

20 იანვარი.

ვლადიმერ ილიას ძემ დღეს გამომიძახა 12 და პირველ საათს შუა. კითხულობდა თავის სტატიას «როგორ მოვახდინოთ მუშგლეხინის რეორგანიზაცია?». შეჰქონდა დამატებანი და შესწორებანი.

თქვა, რომ ნადეჟდა კონსტანტინეს ასული მისცემს ერთ ცნობას, რომელიც შეეხება მისი სტატიის ერთ ნაწილს, და დაავალა ლიდია ალექსანდრეს ასულს ზუსტად გამოერკვია იგივე: რომელი და რამდენი დაწესებულებაა ჩვენში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დარგში, რამდენი ყრილობა იყო ამ საკითხზე და რომელი ჯგუფები მონაწილეობდნენ. ხომ არ არის რაიმე მასალები პიტერში? (ხლოპლიანკინმა [588] გამოგზავნა იგივე მასალა, რომელიც ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს ჰქონდა, ცოტა უფრო დაწვრილებითი.)

ითხოვა წიგნების სრული ნუსხა [589]. მასთან ვიყავი დაახლოებით 30 წუთს.

21 იანვარი (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძეს არ გამოვუძახებივარ.

22 იანვარი (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძემ გამომიძახა 25 წუთით (12-დან 12 ს. 25 წ.-მდე). შეჰქონდა შესწორებანი მუშგლეხინის მე-2 ვარიანტში; საბოლოოდ შეჩერდა ამ ვარიანტზე. რადგან დრო განსაზღვრული ჰქონდა, ძალიან ჩქარობდა. მთხოვა წესრიგში მომეყვანა სტატია, გადამებეჭდა და საღამოსათვის მიმეცა. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა, როცა მასთან შემიშვა, მითხრა, რომ მან უკანონოდ მიითვისა კიდევ რამდენიმე წუთი სტატიის გადასასინჯად. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა გადმომცა, რომ დას (მორიგეს) არ სურდა ჩემი შეშვება მასთან. როცა ვლადიმერ ილიას ძისაგან წავედით, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული სამდივნოში შემოვიდა და გადმომცა ვლადიმერ ილიას ძის თხოვნა: «ცარიელი ადგილები დატოვეთ იქ, სადაც ვერ მო-

ასწარით ჩაწერა, თუ ასეთი იქნებაო». თქვა, ვლადიმერ ილიას ძე ფიქრობს, რომ რაკი ძალიან ეჩქარებოდა, ძნელი იყო მისთვის მიყოლა. ვუთხარი, რომ ყველაფერი ჩაწერილია, მაგრამ თუ ეჭვი აღმეძრა, ისე ვიზამ, როგორც მთხოვა-მეთქი.

23 იანვარი (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძემ გამომიძახა თორმეტსა და პირველ საათს შუა. ერთხელ კიდევ სწრაფად გადაიკითხა სტატია, რომელიც ზევითაა მოხსენიებული. შეიტანა მცირეოდენი ცვლილებანი. მთხოვა შემეტანა მის ეგზემპლარშიც და ჩვენსაშიც და ერთ-ერთი მათგანი მიმეცა მარიამ ილიას ასულისათვის «პრავდაში» დასაბეჭდად. სტატია გავასწორე და მარიამ ილიას ასულს გადავეცი 3 საათამდე. იკითხა, დაბრუნდა თუ არა ლიდია ალექსანდრეს ასული და დამთავრდა თუ არა თქვენი უქმეებიო.

30 იანვარი (ლ. ა. ფოტიევას ჩანაწერი).

24 იანვარს ვლადიმერ ილიას ძემ გამოიძახა ფოტიევა და დაავალა გამოეთხოვა ძერჟინსკისა ან სტალინისაგან საქართველოს საკითხზე კომისიის მასალები და დეტალურად შეგვესწავლა. ეს დავალება მიეცათ ფოტიევას, გლიასერსა და გორბუნოვს. მიზანი — მოხსენება ვლადიმერ ილიას ძისათვის, რომელსაც ეს პარტიული ყრილობისათვის სჭირდება. ის, რომ საკითხი პოლიტბიუროში დგას, მან, როგორც ჩანს, არ იცოდა [590]. მან თქვა: «ჩემი ავადმყოფობის წინ ძერჟინსკიმ მითხრა კომისიის მუშაობისა და «ინციდენტის» შესახებ და ამან ჩემზე ძალიან მძიმე გავლენა მოახდინა».

ხუთშაბათს, 25 იანვარს, იკითხა, მიღებულია თუ არა მასალები. ვუპასუხე, რომ ძერჟინსკი მხოლოდ შაბათს ჩამოვა. და ამიტომ ჯერ არ შემეძლო მეკითხა.

შაბათს ვკითხე ძერჟინსკის, მითხრა, მასალები სტალინთან არისო. გავუგზავნე წერილი სტალინს, იგი მოსკოვში არ აღმოჩნდა. გუშინ, 29 იანვარს, სტალინმა დარეკა, რომ პოლიტბიუროს გარეშე მასალების მოცემა არ შეუძლია. მკითხა, ზედმეტს ხომ არაფერს ვეუბნები ვლადიმერ ილიას ძეს, საი-

დან არისო მიმდინარე საქმეების კურსში? მაგალითად, მისი სტატია მუშგლეხინის შესახებ გვიჩვენებს, რომ მან იცის ზოგიერთი გარემოებაო. ვუპასუხე — არ ვეუბნები და არავითარი საფუძველი არა მაქვს ვიფიქრო, რომ საქმის კურსშია-მეთქი. დღეს ვლადიმერ ილიას ძემ გამომიძახა, რათა შეეტყო პასუხი, და მითხრა, ვიბრძოლებ იმისათვის, რომ მასალები მომცენო.

26 იანვარს ვლადიმერ ილიას ძემ დამავალა მეთქვა ციურუპასათვის, სვიდერსკისა და ავანესოვისათვის, რომ თუ ისინი ეთანხმებიან მის სტატიას, გამართონ რამდენიმე თათბირი და განიხილონ ყრილობამდე, საჭირო ხომ არ არის სახელმძღვანელოების გეგმის, კონსპექტის შედგენა (როგორც ჩანს, შრომის ნორმალიზაციაზე). იცნობენ თუ არა ისინი კერჟენცევის, ერმანსკის[591] წიგნებს. არის შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გეგმა, არის მუშურ-გლეხურ ინსპექციაში ნორმალიზაციის განყოფილება.

დღეს იკითხა, როგორია ციურუპას პასუხი, ეთანხმება თუ არა სტატიას, ეთანხმებიან თუ არა სვიდერსკი, ავანესოვი, რესკე?[592] კოლეგიის სხვა წევრები? ვუთხარი, არ ვიცი-მეთქი. იკითხა, ხომ არ ყოყმანობს ციურუპა, ხომ არ ცდილობს გაჭიანურებას, გულახდილად გელაპარაკება თუ არაო. ვუთხარი, რომ ჯერჯერობით არ მქონდა მასთან ლაპარაკის საშუალება, მხოლოდ ვაცნობე დავალება, რომელიც შესასრულებლად მიიღო.

24 იანვარს ვლადიმერ ილიას ძემ თქვა: «უწინარეს ყოვლისა ჩვენი «კონსპირაციული» საქმის გამო: მე ვიცი, რომ თქვენ მატყუებთ». როცა ვცადე საწინააღმდეგოში დამერწმუნებინა, მითხრა: «ამის გამო მე ჩემი აზრი მაქვს».

დღეს, 30 იანვარს, ვლადიმერ ილიას ძემ მითხრა, რომ გუშინ მის შეკითხვაზე, შეძლებს თუ არა 30 მარტს ყრილობაზე გამოსვლას, ექიმმა უარყოფითად უპასუხა, მაგრამ დაჰპირდა, რომ ამ დროისათვის ფეხზე იქნება, ხოლო ერთი თვის შემდეგ გაზეთების კითხვის ნებას მისცემს. დაუბრუნდა რა საქართველოს შესახებ კომისიის საკითხს, სიცილით თქვა: «ეს ხომ გა-

ზეთები არ არის, მაშასადამე, ახლაც შემიძლია ვიკითხო». როგორც ჩანს, ცუდ გუნებაზე არ უნდა იყოს. თავზე კომპრესი არა აქვს.

1 თებერვალი (ლ. ა. ფოტიევას ჩანაწერი).

დღეს გამომიძახა ვლადიმერ ილიასძემ ($6^1/_2$ ს.-ზე). შევატყობინე, რომ პოლიტბიურომ მასალების მიღების ნება დართო [593]. მომცა მითითება, რას მივაქციო ყურადღება და საერთოდ როგორ ვისარგებლო ამ მასალებით [594]. ვლადიმერ ილიჩმა თქვა: «თავისუფალი რომ ვიყო (ჯერ წამოსცდა, შემდეგ კი სიცილით გაიმეორა: თავისუფალი რომ ვიყო), თვითონვე გავაკეთებდი ყოველივე ამას ადვილად». ვარაუდობდა, რომ მათს შესწავლას 4 კვირა დასჭირდება.

იკითხა ციურუპასა და სხვათა აზრი მის სტატიაზე. ვუპასუხე, ციურუპასა და სვიდერსკის მითითებათა თანახმად, რომ სვიდერსკი მთლიანად ეთანხმება. ციურუპას მოსწონს ის ადგილი, რომელიც შეეხება ცენტრალური კომიტეტის წევრების ჩაბმას, და ეჭვი ეპარება, შეძლებს თუ არა მუშურ-გლეხური ინსპექცია ყველა ახლანდელი ფუნქციის შესრულებას, თუ 300 — 400 კაცამდე შემცირდა. ავანესოვის თვალსაზრისი არ ვიცი. ხვალ მთელი კოლეგიის თათბირია.

იკითხა, იდგა თუ არა სტატიის საკითხი ცენტრალურ კომიტეტში. ვუპასუხე, არ ვიცი-მეთქი. ვლადიმერ ილიას ძე ამ ცნობებს დასჯერდა.

2 თებერვალი (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძეი გამომიძახა $11^3/_4$ ს.-ზე. მიკარნახა სტატია «უმჯობესია ცოტა და კარგი» [595]. დაამთავრა $12^1/_2$-ზე.

სთხოვა ლიდია ალექსანდრეს ასულს შეიაროს ხოლმე მასთან დღეგამოშვებით. ვკითხე, რომელ საათზე-მეთქი, მიპასუხა ახლა ხომ თავისუფალი კაცი ვარო. სხვათა შორის თქვა, რომ მხოლოდ 2-დან 5-მდე არ შეიძლება ჩემთან მოსვლაო; დასძინა, რომ შეიძლება ექვსზე ან ჩემს დას მოელაპარაკოსო.

არ მინახავს 23 იანვარს აქეთ. გარეგნულად უკეთესობა ეტყობა: დასვენებულად, მხნედ გამოიყურება. როგორც ყო-

ველთვის, შესანიშნავად მიკარნახებს: შეუფერხებლად, ძალიან იშვიათად უჭირს გამოთქმები, უფრო სწორად, კი არ მიკარნახებს, არამედ ჟესტიკულაციით ლაპარაკობს [596]. თავზე კომპრესი არა აქვს.

3 თებერვალი (ლ. ა. ფოტიევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძემ 7 ს.-ზე გამომიძახა რამდენიმე წუთით. იკითხა, გადავხედეთ თუ არა მასალებს. ვუპასუხე, რომ მხოლოდ ზერელედ და რომ მასალები არც იმდენი აღმოჩნდა, რამდენიც გვეგონა. იკითხა, იდგა თუ არა ეს საკითხი პოლიტბიუროში. ვუპასუხე, რომ უფლება არა მაქვს ვილაპარაკო ამაზე. მკითხა: «თქვენ სწორედ და სპეციალურად ამაზე გაქვთ აკრძალული ლაპარაკი?» «არა, საერთოდ არა მაქვს უფლება ვილაპარაკო მიმდინარე საქმეებზე». «მაშასადამე, ეს მიმდინარე საქმეა?» მივხვდი, რომ გავები. გავიმეორე, რომ ლაპარაკის უფლება არა მაქვს-მეთქი. მითხრა: «ამ საქმის შესახებ ჯერ კიდევ ძერჟინსკისაგან ვიცი, ჩემს ავადმყოფობამდე. კომისიამ გააკეთა მოხსენება პოლიტბიუროში?» «დიახ, გააკეთა, პოლიტბიურომ საერთოდ დაამტკიცა მისი გადაწყვეტილება, რამდენადაც მახსოვს». მითხრა: «მაშ, ვფიქრობ, რომ თქვენ გააკეთებთ თქვენს რელაციას სამიოდე კვირის შემდეგ და მაშინ მივმართავ წერილით». ვუპასუხე: «იქნებ ვერ მოვასწროთ 3 კვირაში». მოვიდნენ ექიმები (ფერსტერი, რომელიც ეს-ეს არის ჩამოვიდა, კოჟევნიკოვი და კრამერი), და მე წავედი. მხიარულად და მხნედ გამოიყურება, შესაძლოა, რამდენადმე აგზნებული იყოს ფერსტერის ვიზიტის წინ, ვისაც დიდი ხანია იგი არ უნახავს.

4 თებერვალი (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძემ დღეს გამომიძახა დაახლოებით 6 საათზე. მკითხა, წინააღმდეგი ხომ არა ხარ, რომ უქმეობითაც გიძახებ ხოლმეო. («ბოლოს და ბოლოს, ოდესმე თქვენც ხომ გინდათ დასვენება?»).

მიკარნახა სტატიის «უმჯობესია ცოტა და კარგი» გაგრძელება ნახევარ საათზე მეტხანს. ყოჩაღად გამოიყურება,

მხნედ ლაპარაკობს, უკომპრესოდ არის. დაამთავრა ამ სიტყვებით: «მაშ, ჯერჯერობით გვეყოფა. ცოტა დავიღალე». მთხოვა გავშიფრო და დავურეკო, როცა დავამთავრებ, რადგან, ალბათ, დღეს კიდევ განაგრძობს სტატიას; მითხრა, რომ ძველთაგანვე ჩვეულებად მაქვს წერის დროს წინ მედოს ხელნაწერი, ურომლისოდაც მიჭირსო.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა გადმომცა, რომ ვლადიმერ ილიას ძესთან იყო გერმანელი ექიმი (ფერსტერი), რომელმაც უამრავი სასიამოვნო რამ უთხრა, მისცა ვარჯიშის ნება, მოუმატა სტატიების კარნახის დრო, და რომ ვლადიმერ ილიას ძე ძალიან კმაყოფილი დარჩა.

8 საათზე ისევ გამომიძახა. მაგრამ ჯერ უკარნახია, არამედ გადახედა დაწერილს და დამატებანი შეიტანა. როცა დაამთავრა, მითხრა, განზრახული მაქვს, სანამ სტატიას დასაბეჭდად მივცემდე, ვუჩვენო ციურუპას და იქნებ მისი კოლეგიის კიდევ ზოგიერთ სხვა წევრსო, ვფიქრობ, კიდევ ცოტა რამ დავუმატო ამ ჩემს აზრებსო. კარნახის ტემპი ჩვეულებრივზე ნელი იყო. თავზე კომპრესი აქვს. ფერმკრთალია. ჩანს, დაიღალა.

5 თებერვალი (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

დღეს ვლადიმერ ილიას ძემ გამომიძახა 12 ს.-ზე. ვიყავი 3/4 საათს. კარნახის ტემპი ნელია. ერთ ადგილას, როცა გამოთქმა გაუჭირდა, მითხრა: «დღეს რაღაც რიგიანად, ყოჩაღად (ამ სიტყვაზე მახვილი დასვა) ვერ გამომიდის». მთხოვა თავისი სტატია «როგორ მოვახდინოთ მუშგლეხინის რეორგანიზაცია?». 3 — 4 წუთს თვითონ კითხულობდა ჩუმად. შემდეგ ცოტა განაგრძო და გადაწყვიტა დაემთავრებინა, მითხრა, რომ დღეს გამოგიძახებ 4-ზე, 5-ზე, ან, შეიძლება, 6 საათზეო.

5 თებერვალი, საღამო (მ. ი. გლიასერის ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძემ 7 ს.-ზე (როცა 10 წუთი აკლდა) გამოიძახა ლიდია ალექსანდრეს ასული, მაგრამ, რაკი იგი შეუძლოდ იყო, მე დამიძახა.

მკითხა, უკვე დაიწყეთ თუ არა საქართველოს კომისიის მასალების გარჩევა და რა ვადაში ვარაუდობთ ამ სამუშაოს დამთავრებასო. ვუპასუხე, რომ ჩვენ მასალები გავინაწილეთ და დავიწყეთ კითხვა, რაც შეეხება ვადას, იმედი გვაქვს დავამთავროთ იმ ვადაში, რომელიც თქვენ მოგვეცით-მეთქი, ე. ი. სამ კვირაში. იკითხა, როგორ აპირებთ მასალების კითხვასო. ვუთხარი, ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ საჭიროა ყოველმა ჩვენგანმა ყველაფერი წავიკითხოთ-მეთქი. «ეს თქვენ ერთხმად გადაწყვიტეთ?» «დიახ». ვლადიმერ ილიას ძემ დაიწყო გამოანგარიშება, რამდენი დრო დარჩა ყრილობამდე. როცა ვუთხარი, რომ ერთი თვე და 25 დღე დარჩა-მეთქი, მითხრა, ეს ვადა, შეიძლება ითქვას, საკმარისია, მაგრამ თუ დამატებითი ცნობები დაგვჭირდა, შეიძლება არ გვეყოს, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მოსაზრებას, რომ კავკასიაში ჩასვლას უფრო მეტი დრო დასჭირდებაო. მკითხა, რამდენს მუშაობთ თითოეული თქვენგანიო, და თქვა, რომ, თუ გაგიჭირდათ, შეგიძლიათ მუშაობაში ჩააბათ ვოლოდიჩევა და შუშანიკა მანუჩარიანციო. შემდეგ მკითხა, ფორმალური ხომ არ არის თქვენი გადაწყვეტილება, რომ ყველამ ყველაფერი წაიკითხოთო. ვუპასუხე, რომ ეს გადაწყვეტილება არსად ჩაგვიწერია, და ვკითხე, ამის საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ-მეთქი. მითხრა, ცხადია, მინდა, რომ თქვენ ყველამ ყველაფერი წაიკითხოთ, მაგრამ ჩვენი კომისიის დავალებანი ხომ ფრიად გაურკვეველიაო. ერთი მხრივ, მას არ სურს მეტისმეტად გაგვსარჯოს, მაგრამ, მეორე მხრივ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მუშაობის დროს საჭირო გახდება ამ დავალებათა გაფართოება. შესაძლოა, დამატებითი მასალების მიღება მოგვიხდეს. იკითხა, სად ინახავთ მასალებს, როგორ სარგებლობთ, შეადგენთ თუ არა მთელი მასალების მოკლე კონსპექტს და გადაბეჭდავთ თუ არა მანქანაზეო («ხომ არ გაგიძნელდებათ ეს?»). დასასრულ, ვლადიმერ ილიას ძემ დაასკვნა, რომ უახლოესი კვირის მანძილზე გადავწყვეტთ, რამდენი დრო დაგვჭირდება და რა ფორმით დავამუშავებთ ამ მასალებს, ხოლო დამუშავების დროს ვიხელმძღვანელებთ იმით, რომ საჭირო იქნება ყველა მონაცემის ზოგადი მიმოხილვის

შედგენა იმ საკითხებზე, რომლებიც კომისიამ დასახა, აგრეთვე იმ საკითხებზეც, რომლებსაც ვლადიმერ ილიას ძე მოგვაწვდის მუშაობის დროს.

შემდეგ ვლადიმერ ილიას ძემ დამავალა მეკითხა პოპოვისათვის, რა მდგომარეობაშია ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს აღწერის მასალების დამუშავება პეტროგრადში, მოსკოვსა და ხარკოვში (თუ ამ უკანასკნელში აღწერა მოხდა), რა ვადაში ვარაუდობს მათს დამუშავებას და გამოაქვეყნებს თუ არა[597]. ვლადიმერ ილიას ძეს მათი ნახვა სურს პრესაში პარტიულ ყრილობამდე; მისი აზრით, ამ აღწერის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო მასალები უნდა გამოქვეყნდეს, მიუხედავად იმისა, რომ წინა აღწერების მონაცემები არ გამოქვეყნებულა, ხოლო პოპოვი ვლადიმერ ილიას ძეს მარტო ცხრილებს უგზავნიდა. ამიტომ საჭიროა პოპოვს განსაკუთრებით შევუტიოთ, გავუგზავნოთ ოფიციალური შეკითხვა ამის თაობაზე, მანამდე კი პირადად მოველაპარაკოთ.

მე სულ 20 წუთი დავყავი მასთან. პირველად ვნახე ვლადიმერ ილიას ძე მისი ავადმყოფობის მანძილზე. ჩემი აზრით, კარგად და მხნედ გამოიყურება, მხოლოდ რამდენადმე უფრო ფერმკრთალია, ვიდრე წინათ. ლაპარაკობს ნელა, მარცხენა ხელის ჟესტიკულაციით, მარჯვენა ხელის თითებს კი ათამაშებს. თავზე კომპრესი არა აქვს.

6 თებერვალი, საღამო (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძემ გამომიძახა 7-სა და 9-ს შუა. ვიყავი დაახლოებით $1^1/_2$ საათს. ჯერ შეუდგა თავისი სტატიის «უმჯობესია ცოტა და კარგის» კითხვას. ვლადიმერ ილიას ძე ძალიან გაამხიარულა შესწორებებმა, რომლებიც შეტანილი იყო წითელი მელნით (არა შესწორებათა არსმა, არამედ მათი შეტანის ხასიათმა!). სტატია მისი თხოვნით არ გადაწერილა, არამედ თავდაპირველად გაშიფრული ეგზემპლარი მხოლოდ შეივსო იმ შესწორებებით, რომლებიც ვლადიმერ ილიას ძეს შეჰქონდა კითხვის დროს. მაგრამ რადგან შესწორებანი შეტანილი იყო

.არა კორექტურული, არამედ ჩვეულებრივი მდივნური წესით, მეორე კითხვის დროს ვლადიმერ ილიას ძისათვის ეს მოუხერხებელი აღმოჩნდა. მომავლისათვის გვთხოვა ყველაფერი ხელახლა გადაგვეწერა ხოლმე. სტატიისათვის თვალის გადავლების დროს ვლადიმერ ილიას ძე გადაუხვევდა ხოლმე და ლაპარაკობდა, რომ ჩემი ძველი ჩვეულებაა ვწერო და არა ვუკარნახოო; რომ ახლა მესმის, თუ რატომ ვერ მაკმაყოფილებენ (თქვა· «ვერ მაკმაყოფილებდნენ») სტენოგრაფისტებიო; რომ მიჩვეული ვარ თვალწინ მქონდეს ჩემი ხელნაწერი, შევჩერდე, მოვიფიქრო ძნელ შემთხვევებში ის ადგილი, რომელშიც «ვეფლობი», ბოლთას ვცემდე ოთახში, ზოგჯერ გავიქცე კიდეც ხოლმე სასეირნოდ; რომ ახლა ხშირად მსურს ხოლმე ხელი ვტაცო ფანქარს და თვითონ ვწერო თუ შევიტანო შესწორებანი.

გაიხსენა, როგორ სცადა ეკარნახა თავისი სტატია ტროცკის სტენოგრაფისტისათვის ჯერ კიდევ 18 წელს, როგორ გრძნობდა მაშინ, რომ «ეფლობა», შეცბუნებული სულ უფრო და უფრო «მიერეკებოდა» «თავბრუდამხვევი» სისწრაფით და როგორ მივიდა იქამდე, რომ იძულებული გახდა მთელი ხელნაწერი დაეწვა, რის შემდეგაც თვითონ დაჯდა საწერად და დაწერა «რენეგატი კაუცკი»[598], რომლითაც კმაყოფილი დარჩა.

ყოველივე ამას ვლადიმერ ილიას ძე ძალიან მხიარულად ამბობდა და თავისებურად გულიანად იცინოდა. ასეთ გუნებაზე მე იგი არასოდეს მინახავს. განაგრძო ამავე სტატიის ნაწილის კარნახი. კარნახმა 15 — 20 წუთს გასტანა. კარნახი თვითონ შეწყვიტა.

7 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი (ლ. ა. ფოტიევას ჩანაწერი).

გამომიძახა ვლადიმერ ილიას ძემ. მელაპარაკა 3 საკითხზე.

1) აღწერის შედეგებზე (მომცა დავალება — მთხოვა აღწერის კრებულის კორექტურა მიჩვენეო. ვუთხარი, რომ ამისათვის საჭიროა სტალინის ნებართვა).

2) საქართველოს კომისიის შესახებ. მკითხა, რა მდგომარეობაშია მუშაობა, როდის დაამთავრებთ კითხვას, როდის შეიკრიბებითო და სხვ.

3) მუშურ-გლეხური ინსპექციის შესახებ. აპირებს თუ არა კოლეგია ახლა რაიმე გადაწყვეტილების მიღებას, «სახელმწიფო მნიშვნელობის ნაბიჯის გადადგმას», თუ ყრილობამდე გადადებს. თქვა, რომ ვწერ სტატიას, მაგრამ რაღაც ვერ გამომდის, თუმცა მაინც ვფიქრობ კიდევ დავხვეწო და დასაბეჭდად ჩაბარებამდე ციურუპას წავაკითხოო. დამავალა ვკითხო ციურუპას, უნდა დავაჩქარო თუ არა ეს სტატიაო.

დღეს კოჟევნიკოვმა თქვა, რომ ვლადიმერ ილიას ძის ჯანმრთელობას დიდი გაუმჯობესება ეტყობა. ვლადიმერ ილიას ძე უკვე ამოძრავებს ხელს და თვითონაც რწმუნდება, რომ სურვილისამებრ მოიხმარს მას.

7 თებერვალი, დილა (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

ვიყავი ვლადიმერ ილიას ძესთან დაახლოებით 12½-ზე. მითხრა, გიკარნახებ ყოველგვარ თემაზე, მოწესრიგებას კი მომავლისათვის გადავდებო. მიკარნახა თემაზე 1) როგორ შეიძლება პარტიული და საბჭოთა დაწესებულებების გაერთიანება? და 2) მოსახერხებელია თუ არა სასწავლო საქმიანობისა და თანამდებობრივი საქმიანობის შერწყმა?

სიტყვებზე «და რაც უფრო მკაცრია ეს რევოლუცია...» შეჩერდა. რამდენჯერმე გაიმეორა ისინი, როგორც ჩანს, გაუჭირდა; მთხოვა დავხმარებოდი, გადაიკითხა წინა ნაწილი, გაეცინა და მითხრა: «აქ, მგონი, საბოლოოდ ჩავეფალი, ასეც აღნიშნეთ — სწორედ ამ ადგილას ჩაეფლო!»

ჩემს სიტყვებზე, რომ მე თქვენთვის გარდაუვალი ბოროტება ვარ ცოტა ხნით, რადგან მალე თვითონ შეძლებთ წერასმეთქი, მითხრა: «ეჰ, ეგ ჯერ როდის იქნება!». დაღლილი ხმით, რამდენადმე ავადმყოფურად ლაპარაკობს.

7 თებერვალი, საღამო (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძემ გამომიძახა 7-სა და 9-ს შუა. ვიყავი დაახლოებით 1½ საათს. დაამთავრა ფრაზა, რომელზეც გუშინ შეჩერდა. მითხრა: «ახლა ვეცდები განვავითარო შემდეგი

თემა». მკითხა მაშინვე იმ თემებზე, რომლებიც წინათ დაისახა[599]; როცა თემები წავიკითხეთ, აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მათგანი დაავიწყდა (ხალხში ზოგადსაგანმანათლებლო მუშაობისა და მთავარპროფგანათლების თანაფარდობის შესახებ). მიკარნახა ზოგადი ნაწილი თავისი სტატიისა «უმჯობესია ცოტა და კარგი». მიკარნახებდა სწრაფად და თავისუფლად, შეუფერხებლად, ჟესტიკულაციით.

როცა დაამთავრა, თქვა, რომ შემდეგ ვეცდები ეს ნაწილი საერთოდ მთელ სტატიას დავუკავშიროო. მოიქანცა. საღამოს ნადეჟდა კონსტანტინეს ასულისაგან შევიტყვე, რომ ხვალ ვლადიმერ ილიას ძე არ მიკარნახებს; კითხვას აპირებს.

9 თებერვალი (ლ. ა. ფოტიევას ჩანაწერი).

დილით ვლადიმერ ილიას ძემ გამომიძახა. დამიდასტურა, რომ მუშურ-გლეხური ინსპექციის საკითხს ყრილობაზე გაიტანს. რაც შეეხება აღწერას — აწუხებს, დაიბეჭდება თუ არა ტაბულები ისეთი სახით, როგორც საჭიროა. დაეთანხმა ჩემს წინადადებას, რომ შემოწმების დავალება გაიტანოს კამენევის ან ციურუპას მეშვეობით. დავალება მისცეს კრჟიჟანოვსკისა და სვიდერსკის. მშვენიერ გუნებაზეა და შესანიშნავად გამოიყურება. მითხრა, ფერსტერი იმ აზრისაა, რომ ხალხთან შეხვედრის ნება უფრო ადრე მომცეს, ვიდრე გაზეთების კითხვისაო. ჩემს შენიშვნაზე, რომ ეს მედიცინის თვალსაზრისით, ვგონებ, მართლაც უკეთესი უნდა იყოს-მეთქი, იგი ჩაფიქრდა და ძალიან სერიოზულად მიპასუხა, რომ, მისი აზრით, სწორედ მედიცინის თვალსაზრისით ეს უარესი იქნებოდა, რადგან დაბეჭდილ მასალას წაიკითხავ და მორჩა, შეხვედრებს კი აზრთა გაზიარება მოსდევს.

9 თებერვალი, დილა (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძემ გამომიძახა 1-ლი საათისათვის. მითხრა, რომ ხელახლა გადაწერილმა უფრო დამაკმაყოფილაო. წაიკითხა სტატიის ნაწილი, რომელიც გუშინ მიკარნახა, თითქმის არავითარი შესწორება არ შეუტანია. როცა დაამთავრა,

მითხრა: «ეს, მგონი, საკმაოდ კარგად გამომივიდა». ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ იგი ძალიან კმაყოფილია თავისი სტატიის ამ ნაწილით. მთხოვა ჩამეწერა ბოლო: «აი როგორ ვუკავშირებ...» და სხვ. ვიყავი დაახლოებით ერთ საათს.

9 თებერვალი, საღამო.

ვლადიმერ ილიას ძემ გამოიძახა ლიდია ალექსანდრეს ასული. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა სთხოვა მას სტატიის ზოგადი ნაწილი, რადგან ვლადიმერ ილიას ძეს მისთვის დაუვალებია წაკითხვა.

10 თებერვალი (ლ. ა. ფოტიევას ჩანაწერი).

გამომიძახა, 7 საათი რომ დაიწყო. დამავალა სტატია «უმჯობესია ცოტა და კარგი» ციურუპას გადავცე, რათა მან შეძლებისდაგვარად 2 დღეში წაიკითხოს.

მოიკითხა წიგნები ნუსხის მიხედვით[600]. დაღლილად გამოიყურება, ძალიან უჭირს ლაპარაკი, ავიწყდება სათქმელი და სიტყვები ერევა. თავზე კომპრესი აქვს.

12 თებერვალი (ლ. ა. ფოტიევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძე უარესად არის. ძალიან სტკივა თავი. გამომიძახა რამდენიმე წუთით. მარიამ ილიას ასულის სიტყვით, ექიმებმა ისე აუშალეს ძარღვები, რომ ტუჩები უკანკალებდა. ფერსტერმა წინადღით უთხრა, რომ კატეგორიულად ეკრძალება გაზეთების კითხვა, ხალხის ნახვა და პოლიტიკური ინფორმაციის მიღება. კითხვაზე, რას გულისხმობს ამ უკანასკნელში, ფერსტერმა უპასუხა: «აი, მაგალითად, თქვენ გაინტერესებთ საბჭოების მოსამსახურეთა აღწერის საკითხი». როგორც ჩანს, ვლადიმერ ილიას ძეს გუნება წაუხდინა იმან, რომ ექიმებმა ამდენი რამ იციან. როგორც ჩანს, გარდა ამისა, ვლადიმერ ილიას ძეს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ექიმები კი არ აძლევენ მითითებებს ცენტრალურ კომიტეტს, არამედ ცენტრალურ კომიტეტს მიუცია ინსტრუქცია ექიმებისათვის.

მესაუბრა კვლავ იმავე 3 თემაზე, თქვა, თავი მტკივაო. გავეხუმრე, შთაგონებით გიმკურნალებთ და ორიოდე დღის შემდეგ თავის ტკივილი გაგივლით-მეთქი.

14 თებერვალი (ლ. ა. ფოტიევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძემ პირველი საათისათვის გამომიძახა, თავი არ სტკივა. მითხრა სავსებით ჯანმრთელი ვარო. ჩემი ავადმყოფობა ნერვულია და ისეთია, რომ ზოგჯერ სრულიად ჯანმრთელი ვარ, ე. ი. თავი სრულიად საღად მუშაობს. ზოგჯერ კი უარესად ვარო. ამიტომ მისი დავალებების შესრულება უნდა დავაჩქაროთ, რადგან სურს აუცილებლად გაატაროს ზოგიერთი რამ ყრილობამდე და იმედი აქვს, რომ შეძლებს. მაგრამ თუ ჩვენ გავაჭიანურებთ და ამით საქმეს წავახდენთ, მეტად უკმაყოფილო იქნება. მოვიდნენ ექიმები და იძულებული გავხდით შეგვეწყვიტა საუბარი.

14 თებერვალი, საღამო.

კვლავ გამომიძახა. ლაპარაკი უჭირდა, ეტყობა, დაიღალა. ლაპარაკობდა კვლავ თავისი დავალების სამ პუნქტზე. განსაკუთრებით დაწვრილებით იმაზე, რაც მას ყველაზე მეტად აწუხებს, ე. ი. საქართველოს საკითხზე. გვთხოვა დაგვეჩქარებინა. მოგვცა ზოგიერთი მითითება[601].

5 მარტი (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძემ გამომიძახა დაახლოებით 12-ზე. მთხოვა ჩამეწერა ორი წერილი: ერთი ტროცკისადმი[602], მეორე სტალინისადმი[603]; პირველი პირადად გადამეცა ტელეფონით ტროცკისათვის და მეთქვა, რომ რაც შეიძლება მალე გამოეგზავნა პასუხი. მეორე მთხოვა ჯერჯერობით გადამედო, მითხრა, დღეს რაღაც ცუდად გამომიდისო. თავს კარგად ვერ გრძნობდა.

6 მარტი (მ. ა. ვოლოდიჩევას ჩანაწერი).

იკითხა პირველი წერილის პასუხი (ტელეფონით მიღებული პასუხი სტენოგრაფირებულია). წაიკითხა მეორე წერილი (სტალინისადმი) და მთხოვა პირადად გადამეცა და მისი ხელიდან მიმეღო პასუხი. მიკარნახა წერილი მდივნის ჯგუფისადმი[604]. თავს ცუდად გრძნობდა. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა მთხოვა ეს წერილი სტალინისათვის არ გამეგზავნა, რაც გავა-

კეთე კიდეც 6-ში. მაგრამ 7-ში ვუთხარი, რომ უნდა შევასრულო ვლადიმერ ილიას ძის განკარგულება-მეთქი. ნადეჟდა კონსტანტინეს ასული მოელაპარაკა კამენევს და წერილი გადავეცი სტალინსა და კამენევს, ხოლო შემდეგ ზინოვიევსაც, როცა პიტერიდან დაბრუნდა. სტალინმა პასუხი მაშინვე გამოგზავნა, როგორც კი მიიღო ვლადიმერ ილიას ძის წერილი (მე პირადად სტალინს გადავეცი წერილი და მევე მიკარნახა თავისი პასუხი ვლადიმერ ილიას ძისადმი). წერილი ვლადიმერ ილიას ძისათვის ჯერ არ გადამიცია, რადგან ავად გახდა[605].

პირველად დაიბეჭდა 1963 წელს
ჟურნალში
«ეოპროსი ისტორიი კპსს» № 2

იბეჭდება მდივნების
ჩანაწერების მიხედვით

შენიშვნები

1 ლენინი გულისხმობს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტს. რკინიგზელთა პროფესიული კავშირის სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტი შეიქმნა სრულიად რუსეთის რკინიგზელთა I დამფუძნებელ ყრილობაზე, რომელიც 1917 წლის ივლისი—აგვისტოში გაიმართა მოსკოვში. რკინიგზელთა პროფკავშირის სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელობა მენშევიკებსა და ესერებს ეკუთვნოდათ. პეტროგრადში ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების შემდეგ რკინიგზელთა პროფკავშირის სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტი კონტრრევოლუციის ერთ-ერთ დასაყრდენს წარმოადგენდა. იგი ინიღბებოდა განცხადებებით ნეიტრალური ვარო და მოწოდებებით შეეწყვიტათ სამოქალაქო ომი და აფერხებდა რევოლუციური რაზმების გაგზავნას პეტროგრადიდან მოსკოვში, სადაც გრძელდებოდა შეიარაღებული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, იმუქრებოდა, შევწყვეტთ რკინიგზის მოძრაობასო. 1917 წლის 29 ოქტომბერს (11 ნოემბერს) რკინიგზელთა პროფკავშირის სრულიად რუსეთის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მოუწოდებდა შეექმნათ ახალი, ეგრეთ წოდებული «ერთგვაროვანი სოციალისტური მთავრობა», სადაც შევიდოდა ყველა პარტიის წარმომადგენელი «ბოლშევიკებიდან სახალხო სოციალისტებამდე». რკინიგზელთა პროფკავშირის სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის კონტრრევოლუციურმა პოლიტიკამ და მოქმედებამ რკინიგზელ მუშათა მკვეთრი უკმაყოფილება გამოიწვია. 1918 წლის იანვარში სრულიად რუსეთის რკინიგზელთა საგანგებო ყრილობამ რკინიგზელთა პროფკავშირის სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტი დაშალა. ყრილობამ აირჩია რკინიგზის კავშირის ცენტრალური ორგანო, რომლის შემადგენლობაშიც დიდი უმრავლესობა ბოლშევიკები იყვნენ — 1.

2 «პროექტი დეკრეტისა თბილი ნივთების რეკვიზიციის შესახებ ფრონტზე მყოფ ჯარისკაცთათვის» 1917 წლის 8 (21) ნოემბერს განიხილა და დაამტკიცა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს

სხდომამ. ვ. ი. ლენინის დამატებანი თბილი ხივთების რეკვიზიციის შესახებ გათვალისწინებულია დეკრეტის საბოლოო ტექსტში (იხ. «პრავდა» № 184, 1917 წლის 22 (9) ნოემბერი). რაც შეეხება საკითხს «მდიდართა ბინების რეკვიზიციის შესახებ ღარიბთა გაჭირვების შესამსუბუქებლად», ლენინის წინადადებათა შესაბამისად შეიმუშავეს «პროექტი დეკრეტისა წითელარმიელთა და უმუშევარ მუშათა ოჯახების ჩასახლების შესახებ ბურჟუაზიის ბინებში და საცხოვრებელი სადგომების დანორმვის შესახებ», რომელიც მოიწონა პეტროგრადის საბჭოს სხდომამ 1918 წლის 1 მარტს (იხ. «იზვესტია» № 38, 1918 წლის 2 მარტი) — 2.

3 იგულისხმება დამფუძნებელი კრების არჩევნები პეტროგრადის (დედაქალაქის) საარჩევნო ოლქში, რომელიც მიმდინარეობდა 1917 წლის 12 (25) ნოემბრიდან 14 (27) ნოემბრამდე. არჩევნებმა, რომლის წინასწარი შედეგები ცნობილი შეიქნა 15 (28) ნოემბერს, ხოლო საბოლოო შედეგები — მეორე დღეს, ბოლშევიკურ პარტიას მისცა 424 ათასი ხმა და 6 ადგილი (პეტროგრადის 12 ადგილიდან) დამფუძნებელ კრებაში; კადეტებმა მიიღეს 247 ათასი ხმა (4 ადგილი), ესერებმა — 152 ათასი ხმა (2 ადგილი, აქედან ერთი — მემარცხენე ესერებმა). — 2.

4 პეტროგრადის რაიონული სათათბიროების არჩევნებში 1917 წლის მაისის დამლევს და ივნისის დამდეგს ბოლშევიკების სიებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 20 პროცენტმა. პეტროგრადის საქალაქო სათათბიროს არჩევნებში 20 აგვისტოს (2 სექტემბერს) ბოლშევიკებმა მიიღეს ყველა მიცემული ხმის 33 პროცენტი. სექტემბრის არჩევნებზე, რომ ლაპარაკობს, ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს, ალბათ, მოსკოვის რაიონული სათათბიროების 1917 წლის 24 სექტემბრის (7 ოქტომბრის) არჩევნები, რომელზეც ბოლშევიკებმა მიიღეს ხმების 51 პროცენტი. ეს არჩევნებიო, აღნიშნავდა ლენინი, «საერთოდ საერთო-ნაციონალურ სულისკვეთებაში მომხდარი უღრმესი შემობრუნების ერთ-ერთი ყველაზე განსაცვიფრებელი ნიშანია» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 26, გვ. 77). — 3.

5 ეს პროექტი დაწერილია სახკომსაბჭოს სხდომაზე 1917 წლის 18 ნოემბერს (1 დეკემბერს), როცა განიხილავდნენ სახალხო კომისართა ხელფასის საკითხს. იგი უმნიშვნელო ცვლილებებით მიიღეს; გამოქვეყნებულია როგორც სახკომსაბჭოს დადგენილება «სახალხო კომისართა, უმაღლეს მოსამსახურეთა და მოხელეთა გასამრჯელოს ოდენობის შესახებ» 1917 წლის 23 ნოემბერს (6 დეკემბერს) «მუშათა და გლეხთა დროებითი მთავრობის გაზეთის» მე-16 ნომერში.

შემდეგ პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ გადასინჯეს სპეციალისტთა გასამრჯელოს საკითხი. «უმაღლესი თანამდებობის პირთა ხელფასის ნორმის შესახებ» სახკომსაბჭოს 1918 წლის 2 (15) იანვრის დადგენი-

ლება (იხ. ეს ტომი, გვ. 21 — 22) შეიცავდა მითითებას, რომ სახალხო კომისართა ხელფასის შეზღუდვა არ ნიშნავს სპეციალისტებისათვის მომეტებული განაკვეთის მიცემის აკრძალვას. სრულიად რუსეთის ცაკის 1918 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით საჭიროდ იქნა მიჩნეული მოეხდინათ ეს ცელილება ხელფასის ანაზღაურების მთელ სისტემაში—4.

6 ეს პროექტი მიიღო სახკომსაბჭოს 1917 წლის 19 ნოემბრის (2 დეკემბრის სხდომამ). — 4.

7 გენერალ მანიკოვსკის დაპატიმრების შემდეგ სამხედრო უწყების საერთო მართვა-გამგეობა იკისრეს სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარმა ნ. ი. პოდვოისკიმ და სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრებმა ბ. ვ. ლეგრანმა, კ. ა. მეხონოშინმა და ე. მ. სკლიანსკიმ.

30 ნოემბერს (13 დეკემბერს) სახკომსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება თავდებით მანიკოვსკისა და მარუშევსკის გათავისუფლების შესახებ. — 5.

8 1917 წლის 25 ნოემბერს (8 დეკემბერს) ვალკიდან პეტროგრადს გაგზავნეს ლატვიელ მსროლელთა მე-6 ტუკუმის პოლკი. უკვე 28 ნოემბერს (11 დეკემბერს) ეს პოლკი საგარნიზონო სამსახურს ეწეოდა სმოლნისა და თავრიდის სასახლეთა რაიონებში. — 5.

9 ვ. ი. ლენინმა თეზისები დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ სახკომსაბჭო იმუშავებდა ქალაქის უძრაობათა ნაციონალიზაციის დეკრეტის პროექტს. პროექტი დაამტკიცა სახკომსაბჭოს 1917 წლის 23 ნოემბრის (6 დეკემბრის) სხდომამ და გამოქვეყნდა 25 ნოემბერს (8 დეკემბერს) «მუშათა და გლეხთა დროებითი მთავრობის გაზეთის» მე-18 ნომერში სათაურით: «პროექტი დეკრეტისა იმის შესახებ, რომ გაუქმდეს ქალაქის უძრაობათა კერძო საკუთრების უფლება (მიღებული სახალხო კომისართა საბჭოს მიერ)». 1918 წლის 20 აგვისტოს სრულიად რუსეთის ცაკის სხდომამ დაამტკიცა დეკრეტი და 24 აგვისტოს იგი გამოქვეყნდა გაზეთში «იზვესტია ვციკ» № 182. — 5.

10 ეს პროექტი ვ. ი. ლენინმა დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ 1917 წლის 27 ნოემბერს (10 დეკემბერს) სახკომსაბჭოს სხდომა განიხილავდა მის წინადადებას «ფინანსურ და ეკონომიურ სფეროში სოციალისტური პოლიტიკის განსახორციელებლად საგანგებო კომისიის» შექმნის შესახებ. პროექტი დაამტკიცეს რამდენადმე შეცვლილი რედაქციით. — 6.

11 თავდაცვის საგანგებო თათბირი შეიქმნა 1915 წლის 17 (30) აგვისტოს «სახელმწიფოს თავდაცვის ღონისძიებათა განსახილველად და გაერთიანებლად და არმიისა და ფლოტის უზრუნველსაყოფად საბრძოლო და სხვა მატერიალური მომარაგების ნივთებით» («სამხედ-

რო დროის საგანგებო თათბირები და კომიტეტები». პეტროგრადი, 1917, გვ. 7).

სახკომსაბჭოს 1917 წლის 11 (24) დეკემბრის დადგენილებით თავდაცვის საგანგებო თათბირს ევალებოდა «თავდაცვის დაკვეთების ლიკვიდაცია ან მათი შემცირება მშვიდობიანი დროის ნორმალურ დონემდე და ამასთან დაკავშირებით ქარხნების დემობილიზაცია და გადაყვანა მშვიდობიანი დროის წარმოებაზე» («საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები», ტ. I, მოსკოვი, 1957, გვ. 214). — **6.**

12 ვ. ი. ლენინის შენიშვნები «დ ე მ ო ნ ს ტ რ ა ც ი ი ს ლ ო ზ უ ნ გ ე ბ ი-ს ა თ ვ ი ს» წარმოადგენს პეტროგრადის საბჭოს მოწოდების «პეტროგრადის მუშებსა და ჯარისკაცებს» დამატებას. ეს მოწოდება გამოქვეყნებული იყო 1917 წლის 28 ნოემბერს (11 დეკემბერს) გაზეთებში «პრავდა» და «იზვესტია ციკ». ამ დღეს კადეტებმა დემონსტრაცია დანიშნეს, აპირებდნენ აშკარად გაეხსნათ დამფუძნებელი კრება და კონტრრევოლუციური გადატრიალება მოეხდინათ.

კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ის ცდა, რომ კადეტების მეთაურობით ხელთ ეგდოთ ძალაუფლება, თავიდან იქნა აცილებული სახკომსაბჭოს და პეტროგრადის საბჭოს მიერ მიღებული ზომების მეოხებით. — **8.**

13 პროექტი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და უსაფუძვლო ბრალდების გამო პასუხისმგებლობის შესახებ ვ. ი. ლენინმა დაწერა ი. ს. განეცკის მიმართ იმ ანონიმურ ბრალდებასთან დაკავშირებით, თითქოს იგი გერმანული სავაჭრო ფირმის სამსახურში ყოფილიყოს. ამ საკითხზე ლენინის წერილი რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი იხილეთ თხზულებებში, მე-5 გამოც., ტ. 50. გვ. 14—16. — **6.**

14 ალექსანდრო-გრუშევსკის მთიანი რაიონის საკითხი განიხილა სახკომსაბჭოს 1917 წლის 9 (22) დეკემბრის სხდომამ. — **11.**

15 დონეცკის სათბობით ვაჭრობის მონოპოლიის საქმეთა საბჭო 1917 წელს შექმნა დროებითმა მთავრობამ. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ იგი საბჭოთა რუსეთის ცენტრის ტრანსპორტისა და სამრეწველო საწარმოების სათბობით მომარაგების საქმეში საბოტაჟის პოლიტიკას ეწეოდა. — **12.**

16 ეს პროექტი ვ. ი. ლენინმა დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ სახკომსაბჭოს 1917 წლის 13 (26) დეკემბრის სხდომა განიხილავდა მოხსენებას შემთანხმებელი კომისიის მუშაობის შედეგების შესახებ. შემთანხმებელი კომისია სახკომსაბჭომ 11 (24) დეკემბერს დანიშნა სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა ხელფასის ტარიფების საკითხის განსახილველად; პროექტი რამდენადმე შეცვლილი რედაქციით დამტკიცდა. მიღებული დადგენილების საფუძველზე სახ-

კომსაბჭომ ყველა სახალხო კომისარიატს დაუგზავნა ბრძანება იმის შესახებ, რომ 1917 წლის 1 (14) ნოემბრიდან დაეწესებინათ სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ახალი, გადიდებული ნორმები; სახალხო კომისრებს ევალებოდათ დაუყოვნებლივ შეეტანათ საჭირო ცვლილებანი 1918 წლის ხელფასის ხარჯთაღრიცხვაში. — **12.**

17 ეს პროექტი ვ. ი. ლენინმა შეიტანა სახკომსაბჭოს 1917 წლის 15 (28) დეკემბრის სხდომაზე პუტილოვის ქარხანაში სამუშაოთა შეჩერების საკითხის განხილვის დროს. სახკომსაბჭოს სხდომამ მიიღო იგი. გამოქვეყნებულია როგორც სახკომსაბჭოს დადგენილება «პრაქტიკოსთა კომისიის შექმნის შესახებ» 1917 წლის 17 (30) დეკემბერს «მუშათა და გლეხთა დროებითი მთავრობის გაზეთის» 35-ე ნომერში. — **12.**

18 ვ. ი. ლენინის წინადადება სახკომსაბჭოს სხდომების დღის წესრიგში საკითხების შეტანის წესის შესახებ განიხილა სახკომსაბჭოს 1917 წლის 18 (31) დეკემბრის სხდომამ და დაადგინა: «დამტკიცდეს ლენინის ინსტრუქცია და გორბუნოვის წინადადება დღის წესრიგის დახურვის შესახებ სხდომის (რომელიც დანიშნულია) დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე და დაევალოთ სახალხო კომისრებს შეასრულონ ეს, რაზედაც ჩამოერთვათ ხელწერილი» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **18.**

19 ეს პროექტი ვ. ი. ლენინმა დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ სახკომსაბჭოს 1917 წლის 19 დეკემბრის (1918 წლის 1 იანვრის) სხდომა განიხილავდა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის ფ. ე. ძერჟინსკის განცხადებას, რომელიც შეიცავდა პროტესტს მემარცხენე ესერების — იუსტიციის სახალხო კომისრის ი. ზ. შტეინბერგის და იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ვ. ა. კარელინის მოქმედების წინააღმდეგ.

საქმის არსი ასეთია. წინადღეს საღამოს, სახკომსაბჭოს სხდომის დროს, ე. ი. ლენინს აცნობეს, რომ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიამ თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების შენობაში დააპატიმრა კონტრრევოლუციური «დამფუძნებელი კრების დაცვის კავშირის» წევრთა ჯგუფი, რომელიც ცდილობდა თვითნებურად, სახკომსაბჭოს დეკრეტის წინააღმდეგ, გაეხსნა დამფუძნებელი კრების «სხდომა»; სახკომსაბჭომ გადაწყვიტა დაეკავებინათ დაპატიმრებული ვინაობის გამორკვევამდე. შემთხვევის ადგილზე გავმგზავრნენ შტეინბერგი და კარელინი; მაგრამ სახკომსაბჭოს გადაწყვეტილების შესრულების მაგივრად მათ გაათავისუფლეს ყველა პატიმარი და არც კი აცნობეს ეს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას. მათი

ნამოქმედარი ეწინააღმდეგებოდა ბოლშევიკთა და მემარცხენე ესერთა ცენტრალური კომიტეტების შეთანხმებას, რომ ისინი სახკომსაბჭოში საერთო ხაზს გაატარებდნენ. წარმოადგენდა მემარცხენე ესერების იმ ვალდებულების დარღვევას, რომ ისინი საბჭოთა პოლიტიკას განახორციელებდნენ. ეს ვალდებულება მემარცხენე ესერებმა სახკომსაბჭოში შესვლის დროს იკისრეს.

სახკომსაბჭომ დაამტკიცა ლენინის დაწერილი პროექტი დადგენილებისა. — **14.**

20 იგულისხმება კონტრრევოლუციისა და საბოტაჟის წინააღმდეგ ბრძოლის სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან არსებული საგამომძიებლო კომისია, სამხედრო-საზღვაო საგამომძიებლო კომისია და ლოთობასთან ბრძოლის კომიტეტი. — **14.**

21 «ნ ო ვ ა ი ა ჟ ი ზ ნ» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის 18 აპრილიდან (1 მაისიდან) 1918 წლის ივლისამდე. გაზეთის გამოცემის მოთავეები იყვნენ ინტერნაციონალისტი მენშევიკები და ჟურნალ «ლეტოპისის» ირგვლივ შემოკრებილი მწერლები. ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას გაზეთი მტრულად შეხვდა. 1918 წლის 1 ივნისიდან გამოდიოდა ორ გამოცემად: პეტროგრადსა და მოსკოვში. ორივე გამოცემა 1918 წლის ივლისში დაიხურა. —**18.**

22 ლაპარაკია ს. ა. ლოზოვსკის, საკავშირო პროფსაბჭოს მაშინდელი მდივნის, განცხადებაზე ცაკის ბოლშევიკურ ფრაქციაში. განცხადება გამოქვეყნდა 1917 წლის 4 (17) ნოემბერს გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» 172-ე ნომერში. 1917 წლის დეკემბერში ს. ა. ლოზოვსკი ბოლშევიკების პარტიის რიგებიდან გარიცხეს. რკპ(ბ) რიგებში ხელახლა მიიღეს 1919 წლის დეკემბერში. — **18.**

23 ლენინი გულისხმობს ს. ა. ლოზოვსკის სტატიებს «პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ყრილობისათვის» და «პროფესიული კავშირები და საბჭოთა ხელისუფლება», რომლებიც გამოქვეყნდა 1917 წელს «პროფესიონალნი ვესტნიკის» მე-7 და მე-8 ნომრებში.

«პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ა ლ ნ ი ვ ე ს ტ ნ ი კ» — ჟურნალი, სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს ორგანო; გამოდიოდა 1917 წლის სექტემბრიდან 1919 წლის მარტამდე პეტროგრადში — **19.**

24 ეს პროექტი ვ. ი. ლენინმა შეიტანა სახკომსაბჭოს 1918 წლის 2 (15) იანვრის სხდომაზე, როცა განიხილავდნენ შრომის სახალხო კომისრის ა. გ. შლიაპნიკოვის შეკითხვას ქარხანათსამმართველოების უმაღ-

ლესი თანამდებობის პირთა ხელფასის ნორმების შესახებ. სახკომსაბჭოს სხდომამ მიიღო იგი. — 21.

25 ლენინი გულისხმობს სახკომსაბჭოს 1917 წლის 18 ნოემბრის (1 დეკემბრის) დადგენილებას «სახალხო კომისართა, უმაღლეს მოსამსახურეთა და მოხელეთა გასამრჯელოს ოდენობის შესახებ». დადგენილების პროექტი ვ. ი. ლენინმა დაწერა (იხ. ეს ტომი, გვ. 4). — 21.

26 პროექტი დადგენილებისა «ს ა ს უ რ ს ა თ ო მ დ გ ო მ ა რ ე ობის გ ა უ მ ჯ ო ბ ე ს ე ბ ი ს ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა თ ა შ ე ს ა ხ ე ბ» მიიღო სახკომსაბჭოს 1918 წლის 14 (27) იანვრის სხდომამ. ეს დადგენილება წარმოადგენდა იმის ცდას, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან მუშაობაში ჩაებათ სრულიად რუსეთის სასურსათო საბჭო, რომელიც უპირისპირდებოდა სურსათის სახალხო კომისარიატს და საბოტაჟს უწევდა საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებს. პირველმა საბჭოთა სასურსათო ყრილობამ, რომელიც 14 (27) იანვარს გაიხსნა პეტროგრადში და რომელშიც მონაწილეობდნენ სრულიად რუსეთის საბჭოების III ყრილობის დელეგატები, გაუქმა სასურსათო საბჭო და სურსათის საქმეზე მომუშავე სხვა ორგანიზაციები და სურსათის საკითხებისადმი ხელმძღვანელობას თავი მოუყარა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებში. — 22.

27 1918 წლის 11 (24) იანვარს სახკომსაბჭომ იუსტიციის სახალხო კომისრის ი. ზ. შტეინბერგის წინადადებით დანიშნა პეტროგრადის საბჭოსთან არსებული საგამომძიებლო კომისიის საქმიანობის ძიება და კომისიის მთელი შემადგენლობა ძიების შედეგების გამორკვევამდე საქმეს ჩამოაშორა. 14 (27) იანვარს სახკომსაბჭომ განიხილა საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარეების მ. ი. კოზლოვსკის და პ. ა. კრასიკოვის განცხადება, რომლითაც ისინი სახკომსაბჭოს სთხოვდნენ გადაესინჯა თავისი დადგენილება და წინადადება მისცა თავის მიერ შექმნილ სარევიზიო კომისიას ძიების შედეგები 48 საათში წარედგინა, აგრეთვე მიიღო გადაწყვეტილება მიემართა მემარცხენე ესერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის შეკითხვით მემარცხენე ესერთა პეტროგრადის კომიტეტის იმ დადგენილების შესახებ, რომ საგამომძიებლო კომისიაში წარმომადგენლებს არ გაუშვებდნენ. ამ დადგენილების შესაბამისად ვ. ი. ლენინმა დაწერა ეს შეკითხვა.

საგამომძიებლო კომისიის საქმიანობის შემმოწმებელი კომისიის მოხსენება განხილულ იქნა სახკომსაბჭოს სხდომებზე. 21 იანვარს (3 თებერვალს) სახკომსაბჭომ დაამტკიცა ლენინის დაწერილი პროექტი დადგენილებისა (იხ. ეს ტომი, გვ. 26); 26 თებერვალს სახკომსაბჭომ დაადასტურა, რომ «საგამომძიებლო კომისიის პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა წინააღმდეგ წამოყენებული ყველა ბრალდება მექრთამეობისა

და სხვა დანაშაულთა ან არასაკადრისი საქმიანობის შესახებ ყოველად უსაფუძვლოა», და დაადგინა, სოგამომძიებლო კომისიის საქმიანობის ძიება დამთავრებულად ჩაითვალოს, ხოლო მისი ხელმძღვანელები — კრასიკოვი, კოზლოვსკი, ლინდემანი, მიცგენდლერი და როზინი თავიანთ პოსტებს დაუბრუნდნენო («საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები», ტ. I. მოსკოვი, 1957, გვ. 499; იხ. აგრეთვე ეს ტომი, გვ. 33) — **23.**

28 ეს პროექტი დაწერა ვ. ი. ლენინმა და დაამტკიცა სახკომსაბჭოს 1918 წლის 15 (28) იანვრის სხდომამ. — **24.**

29 იგულისხმება უმაღლესი საზღვაო კოლეგიის ბრძანებით 1918 წლის 8 (21) იანვარს დამტკიცებული «ფლოტის დემოკრატიზაციის დებულების» § 51-ის შენიშვნა; მასში ნათქვამი იყო, რომ «როგორც საზღვაო უწყების, ისე საერთო-სახელმწიფოებრივი ცენტრალური ორგანოების ყველა განკარგულება, აგრეთვე რაგინდარა კომიტეტის დადგენილებანი... ფლოტმა ან ზღვის ფლოტილიამ უნდა შეასრულოს მხოლოდ მაშინ, თუ მათ დაადასტურებს ზღვის ცენტრალური კომიტეტი...» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **24.**

30 ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ხელფასის საკითხს განიხილავდა სახკომსაბჭოს 1918 წლის 16 (29) იანვრის სხდომა. ვ. ი. ლენინის დაწერილი პროექტი დადგენილებისა სახკომსაბჭომ მიიღო. — **24.**

31 ეს პროექტები ვ. ი. ლენინმა დაწერა 1918 წლის 16 (29) იანვარს, როცა სახკომსაბჭოს სხდომა განიხილავდა პირველი საბჭოთა სრულიად რუსეთის სასურსათო ყრილობის (რომელიც 14 (27) იანვარს გაიხსნა პეტროგრადში) პრეზიდიუმის მოხსენებას სურსათის ერთიანი ცენტრის მოწყობის საკითხზე. ყრილობის რეზოლუცია მოწმობდა საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ სასურსათო საქმის მუშაკთა შეკავშირებისათვის ბრძოლაში მოპოვებულ სერიოზულ მიღწევებს. ამასთან სახკომსაბჭოს აცნობეს, რომ, ერთი მხრივ, სურსათის სახალხო კომისარს ა. გ. შლიხტერს და, მეორე მხრივ, სასურსათო ყრილობის პრეზიდიუმს, სრულიად რუსეთის სასურსათო საბჭოს (რომელიც 1917 წლის ნოემბერში აირჩიეს სასურსათო ყრილობაზე მოსკოვში) და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სასურსათო განყოფილებას უთანხმოება აქვთო, რასთან დაკავშირებითაც ლენინმა დადგენილების მეორე პროექტი დაწერა.

პირველი პროექტი სახკომსაბჭომ მიიღო, მეორე არ შესულა სხდომის ოქმში (იხ. აგრეთვე ეს ტომი, გვ. 22 — 23). — **25.**

32 დოკუმენტზე ვ. ი. ლენინის ასეთი შენიშვნაა: «მიღებულია ერთხმად». სახკომსაბჭოს დადგენილება რამდენადმე შეცვლილი რედაქციით დაი-

ბეჭდა 1918 წლის 23 იანვარს (5 თებერვალს) გაზეთ «იზვესტიაში» № 17. — **26.**

33 «მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონის» პროექტი შეიმუშავა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ და შემდეგ სარედაქციოდ ჩაბარა სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების III ყრილობის კომისიას. ვ. ი. ლენინმა, რომელიც ამ კომისიის შემადგენლობაში შედიოდა, ბევრი იმუშავა პროექტის რედაქტირებაზე. ლენინის დაწერილი დამატება რამდენადმე შეცვლილი რედაქციით შევიდა კანონში როგორც 26-ე მუხლი, რომელმაც შეადგინა V განყოფილება — «მშენებლობისათვის, სასოფლო-სამეურნეო სარეწებისათვის, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა მიზნით მიწის გამოყოფის დროს მიწათსარგებლობის ნორმის დადგენა» (იხ. «საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები», ტ. I, მოსკოვი, 1957, გვ. 414). — **27.**

34 ეს დამატება ვ. ი. ლენინმა დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ 1918 წლის 30 იანვარს (12 თებერვალს) სახკომსაბჭოს სხდომა განიხილავდა პროექტს დეკრეტისას გზათა დაცვის საუწყებათაშორისო საგანგებო კომისიის შექმნის შესახებ — «იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სურსათით და პირველი საჭიროების საგნებით მოსახლეობის გეგმაზომიერი მომარაგება»; ლენინის დამატებამ შეადგინა სახკომსაბჭოს დამტკიცებული დეკრეტის § 5 (იხ. «საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები», ტ. I, მოსკოვი, 1957, გვ. 453 — 454).

აღნიშნული კომისიის მოხსენების გამო სახკომსაბჭომ მიიღო აგრეთვე დადგენილება, რომელშიც შევიდა ქვემოთ გამოქვეყნებული ვ. ი. ლენინის წინადადებანი (იხ. ეს ტომი, გვ. 28) — **27.**

35 დადგენილება «სამსახურში მესაბოტაჟეთა მიღების წესის შესახებ» სახკომსაბჭოს სხდომამ მიიღო 1918 წლის 31 იანვარს (13 თებერვალს) ყოფილ მოხელეთა საბოტაჟის ლიკვიდაციის შესახებ ი. მ. სვერდლოვის მოხსენების გამო. — **29.**

36 ტელეფონოგრამა იბეჭდება ვ. ი. ლენინის ხელნაწერის მიხედვით, რომელიც სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურმა პარტიულმა არქივმა შეიღო 1948 წელს. — **30.**

37 24 თებერვალს დილის 7 საათზე სახკომსაბჭოს გადაწყვეტილება გერმანიის მთავრობას აცნობეს ბერლინში. მიუხედავად ამისა, გერმანიის სარდლობამ, საბჭოთა ჯარების უმაღლესი მთავარსარდლის ნ. ე. კრილენკოს იმ რადიოგრამას, რომ მანამდე დადებული დროებითი ზავი მოქმედად მიეჩნიათ, უპასუხა, დროებითმა ზავმა ძალა და-

46 იგულისხმება § 3 სახკომსაბჭოს 1918 წლის 27 თებერვლის სხდომაზე დამტკიცებული «დადგენილებისა საზღვაო და სამდინარო სავაჭრო ფლოტის და წყლის გზათა მართვა-გამგეობის შესახებ» (იხ. «საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები», ტ. I, მოსკოვი, 1957, გვ. 501—502). — **87.**

47 ლაპარაკია ვოლგის და მარეთის სისტემის უბეულის სარემონტო სამუშაოებისათვის სახსრების ასიგნებაზე. — **88.**

48 ფოტოპირი მანქანით გადაწერილი ინტერვიუს ტექსტისა, რომელზეც ვ. ი. ლენინის ხელით მინაწერები იყო გაკეთებული (აგრეთვე ინტერვიუს ტექსტის ინგლისური თარგმანი), 1932 წელს გამოქვეყნდა წიგნში: R. H. Bruce Lockhart. «Memoirs of a british agent» (რ. ჰ. ბრიუს ლოკარტი. «ინგლისელი აგენტის მემუარები»). მანქანით გადაწერილი ინტერვიუს ტექსტის პირზე ლენინის შემდეგი წარწერაა: «23 მარტს მიეცეს რანსომს» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

«Daily News» («ყოველდღიური ახალი ამბები»)—ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა ლონდონში 1846—1928 წლებში. — **88.**

49 ვ. ი. ლენინი გულისხმობს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ბალფურის სიტყვას თემთა პალატაში 1918 წლის 14 მარტს. ა. ბალფური ფარავდა იაპონიის ინტერვენციის ნამდვილ მიზნებს და ფარისევლურად ამტკიცებდა, იაპონია მოკავშირეთა თანხმობით ციმბირის ოკუპაციას რომ მოახდენს და ციმბირის რკინიგზას ხელთ იგდებს, ხელს შეუშლის გერმანიის შეჭრას ჩრდილოეთ აზიის ფარგლებშიო. — **88.**

50 ყველა სახის დაზღვევაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესების შესახებ დეკრეტის პროექტს სახკომსაბჭოს სხდომა განიხილავდა 1918 წლის 23 მარტს. სახკომსაბჭომ დეკრეტი მიიღო დამატებებით და შესწორებებით. ვ. ი. ლენინის აქ გამოქვეყნებული წინადადებანი საფუძვლად დაედო დეკრეტის V პუნქტს. გარდა ამისა, ლენინმა ასე დააზუსტა დეკრეტის სახელწოდება: «დეკრეტი სოციალური (ესე იგი საკალდებულო სახელმწიფო) დაზღვევის გარდა ყველა სახის დაზღვევაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესების შესახებ» (დაყოფით დაბეჭდილი ლენინმა დაუმატა). 1918 წლის 2 აპრილს დეკრეტი გამოქვეყნდა გაზეთ «იზვესტია ვციკში» (იხ. «საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები», ტ. II, მოსკოვი, 1959, გვ. 5—11). — **89.**

51 «პირველადელი ვარიანტი სტატიისა «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები»» ვ. ი. ლენინმა სტენოგრაფს უკარნახა 1918 წლის 23—28 მარტს. ეტყობა, სტატიაზე

მუშაობა დაკავშირებული იყო იმასთან, რომ რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში განსახილველად მზადდებოდა სოციალისტური მშენებლობის გაშლის გეგმა. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი 7 აპრილს გაიმართა. პლენუმზე შესავალ სიტყვაში ლენინმა ხაზგასმით აღნიშნა, რევოლუცია «ახალ პერიოდს» განიცდისო; ცენტრალურმა კომიტეტმა ლენინს დაავალა «შეიმუშაოს თეზისები, რომლებიც დღევანდელ მომენტს ეხება, და წარადგინოს ისინი ცენტრალურ კომიტეტში». ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ლენინმა დაწერა «თეზისები საბჭოთა ხელისუფლების ამოცანების შესახებ ახლანდელ მომენტში» (ასეთი იყო სახელწოდება ლენინის ნაშრომის ხელნაწერისა «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები»; იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 27, გვ. 275—329).

X (ბოლო), XI, XII და XIII თავები იხ. ამ გამოცემაში, ტ. 27, გვ. 176 — 192. სტატია «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების» პირველდაწყებითი ვარიანტის IV თავის ნაწილი, აგრეთვე V, VI, VII, VIII, IX თავები და X თავის დასაწყისი პირველად გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის 36-ე ტომში. I, II, III თავები და IV თავის დასაწყისი ჯერჯერობით ნაპოვნი არ არის.—**40.**

52 დადგენილების პროექტი ვ. ი. ლენინმა შეიტანა სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე 1918 წლის 26 მარტს. ამ სხდომამ მოისმინა ა. გ. შლიაპნიკოვის მოხსენება წყლის ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად რუსეთის ყრილობის შესახებ, რომელიც 14 — 26 თებერვალს გაიმართა მოსკოვში, და განიხილა პროექტი «დეკრეტისა ვოლგის წყლის ტრანსპორტის მართვა-გამგეობის შესახებ», წარმოდგენილი ი. ლარინის მიერ. ლენინის წარდგენილი დადგენილება სახკომსაბჭომ მიიღო.

სანაოსნოს მუშა-მოსამსახურეთა ნიჟნი-ნოვგოროდის ყრილობა, რომელზეც დადგენილებაშია ლაპარაკი, გაიმართა 1918 წლის 25 მარტს — 10 აპრილს. — **62.**

53 კასპია-ვოლგა-მარეთის სისტემის სამმართველო შეიქმნა «დეკრეტით ვოლგის წყლის ტრანსპორტის მართვა-გამგეობის შესახებ» ნაციონალიზებული ფლოტის და მთელი სატვირთო და სამგზავრო მოძრაობის მართვა-გამგეობის მიზნით. წყლის ტრანსპორტის მართვა-გამგეობის ორგანოთა გარდაქმნის შესახებ სახკომსაბჭოს 1918 წლის 18 მაისის დადგენილებით ეს სამმართველო გაუქმდა; მისი ფუნქციები გადაეცა წყლის ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს. — **68.**

54 ეს პროექტი ვ. ი. ლენინმა წამოაყენა 1918 წლის 26 მარტს სახკომსაბჭოს სხდომაზე, როცა განიხილავდნენ საკითხს «სახალხო მეურნე-

ობის უმაღლესი საბჭოს ყველა განყოფილების თანხების ხარჯვის კონტროლის დაყენების შესახებ». ლენინის წინადადება მიიღეს. — **63.**

55 პროექტი «დეკრეტისა ცალკეული კომისარიატების მიერ პროვინციაში თავიანთი კომისრებისა და აგენტების მივლინების წესის შესახებ», რომელიც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა წამოაყენა, სახკომსაბჭოს სხდომამ განიხილა 1918 წლის 1 აპრილს. სახკომსაბჭომ ყველა კომისარიატს წინადადება მისცა განეხილათ პროექტი და წარმოედგინათ შენიშვნები. 1918 წლის 5 აპრილს სახკომსაბჭომ დაამტკიცა დეკრეტი ვ. ი. ლენინის დამატებებით, 11 აპრილს იგი გამოაქვეყნა გაზეთმა «იზვესტია ვციკ» (იხ. «საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები», ტ. II, მოსკოვი, 1959, გვ. 58 — 59). — **66.**

56 «საბანკო პოლიტიკის თეზისები» ვ. ი. ლენინმა შეადგინა ფინანსთა სახალხო კომისარიატის და სახელმწიფო ბანკის ხელმძღვანელ მუშაკებთან გამართულ ერთ-ერთ თათბირზე, რომელიც 1918 წლის მარტ — აპრილში მიმდინარეობდა. — **66.**

57 1917 წლის 14 (27) დეკემბერს სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა დეკრეტები «ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ» და «ბანკებში ფოლადის ყუთების რეეიზიის შესახებ» (იხ. «საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები», ტ. I, მოსკოვი, 1957, გვ. 225 — 231). — **67.**

58 საკავშირო პროფსაბჭოს, მელითონეთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა მიეძღვნა ტრესტ «ეროვნული საზოგადოების» შექმნის პროექტის განხილვას. ეს პროექტი წამოაყენა კაპიტალისტთა ჯგუფმა, რომელსაც ა. პ. მეშჩერსკი—სამრეწველო გაერთიანება «სორმოვო — კოლომნას» განმკარგულებელი დირექტორი მეთაურობდა. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1918 წლის 14 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება მეშჩერსკისთან მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ; 18 აპრილს სახალხო კომისართა საბჭომ მეშჩერსკის პროექტი უარყო და გადაწყვიტა მოეხდინა ქარხნების ნაციონალიზაცია. ნაციონალიზაციას მხარი დაუჭირა აგრეთვე მანქანათსაშენ საწარმოთა წარმომადგენლების კონფერენციამ, რომელიც 1918 წლის 12—18 მაისს გაიმართა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 27, გვ. 469—470). — **69.**

59 დონის საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოების I ყრილობა, რომელმაც დონის უმაღლეს საბჭოთა ხელისუფლებად **გამოაცხადა** თავი, გაიმართა 1918 წლის 9 — 12 აპრილს. ყრილო-

ბას ესწრებოდა 750 დელეგატი. ყრილობამ ვ. ი. ლენინი საპატიო თავმჯდომარედ აირჩია. ლენინის მიერ მოხსენიებული რეზოლუცია ყრილობამ 12 აპრილს ხმების დიდი უმრავლესობით მიიღო; მენშევიკების წამოყენებულ რეზოლუციას მარტო ორმა მისცა ხმა. ყრილობამ მოიწონა საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანი პოლიტიკა და რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ დონის რესპუბლიკას განიხილავს როგორც რუსეთის სფსრ ნაწილს და რომ მთავარ ამოცანად მიაჩნია ბრძოლა სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, წითელი არმიის შექმნისათვის. ყრილობამ განაცხადა, მშრომელი კაზაკობა მზად არის აღდგეს საბჭოთა ხელისუფლების დასაცავადო. — **69.**

60 ეს დოკუმენტი შეეიდა «აქციების, ობლიგაციების და სხვა პროცენტიანი ქაღალდების რეგისტრაციის დეკრეტში», რომლის პროექტი გაასწორა, შეავსო, დაასათაურა ლენინმა და 18 აპრილს განხილვის შემდეგ დაამტკიცა სახკომსაბჭომ; გამოქვეყნდა 20 აპრილს გაზეთში «იზვესტია ვციკ» № 78 (იხ. «საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები», ტ. II, მოსკოვი, 1959, გვ. 130 — 138). — **70.**

61 ჭარხლის ნათესების დასაავანსებლად სახსრების გაღების საკითხი შაქრის მთავარმა კომიტეტმა აღძრა; ამ შუამდგომლობას მხარი დაუჭირა შაქრის მრეწველობის მშრომელთა ყრილობამ, რომელიც საადგილმამულო კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით მიმდინარეობდა. სახკომსაბჭომ განიხილა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შუამდგომლობა, რომ შაქრის მთავარი კომიტეტისათვის 20 მლნ მანეთი მიეცათ, და დაამტკიცა ვ. ი. ლენინის წამოყენებული დადგენილების პროექტი. — **70.**

62 ეს ტექსტი უმნიშვნელო ცვლილებებით შეეიდა «დეკრეტში სრულიად რუსეთის საევაკუაციო კომისიის შექმნის შესახებ», რომელიც სახალხო კომისართა საბჭომ 1918 წლის 19 აპრილს მიიღო. დეკრეტი გამოქვეყნდა გაზეთებში «ზნამია ტრუდა» და «იზვესტია ვციკ» 1918 წლის 23 და 24 აპრილს (იხ. «საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები», ტ. II, მოსკოვი, 1959, გვ. 140 — 142). — **71.**

63 დეკრეტის პროექტი სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წლის 22 აპრილის სხდომის დღის წესრიგში იდგა, მაგრამ მისი განხილვა შემდგომი სხდომისათვის გადაიტანეს. პროექტი რომ ნახა, ვ. ი. ლენინმა შეიტანა აქ გამოქვეყნებული დამატება. 23 აპრილს სახკომსაბჭომ დეკრეტი მთლიანად მიიღო, ლენინის დამატებიანად, მეორე დღეს კი საბოლოოდ დაამტკიცა იგი ზოგიერთი შესწორებით (ახალი პუნქტი ჩაემატა). ამიტომ 1918 წლის 27 აპრილს «იზვესტია ვციკის» 84-ე ნომერში გამოქვეყნებული ტექსტის ლენინისეული დამატება ეხება მე-7 პუნქტს «დეკრეტისას საწარმოო იარაღებით და ლითონით სოფლის მეურნეობის

მომარაგების შესახებ» (იხ. «საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები», ტ. II, მოსკოვი, 1959, გვ. 169 — 172). — 72.

64 დეკრეტის პროექტი სახკომსაბჭოს კომისიის სხდომამ 1918 წლის 25 აპრილს განიხილა. კომისიამ დეკრეტი მიიღო 1918 წლის 2 მაისს. იმავე დღეს იგი დაამტკიცა სახკომსაბჭომ ვ. ი. ლენინის იმ დამატებითურთ, რომელიც აქ ქვეყნდება, და დაიბეჭდა 10 მაისს «იზვესტია ვციკის» 91-ე ნომერში (იხ. «საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები», ტ. II, მოსკოვი, 1959, გვ. 212 — 216). — 72.

65 ეს დოკუმენტი ვ. ი. ლენინმა დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ მემარცხენე ესერთა ლიდერებმა მ. ა. სპირიდონოვამ და ვ. ა. კარელინმა დააყენეს საკითხი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობა მთლიანად მემარცხენე ესერებს გადაეცეს და ბოლშევიკებს მარტო პოლიტიკური წარმომადგენლობა დარჩეთო. იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინის ბარათი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი ამ საკითხის გამო (თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 50, დოკუმენტი 133).

1918 წლის 3 მაისს რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა უარყო მემარცხენე ესერების მოთხოვნები. — 73.

66 დადგენილების პროექტი სახკომსაბჭომ 1918 წლის 9 მაისს მიიღო, როცა განიხილავდა დეკრეტს სურსათის სახალხო კომისრისათვის საგანგებო რწმუნებათა მინიჭების შესახებ. — 74.

67 სათბობის საკითხი სახალხო კომისართა საბჭოს სხდომამ 1918 წლის 24 მაისს განიხილა; მომხსენებლად სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სათბობის განყოფილებისაგან გამოვიდა ნ. ი. სოლოვიოვი და მოსკოტოპისაგან — ს. ს. დიკანსკი. — 74.

68 ვ. ი. ლენინის ეს პროექტი სახკომსაბჭოს სხდომამ 1918 წლის 25 მაისს მიიღო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტის განყოფილების ავტოსექციის განყოფილებაში ავტომეურნეობის გადასვლის საკითხის განხილვის დროს. — 75.

69 ეს დოკუმენტი სახკომსაბჭომ 1918 წლის 29 მაისს მიიღო და უცვლელად შევიდა სახკომსაბჭოს დადგენილებაში სურსათის დამოუკიდებელი დამზადების საკითხზე, რომელიც 1 ივნისის «იზვესტია ვციკის» 110-ე ნომერში გამოქვეყნდა (იხ. «საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები», ტ. II, მოსკოვი, 1959, გვ. 344 — 348). — 75.

70 სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ შემუშავებული პროექტი «ნაციონალიზებულ საწარმოთა მართვა-გამგეობის დებულებისა» განიხილა სახალხო მეურნეობის საბჭოების I სრულიად რუსეთის ყრილობის წარმოების ორგანიზაციის სექციის სხდომამ 1918 წლის 28 და 30 მაისს. დეტალურად განხილვის შემდეგ სექციამ «მემარცხენე

კომუნისტთა» ზეგავლენით მიიღო პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის საწინააღმდეგო «დებულება». ნაციონალიზებულ საწარმოთა მართვა-გამგეობის საკითხზე «მემარცხენე კომუნისტთა» გამოსვლის ამბავი რომ შეიტყო (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 50, გვ. 84) და სექციის შემუშავებულ დებულებას რომ გაეცნო, ვ. ი. ლენინმა წინადადება წამოაყენა განეხილათ იგი შემთანხმებელ კომისიაში, რომელიც საგანგებოდ შექმნეს 2 ივნისს და რომელშიც სახკომსაბჭოდან შევიდა ვ. ი. ლენინი, ხოლო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოდან ა. ი. რიკოვი და გ. დ. ვეინბერგი. შემთანხმებელმა კომისიამ საფუძვლად აიღო ლენინის აქ გამოქვეყნებული შენიშვნები და გადაამუშავა «დებულება». «მემარცხენე კომუნისტთა» წინააღმდეგობის მიუხედავად ყრილობამ ხმების უმრავლესობით დაამტკიცა შემთანხმებელი კომისიის პროექტი. — 78.

71 აქ გამოქვეყნებული პროექტი დადგენილებისა სახკომსაბჭოს სხდომამ 1918 წლის 7 ივნისს მიიღო.

ლენინის წერილები, სიტყვები, სტატიები და შენიშვნები, აგრეთვე მისი დაწერილი სახკომსაბჭოს დადგენილებათა პროექტები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციას ეხება, შეკრებილია ნ. კ. კრუპსკაიას წიგნში «რას წერდა და ამბობდა ლენინი ბიბლიოთეკებზე». მოსკოვი, 1956 წ. — 78.

72 ვ. ი. ლენინს აქ გამოქვეყნებული წინადადებანი სოფლის ღარიბობის დარაზმვისა და მომარაგების შესახებ დეკრეტის პროექტის გამო, ეტყობა, დაუწერია სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე 1918 წლის 8 ივნისს ამ პროექტის განხილვის დროს. დეკრეტის პროექტი მიიღეს მნიშვნელოვანი ცვლილებებით. სრულიად რუსეთის ცაკმა 1918 წლის 11 ივნისს დაამტკიცა დეკრეტი და 16 ივნისს იგი გამოქვეყნდა გაზეთში «იზვესტია ვციკ» (იხ. «საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები». ტ. II, მოსკოვი, 1959 წ., გვ. 412 — 419). ამ დეკრეტით შემოღებულ იქნა ღარიბთა კომიტეტები. ღარიბკომების შეფასება ვ. ი. ლენინმა მოგვცა მიწგანების, ღარიბკომების და კომუნების I სრულიად რუსეთის ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში 1918 წლის 11 დეკემბერს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 28, გვ. 420). — 79.

73 ვ. ი. ლენინის ეს ფორმულირება ეხება დეკრეტის პროექტის § 2-ს. ლენინის წინადადების შესაბამისად დეკრეტის § 2 ჩამოყალიბდა ასეთი რედაქციით: «თემის და სოფლის ღარიბთა კომიტეტის არჩევა ან ამ კომიტეტის წევრად ყოფნა შეუძლია ყველას — როგორც ადგილობრივს, ისე ჩამოსულ სოფლის მცხოვრებს — რაიმე შეზღუდვის გარეშე, გარდა აშკარა კულაკებისა და მდიდრებისა, იმ მეპატრონეებისა, რომლებიც ფლობენ ჰარბ პურს და სხვა სასურსათო პროდუქტს,

სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებას, იყენებენ მოჯამაგირის ან დაქირავებულ შრომას და ა. შ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. იმათ, ვინც დაქირავებულ შრომას იყენებს ისეთ მეურნეობაში, რომელიც არ აღემატება სამომხმარებლო ნორმას, შეუძლიათ აირჩიონ ღარიბთა კომიტეტის წევრები და თვითონ იქნენ არჩეული ღარიბთა კომიტეტის წევრებად» («საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები», ტ. II, მოსკოვი, 1959, გვ. 416 — 417). — **79.**

74 1918 წლის 10 ივნისს სახალხო კომისართა საბჭომ მოისმინა მ. პ. პავლოვიჩის და ა. ი. რიკოვის მოხსენებები იმის შესახებ, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტის (დაარსებულია სახკომსაბჭოს 1918 წლის 9 მაისის დეკრეტით) შემადგენლობა. აქ გამოქვეყნებული ტექსტი ამ საკითხის გამო სახკომსაბჭოს მიერ მიღებული დადგენილების მეორე პუნქტი იყო. — **80.**

75 პროექტი სახკომსაბჭოს სხდომამ მიიღო 1918 წლის 14 ივნისს გზათა სახალხო კომისრის მოადგილის ვ. ი. ნევსკის მოხსენების გამო. 18 ივნისს სახკომსაბჭომ დაამტკიცა კოლეგია, რომელშიც 9 კაცი შედიოდა, ამათგან 4 ბოლშევიკი, 2 მენშევიკი-ინტერნაციონალისტი და 3 მემარცხენე ესერი. — **80.**

76 ლენინი გულისხმობს «რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის რკინიგზის მართვის ძირითად დებულებებს», რომელიც სრულიად რუსეთის ცაკმა 1918 წლის 8 ივნისს დაამტკიცა და 16 ივნისს გამოქვეყნდა «იზვესტია ვციკის» 129-ე ნომერში (იხ. «საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები», ტ. II, მოსკოვი, 1959, გვ. 365 — 367). — **81.**

77 ეს პროექტი სახკომსაბჭოს სხდომამ 1918 წლის 15 ივნისს მიიღო იმ საკითხის გამო, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საფეიქრო მრეწველობის ცენტრალური კომიტეტისათვის გაეხსნათ კრედიტი ხელის შესასყიდად (იხ. აგრეთვე ეს ტომი, გვ. 105 — 106). — **81.**

78 ვ. ი. ლენინის პროექტი სახკომსაბჭომ მიიღო 1918 წლის 15 ივნისს იმ საკითხის გამო, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მისცემოდა სახსრები მეტყავეობის საქმეთა მთავარი კომიტეტისათვის ნედლეულის შესაძენად. — **82.**

79 ვ. ი. ლენინის ინტერვიუ იმავე დღეს სპეციალური დეპეშით გადაეცა «Folkets Dagblad Politiken»-ის რედაქციას, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო დაგვიანებით მიიღეს და გამოქვეყნდა 1918 წლის 4 ივლისს. ამის შემდეგ, 6 ივლისს, ინტერვიუს შინაარსი დაიბეჭდა «Leipziger Volkszeitung»-ში (№ 155).

«Folkets Dagblad Politiken» («ყოველდღიური სახალხო პოლიტიკური გაზეთი») — შვედ მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა გაზეთი, გამოდიოდა სტოკჰოლმში 1916 წლის აპრილიდან (1917 წლის ნოემბრამდე ეწოდებოდა «Politiken»). 1921 წლიდან შვეციის კომუნისტური პარტიის ორგანოა; პარტიის გათიშვის შემდეგ 1929 წლის ოქტომბერში გაზეთი გადავიდა მისი მემარჯვენე ფრთის ხელში. გამოცემა შეწყდა 1945 წლის მაისში. — **88.**

80 ლაპარაკია ანარქისტთა განიარაღებაზე, რაც სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ორგანოებმა მოაწყვეს მოსკოვში 1918 წლის 12 აპრილს ღამით. ეს ღონისძიება გამოიწვია იმან, რომ ანარქისტთა ყოველგვარი ჯგუფების დროშას ეფარებოდნენ აშკარა კონტრრევოლუციური და სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტები, რომლებიც თავიანთი თავდასხმებითა და ძარცვით მოსახლეობის ტეროორიზებას ახდენდნენ და თავს აფარებდნენ ანარქისტების ხელში ჩავარდნილ სახლებს. პეტროგრადის ანარქისტები, რომლებმაც არ შეასრულეს იარაღის ჩაბარების მოთხოვნა, 1918 წლის 23 აპრილს განაიარაღეს.

«ანარქია» საზოგადოებრივ-ლიტერატურული ანარქისტული გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში 1917 წლის სექტემბრიდან 1918 წლის ივლისამდე; სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის დადგენილებით დაიხურა 13 აპრილს; გამოცემა განახლდა 1918 წლის 21 აპრილს. — **84.**

81 1918 წლის 2 ივლისს სახალხო კომისართა საბჭომ მოისმინა «ამხ. ლენინის რიგგარეშე განცხადება, რომ საჭიროა გლეხებს ხელი გავუმართოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანებით», და მიიღო დადგენილების ეს პროექტი (სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **86.**

82 იგულისხმება სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობა (გაიმართა მოსკოვში 1918 წლის 4 — 10 ივლისს). — **86.**

83 დადგენილების ეს პროექტი სახკომსაბჭომ მიიღო 1918 წლის 8 ივლისს, როგორც ოქმში წერია, «სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მიერ ამხ. ლუნაჩარსკისა და ამხ. მალინოვსკისათვის მიცემული იმ შეკითხვის გამო, თუ რატომ არ შეასრულეს მათ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება, რომელსაც შეიცავს «მეფეთა და მათ მსახურთა პატივსაცემად აღმართული ძეგლების მოხსნისა და რუსეთის სოციალისტური რევოლუციის ძეგლების პროექტთა შემუშავების დეკრეტი» (სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

ამ საკითხზე იხ. აგრეთვე თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, გვ. 382 და მე-5 გამოც., ტომი 50, დოკუმენტები 131, 140, 189. — **87.**

84 ეს დოკუმენტი საფუძვლად დაედო სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობის მიერ 1918 წლის 10 ივლისს მიღებული რსფსრ კონსტიტუციის მეორე განყოფილების მე-20 პუნქტს. — 87.

85 ვ. ი. ლენინი მიტინგზე გამოვიდა 1918 წლის 26 ივლისს საღამოს მედოღე-მრბოლთა საზოგადოების დიდ დარბაზში ხოდინკაზე. დარბაზი გაჭედილი იყო მუშებითა და წითელარმიელებით. პირველი სათადარიგო საარტილერიო ბრიგადის სახელით გამოვიდა წითელარმიელი, რომელმაც განაცხადა, რომ ლენინის სახით ისინი მიესალმებიან სახალხო კომისართა საბჭოს და რომ სახკომსაბჭოს პირველი მოწოდებისთანავე ბრიგადა აღდგება მუშურ-გლეხური ხელისუფლების დასაცავად. ლენინის გამოსვლის შემდეგ წამოყენებული რეზოლუცია მიიღეს ერთხმად, ერთმა თავი შეიკავა. დასასრულ, მომხსენებელმა ზნამენსკიმ აუდიტორიას მოკლედ გააცნო ლენინის ბიოგრაფია. — 88.

86 დადგენილების ეს პროექტი სახკომსაბჭოს სხდომამ უმნიშვნელო ცვლილებებით მიიღო 1918 წლის 22 აგვისტოს. — 90.

87 სახკომსაბჭოს ამ დადგენილების 1-ლი პუნქტი გამოქვეყნდა 1918 წლის 23 აგვისტოს «იზვესტია ვციკში». — 91.

88 რომელ დოკუმენტს ეხება ეს წინადადება, დადგენა ვერ მოხერხდა.—91.

89 ნატურალური გადასახადის შემოღების საკითხი ვ. ი. ლენინმა წამოაყენა 1918 წლის 2 აგვისტოს დაწერილ «თეზისებში სასურსათო საკითხზე» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 28, გვ. 36 — 39). პირველად პროექტი დეკრეტისა სოფლის მეურნეთა ნატურალური გადასახადით დაბეგვრის შესახებ სახკომსაბჭოს 4 სექტემბრის სხდომაზე შეიტანეს. ხელახლა დეკრეტის პროექტი განიხილეს სახკომსაბჭოს 21 სექტემბრის სხდომაზე. როგორც ჩანს, ვ. ი. ლენინმა სწორედ სახკომსაბჭოს სხდომის დროს გააკეთა «დეკრეტის ძირითად დებულებათა» მონახაზი და დაწერა დეკრეტის პროექტის შენიშვნები. (სახკომსაბჭოს ამ და სხვა სხდომებზე დეკრეტის გამომუშავებასთან დაკავშირებული ლენინის დოკუმენტები, — ბარათები, ციფრობრივი გამოთვლები, სახკომსაბჭოს სხდომაზე წარმოსათქმელი სიტყვის გეგმა, — იხ. აგრეთვე ლენინის XVIII კრებულში, გვ. 148 — 150.) საბოლოო სახით დეკრეტი სახკომსაბჭომ მიიღო 1918 წლის 26 ოქტომბერს, სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა 30 ოქტომბერს და «იზვესტია ვციკში» გამოქვეყნდა 14 ნოემბერს. ნატურალური გადასახადის გატარებას ხელი შეუშალა უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის შემდგომმა გაფართოებამ.

საშემოსავლო ნატურალური გადასახადის ლენინურმა პრინციპებმა, შემუშავებულმა 1918 წელს, ყოველმხრივი განვითარება და პრაქტიკული განხორციელება პოვეს 1921 წლის გაზაფხულზე შემოღებულ სასურსათო გადასახადში, რაც ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე ომის შემდგომ მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობაზე გადასელას მოასწავებდა. 1918 წლის ოქტომბერში მიღებული ნატურალური გადასახადის დეკრეტის შესახებ ლენინი ლაპარაკობდა პარტიის X ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური საქმიანობის ანგარიშში, როცა აშუქებდა სასურსათო გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლის საკითხს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 224 — 225). — 92.

90 «მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონის» მე-12 მუხლის შინაარსი, კანონისა, რომელიც დაამტკიცა სრულიად რუსეთის საბჭოების III ყრილობამ 1918 წლის 18 (31) იანვარს და მიიღო სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 27 იანვრის (9 თებერვლის) სხდომამ, შემდეგია: «მშრომელთა შორის მიწის განაწილება უნდა ხდებოდეს გამთანაბრებლობით-შრომით საწყისებზე ისე, რომ სამომხმარებლო-შრომითი ნორმა ამა თუ იმ რაიონში მიწათსარგებლობის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სისტემასთან შეფარდებით არ აღემატებოდეს თითოეულ ცალკე მეურნეობაში არსებული ძალების შრომისუნარიანობას და ამასთანავე აძლევდეს მიწათმოქმედის ოჯახს გაუჭირვებელი არსებობის შესაძლებლობას». კანონის მე-17 მუხლში ნათქვამი იყო: «ჭარბი შემოსავალი, მიღებული მიწის საუკეთესო ნაკვეთების ბუნებრივი ნაყოფიერებისაგან, აგრეთვე გასაღების ბაზრის მიმართ უფრო ხელსაყრელი მდებარეობისაგან, გადაეცემა საბჭოთა ორგანოებს საზოგადოებრივი საჭიროებისათვის» («საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები», ტ. I, მოსკოვი, 1957, გვ. 408 — 409). — 92.

91 სახკომსაბჭოს 1918 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე სურსათის კომისარიატმა შეიტანა წინადადება ღარიბთა კომიტეტების შესანახად 40 მლნ. მანეთის ასიგნების შესახებ, როგორც ჩანს, 6 თვით $6^1/_2$ მლნ. მანეთის ვარაუდით თვეში. ვ. ი. ლენინს იმის გამო, რომ ნავარაუდევი იყო მოკლე დროში ღარიბთა კომიტეტების შეერთება საბჭოებთან, წინადადება წამოუყენებია ამ სახსრების ასიგნება მოეხდინათ, ალბათ, 2 თვით («$2 \times 6^1/_2 = 13$»). სახკომსაბჭომ მიიღო ლენინის წინადადება ღარიბთა კომიტეტების შესანახად 13 მლნ. მანეთის ასიგნების შესახებ; ლენინის სხვა წინადადებებიც სახკომსაბჭოს დადგენილების ტექსტში შევიდა (იხ. «საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები», ტ. III, მოსკოვი, 1964, გვ. 593 — 595). — 98.

92 დაწერა ვ. ი. ლენინმა 1918 წლის 15 ოქტომბერს იმასთან დაკავშირებით რომ სახკომსაბჭო განიხილავდა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებული ხე-ტყის დამზადების «სამთა კოლეგიის» მოხსენებას. ლენინის ყველა წინადადება შეევიდა ამ საკითხზე სახკომსაბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებაში. სახალხო კომისართა საბჭომ გაიღო ხე-ტყის დასამზადებლად 100 მლნ. მანეთი და მოითხოვა ამ ფულის დახარჯვის ანგარიში წარმოედგინათ ერთი კვირის შემდეგ. ამასთან «სამთა კოლეგიას» წინადადება მისცა აგრეთვე ერთი კვირის შემდეგ წარმოედგინა უფრო კონკრეტული მონაცემები იმ საკითხებზე, რომლებიც ჩამოაყალიბა ლენინმა. — **94.**

93 სრულიად რუსეთის საბჭოების VI საგანგებო ყრილობამ 1918 წლის 8 ნოემბერს იუსტიციის სახალხო კომისრის დ. ი. კურსკის მოხსენების გამო მიიღო დადგენილება რევოლუციური კანონიერების შესახებ, შედგენილი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული ვ. ი. ლენინის თეზისების საფუძველზე. დადგენილება გამოქვეყნდა 10 ნოემბრის გაზეთ «პრავდაში». — **95.**

94 1918 წლის 5 ივნისს «იზვესტია ვციკში» გამოქვეყნდა სახკომსაბჭოს დეკრეტი, რომ განათლების სახალხო კომისარს გადასცემოდა ყველა უწყების სასწავლო და საგანმანათლებლო დაწესებულებები და სასწავლებლები. 1918 წლის 19 ნოემბერს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა სახკომსაბჭოში განსახილველად შეიტანა (ინფორმაციით გამოვიდა ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვა) პროექტი დეკრეტისა ამ კომისარიატის გამგებლობაში საბავშვო სახლების დატოვების შესახებ. ამ საკითხის განხილვასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინმა დაწერა დადგენილების ეს პროექტი, რომელიც, უმნიშვნელო ცვლილებებით, მიიღეს. — **95.**

95 სახკომსაბჭოს 1918 წლის 5 ივნისის დეკრეტის § 3-ით განსახკომს წინადადება ეძლეოდა შეექმნა განსაკუთრებული კომისიები დაინტერესებული უწყებებისა და განსახკომის წარმომადგენელთაგან იმისათვის, რომ დაეწესებინათ სასწავლო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა და სასწავლებელთა, მათ შორის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა, გადაცემის ვადები და წესი. — **96.**

96 პროექტი დეკრეტისა მოსახლეობის მომარაგების ორგანიზაციის შესახებ სახკომსაბჭოს სხდომამ განიხილა 1918 წლის 12 ნოემბერს და სახკომსაბჭომ საბოლოოდ დაამტკიცა 21 ნოემბერს. ვ. ი. ლენინის დამატებანი შეევიდა დეკრეტის მიღებულ ტექსტში. 24 ნოემბერს დეკრეტი გამოქვეყნდა «იზვესტია ვციკში».

მოსახლეობის მომარაგების ორგანიზაციაში კოოპერაციის მონა-

წილეობის საკითხი, რაზეც ლაპარაკია დეკრეტის პროექტის ამ პუნქტში ლენინის დამატებებითურთ, ყველა პასუხისმგებელმა სასურსათო მუშაკმა როდი გაიგო სწორად. ეს საკითხი ვ. ი. ლენინმა განმარტა მოსკოვის ცენტრალური მუშათა კოოპერატივის რწმუნებულთა კრებაზე 1918 წლის 26 ნოემბერს წარმოთქმულ სიტყვაში, მოსკოვის პარტიულ მუშაკთა კრებაზე 27 ნოემბერს წაკითხულ მოხსენებაში წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულების შესახებ და საბოლოო სიტყვაში მოხსენების გამო (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 28, გვ. 228 — 234, 251 — 257, 263 — 268).

იხ. აგრეთვე თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, გვ. 402 და მე-5 გამოც., ტომი 50, დოკუმენტი 378. — **97.**

97 თავდაცვის საბჭო (მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭო) შექმნა სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1918 წლის 30 ნოემბერს როგორც საბჭოთა სახელმწიფოს საგანგებო ორგანო, რომელსაც მთელი სისრულით ეძლეოდა რწმუნებები თავდაცვის ინტერესებისათვის ჩვენი ქვეყნის ძალებისა და სახსრების მობილიზაციის საქმეში. თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარედ ვ. ი. ლენინი დანიშნეს.

ეს დოკუმენტები ლენინმა დაწერა თავდაცვის საბჭოს პირველ სხდომაზე 1918 წლის 1 დეკემბერს. ლენინმა ჯერ დასახა საბჭოს უახლოესი ამოცანები და პირველი სხდომის დღის წესრიგი (1-ლი დოკუმენტი). შემდეგ მოხაზა აღნიშნული საკითხების დამუშავების რამდენიმე წინადადება, ამასთან უფრო დაწვრილებით ჩამოაყალიბა სასურსათო საქმის წინადადებანი (მე-2 და მე-3 დოკუმენტები). ლენინის წინადადებებმა ასახვა პოვეს სხდომაზე მიღებულ თავდაცვის საბჭოს დადგენილებებში (იხ. ლენინის XVIII კრებული, გვ. 243—245). — **97.**

98 დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე («ინტელიგენციის მობილიზაციის შესახებ») სახკომსაბჭოში წარსადგენად ლ. ბ. კრასინს დაევალა შეედგინა პროექტი დადგენილებისა ტექნიკური ძალების მობილიზაციის შესახებ, ხოლო ლ. ბ. კრასინს, ვ. ი. ნევსკისა და ნ. პ. გორბუნოვს — პროექტი ანკეტის დებულებისა. — **98.**

99 თავდაცვის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სათბობის საკითხი განსახილველად გადაეცა სპეციალური კომისიისათვის, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ვ. ი. ლენინი, ა. ი. რიკოვი, ი. ი. რადჩენკო, ა. თ. ვოლკოვსკი და ვ. ი. ნევსკი; კომისიის მოწვევა დაევალა ვ. ი. ლენინს. კომისიის სხდომა გაიმართა 1918 წლის 2 დეკემბერს (იხ. შემდეგი დოკუმენტი). — **98.**

100 ეტყობა, ეს პროექტი ვ. ი. ლენინს დაუწერია თავდაცვის საბჭოს მიერ შექმნილი სათბობის კომისიის სხდომაზე (იხ. წინა შენიშვნა). მასში გათვალისწინებული იყო კომისიის წევრთა გამოსვლები. ლენინის პროექტი კომისიამ მიიღო და შევიდა მის სხდომათა ოქმში. სათბობის კომისიის ოქმში პუნქტები «1, 2, 3, 4» გამოყოფილია ცალკე სათაურით «კომისიის ის დადგენილებანი, რომლებსაც თავდაცვის საბჭოს დადგენილებათა ძალა აქვთ». ვ. ი. ლენინის პროექტს, როგორც უკვე დამტკიცებულ დადგენილებას, ხელი მოაწერეს აგრეთვე თავდაცვის საბჭოს წევრებმა ი. ბ. სტალინმა და ვ. ი. ნევსკიმ. — **99**.

101 სახბანკმა შეაჩერა ფულის ნიშნების გაცემა «გლავლესკომის» დაჯავშნული განსაკუთრებული ფულის ფონდიდან. — **99**.

102 თავდაცვის საბჭოს 1918 წლის 1 დეკემბრის სხდომაზე ტრანსპორტის მუშაობის განხილვის მიმდინარეობისას შეიქმნა იმ საკითხთა კომისია, რომლებიც დაკავშირებული იყო ტრანსპორტზე სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის საქმიანობასთან. კომისიის პირველი სხდომა გაიმართა 3 დეკემბერს ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით. ეტყობა, სწორედ კომისიის სხდომის დროს გააკეთა ლენინმა ეს მონახაზი წინადადებებისა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის მუშაობის შესახებ. უფრო გვიან წინადადებათა ყველა პუნქტი, ორი უკანასკნელის გამოკლებით, ლენინმა გადახაზა. კომისიის დადგენილებანი ჩამოყალიბდა ლენინის წინადადებათა საფუძველზე. — **100**.

103 ლაპარაკია საგუბერნიო და რკინიგზის საგანგებო კომისიათა კოლეგიებისადმი ხელმძღვანელობაზე. — **100**.

104 ვ. ი. ლენინის წინადადებათა საფუძველზე კომისიამ დაადგინა დაევალოს გზათა კომისარიატს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის წარმომადგენელთან ერთად გადაამუშაოს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სატრანსპორტო განყოფილების დებულება იმ თვალსაზრისით, რომ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია არ ჩაერიოს გზათა კომისარიატის ტექნიკურ-საგანმკარგულებლო ფუნქციებში. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის, რკინიგზის საგანგებო კომისიის (სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სატრანსპორტო განყოფილება) და გზათა კომისარიატის ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე იხ. თავდაცვის საბჭოს დადგენილების პროექტი (იხ. ეს ტომი, გვ. 116 — 118). — **100**.

105 კომისიამ დაადგინა, რომ უფლება გამოძიებაში მონაწილეობისა, თავიანთი დელეგატების მეშვეობით, ენიჭებოდა სახალხო კომისარიატებსა და რკპ(ბ) პარტიულ კომიტეტებს. — **101**.

106 ეს მონახაზი ვ. ი. ლენინმა გააკეთა თავდაცვის საბჭოს 1918 წლის 4 დეკემბრის სხდომაზე დამზადებათა ტემპებისა და მასშტაბის გაძლიერების შესახებ ნ. პ. ბრიუხანოვის მოხსენების განხილვასთან დაკავშირებით. ვ. ი. ლენინის წინადადებებმა ასახვა პოვეს ამ საკითხზე თავდაცვის საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებაში (იხ. ლენინის XVIII კრებული, გვ. 246 — 247). — **101.**

107 სახკომსაბჭოს 1918 წლის 5 დეკემბრის სხდომამ განიხილა ნ. პ. ბრიუხანოვის მიერ შეტანილი პროექტი «მუშათა სასურსათო ინსპექციის მოწყობის დებულებისა». ეტყობა, ამ საკითხის განხილვისას ვ. ი. ლენინმა დაწერა სახკომსაბჭოს დადგენილება «დებულების» გამო და შენიშვნები «დებულების» პროექტისადმი. შემდეგ ლენინმა ორივე ეს მონახაზი წაშალა, მაგრამ შესწორებანი, რომლებიც სხდომაზე მიიღეს და პროექტში შეიტანეს, ემთხვევიან ლენინის მონახაზთა დებულებებს. — **102.**

108 1918 წლის 4 დეკემბერს თავდაცვის საბჭომ ტულის ვაზნებისა და იარაღის ქარხნებში მესამე ცვლის შემოღების საკითხის განხილვისას საჭიროდ ცნო ამ საკითხის გარჩევა განსაკუთრებულ კომისიაში. ვაზნების კომისიის სხდომას 5 დეკემბერს ესწრებოდნენ: ვ. ი. ლენინი, წითელი არმიის მომარაგების საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ლ. ბ. კრასინი, რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. მ. სკლიანსკი, მთავარსარდალი ი. ი. ვაცეტისი, არტილერიის მთავარი სამმართველოს, ტულის ვაზნების ქარხნისა და სხვ. წარმომადგენლები — სულ 17 კაცი. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილებები, რომლებსაც თავდაცვის საბჭოს დადგენილებათა ძალა ჰქონდა. მათში აისახა ლენინის ჩანაწერებში დასახული ღონისძიებები (იხ. ლენინის XXXIV კრებული, გვ. 55 — 57). — **108.**

109 ლაპარაკია პარიტეტული კომისიების შექმნაზე ბანკების მოსამსახურეთა ყრილობის მოსაწვევად, ყრილობისა, რომელსაც ორი პროფესიული კავშირის — საკრედიტო საქმის მუშაკთა სრულიად რუსეთის პროფესიული კავშირის («ბანკტრუდის») და რსფსრ სახალხო ბანკის თანამშრომელთა კავშირის («ბანკოსოტრუდის») — ნაცვლად უნდა შეექმნა საბანკო საქმის მუშაკთა ერთიანი კავშირი. 1918 წლის 2 დეკემბერს ბანკების მოსამსახურეთა ორი პროფკავშირის ურთიერთდამოკიდებულების და ყრილობის მოწვევის საკითხი განიხილა სპეციალურმა თათბირმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი. ბანკების მოსამსახურეთა ყრილობა გაიმართა 1919 წლის იანვრის დამდეგს.—**104.**

110 ეს დოკუმენტი ვ. ი. ლენინმა დაწერა სახკომსაბჭოს 1918 წლის 14 დეკემბრის სხდომაზე სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სა-

ფეიქრო მრეწველობის ცენტრალური კომიტეტის დაფინანსების შესახებ ვ. ბ. მილიუტინის მოხსენების განხილვასთან დაკავშირებით ლენინის წინადადებებმა გამოხატულება პოვა ამ საკითხზე სახკომსაბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებაში. — **105.**

111 1-ლი და მე-3 პუნქტების ტექსტი ვ. ი. ლენინს გადაუხაზავს. ოქმში ჩაწერილი დადგენილების ტექსტთან მათი შედარება საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ თავის ტექსტში ლენინმა გადაუხაზავად დატოვა ის პუნქტები, რომლებიც მიიღო სახკომსაბჭომ. — **105.**

112 ვ. ი. ლენინის წერილი გ. ვ. ჩიჩერინისადმი დაწერილია კომინტერნის პირველი კონგრესის მომზადებასთან დაკავშირებით.

ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, როცა დასავლეთის სოციალისტური პარტიების ლიდერთა უმრავლესობის სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე გადასვლის შედეგად II ინტერნაციონალმა კრახი განიცადა, ვ. ი. ლენინმა დასახა ახალი, ნამდვილად რევოლუციური ინტერნაციონალის დაარსების ამოცანა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში მემარცხენე სოციალისტური ძალების შემჭიდროებისათვის ბრძოლა გააჩაღა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ და მისი გავლენით საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ზრდამ, ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში კომუნისტური პარტიების ან ჯგუფების წარმოშობამ ეს ამოცანა კიდევ უფრო გარდაუვალი გახადა და ხელსაყრელი პირობები შეუქმნა მის გადაჭრას.

კომუნისტთა გაერთიანების გადაუდებელი საჭიროება კიდევ იმით იყო გამოწვეული, რომ ოპორტუნისტულმა, სოციალ-შოვინისტურმა ბელადებმა სცადეს აღედგინათ II ინტერნაციონალი. ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობამ ყველა ქვეყნის სოციალისტებს წინადადებით მიმართა მოეწვიათ 1919 წლის 6 იანვარს ლოზანაში საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია II ინტერნაციონალის აღსადგენად. ამ მოწოდების პასუხად რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1918 წლის 24 დეკემბერს დაგზავნა რადიოტელეგრამა, რომლითაც ყველა რევოლუციურ-ინტერნაციონალისტურ ელემენტს მოუწოდა უარი ეთქვათ იმაზე, რომ მონაწილეობა მიეღოთ «მუშათა კლასის მტრების კონფერენციებში, მტრებისა, რომლებიც სოციალიზმის სახელს ეფარებიან» («პრავდა» № 281, 1918 წლის 25 დეკემბერი). ამასთანავე ვ. ი. ლენინმა, როგორც ეს ჩანს მისი ამ წერილიდან გ. ვ. ჩიჩერინისადმი, დააყენა საკითხი კომუნისტებისა და მემარცხენე სოციალ-დემოკრატების საერთაშორისო კონფერენციის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ III ინტერნაციონალის შექმნის მიზნით. — **106.**

113 იგულისხმება «სპარტაკის კავშირის» ცენტრალური საბჭოს წევრი ე. ფუქსი. 1918 წლის დეკემბრის დამლევს ფუქსი ბერლინიდან მოსკოვს ჩამოვიდა, რათა გაეცნო ლენინისათვის გერმანიაში შექმნილი ვითარება. — **108.**

114 31 დეკემბერს ვ. ი. ლენინს მოუმზადეს ცნობა, რომელშიც დახასიათებული იყო ლენინის სიაში აღნიშნული პარტიები და ორგანიზაციები. იმ ორგანიზაციების გარდა, რომლებიც ლენინმა დაასახელა, ცნობაში აღნიშნული იყო კიდევ რვა. წინადადება იყო აგრეთვე კონფერენციაზე სტუმრად მოეწვიათ ჩინეთის, კორეისა და სპარსეთის რევოლუციურ მუშათა წარმომადგენლები.

იმავე დღეს ვ. ი. ლენინმა მიიღო აგრეთვე პროექტი მოწოდებისა «კომუნისტური ინტერნაციონალის პირველ ყრილობას», შედგენილი მისი დავალებით და მის წინადადებათა შესაბამისად. ვ. ი. ლენინმა პროექტში არაერთი პრინციპული შესწორება და დამატება შეიტანა.

1919 წლის იანვარში პროექტი მოწოდებისა «კომუნისტური ინტერნაციონალის პირველ ყრილობას» ვ. ი. ლენინმა კომუნისტური და სოციალისტური პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირს გააცნო. განხილვის შემდეგ თათბირმა პროექტი მიიღო. 1919 წლის 24 იანვარს მოწოდება გამოქვეყნდა პრესაში.

კომუნისტური ინტერნაციონალის პირველი კონგრესი გაიმართა 1919 წლის 2 — 6 მარტს (იხ. ე. ი. ლენინი, **თხზულებანი**, მე-4 გამოც., ტომი 28, გვ. 571 — 601). — **109.**

115 შენიშვნები ეხება ხარკოვში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის დროს.

ხარკოვი პეტლიურელთაგან საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს 1919 წლის 3 იანვარს. — **110.**

116 ხარკოვში მუშაკთა გაგზავნის საკითხი თავდაცვის საბჭომ განიხილა 1919 წლის 17 და 27 იანვრის სხდომებზე. — **110.**

117 კ ო ო პ ე რ ა ც ი ი ს შ ე ს ა ხ ებ ს ა ხ კ ო მ ს ა ბ ჭ ო ს დ ა დ გ ე ნ ი ლ ებ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი ვ. ი. ლენინმა სახკომსაბჭოს 1919 წლის 28 იანვრის სხდომაზე შეიტანა. იგი მცირედი ცვლილებებით მიიღეს.

მეოთხე პუნქტში მოხსენიებული პროექტი დეკრეტისა სამომხმარებლო კომუნების შესახებ სახკომსაბჭომ მიიღო 16 მარტს და გამოქვეყნდა 20 მარტს გაზეთში «იზვესტია ვციკ» № 60.

პირველი პუნქტის დამატება ლენინს დაუწერია მარცხენა არეზე, ამ პუნქტის გვერდით, ეტყობა, დადგენილების პროექტის მთლიანად დაწერის შემდეგ. სახკომსაბჭოს 28 იანვრის დადგენილებაში პირველი პუნქტის დასაწყისი შეტანილია შემდეგი რედაქციით: «დაეკალოს

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს კოოპერაციულ განყოფილებას და სურსათის კომისარიატს, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად, რაც შეიძლება მალე შეკრიბონ ცნობები, თუ როგორ ახორციელებენ კოოპერატივები რეალურად საბჭოთა პოლიტიკის ძირითად ხაზს. — **111.**

118 ვ. ი. ლენინის დაწერილი პროექტი დადგენილებისა სახკომსაბჭოს სხდომამ მიიღო 1919 წლის 30 იანვარს და გამოქვეყნდა 1 თებერვალს გაზეთში «იზვესტია ვციკ» № 23. — **112.**

119 «ჩრდილოეთის დიდი რკინიგზის» კონცესიის საკითხი სახკომსაბჭოს სხდომამ განიხილა 1919 წლის 4 თებერვალს. ვ. ი. ლენინის შეთავაზებული ტექსტი დადგენილებისა მიიღეს ზოგიერთი დამატებით.

კონცესიის ინიციატორთა პროექტის მიხედვით ახალი გზის ტრასას ობი კოტლასის გავლით უნდა შეეერთებინა პეტროგრადთან და მურმანსკთან. ჩრდილოეთის რკინიგზის მშენებლობის კონცესია არ განხორციელებულა. — **112.**

120 ეს დოკუმენტი თითქმის მთლიანად შევიდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1919 წლის 19 თებერვალს მიღებულ დადგენილებაში.

1919 წლის 11 მარტს ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ახალი, ვრცელი დადგენილება სასურსათო პოლიტიკის შესახებ უკრაინაში. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მანქანაზე გადაწერილი ტექსტი, რომლის ერთ-ერთ ფურცელზე ვ. ი. ლენინს დაუწერია: «რკპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დაამტკიცა 11. III. როგორც დირექტივა უკრაინის რკპ და უკრაინის საბჭოთა მთავრობისათვის. 11. III. 1919. ლენინი». — **114.**

121 დაუმთავრებელი სტატია «გერმანელ დამოუკიდებელთა მოწოდების გამო» ვ. ი. ლენინმა დაწერა 1919 წლის თებერვლის მეორე ნახევარში. გერმანელ «დამოუკიდებელთა» მოწოდების კრიტიკა მოცემულია ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ ლენინის თეზისების § 21-ში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 28, გვ. 589 — 590). — **114.**

122 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს გაფართოებული ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის თათბირი (Internationale Sozialistische Kommission), რომელიც ბერნში გაიმართა 1916 წლის 5 — 9 თებერვალს. თათბირს ესწრებოდა გერმანიის, რუსეთის, იტალიის, ნორვეგიის, ავსტრიის, პოლონეთის, შვეიცარიის, ბულგარეთის, რუმინეთის ინტერნაციონალისტთა 22 წარმომადგენელი. ლენინი აქტიურ მონაწილეობას იღებდა თათბირის მუშაობაში. თათბირმა მიიღო მიმართვა «ყველა მომხრე პარტიასა და ჯგუფს», რომელშიც გაკიცხული იყო

სოციალისტების მონაწილეობა ბურჟუაზიულ მთავრობებში, «სამშობლოს დაცვის» ლოზუნგი იმპერიალისტურ ომში და სამხედრო კრედიტებისათვის ხმის მიცემა; აღნიშნული იყო, რომ საჭიროა მუშათა მოძრაობის მხარდაჭერა და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ მასობრივი რევოლუციური მოქმედების მომზადება. მაგრამ მიმართვა არათანმიმდევრული იყო, რადგან იგი არ მოითხოვდა სოციალ-შოვინიზმთან და ოპორტუნიზმთან კავშირის გაწყვეტას. როცა მიმართვის ტექსტს ხმას აძლევდნენ, ციმერვალდის მემარცხენეთა წარმომადგენლებმა თათბირზე განაცხადეს, რომ თუმცა მიმართვის ყველა დებულება დამაკმაყოფილებლად არ მიგვაჩნია, ხმას ვაძლევთ მას, რადგან ამ მიმართვაში წინგადადგმულ ნაბიჯს ვხედავთ ციმერვალდის პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის გადაწყვეტილებებთან შედარებითო. თათბირმა დანიშნა მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოწვევის ვადა. — **115.**

123 იგულისხმება კ. კაუცკის სტატია «Fraktion und Partei» («ფრაქცია და პარტია»), რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ «Die Neue Zeit»-ის მე-9 ნომერში 1915 წლის 26 ნოემბერს. — **116.**

124 ლაპარაკია იმაზე, რომ კურსების დამთავრების შემდეგ მსმენელმა ქალებმა ლენინს მიმართეს წერილით, რომელშიც სთხოვდნენ მას გამოსულიყო კურსებზე. თავიანთი წერილი მათ იმ დაპირებით დაამთავრეს, რომ შეცვლიდნენ წითელ არმიაში წასულ ქმრებს, ძმებსა და შვილებს. — **118.**

125 ეს მონახაზი ვ. ი. ლენინმა დაწერა სახკომსაბჭოს 1919 წლის 15 მარტის სხდომაზე სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პოლიგრაფიული განყოფილების შესახებ საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. სახკომსაბჭოს დადგენილება ჩამოყალიბდა ლენინის წინადადებათა საფუძველზე. მიღებული დადგენილების ტექსტი იხ. ლენინის XXIV კრებულში, გვ. 24. — **119.**

126 იმას, რომ მუშებიდან საუკეთესო მუშაკები სასურსათო საქმესა და ტრანსპორტზე უნდა გაიგზავნონო, ვ. ი. ლენინი ამბობდა ჯერ კიდევ სიტყვაში სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მოსკოვის საბჭოს და პროფესიული კავშირების სრულიად რუსეთის ყრილობის 1919 წლის 17 იანვრის გაერთიანებულ სხდომაზე (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 28, გვ. 507 — 508).

ლენინის პროექტი რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო; მას ხელი მოაწერეს აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ლ. ბ. კამენევმა, გ. ე. ზინოვიევმა, ი. ბ. სტალინმა, ე. დ. სტასოვამ, ნ. ნ. კრესტინსკიმ, მ. თ. ვლადიმირსკიმ, ნ. ი. ბუხარინმა, ვ. ვ. შმიდტმა და ფ. ე. ძერჟინსკიმ. — **120.**

127 მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს პლენუმის 1919 წლის 3 აპრილის საგანგებო სხდომა გაიმართა რაიონული საბჭოების, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების გამგეობათა წარმომადგენლებთან ერთად იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვში გამწვავდა სასურსათო მდგომარეობა და ამ ნიადაგზე რკინიგზელთა შორის გაჩაღდა მენშევიკებისა და ესერების აგიტაცია. მენშევიკები და ესერები რკინიგზელებს გაფიცვებისაკენ, რკინიგზის საბელოსნოებში საბოტაჟის მოწყობისაკენ მოუწოდებდნენ. ამ კონტრრევოლუციურმა აგიტაციამ გამოიწვია გაფიცვა რკინიგზის სახელოსნოებში ალექსანდრეს რკინიგზაზე, რის შედეგადაც მთავარი სახელოსნოები 31 მარტს გზათა სახალხო კომისარიატის დადგენილებით დაიხურა. მათში მუშაობა განახლდა მხოლოდ 3 აპრილს, კულაკური ელემენტების დათხოვნის შემდეგ.

სხდომაზე ვ. ი. ლენინი გამოვიდა მოხსენებით საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ; მოხსენებით რკინიგზის ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ლ. ბ. კრასინი, სასურსათო პოლიტიკის შესახებ — ა. ი. სვიდერსკი. კამათში გამოსულებმა დაგმეს მენშევიკებისა და ესერების კონტრრევოლუციური აგიტაცია. საბოლოო სიტყვით გამოვიდა ა. ვ. ლუნაჩარსკი, რომელმაც შეკრებილთ შესთავაზა ლენინის შედგენილი რეზოლუცია საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ. ამ ტომში ქვეყნდება რეზოლუციის თავდაპირველი პროექტი. მოსკოვის საბჭოს პლენუმმა მიიღო აგრეთვე სპეციალური რეზოლუცია, რომელიც სამარცხვინო ბოძზე აკრავდა კონტრრევოლუციურ აგიტაციას და იწონებდა გზათა სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულ ზომებს ალექსანდრეს რკინიგზის სახელოსნოთა მიმართ. — **122.**

128 1919 წლის იანვარში საბჭოთა მთავრობა ორჯერ (12 და 17) გამოვიდა ზავის წინადადებით. 4 თებერვალს მან რადიოთი მიმართა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს, მზად ვართ მონაწილეობა მივიღოთ სამშვიდობო კონფერენციაში, რომლის გამართვა განზრახულია პრინცის კუნძულზეო. — **123.**

129 «ვსეგდა ვპერიოდ!» — მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში, 1918 წელს დაიბეჭდა ერთი ნომერი, 1919 წელს გამოდიოდა 22 იანვრიდან 25 თებერვლამდე. — **123.**

130 «დელო ნაროდა» — ესერების პარტიის ორგანო; გაზეთი გამოდიოდა პეტროგრადში, შემდეგ ხანგამოშვებით და სხვადასხვა სახელწოდებით 1917 წლის მარტიდან 1919 წლის მარტამდე სამარასა და მოსკოვში. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მტრული ანტისაბ-

ჭოთა პოზიცია დაიკავა; დაიხურა კონტრრევოლუციური მოღვაწეობისათვის. — **128.**

131 ვ. ი. ლენინის წინადადება დაწერილია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროექტზე. პროექტში არის ლენინისეული სწორება. პროექტს ხელს აწერენ ვ. ი. ლენინი, ნ. ნ. კრესტინსკი, ი. ბ. სტალინი. დადგენილებაში ნათქვამია: «ომის წარმოება როგორც წარმატების აუცილებელი პირობა ვარაუდობს ყველა ფრონტზე მოქმედების უდავო ერთიანობას, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს წითელი არმიის სარდლობის ერთიანობას ყველა ფრონტზე, წითელი არმიის მომარაგების ერთიანობას ყველა ფრონტზე და ტრანსპორტის მართვის ერთიანობას მთელ რკინიგზის ქსელზე, რადგან ტრანსპორტი ომის წარმოების ერთ-ერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენს». დადგენილება ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭიროა უაღრესად მკაცრი დირექტივა სამხედრო და საზღვაო კომისარიატებისათვის, აგრეთვე საბჭოთა რესპუბლიკების მომარაგების ორგანოებისათვის, — «იმ აზრით, რომ ამ დამოუკიდებელმა კომისარიატებმა იმუშაონ მხოლოდ და მხოლოდ იმ დირექტივების თანახმად, რომლებსაც იძლევიან რსფსრ სათანადო კომისარიატებიდან, რადგან მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება მივაღწიოთ ყველა განკარგულების შესრულებისა და მოქმედების საჭირო ერთიანობას, სისწრაფესა და სიზუსტეს».

შემდეგ დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ «ყველაზე აუცილებელ ამოცანას უკრაინაში წარმოადგენს სათბობის, ლითონის მაქსიმალური გამოყენება, ქარხნებისა და სახელოსნოების, აგრეთვე სურსათის მარაგის ქონა». რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავდა, რომ უკრაინის მთელი მრეწველობა თავმოყრილია რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილში და რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს გადატანამ ხარკოვიდან კიევში უარყოფითი გავლენა მოახდინა უკრაინის ტრანსპორტის, სამთო და დამმუშავებელი მრეწველობის აღდგენაზე, და საჭიროდ თვლიდა, რომ სახალხო მეურნეობის საბჭო, აგრეთვე უკრაინის მომარაგების საგანგებო კომისია დარჩენილიყვნენ ხარკოვში ანდა ჰყოლოდათ ხარკოვში ძლიერი წარმომადგენლობანი მოსკოვთან უშუალო კავშირის და ფულად ასიგნობათა უშუალოდ მოსკოვიდან მიღების უფლებით. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ «უკრაინის რკინიგზა რუსეთის რკინიგზის ქსელის განუყოფელ ნაწილს შეადგენს და მას მართავს გზათა სახალხო კომისარიატი მოსკოვიდან». დადგენილებაში ნათქვამი იყო აგრეთვე, რომ «რსფსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატმა თავისი საქმიანობა უნდა გაავრცელოს უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის ყველა დაწესებულებაზე» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო ერთიანობის განმტკიცების საქმეში. 1919 წლის 24 აპრილს რსფსრ სამხედრო მდგომარეობის შესახებ მთავარსარდალ ი. ი. ვაცეტისის მოხსენებით პარათთან დაკავშირებით, რომელშიც დასაბუთებული იყო, რომ საჭიროა საბჭოთა რესპუბლიკების შეიარაღებულ ძალთა გაერთიანება და ერთიანი სარდლობისათვის დაქვემდებარება, ვ. ი. ლენინმა ე. მ. სკლიანსკის მისწერა, საჭიროაო სასწრაფოდ «შეადგინოთ ტ ე ქ ს ტ ი ცენტრალური კომიტეტის დირექტივისა ყველა «ნაციონალს» სამხედრო **ერთიანობის** (შერწყმის) შესახებ» (თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 50, დოკუმენტი 528). «პროექტი ცენტრალური კომიტეტის დირექტივისა სამხედრო ერთიანობის შესახებ» იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 29, გვ. 472 — 473. საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო კავშირი გაფორმდა 1919 წლის 1 ივნისს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტით «მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად საბჭოთა რესპუბლიკების: რუსეთის, უკრაინის, ლატვიის, ლიტვის, ბელორუსიის გაერთიანების შესახებ». — **125.**

132 1919 წლის 21 აპრილს ვ. ი. ლენინი თავდაცვის საბჭოს სხდომაზე გამოვიდა მოხსენებით «სამხედრო თავდაცვის დარგში მუშაობის გაძლიერების შესახებ». დოკუმენტი, რომელიც აქ ქვეყნდება, როგორც ჩანს, წარმოადგენს ამ საკითხზე მიღებული დადგენილების დასკვნითი ნაწილის მონახაზს. — **126.**

133 მიწერილია მოწოდებაზე, რომლითაც ბელა კუნმა უნგრეთის საბჭოთა მთავრობის სახელით მიმართა წითელ არმიაში მყოფ უნგრელ მებრძოლებს. «თქვენ, უნგრელი ინტერნაციონალისტები, — ნათქვამი იყო მოწოდებაში, — რომლებიც რუსეთის მიწაზე იბრძვით კოლჩაკის ბანდებისა და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, ამჟამად უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკისთვისაც იბრძვით ისევე, როგორც უნგრეთში, ვინაიდან უნგრეთი და რუსეთი ამჟამად ერთ მთელს წარმოადგენს». ეს მოწოდება გამოიცა 1919 წლის აპრილში უნგრულ ენაზე და ვრცელდებოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება ამ მინაწერის ტექსტი რუსულ ენაზე, დაწერილი ლ. მ. ყარახანის ხელით: «მთლიანად კუერთდები მადიარი ამხანაგების მიმართვას. ვიმედოვნებ, რომ ინტერნაციონალური საქმის ინტერესებს მადიარი ამხანაგები პირველ ადგილზე დააყენებენ. უნდა გავუძლოთ კიდევ რამდენიმე თვე და ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება. ლენინი». — **126.**

134 ეს პროექტი ვ. ი. ლენინმა დაწერა სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური კომისიის მეორე სხდომაზე 1919 წლის 2 მაისს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხილვასთან დაკავშირებით. — **126.**

135 თავდაცვის საბჭომ 1919 წლის 31 მაისს განიხილა მობილიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. საბჭომ დაამტკიცა ვ. ი. ლენინის დაწერილი პროექტი დეკრეტისა (იხ. ეს ტომი, გვ. 128—129), აგრეთვე მიიღო დადგენილებები, რომ სურსათის სახალხო კომისარიატს მობილიზებულთათვის მიეცა სურსათი და რომ შეემოწმებინათ ყველა უწყებისა და დაწესებულების მუშაკთა დამოკიდებულება სამხედრო ბეგრისადმი, რათა სამხედრო სარდლობას დაუყოვნებლივ გადასცემოდა ის პირები, ვისაც გაწვევა ეხებოდა და შეიძლებოდა საქმისათვის დიდი ზიანის მიუყენებლად შეცვლილი ყოფილიყვნენ იმ პირებით, ვისაც გაწვევა არ ეხებოდა, ან ქალებით. — **128.**

136 თავდაცვის საბჭომ 1919 წლის 24 მაისს მიიღო დადგენილება, რომელიც ნებას აძლევდა პურით მდიდარ რაიონებში მოქმედი საფრონტო ნაწილების წითელარმიელებს, გაეგზავნათ თავიანთი ოჯახებისათვის დამშეულ რაიონებში სურსათის ამანათები. თავდაცვის საბჭომ დაავალა სასურსათო არმიის ცენტრალურ სარდლობას დაემუშავებინა და 1 ივნისამდე მაინც წარმოედგინა ამ დადგენილების განხორციელების დაწვრილებითი ინსტრუქციის პროექტი. ინსტრუქციის პროექტი თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა 1919 წლის 23 ივლისს. — **130.**

137 მამონტოვის ცხენოსანთა კორპუსი დენიკინმა გაგზავნა, რათა ზურგში დაერტყა სამხრეთის ფრონტის საბჭოთა ჯარებისათვის. 1919 წლის 10 აგვისტოს მამონტოვის ცხენოსანმა ჯარმა გაარღვია ფრონტი ნოვოხოპერსკის რაიონში და თავს დაესხა რამდენიმე დასახლებულ პუნქტსა და ქალაქს. მამონტოვის ცხენოსანი ჯარის რეიდმა საფრთხე შეუქმნა საბჭოთა ჯარებს, გაართულა შეტევითი ოპერაციის ჩატარება, არაერთ ადგილას მოშალა ჯარების მართვა და მომარაგება. პარტიამ და მთავრობამ საგანგებო ზომები მიიღეს მამონტოვის ცხენოსანი ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველად. 23 აგვისტოს თავდაცვის საბჭომ სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა რიაზანის, ტულის, ორიოლის, ვორონეჟის, ტამბოვისა და პენზის გუბერნიებში, რომელთა ტერიტორიაზეც მთელი ძალაუფლება თავმოყრილი იყო რევკომების ხელში. რევკომებს ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა თეთრგვარდიელთა თავდასხმების წინააღმდეგ თავდაცვის მოწყობისა და კონტრრევოლუციური გამოსვლების ჩახშობისათვის. მამონტოვის კორპუსის განადგურების ორგანიზაციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი. მამონტო-

ვის ცხენოსანთა კორპუსი გაანადგურეს 1919 წლის ოქტომბერ — ნოემბერში. — **188.**

138 ვ. ი. ლენინს არაერთხელ მოუთხოვია რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციური საბჭოსათვის, რომელსაც ლ. დ. ტროცკი ედგა სათავეში, გადამწყვეტი ზომების მიღება მამონტოვის ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად. 1919 წლის 16 სექტემბერს ლენინი წერდა: «მამონტოვის წინააღმდეგ მოდუნებაა. ეტყობა, დაგვიანება დაგვიანებას მოსდევს. დაიგვიანეს ჩრდილოეთიდან ეორონეჟისაკენ მიმავალმა ჯარებმა, დაგვიანეს 21-ე დივიზიის გადაყვანა სამხრეთისაკენ. დაგვიანეს ავტოტყვიამფრქვევების გაგზავნა. დაგვიანეს კავშირის დამყარება... ეტყობა, რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭო «კომანდობს» ისე, რომ ინტერესს არ იჩენს ან უნარი არ შესწევს თვალყური ადევნოს **შესრულებას.** თუ ეს ჩვენი საერთო ცოდვაა, ომია საქმეში ეს პირდაპირ დაღუპვაა» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, გვ. 447 — 448). — **188.**

139 დადგენილების პროექტი სახკომსაბჭოს სხდომამ მიიღო 1919 წლის 4 სექტემბერს. — **185.**

140 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილება, რომელიც ქვემოთ ქვეყნდება, მიღებულ იქნა ვ. ი. ლენინისადმი გ. ვ. ჩიჩერინის 1919 წლის 26 სექტემბრის წერილთან დაკავშირებით. ჩიჩერინი ითხოვდა მითითებებს შემდეგ საკითხებზე: 1) შეიძლება თუ არა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების გარეშე მივმართოთ ანტანტის ქვეყნების მუშებს მოწოდებით მოახდინონ ზემოქმედება თავიანთ მთავრობებზე, რათა მათ ხელი არ შეუშალონ საბჭოთა სახელმწიფოს მოლაპარაკებას ბალტიისპირეთის ქვეყნებთან საზავო ხელშეკრულებათა დადების შესახებ? 2) უნდა მივმართოთ თუ არა საბჭოთა მთავრობის სახელით ანტანტის ქვეყნებს ზავის ახალი წინადადებით? «ამას, — წერდა ჩიჩერინი, — მიიჩნევენ სისუსტის ნიშნად... სამაგიეროდ ინტერვენციის მოწინააღმდეგეებს, მეტადრე ტრედუნიონებს, ექნებათ ხელჩასაჭიდი»; 3) შეიძლება თუ არა გამოვიყენოთ მ. მ. ლიტვინოვის მოსალოდნელი გამგზავრება ნეიტრალურ ქვეყანაში ინგლისის წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად სამხედრო ტყვეების გაცვლის საკითხზე იმ ვარაუდით, რომ ლიტვინოვმა იმავე დროს «გააზვიადოს ზავის საკითხი?»; 4) თუ ლიტვინოვის მისია მარცხით დამთავრდება, ღირს კი, რომ ა. მ. გორკიმ, რომელიც აპირებდა მოწოდებით მიემართა მსოფლიოსათვის, თავის წერილში «მოიხსენიოს ჩვენი განუხრელი მზადყოფნა ზავისათვის და ანტანტის მთავრობებს მიუთითოს, რომ ბრძოლა განადგურებად გადაიქცა?». (ხაზგასმა

ვ. ი. ლენინისაა). «მაგრამ, — წერდა ჩიჩერინი, — ჩვენ ბევრად გვერ-

ჩივნა ოფიციალური საზავო წინადადება...» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). ამ საკითხზე იხ. აგრეთვე თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, დოკუმენტი 85. — **185.**

141 კონფლიქტი წარმოშვა იმან, რომ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატმა განკარგულება გასცა გაეუქმებინათ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 9 იურიდიული განყოფილება. ამ განკარგულების გამო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ სახელმწიფო კონტროლს მცირე სახკომსაბჭოში უჩივლა. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საჩივრის გამო მცირე სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებას რომ ამტკიცებდა, სახკომსაბჭომ 1919 წლის 30 სექტემბერს მიიღო ვ. ი. ლენინის შეთავაზებული პროექტი, რომელშიც ზოგიერთი ცვლილება შეიტანა: დაუმატა მე-3 პუნქტი — «იგივე მოეთხოვოს ყველა კომიტეტს ორი კვირის ვადაში», — ხოლო ლენინის პროექტის მე-3 პუნქტი დაამტკიცა როგორც დადგენილების მე-4 პუნქტი შემდეგი რედაქციით: «დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს ჩაატაროს მოკვლევა იმისათვის, რომ საქმის გაჭიანურების გამო სასამართლოს გადასცეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს იურიდიულ განყოფილებათა წევრები. მოხსენება წარმოუდგინოს მცირე სახკომსაბჭოს ერთი კვირის შემდეგ» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **186.**

142 «სურვილები კოოპერაციის საკითხის გამო» დაწვრილია ცენტროსოიუზის და სურსათის სახალხო კომისარიატის ფრაქციათა იმ თათბირთან დაკავშირებით, რომელიც სახკომსაბჭომ მოაწყო და ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა 1919 წლის 9 ოქტომბერს. — **187.**

143 «ბედნოტა» — ყოველდღიური გაზეთი გლეხებისათვის; გამოდიოდა მოსკოვში 1918 წლის 27 მარტიდან 1931 წლის 31 იანვრამდე. გაზეთი შეიქმნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ნაცვლად გაზეთებისა «დერევენსკაია ბედნოტა», «დერევენსკაია პრავდა» და «სოლდატსკაია პრავდა». გაზეთი აქტიურად იბრძოდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ სოფლის ღარიბი და საშუალო მასების დარაზმვისა და შეკავშირებისათვის. «ბედნოტამ» დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა გლეხობის მშრომელი ფენების პოლიტიკური განათლებისა და კულტურული აღმავლობის საქმეში, სოფლის ღარიბთა და საშუალო გლეხთა რიგებიდან საზოგადოებრივ

მუშაკთა დაწინაურებაში, სოფლის კორესპონდენტთა მრავალრიცხოვანი არმიის აღზრდაში. 1931 წლის 1 თებერვლიდან «ბედნოტა» შეუერთდა გაზეთ «სოციალისტიჩესკოე ზემლედელიეს». — **187.**

144 იგულისხმება დეკრეტი «სამომხმარებლო კომუნების შესახებ», რომელიც სახალხო კომისართა საბჭომ 1919 წლის 16 მარტს მიიღო. — **187.**

145 ავღანეთის საგანგებო საელჩო, რომელსაც მუჰამედ ვალი-ხანი მეთაურობდა, მოსკოვს ჩამოვიდა 1919 წლის 10 ოქტომბერს. 12 ოქტომბერს ავღანეთის საგანგებო ელჩი მუჰამედ ვალი-ხანი ავღანეთის არმიის უმაღლესი მსაჯულის მოვლევი სეიფურრახმან-ხანის და საელჩოს მდივნის თანხლებით ეწვია საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს. იგი მიიღო სახალხო კომისარიატის მთელმა კოლეგიამ. 14 ოქტომბერს სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ვ. ი. ლენინმა მიიღო ავღანეთის საელჩო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლების თანდასწრებით. ელჩისა და ლენინის საუბარი ნახევარ საათზე მეტს გაგრძელდა. — **187.**

146 ემირ ამანულა-ხანის წერილში წამოყენებულ კითხვებს საბჭოთა მთავრობამ უპასუხა 1919 წლის 27 ნოემბრის წერილით, რომელსაც ხელს აწერდა სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. ლენინი. — **188.**

147 სიტყვა წარმოთქმულია 1919 წლის 24 ოქტომბერს კავშირების სახლში ფრონტზე გასაგზავნად მობილიზებულ ივანოვოვოზნესენსკელ კომუნისტ მუშათა წინაშე, რომლებიც გზად იმყოფებოდნენ მოსკოვში. 3 ოქტომბერს ივანოვო-ვოზნესენსკში გაიმართა საერთო-საქალაქო პარტიული კრება, რომელმაც პარტიის თითოეულ წევრს მოსთხოვა თავისი ძალ-ღონე მოეხმარებინა დენიკინის არმიის განადგურების საქმისათვის და პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა დაეწყოთ კომუნისტთა მობილიზაცია ფრონტზე გასაგზავნად. 9 ოქტომბერს ივანოვო-ვოზნესენსკის საგუბერნიო კომიტეტის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება საერთო-პარტიული მობილიზაციის გამოცხადების შესახებ. მოკლე დროში მობილიზებული იყო დაახლოებით 350 კაცი. 22 ოქტომბერს გაიმართა მობილიზებულთა პირველი პარტიის ფრონტზე გაცილება, 24 ოქტომბერს მობილიზებული კომუნისტები მოსკოვს ჩავიდნენ. ვ. ი. ლენინი სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს სწერდა: «დაბეჯითებით ვაძლევ რეკომენდაციას ამ წერილის მომტანს, დიდი ხნის ჩემს პირად ნაცნობ ბოლშევიკს ამხ. სტეფანე ნაზაროვს.

მან და სხვა ივანოვოვოზნესენსკელმა ამხანაგებმა შეადგინეს მ ო ფ ი ქ რ ე ბ უ ლ ა დ ო რ გ ა ნ ი ზ ე ბ უ ლ ი ჯგუფი (300-დან 500 კაცამდე) მთელი არმიის ყოველმხრივი მომსახურებისა და გაჯანსაღებისათვის.

მხურვალე რეკომენდაციას ვაძლევ ამ ამხანაგებს და ძალიან გთხოვთ ყოველი ღონე იხმაროთ, რომ ისინი არ მიიჩქმალონ, არამედ მათ სწორად და მზრუნველობით მიეჩინოთ ადგილები» (თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, დოკუმენტი 121). — **168.**

148 იგულისხმება დეპუტატთა პალატის არჩევნების საარჩევნო კამპანია, რომელიც 1919 წლის ოქტომბერში დაიწყო. — **140.**

149 1919 წლის 11 ნოემბერს სახკომსაბჭოს სხდომამ განიხილა პროექტი დეკრეტისა ერთიანი სატყეო ორგანოს შესახებ. სახკომსაბჭომ დეკრეტის პროექტი არ მიიღო და მთავარი სატყეო კომიტეტის, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებისაგან შექმნა კომისია, რომელსაც დაავალა ვ. ი. ლენინის აქ გამოქვეყნებული წინადადებების შესრულება. 1919 წლის 21 ნოემბერს სახკომსაბჭომ დეკრეტი დაამტკიცა და 1919 წლის 29 ნოემბერს გამოაქვეყნა გაზეთში «იზვესტია ვციკ».—**140.**

150 აქ დაბეჭდილი პროექტი დადგენილებისა სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო 1919 წლის 18 ნოემბერს. — **141.**

151 სურსათის სახალხო კომისარიატის პროექტთან ერთად სახკომსაბჭო იმავე საკითხზე სმუსის პროექტსაც განიხილავდა. სმუსის პროექტის მე-4 პუნქტში ნათქვამი იყო: «ნება დაერთოს სახამებლისა და ბადაგის ქარხნებს დაუდონ გლეხებს ხელშეკრულება კარტოფილის მიწოდების შესახებ იმ ვარაუდით, რომ ყოველი გადამუშავებული ფუთიდან შესაძლებელი იყოს 1 გირვანქა სახამებლისა და ბადაგის ნაწარმის გაცემა» (ლენინის XXIV კრებული, გვ. 140). — **141.**

152 კომისიის შემუშავებული პროექტი დეკრეტისა კარტოფილის დამზადების შესახებ სახკომსაბჭომ სხდომაზე შეტანილი შესწორებებითურთ დაამტკიცა შაბათს, 1919 წლის 22 ნოემბერს. — **142.**

153 ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ხ ა ლ ხ თ ა კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი ს ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს II ყ რ ი ლ ო ბ ა, რომელიც რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების ცენტრალურმა ბიურომ მოიწვია, მიმდინარეობდა მოსკოვში 1919 წლის 22 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე. ყრილობის წინა დღეს, 21 ნოემბერს, ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით გაიმართა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრთა წინასწარი თათბირი ყრილობის დელეგატთა ჯგუფთან. ყრილობას ესწრებოდა გადამწყვეტი ხმით 71 დელეგატი და სათათბიროთი— 11. ყრილობის პირველ დღეს ბოხსენებით მიმდინარე მომენტზე გამოვიდა ლენინი. ლენინის ბოხსენების გამო მიღებული რეზოლუცია გადაეცა პრეზიდიუმს «დასაკონკრეტებლად და იმ მთავარი თეზისების

შესამუშავებლად, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს აღმოსავლეთში მუშაობას». ყრილობამ მოისმინა აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების ცენტრალური ბიუროს მუშაობის ანგარიში, მოხსენებები ადგილებიდან, მუსლიმანთა ცენტრალური სამხედრო კოლეგიის მოხსენება და სხვ. ყრილობამ დასახა ამოცანები აღმოსავლეთში პარტიული და საბჭოთა მუშაობის დარგში, აირჩია რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების ცენტრალური ბიუროს ახალი შემადგენლობა. — **142.**

154 გ. ვ. ჩიჩერინის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოისმინა რკპ(ბ) VIII სრულიად რუსეთის კონფერენციამ, რომელმაც მიიღო ვ. ი. ლენინის დაწერილი პროექტი რეზოლუციისა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ვ. ი. ლენინმა მოხსენებაში სრულიად რუსეთის ცაკის და სახკომსაბჭოს საქმიანობის შესახებ საბჭოების VII სრულიად რუსეთის ყრილობას შესთავაზა ეს რეზოლუცია როგორც პროექტი ყრილობის დადგენილებისა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 30, გვ. 268 — 269). ყრილობამ პროექტი ერთხმად მიიღო როგორც ანტანტის ქვეყნებისათვის საზავო წინადადება. — **143.**

155 ეს დოკუმენტი საფუძვლად დაედო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ 1919 წლის 29 ნოემბერს მიღებულ დადგენილებას სრულიად რუსეთის ცაკის შემადგენლობის საკითხზე. ეს შემადგენლობა უნდა აერჩია საბჭოების VII სრულიად რუსეთის ყრილობას. — **148.**

156 ვ. ი ლენინს მხედველობაში აქვს რკპ(ბ) VIII ყრილობის გადაწყვეტილება ორგანიზაციულ საკითხზე. გადაწყვეტილების განყოფილებაში საბჭოთა მშენებლობის შესახებ ეწერა, რომ სრულიად რუსეთის ცაკის შემადგენლობა უნდა შეიცვალოს და რომ სრულიად რუსეთის ცაკის წევრები უნდა იყვნენ უმთავრესად ადგილებიდან მოსული მუშაკები, რომლებიც მუდმივ მუშაობას ეწევიან გლეხებსა და მუშებს შორის (იხ. «რკპ(ბ) მერვე ყრილობა. 1919 წლის მარტი. ოქმები», მოსკოვი, 1959, გვ. 427). — **144.**

157 1919 წლის 2 დეკემბერს სახკომსაბჭოს სხდომა განიხილავდა «სამხედრო გადაზიდვებთან დაკავშირებით რკინიგზის ტრანსპორტის გაუმჯობესების შესახებ» დეკრეტის პროექტს. განხილვის დროს ვ. ი. ლენინმა სხდომას შესთავაზა ეს დოკუმენტი, რომელიც დეკრეტის § 10-ში შევიდა. ამ დამატებით და სხვა შესწორებებითურთ სახკომსაბჭომ დეკრეტი მიიღო და ნაწილობრივ გამოაქვეყნა «იზვესტია ვციკ»-ში (№ 231, 1919 წლის 14 დეკემბერი). — 144.

158 ვ. ი. ლენინის შენიშვნები საფუძვლად დაედო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებას, რომელიც მიღებულ იქნა 1919 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე «სრულიად რუსეთის პროფსაბჭოსთან არსებული რკპ(ბ) ფრაქციის ბიუროს დებულების» პროექტის განხილვის გამო. — **144.**

159 «დებულების» პროექტის პირველ პარაგრაფში ნათქვამი იყო, რომ «რუსეთის მთელი პროფესიული მოძრაობის ხელმძღვანელი პარტიული ორგანიზაციაა სრულიად რუსეთის პროფსაბჭოსთან არსებული რკპ(ბ)» ფრაქცია. — **145.**

160 დებულების პროექტში მესამე პარაგრაფი მოცემული იყო შემდეგი რედაქციით: «იმ მიზნით, რომ მოხდეს სრულიად რუსეთის ყველა საწარმოო გაერთიანების მოქმედების კოორდინაცია და რაც შეიძლება მეტი წარმატებით და ორგანიზებულად გატარდეს პროფესიულ მოძრაობაში კომუნისტური პარტიის ერთიანი ხაზი, სრულიად რუსეთის საწარმოო გაერთიანებათა ყველა არსებული და ახლად წარმოქმნილი ფრაქცია უშუალოდ დაექვემდებაროს სრულიად რუსეთის პროფსაბჭოსთან არსებულ ფრაქციას. — **145.**

161 სურსათით მოსკოვის მომარაგების საკითხი განიხილა სახკომსაბჭოს სხდომამ 1919 წლის 6 დეკემბერს. სახკომსაბჭოს დადგენილებას ამ საკითხზე საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის ის მონახაზი პროექტისა, რომელიც ამ წიგნში ქვეყნდება. — **147.**

162 ლაპარაკია გზათა სახალხო კომისარიატის და სურსათის სახალხო კომისარიატის შეთანხმებაზე პურის გადაზიდვის შესახებ მწარმოებელი რაიონებიდან მომხმარებელ რაიონებში. «შეთანხმებამ, — ნათქვამი იყო სახკომსაბჭოს დადგენილებაში, — უნდა უზრუნველყოს პურის იმ რაოდენობით მოზიდვა მოსკოვში, რაც საჭიროა მის გასანაწილებლად კლასობრივი ულუფის მიხედვით» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **147.**

163 იგულისხმება სახკომსაბჭოს ყოველდღიური ინფორმირება იმის შესახებ, თუ როგორ ამარაგებენ მოსკოვს პურით და როგორ მოძრაობს მოსკოვისათვის განკუთვნილი კარტოფილის ტვირთი. — **147.**

164 ვ. ი. ლენინმა ეს პროექტი დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ 1919 წლის 23 დეკემბერს სახკომსაბჭოს სხდომა განიხილავდა იმ საკითხს, რომ ყაზანის, სიმბირსკისა და სამარის გუბერნიების სურსათის კომისრები არ ასრულებდნენ სურსათის სახალხო კომისარიატის ბრძანებას მოსკოვში პურით დატვირთული სამარშრუტო მატარებლებს

გაგზავნის შესახებ. ზოგიერთი ცვლილებით სახკომსაბჭომ პროექტი დაამტკიცა. — **147.**

165 მომხსენებელთა ცნობებიდან გამოირკვა, რომ ბრძანების შეუსრულებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო სურსათის სახალხო კომისარიატის მიერ ფოსტისა და ტელეგრაფის კომისარიატში ადგილებთან დასაკავშირებლად პირდაპირი მავთულის დაგვიანებით მიღება. ეს პუნქტი სახკომსაბჭომ შემდეგი ფორმულირებით მიიღო: «პირდაპირი მავთულის მიუღებლობის ყველა შემთხვევაში დამნაშავედ ჩაითვალოს ის კომისარიატი, რომელიც დიდმნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად მავთულს ვერ მიიღებს ერთი საათის განმავლობაში და დაუყოვნებლივ არ გაასაჩივრებს ამას სახკომსაბჭოს თავმჯდომარესთან» (ლენინის XXIV კრებული, გვ. 147). — **148.**

166 ეს პუნქტი სახკომსაბჭომ შემდეგი რედაქციით მიიღო: «დაევალოს იუსტიციის კომისარიატს დანიშნოს გამოძიება, რათა დავადგინოთ, თუ რამდენად არიან დამნაშავენი გუბერნიების სურსათის კომისრები და სხვა თანამდებობის პირები, რომელთაც ბრალი მიუძღვით იმაში, რომ არ შეასრულეს სურსათის კომისრის ბრძანება პირით დატვირთული სამარშრუტო მატარებლების მოსკოვს გაგზავნის შესახებ ან უთაურობა გამოიჩინეს ამ ბრძანების შესრულებისას» (ლენინის XXIV კრებული, გვ. 147). — **148.**

167 ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოგზავნილი ცნობები ლენინმა გამოიყენა რკპ(ბ) IX ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში (იხ. თხზ., მე-4 გამოც., ტომი 30, გვ. 429). — **148.**

168 1919 წლის 23 დეკემბერს მცირე სახკომსაბჭო განიხილავდა ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით მუშათა მომარაგების საკითხს. საამისოდ მცირე საბჭომ გადაწყვიტა გამოეყენებინა წითელი არმიისათვის განკუთვნილი მარაგის ნაწილი ისეთნაირად, რომ ამასთანავე ზიანი არ მიეყენებინა არმიისათვის. დეკემბრის დამლევს მთავარ სამხედრო სამეურნეო სამმართველოს არმიის საწყობებიდან სურსათის სახალხო კომისარიატისთვის უნდა მიეცა 30 ათასი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, ხოლო სმუსს ევალებოდა ყოველ ორ კვირაში მიეცა სურსათის კომისარიატისათვის ჩვენს ქვეყანაში დამზადებული ჩექმების 20%.

ეტყობა, მცირე სახკომსაბჭოს ამ დადგენილების წინააღმდეგ გამოვიდა სმუსის პრეზიდიუმი, რის გამოც სახკომსაბჭომ 30 დეკემბერს მიიღო დადგენილება, რომელსაც საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის ამ წიგნში გამოქვეყნებული პროექტი. — **150.**

169 ეს წინადადება სახკომსაბჭომ დაამტკიცა ასეთი სახით: «დაევალოს ამხ. რიკოვს მისცეს ზუსტი მანდატი თავის წარმომადგენელს საწარ-

მოო ტანსაცმლის საკითხის განმხილველი ყველა სხდომისათვის და მხოლოდ ის გამოგზავნოს დელეგატად».

1920 წლის 3 იანვარს მცირე სახკომსაბჭომ ისევ განიხილა ეს საკითხი, ამჯერად სმუსის თავმჯდომარის ა. ი. რიკოვის თანდასწრებით, და დაავალა მას, 1920 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, ყოველთვიურად მიეცა სურსათის სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის მამაკაცის სამუშაო ფეხსაცმელი სულ ცოტა 40 ათასი წყვილი, ხისა და თექის ფეხსაცმლის და ქალამნების ჩაუთვლელად. — **151.**

170 ნედლეულის დამზადების ინსტრუქციის პროექტი სახკომსაბჭომ განიხილა 1919 წლის 30 დეკემბერს. ვ. ი. ლენინის შეთავაზებული დადგენილების პროექტი სახკომსაბჭომ მიიღო. — **151.**

171 იგულისხმება საბჭოების სრულიად რუსეთის VII ყრილობის დადგენილება საბჭოთა მშენებლობის დარგში, კერძოდ, სახალხო კომისარიატების იმ უფლების საკითხზე, რომ აცილება მისცენ აღმასკომების შესაბამის განყოფილებათა გამგეებს. — **151.**

172 საბჭოების სრულიად რუსეთის VII ყრილობის დადგენილების თანახმად სმუსს უნდა შეემუშავებინა ინსტრუქცია, რომელიც განსაზღვრავდა სმუსის ცენტრალური და ადგილობრივი დაწესებულებების უფლება-მოვალეობას განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო ქარხნების, ტრესტებად გაერთიანებული საწარმოების და სხვ. მიმართ. — **151.**

173 ვ. ი. ლენინის შეთავაზებული დადგენილების პროექტი 1920 წლის 16 იანვარს დაამტკიცა მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭომ, როცა განიხილავდა მოხსენებას «რკინიგზებზე სამხედრო მდგომარეობის გატარების საგანგებო კომიტეტის და სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სატრანსპორტო განყოფილების რეორგანიზაციის შესახებ». — **152.**

174 1920 წლის 2 იანვარს საბჭოთა მთავრობამ წინადადებით მიმართა აზერბაიჯანის მუსავატისტურ მთავრობას დაედოთ შეთანხმება დენიკინის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ. მაგრამ აზერბაიჯანის მუსავატისტურმა მთავრობამ ამ წინადადებას უარით უპასუხა.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომამ, რომელიც 1920 წლის 17 და 18 იანვარს მიმდინარეობდა, მოისმინა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გ. ვ. ჩიჩერინის მოხსენება აზერბაიჯანთან საზავო მოლაპარაკების შესაძლებლობის შესახებ. პოლიტბიურომ ამ საკითხზე მიიღო ვ. ი. ლენინის შეთავაზებული დადგენილების პროექტი. — **153.**

175 დადგენილების ეს პროექტი მიიღო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომამ, რომელიც 1920 წლის 17 — 18 იანვარს გაიმართა იმასთან დაკავშირებით, რომ მთავარსარდალმა პროტესტი განაცხადა რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის ლ. დ. ტროცკის დეპეშის გამო. ეს დეპეშა ვ. ი. ლენინის მინაწერით 1920 წლის 17 იანვარს გაუგზავნეს თურქესტანის ფრონტის სარდალს მ. ვ. ფრუნზეს და მე-4 არმიის სარდალს გ. კ. ვოსკანოვს. დეპეშაში აღნიშნული იყო, საჭიროა ენერგიული ზომების მიღება ემბას რკინიგზის გაყვანისა და კრასნი კუტ — ალექსანდროვ-გაის რკინიგზის ხაზის ფართოლიანდაგიან ხაზად გადაკეთებისათვის (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, დოკუმენტი 207). — **154.**

176 მუშათა და გლეხთა ინსპექციად სახელმწიფო კონტროლის გარდაქმნის საკითხი წამოაყენეს 1919 წლის მიწურულს. ეს საკითხი განიხილა სრულიად რუსეთის საბჭოების VII ყრილობამ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის დებულების პროექტის შესამუშავებლად სრულიად რუსეთის ცაკმა შექმნა კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სახელმწიფო კონტროლის, სრულიად რუსეთის პროფსაბჭოს და სრულიად რუსეთის ცაკის წარმომადგენლები. იმის გამო, რომ კომისია ერთ აზრს ვერ დაადგა, საკითხი განსახილველად გადაიტანეს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში, რომელმაც 1920 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით გამოსცა ვ. ი. ლენინის შეთავაზებული ეს დირექტივა. — **154.**

177 მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი ს ა ა გ ი ტ ა ც ი ო-ს ა ი ნ ს ტ რ უ ქ ტ ო რ ო მ ა ტ ა რ ე ბ ლ ე ბ ი ს ა და გ ე მ ე ბ ი ს მ უ შ ა ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ ვ. ი. ლენინმა დაწერა 1920 წლის 25 იანვარს სრულიად რუსეთის ცაკის სააგიტაციო-საინსტრუქტორო მატარებლების მიერ გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ ი. ი. ბუროვის მოხსენების გამო.

სრულიად რუსეთის ცაკის სააგიტაციო-საინსტრუქტორო მატარებლებისა და გემების განყოფილება 1920 წლის 3 თებერვალს იუწყებოდა, რომ ამ მითითებათა მიხედვით განყოფილებამ კონტაქტი დაამყარა კინოკომიტეტთან და შექმნა სრულიად რუსეთის ცაკის მატარებლებითა და გემებით სააგიტაციო მგზავრობის დებულების შემმუშავებელი წინასწარი კომისია. — **155.**

178 ეს პროექტი ვ. ი. ლენინმა დაწერა სახკომსაბჭოს სხდომაზე 1920 წლის 27 იანვარს, როცა განიხილავდნენ მოსკოვის სამხედრო ოლქის და ქ. მოსკოვის გარნიზონის უფროსის ა. ა. ბურდუკოვის მოხსენებას მოსკოვის სარკინიგზო კვანძში კარტოფილის გადმოტვირთვის შესა-

ხებ, აგრეთვე მოსკოვის ქუჩებში და რკინიგზებზე თოვლის აწმენდის შესახებ. ლენინის შემოტანილი პროექტი სახკომსაბჭომ დაამტკიცა.—**157.**

179 სახკომსაბჭოს სხდომამ 1920 წლის 31 იანვარს მიიღო შემდეგი დადგენილება: «კარტოფილის კამპანიის განახლება გადაიდოს გაზაფხულამდე იმ ვარაუდით, რომ თესლის კამპანიასთან ერთად სურსათის სახალხო კომისარიატი ვალდებულებას კისრულობს 1920 წლის აპრილისა და მაისის განმავლობაში დააკმაყოფილოს ქ. მოსკოვის მოთხოვნილება საკვებ კარტოფილზე 560 000 ფუთის ოდენობით» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **157.**

180 მოხსენება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიმართა თოვლის აწმენდის შრომითი ბრიგადის განსახორციელებლად, სახკომსაბჭომ მოისმინა 1920 წლის 31 იანვარს. სახკომსაბჭოს დადგენილებით შეიქმნა კომისია, რომლის თავმჯდომარე იყო ფ. ე. ძერჟინსკი და რომელსაც დაეკისრა პასუხისმგებლობა ამ საქმის გაძღოლისათვის. — **158.**

181 მუშა-მოსამსახურეთა პრემირების დებულების მე-4 პარაგრაფი, რომელმაც ეჭვი აღუძრა ვ. ი. ლენინს, ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად: «§ 4. დასადგენ გამომუშავების ნორმას საფუძვლად უნდა დავუდოთ ტექნიკურად შესაძლებელი გამომუშავება წარმოების საუკეთესო ტექნიკურ პირობებში, რომლებიც მაშინ გვექნება, როცა ნორმალურ მდგომარეობაშია წარმოების საშუალებანი და იარაღები. მრეწველობის ახლანდელი მდგომარეობის საერთო პირობების შედეგად კი ამ ტექნიკურად შესაძლებელ ნორმას უნდა ჩამოვაკლოთ, ოღონდ არავითარ შემთხვევაში—50 პროცენტზე მეტი, რის შემდეგაც დავადგენთ მწარმოებლურობის ფაქტობრივ ნორმას, რომელიც შესაძლოა განსხვავებული იყოს სხვადასხვა წარმოებების, საწარმოებისა და მათი ჯგუფებისათვის».

მცირე სახკომსაბჭომ 1920 წლის 1 თებერვლის სხდომაზე დაადგინა: «პრემირების შესახებ დადგენილების პროექტი დაუბრუნდეს შრომის სახალხო კომისარიატს ამხ. ლენინის მითითებათა შესაბამისად გადამუშავებისათვის».

დადგენილება «პრემირების პროექტთა დამტკიცების წესის შესახებ» სახალხო კომისართა საბჭომ 1920 წლის 8 ივნისს მიიღო და 10 ივნისს გამოაქვეყნა «იზვესტია ვციკში». — **158.**

182 იგულისხმება მეშვიდე მოწვევის სრულიად რუსეთის ცაკის პირველი სესია, რომელიც მიმდინარეობდა მოსკოვში 1920 წლის **2 — 7** თებერვალს. 2 თებერვალს ვ. ი. ლენინი სესიაზე გამოვიდა მოხსენებით სრულიად რუსეთის ცაკის და

სახკომსაბჭოს მუშაობის შესახებ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 30, გვ. 375 — 403). — **159.**

183 თავდაცვის საბჭოს დადგენილებათა პროექტი მთლიანად შევიდა თავდაცვის საბჭოს 1920 წლის 2 თებერვლის დადგენილებებში, რომლებიც ვ. ი. ლენინის ხელმოწერით 3 თებერვალს დაეგზავნა ყველა უწყებას ლენინის მინაწერითურთ (იხ. ეს ტომი, გვ. 161 — 162). თავდაცვის საბჭოს დადგენილებები გამოქვეყნებულია ლენინის XXIV კრებულში, გვ. 64 — 67. — **160.**

184 დადგენილების პროექტი ვ. ი. ლენინმა წამოაყენა სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე 1920 წლის 5 თებერვალს იმასთან დაკავშირებით, რომ განიხილავდნენ ლ. ბ. კრასინის მოხსენებას ორთქლმავლების შემკეთებელ და ტრანსპორტის სათადარიგო ნაწილების მწარმოებელ მუშათა შეღავათების შესახებ.

მოხსენების გამო მიიღეს შემდეგი რეზოლუცია: «დაევალოს სმუსს, სურსათის სახალხო კომისარიატს და გზათა სახალხო კომისარიატს დაწვრილებით განიხილონ ყველა იმ შეღავათის საკითხი, რომელიც ვრცელდება ორთქლმავლების შემკეთებელ და ტრანსპორტის სათადარიგო ნაწილების მწარმოებელ მუშებზე, და ქარხნების სია წარმოუდგინონ სახკომსაბჭოს». — **162.**

185 საკითხი «იმის შესახებ, რომ საუკეთესო სახელოსნოები რემონტისათვის გამოიყენონ მთელი დღე-ღამის განმავლობაში 24 საათს უკლებლივ», სახკომსაბჭოს სხდომამ მოისმინა 1920 წლის 16 მარტს. ვ. ი. ლენინის მიერ იმ საკითხის დაყენება, რომ საჭიროა ინტენსიური და განუწყვეტელი მუშაობა ორთქლმავლების შესაკეთებლადო, დაკავშირებული იყო რკინიგზის ტრანსპორტის კატასტროფულ მდგომარეობასთან, რამაც გამოიწვია ის, რომ სახკომსაბჭომ ამავე სხდომაზე განიხილა არაერთი სხვა საკითხი: საზღვარგარეთ ორთქლმავლების დაკვეთისა და რკინიგზის ტრანსპორტის სარემონტოდ სათადარიგო ნაწილების დაკვეთის შესაძლებლობის უზრუნველყოფის შესახებ და სამარშრუტო ეაგონებისა და ორთქლმავლების შემკეთებელი ფაბრიკა-ქარხნების გამოკვლევის შესახებ. — **162.**

186 სიტყვა გუბერნიების საგანგებო კომისიათა მეოთხე კონფერენციაზე ვ. ი. ლენინმა წარმოთქვა დილის პლენარულ სხდომაზე 1920 წლის 6 თებერვალს. კონფერენცია შეიკრიბა იმ პერიოდში, როცა საბჭოთა ქვეყანამ მას შემდეგ, რაც გაანადგურა კოლჩაკი, დენიკინი და იუდენიჩი, დროებითი შესვენება მოიპოვა და შეძლო ხელი მოეკიდებინა სამეურნეო მშენებლობის საკითხებისათვის.

კონფერენციაზე ჩამოვიდა 69 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 7 — სათათბიროთი. ყველა დელეგატი კომუნისტი იყო, ამასთან გადამწყვეტი ხმის მქონე 69 დელეგატიდან უმრავლესობა პარტიაში შესული იყო ოქტომბრის რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე. სოციალური მდგომარეობის მიხედვით უმრავლესობა მუშები იყვნენ. — 162

187 ბ ო რ ო ტ ბ ი ს ტ ე ბ ი — წვრილბურჟუაზიული, ნაციონალისტური პარტიის წევრები. ეს პარტია წარმოიშვა 1918 წლის მაისში უკრაინის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაში მომხდარი განხეთქილების შემდეგ. ასე იწოდებოდნენ პარტიის ცენტრალური ორგანოს — გაზეთ «ბოროტბას» მიხედვით. 1919 წლის მარტში დაირქვეს უკრაინის სოციალისტ-რევოლუციონერ კომუნისტ ბოროტბისტთა პარტია, ხოლო აგვისტოში — უკრაინის ბოროტბისტთა კომუნისტური პარტია. ბოროტბისტთა პარტიას მეთაურობდნენ ვ. ბლაკიტნი, გ. გრინკო, ა. შუხსკი და სხვები. ბოროტბისტთა პარტიის რიგებში ცოტანი როდი იყვნენ კონტრრევოლუციური ელემენტები — პეტლიურელები, რომლებიც რევოლუციური ფრაზით, კომუნისტური პლატფორმის აღიარების განცხადებებით ინიღბებოდნენ, ნამდვილად კი პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, უკრაინისა და რუსეთის მშრომელთა ერთიანი რევოლუციური ფრონტის გათიშვის ხაზს ახორციელებდნენ. ბოროტბისტთა პარტიის ლენინური შეფასება იხ. ამ ტომში, გვ. 181.

ბოროტბისტებმა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომს ორჯერ მიმართეს თხოვნით, კომინტერნში მიგვიღეთ და უკრაინის ძირითად კომუნისტურ პარტიად გვცანითო. 1920 წლის 26 თებერვალს კომინტერნმა ამ საკითხზე მიიღო საგანგებო დადგენილება, რომლითაც ბოროტბისტებს წინადადებას აძლევდა გაეუქმებინათ თავიანთი პარტია და შერწყმოდნენ უკრაინის კპ(ბ)-ს. უკრაინაში მეორე პარალელური პარტიის შექმნის სურვილი, — ნათქვამი იყო რეზოლუციაში, — კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტს მიაჩნია მხოლოდ და მხოლოდ იმის ცდად, რომ გათიშონ მშრომელთა რიგები.

უკრაინის გლეხთა მასებში ბოლშევიკების გავლენის ზრდასთან და საბჭოთა ხელისუფლების წარმატებებთან დაკავშირებით ბოროტბისტები იძულებული იყვნენ მიეღოთ თვითდაშლის გადაწყვეტილება.

უკრაინის კპ(ბ) IV კონფერენციამ, რომელიც 1920 წლის 17-დან 24 მარტამდე მიმდინარეობდა, მხარი დაუჭირა უკრაინის კომუნისტური პარტიის რიგებში ბოროტბისტთა მიღებას, ამასთან ყველა ახალმიღებულმა გაიარა ხელახალი რეგისტრაცია. მაგრამ შემდგომ ბევრი ბოროტბისტი განაგრძობდა ანტისაბჭოთა საქმიანობას, საფავეში ედგა კონტრრევოლუციური, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტების ბრძოლას უკრაინაში. — 172.

188 შემდეგ ხელნაწერში არის ვ. ი. ლენინის მითითება ასეთი შინაარსისა: «დაევალოთ ტროცკის და რაკოვსკის არა უგვიანეს ხვალინდელი დღისა უფრო ზუსტი რედაქცია გაუკეთონ ამ რეზოლუციას და ხვალვე შიფრით უდეპეშონ უკრაინის რევკომს». — **178.**

189 ვ. ი. ლენინმა ინტერვიუ მისცა ამერიკის ბურჟუაზიული გაზეთის «The World» («ქვეყანა») კორესპონდენტს ლინკოლნ ეირს 1920 წლის თებერვლის შუა რიცხვებში. ეს ის დრო იყო, როცა საბჭოთა რუსეთში, რომელმაც ხანმოკლე მშვიდობიანი შესვენება მოიპოვა, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და რეკონსტრუქციის გეგმებს იმუშავებდნენ, როცა საბჭოთა მთავრობა კაპიტალისტურ ქვეყნებთან დიპლომატიური და საგაჭრო ურთიერთობის დამყარების ფართო პროგრამით გამოვიდა. ლინკოლნ ეირი, რომელიც რუსეთს იმ მიზნით გამოგზავნეს, რომ ვ. ი. ლენინისაგან პირადად მიეღო ინტერვიუ, ლენინმა კინოოპერატორ ვიქტორ კიუბსთან ერთად მიიღო. საუბრობდნენ ინგლისურ ენაზე ჯერ ლენინის სამუშაო კაბინეტში, შემდეგ მის ბინაში კრემლში. საუბარი ერთ საათს გაგრძელდა და საჭირბოროტო საკითხებს ეხებოდა. ლენინის ინტერვიუ დაიბეჭდა გაზეთში «The World» 1920 წლის 21 თებერვალს. იგი დასავლეთ ევროპის და ამერიკის ბევრ გაზეთში გამოქვეყნდა. — **178.**

190 საზავო ხელშეკრულება რსფს რესპუბლიკასა და ლიტვას შორის 1920 წლის 12 ივლისს დაიდო მოსკოვში. საზავო ხელშეკრულება რსფს რესპუბლიკასა და ლატვიას შორის 1920 წლის 11 აგვისტოს დაიდო რიგაში. — **178.**

191 უკრაინის სპილკელ მასწავლებლებს რომ ახსენებს, ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს უკრაინის მასწავლებელთა კავშირი, რომელსაც პეტლიურელი ელემენტები მეთაურობდნენ. — **181.**

192 ვ. ი. ლენინის ეს პროექტი სახკომსაბჭოს სხდომამ 1920 წლის 2 მარტს მიიღო, როცა განიხილავდა ლ. ბ. კრასინის მოხსენებას საგარეო ვაჭრობის საკითხზე. იგი დაკავშირებულია საგარეო ვაჭრობის თეზისების მე-17 პუნქტთან, რომელშიც ნათქვამია: «საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის, სახელმწიფო კონტროლის და სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის წარმომადგენლებისაგან შეიქმნას კომისია, რათა შეისწავლოს რესპუბლიკის სასაქონლო ფონდი და დაჯავშნოს იგი საგარეო ვაჭრობისათვის» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **181.**

193 ლ. დ. ტროცკის თეზისების პროექტში პირველ პარაგრაფს სათაურად ჰქონდა: «შრომის სურვილი» (იხ. «რკპ(ბ) მეცხრე ყრილობა. 1920 წლის მარტი—აპრილი. ოქმები». მოსკოვი, 1960, გვ. 533). — **182.**

194 განსახკომის შეტანილი პროექტი დეკრეტისა არასრულწლოვანთა გასამართლების შესახებ განიხილა და ვ. ი. ლენინის შესწორებებით დაამტკიცა სახალხო კომისართა საბჭოს სხდომამ 1920 წლის 4 მარტს. დეკრეტი 6 მარტს გამოაქვეყნა გაზეთმა «იზვესტია ვციკ» (№ 51) სახელწოდებით: «იმ არასრულწლოვანთა საქმეების შესახებ, რომლებსაც ბრალად ედებათ საზოგადოებისათვის საშიში ქმედობა». — **188.**

195 1920 წლის 9 მარტს სახკომსაბჭოს სხდომამ განიხილა საბჭოთა მეურნეობების საკითხი. ამ საკითხის განხილვის დროს ვ. ი. ლენინმა წამოაყენა აქ გამოქვეყნებული პროექტი დადგენილებისა. მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ს. პ. სერედას სახკომსაბჭომ დაავალა «წარმოადგინოს ამ საკითხზე მიღებული ყველა დადგენილების ზუსტი ტექსტი და ამ საკითხთან დაკავშირებით შემუშავებული დადგენილების პროექტი». მიწსახკომის შემუშავებული «პროექტი დადგენილებისა საბჭოთა მეურნეობების მოწყობის ღონისძიებათა შესახებ» სახკომსაბჭომ 1920 წლის 15 აპრილს დაამტკიცა. — **184.**

196 1920 წლის 15 მარტს სრულიად რუსეთის ცენტრალური პროფსაბჭოს და პროფკავშირთა მოსკოვის საბჭოს ფრაქციების გაერთიანებულ სხდომაზე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ნ. კრესტინსკიმ განაცხადა, რომ რამდენადაც ის პოზიცია, რომელიც სრულიად რუსეთის ცენტრალური პროფსაბჭოს ფრაქციამ და მისმა პასუხისმგებელმა ხელმძღვანელებმა კოლეგიალობისა და ერთმმართველობის საკითხში დაიკავეს, მკვეთრად განსხვავდება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოზიციისაგან, სრულიად რუსეთის ცენტრალური პროფსაბჭოს ფრაქციის ყველა წევრს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით წინადადებას ვაძლევ პროფკავშირულ ყრილობებზე არ გააკეთოს მოხსენებები კოლეგიური მმართველობის დასაცავად.

სრულიად რუსეთის ცენტრალური პროფსაბჭოს ფრაქციის ბიუროს წევრებმა თავიანთ დახურულ სხდომაზე გადაჭრით განაცხადეს პროტესტი პარტიული დისციპლინის ასე გაგებისა და მისი განხორციელების ასეთი მეთოდების წინააღმდეგ და რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიმართეს თხოვნით, ნება დაგვრთეთ გამოვიდეთ პროფკავშირულ ყრილობებზე სრულიად რუსეთის ცენტრალური პროფსაბჭოს ფრაქციის რეზოლუციითო. განცხადება განიხილა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომამ, რომელმაც მიიღო აქ გამოქვეყნებული დადგენილებათა პროექტები, დაწერილი ვ. ი. ლენინის მიერ. — **185.**

197 ვ. ი. ლენინს წინასიტყვაობა არ დაუმთავრებია. ინგლისური ბროშურა «The Proletarian Revolution and Kautsky the Renegade. By V. I. Ulianov (N. Lenin)» გამოვიდა 1920 წლის მარტის დამლევს უწინასიტყვაობოდ. — **187.**

198 ბროშურა გერმანულ ენაზე «N. Lenin. Die Diktatur des Proletariats und der Renegat Karl Kautsky» 1919 წლის დეკემბრის დამლევს გამოვიდა. — **187.**

199 რ. მაკდონალდის წიგნი ვ. ი. ლენინმა უფრო გვიან მიიღო. იგი დაცულია ვ. ი. ლენინის პირად ბიბლიოთეკაში წიგნის არეებზე გაკეთებული მისი შენიშვნებითურთ. ლენინმა განსაკუთრებით აღნიშნა წიგნის-ის ადგილები, სადაც მაკდონალდი ცდილობს მიჩქმალოს კაპიტალისტური საზოგადოების კლასობრივი წინააღმდეგობანი. მაკდონალდის წიგნის არეებზე გაკეთებული ლენინის შენიშვნები გამოქვეყნებულია ლენინის XXIV კრებულში, გვ. 253 — 285. — **187.**

200 «შაბათობის დებულების» პროექტის ავტორია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატის თანამშრომელი ა. ნ. სოკოლოვი. ეტყობა, დებულებას ამზადებდნენ შაბათობის მოწყობის წლისთავისათვის (1920 წლის 10 მაისისათვის) — **189.**

201 ეს ბარათი დაწერილია ბუნდის XII კონფერენციის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. კონფერენცია გაიმართა 1920 წლის 12 — 19 აპრილს. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება ამ კონფერენციის რეზოლუციები ვ. ი. ლენინის ჩანანიშნებით. რეზოლუციაში «მიმდინარე მომენტისა და ჩვენი პარტიის ამოცანების შესახებ» ვ. ი. ლენინს გაუხაზავს შემდეგი ადგილი: «14. ბუნდის XII კონფერენცია აჯამებს უკანასკნელი წლის გამოცდილებას და ადასტურებს: 1) რომ ჯერ კიდევ XI კონფერენციიდან ბუნდი პრინციპულად დადგა კომუნიზმის პლატფორმაზე, 2) რომ კომუნისტური პარტიის პროგრამა, რომელიც ამასთანავე საბჭოთა ხელისუფლების პროგრამაცაა, «ბუნდის» პრინციპულ პოზიციას შეესაბამება, 3) რომ შეუძლებელია «ერთიანი სოციალისტური ფრონტი» საბჭოთა ხელისუფლების პრინციპულ მოწინააღმდეგეებთან, რომლებიც პროლეტარიატს უპირისპირებენ თავის ხელისუფლებას, 4) რომ დადგება მომენტი, როცა «ბუნდმა» შეიძლება უარი თქვას თავის ოფიციალურ ოპოზიციურ პოზიციაზე და იკისროს პასუხისმგებლობა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის გამო».

ამასთანავე ორგანიზაციულ საკითხებზე მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ ««ბუნდის» მიერ დაკავებული პოლიტიკური პოზიციის ლოგიკური შედეგია «ბუნდის» შესვლა რუსეთის კომპარტიაში იმავე საწყისებზე, რომლებზეც «ბუნდი» რსდმ პარტიაში შედიოდა» (ხაზგასმულია ვ. ი. ლენინის მიერ). კონფერენციამ წინადადება მისცა ბუნდის ცენტრალურ კომიტეტს უზრუნველეყო როგორც აუცილებელი

პირობა, რომ ბუნდს რუსეთის კომუნისტურ პარტიაში შეენარჩუნებინა «ებრაელი პროლეტარიატის ავტონომიური ორგანიზაციის» მდგომარეობა (გახაზულია ვ. ი. ლენინის მიერ).

1920 წლის 6 მაისს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუ-რომ განიხილა საკითხი «რუსეთის კომპარტიაში ბუნდის მიღების პირობების შესახებ» და დაადგინა: «დაევალოთ კამენევს, სტალინს და პრეობრაჟენსკის მიიღონ ბუნდის წარმომადგენლები და მოისმინონ მათი წინადადებანი» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არ-ქივი).

ბუნდის XIII კონფერენციამ 1921 წელს მიიღო ბუნდის თვითლი-კვიდაციის გადაწყვეტილება. ბუნდელთა ნაწილი საერთო საფუძ-ლებზე მიიღეს რკპ(ბ) რიგებში. — **190.**

202 «შ რ ო მ ი თ ი ს ა ს უ რ ს ა თ ო უ ლ უ ფ ი ს შ ე მ ო ღ ე ბ ი ს» დეკრეტი სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო 1920 წლის 30 აპრილს და გამოქვეყნდა 4 მაისის გაზეთში «იზვესტია ვციკ» (№ 94). — **190.**

203 ლაპარაკია 1919 წლის 25 სექტემბერს მემარცხენე ესერების ნატყორცნი ყუმბარის აფეთქებაზე პარტიის მოსკოვის კომიტეტის შენობაში ლეონტიევის შესახვევში — **193.**

204 დადგენილების პროექტი სახკომსაბჭოს სხდომამ მიიღო 1920 წლის 25 მაისს. — **194.**

205 ვ. ი. ლენინის შენიშვნების მიხედვით გასწორებული დეკრეტის ტექსტი სახკომსაბჭოს სხდომამ მიიღო 1920 წლის 25 მაისს და გამოქვეყნდა 1920 წლის 4 ივნისს გაზეთში «იზვესტია ვციკ». — **194.**

206 ვ. ი. ლენინის მიერ ამ მონახაზში ჩაწერილი წინადადებანი შეიტანა სახალხო კომისართა საბჭოს 1920 წლის 27 მაისის დადგენილებაში. — **195.**

207 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს ა უ ბ ა რ ი ი ა პ ო ნ ე ლ კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ რ. ნ ა კ ა ხ ი რ ა ს თ ა ნ, გ ა ზ ე თ «ო ს ა კ ა ა ს ა ხ ი ს» წ ა რ-მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ თ ა ნ, გაიმართა კრემლში, ლენინის სამუშაო კაბინეტში, 1920 წლის 3 ივნისს. მოსკოვიდან გაგზავნილ თავის კორესპონდენციაში ნაკახირა იუწყებოდა: «წინააღმდეგ ჩემი მოლოდინისა, ავეჯი კაბინეტში უბრალო და სადა იყო და ამან დიდად გამაოცა... ლენინმა განსაკუთრებით უბრალოდ და გულითადად მიგვიღო, ისე, როგორც თავისი ძველი მეგობრები. თუმცა მას რუსეთში უმაღლესი პოსტი უკავია, მის მანერებსა და მოპყრობაში სრულიად ვერ იგრძნობდით იმის ცდას, რომ ეჩვენებინა თავისი მაღალი მდგო-

მარეობა» («ოსაკა ასახი» № 13814, 1920 წლის 13 ივნისი). მეორე დღეს ნაკახირამ, როგორც ის ამას უფრო გვიან იგონებდა, თავისი ინტერვიუს ტექსტი მიუტანა ლენინს, რომელმაც ყველაფერი გულდასმით წაიკითხა და რამდენიმე ადგილი შეასწორა.

ქვემოთ დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის საუბარი მეორე იაპონელ კორესპონდენტთან—კ. ფუსესთან, გაზეთ «ოსაკა მაინიტის» და გაზეთ «ტოკიო ნიტინიტის» წარმომადგენელთან. ფუსესთან საუბარი გაიმართა 3 თუ 4 ივნისს. შესაძლოა, ლენინს ორივე კორესპონდენტი ერთდროულად მიეღო. ფუსე იუწყება, საუბარი დაახლოებით ოც წუთს გაგრძელდაო. საუბარს ესწრებოდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ა. ნ. ვოზნესენსკი.

ლენინის მიერ ფუსესათვის მიცემული ინტერვიუს შინაარსი 1920 წლის 26 ივნისს გამოაქვეყნა ესერთა გაზეთმა «ვოლიამ», რომელიც ვლადივოსტოკში გამოდიოდა. ამ ტომში დაბეჭდილი ფუსესთან ლენინის საუბრის ჩანაწერი რუსულ ენაზე პირველად გამოქვეყნდა 1924 წელს კრებულში «ლენინი და აღმოსავლეთი», ხოლო შემდეგ დაიბეჭდა ვ. ი ლენინის თხზულებათა 1-ლ გამოცემაში (ტომი XX, ნაწილი II). ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-2, მე-3 და მე-4 გამოცემებში ეს ჩანაწერი არ შეუტანიათ. — **195.**

208 ლაპარაკია შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკაზე, რომელიც 1920 წლის აპრილში შეიქმნა იმპერიალისტ, ამურის, ზღვისპირეთის, კამჩატკის ოლქების და ჩრდილო სახალინის ტერიტორიაზე. შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის, როგორც ფორმით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, მაგრამ არსებითად საბჭოთა პოლიტიკის გამტარებელი სახელმწიფოს შექმნა შეესაბამებოდა საბჭოთა რუსეთის ინტერესებს, საბჭოთა რუსეთისა, რომელიც ესწრაფოდა ხანგრძლივ შესვენებას აღმოსავლეთის ფრონტზე და იაპონიის წინააღმდეგ ომის თავიდან აცილებას. ამასთანავე შორეულ აღმოსავლეთში «ბუფერული» სახელმწიფოს შექმნა იძულებითი ზომა იყო. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, «გარემოებებმა ძალაუნებურად გამოიწვიეს ბუფერული სახელმწიფოს შექმნა შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის სახით, რამდენადაც ჩვენ მშვენივრად ვიცით, რა წარმოუდგენელ გაჭირვებას განიცდიან ციმბირელი გლეხები იაპონიის იმპერიალიზმისაგან, რა გაუგონრად დიდძალი მხეცობა ჩაიდინეს იაპონელებმა ციმბირში» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 570).

ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელებისაგან შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიის (გარდა ჩრდილო სახალინისა) გაწმენდის შემდეგ შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის სახალხო კრებამ 1922 წლის

14 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება შეერთებოდა რსფს რესპუბლიკას. — **196.**

209 ლაპარაკია საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაზე. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დასაწყისიდან პარტიის რეფორმისტული ხელმძღვანელობა გადავიდა სოციალ-შოვინიზმის, იმპერიალისტური ომისათვის აშკარა მხარდაჭერისა და ბურჟუაზიულ მთავრობაში მონაწილეობის პოზიციაზე. პარტიაში იყო ცენტრისტული მიმართულება, რომელსაც ჟ. ლონგე მეთაურობდა. ეს მიმართულება სოციალ-პაციფიზმის პოზიციაზე იდგა და სოციალ-შოვინისტების მიმართ შემთანხმებლურ პოლიტიკას ახორციელებდა. საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში მემარცხენე, რევოლუციური ფრთაც იყო. მას ინტერნაციონალისტური პოზიციები ეკავა და უმთავრესად პარტიის რიგითი წევრები წარმოადგენდნენ.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ პარტიაში მწვავე ბრძოლა გაჩაღდა, ერთი მხრივ, აშკარა რეფორმისტებსა და ცენტრისტებს და, მეორე მხრივ, მემარცხენე, რევოლუციურ ფრთას შორის, რომელიც პარტიაში რიგითი მუშების მასობრივად შესვლის წყალობით გაძლიერდა. პარტიის ყრილობაზე, რომელიც 1920 წლის დეკემბერში მიმდინარეობდა ტურში, რევოლუციურმა ფრთამ უმრავლესობა მოიპოვა. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პარტია კომუნისტურ ინტერნაციონალს შეერთებოდა, და საფრანგეთის კომუნისტური პარტია დააარსა. რეფორმისტულ-ცენტრისტული უმრავლესობა პარტიას გამოეთიშა და დამოუკიდებელი პარტია შექმნა, ამასთან შეინარჩუნა ძველი სახელწოდება — საფრანგეთის სოციალისტური პარტია — **202.**

210 ვ. ი. ლენინის წამოყენებული დადგენილების პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომამ უმნიშვნელო ცვლილებებით მიიღო 1920 წლის 22 ივნისს. ეს სხდომა განიხილავდა თურქესტანის რესპუბლიკის შესახებ თეზისებს და რეზოლუციის პროექტს, რომელიც სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა. ამ კომისიის პროექტი ლენინის შენიშვნებითურთ იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 41, გვ. 433 — 436. — **202.**

211 თურქკომისია, სრულიად რუსეთის ცაკის და რსფსრ სახკომსაბჭოს თურქესტანის საქმეთა თურქესტანის კომისია შეიქმნა სრულიად რუსეთის ცაკის და სახკომსაბჭოს 1919 წლის 8 ოქტომბრის დადგენილებით. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ: ვ. ი. ბოკიი, თ. ი. გოლოშჩოკინი, ვ. ვ. კუიბიშევი, ი. ე. რუძუტაკი, მ. ვ. ფრუნზე, შ. ზ. ელიავა. თურქკომისიას სახელმწიფო და პარტიული ორგანოს რწმუნებები ჰქონდა და თურქესტანს გაგზავნეს, რათა ყოველმხრი-

ვი დახმარება აღმოეჩინა ამ მხარის კომუნისტებისა და ყველა მშრომელისათვის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციაში, საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებაში, თურქესტანისა და საბჭოთა რუსეთის ხალხების კავშირის განმტკიცებაში; კომისიის ერთ-ერთი ამოცანა იყო გამოესწორებინა ეროვნული პოლიტიკის გატარებაში დაშვებული შეცდომები თურქესტანში.

თურქკომისიამ არაერთი ღონისძიება განახორციელა ადგილობრივი პარტიული ორგანოების განსამტკიცებლად, დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომელთა ირგვლივაც გაჩაღდა ეს ბრძოლა, იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა თურქესტანის ავტონომიის პრინციპები, ფედერალურ ორგანოებთან ურთიერთდამოკიდებულება, პარტიული მშენებლობის ფორმები და მეთოდები. — **203**.

212 კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესი, რომელმაც კომინტერნს პროგრამული, ტაქტიკური და ორგანიზაციული საფუძვლები ჩაუყარა, მიმდინარეობდა 1920 წლის 19 ივლისს — 7 აგვისტოს საბჭოთა რუსეთში. კონგრესი პეტროგრადში გაიხსნა; შემდგომი სხდომები 23 ივლისიდან მოსკოვში მიმდინარეობდა. კონგრესს ესწრებოდა გადამწყვეტი ხმით 169 დელეგატი და სათათბიროთი— 49, რომლებიც წარმოადგენდნენ 37 ქვეყნის მუშათა 67 ორგანიზაციას. კომუნისტური პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად (31 ქვეყნისაგან) კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის, იტალიისა და საფრანგეთის სოციალისტური პარტიების, მსოფლიოს სამრეწველო მუშების (ავსტრალიის, ინგლისის, ირლანდიის), ესპანეთის შრომის ეროვნული კონფედერაციის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონგრესზე რკპ(ბ)-ს წარმოადგენდა 64 დელეგატი.

II კონგრესის მოწვევის მთელ მოსამზადებელ მუშაობას ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი, რომელიც კომუნისტური და მუშათა ორგანიზაციებ[illegible] საერთაშორისო ყრილობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. კომინტერნის ამოცანების განსაზღვრასა და პოლიტიკური ხაზის გამომუშავებაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ვ. ი. ლენინის წიგნმა ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში», რომელიც II კონგრესის გახსნის დროისთვის დაიწერა. ვ. ი. ლენინმა დაწერა: «პირვანდელი მონახაზი თეზისებისა ნაციონალურ და კოლონიურ საკითხებზე (კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე ყრილობისათვის)», «პირვანდელი მონახაზი თეზისებისა აგრარულ საკითხზე (კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე ყრილობისათვის)», «თეზისები

კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის ძირითადი ამოცანების შესახებ», «კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობები» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 163 — 172, 173 — 189, 213 — 235, 241 — 249).

კოხგრესმა შემდეგი დღის წესრიგი მიიღო: 1) საერთაშორისო მდგომარეობა და კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითადი ამოცანები; 2) კომუნისტური პარტიების როლი და სტრუქტურა პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობამდე და დაპყრობის შემდეგ; 3) პროფესიული კავშირები და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები; 4) პარლამენტარიზმის საკითხი; 5) ეროვნული და კოლონიური საკითხი; 6) აგრარული საკითხი; 7) პოზიცია «ცენტრის» ახალ მიმდინარეობათა მიმართ და კომუნისტურ ინტერნაციონალში შესვლის პირობები; 8) კომუნისტური ინტერნაციონალის წესდება; 9) ორგანიზაციული საკითხები (ლეგალური და არალეგალური ორგანიზაციები, ქალთა ორგანიზაციები და ა. შ.); 10) ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობა; 11) არჩევნები; 12) სხვადასხვა საკითხი.

მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითადი ამოცანების შესახებ კონგრესის პირველ სხდომებზე გამოვიდა ლენინი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 31, გვ. 253 — 278).

ლენინმა ქმედითი მონაწილეობა მიიღო კონგრესის მეტი წილი კომისიების მუშაობაში: ეროვნულ და კოლონიურ საკითხებზე, აგრარულ საკითხზე, კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობებზე, საერთაშორისო მდგომარეობასა და კომინტერნის ამოცანებზე.

კონგრესზე ლენინი გამოვიდა აგრეთვე სიტყვით კომუნისტური პარტიის როლის შესახებ, ეროვნული და კოლონიური საკითხების კომისიის მოხსენებით, სიტყვებით კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობების შესახებ, პარლამენტარიზმის შესახებ, ბრიტანეთის მუშათა პარტიაში შესვლის შესახებ (იხ. იქვე, გვ. 279 — 315).

კონგრესმა რეზოლუციად დაამტკიცა ლენინის დაწერილი თეზისები, მიიღო რეზოლუცია «პროლეტარულ რევოლუციაში კომუნისტური პარტიის როლის შესახებ», რომელიც ლენინის უშუალო მონაწილეობით იყო შედგენილი, აგრეთვე სხვა რეზოლუციები, «კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობები», კომინტერნის წესდება. კონგრესმა მიიღო აგრეთვე «კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესის მანიფესტი». გარდა ამისა კონგრესმა გამოაქვეყნა რამდენიმე მოწოდება: «მესამე ინტერნაციონალი — ყველა ქვეყნის პროფესიულ კავშირებს», «პიტერის მუშებს», «რსფს რესპუბლიკის წითელ არმიას, წითელ ფლოტს», «უნგრეთის ჯალათთა წინააღმდეგ», «ყველა ქვეყნის პროლეტარებს - კაცს თუ ქალს» და სხვები.

კომინტერნის II კონგრესმა უდიდესი როლი შეასრულა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებაში. ლენინი აღნიშნავდა, რომ კონგრესის შემდეგ «კომუნიზმი საერთოდ მთელი მუშათა მოძრაობის ცენტრალურ საკითხად გადაიქცა» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 214). — **208.**

213 «გეგმა რეზოლუციისა «პროლეტარიატის დიქტატურის» ცნების შინაარსის შესახებ და ამ ლოზუნგის «მოდური» დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» ერთ-ერთი მონახაზია ლენინის «თეზისებისა და კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის ძირითადი ამოცანების მესახებ». — **208.**

214 «*L' Humanité*» («კაცობრიობა») — ყოველდღიური გაზეთი; დააარსა 1904 წელს ჟ. ჟორესმა როგორც საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ორგანო. პირველი მსოფლიო ომის წლებში გაზეთი საფრანგეთის სოციალისტური პარტიის უკიდურესი ნემარჯვენე ფრთის ხელთ იყო.

1920 წლის დეკემბრიდან, საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში მომხდარი გათიშვის შემდეგ გაზეთი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო გახდა. — **204.**

215 «*Le Populaire*» («სახალხო გაზეთი») ფრანგი ცენტრისტების დაარსებული გაზეთია; გამოდიოდა 1916 წლიდან ლიმოჟში, 1917 წლის ივლისიდან — პარიზში. 1921 წლიდან გაზეთი საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ორგანო გახდა. ამჟამად გაზეთი მემარჯვენე სოციალისტების ხელთაა. — **205.**

216 «*Die Freiheit*» («თავისუფლება») — ყოველდღიური გაზეთი, გერმანიის დამოუკიდებელი ს.-დ. პარტიის ორგანო; გამოდიოდა ბერლინში 1918 წლის 15 ნოემბრიდან 1922 წლის 30 სექტემბრამდე. — **205.**

217 *British Socialist Party* (B. S. P.) (ბრიტანეთის სოციალისტური პარტია) დაარსეს 1911 წელს მანჩესტერში სოციალ-დემოკრატიული პარტიის და სხვა სოციალისტური ჯგუფების გაერთიანების შედეგად. მაგრამ პარტიის მცირერიცხოვნობა და ის, რომ მასებთან სუსტი კავშირი ჰქონდა, მას რამდენადმე სექტანტურ ხასიათს აძლევდა. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს პარტიაში მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ინტერნაციონალისტურ მიმდინარეობასა (უ. გალახერი, ა. ინკპინი, დ. მაკლინი, ფ. როტშტეინი და სხვები) და სოციალ-შოვინისტურ მიმდინარეობას შორის, რომელსაც ჰაინდმანი მეთაურობდა. ინტერნაციონალისტური მიმდინარეობის შიგნით იყვნენ არათანამიმდევრული ელემენტები, რომლებიც არაერთ საკითხში ცენტ-

რისტულ პოზიციას ადგნენ. 1916 წლის თებერვალში ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის მოღვაწეთა ჯგუფმა დააარსა გაზეთი «The Call» («მოწოდება»), რომელმაც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინტერნაციონალისტთა შეკავშირებაში. ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის ყოველწლიურმა კონფერენციამ, რომელიც 1916 წლის აპრილში გაიმართა სოლფორდში, დაგმო ჰაინდმანის და მის მომხრეთა სოციალ-შოვინისტური პოზიცია, და ისინი პარტიიდან გაეიდნენ.

ბრიტანეთის სოციალისტური პარტია მიესალმა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის წევრებმა დიდი როლი შეასრულეს ინგლისის მშრომელთა მოძრაობაში უცხოელთა ინტერვენციისაგან საბჭოთა რუსეთის დასაცავად. 1919 წელს პარტიის ორგანიზაციების დიდმა უმრავლესობამ (98-მა 4-ის წინააღმდეგ) მხარი დაუჭირა კომუნისტურ ინტერნაციონალში შესვლას. ბრიტანეთის სოციალისტურმა პარტიამ კომუნისტური ერთობის ჯგუფთან ერთად მთავარი როლი შეასრულა დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის შექმნაში. 1920 წელს გამართულ პირველ გამაერთიანებელ ყრილობაზე ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა კომუნისტურ პარტიას შეერწყა. — **205.**

218 ამერიკის სოციალისტური პარტია ჩამოყალიბდა 1901 წლის ივლისში ინდიანაპოლისში გამართულ ყრილობაზე იმ ჯგუფთა გაერთიანების შედეგად, რომლებიც გამოეთიშნენ აშშ სოციალისტურ მუშათა პარტიას და სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. აშშ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო ი. დებსი, აშშ მუშათა მოძრაობის პოპულარული მოღვაწე. იგი ახალი პარტიის დამაარსებელთა შორისაც იყო. პარტიის სოციალური შემადგენლობა როდი იყო ერთგვაროვანი: მასში შედიოდა ამერიკელი მუშების ნაწილი, იმიგრანტი მუშები, აგრეთვე წვრილი ფერმერები და წვრილი ბურჟუაზიიდან გამოსული ელემენტები. პარტიის ცენტრისტული და მემარჯვენე ოპორტუნისტული ხელმძღვანელობა (ვ. ბერგერი, მ. ჰილკვიტი და სხვ.) უარყოფდა პროლეტარიატის დიქტატურის საჭიროებას, უარს ამბობდა ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებზე და პარტიის მოღვაწეობას ძირითადად საარჩევნო კამპანიებში მონაწილეობად აქცევდა. პირველი მსოფლიო ომის წლებში (1914 — 1918) სოციალისტურ პარტიაში სამი მიმდინარეობა ჩამოყალიბდა: სოციალ-შოვინისტური, რომელიც მხარს უჭერდა მთავრობის იმპერიალისტურ პოლიტიკას; ცენტრისტული, რომელიც მხოლოდ სიტყვებით ილაშქრებდა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ; რევოლუციური უმცირესობა, რომელიც ინტერნაციონალისტურ პოზიციას ადგა და ომის წინააღმდეგ იბრძოდა.

სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთა, რომელსაც სათავეში ედგნენ ჩ. რუტენბერგი, უ. ფოსტერი, უ. ჰეივუდი და სხვ., პროლეტარულ ელემენტებს ეყრდნობოდა და იბრძოდა პარტიის ოპორტუნისტული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკური მოქმედებისათვის, კლასობრივი ბრძოლის პრინციპებზე დაფუძნებული საწარმოო პროფკავშირების შექმნისათვის. 1919 წელს სოციალისტური პარტია გაითიშა. სოციალისტური პარტიიდან გასული მემარცხენე ფრთა აშშ კომუნისტური პარტიის შექმნის ინიციატორი და მისი ძირითადი ბირთვი გახდა. ამჟამად სოციალისტური პარტია მცირერიცხოვანი სექტანტური ორგანიზაციაა. — **206.**

219 შ ვ ე ი ც ა რ ი ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ა (შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტია) შეიქმნა XIX საუკუნის 70-იან წლებში: შედიოდა I ინტერნაციონალში. განმეორებით პარტია დაარსდა 1888 წელს. პარტიაში ძლიერი გავლენა ჰქონდათ ოპორტუნისტებს, რომლებიც მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში სოციალ-შოვინიზმის პოზიციას დაადგნენ. 1916 წლის შემოდგომაზე პარტიას მემარჯვენეები გამოეთიშნენ და შექმნეს საკუთარი ორგანიზაცია. პარტიის უმრავლესობამ რ. გრიმის მეთაურობით ცენტრისტული, სოციალ-პაციფისტური პოზიცია დაიკავა. პარტიის მემარცხენე ფრთა ინტერნაციონალისტურ პოზიციაზე იდგა. რუსეთში მომხდარი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთა გაძლიერდა. 1920 წლის დეკემბერში მემარცხენეები გამოვიდნენ ამ პარტიიდან და 1921 წელს გაერთიანდნენ შვეიცარიის კომუნისტურ პარტიასთან. — **206.**

220 დ. ტანერის გამოსვლაზე ვ. ი. ლენინი დაწვრილებით ლაპარაკობს სიტყვაში კომუნისტური პარტიის როლის შესახებ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 279 — 284). — **207.**

221 ვ. ი. ლენინის შენიშვნები დაწერილია მანქანაზე გადაბეჭდილი მოხსენების ეგზემპლარზე (გერმანულად), რომელიც ა. სულტან-ზადეს მოუმზადებია, როგორც ეტყობა, ეროვნული და კოლონიური საკითხების კომისიისთვის. 1920 წლის 28 ივლისს კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესის პლენარულ სხდომაზე სულტან-ზადე გამოვიდა მოხსენებით სოციალური რევოლუციის პერსპექტივების შესახებ აღმოსავლეთში. — **208.**

222 პეტროგრადის ერთიან სამომხმარებლო კომუნასა და პეტროგრადის საბჭოს შორის მომხდარი კონფლიქტის არსი შემდეგი იყო. 1920 წლის ზაფხულში პეტროგრადის საბჭოს აღმასკომის რამდენიმე ხელმძღვანელმა მუშაკმა გ. ე. ზინოვიევის მეთაურობით და პეტროგრადის პროფ-

კავშირთა საბჭოს რამდენიმე ხელმძღვანელმა მუშაკმა დააყენა საკითხი, რომ შრომითი პურის ულუფა მუშებს მისცემოდათ არა მარტო ნამუშევარი, არამედ კვირა-უქმე და არასამუშაო დღეებისთვისაც. პეტროგრადის კომუნის ხელმძღვანელობამ (ა. ე. ბადაევი და სხვ.) ამ წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრა, რადგან ფიქრობდა, რომ პურის ულუფის ასეთი დამატებითი გაცემა შრომითი ულუფის თვით პრინციპს არღვევდა და, გარდა ამისა, უზრუნველყოფილი არ იყო საჭირო რაოდენობის პურის მარაგით; ამას შეეძლო საერთოდ დაერღვია შრომითი ულუფის რეგულარული გაცემა და ძირი გამოეთხარა მუშათა ნდობისათვის სასურსათო აპარატისადმი. მაგრამ პეტროგრადის საბჭომ ანგარიში არ გაუწია პეტროგრადის კომუნის გამგეობის აზრს და გამოაცხადა უქმე დღეებისათვის ულუფის გაცემა. ბადაევმა ამ განკარგულების შესრულებაზე უარი თქვა და განაცხადა, პეტროგრადის კომუნის გამგეობას ასეთ პირობებში მუშაობა არ შეუძლიაო. 1920 წლის 5 ივლისს რკპ(ბ) პეტროგრადის საგუბერნიო კომიტეტმა განიხილა ის საკითხი, რომ «ამხ. ბადაევი არ დაემორჩილა დიდი პრეზიდიუმის ა. წ. 23 ივნისის დადგენილებას პურის ულუფის გადიდების, ვალის ანგარიშში 5 გირვანქის გაცემის და მუშებისათვის შვებულების დროს ულუფის მიცემის შესახებ» და დაადგინა: «1. პეტროგრადის კომუნის ყველა რაიბიუროს, ყველა პასუხისმგებელ მუშაკს წინადადება მიეცეს პეტროგრადის კომიტეტის და აღმასკომის განსაკუთრებულ განკარგულებამდე დარჩნენ სამუშაოზე და ოდნავი დაბრკოლების გარეშე შეასრულონ იგი. 2. საჭიროდ ჩაითვალოს პეტროგრადის კომუნის გამგეობის პირადი შემადგენლობის რადიკალურად შეცვლა და დაეკავალოს საგუბერნიო კომიტეტის ბიუროს აღმასკომის პრეზიდიუმთან ერთად დროებით, საფაბრიკო კომიტეტების და კავშირების საერთო-საქალაქო კონფერენციის მოწვევამდე, დანიშნოს ახალი ამხანაგები, გაიყვანოს ისინი პეტროგრადის კომუნის საკონტროლო საბჭოს მეშვეობით და დაუკავშირდეს ამის შესახებ მოსკოვს» (სკკპ ლენინგრადის ოლქკომთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის პარტიული არქივი). — **209.**

223 პეტროგრადის კომუნასა და პეტროგრადის საბჭოს შორის მომხდარი კონფლიქტი განიხილა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1920 წლის 16 ივლისს გაიმართა, რასთან დაკავშირებითაც ვ. ი. ლენინმა დაწერა აქ გამოქვეყნებული დადგენილების პროექტი. ლენინის წინადადებები მიიღეს. ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა, რომ ურთიერთდამოკიდებულებას, შექმნილს პეტროგრადის კომუნისა და პეტროგრადის საბჭოს ხელმძღვანელ მუშაკებს შორის, შეიძლებოდა ახალი კონფლიქტები გამოეწვია, და გამოიტანა დადგენილება ა. ე. ბადაევის და პეტროგრადის კომუნის რამდენიმე ხელ-

მძღვანელი მუშაკის მოსკოვს გადაყვანის შესახებ. ბადაევი დაამტკიცეს მოსკოვის სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარედ. — **209**.

224 პასუხები ვ. ი. ლენინმა დაწერა შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის შორეული აღმოსავლეთის ბიუროს წევრის ა. მ. კრასნოშჩოკოვის დეპეშაზე, რომელიც იუწყებოდა, რომ 15 ივლისს ხელი მოაწერეს იაპონიასთან დროებითი ზავის ხელშეკრულებას. საგანგებო ოქმში, რომელსაც აგრეთვე ხელს აწერდნენ შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის და იაპონიის წარმომადგენლები, ნათქვამი იყო, რომ შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების საუკეთესო საშუალებაა «ბუფერული» სახელმწიფოს შექმნა დემოკრატიულ საწყისებზე. ამ სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს ერთიანი მთავრობა, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს ამ მხარის ყველა ოლქის წარმომადგენელთა მონაწილეობით გამართულ კონფერენციაზე. ამასთან დაკავშირებით კრასნოშჩოკოვი სთხოვდა ლენინს სასწრაფოდ ეპასუხა დეპეშაში დაყენებულ კითხვებზე. — **210**.

225 ოთხკუდა — შემოკლებული სახელწოდება დემოკრატიული საარჩევნო სისტემისა, რომელიც ოთხ დებულებას შეიცავდა: საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლება. — **210**.

226 აქ, ალბათ. იგულისხმება დემოკრატიულ სახელმწიფო დაწესებულებებში კომუნისტთა უმრავლესობის უზრუნველყოფა. — **210**.

227 ვ. ი. ლენინმა ეს სიტყვა წარმოთქვა ხალხმრავალ მიტინგზე, რომელიც გაიმართა ურიცკის მოედანზე (სასახლის მოედანი) 19 ივლისს საღამოს მას შემდეგ, რაც დამთავრდა კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესის სხდომა. — **211**.

228 ლაპარაკია ა. მ. გორკის სტატიაზე «ვლადიმერ ილიას ძე ლენინი», რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში «კომუნისტიჩესკი ინტერნაციონალ» (1920 წ., № 12) როგორც მოწინავე, და გორკის იმ წერილზე გ. უელსისადმი, რომელიც ჟურნალის იმავე ნომერში იყო მოთავსებული.

მაგრამ ა. მ. გორკის სტატია, აგრეთვე წერილი, გამსჭვალულნი ლენინისადმი გულწრფელი სიყვარულის და მისი მოღვაწეობისაგან გამოწვეული აღტაცების გრძნობით, დაწერილი იყო პიროვნების კულტის მცდარი პოზიციებიდან და რამდენიმე პოლიტიკურად მავნე დებულებას შეიცავდა. გორკი უაღრესად სუბიექტურად, არსებითად იდეალისტურად აფასებდა ლენინის როლს, რუს ხალხს, რუსეთში მომხდარი რევოლუციის ხასიათს. გორკის ყურადღების გარეშე დარჩა რევოლუციაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი, რუსეთის მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის გადამწყვეტი როლი.

1920 წლის 31 ივლისს რკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიიღო ვ. ი. ლენინის აქ გამოქვეყნებული წინადადება.

«კ ო მ უ ნ ი ს ტ ი ჩ ე ს კ ი ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ» — ჟურნალი, კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო; გამოდიოდა რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ და ჩინურ ენებზე. პირველი ნომერი გამოვიდა 1919 წლის 1 მაისს. ჟურნალში იბეჭდებოდა თეორიული სტატიები და კომინტერნის დოკუმენტები, მასში გამოქვეყნდა ლენინის არაერთი სტატია («მესამე ინტერნაციონალი და მისი ადგილი ისტორიაში», «III ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ (რამსეი მაკდონალდი III ინტერნაციონალის შესახებ)», «სალამი იტალიელ, ფრანგ და გერმანელ კომუნისტებს», «დამფუძნებელი კრების არჩევნები და პროლეტარიატის დიქტატურა», «პუბლიცისტის შენიშვნები» და სხვ.). ჟურნალის რედაქციას შეადგენდნენ კომინტერნში შემავალი ყველა პარტიის წარმომადგენლები. ჟურნალი საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის პრობლემებთან დაკავშირებით აშუქებდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირითად საკითხებს, საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილებას, ებრძოდა სხვადასხვა ანტილენინურ მიმდინარეობებს. გამოცემა შეწყდა 1943 წლის ივნისში იმასთან დაკავშირებით, რომ კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმმა 1943 წლის 15 მაისს მიიღო დადგენილება კომუნისტური ინტერნაციონალის დაშლის შესახებ. — **211.**

229 1920 წლის 19 აგვისტოს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომამ განიხილა პოლონეთის და ვრანგელის ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობის საკითხი. პოლიტბიუროს ვრანგელის ფრონტი მთავარ ფრონტად მიიჩნია და არაერთი ღონისძიება დასახა მის გასამტკიცებლად, კერძოდ, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ცხენოსანთა პირველი არმიის მე-6 დივიზია გადაესროლათ ვრანგელის ფრონტზე.

1920 წლის 20 აგვისტოს მთავარსარდალმა მოხსენებითი ბარათით მიმართა რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. იგი წინააღმდეგი იყო მე-6 დივიზიის გადასროლისა და ამას იმით ასაბუთებდა, რომ მე-6 დივიზია ცხენოსანთა პირველი არმიის ძირითადი ბირთვია და ხარისხით სამივე დანარჩენ დივიზიას უდრისო. მოხსენებით ბარათზე ი. ბ. სტალინის წარწერაა: «ეს ცნობები **არასწორია:** დანარჩენ სამ დივიზიაში ერთად **სულ ცოტა** 10 000 კაცია, ამასთან კავკასიის მე-4 დივიზია, რომელიც ცხენოსანთა არმიაში რჩება, მე-ექვსეზე ძველი და ძირითადია».

აღნიშნული მოხსენებითი ბარათი რომ წაიკითხა, ვ. ი. ლენინმა თავისი წინადადებები დაწერა.

ეტყობა, ამ წინადადებათა განხილვისას ვ. ი. ლენინს პირველი და მეორე პუნქტებისათვის მიუწერია: «კრესტინსკი წინააღმდეგია», მეოთხე პუნქტისათვის: «კრესტინსკიმ თავი შეიკავა» და მეხუთე პუნქტისათვის: «კრესტინსკი **მომხრეა**».

დატოვებულია პუნქტების ის ნუმერაცია, რაც ხელნაწერშია. — **212.**

30 ლაპარაკია დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს 1920 წლის 20 აგვისტოს № 1847 ბრძანებაზე, რომელშიც ნათქვამია, რომ პოლონელთა საზავო დელეგაცია მთლიანად ჯაშუშებისა და კონტრმზვერავებისაგან შედგება და რომ ზავი მარტოოდენ «თეთრი პოლონეთის ნანგრევებზე» შეიძლება დაიდოს. — **212.**

231 რესპუბლიკის რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ 1920 წლის 23 აგვისტოს გაუქმა დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ბრძანება და მიუთითა, რომ იგი არასწორად მოქმედებს. იმავდროულად პოლონეთთან მოსალაპარაკებლად წარგზავნილი საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარეს კ. ქ. დანიშევსკის მითითება მიეცა, პოლონეთის დელეგაციას გააცანით რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს დადგენილება დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ბრძანების გაუქმების შესახებ, თუ იგი თავს დაკმაყოფილებულად არ ჩათვლის დელეგაციის სხდომაზე უკვე გაკეთებული ახსნა-განმარტებითო. — **213.**

232 რკპ(ბ) სრულიად რუსეთის მეცხრე კონფერენცია გაიმართა მოსკოვში 1920 წლის 22 — 25 სექტემბერს. მის მუშაობაში მონაწილეობდა 241 დელეგატი (116 — გადამწყვეტი ხმით და 125 — სათათბიროთი) პარტიის 700 ათასი წევრისაგან. კონფერენციაზე ჩამოვიდნენ რსფსრ და უკრაინის საგუბერნიო ორგანიზაციების, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტურ პარტიათა ცენტრალური კომიტეტების წარმომადგენლები. წითელ არმიას წარმოადგენდა 34 დელეგატი. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) პოლონელ კომუნისტთა წარმომადგენლის მოხსენება; 2) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში; 3) ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული ანგარიში; 4) პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ; 5) პარტიის ისტორიის შესწავლის კომისიის მოხსენება; 6) ანგარიში კომინტერნის II კონგრესის შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშით კონფერენციის პირველ სხდომაზე გამოვიდა ვ. ი. ლენინი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 328 — 333). ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის ძირითადი საკითხი იყო პოლონეთთან ზავის დადება და ვრანგელის თეთრგვარდიული არმიის განადგურების მომზადება,

ლენინის მოხსენების ირგვლივ ცხარე კამათი გაიმართა. განსაკუთრებით მხურვალედ განიხილავდნენ ვარშავასთან საბჭოთა ჯარების წარუმატებლობის მიზეზებს. საბოლოო სიტყვაში ვ. ი. ლენინმა შეაჯამა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის გამო გამართულ დისკუსიის შედეგები და აღნიშნა, დელეგატთა გამოსვლები უმდიდრეს მასალას იძლევა საჭირო გაკვეთილებისა და დასკვნებისთვის. კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია პოლონეთთან ზავის დადების პირობების შესახებ. კონფერენციამ მოიწონა სრულიად რუსეთის ცაკის განცხადება პოლონეთთან ზავის კონკრეტული პირობების შესახებ. ეს განცხადება ვ. ი. ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით იყო შედგენილი და მის მიერვე რედაქტირებული (იხ. ლენინის XXXVI კრებული, გვ. 123 — 126).

IX კონფერენციის მუშაობაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების საკითხის განხილვამ. კონფერენციაზე პარტიული მშენებლობის ამოცანათა განხილვისას გაშოვიდა «დემოკრატიული ცენტრალიზმის» ანტიპარტიული ჯგუფი, რომელმაც თავის თანამომხსენებლად ტ. ვ. საპრონოვი წამოაყენა. «დეცისტებმა» გაილაშქრეს პარტიული დისციპლინის და იმის წინააღმდეგ, რომ კომუნისტურ პარტიას ხელმძღვანელი როლი ჰქონოდა საბჭოებსა და პროფკავშირებში. ისევე როგორც რკპ(ბ) ყრილობამ, პარტიულმა კონფერენციამ საკადრისი პასუხი გასცა «დემოკრატიული ცენტრალიზმის» ჯგუფს.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია «პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ», რომლის პროექტი ლენინმა დაწერა (იხ. ეს ტომი, გვ. 220—222). ლენინმა დაწერა აგრეთვე «წინადადებანი პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ რეზოლუციისათვის» (იხ. ეს ტომი, გვ. 222). კონფერენციამ აღნიშნა, საჭიროა რიგითი კომუნისტები უფრო ფართოდ მოვიზიდოთ რკპ(ბ) საგუბერნიო კონფერენციების და საგუბერნიო კომიტეტთა პლენუმების მუშაობაში აქტიური მონაწილეობისთვისო. კონფერენციამ დასახა აგრეთვე ღონისძიებანი იმისათვის, რომ აღმოფხვრილიყო ბიუროკრატიზმის ნაშთები საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში. სხვადასხვა ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად და კომუნისტთა საჩივრების განსახილველად კონფერენციამ საჭიროდ მიიჩნია საკონტროლო კომისიის, ხოლო საგუბერნიო კომიტეტებთან — სპეციალური პარტიული კომისიების შექმნა.

ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული ანგარიშის გამო IX კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც წინადადებას აყენებდა გაძლიერებულიყო ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მთელი სისრულით გაეცნო მუშაობა ადგილებზე და შეეძინა ამ მუშაობის გამოცდილება, მეტი ყურადღება მი-

ექცია სააგიტაციო-პროპაგანდისტული განყოფილების მუშაობისათვის; აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ საჭირო იყო ცენტრალურ კომიტეტს გაეუმჯობესებინა წითელი არმიისა და ფლოტის რიგებში პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციული მუშაობისადმი უშუალო ხელმძღვანელობა და არ დაეშვა ამ ორგანიზაციათა მუშაობის გამოცალკევება საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან. — **218**.

233 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ა. მ. კოლონტაის გამოსვლა. ა. მ. კოლონტაი დემაგოგიურად აცხადებდა, კრიტიკის გამო გვდევნიანო, და აღნიშნავდა, რომ გამკრიტიკებლებს ზოგჯერ წინადადებას აძლევენ, როგორც მან თქვა, გაემგზავრონ «ჯარგ, ცხელ ადგილებში ატმების საჭმელად». — **216**.

234 ვ. ი. ლენინის წინადადებანი საკონტროლო კომისიის შემადგენლობის შესახებ მცირეოდენი ცვლილებებით შევიდა რკპ(ბ) სრულიად რუსეთის IX კონფერენციის რეზოლუციაში «პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ» (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 649 — 658)

ტექსტი სიტყვებიდან: «გადაადგილებათა თაობაზე დაემატოს:» ფრაზის ბოლომდე ლენინს გადაუხაზავს და რეზოლუციაში არ შეევიდა. — **222**.

235 პ ო ლ ო ნ ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ა (Polska Partia Socjalistyczna) — რეფორმისტული ნაციონალისტური პარტია, შექმნილი 1892 წელს. პოლონეთის სოციალისტური პარტიის მთელი ისტორიის მანძილზე რიგითი მუშების ზეგავლენით პარტიის შიგნით იქმნებოდა მემარცხენე ჯგუფები. ზოგი მათგანი შემდეგ პოლონეთის მუშათა მოძრაობის რევოლუციურ ფრთას ემხრობოდა.

1906 წელს პოლონეთის სოციალისტური პარტია გაითიშა პოლონეთის სოციალისტურ პარტია-«მემარცხენედ» და მემარჯვენე, შოვინისტურ, ეგრეთ წოდებულ პოლონეთის სოციალისტურ პარტია-«მემარჯვენედ» («რევოლუციურ ფრაქციად»). პოლონეთის სოციალისტური პარტია-«მემარცხენე» ბოლშევიკთა პარტიის გავლენით, აგრეთვე პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის ზემოქმედებით თანდათანობით თანამიმდევრულ რევოლუციურ პოზიციებზე გადადიოდა.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში პოლონეთის სოციალისტური პარტია-«მემარცხენის» უმრავლესობამ ინტერნაციონალისტური პოზიცია დაიკავა; 1918 წლის დეკემბერში იგი პოლონეთის სამეფოს და ლიტვის სოციალ-დემოკრატიასთან გაერთიანდა. გაერთიანებულმა პარტიებმა შექმნეს პოლონეთის მუშათა კომუნისტური პარ-

ტია (ასე ეწოდებოდა პოლონეთის კომუნისტურ პარტიას 1925 წლამდე).

პოლონეთის მემარჯვენე სოციალისტური პარტია მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს ნაციონალ-შოვინიზმის პოლიტიკას განაგრძობდა; გალიციის ტერიტორიაზე მან შექმნა პოლონური ლეგიონები, რომლებიც ავსტრია-გერმანიის იმპერიალიზმის მხარეზე ომობდნენ. პოლონეთის ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ მემარჯვენე პოლონეთის სოციალისტური პარტია 1919 წელს გაერთიანდა გერმანიისა და ავსტრიის მიერ მანამდე დაპყრობილ პოლონეთის ტერიტორიაზე მყოფ პოლონეთის სოციალისტური პარტიის ნაწილებთან და კვლავ დაირქვა პოლონეთის სოციალისტური პარტია. სახელმწიფოს სათავეში რომ ჩაუდგა, იგი ხელს უწყობდა ხელისუფლების გადასვლას პოლონეთის ბურჟუაზიის ხელში, სისტემატურად ეწეოდა ანტიკომუნისტურ პროპაგანდას და მხარს უჭერდა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ აგრესიის პოლიტიკას, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის დაპყრობისა და ჩაგვრის პოლიტიკას. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცალკეული ჯგუფები, რომლებიც ამ პოლიტიკას არ ეთანხმებოდნენ, პოლონეთის კომუნისტურ პარტიას ერწყმოდნენ.

პილსუდსკის ფაშისტური გადატრიალების შემდეგ (1926 წლის მაისი) პოლონეთის სოციალისტური პარტია ფორმალურად პარლამენტში ოპოზიციურ პარტიად იმყოფებოდა, მაგრამ ფაქტობრივად ფაშისტურ რეჟიმს აქტიურად არ ებრძოდა და ანტიკომუნისტურ და ანტისაბჭოთა პროპაგანდას განაგრძობდა. პოლონეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ელემენტები ამ წლებში თანამშრომლობდნენ პოლონელ კომუნისტებთან და არაერთ კამპანიაში მხარს უჭერდნენ ერთიანი ფრონტის ტაქტიკას.

მეორე მსოფლიო ომის დროს პოლონეთის სოციალისტური პარტია ისევ გაითიშა. მისი რეაქციული, შოვინისტური ნაწილი, რომელმაც «Wolność, Równość Niepodległość» («თავისუფლება, თანასწორობა დამოუკიდებლობა») დაირქვა, რეაქციული პოლონეთის ემიგრანტულ «მთავრობაში» მონაწილეობდა ლონდონში. პოლონეთის სოციალისტური პარტიის მეორე, მემარცხენე, ნაწილი, რომელმაც «პოლონელი სოციალისტების მუშათა პარტია» დაირქვა, 1942 წელს შექმნილი პოლონეთის მუშათა პარტიის ზეგავლენით ჰიტლერელ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლის სახალხო ფრონტში ჩაება, იბრძოდა ფაშისტური მონობისაგან პოლონეთის დასახსნელად და სსრ კავშირთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების პოზიციას დაადგა.

1944 წელს, გერმანელთა ოკუპაციისაგან პოლონეთის აღმოსავლეთ ნაწილის განთავისუფლებისა და პოლონელთა ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის შექმნის შემდეგ, პოლონელი სოციალისტების

მუშათა პარტიამ ისევ პოლონელ სოციალისტთა პარტია დაირქვა და პოლონეთის მუშათა პარტიასთან ერთად სახალხო-დემოკრატიული პოლონეთის მშენებლობაში მონაწილეობდა. 1948 წლის დეკემბერში პოლონეთის მუშათა პარტია და პოლონეთის სოციალისტური პარტია გაერთიანდნენ და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია შექმნეს. — **228.**

236 «მ ო ნ ა ხ ა ზ ი რ ე ზ ო ლ უ ც ი ი ს ა პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი კ უ ლ ტ უ რ ი ს შ ე ს ა ხ ებ» ლენინმა 1920 წლის 9 ოქტომბერს დაწერა პოლიტბიუროს სხდომაზე, რომელზეც პროლეტკულტის ყრილობისათვის რეზოლუციის გამომუშავების საკითხი იდგა. ამ მონახაზში ლენინი განაახლებს პროლეტარული კულტურის შესახებ რეზოლუციის თავისი პროექტის უმნიშვნელოვანეს დებულებებს, პროექტისა, რომელიც წინადღეს, 8 ოქტომბერს, დაწერა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 380 — 382).

პ რ ო ლ ე ტ კ უ ლ ტ ი — კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია. პროლეტკულტი ჯერ კიდევ 1917 წლის სექტემბერში წარმოიქმნა როგორც დამოუკიდებელი თვითმოქმედი მუშათა ორგანიზაცია და ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც განაგრძობდა თავისი «დამოუკიდებლობის» დაცვას, რითაც უპირისპირდებოდა პროლეტარულ სახელმწიფოს. პროლეტკულტი თავს არიდებდა კომუნისტური პარტიისაგან ხელმძღვანელობას და დაჟინებით იცავდა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებისაგან, კერძოდ, განსახკომისაგან თავის დამოუკიდებლობას. პროლეტკულტელები ფაქტობრივად უარყოფდნენ წარსულის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას, ცდილობდნენ გამიჯვნოდნენ მასობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ამოცანებს და ცხოვრებისაგან მოწყვეტით, «ლაბორატორიული გზით» შეექმნათ განსაკუთრებული «პროლეტარული კულტურა». პროლეტკულტის მთავარი იდეოლოგი ა. ა. ბოგდანოვი სიტყვით მარქსიზმს აღიარებდა, საქმით კი სუბიექტურ-იდეალისტურ, მახისტურ ფილოსოფიას ქადაგებდა. პროლეტკულტი ერთგვაროვანი ორგანიზაცია როდი იყო. ბურჟუაზიულ ინტელიგენტებთან ერთად, რომლებიც პროლეტკულტის ბევრ ორგანიზაციაში მოთავეობდნენ, მათში შედიოდა მუშა ახალგაზრდობაც, რომელიც გულწრფელად ცდილობდა დახმარებოდა საბჭოთა სახელმწიფოს კულტურულ მშენებლობაში.

პარტიამ გადაჭრით გაილაშქრა პროლეტკულტის სეპარატისტულ ტენდენციათა წინააღმდეგ. 1920 წლის ოქტომბერში ლენინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში განსახილველად აყენებს პროლეტკულტის საკითხს. მთავარპოლიტგანი დაეყრდნო პოლიტბიუროს დადგენილებას, რომელსაც საფუძვლად ედო ვ. ი. ლენინის დაწერილი პროექტი, და შეიმუშავა პროლეტკულტისა და განსახკო-

მის ურთიერთდამოკიდებულების ინსტრუქცია. ეს ინსტრუქცია ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო 1920 წლის 10 ნოემბერს.

1932 წელს პროლეტკულტმა არსებობა შეწყვიტა. — **226.**

237 ვ. ი. ლენინის პროექტი დამატებითურთ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომამ მიიღო 1920 წლის 14 ოქტომბერს.—**227.**

238 აღმოსავლეთის ხალხთა ბაქოს ყრილობა (აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობა) გაიმართა 1920 წლის 1 — 7 სექტემბერს. ყრილობაზე ბაქოში ჩამოვიდა 1891 დელეგატი — 37 ეროვნების (კავკასიის, შუა აზიის, ავღანეთის, ეგვიპტის, ინდოეთის, ირანის, ჩინეთის, კორეის, სირიის, თურქეთის, იაპონიის და სხვა ქვეყნების ეროვნებათა) წარმომადგენლები. ყრილობის დელეგატთა ორი მესამედი (1273 დელეგატი) კომუნისტი იყო.

ყრილობაზე განიხილეს შემდეგი საკითხები: 1) საერთაშორისო მდგომარეობა და აღმოსავლეთის მშრომელი ხალხების ამოცანები; 2) ეროვნულ-კოლონიური საკითხი; 3) აგრარული საკითხი; 4) საბჭოები აღმოსავლეთში; 5) ორგანიზაციული საკითხი და სხვ. მასალების მოსამზადებლად ყრილობაზე შეიქმნა ოთხი სექცია: აგრარული საკითხის, ეროვნულ-კოლონიური საკითხის, საბჭოთა მშენებლობის საკითხისა და ორგანიზაციული საკითხის სექციები.

აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესის გადაწყვეტილებებს შეუერთდა და მათ საფუძველზე შეიმუშავა რამდენიმე რეზოლუცია. მიღებულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად ყრილობამ კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტთან შექმნა მუდმივი ორგანო — აღმოსავლეთის ხალხთა პროპაგანდისა და მოქმედების საბჭო.

კომინტერნის მეორე კონგრესსა და აღმოსავლეთის ხალხთა პირველ ყრილობაზე რომ ლაპარაკობდა, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: «ეს ის საერთაშორისო ყრილობებია, რომლებმაც შეაკავშირეს კომუნისტები და გვიჩვენეს, რომ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში და აღმოსავლეთის ყველა ჩამორჩენილ ქვეყანაში ბოლშევიკური დროშა, ბოლშევიზმის პროგრამა, ბოლშევიკების მოქმედება არის ის, რაც ყველა ცივილიზებული ქვეყნის მუშებისათვის, ყველა ჩამორჩენილი კოლონიური ქვეყნის გლეხებისათვის წარმოადგენს ხსნის დროშას, ბრძოლის დროშას, რომ, მართლაც, საბჭოთა რუსეთმა ამ სამი წლის განმავლობაში არა თუ უკუაგდო ისინი, ვინც მას თავს ესხმოდა დასახრჩობად, არამედ მოიპოვა მშრომელთა თანაგრძნობა მთელ მსოფლიოში ..» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 398 — 399). — **227.**

239 ვ. ი. ლენინის წამოყენებული პროექტი დადგენილებისა ბალტიის ფლოტის აღდგენის საკითხზე შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომამ მიიღო 1920 წლის 23 ოქტომბერს. — **229.**

240 საბჭოთა მოსამსახურეების შრომითი და სასურსათო ულუფის საკითხს სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა განიხილავდა 1920 წლის 23 ოქტომბერს. ვ. ი. ლენინის წინადადებები უკლებლივ შევიდა ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში. სახკომსაბჭომ შექმნილ კომისიას დაავალა მოხსენების გაკეთება 1920 წლის 26 ოქტომბერს. — **230.**

241 დადგენილების პროექტი დამატებებითურთ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომამ მიიღო 1920 წლის 26 ოქტომბერს, როცა განიხილავდა საკითხს «შინაპარტიული განწყობილებების შესახებ». — **231.**

242 დაბეჭდილი განცხადება საკონტროლო კომისიის შესახებ, რომელიც რკპ(ბ) სრულიად რუსეთის IX კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად შეიქმნა, 1920 წლის 28 ოქტომბერს გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდის» პირველი გვერდზე. — **231.**

243 ეს დოკუმენტი ნაწილია დადგენილებისა, რომელიც სახკომსაბჭომ მიიღო 1920 წლის 26 ოქტომბერს, როცა განიხილავდა სამეურნეო სახალხო კომისარიატებს შორის ურთიერთობის მოწყობის საკითხს.

სამეურნეო სახალხო კომისარიატებს შორის ურთიერთობის ორგანიზაციის საკითხი დაისვა 1920 წლის აპრილში რკპ(ბ) IX ყრილობაზე. ამ საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო: «ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს უახლოეს ხანში შეიმუშაოს სისტემა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და სხვა, მეურნეობასთან უშუალოდ დაკავშირებულ, კომისარიატებს (სასურსათო სახალხო კომისარიატი, გზათა სახალხო კომისარიატი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი) შორის ორგანიზაციული კავშირისა მათს ყოველდღიურ მუშაობაში, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სრული ერთიანობა პარტიის ყრილობის მიერ დამტკიცებული სამეურნეო გეგმის განხორციელებაში» («სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 627). ყრილობის გადაწყვეტილების შესრულების მიზნით 1920 წლის 26 ოქტომბერს სახკომსაბჭოს სხდომაზე ვ. ი. ლენინი გამოვიდა მოხსენებით «ერთიანი სამეურნეო გეგმის შესამუშავებლად ეკონომიური კომისარიატების მუშაობის გაერთიანების შესახებ» და დადგენილების თავისი პროექტი წამოაყენა. — **232.**

244 ეს სამეული სახალხო კომისართა საბჭომ დანიშნა 1920 წლის 26 ოქტომბერს საუწყებათაშორისო კომისიების შესახებ ცნობების შესაკრებად. — **232.**

245 ვ. ი. ლენინის პროექტი მთლიანად შევიდა იმ დადგენილებაში რესპუბლიკის მთავარი პოლიტიკურ-საგანმანათლებლო კომიტეტის შესახებ,

რომელიც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომამ მიიღო 1920 წლის 28 ოქტომბერს.

მთავარპოლიტგანი განსახკომთან დაარსდა სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით, რომელსაც ხელი მოაწერა ვ. ი. ლენინმა 1920 წლის 12 ნოემბერს. იგი განსახკომის შემადგენლობაში შედიოდა და ადმინისტრაციულად და ორგანიზაციულად მას ემორჩილებოდა, ძაგრამ თავისი მუშაობის იდეური შინაარსის საკითხებში იგი უშუალოდ რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს ექვემდებარებოდა. მთავარპოლიტგანი აერთიანებდა მთელ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო და საagიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას, ხელმძღვანელობდა მოზრდილთა მასობრივ კომუნისტურ განათლებას (წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, სკოლები, კლუბები, ბიბლიოთეკები, ქოხ-სამკითხველოები), აგრეთვე პარტიულ განათლებას (კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლები, პარტიული სკოლები). მთავარპოლიტგანს განსახკომის მასობრივი მუშაობის სექტორად რეორგანიზაციამდე (1930 წლის ივნისი) სათავეში ედგა ნ. კ. კრუპსკაია. — **233.**

246 იგულისხმება სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება «განათლების სახალხო კომისარიატის საქმიანობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ». დადგენილება გამოქვეყნდა გაზეთში «იზვესტია ვციკ» (№ 226, 1920 წლის 10 ოქტომბერი). — **233.**

247 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაზე 1920 წლის 9 ნოემბერს გ. მ. კრჟიჟანოვსკის დაავალეს მოემზადებინა სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობისათვის მოხსენება «რუსეთის ელექტრიფიკაციის შესახებ». საბჭოების ყრილობაზე, რომელიც მოსკოვში გაიმართა 1920 წლის 22 — 29 დეკემბერს, პრეზიდიუმის წინადადებით ეს მოხსენება ყრილობის დღის წესრიგში შეიტანეს. — **234.**

248 ვ. ი. ლენინის წამოყენებული პროექტი ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა 1920 წლის 10 ნოემბერს თითქმის უცვლელად მიიღეს. — **237.**

249 იხ. შენიშვნა 245. — **237.**

250 ეს პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო 1920 წლის 10 ნოემბერს საღამოს სხდომაზე «ჩვენი შეკვეთების შესრულებისადმი კონტროლში ლეგინელთა კავშირების ჩაბმის შესახებ» ამხ. არტემის (ფ. ა. სერგეევის) მოხსენების გამო. — **237.**

251 სახალხო მეურნეობის უსწრაფესად აღდგენის მაზნით, აგრეთვე კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი, საქმიანი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად საბჭოთა მთავრობას შესაძლებლად მიაჩნდა

უცხოელთა კომპანიებისათვის კონცესიების მიცემა. 1920 წლის 30 ოქტომბერს სახკომსაბჭომ სპეციალური კომისია შექმნა კონცესიების შესახებ დეკრეტის პროექტის შესამუშავებლად. ვ. ი. ლენინმა მ. ი. კალინინს 12 ნოემბრის ბარათში აცნობა მისთვის გაგზავნილ პროექტზე გაკეთებული შენიშვნები (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 52, დოკუმენტი 11). 16 ნოემბერს კომისიის წარდგენილი პროექტი დეკრეტისა კონცესიების შესახებ განიხილა სახკომსაბჭოს სხდომამ. ამასთან დაკავშირებით ლენინმა დაწერა დადგენილების აქ გამოქვეყნებული პროექტი, რომელიც სახკომსაბჭომ მიიღო. — **288.**

252 კონცესიების დეკრეტი სახკომსაბჭომ დაამტკიცა 1920 წლის 23 ნოემბერს. მალე გამოვიდა ბროშურა «კონცესიების შესახებ. სახალხო კომისართა საბჭოს 1920 წლის 23 ნოემბრის დეკრეტი. დეკრეტის ტექსტი. კონცესიათა ობიექტები. რუკები». დეკრეტი, კონცესიათა რუკები, აგრეთვე საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკების რამდენიმე სტატია ამ საკითხზე 1921 წელს გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა ჟურნალის «Russische Korrespondenz» («რუსეთის კორესპონდენცია») № 1—2-ში.

კონცესიების შესახებ იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 537 — 562 და 567 — 596. — **288.**

253 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების ეს პროექტი უმნიშვნელო დამატებებით მიიღო პოლიტბიუროს სხდომამ 1920 წლის 27 ნოემბერს. — **288.**

254 იგულისხმება შრომისა და თავდაცვის საბჭო.

1920 წლის აპრილის დამდეგს მოხდა მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭოს რეორგანიზაცია და ეწოდა შრომისა და თავდაცვის საბჭო. სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობის დადგენილებით 1920 წლის დეკემბერში შრომისა და თავდაცვის საბჭომ მოქმედება იწყო სახკომსაბჭოს კომისიის უფლებებით, კომისიისა, რომლის მთავარი ამოცანა იყო სამეურნეო მშენებლობის ყველა უწყების სამუშაოთა კოორდინაცია; არსებობდა 1937 წლამდე. — **289.**

255 აზერბაიჯანის სოფლებში ღარიბთა კომიტეტები მას შემდეგ შეიქმნა, რაც აზერბაიჯანი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. დადგენილება ღარიბთა კომიტეტების მოწყობის შესახებ აზერბაიჯანის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო 1920 წლის აგვისტოში. — **289.**

256 გ უ ს — გადაზიდვის უმაღლესი საბჭო. — **289.**

257 1920 წლის 27 ნოემბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო განიხილავდა «ცენტრში და ადგილებზე საბჭოთა ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ»

გ. ვ. ზინოვიევის მოხსენების თეზისებს. მოხსენება მას უნდა გაეკეთებინა სრულიად რუსეთის საბჭოების მომავალი VIII ყრილობისათვის. პოლიტბიურომ დამტკიცა ვ. ი. ლენინის აქ გამოქვეყნებული პროექტი და შექმნა კომისია, რომელსაც თეზისების გადაკეთება დაევალა. თეზისები საბოლოო სახით გამოქვეყნდა 1920 წლის 14 დეკემბერს გაზეთებში «პრავდა» და «იზვესტია ვციკ». — **240.**

258 ლ. ბ. კრასინი მეთაურობდა საბჭოთა დელეგაციას სავაჭრო შეთანხმების შესახებ ინგლისის მთავრობასთან გამართულ მოლაპარაკებაში. — **240.**

259 «მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი» («მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ე ბ ი») ინგლისელმა მუშებმა შექმნეს 1920 წლის აგვისტოში, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ ინგლისის ჩაბმისათვის საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომში. «მოქმედების კომიტეტთა» მოწყობაში დიდი როლი შეასრულა დიდი ბრიტანეთის კომუნისტურმა პარტიამ. კომიტეტები აგიტაციას ეწეოდნენ იმისათვის, რომ ინგლისს საბჭოთა რუსეთი ეცნო და ნორმალური ურთიერთობა დამყარებულიყო მათ შორის.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო ვ. ი. ლენინის შეტანილი დადგენილების პროექტი.

იხ. აგრეთვე ეს ტომი, გვ. 243—244. — **241.**

260 ვ. ი. ლენინის დაწერილი პროექტი სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო 1920 წლის 30 ნოემბერს. — **241.**

261 ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი კ ო მ ი ს ი ა — ყველა სამეურნეო სახალხო კომისარიატის ურთიერთობის მოწყობის კომისია ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით დაარსდა 1920 წლის 26 ნოემბერს. კომისიამ შეიმუშავა პროექტი შრომისა და თავდაცვის საბჭოს რეორგანიზაციისა იმ მიზნით, რომ მისი მუშაობის ცენტრი გადანაცვლებულიყო სამეურნეო მშენებლობის ამოცანებზე.

აქ გამოქვეყნებული დოკუმენტი საფუძვლად დაედო დადგენილებას «შრომისა და თავდაცვის საბჭოს შესახებ», რომელიც სრულიად რუსეთის ცაკისა და სახკომსაბჭოს სახელით საბჭოების VIII ყრილობას წარედგინა და ყრილობამ დაამტკიცა 1920 წლის 29 დეკემბერს. — **242.**

262 ეს პროექტი მიიღო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომამ 1920 წლის 4 დეკემბერს. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 52, დოკუმენტი 22. — **248.**

263 ლაპარაკია საბჭოთა მთავრობის მიერ 1920 წლის 29 ივნისს ინგლისის მთავრობისათვის გაგზავნილ მემორანდუმზე (იხ. «სსრ კავშირის სა-

გარეო პოლიტიკის დოკუმენტები», ტ. II, მოსკოვი, 1958, გვ. 593 — 598). — **244.**

264 ხელნაწერში უკანასკნელი ფრაზა გადახაზულია.

საკავშრო შეთანხმების დადების შესახებ ინგლისთან გამართულ მოლაპარაკებაზე (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 603 — 605). — **244.**

265 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ბროშურა «კონცესიების შესახებ. სახალხო კომისართა საბჭოს 1920 წლის 23 ნოემბრის დეკრეტი. დეკრეტის ტექსტი. კონცესიის ობიექტები. რუკები». მოსკოვი, 1920. — **244.**

266 განსახკომის მუშაობის გარდაქმნის საკითხი ვ. ი. ლენინმა 1920 წლის ნოემბერში დააყენა (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 42, გვ. 376). მისი რეორგანიზაციის საჭიროება იმან გამოიწვია, რომ განსახკომის მუშაობა და სტრუქტურა არ შეეფერებოდა იმ ახალ ამოცანებს, რომლებიც სახალხო განათლების სფეროში დაისახა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით. ვლადიმერ ილიას ძემ 1920 წლის 29 ნოემბრის წერილით ა. ვ. ლუნაჩარსკის განსახკომის რეორგანიზაციის საკითხზე წინასწარი მოსაზრებები გაუზიარა (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 52, დოკუმენტი 37). ვ. ი. ლენინის წამოყენებული პროექტი დადგენილებისა განსახკომის რეორგანიზაციის შესახებ მეორე პუნქტის დამატებითურთ 1920 წლის 8 დეკემბერს მიიღო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

მეორე პუნქტში ნათქვამია: «განსახკომის მუშაობას ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ-საგანმკარგულებლო სფეროში მთელი რუსეთის ფართო მასშტაბით, ისევე როგორც თვით განსახკომის აპარატის შიგნით, ხელმძღვანელობს სახალხო კომისარი მხოლოდ თანაშემწის მეშვეობით». — **250.**

267 1921 წლის 26 იანვარს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განსახკომის საერთო რეორგანიზაციის პროექტის შესამუშავებლად ქმნის კომისიას, რომელსაც სათაეში უდგას ლენინი. 28 იანვარს განსახკომის კოლეგიის წევრთათვის გაგზავნილ წერილში ლენინი ითხოვს, სასწრაფოდ გამომიგზავნეთ მასალა ყველა სახის სკოლებზე და მათ შესახებ მოქმედი კანონების ტექსტიო (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 52, დოკუმენტი 99). ლენინის წინადადებით 2 თებერვალს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ კომისიას უფლება მიანიჭა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით დირექტივები მიეცა განსახკომის კოლეგიისათვის. 5 თებერვალს «პრავდის» მე-25 ნომერში გამოქვეყნდა «ცენტრალური კომიტეტის დირექტივები განსახკომის მუშაკ

კომუნისტებს», დაწერილი ლენინის მიერ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 138 — 140).

11 თებერვალს სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა «განსახკომის დებულება», შემუშავებული კომისიის წევრების მიერ და რედაქტირებული ლენინის მიერ. იგი გამოქვეყნდა 15 თებერვალს «იზვესტია ვციკში» № 33 და მის საფუძველზე 1921 წლის განმავლობაში გატარდა განსახკომის რეორგანიზაცია. — **250.**

268 ეს დოკუმენტი პირველ პუნქტად შეეიდა დადგენილებაში «საწარმოო პროპაგანდის შესახებ», რომელიც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1920 წლის 8 დეკემბერს მიიღო.

იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინის დაწერილი «თეზისები საწარმოო პროპაგანდის შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 493 — 496). — **251.**

269 ეს ლენინისეული დამატებები შეეიდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1920 წლის 20 დეკემბრის იმ დადგენილების ტექსტში, რომელიც ეხებოდა სპეციალური ბეჭდვითი საწარმოო ორგანოს შექმნის საკითხს. — **251.**

270 სრულიად რუსეთის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და კაზაკთა დეპუტატების საბჭოების VIII ყრილობა გაიმართა 1920 წლის 22 — 29 დეკემბერს მოსკოვში. თავისი შემადგენლობით იგი გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე საბჭოების მანამდე გამართული რომელიმე ყრილობა: მასში მონაწილეობდა 2537 დელეგატი, აქედან გადამწყვეტი ხმით 1728 და სათათბიროთი 809. დელეგატთა პარტიული შემადგენლობა: კომუნისტები 91,7%, კომუნისტთა თანამგრძნობნი 2,7%, უპარტიოები 3,9%, მენშევიკები 0,3%, ბუნდელები 0,3%, მემარცხენე ესერები 0,15%. ანარქისტები 0,15%, სხვა პარტიების წევრები 0,8%. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს საქმიანობის ანგარიში, რუსეთის ელექტრიფიკაციის შესახებ, მრეწველობისა და ტრანსპორტის აღდგენის შესახებ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისა და გლეხური მეურნეობისათვის დახმარების გაწევის შესახებ, საბჭოთა ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ. დღის წესრიგის ძირითადი საკითხები წინასწარ განიხილა რკპ(ბ) ფრაქციის სხდომებმა. საკითხების ყოველმხრივ და ღრმად განსახილველად ყრილობამ შექმნა სამი სექცია: სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და საბჭოთა მშენებლობის სექციები.

ვ. ი. ლენინი ყრილობის პლენარულ სხდომებზე გამოვიდა 22 დეკემბერს მოხსენებით სრულიად რუსეთის ცაკის და სახკომსაბჭოს

საქმიანობის შესახებ და 23 დეკემბერს საბოლოო სიტყვით მოხსენების გამო. გარდა ამისა იგი ექვსჯერ გამოვიდა ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომებზე (21, 22, 24 და 27 დეკემბერს) კონცესიების შესახებ და გლეხური მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარების ღონისძიებათა კანონპროექტის განხილვასთან დაკავშირებით. იხ. აგრეთვე თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 565 — 656. — **252.**

271 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1920 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით პარტიის X ყრილობის მოწვევა დანიშნული იყო 1921 წლის თებერვლისათვის. ადგილობრივი ორგანიზაციების თხოვნით იანვარში ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყრილობა მარტში გადატანილიყო. — **254.**

272 ლენინს მხედველობაში აქვს სახალხო კომისართა საბჭოს 1920 წლის 23 ნოემბრის დეკრეტი კონცესიების შესახებ. დეკრეტი გამოქვეყნდა 1920 წლის 25 ნოემბერს «იზვესტია ვციკში» № 265 (1112). — **264.**

273 კერზონის ნოტა გამოწვეული იყო წითელი არმიის წარმატებებით. წითელმა არმიამ 1920 წლის ზაფხულში თვითპოლონელი დამპყრობნი განდევნა უკრაინიდან და ბელორუსიიდან. წითელი არმიის წინსვლის შესაჩერებლად და პანების პოლონეთის შესაძლო დაცემის და ვრანგელის განადგურების თავიდან ასაცილებლად 1920 წლის 11 ივლისს ინგლისის მთავრობამ საბჭოთა რუსეთს გამოუგზავნა ნოტა, რომელსაც ხელს აწერდა საგარეო საქმეთა მინისტრი კერზონი. ნოტა შეიცავდა ულტიმატურ მოთხოვნას შეგვეჩერებინა წითელი არმიის შეტევა, დაგვედო დროებითი ზავი პოლონეთთან და შეგვეწყვიტა ომი ვრანგელის წინააღმდეგ. ინგლისის მთავრობა შუამდგომლობას გვთავაზობდა და ანტანტის უმაღლესი საბჭოს სახელით გვემუქრებოდა, თუ ულტიმატუმს არ მიიღებთ, პოლონეთს დავეხმარებით «ჩვენს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებითო».

ვ. ი. ლენინის წინადადებების საფუძველზე შედგენილ საპასუხო ნოტაში საბჭოთა მთავრობამ მტკიცე უარი განაცხადა კერზონის შუამდგომლობაზე და დაჟინებით მოითხოვდა უშუალოდ პოლონეთთან მოლაპარაკებას. საბჭოთა მთავრობა პროტესტს აცხადებდა ინგლისის იმ ცდის წინააღმდეგ, რომ მოეხდინა ყირიმის ანექსია, და თანახმა იყო ვრანგელისა და მისი ჯარისათვის მიეცა პირადი უშიშროების გარანტია **მხოლოდ იმ** პირობით, თუ ისინი დაუყოვნებლივ და სრულ კაპიტულაციას გამოაცხადებდნენ. — **265.**

274 ლაპარაკია ს. ი. გუსევის ბროშურაზე «ერთიანი სამეურნეო გეგმა და ერთიანი სამეურნეო აპარატი», რომელიც 1920 წელს გამოსცეს სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობის წინ. — **266.**

275 იგულისხმება მოსამსახურეთა რაოდენობა ყველა იმ ადმინისტრაციულ, სამეურნეო და კულტურულ დაწესებულებაში, რომელთაც მაშინ მოსკოვის საბჭო ხელმძღვანელობდა. — **267.**

276 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ს. ი. გუსევის ბროშურა «სამეურნეო მშენებლობის მორიგი საკითხები. (რკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების შესახებ.) მასალები რკპ IX ყრილობისათვის», რომელიც გამოსცეს 1920 წელს. — **268.**

277 იგულისხმება შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა. იხ. 208-ე შენიშვნა.

1920 წლის შემოდგომაზე ვაშინგტონ ვანდერლიპი, ამერიკული მსხვილი «ვანდერლიპის სინდიკატის» წარმომადგენელი, მოსკოვში მოლაპარაკებას აწარმოებდა იმის შესახებ, რომ კამჩატკაზე და აღმოსავლეთ ციმბირის იმ დანარჩენ ნაწილში, რომელიც 160-ე მერიდიანის აღმოსავლეთით მდებარეობს, მიეღო თევზის სარეწების ექსპლოატაციის, ნავთობისა და ქვანახშირის დაზვერვისა და მოპოვების კონცესია. ოქტომბრის დამლევს შეიმუშავეს პროექტი ხელშეკრულებისა. რომლის მიხედვითაც სინდიკატს ეძლეოდა კონცესია 60 წლის ვადით. 35 წლის გასვლის შემდეგ საბჭოთა მთავრობას უფლება ენიჭებოდა ვადამდე გამოესყიდა ყველა საკონცესიო საწარმო, ხოლო მთელი ვადის გასვლის შემდეგ საწარმოები მათი სავსებით გამართული მოწყობილობით უსასყიდლოდ გადადიოდა რსფს რესპუბლიკის საკუთრებად. მაგრამ «ვანდერლიპის სინდიკატს» ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ და გავლენიანმა ფინანსურმა წრეებმა მხარი არ დაუჭირეს და ხელშეკრულების პროექტი ხელმოუწერელი დარჩა. — **272.**

278 ეტყობა, ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს «რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) პროგრამის» შემდეგი დებულება: «რუსეთის კომუნისტური პარტია მთელ თავის მუშაობაში სოფლად წინანდებურად ეყრდნობა მის პროლეტარულ და ნახევრად პროლეტარულ ფენებს. უწინარეს ყოვლისა რაზმავს მათ დამოუკიდებელ ძალად, ქმნის სოფლად პარტიულ უჯრედებს, ღარიბთა ორგანიზაციებს, სოფლის პროლეტარებისა და ნახევრად პროლეტარების განსაკუთრებული ტიპის პროფესიულ კავშირებს და სხვ., ყოველნაირად აახლოებს მათ ქალაქის პროლეტარიატთან და ათავისუფლებს მათ სოფლის ბურჟუაზიისა და წვრილმესაკუთრული ინტერესების გავლენისაგან» («სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 541). — **278.**

279 ლაპარაკია სოფლის მეურნეობის და ტყის მუშათა პროფესიულ კავშირზე. — **278.**

280 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს «რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) პროგრამის» შემდეგი დებულება: «პროფესიულ კავშირების მონაწილეობა მეურნეობის წარმართვაში და მათ მიერ ამ საქმეში ფართო მასების მიზიდვა ამასთან ერთად წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური აპარატის ბიუროკრატიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ საშუალებას და შესაძლებელს ხდის ნამდვილად სახალხო კონტროლის დაწესებას წარმოების შედეგებზე» («სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 537). — **274.**

281 «გლეხური სოფლის მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ» სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობის რეზოლუციის პროექტის განხილვისას ყრილობის კომუნისტურმა ფრაქციამ მხარი დაუჭირა იმ პუნქტების ამოღებას, რომლებიც ეხებოდა სახლების ცალკე მეპატრონეთა პერსონალურ პრემირებას. 1920 წლის 27 დეკემბერს ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამ საკითხის განხილვისას აღნიშნა, ყრილობის ფრაქციამ არასწორი გადაწყვეტილება მიიღოო, და ფრაქციას წინადადება მისცა გადაესინჯა იგი. პლენუმმა მიიღო ვ. ი. ლენინის წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლითაც განსაზღვრული იყო სახლების ცალკე მეპატრონეთა პრემირების პირობები და პრინციპები (იხ. ეს ტომი, გვ. 287). პლენუმმა ლენინს დაავალა გამოსულიყო მოხსენებით ამ საკითხის ირგვლივ ყრილობის ფრაქციაზე. ლენინის გამოსვლის შემდეგ ფრაქციამ უარყო თავისი წინა გადაწყვეტილება. — **275.**

282 «შ რ ო მ ის წ ი თ ე ლ ი დ რ ო შ ი ს» ო რ დ ე ნ ი დაწესდა სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობის გადაწყვეტილებით შშრომელთა იმ ჯგუფების და ცალკეული მოქალაქეების დასაჯილდოებლად, რომლებმაც სამეურნეო ამოცანების გადაჭრაში განსაკუთრებული თავდადება, ინიციატივა, შრომისმოყვარეობა და ორგანიზებულობა გამოიჩინეს. — **279.**

283 ლაპარაკია სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობ-ს დელეგატ ერიომინზე. — **281.**

284 სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობის რაპ(ბ) ფრაქციის სხდომაზე ვ. ი. ლენინის სიტყვის შემდეგ (იხ. ეს ტომი, გვ. 275, — 280) გაიმართა კამათი. კამათში გამოსული საშუალო გლეხი წითელარმიელი ერიომინი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ კულაკები სულ ერთია შეძლებენ წაართვან ღარიბებს სასოფლო-სამეურნეო იარაღები და ცხენები. მან შემდეგი მაგალითი მოიყვანა: ტამბოვის გუბერნიის

კოზლოვსკის მაზრაში დამშეული ღარიბები იძულებული გახდნენ კულაკებისათვის 5-5 ფუთ პურად მიეყიდათ თავიანთი ცხენები. — **281**

285 იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებში», ნაწ. I, 1954, გვ. 598. — **285.**

286 სახლების ცალკე მეპატრონეთა პრემირების პუნქტები ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1920 წლის 27 ნოემბერს მიიღო და შეავიდა სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობის რეზოლუციაში «გლეხური სოფლის მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ». — **287.**

287 იგულისხმება ეგრეთ წოდებული ფედერალური კომისია, რომელსაც სათავეში ედგა ლ. ბ. კამენევი. კომისია განაგებდა იმ საკითხების მომზადებას, რომლებიც დაკავშირებული იყო საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ ურთიერთდამოკიდებულებასთან. — **287.**

288 ეს წინადადებები დაწერილია გ. ვ. ჩიჩერინის 1920 წლის 30 დეკემბრის წერილზე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსადმი. ჩიჩერინი იუწყებოდა, ბელორუსიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ი. გ. ჩერვიაკოვი აღნიშნავს უაღრესად არანორმალურ მდგომარეობას ბელორუსიისა და რსფს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების მოუწესრიგებლობასთან დაკავშირებით, რაც ორივე რესპუბლიკის თანამშრომლობას აძნელებსო, და მხარს უჭერდა ბელორუსიასთან ისეთივე ხელშეკრულების დადებას, როგორიც დაიდო უკრაინასთან.

საბჭოთა ბელორუსიასა და რსფს რესპუბლიკას შორის საკავშირო ხელშეკრულების დადების საკითხი ბელორუსიის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა 1920 წლის შემოდგომაზე დააყენეს. მოლაპარაკება მიმდინარეობდა 1920 წლის დეკემბრის დამლევს და 1921 წლის იანვრის დამდეგს და დამთავრდა რსფს რესპუბლიკასა და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის საკავშირო მუშურ-გლეხური ხელშეკრულების ხელმოწერით 16 იანვარს. 1921 წლის 21 იანვარს ხელშეკრულება დაამტკიცა ბელორუსიის ცაკის სესიამ. — **288.**

289 ვ. ი. ლენინის წარმოდგენილი პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო 1921 წლის 4 იანვარს. — **288.**

290 სრულიად რუსეთის VIII მოწვევის ცაკის II სესიას (1921 წლის 19 — 20 მარტი) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საკითხი არ განუხილავს. სესიის დღის წესრიგში იდგა სახალხო კომისარიატების დებულებების საკითხი. ამ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებაში დადგენილი იყო საბოლოო ვადა სახალხო კომისარიატების და მათი ორ-

ვანოების დებულებების წარდგენისა დასამტკიცებლად სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმში. — **288.**

291 1921 წლის 26 იანვარს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განიხილავდა საქართველოს საკითხს (ეს საკითხი პლენუმის დღის წესრიგში მესამე იყო. აქედანაა ვ. ი. ლენინის გამოთქმა: «მე-3 პუნქტისათვის»). ამ საკითხის განხილვა დაკავშირებული იყო საქართველოს შენშევიკური მთავრობის მტრულ მოქმედებასთან საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. საქართველომ დაარღვია რსფს რესპუბლიკასთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულება და აკრძალა თავის ტერიტორიაზე ტრანზიტი რსფს რესპუბლიკიდან მომავალი ტვირთისა, ოუნდაც ის ყოფილიყო სურსათი სომხეთის დამშეული მოსახლეობისათვის; უარი თქვა დაებრუნებინა რსფს რესპუბლიკისათვის რუსეთის ყველაზე ძვირფასი გემები, რომლებიც მანამდე ვრანგელს ჰქონდა, ხოლო მერე განადგურების შემდეგ საქართველოს ნავსადგურებში შევიდნენ; რეპრესიებს მიმართა საბჭოთა საელჩოს თანამშრომლების წინააღმდეგ და შეურაცხყო რსფს რესპუბლიკის სახელმწიფო ალამი, პროვოკაციულად გამოიწვია ჩრდილო კავკასიაში კონტრრევოლუციური გამოსვლები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და მხარს უჭერდა ამ გამოსვლებს. ხელშეკრულების ამ დარღვევათა გამო რსფს რესპუბლიკის წარმომადგენლებს არაერთხელ გადუცხადებიათ ოფიციალური პროტესტი. მაგრამ საქართველოს მთავრობა ყველა პროტესტს უპასუხოდ ტოვებდა. — **288.**

292 ვ. ი. ლენინის პროექტი უცვლელად შევიდა პლენუმის დადგენილებაში როგორც პუნქტი «ა». პუნქტ «ბ»-ში ნათქვამი იყო: «წინადადება მიეცეს კავკასიის ფრონტს დაამუშაოს იმ რეალური გარანტიების საკითხი (საკონტროლო კომისიები და სხვ.), რომლებიც შეგვიძლია დიპლომატიური გზით მოვთხოვოთ საქართველოს მთავრობას, რათა თავი დავიცვათ იმისაგან, რომ საქართველო ეხმარებოდეს დაღესტნისა და ჩაჩნეთის აჯანყებულთ» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **289.**

293 1921 წლის 26 იანვარს «ცეკტრანის» ცამეტმა წევრმა თხოვნით მიმართა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს გაეთავისუფლებინათ ისინი «ცეკტრანის» წევრთა მოვალეობისაგან. ამ განცხადების ერთ-ერთი მოტივი ის იყო, რომ «ცეკტრანის» საქმიანობის მეთოდების კრიტიკა, გაჩაღებული პროფკავშირული დისკუსიის დროს, თითქოს რკინიგზელებსა და საწყლოსნო ტრანსპორტის მუშებს შორის ისეთ შუაბეჭდილებას ქმნიდა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი გმობდა «ცეკტრანის» მთელ წარსულ და ამჟამინდელ საქმიანობას. განცხადების ავტო-

რები «ცეკტრანის» მუშაობის კრიტიკას ახასიათებდნენ როგორც დევნას საწყლოსნო ტრანსპორტის მუშაკთა ერთი ჯგუფის. მხრივ, აგრეთვე პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სრულიად რუსეთის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის ცალკეული წევრების მხრივ.

ვ. ი. ლენინის შეტანილი პროექტი დადგენილებისა «ცეკტრანის» მუშაკთა განცხადების გამო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 31 იანვარს მიიღო. — **289.**

294 იგულისხმება ჰოლანდიის ნავთობსამრეწველო სინდიკატ «როიალ დატჩთან» გამართული მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ მას მინიჭებოდა ბაქოსა და გროზნოს რაიონებიდან ნავთობპროდუქტების ექსპორტის უფლება.

ნავთობის კონცესიების საკითხზე სახკომსაბჭომ 1921 წლის 1 თებერვალს მიიღო დადგენილება, რომლის პირველი ორი პუნქტი ვ. ი. ლენინის წინადადებათა საფუძველზე იყო ჩამოყალიბებული: «ა) ძირითადად მოვიწონოთ ნავთობის კონცესიათა გაცემა გროზნოსა და ბაქოს და სხვა მოქმედ სარეწებში და დავიწყოთ მოლაპარაკება, ამასთან მოლაპარაკება დაჩქარებით ვაწარმოოთ. ბ) დაევალოს სმუსს გაგზავნოს ბაქოსა და გროზნოში ნავთობის საქმის პირველი კლასის ავტორიტეტებისაგან შემდგარი დიდად კომპეტენტური კომისია, რათა გამოიკვლიოს ნავთობის მოპოვების უზრუნველყოფის საკითხი და გამოარკვიოს სარეწების ახლანდელი ექსპლოატაციის პირობებში შესაძლო კატასტროფის მიზეზები. დაევალოს სმუსს, რომ კომისიის წევრთა სია დასამტკიცებლად წარუდგინოს სახკომსაბჭოს» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

ნავთობის კონცესიების შესახებ იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 156 — 158, ეს ტომი, გვ. 299 — 302; მე-5 გამოც., ტომი 52, დოკუმენტები 83 და 90 — **290.**

295 ეს პროექტი მიიღო სახკომსაბჭოს სხდომამ 1921 წლის 1 თებერვალს. — **290.**

296 1921 წლის 9 თებერვალს შრომისა და თავდაცვის საბჭომ მოისმინა ვ. ა. ავანესოვის მოხსენება სათბობის მდგომარეობის გამო და დანიშნა კომისია (ფ. ე. ძერჟინსკი, ა. ა. ანდრეევი, **დ. ი. კურსკი, ა. ი. რი**ზოვი, ვ. ვ. ფომინი), რომელსაც დაავალა შრომისა და თავდაცვის საბჭოს შემდგომი სხდომისათვის წარმოედგინა დადგენილების პროექტი. 11 თებერვალს ძერჟინსკიმ შრომისა და თავდაცვის **საბჭოს წარუდ**გინა დადგენილების პროექტი, რომელიც ვ. ი. ლენინის შეთავაზებული შესწორებებითა და დამატებებით დაამტკიცეს. იმ დროებითი კომისიის შემადგენლობაში, რომელზეც ლაპარაკია აქ გამოქვეყნებულ დო-

კუმენტში, შედიოდნენ ავანესოვი, ბერგაუზი, კრილენკო, ლომოვი და მესინგი. — **291.**

297 ვ. ი. ლენინის დაწერილი პროექტი მთლიანად შეიდა საიმპორტო გეგმის გადამსინჯავი კომისიის მოხსენების გამო სახკომსაბჭოს მიერ 1921 წლის 15 თებერვლის სხდომაზე მიღებულ დადგენილებაში (პუნქტები «2» და «3»). — **291.**

298 ტროცკისტებმა და სხვა ოპოზიციონერებმა გაილაშქრეს იმის წინააღმდეგ, რომ გოელრო გარდაექმნათ ერთიან საერთო საგეგმო კომისიად. 18 თებერვალს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება საერთო საგეგმო კომისიის შექმნის შესახებ არ ყოფილა მიღებული. სხდომის სტენოგრაფიული ჩაწერა არ ხდებოდა. შემორჩენილია მხოლოდ კამათის მოკლე ჩანაწერები, გაკეთებული ლენინის მიერ, და მისი შენიშვნები საბოლოო სიტყვისათვის (იხ. ლენინის XX კრებული, გვ. 20 — 22). თუ ვიმსჯელებთ ამ შენიშვნებით და სტატიით «ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 159 — 170), ერთიანი საგეგმო კომისიის შექმნის წინააღმდეგ გაულაშქრიათ ი. ლარინს, ვ. პ. მილუტინს, ნ. ოსინსკის და ა. ი. რიკოვს. ამ საკითხის განხილვა გადატანილ იქნა სახკომსაბჭოში.

ეს პროექტი, დაწერილი ვ. ი. ლენინის მიერ, მთლიანად შეიდა «სახელმწიფო საერთო საგეგმო კომისიის დებულებაში», რომელიც სახკომსაბჭომ დაამტკიცა 1921 წლის 22 თებერვალს ლენინის მიერ ნავარაუდევ კომისიის წევრთა სიასთან ერთად (იხ. ლენინის XX კრებული, გვ. 24). სახელმწიფო საერთო საგეგმო კომისია გოელროს ბაზაზე შეიქმნა. მას სათავეში ჩაუდგა გ. მ. კრჟიჟანოვსკი. — **292.**

299 მ ო ს კ ო ვ ი ს პ ა რ ტ ი უ ლ ი ა ქ ტ ი ვ ი ს კ რ ე ბ ა 1 9 2 1 წ ლ ი ს 2 4 თ ებ ე რ ვ ა ლ ს რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტმა მოიწვია უაღრესად რთულ პერიოდში, როცა ეკონომიურმა ნგრევამ ჩვენს ქვეყანაში უკიდურეს წერტილს მიაღწია.

კრების მოწვევის მიზანი იყო გაეცნოთ პარტიული აქტივისათვის ღონისძიებანი, რომლებიც მიმართული იყო მოსკოვის მშრომელთა მომარაგების გაუმჯობესებისაკენ. პარტიული აქტივის კრებამ მიიღო გადაწყვეტილება დაინიშნოს მოსკოვის საბჭოს პლენუმზე მოხსენება საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებო. — **298.**

300 იგულისხმება დაშნაკთა კონტრრევოლუციური აჯანყება, რომელიც 1921 წლის 13 თებერვალს დაიწყო სომხეთში. დაშნაკებს იარაღითა და ფულით დაეხმარნენ ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის იმპერიალისტური მთავრობები, მენშევიკური საქართველო და თურქეთი. დაპყრობილ რაიონებში მათ ტერორისა და თვით-

ნებობის რეჟიმი დაამყარეს, წვავდნენ და ნაცარტუტად აქცევდნენ სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებს. სომხეთის მშრომელებმა, რომლებიც ეყრდნობოდნენ საბჭოთა ჯარების მე-11 არმიის ნაწილების მხარდაჭერას, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით გაანადგურეს დაშნაკები. 1921 წლის 4 აპრილს გაათავისუფლეს სომხეთის დედაქალაქი ერევანი, დაშნაკები განდევნეს. — **294.**

301 ლენინი იხსენიებს ციმბირის რევკომის თავმჯდომარეს ი. ნ. სმირნოვს. — **295.**

302 იგულისხმება მეცხრე პუნქტი რკპ(ბ) სრულიად რუსეთის IX კონფერენციის რეზოლუციისა «პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ» (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებს» და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 653). — **295.**

303 იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 498 — 522. — **296.**

304 ჩვენი ქვეყნის ნედლეული რესურსების მობილიზაცია საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო. მრეწველობის აღდგენის გეგმასთან დაკავშირებით. ეს საკითხი 1921 წლის 18 თებერვალს განიხილა სახკომსაბჭოს ეკონომიური კომისიის სხდომამ ვ. ი ლენინის თავმჯდომარეობით. კომისიამ შექმნა სპეციალური თათბირი, რომელსაც დაწვრილებით უნდა განეხილა ნედლეულის შეგროვების საკითხი. ეტყობა, აქ გამოქვეყნებული ჩანაწერები ლენინს გაუკეთებია ნედლეულის კომისიის სხდომის დროს 1921 წლის 26 თებერვალს.

შემდეგ ნედლეულის საკითხი განიხილა სახკომსაბჭომ 1921 წლის 1 მარტს, აგრეთვე სმუსისა და სურსათის სახალხო კომისარიატის სპეციალური პარიტეტული კომისიის სხდომამ. 1921 წლის 7 აპრილს სახკომსაბჭომ დაამტკიცა პროექტი დადგენილებისა ნედლეულის შეგროვების შესახებ. — **297.**

305 შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება მუშათა მომარაგების გაუმჯობესების შესახებ გამოქვეყნდა 1921 წლის 1 მარტს «პრავდაში» № 45. — **299.**

306 ამ დოკუმენტის ძირითადი ნაწილი (სიტყვებიდან «არ ისურვებენ მუშაობას...» ბოლომდე) წარმოადგენს ნავთობის კონცესიების საკითხის განხილვის დროს გაკეთებულ ჩანაწერებს. შესაძლოა, ეს ჩანაწერები გაკეთებული იყოს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1921 წლის 24 თებერვალს. უფრო გვიან ე. ი. ლენინმა დაასისტემა ეს ჩანაწერები, დაუსვა მათ პუნქტების ნომრები (3 — 14), შემოხაზა ჩანაწერების თავისუფალი ზემო არე და დაწერა მასზე წერილის წინასწარი გეგმა (პუნქტები 1 — 14). ვ. ი. ლენინის წერილი, ამ გეგმის მიხედვით აგე-

ბული, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში არ მოიპოვება. გეგმაში დასახულმა ძირითადმა საკითხებმა გამოხატულება პოვეს ვ. ი. ლენინის წერილში, რომელიც მან აზერბაიჯანის ნავთობის კომიტეტის თავმჯდომარეს ა. პ. სერებროვსკის გამოუგზავნა ბაქოში 1921 წლის 2 აპრილს (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 52, დოკუმენტი 219).

ქვემოთ ტექსტში მოხსენიებულია სახკომსაბჭოს გადაწყვეტილება ნავთობის კონცესიებზე, მიღებული 1921 წლის 1 თებერვალს. სახკომსაბჭომ მიიღო ვ. ი. ლენინის დაწერილი დადგენილების პროექტი და ძირითადად მოიწონა ბაქოს და გროზნოს ცალკეული ნავთობიანი რაიონების და სხვა სარეწების კონცესიად გადაცემა. ნავთობის კონცესიებზე იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 42. გვ. 334 — 336; ტომი 52, დოკუმენტები 143 და 205. — **299.**

307 ეს დამატება შეიტანა სახკომსაბჭოს 1921 წლის 4 მარტის დადგენილებაში «რსფსრ ყველა უმაღლეს სასწავლებელში სწავლებისათვის საჭიროებულო საერთო მეცნიერული მინიმუმის დაწესების შესახებ». — **304.**

308 რკპ (ბ) X ყრილობა გაიმართა 1921 წლის 8 — 16 მარტს მოსკოვში. სამანდატო კომისიის მონაცემებით ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა 694 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 296 სათათბიროთი, რომლებიც წარმოადგენდნენ პარტიის 732 521 წევრს. ყრილობის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში; 2) საკონტროლო კომისიის ანგარიში; 3) პროფესიული კავშირები და მათი როლი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში; 4) სოციალისტური რესპუბლიკა კაპიტალისტურ გარემოცვაში, საგარეო ვაჭრობა, კონცესიები და სხვ.; 5) სასურსათო მუშაობის, სასურსათო გაწერის და სასურსათო გადასახადის შესახებ და სათბობის კრიზისის საკითხი; 6) პარტიული მშენებლობის საკითხები; 7) პარტიის მორიგი ამოცანები ეროვნულ საკითხში; 8) არმიის რეორგანიზაცია და მილიციის საკითხი; 9) მთავარპოლიტგანი და პარტიის სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა; 10) კომინტერნში წარგზავნილი რკპ წარმომადგენლის მოხსენება და მისი მორიგი ამოცანები; 11) პროფკავშირთა დროებითს საერთაშორისო საბჭოში მყოფ რკპ წევრთა მოხსენება; 12) ცენტრალური კომიტეტის, საკონტროლო და სარევიზიო კომისიების არჩევნები.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილებები ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების ძირეულ საკითხებზე. მის მუშაობას ლენინი ხელმძღვანელობდა. იგი სიტყვებით გამოვიდა ყრილობის გახსნისა და დახურვისას, მან გააკეთა მოხსენებები ცენტრალური კომიტეტის

პოლიტიკურ საქმიანობაზე, ნატურალური გადასახადით გაწერის შეცვლაზე, პარტიის ერთიანობასა და ანარქისტ-სინდიკალისტურ გადახრაზე, პროფესიულ კავშირებზე და სათბობის საკითხზე. ლენინმა მოამზადა ყრილობის უმნიშვნელოვანეს რეზოლუციათა პროექტები. იხ. ეგრეთვე თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 195—335. — **804.**

309 ეს დოკუმენტი ეხება «ათის პლატფორმის» მომხრეთა ერთ-ერთ თათბირს, რომელიც, ეტყობა, გამართულა პარტიის X ყრილობის გახსნის წინ ან მისი მუშაობის პირველ დღეებში — 1921 წლის 8 თუ 9 მარტს. — **804.**

310 ეს პუნქტი ვ. ი. ლენინმა განავითარა «პარტიის ერთიანობის შესახებ» რეზოლუციის პროექტის მე-7 პარაგრაფში. ამ რეზოლუციის პროექტი მან მოამზადა და რკპ(ბ) X ყრილობამ მიიღო (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 292—298). — **805.**

311 რაფიელის (რ. ბ. ფარბმანის) შესწორება, რომელიც «პარტიის ერთიანობის შესახებ» რეზოლუციის მეოთხე პუნქტს ეხებოდა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 296—297), აყენებდა წინადადებას დაემატებინათ, რომ სადავო საკითხების განხილვა უნდა ხდებოდეს «საერთო კრებებზე და პრესაში». შესწორება უარყვეს. — **806.**

312 ა. ს. კისელიოვი პარტიის X ყრილობაზე «პარტიის ერთიანობის შესახებ» რეზოლუციის მეშვიდე პუნქტის წინააღმდეგ გამოვიდა. ეს პუნქტი ცენტრალურ კომიტეტს რწმუნებას ანიჭებდა გამოეყენებინა როგორც უკიდურესი ზომა ცენტრალური კომიტეტის წევრთა გარიცხვა პარტიიდან ფრაქციულობისათვის. თავის გამოსვლაში კისელიოვმა განაცხადა, რომ ლენინმა, როცა რეზოლუციის ამ პუნქტის მნიშვნელობას ახასიათებდა, იხმარა გამოთქმა «ტყვიამფრქვევების დადგმაო». — **806.**

313 კ. ი. მარჩენკოს შესწორება ეხებოდა «ჩვენს პარტიაში სინდიკალისტური და ანარქისტული გადახრის შესახებ» რეზოლუციის მეექვსე პუნქტს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 303). მარჩენკო წინადადებას აყენებდა, რეზოლუციაში აღვნიშნოთ, რომ სადისკუსიო კრებულები მხოლოდ რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ან ცენტრალური კომიტეტის საოლქო ბიუროებმა უნდა გამოსცენო. შესწორება არ მიიღეს. — **807.**

314 ვ. ი. ლენინის წინადადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომამ მიიღო 1921 წლის 16 მარტს. — **807.**

315 დადგენილების ეს პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დაამტკიცა 1921 წლის 19 მარტს. — **808.**

316 სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე, რომელიც 1921 წლის 11 აპრილს გაიმართა, განიხილეს კონცესიებისა და საკონცესიო საწარმოებში მუშათა მდგომარეობის საკითხი.

ეს საკითხი იმის გამო დაისვა, რომ პროფკავშირულ მუშაკთა ნაწილი რამდენადმე მერყეობდა, ხოლო ა. გ. შლიაპნიკოვი და დ. ბ. რიაზანოვი დემაგოგიურ აგიტაციას ეწეოდნენ კონცესიების წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინმა ფრაქციაზე გააკეთა მოხსენება კონცესიების შესახებ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 375 — 396), კამათის დროს გაილაშქრა შლიაპნიკოვისა და რიაზანოვის განცხადებათა წინააღმდეგ და მოხაზა კამათის მოკლე ჩანაწერი, რომელიც თავის საბოლოო სიტყვაში გამოიყენა. — **308.**

317 ლაპარაკია სახკომსაბჭოს მიერ 1921 წლის 29 მარტს მიღებულ დადგენილებაზე «საკონცესიო ხელშეკრულებათა ძირითადი პრინციპები», რომელსაც საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის პროექტი. ეს დადგენილება ლენინმა წაიკითხა მოხსენებაში კონცესიების შესახებ სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 378 — 394). როცა ამბობდა, რომ სახკომსაბჭომ გადაწყვეტილება მიიღო «წინააღმდეგ ორი მეტად თვალსაჩინო პროფესიონალისტის წინადადებისა», ვ. ი. ლენინი, ალბათ, გულისხმობდა მ. პ. ტომსკისა და ა. ზ. ჰოლცმანს. — **310.**

318 ლაპარაკია შკოლიის გეტებორგის საკისართა ქარხნების სააქციო საზოგადოებასთან (სკფ) საკონცესიო ხელშეკრულების პროექტზე. ხელშეკრულება სკფ-სთან ხელმოწერილ იქნა 1923 წლის აპრილში. — **311.**

319 იგულისხმება ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ქუთაისში საქართველოს რევკომსა და საქართველოს მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლებს შორის 1921 წლის 17 — 18 მარტის მოლაპარაკების შედეგად. — **313.**

320 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს საბჭოთა რუსეთის ის სავაჭრო ხელშეკრულება ინგლისთან, რომელსაც ხელი მოაწერეს 1921 წლის 16 მარტს. — **313.**

321 იგულისხმებიან პროფკავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალის — რეფორმისტულ პროფესიულ კავშირთა საერთაშორისო გაერთიანების ცენტრის მოღვაწენი (დაარსდა ამსტერდამის კონგრესზე, რომელიც მოიწვიეს 1919 წლის ივლისში; იარსება 1945 წლის დეკემბრამდე). — **315.**

322 «ვ ა ბ ე ر ი ო დ» — ყოველდღიური მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა 1917 წლის მარტიდან მოსკოვში როგორც მენშევიკთა მოსკოვის ორგანიზაციის ორგანო, ხოლო შემდეგ როგორც რსდმპ (მენშევიკების) მოსკოვის ორგანიზაციისა და ცენტრალური ოლქის კომიტეტების ორგანო. 1918 წლის 2 აპრილიდან გაზეთი გახდა აგრეთვე მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის ორგანო. 1918 წლის 10 მაისს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის დადგენილებით გაზეთი დაიხურა კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის, მისი ხელმძღვანელები კი სამართალში მისცეს. 14 მაისს გაზეთის გამოცემა განახლდა სახელწოდებით «ვსეგდა ვპერიოდ!». საბოლოოდ გაზეთი დაიხურა 1919 წლის თებერვალში სრულიად რუსეთის ცაკის დადგენილებით. — **315.**

323 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს პროფესიულ კავშირთა საერთაშორისო საბჭო, რომელიც 1920 წლის ივლისში შეიქმნა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტისა და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ინიციატივით როგორც მსოფლიო რევოლუციური პროფესიული მოძრაობის ცენტრი. პროფკავშირთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე 1921 წლის ივლისში გადაერქვა სახელი და ეწოდა პროფესიულ კავშირთა წითელი ინტერნაციონალი (პროფინტერნი). — **320.**

324 პ რ ო ე ქ ტ ი დ ა დ გ ე ნ ი ლ ებ ი ს ა ს ა გ ა რ ე ო ვ ა ჭ რ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს გ ა ნ ა ცხ ა დ ებ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ სახკომსაბჭომ მიიღო ზოგიერთი სარედაქციო შესწორებით 1921 წლის 12 აპრილს. ამ საკითხის დეტალური განხილვა დაევალა სახელმწიფო საგეგმო კომისიას, რის გამო ლენინმა ორი წერილი გაუგზავნა გ. მ. კრჟიჟანოვსკის (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, გვ. 513 — 516). — **324.**

325 «ა ლ გ ე მ ბ ა» — ასე ეწოდებოდა შემოკლებულად ალექსანდროვ-გაი — ემბის რკინიგზის ტოტისა და იმ ნავთობსადენის მშენებლობას, რომელსაც ემბის ნავთობსარეწები უნდა შეეერთებინა ურალთან და სარატოვთან. 1921 წლის 15 აპრილს შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა დადგენილების ეს პროექტი. 29 აპრილს შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ნავთობსადენის მშენებლობის შეწყვეტის შესახებ იმის გამო, რომ მისი სიშორე მოითხოვდა დიდ დანახარჯებს მასალების, მოწყობილობისა და სურსათის მიწოდებისათვის, ხოლო 6 მაისს დაადგინა ალექსანდროვ-გაი—ემბის რკინიგზის მშენებლობა გადაეყვანა დამკვრელური ტემპიდან ჩვეულებრივზე. — **324.**

326 პროექტი დადგენილებისა «სასოფლო-სამეურნეო მანქანების განაწილების შესახებ» განხილულ იქნა 26 აპრილს სახკომსაბჭოს სხდომაზე და ზოგიერთი დამატების შეტანის შემდეგ საბოლოო დამუშავებისათვის გადაეცა მცირე სახკომსაბჭოს. აქ გამოქვეყნებული დოკუმენტი, რომე-

ლიც ვ. ი. ლენინმა დააფორმულა დადგენილების პროექტის მეხუთე პუნქტად, საფუძვლად მიიღეს სახკომსაბჭოს ამავე სხდომაზე. დადგენილება სასოფლო-სამეურნეო მანქანების განაწილების შესახებ საბოლოოდ სახკომსაბჭომ დაამტკიცა 1921 წლის 17 მაისს. — **325.**

327 ეს დოკუმენტი ვ. ი. ლენინმა დაწერა არა უგვიანეს 1921 წლის 27 აპრილისა. იგი საფუძვლად დაედო «უპარტიო მუშებისადმი დამოკიდებულების შესახებ» რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1 მაისის წერილის პროექტს, რომელშიც ლენინმა არაერთი შესწორება შეიტანა და დაწერა დამატება (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 43, გვ. 390 — 392).

4 მაისს რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა წერილის პროექტი ლენინისეული შესწორებებითა და დამატებით, ხოლო 7 მაისს იგი გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდის» № 97-ში როგორც ცირკულარი ყველა საგუბერნიო კომიტეტისადმი, სამაზრო კომიტეტისადმი, კომუნისტური ფრაქციებისა და პროფკავშირებისადმი. — **326.**

328 ხელნაწერის ბოლოს ვ. ი. ლენინმა ფანქრით მიაწერა: «(ბროშურა სოციალისტ-რევოლუციონერებისა და მენშევიკების შესახებ. ...უფლებათა შესახებ)». «უფლებათას» წინ სიტყვა გაურკვევლადაა დაწერილი. როგორც ჩანს, ლენინს მხედველობაში ჰქონდა საერთო კრებების უფლებანი. — **327.**

329 დადგენილების პროექტი 1921 წლის 10 მაისის სხდომაზე მიიღო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ საკითხზე «ქართველი ამხანაგებისადმი დირექტივების შესახებ». — **328.**

330 დადგენილების პროექტი მცირე დამატებებით რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო 1921 წლის 11 მაისს. — **330.**

331 სრულიად რუსეთის პროფკავშირთა IV ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომა, რომელზეც განიხილეს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს საქმიანობა, გაიმართა 1921 წლის 18 მაისს. ყრილობის მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ შექმნილმა კომისიამ შეიმუშავა პროექტი რეზოლუციისა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს საქმიანობის შესახებ, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა პროფკავშირთა ყრილობის რეზოლუციას, და დაავალა კომისიის წევრს, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს მ. პ. ტომსკის შეეტანა ეს პროექტი კომუნისტური ფრაქციის განსახილველად. მაგრამ ტომსკიმ ეს არ გააკეთა. ფრაქციის სხდომაზე მიიღეს დ. ბ. რიაზანოვის მიერ წარდგენილი რეზოლუცია, რომელიც ეწინააღმდეგებოდა პარტიულ გადაწყვეტილებებს პარტიისა და პროფკავშირების ურთიერთობის შესახებ. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის

18 მაისის პლენუმმა დაგმო რიაზანოვის რეზოლუცია, გადაწყვიტა ტომსკი გამოეყვანა კომისიის შემადგენლობიდან და გაეთავისუფლებინა სამუშაოდან სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოში, ხოლო რიაზანოვი ჩამოეშორებინა პროფკავშირული მუშაობისაგან.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით ვ. ი. ლენინი გამოვიდა ფრაქციის სხდომაზე და განმარტა რიაზანოვის მიერ შეტანილი რეზოლუციის ანარქისტ-სინდიკალისტური ხასიათი. ფრაქციამ ხმის უდიდესი უმრავლესობით უარყო რიაზანოვის რეზოლუცია და მიიღო ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია. ლენინის სიტყვის ჩანაწერი სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში არ არის. — **331.**

332 ეს დოკუმენტი ვ. ი. ლენინმა დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ 1921 წლის 18 მაისს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განიხილეს საკითხი, თუ როგორ ხორციელდებოდა პარტიის პროგრამის მე-13 პუნქტი, რომელიც ეხებოდა ღონისძიებებს რელიგიური ურთიერთობის დარგში.

ვ. ი. ლენინის წინადადებანი პლენუმმა მიიღო. — **331.**

333 პლენუმის რეზოლუციის თავდაპირველი პროექტის მე-7 პუნქტი მოითხოვდა: რელიგიისადმი პარტიის დამოკიდებულების საკითხი დაესვათ «პარტიის ყველა უჯრედისა და კომიტეტის წინაშე. აგიტპროპაგანდის განყოფილებას წინასწარ შეემუშავებინა და დაეგზავნა მოხსენების თეზისები. კრებების ოქმები, ისევე როგორც საერთოდ მთელი მასალა, რომელიც ამ საკითხს ეხებოდა, აუცილებლად შეეკრიბათ ადგილებზე, გაეგზავნათ ცენტრალურ კომიტეტში და დაემუშავებინა მოხსენებისათვის რკპ XI ყრილობისადმი» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **331.**

334 რეზოლუციის თავდაპირველი პროექტის მე-10 პუნქტში ნათქვამი იყო, რომ საჭიროა პარტია ყველაზე გადამჭრელ ბრძოლას აწარმოებდეს «კულტის ცალკეულ მსახურთა» იმ ცდების წინააღმდეგ, რომ «შექმნან ეკლესიის ახალი ორგანიზაცია», ამასთან შეუგუონ იგი საბჭოთა ხელმწიფო ორგანიზაციას. — **332.**

335 «ეკონომიჩესკაია ჟიზნ» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა 1918 წლის ნოემბრიდან როგორც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსა და სამეურნეო სახკომატების ორგანო. გაზეთი გამოდიოდა 1937 წლის ნოემბრამდე; უკანასკნელ ხანებში იყო სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის, სახბანკის და სსრ **კავშირ**ის სხვა

საფინანსო დაწესებულებებისა და ბანკის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო. — 384.

336 პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა პროფკავშირთა IV ყრილობის რკ პარტიის ფრაქციის გადაწყვეტილებათა შესახებ დაწერა ვ. ი. ლენინმა იმასთან დაკავშირებით, რომ ფრაქციამ მიიღო ა. ზ. ჰოლცმანის თეზისები ტარიფის საკითხის გამო, რომლებიც არ შეესაბამებოდა ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს. 1921 წლის 22 მაისს ეს პროექტი მიიღო ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ. პროფკავშირთა ყრილობის ფრაქციამ არაერთი საწარმოო პროფკავშირის (მელითონელების, ფეიქრების, მაღაროელების) დელეგაციის, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი პროლეტარული ცენტრების (მოსკოვის, პეტროგრადისა და ივანოვო-ვოზნესენსკის) დელეგაციის წინადადებით გადასინჯა თაეისი გადაწყვეტილება და ხმის უმრავლესობით საფუძვლად მიიღო ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებული ვ. ი. ჩუბარის თეზისები. ფრაქციის მიერ მიღებული თეზისები დაამტკიცა პროფკავშირთა IV ყრილობამ 24 მაისს. — 384.

337 ცენტრალური კომიტეტის ამ გადაწყვეტილების პროექტი დაწერა ვ. ი. ლენინმა (იხ. ლენინის XXIII კრებული, გვ. 142). — 385.

338 ვ. ი. ლენინის შენიშვნები ეხებოდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის იმ გეგმის მეექვსე და მეშვიდე პუნქტებს, რომლებიც შედგენილი იყო სრულიად რუსეთის X პარტიული კონფერენციისათვის. 1921 წლის 28 მაისს კონფერენციამ დაამტკიცა ცენტრალური კომიტეტის მუშაობის გეგმა (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. 1, 1954, გვ. 741 — 743). — 387.

339 ვ. ი. ლენინს ძხედველობაში აქვს საგუბერნიო კომიტეტების საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებათა გამგეების სრულიად რუსეთის თათბირი, რომელიც 1921 წლის მაისისათვის იყო დანიშნული პარტიის ორგანიზაციული მუშაობის უახლოესი ამოცანების განსახილველად. თათბირი არ გამართულა. — 387.

340 სიტყვის გეგმას ვ. ი. ლენინი ამზადებდა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა IV ყრილობაზე გამოსასვლელად, რომელიც 1921 წლის 17 — 25 მაისს გაიმართა. მაგრამ მონაცემები ყრილობაზე ლენინის გამოსვლის შესახებ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს არ მოეპოვება. — 387.

341 «ნ ა რ ო დ ნ ა ი ა ვ ო ლ ი ა» — ნაროდნიკ-ტერორისტთა საიდუმლო პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 1879 წლის აგვისტოში შეიქმნა. დარჩნენ რა ნაროდნიკული უტოპიური სოციალიზმის პოზიციებზე,

ნაროდოვოლცები დაადგნენ პოლიტიკური ბრძოლის გზას, უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნდათ თვითმპყრობელობის დამხობა და პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება. ისინი ვარაუდობდნენ, რომ საზოგადოებას გარდაქმნიდნენ ხალხის მონაწილეობის გარეშე, ინდივიდუალური ტერორის გზით. «ნაროდოვოლცებმა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — წინ გადადგეს ნაბიჯი, პოლიტიკურ ბრძოლაზე რომ გადავიდნენ, მაგრამ სოციალიზმთან მისი დაკავშირება ვერ მოახერხეს» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 69). ორგანიზაცია მეფის მთავრობამ გაანადგურა 1881 წლის 1 მარტს ალექსანდრე II-ის მოკვლის შემდეგ.— **887.**

342 ვერსალის საზავო ხელშეკრულება შემუშავდა პარიზის კონფერენციაზე 1919 წელს, მას შემდეგ, რაც დამთავრდა 1914 — 1918 წლების მსოფლიო იმპერიალისტური ომი, რომელსაც აწარმოებდნენ გერმანია და მისი მოწინააღმდეგენი — ამერიკის შეერთებული შტატები, ბრიტანეთის იმპერია, საფრანგეთი, იტალია, იაპონია და მათთან გაერთიანებული სახელმწიფოები. აძლევდა რა შეფასებას ვერსალის საზავო ხელშეკრულებას, ვ. ი. ლენინი 1920 წლის 15 ოქტომბერს ამბობდა: «ეს გაუგონარი, მტაცებლური ზავია, რომელიც ათეულ მილიონობით ადამიანებს, მათ შორის უაღრესად ცივილიზებულთ, მონების მდგომარეობაში აყენებს» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 393). ვერსალის საზავო ხელშეკრულების მიზანი იყო კაპიტალისტური სამყაროს გადანაწილების დამკვიდრება გამარჯვებულ სახელმწიფოთა სასარგებლოდ, აგრეთვე ქვეყნებს შორის ურთიერთობის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც მიმართული იქნებოდა საბჭოთა რუსეთის ჩასახშობად და მთელი მსოფლიოს რევოლუციური მოძრაობის გასანადგურებლად. — **888.**

343 წერილი პეტროვსკის ჯგუფის მაღაროელებისადმი ვ. ი. ლენინმა დაწერა, როცა მიიღო ი. ი. მეჟლაუკი, პეტროვსკის მეტალურგიული კომბინატის მაშინდელი დირექტორი. წერილმა, რომელიც კომბინატის მუშათა კრებაზე წაიკითხეს, დონბასელ მაღაროელთა მხურვალე შრომითი აღმავლობა გამოიწვია. — **889.**

344 რკპ(ბ) სრულიად რუსეთის X კონფერენცია გაიმართა მოსკოვში 1921 წლის 26 — 28 მაისს. კონფერენციას ესწრებოდა 239 დელეგატი — პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონფერენცია რიგგარეშე იყო. მის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ეკონომიური პოლიტიკა: ა) სასურსათო გადასახადის შესახებ; ბ) კოოპერაციის შესახებ; გ) ფინანსური რეფორმის შესახებ; დ) წვრილი მრეწველობის შესახებ; 2) ესერებისა და მენშევიკების როლი ახლანდელ მომენტში; 3) კომინტერნის III კონ-

გრესი; 4) ინფორმაცია პროფკავშირთა IV ყრილობის შესახებ; 5) ორგანიზაციული საკითხი.

კონფერენციამ ძირითადი ყურადღება დაუთმო ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებას, რადგან ადგილებზე იგი ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ განმარტებული.

კონფერენციის მუშაობა მიმდინარეობდა ვ. ი. ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით. მან შესავალი სიტყვით გახსნა კონფერენცია, გამოვიდა დღის წესრიგის საკითხის გამო, გააკეთა მოხსენება სასურსათო გადასახადის შესახებ და წარმოთქვა საბოლოო სიტყვა ამ საკითხზე, არაერთხელ გამოვიდა «ეკონომიური პოლიტიკის შესახებ» რეზოლუციის განხილვის დროს. კონფერენციამ მოისმინა ვ. ი. ლენინის დამატებითი ინფორმაცია ძირითადი მოხსენებისათვის პროფკავშირთა IV ყრილობის მუშაობის შესახებ. ლენინმა სიტყვა წარმოთქვა კონფერენციის დახურვისას. იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32. გვ. 509 — 556 — **339.**

345 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს რეზოლუციის პროექტის პირველი პუნქტის შესწორება (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 551) შესწორების ავტორის წინადადება იყო დაემატებინათ სიტყვები: «რამდენადაც არ იცვლება მსოფლიო რევოლუციის პირობები». ხმის უმრავლესობით შესწორება უარყვეს. — **340.**

346 ვ. ი. ლენინის გამოსვლა გამოწვეული იყო რეზოლუციის პროექტის მესამე პუნქტის შესწორებით. ამ პუნქტის ბოლოს ნათქვამი იყო: «ბრძოლა გამოეცხადოს ანარქიულ საქონელცვლას (ე. ი. ისეთ საქონელცვლას, რომელიც გაურბის სახელმწიფოს ყოველგვარ კონტროლსა და მეთვალყურეობას) მისი თავმოყრით უმთავრესად კოოპერაციის ხელში, ისე რომ სრულიადაც არ იქნეს შეზღუდული წესიერი თავისუფალი ვაჭრობა». შესწორების ავტორის წინადადება იყო ფრაზის ბოლო ნაწილი სიტყვიდან «სრულიადაც» შეეცვალათ სიტყვებით: «მოისპოს ყოველი შიშველი ადმინისტრირება ამ საქონელცვლით». შესწორება უარყვეს. — **341.**

347 ვ. ი. ლენინის გამოსვლა გამოწვეული იყო რეზოლუციის პროექტის მეხუთე პუნქტის შესწორებით. ეს პუნქტი ითვალისწინებდა თითოეული მსხვილი საწარმოს დამოუკიდებლობისა და ინიციატივის გაფართოებას ფინანსური სახსრებისა და მატერიალური რესურსების გამოყენებაში. შესწორების ავტორის წინადადება იყო ეს პუნქტი საბჭოთა მეურნეობებზედაც გავრცელებინათ. შესწორება უარყვეს.— **342.**

348 იგულისხმება რეზოლუციის მეცხრე პუნქტის შესწორება. შესწორების მიხედვით უნდა შეეტანათ შემდეგი დამატება: «განსაკუთრებული

ყურადღება მიექცეს ადგილების ფაქტობრივ და მატერიალურ ინიციატივასა და დამოუკიდებლობას». შესწორება უარყვეს. — **342.**

349 ლაპარაკია ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულებებისათვის შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესის პროექტის შემმუშავებელ კომისიაზე, რომელიც 1921 წლის 20 მაისს შექმნა შრომისა და თავდაცვის საბჭომ — **343.**

350 ვ. ი. ლენინის მეხუთე გამოსვლა გამოწვეული იყო იმ შესწორებით, რომელიც წამოყენებულ იქნა რეზოლუციის პროექტის მეათე პუნქტში შესატანად. ეს პუნქტი ითვალისწინებდა: «დაწესდეს ცენტრალურ დაწესებულებათა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ადგილობრივი ინიციატივის შეფერხებისა და არასაკმაოდ ხელშეწყობისათვის» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 583). შესწორების ავტორის წინადადება იყო შეეტანათ შემდეგი დამატება: «გაძლიერდეს აგრეთვე დასჯითი ღონისძიებანი უყაირათობისა და სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის და მუშახელის ხარჯვისათვის». შესწორება მიღებულ იქნა რეზოლუციის მეექვსე პუნქტისათვის. — **343.**

351 რეზოლუციის პროექტის მეექვსე პუნქტი ეხებოდა მუშათა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების საკითხს. — **343.**

352 ვ. ი. ლენინის გამოსვლა გამოწვეული იყო კისელიოვის წინადადებით. კისელიოვი მოითხოვდა რეზოლუციაში შეეტანათ პუნქტი იმ პირების მიმართ კოლექტიური რეკომენდაციის (3 კაცამდე) სისტემის შემოღების შესახებ, რომლებიც განაგებენ სახელმწიფო ქონებას, ამასთან აღნიშნული უნდა ყოფილიყო რეკომენდატორის მიმართ სასჯელის ღონისძიებანი. ხმის უმრავლესობით წინადადება უარყვეს. — **344.**

353 ვ. ი. ლენინის გამოსვლა გამოწვეული იყო იმ შესწორებით, რომელიც წამოყენებულ იქნა რეზოლუციის მეორე პუნქტში შესატანად (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 551). შესწორების ავტორის წინადადება იყო აღენიშნათ რეზოლუციაში, რომ სამეურნეო მშენებლობაში პირველი ადგილი ენიჭება სასურსათო გადასახადს. შესწორება უარყვეს. — **344.**

354 ვ. ი. ლენინის წინადადებანი მიიღეს 1921 წლის 21 ივნისს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე როგორც დირექტივა კომისიისათვის პარტიის წმენდის შესახებ. ეს წინადადებანი ზოგიერთი ცვლილებით შევიდა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 25 ივნისის დადგენილებაში პარტიის შემოწმების, გადასინჯვისა და წმენდის საკითხზე. ამ დადგენილების შემუშავებასთან დაკავშირებით ლენინმა მოხაზა შენიშვნები პარტიაში მიღების პირობების შესახებ (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 43, გვ. 362). ლენინის

შენიშვნები აგრეთვე გათვალისწინებული იყო ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებაში. — **348**.

355 კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი ინ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს III კ ო ნ გ რ ე ს ი გაიმართა მოსკოვში 1921 წლის 22 ივნისს — 12 ივლისს. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა 52 ქვეყნის 103 ორგანიზაციის, მათ შორის 48 კომუნისტური პარტიის, 8 სოციალისტური პარტიის, 28 ახალგაზრდობის კავშირის, 4 სინდიკალისტური ორგანიზაციის, 2 ოპოზიციური კომუნისტური პარტიის (გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია და ესპანეთის მუშათა კომუნისტური პარტია) და 13 სხვა ორგანიზაციის 605 დელეგატი (291 გადამწყვეტი ხმით და 314 სათათბიროთი). რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) კონგრესზე წარმოდგენილი იყო 72 დელეგატით; დელეგაციას ვ. ი. ლენინი მეთაურობდა.

კონგრესმა განიხილა საკითხები: მსოფლიო სამეურნეო კრიზისი და კომუნისტური ინტერნაციონალის ახალი ამოცანები; მოხსენება კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის საქმიანობის შესახებ; გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია; იტალიის საკითხი; კომუნისტური ინტერნაციონალის ტაქტიკა; პროფესიულ კავშირთა წითელი საერთაშორისო საბჭოს დამოკიდებულება კომუნისტური ინტერნაციონალისადმი; ბრძოლა ამსტერდამის ინტერნაციონალის წინააღმდეგ; რკპ(ბ) ტაქტიკა; კომუნისტური ინტერნაციონალი და კომუნისტური ახალგაზრდობის მოძრაობა; ქალთა მოძრაობა; გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტია და სხვა საკითხები.

მთელ მუშაობას კონგრესის მომზადებისა და ჩატარებისათვის ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი. მან დაწერა «თეზისები მოხსენებისა რკპ ტაქტიკის შესახებ», რომლებიც კონგრესმა მიიღო, წარმოთქვა სიტყვები იტალიის საკითხზე, კომუნისტური ინტერნაციონალის ტაქტიკის დასაცავად, გააკეთა მოხსენება რკპ(ბ) ტაქტიკის შესახებ, ხელმძღვანელი მონაწილეობა მიიღო კონგრესის ყველა ძირითადი გადაწყვეტილების პროექტების შემუშავებაში, წარმოთქვა სიტყვები კომისიებში, კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის გაფართოებულ სხდომებზე, კონგრესის დელეგატთა თათბირებზე. იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 575 — 633.

პროექტი «თეზისებისა კომუნისტური პარტიების ორგანიზაციული მშენებლობის, მათი მუშაობის მეთოდებისა და შინაარსის შესახებ» კომინტერნის III კონგრესისათვის შეიმუშავა ო. ვ. კუუსინენმა. 1921 წლის 6 ივნისს მან ვ. ი. ლენინს გაუგზავნა ნაწილი თავისი სტატისა ორგანიზაციულ საკითხზე და თეზისები, რომლებიც სტატიის ძირითად დებულებებს წარმოადგენენ. ლენინის მითითებათა საფუძველზე კუუსინენმა გადაამუშავა თეზისები და 17 ივნისს ისევ (გარდა 25 —

29 პარაგრაფებისა, რომლებიც პარტიულ პრესას ეხებოდნენ) გაუგზავნა ლენინს; 21 ივნისს გაუგზავნა თეზისების დანარჩენი ნაწილი (25 — 29 პარაგრაფები). როგორც ჩანს, ვ. ი. ლენინს კვლავ წაუკითხავს თეზისების ეს ვარიანტი. 27 ივნისს ო. ვ. კუუსინენმა ვ. ი. ლენინს გაუგზავნა მესამე ვარიანტი თეზისებისა ორგანიზაციულ საკითხზე ლენინის მითითებათა საფუძველზე მათი გადამუშავების შემდეგ. თეზისების საბოლოო დამუშავებაში მონაწილეობდა აგრეთვე გერმანელი კომუნისტი ვ. კიონენი. 9 ივლისს ვ. ი. ლენინმა მოიწონა თეზისები და გამოთქვა თავისი უკანასკნელი შენიშვნები და დამატებანი ამ თეზისებისათვის (იხ. ეს ტომი, გვ. 351 — 352). კომისიაში განხილვის შემდეგ თეზისები ზოგიერთი ცვლილებით 12 ივლისს მიიღო კომინტერნის III კონგრესმა (იხ. «კომუნისტური ინტერნაციონალი დოკუმენტებში. კომინტერნის კონგრესებისა და კომინტერნის აღმასკომის პლენუმების გადაწყვეტილებანი, თეზისები და მოწოდებანი. 1919 — 1932». მოსკოვი, 1933, გვ. 201 — 225). — **849.**

356 მოხსენება ორგანიზაციული საკითხის შესახებ კომინტერნის III კონგრესზე 1921 წლის 10 ივლისს წაიკითხა გერმანელმა კომუნისტმა ვ. კიონენმა. — **849.**

357 ამის შესახებ იხ. აგრეთვე წინა დოკუმენტი. — **851.**

358 ვ. ი. ლენინის შენიშვნები გაითვალისწინეს ო. ვ. კუუსინენმა და ვ. კიონენმა (იხ. «კომუნისტური ინტერნაციონალი დოკუმენტებში. კომინტერნის კონგრესებისა და კომინტერნის აღმასკომის პლენუმების გადაწყვეტილებანი, თეზისები და მოწოდებანი, 1919 — 1932». მოსკოვი» 1933, გვ. 221 და 223 — 224). — **852.**

359 ეს დოკუმენტი დაწერილია კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესისათვის ტაქტიკის შესახებ თეზისების მომზადებასთან დაკავშირებით. თეზისების დამუშავება დაევალა კონგრესის რუსეთის დელეგაციას.

1921 წლის 1 ივნისს კ. ბ. რადეკმა ვ. ი. ლენინს გაუგზავნა პროექტი თეზისებისა ტაქტიკის შესახებ შესწორებებითურთ, რომლებიც მასში შეიტანეს ა. ტალჰაიმერისა და ბ. კუნის წინადადებებით, და თეზისების პროექტი, რომელიც მათ შეადგინეს. გაგზავნილი მასალების კონვერტზე ლენინმა მოხაზა თავისი თავდაპირველი შენიშვნები ტაქტიკის შესახებ თეზისების პროექტებისათვის (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 44, გვ. 435), შემდეგ კი დაწერა ქვემოთ გამოქვეყნებული გაშლილი შენიშვნები.

ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე პროექტი თეზისებისა კომინტერნის ტაქტიკის შესახებ გადაამუშავეს, განიხილეს წინასწარ თათბირებზე მთელ რიგ დელეგაციებთან ერთად და რუსეთის დელე-

გაციის სახელით შეიტანეს III კონგრესზე. 1 ივლისს ვ. ი. ლენინმა კონგრესზე წარმოთქვა სიტყვა კომინტერნის ტაქტიკის დასაცავად (იხ. თხზულებანი. მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 596 — 608). 12 ივლისს თეზისები ერთხმად მიიღო კონგრესმა (იხ. «კომუნისტური ინტერნაციონალი დოკუმენტებში. კომინტერნის კონგრესებისა და კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის პლენუმების გადაწყვეტილებანი, თეზისები და მოწოდებანი. 1919—1932». მოსკოვი, 1933, გვ. 180—201).—**852.**

360 *KAPD* (Kommunistische Arbeiter Partei Deutschlands) — გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია, შეიქმნა 1920 წლის აპრილში იმ «მემარცხენე» კომუნისტებისაგან, რომლებიც გერმანიის კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს 1919 წელს ჰაიდელბერგის ყრილობაზე. 1920 წლის ნოემბერში, იმისათვის რომ გაეადვილებინათ გერმანიის მთელი კომუნისტური ძალების გაერთიანება და ხელი შეეწყოთ გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტიის საუკეთესო პროლეტარული ელემენტებისათვის, იგი დროებით მიიღეს კომინტერნში თანამგრძნობი წევრის უფლებებით. მაგრამ ერთადერთ სრულუფლებიან სექციად კომინტერნის აღმასკომს მიაჩნდა გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტია. კომინტერნში მიღებისას გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტიის წარმომადგენლებს დაუდეს პირობა შეერთებოდნენ გერმანიის გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიას და მხარი დაეჭირათ მისთვის ყველა მოქმედებაში. კომინტერნის III კონგრესმა, რომელიც იბრძოდა მუშებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ მიჰყვებოდნენ გერმანიის კომუნისტურ მუშათა პარტიას, დაადგინა მიეცათ მისთვის 2—3 თვის ვადა, რომლის განმავლობაში უნდა მოეწვია ყრილობა და გადაწყვიტა გაერთიანების საკითხი. III კონგრესის სახელით აღმასკომმა მიმართა მოწოდებით «გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტიის წევრებს», რომელშიც მოიყვანა კონგრესის გადაწყვეტილებანი, აღნიშნა, რომ გერმანიის კომუნისტურ მუშათა პარტიას მართებს ხელი აიღოს სექტანტობაზე და გაერთიანდეს გერმანიის გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიასთან. გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელობამ არ შეასრულა III კონგრესის გადაწყვეტილებანი და განაგრძო თავისი გამთიშველი საქმიანობა. კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომი იძულებული გახდა გაეწყვიტა მასთან ურთიერთობა. გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია კომინტერნის გარეთ დარჩა. შემდგომ გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია გადაგვარდა გერმანიის მუშათა კლასისადმი მტრულ უბადრუკ სექტანტურ ჯგუფად, რომელსაც არავითარი დასაყრდენი არ ჰქონდა მუშათა კლასში. — **855.**

361 იტალიის საკითხი გამოტანილ იქნა კომინტერნის III კოხგრესის განსახილველად იმასთან დაკავშირებით, რომ იტალიის სოცია-

ლისტურმა პარტიამ პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ კომინტერნის აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება გ-ერიცხა იგი კომინტერნიდან და იტალიის კომუნისტური პარტია ეცნო კომინტერნის ერთადერთ სექციად იტალიაში.

კომინტერნის III კონგრესმა 1921 წლის 29 ივნისს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება იტალიის სოციალისტური პარტიის შესახებ: «სანამ იტალიის სოციალისტური პარტია არ გარიცხავს თავისი რიგებიდან რეჯიო-ემილიის რეფორმისტული კონფერენციის მონაწილეებს და იმათ, ვინც მხარს უჭერს მათ, იტალიის სოციალისტური პარტია ვერ იქნება კომუნისტური ინტერნაციონალის წევრი.

ამ წინასწარი ულტიმატური მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში III მსოფლიო კონგრესი დაავალებს აღმასკომს განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, რათა რეფორმისტული და ცენტრისტული ელემენტებისაგან განთავისუფლებული იტალიის სოციალისტური პარტია გაერთიანდეს იტალიის კომუნისტურ პარტიასთან და ისინი კომუნისტური ინტერნაციონალის ერთიან სექციად გადაიქცნენ («კომუნისტური ინტერნაციონალი დოკუმენტებში. კომინტერნის კონგრესებისა და კომინტერნის აღმასკომის პლენუმების გადაწყვეტილებანი, თეზისები და მოწოდებანი, 1919—1932». მოსკოვი, 1933 გვ. 164). მაგრამ იტალიის სოციალისტურ პარტიას არ შეუსრულებია კომინტერნის III კონგრესის ეს გადაწყვეტილება.

1923 წლის გაზაფხულზე იტალიის სოციალისტური პარტიის შიგნით შეიქმნა მემარცხენე ფრაქცია — «მესამეინტერნაციონალისტები» (დ.-მ. სერატი, ფ. მაფი და სხვ.), რომელმაც მოითხოვა იტალიის კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანება. 1924 წლის აგვისტოში «მესამეინტერნაციონალისტები» შეუერთდნენ იტალიის კომუნისტურ პარტიას. — **856.**

362 როგორც ჩანს, ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს კომუნისტური ინტერნაციონალის ტაქტიკის საკითხზე თეზისების თავდაპირველი პროექტის შემდეგი ტექსტი, რომელიც კ. ბ. რადეკმა წარადგინა: «მათ (ზოგერთი ქვეყნის კომუნისტური პარტიების ცენტრისტულმა, რადეკის თქმით, ჯგუფებმა. — რ ე დ.), რაკი დაინახეს, რომ კომუნისტურ ინტერნაციონალს სურს შექმნას მხოლოდ ნამდვილი რევოლუციური მასობრივი პარტიები, საშინელი ყვირილი ატეხეს, კომინტერნი სექტანტობაში ვარდებაო. ასე მოქმედებენ ლევის ჯგუფი გერმანიაში, შმერალისა — ჩეხოსლოვაკიაში და ა. შ. ამ ჯგუფების ხასიათი საკმაოდ ნათელია. ესენი არიან ცენტრისტული ჯგუფები, რომლებიც რევოლუციის პასიური ლოდინის პოლიტიკას ნიღბავენ კომუნისტური ფრაზებითა და თეორიებით. შმერალის ჯგუფმა მაშინაც კი გააჭიანურა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის შექმნა, როცა ჩეხო-

სლოვაკიელ მუშათა უმრავლესობა კომუნიზმის პოზიციებზე იდგა» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **358.**

363 ბ. შმერალის მოხსენება ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის დამ-უუძნებელ ყრილობაზე არასრულად გამოქვეყნდა გაზეთ «Vorwärts»-ში, რომლის გარშემო დაჯგუფდნენ ჩეხოსლოვაკიის «მემარცხენენი» კ. კრაიბიხის მეთაურობით.

ვ. ი. ლენინის წინადადებანი მიიღო ტაქტიკის კომისიამ. ტაქტიკის შესახებ თეზისების ის ნაწილი, რომელიც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას ეხებოდა, რედაქტირებულ იქნა ვ. ი. ლენინის წინადადებების შესაბამისად. — **359.**

364 1921 წლის ივლისის დამდეგს ბერლინის მუნიციპალურ საწარმოთა მუშებმა და მოსამსახურეებმა გადაწყვიტეს გამოეცხადებინათ გაფიცვა. ისინი მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას. გაფიცვას მხარი დაუჭირა მუშათა უმრავლესობამ (დაახლოებით 80 ათასმა). მაგრამ რეფორმისტებმა მოახერხეს თავიდან აეცილებინათ გაფიცვა: გაიმართა მუშებისა და მოსამსახურეების მოლაპარაკება ბერლინის მაგისტრატთან, სადაც სოციალ-დემოკრატები იყვნენ მოკალათებულნი. მოლაპარაკების შედეგად მუშებსა და მოსამსახურეებს ცოტათი გაუდიდდათ ხელფასი. — **362.**

365 1921 წლის ივლისის პირველ რიცხვებში ლილის (საფრანგეთი) ბამბეულის ფაბრიკების მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა იმის გამო, რომ ფაბრიკანტებმა შეუმცირეს ხელფასი. გაფიცვა არაერთ დეპარტამენტს მოედო. სექტემბრის პირველ ნახევარში გამოცხადდა საფრანგეთის ჩრდილოეთის რაიონის მუშათა საყოველთაო გაფიცვა. მიუხედავად იმისა, რომ მუშები მტკიცედ იბრძოდნენ ორი თვის განმავლობაში. გაფიცვამ მარცხი განიცადა პროფკავშირთა ხელმძღვანელობის რეფორმისტული ტაქტიკისა და არახელსაყრელი ეკონომიური პირობების გამო. — **362.**

366 დაწვრილებითი ცნობა რომის მუშათა მასობრივ მიტინგზე, რომელიც 1921 წლის 8 ივლისს გაიმართა, დაიბეჭდა 1921 წლის 10 ივლისს «პრავდის» № 149-ში. — **362.**

367 პროექტი დადგენილებისა საბჭოთა დაწესებულებებში მოსამსახურეთა შრომის კოლექტიური ანაზღაურების შესახებ სახკომსაბჭოში განიხილებოდა 1921 წლის 14, 21, 24, 28 ივნისსა და 8 ივლისს. კოლექტიური მომარაგების სისტემის არსი იყო ის, რომ გაუქმდა პირადი მომარაგება ბარათებითა და სიებით, აგრეთვე ნატურალური პრემირება. მუშათა და მოსამსახურეთა მთელი მომარაგება წარმოებდა მხოლოდ

და მხოლოდ ხელფასის ფორმით, მისი ოდენობა კი განისაზღვრებოდა მთლიანად თითოეული საწარმოსათვის, ე. ი. კოლექტიურად ყველა მისი მუშისა და მოსამსახურისათვის. 24 ივნისს სახკომსაბჭო? მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეთა შრომის კოლექტიურ ანაზღაურებაზე გადასვლის შესახებ მოსკოვსა და პეტროგრადში 1 ივლისიდან, ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ ადგილებში არა უადრეს 1 სექტემბრისა და შექმნა კომისია, რომელსაც დაავალა დაემუშავებინა «პროექტი, რათა ზუსტად განესაზღვრა თუნდაც მცირე მიახლოებითი მონაცემების საფუძველზე, რამდენი მოსამსახურე დარჩება შემცირების შემდეგ და როგორი იქნება მათი ფულადი და ნატურალური ანაზღაურება». 1921 წლის 28 ივნისს ა. ბ. ხალატოვისა და ლ. ი. გინზბურგის მოხსენების გამო სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეთა შრომის კოლექტიური ანაზღაურების შესახებ «ა» პუნქტის შესწორებებით, რომლებიც ვ. ი. ლენინმა წამოაყენა, და «ბ» პუნქტი მისივე ფორმულირებით. დადგენილების საბოლოო ტექსტი სახკომსაბჭომ მიიღო 1921 წლის 8 ივლისს. — **365.**

368 წინადადება საწარმოთა პრემირების შესახებ ვ. ი. ლენინმა დაწერა იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო 1921 წლის 7 ივლისს ა. ს. კისელიოვის მოხსენების გამო «მეურნეობის უდეფიციტოდ წარმოებაზე საწარმოთა და დაწესებულებათა გადაყვანის დაჩქარების შესახებ». პოლიტბიუროს დადგენილებაში ნათქვამი იყო: «დაეკალოთ საბჭოთა დაწესებულებებს უფრო ენერგიულად განახორციელონ ღონისძიებანი, რათა მეურნეობის უდეფიციტოდ წარმოებაზე გადაიყვანონ როგორც ცალკეული საწარმოები, ისე საბჭოთა დაწესებულებანი». — **366.**

369 შიმშილობის გამო, რომელიც 1921 წელს მოედო ვოლგისპირეთსა და უკრაინის სამხრეთს, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1921 წლის 9 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება სასურსათო სამუშაოზე რაც შეიძლება მეტი კომუნისტის გადაყვანის შესახებ.

«შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი შ ი მ შ ი ლ თ ა ნ ბ რ ძ ო ლ ი ს ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ე ბ ი ს ა და ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ უ შ ა ო ბ ი ს გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» ლენინს, როგორც ჩანს, დაუწერია პოლიტბიუროს სხდომისათვის ამ საკითხის მომზადებასთან დაკავშირებით. — **366.**

370 «ცენტროსოიუზის» საკითხი სახკომსაბჭომ განიხილა 1921 წლის 15 ივლისის სხდომაზე. მოისმინეს მოხსენებანი ლ. მ. ხინჩუკისა «საქონელგაცვლის დაყენებისა და ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერებისა და დაჩქარების აუცილებლობის შესახებ» და ნ. პ. ბრიუხანოვისა

«როგორ ხორციელდება «ცენტროსოიუზისადმი» მეთვალყურეობა იმ მიზნით, რომ შეასრულოს სახალხო კომისართა საბჭოს 1921 წლის 14 ივნისის დადგენილება და საქონელგაცვლის საშუალებით შეიძინოს რაც შეიძლება მეტი პური». ორივე მოხსენების გამო მიღებულ იქნა საერთო რეზოლუცია, რომელშიც შევიდა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი წინადადებანი.— **368.**

371 წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა რ კ პ (ბ) ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ა დ მ ი დაიწერა რკპ (ბ) ციმბირის ბიუროსა და ციმბირის რევკომის თეზისების გამო «ციმბირის საბჭოთა დაწესებულებებისა და ციმბირის პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციის ფორმების შეახებ». თეზისებში დასაბუთებული იყო, რომ საჭიროა ციმბირში არსებობდეს საოლქო საბჭოთა ცენტრი შესაბამისი სამეურნეო და სამხედრო განყოფილებებით, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის წარმომადგენლობა, აგრეთვე საოლქო პარტიული ცენტრიო. ციმბირის ბიუროსა და ციმბირის რევკომის აზრით, ორივე ეს ცენტრი უნდა აგებულიყო დანიშვნის პრინციპით.

თეზისებისათვის დართულ მოხსენებით ბარათში ნათქვამი იყო, რომ ამ საკითხს განიხილავენ მომავალ ციმბირის IV საოლქო პარტიულ კონფერენციაზე, რომელზეც მოსალოდნელია გამოვიდნენ ორი მიმდინარეობის წარმომადგენლები: ერთისა, რომელიც უარყოფს ციმბირის საოლქო ცენტრების არსებობის საჭიროებას, და მეორისა, რომელიც საჭიროდ თვლის, რომ ისინი შეიქმნას არჩევითობის პრინციპითო. 1921 წლის 29 ივლისს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიურომ ძირითადად დაამტკიცა ციმბირის ბიუროს თეზისები. ხელნაწერში მე-4 და მე-5 პუნქტი ვ. ი. ლენინს წაუშლია. — **369.**

372 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, განიხილა რა 1921 წლის 8 აგვისტოს ტრანსპორტის მდგომარეობის საკითხი, დაამტკიცა ფ. ე. ძერჟინსკის დასკვნები ვ. ი. ლენინის მიერ შეტანილი ცვლილებებით.

დასკვნების პირველ პუნქტში ნათქვამი იყო, რომ ყველა პარტიულმა და საბჭოთა ორგანომ უნდა განახორციელოს ღონისძიებანი, რათა გამოაჯწორონ ტრანსპორტის მდგომარეობა და დაეხმარონ მას.

დასკვნების მეორე — მეოთხე პუნქტში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საჭიროა გაძლიერდეს გზათა სახალხო კომისარიატის კომისართა აპარატი პასუხისმგებელი მუშაკებით, გამოიცეს ცირკულარი რკპ(ბ) ყველა საგუბერნიო კომიტეტისადმი ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ და რკპ(ბ) საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებაში შეიქმნას ტრანსპორტის ქვეგანყოფილება ტრანსპორტზე პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობისათვის.

დასკვნების მეხუთე პუნქტით გათვალისწინებული იყო, რომ გზათა სახალხო კომისარიატს გადასცემოდა ტრანსპორტისათვის საჭირო საწარმოები. — **370.**

373 საკითხი, რომ საზღვარგარეთ შეექმნათ საინფორმაციო ბიურო, რომელიც შეკრებდა ცნობებს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შესახებ, განიხილეს კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმზე 1921 წლის 17 აგვისტოს. ლენინის წინადადება მიიღეს.

მალე ე. ს. ვარგამ ვ. ი. ლენინს გაუგზავნა თავისი პროექტი — «ინფორმაციის ორგანიზაცია კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომში». პროექტით გათვალისწინებული იყო ინფორმაციის ინსტიტუტის შექმნა, რომელიც საჭირო მასალას მიაწვდიდა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომს. პროექტში გამოთქმული იყო მოსაზრებანი ინსტიტუტის მუშაობის მეთოდებზე, დასახული იყო ინსტრუქციები ეკონომიურ-სოციალური ანგარიშებისა და პოლიტიკური ინფორმაციის შედგენის შესახებ.

1921 წლის 31 აგვისტოს ვ. ი. ლენინმა ვარგას გაუგზავნა შენიშვნები მის პროექტზე — «სავარაუდო შესწორებები, ანუ თეზისები ინფორმაციის ინსტიტუტის მოწყობის შესახებ ამხ. ე. ვარგას პროექტისათვის» (იხ. ეს ტომი, გვ. 375 — 379).

ვ. ი. ლენინის 1921 წლის 1 სექტემბრის წერილი (იხ. ეს ტომი, გვ. 378 — 379) პასუხია ე. ს. ვარგასადმი, რომელიც თავის 1921 წლის 31 აგვისტოს წერილში ვლადიმერ ილიას ძისადმი საინფორმაციო ინსტიტუტის შესახებ მისი თეზისების გამო წერდა, რომ «ღრმა პრინციპული უთანხმოებანია ამ ინსტიტუტის მ ი ზ ნ ი ს გამო». ტროცკი, ზინოვიევი და რადეკი, წერდა ვარგა, ფიქრობენ რომ ეს ინსტიტუტი უწინარეს ყოვლისა უნდა ემსახურებოდეს კომუნისტური ინტერნაციონალის შინაგან ინფორმაციას. «თქვენს თეზისებში კი ს ი მ ძ ი მ ი ს ც ე ნ ტ რ ი თ ი თ ქ ო ს გადატანილია შუა ევროპის მ უ შ ა თ ა მ ო ძ რ ა ო ბ ი ს პ რ ე ს ი ს ინ ფ ო რ მ ა ც ი ა ზ ე, ხოლო კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის ინფორმაცია მეორე პლანზე გადადის. მიზნის ამ შეცვლაზე დამოკიდებულია ყველა სხვა ცვლილება (ლეგალობა, კომინტერნისაგან სრული დამოუკიდებლობა)». «მაშასადამე, საჭიროა პრინციპულად გადაწყდეს: უნდა ჰქონდეს თუ არა ინსტიტუტს მიზანი: a) ინფორმაციას აწვდიდეს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომს? b) გავლენას ახდენდეს მუშათა პრესაზე თავისი პუბლიკაციებით? c) გააერთიანოს ორივე ამოცანა? ამ საკითხის გადაჭრაზე დამოკიდებულია, ჩემი აზრით, ყველა ორგანიზაციული საკითხი» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). ინფორმაციის ინსტიტუტის შექმნის გეგმა არ განხორციელებულა. — **374.**

374 ეს პროექტი დაწერილია წერილზე, რომელიც სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ს. უნშლიხტმა გაუგზავნა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს და რომელშიც ნათქვამი იყო: «სრულიად რუსეთის ცაკის უკანასკნელ სესიაზე დადგინდა, რომ სექტემბრის სხდომაზე მოესმინათ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გამომკვლევი კომისიის მოხსენება. გთხოვთ მოგვცეთ მითითებანი:

1. საჭიროა თუ არა საერთოდ ასეთი მოხსენების გაკეთება. 2. თუ უნდა გაკეთდეს, რა მიმართულებით» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

ვ. ი. ლენინის წინადადება მიღებულ იქნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1921 წლის 25 აგვისტოს სხდომაზე. — **374.**

375 წინადადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსადმი დაიწერა ციმბირის რევკომის თავმჯდომარის ი. ნ. სმირნოვის 1921 წლის 26 აგვისტოს დეპეშის გამო, რომელიც იუწყებოდა ბარონ უნგერნის დაპატიმრებას.

პოლიტბიუტრომ მიიღო ვ. ი. ლენინის წინადადება.

ბარონი უნგერნი 15 სექტემბერს გაასამართლეს. სასამართლოზე გამოააშკარავეს უნგერნისა და მის ხელშემწყობთა მთელი რიგი ბრალმოქმედებანი: ურგა (ამჟამად ულან-ბატორი) რომ ჩაიგდო ხელში, მან ბრძანა დაეხვრიტათ «ცენტროსოიუზისა» და ქალაქის გამგეობის მოსამსახურენი; მისი ბრძანებით ძარცვავდნენ და ჟლეტდნენ მშვიდობიან მცხოვრებლებს და დაწვეს ქალაქი. გასამართლების დროს გამოირკვა, რომ ბარონ უნგერნს კავშირი ჰქონია ჩინელ მილიტარისტებთან (ჯან ძო-ლინი) და იაპონელ ინტერვენტებთან. ბარონ უნგერნს დახვრეტა მიესაჯა. — **375.**

376 ე. ს. ვარგას პროექტი «ინფორმაციის ორგანიზაცია კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომში» შეიცავდა ორ დამატებას: «დამატება A — ინსტრუქცია ეკონომიურ-სოციალური ანგარიშების შედგენის შესახებ» და «დამატება B — ინსტრუქცია ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის თაობაზე ანგარიშების შედგენის შესახებ». პირველი ინსტრუქციით გათვალისწინებული იყო:

1. ანგარიშების მიზანი — მოგვცეს დინამიკური სურათი რევოლუციური მოძრაობის განვითარებისა ჩვენს ქვეყანაში და მისი ანალიზი.

2. ოთხი ფაქტორი, რომლებიც განსაზღვრავენ რევოლუციურ განვითარებას:

ა) კომპარტია — რევოლუციური მოძრაობის მამოძრავებელი ძალა;

ბ) პროლეტარიატი — რევოლუციური მასა;

გ) გაბატონებული კლასები — მოწინააღმდეგე;

დ) წვრილბურჟუაზიული საშუალო ფენები.

ანგარიშმა უნდა გვიჩვენოს ძალების განაწილება.

3. ამოსავალი მომეხტი უნდა იყოს პროლეტარიატისა და საშუალო ფენების ეკონომიური მდგომარეობის, სოციალური მდგომარეობის გაშუქება.

4. ახგარიშს უნდა შეადგენდეს მოკლე მიმოხილვა (5 — 10 გვ.) და დაწვრილებითი დამატება.

მეორე ინსტრუქცია შეიცავდა შემდეგ განყოფილებებს (ნაწილებს): I) კომუნისტური პარტიები; II) არაკომუნისტური პროლეტარული პარტიები; III) ბურჟუაზიული პარტიები; IV) შეიარაღებული ძალების ორგანიზაცია.

ე. ს. ვარგას ინსტრუქციის I ნაწილის («კომუნისტური პარტიები») მე-3 და მე-4 პარაგრაფებში (დამატება B), რომლებსაც ქვემოთ ლენინი ეხება, ლაპარაკია ლეგალურ და არალეგალურ პარტიულ უჯრედებზე, პარტიული ლიტერატურის გავრცელებაზე, მოწოდებებზე, ბროშურებზე, წიგნებზე და არალეგალური პარტიული ლიტერატურის გამოშვებაზე. — **377.**

377 ვ. ი. ლენინის მიერ შეთავაზებული დადგენილება პოლიტბიურომ მიიღო 1921 წლის 2 სექტემბერს. მეორე დღეს, 3 სექტემბერს, ვ. ი. ლენინმა კომინტერნის აღმასკომის მდივანს მიმართა წერილით, რომელშიც სთხოვდა მოეწყო ცნობების შეკრება რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად ევროპის მუშების შეწირულებათა შესახებ (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 53, დოკუმენტი 270). საბჭოთა პრესაში საერთაშორისო პროლეტარიატის ფულის შეგროვების შედეგების გაშუქების შესახებ იხ. იქვე, დოკუმენტი 345.—**379.**

378 რუსეთის დამშეულთათვის დახმარების სახით იმპერიალისტებმა შექმნეს «საერთაშორისო კომისია», რომელსაც მეთაურობდა ნულანსი — საფრანგეთის ყოფილი ელჩი რუსეთში, საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ კონტრრევოლუციური შეთქმულებებისა და სამხედრო ინტერვენციის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი. კომისიაში შედიოდნენ ყოფილი ფრანგი, ინგლისელი, ბელგიელი დიპლომატები და რუსეთის ნაციონალიზებულ საწარმოთა მსხვილი უცხოელი მესაკუთრენი. 1921 წლის 4 სექტემბერს ნულანსის კომისიამ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიც მოითხოვა, რომ საბჭოთა რუსეთში დაეშვათ 30 ექსპერტი, რათა ადგილზე ეწარმოებინათ გამოკვლევა სპეციალური პროგრამით, რომელიც ითვალისწინებდა სადაზვერვო ხასიათის ცნობების შეკრებას.

6 სექტემბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოიწონა ზოგიერთი შესწორებით ნულანსისადმი ნოტის პროექტი,

რომელიც შემუშავებული იყო ვ. ი. ლენინის წინადადებათა შესაბამისად. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საპასუხო ნოტაში, რომელიც 8 სექტემბერს გამოქვეყნდა «სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის უწყებებში», ნათქვამი იყო, რომ «ბატონ ნულანსის კომისიამ დახმარება დამშეულებისადმი შეცვალა საბჭოთა რუსეთის საშინაო მდგომარეობის შესახებ ცნობების შეკრებით... ამასთან ეს უნდა კეთდებოდეს იმათი ხელმძღვანელობით, ვინც უკვე ეწეოდა ამ შესწავლას იმ სრულიად დაუფარავი მიზნით, რომ მოეწყოთ ამბოხებანი და გაეადვილებინათ უცხოთის არმიათა წინ წაწევა საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე» («სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები», ტ. IV, მოსკოვი, 1960, გვ. 309 — 310). საბჭოთა მთავრობამ კატეგორიულად აუკრძალა ნულანსის კომისიას საბჭოების რესპუბლიკაში შემოსვლა. — **881.**

379 სასურსათო სიძნელეების, მოუსავლობის და დამშეულთათვის დახმარების გაწევის საჭიროების გამო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1921 წლის 6 სექტემბერს მიიღო ვ. ი. ლენინისეული დამატებებითურთ დადგენილება სურსათის სახალხო კომისარიატისადმი დირექტივების შესახებ. დირექტივების მიხედვით, 1921 წლის ოქტომბრიდან უნდა შემცირებულიყო სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფ მჭამვლთა რიცხვი და შექმნილიყო პურის ფონდი. — **881.**

380 პროექტი დადგენილებისა ოქროს ფონდის ხარჯვის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო 1921 წლის 14 სექტემბერს. — **881.**

381 ვ. ი. ლენინის პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო 1921 წლის 13 სექტემბერს. მე-4 პუნქტი ვ. ი. ლენინს წაუშლია და პოლიტბიუროს დადგენილებაში არ შესულა.

წიგნების გაყიდვის საკითხი განმეორებით განიხილეს პოლიტბიუროს 15 ოქტომბრის სხდომაზე. დაადასტურა რა თავისი 13 სექტემბრის გადაწყვეტილება, პოლიტბიურომ დასახა კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებანი ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად; განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბრძოლას წიგნის ვაჭრობაში სხვადასხვა ჯურის ანტისაბჭოთა ლიტერატურის შეღწევის წინააღმდეგ.—**882.**

382 პროექტი მიიღო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1921 წლის 14 სექტემბერს. — **888.**

383 პარტიის წმენდა წარმოებდა შესაბამისად რკპ(ბ) X ყრილობის რეზოლუციისა «პარტიული მშენებლობის საკითხების გამო».

წმენდას წინ უძღოდა ხანგრძლივი და გულდასმითი მომზადება. 1921 წლის 21 ივნისს ცენტრალურმა კომიტეტმა და ცენტრალურმა

საკონტროლო კომისიამ მიიღეს «დადგენილება პარტიის შემოწმების, გადასინჯვისა და წმენდის საკითხზე» (იხ. «პრავდა» № 146, 1921 წლის 30 ივნისი), რომელშიც დასახული იყო წმენდის ჩატარების ვადები (1921 წლის 1 აგვისტოდან 1 ოქტომბრამდე), დადგინდა — როგორც საეალდებულო პირობა წმენდისა — მშრომელთა, როგორც კომუნისტთა, ისე უპარტიოთა, გამოკითხვა პარტიის შესამოწმებელი წევრების შესახებ, განისაზღვრა ადგილობრივ შემმოწმებელ კომისიათა შექმნის წესი. წმენდის დროს შეწყდა პარტიაში მიღება, გარდა მუშებისა და იმ გლეხებისა, რომლებიც არ ეწეოდნენ სხვისი შრომის ექსპლუატაციას. 7 ივლისს პოლიტბიურომ დაამტკიცა პარტიის პირადი შემადგენლობის შემმოწმებელი ცენტრალური კომისია («ცენტროპროვერკომ»), ადგილებზე შეიქმნა ადგილობრივი შემმოწმებელი კომისიები. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა წერილით «ყველა პარტიულ ორგანიზაციას. პარტიის გაწმენდის შესახებ» (იხ. «პრავდა», № 163, 1921 წლის 27 ივლისი), რომელშიც ჩამოაყალიბა წმენდის ამოცანები და მეთოდები. ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაცია იყო ეხელმძღვანელათ შემდეგი მითითებებით: უფრო ლმობიერად მოჰკიდებოდნენ მუშებს ქაღალდების, დახასიათებებისა და სხვ. წარმოდგენის მხრივ. გლეხების მიმართ მკაცრად განესხვავებინათ კულაკურ-მესაკუთრული ელემენტები პატიოსანი მშრომელი გლეხებისაგან. უფრო მკაცრად მოჰკიდებოდნენ «გაკომისრებულებს», იმათ, ვისაც რაიმე პრივილეგიებთან დაკავშირებული თანამდებობანი ეკავათ. განსაკუთრებით შეემოწმებინათ ყოფილი მოხელენი, ბურჟუაზიული ინტელიგენციის წრეებიდან გამოსულნი. უაღრესად გულმოდგინედ შეემოწმებინათ და გაეწმინდათ სხვა პარტიებიდან გამოსულნი, განსაკუთრებით მენშევიკები და ესერები. წმენდის დასაწყისი გადატანილ იქნა 15 აგვისტოსათვის.

პარტიის წმენდა გაგრძელდა რკპ(ბ) XI ყრილობამდე. წმენდის შედეგად პარტიიდან გაირიცხა პარტიის მთელი შემადგენლობის დაახლოებით 25 პროცენტი. წმენდამ გააუმჯობესა პარტიის სოციალური შემადგენლობა, განამტკიცა დისციპლინა, აამაღლა პარტიის ავტორიტეტი უპარტიო მუშათა და გლეხთა მასებში, გაათავისუფლა პარტია იმ ელემენტებისაგან, რომლებიც სახელს უტეხდნენ მას. გაიზარდა პარტიის იდეური და ორგანიზაციული დარაზმულობა. — **384.**

384 ვ. ი. ლენინის ეს მითითება აისახა ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში. 1921 წლის სექტემბრის «რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში» აღნიშნულია, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ორი დადგენილება, რომლებიც ეხება შემოწმების დროს რკპ წევრთა რეკომენდაციის წესს. პირველში ნათქვამი იყო: «რეკომენდაციის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ ამხანაგებს, რომლებიც სულ ცოტა

ერთ წელს იცნობენ რეკომენდებულს, მუშაობდნენ მასთან ან თვალყურს ადევნებდნენ მის მუშაობას ამა თუ იმ პარტიულ ორგანიზაციაში». მეორე დადგენილება ეხებოდა რეკომენდაციის მიმცემთა პასუხისმგებლობას რეკომენდებულთათვის (იხ. «რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის უწყებანი» № 35, 1921 წლის 1 დეკემბერი). — 384.

385 1921 წელს ამერიკელ მუშათა ცალკეულმა ჯგუფებმა, რომლებიც გაერთიანდნენ «საბჭოთა რუსეთისადმი ტექნიკური დახმარების საზოგადოების» გარშემო, გამოთქვეს სურვილი ჩამოსულიყვნენ საბჭოთა რუსეთში და მონაწილეობა მიეღოთ სამეურნეო მშენებლობაში. ამ მუშების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ რუსი ემიგრანტები, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციამდე წავიდნენ ამერიკაში.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ 1921 წლის 22 ივნისს განიხილა ამერიკის სამრეწველო ემიგრაციის მოზიდვის საკითხი და სასურველად ცნო «განვითარებინა ცალკეული სამრეწველო საწარმოები ან საწარმოთა ჯგუფები იმ გზით, რომ გადაეცა ისინი ამერიკელი მუშების ჯგუფებისა და ინდუსტრიულად განვითარებული გლეხებისათვის ხელშეკრულებითი პირობებით, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მათს გარკვეულ სამეურნეო ავტონომიას» (ლენინის XX კრებული, გვ. 202). შრომისა და თავდაცვის საბჭომ საჭიროდ ცნო აგრეთვე მოეწესრიგებინა მუშათა სამრეწველო იმიგრაცია საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. 1921 წლის 11 აგვისტოს «საბჭოთა რუსეთისადმი ტექნიკური დახმარების საზოგადოებას» გაეგზავნა დეპეშა, რომელსაც ხელს აწერდა ვ. ი. ლენინი; დეპეშაში აღნიშნული იყო: «საჭიროა გაითვალისწინოთ რუსეთში არსებული სიძნელეები, რომლებიც უნდა გადაილახოს, სასურსათო სიძნელენი და სხვა. ადამიანები, რომლებიც რუსეთში მოდიან, მზად უნდა იყვნენ ამისათვის... ყველაფერს აჯობებს ჯერ გამოგზავნოთ დელეგატები, რომლებიც ჩვენში ადგილზე ნახავენ მიწის ნაკვეთებს დასახლებისათვის, ტყის ნაკვეთებს, მაღაროებს, ფაბრიკებს და ა. შ. იჯარით აღებისათვის» («სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები», ტომი IV, მოსკოვი, 1960, გვ. 261).

1921 წლის მეორე ნახევარში ამერიკელ მუშათა ჯგუფი, რომელსაც ჰოლანდიელი ინჟინერი კომუნისტი ს. რუტგერსი, ამერიკის მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე ვ.-დ. ჰეივუდი და ამერიკელი მუშა გ.-ს. კალვერტი მეთაურობდნენ, მოლაპარაკებას აწარმოებდა საბჭოთა მთავრობასთან იმის თაობაზე, რომ ამ ჯგუფისათვის საექსპლუატაციოდ გადაეცათ ციმბირის კუზნეცკის ქვანახშირის აუზის ნაწილი და იქ შეექმნათ ინდუსტრიული კოლონია. 19 სექტემბერს ლენინმა მიიღო ამერიკელ მუშათა კოლონიის წარმომადგენლები და ესაუბრა მათ. დაცულია ამ საუბრის ლენინისეული ჩანაწერი (იხ. ლენინის XXIII კრებული, გვ. 39). «ვალდებულების პროექტი»

ლენინმა დაწერა ამ საუბართან დაკავშირებით. ამერიკელ მუშათა საორგანიზაციო ჯგუფთან (რუტგერსის ჯგუფთან) ხელშეკრულების დადების შესახებ იხ. ეს ტომი, გვ. 389—391. — **384.**

386 რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გ. ვ. ჩიჩერინი 1921 წლის 7 ოქტომბრის წერილში რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსადმი წერდა, რომ შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის მთავრობა პოლიტბიუროს სთხოვს დასკვნას შემდეგ საკითხებზე: 1) სასურველია თუ არა, რომ იაპონიამ და ამერიკამ ცნონ შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა, თუ ისინი ამავე დროს არ ცნობენ რსფს რესპუბლიკას; 2) დაეთანხმოს თუ არა უცხოელთა წინადადებას შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკისათვის სახელმწიფო სესხის მიცემის შესახებ; 3) არის თუ არა შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა თავისთავადი და დამოუკიდებელი რსფს რესპუბლიკისაგან ფორმით ან აგრეთვე არსებითად. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აზრით, ამ საკითხებზე ასეთნაირად უნდა გაეცეს პასუხი: 1) სასურველია ცნონ შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა, ოღონდ ისე, რომ ხელშეკრულებაში არ იყოს ფიქსირებული შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის სტრუქტურა; 2) უცხოეთის სესხი სასარგებლოა იმ პირობით, თუ დაცული იქნება შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის სუვერენული უფლებები; 3) შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა რსფს რესპუბლიკისაგან დამოუკიდებლად ჩაითვალოს მხოლოდ ფორმით

ვ. ი. ლენინის წინადადება პოლიტბიურომ მიიღო 1921 წლის 8 ოქტომბერს.

შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკისადმი დირექტივის პროექტი, რომელიც გ. ვ. ჩიჩერინმა წამოაყენა, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დაამტკიცა 1921 წლის 10 ოქტომბერს. — **386.**

387 ვ. ი. ლენინის ეს წინადადება შეეიდა დადგენილებაში, რომელიც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო 1921 წლის 8 ოქტომბერს ე. მ. მოლოტოვის მოხსენების გამო პასუხისმგებელი მუშაკების აღრიცხვისა და მათი განაწილების წესის შესახებ. — **386.**

388 დირექტივების პროექტი, რომელიც ვ. ი. ლენინმა წამოაყენა, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო 1921 წლის 10 ოქტომბერს ქ. გ. რაკოვსკის, ვ. ი. ჩუბარისა და გ. ი. პეტროვსკის მოხსენების გამო. «ამ საკითხში, — ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის ოქტომბერ-ნოემბრის ანგარიშში, — მოცემული იყო საერთო მიმართულება იმ მხრივ, რომ უაღრესად ფრთხილად და ყურადღებით მოვკიდებოდით გლეხთა საჭიროებებს და მოგვეზიდა ისინი

ხელი შეეწყოთ სახელმწიფოსათვის» («რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის უწყებანი» № 36, 1921 წლის 15 დეკემბერი). — **387.**

389 დადგენილების ეს პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო 1921 წლის 10 ოქტომბერს. 15 ნოემბერს სახკომსაბჭომ დაამტკიცა დეკრეტი «დაქირავებული შრომით დასაქმებულ პირთა სოციალური დაზღვევის შესახებ» (იხ. «სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის უწყებანი» № 263, 1921 წლის 23 ნოემბერი). — **388.**

390 შენიშვნები ვ. ი. ლენინმა დაწერა გაზეთ «იუჟნი მეტალურგის» (ქ. ენაკიევო) 1921 წლის 11 ოქტომბრის № 1-ის კიდეებზე. მარცხნივ გაზეთის ზედა კუთხეში არის ლენინის შენიშვნა: «ნაწილი იუზოვკისას და ნაწილი დებალცევოსასა». — **388.**

391 დადგენილების ეს პროექტი დაიწერა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სახდომისათვის იმ საკითხის მომზადებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა შეთანხმებას რუსეთში ჩამოსულ ამერიკელ მუშათა და ინჟინერთა ჯგუფთან რუტგერსის მეთაურობით (იხ. შენიშვნა 385).

შრომისა და თავდაცვის საბჭომ, განიხილა რა 1921 წლის 23 სექტემბერს რუტგერსის ჯგუფის ის წინადადება, რომ მისთვის საექსპლუატაციოდ გადაეცათ ნადეჟდინსკის ქარხანა და კუზნეცკის ქვანახშირის აუზის რამდენიმე საწარმო, სასურველად ცნო დაედო ხელშეკრულება და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, შრომის სახალხო კომისარიატისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთაგან შედგენილ კომისიას დაავალა საბოლოოდ შეემუშავებინა ხელშეკრულების პირობები. ვ. ი. ლენინმა მონაწილეობა მიიღო რუტგერსის ჯგუფთან მოლაპარაკებაში, შეიტანა არაერთი წინადადება ხელშეკრულების პირობების გამო (იხ. ეს ტომი, გვ. 389 — 391, 393 — 395 და თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 53, გვ. 260 — 261, 302 — 303).

შეთანხმება ამერიკელ მუშათა საორგანიზაციო ჯგუფთან (რუტგერსის ჯგუფთან), 20 ოქტომბერს ხელმოწერილი, 21 ოქტომბერს დაამტკიცა შრომისა და თავდაცვის საბჭომ და 25 ოქტომბერს — სახკომსაბჭომ. ნოემბერში საბჭოთა მთავრობამ დადო ხელშეკრულება ამ ჯგუფთან. ხელშეკრულების თანახმად ამერიკელ მუშებს თან უნდა ჩამოეტანათ გარკვეული რაოდენობის წარმოების იარაღები, მასალები და სურსათი, საბჭოთა მთავრობამ კი გამოყო თანხა 300 ათასი დოლარის ოდენობით საზღვარგარეთ მანქანებისა და ინვენტარის შესაძენად. ამ ხელშეკრულების საფუძველზე კუზნეცკის ქვანახშირის აუზის ტერიტორიის ნაწილზე შეიქმნა «ავტონომიური ინდუსტრიული

კოლონია «კუზბასი»», რომელიც უშუალოდ შრომისა და თავდაცვის საბჭოს ექვემდებარებოდა. — **389.**

392 ვ. ი. ლენინის წინადადებანი საფუძვლად დაედო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1921 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებას ს. რუტგერსის წინადადებათა საკითხზე და შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1921 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებას «რუტგერსის ჯგუფთან შეთანხმების პირობების შესახებ». — **391.**

393 ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი პროექტი დადგენილებისა სასურსათო სამუშაოზე ა. გ. შლიაპნიკოვის გაგზავნის შესახებ მიღებულ იქნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1921 წლის 14 ოქტომბრის სხდომაზე. მოისმინა რა ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და ცენტრალური შემმოწმებელი კომისიის დასკვნა სასურსათო სამუშაოზე შლიაპნიკოვის მივლინების საკითხის გამო, პოლიტბიურომ 27 ოქტომბერს დაადგინა: «სასურსათო სამუშაოზე ყოფნის ვადად ამხ. შლიაპნიკოვს განესაზღვროს 2 თვე მისი წასვლის დღიდან (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

ცენტრალური შემმოწმებელი კომისია («ცენტროპროვერკომ») შეიქმნა 5 კაცის შემადგენლობით პარტიის წმენდის პერიოდისათვის ადგილობრივი შემმოწმებელი კომისიების მუშაობის სახელმძღვანელოდ (იხ. «პრავდა» № 146, 1921 წლის 30 ივნისი). — **392.**

394 ზოგიერთი უთანხმოების გამო, რაც ბაქოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებსა და აზერბაიჯანის ცენტრალურ ორგანიზაციებს შორის წარმოიშვა ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში, რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აზერბაიჯანის პარტიულ მუშაკებს მისცა მითითება, რომ მეტად სათუთად მოპყრობოდნენ მუსლიმანი მოსახლეობის ყოფისა და სულიერი წყობის თავისებურებებს, წინადადებით მიმართა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ყველა მუშაკს გაეთვალისწინებინათ ეს მთელ თავის საქმიანობაში, ცდილიყვნენ ერთსულოვნად და ერთად ემუშავათ, არ დაეშვათ რაიმე ფრაქციის შექმნა პარტიულ ორგანიზაციაში. ლენინის წინადადებანი შევიდა დადგენილებაში, რომელიც 1921 წლის 15 ოქტომბერს მიიღო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ.

ქვემოთ ნახსენები პროექტი დირექტივისა აზერბაიჯანში კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შესახებ, რომელიც ი. ბ. სტალინმა შეადგინა, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დაამტკიცა 17 ოქტომბერს.

მე-6 პუნქტში იგულისხმება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1921 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომ დაუშვებელია ბაქოელმა მუშაკებმა დაარღვიონ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა სპარსეთის (ირანის) მიმართ. — **392.**

395 დადგენილების პროექტი, რომელიც ვ. ი. ლენინმა წამოაყენა, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო 1921 წლის 17 ოქტომბერს. — **393.**

396 დადგენილების პროექტი, რომელიც ვ. ი. ლენინმა დაწერა, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო 1921 წლის 20 ოქტომბერს. ლენინის წინადადებანი შევიდა შეთანხმებაში, რომელიც რუტგერსის ჯგუფთან დაიდო. — **393.**

397 *ARA (American Relief Administration)* — ამერიკის დახმარების ადმინისტრაცია — შეიქმნა 1919 წელს იმ მიზნით, რომ დახმარება გაეწიათ პირველი მსოფლიო ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის. ამერიკის დახმარების ადმინისტრაციის თავმჯდომარე იყო ჰ. ჰუვერი — მსხვილი კაპიტალისტი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთის კაპიტალთან 1917 წლამდე. ამერიკის დახმარების ადმინისტრაციის ზოგიერთი თანამშრომელი გულწრფელად დაკეთილსინდისიერად ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას. მაგრამ მთლიანად ამერიკის დახმარების ადმინისტრაცია ამერიკის იმპერიალიზმის გავლენის გაფართოებისა და ჩაწოლილი საქონლის გასაღების იარაღი იყო. 1921 წლის 18 ოქტომბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს კენჭისსაყრელად დაეგზავნათ პროექტი ამერიკის დახმარების ადმინისტრაციასთან შეთანხმებისა რუსეთში სურსათის გამოგზავნის ორგანიზაციის შესახებ. თანდართულ წერილზე არის პოლიტბიუროს წევრთა ხელმოწერა და ი. ბ. სტალინის წინადადება საზღვრიდან გამანაწილებელ საწყობებამდე ამანათების გადაზიდვისა და საწყობებით სარგებლობის საფასურის გადახდევინების შესახებ, რადგან, მისი აზრით, საქმე ეხება ვაჭრობას და არა ქველმოქმედებას. ვ. ი. ლენინის შენიშვნა ფრჩხილებში გამოწვეულია აღნიშნული წინადადებით. ამერიკის დახმარების ადმინისტრაციასთან შეთანხმების პროექტი პოლიტბიურომ დაამტკიცა 1921 წლის 19 ოქტომბერს.

საბჭოთა მთავრობამ მიიღო ამერიკის დახმარების ადმინისტრაციის დახმარება ვოლგისპირეთსა და სამხრეთ უკრაინაში 1921 წლის შიმშილობასთან დაკავშირებით, ამასთან უარყო მისი ცდები ჩარეულიყო საბჭოების რესპუბლიკის საშინაო საქმეებში და დაწესა კონტროლი ამერიკის დახმარების ადმინისტრაციის საქმიანობისადმი. როგორც შემდგომმა ამბებმა ცხადყვეს, ამერიკის დახმარების ადმინისტრაციის აპარატი, რომელიც უმთავრესად ამერიკის არმიის ოფიცრებისაგან იყო შედ-

გენილი, ეწეოდა ჯაშუშობას და მხარს უჭერდა კონტრრევოლუციურ ელემენტებს. 1923 წლის ივნისში ამერიკის დახმარების ადმინისტრაციის საქმიანობა სსრ კავშირში შეწყდა. — **895.**

398 დადგენილების ეს პროექტი ვ. ი. ლენინმა დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ 1921 წლის 20 ოქტომბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომას უნდა განეხილა ფინანსთა სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა, რომ ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები გადამწყვეტი ხმის უფლებით შეეყვანათ შრომისა და თავდაცვის საბჭოში, საოლქო და საგუბერნიო ეკონომიურ თათბირებში. პოლიტბიურომ უარყო ფინანსთა სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა და მიიღო ვ. ი. ლენინის წინადადება. უკანასკნელი ფრაზა ხელნაწერში წაშლილია და დადგენილებაში არ შესულა.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს საფინანსო კომისია შეიქმნა ვ. ი. ლენინის წინადადებით მალე პარტიის X ყრილობის შემდეგ საფინანსო პოლიტიკის საკითხთა დასამუშავებლად ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით. — **898.**

399 ფაულერის სისტემის ავტოგუთნების წარმოების საკითხი არაერთხელ განუხილავს შრომისა და თავდაცვის საბჭოს. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ლითონის განყოფილების კოლეგიამ, რომელსაც 1920 წლის მაისში დაევალა ამ გუთნების წარმოება, საწარმოო გეგმა შეადგინა ლითონისა და სათბობის არსებული რესურსების წინასწარ გაუანგარიშებლად. მაგრამ საგანგებო სამეულს, რომელიც გუთნების მთელი წარმოების გასაერთიანებლად შეიქმნა, არ უცნობებია შრომისა და თავდაცვის საბჭოსა და სახალხო კომისართა საბჭოსათვის გუთნების წარმოების ნამდვილი ვითარება.

დადგენილების ეს პროექტი მიღებულ იქნა შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე 1921 წლის 21 ოქტომბერს. საქმე გაჭიანურების შესახებ გასარჩევად გადაეცა მოსკოვის სამხედრო ტრიბუნალს, რომელმაც 1922 წლის იანვრის დამდეგს დამტკიცებულად ცნო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსა და მიწათმოქმედების არაერთი მუშაკისათვის წაყენებული ის ბრალდებანი, რომ საკმაოდ სერიოზულად არ ეკიდებოდნენ დაკისრებულ მოვალეობას. მაგრამ, გაითვალისწინა რა ამ ამხანაგების დამსახურება მეურნეობის აღდგენის საქმეში, ტრიბუნალმა დაადგინა არ დაესაჯა ისინი. მოსკოვის სამხედრო ტრიბუნალის წინადადებით შრომისა და თავდაცვის საბჭომ შენიშვნა მისცა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიას იმის გამო, რომ საკმაოდ სერიოზულად არ მოეკიდნენ ფაულერის სისტემის გუთნების წარმოებას. იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინის 1921 წლის 23 დეკემბრის წე-

რილი პ. ა. ბოგდანოვისადმი (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 639 — 642). — **898.**

400 იმასთან დაკავშირებით, რომ 1921 წლის 30 ივნისს სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა «შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესი ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულებებისათვის» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 475 — 507). ვ. ი. ლენინმა 21 ივლისს «იზვესტიის», «პრავდის», «ეკონომიჩესკაია ჟიზნისა» და სხვა გაზეთების რედაქციებს მიმართა წერილით, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საჭიროა «დაწვრილებით გააშუქონ, თუ რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ ეკონომიურ თათბირებსა და საყოველთაო ცნობისათვის გამოქვეყნებულ ანგარიშგებას როგორც საერთოდ ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებისათვის, ისე სწორი სამეურნეო მშენებლობისათვის» (თხზულებანი. მე-5 გამოც., ტომი 53, გვ. 52).

მას შემდეგ, რაც დაიწყო ადგილებიდან ანგარიშების მოსვლა, ლენინმა დასვა საკითხი ამ ანგარიშების შესწავლისა და გამოყენების შესახებ. 1921 წლის 21 ოქტომბერს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე ვ. ი. ლენინმა გააკეთა მოხსენება ანგარიშგებასა და დიაგრამებზე შრომისა და თავდაცვის საბჭოსათვის და შეიტანა გადაწყვეტილების ეს პროექტი. — **899.**

401 როგორც ვ. ა. სმოლიანინოვი იგონებს, კომისიის მუშაობა გაჭიანურდა. «ვლადიმერ ილიას ძეს ძალიან ინტერესებდა ჩვენი კომისიის მუშაობის შედეგები. მისი რჩევითა და წინადადებით შევიმუშავეთ გადაწყვეტილების პროექტი, რომელიც დაამტკიცა კიდეც შრომისა და თავდაცვის საბჭომ 1921 წლის 21 ნოემბერს. დადგენილებაში აისახა ვლადიმერ ილიას ძის ყველა მითითება, ამასთან იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ სახალხო კომისარიატებსა და სხვა დაწესებულებებში გამოეყოთ პირები, რომლებსაც ნამდვილად აინტერესებდათ და ესმოდათ ადგილობრივი ანგარიშების შესწავლის მნიშვნელობა» («მოგონებანი ვლადიმერ ილიას ძე ლენინზე», ნაწ. 3, მოსკოვი, 1961. გვ. 367). ვ. ი. ლენინის პირად ბიბლიოთეკაში ინახება გუბერნიათა ეკონომიური თათბირების რამდენიმე ათეული ანგარიში.—**400.**

402 1921 წლის 27 ოქტომბერს პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს პროექტი დებულებისა ბამბეულის მრეწველობის მართვის შესახებ (მომხსენებლები პ. ა. ბოგდანოვი, ნ. ი. ლებედევი, გ. ნ. მელნიჩანსკი, ი. ი. კუტუზოვი). პოლიტბიურომ მიიღო დადგენილების პროექტი, რომელიც ვ. ი. ლენინმა შეიტანა. დამუშავების შემდეგ დებულება ბამბეულის მრეწველობის მართვის შესახებ დაამტკიცეს პოლიტბიუროს სხდომაზე 3 ნოემბერს. **400.**

403 სტატია ასეთი სახელწოდებით არ დაწერილა. — **400.**

404 1922 წლის საფინანსო გეგმისა და ემისიის გეგმის პროექტი განიხილეს სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე 1921 წლის 5 ნოემბერს. ვ. ი. ლენინის წინადადებანი საფუძვლად დაედო დადგენილებას, რომელიც სახკომსაბჭომ მიიღო ამ საკითხზე. მე-2, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტი ხელნაწერში წაშლილია და დადგენილებაში არ შესულა. — **408.**

405 ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი პროექტი შეეიდა იმ დადგენილების ტექსტში, რომელიც ამ საკითხზე მიიღო სახკომსაბჭომ 1921 წლის 18 ნოემბერს. სახკომსაბჭომ დაამტკიცა «პირობითად სახკომატების მიხედვით განაწილებით საგანაველო ბიუჯეტის ციფრები, რომლებიც საფინანსო კომისიამ წარუდგინა», და წინადადება მისცა სახკომატებს «დაეჩქარებინათ მუშაობა ხარჯთაღრიცხვების შესადგენად ისე, რომ 1 დეკემბრისათვის უთუოდ დაემთავრებინათ ისინი». საფინანსო კომისიასა და სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაეევალა «ერთი კვირის განმავლობაში დაემთავრებინათ როგორც ფულადი, ისე მატერიალური შემოსავლის გაანგარიშება» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **408.**

406 მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია მოსკოვში ჩამოვიდა 1921 წლის 2 ნოემბერს. მის შემადგენლობაში იყვნენ: დანზანი — დელეგაციის თავმჯდომარე, ფინანსთა მინისტრი და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე; სუხე-ბატორი — სახალხო-რევოლუციური არმიის მთავარსარდალი და სამხედრო მინისტრი; ბ. ცერენდორჟი — საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; ჯონ-ვან-შირნინ-დანდინი — რელიგიური წრეების წარმომადგენელი, დელეგაციის არაოფიციალური წევრი; ბათუხანი — მრჩეველი და პასუხისმგებელი თარჯიმანი. მოლაპარაკების მიზანი იყო შეთანხმების დადება რსფს რესპუბლიკის მთავრობასა და მონღოლეთის სახალხო მთავრობას შორის. 1921 წლის 3 ნოემბერს შეთანხმების პროექტი განიხილა და მოიწონა მცირე სახკომსაბჭომ (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 53, გვ. 324). 1921 წლის 5 ნოემბერს რსფს რესპუბლიკისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმად ორივე მხარემ იკისრა ვალდებულება არ დაეშვათ თავიანთ ტერიტორიაზე მეორე მხარისადმი მტრული ჯგუფების ყოფნა და ფორმირება, შეათანხმეს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლების დანიშვნის, სახელმწიფო საზღვრის განსაზღვრის წესი; დაადგინეს საბაჟო პოლიტიკის ძირითადი დებულებანი. საბჭოთა მთავრობამ მონ-

ღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას გადასცა რსფს რესპუბლიკის კუთვნილი სატელეგრაფო ნაგებობანი მონღოლეთში.

ვ. ი. ლენინის საუბარი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციასთან გაიმართა კრემლში 1921 წლის 5 ნოემბერს. საუბრის ჩანაწერი პირველად გამოქვეყნდა 1934 წლის 28 სექტემბერს — 5 ოქტომბერს გამართული მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის IX ყრილობის ოქმებში. მისი პუბლიკაცია მომზადდა ბ. შუმიაცკისა და ბ. ცერენდორჟის მოგონებათა საფუძველზე. თავის მოგონებებში ცერენდორჟი წერდა: «ლენინი დიდხანს ესაუბრა დელეგაციის წევრებს. მან ყურადღებით მოისმინა ჩვენი ნამბობი, ცხოველი ინტერესი გამოიჩინა სახალხო მონღოლეთის ცხოვრების სულ სხვადასხვა საკითხისადმი, მოგვცა სასარგებლო რჩევა-დარიგებანი. კერძოდ, ელადიმერ ილიას ძემ ჩვენი ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა ავამაღლოთ მონღოლ ხალხის განათლებისა და კულტურის დონე, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ საკუთარი ეკონომიკა ხალხის ყველა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად («ლენინის შესახებ. საზღვარგარეთელ თანამედროვეთა მოგონებანი». მოსკოვი, 1960, გვ 461). — **404.**

407 სრულიად რუსეთის I კონფერენცია პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საკითხებზე მიმდინარეობდა მოსკოვში 1921 წლის 26 სექტემბერს — 1 ოქტომბერს. ესწრებოდა 173 დელეგატი (122 გადამწყვეტი ხმით და 51 სათათბიროთი). დელეგატთა შორის იყო 119 კომუნისტი, 51 უპარტიო, 1 მენშევიკი, 1 ესერი, 1 პარტიათშორისი სოციალისტი. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა 13 საკითხი, მათ შორის: სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს კულტგანყოფილების, განათლების სახკომატისა და მისი მთავარი სამმართველოების, პროლეტკულტის მოხსენებანი; მოხსენებანი ადგილებიდან (დონბასი, პეტროგრადი, ბაქო); ახალი ეკონომიური პოლიტიკა და განათლება; პროფკავშირთა პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობა; კულტმუშაობა ახალგაზრდობაში და სხვ. კონფერენციამ დასახა პროფკავშირთა პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესების გზები, ახალი ფორმები და მეთოდები ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით (კულტმუშაობა კერძო და იჯარით აღებულ საწარმოებში და ა. შ.).

კონფერენციამ არასწორი პოზიცია დაიკავა მთავარპოლიტგანთან ურთიერთდამოკიდებულების საკითხში. მისი რეზოლუცია («კავშირების კულტმუშაობის როლი და ამოცანები») მოითხოვდა, რომ პროფკავშირთა კულტმუშაობა გაეთავისუფლებინათ მთავარპოლიტგანის

გავლენისაგან. ეს ხაზი ეწინააღმდეგებოდა რკპ(ბ) X ყრილობის რეზოლუციას «მთავარპოლიტგანისა და პარტიის სააგიტაციო-საპროპაგანდო ამოცანების შესახებ» (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. 1, 1954, გვ. 707). — **406.**

408 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს პოლიტგანთა II სრულიად რუსეთის ყრილობის (მიმდინარეობდა 1921 წლის 17 — 22 ოქტომბერს) რეზოლუცია «მთავარპოლიტგანის მოხსენებათა გამო», რომელიც განსაზღვრავდა პოლიტგანებისა და პროფკავშირთა კულტგანყოფილებების ურთიერთობას ცენტრში და ადგილებზე. «პროფკავშირები, — ნათქვამია ამ რეზოლუციაში, — დაჟინებით იცავენ იმ ყოვლად უმართებულო თვალსაზრისს, რომ საგანმანათლებლო მუშაობა და ყველა მისი ფორმა პროფკავშირთა საქმე უნდა იყოს, რომ პროფკავშირები უკეთ გაუძღვებიან განათლების საქმეს, ვიდრე განათლების სახკომატის ორგანოები.

ასეთი თვალსაზრისი მცდარია და პროფკავშირთა ამოცანების არასწორი გაგებიდან გამომდინარეობს. ასეთ თვალსაზრისზე თუ დავდგებოდით, საჭირო იქნებოდა გამოგვეტანა დასკვნა, რომ სახელმწიფოს ყველა ფუნქცია, ყველა სახკომატის მუშაობა პროფკავშირებს უნდა გადავცეთ» («პოლიტგანთა მე-2 სრულიად რუსეთის ყრილობა. ყრილობის ბიულეტენი» № 7, 1921 წლის 24 ოქტომბერი).

პოლიტგანთა ყრილობის რეზოლუციამ დასახა მთავარპოლიტგანისა და სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს კულტგანყოფილების იდეურ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაერთიანების კონკრეტული ღონისძიებანი. — **406.**

409 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1921 წლის 8 ნოემბერს დაადგინა საფუძვლად მიეღო ლენინის მიერ შეტანილი რეზოლუცია. ამ დადგენილების შესაბამისად შემუშავდა დებულება სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს კულტგანყოფილებისა და მთავარპოლიტგანის პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის გაერთიანების შესახებ. — **406.**

410 ეს დოკუმენტი დაწერილია გ. ვ. ჩიჩერინის იმ წერილზე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსადმი, რომელშიც იგი აუწყებდა, რომ ბალტიის ეკონომიურ კონფერენციაზე (გაიმართა რიგაში 1921 წლის 28 — 31 ოქტომბერს) დაისვა **საკითხი საბჭოთა რუსეთის** საგარეო ვაჭრობის დენაციონალიზაციის შესახებ. კონფერენციაზე წარგზავნილი რსფსრ დელეგაციის თავმჯდომარემ ვ. პ. მილიუტინმა ამ საკითხზე წარმოადგინა მოხსენება, რომელიც პოლიტბიუროს გაეგზავ-

ნა. მილიუტინის გეგმა გულისხმობდა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ლიკვიდაციას. 10 ნოემბერს პოლიტბიურომ ვ. ი. ლენინის წინადადებით უარყო მილიუტინის წინადადება (იხ. აგრეთვე თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 44, გვ. 427—430; მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 441—445 და 537—542). — **406.**

411 პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა უკრაინაში სასურსათო მუშაობის შესახებ, რომელიც ვ. ი. ლენინმა შეიტანა. პოლიტბიურომ მიიღო 1921 წლის 10 ნოემბერს. — **407.**

412 დოკუმენტი დაწერილია იმასთან დაკავშირებით, რომ შემუშავდა სახკომსაბჭოს დეკრეტი «ყალბი დასმენისათვის სასჯელის შესახებ». დეკრეტს 1921 წლის 24 ნოემბერს ხელი მოაწერა ვ. ი. ლენინმა და გამოქვეყნდა 1 დეკემბერს «სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უწყებებში». ვ. ი. ლენინის დამატებანი შევიდა ამ დეკრეტის ტექსტში (იხ. «მუშურ-გლეხური მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული», 1921, № 77, გვ. 787). — **407.**

413 დეკრეტი «გაზეთების ფასიანობის შემოღების შესახებ» სახკომსაბჭომ დაამტკიცა 1921 წლის 28 ნოემბერს. დეკრეტის თანახმად, გაზეთების საფასური უნდა გადაეხადათ როგორც ცალკეულ პირებს, საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, ისე უკლებლივ ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს. ვ. ი. ლენინის წინადადება საფუძვლად დაედო დეკრეტის მე-8 პუნქტს, რომლითაც განათლების სახალხო კომისარიატს ევალებოდა ორი კვირის ვადაში შეემუშავებინა და გამოექვეყნებინა ინსტრუქცია საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელში გაზეთების განაწილებისა და მშრომელთა მასების გაზეთებით მომარაგებისადმი კონტროლის შესახებ (იხ. «სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უწყებანი» № 275, 1921 წლის 7 დეკემბერი). — **408.**

414 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს თავისი წინადადება, რომელიც წაყოფაუენა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე დონბასის ხელმძღვანელ მუშაკებს შორის უთანხმოებათა საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. — **409.**

415 ვ. ი. ლენინის წინადადებანი პირველი და მეორე საკითხების გამო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო 1921 წლის 27 ნოემბერს. — **409.**

416 წერილის ეს ნაწილი გახდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტი. დადგენილებაში, რომელიც პოლიტ-

ბიურომ მიიღო 1921 წლის 1 დეკემბერს ვ. ი. ლენინის მოხსენების გამო, ნათქვამი იყო: «განთავისუფლდეს ამხ. ციურუპა სურსათის სახალხო კომისრის თანამდებობიდან, დამტკიცდეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მეორე მოადგილის თანამდებობაზე, გადამწყვეტი ხმის უფლებით შრომისა და თავდაცვის საბჭოსა და სახალხო კომისართა საბჭოში, ამასთან ამ თანამდებობაზე დაამტკიცოს იგი სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). ასეთივე ფორმულირებით იქნა მიღებული 2 დეკემბერს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებაც ა. დ. ციურუპას შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მეორე მოადგილედ დანიშვნის შესახებ (იხ. «სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უწყებანი» № 272, 1921 წლის 3 დეკემბერი). — **410.**

417 მოსკოვის გუბერნიის I სასოფლო-სამეურნეო ყრილობა გაიმართა მოსკოვში (ყავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში) 1921 წლის 28 — 30 ნოემბერს. ყრილობას ესწრებოდა 300-ზე მეტი დელეგატი — გლეხები და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკები.

ყრილობამ მოისმინა მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის ნ. ოსინსკის (ვ. ვ. ობოლენსკის) მოხსენება სოფლის მეურნეობის დარგში ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების შესახებ და პ. ა. მესიაცევის მოხსენება მიწათმოწყობის ფორმების შესახებ ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. მოხსენებათა გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

ვ. ი. ლენინის სიტყვა ყრილობაზე დაიბეჭდა თხზულებათა მე-4 გამოცემის 33-ე ტომში მოკლე საგაზეთო ანგარიშის მიხედვით, რომელიც გამოქვეყნდა «პრავდის» № 270-ში 1921 წლის 30 ნოემბერს. ამ ტომში ვ. ი. ლენინის სიტყვა იბეჭდება სტენოგრამით, რომლის ტექსტი თავისი მოცულობით მნიშვნელოვნად აღემატება საგაზეთო ანგარიშს. — **411.**

418 მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობაზე ჩვენი ქვეყნის გადასვლასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინმა წამოაყენა წინადადება გარდაექმნათ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1921 წლის 1 დეკემბერს დაავალა კომისიას, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ლ. ბ. კამენევი, დ. ი. კურსკი და ფ. ე. ძერჟინსკი, ხუთი დღის ვადაში განეხილა ეს საკითხი, ამასთან მხედველობაში ჰქონოდა, რომ: «ა) შეეზღუდა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის კომპეტენცია; ბ) შეეზღუდა დაპატიმრების უფ-

ლება; გ) დაენიშნა ერთი თვის ვადა საქმეთა საერთო გატარებისათვის; დ) გაეძლიერებინა სასამართლოები; ე) განეხილა საკითხი სახელწოდების შეცვლის შესახებ; ვ) მოემზადებინა და სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში გაეტარებინა ზოგადი დებულება შეცვლის შესახებ სერიოზული შემსუბუქების თვალსაზრისით» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

ლენინის იდეები აისახა აგრეთვე «დადგენილებაში სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის შესახებ», რომელიც 1921 წლის 27 დეკემბერს მიიღო სრულიად რუსეთის საბჭოების IX ყრილობამ. ყრილობამ დაავალა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს «გადაესინჯა დებულება სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიისა და მისი ორგანოების შესახებ მათი რეორგანიზაციის, კომპეტენციის შეზღუდვისა და რევოლუციური კანონიერების საწყისთა გაძლიერების მიმართულებით» («სრულიად რუსეთის საბჭოების მეცხრე ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში», 1922, გვ. 300). რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1922 წლის 23 იანვარს განიხილა საკითხი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოდ რეორგანიზაციის შესახებ და განსაზღვრა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ძირითადი ამოცანები და ფუნქციები. 6 თებერვალს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის რეორგანიზაციის შესახებ (იხ. «სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უწყებანი» № 30, 1922 წლის 8 თებერვალი).

მონახაზის მესამე პუნქტში ლაპარაკია საქმეთა წარმოების ვადებზე. — **415.**

119 პროექტი დაიწერა იმასთან დაკავშირებით, რომ 1921 წლის 1 დეკემბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განიხილა საკითხი ერთიანი მუშათა ფრონტის ტაქტიკის შესახებ. ვ. ი. ლენინის წინადადებანი მიიღეს. ისინი საფუძვლად დაედო კომინტერნის აღმასკომის მიერ შემუშავებულ თეზისებს «ერთიანი მუშათა ფრონტის შესახებ და II, II½ და ამსტერდამის ინტერნაციონალებში შემავალი მუშებისადმი, აგრეთვე იმ მუშებისადმი დამოკიდებულების შესახებ, რომლებიც მხარს უჭერენ ანარქისტ-სინდიკალისტურ ორგანიზაციებს». გათვალისწინებულ იქნა აგრეთვე ვ. ი. ლენინის შენიშვნები თეზისებისათვის ერთიანი ფრონტის შესახებ (იხ. ეს ტომი, გვ. 417). თეზისები გამოქვეყნდა ჟურნალ «კომუნისტიჩესკი ინტერნაციონალში» (№ 20, 1921 წელი). რკპ(ბ) სრულიად რუსეთის XI კონფერენცია (1921 წლის

19 — 21 დეკემბერი) შეუერთდა ამ თეზისებს. თეზისები განიხილა და დაადასტურა კომინტერნის აღმასკომის პირველმა გაფართოებულმა პლენუმმა (1922 წლის 21 თებერვალი — 4 მარტი) და კომინტერნის IV კონგრესმა.

იმასთან დაკავშირებით, რომ ნ. ი. ბუხარინს დაევალა დაეწერა სტატია რკპ(ბ) გამოცდილების შესახებ, ვ. ი. ლენინმა დაწერა «შენიშვნები რკპ ისტორიის გამო» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 635—637). — **416.**

420 ლაპარაკია შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული მატერიალური რესურსების გამოყენების კომისიის ლიკვიდაციის შესახებ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების პროექტებზე, რომელიც სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მოამზადა.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის პროექტის მე-2 და მე-3 პარაგრაფებში აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა წარმოების პროდუქტთა განაწილებისა და სასურსათო რესურსების განაწილების გეგმების მომზადება ეკისრებათ შესაბამისად სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსა და სურსათის სახალხო კომისარიატის საგეგმო კომისიებს, ხოლო სახელმწიფო საგეგმო კომისიას ეკისრება შეკრიბოს აღნიშნული გეგმები მატერიალური რესურსების განაწილების საერთო გეგმად და წარუდგინოს იგი შრომისა და თავდაცვის საბჭოს. მე-5 პარაგრაფში გათვალისწინებული იყო მატერიალური რესურსების გამოყენების კომისიის ლიკვიდაციის ვადები და წესი.

ვ. ი. ლენინის წინადადება მიღებულ იქნა შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1921 წლის 2 დეკემბრის სხდომაზე. სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ გადამუშავებული პროექტი დადგენილებისა მატერიალური რესურსების გამოყენების კომისიის შესახებ შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა 16 დეკემბერს. — **416.**

421 პროექტი დაწერა ვ. ი. ლენინმა იმასთან დაკავშირებით, რომ 1921 წლის 5 დეკემბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საჩივარი შრომისა და თავდაცვის საბჭოს იმ დადგენილების გამო, რომ წისქვილები სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობიდან გადაეცათ სურსათის სახალხო კომისარიატისათვის. პოლიტბიურომ დაადასტურა შრომისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილება და წინადადება მისცა მცირე სახკომსაბჭოს მიეღო ვ. ი. ლენინის მიერ შეტანილი დამატებითი დადგენილება. — **417.**

422 იხ. შენიშვნა 419. — **417.**

423 ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ხ ა ლ ხ თ ა პ რ ო პ ა გ ა ნ დ ი ს ა დ ა მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო არსებულ იქნა აღმოსავლეთის ხალხთა

პირველ ყრილობაზე, რომელიც გაიმართა ბაქოში 1920 წლის სექტემბერში. საბჭო ამოცანად ისახავდა მხარი დაეჭირა და გაეერთიანებინა აღმოსავლეთის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა. — **418.**

424 ვ. ი. ლენინის ეს შენიშვნები რკპ(ბ) XI კონფერენციის პროექტის რეზოლუციის გამო პარტიის წმენდის შესახებ გაითვალისწინა რეზოლუციის შემმუშავებელმა კომისიამ.

განიხილა რა პარტიის წმენდის შედეგები, კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია «პარტიის განმტკიცების საკითხის გამო მისი პირადი შემადგენლობის შემოწმების გამოცდილების გათვალისწინებასთან დაკავშირებით», რომელიც შემდეგ საბოლოოდ დაამუშავა რკპ საოლქო კომიტეტების, საოლქო ბიუროებისა და საგუბერნიო კომიტეტების თათბირმა, დაამტკიცეს ცენტრალურმა კომიტეტმა და პარტიის XI ყრილობამ (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 765—766). — **419.**

425 სრულიად რუსეთის საბჭოების IX ყრილობა გაიმართა მოსკოვში 1921 წლის 23—28 დეკემბერს. ესწრებოდა 1993 დელეგატი, მათ შორის 1631 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 362 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით. დელეგატებს შორის იყო 1850 კომუნისტი, 139 უპარტიო და ესერების, ანარქისტ-უნივერსალისტების, ებრაელთა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის, პოალეი-ციონისა და მალაკანთა თემების თითო დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით.

ყრილობამ განიხილა მოხსენებანი და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებანი: 1) დადგენილება სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს ანგარიშის გამო რესპუბლიკის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ; 2) დეკლარაცია რსფს რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ; 3) დადგენილება წითელი არმიისა და ფლოტის მშენებლობის შესახებ; 4) დადგენილება დამშეულთათვის დახმარების გაწევის შესახებ; 5) მოწოდება სასურსათო გადასახადის აკრეფის შესახებ; 6) განაწესი სამეურნეო მუშაობის საკითხთა გამო; 7) დადგენილება ახალი ეკონომიური პოლიტიკის წინასწარი შედეგებისა და რესპუბლიკის მრეწველობის შესახებ; 8) დადგენილება სოფლის მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ; 9) დადგენილება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ; 10) დადგენილება ფინანსებისა და ბიუჯეტის შესახებ; 11) სახკომსაბჭოს დადგენილება ელექტრიფიკაციის შესახებ, რომელიც დაამტკიცა საბჭოების IX ყრილობამ; 12) დადგენილება საბჭოთა მშენებლობის შესახებ; 13) დადგენილება სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის შესახებ.

ვ. ი. ლენინმა დიდი მუშაობა გასწია საბჭოების IX ყრილობის მოსამზადებლად და ხელმძღვანელობდა მის მუშაობას (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 151 — 204).

უპარტიო დელეგატთა თათბირმა, რომელიც 1921 წლის 26 დეკემბერს საღამოს გაიმართა, განიხილა ორი საკითხი: შრომითი საჭაპანო ბეგარა (მომხსენებელი შრომის სახკომატის წარმომადგენელი ლემბერგი) და მიწის საკითხი. თათბირს მ. ი. კალინინი თავმჯდომარეობდა.

პირველი ორი სიტყვა ვ. ი. ლენინმა წარმოთქვა შრომითი საჭაპანო ბეგრის საკითხის განხილვის დროს, ამასთან მეორე გამოსვლა დაკავშირებული იყო ყრილობის ერთ-ერთი დელეგატის თხოვნასთან ვ. ი. ლენინისადმი ორიოდე სიტყვა ეთქვა «საბჭოთა დაწესებულებების მომსახურების შესახებ».

მესამე სიტყვა ვ. ი. ლენინმა წარმოთქვა მიწის საკითხის განხილვის დროს— მ. ი. კალინინის გამოსვლის შემდეგ. თათბირზე ლენინი მოკლედ იწერდა სიტყვებს (იხ. ლენინის XXIII კრებული, გვ. 292 — 294, 297—298). — **420.**

426 რკინიგზის ხე-ტყის დამამზადებელი კომიტეტები ხელმძღვანელობდნენ სამრეწველო საწარმოებისა და რკინიგზის ტრანსპორტის საჭიროებებისათვის შეშის დამზადებასა და რკინიგზის სადგურებში გაზიდვას. — **421.**

427 როცა აღნიშნა, რომ ახლა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ხუთის ნაცვლად 20 უპარტიო გლეხს აირჩევენო, მ. ი. კალინინმა თქვა: «აი ამხანაგები ამბობენ, წვერის მიხედვით ირჩევთო. მაპატიეთ, ამხანაგებო, მაგრამ წვერს გლეხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. წვეროსან გლეხთან დაკავშირებულია მისი ყოფა, მისი აზრი, და საუკეთესო მაგალითი შეიძლება იყოს ის, რომ გვერდით მიზის გლეხი პეტრუშკინი, ამხანაგი ლენინი კი იტყვის: «ავიღებ და ყველა ლოცვანს დავწვავო». მეც მოვინდომებ შევიტყო უპარტიოს აზრი და ვკითხავ პეტრუშკინს, რას იზამენ გლეხები, თუ ლოცვანს დავწვავ-მეთქი. იგი იტყვის, ჯანდაბას, დაწვითო. ახალგაზრდაა. მაგრამ თუ წვეროსანს ვკითხე — იტყვის, დავიცადოთო. ჩვენთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს («ისტორიჩესკი არხივ» № 2, 1926, გვ. 76. — **428.**

428 «ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში პროფკავშირთა როლისა და ამოცანების შესახებ თეზისების პროექტის» წერას ვ. ი. ლენინი შეუდგა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 28 დეკემბრის პლენუმის დამთავრებისთანავე. თეზისების პროექტი განიხილეს კომისიის წევრებმა (ა. ა. ანდრეევი და ი. ე. რუძუტაკი) და პოლიტბიუროს წევრებმა; განხილვის დროს მასში შეიტანეს ცვლილებანი და დამატე-

ბანი. 1922 წლის 12 იანვარს თეზისების პროექტი განიხილა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომამ, რომელმაც დაადგინა: «ამხ. ლენინის მიერ წამოყენებული თეზისების ტექსტი მიღებულ იქნეს საფუძვლად... თეზისები ყველა შესწორებით გადაეცეს სარედაქციო კომისიას ამხანაგების ლენინის, ზინოვიევის, ანდრეევისა და ბუხარინის შემადგენლობით, რათა საბოლოოდ დაამტკიცოს და გამოაქვეყნოს ცენტრალური კომიტეტის სახელით, ამასთან დაურთოს შენიშვნა, რომ თეზისებს ეხება უპირველ სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ფრაქციის ბიურო» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

თეზისების საბოლოო ტექსტი გამოქვეყნდა 1922 წლის 17 იანვარს «პრავდაში» როგორც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელიც გახდა პროექტი ცენტრალური კომიტეტის თეზისებისა პროფკავშირთა საკითხზე პარტიის XI ყრილობისათვის. რკპ(ბ) XI ყრილობამ საფუძვლად მიიღო ცენტრალური კომიტეტის თეზისები; კომისიაში განხილვის დროს თეზისებში შეტანილ იქნა ზოგიერთი ცვლილება (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში». ნაწ. I, 1954, გვ. 776 — 788).

ამ გამოცემის 33-ე ტომში გამოქვეყნებულია საბოლოო ტექსტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა «პროფკავშირთა როლისა და ამოცანების შესახებ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში». ამ ტომში იბეჭდება თეზისების ლენინისეული პროექტი. — **424.**

429 1922 წლის 3 იანვრის «პრავდაში» «ქრონიკის» განყოფილებაში დაიბეჭდა ცნობა «ინჟინერ ოლდენბორგერის თვითმკვლელობის გამო», რომელშიც ნათქვამი იყო: «მოსკოვის საბჭომ, რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტთან შეთანხმებით, დანიშნა საგანგებო კომისია მოსკოვის წყალსადენის მთავარი ინჟინრის ვ. ვ. ოლდენბორგერის თვითმკვლელობის მიზეზების გამოსაძიებლად. კომისია დარწმუნდა, რომ განსვენებული იყო არა მარტო მაღალკვალიფიციური მუშაკი, არამედ თავისი საქმის უაღრესად ერთგული კაცი. თვითმკვლელობის მიზეზი იყო მძიმე პირობები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ოლდენბორგერს ყოველდღიურ მუშაობაში. წყალსადენის საგანგებო სამეულის წევრთა ნაწილი, ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეეწყო მოსკოვის წყალსადენის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, უაღრესად აძნელებდა და ართულებდა მის მიმდინარე მუშაობას; მუშურ-გლეხური ინსპექციის სახკომატის უფროსი ინსპექტორი, ინჟინერი სემიონოვი, რომელიც ამ სამეულში შედიოდა, უხეშად, შარიანად და ბიუროკრატიულად ეპყრობოდა ოლდენ-

ბორგერს, ამავე კომისარიატის უფროსი ინსპექტორი მაკაროვ-ზემლიანსკი, წყალსადენის კანტორის ყოფილი მოსამსახურე, განუწყვეტლივ დევნიდა ოლდენბორგერს, და ალექსეევის წყალსატუმბის მუშები ელაგინი და მერკულოვი უსაფუძვლოდ აბრალებდნენ ოლდენბორგერს წყალსადენის ტექნიკურ მოშლას და კომუჯრედისადმი მოსამსახურეთა ცუდ დამოკიდებულებას. ყოველივე ამას არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა განსვენებულის სულიერ მდგომარეობაზე. კომისიამ ცნო, რომ დაუშვებელია მაკაროვ-ზემლიანსკი იყოს არათუ მუშურ-გლეხური ინსპექციის სამსახურში, არამედ საერთოდ საბჭოთა სამსახურში, როგორც საბჭოთა ხელისუფლებას მიტმასნილი პირი, ინტრიგანი და ისეთი ვინმე, რომელსაც უპატიოსნო კაცის რეპუტაცია აქვს წყალსადენის მოსამსახურეებსა და მუშებს შორის. კომისიამ ცნო აგრეთვე, რომ დაუშვებელია მუშურ-გლეხური ინსპექციის უფროსი ინჟინრის სემიონოვის შემდგომი მუშაობა მუშურ-გლეხურ ინსპექციაში და მისი რაიმე კავშირი მოსკოვის წყალსადენთან, აგრეთვე საჭიროდ ცნო ჩამოაშორეს წყალსადენს ელაგინი და მერკულოვი და გადაიყვანოს ისინი სხვა საწარმოში».

ამის შესახებ იხ. აგრეთვე ეს ტომი, გვ. 439—440. — **436.**

430 ვ. ი. ლენინის წინადადება, შექმნილიყო კომისია პროფკავშირთა ხელმძღვანელი კადრების შემოწმებისა და განახლებისათვის, გამოწვეული იყო იმით, რომ ეს კადრები დიდად დანაგვიანდა მენშევიკებისა და ესერების წრიდან გამოსულებით, აგრეთვე იმით, რომ საჭირო გახდა გაედიდებინათ ხელმძღვანელ პროფმუშაკთა პარტიული სტაჟი შესაბამისად რკპ(ბ) სრულიად რუსეთის XI კონფერენციის რეზოლუციისა «პარტიის განმტკიცების საკითხის გამო მისი პირადი შემადგენლობის შეფოწმების გამოცდილების გათვალისწინებასთან დაკავშირებით» (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 766 — 767).

ვ. ი. ლენინის წინადადება მიიღო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ; 1922 წლის 20 იანვარს შეიქმნა კომისია მ. პ. ტომსკის, ა. ა. ანდრეევისა და ს. ი. სირცოვის შემადგენლობით. თავისი მუშაობის შედეგები კომისიამ მოახსენა რკპ(ბ) XI ყრილობას (იხ. «რკპ(ბ) მეთერთმეტე ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში», 1961, გვ. 246 — 252) — **439.**

431 დადგენილებათა პროექტები, რომლებიც ვ. ი. ლენინმა დაწერა, მიღებულ იქნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1922 წლის 5 იანვრის სხდომაზე.

ვ. ვ. ოლდენბორგერის თვითმკვლელობის საქმე გაარჩია სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულმა

უმაღლესმა ტრიბუნალმა 1922 წლის 8 — 14 მარტს. ტრიბუნალმა დამნაშავეებს სხვადასხვა სახის სასჯელი შეუფარდა. — **440.**

432 რადიომშენებლობისათვის კრედიტების გადიდების საკითხი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განიხილა 1922 წლის 20 იანვრის სხდომაზე. პოლიტბიუროს დაეთანხმა ლენინის წინადადებას და დაამტკიცა ფინანსთა სახკომატის დასკვნა ამ საკითხის გამო. — **441.**

433 1922 წლის 27 იანვარს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის სახელით დოკუმენტი გაეგზავნა განათლების სახკომატს. დოკუმენტში ნათქვამი იყო: «ვაცნობებთ სახელმძღვანელოდ ვლადიმერ ილიას ძის დირექტივას კინოსაქმის შესახებ». განათლების სახკომატს წინადადება ეძლეოდა: «1) ამ დირექტივის საფუძველზე შეემუშავებინა მოქმედების პროგრამა და დაუყოვნებლივ ეცნობებინა სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობისათვის, რომ მოეხსენებინათ ვლადიმერ ილიას ძისათვის. 2) ერთი თვის შემდეგ წარედგინა სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობაში მოხსენება იმაზე, თუ რა გაკეთდა რეალურად ამ დირექტივის შესასრულებლად და რა შედეგებია მიღწეული. 3) დაუყოვნებლივ ეცნობებინა, რა ფუნქციები დარჩა განათლების სახკომატს მას შემდეგ, რაც გამოვიდა შრომისა და თავდაცვის საბჭოს უკანასკნელი დადგენილება კინოსაქმის შესახებ და ვინ უნდა უხელმძღვანელოს უშუალოდ ამ ფუნქციების შესრულებას» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

ვ. ი. ლენინმა ა. ვ. ლუნაჩარსკისთან საუბარში 1922 წლის თებერვალში «ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი გასართობ და მეცნიერულ კინოსურათებს შორის განსაზღვრული პროპორციების დაწესების აუცილებლობას». ვლადიმერ ილიას ძემ, წერს თავის მოგონებებში ა. ვ. ლუნაჩარსკი, მითხრა, რომ ქრონიკით უნდა დავიწყოთ კომუნისტური იდეებით გამსჭვალული, საბჭოთა სინამდვილის ამსახველი ახალი ფილმების წარმოება, რომ, მისი აზრით, ასეთი ფილმების შექმნის დრო, შეესაძლებელია, ჯერ არ დამდგარა. «თუ თქვენ გექნებათ კარგი ქრონიკა, სერიოზული და საგანმანათლებლო სურათები, მაშინ არა უშავს, თუ ხალხის მისაზიდად მასთან ერთად ცოტად თუ ბევრად ჩვეულებრივი ტიპის რომელიმე უსარგებლო სურათი წავა. რა თქმა უნდა, ცენზურა მაინც საჭიროა. კონტრრევოლუციურ და უზნეო სურათებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ». ამას ვლადიმერ ილიას ძემ დასძინა: «როგორც კი თქვენი კარგი მეურნეობრიობით წელში გაიმართებით, და ისიც კია შესაძლებელი, რომ ქვეყნის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესების გამო ამ საქმისათვის განსაზღვრულ სესხს მიიღებთ, თქვენ უფრო ფართოდ უნდა გაშალოთ წარმოება, განსაკუთრებით კი წასწიოთ წინ ჯანსაღი კინო მასაში ქალაქად და კიდევ უფრო მეტად სოფლად... თქვენ მტკიცედ უნდა გახსოვდეთ, რომ ყველა ხელოვნე-

ბიდან ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია კინო» («სოვეტსკოე კინო» № 1 — 2, 1933, გვ. 10). — **442.**

434 ვ. ი. ლენინის წინადადება უკრაინაში მ. ი. კალინინის გამგზავრების შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო 28 იანვარს. მ. ი. კალინინმა იმგზავრა 1922 წლის 7 — 18 თებერვალსა და 5 — 18 მარტს აგიტმატარებლით «ოქტიაბრსკაია რევოლუცია» მარშრუტით: პოლტავა — მირგოროდი — კიევი — ბელაია ცერკოვი — კრემენჩუგი — ოდესა — ჟმერინკა — კამენეც-პოდოლსკი — ვინიცა — ბერდიჩევი — ჟიტომირი. — **442.**

435 ლაპარაკია სტატიაზე «საბჭოების IX ყრილობა და გლეხობა», რომელიც 1922 წლის 27 იანვარს გამოქვეყნდა «პრავდაში» «ბესპარტიინის» ხელმოწერით. სტატიის ავტორი ავითარებდა პოპულარიზაციის იმ გეგმას, რომ გლეხებს შორის გაევრცელებინათ სრულიად რუსეთის საბჭოების IX ყრილობის გადაწყვეტილებანი გლეხთა საკითხებზე. ვ. ი. ლენინის პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო 1922 წლის 28 იანვარს. — **448.**

436 იმის ინიციატივა, რომ მოეწვიათ საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც განიხილავდა ევროპაში მშვიდობის დამყარებისა და ეკონომიური თანამშრომლობის ყველა საკითხს, მათ შორის რუსეთის ვალების საკითხსაც, გამოიჩინა საბჭოთა მთავრობამ, რომელმაც 1921 წლის 28 ოქტომბერს ამ საკითხზე ნოტა გაუგზავნა ინგლისის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და იაპონიის მთავრობებს (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოცემა, ტომი 44, გვ. 185 — 188). გადაწყვეტილება საერთაშორისო ეკონომიური და საფინანსო კონფერენციის მოწვევის შესახებ 1922 წლის 6 იანვარს მიიღო ანტანტის ქვეყნების უმაღლესმა საბჭომ ქალაქ კანში (საფრანგეთი) გამართულ კონფერენციაზე. მოკავშირე ქვეყნებს, რომლებმაც გადაწყვიტეს კონფერენციაზე მიეწვიათ საბჭოთა რუსეთი, იმედი ჰქონდათ, რომ აიძულებდნენ საბჭოთა მთავრობას წასულიყო არაერთ პოლიტიკურ და ეკონომიურ დათმობაზე და ამავე დროს დაამყარებდნენ სამეურნეო ურთიერთობას საბჭოთა რუსეთთან.

27 იანვარს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესიამ აირჩია საბჭოთა დელეგაცია გენუის კონფერენციაზე. დელეგაციის თავმჯდომარედ დანიშნეს ლენინი, მოადგილედ — გ. ვ. ჩიჩერინი, რომელსაც «თავმჯდომარის ყველა უფლება ეძლეოდა იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა გარემოების გამო ამხ. ლენინი ვერ წავიდოდა კონფერენციაზე». დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ლ. ბ. კრასინი, მ. მ. ლიტვინოვი, ნ. ნ. ნარიმანოვი, ვ. ვ. ვოროვსკი, ი. ე. რუძუტაკი და სხვ. გენუის კონფერენციაზე ვ. ი. ლენინის

წასვლის საკითხს ფართოდ განიხილავდნენ საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელები. მრავალრიცხოვან წერილებში ისინი გამოთქვამდნენ შეშფოთებას ლენინის უშიშროებისა და სიცოცხლისათვის და მისი წასვლის წინააღმდეგი იყვნენ. რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამ საკითხზე მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ვ. ი. ლენინმა დელეგაციის თავმჯდომარის უფლებამოსილება გადასცა გ. ვ. ჩიჩერინს.

ლენინი ხელმძღვანელობდა დელეგაციის მუშაობას, შეიმუშავა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივები საბჭოთა დელეგაციისათვის და გენუის კონფერენციაში საბჭოთა რუსეთის მონაწილეობასთან დაკავშირებული სხვა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები (იხ. ეს ტომი, გვ. 449 — 450, 451 — 454, 458 — 461, 468 — 469 და თხზულებანი, მე-5 გამ. ცემა, ტომი 44 და 45).

გენუის კონფერენცია მიმდინარეობდა 1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე. მასში მონაწილეობდნენ 29 ქვეყნის წარმომადგენლები. საბჭოთა დელეგაციის განცხადებაში, რომელიც მოიწონა ვ. ი. ლენინმა და დაამტკიცა სახკომსაბჭომ, ნათქვამი იყო: «რუსეთის დელეგაცია, რომელიც კვლავ ადგას კომუნიზმის პრინციპთა თვალსაზრისს, აღიარებს, რომ ახლანდელ ისტორიულ ეპოქაში, რომელიც შესაძლებელს ხდის ძველისა და ახალი, აღმავალი სოციალური წყობილების პარალელურ არსებობას, საკუთრების ამ ორი სისტემის წარმომადგენელ სახელმწიფოთა ეკონომიური თანამშრომლობა გადაჭრით საჭიროა საყოველთაო ეკონომიური აღდგენისათვის («გენუის კონფერენციის მასალები. სრული სტენოგრაფიული ანგარიში». მოსკოვი, 1922, გვ. 78).

გენუის კონფერენციას არ გადაუჭრია მის წინაშე დასახული ამოცანები. საბჭოთა დელეგაციამ მტკიცედ უარყო იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ცდები ჩვენი ქვეყნისთვის თავს მოეხვიათ კოლონიური რეჟიმი (კონტროლის დაწესება საბჭოთა ფინანსებისადმი და სხვ.). საბჭოთა დელეგაციამ წინადადება მისცა კონფერენციის მონაწილეებს განეხილათ შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და ბრძოლის ყველაზე ბარბაროსულ საშუალებათა (შხამიანი გაზების, სამხედრო ავიაციის) აკრძალვის საკითხი, რითაც მთელ მსოფლიოს უჩვენა საბჭოთა რესპუბლიკის ლენინური საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარული ხასიათი. — 444.

437 ლენინს მხედველობაში აქვს ზოგიერთ დათმობათა პოლიტიკა, რომელსაც 20-იანი წლების დამდეგს ახორციელებდა ინგლისის მთავრობა ლოიდ ჯორჯის მეთაურობით, რათა ჩაეხშო რევოლუციური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ირლანდიასა და ეგვიპტეში.

ინგლის-ირლანდიის ხელშეკრულება დაიდო 1920 წლის 6 დეკემბერს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ირლანდიელი ხალხის ხან-

გრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის შედეგად. ხელშეკრულება ითვალისწინებდა, რომ ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში შექმნილიყო დომინიონი «ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფო». ექვსი ჩრდილო-დასავლეთის საგრაფო (ოლსტერი), რომლებიც ირლანდიის ყველაზე განვითარებული ნაწილი იყო მრეწველობის მხრივ, ერთმეოდა მას და რჩებოდა დიდი ბრიტანეთის ფარგლებში.

ინგლისის მთავრობა, რომელმაც 1921 წლის დეკემბერში ჩაახშო ეგვიპტელი ხალხის აჯანყება ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ, 1922 წლის თებერვალში იძულებული გახდა გაეუქმებინა ეგვიპტის პროტექტორატი და ეგვიპტე გამოეცხადებინა «დამოუკიდებელ სამეფოდ». მაგრამ ეგვიპტის «დამოუკიდებლობა» ფორმალური აღმოჩნდა, რადგან ინგლისს კვლავ ოკუპირებული ჰყავდა მთელი ეგვიპტე, კონტროლს უწევდა სუეცის არხის ზონას, ბატონობდა ინგლის-ეგვიპტის სუდანში და სხვ. — **447.**

438 ლაპარაკია სამი ინტერნაციონალის (II, II½ და III კომუნისტური) მომავალ კონფერენციაზე. კომუნისტური ინტერნაციონალის აქტიურმა ბრძოლამ ბურჟუაზიის შეტევის წინააღმდეგ მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნისათვის და მუშათა მასების მისწრაფებამ მოქმედების ერთიანობისადმი აიძულა II½ ინტერნაციონალის ხელმძღვანელობა 1922 წლის 19 იანვარს წინადადება მიეცა კომინტერნის აღმასკომისათვის, რომ 1922 წლის გაზაფხულზე მოეწვიათ საერთაშორისო კონფერენცია ევროპის ეკონომიური მდგომარეობისა და რეაქციის შეტევის წინააღმდეგ მუშათა კლასის მოქმედების პრობლემათა განსახილველად — **447.**

439 «ს მ ე ნ ა ვ ე ხ»—ყოველკვირეული ჟურნალი; მას პარიზში გამოსცემდა თეთრგვარდიელი ემიგრაციის ინტელიგენტთა ჯგუფი 1921 წლის ოქტომბრიდან 1922 წლის მარტამდე. ამავე ჯგუფმა 1921 წლის ივლისში პრაღაში გამოსცა კრებული «სმენა ვეხ». კრებულისა და ჟურნალის გარშემო შეიქმნა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელსაც სმენოვეხელობას უწოდებდნენ (მისი იდეოლოგები იყვნენ ნ. ვ. უსტრიალოვი, ი. ვ. კლუჩნიკოვი, ს. ს. ლუკიანოვი, ა. ვ. ბობრიშჩევ-პუშკინი, ს. ს. ჩახოტინი, ი. ნ. პოტეხინი და სხვ.). სმენოვეხელობას სოციალური ნიადაგი შეუქმნა კაპიტალისტური ელემენტების ერთგვარმა გამოცოცხლებამ საბჭოთა რესპუბლიკაში ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებასთან დაკავშირებით. ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლა სმენოვეხელებს მიაჩნდათ საბჭოთა ხელისუფლების ევოლუციად კაპიტალიზმის აღდგენისაკენ. ისინი მოითხოვდნენ თანამშრომლობას საბჭოთა ხელისუფლებასთან საბჭოთა სახელმწიფოს ბურჟუაზიული გარდაქმნის იმედით. სმენოვეხელთა ნაწილმა განაცხადა, რომ მზად არის პატიოსნად ითანამშრომლოს საბ-

ჭოთა ხელისუფლებასთან და ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას. რკპ(ბ) XII სრულიად რუსეთის კონფერენციამ (1922 წლის 4 — 7 აგვისტო) რეზოლუციაში «ანტისაბჭოური პარტიებისა და მიმდინარეობის შესახებ» აღნიშნა: «ეგრეთ წოდებული სმენოვეხოვური მიმდინარეობა დღემდე ასრულებდა და კიდევ შეუძლია შეასრულოს ობიექტურად პროგრესული როლი. იგი რაზმავდა და რაზმავს ემიგრაციისა და რუსი ინტელიგენციის იმ ჯგუფებს, რომლებიც «შეურიგდნენ» საბჭოთა ხელისუფლებას და მზად არიან იმუშაონ მასთან ქვეყნის ასაღორძინებლად. ამდენად სმენოვეხოვური მიმართულება იმსახურებდა და იმსახურებს დადებით დამოკიდებულებას. მაგრამ ამასთან ერთად არ შეიძლება ერთი წუთითაც დავივიწყოთ, რომ სმენოვეხურ მიმდინარეობაშიც ძლიერია ბურჟუაზიულ-რესტავრატორული ტენდენციები, რომ სმენოვეხელებს საერთო აქვთ მენშევიკებთან და ესერებთან ის იმედი, რომ ეკონომიურ დათმობებს მოჰყვება პოლიტიკური დათმობანი ბურჟუაზიული დემოკრატიის მიმართულებით და სხვ.» («სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 867). შემდგომში სმენოვეხელთა უმრავლესობა დაადგა აშკარა კონტრრევოლუციურ პოზიციებს. ვ. ი. ლენინმა სმენოვეხელობა დაახასიათა საანგარიშო მოხსენებაში რკპ(ბ) XI ყრილობისადმი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 33, გვ. 334—335). — **449.**

440 ეს ბარათი ვ. ი. ლენინმა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მისწერა იმის გამო, რომ 1922 წლის 2 თებერვალს «იზვესტია ვციკმა» დაბეჭდა ვარშავიდან მოსული დეპეშა, რომელშიც გადმოცემული იყო შინაარსი პარვუსის ბროშურისა «სამეურნეო გადარჩენის გზა». ბროშურაში პარვუსი იცავდა გერმანული იმპერიალიზმის დამპყრობლურ გეგმებს აღმოსავლეთში, საბჭოთა რუსეთის ხალხთა კოლონიური დამონების გეგმებს. იქ, ევროპის აღმოსავლეთში, წერდა პარვუსი, «ხსნილია გზა გერმანიის გაფართოებისათვის, გერმანიის ძლიერებისათვის, გერმანული ანგარიშიანობისათვის».

ლენინის წინადადება პოლიტბიუროომ მიიღო 8 თებერვალს. გამოძიების შემდეგ 1922 წლის 11 მარტს პოლიტბიუროომ მიიღო გადაწყვეტილება ამ საკითხზე (იხ. შემდეგი დოკუმენტი). — **450.**

441 გენუის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციისათვის ცენტრალური კომიტეტის დირექტივების ის დამატებანი, რომლებსაც ეს დოკუმენტი შეიცავს, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ დაამტკიცა 1922 წლის 8 თებერვალს. — **451.**

442 «კოოპერატივნოე დელო» — ყოველდღიური საზოგადოებრივ-ეკონომიური, კოოპერაციული და სავაჭრო გაზეთი; ცენტრო-

სოიუზის ორგანო. «კოოპერატივნოე დელოს» მთავარი რედაქტორი იყო ნ. ლ. მეშჩერიაკოვი. გაზეთი პირველად გამოვიდა 1922 წლის 1 თებერვალს.

ვ. ი. ლენინის წინადადება (იხ. შემდეგი დოკუმენტი) 1922 წლის 15 თებერვალს განიხილა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომამ და მიიღო გადაწყვეტილება: «წინადადება მიეცეს ვაზეთ «კოოპერატივნოე დელოს» რედაქციას სამი დღის ვადაში წარმოუდგინოს პოლიტბიუროს წერილობითი ახსნა-განმარტება გაზეთ «კოოპერატივნოე დელოს» გამოცემის, მისი ხასიათის, რედაქციისა და თანამშრომლების შემადგენლობის გამო» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). მეორედ საკითხი განიხილეს 22 თებერვალს: გადაწყვიტეს გაზეთის დახურვა გადაედოთ ორი კვირით. საბოლოოდ საკითხი გადაწყდა მაისში: გაზეთი «კოოპერატივნოე დელო» გარდაიქმნა ყოველკვირეულად. — **454.**

443 კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის პირველი გაფართოებული პლენუმი გაიმართა მოსკოვში 1922 წლის 21 თებერვალს — 4 მარტს. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა 36 ქვეყნის 105 დელეგატი. ცენტრალური საკითხი, რომელსაც პლენუმი განიხილავდა, იყო ერთიანი ფრონტის ტაქტიკის საკითხი. გარდა ამისა, პლენუმმა მოისმინა მოხსენება კომინტერნის სხვადასხვა სექციის მდგომარეობის შესახებ და სხვ. პლენუმმა მიიღო თეზისები ომისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, თეზისები ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, დადგენილება ერთიანი ფრონტის ტაქტიკის შესახებ, რეზოლუცია სამი ინტერნაციონალის მოსალოდნელ კონფერენციაში კომინტერნის მონაწილეობის შესახებ და არაერთი სხვა დოკუმენტი.

ვ. ი. ლენინი პლენუმის მუშაობაში არ მონაწილეობდა ავადმყოფობის გამო. მაგრამ იგი აქტიურად მონაწილეობდა პლენუმის მომზადებაში, შეიმუშავა კომინტერნის დელეგაციის ტაქტიკა სამი ინტერნაციონალის მოსალოდნელ კონფერენციაზე (იხ. ეს ტომი, გვ. 447 — 449, 464 — 465 და სხვ.).

ლენინის ეს წინადადებანი, რომ ცვლილებები შეეტანათ სამი ინტერნაციონალის კონფერენციაში მონაწილეობის საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო 1922 წლის 23 თებერვალს.

რეზოლუცია სამი ინტერნაციონალის კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ 1922 წლის 4 მარტს მიიღო კომინტერნის აღმასკომის პირველმა გაფართოებულმა პლენუმმა. — **456.**

444 დადგენილების პროექტი, რომელიც ლენინმა შეიტანა, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დაამტკიცა 1922 წლის 28 თებერვალს ი. ბ. სტალინის შემდეგი დამატებით: «1. საბჭოთა ხელისუფლების ცნობის საკითხი დაისვას კონფერენციის დაწყებისას კი არა, არამედ ბოლოს (ეკონომიური შეთანხმებისათვის ყველა ცდის შემდეგ) და, თანაც, ულტიმატუმად არ გადავაქციოთ იგი; 2. კონფერენციაზე სუბიექტებად (თანხმობის მიმცემ სუბიექტებად) არ დავასახელოთ ცენტროსოიუზი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და სხვ. (როგორც ამას კრასინი შვრება), არამედ მხედველობაში ვიქონიოთ მხოლოდ ერთი სუბიექტი — რუსეთის სახელმწიფო» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **461.**

445 იმავე დღეს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დათანხმდა ვ. ი. ლენინის წინადადებას და გ. ვ. ჩიჩერინმა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს ვაუგზავნა რადიოდეპეშა გენუის კონფერენციის მოწვევის ვადის საკითხზე (იხ. «იზვესტია ვციკ» № 47, 1922 წლის 28 თებერვალი) — **462.**

446 მკირე სახკომსაბჭოს ახალი დებულება დაამტკიცა სახკომსაბჭოს 1922 წლის 31 ოქტომბრის სხდომამ. — **462.**

447 1921 წლის შემოდგომიდან საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლები ესესხის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ შვეიცარიის მთავრობასთან და შვეიცარიის საქმიან წრეებთან. გაეცნო რა ესესხის პირობებს, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და ფინანსთა მინისტრის ნ. ნ. კრესტინსკის მოსაზრებებს ამ საკითხზე, ვ. ი. ლენინმა დაწერა აქ გამოქვეყნებული წინადადება. — **463.**

448 ეს წერილი ლენინმა დაწერა სამი ინტერნაციონალის კონფერენციაზე კომინტერნის დელეგაციისათვის კომინტერნის აღმასკომის დირექტივების შემუშავებასთან დაკავშირებით. წერილი შეიცავს შენიშვნებს დირექტივების პროექტის გამო, რომელიც გ. ე. ზინოვიევმა შეადგინა და ვ. ი. ლენინს გაუგზავნა 1922 წლის 14 მარტს თხოვნით, გამოეთქვა აზრი, სანამ პროექტს კომინტერნის აღმასკომში შეიტანდნენ.

პოლიტბიურომ მოიწონა დირექტივები, რომლებშიც ლენინის შენიშვნათა და წინადადებათა შესაბამისად შეიტანეს შესწორებანი და დამატებანი. 17 მარტს დირექტივები ერთხმად დაამტკიცა კომინტერნის აღმასკომმა. — **464.**

449 1922 წლის 18 მარტს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დაამტკიცა ვ. ი. ლენინის პროექტი. — **466.**

450 ვ. ი. ლენინმა ეს წერილი დაწერა შემდეგ გარემოებებთან დაკავშირებით. მრავალრიცხოვან განცხადებათა გამო, რომ მოსკოვის საქალაქო საბჭოს ცენტრალურ საბინაო განყოფილებაში ხდება ბოროტმოქმედებანი, დაიწყო ამ განყოფილების რევიზია. რადგან ასეთი განცხადებები ლენინის სახელზეც მოდიოდა, რევიზიაში უახლოესი მონაწილეობა მიიღო სახკომსაბჭოს საქმეთა სამმართველომ (ა. ა. დივილკოვსკი). რევიზიამ დაადგინა, რომ ცენტრალური საბინაო განყოფილების არაერთი პასუხისმგებელი მუშაკი ბოროტად იყენებდა თავის თანამდებობას და რომ მათ ხელს უწყობდა მოსკოვის კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე სოვეტნიკოვი, პარტიის წევრი. რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის ბიუროს 14 მარტის სხდომამ, რომელიც გაიმართა მოსკოვის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის მონაწილეობით, რევიზიის დასკვნები უსაფუძვლოდ ცნო და დაადგინა გადასასინჯად გადაეცა საქმე ახალი, პარტიული კომისიისათვის. 15 მარტის წერილში ნ. პ. გორბუნოვისადმი, რომელიც ცნობისათვის დაეგზავნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრს, დივილკოვსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ლენინის მითითებებს დაუნდობლად დევნონ «ბიუროკრატიული ბანდიტიზმი, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამას სჩადიან პარტიასთან მიტმასნილი ბნელი ელემენტები», და სთხოვა გავუქმებინათ ეს გადაწყვეტილება და დამნაშავენი გადაეცათ სასამართლოსთვის (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

ლენინმა წერილი გაუგზავნა ვ. მ. მოლოტოვს პოლიტბიუროს წევრებისათვის და ზედ წააწერა: «გორბუნოვს **დაუყოვნებლივ** გადასაგზავნად, როგორც კი გაიცნობს ციურუპასა და რიკოვს». — **466.**

451 დოკუმენტი დაწერილია ლ. მ. ხინჩუკის 1922 წლის 17 მარტის წერილთან დაკავშირებით, რომელშიც მითითებას სთხოვდა ვ. ი. ლენინს, დაესვა თუ არა ცენტროსოიუზის რწმუნებულთა საბჭოს მომავალ მე-5 სესიაზე საკითხი კოოპერაციის წევრობის ნებაყოფლობითობის შესახებ. ლენინის წინადადებანი შეტანილია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1922 წლის 12 მაისის დადგენილებაში «საომხმარებლო კოოპერაციის წევრობის სავალდებულოობის, შესატანთა ნებაყოფლობითობისა და ერთიანობის შესახებ». — **467.**

452 ვ. ი. ლენინის ყველა შესწორება და შენიშვნა გენუის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის განცხადების პროექტის გამო, რომელიც გ. ვ. ჩიჩერინმა წარმოადგინა, გაითვალისწინეს. საბჭოთა დელეგაციის განცხადება ჩიჩერინმა წაიკითხა გენუის კონფერენციის პირველ პლენარულ სხდომაზე 1922 წლის 10 აპრილს. — **468.**

453 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს გ. ვ. ჩიჩერინის სიტყვის პროექტის შემდეგი ტექსტი: «ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ კანის რეზოლუციის პირველ პუნქტს თანამედროვე მსოფლიოს ორივე ბანაკის პოლიტიკური და ეკონომიური სისტემების ურთიერთცნობის შესახებ» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). ჩიჩერინის პროექტში ლენინმა ეს ტექსტი მინდორზე შემოხაზა. სიტყვებს, რომლებსაც ეხება შენიშვნების მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები, ჩიჩერინის პროექტში ლენინმა ხაზი გაუსვა. — **468.**

454 რკპ(ბ) XI ყრილობა გაიმართა მოსკოვში 1922 წლის 27 მარტს — 2 აპრილს. პარტიის XI ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა 522 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 164 — სათათბირო ხმით.

ყრილობის დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში; 2) ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული ანგარიში; 3) სარევიზიო კომისიის ანგარიში; 4) ცენტრალური საკონტროლო კომისიის ანგარიში; 5) კომინტერნში წარგზავნილი რკპ(ბ) დელეგაციის ანგარიში; 6) პროფესიული კავშირები; 7) წითელი არმიის შესახებ; 8) საფინანსო პოლიტიკა; 9) პარტიის წმენდის შედეგები და მისი რიგების განმტკიცება; თანამოხსენებანი ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ, პრესისა და პროპაგანდის შესახებ; 10) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის არჩევნები. გარდა ამისა, ყრილობამ შექმნა კომისია სოფლად პარტიის მუშაობის საკითხის მოსამზადებლად, რათა ეს საკითხი განეხილა ყრილობის აგრარულ სექციას და შეემუშავებინა რეზოლუცია.

ყრილობის წინ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწია. ლენინის მიერ ან მისი მონაწილეობით შემუშავებული იყო ყრილობის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები. ვ. ი. ლენინმა წარმოთქვა სიტყვა ყრილობის გახსნისას, გამოვიდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშით და საბოლოო სიტყვით ამ ანგარიშის გამო, სიტყვით «პრავდაში» განცხადებების ბეჭდვის შესახებ და სიტყვით ყრილობის დახურვის დროს.

იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 301 — 383. — **469.**

455 ვ. ი. ლენინის ფორმულირება მთლიანად შეიტანეს რკპ(ბ) XI ყრილობის რეზოლუციაში «კომინტერნში წარგზავნილი რკპ(ბ) დელეგაციის ანგარიშის გამო», რომელიც მიიღეს 1922 წლის 2 აპრილს (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის

პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1951, გვ. 774—776). — **470.**

456 როცა რკპ(ბ) XI ყრილობა განიხილავდა რეზოლუციას «პრესისა და პროპაგანდის შესახებ», დ. ბ. რიაზანოვმა წამოაყენა წინადადება, რომ რეზოლუციაში შეეტანათ დამატება პარტიულ პრესაში განცხადებების ბეჭდვის აკრძალვის შესახებ. ყრილობამ მიიღო ეს წინადადება იმ შესწორებით, რომ განცხადებების ბეჭდვა აკრძალულია საერთოდ პარტიულ პრესაში კი არა, არამედ მხოლოდ «პრავდაში». ამ დროს ლენინი სხდომაზე არ ყოფილა. როცა მან ყრილობის გადაწყვეტილება შეიტყო, სხდომის თავმჯდომარეს ლ. ბ. კამენევს მისწერა შემდეგი ბარათი: «ამხ. კამენევ! ამბობენ, ყრილობამ დაამტკიცა «პ რ ა ვ დ ა შ ი» განცხადებების გაუქმებაო? ხომ არ შეიძლება ამის გამოსწორება, რადგან აშკარა შეცდომაა?» (ლენინის XIII კრებული, 1930, გვ. 29). კამენევმა, რომელსაც შეუძლებლად მიაჩნდა მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა, შესთავაზა გამოეძებნათ «პრავდისათვის» დახმარების სხვა საშუალებანი. მაგრამ ლენინმა უკვე მას შემდეგ, რაც გამოაცხადეს ყრილობაზე არჩეული ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრების სია, მოითხოვა სიტყვა და შეიტანა წინადადება გაეუქმებინათ ეს გადაწყვეტილება. თავისი წინადადება მან დაასაბუთა იმით, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში სწორი არ იქნებოდა ასიგნებანი პრესისათვის ევარაუდათ ოქროს ფონდიდან ან საგადასახადო შენატანებიდან. ლენინის წინადადება მიიღეს.

ვინაიდან ლენინის სიტყვა სტენოგრაფირებული იყო ნაწილობრივ და არადამაკმაყოფილებლად, ამ გამოცემაში იგი მთლიანად არ იბეჭდება. — **470.**

457 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1922 წლის 3 აპრილს ეს პროექტი მიიღო შემდეგი დამატებით: «. . . ისე, რომ ამხ. სტალინი ერთ თვეში სავსებით განთავისუფლდეს მუშურ-გლეხურ ინსპექციაში მუშაობისაგან». იმასთან დაკავშირებით, რომ პლენუმმა გამოიტანა გადაწყვეტილება ი. ბ. სტალინი დაენიშნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად, სახკომსაბჭოს 1922 წლის 25 აპრილის დადგენილებით იგი გაათავისუფლეს მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან. — **472.**

458 1922 წლის 12 აპრილს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუ-რომ მიიღო ვ. ი. ლენინის წინადადება. — **474.**

459 ს ა მ ი ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა გაიმართა ბერლინში 1922 წლის 2 — 5 აპრილს.

კონფერენციაზე მძაფრი ბრძოლა გაიშალა, ერთი მხრივ, II და II$^1/_2$ ინტერნაციონალების წარმომადგენელთა და, მეორე მხრივ, კომუნისტური ინტერნაციონალის წარმომადგენელთა შორის. კომინტერნის დელეგაციამ წამოაყენა წინადადება მოეწვიათ მსოფლიო კონგრესი პროფესიული კავშირებისა და მუშათა სხვა ორგანიზაციების მონაწილეობით, რათა განხილულ ისეთი საკითხები, როგორიცაა ბრძოლა კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ, რეაქციის წინააღმდეგ, ახალი იმპერიალისტური ომების მომზადების წინააღმდეგ, საბჭოთა რუსეთის აღდგენაში დახმარების, ვერსალის ხელშეკრულებისა და დანგრეული ოლქების აღდგენის საკითხები. II ინტერნაციონალის წარმომადგენლები II$^1/_2$ ინტერნაციონალის დელეგაციის ფაქტობრივი მხარდაჭერით ცდილობდნენ იძულებული გაეხადათ კომინტერნის დელეგაცია მიეღო მიღებული პირობები, როგორიცაა: საქართველოს გამოყოფა საბჭოთა სახელმწიფოსაგან, მუშათა მასობრივ ორგანიზაციებში კომუნისტური უჯრედების შექმნაზე უარის თქმა, პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლება. კომინტერნის დელეგაციამ (ნ. ი. ბუხარინი, კ. რადეკი, ჯ. ცეტკინი) უარყო ეს მოთხოვნები, მაგრამ დათანხმდა პირობას, რომ საბჭოთა ხელისუფლება სიკვდილით დასჯას არ გამოიყენებდა მემარჯვენე ესერების საქმის გარჩევისას და ნებას დართავდა II და II$^1/_2$ ინტერხაციონალების წარმომადგენლებს დასწრებოდნენ სასამართლოს. სტატიაში «ჩვენ ძალიან ძვირი დაგვიჯდა» ვ. ი. ლენინმა მკაცრად გააკრიტიკა ბერლინის კონფერენციაზე კომინტერნის წარმომადგენელთა ეს დათმობანი, რადგან მცდარად მიაჩნდა ისინი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 33, გვ. 387 — 392).

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს საერთო დეკლარაცია, რომლითაც შესაძლებლად ცნეს მოეწყოთ ერთობლივი თათბირები და საერთო გამოსვლები კონკრეტულ საკითხებზე. დეკლარაცია მოუწოდებდა ყველა მშრომელს გენუის კონფერენციის დროს მოეწყოთ მასობრივი დემონსტრაციები ასეთი ლოზუნგებით: ბრძოლა რვასაათიანი სამუშაო დღისათვის, უმუშევრობის წინააღმდეგ, პროლეტარიატის ბრძოლა კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ, რუსეთის რევოლუციის დასაცავად, რუსეთში დამშეულთა დასახმარებლად, საბჭოთა რუსეთთან ყველა სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის აღსადგენად, ყველა ქვეყანაში ერთიანი პროლეტარული ფრონტის აღსადგენად ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით. კონფერენციამ საჭიროდ მიიჩნია მსოფლიო კონგრესის რაც შეიძლება მალე მოწვევა და შექმნა საორგანიზაციო კომისია 9 კაცის (თითოეული ინტერნაციონალის სამ-სამი წარმომადგენელი) შემადგენლობით შემდგომი კონფერენციებისა და კონგრესის მოსამზადებლად.

მაგრამ II და II$^1/_2$ ინტერნაციონალების რეფორმისტული ხელმძღვანელობა, რომელმაც ეს შეთანხმება მიიღო მშრომელთა ფართო

მასების ზეგავლენით, საბოტაჟს უწევდა და ფუშავდა მუშათა კლასის ერთიან ბრძოლას. 1922 წლის 21 მაისს II და II$^1/_2$ ინტერნაციონალების რამდენიმე პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება ჰააგაში მოეწვიათ მსოფლიო კონგრესი უკომუნისტებოდ. ამით რეფორმისტულმა ლიდერებმა ჩაშალეს ბრძოლა მუშათა ერთიანი ფრონტისათვის. ამასთან დაკავშირებით ცხრათა კომისიის 1922 წლის 23 მაისის სხდომაზე, რომელიც ბერლინში გაიმართა, კომინტერნის დელეგაციამ განაცხადა, რომ გამოდის კომისიის შემადგენლობიდან.

აქ გამოქვეყნებული შენიშვნები და წინადადებანი ეხება სამი ინტერნაციონალის ბერლინში გამართულ კონფერენციასთან დაკავშირებით კომინტერნის აღმასკომის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ პროექტს: «1) მთელ საერთაშორისო კომუნისტურ პრესაში გავაძლიეროთ კამპანია მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგ. 2) მოწინააღმდეგის თითოეული სუსტი ადგილის სამხილებლად დავიწყოთ ბერლინის თათბირის მასალების სისტემატური გამოყენება. 3) ცხრათა კომისიამ ჯერჯერობით არ გამოუშვას ერთობლივი მოწოდებანი. 4) 20 აპრილის დემონსტრაციის დროს არ მოვერიდოთ აგიტაციას და გავაკრიტიკოთ მოწინააღმდეგე. 5) ცალკეული სექციები მოქმედებენ კონკრეტული პირობების შესაბამისად. 6) დელეგაციის ყოველგვარი ახალი ღონისძიებანი უნდა გადაიდოს, სანამ განვიხილავდეთ ბერლინის შედეგის რატიფიკაციის საკითხს» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

გაუგზავნა რა ეს პროექტი ვ. ი. ლენინს, გ. ე. ზინოვიევმა სთხოვა მას იმ დღესვე, კომინტერნის აღმასკომის სხდომის დაწყებამდე, გამოეთქვა თავისი აზრი. — **474.**

460 *«The New York Herald»* («ნიუ-იორკის უწყებანი»)—ამერიკის ყოველდღიური გაზეთი. რესპუბლიკური პარტიის ორგანო; გამოდიოდა ნიუ-იორკში 1835—1924 წწ. — **476.**

461 გ. ვ. პლეხანოვის თხზულებათა გამოცემის საკითხი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში შეიტანეს ვ. ი. ლენინის წინადადებით. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში შენახულია პოლიტბიუროს 1922 წლის 27 აპრილის სხდომის დღის წესრიგის ეგზემპლარი, რომელსაც ჩამოთვლილი 19 პუნქტის შემდეგ ლენინის ხელით მიწერილი აქვს: **«პლეხანოვის თხზულებანი». — 477.**

462 ვ. ი. ლენინის შეტანილი პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო 1922 წლის 11 მაისს.

პოლიტბიუროს დადგენილებასთან დაკავშირებით 16 მაისს გაიმართა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, სახელმწიფო სა-

გეგმო კომისიის, სურსათის სახალხო კომისარიატის, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც დაამტკიცა ცნობა 1921 — 1922 წელს აკრეფილი და 1922 — 1923 წელს მოსალოდნელი სასურსათო გადასახადის ოდენობის შესახებ. — **478.**

463 ეს დოკუმენტი დაწერილია საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით, რაც 1921 წლის დამლევსა და 1922 წელს მიმდინარეობდა პარტიის ხელმძღვანელ წრეებში.

სახკომსაბჭოს 1918 წლის 22 აპრილის დეკრეტით დაწესებული საგარეო ვაჭრობის მონოპოლია მრავალგზის დადასტურებულა საბჭოთა მთავრობის დადგენილებებით. ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლამ და საზღვარგარეთთან სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებამ მოითხოვეს დამატებების შეტანა საგარეო ვაჭრობის კანონმდებლობაში. ვ. ი. ლენინის დავალებით საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილემ ა. მ. ლეჟავამ მოამზადა «თეზისები საგარეო ვაჭრობის შესახებ», სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საჭიროა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის განმტკიცება, და განსაზღვრული იყო საქონლის ექსპორტისა და იმპორტის პირობები ახალ ვითარებაში. ლენინმა თეზისები მოიწონა და 1922 წლის 4 იანვარს ისინი დაამტკიცა სახკომსაბჭოს უმაღლესმა ეკონომიურმა კომისიამ. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შენარჩუნების წინააღმდეგ გამოვიდნენ გ. ი. სოკოლნიკოვი, ნ. ი. ბუხარინი, გ. ლ. პიატაკოვი. სოკოლნიკოვის წინადადება იყო გაეუქმებინათ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია და მის ნაცვლად შემოეღოთ სავაჭრო კონცესიების რეჟიმი. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესუსტების მომხრე იყვნენ ი. ბ. სტალინი, გ. ე. ზინოვიევი, ლ. ბ. კამენევი. 1922 წლის 4 მარტს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო «თეზისები საგარეო ვაჭრობის შესახებ» ზოგიერთი შესწორებით. საბოლოო სახით თეზისები დაამტკიცეს 10 მარტს. მათს საფუძველზე სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1922 წლის 13 მარტს მიიღო დადგენილება «საგარეო ვაჭრობის შესახებ» (გამოქვეყნდა «იზვესტია ვციკში», № 60, 1922 წლის 15 მარტს).

პოლიტბიუროს გადაწყვეტილების მიუხედავად, სოკოლნიკოვი დაჟინებით იცავდა თავის თვალსაზრისს და წამოაყენა გეგმა, რომ ტრესტებისთვის, კოოპერატივებისა და სხვ. მიეცათ საზღვარგარეთ სურსათის შესყიდვის უფლება; საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილემ მ. ი. ფრუმკინმაც მხარი დაუჭირა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესუსტებას და წამოაყენა წინადადება, რომ მყარი მონოპოლიის საფუძველზე სახელმწიფოს ხელში დაეტოვებინათ მხოლოდ 4 — 5 სახეობის საქონლის **საბითუმო ვაჭრობა.**

15 მაისს, მას შემდეგ, რაც რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლისაგან გერმანიაში — ნ. ნ. კრესტინსკისაგან მიიღო დოკუმენტები, რომლებიც მოწმობდნენ, რომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხზე გამართული შიდაპარტიული ბრძოლა უარყოფით გაელენას ახდენდა უცხოელ კაპიტალისტებთან საქმიან მოლაპარაკებაზე, ლენინმა დაწერა დადგენილების აქ გამოქვეყნებული პროექტი, აგრეთვე მისწერა წერილი ი. ბ. სტალინსა და მ. ი. ფრუმკინს, რომელშიც მიუთითა, რომ «ფორმალურად უნდა აიკრძალოს ყველა ლაპარაკი და მოლაპარაკება და კომისიები და სხვა მისთანანი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესუსტების შესახებ» (თხზულებანი, მე-5 გამოცემა, ტომი 54, გვ. 260). ლენინის წერილს სტალინმა წააწერა: «საგარეო ვაჭრობის შესუსტებისათვის ღონისძიებათა «ფორმალური აკრძალვის» წინააღმდეგი ამ სტადიაზე არა ვარ. მაინც ვფიქრობ, რომ შესუსტება გარდაუვალი ხდება» («ვ. ი. ლენინი. ბიოგრაფია». მოსკოვი, 1963, გვ. 600 — 601).

დადგენილების პროექტი, რომელიც ლენინმა წამოაყენა, პოლიტბიურომ დაამტკიცა 22 მაისს. იხ. აგრეთვე თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 33, გვ. 537 — 542; მე-5 გამოცემა, ტომი 45, გვ. 338 — 339. — **478.**

464 ეს დოკუმენტები ვ. ი. ლენინმა დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ იუსტიციის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსი და IX მოწვევის სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიამ, რომელიც გაიმართა 1922 წლის 12 — 26 მაისს, განიხილა იგი. დამატება და პირველი წერილი ლენინმა წააწერა «რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის შემომღები კანონის» პროექტს, რომელიც მას გამოუგზავნა იუსტიციის სახალხო კომისარმა დ. ი. კურსკიმ. ამ საკითხზე კურსკისთან პირადი საუბრის შემდეგ ლენინმა დაწერა მეორე წერილი, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის დამატებითი პარაგრაფის მონახაზს. ლენინის წინადადებანი გაითვალისწინეს, როცა შემდგომ ამუშავებდნენ სისხლის სამართლის კოდექსის თავს «კონტრრევოლუციური დანაშაულის შესახებ».

რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსი დაამტკიცა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიამ და იგი ძალაში შევიდა 1922 წლის 1 ივნისს (იხ. «მუშურ-გლეხური მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული». მოსკოვი, 1922, № 15, 1 ივნისი, მუხლი 153, გვ. 202 — 239). — **479.**

465 ვ. ი. ლენინის წერილი პასუხია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს შეკითხვაზე, შეეტანა თუ არა IX მოწვევის სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მომავალი III სესიის

დღის წესრიგში წითელი არმიის შემცირების საკითხი. წითელი არმიის შემცირების გეგმას ამუშავებდა რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭო იმასთან დაკავშირებით, რომ გენუის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციამ წამოაყენა საკითხი შეიარაღების საყოველთაო შემცირების შესაძლებლობის შესახებ. სესიის დღის წესრიგში ეს საკითხი შეტანილი იყო სავარაუდო, პირობითი ფორმით და დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა გენუის კონფერენციას. 1922 წლის 24 მაისს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიამ მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია: «გენუის კონფერენცია, იმ ხაზის გამო, რომელსაც ჩვენი დელეგაცია იცავდა, საფუძველს გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ არმიის მნიშვნელოვანი შემცირება შესაძლებელია». «მაგრამ,—ნათქვამია შემდეგ დადგენილებაში,—გენუის კონფერენციამ ვერ გადაწყვიტა ყველაზე გადაუდებელი საკითხებიც კი საბჭოთა რესპუბლიკისა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ურთიერთობის დარგში და ძირითადი საკითხების გადაწყვეტა ჰაგისთვის გადადო...» ამის გამო არმიის შემცირების საკითხი სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიის დღის წესრიგიდან მოიხსნა. სესიამ დაავალა მთავრობას და სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატს წამოეყენებინათ შესაბამისი წინადადებანი, როცა გაირკვეოდა ჰაგის კონფერენციის შედეგები (იხ. IX მოწვევის სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესია. ბიულეტენი № 10, 1922 წლის 26 მაისი, გვ. 18 — 19). — **480.**

466 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1922 წლის 26 მაისის სხდომაზე განიხილა ვ. ი. ლენინის წინადადება და დაადგინა გადაეცა იგი როგორც მასალა კომისიისათვის, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა IX მოწვევის სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიის სახელმძღვანელოდ. — **481.**

467 ამიერკავკასიის მშრომელ ქალთა პირველი ყრილობა გაიხსნა 1922 წლის 26 მაისს ბაქოში. ყრილობამ მოისმინა შემდეგი მოხსენებები: ქალთა მოძრაობის განვითარება საბჭოთა რუსეთსა და მთელ მსოფლიოში და ქალთა საერთაშორისო სამდივნოს ამოცანები; ამიერკავკასიის მშრომელი ქალი და III ინტერნაციონალი; მიმდინარე მომენტის შესახებ და სხვ. 30 მაისს ყრილობამ მუშაობა დაამთავრა.

მისალმება «ამიერკავკასიის მშრომელ ქალთა პირველ ყრილობას» ვ. ი. ლენინმა დაწერა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მშრომელ ქალთა სახელით გაგზავნილი ცნობის პასუხად, რომ იგი არჩეულია ამიერკავკასიის მშრომელ ქალთა ყრილობის დელეგატად.

მისალმება წაიკითხეს ყრილობის პირველ სხდომაზე. — **481.**

468 1922 წლის 10 აგვისტოს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტ-ბიურომ წინადადება მისცა საორგანიზაციო ბიუროს შეექმნა კომისია და მისთვის დაევალებინა რუსეთის სფს რესპუბლიკისა და დამოუკიდებელი ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობის საკითხის მომზადება ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმისათვის. ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს კომისიაში, რომელიც შეიქმნა 11 აგვისტოს, შევიდნენ ი. ბ. სტალინი, ვ. ვ. კუიბიშევი, გ. კ. ორჯონიკიძე, ქ. გ. რაკოვსკი, გ. ი. სოკოლნიკოვი და ეროვნული რესპუბლიკების წარმომადგენლები — ს. ა. აგამალი-ოღლი (აზერბაიჯანი), ა. თ. მიასნიკოვი (სომხეთი), პ. გ. მდივანი (საქართველო), ვ. ი. პეტროვსკი (უკრაინა), ა. გ. ჩერვიაკოვი (ბელორუსია) და სხვ.

სტალინმა შეიმუშავა «რუსეთის სფსრ და დამოუკიდებელი რესპუბლიკების ურთიერთობის შესახებ» კომისიის რეზოლუციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის შესვლას რუსეთის ფედერაციაში ავტონომიური რესპუბლიკების უფლებებით. სტალინის პროექტი განსახილველად გაეგზავნა საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს. მას მხარი დაუჭირეს აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ამ პროექტის წინააღმდეგი იყო. 1922 წლის 15 სექტემბრის სხდომაზე მან ხმის უმრავლესობით მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: «გაერთიანება დამოუკიდებელი რესპუბლიკების ავტონომიზაციის ფორმით, რომელსაც ამხ. სტალინის თეზისების საფუძველზე გთავაზობენ, ნაადრევად მიგვაჩნია. სამეურნეო ღონისძიებებისა და საერთო პოლიტიკის გაერთიანება საჭიროდ მიგვაჩნია, ოღონდ დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებით». ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში მხარი დაუჭირა დამოუკიდებელი რესპუბლიკების სახელშეკრულებო ურთიერთობის შენარჩუნებას. უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს პროექტი არ განუხილავს.

კომისიის სხდომები გაიმართა 1922 წლის 23 და 24 სექტემბერს ვ. მ. მოლოტოვის თავმჯდომარეობით. კომისიამ (თავი შეიკავა ერთმა— საქართველოს წარმომადგენელმა) საფუძვლად მიიღო სტალინის პროექტი. სპეციალური პუნქტით კომისიამ უარყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია. სტალინის პროექტის პუნქტების ცალ-ცალკე განხილვის დროს ეს პუნქტები ზოგიერთი ცვლილებითა და დამატებით, რომლებსაც პროექტის არსი არ შეუცვლიათ, ხმის უმრავლესობით მიიღეს. კერძოდ, პუნქტი იმის შესახებ, რომ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, რუსეთის სფსრ სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს

დადგენილებანი სავალდებულოა ეროვნული რესპუბლიკების შესაბამისი დაწესებულებებისათვის, მიიღეს 8 ხმის უმრავლესობით. ერთი (მდივანი) წინააღმდეგი იყო, ერთმა (პეტროვსკიმ) თავი შეიკავა.

კომისიის რეზოლუციის საბოლოო ტექსტი, რომელსაც ვ. ი. ლენინი არჩევს ამ წერილში პოლიტბიუროს წევრებისადმი, შემდეგია:

«1. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ დაიდოს ხელშეკრულება უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკებსა და რუსეთის სფს რესპუბლიკას შორის რუსეთის სფს რესპუბლიკაში მათი ფორმალურად შესვლის შესახებ, ამასთან ბუხარის, ხორეზმის და შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის საკითხი დარჩეს ღიად და მათთან დაიდოს ხელშეკრულებანი საბაჟო საქმის, საგარეო ვაჭრობის, საგარეო და სამხედრო საქმეებისა და სხვ. შესახებ.

შენიშვნა: შესაბამისი ცვლილებები 1-ლ პუნქტში აღნიშნული რესპუბლიკებისა და რუსეთის სფსრ კონსტიტუციებში უნდა შეიტანონ მას შემდეგ, რაც საკითხი დამტკიცებული იქნება საბჭოთა წესით.

2. ამის შესაბამისად რუსეთის სფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი სავალდებულოა 1-ლ პუნქტში აღნიშნული რესპუბლიკების ცენტრალური დაწესებულებებისათვის, ხოლო რუსეთის სფსრ სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებანი — ამ რესპუბლიკების გაერთიანებული სახალხო კომისარიატებისათვის.

შენიშვნა: რუსეთის სფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ ამ რესპუბლიკების წარმომადგენლები.

3. 1-ლ პუნქტში აღნიშნული რესპუბლიკების საგარეო საქმეები (საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი), სამხედრო საქმეები, გზები (ადგილობრივი ტრანსპორტის გარდა) და ფოსტისა და ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი უნდა შეუერთდნენ რუსეთის სფსრ შესაბამის სახალხო კომისარიატებს, რათა ამ უკანასკნელთ რესპუბლიკებში ჰყავდეთ თავიანთი რწმუნებულები მცირერიცხოვანი აპარატით.

რწმუნებულებს ნიშნავენ რუსეთის სფსრ სახალხო კომისრები რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაინტერესებული რესპუბლიკების წარმომადგენელთა მონაწილეობა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საზღვარგარეთის შესაბამის წარმომადგენლობებში.

4. რესპუბლიკების ფინანსთა, სურსათის, შრომისა და სახალხო მეურნეობის სახალხო კომისარიატები ფორმალურად უნდა ემორჩი-

ლებოდნენ რუსეთის სფსრ შესაბამისი სახალხო კომისარიატების დირექტივებს.

5. 1-ლ პუნქტში აღნიშნული რესპუბლიკების დანარჩენი სახალხო კომისარიატები, როგორიცაა: იუსტიციის, განათლების, შინაგან საქმეთა, მიწათმოქმედების, მუშურ-გლეხური ინსპექციის, სახალხო ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატები, ჩაითვალოს დამოუკიდებლად.

1-ლი შენიშვნა: ზემოაღნიშნულ რესპუბლიკებში კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოები უნდა ემორჩილებოდნენ რუსეთის სფსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს დირექტივებს.

მე-2 შენიშვნა: რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს მიეცეთ ამნისტიის უფლება მხოლოდ სამოქალაქო საქმეებში.

6. ეს გადაწყვეტილება, თუ იგი მოიწონა რუსეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, არ უნდა გამოქვეყნდეს, არამედ უნდა გაეგზავნოს ეროვნულ ცენტრალურ კომიტეტებს, როგორც ცირკულარული დირექტივა, რათა საბჭოთა წესით დაამტკიცონ ზემოაღნიშნული რესპუბლიკების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა ან საბჭოების ყრილობებმა, სანამ გაიმართებოდეს სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობა, რომელზეც იგი დეკლარირებული იქნება როგორც ამ რესპუბლიკების სურვილი» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

25 სექტემბერს კომისიის მასალები (სტალინის პროექტი, კომისიის სხდომების რეზოლუციები და ოქმები, აგრეთვე საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების რეზოლუციები) გორკაში გაუგზავნეს ლენინს. ამავე დროს ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ, რომელიც **არ** დაელოდა ლენინის მითითებებსა და **ამ** საკითხის **განხილვას პოლიტბიუროში**, კომისიის რეზოლუცია დაუგზავნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრსა და წევრობის კანდიდატს 5 ოქტომბერს დანიშნული პლენუმისათვის.

გაეცნო რა კომისიის მასალებს, ლენინმა აქ გამოქვეყნებული წერილი მისწერა პოლიტბიუროს წევრებს. წერილი დათარიღებულია 27 სექტემბრით; როგორც ჩანს, ეს შეცდომაა, რადგან «ვ. ი. ლენინის წერილების, ბარათებისა და დავალებების სარეგისტრაციო წიგნში» აღნიშნულია, რომ ლენინის წერილი პოლიტბიუროს წევრებს გაეგზავნა 26 სექტემბერს; გარდა ამისა, ლენინისა და სტალინის საუბარი, რომელიც ნახსენებია წერილში, **გაიმართა 26 სექტემბერს; აქედან შეგვიძლია** გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ეს წერილი ლენინმა 26 სექტემბერს დაწერა.

წერილში პოლიტბიუროს წევრებისადმი ლენინმა გაილაშქრა სტალინის იდეის წინააღმდეგ დამოუკიდებელი ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკების «ავტონომიზაციის» შესახებ და დასახა მათი გაერთიანების პრინციპულად სხვა გზა — წამოაყენა წინადადება შეექმნათ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინის წერილი «ეროვნებათა საკითხისათვის ანუ «ავტონომიზაციის» შესახებ» — თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 36, გვ. 688 — 996).

3. ი. ლენინის წინადადებათა შესაბამისად ცენტრალური კომიტეტის კომისიის რეზოლუციის პროექტი გადაამუშავეს.

ახალი რეზოლუციის ტექსტი ასეთი იყო:

«1. საჭიროდ მიგვაჩნია დაიდოს ხელშეკრულება უკრაინას, ბელორუსიას, ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და რუსეთის სფს რესპუბლიკას შორის, რომ ერთიანდებიან «საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში» და თითოეულ მათგანს რჩება «კავშირის» შემადგენლობიდან თავისუფლად გასვლის უფლება.

2. «კავშირის» უმაღლეს ორგანოდ ჩაითვალოს «საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი», რომლის შემადგენლობაში შევლენ რუსეთის სფსრ, ამიერკავკასიის ფედერაციის, უკრაინისა და ბელორუსიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენლები ამ რესპუბლიკების მოსახლეობის პროპორციულად.

3. «საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის» აღმასრულებელ ორგანოდ ჩაითვალოს «საკავშირო სახკომსაბჭო», რომელსაც ნიშნავს «საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი».

4. «კავშირის» შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ფედერაციების საგარეო საქმეთა, საგარეო ვაჭრობის, სამხედრო, გზათა, ფოსტისა და ტელეგრაფის სახალხო კომისარიატები უნდა გაერთიანდნენ «საბჭოთა სოც. რესპუბლიკების კავშირის» შესაბამის სახალხო კომისარიატებთან, რათა ამ უკანასკნელთ რესპუბლიკებსა და ფედერაციებში ჰყავდეთ თავიანთი რწმუნებულები მცირერიცხოვანი აპარატით, რომლებსაც ნიშნავენ «კავშირის» სახალხო კომისრები ფედერაციებისა და რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით.

შენიშვნა: საჭიროდ ჩაითვალოს, რომ დაინტერესებულ რესპუბლიკებს თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდეთ საგარეო საქმეთა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატების საზღვარგარეთის შესაბამის წარმომადგენლობებში.

5. «რესპუბლიკების კავშირის» შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ფედერაციების ფინანსთა, სურსათის, სახალხო მეურნეობის, შრომისა და ინსპექციის სახალხო კომისარიატები, ისევე როგორც კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრალური ორ-

განოები, უნდა ემორჩილებოდნენ «რესპუბლიკების კავშირის» შესაბამისი სახალხო კომისარიატების დირექტივებს და სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებებს.

6. «რესპუბლიკების კავშირის» შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ფედერაციების დანარჩენი სახალხო კომისარიატები, როგორიცაა იუსტიციის, განათლების, შინაგან საქმეთა, მიწათმოქმედების, სახალხო ჯანმრთელობისა და სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატები, ჩაითვალონ დამოუკიდებლად» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

1922 წლის 6 ოქტომბერს, როცა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განიხილავდა რუსეთის სფსრ და დამოუკიდებელი რესპუბლიკების ურთიერთობის საკითხს, ლენინმა, რომელიც სხდომას ვერ დაესწრო, მისწერა ბარათი ლ. ბ. კამენევს, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ბრძოლა დიდმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ, და წინადადება წამოაყენა რეზოლუციისათვის დაემატებინათ, რომ საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ რიგრიგობით ყოფილიყვნენ ყველა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენლები (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოცემა, ტომი 45, გვ. 214).

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საესებით დაუჭირა მხარი ლენინის პოზიციას, მის წინადადებათა საფუძველზე შედგენილი რეზოლუცია მიიღო ცენტრალური კომიტეტის დირექტივად და ახალ კომისიას დაავალა საბჭოების ყრილობის განსახილველად შეემუშავებინა სსრ კავშირის შექმნის კანონპროექტი. ცენტრალური კომიტეტის წევრებმა პლენუმზე გადაჭრით დაგმეს დიდმპყრობელური შოვინიზმის გამოვლინებანი. ამავე დროს პლენუმმა საკადრისი პასუხი გასცა მდიანს, რომელიც ჯერ სსრ კავშირის შექმნის წინააღმდეგი იყო, შემდეგ კი დაჟინებით მოითხოვდა, რომ საქართველო სსრ კავშირში შესულიყო უშუალოდ და არა ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობდა ლენინის პრინციპული მითითებებით, წარმართავდა მთელ შემდგომ მუშაობას რესპუბლიკების გაერთიანებისათვის.

1922 წლის 30 დეკემბერს გაიმართა სრულიად საკავშირო საბჭოების 1 ყრილობა, რომელმაც შექმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. — **482.**

469 ფეიქართა პროფესიული კავშირის V სრულიად რუსეთის ყრილობა გაიმართა მოსკოვში 1922 წლის 6—11 ოქტომბერს. ყრილობას ესწრებოდა 350 დელეგატი გადამწყვეტი

ხმით და 117 — სათათბირო ხმით. ყრილობამ განიხილა პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, მოხსენებები საფეიქრო მრეწველობის მდგომარეობის შესახებ, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ყრილობის შესახებ, ორგანიზაციულ საკითხზე, შრომის პირობებზე, კულტურულ მუშაობაზე და ფეიქარი მუშების საერთაშორისო მოძრაობაზე.

პირველ სხდომაზე დელეგატებმა ვ. ი. ლენინი ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს და გაუგზავნეს მისალმება. 1922 წლის 9 ოქტომბერს მათ სთხოვეს ლენინს ჩასულიყო ყრილობაზე, რაზედაც ლენინმა თანხმობა შეუთვალა. მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო იგი ყრილობაზე ვერ ჩავიდა.

ლენინის მისალმება წაიკითხეს 10 ოქტომბერს, ყრილობის დილის სხდომაზე. ყრილობის პრეზიდიუმმა დელეგატების სახელით საპასუხო წერილი გაუგზავნა მას. — **484.**

470 ეს დოკუმენტი წარწერილია ი. ბ. სტალინის ბარათზე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისადმი, რომელიც შეიცავს დამატებებს ლ. ურკარტთან კონცესიის ხელშეკრულების პირობებისათვის. — **485.**

471 კოოპერაციული ბანკის საკითხი პოლიტბიურომ განიხილა 1922 წლის 2 ნოემბრის სხდომაზე, რომელშიც ვ. ი. ლენინი მონაწილეობდა. პოლიტბიურომ მიიღო შემდეგი დადგენილება: «...გადაეცეს კომისიას ამხ. ლენინის ქვემოთ აღნიშნული თეზისები, რომლებიც მიღებულია საფუძვლად, და დაევალოს, რომ პოლიტბიუროს წარმოუდგინოს წერილობითი მოხსენება შესრულების შესახებ».

ამ დოკუმენტზე წარწერილია ლენინის შენიშვნა: **შ ე ვ ი ნ ა ხ ო თ ხ ინ ჩ უ კ თ ან** საუბრისათვის (ლ. მ. ხინჩუკი — ცენტროსოიუზის გამგეობის თავმჯდომარე. — რ ე დ.). — **485.**

472 ეს წერილი ვ. ი. ლენინმა დაწერა პეტროგრადელ ფეიქართა მისალმებისა და საჩუქრის პასუხად. მისალმებაში პეტროგრადელი ფეიქრები წერდნენ:

«ძ ვ ი რ ფ ა ს ო და დ ი დ ა დ პ ა ტ ი ვ ც ე მ უ ლ ო ვ ლ ა დ ი მ ე რ ი ლ ი ა ს ძ ე ვ!

პეტროგრადის საფეიქრო ტრესტი თავისი არსებობის ერთი წლისთავზე მხურვალე სალამთან ერთად გიძღვნით პლედს, რომელიც დამზადებულია მის ერთ-ერთ ფაბრიკაში.

პეტროგრადის საფეიქრო ტრესტის სურვილია, რომ ჩვენმა პატარა საჩუქარმა ფიზიკურ სითბოსთან ერთად გაგრძნობინოთ მუშათა გულის სითბოც, რომელიც გვინდა გარს შემოგახვიოთ. აგრეთვე გვინდა ყურადღება მიაქციოთ იმას, რომ უაღრესი დაძაბუნების ნგრევის,

ნაკლებობისა და კრიზისის პირობებში ჩვენ სულაც არ ვმუშაობთ ომამდელზე უარესად და, მაშასადამე, შეგვიძლია მივაღწიოთ იმას, რაც გვსურს.

კეთილად მოგახმაროთ, ჩვენო ძვირფასო». — **486.**

473 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1922 წლის 16 ნოემბერს მიიღო დადგენილება 1923 წლის მანძილზე არმია შემცირებინა 800 ათასიდან 600 ათასამდე. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 18 დეკემბრის პლენუმმა დაადასტურა პოლიტბიუროს გადაწყვეტილება, რომ პირველი თებერვლისთვის არმიის რიცხვი 600 ათასამდე შემცირებულიყო. პლენუმმა აღნიშნა, რომ საჭიროა არმიის შემცირების კომპენსაცია სამხედრო ტექნიკის გაუმჯობესებით, რისთვისაც წინადადება მისცა სახკომსაბჭოს გამოენახა სახსრები სამხედრო ქარხნების რაც შეიძლება მალე გაჯანსაღებისათვის. პლენუმმა წამოაყენა წინადადება, რომ სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობის სახელით ყველა ხალხისათვის მიემართათ მოწოდებით, რომელშიც ერთხელ კიდევ იქნებოდა ხაზგასმული რუსეთის სფს რესპუბლიკის მისწრაფება საყოველთაო განიარაღებისადმი და რომელიც მოუწოდებდა მათ დაეძლიათ სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგობა, რომელსაც აწყდება საბჭოთა ქვეყნის ეს წინადადება.

სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობამ მილიონობით მშრომელის სახელით კიდევ ერთხელ დაადასტურა საქვეყნოდ თავისი მისწრაფება მშვიდობისა და მშვიდობიანი შრომისადმი.

«მსოფლიოს მშრომელებო! — ნათქვამი იყო ყრილობის მოწოდებაში. — ყველამ, ვისაც გსურთ მშვიდობიანი შრომა, შეუერთეთ თქვენი ღონისძიებანი საბჭოთა რუსეთის ღონისძიებებს, რათა უზრუნველვყოთ მშვიდობა, თავიდან ავაცილოთ კაცობრიობას საშინელი და გამანადგურებელი ომები!..

საბჭოების X ყრილობა საქვეყნოდ ადასტურებს თავისი მშვიდობიანი პოლიტიკის ხაზს და მოუწოდებს ყველას მხარი დაუჭირონ ამ ხაზს. დაე ყველა ხალხმა მოსთხოვოს თავის მთავრობას მშვიდობა. მშვიდობის საქმე თვით ხალხთა ხელშია. მომავალი ომების საფრთხის თავიდან ასაცილებლად მთელი მსოფლიოს ყველა მშრომელმა უნდა ვაერთიანონ ღონისძიებანი. რადაც უნდა დაგვიჯდეს, საჭიროა უზრუნველვყოთ მშვიდობა გაწამებული და ტანჯული, გაჩანაგებული და მშიერი კაცობრიობისათვის». — **487.**

474 რ უ ს უ ლ ი კ ო ლ ო ნ ი ა ა მ ე რ ი კ ი ს შ ე ე რ თ ე ბ უ ლ შ ტ ა ტ ე ბ შ ი, სადაც 20-იან წლებში დაახლოებითი გაანგარიშებით სამ მილიონამდე კაცი ცხოვრობდა, უმთავრესად შედგებოდა იმათგან, ვინც რევოლუციამდე რუსეთიდან ვადასახლდა ამერიკაში პოლიტიკური, ეკონომიური და რელიგიური მოტივებით; ბურჟუაზიის, თა-

ვადაზნაურობისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც რუსეთიდან გადაიხვეწნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, მის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდნენ. ამ ჯგუფების სხვადასხვა სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის, აგრეთვე საბჭოთა რუსეთისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების შედეგად რუსული კოლონია გაიყო ორ მოწინააღმდეგე ბანაკად. ერთ ბანაკს შეადგენდნენ საბჭოთა რუსეთის მეგობრების საზოგადოება (რუსული სექცია), საბჭოთა რუსეთისადმი ტექნიკური დახმარების საზოგადოება, ამერიკის შეერთებული შტატების პროფკავშირთა რუსული სექციები, ურთიერთდახმარების სხვადასხვა რუსულ საზოგადოებათა გაერთიანებული კონფერენცია და მუშათა სხვა პროგრესული ორგანიზაციები, რომელთა გარშემო გაერთიანდა კოლონისტთა უმრავლესობა. მეორე ბანაკი წარმოადგენდა ანტისაბჭოური გაზეთის «ნოვოე რუსკოე სლოვოს» გარშემო გაერთიანებული სხვადასხვა რუსული წვრილბურჟუაზიული და მონარქიული ორგანიზაციების კოალიციას.

თავისი წერილი ვ. ი. ლენინმა გაუგზავნა რუსული კოლონიის იმ ნაწილს, რომელიც დაჯგუფებული იყო საბჭოთა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის პოზიციაზე მდგომი ორგანიზაციების გარშემო. — **487.**

475 კომინტერნის IV კონგრესი გაიმართა 1922 წლის 5 ნოემბერს — 5 დეკემბერს. კონგრესის დღის წესრიგში იყო კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამის საკითხი. წარდგენილი იყო პროგრამის პროექტი, რომელიც ნ. ი. ბუხარინმა მოამზადა და თავისი სახელით შეიტანა, აგრეთვე ბულგარეთისა და გერმანიის კომპარტიათა პროგრამების პროექტები და «იტალიის კომპარტიის მოქმედების პროგრამის» პროექტი. 13 ნოემბერს ვ. ი. ლენინმა თავის მოხსენებაში «რუსეთის რევოლუციის ხუთი წელი და მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივები» წამოაყენა წინადადება, რომ ეს პროექტები განეხილათ «მხოლოდ ზოგადად, ასე ვთქვათ, პირველი წაკითხვით», დაებეჭდათ, რათა ღრმად გაეაზრებინათ და საგულდაგულოდ მოემზადებინათ პროგრამა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 33, გვ. 493 — 512). პროგრამის პროექტების განხილვისას გაცხოველებული კამათი გამოიწვია საკითხმა: გარდამავალი და ნაწილობრივი მოთხოვნები, როგორც გზა, რომელსაც მასები მიჰყავს სოციალისტური რევოლუციისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლისაკენ. ნ. ი. ბუხარინმა გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ კომინტერნის პროგრამაში თეორიულად დასაბუთებული ყოფილიყო ყველაზე ზოგადი გარდამავალი და კერძო მოთხოვნები, და ოპორტუნიზმიც კი დააბრალა იმათ, ვინც მოითხოვდა ამ დებულებათა შეტანას. კონგრესის დელეგატებმა გააკრიტიკეს ბუხარინის თვალსაზრისი, რკპ(ბ) დელეგაციამ სთხოვა კონგრესის პრე-

ზიდიუმს მიეცა მისთვის შესაძლებლობა, რომ პროგრამის საკითხი განეხილათ დელეგაციის შიგნით, სანამ კონგრესი გამოიტანდა გადაწყვეტილებას; კონგრესმა დაეკმაყოფილა ეს თხოვნა (იხ. «კომუნისტური ინტერნაციონალის IV კონგრესის ბიულეტენი» № 14 — 15, გვ. 31).

1922 წლის 20 ნოემბერს გაიმართა რკპ(ბ) დელეგაციის ბიუროს თათბირი. თათბირმა შეიმუშავა ეს წინადადებანი, როგორც კონგრესის რეზოლუციის პროექტი. არსებული მონაცემებით, წინადადებათა უმნიშვნელოვანესი მე-4 და მე-5 პუნქტები თითქმის სიტყვასიტყვით ნაკარნახევია ვ. ი. ლენინის მიერ. — **489.**

476 რკპ(ბ) დელეგაციის ბიუროს თათბირზე, რომელიც 1922 წლის 20 ნოემბერს გაიმართა, შემუშავდა აგრეთვე შემდეგი «განცხადება რუსეთის დელეგაციისა»: «რადგან სრულიად მცდარია აზრი, თითქოს პრინციპული უთანხმოების ხასიათი მინიჭებოდეს დავას იმის გამო, თუ რა ფორმულირებით და პროგრამის რა ნაწილში შევიტანოთ გარდამავალი მოთხოვნები, რუსეთის კომპარტიის დელეგაცია ერთხმად ადასტურებს, რომ გარდამავალ მოთხოვნათა წამოყენება ეროვნულ პროგრამებში, მათი ზოგადი ფორმულირება და თეორიული დასაბუთება კომინტერნის ზოგად ნაწილში, ვერ ჩაითვლება ოპორტუნიზმად». ეს განცხადება წაიკითხეს კონგრესის სხდომაზე 21 ნოემბერს. შემდეგ კონგრესის პრეზიდიუმმა დელეგატთა განსახილველად გამოიტანა რკპ(ბ) დელეგაციის ბიუროს მიერ შემუშავებული წინადადებანი, რომლებშიც შეტანილ იქნა უმნიშვნელო სარედაქციო ცვლილებანი. კონგრესმა მიიღო წინადადებანი როგორც კონგრესის რეზოლუცია (იხ. «კომუნისტური ინტერნაციონალის IV კონგრესის ბიულეტენი» № 18, გვ. 7 — 8). — **490.**

477 იხ. აგრეთვე თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 288—289, 393 — 402; ეს ტომი, გვ. 495 — 496.

ქვემოთ იგულისხმება სიტ. რომელიც მოყვანილია პროექტში «დადგენილება მოადგილეთა (სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა) მუშაობის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 402. — **490.**

478 ვ. ი. ლენინის წინადადება შევიდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1922 წლის 7 დეკემბრის დადგენილებაში სახელმწიფო მომარაგების კომისიის მოხსენების გამო. სახკომსაბჭოს წინადადება ეძლეოდა განათლების სახალხო კომისარიატისათვის გამოეყო 2 მილიონი მანეთი ოქროთი გემთსარემონტო პროგრამით დაზოგილი სახსრებიდან (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 45, გვ. 311 — 312). — **492.**

479 13 დეკემბერს დილით ლენინს ავადმყოფობის ორი შეტევა მოუვიდა. ექიმებმა სრული სიმშვიდე დაუნიშნეს. «ექიმებმა, — წერდა მოგვიანებით მ. ი. ულიანოვა, — ძლივძლივობით აიძულეს ვლადიმერ ილიას ძე უარი ეთქვა მუშაობაზე და ქალაქგარეთ წასულიყო. ჯერჯერობით ვლადიმერ ილიას ძეს ურჩიეს არ ესეირნა და რაც შეიძლება მეტად წოლილიყო. როგორც იქნა ვლადიმერ ილიას ძე დათანხმდა წასვლაზე და თქვა, «დღესვე ვიწყებ ჩემი საქმეების ლიკვიდირებასო»».

იმ დროიდან ლენინი რამდენსამე დღეს მუშაობდა შინ — უკარნახებდა წერილებს, იძლეოდა სხვადასხვა დავალებას, ცდილობდა დაემთავრებინა საქმეები, რომლებსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. — **495.**

480 იგულისხმება ა. ი. რიკოვის წინადადება, რომ ვ. ი. ლენინს, როგორც წესი, პირადად მიეღო მნახველები მას შემდეგ, რაც მათ წინასწარ შეარჩევდნენ სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ან რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი. — **495.**

481 ამ წერილში ლაპარაკია სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის მუშაობის განაწილებაზე, რაც 1922 წლის 12 დეკემბერს დასახეს ა. დ. ციურუპამ, ლ. ბ. კამენევმა და ა. ი. რიკოვმა. ვ. ი. ლენინის 1922 წლის 4 დეკემბრის წინადადება სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის მუშაობის განაწილების შესახებ, აგრეთვე მისი წინადადებანი სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და თავმჯდომარის მუშაობის წესის შესახებ იხ. ეს ტომი, გვ. 490—491 და 493—495. — **496.**

482 როგორც ჩანს, ლაპარაკია მართვის ნორმალიზაციის საკითხებზე მოსკოვში 1922 წლის სექტემბერში გამართული კონფერენციის შესახებ. — **505.**

483 აქ უნდა გავითვალისწინოთ 1920 წლის ფასების მასშტაბი. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების ფულის ემისიის განუწყვეტელი ზრდის პირობებში ხდებოდა ქაღალდის ფულის სწრაფი გაუფასურება. მაგალითად, სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავალუტო სამმართველოს მასალებით, საშუალოდ 1920 წლის პირველ ნახევარში 1 ოქროს მანეთის ღირებულება (თუ ეკვივალენტად ავიღებთ რევოლუციამდელი დროის ოქროს მონეტებს) უდრიდა 1633 ქაღალდის მანეთს, ხოლო მეორე ნახევარში — უკვე 4083 მანეთს (იხ. «ჩვენი ფულის მიმოქცევა. 1914 — 1925 წლებში ფულის მიმოქცევის ისტორიის მასალათა კრებული». მოსკოვი, 1926, გვ. 16). — **512.**

484 ლენინი რკპ(ბ) X ყრილობის დელეგატად გადამწყვეტი ხმის უფლებით აირჩია პეტროგრადის XIV საგუბერნიო პარტიულმა კონფერენციამ «ათის პლატფორმის» მომხრეებისაგან. მაგრამ დელეგაციამ ვერ მოახერხა არჩეული შემადგენლობით ჩასულიყო ყრილობაზე იმის გამო, რომ დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა ქალაქში და კონტრრევოლუციური ამბოხება დაიწყო კრონშტადტში. როგორც ჩანს, პეტროგრადის დელეგაციის არჩევის ოქმის უქონლობის გამო ლენინმა ანკეტაში აღნიშნა, რომ სათათბირო ხმა ჰქონდა. მაგრამ იგი მონაწილეობდა კენჭისყრაში ყველა რეზოლუციის გამო და პარტიის X ყრილობის დელეგატთა სიაში ირიცხებოდა გადამწყვეტი ხმის უფლებით (იხ. «რკპ(ბ) X ყრილობა. 1921 წლის 8 — 16 მარტი. სტენოგრაფიული ანგარიში». მოსკოვი, 1963, გვ. 729). — **516.**

485 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს მ ო რ ი გ ე მ დ ი ვ ა ნ თ ა დ ღ ი უ რ ი შეიცავს ლენინის დავალებების, მის მიერ მნახველთა მიღებისა და სხვა ფაქტორების ჩანაწერებს 1922 წლის 21 ნოემბრიდან 1923 წლის 6 მარტამდე.

ჩანაწერები მორიგე მდივანთა დღიურში შეჰქონდათ სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მდივანს ლ. ა. ფოტიევას, სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მდივნის თანაშემწეს მ. ა. ვოლოდიჩევას, მდივნებს ნ. ს. ალილუევას, მ. ი. გლიასერს, ს. ა. ფლაქსერმანსა და ლენინის ბიბლიოთეკარს შ. მ. მანუჩარიანცს.

დღიურისათვის გამოყენებულია გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო დავთარი; მასში იყო ოთხი გრაფა: რიცხვი, ვისი მორიგეობაა, დავალებანი, შესრულების აღნიშვნა. თავფურცელზე წარწერაა: «გთხოვთ ამ დღიურში ჩაწეროთ მორიგეობის საათებში მიღებული ყველა დავალება და ყველა მომხდარი ამბავი, ამასთან აღნიშნოთ, შესრულდა თუ არა დავალებანი. 21/XI—22 წ.». — **529.**

486 გ ო რ ბ უ ნ ო ვ ი, ნ. პ. — სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი. — **531.**

487 ლაპარაკია სახკომსაბჭოს ხხდომაზე, რომელსაც ვ. ი. ლენინი თავმჯდომარეობდა. — **531.**

488 21 ნოემბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა კენჭი უყარეს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გ. ვ. ჩიჩერინის წინადადებას, რომ რსფს რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იტალიაში ვ. ვ. ვოროვსკი შეეყვანათ ლოზანის კონფერენციაზე წარგზავნილი დელეგაციის შემადგენლობაში. — **531.**

489 ჰ ა ს კ ე ლ ი, ვ. — პოლკოვნიკი, ამერიკის დახმარების ადმინისტრაციის რწმუნებული. — **531.**

490 ზ ა ქ ს ი, ბ. გ. — სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის თანაშემწე. — **582.**

491 ნ ა ზ ა რ ე ტ ი ა ნ ი, ა. მ. — რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის თანაშემწე. — **582.**

492 ბ უ რ ა კ ო ვ ა, მ. ნ. — რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ტექნიკური მდივანი. — **582.**

493 იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 525.—**582.**

494 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს 21 საკითხი: რსფს რესპუბლიკის, პოლონეთის, ესტონეთის, ფინეთის, ლატვიისა და ლიტვის მოსკოვის კონფერენცია, შეიარაღების შემცირება, ტრესტები, შერეული საზოგადოება პლატინის გასაყიდად, სასოფლო-სამეურნეო კრედიტი, განათლების სახალხო კომისარიატის საკითხები და სხვ. — **582.**

495 ს კ ლ ი ა ნ ს კ ი, ე. მ. — რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. — **583.**

496 ს ო კ ო ლ ნ ი კ ო ვ ი, გ. ი. — ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე. — **583.**

497 ვ. ი. ლენინს გამოუგზავნეს პროექტი კომინტერნის IV კონგრესის რეზოლუციისა «მოქმედების აგრარული პროგრამის მონახაზი», ე. ვარგას მიერ შედგენილი, და კომინტერნის აღმასკომის ბარათი თხოვნით, მიეცა დასკვნა პროექტის გამო. ვ. ი. ლენინმა თავისი შენიშვნები გაგზავნა 25 ნოემბერს დილით. — **583.**

498 ვ. ი. ლენინის მიმოწერა ი. ბ. სტალინთან გემთსარემონტო პროგრამის შესახებ იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 45, გვ. 311—313.—**583.**

499 ი რ ს მ ა ნ ი, ვ. პ. და გ ა რ დ ე ნ ი, ჯ. ს. — კომინტერნის IV კონგრესზე წარგზავნილი ავსტრალიის კომპარტიის დელეგატები. — **583.**

500 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა კენჭი უყარეს გ. ვ. ჩიჩერინის წინადადებას, რომ საბჭოთა მთავრობას ლოზანის კონფერენციის ორგანიზატორებისათვის გაეგზავნათ ნოტა კონფერენციის მუშაობაში საბჭოთა დელეგაციისა და სრუტეთა კომისიის მუშაობაში საბჭოთა წარმომადგენლების მონაწილეობის შესახებ. — **583.**

501 შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ვ. ი. ლენინი თავმჯდომარეობდა, განიხილეს 13 საკითხი: პროექტი დებულებისა საშინაო ვაჭრობის კომიტეტის შესახებ, შრომისა და თავდაცვის საბჭოს

კომისიის მოხსენება სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობისათვის მასალების მომზადების შესახებ, პურის შეტანა თურქესტანში ბამბის მრეწველობის განმტკიცებისათვის და სხვ. — **584.**

502 კენჭი უყარეს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 24 ნოემბრის გადაწყვეტილებას, რომ დაენიშნათ კომისია ფ. ე. ძერჟინსკის (თავმჯდომარე), დ. ზ. მანუილსკისა და ვ. ს. მიცკევიჩ-კაფსუკასის შემადგენლობით, რათა სასწრაფოდ განეხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 22 ოქტომბერს გადამდგარ წევრთა განცხადება და დაესახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის საჭირო ღონისძიებანი. ვ. ი. ლენინმა თავი შეიკავა კენჭისყრისაგან. — **584.**

503 ამ დღეს ექიმებმა ვ. ი. ლენინს ერთი კვირის აბსოლუტური სიმშვიდე დაუნიშნეს. — **584.**

504 ვ. ი. ლენინმა უკარნახა: წერილი ი. ბ. სტალინს გემთსარემონტო პროგრამის შესახებ (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 45, გვ. 311—312); წერილი ლ. დ. ტროცკის (პირები — გ. ე. ზინოვიევს, ნ. ი. ბუხარინს, კ. რადეკს, ი. ბ. სტალინსა და ლ. ბ. კამენევს) კომინტერნის IV კონგრესის იტალიელი დელეგატებისადმი წერილისა და ნეპის თაობაზე ტროცკის თეზისების შესახებ (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, გვ. 314); წერილი ტროცკის, ზინოვიევს, ბუხარინსა და რადეკს, სადაც გააკრიტიკა «მოქმედების აგრარული პროგრამის მონახაზის» პროექტი (იხ. იქვე, გვ. 313). ამ დღეს ვ. ი. ლენინმა გასცა განკარგულება აგრეთვე მისი ხელმოწერა დაესვათ მისასალმებელ წერილზე განათლების მუშაკთა კავშირის სრულიად რუსეთის IV ყრილობისადმი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 526). — **584.**

505 როგორც ჩანს, იგულისხმება კომინტერნის აღმასკომის წერილი ვ. ი. ლენინისადმი თხოვნით, მიეღო კომინტერნის IV კონგრესის ზოგიერთი დელეგაცია. და ი. ბ. სტალინის წერილი პლატინის უკანონო შესყიდვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. იმავე დღეს ვ. ი. ლენინმა დაავალა ნ. პ. გორბუნოვს პოლიტბიუროს ყველა წევრისათვის დაეგზავნა პროექტი დადგენილებისა პლატინის უკანონო შესყიდვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინის ინტერვიუ «ობსერვერის» და «მანჩესტერ გარდიანის» კორესპონდენტს ფარბმანს (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 459). — **584.**

506 ვ. ი. ლენინმა წინადადება მისცა თავის მოადგილეს სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოში ა. დ. ციურუპას ჩაბმულიყო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიის მუშაობაში, რომელსაც უნდა მოემზადებინა ტრესტების დებულების პროექტი. 27

ნოემბერს პოლიტბიურომ ა. დ. ციურუპა შეიყვანა კომისიის შემადგენლობაში. — **584.**

507 როგორც ჩანს, ლაპარაკია იმ სტატიებზე, რომლებიც «პრავდაში» გამოქვეყნდა 1923 წლის 2 თებერვალს იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა მთავრობამ უარი თქვა საკონცესიო ხელშეკრულება დაედო ინგლისელ მრეწველ ლ. ურკარტთან. — **584.**

508 სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. პ. მილიუტინის მოხსენება ვაჭრობის, ფინანსებისა და მრეწველობის საკითხებზე გამოეგზავნა ვ. ი. ლენინს როგორც მასალა მოხსენებისათვის სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობაზე. — **585.**

509 მ ი უ ნ ც ე ნ ბ ე რ გ ი, ვ. — საბჭოთა რუსეთის დამშეულთათვის საერთაშორისო მუშათა დახმარების მომწყობი საზღვარგარეთის კომიტეტის გენერალური მდივანი. — **586.**

510 კ რ ა მ ე რ ი, ვ. ვ. — პროფესორ-ნევროპათოლოგი; მონაწილეობდა ვ. ი. ლენინის მკურნალობაში. — **586.**

511 დამატებითს ბარათში ჩაწერილია: «საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხზე მასალების დამატებით მოითხოვა იმ თათბირის ოქმი, რომელიც ლეონიდასა და სხვ. თავმჯდომარეობით გაიმართა, — ავტომატების ნომრების სია. ყველაფერი ბინაზეა მიტანილი. ლიდია ალექსანდრეს ასულს დაავალა მიაკითხოს ფრუმკინს, ლეონიდასა და ციურუპას საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის მასალებთან დაკავშირებით. ტელეფონით ელაპარაკა ფრუმკინს, გორბუნოვსა და სხვებს. გადაათვალიერა შრომისა და თავდაცვის საბჭოს დღის წესრიგი». ამავე დღეს ვ. ი. ლენინს გამოუგზავნეს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული საშინაო ვაჭრობის კომისიის სხდომის 13 ოქტომბრის ოქმი. — **586.**

512 მ. სოროკინი. «ჩვენი მრეწველობის მეთაურთა შემადგენლობა» («ეკონომიჩესკაია ჟიზნ», 1922 წლის 26 ნოემბერი). ჩანაწერში შეცდომითაა დასმული თარიღი 27 ნოემბერი. — **586.**

513 როგორც ჩანს, ვ. ი. ლენინი დაინტერესებულია სახკომსაბჭოს იმ კომისიის წინადადებებითა და დასკვნებით, რომელმაც რევიზია უყო რსფს რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენლებს საზღვარგარეთ. ვ. ა. ავანესოვმა, ხსენებული კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ეს მასალები ლენინს 3 დეკემბერს გამოუგზავნა (იხ. 3 დეკემბრის საღამოს ჩანაწერი). — **586.**

514 ბ ო გ დ ა ნ ო ვ ი, პ. ა. — სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. — **586.**

515 ფ ო მ ი ნ ი, ვ. ვ. — გზათა სახალხო კომისრის მოადგილე. — **586.**

516 იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54. გვ. 314 — 315. — **587.**

517 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 30 ნოემბრის სხდომაზე მოისმინა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის კომისიის მოხსენება «რესპუბლიკების კავშირის» შესახებ და მიიღო სსრ კავშირის კონსტიტუციის ძირითადი დებულებანი. — **537.**

518 იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 45, გვ. 312 — 313. — **537.**

519 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 30 ნოემბერს დაამტკიცა ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს 20 ნოემბრის გადაწყვეტილება 15 დეკემბერს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის შესახებ. — **538.**

520 იგულისხმება სტატია «საუბარი ა. ვ. პეშეხონოვთან». — **538.**

521 ა დ ო რ ა ტ ს კ ი, ვ. ვ. — მარქსიზმის თვალსაჩინო პროპაგანდისტი, მეცნიერი. ვ. ი. ლენინის დავალებით მოამზადა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რჩეული წერილების კრებული. — **538.**

522 ფ. ენგელსი. პოლიტიკური ანდერძი (გამოუქვეყნებელი წერილებიდან). მოსკოვი, 1923. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება ვ. ი. ლენინის კუთვნილი ამ წიგნის ეგზემპლარი ბარათითურთ ბიბლიოთეკარისადმი: «შეინახეთ თაროზე. 30/XI. 1922. ლ ე ნ ი ნ» (იხ. «ვ. ი. ლენინის ბიბლიოთეკა კრემლში». მოსკოვი, 1961, გვ. 56). — **538.**

523 ს ი რ ც ო ვ ი, ს. ი. — რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატის თანამშრომელი. — **539.**

524 კ ნ ი პ ო ვ ი ჩ ი, ნ. მ. — პროფესორი, მეთაურობდა აზოვის ექსპედიციას, რომლის მთავარი ამოცანა ის იყო, რომ გამოეკვლია აზოვ-შავი ზღვის აუზი თევზის მეურნეობის აღსადგენად. — **539.**

525 როგორც ჩანს, ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ფ. კინის (ფრუმკინის) სტატია ««სპეცები» (სტატისტიკური გამოკვლევის გამოცდილება)», რომელიც გამოქვეყნდა 1922 წლის 3 სექტემბერს გაზეთ «პრავდის» № 197-ში. — **540.**

526 იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, გვ. 596—597. — **540.**

527 წერილს მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრ ა. ი. სვიდერსკისადმი ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა 5 დეკემბერს. — **540.**

528 ბ ე ლ ე ნ კ ი, ა. ი. — სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თანამშრომელი. — **541.**

529 ვაჭრობისა და მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილემ მ. ი. ფრუმკინმა ვ. ი. ლენინის დავალებით მოამზადა მოხსენება «მოკლე

მასალები საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ», რომელიც 4 დეკემბერს გამოუგზავნა. — **541.**

530 იგულისხმება ა. გ. მიხაილოვსკის ბარათი ქვეყნის ფინანსური და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ და ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილის ა. მ. კრასნოშჩოკოვის თეზისები მრეწველობის დაფინანსების შესახებ. — **541.**

531 ვ. ა. ავანესოვმა გამოგზავნა სახკომსაბჭოს კომისიის დასკვნები საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლიის შესახებ. ვ. ი. ლენინმა უურადღებით წაიკითხა ეს დასკვნები, შეიტანა შესწორებანი, შენიშვნები და ზოგიერთი ადგილი გახაზა. — **542.**

532 4 დეკემბერს ნ. პ. გორბუნოვმა დავალებათა წიგნში ჩაწერა: ვიყო კიშტიმის ქარხნის საქმის კურსში, მოვამზადო ძირითადი ციფრები მეტალურგიული მრეწველობის დაფინანსების შესახებ, იგივე დონბასისა და აზნავთობის შესახებ, გავეცნო აღწერის (როგორც ჩანს, 1922 წლის ოქტომბერ—ნოემბერში წარმოებული მოსკოვისა და პეტროგრადის საბჭოთა მოსამსახურეთა აღწერის. — რ ე დ.) მასალების დამუშავების სისტემას (იხ. «ისტორიჩესკი არხივ», 1961, № 5, გვ. 61).

კაბინეტში რომ დაბრუნდა, ვ. ი. ლენინმა უკარნახა წერილი ი. ი. ხოდოროვსკისადმი, რომელსაც სთხოვდა გამოეგზავნა ცნობები, თუ როგორ შეფობენ რკპ(ბ) საქალაქო უჯრედები სასოფლოებს და სასოფლო უჯრედები საქალაქოებს (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, გვ. 315 — 316). ლენინი ვარაუდობდა ელაპარაკა ამის შესახებ სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობაზე (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 669). ამ საკითხს იგი შეეხო თავის სტატიაში «ფურცლები დღიურიდან» (იხ. იქვე, ტომი 33, გვ. 548 — 550). — **542.**

533 ა. ლ. კოლეგაევი ვ. ი. ლენინთან იყო იმ დადგენილების შესრულების საკითხზე, რომელიც სახკომსაბჭომ გამოიტანა 1922 წლის 16 ნოემბერს სახელმწიფო თეატრებისათვის სუბსიდიების შესახებ. — **542.**

534 ჟ უ კ ო ვ ი. ი. პ.—ინჟინერ-ენერგეტიკოსი. — **542.**

535 იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 527 და მე-5 გამოც., ტომი 54, გვ. 316. — **543.**

536 ჰ ო ლ ც მ ა ნ ი, ა. ზ. — სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მთავარელექტროს უფროსი. ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ე ვ ი, პ. ფ. — მისი მოადგილე. — **543.**

537 C. Reyes. «Nuevas y viejas rutas», Buenos Aires, 1922 (ც. რეიესი. «ახალი და ძველი გზები»). წიგნი ვ. ი. ლენინს გამოუგზავნეს კომინტერნის აღმასკომის სამდივნოდან. 7 დეკემბერს წიგნი სათარგმნად

დაუბრუნდა სამდივნოს (იხ. «ვ. ი. ლენინის ბიბლიოთეკა კრემლში». მოსკოვი, 1961, გვ. 665). — **548.**

538 იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 528—533. — **548.**

539 სიაში აღნიშნულია დელეგაციის შემდეგი შემადგენლობა: ი. ჰანსი — ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარე, ჰამოსტა — კომუნალურ მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარე, ფრანეკი — მშენებელ მუშათა პროფკავშირის წევრი, რიხტერი — ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის წევრი, ჰაპერა — გაზისა და ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირის წარმომადგენელი. დელეგაციამ ვ. ი. ლენინს გადასცა ჩეხოსლოვაკიელ მუშათა მისალმება. — **544.**

540 პ ო პ ო ვ ი, პ. ი. — ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველი. — **544.**

541 ა ნ ც ე ლ ო ვ ი ჩ ი, ნ. მ. — სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკი. — **544.**

542 ლ. ა. ფოტიევამ წერილები გაუგზავნა განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრს ვ. ნ. იაკოვლევას და ლ. ბ. კამენევს ყველა სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა პურით უზრუნველყოფის საკითხზე, აგრეთვე შემდეგი წერილი ვ. ი. ლენინის მოადგილეებს: «კამენევსა და ციურუპას. ვლადიმერ ილიას ძე გთხოვთ ორშაბათისათვის (9 დეკემბრისათვის. — რ ე დ.) გაეცნოთ ყველა მასალას «ვიშნევსკი, პოპოვის» საკითხზე, რათა ორშაბათს მოაწყოთ თათბირი ვლადიმერ ილიას ძისა და რიკოვის მონაწილეობით და გადაწყვიტოთ ჩვენი პოლიტიკა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიმართ». — **544.**

543 ე ი დ უ კ ი, ა. ვ. — სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო იმიგრაციის კომისიის თავმჯდომარე. დ ო ვ გ ა ლ ე ვ ს კ ი, ვ. ს. — ფოსტისა და ტელეგრაფის სახალხო კომისარი. — **544.**

544 ვ. ი. ლენინს უნდოდა მოლაპარაკებოდა განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრს ნ. ლ. მეშჩერიაკოვს იმის თაობაზე, რომ ბინა მიეცათ თვალის ექიმ პროფესორ მ. ი. ავერბახისათვის. — **544.**

545 იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 534 — 535. — **544.**

546 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ თავის სხდომაზე განიხილა 18 საკითხი: ნოტა სრუტეთა საკითხის გამო, მოსკოვის განიარაღების კონფერენციის მუშაობა, სახმომარაგების კომისიის მოხსენება, პურის ექსპორტი, სასოფლო-სამეურნეო კრედიტი, 1922 წლის დეკემბრის ხელფასის ფონდი, მოხსენებანი სრულიად რუსეთის საბ-

ჭოების X ყრილობაზე, მენშევიკთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ნ. ა. როჟკოვის შესახებ და სხვ. — **545.**

547 ლ. ა. ფოტიევამ ა. მ. ნაზარეტიანს გაუგზავნა შემდეგი ბარათი: «ვლადიმერ ილიას ძის წინადადებაა მიიღოთ უნშლიხტის ოთხი წინადადება საზღვარგარეთ გასასახლებელ პირთათვის მანდატების გაცემის შესახებ». სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. უნშლიხტი წინადადებას იძლეოდა აეკრძალათ, რომ სახალხო კომისარიატებს გაეცათ მანდატები იმ პირთათვის, რომლებსაც ადმინისტრაციული წესით ასახლებდნენ საზღვარგარეთ. — **545.**

548 ვ. ი. ლენინმა ვ. ნ. იაკოვლევს სთხოვა ეცნობებინა, თუ როგორ მუშაობდა კომისია, რომელიც ლენინის წინადადებით დანიშნა პოლიტბიურომ 7 დეკემბერს დილით, რომ მოემზადებინა გაანგარიშებანი ყველა სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა პურით სრულად უზრუნველყოფისათვის (იხ. ეს ტომი, გვ. 491 — 492). — **545.**

549 გორკაში გამგზავრების წინ ვ. ი. ლენინმა ნ. პ. გორბუნოვსა და ლ. ა. ფოტიევას დაუტოვა აგრეთვე წერილობითი განკარგულება, თუ რა წესით ეცნობებინათ მისთვის რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტიდან მიღებული დოკუმენტების ამბავი (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, გვ. 318). ვ. ი. ლენინმა დაავალა მდივნებს ა. დ. ციურუპასა და ა. ი. რიკოვისათვის გაეგზავნათ ის წინადადებანი, რომლებიც მან წამოაყენა 4 დეკემბერს სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის მუშაობის განაწილების შესახებ (იხ. ეს ტომი, გვ. 490—491). — **545.**

550 პოლიტბიუროს 7 დეკემბრის სხდომის ოქმი ვ. ი. ლენინს გაუგზავნეს მას შემდეგ, რაც იგი ესაუბრა ლ. ა. ფოტიევას, რომელმაც ვლადიმერ ილიას ძეს აცნობა გადაწყვეტილებანი, რომლებიც მისი წასვლის შემდეგ მიიღო პოლიტბიურომ. — **545.**

551 მ. ა. ვოლოდიჩევას ვ. ი. ლენინმა უკარნახა ი. ბ. სტალინისადმი წერილი, რომელშიც პროტესტი განაცხადა ნ. ვ. როჟკოვის შესახებ პოლიტბიუროს გადაწყვეტილების წინააღმდეგ და წინადადება წამოაყენა ეს საკითხი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოეტანათ. წერილი ეხებოდა აგრეთვე ს. ა. ლოზოვსკის მუშაობას პროფინტერნში (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, გვ. 320 — 321). — **545.**

552 დეკემბერში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საბჭოთა დელეგაციას ნება დაერთო განეცხადებინა ლოზანის კონფერენციაზე, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმაა მოიწვიონ შავი ზღვის სახელმწიფოთა კონფერენ-

ცია შავ ზღვაზე ნაოსნობის უსაფრთხოობის უზრუნველყოფის საკითხზე. — **546.**

553 იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 536. — **546.**

554 იხ. ეს ტომი, გვ. 492. — **546.**

555 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი გადატანილ იქნა 15-დან 17 დეკემბერს. — **546.**

556 როგორც ჩანს, ლაპარაკია ვ. ი. ლენინის წინადადებებზე სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის მუშაობის განაწილების შესახებ (იხ. ეს ტომი, გვ. 493—495) და წერილზე სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და თავმჯდომარის მუშაობის წესის შესახებ (იქვე, გვ. 493—495). — **546.**

557 იგულისხმება ვ. ი. ლენინის წერილი კ. ლაცარისადმი (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, გვ. 322—323). ს უ ვ ა რ ი ხ ი, ბ. — კომინტერნის IV კონგრესის დელეგატი; ამ შემთხვევაში ვ. ი. ლენინმა მიიწვია როგორც თარჯიმანი. — **546.**

558 იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 393—402. — **546.**

559 კენჭს უყრიდნენ პოლიტბიუროს გადაწყვეტილებას (7 დეკემბრის დეპეშით) განაჩენის შესახებ ესერთა პროცესის გამო ბაქოში. ვ. ი. ლენინი მომხრე იყო. 14 დეკემბერს პოლიტბიურომ დაადგინა: თანახმა ვართ. — **546.**

560 შეფასება, რომელიც მ. ი. ფრუმკინმა მისცა სახკომსაბჭოს იმ კომისიის თეზისებს, რომელმაც რევიზია უყო რსფს რესპუბლიკის საგაჭრო წარმომადგენლობებს საზღვარგარეთ, 11 დეკემბერს გამოგზავნეს და 13 დეკემბერს ვ. ი. ლენინს აცნობეს. — **547.**

561 საკანცელარიო დავთარში 8605-ე ნომრად რეგისტრაციაში გატარებულია ვ. ი. ლენინის წერილი მ. ი. ფრუმკინისადმი; 8606-ე ნომრად — დავალება ნ. პ. გორბუნოვისადმი მოუმზადოს ლენინს სამშაბათისათვის (12 დეკემბრისათვის) კორექტურა კრებულისა «ახალ გზებზე. 1921—1922 წლების ახალი ეკონომიური პოლიტიკის შედეგები. შრომები შრომისა და თავდაცვის საბჭოს კომისიის რედაქციით». მოსკოვი, შრომისა და თავდაცვის საბჭოს გამოც., 1923 (II გამოშვ., ფინანსები; III გამოშვ., მრეწველობა). — **547.**

562 ფ. ე. ძერჟინსკიმ ვ. ი. ლენინს აცნობა შედეგები პოლიტბიუროს კომისიის მგზავრობისა საქართველოში, სადაც გაარჩია კონფლიქტი ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და მდივნის ჯგუფს შორის. ამ საუბარს ვ. ი. ლენინი იგონებს 1923 წლის 24 იანვარს (იხ. ეს ტომი, 555—556). — **548.**

563 ს ტ ო მ ო ნ ი ა კ ო ვ ი, ბ. ს. — რსფს რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენელი გერმანიაში. — **548.**

564 იხ. ეს ტომი, შენიშვნა 479. — **548.**

565 წერილში ვ. ი. ლენინი მეორედ აპროტესტებს პოლიტბიუროს 7 დეკემბრის გადაწყვეტილებას, რომლითაც მენშევიკ ნ. ა. როჟკოვს ნება დაერთო მოსკოვში ცხოვრებისა. იხ. აგრეთვე ეს ტომი, შენიშვნა 571. — **548.**

566 თავის წერილებში ვ. ი. ლენინი იტყობინებოდა, რომ ვერ დაესწრება ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს, გამოთქვამდა მოსაზრებებს, როგორ უნდა დაეცვათ პლენუმზე მისი პოზიცია საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხში, ხაზს უსვამდა, მერყეობა ამ საკითხში დაუშვებელიაო. — **548.**

567 იხ. ეს ტომი, გვ. 495—496. — **548.**

568 იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 537 — 542. — **549.**

569 ი ა რ ო ს ლ ა ვ ს კ ი, ე. მ. — სახკომსაბჭოს იმ კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც ევალებოდა რსფს რესპუბლიკის ყველა საზღვარგარეთული სავაჭრო წარმომადგენლობის რევიზია. — **549.**

570 ვ. ი. ლენინი სთხოვდა ვ. ა. ავანესოვს გასცნობოდა მის წერილს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმისადმი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხზე და გამოეგზავნა წინადადებანი (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც.. ტომი 54, გვ. 325). — **549.**

571 14 დეკემბერს პოლიტბიურომ გააუქმა თავისი 7 დეკემბრის გადაწყვეტილება და დაადგინა როჟკოვი გაესახლებინა ფსკოვში, ამასთან გააფრთხილა, რომ პირველივე ანტისაბჭოთა გამოსვლის შემთხვევაში გაასახლებენ საბჭოთა რუსეთიდან. — **549.**

572 იგულისხმება ვ. ი. ლენინის წერილი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმისადმი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 537 — 542). — **550.**

573 წერილში ვ. ი. ლენინი გამოთქვამდა იმედს, რომ პლენუმზე გავიდოდა გადაწყვეტილება, რომელიც დაადასტურებდა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ურყეობას, რადგან იმათი ნაწილი, ვინც ოქტომბრის პლენუმზე ხმა მისცა მონოპოლიის წინააღმდეგ, დაადგა სწორ პოზიციებს (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, გვ. 325—326).—**550.**

574 იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 33, გვ. 543. — **551.**

575 წერილში ვ. ი. ლენინმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხი განიხილონ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, აგრეთვე ეს საკითხი დასვან მორიგ პარტიულ ყრილობაზე (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, გვ. 325 — 326). — **551.**

576 16 დეკემბერს ღამით ვ. ი. ლენინის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა, დაუდამბლავდა მარჯვენა ხელი და მარჯვენა ფეხი, შემდეგ ხელ-ფეხის მოძრაობა თანდათან აღდგა.

კ ო ჟ ე ვ ნ ი კ ო ვ ი, ა. მ. — ექიმ-ნევროპათოლოგი, მკურნალობდა ვ. ი. ლენინს. — **551.**

577 ამ წერილში ვ. ი. ლენინი გამოთქვამდა თავის მოსაზრებებს სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის მოვალეობის განაწილების შესახებ, იმის შესახებ, რომ საჭიროა მოკლე ჩანაწერები მნახველთა მიღების დროს, აგრეთვე წინადადებას იძლეოდა მისი მონაწილეობის მიუღებლად მოეწყოთ მოადგილეთა თათბირი ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს საკითხზე (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, გვ. 327). — **551.**

578 პ ა კ ა ლ ნ ი, პ. პ. — ვ. ი. ლენინის დაცვის უფროსი გორკაში. — **551.**

579 ფ ე რ ს ტ ე რ ი, ო. რ. — გერმანელი პროფესორ-ნევროპათოლოგი; კონსულტაციებს აძლევდა ვ. ი. ლენინის მკურნალ ექიმებს. — **551.**

580 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 18 დეკემბერს გაიმართა, მხარი დაუჭირა ვ. ი. ლენინის წინადადებებს და დაადასტურა საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლიის ურყეობა. პლენუმმა მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება, ეცნობებინა ვ. ი. ლენინისათვის, ექიმებთან შეთანხმებით, პლენუმის რეზოლუციები და ანგარიში. — **552.**

581 23 დეკემბერს ღამით ვ. ი. ლენინს მოუვიდა მარჯვენა ხელისა და მარჯვენა ფეხის დამბლა. — **552.**

582 წერილს პარტიის ყრილობისადმი ვ. ი. ლენინი უკარნახებდა 1922 წლის 23, 24, 25, 26, 29 დეკემბერსა და 1923 წლის 4 იანვარს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 637 — 679, 686 — 687). წერილი, რომელიც 23 დეკემბერს უკარნახა, იმავე დღეს სამდივნომ ი. ბ. სტალინს გაუგზავნა. — **552.**

583 ამ დროს მიმდინარეობდა სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობა (1922 წლის 23-დან 27 დეკემბრამდე). — **552.**

584 «ყველა სტატია და დოკუმენტი, — წერდა მოგვიანებით, 1929 წელს, მ. ა. ვოლოდიჩევა, — ვ. ი. ლენინის მიერ ნაკარნახევი 1922 წლის დე-

კემბრიდან (20 რიცხვი) 1923 წლის მარტის დამდეგამდე, ვ. ი. ლენინის სურვილისამებრ გადაიწერებოდა 5 ცალად, რომელთაგან ერთი, მისი თხოვნით, უნდა დაგვეტოვებინა მისთვის, სამი ეგზემპლარი — ნადეჟდა კონსტანტინეს ასულისათვის და ერთი — მის სამდივნოში (მკაცრად საიდუმლოდ). «პრავდაში» გასაგზავნ ეგზემპლარს, ყველა საბოლოო შესწორებითა და ცვლილებით, სუფთად გადაბეჭდილს, თვალს ავლებდა ვ. ი. ლენინი, რის შემდეგ გადაეცემოდა მარიამ ილიას ასულს. სწორდებოდა აგრეთვე ის სამი პირი, რომლებიც ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს ეძლეოდა. პირების შავს ვწვავდი. იგი გვთხოვდა, რომ დალუქულ კონვერტებზე, სადაც, მისი სურვილისამებრ, ინახებოდა დოკუმენტების პირები, აღგვენიშნა, რომ გახსნა შეუძლია მხოლოდ ვ. ი. ლენინს, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს. სიტყვებს: «ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ» კონვერტებს არ ვაწერდი. ვ. ი. ლენინის ეგზემპლარები ზონრით მაგრდებოდა ყდაში, რომ უფრო მოსახერხებელი ყოფილიყო ხმარებისათვის». — **552.**

585 ბ. ვ. ტიტლინოვი. ახალი ეკლესია. პეტროგრადი — მოსკოვი, 1923. წიგნების გაცემის ჟურნალში ტიტლინოვის წიგნის შესახებ აღნიშვნის შემდეგ ბიბლიოთეკარის შ. მ. მანუჩარიანცის მიერ ჩაწერილია: «იანვარში ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა ვლადიმერ ილიას ძისათვის **ითხოვა კოოპერაციის** ლიტერატურა. ხინჩუკმა გამოგზავნა შემდეგი: 1) მეშჩერიაკოვი. კოოპერაცია და სოციალიზმი. 2) შტაუდინგერი. მარქსიზმი და სამომხმარებლო კოოპერაცია. 3) ზასენი. კოოპერაციის თეორიის განვითარება კაპიტალიზმის ეპოქაში. 4) შტაუდინგერი. შულცე-დელიჩიდან კროიცნახისაკენ. 5) ჩაიანოვი. გლეხთა კოოპერაციის ორგანიზაციის ძირითადი იდეები და ფორმები. 6) ტუგან-ბარანოვსკი. კოოპერაციის სოციალური საფუძვლები. 7) პროკოპოვიჩი. კოოპერაციული მოძრაობა რუსეთში, მისი თეორია და პრაქტიკა». — **558.**

586 იგულისხმება სტატია «ჩვენი რევოლუციის შესახებ (ნ. სუხანოვის წერილების გამო)» (იხ თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 562 — 567). — **558.**

587 იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 568—574. პირველი ვარიანტი — ეს ტომი, გვ. 497—506. — **557.**

588 ხ ლ ო პ ლ ი ა ნ კ ი ნ ი, მ. ი. — შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი. — **557.**

589 მეორე დღეს (21 იანვარს) მ. ა. ვოლოდიჩევამ ითხოვა ვ. ი. ლენინისათვის გამოეგზავნათ ჟურნალები: «სოციალისტიჩესკი ვესტნიკ» № 1, «სოვრემენნიე ზაპისკი», წიგნი XIII, და «ზარია» №№ 9—10. — **557.**

590 ფ. ე. ძერჟინსკის კომისიის მოხსენება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა თავის სხდომაზე 1923 წლის 25 იანვარს; კომისიის წინადადებანი დამტკიცდა. — **555.**

591 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს წიგნები: პ. მ. კერჟენცევი. «ორგანიზაციის პრინციპები». პეტროგრადი, 1922; ო. ა. ერმანსკი. «შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და ტეილორის სისტემა». მოსკოვი, 1922. ეს წიგნები ნახსენებია ვ. ი. ლენინის სტატიაში «უმჯობესია ცოტა და კარგი» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 575 — 594). ერმანსკის წიგნის შესახებ იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინის დაუმთავრებელი რეცენზია «ერთი კოზი კუპრი ერთ კასრ თაფლში» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 434 — 435). — **556.**

592 რ ე ს კ ე, ნ. ა. — მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი. — **556.**

593 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1 თებერვალს ნება დართო მიეცათ ძერჟინსკის კომისიის მასალები საქართველოს საკითხის გამო. — **557.**

594 ლ. ა. ფოტიევამ ვ. ი. ლენინის შემდეგი მითითებანი ჩაწერა: «1) რატომ დააბრალეს საქართველოს კომპარტიის ძველ ცენტრალურ კომიტეტს უკლონიზმი. 2) რა ედებოდათ მათ ბრალად, როგორც პარტიული დისციპლინის დარღვევა. 3) რატომ აბრალებენ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დათრგუნვას. 4) დათრგუნვის ფიზიკური წესები («ბიომექანიკა»). 5) ცენტრალური კომიტეტის (რკპ(ბ)-ისა. — რ ე დ.) ხაზი ვლადიმერ ილიას ძის არყოფნისა და ვლადიმერ ილიას ძის ყოფნის დროს. 6) კომისიის დამოკიდებულება. განიხილა თუ არა მან მხოლოდ ბრალდებანი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, თუ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წინააღმდეგაც? განიხილა თუ არა მან «ბიომექანიკის» შემთხვევები? 7) ნამდვილი მდგომარეობა (საარჩევნო კამპანია, მენშევიკები, დათრგუნვა, ეროვნული შუღლი)» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **557.**

595 იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 575 — 594. — **557.**

596 2 თებერვალს ნ. კ. კრუპსკაიას მეშვეობით ვ. ი. ლენინმა ითხოვა მ. პ. პავლოვიჩთან ეშოვათ წიგნები: ა. ე. ხოდოროვი. «მსოფლიო იმპერიალიზმი და ჩინეთი (პოლიტ.-ეკონომ. გამოკვლევის გამოცდილება)». შანხაი, 1922 და მ. პ. პავლოვიჩი. «საბჭოთა რუსეთი და იმპერიალისტური იაპონია». საღამოს ეს წიგნები გადასცეს ვ. ი. ლენინს

ა. მ. ხინჩუკის წიგნთან ერთად «ცენტროსოიუზი ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში». მოსკოვი, 1922. — **558.**

597 იგულისხმება საბჭოთა მოსამსახურეების აღწერა, რომელიც მოეწყო მოსკოვსა და პეტროგრადში 1922 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. — **561.**

598 იგულისხმება ნაშრომი «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი». — **562.**

599 როგორც ჩანს, 27 თუ 28 დეკემბერს ვლადიმერ ილიას ძეს უკარნახებია ჩანაწერი, რომელშიც დაუსახავს შემდგომი მუშაობის თემები:

«გასახსენებლად:

წერილში ცენტრალური კომიტეტის წევრთა გადიდების შესახებ გამოტოვებულია, თუ როგორ უნდა ეკიდებოდნენ გადიდებული ცენტრალური კომიტეტის წევრები მუშურ-გლეხურ ინსპექციას.

დასახული თემები:

1. ცენტროსოიუზი და მისი მნიშვნელობა ნეპის თვალსაზრისით.

2. მთავარპროფგანისა და ხალხში ზოგადსაგანმანათლებლო მუშაობის თანაფარდობა.

3. ეროვნული საკითხი და ინტერნაციონალიზმი (საქართველოს პარტიაში მომხდარი უკანასკნელ კონფლიქტთან დაკავშირებით).

4. სახალხო განათლების სტატისტიკის ახალი წიგნი, რომელიც 1922 წელს გამოვიდა». — **564.**

600 ვ. ი. ლენინმა გამოითხოვა შემდეგი წიგნები: ვ. ს. როჟიცინი. «ახალი მეცნიერება და მარქსიზმი». ხარკოვი, 1922; ს. ი. სემკოვსკი. «მარქსიზმი როგორც სწავლების საგანი. მოხსენება სრულიად უკრ. პედაგ. კონფერენციაზე (1922 წლის ივლისი)». ხარკოვი, 1922; მ. ალსკი. «ჩვენი ფინანსები სამოქალაქო ომისა და ნეპის დროს». მოსკოვი, 1923; ს. ნ. ფალკნერი. «გარდატეხა მსოფლიო სამრეწველო კრიზისის განვითარებაში». მოსკოვი, 1922; გ. ციპეროვიჩი. «ჩვენ თვითონ! (სამეურნეო მშენებლობის 5 წლის შედეგები)». პეტროგრადი, 1922; ლ. აქსელროდი (ორთოდოქსი). «იდეალიზმის წინააღმდეგ. ფილოსოფ. აზრის ზოგიერთი იდეალისტური მიმდინარეობის კრიტიკა. სტატიების კრებული». მოსკოვი — პეტროგრადი, 1922; ა. დრევსი. «მითი ქრისტეს შესახებ». მოსკოვი, 1923; პ. გ. კურლოვი. «რუსეთის ცარიზმის აღსასრული. ჟანდარმთა კორპუსის ყოფ. მეთაურის მოგონებანი». მოსკოვი — პეტროგრადი 1920; ს. ი. კანატჩიკოვი. «დღის თემებზე (პროლეტარული იდეოლოგიის ფურცლები)». პეტროგრადი, 1923; ი. ა. მოძალევსკი. «პროლეტარული მითისმთხზველობა (თანამედროვე პროლეტარული პოეზიის იდეოლოგიური გადახრების შესახებ)». სემიპალატინსკი, 1922 და სხვ. — **565.**

601 ლ. ა. ფოტიევამ ჩაწერა შემდეგი: «ვლადიმერ ილიას ძის მითითებანი:

გადაკვრით ვუთხრა სოლცს (ა. ბ. სოლცი — რკპ(ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის წევრი. — რ ე დ.), რომ იგი (ვ. ი. ლენინი. — რ ე დ.) დაჩაგრულის მხარეზეა. ვაგრძნობინო რომელიმე დაჩაგრულს, რომ იგი მათს მხარეზეა.

3 მომენტი: 1. არ შეიძლება ჩხუბი. 2. საჭიროა დათმობანი. 3. არ შეიძლება დიდი სახელმწიფო პატარას შევადაროთ.

იცოდა თუ არა სტალინმა? რატომ არ მოახდინა რეაგირება?

სახელწოდება «უკლონისტები» შოვინიზმისა და მენშევიზმისაკენ გადახრისათვის დიდმპყრობელთა სწორედ ამ გადახრას ამტკიცებს.

შევუგროვო ვლადიმერ ილიას ძეს ბეჭდვითი მასალები».

ჩანაწერები 15 თებერვლიდან 4 მარტამდე დღიურში არ არის.—**566.**

602 ვ. ი. ლენინმა სთხოვა ტროცკის თავს ედო «საქართველოს საქმის» დაცვა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. ტროცკიმ ავადმყოფობა მოიმიზეზა და უპასუხა, რომ ვერ იკისრებს ასეთ ვალდებულებას (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, გვ. 329). — **566.**

603 იგულისხმება წერილი ი. ბ. სტალინისადმი, პირები — ლ. ბ. კამენევისა და გ. ე. ზინოვიევისადმი (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, გვ. 329 — 330). — **566.**

604 წერილში ვ. ი. ლენინი იტყობინებოდა, რომ ამზადებს ბარათსა და სიტყვას საქართველოს საკითხის გამო (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, გვ. 330). — **566.**

605 ამით ჩანაწერები წყდება.

ტექსტი სიტყვებიდან: «ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა მთხოვა...» დღიურში ჩაწერილია სტენოგრაფიული ნიშნებით; 1956 წლის 14 ივლისს ეს ჩანაწერი გაშიფრა მ. ა. ვოლოდიჩევამ. — **567.**

სახელთა საძიებელი

ა

ავანესოვი, ვ. ა. — 127, 141, 155, 230, 232, 239.
ავილოვი, ნ. პ. (გლებოვი, ნ.) — 185.
ავქსენტიევი, ნ. დ. — 17.
ალგასოვი, ვ. ა. — 26.
ალექსინსკი, გ. ა. — 26, 316.
ალსკი, ა. ი. — 382.
ანდრეევი, ა. ა. — 330, 424, 425.
ანტონოვ-ოვსეენკო, ვ. ა. — 20.
აპრელევი, ა. პ. — 37.
არუანოვი, მ. მ. — 160.
არტემი (სერგეევი *, თ. ა.) — 12.
ახუნდოვი, რ. ა. — 392.

ბ

ბადაევი, ა. ე. — 209.
ბალფური (Balfour), **არტურ ჯეიმსი** — 38.
ბაუერი (Bauer), **ოტო** — 38.
ბებელი (Bebel), **ავგუსტ** — 116, 319.
ბელენკი, ა. ი. — 200, 201.
ბელიაკოვი, ა. ა. — 116, 117.
ბოგაევსკი, მ. პ. — 42.
ბოგდანოვი, პ. ა. — 383, 391, 393, 394, 400, 409.
ბოგდატიანი, მ. ს. — 300.
ბოგოლეპოვი, დ. პ. — 64.
ბონჩ-ბრუევიჩი, ვ. დ. — 164.
ბრანდლერი (Brandler), **ჰენრიხ** — 356, 357.
ბრიანი (Briand), **არისტიდ** — 446.
ბრიჩკინა, ს. ბ. — 213.
ბუბნოვი, ა. ს. — 214.
ბუდიონი, ს. მ. — 212.
ბულიტი (Bullit), **უილიამ კრისტიან** — 119.
ბურდუკოვი, ა. ა. — 157.
ბურიანი (Burian), **ედმუნდ** — 364.
ბუროვი, ი. ვ. — [illegible].
ბუხარინი, ნ. ი. — 7, 84, 106, 108, 185, 186, 207, 224, 231, 234, 235, 254, 256, 331, 354, 416, 447 — 448, 473, 474, 489 — 490.

გ

გაბალინი, რ. მ. — 200.
განეცკი (ფიუსტენბერგი), ი. ს. — 8, 67, 68.
გილბო (Guilbeaux), **ანრი** — 207.

---

* ფრჩხილებში შავი შრიფტით მითითებულია ნამდვილი გვარები.

გინდინი (გინზბურგი), ი. ი. — 230.
გიტისი, ვ. მ. — 212, 329.
გლებოვი, ნ. — იხ. ავილოვი, ნ. პ.
გოლუბევი, ი. მ. — 132.
გორბუნოვი, ნ. პ. — 98, 399, 467—468.
გორკი, მაქსიმ (პეშკოვი, ა. მ.) — 136, 211 — 212.
გუბკინი, ი. მ. — 290.
გუკოვსკი, ი. ე. — 9, 67, 68.
გუსევი, ს. ი. (დრაბკინი, ი. დ.) — 266, 268.

დ

დანიშევსკი, კ. ქ. — 213.
დაშინსკი (Daszynski), იგნაცი — 397 — 398.
დებსი (Debs), იუჟინ ვიქტორ — 109, 116.
დელინიერი Deslinières), ლიუსენ — 207.
დენიკინი, ა. ი. — 140, 152, 159, 163, 165, 166, 171, 174, 200, 214, 217, 226.
დივილკოვსკი, ა. ა. — 466.
დოვგალევსკი, ვ. ს. — 441.
დომბალი (Dabal), ტომაშ — 403.
დუხონინი, ნ. ნ. — 5.

ე

ეირი (Eire), ლინკოლნ — 178.
ენგელსი (Engels), ფრიდრიხ — 108.
ენუქიძე, ა. ს. — 312, 481.
ერიომინი — 281.

ვ

ვანდერლიპი (Vanderlip), ვაშინგტონ, ბ. — 246, 261, 264, 273, 314.
ვარგა, ე. ს. — 375—379.
ვევერი, ე. ი. — 200 — 201.
ვილჰელმ II (ჰოჰენცოლერნი) — 116.
ვლადიმირსკი, მ. თ. — 132.
ვოლკოვსკი, ა. თ.—98.
ვოლოდარსკი, ვ. (გოლდშტეინი, მ. მ.) — 84.
ვოროვსკი, ვ. ვ. — 458.
ვრანგელი, პ. ნ. — 224, 226, 228, 244.

ზ

ზაგორსკი (ლუბოცკი), ვ. მ. — 192, 193.
ზალუცკი, პ. ა. — 418, 419.
ზეგერი (Seger), იოჰან ფრიდრიხ — 115.
ზელენსკი, ი. ა.—466.
ზინოვიევი (რადომისლსკი), გ. ე.— 120, 217, 224, 229, 237, 305, 349, 352—358, 371—374, 416, 417, 447 — 449, 456, 464, 473, 474—476, 482, 489—490.

თ

თურქესტანოვი, ი. ნ. — 82.

ი

იაკოვენკო, ვ. გ. — 444.
იაკოვლევა, ვ. ნ. — 146.
იაკუბოვი, ა. ს. — 28.
იაროსი, გ. მ. — 2 — 3.
იაროსლავსკი, ე. მ. — 331.

ივნატოვი, ე. ნ. — 264.
ივანიჩევი, ი. ი. — 200.
ივანოვიჩი, ხტ. — იხ. პორტუგეი-ხი, ს. ი.
იოფე, ა. ა. — 319, 323, 446, 458, 461.
ახუვი, ი. ა. — 315.
ეუდენიჩი, ნ. ნ. — 139, 160, 163, 164, 166, 171, 200.
ეშჩენკო, ა. გ. — 185.

კ

კალედინი, ა. მ. — 20 — 21.
კალინინი, მ. ი. — 121, 214, 270, 423, 442, 481.
კალვერტი, გ.-ს. — 391, 394.
კამენევი (როზენფელდი), ლ. ბ. — 120, 141, 146, 157, 268, 287, 318, 371—374, 400, 464, 477, 481, 482 — 484, 491, 495 — 496.
კარელინი, ვ. ა. — 14, 73.
კაუცკი (Kautsky), **კარლ** — 116, 187.
კეინსი (Keynes), **ჯონ მეინარდ** — 445, 460, 469.
კერენსკი, ა. თ. — 17, 40 — 41.
კერზონი (Curzon), **ჯორჯ ნათა-ნიელ** — 240, 265.
კისელიოვი, ა. ს. — 306.
კოონენი (Koenen), **ვილჰელმ** — 351 — 352.
კლაუზევიცი (Clausewitz), **კარლ** — 362.
კლემანსო (Clemenceau), **ჟორჟ ბენჟამენ** — 174.
კლიუჩნიკოვი, ი. ვ. — 449.
კოზლოვსკი, მ. ი. — 23.
კოზმინი, ბ. ა. — 6.
კოლჩაკი, ა. ვ. — 139, 159, 163, 166, 171, 174, 200, 214, 217, 226.
კოპი, ვ. ლ. — 237.
კორზინოვი, გ. ი. — 263, 264, 265, 266.
კორნილოვი, ლ. გ. — 17.
კრაიბიხი (Kreibich), **კარელ** — 263.
კრასინი, ლ. ბ. — 99, 127, 240, 244, 291, 300, 312, 458, 461.
კრასნოშჩოკოვი, ა. მ. — 210.
კრესტინსკი ნ. ნ. — 112, 185, 186, 271, 287 — 288.
კრუიეანოვსკი, გ. მ. — 234, 292, 454.
კრუგი, კ. ა. — 235.
კრუმინი, გ. ი. — 399.
კუბიაკი, ნ. ა. — 330.
კუიბიშევი, ვ. ვ. — 384 — 386, 394.
კუნი (Kun), **ბელა** — 352, 353, 374.
კურსკი, დ. ი. — 157, 238, 382, 440, 479.
კუტუზოვი, ი. ი. — 215, 484.
კუუსინენი, ო. ვ. — 349 — 352.

ლ

ლანდერი, კ. ი. — 81.
ლანსინგი (Lansing), **რობერტ** — 445.
ლარინი, ი. (ლურიე, მ. ა.) — 232, **235.**
ლაუკანტი (Laukant), **გუსტავ** — 115, 116.
ლაცარი (Lazzari), **კონსტანტინო** — 362.
ლაშევიჩი, მ. მ. — 133, 134, 353, 356, 357.
ლეგინი (Legien), **კარლ** — 238.

1 190
2 191

სიტყვა, წარმოთქმული კ. მარქსის ძეგლის საძირკვლის ჩაყრისას 1920 წლის 1 მაისს. საგაზეთო ანგარიში . . . 192

სიტყვა, წარმოთქმული ზაგორსკის სახელოგის მუშათა სასახლის გახსნის დროს 1920 წლის 1 მაისს. საგაზეთო ანგარიში . . . . . 192—193

სიტყვა, წარმოთქმული მოსკოვის პირველი მეტყვიამფრქვევეთა კურსების წითელ მეთაურთა XI გამოშვებაზე 1920 წლის 12 მაისს. მექრონიკის ჩანაწერი 193

პროექტი სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა ნედლეულის დამზადების შესახებ 194

მშრომელ მოსახლეობას შორის ბინების სწორი განაწილების ღონისძიებათა დეკრეტის პროექტის შენიშვნები . . 194—195

მონახაზი სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა ჯურის რესურსების შესახებ 195

საუბარი იაპონელ კორესპონდენტ რ. ნაკაჰირასთან, გაზეთ «ოსაკა ასახის» წარმომადგენელთან . . . 195—198

საუბარი იაპონელ კორესპონდენტ კ. ფუსესთან, გაზეთ «ოსაკა მაინიტის» და გაზეთ «ტოკიო ნიტი-ნიტის» წარმომადგენელთან . . . . . 198—200

დადგენილებები სანატორიუმ «გორკის» გამგე ე. ი. ვევერისათვის სასჯელის დადების შესახებ . . . . . 200—201

სიტყვა, წარმოთქმული კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე 1920 წლის 19 ივნისს. საგაზეთო ანგარიში . . 202

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა რკპ(ბ) ამოცანების შესახებ თურქესტანში 202—203

მასალები კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესისათვის . . 203—208

1. გეგმა რეზოლუციისა «პროლეტარიატის დიქტატურის» ცნების შინაარსის შესახებ და ამ ლოზუნგის «მოდური» დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ . 203
2. კომინტერნის II კონგრესზე დ. ტანერის მიერ წარმოთქმული სიტყვის ჯამი 207

3. შენიშვნები აღმოსავლეთში სოციალური რევოლუციის პერსპექტივების შესახებ ა. სულთან-ზადეს მოხსენების გამო 208

4. შენიშვნები ეროვნული და კოლონიური საკითხების კომისიისთვის 208

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა პეტროგრადის კომუნასა და პეტროგრადის საბჭოს შორის მომხდარი კონფლიქტის შესახებ . 209

პასუხი შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. მ. კრასნოშჩოკოვის შეკითხვებზე . 210

სიტყვა, წარმოთქმული პეტროგრადში კ. ლიბკნეხტისა და რ. ლუქსემბურგის ძეგლის საძირკვლის ჩაყრისადმი მიძღვნილ მიტინგზე 1920 წლის 19 ივლისს. საგაზეთო ანგარიში 211

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა ჟურნალ «კომუნისტიჩესკი ინტერნაციონალში» გამოქვეყნებულ ა. მ. გორკის სტატიათა შესახებ 211—212

წინადადებანი სამხედრო საკითხებზე 212

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებანი დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს გრძანების შესახებ . . . 212—213

რკპ(ბ) IX სრულიად რუსეთის კონფერენცია. 1920 წლის 22—25 სექტემბერი . . . . 213—222

1. სიტყვა პარტიული მშენებლობის მორიგ ამოცანებზე 24 სექტემბერს . 213

2. პროექტი რეზოლუციისა პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ 220

3. წინადადება პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ რეზოლუციისათვის 222

მოხსენება რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ, წაკითხული რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის თათბირზე 1920 წლის 9 ოქტომბერს . . 223—226

მონახაზი რეზოლუციისა პროლეტარული კულტურის შესახებ . . . 226—227

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა რკპ(ბ) ამოცანების შესახებ აღმოსავლეთის ხალხებით დასახლებულ ადგილებში . . 227—228

შენიშვნები პარტიის მორიგ ამოცანებზე . . 228—229

პროექტი შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა გალტიის ფლოტის აღდგენის საკითხზე . . . . 229—230

პროექტი სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა საბჭოთა მოსამსახურეების შრომითი და სასურსათო ულუფის საკითხზე . . . 230

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა . 231

1920 წლის ნოემბერი — 1923 წლის მარტი

სამეურნეო სახალხო კომისარიატებს შორის კავშირის ორგანიზაციის შესახებ . . 232—233

1. პროექტი სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა 232
2. წინადადებათა მონახაზი . . . 232

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა მთავარპოლიტგანის შესახებ . . 233—234

წერილი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებს . . 234—236

სიტყვა, წარმოთქმული სოკოლნიკის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის და ქ. მოსკოვის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების და საწარმოთა გამგეობების წარმომადგენლების გაერთიანებულ სხდომაზე 1920 წლის 7 ნოემბერს 236

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა პროლეტკულტის შესახებ . 237

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა . . . 237—238

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა კონცესიების საკითხზე . . 238

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა . 238—239

საბჭოთა ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებასა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობისათვის წარსადგენი მოხსენების თეზისების შესახებ 240

პროექტი პოლიტბიუროს დადგენილებისა. (იმის გამო, რომ ჩიჩერინმა წინადადება წამოაყენა კრასინის დროებით გამოწვევის შესახებ, ხოლო კრასინი საწინააღმდეგო აზრისაა) . 240—241

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა პირდაპირი გადასახადების შესახებ 241

პროექტი სახკომსაბჭოს ეკონომიური კომისიის დადგენილებისა 242

ბლეხთა მეურნეობების განმტკიცებისა და განვითარების ღონისძიებათა პროექტის შემუშავებისათვის. მითითებანი კომისიის წევრებს 243

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა ინგლისთან სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ. . . . . 243—244

ხაბოლოო სიტყვა კონცესიების შესახებ მოხსენების გამო, წარმოთქმული რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1920 წლის 6 დეკემბერს . . . . 244—249

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა განსახკომის რეორგანიზაციის შესახებ . 250

საწარმოო პროპაგანდის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების პროექტისათვის . 251

დამატება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების პროექტისა სპეციალური საწარმოო ორგანოს შექმნის შესახებ 251

საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობა. 1920 წლის 22—29 დეკემბერი 252

1. საბოლოო სიტყვა კონცესიების შესახებ მოხსენების გამო, წარმოთქმული საბჭოების VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციაზე 21 დეკემბერს . 252

2. სიტყვა, წარმოთქმული 22 დეკემბერს საბჭოების VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციაზე საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და

ლევი (Levi), პაულ — 356, 357.
ლენინი, ვ. ი. (ულიანოვი, ვ. ი.) — 1, 29, 67, 69, 73, 83, 84, 88, 89, 98, 114 — 116, 118, 127, 137 — 139, 154, 155, 156, 159, 173 — 174, 178, 179, 180, 185, 186, 192, 193, 195 — 200, 202, 236, 238, 252 — 263, 267, 268, 269—270, 281—282, 286, 292, 295, 315, 316, 327, 359 — 362, 371 — 374, 404, 405, 421, 425, 473, 487 — 490, 511 — 528.
ლეუავა, ა. მ. — 238, 253, 271.
ლიბკნეხტი (Liebknecht) კარლ — 211, 448.
ლინდე, ფ. ფ. — 361.
ლიუდენდორფი (Ludendorff), რიხ — 318.
ლიუქსემბურგი (Luxemburg) როზა — 211, 448.
ლიტვინ-სედოი, ზ. ი. — 471 — 472.
ლიტვინოვი, მ. მ. — 135, 155, 444 — 445, 446, 450, 458, 461.
ლიტკენსი, ე. ა. — 250.
ლოზოვსკი (დრიზდო), ს. ა.—18—19, 207, 320.
ლოიდ ჯორჯი (Lloyd George), დევიდ — 175, 447.
ლომოვი, ა. (ოპოკოვი, გ. ი.) — 244.
ლორიო (Loriot), ფერდინანდ — 109.
ლუნაჩარსკი, ა. ვ. — 24.
ლუტოვინოვი, ი. ხ. — 185, 214, 424.

მ

მაკდონალდი (Macdonald), ჯეიმს რამსეი — 187.
მამონტოვი, კ. კ. — 133, 134.
მანიკოვსკი, ა. ა. — 4.
მანუილსკი, დ. ზ. — 7.
მარკოვი, ს. დ. — 142.
მარტენსი, ლ. კ. — 390, 398 — 399.
მარუშევსკი, ვ. ვ. — 5.
მარშევი, მ. ლ. — 315, 321.
მარჩენკო, კ. ი. — 307.
მარქსი (Marx), კარლ — 108, 192.
მაქსიმოვი, კ. გ. — 390.
მაქსიმოვსკი, ვ. ნ. — 268.
მახარაძე, ფ. ი. — 329.
მახნო, ნ. ი. — 226.
მდივანი, პ. გ. — 482, 484.
მედვედევი, ს. პ. — 214, 330.
მეულაუკი, ი. ი. — 339.
მესიაცევი, პ. ა. — 413.
მეშჩერიაკოვი, ვ. ნ. — 73.
მეშჩერიაკოვი, ნ. ლ.—260, 455—456.
მილიერანი (Millerand) ალექსანდრ ეტიენ — 174.
მილიუკოვი, პ. ნ. — 361.
მილიუტინი, ვ. პ. — 37, 132, 238, 341, 406.
მინკინი, ა. ე. — 270.
მიცგენდლერი — 33.
მიხაილოვი, ვ. მ. — 393 — 395, 406 — 407.
მოლოტოვი (სკრიაბინი), ვ. მ. — 380 — 381, 382, 384, 389 — 390, 408 — 409, 438, 439, 441, 442, 443, 444, 449 — 450, 454, 455, 456 — 458, 461 — 462, 465, 466 — 467, 468 — 469, 472.
მუჰამედ ვალი-ხანი — 137 — 138.

ნ

ნაკახირა რიო — 195 — 198.
ნევსკი, ვ. ი. — 80, 98, 118.

ნილსენი (Nielsen), მარი სოფი — 109.
ნოგინი, ვ. პ. — 230.
ნულანსი (Noulens), ჟოზეფ — 380 — 381.

ო

ოლდენბორგერი, ვ. ვ. — 436, 439.
ორლოვი, ნ. ა. — 146.
ოსინსკი, ნ. (ობოლენსკი, ვ. ვ.)— 288, 343, 345, 413.

პ

პარვუსი (გელფანდი, ა. ლ.) — 450.
პიატაკოვი, გ. ლ. — 7, 409.
პლეხანოვი, გ. ვ. — 14 — 18, 477.
პოპოვი, პ. ი. — 148 — 150, 232, 266.
პორტუგეისი, ს. ი. (ივანოვიჩი სტ.) — 473, 474.
პრეობრაჟენსკი, ე. ა. — 217, 231, 234, 286.
პროშიანი, პ. ბ. — 24.

რ

რადეკი, კ. ბ. — 84, 353 — 354, 355, 358, 371 — 374, 416, 465, 489 — 490.
რადჩენკო, ი. ი. — 98.
რაიხელი — 487, 488.
რაკოვსკი, ქ. გ. — 458.
რანსომი (Ransome), არტურ — 38—39.
რასკოლნიკოვი, თ. თ. — 9, 230.
რაფაილი (ფარბმანი, რ. ბ.)—306.
რიაბუშინსკი, პ. პ. — 253.
რიაზანოვი (გოლდენდახი), დ. ბ.— 265, 268, 271, 308, 310, 311, 314, 317, 331, 470.
რიკოვი, ა. ი. — 80, 98, 141, 151, 235, 266, 292, 409, 467, 484, 495 — 496.
რუტგერსი (Rutgers), სებალდ იუსტიუს — 384, 389 — 391, 393 — 394.
რუძუტაკი, ი. ე. — 370, 424, 438, 444.
რუხიმოვიჩი, მ. ლ. — 409.

ს

სადული (Cadoul), ჟაკ — 207.
სავინკოვი, ბ. ვ. — 17, 473, 474.
საპრონოვი, ტ. ვ. — 132.
სედოი—იხ. ლიტვინ-სედოი, ზ. ი.
სერებრიაკოვი, ლ. პ. — 270.
სერედა, ხ. პ. — 73, 86, 132, 238, 276.
სერატი (Serrati), ჯაჩინტო მენოტი — 207, 356.
სვანიძე, ა. ს. — 328.
სვერდლოვი, ი. მ. — 26.
სკვორცოვ-სტეპანოვი, ი. ი. — 245.
სკლიანსკი, ე. მ. — 117, 213.
სმილგა, ი. ტ. — 154, 212 — 213, 409.
სმირნოვი, ი. ნ. — 295, 390.
სმოლიანინოვი, ვ. ა. — 399.
სოკოლნიკოვი (ბრილიანტი), გ. ი.— 408, 482, 493.
სოლცი, ა. ა. — 137.
ჩოსნოვსკი, ლ. ს. — 146, 465.
სპარგო (Spargo), ჯონ — 316.
სპირიდონოვა, მ. ა. — 73.
სპუნდე, ა. პ. — 38, 67, 68.
სტალინი (ჯუღაშვილი), ი. ბ. —

120, 239, 289, 328, 371 — 372, 392, 464, 472, 473—474, 478, 480—481, 482, 484, 486—487.
სტეკლოვი, ი. მ. — 374.
სტიუნკელი, ბ. ე. — 235, 485.
სუდაკოვი, პ. ი. — 230.
სულთან-ზადე ა. — 208.

ტ

ტალჰაიმერი (Thalheimer), ავგუსტ — 352, 354.
ტანერი (Tanner), ჯეკ — 207 — 208.
ტარტაკოვსკი, ლ. მ. — 321.
ტეილორი (Taylor), ფრედერიკ უინსლოუ — 56.
ტეოდოროვიჩი, ი. ა. — 444.
ტერ-ვაგანიანი, ვ. ა. — 474.
ტერაჩინი (Terracini), უმბერტო — 364.
ტიხვინსკი, მ. მ. — 290.
ტომსკი, მ. პ.—144, 185, 186, 216, 331.
ტროცკი (ბრონშტეინი), ლ. დ. — 133, 134, 154, 183, 225, 235, 255, 266, 271, 289, 319, 371—372, 393, 419, 473, 486, 487 — 490.
ტრუტოვსკი, ვ. ე. — 33.
ტურატი (Turati), ფილიპო—356.
ტუხაჩევსკი, მ. ნ. — 212 — 213.

უ

უნგერნ ფონ შტერნბერგი, რომან — 375.
უნშლიხტი, ი. ს. — 375.
ურკარტი, ლესლი — 459, 485.

ფ

ფედოტოვი, ფ. — 245.
ფინი, ი. ი. — 230.
ფოში (Foch), ფერდინანდ — 174, 178.
ფრუმკინი, მ. ი. — 239.
ფრუნზე, მ. ვ. — 212.
ფუკსი (Fuchs), ედუარდ — 107.
ფუხე, კაცუძი — 198, 200.

შ

შეინმანი, ა. ლ. — 141.
შლიაპნიკოვი, ა. გ. — 7, 21, 36, 37, 308, 309, 316, 318, 330, 392, 424.
შმერალი (Smeral), ბოგუმირი — 358, 359, 363, 364.
შმიდტი, ვ. ვ. — 141, 146.
შოროვი — 486.
შრაიდერი, ა. ა. — 33.
შტეინბერგი, ი. ზ. — 14.
შტრასერი (Strasser), იოსიფ — 358.

ჩ

ჩერვიაკოვი, ა. გ. — 287.
ჩერნოვი, ვ. მ. — 294.
ჩერჩილი (Churchill), უინსტონ — 175, 178, 240.
ჩიჩერინი, გ. ვ.—106—109, 135—136, 143, 213, 240, 243, 289, 380, 386, 444 — 445, 446, 450, 458, 462, 468.
ჩუბარი, ვ. ი. — 335 — 336.

ც

ციპეროვიჩი, გ. ვ. — 393.

ციურუპა, ა. დ. — 132, 409 — 41[illegible], 445, 467, 495 — 496.

ძ

ძერჟინსკი, ფ. ე. — 14, 117, 157, 164, 231, 271, 370.

ხ

ხალატოვი, ა. ბ. — 230.
ხარლოვი, ვ. ნ. — 86.

ჰ

ჰარდინგი (Harding), უორენ — 314.
ჰეივუდი (Haywood), უილიამ (ბილი) — 390, 391, 394.
ჰენდერსონი (Henderson), არტურ — 469.
ჰოლცმანი, ა. ზ. — 230, 330, 335, 336.
ჰუსეინოვი, მ. დ. — 392.

Deslinières — იხ. დელინიერი, ლიუსენ.
Sadoul — იხ. სადული, ჟაკ.
Serrati — იხ. სერატი, ჯანიტო მენოტი.

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

1917 წლის ოქტომბერი — 1918 წლის ივლისი

გამოსვლა სახკომსაბჭოს სხდომაზე 1917 წლის 3 (16) ნოემბერს 1

ფრონტზე მყოფ ჯარისკაცთათვის თბილი ნივთების რეკვიზიციის შესახებ დეკრეტის პროექტის დამატებანი . . 1—2

ინტერვიუ «ASSOCIATED PRESS»-ის საგენტოს კორესპონდენტს ბ. იაროსს. 1917 წლის 15 (28) ნოემბერი . . 2—3

უმაღლეს მოსამსახურეთა და მოხელეთა სარგოს შესახებ. სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი 4

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა სამხედრო სამინისტროს საკითხზე . . . . . 4—5

თეზისები კანონისა გასაჭირავებელბინებიანი სახლების კონფისკაციის შესახებ . . . . . 5—6

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა ეკონომიკის სფეროში სოციალისტური პოლიტიკის განხორციელების საკითხზე . . . . . 6—7

ეკონომიურ ღონისძიებათა პროგრამის მონახაზი . . 7

დემონსტრაციის ლოზუნგებისათვის 8

უსაფუძვლო ბრალდების გამო პასუხისმგებლობის შესახებ. პროექტი რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა . 8

მეურნეობრივად სასარგებლო მუშაობაზე სამხედრო ძარხნების გადაყვანის შესახებ. დადგენილება სახალხო კომისართა საბჭოსი 9

თეზისები პარტიის ამოცანების შესახებ + მიმდინარე მომენტი . . . . . 10—11

პასუხები ალექსანდრო-გრუშევსკის რაიონის მუშათა დელეგაციის კითხვებზე . . . . . 11—12

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა ხელფასის საკითხის გამო 12

პრაქტიკოსთა კომისიის შექმნის შესახებ. პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა . . . . . 12—13

სახკომსაბჭოს სხდომათა დღის წესრიგში საკითხების შეტანის წესის ინსტრუქცია 13

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა იუსტიციის სახალხო კომისრის ი. ზ. შტეინბერგის და იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ვ. ა. კარელინის არასწორი მოქმედების შესახებ 14

ალეხანოვი ტერორის შესახებ . . . . . 14—18

პროექტი რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციისა პარტიიდან ს. ა. ლოზოვსკის გარიცხვის შესახებ . . 18—20

სახკომსაბჭოს დადგენილება კალედინის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ . . . . . 20—21

1. სახკომსაბჭოს დადგენილება 20

2. დამატება სახკომსაბჭოს დადგენილებისა . . . . 20—21

უმაღლესი თანამდებობის პირთა საზღაურის ნორმის შესახებ. პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა . . . . . 21—22

სასურსათო მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა . . . . 22—23

სახკომსაბჭოს შეკითხვა მემარცხენე ესერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს . . . . . 23—24

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა გალტიისა და შავი ზღვის ფლოტების დაქვემდებარების წესის საკითხის გამო 24

ხელფასის შესახებ. პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა . 24—25

პროექტები სახკომსაბჭოს დადგენილებისა სურსათის საქმის ორგანიზაციის საკითხის გამო 25

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა პეტროგრადის საბჭოსთან არსებული საგამომძიებლო კომისიის საქმიანობის საკითხის გამო 26

მეურნეობრივად სასარგებლო სამუშაოებზე სამხედრო ძალების გადაყვანის შესახებ. პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა . . . . . 26—27

დამატება «მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონის» პროექტისა 27

სრულიად რუსეთის გზათა დაცვის საუწყებათაშორისო საგანგებო კომისიის შექმნის დეკრეტის პროექტის დამატება 27

წინადადებანი პეტროგრადის სასურსათო მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 28

სახკომსაბჭოს დადგენილება სამსახურში მესაბოტაჟეთა მიღების წესის შესახებ 29

სიტყვა, წარმოთქმული სრულიად რუსეთის ცაკ-ის ბოლშევიკთა და მემარცხენე ესერთა ფრაქციების გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წლის 19 თებერვალს. მოკლე საგაზეთო ანგარიში 29

სიტყვა, წარმოთქმული ლატვიელ მსროლელთა წინაშე 1918 წლის 20 თებერვალს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . 30

ტელეფონოგრამა ბოლშევიკთა პარტიის პეტროგრადის კომიტეტის აღმასრულებელ კომისიას და ყველა რაიონულ კომიტეტს . . . . . 30—31

დადგენილება სახალხო კომისართა საბჭოსი გერმანელთა ზავის პირობების მიღების შესახებ 31

ფინეთის სოციალისტურ მუშათა რესპუბლიკასთან დასადები ხელშეკრულების შესახებ . . . . . 31—32

1. პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა . . . 31—32
2. სახკომსაბჭოს დირექტივა რუსეთ-ფინეთის შემთანხმებელ კომისიას 32
3. პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა . . . 32—33

დამატება სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტისა პეტროგრადის საბჭოსთან არსებული საგამომძიებლო კომისიის საქმიანობის შესახებ 33

გამოსვლები სახკომსაბჭოს სხდომაზე. 1918 წლის 4 მარტს 33—37

1. 33
2. 35
3. 36

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა წყლის ტრანსპორტის მმართველი კოლეგიის შექმნის შესახებ . . . . . 37—38

ინტერვიუ გაზეთ «PAILY NEWS»-ის კორესპონდენტს . . 38—39

ყველა სახის დაზღვევაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესების დეკრეტის პროექტისათვის . . . . . 39—40

პირვანდელი ვარიანტი სტატიისა «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები» . . . . . 40—62

თავი IV 40
თავი V 43
თავი VI 45
თავი VII 46
თავი VIII 51
თავი IX 57
თავი X 60

წყლის ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ. პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა . . . . . 62—63

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში თანხების ხარჯვის გაკონტროლების შესახებ . . . . . 63—64

გამოსვლა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე. 1918 წლის 1 აპრილს . . . . . 64—66

დამატება დეკრეტის პროექტისა პროვინციაში კომისართა მივლინების წესის შესახებ 66

საბანკო პოლიტიკის თეზისები . . . . . 66—69

გამოსვლა სრულიად რუსეთის პროფსაბჭოს, მელითონელთა კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წლის 11 აპრილს. საგაზეთო ანგარიშიდან 69

დონის რესპუბლიკის საბჭოების პირველი ყრილობის პრეზიდიუმს . . . . . 69—70

დამატება დეკრეტის პროექტისა აქციების, ობლიგაციების და სხვა პროცენტიანი ქაღალდების რეგისტრაციის შესახებ 70

სახკომსაბჭოს დადგენილება შაქრის ჭარხლის ნათესების დაკრედიტების შესახებ . . . . . 70—71

პროექტი დეკრეტისა სრულიად რუსეთის საევაკუაციო კომისიის შექმნის შესახებ . . . . . 71—72

დამატება სახკომსაბჭოს დეკრეტის პროექტისა საწარმოო იარაღით და ლითონით სოფლის მეურნეობის მომარაგების შესახებ 72

დამატება სახკომსაბჭოს დეკრეტის პროექტისა სათესი ფართობის ორგანიზაციის განყოფილების შესახებ . . . 72—73

პროექტი მიწათმოქმედების კომისარიატისადმი ხელმძღვანელობის საკითხზე მოწვეული წინასწარი თათბირის დადგენილებისა 73

დამატება დეკრეტისა სასურსათო დიქტატურის შესახებ . 73—74

შიმშილობის წინააღმდეგ საბრძოლველად მუშათა მობილიზაციის შესახებ. სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი . 74—75

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა სათბობის შესახებ . . . . . 74—75

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა ავტოტრანსპორტის შესახებ 75

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა სურსათის დამოუკიდებელი დამზადების შესახებ . . . . . 75—76

შიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ 76

მონახაზი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და პაჭრობისა და მრეწველობის კომისარიატთან შეთანხმებისა ქალაქსა და სოფელს შორის საქონელგაცვლის პირობების შესახებ 77

«ნაციონალიზებულ საწარმოთა მართვის დებულების» პროექტის შენიშვნები 78

საბიბლიოთეკო საქმის დაუენების შესახებ. პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა . . . . . 78—79

სოფლის ღარიბობის დარაზმვისა და მომარაგების შესახებ დეკრეტის პროექტისათვის 79

სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტის შემადგენლობის შესახებ სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტისათვის . . 80

რკინიგზის ტრანსპორტის გაჯანსაღების შესახებ. პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა . . . . . 80—81

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა ცენტროტექსტილისათვის კრედიტის გახსნის შესახებ 81

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა მეტყავეობის საქმეთა მთავარი კომიტეტის დაფინანსების შესახებ . . 82

საბჭოთა ხელისუფლების დემოკრატიზმისა და სოციალისტური ხასიათის შესახებ . . . . . 82—83

ინტერვიუ გაზეთ «FOLKETS PAGBLAD POLITIKEN»-ის კორესპონდენტს 1918 წლის 1 ივლისს . . . . . 83—86

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით გლეხთა უზრუნველყოფის შესახებ. . 86

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა იმის შესახებ, რომ არ სრულდება «დეკრეტი რესპუბლიკის ძებლებზე» . . 87

რსფსრ კონსტიტუციის მეორე განყოფილების მე-20 პუნქტის მონახაზი 87

სიტყვა. წარმოთქმული მიტინგზე პრესნიას რაიონში 1918 წლის 26 ივლისს . . . . . 88—89

1918 წლის აგვისტო — 1920 წლის ოქტომბერი

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა კარტოფილის ფასების შესახებ . . . . . 90—91

ღარიბკომების მიერ კულაკებისათვის თესლის ჩამორთმევის შესახებ 91

დეკრეტისათვის სოფლის მეურნეთა ნატურალური გადასახადით დაბეგვრის შესახებ . . . . . 92—93

1. დეკრეტის ძირითადი დებულებანი 92
2. დეკრეტის პროექტის შენიშვნები 92

ღარიბთა კომიტეტების შესანახი სახსრების გაღების შესახებ სახკომსაბჭოს დადგენილებისათვის 93

ხე-ტყის დამზადების შესახებ სახკომსაბჭოს დადგენილებისათვის . . . . . 93—94

მონახაზი დადგენილების თეზისებისა კანონის ზუსტად დაცვის შესახებ . . . . . 94—95

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა საბავშვო სახლების შესახებ . . . . . 95—96

დამატება დეკრეტის პროექტისა მოსახლეობის მომარაგების ორგანიზაციის შესახებ . . . . . 96—97

თავდაცვის საბჭოს ამოცანებისა და მუშაობის ორგანიზაციის შესახებ . . . . . 97—99

1 97
2 97
3 99

პროექტი თავდაცვის საბჭოს სათბობის კომისიის დადგენილებისა . . . . . 99—100

წინადადებანი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის მუშაობის შესახებ . . . . . 100—101

მონახაზი წინადადებისა სურსათის დამზადების ტემპისა და ოდენობის გაძლიერების შესახებ . . . . . 101—102

«მუშათა სასურსათო ინსპექციის მოწყობის დებულების» პროექტისათვის . . . . . 102—103

1. სახკომსაბჭოს დადგენილების მონახაზი 102
2. «დებულების» პროექტის შენიშვნები 102

შენიშვნები ვაზნების კომისიის სხდომაზე . . . . . 103—104

განკების მოსამსახურეთა სრულიად რუსეთის ყრილობის მოწვევის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროექტისათვის . . . . . 104—105

წინადადებანი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საფეიქრო მრეწველობის ცენტრალური კომიტეტის დაფინანსების საკითხის გამო . . . . . 105—106

ბ. ვ. ჩიჩერინს . . . . . 106—108

მუშათა და გლეხთა საკითხავი წიგნის შედგენის ინსტრუქცია . . . . . 109—110

შენიშვნები იმაზე, თუ როგორ დავეხმაროთ ხარკოვს . 110

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა კოოპერაციის შესახებ . . . . . 111—112

საგიგლიოთეკო საქმის მდგომარეობის შესახებ. პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა 112

ჩრდილოეთის დიდი რკინიგზის კონცესიის გაცემის შესახებ პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა . . . . . 112—113

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა სამრეწველო საწარმოებისათვის სოფლის მეურნეობათა მიცემის საკითხზე 113—114

უკრაინაში სასურსათო გაწვრის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროექტისათვის . . . 114

გერმანელ დამოუკიდებელთა მოწოდების გამო . . 114—116

პროექტი თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის, რკინიგზის საგანგებო კომისიის და გზათა სახალხო კომისარიატის ურთიერთდამოკიდებულების მოწესრიგების შესახებ და წერილი თავდაცვის საბჭოს წევრებს . . . . . 116—118

სიტყვა, წარმოთქმული სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დედათა და ჩვილთა დაცვის განყოფილების აგიტატორთა კურსებზე. 1919 წლის 8 მარტს. . . 118

მონახაზი სახკომსაბჭოს დადგენილებისა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პოლიგრაფიული განყოფილების შესახებ 119

შენიშვნები კოოპერაციაზე . . . . . 119—120

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა სასურსათო-სატრანსპორტო სამუშაოზე მუშათა ჯგუფების გაგზავნის შესახებ 120

პროექტი თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა რკინიგზელთა კურით მომარაგების შესახებ 121

საშუალო გლეხობასთან დამოკიდებულების საკითხისათვის . . . . . 121—122

პროექტი რეზოლუციისა ჭოსკოვის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს კლენუმის საგანგებო სხდომაზე საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ 1919 წლის 3 აპრილს წაკითხული მოხსენების გამო . . . . . 122—124

წინადადება, რომ დამტკიცდეს პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა დირექტივებით უკრაინის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის 125

სამხედრო თავდაცვის დარგში მუშაობის გაძლიერების შესახებ თავდაცვის საბჭოს დადგენილებისათვის . . . 125

უნგრელი ინტერნაციონალისტებისადმი მიმართვის მინაწერი 126

პროექტი სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური კომისიის დადგენილებისა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ 126

სპეციალისტთა ხელფასის შესახებ. დადგენილების პროექტი 127—128

პროექტი თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა საბჭოთა მოსამსახურეების მოგბილიზაციის შესახებ . . . . . 128—129

დეკრეტი მუშურ-გლეხური თავდაცვის საბჭოსი ვაჭრობის, მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ 129

განკარგულება სახკომსაბჭოს სამდივნოს 130

დირექტივები მიწსახკომს ინსტრუქციის შეცვლის შესახებ 131—132

პროექტები ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებებისა მამონტოვის წინააღმდეგ გრძოლის ღონისძიებათა შესახებ . . . . . 133—134

1 133
2 134
3 134

ცენტროტექსტილში კოლეგიური მართვა-გამგეობის ნაცვლად ერთპიროვნულის შემოღების შესახებ. პროექტი სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა 135

გარათი ბ. ვ. ჩიჩერინს და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილება ანტანტის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხზე . . . . . 135—136

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და სახელმწიფო კონტროლის კომისარიატს შორის კონფლიქტის შესახებ . . . . . 136—137

სურვილები კოოპერაციის საკითხის გამო 137

საუბარი ადღანეთის საგანგებო ელჩთან მუჰამედ ვალიხანთან 1919 წლის 14 ოქტომბერს. საგაზეთო ანგარიში . 137—138

სიტყვა, წარმოთქმული ფრონტზე მიმავალ ივანოვოვოზნესენსკელ კომუნისტ მუშათა წინაშე 1919 წლის 24 ოქტომბერს. მექრონიკის ჩანაწერი . . . . . 138—139

სიტყვა, წარმოთქმული ფრონტზე მიმავალ სკოლისგარეშე განათლების კურსების მსმენელთა წინაშე. 1919 წლის 28 ოქტომბერს . . . . . 139—140

წინადადებანი ერთიანი სატყეო ორგანოს საკითხზე . . 140—141

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა კარტოფილის დამზადების შესახებ . . . . . 141—142

შენიშვნები აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების სრულიად რუსეთის II ყრილობის დელეგატთა თათბირზე . . . . . 142—143

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა 143

სრულიად რუსეთის ცაკის შემადგენლობის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების პროექტისათვის . . . . . 143—144

რკინიგზის ტრანსპორტის მართვის გაუმჯობესების შესახებ. პროექტი სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა . . . 144

სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან არსებული რკპ(ბ) ფრაქციის ბიუროს დებულების პროექტის შენიშვნები . . . . . 144—145

სასურსათო ორგანოთა აპარატის მუშაობის შესახებ. რეზოლუციის პროექტი . . . . . 145—146

მონახაზი სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტისა მოსკოვის სასურსათო მომარაგების შესახებ 147

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა პურით დატვირთული სამარშრუტო მატარებლების მოსკოვს გამოგზავნის შესახებ . . . . . 147—148

წერილი პ. ი. პოპოვს. (რსფსრ მოსახლეობის მოხმარების შესახებ ოქტომბრის რევოლუციამდე და ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ) . . . . . 148—150

1 148

2 149

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით მუშათა მომარაგების საკითხზე . . . 150—151

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა ნედლეულის დამზადების ინსტრუქციის შესახებ 151

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სატრანსპორტო განყოფილების შესახებ. პროექტი თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა 152

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა . . . . . 152—153

დადგენილება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსი ანტანტის იმ ცდის საკითხზე, რომ დაიწყოს სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან რუსეთის კოოპერაციის მეშვეობით 153

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა იმასთან დაკავშირებით, რომ მთავარსარდალმა პროტესტი განაცხადა თურქესტანის ფრონტის სარდლისათვის მიცემული ბრძანების გამო 154

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დირექტივა მუშათა ინსპექციის საკითხზე . . . . . 154—155

მითითებანი სააგიტაციო-საინსტრუქტორო მატარებლებისა და გემების მუშაობის შესახებ . . . . . 155—157

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა კარტოფილის გადმოტვირთვის და თოვლისაგან მოსკოვის ქუჩებისა და რკინიგზების გაწმენდის შესახებ . . . . . 157—158

შენიშვნები მუშა-მოსამსახურეთა პრემირების დებულების პროექტის გამო 158

სიტყვა, წარმოთქმული საგუბერნიო და სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირზე. 1920 წლის 1 თებერვალს . . . . . 159—160

პროექტი თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ . . . . . 160—161

ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ თავდაცვის საბჭოს დადგენილებებზე მინაწერი . . . . . 161—162

ორთქლმავალშემკეთებელ მუშათა შეღავათების შესახებ. პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა 162

სიტყვა, წარმოთქმული გუბერნიათა საგანგებო კომისიების IV კონფერენციაზე. 1920 წლის 6 თებერვალს . . . . . 162—172

პროექტი რეზოლუციისა უკრაინის ბოროტბისტთა პარტიის შესახებ . . . . . 172—173

საუბარი ამერიკის გაზეთ «THE WORLD»-ის კორესპონდენტ ლინკოლნ ეირთან . . . . . 173—130

მოკავშირეები «ჭადრაკის სვლებს» აკეთებენ 173
შეერთებული შტატები დევნის სოციალისტებს . . . 175
ევროპა რუსეთზეა დამოკიდებული 176
მსოფლიოს რუსეთის საქონელი სჭირდება 177
საშინაო მდგომარეობას კარგი პერსპექტივები აქვს . . 179
სოციალისტურ ლიდერთა მკვეთრი კრიტიკა 180

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის რეზოლუციის შენიშვნები ბოროტბისტთა საკითხის გამო 181

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა სასაკონლო ფონდის საკითხზე 181

ტროცკის თეზისების «სამეურნეო მშენებლობის მორიგი ამოცანები» პროექტის შენიშვნები . . . . . 182—183

არასრულწლოვანთა გასამართლების შესახებ. დეკრეტის პროექტის შენიშვნები და შესწორებანი . . . . . 183—184

საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა 184

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებანი სრულიად რუსეთის პროფსაბჭოს ფრაქციის წევრების მიერ პარტიული დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებით . . . . . 185—186

ბროშურა «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკის» ინგლისური ზამოცემის წინასიტყვაობა . . . 187—188

შაბათობათა დებულების პროექტის დამატებანი . . . 189

1. შაბათობათა მიზანი და დანიშნულება 189

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს . 190

შენიშვნები შრომითი სასურსათო ულუფის დეკრეტის გამო . . . . . 190 — 191

1 190
2 191

სიტყვა. წარმოთქმული კ. მარქსის ძეგლის საძირკვლის ჩაყრისას 1920 წლის 1 მაისს. საგაზეთო ანგარიში . . . 192

სიტყვა, წარმოთქმული ზაგორსკის სახელობის მუშათა სასახლის გახსნის დროს 1920 წლის 1 მაისს. საგაზეთო ანგარიში . . . . . 192—193

სიტყვა, წარმოთქმული მოსკოვის პირველი მეტყვიამფრქვევეთა კურსების წითელ მეთაურთა XI გამოშვებაზე 1920 წლის 12 მაისს. მექრონიკის ჩანაწერი 193

პროექტი სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა ნედლეულის დამზადების შესახებ 194

მშრომელ მოსახლეობას შორის ბინების სწორი განაწილების ღონისძიებათა დეკრეტის პროექტის შენიშვნები . . 194—195

მონახაზი სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა პურის რესურსების შესახებ 195

საუბარი იაპონელ კორესპონდენტ რ. ნაკაჰირასთან, გაზეთ «ოსაკა ასახის» წარმომადგენელთან . . . . . 195—198

საუბარი იაპონელ კორესპონდენტ კ. ფუსესთან, გაზეთ «ოსაკა მაინიტის» და გაზეთ «ტოკიო ნიტი-ნიტის» წარმომადგენელთან . . . . . 198—200

დადგენილებები სანატორიუმ «გორკის» გამგე ე. ი. ვეფერისათვის სასჯელის დადების შესახებ . . . . . 200—201

სიტყვა, წარმოთქმული კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე 1920 წლის 19 ივნისს. საგაზეთო ანგარიში 202

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა რკპ(ბ) ამოცანების შესახებ თურქესტანში 202—203

მასალები კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესისათვის . . . . . 203—208

1. გეგმა რეზოლუციისა «პროლეტარიატის დიქტატურის» ცნების შინაარსის შესახებ და ამ ლოზუნგის «მოდური» დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ . . . 203

2. კომინტერნის II კონგრესზე დ. ტანერის მიერ წარმოთქმული სიტყვის ნამო 207

3. შენიშვნები აღმოსავლეთში სოციალური რევოლუციის პერსპექტივების შესახებ ა. სულთან-ზადეს მოხსენების გამო 208

4. შენიშვნები ეროვნული და კოლონიური საკითხების კომისიისთვის 208

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა პეტროგრადის კომუნასა და პეტროგრადის საბჭოს შორის მომხდარი კონფლიქტის შესახებ 209

პასუხი შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. მ. კრასნოშჩოკოვის შეკითხვებზე . 210

სიტყვა, წარმოთქმული პეტროგრადში კ. ლიბკნეხტისა და რ. ლუქსემბურგის ძეგლის საძირკვლის ჩაყრისადმი მიძღვნილ მიტინგზე 1920 წლის 19 ივლისს. საგაზეთო ანგარიში . 211

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა ჟურნალ «კომუნისტიჩესკი ინტერნაციონალში» გამოქვეყნებულ ა. მ. გორკის სტატიათა შესახებ 211—212

წინადადებანი სამხედრო საკითხებზე 212

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებანი დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს გრძანების შესახებ . . . . . 212—213

რკპ(ბ) IX სრულიად რუსეთის კონფერენცია. 1920 წლის 22—25 სექტემბერი . . . . . 213—222

1. სიტყვა პარტიული მშენებლობის მორიგ ამოცანებზე 24 სექტემბერს 213

2. პროექტი რეზოლუციისა პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ 220

3. წინადადება პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ რეზოლუციისათვის . . . 222

შოხსენება რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ, წაკითხული რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის თათბირზე 1920 წლის 9 ოქტომბერს . . . . 223—226

მონახაზი რეზოლუციისა პროლეტარული კულტურის შესახებ . . . . . 226—227

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა რკპ(ბ) ამოცანების შესახებ აღმოსავლეთის ხალხებით დასახლებულ ადგილებში . . . . . 227—228

შენიშვნები პარტიის მორიგ ამოცანებზე . . . . . 228—229

პროექტი შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა გალტიის ფლოტის აღდგენის საკითხზე . . . . . 229—230

პროექტი სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა საბჭოთა მოსამსახურეების შრომითი და სასურსათო ულუფის საკითხზე 230

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა 231

1920 წლის ნოემბერი — 1923 წლის მარტი

სამეურნეო სახალხო კომისარიატებს შორის კავშირის ორგანიზაციის შესახებ . . . . . 232—233

1. პროექტი სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა 232
2. წინადადებათა მონახაზი 233

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა მთავარპოლიტბანის შესახებ . . . . 233—234

წერილი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებს . . . 234—236

სიტყვა, წარმოთქმული სოკოლნიკის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის და ქ. მოსკოვის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების და საწარმოთა გამგეობების წარმომადგენლების გაერთიანებულ სხდომაზე 1920 წლის 7 ნოემბერს 236

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა პროლეტკულტის შესახებ 237

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა . . . . . 237—238

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა კონცესიების საკითხზე 238

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა . . . . . 238—239

საბჭოთა ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებასა და ბიუროკრატიზმია წინააღმდეგ ბრძოლაზე სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობისათვის წარსადგენი მოხსენების თეზისების შესახებ 240

პროექტი პოლიტბიუროს დადგენილებისა. (იმის გამო, რომ ჩიჩერინმა წინადადება წამოაყენა კრასინის დროებით გამოწვევის შესახებ, ხოლო კრასინი საწინააღმდეგო აზრისაა) . . . . 240—241

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა პირდაპირი გადასახადების შესახებ 241

პროექტი სახკომსაბჭოს ეკონომიური კომისიის დადგენილებისა 242

ბლეხთა მეურნეობების განმტკიცებისა და განვითარების ღონისძიებათა პროექტის შემუშავებისათვის. მითითებანი კომისიის წევრებს 243

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა ინგლისთან სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ. . . . . 243—244

საბოლოო სიტყვა კონცესიების შესახებ მოხსენების გამო, წარმოთქმული რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1920 წლის 6 დეკემბერს . . . . . 244—249

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა განსახკომის რეორგანიზაციის შესახებ . . . 250

საწარმოო პროპაგანდის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების პროექტისათვის . . 251

დამატება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების პროექტისა სპეციალური საწარმოო ორგანოს შექმნის შესახებ 251

საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობა. 1920 წლის 22—29 დეკემბერი 252

1. საბოლოო სიტყვა კონცესიების შესახებ მოხსენების გამო, წარმოთქმული საბჭოების VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციაზე 21 დეკემბერს 252

2. სიტყვა, წარმოთქმული 22 დეკემბერს საბჭოების VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციაზე საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და

სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენების განხილვასთან დაკავშირებით. 263

3. სიტყვა, წარმოთქმული 27 დეკემბერს საბჭოების VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის წინაშე «ბლეხური სოფლის მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ» სახკომსაბჭოს კანონპროექტის დამატებათა თაობაზე . . . 275

4. საბჭოების VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციაზე 27 დეკემბერს მიღებული შეკითხვების პასუხები . 280

5. დამატება რეზოლუციისა მიწის საკითხის შესახებ 287

ნ. ნ. კრესტინსკის რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსთვის . . . . . 287—288

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შესახებ 288

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა საქართველოს შესახებ . . . . . 288—289

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა სარკინიგზო და საწყლოსნო ტრანსპორტის მუშაკთა გაერთიანებული პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაკთა განცხადების გამო . . . . . 289—290

მონახაზი სახკომსაბჭოს დადგენილებისა ნავთობის კონცესიების შესახებ 290

პროექტი სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებისა სახალხო კომისარიატების მიერ შრომისა და თავდაცვის საბჭოს და სახკომსაბჭოს დადგენილებათა და დავალებათა შესრულების შემოწმების შესახებ 290

შესწორებანი და დამატებანი შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა სათბობის კრიზისთან ბრძოლის საკითხზე 291

პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა საიმპორტო გეგმის შესახებ . . . . . 291—292

პროექტი საერთო-საგეგმო კომისიის შესახებ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების ძირითადი პუნქტისა . 292—293

სიტყვა ქ. მოსკოვის პარტიული აქტივის კრებაზე 1921 წლის 24 თებერვალს . . . . . 293—296

შენიშვნები ნედლეულის რესურსების მოგბილიზაციის საკითხზე . . . . . 297—298

დადგენილება შრომისა და თავდაცვის საბჭოსი მუშათა ჰომარაგების გაუმჯობესების შესახებ 299

გეგმა წერილისა გაჭოელი ამხანაგებისადმი . . . . . 299—302

შენიშვნები ელექტრიფიკაციის შესახებ . . . . . 303—304

1 303

2 303

დამატება სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტისა უმაღლეს სასწავლებლებში სავალდებულო სამეცნიერო მინიმუმის შესახებ 304

რკპ(ბ) X ყრილობა. 1921 წლის 8 — 16 მარტი . . . . 304—307

1. «ათის კლატფორმის» მომხრეთა თათბირზე გამოსვლის კონსპექტი 304

2. შენიშვნა პარტიის ერთიანობის შესახებ რეზოლუციის რაშაილისეული (რ. ბ. ფარბმანისეული) შესწორების გამო 16 მარტს 306

3. შენიშვნა კისელიოვის გამოსვლის შესახებ პარტიის ერთიანობის თაობაზე რეზოლუციის გამო 16 მარტს 306

4. შენიშვნა ანარქისტული და სინდიკალისტური გადახრის შესახებ რეზოლუციის მარჩენკოსეული შესწორების გამო 16 მარტს 307

წინადადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ფულადი გადასახადების გაუქმების შესახებ სრულიად რუსეთის ცაკის დადგენილების პროექტის გამო 307

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა ტამბოვის გუბერნიაში დამზადებათა შესახებ 308

პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომა. 1921 წლის 11 აპრილი . . . . . 308—324

1. რეპლიკა კამათის დროს 308

2. საგოლოო სიტყვა კონცესიების შესახებ მოხსენების გამო 309

საგარეო ვაჭრობისათვის განცხადების შესახებ. სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი 324

პროექტი შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა «ალგემგას» შესახებ . . . . . 324—325

«სასოფლო-სამეურნეო მანქანების განაწილების შესახებ» სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების პროექტის დამატება . . . . . 325—326

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილისა უპარტიო მუშებისადმი დამოკიდებულების შესახებ . . . . 326—327

გამოსვლა კრემლის უბნის კომუნისტთა და რკპ(ბ) კანდიდატთა 1921 წლის 9 მაისის კრებაზე (საოქმო ჩანაწერი) . 327—328

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა 328—329

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა წარმოების კონცენტრაციის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ 330

კონსპექტი სიტყვისა პროფკავშირთა სრულიად რუსეთის IV ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე . . . 331

წინადადებანი პარტიის პროგრამის მე-13 პუნქტის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების პროექტისათვის . . . . . 331—332

პროექტი შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა ადგილობრივი ეკონომიური თათბირების, ანგარიშგების და შრომისა და თავდაცვის საბჭოს განკარგულებით ხელმძღვანელობის შესახებ . . . . . 332—334

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა 334—336

შენიშვნები რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამუშაო გეგმის გამო 337

პროფკავშირთა ყრილობაზე სიტყვის გეგმა . . . . . 337—339

პეტროვსკის ჯგუფის ამხანაგ მაღაროელებს 339

რკპ(ბ) სრულიად რუსეთის X კონფერენცია. 1921 წლის 26—28 მაისი . . . . . 339—344

1. გამოსვლა კონფერენციის დღის წესრიგის საკითხზე 26 მაისს 339
2. გამოსვლა ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხებზე რეზოლუციის პროექტის განხილვის დროს 28 მაისს 340

1 340
2 341
3 342
4 342
5 343
6 344
7 344

ყველა სახალხო კომისარს და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამგეს . . . . . 344—346

ანგარიშებიდან ყოველთვიური ნოკლე ამონაწერების გაკეთების შესახებ . . . . . 346—347

წინადადებები რკპ(ბ) პირადი შემადგენლობის შემოწმებისა და წმენდის საკითხზე 348

კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს III კ ო ნ გ რ ე ს ი. 1921 წლის 22 ივნისი — 12 ივლისი . . . . . 349—364

1. წერილი ო. ვ. კუუსინენს და შენიშვნები «კომუნისტური პარტიების ორგანიზაციული მშენებლობის, მათი მუშაობის მეთოდებისა და შინაარსის შესახებ თეზისების» პროექტის მიმართ . . . 349
2. წერილი ო. ვ. კუუსინენსა და ვ. კენენს . . . 351
3. შენიშვნები კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესისათვის ტაქტიკის შესახებ თეზისების პროექტებზე. წერილი გ. ე. ზინოვიევს 352
4. წინადადებანი «ტაქტიკის საკითხზე თეზისების» პრაქტიკისათვის 358
5. სიტყვები გერმანიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და იტალიის დელეგაციების წევრთა 11 ივლისის თათბირზე 359
   1 359
   2 363
   3 364

საბჭოთა დაწესებულებებში მოსამსახურეთა შრომის კოლექტიური ანაზღაურების თაობაზე სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტის დამატებანი 365

პუნქტი «ა» 365
პუნქტი «დ» 365

წინადადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში საწარმოთათვის პრემიების მიცემის შესახებ . . . 366

შენიშვნები შიმშილთან ბრძოლის ღონისძიებებისა და სამეურნეო მუშაობის გაძლიერების შესახებ . . . . . 366—368

ცენტროსოიუზის მიერ საქონელგაცვლის მოწყობის შესახებ სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტისათვის . . 368—369

წინადადება რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში . . . . 369—370

წინადადებები ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ ფ. ე. ძერჟინსკის დასკვნებისათვის 370

წერილი ბ. ე. ზინოვიევს და დავალება მდივანს . . . 371—374

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გამოკვლევის შესახებ . . . . . 374—375

წინადადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სასამართლოზე უნგერნის გადაცემის შესახებ 375

გარათი ე. ს. ვარგას და თეზისები საერთაშორისო მუშათა მოძრაობის საკითხებზე ინფორმაციის ინსტიტუტის მოწყობის შესახებ . . . . . 375—378

ე. ს. ვარგას . . . . . 378—379

დადგენილება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსი ევროპაში მუშათა შენაწირის აღრიცხვის მოწყობის შესახებ. 1921 წლის 2 სექტემბერი . . . . . 379—380

გარათი ვ. მ. მოლოტოვს და პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა ნულანსისათვის გასაგზავნი ნოტის შესახებ . . . . . 380—381

დამატება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტისა სურსათის სახალხო კომისარიატისადმი დირექტივების შესახებ 381

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა ოქროს ფონდის ხარჯვის შესახებ . . 381—382

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა მოსკოვის საწყობებში შენახული წიგნების თავისუფალი გაყიდვის შესახებ . . . . . 382—383

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა 383

ბარათი ვ. მ. მოლოტოვს რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში შესატანი წინადადებით 384

წერილი ვ. ვ. კუიბიშევს და პროექტი იმ მუშათა ვალდებულებებისა, რომლებიც ამერიკიდან რუსეთში მოდიან . 384—386

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის საკითხზე 385

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების პროექტისათვის 386

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დირექტივებისა უკრაინაში შაქრის ჭარხლის სათესი მიწების გამოუფლის შესახებ 387

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა სოციალური დაზღვევის შესახებ . . . 388

შენიშვნები «იუგოსტალის» შესახებ . . . . . 388—389

ბარათი ვ. მ. მოლოტოვს რუტგერსის ჯგუფთან შეთანხმების საკითხზე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტით . . . . . 389—390

წერილი პოლიტბიუროს წევრებს ს. რუტგერსის წინადადებათა საკითხზე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებათა პროექტი . . 391

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა სასურსათო სამუშაოზე ა. გ. შლიაპნიკოვის გაგზავნის შესახებ 392

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა . . . . . 392—393

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა კონცესიების საკითხზე ერთიანი კომისიის შექმნის შესახებ 393

ბარათი ვ. მ. მიხაილოვს რუტგერსის ჯგუფთან შეთანხმების საკითხზე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროექტით . . . . . 393—395

ფინადადებანი რუსეთში სურსათის ამანათების გაგზავნის მოწყობის თაობაზე არასთან შეთანხმების პროექტის ტექსტის გამო 395

წერილი პოლონელ კომუნისტებს . . . . . 396—398

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა 398

პროექტი შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა «ფაულერის» გუთნების შესახებ . . . . . 398—399

შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება შრომისა და თავდაცვის საბჭოსათვის ანგარიშგებისა და დიაგრამების წარდგენის შესახებ. 1921 წლის 21 ოქტომბერი . . 399—400

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა გამგეულის მრეწველობის მართვის შესახებ 400

გეგმა სტატიისა «საქმის კომერციულად დაყენება» . . 400—402

პროექტები სახკომსაბჭოს დადგენილებებისა 1922 წლის საფინანსო გეგმისა და ემისიის გეგმის შესახებ . . . 402—403

1 402
2 403

საუგარი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციასთან 1921 წლის 5 ნოემბერს . . . . . 404—405

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა 406

გარათი ვ. მ. მიხაილოვს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტითურთ 406

გარათი ვ. მ. მიხაილოვს უკრაინაში სასურსათო მუშაობის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტითურთ 407

«ყალბი დასმენისათვის დასჯის შესახებ» დეკრეტის პროექტისათვის . . . . . 407—408

შენიშვნები «ბაზეთების ფასიანობის შემოღების შესახებ» დეკრეტის პროექტზე 408

გარათი ვ. მ. მოლოტოვს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში შესატანი წინადადებებით . . . . . 408—409

წერილი ა. დ. ციურუპას სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების პროექტით და გარათი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს . . . . . 409—411

სიტყვა მოსკოვის გუბერნიის I სასოფლო-სამეურნეო ყრილობაზე 1921 წლის 29 ნოემბერს . . . . . 411—415

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტის მონახაზი 415

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა ერთიანი ფრონტის ტაქტიკის შესახებ . . 416

პროექტი შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა მატერიალური რესურსების გამოყენების კომისიის შესახებ 416

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტისათვის 417

შენიშვნები თეზისებისათვის ერთიანი ფრონტის შესახებ . 417

წერილი აღმოსავლეთის ხალხთა პროპაგანდისა და მოქმედების საბჭოში 418

შენიშვნები პარტიის წმენდის შესახებ რკპ(ბ) XI კონფერენციის რეზოლუციის პროექტის გამო . . . . . 418—419

გამოსვლები საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობის უპარტიო დელეგატთა თათბირზე 1921 წლის 26 დეკემბერს . 420—424

1 420
2 420
3 423

პროექტი თეზისებისა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პიროგებში პროფკავშირთა როლისა და ამოცანების შესახებ . . . . . 424—439

1. ახალი ეკონომიური პოლიტიკა და პროფკავშირები . 425

2. სახელმწიფო კაპიტალიზმი პროლეტარულ სახელმწიფოში და პროფკავშირები 425

3. სახელმწიფო საწარმოები, რომლებიც ეგრეთ წოდებულ სამეურნეო ანგარიშზე უნდა გადავიდნენ, და პროფკავშირები 426

4. არსებითი განსხვავება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა იმ სახელმწიფოში, რომელიც ცნობს მიწის, ფაბრიკებისა და სხვ. კერძო საკუთრებას, სადაც პოლიტიკური ძალაუფლება ხელთ უპყრია კაპიტალისტთა კლასს, და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა იმ სახელმწიფოში, რომელიც არ ცნობს მიწისა და მეტი წილი მსხვილი საწარმოების კერძო საკუთრებას, სახელმწიფოში, სადაც პოლიტიკური ძალაუფლება ხელთ უპყრია პროლეტარიატს 427

5. პროფკავშირებში ნებაყოფლობითი წევრობისათვის დაბრუნება 429

6. პროფკავშირები და საწარმოთა მართვა 429

7. პროფკავშირების როლი და მონაწილეობა პროლეტარული სახელმწიფოს სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოებში 430

8. მასებთან კავშირი როგორც პროფკავშირების ყოველგვარი მუშაობის ძირითადი პირობა 433

9. წინააღმდეგობანი თვით პროფკავშირების მდგომარეობაში პროლეტარიატის დიქტატურის დროს . . . 434

10. პროფკავშირები და სპეციალისტები 436

11. პროფკავშირები და წვრილბურჟუაზიული გავლენა მუშათა კლასზე 437

ბარათი ვ. მ. მოლოტოვს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის დადგენილებების პროექტებით . 439—440

წინადადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ნიუნი ნოვგოროდის რადიოლაბორატორიისათვის სახსრების ასიგნების შესახებ 441

დირექტივები კინოსაქმის გამო . . . . . 441—442

წინადადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში უკრაინაში მ. ი. კალინინის გამგზავრების შესახებ . 442—443

წინადადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში . . . . . .443—444

პროექტი დირექტივისა გენუის დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილისა და ყველა წევრისადმი . . . . . 444—447

წერილი ნ. ი. ბუხარინსა და გ. ე. ზინოვიევს . . . 447—449

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა გენუის კონფერენციის შესახებ . . . 449—450

პარვუსის ბროშურის შინაარსის შემცველი დეპეშის გამოქვეყნების გამო 450

1 450

2 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1922 წლის 11 მარტის დადგენილება 451

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივისა საგარეოთა დელეგაციისათვის გენუის კონფერენციაზე . . 451—454

ბარათი ვ. მ. მოლოტოვს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში შესატანი წინადადებებით 454

ჩანანიშნები ნ. ლ. მეშჩერიაკოვის წერილზე და პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა . . . . . 455—456

წერილი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს შენიშვნებით სამი ინტერნაციონალის კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ კომინტერნის აღმასკომის პირველი გაფართოებული პლენუნის რეზოლუციის პროექტის გამო . . . . . 456—458

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა ჯენუაში საბჭოთა დელეგაციის აპოცანების შესახებ . . 458—461

ბარათი ვ. მ. მოლოტოვს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის იტალიისადმი ნოტის შესახებ დადგენილების პროექტით . . . . . 461—462

შესწორებანი და შენიშვნები მცირე სახალხო კომისართა საბჭოს დებულების პროექტისათვის . . . . . 462—463

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა შვეციისაგან სესხის აღების შესახებ 463

წერილი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს წინადადებებით სამი ინტერნაციონალის კონფერენციაზე კომინტერნის დელეგაციისათვის კომინტერნის აღმასკომის დირექტივების პროექტის გამო . . . . 464—465

წერილი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საზღვარგარეთ მიმავალი ამხანაგებისათვის დირექტივის პროექტით . . . . . 465—466

წერილი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს . 466—467

ბარათი ნ. პ. ბორბუნოვს და წინადადებანი კოოპერაციის საკითხზე . . . . . 467—468

შესწორებანი და შენიშვნები ბენუის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის განცხადების პროექტისათვის . . 468—469

რ კ პ (ბ) XI ყ რ ი ლ ო ბ ა. 1922 წლის 27 მარტი—2 აპრილი . 469—472

1. წინადადება კომინტერნში რკპ(ბ) დელეგაციის ანგარიშის გამო რეზოლუციის პროექტისათვის . 469

2. 2 აპრილის სიტყვა «პრავდაში» განცხადებების გეჰდვის საკითხზე. 470

3. შენიშვნები ყრილობის 2 აპრილის სხდომაზე . 471

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა სამდივნოს მუშაობის ორგანიზაციის შესახებ . 472

ბარათები რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებათა პროექტებით . . . . . 472—474

1 472
2 473

შენიშვნები და წინადადებანი სამი ინტერნაციონალის კონფერენციის დამთავრებასთან დაკავშირებით კომინტერნის აღმასკომის გადაწყვეტილების პროექტის გამო. წერილი გ. ე. ზინოვიევს . . . . . 474—476
1 474
2 476

ინტერვიუ გაზეთ «ნიუ-იორკ ჰერალდის» კორესპონდენტს . 476—477

დადგენილება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსი გ. ვ. პლეხანოვის თხზულებათა გამოცემის შესახებ. 1922 წლის 27 აპრილი 477

პროექტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებისა ნატურალური გადასახადის შესახებ მონაცემების კრებსითი ცნობის ცენტრალურ კომიტეტში წარდგენის გამო 478

გარათი ი. ბ. სტალინს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხზე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტით . . . . . 478—479

დამატება რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის შემომღლები კანონის პროექტისა და წერილი დ. ი. კურსკის 479—480

წერილი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წითელი არმიის შემცირების საკითხზე 480

წერილი ი. ბ. სტალინს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის და პროექტი დადგენილებისა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობის შესახებ . . . . . 480—481

ამიერკავკასიის მშრომელ ქალთა პირველ ყრილობას . . 481

სსრ კავშირის შექმნის შესახებ. წერილი ლ. ბ. კამენევს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის . . 482—484

ფეიქარი მუშებისა და მუშა ქალების ყრილობას . . . 484—485

დამატება ლ. ურკარტთან ხელშეკრულების პირობებისათვის 485

თეზისები კოოპერაციული ბანკის შესახებ . . . . . 485—486

პეტროგრადელ ფეიქრებს 486

წინადადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს არმიის შემცირების შესახებ . . . . . 486—487

რუსულ კოლონიას ჩრდილოეთ ამერიკაში . . . . 487—489

პროექტი კომინტერნის IV კონგრესის რეზოლუციისა კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამის საკითხზე . . 489—490

წინადადებანი სახალხო კომისართა საბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა შორის სამუშაოს განაწილების შესახებ . . . . . 490—491

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტისათვის სახელმწიფო მომარაგების კომისიის მოხსენების გამო . . . . . 491—492

წინადადება პლენუმს პოლიტბიუროს რეგლამენტის შესახებ 492

წინადადებანი სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილეების მუშაობის წესის შესახებ . . . 493—495

წერილი ლ. ბ. კამენევს, ა. ი. რიკოვს, ა. დ. ციურუპას სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის სამუშაოს განაწილების შესახებ . . . . . 495—496

მასალები სტატიისათვის «როგორ მოვახდინოთ მუშურ-გლეხური ინსპექციის რეორგანიზაცია» . . . . . 497—506

1. ბებმა სტატიისა «რა ვუყოთ მუშურ-გლეხურ ინსპექციას?» 497

2. რა ვუყოთ მუშურ-გლეხურ ინსპექციას? . . . 498

რა ვუყოთ მუშურ-გლეხურ ინსპექციას? (გაგრძელება) 501

რა ვუყოთ მუშურ-გლეხურ ინსპექციას? (გაგრძელება) 504

დამატებანი

რკპ (ბოლშევიკების) IX ყრილობის დელეგატთა პირადი ანკეტა . . . . . 509—511

ანკეტა რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის წევრთა ხელახალი რეგისტრაციისათვის . . . . . 511—514

რკპ (ბოლშევიკების) სრულიად რუსეთის IX კონფერენციის დელეგატთა პირადი ანკეტა 515

ანკეტა რკპ სრულიად რუსეთის X ყრილობის დელეგატებისათვის 516

რკპ (ბოლშევიკების) სრულიად რუსეთის XI კონფერენციის დელეგატთა პირადი ანკეტა . . . . . 521—522

ანკეტა რკპ(ბ) წევრთა სრულიად რუსეთის აღწერისათვის 523—527

რკპ (ბოლშევიკების) XI ყრილობის დელეგატთა პირადი ანკეტა 528

ვ. ი. ლენინის მორიგე მდივნების დღიური. 1922 წლის 21 ნოემბერი — 1923 წლის 6 მარტი . . . . . 529—567

შენიშვნები 569

სახელთა საძიებელი 730

ქართული თარგმანის რედაქტორი
ბრიგიტ ევანია

გამომცემლობის რედაქტორები
ალექსანდრა არობელიძე, ოთარ გრატიაშვილი

ტექრედაქტორი ვალერიან ჭიჭინაძე
კორექტორები ოლია ცინცაძე, ნორა თავაძე
გამომშვები ნოე მაჭარაშვილი

გადაეცა წარმოებას 6/IV-70 წ. ხელმოწერილია
დასაბეჭდად 16/III-72 წ. ქაღალდის ზომა
84 × 108¹/₃₂. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 41,37
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 36,25
ტირაჟი 5.000. შეკვ. № 474. ფასი 80 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი
სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფ-
მრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი.
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфпрома Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.